

ქ ა ნ ა ნ ე ლ ი

უსწორო კარაბადინი

ტექსტი დაამუშავა და წინასიტყვაობა დაურთო

ექ. ლ. კოტეტიშვილი

ს ა ქ მ ე დ გ ა მ ი

19 _____ 40

თბილისი

წინასიტყვაობა

ჩვენ უკვე გვაქვს შესწავლილი და, გამოქვეყნებული ორი დიდ-მნიშვნელოვანი ქართული საექიმო წერილობითი ძეგლი:

1. „წიგნი საექიმო“ — XIII საუკუნის დასაწყისისა, და 2. „იადიგარ დაუდი“ — XV საუკუნის დასასრულისა. მაგრან ქართული საისტორიო საექიმო ძეგლების შესწავლა, გასაგებია, ამით ვერ ამოიწურებოდა

„იადიგარ დაუდის“ შესავალ წერილში ჩვენ ვუჩვენებდით, რომ ამჟამად წარმოებული კვლევის ფარგლები განისაზღვრებოდა იმ მასალით, რომელიც საქართველოს სახ. მუზეუმში ან-და საერთოდ თბილისში იყო დაცული. რასაკვირველია, ეს ფარგლები არა კმაროდა, ქართული საისტორიო მედიცინის კვლევის საქმე ამ ვიწრო ასპარეზით ვერ დაკმაყოფილდებოდა. საჭირო იყო საბჭოთა კავშირის სავა ქალაქებში დაცული ქართული ძეგლების შესწავლა და მათი გამოქვეყნება.

ამ მიზნით მომიხდა გამგზავრება ლენინგრადში, სადაც ექვსი თვის განმავლობაში წარმოებულმა კვლევამ თავისი შედეგებით ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ქვევით მკითხველი ნათლად დაინახავს, თუ რა ძვირფასი მასალაა იქ დაცული და რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მათ შესწავლას ქართული საისტორიო საექიმო ძეგლების შეკრებისა და დამუშავების საქმეში.

წინამდებარე შრომის გარდა, რომლის მნიშვნელობას და ღირსებას მკითხველი ქვევით დაინახავს, ლენინგრადში ჩატარებული მუშაობის შედეგია აგრეთვე მეორე შრომა; სახელდობრ „მედიცინა ძველ საქართველოში: XVIII საუკუნე და მე-XIX საუკუნის დასაწყისი, რომელშიაც შევიდა საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერების განყოფილებაში აღმოჩენილი „კალმასობის ისტორიის“ ქართულ კულტურის დაუცხრომელი მოამაგის ბატონიშვილი ი ო ნ ე ს მეტად საინტერესო საექიმო ნაშრომი, რომელიც თავისუფლი თარგმანი იმდროინდელ ცნობილ გერმანელ ექიმ პ ე ტ რ ე ჰ ო ფ მ ა ნ ი ს საექიმო-დარიგებებისა-სხვადასხვა ავადმყოფობათა დროს. ხელნაწერს

I

დართული აქვს ი ო ა ნ ე ს მიერ შედგენილი და მისივე ხელით შესრულებული ვრცელი ლექსიკონი სამკურნალო საშუალებათა.

ამის გარდა შესწავლილ, დათარიღებულ და აღწერილ იქმნა ლენინგრადის არქივებში ლაცული ყველა საისტორიო-საექიმო ხელნაწერები — ძველი და უახლესი, აგრეთვე საექიმო ხასიათის ლექსიკონები, რომელთაც, თავისთავად გასაგებია, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვთ ძველი ქართული მედიცინის კვლევისთვის და ამ კვლევის უფრო სწორი და უნაკლო წარმოებისთვის.

ასეთია ლენინგრადის არქივებში დაცული დღემდე სრულიად უცნობი მასალა. რასაკვირველია ექვსი თვის მუშაობა ვერ ამოსწურავდა მთლიანად მათი შესწავლისა და დამუშავების საკითხს, მაგრამ მთავარი მაინც გაკეთდა. ჩატარებული მუშაობის შედეგად ჩვენ საშუალება მოგვეცა გამოგვექვეყნებინა წინამდებარე შრომა და და-

საბეჭდად გაგვემზადებინა მეორე შრომა, სახელდობრ „მედიცინა ძველ საქართველოში: XVIII საუკ. XIX საუკ დასაწყისი“, რომელიც შეიცავს ქართული მედიცინის უკანასკნელი გარდამავალი ხანის უძვირფასეს მასალას.

წინამდებარე ტექსტის გამოქვეყნებით ჩვენს საისტორიო საექიმო ძეგლთა რიცხვს ემატება არსებულებში ყველაზე უძველესი ღირსშესანიშნავი საექიმო თხზულება, რომელმაც ქართული საექიმო ძეგლების საერთო თარიღა მთელი საუკუნენახევრით უკან გადასწია და დაუკავშირა იგი საქართველოს პოლიტიკურ-კულტურულ-აღორძინების, დავით აღმაშენებლის ეპოქას.

სხვანაირად გაუგებარი იყო, თუ როგორ შეიძლებოდა წარმოშობილიყო XIII საუკუნის დასაწყისში ისეთი სრულქმნილი, როგორც საექიმო ფილოსოფიური იდეებით ისე ტერმინოლოგიით, საექიმო ძეგლი — „წიგნი სააქიმოდ“. ეხლა ჩვენ ვხედავთ, რომ მას კარგა ადრე უდიდესი წინამთხრობელი ჰყოლია „უსწორო კარაბადინის“ სახით, რომელიც აგრეთვე შესანიშნავი ექიმური ფილოსოფიური იდეებით არის დატვირთული და გამართული ტერმინოლოგიის შემცველია; ეს გარემოება კი საშუალებას გვაძლევს ქართული საისტორიო საექიმო ძეგლების თარიღი XI საუკუნეზე გაცილებით ადრე ვიანგარიშოთ.

II

ძველად ქართველი ექიმები, მიუხედავად პოლიტიკური ამინდის ავკარგიანობისა, მაინც გაცხოველებულ საექიმო საგანმანათლებლო მუშაობას აწარმოებდნენ და საკმაო ცოდნით და გამოცდილებით სწვრთნიდნენ ქართველ ხალხს ამ მხრივ. ამგვარი განმანათლებელი მუშაობის შედეგი ნათელია. ჩვენ არა გვგონია იყოს სადმე კიდევ ისეთი ქვეყანა, სადაც ხალხური მედიცინა ისეთი მდიდარი და მრავალმხრივი იყოს, როგორც ეს ჩვენშია, დღესაც კი. ძნელად შეხვდებით ისეთ მოქალაქეს სოფლად თუ ქალაქად, რომ რამის მკურნალობა არ იცოდეს, ან-და არ აინტერესებდეს ხალხური მკურნალობა. იშვიათია ისეთი სოფელი, სადაც კარაბადინების სახით ან ზეპირსიტყვიერად შენახული არ იყოს ხალხში ფერად-ფერადი სამკურნალო საშუალებანი და საექიმო ოსტატობა, რაც უძველეს საუკუნეებიდან მომდინარეობს. აქედანვე არის ის სიბევრე და ნაირსახეობა კარაბადინებისა, რომლებიც ჩვენს ხალხში არის დაცული და რომელთაც ჯერ მეცნიერული კვლევა არ შეხებია.

ყველაფერ ამას თუ დავუმატებთ ჯერ კიდევ უძველეს, წარმართული მედიცინის აშკარა კვალს თავისი ავგაროზებით, მკითხაობით, შელოცვებით, ქადაგად დაცემით, დამწყალობლობით და სხვა, მაშინ ნათელი გახდება, თუ რა დიდ ისტორიულ მემკვიდრეობასთან გვაქვს საქმე მედიცინის დარგში.

ნურავინ იფიქრებს, რომ ეს მემკვიდრეობა მხოლოდ, ექიმების კუთვნილებას შეადგენდეს, და მნიშვნელობა ჰქონდეს მხოლოდ საექიმო დარგში. სრულიადაც არა. ეს მემკვიდრეობა ქართველი ხალხის კუთვნილებაა, ყოველი შეგნებული მოქალაქისა, და მეცნიერულმა კვლევამ ეს მემკვიდრეობა თანამედროვე მეცნიერებით ახსნილი, შესწავლილი და შემოწმებული, ისევ ხალხს უნდა დაუბრუნოს.

ლენინგრადი 1939 წ. ნიემბერი.

შესავალი.

წინამდებარე ძეგლი მიეკუთვნება ისეთ ძეგლთა ჯგუფს, რომლისაც არ ახასიათებს რაიმე გარკვეული ნიშანი დათარიღებისათვის. მისი დათარიღება კი აუცილებელია, ვინაიდან უამისოდ ნათელი არ იქნესა ძეგლის ის უმთავრესი მნიშვნელობა, რომლისთვისაც ის იქმნა კვლეული, შესწავლილი და გამოქვეყნებული. ქვევით გამოჩდება, თუ რა გზებია მონახული ტექსტის დათარიღებისთვის, ეხლა კი ორიოდ სიტყვით მე მინდა შევხუ თვითონ ტექსტის ისტორიას.

საქართველოს სას მუზეუმის არქივში დაცულია ერთი საექიმო შინაარსის ხელნაწერი № 26 Z, რომელიც დაწერილია უძველესი ნუსხურით უძველეს ქალაღზე: ეს ძეგლი თავის დროზე ფირდოვის გამოფენაზე იყო გამოტანილი წარწერით „ძველი საექიმო წიგნი XIII — XIV საუკუნისა“. ის ამჟამადც რუსთაველისადმი მიძღვნილ გამოფენაზე ძვეს დაახლოვებით ამავე წარწერით. ორივე გამოფენის ხელმძღვანელების მიერ გამოყენებულია მისი დათარიღებისათვის მსოლოდ გარეგნული ნიშნები, ვინაიდან ძეგლის შინაარსი და რაობა უცნობია — ტექსტი ჯერ არავის უკვლევია, მამსადამე, გარეგნული ნიშნების მიხედვით ანუ პალეოგრაფიული ნიშნებისა და ქალაღდის მიხედვით აღნიშნული ძეგლი მე-14 საუკუნის აქეთ ვერ მოდის. ასეთია ჯერჯერობით დასკვნა. როგორც ქვევით დავინახავთ ეს ხელნაწერი პირია უფრო ძველი ხელნაწერისა, რომლის დაწერის თარიღიც წინა საუკუნეებში უნდა მოინახოს. მაგრამ სახელდობრ რომელში? ამაზე ამ ძეგლის შესახებ დღემდე არაფერია ნათქვამი, და ეს იმიტომ რომ, როგორც ვთქვით, ძეგლი ჯერ არავისგან არ ყოფილა კვლეული, და არამც თუ კვლეული, მისი შინაარსიც კი უცნობი იყო დღემდე. ჯერ კიდეს 1935 — 36 წლებში ჩაენ შევუდექით ამ ძეგლის ყოველმხრივ შესწავლას, რადგან იმთავითვე დიდ მნიშვნელობას ვაძლეედით მას, ვინაიდან ძველი ნუსხურით დაწერილი საექიმო შინაარსის წიგნი ეს მხოლოდ მეორე იყო, ხოჯაყოფილის „წიგნი საექიმოდ“-ს¹ შემდეგ.

¹ არის კიდევ მესამე მწერლის, აბრამის, კარაბადანი, დაწერილი აგრეთვე ნუსხურით მაგრამ ის საექიმო წიგნებს ვერ მიეკუთვნება, თუმცა მასში ძვირფასი საექიმო ცნობებია განლაგებული.

მუშაობის თავშივე გამოირკვა შემდეგო შინაარსის მხრივ ძალიან იშვიათად მისდევდა ფურცელ ფურცელს იმის მიუხედავად, რომ ძეგლი აკინძულია და პაგინაციაქმნილი — ეს პაგინაცია სულ ბოლო დროისაა და გაკეთებულია უბრალო ფანქრით. კითხვის დროს საერთო შთაბეჭდილება ისეთი იყო, რომ ან წიგნს უნდა ჰკლებოდა ყოველი ფურცლის შემდეგ რაც შეუძლებელია, ან კიდევ შემოიღო და არეული ფურცლები მიუხედავად მათი შინაარსისა პირდაპირ უწესრიგოდ უნდა ყოფილიყო აკინძული. მაშინ ჩვენ მოგვიხდა ტექსტის გვერდობლივ გადაწერა, შინაარსის შესწავლა დეტალურად, გვერდების დაშლა და ხელახლა აწყობა უკვე შინაარსის მიხედვით, ამ გზით ჩატარებულმა მუშაობამ ძეგლს მთლიანი წიგნის სახე მისცა, მაგრამ მაინც იმდენად ბევრი აკლდა, რომ ტექსტის სრულიად აღდგენაზე ფიქრიცზედმეტი იყო, მაშასადამე, უძველესი საექიმო წიგნი რჩებოდა ფრაგმენტების სახით. თუმცა თავები და მთელი განყოფილებებიც კი იყო მთლიანად აღდგენილი, მაგრამ წიგნის ნაკლი იმდენად დიდი იყო, რომ მისი ჩათვლა გარკვეული საუკუნის ძეგლად შეუძლებელი აღმოჩნდა. რომ უფრო ნათელი იყოს თუ როგორ მოხდა წიგნის ხელახლად აღდგენა, ჩვენ აქ ვუჩვენებთ, თუ როგორ დალაგდა ფურცლები შინაარსის მხრივ. ფურცლების ახალი თანამიმდევრობა ასეთია: 48, 152, 153, 154, 155, 90, 91, 96, 61, 62, 75, 88, 132, 140, 141, 142, 143, 122, 53, 81, 111, 158, 152, 105, 139, 135, 164, 165, 166, 167, 168, 169, 170, 171, 172, 173, 174, 175, 176, 177, 178, 179, 180, 181, 182, 183, 184, 185, 186, 187,, 188, 189, 190, 114, 118, 119, 120, 131, 131, 4, 52, 130, 14, 15, 10, 11, 12, 13, 149, 77, 98, 100, 101, 102, 103, 162, 1, 2, 135, 5, 6, 7, 8, 9, 3, 151, 65, 16, 17, 18, 19, 20, 97, 92, 156, 27, 28, 29, 147, 21 ასი 22, 23, 24, 25, 26, 49, 29, 30, 31, 32, 33, 40, 34, 35, 36, 37, 38, 39, 57, 148, 74, 58, 72, 124, 95, 110, 56, 95, 191, 192, 157, 83, 113, 116, 55, 79, 68, 71, 69, 106,, 112, 127, 163, 99, 128, 129, 123, 133, 87, 93, 109, 115, 126, 134, 70, 119, 64, 79, 121, 125, 63, 159, 80, 144, 94, 145, 136, 137, 146, 107, 108, 138, 85, 16, 41, 42, 161. 104, 141, 67, 43, 44, 45, 46, 86, 51, 73, 76, 0, 84, 50, 194, 150, 54, 82, 66, 89.

ამგვარია ფურცლების ხელახალი დალაგება — მაგრამ ეს დალაგება საკმარისი არ აღმოჩნდა წიგნის აღსადგენად, და აი რატომ. ფურცლების დალაგების დროს ჩვენ ვხელმძღვანელობდით მხოლოდ შინაარსით. იქ, სადაც ფურცელი ფურცელს აგრძელებდა შინაარსის მხრივ, აღდგენა იყო სრული, უნაკლო. მაგრამ თუ არ აგრძელებდა —

V

და ახალი შინაარსის თავი იწყებოდა — აქ ტექსტის აღსადგენად გამოყენებული იყო შემდეგი მეთოდი. ცნობილია, რომ ყველა საექიმო ხასიათის ხელნაწერებს ახასიათებს ერთი გეგმა — სახელდობრ, წიგნი იწყება ზოგად საექიმო-ფილოსოფიური აღწერით, შემდეგ მისდევს დარიგებანი ზოგად ექიმური ხასიათის, სემდეგ ავადმყოფობანი. ამ ნაწილში მკაცრი თანამიმდევრობაა დაცული. ყოველგან ეს განყოფილება იწყება ნერვულ ავადმყოფობათა აწერით და მკურნალობით,

შემდეგ მისდევს თვალის ავადმყოფობანი, ცხვირის, ყურის, კბილის და სხვა; ბოლოში მოცემულია წამლეულობის დამზადების წესები, ეს გეგმა, ანუ შინაარსის ამ გეგმით განლაგება სავალდებულოა ყველა ამჟამად ცნობილ და შესწავლილ საისტორიო საექიმო ხელნაწერებისთვის, როგორც უკვე გამოქვეყნებულის ისე გამოუქვეყნებლის. გასაგებია, დაშლილი ტექსტის აღდგენა უნდა მომხდარიყო ამ უკვე ცნობილი გეგმის მიხედვით, ვინაიდან სსვა გეგმით, ანუ შინაარსის ახალი განლაგებით შესრულებული საექიმო ხასიათის ხელნაწერ დღემდე ჯერ არ იყო აღმოჩენილი. მაგრამ სულ მალე გამოირკვა, რომ ტექსტის აღდგენა ამ გზით შეუძლებელი იყო. ამ გეგმამ უფრო არია შინაარსი. ნათელი იყო, რომ წიგნი სულ სხვა გეგმით იყო დაწერილი, მაგრამ რომელი გეგმით? მართალია, წიგნი რომ მთელი ყოფილიყო, მაშინ ასე თუ ისე მაინც მოხერხდებოდა მისი აღდგენა, მაგრამ ნათელი იყო იმთავითვე, რომ წიგნს ძალიან ბევრი აკლდა — აქედან გასაგებია ტექსტის აღდგენაზე წარმოებული მუშაობა უნდა შეჩერებულიყო. არ შეიძლებოდა ძვირფასი უძველესი მასალის უგეგმოდ ჩაყრა და გამოქვეყნება — გამოქვეყნება კი აუცილებელი იყო, ვინაიდან ასეთი ძველი თარიღის საექიმო საისტორიო ძეგლი, როგორც ზემოთ ვთქვით, „წიგნი სააქიმოდ“-ს გარდა ჯერ არ არის აღმოჩენილი. ამგვარად, აღნიშნული ტექსტის გამოცემის საქმე გადაიდო იმ დრომდე, ვიდრე რამე მასალა აღმოჩნდებოდა აღნიშნული საკითხის გამოსარკვევად. თბილისში დაცულ საისტორიო საექიმო ტექსტების ხანგრძლივმა კვლევამ შეჩერებულ საქმეს ვერაფერი შემატა — შორეული კვალიც, კი არსად გამოჩნდა. მაგრამ ქართული საისტორიო საექიმო ძეგლების კვლევის გადატანამ ლენინგრადში საკითხი სავსებით გამოარკვია. მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთ-მცოდნეობის ინსტიტუტის არქივში საბედნიეროდ აღმოჩნდა პირი აღნიშნული ძეგლისა. ამ გარემოებამ ნათელი მოჰგინა ამდენი ხნით შეჩერებულ საქმეს. ამ აღმოჩენის წყალობით ჩვენ შევინარჩუნეთ უძველესი ქართული საექიმო წიგნი, აღდგენილი მთლიანად. გასაგებია, რომ ჩვენ დაუყოვნებლივ შევუდევით ტექსტის გადმოწერასა და შედარებას.

VI

თუ როდის არის გადაწერილი და რა ღირსებისაა ახლად აღმოჩენილი პირი ამაზე ჩვენ ვიმსჯელებთ ტექსტის დეტალური განხილვის დროს; აქ კი ვუჩვენებთ, რომ ჩვენი ვარაუდი და ეჭვები სავსებით გამართლდა. ჯერ ერთი ახლად აღმოჩენილი ტექსტი შეიცავს 940 გვერდს, ძველი ნუსხური ტექსტი კი 398 შედარებით პატარა ფორმატის გვერდს — თუ მხედველობაში მივიღებთ გვერდების სიდიდეს და პალეოგრაფიული ნიშნების რიცხვს, გამოვა, რომ ძველი ტექსტი შეიცავს მხოლოდ ერთ მესამედს. მაშასადამე, ტექსტის ორი მესამედი აღმოჩნდა დაკარგული, აქედან გასაგებია, რომ ასეთი დიდი დეფექტის დროს ტექსტის აღდგენა შეუძლებელი იყო.

ამის გარდა სავსებით მართალი აღმოჩნდა ის მოსაზრება, რომ წიგნის გეგმა და მასალის განლაგება მასში სულ სხვანაირია, ვიდრე უკვე ცნობილ საისტორიო საექიმო ძეგლებში. გასაგებია, რომ ამ უკვე ცნობილ გეგმის მიხედვით წიგნის შინაარსის განლაგება შეუძლებელი იყო. ამგვარად ძველი და ახალი ტექსტის შესწავლამ და

ერთმანეთთან შედარებამ გამოაჩინა, რომ ისინი სიტყვა-სიტყვით იმეორებენ ერთი მეორეს. ჩვენ შევეცადეთ გამოგვერკვია ხომ არ იყო ახლად აღმოჩენილი ტექსტი გადიდებული შემდგომი გადამწერების მიერ შიგ ახალი თავების ჩართვით, რაც ხშირად გვხვდება და აქაც სავსებით მოსალოდნელი იყო. მაგრამ ერთმა გარემოებამ ეს საკითხი სრულიად მოხსნა და ამ მსრივ ყოველგვარი ეჭვი აჰკვეთა: ძველ ტექსტში გაუგებრობას იწვევდა ერთი გარემოება: თავიდან მოყოლებული „კარების“ სათვალავი თანამიმდევრობით მისდევს ერთი მეორეს თითქმის ტექსტის ნახევრამდის — შემდეგ კი წყდება და იწყება ახალი სათვალავი ისევ ტექსტის ხელით გაკეთებული. შთაბეჭდილება ისეთი იყო თითქოს ორ სსვადასხვა, მაგრამ ერთად აკინძულ წიგნთან გვექონდა საქმე — სსვა ვერავითარი დასკვნა ვერ მოხერხდა ამ უცნაური ფაქტის წინ. ახლად აღმოჩენილ ტექსტშიაც იგივე გამეორებას აქვს ადგილი. მაგრამ ამით წიგნი გაორებული კი არ არის. ტექსტი იწყება კართა სათვალავის აღწერით — თავები აქ შეუშლელად მისდევენ სარჩევში ნაჩვენებ შინაარსს. რაც შეეხება წიგნის ზოგად საექიმო შინაარსს და წამლეულობის დამზადების წესებს, ესეც თავშივეა მოცემელი (სხვაგან ყველგან ბოლოშია); მაგრამ იქ, სადაც იწყება ავადმყოფობანი ანუ კერძო პათოლოგია და თერაპია, იქ იწყება თავების ახალი სათვალავი; აქ დართული აქვს ხელახლა თავების სრჩევი, აქედან დაწყებული თავები სრულიად ეთანხმება ამ მეორე სარჩევში ნაჩვენებ შინაარსს. აქ აღსანიშნავია, რომ დიეტეტიკური ცნობები და ზოგად პროფილაქტიკური ცნობები წიგნის ბო-

VII

ლოშია მოქცეული, „იადიგარ დაუდში“ და ყველგან შემდგომ ძეგლებში კი ეს ცნობები ყოველთვის თავშია. ამგვარად, შინაარსის მიხედვით წიგნი მთლიანია: არც პირველი ნაწილის და არც მეორე ნაწილის მასში დამატება ან გამოკლება შეუძლებელია, რადგანაც ზოგად საექიმო ფილოსოფიური და ზოგად საექიმო ცნობების გარეშე მაშინ არც ერთი საექიმო წიგნი არ იწერებოდა. მეორე ნაწილის უქონლობაზე კი ლაპარაკიც ზედმეტია. ეს ნათელია. ამიტომ ჩვენ თამამად ავიღეთ ტექსტის უძველესი ნუსხური ვარიანტი ხელახლა დავალაგეთ მისი შინაარსი ახლად აღმოჩენილი ტექსტის მიხედვით და შევავსეთ თავიდან ბოლომდე. ამ მუშაობის შედეგად ჩვენ მივიღეთ მეტად საინტერესო შინაარსის და სულ ასალი, ორიგინალური აღნაგობის უძველესი საისტორიო საექიმო ძეგლი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ახალი ტექსტი სავსებით იმეორებს ძველი ტექსტის შენიშვნებს და განმარტებებს. რომლებიც ძველი ტექსტის აშიაზეა გაკეთებული დედნის ხელით. ეს შენიშვნები ჩვენ დავიცავით ყველგან თავთავის ადგილზე. ამის გარდა ჩვენ ქვევით დავინახავთ, თუ როგორ არის უვიცი გადამწერის მიერ ახლად აღმოჩენილი ტექსტი შერყვნილი. ტერმინები დამახინჯებული, თუ რა აუარებელია მასში კორექტურული შეცდომები, რომელთა შესწორება და აღდგენა შესაძლებელი გახდა ძველი ტექსტის მიხედვით; ძველი ტექსტის წყალობით მოხერხდა ახლად აღდგენილი ტექსტის სწორი რედაქცია, რაც აუცილებლად საჭირო და დიდმნიშვნელოვანი იყო.

ძეგლს გარკვეული სახელწოდება არა აქვს. მაგრამ ავტორი

ტექსტის დასაწყისში თვითონ იხსენიებს მას, როგორც „უსწორო კარაბადინს“ ანუ სწოროპოვარს, უბადლოს; ამიტომ ჩვენ მას ეს სახელწოდება მივეცით.

ვინ არის ძეგლის ავტორი და როდის არის დედანი დაწერილი? მე-36-ე ფურცლის აშიაზე არა დედნის ხელით გაკეთებულია შემდეგი წარწერა: „ღმერთო შეიწყალე ფრიად ცოდვილი დანბუბი ყოვლად წმინდა მძლავრისი სატოსი, ნუ მკითხავ ჩემ ცოდვისას. ვინც ეს წაიკითხოთ ცოდვილსა ქანანელს [შენდობას] უბრძანებდითო“. წარწერა უძველესი მხედრული ხელით არის გაკეთებული. ვერავითარი ისტორიული წყაროების მიხედვით ამ წარწერის ამოცნობა ვერ მოხერხდა. ასეთი სახელები ჩვენს ისტორიას არა აქვს შემონახული. აქ დაახლოვებით ასე შეიძლება ვიმსჯელოთ. „დანბუბი“ ანუ უკეთ „დანბუში“, ეს უთუოდ მაღალი თანამდებობის პიროვნებაა, „მძლავრისი სატოსი“, რაც შეძლება მთავარს ან განმგებელს ნიშნავდეს, ყოველ შემთხვევაში, ის აქ მოხსენებული ქანანელია მაღალი

VIII

პატრონია — თითონ ქანანელი კი ავტორი ან უახლოესი გადამწერი უნდა იყოს ამ ძეგლის, ჩვენ იგი ავტორი გვგონია და აი რატომ. გადამწერებს საერთოდ ახასიათებთ თავიანთი სახელის ტექსტში ჩაწერა მაშინ ეს მუდამ დედნის ხელითაა მითთებული. აქ კი წარწერა მხედრულითაა და არა ტექსტში, არამედ აშიაზე. თუ ტექსტის გადამწერის თარიღი XIII საუკუნეა, მაშინ წარწერა უფრო გვიანია უნდა იყოს — სხვა პირის ხელით გაკეთებული. სხვა პირთ კი ახასიათებთ არა გადამწერების მოხსენიება, არამედ დამწერებისა ანუ ავტორებისა. საიდან შეეძლო ამ მინაწერს ავტორს მისი აღება მაშინ როდესაც იმ ტექსტში, რომელიც მას ხელთა ჰქონდა, მისი ნაკლოვანებისა გამო ამგვარი წარწერა არ იყო? ცხადია, ქანანელი თითონ არ არის და ამგვარი წარწერის მოგონებაც მას არ შეეძლო. თუმცა იმ ტექსტში, რომელიც მინაწერის ავტორს ხელთა ჰქონდა, ანუ წინამდებარე ტექსტში, ამგვარი წარწერა დაკარგული იყო, სამაგიეროდ ეს წარწერა შენახული იქნებოდა ამ ძეგლის რომელიმე სხვა პირზე, საიდანაც მას შეეძლო ის გადმოეწერა წიგნის დამწერის ვინაობის დასაცავად. რომ იმ დროს ეს ძეგლი საკმაოდ გავრცელებული აქნებოდა, ეს ეჭვს არ იწვევს. ეს ნათელი ხდება იმითაც, რომ ბატონიშვილ ვახტანგის ანუ ვახტანგ VI „სეფეთა დარბაზის“ გადამწერ-ტექსტის სხვა პირი ჰქონია ხელთ, რადგანაც მასში სათანადო ადგილზე ამგვარი მინაწერი არა სჩანს, თუმცა ეს წარწერა ტექსტის დაკარგულ ფურცლებზე შეიძლება ყოფილიყო. გასაგებია, უძველესი საექიმო წიგნის, უკვე სამი პირის არსებობა მე-XVII საუკუნეში მიუთითებს მის დიდ პოპულარობაზე. ეს იმითაც აიხსნება, რომ ვახტანგის მრჩეველები მხოლოდ ამ საექიმო წიგნზე, და არა რომელიმე სხვაზე, შეჩერებულან გადაწერის არჩევანის დროს, თუმცა თავის თავად ცხადია მათ ხელთ ექნებოდათ საექიმო წიგნების და კარაბადინების საკმაოდ დიდი რიცხვი.

მამასადამე, თუ ჩვენ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ძველი, ნუსხური ტექსტის აშიაზე გაკეთებული მინაწერი შემთხვევითი არ შეიძლება იყოს, და აგრეთვე იმას, რომ ამგვარ მი-

ნაწერებში, რომლებიც გაკეთებულია მესამე პირის ხელით, გადამწერი არ იხსენიებიან არსდროს, არამედ დამწერი ანუ ავტორნი, ამიტომ შეძლება დავასკვნათ, რომ ქანანელი დამწერია და არა გადამწერი აღნიშნული ძეგლისა.

რადგანაც ჩვენ ამხნობით არავითარი სსვა საბუთი არ გაგვარჩნია, რომ ეჭვი შევიტანოთ ქანანელის ავტორობაში, ამიტომ, „უსწო-

IX

რო კარბადინი“ ქანანელის სახელწოდებით უნდა შევიდეს ძველ საქართველოს წერილობითი მედიცინის ისტორიაში.

ეხლა ვნახოთ, თუ როდის არის დედანი დაწერილი ანუ რომელ საუკუნეს მიეკუთვნება ის? ვინაიდან ტექსტის ავტორის ქანანელის ვინაობა და ცხოვრების თარიღი ჯერჯერობით ამოუცნობია, ამიტომ წამოყენებული საკითხის გადასაჭრელად მოძებნილი უნდა იყოს სხვა გზა. ეს გზა ერთდ ერთია — თვით ტექსტი, მისი აღნაგობა. ტერმინოლოგია და ის საექიმო იდეები, რომელნიც მასში არიან გატარებული.

როგორც ზევით მოვიხსენიეთ წინამდებარე ტექსტს ახასიათებს სულ სხვა აღნაგობა, ანუ მასალის განლაგება, ვიდრე ყველა სხვა აქამდის ცნობილ საექიმო ძეგლებს. ჩვენა გვგონია, რომ ხოჯაყოფილის საექიმო წიგნს ერთგვარი გეგმა შეაქვს და აკანონებს ქართულ საექიმო წიგნებში მასალის განლაგების წესს. ამიტომ არის, რომ ყველა მას შემდეგ დაწერილი საექიმო წიგნი მკაცრად იცავს ამ გეგმას. ეს გასაგებიც არის, რადგანაც „წიგნი სააქიმოდ“ თავისი შინაარსით, შიგ მოყვანილ ზოგად საექიმო ფილოსოფიური იდეებით, მასალის სისრულით, ავტორთა მრავალრიცხოვნობით ანუ ლიტერატურული ცნობების სიჭარბით და თხრობის სტილით იმდროინდელ, საექიმო ენციკლოპედიად გამოიყურება — გასაგებია ამგვარი წყობის და ამომწურავი შინაარსის საექიმო წიგნი უდიდეს გავლენას მოახდენდა ქართული მედიცინის შემდგომ განვითარებაზე. ამიტომ არის, რომ ხოჯაყოფილს მისდევენ და ასე თუ ისე მის გავლენის ქვეშ არიან ყველა სხვა ქართული საექიმო წერილობითი ძეგლები თითქმის მე-XVIII საუკუნის დამლევამდე.

აქედან გასაგებია, რომ ვერც ქანანელის „უსწორო კარბადინი“ ასცდებოდა ამ გავლენას, ხოჯაყოფილის შემდეგ რომ ყოფილიყო დაწერილი. აი, აქ დგება საკითხი, თუ რომელი ავტორი უფრო ადრინდელია — ქანანელი თუ ხოჯაყოფილი. ამ კითხვის გადაჭრა თავისთავად სწვევტს წინამდებარე ტექსტის დათარიღების საკითხსაც, რადგანაც დღეს უკვე საყოველთაოდ მიჩნეული აზრია, რომ ხოჯაყოფილის „წიგნი სააქიმოდ“ მე-XVIII საუკუნის დასაწყისის საექიმო ძეგლია.

ვნახოთ ჯერ ორივე ძეგლის გეგმა. „წიგნი სააქიმოდ“-ს გეგმა ამგვარია:

1. ცნობები ფილოსოფიურ-ექიმური, ემბრიოლოგიურ-ბიოლოგიური, ანატომიურ-ფიზიოლოგიური, დიაგნოსტიკური, ზოგადი პათოლოგია.

2. კერძო პათოლოგია და თერაპია. აქ ავადმყოფობანი განლაგებული არიან შემდეგი თანამიმდევრობით; ა. ნერვიული ავადმყოფობანი; ბ. თვალის სნეულებანი; გ. ყურისა და ცხვირის სნეულებანი; დ. პირის, კბილთა, ენისა და ბაგეთა სნეულებანი; ე. ყელის, მკერდისა და ფირტვის სნეულებანი; ვ. გულის; ზ. სტომაქის; ლ. ღვიძლის; თ. ელენთის; ი. წელთა და მაცადის სნეულებანი; ია. თირკმელისა და ბუშტის სნეულებანი; იბ. სასქესო ორგანოების სნეულებანი; იგ. სახსრებისა და ხელ-ფეხის ტკივილი, კანის დაავადება, სიმსივნეები; იდ. სიცხიანი დაავადებანი; იე. მოტეხილობა ძვალთა, დამწვრობა, გველის ნაკბენი, ცოფიანი ძაღლისა და ღრიანკალის... ტექსტი აქ წყდება — ბოლო დაკარგულია. დაკარგული ბოლო უთუოდ უნდა შეიცავდეს წიგნის მე-3 განყოფილებას ანუ წამლეულობის დამზადების წესებს. ეს განყოფილება სავალდებულო იყო ყველა საექიმო-წიგნისთვის და შეადგენდა მის ორგანულ ნაწილს, მაშასადამე „წიგნი საექიმოდ“ სამი დიდი განყოფილებისგან შედგება: 1. ზოგადი ნაწილი. 2. კერძო პათოლოგია და თერაპია. 3. წამლეულობა და მათი დამზადების წესები.

აი, ეს გეგმა, რომელსაც უმეტესაკლებოდ იცავს ყველა მომდევნო საექიმო ძეგლი, ახალ თუ უცხო ცნობების სათანადო ადგილას ჩართვით, რაც არ შლის მასალის განლაგების თანამიმდევრობას. ამის საუკეთესო მაჩვენებელია „იადიგარ დაუდი“, რომელიც შეიცავს ახალ დიდ განყოფილებას, სახელდობრ „საკვებ მასალის აღწერას“, რაც ზოგად განყოფილებაშია ჩართული, ისე რომ არ შლის წიგნის საერთო გეგმას. ასევეა „იადიგარ დაუდის“ ვარიანტებში, ასევეა ყველა საექიმო ძეგლებში, რომლებიც დაწერილია XIII საუკუნიდან XVIII საუკუნის დამლევამდე, როდესაც იწყება საექიმო წიგნების დაწერა სულ სხვა, ახალი გეგმით. რასაკვირველია, ჩვენ რომ მოგვეპოვებოდეს ამ პერიოდის განმავლობაში რომელიმე ისტორიული საექიმო წერილობითი ძეგლი სხვანაირი გეგმით აგებული, საექიმო მასალის სხვანაირად განლაგებით, მაშინ, ალბათ, მსჯელობაც ამ საკითხის ირგვლივ სხვა მხრივ წარმართებოდაბ — მაგრამ, რადგანაც ჩვენ ასეთი ძეგლი ჯერ არ მოგვეპოვება, მაშინ საკითხი ასე დგება, რომ სხვა გეგმით დაწერილი ძეგლის თარიღი იმ პერიოდის გარეშე უნდა ვეძიოთ, რომელზედაც არა ვრცელდება „წიგნი საექიმოდ“-ს გავლენა – ეს არის XIII საუკუნის დასაწყისამდის და XVIII საუკუნის შემდეგ. ვიმეორებ ამ დროის ფარგლებში დაწერილი ყველა ძეგლები, და ისინი ჩვენ მრავლად მოგვეპოვებიან, იზიარებენ XIII საუკუნეში დაკანონებულ გეგმას. ამ მოსაზრებიდან ასეთი დასკვნა გამომდინარეობს: თუ კი

XI

XVIII საუკუნიდან როდესაც იწყება საექიმო წიგნების ახალი გეგმით წერა, ანუ თავდება ძველი აღმოსავლეთის მედიცინის გავლენა და იწყება ახალი, დასავლეთის გავლენა — ცხადია ძველი აღმოსავლეთის მედიცინის გავლენაც ახალი წერის მანერით, და მასალის ახალი განლაგებით უნდა დაწყებულიყო, ეს უდავოა. ეს ის პერიოდია, როდესაც უძველეს ეგვიპტურ, ასურულ და ბაბილონურ გავლენას სცვლის არაბული გავლენა. ამ გაგებით „წიგნი საექიმოდ“ ამ გავლენის უმაღლეს განმტკიცების ძეგლად გამოიყურება, ასე ვთქვათ

კანონმდებლად; „უსწორო კარაბადინი“ კი „არაბული გავლენის პირველ ნაბიჯად“, რომელსაც მთლიანად არა აქვს ჯერ შეთვისებული ახალი გავლენის ტრადიციები და ისევ ძველ ტრადიციებს იცავს. ეს გარემოება ნათლად ჩანს არა მარტო წიგნის გეგმაში და მასალის განლაგებაში, არამედ ტერმინოლოგიაშიაც, რაზედაც ჩვენ ქვემოთ გვექნება მსჯელობა,

ჯერ ვნახოთ, თუ როგორია უსწორო კარაბადინის გეგმა?

ჩვენი ძეგლი შეიცავს ორ სარჩევს; პირველი სარჩევა:

ა. კარი პირველი: აქიმისაგან სნეულისა მოკითხვა როგორ უნდა.

ბ. კარი მეორე: შეტყუება და ნახვა ყოვლისაფერისა კარულისა.

გ. კარი მესამე: კარი და ნიშანი განავალისა.

დ. კარი მეოთხე: კარი და ნიშანი ცნობისათვის და შეტყობისათვის.

ე. კარი მეხუთე: კარი და ნიშანი სნეული რომე ფერად ფერადსა სიზმარსა ნახავდეს.

ვ. კარი მეექვსე: კარი და ნიშანი რა ბურანსა შევიდეს კაცი.

ზ. კარი მეშვიდე: სულს რომ ვერ ისულთქმიდეს.

წ. კარი მერვე: წელიწადთა ცნობისა.

თ. კარი მეცხრე: კაცის რომე ასოები ემღეროდეს.

ი. კარი მათე: რასთენი სენი არ ეშველების კაცსა.

ია. კარი მეთერთმეტე: წამლების აღებისა.

იბ. კარი მეთორმეტე: ბრძანებითა ღვთისათა თუ ვითარ დაიბადების და ანუ შეიქნების კაცი.

იგ. კარი მეთცამეტე: წამლის აღებისა.

იდ. კარი მეთათოთხმეტე: წურილის წამლებისა.

იე. კარი მეთათხუთმეტე: თარაჯების გასახსნელისა.

ივ. კარი მეთექუსმეტე: მათბუხისა ზაფრასა, სევდასა და ბალღამს უშველის.

XII

იზ. კარი მეჩვიდმეტე: ერგების ყველა ტკივილთა და საღმობათა. და წამალი გვერდით უწერია სამკურნალო.

იწ. კარი მეთვრამეტე — არც სარჩევშია, არც ტექსტში.

ით. კარი მეცხრამეტე: თითით სალოკელი წამლები გვერდით უწერია.

კ. კარი მეოცე: ყურსებისა გარჩევით. წამლები თან უწერია.

კა. კარი მეოცდაერთე: სიცხის ტლევების დაცდილი.

კბ. კარი მეოცდაორე: მაჯუნთა გაკეთებისა რომე კაცსა სიმრთელესა მატებს. მაჯუნებისა თარგმანთა და იარაჯთა.

კგ. კარი მეოცდასამე: შარბათებისა რომელი არგებს ვარამსა.

კდ. კარი მეოცდაოთხე: სიქანგუბინისა და ღვიძლისათვის,

კე. კარი მეოცდახუთე: ც ხ რ თ ა წ ა მ ა ლ თ ა შე ტ ყ ბ ი ს ა და ლ ო ც ვ ი ს ა.

კვ. კარი მეოცდაექვსე: დედაკაცი რომ არ დაორსულდეს და წესისა.

კზ. კარი მეოცდაშვიდე: დედაკაცი რომე ძნელად შობდეს.

კწ. კარი მეოცდარვე: წყლით ორსულობისა რომე მართალი ორსულობა ეგონოს დედაკაცსა.

კთ. კარი ოცდაცხრა: ყმაწვილის გაზდისა. თუ დედაკაცსა უშვილობას სწამობდეს.

ლ. კარი ოცდაათი: დედათა წესისა.

ლა. კარი ოცდამეთერთმეტე: წესისა უკუდგომისა.

ლბ. კარი ოცდათორმეტი: თუ დედაკაცსა რძე დააკლდებოდეს.

ლგ. ოცდაცამეტი: საშობოსა შიგან თუ სიმსივნე დაემართოს.

ლდ. კარი ოცდათოთხმეტი: ისტინაყი რომე ჰქვიან საშოსა.

ლე. კარი ოცდახუთმეტი: კაცი რომ ცოლთან ვერ დაწვებოდეს სენისაგან.

ამგვარია პირველი სარჩევი, რომელიც შეიცავს ოცდათხუთმეტ კარს. ამ კართა სათვალავში „კარი ცხროთა“ ცალკე სარჩევით და ცალკე სათვალავით არის მოცემული. ამ კარის საერთო სათვალავი არის „კე“, მაგრამ განიყოფება ოცდახუთ ასე ვთქვათ ქვეკარად მათი შინაარსი ამგვარია:

ა. უძილობისაგანაც დაემართების.

ბ. ცხრო დიდისა სარჯელისაგან იქნების,

გ. ავის თვალისაგანაც დაემართების.

დ. შეშინებისაგანაც დაემართების.

ე. დიდისა საგონებლისაგან დაემართების.

XIII

ვ. სიცხისაგან დაემართების.

ზ. მთვარიანს ღამეს გარეთ წვებოდეს იმისგანაც დაემართების.

წ. ნამეტნავად სიცივისა და ცივის წყლისა და ცივის ქარისგანაც დაემართების.

თ. სიმსივნისაგან და თითის ტკივილისაგანაც დაემართების.

ი. დაკოდისა და ცემისაგან დაემართების.

ია. სიმაშურალისა და ჭირისაგან დაემართების.

იბ. სისხლისაგანაც დაემართების რომე გასივდეს და მსუქანსა გვანდეს.

იგ. საფრისაგანაც დაემართების.

იდ. სევდისაგანაც დაემართების, რომელ არს შავი ნალველი.

იე. ბალღმისაგან იქნების.

ივ. უხარშავის ბალღმისაგანაც იქნების.

იზ. შიმშილისა და წყურვილისაგანაც იქნების.

იწ. დიყისაგა არის ცხრო რომელ დაემართების.

ით. დიდის ღვინისაგანაც დაემართების,

კ. მსხმოსა და ავის ქარისაგანაც დაემართების.

კა. მუტბიყისა ეწოდების სახელად.

კბ. კიდევ სხვაც არის რომე მუტბიყი.

კმ. ყვავილისაგანაც დაემართების.

კდ. ხველისა და სურდოსაგანაც დაემართების.

38. მეათერთმეტესა დღესა რომე მოუვიდოდეს ისეთი იქნების ცხრო.

ამგვარია „ცხროთა“ ათვალავი, რომელიც მთლიანად მოთავ-

სებულია ზოგად „კე“ კარში.

ამით თავდება ძეგლის პირველი ნაწილი, რომელიც შეიცავს წიგნის მესამედს. როგორც ვხედავთ, ეს ნაწილი შეიცავს ზოგად საექიმო ცნობებს — ფარმაცოლოგიურ ცნობებს, და ზოგად დაავადებათა აწერილობას მათი კლასიფიკაციით.

ძეგლის მეორე ნაწილი იწყება „ახალი დასაწყისით“ და თანდართული აქვს ახალი სარჩევი. ეს განყოფილება შეიცავს კიდევ სხვა „განყოფილებას ახალი დასაწყისით. ეს სარჩევი შემდეგია:

სახელითა ლთისათა აქა დაიწყების კარაზადინი, თვით თმითგან, ვიდრე ფერხით ფრჩხილამდის რაც სენი არის, ყუელას ნიშანი და წამალნი ცალკე ცალკე გვერდს უწერიან გამოჩენითა.

აქა სამიებელი დაიწყების.

ა. სწერია ყოვლის ფერის თავის ტკივილის, ბრუსა, თავქე-

XIV

დისა, შაკიკისა და უძილობისა, რომე ავად ყოფაშიგა და სიბერეშიგა დაემართების, ყუელა ამა კარშიგა სწერია,

ბ. მანახულისა და მისი ნიშანი.

გ. სარისი და სექდასი.

დ. ფილენჯისა, ლაყვასა, რაშასა და თასანუჯისა, რომე ძარღვისა დამოკლებასა ჰქვიან.

ე. თვალის ტკივილისა.

კარი ყოვლის ფერის ყურის ტკივილისა.

ვ. ყურის ტკივილისა.

ზ. ცხვირისა და ცხვირთათ რომე ბოვასირი გამოვიდეს, სურდოსა და ცხვირთად რომე სისხლი სდიოდეს, დაცემისა და უკუყენებისა.

წ. პირისა, ზაგისა, კბილთა და ენისა და ყბისა.

თ. ყელისა, ხახისა და მაღაზისა, ხუნაყისა და ყელიდაღმან.

რომე სისხლი ამოსდიოდეს, და ხმისა ჩასულისა. სხუავე ყელის ტკივილისა, გარეთ რომე სტკიოდეს.

ი. წურბლისა რომე წყლის სმასა შიგა ჩაპყოლოდეს.

ია. ხველისა და ზიყნაფაზისა, ფირტვისა სიმსივნისა, მკერდისა და სილისა, რომე ფირტვისა სწყლულსა ჰქვიან..

იბ. სტომაქისა, ბოყინისა, სლოკინისა და აიზასი, რომე საჭამადისა დამჟავებასა ჰქვიან.

იგ. გულისა და გულის წვისა.

იდ. ღვიძლისა და ვარამისა, რომე სიმსივნესა ჰქვიან.

იე. სისხასა, დიყისა და იარაყანისა,

ივ. კარი ტყირპისა ტკივილისი.

იზ. საჯისა და ყვანისა.

იწ. კოლინჯისა და ჯამასი, რომე ფირტვი არის,

ით. თირკმელთა და ქანთელისა.

კ. ბუმტისა და შირიმისა.

კა. სარცხვენელისა, ყვერის ტკივილისა და ნაწლავნი რომე ყვერშიგან ჩამოუვიდენ, მისი.

კბ. უკანასა კარისა, ბოვასირისა და შუყაყისა და ქავილისა.

კვ. ჭიებისა სამივე ფერისა.

- კდ. არყანასა და მუფასლისა და მიკრისისა.
- ახალი დასაწყისი თავით თმით ვირემ ფერხისა.
- კე. ფრჩხილებამდე რაც კაცს გარეთ სენი დაემართების.
- კვ. პირის ფერისა შენახვისა.
- კზ. ბაყისა და ბარასისა.

XV

- კწ. მუწუკებისა გარეთ რომე ესხას.
 - კთ. მაგრისა სიმსივნისა.
 - ლ. კისრის ტკივილისა.
 - ლა. მხრის თავის ტკივილისა.
 - ლბ. ფსელი რომე უნდომად წაუვიდოდეს.
 - ლგ. მოტეხილისა და ამოგდებულისა.
 - ლდ. დამწურისა და დამდღურისა.
 - ლე. ტანშიგა რომ ქარი დაიბადოს.
 - ლვ. რწყევისა.
 - ლზ. ყვავილისა და ავის ჟამისა.
 - ლწ. ტანშიგა რომ სიმსივნე გამოჩნდეს.
 - ლთ. ღლია რომე უყროლდეს და ფეხები.
 - მ. ხადირესა რომე წელთა ქვეით მოზანდებოდეს:
 - მა. დაულფილისა და დავალისა.
 - მბ. ქუსლისა და ხელფეხისა დახეთქისა.
 - მგ. ისრის პირისა და ეკლის გამოღებისა.
 - მდ. სიმჭლისა და სიმსოქნისა.
 - მე. მოწამლულისა წამალი.
 - მვ. გველების კბენისა და მისი წამალი მორიალისი და ღრიან-
კლისა ქვემძრომთა და ბრაზიანის ძაღლისა.
 - მზ. ძარღუთა გახსნისა კოტოშისა და წურბლისა.
 - მწ. აბანოს ბანისა.
 - მთ. ტილი რომ თმასა და წვერში დაიბადოს.
 - ნ. ძილისა და ღვიძილისა.
 - ნა. საჭმელთა მჟავეთა და ტკბილთა,
 - ნბ. ტანისამოსთა.
 - ნგ. ახლად დასახლებისა.
 - ნდ. ზეთებისა შექნა.
 - ნე. ხასიათი თევზთა და ხორცთა.
 - ნვ. რძის ხასიათი.
 - ნზ. თესლების ხასიათი.
 - ნწ. ბოსტნეულთ ხასიათი.
 - ნთ. ახლისა და ხმელისა ხილისა.
 - ე. ტკბილთა და შაქრიანთა.
 - ეა. ღვინისა და წყლისა.
 - ებ. მარტო წამლებისა.
- ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ წინამდებარე წიგნი შედგება სამი დიდი განყოფილებისაგან; პირველი შეიცავს 35 კარს — მასში

მოცემულია ზოგადი საექიმო პრინციპები, ანატომიური, ფიზიოლოგიური, ბიოლოგიური — ფარმაკოლოგიური ცნებანი. აქვეა ზოგად ემბრიოლოგიური ცნობანი, ზოგადი გინეკოლოგია და ვრცელი კარი ცხროიან დაავადებათა ანუ ცხროთა.

მეორე განყოფილება შეიცავს 23 კარს — მასში მოცემულია კერძო პათოლოგია და თერაპია — აქ არის თითქმის ყველა შინაგანი ორგანოების დაავადებანი, მათი აღწერა და მკურნალობა.

მესამე განყოფილება შეიცავს გარეგან ავადმყოფობებს; მთლიანად ეს განყოფილება შედგება 38 კარისაგან. აქ არის კანის დაავადებანი, მოტეხილობანი, დამწვრის და დამდულრილის, გველის და ცოფიანი ძაღლის ნაკბენი. ავხორცი გამოსაბამები, კეთრი და სხვა — ამ განყოფილების ბოლოში მოცემულია ზოგად პიგიენური და დიეტეტიკური ცნობანი და ცალკეულ წამლეულობათა აღწერა.

ასეთია წინამდებარე წიგნის გეგმა. როგორც ვხედავთ, ეს გეგმა არსებითად განსხვავდება „წიგნი სააქიმოდ“-ს გეგმისგან და ყველა მერმინდელ საექიმო ძეგლებისაგან, რომლებიც: აგებულია „წიგნი სააქიმოდ“-ს გეგმის მიხედვით. ზევით ვთქვით და აქაც ვიმეორებთ, რომ ამ გეგმით აგებული სხვა საექიმო ისტორიული ძეგლი ჩვენ არ მოგვეპოება.

რას წარმოადგენს ეს გეგმა? როდის იწერებოდა ამ გეგმით: საექიმო ძეგლები? ძალიან დიდ შეცდომას არ დავუშვებთ, თუ დავსკვნით, რომ ეს გეგმა უძველესია და მომდინარეობს იმ დროიდან, როდესაც არაბული გეგმით საექიმო წიგნების წერა ჯერ სავსებით არ იყო ჩვენში დაკანონებული — ჩვენის აზრით, ეს დაკანონება ხდება: „წიგნი სააქიმოდ“-ს გაჩენასთან დაკავშირებით. „უსწორო კარაბადინის“ უსახელო ავტორი ჯერ კიდევ ძველ ბერძნულ გეგმას მისდევს, თუმცა იცნობს არაბი ავტორების წიგნის წერის მანერასაც, რომელნიც ცდილობდნენ ერთ წიგნში ჩაეტიათ თითქმის მთელი მედიცინა; ამიტომ არის რომ მათი საექიმო თხზულებანი ენციკლოპედიად გამოიყურებიან.

სულ სხვანაირ მანერას მისდევდნენ ელინური ავტორები – ისინი ცდილობდნენ საკითხების უფრო მეტ დეტალიზაციას, ანუ ცალკეული საკითხის უფრო ვრცლად ამოწურვას; ამიტომ არის, რომ სქემატურობა მათ ნაკლებად ახასიათებს, რაც ასეთ ნიშანდობლივ თვისებას შეადგენს თითქმის ყველა არაბი ავტორისას.

ეს სქემატიზმი, მკაცრი სისტემატიზაცია და განუხრელი თანამიმდევრობა პრსებითად განასხვავებს „წიგნი სააქიმოდ“-ს ყველა

XVII

სხვა ქართულ საისტორიო ძეგლისგან; ეს ნათელია წიგნის სულ უბრალო ზერელე გადათვალეირებითაც.

ეს სქემატიზმი და მკაცრი სისტემატიზაცია სრულიადაც არ ახასიათებს „უსწორო კარაბადინს“, რომლის ავტორიც ცდილობს იყვეს სრული და არა სქემატური, საჭირო დეტალებში უფრო მრავალმხრავი, ვიდრე სისტემატური. არც ავტორთა აზრებით არის ის გატაცებული — ის უფრო თავის აზრებს და საკუთარ დაკვირვებებს გადმოგვცემს მისთვის დამახასიათებელ დინჯი თხრობით, და ცდილობს ცალკეული საკითხების ამოწურვას, რასაკვირველია, იმ ცოდ-

ნის მიხედვით, რომელიც პირადად მას გააჩნია — ეს ცოდნა კი იმდროინდელი გაგებით დიდია, ყოველმხრივი. ისე რომ ქანანელი თავისი დროის ფრიად მცოდნე, განსწავლულ თავისუფალ მოაზროვნე ექიმად გამოიყურება.

როგორც ჩანს, „უსწორო კარაბადინი“ იცავს საექიმო წიგნის დაწერის იმ გეგმას რომელიც არაბეთის გავლენის განმტკიცებამდე უნდა ყოფილიყო დაკანონებული საქართველოში, მაშასადამე, გაცილებით წინ უსწრებს „სააქიმო წიგნს“. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არაბული ტერმინოლოგია და საკუთარ სახელთა არაბული ტრანსკრიპცია „უკვე შემოსულია — შემოსულია, მაგრამ ჯერ არ არის განმტკიცებული, მაგალითად, თუ „წიგნი სააქიმო“ ხმარობს მხოლოდ „ჯალინოზს“ (Galenus) „უსწორო კარაბადინი“ ხმარობს „ჯალინოზ“-საც და „გალიანოზსაც“, აგრეთვე „გალიანეს“, ანუ ამ სიტყვის ბერძნულ წაკითხვას, რაც ჩვენ გვხვდება მხოლოდ მე XIX საუკუნის დასაწყისის ძეგლებში, როდესაც ისპობა არაბული გავლენა და კანონდება დასავლეთ ევროპის გავლენა. მაშასადამე, ამ გარემოებას ადგილი აქვს არაბულ გავლენამდე და ამ გავლენის მოსპობის შემდეგ. ასევე ითქმის „ბაგრატზე“ (ეს არაბული ტრანსკრიპციაა იპოკრატესი): „წიგნი სააქიმო“ ყველგან „ბაგრატს“ ხმარობს ურყევად, ასევე ყველა ძეგლებში XIX საუკუნემდე, „უსწორო კარაბადინი“ კი ხმარობს „ბაგრატსაც“ და „დიპოკრატესაც“, ანუ მის ბერძნულ წაკითხვას. ეს იმას ნიშნავს, რომ ძველი წაკითხვა ჯერ განდევნილი არ არის საბოლოოდ, რასაც ადგილი აქვს „სააქიმო წიგნში“ ანუ XIII საუკუნის დასაწყისში. აქედან ასეთი დასკვნა შეგვიძლია გავაკეთოთ, რომ „უსწორო კარაბადინი,“ გაცილებით წინ უნდა, უსწრებდეს XIII საუკუნის დასაწყისს, და ის იმ ეპოქის საექიმო წერილობითი ძეგლია, რომელიც გარდამავალ ეპოქად უნდა ჩაითვალოს, როდესაც ისპობა ძველი ბერძნული გავლენა და მტკიცდება ახალი — არაბული. ჩვენის ახრით ეს უნდა იყოს XI — XII საუკუნე,

XVIII

უფრო კი XI საუკუნე, რადგანაც მასში სრულიად არ იხსენიება XI საუკუნის ისეთი გამოჩენილი არაბი ექიმი, როგორც იყო ავიცენა — სინა აქიმი — სინაის ძე (980 — 1036), რაც ყოვლად შეუძლებელია მომხდარიყო, რადგანაც ავიცენა იყო უდიდესი კანონმდებელი და პოპულარიზატორი არაბული მედიცინისა მთელ მსოფლიოში. ჩვენი ავტორი ავიცენას არ იხსენიებს, თუმცა იხსენიებს არაბეთის ისეთ ექიმებს როგორც იყენენ მაჰმად ზაქარიაშვილი Muchamed ebn Sechariah (923 წ.), მესარჩუბე — Masardchavaih (680), საკი-ისაკ აქიმი Izak ben Soleiman el Jsraili (X საუკ.), საბინ ყარაშვილი Sebit Kyra, ბახტი შუაპნაზარანი მოსე აქიმი.

როგორც ვხედავთ, არც ერთი ამ ექიმთაგანი X საუკუნის პირველ ნახევარს აქეთ არ მოდის, ისე რომ X საუკუნის ბოლოს და XXI საუკუნის პირველი ნახევრის ექიმებს ჩვენი ავტორი არ იცნობს, რაც ყოვლად შეუძლებელია მომხდარიყო, რომ ფართე ერუდიციის მქონე ქანანელის დროს ისინი უკვე ცნობილი ყოფილიყვნენ.

ამ მოსაზრების გარდა, რომელსაც ჩვენ აქ ვაყენებთ და რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს წამოყენებული საკითხის გადასაჭრე-

ლად, ჩვენ შეგვიძლია მოვიყვანოთ კიდევ სხვა არგუმენტაცია, არა ნაკლებად მტკიცე და დამაჯერებელი — ეს არის თვით ტექსტები, „წიგნი სააქიმოდ“ და „უსწორო კარაბადინი“, მათში არსებული შემხვედრი ადგილები და ის საექიმო იდეები, რომლებიც მრავლად არის მოცემული როგორც ერთ ძეგლში ისე მეორეში. ჯერ შემხვედრი ადგილები განვიხილოთ; ასეთი ადგილები ცოტაა, მაგრამ მაინც იარის.

პ ა რ ა ლ ე ლ ი I

წ. სააქ. გვ. 133⁴². „და თუ თხელი ფურცელი რომელი კუერ-ცხსა შიგნით ექნების ბაგეთა შემოსდვას კარგი არის“ ეს აზრი ჯალინოზისაა. |

უ. კარაბ, გვ. 169 ხელნაწ. „და კუერცხისა ხეჭებსა შიგნით რომე სხუა თხელი აფსკე არის და აკრავს ესე იმა გახეთქილზედა დაიკრას“. აქ ავტორს არ უჩვენებს.

პ ა რ ა ლ ე ლ ი II

წ. სააქ. 33. 134. „და ესე მალამაი დია ერგების: ქათმისა ცმელი ორი უკიაი, გუნდა დანაყილი და ქათირაი, და ნიშასთაგი და სპეტი თვითოსაგან ორისა დრამისა წონი, ყველაი დანაყილი და, მალჰამად ქმნილი ბაგეთა იცხებდეს“ ეს აზრი ჯალინოზისაა.

XIX

უ. კარ. 169 ხელნაწ. „სხუად დაიჭირე დანაყილი გუნდა, ნიშასთაგი და უმარული და ქათირა ესე ერთმანერთისა სწორი ქენ და ჯუმლად დანაყე და მოილე ქათმისა ქონი ვარდის ზეთი, წმიდა ცვილი, ცოტა ერბო ამითა ესე ყუელა მალამად ქენ და ზედა დასდებდეს“.

აქ სპეტი შეცვლილია უმარულით — უმარული უთუოდ ქართული ტერმინია. სპეტმა შესცვალა უმარული თუ უმარულმა სპეტი? ამავე ძეგლში სპეტიცა გვხვდება ბევრჯელ; ერთ რეცეპტში ერთადაც გვხვდება სპეტიც და უმარულიც, მაგრამ ეს გადამწერის შეცდომა უნდა იყოს. მაშასადამე, ქართულ ტერმინს „უმარულს“ არაბული ტერმინი „სპეტი“ სცვლის — ორივე ტყვიის პრეპარატებია. „წიგნი სააქიმოდ“ უმარულს არსად არ ხმარობს; მაშასადამე, ხდება საბოლოო შეცვლა უმარულისა სპეტით; სამაგიეროდ „დაუდ ხანი“ ხმარობს უმარულს: „უმარული რომე ტყუისაგან ქნილიყოს“ (ი. დ. 544-15).. სპეტი იადიგარ დაუდში არსად არ გვხვდება. მაშასადამე, მე-XVI საუკუნეში მოხდა ტერმინის საბოლოო გაქართულება, აქ ასე, შეგვიძლია დავასკვნათ: იყო ქართული ტერმინი „უმარული“ XII — XIII საუკუნეში, მას სცვლის სპეტი, ხდება ტერმინის გაარაბულება, შემდეგ კი XVI საუკუნიდან ხდება ამ ტერმინის ისევ „გაქართულება“. ასეთივე პროცესი ჯერ გაარაბულებისა და შემდეგ ხელახლა გაქართულებისა ახასიათებს კიდევ ბევრ სხვა ტერმინს, რასაც დაკვირვებული მკითხველი ადვილად შეამჩნევს ამ ორი უძველესი ტექსტის შედარების დროს.

პარალელი III

წ. სააქ. 289²¹. „ისაკ იტყვის კურნებაი მისი იგი არს, თუ ამას ცხროდსა თანა თრთოლად, არ იყოს და ძნელად აცხროებდეს რიგსა ზედა ბასალიყი ანუ საფინი. გაიხსნას. და თუ ამას ცხროისა თანა ასონი მხურვალედ იყვნენ და რიგისა ჟამსა პირსა პერული გამოეცემოდეს, კურნებაი მისი იგი არს რომელ უკანისა მაჯუნი ჭამოს და თუ ესე ნიშანი არ იყოს და ესე ცხროი სიმხურვალისა სნებასა უკანით გამოჩენილ იყოს, მიწყით მუცელი ლბილად დაიჭიროს და ეგეთთა წამალთა იხმარებდეს რომელ სევდაისა ჩამოიღებდეს და სევდიანთა საჭამადთა ყოველთა ერიდებოდეს“.

უ. კარაბ. კარი „კე“. „საკა ბრძანებს თუ ამა ცხროისა თანა ძრწოლა არ იყოს ცხრო ერთობ იყოს ბასალიკისაგან სისხლი ადინე, გაუხსენ, და თუ ამა ცხროსა თანა ტანშიგაც ცხელება იყოს და მოსულისა დღესა პირსა ქაფი მოუვიდოდეს, მიეც ანგუზადისა მაჯუნი და თუ

XX

ეგე ნიშნები არა იყოს რომე ვთქუით და ესე ცხრო ცხელსა სნეულობისა ბოლოსა შეექნას, მისი თათბირი ესე არის რომე, გუნება ნიადაგ გახსნით შეინახოს ამა წწამლითა სევდა გაწმონდოს და ფრთხილად შეინახე თავი ყოვლისა ფერისა საჭმლისგან რომე სევდა არ მოემატოს.

ამ პარალელში შეცვლილია შემდეგი ტერმინები: 1. უპანი — ანგუზადი, 2. თრთოლა — ძრწოლა, 3. პერული — ქაფი, 4. მუცელი — გუნება. ამ ტერმინების რომელი წაკითხვა უფრო ძველია? აქ შეიძლება შევჩერდეთ მხოლოდ „პერულზე“ — თითქოს „პერული“ უფრო ადრინდელი უნდა იყოს ვიდრე „ქაფი“. მაგრამ აქ ერთ გარემოებას აქვს ადგილი: „უსწორო კარაბადინში“ ქაფთან ერთად „პერულიც“ ბევრჯელ იხმარება, ამ შემთხვევაში კი ქაფია ნახმარი; მაშასადამე, ქაფში და პირულზე რაღაც სხვაობაა ავტორის ბაგებით, თორემ სხვაგან ბევრგან პერულს ხმარობს, ალბათ, ისევე ქაფის, მაგრამ სხვა-ნაირი გაგებით. ჩვენ ვიცით, რომ პირში მოსული ქაფი მრავალგვარია (ქაფი, დოჟი, ნერწყვი და სხვა).

რაც შეეხება სხვა ტერმინებს, მათი მეორე წაკითხვა უფრო ძველსა ჰგავს.

პარალელი IV

წ. სააქ. 285-22. „ისაკ იტყვის კურნებაი მისი იგი არს რომელ ხელი გაიხსნას და ეგდენი სისხლი გამოიღოს რომელ დაჰბნდეს და ესე უმჯობესი კურნებაი არს ცხროისა რაი სისხლისაგან იყოს, მეტად მაშინ რაი სნეულსა შეეძლოს. და თუ წინაისი სარგებელი მისგან იგი არს რომელ მიზეჯი გასწორდეს მით და სისხლისა სიმხურვალე დასწყნარდების და ტანი გაგრილობის და თუ შეკრვით იყოს ხილთა წყლითა მუცელი დაილბოს, და თუ ვერ მოერიოს ღვინითა დაილბოს და ქრთილისა წყალი და მჟავისა და ტკბილისა ბროწყულისა წყალი იხმაროს“.

უ. კარაბად. კარი „კე“. „საკი ბრძანებს ამა ნაზეზითა ვითა ამა ცხროსა წამალი ისი არს რომე სისხლი გამოუშუას ვირე და-ბნდებოდეს, ესე მშუელელი არის დჰ წამალი რომე ყოველიფერი ცხრო სისხლისაგან იყოს და თუ გუნება შეკრვით იყოს ხილთა წყლითა გაღბილოს, ლბილი ოყნა შეუდვას ქერისა წყლითა და ზანჯაბილი თბილისა და მჟავისა ბროწეულისა წყალი ნიადაგ მიეც, რაიცა საჭმელი მისცე თბილად და ადრე მიეც და თბილითა ზეთე-ბითა თავი შეუძწენ და უშუელოს“.

XXI

ამ პარალელში ტექსტები უმთავრესად ეთანხმება ერთიმეორეს, მაგრამ განსხვავება მაინც არის: პირველში არაფერია არც, ოყნაზე და არც ზანჯაბილზე, მეორეში არაფერია არც სნეულის შემ-ძლეობაზე და არც მიზეჯის გასწორებაზე; სამაგიეროდ პირველში არაფერია არც საჭმლის მიცემაზე და არც ზეთებზე. ორივე აზრი კი-ერთი და იმავე პირს ეკუთვნის ორივე ძეგლის მითითებით — ცნო-ბილ არაბ ექიმს საკის, ტომით ებრაელს.

ამონაწერიდან ნათელია, რომ ძეგლები ერთი-მეორეს კი არ იმეორებენ ციტატებში, არამედ ორივენი სარგებლობენ სხვადასხვა წყაროებით, სადაც ისაკის აზრი სხვადასხვანაირად უნდა ყოფილიყო მოცემული. ჩვენ დაახლოვებით ვიცით, თუ რით სარგებლობს ხო-ჯაყოფილი: ეს ავეროესის ცნობილი წიგნია, მაგრამ რით სარგებლობს ქანანელი, ეს ჯერჯერობით ამოუცნობია. ის გარემოება, რომ უ. კარაბადინი ქრთილის მაგივრად ქერს ხმარობს, ტერმინების ხალხუ-რობით აიხსნება; საერთოდ წიგნური ტერმინები ამ ძეგლში უკანა. რიგშია, წინ კი წამოწეულია ხალხური ტერმინოლოგია, ვინაიდან წიგნი ხალხისთვის არის განკუთვნილი. „წიგნი სააქიმოა“ კი უთუოდ სახელმძღვანელოა მწიგნობრული ხასიათისა.

პ ა რ ა ლ ე ლ ი V

წ. ს. 285-16 „ფოლის იტყვის: ცივი წყალი სუას მუნამდე რო-მელ ტანსა ზედა გამოაჩნდეს და ფერად გამწვანდეს და ცხროი გა-გრილდეს. და თუ კულა მოვიდეს ცხროი ესევე უყოს რომელ ცხროი დანელდეს და ესე გამოცდილი და მშვიდობისა კურნებაი არს და ცი-ვისა წყლისა სმისაგან ნუ შეშინდების, ნუ თუ მაშინ რომე მოტ-ბაყისა ცხროი სტომაქისა ანუ ღვიძლისა სიმსივნისაგან იყოს. და ამავე მხურვალსა ცხროისაშიგან ცივისა წყლისა არსმევიწებაი სნე-ულისაი დია უპირული და ჰავი თათბირი არის“.

უს. კარ. კარი „კე“. „ფოლოსოს ბრძანებს: და ცივი წყალი ასუი ვირემ ათრთოლდეს და ფერი გამოუცვალდეს ცხელება, გაცივ-დეს და დაწყნარდეს. საქმე გამოცდილია, ვისაც ცხრო სჭირდეს ნუ დახნიან რომე ცივი წყალი შეასუა. და თუ ესე ცხრო რომე სუნა-ხოსი ქუიან სტომაქისა მღიერისაგან წაეკიდოს და ან ღვიძლისა მღიერისაგან, მართებს რომე მან ფარეზად შეინახოს ბევრსა ცივისა წყლისაგან“.

ამ პარალელში ნათლად ჩანს შემდეგი: პირველ ტექსტში, ასე ვთაქვათ, არაბული გაგებაა ფოლოსის ნათქვამისა, მეორე კი ბერ-

ძნულიდან არის უშუალოდ. ამასვე ამტკიცებს თითონ ცხროს სახელ-

XXII

წოდება: „მოტბაყი“ არაბულია, „სუნახოს“ ბერძნული. ნათელია: პირველი ტექსტი სარგებლობს არაბულით, მეორე ბერძნულით.

ამგვარი პარალელების მოყვანა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ მოყვანილიდანაც ნათელია, რომ შემხვედრი ადგილები არის ორივე ძეგლში. მაგრამ რომ უშუალოდ, სიტყვა-სიტყვით ემთხვეოდეს ერთი მეორეს ორივე ტექსტი, ამის მაგალითი არც ერთი არ არის – აქა-იქ არსებული შემხვედრი ციტატებიც კი არ იმეორებენ ერთი-მეორეს სიტყვა-სიტყვით. ისე რომ ტექსტების ურთიერთ გავლენაზე ლაპარაკი ზედმეტია. ერთი რამ კი ცხადია: მანამდის არსებულ საექიმო იდეებსა და ხერხებს ორივე ტექსტი თავისებურად, მაგრამ მაინც იმეორებს. ამ იდეების თანამიმდევრობითი შემოსვლა საექიმო ხელოვნებაში ჩვენ გვშველის ამა თუ იმ ტექსტის უფრო ადრინდელიობაზე, ვილაპარაკოთ. აქ მოვიყვანთ რამოდენიმე მაგალითს.

„წიგნი სააქიმოდ“–ში მოყვანილია ისეთი სამკურნალო იდეა ხუნაყის მკურნალობის დროს, როგორც არის თავისებური ტრაქეოტომია:

„და თუ წამლითა არა იჯობინოს და სიკუდილისაგან საშიშოი იყოს უმჯობესი იგი არს, რომელ ხორხისა ყერყეჟსა ქვეშ გახვრიტოს, და რაი სიმსივნისაგან მორჭმით იყოს ხურელი შეკეროს (გვ. 151-40). ქანანელი რომ უფრო გვიანი იყოს, ვიდრე ხოჯაყოფილი, ყოვლად შეუძლებელია, რომ ეს იმდროინდელი გაგებით უდიდესი იდეა ყურადღების გარეშე დაეტოვებინა. თუმცა ქანანელს კარგად ესმის, რომ ხუნაყის დროს ავადმყოფი „დასუსტდების, სულისა გუბება დაერთუის და სისუსტეშია სულისა გუბება ავი არის“.. „თუ ყელი ასე შეკრვით იყოს რომ არას ჩაუშვებდეს“, მაგრამ ამ სასიკვდილო მდგომარეობაში ქანანელმა არ იცის „ყერყეჟის ქვეშ გახვრეტა“, რომ ავადმყოფი სიკვდილს გადაარჩინოს, იმიტომ რომ ეს საშუალება მერმინდელია.

ისეთი სამკურნალო „იდეა კი, რომელიც ძველია და საგრძნობლად უსწრებს „წ. სააქიმოდ“-ს,; ქანანელსაცა აქვს და ხოჯაყოფილსაც; ავილოთ, მაგალითად „კურნებაა ძულისა რაჲ ხორხსა დაეჩაროს“.

„ისაკ იტყვის: და თუ ცოტაი ხორცი წითელი მკედსა მოაბას და ჩანთქას და მაშინ ამოზიდოს უღონოდ, ძუალი მას ხორცსა მოეკიდების და გამოჰყვების“ (წ. სააქ. 154-7).

„თუ ყელშიგა რამე დაეჩაროს ფხა ანუ ძუალი მისი წამალი ესე არის: მოიღე ზროხისა ხორცი და აბრეშუმის მკედიტა. მოაბი შუაზედა და მაგრად შეკარ და მერმე მიეც რომე ჩანთქას და რო-

XXIII

გორაცა ჩანთქას წყნარად ამოზიდე და კიდევე ჩანთქმევიწინე და კიდევე ამოზიდე, მანამდის ქენ რომე ამოილოს ანუ ჩაღმა ჩაილოს“ (ქანანელი გვ. 186 ხელნაწერით).

ყოვლად შეუძლებელია ეს შედარებით მკრთალი სამკურნალო

იდეა გადმოეღო ქანანელს ხოჯაყოფილისაგან და პირველი კი არა — თუ საერთოდ ის სარგებლობდა „წიგნი სააქიმოდ“თ.

სამაგიეროდ ქანანელს აქვს ისეთი დიაგნოსტიკური ნიშანი, რომელიც მეტად ძველია, ეს ნიშანი არც ხოჯაყოფილსა აქვს და არც მერმინდელ ძეგლებშია — ეს არის „ხელთა ბანის ნიშანი“, ავად-მყოფს ხელს დაბანდნენ და ხელნაბანით ექიმი მსჯელობდა მის ავად-მყოფობაზე. ეს ნიშანი უძველესი ბაბილონის მედიცინიდან მოდის და, ალბათ, არ მიიღო მერმინდელმა ბერძნულმა და არაბულმა მედიცინამ და, — ქანანელი კი იხსენიებს მას. საერთოდ, ავტორს ახასიათებს ბაბილონის მოხსენება („ბაბილოვანი ბრძენნი ბრძანებენ“ და ბევრგან მოყვანილია მათი აზრი და სიბრძნე). ჩვენ არც ერთ სხვა საექიმო საისტორიო წერილობით ძეგლში არ შეგვხვდვართ მათი ხსენება — ხომ არ იფარება აქ რაიმე შორეული კავშირი ძველ ბაბილონურსა და უძველეს ქართულ მედიცინას შორის? ეს გარემოება მეტად პასუხსაგებ ამოცანას უყენებს ქართული მედიცინის მკვლევარს და უძვირფასესი პერსპექტივის შემცველია, მით უმეტეს რომ ქართული წარმართული რწმენა ბევრ რამეში ეთანხმება და იმეორებს როგორც ბაბილოვნელთა რწმენას ისე უძველესი სუმერებისა და აკკადების რწმენას და მსოფლმხედველობას.

ამ საკითხის გაშუქება ამჟამად ჩვენი კვლევის საგანს არ შეადგენს და აქ დავკმაყოფილდებით მხოლოდ საკითხის დასმით — უფრო დეტალურად ამ საკითხს ჩვენ შევხვებით მაშინ, როდესაც შევუდგებით ქართული წარმართული რწმენის პირველწყაროების კვლევას.

ამგვარად, შეგვიძლია შემდეგი დასკვნები გავაკეთოთ:

1. წინამდებარე საექიმო წიგნი „უსწორო კარაბადინი“ ეკუთვნის ქანანელს, რომელიც უნდა ჩაითვალოს თავისი დროისთვის მეტად მცოდნე და განათლებულ ექიმად;
2. ქანანელი ქართველი ექიმია, ამას ადასტურებს მისი ქართული ენისა, ტერმინოლოგიისა: და ზნეჩვეულებების ფართე ცოდნა. მან კარგად იცის აგრეთვე არაბულ-ირანული და ბერძული ტერმინოლოგია;
3. „უსწორო კარაბადინი“ მთელი საუკუნენახევრით და შეიძლება კიდევ მეტიც წინ უსწრებს „წიგნი სააქიმოდ“-ს, რომელიც წარმოადგენს XIII საუკუნის დასაწყისის საექიმო წერილობით

XXIV

ძეგლს, ამასვე ადასტურებს ორივე ძეგლში არსებული შემხვედრი ადგილები და მათში მოყვანილი საექიმო იდეები;

4. ენის, ტერმინოლოგიის, საექიმო იდეებისა და შიგ მოყვანილ ავტორთა მიხედვით წინამდებარე ტექსტი „უსწორო კარაბადინი“ უნდა ეკუთვნოდეს XI საუკუნეს, ან ტექსტის დაწერის თარიღი უნდა ვიანგარიშოთ ავიცენამდე (980 — 1030) და ავიცენას გავლენის გარეშე;

5. „უსწორო კარაბადინი“ ხნოვანობით ყველაზე უძველესი ქართული საისტორიო საექიმო ძეგლია, რომელიც დაწერილი უნდა იყოს ორ გავლენათა მიჯნაზე — როდესაც თავდება ბერძნული გავლენა და იწყება არაბული, ანუ როდესაც პირველი გავლენა იერსავსებით არ არის მოსპობილი, მეორე კი სავსებით „არ არის განმტკიცებული“.

ებლა ვნახოთ ის ხელნაწერები, რომელთაც ჩვენამდის მოაღწიეს და რომელთაც შეავსეს ერთი-მეორე.

ხელნაწერი № Z 26 საქ. სახ. მუზეუმისა. დაწერილია უძველესი ნუსხა ხუცურით. ნაწერი უფრო მრგვლოვან ხუცურს ეკუთვნის, ასოები **ს, ი, თ, ყ** უფრო მხედრულია ვიდრე ხუცური. კართა სათვალავი ნაჩვენებია ასომთავრული ხუცურით, პაგინაცია ნაჩვენებია აგრეთვე ასომთავრულ ხუცურით და რვეულების მიხედვით. თვითუღი რვეული შეიცავს 8 ფურცელს, — ხელნაწერში ამჟამად სულ 24 რვეულია, დალაგებული არა თანმიმდევრობით. ყოველი კარის დასაწყისი, საკუთარი სახელები და ახალი დასაწყისები შესრულებულია სინგურით. თვით ხელნაწერი შესრულებულია შავი მელნით. მელანი საკმაოდ გახუნებულია, მაგრამ ზოგიერთი ადგილების გარდა კარგად იკითხება. სულ ბოლო დროს, არეული და არა თანამიმდევრობით დალაგებული ფურცლები ვიღაცის უვიც ხელს ხელახლა აუკინძავს და გაუკეთებია ჩვეულებრივი ფანქრით პაგინაცია ფურცლების მიხედვით — ამ უკანასკნელი პაგინაციის მიხედვით ხელნაწერში ამჟამად 194 ფურცელია.

ხელნაწერს აშიებზე მრავლად აქვს გაკეთებული შენიშვნები, რომელნიც მიწერილია უძველესი მხედრული ხელით. შენიშვნები შეეხება უმთავრესად წამლეულობის განმარტებას ქართულ ენაზე. ამის გარდა ხელნაწერს აქვს ორი მინაწერი რომელიც მიუთითებს ავტორის ვინაობაზე.

პირველი გაკეთებულია 36 ფურცლის აშიაზე, მეორე 94 ფურცელზე. პირველი მინაწერის შინაარსი შემდეგია: „ღმერთო შეიწყალე

XXV

ფრიად ცოდვილი დანბუბი ყოვლად წმიდა მძლავრისი სატოსი, ნუ მკითხავ ჩემ ცოდვისას, ვინცა ესე წაიკითხოთ ცოდვილსა ქანანელს [შენდობით] უბრძანებდითი“.

მეორე მინაწერის შინაარსი ამგვარია: „თქვენთვიმც მოგვკვდები ამ წიგნის პატრონი, ვაიმე თქვენს გაყრილსა რატომ დამივიწყენ მე უბედური, ყოვლის კაცისაგან მოძულეებული შევიქენ“.

ორივე მინაწერი გაკეთებულია ძველი მხედრულით, იმავე ხელით, რომლითაც გაკეთებულია საერთოდ ყველა შენიშვნები მიწერილი აშიებზე. ამის გარდა ხელნაწერს აქა-იქ აშიებზე გაკეთებული აქვს მინაწერები სომხურ ენაზე, ზოგან რვეულებს ასომთავრულ სომხურით გაკეთებული აქვს პაგინაცია. ეს სომხური მინაწერები წარმოადგენენ წამლეულობის განმარტებას. სხვა რამ დამახასიათებელი მინაწერი სომხურად ხელნაწერს არა აქვს. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ხელნაწერი 1928 წელშია ჩამოტანილი სომხეთიდან, მაშინ გასაგებია: ეს სომხური მინაწერები უნდა გაკეთებული იყოს ხელნაწერის სომეხი პატრონის მიერ რომელიც შეიძლება ექიმი იყო ან მოყვარული ძველი მკურნალობისა და ცდილობდა აეხსნა ძეგლში მოყვანილი. წამლეულობა სომხურად, მათი გამოყენების მიზნით. რა ბედი ჰქონდა ხელნაწერს, როგორ მოხვდა ის სომხეთში და რა გავლენას ახდენდა ის ძველად სომხურ მედიცინაზე — ეს ჯერჯერობით ამოუცნობია; მაგრამ, სომხურ მედიცინაზე რომ დიდ გავლენას მოახდენდა, ეს ეჭვს არ

იწვევს, ვინაიდან ასეთი ხნოვანობის წერილობითი საექიმო ძეგლი, რამდენადაც ჩვენ ვიცით, ძველ სომხურ მედიცინაში ჯერ აღმოჩენილი არ არის. საერთოდ რა გავლენას ახდენდა ძველი ქართული მედიცინა მეზობელ ერების საექიმო აზროვნებაზე და კერძოდ სომხურ მედიცინაზე — ეს მეტად საგულისხმო საკითხია და ცალკე კვლევასა და შრომას მოითხოვს. ამთავით ის შეიძლება ითქვას, რომ ამ გავლენის კვალი ჩანს და ძალიან საყურადღებოც. სომხური მედიცინის მკვლევარი პროფ. ლ. ა. ოგანესოვი თავის წიგნში 124 გვერდზე უჩვენებს: „ჩვენ ხელთა გვექონდა ერთი ხელნაწერი ეჩმიაძინის ბიბლიოთეკისა, რომელიც ეკუთვნის 1462 — 66 წ. და რომლის შინაარსიც შეიცავს 1 — 55 გვერდზე წამალთმცოდნეობას და შემდეგ 55 გვ.— 215 გვერდამდე კი პათოლოგიას და თერაპიას. ხელნაწერს ბოლოში ჰქონდა შემდეგი მინაწერი: „ეს ძვირფასი და სასარგებლო წიგნი, რომელიც წარმოადგენს ადამიანის ბუნების განხილვას, მის სხვადასხვა ავადმყოფობებს და მათ მიზეზებს, დაწერილია ჩვენ ძუძუმძემის ბერ მარქარისაგან და თარგმნილია გრიგორისგან. ვინც ეს წიგნი წაიკითხოს ან მით ისარგებლოს, შესთხოვოს ქრისტეს სი-

XXVI

ცოცხლე ვაჩესთვის, რომელიც ღვთით არის ექიმი სამცხისა“ (იხ. Л. А. Оганезов, „История медицины в Армении“, Эривань 1928 г.).

მკვლევარს არ ესმის, თუ რა შუაში უნდა იყოს აქ სამცხის განთქმული ექიმი ვაჩე. ჩვენ კი გვგონია — და ამას მინაწერი ნათლად უჩვენებს, რომ წიგნის ავტორი გრიგორი და ვაჩე ერთი და იგივე პიროვნებაა; ვაჩე ან გვარია ან სახელწოდება გრიგორისა, რომელიც ქართველი ექიმია და იმდენად ცნობილი, რომ მისი საექიმო თხზულება მე-15 საუკუნის ნახევარში ითარგმნება სომხურად ვინმე ბერ მარქარის მიერ.

ამგვარად წინამდებარე ძეგლის ხუცური ვარიანტი წარმოადგენს როგორც პალეოგრაფიული ნიშნების ისე ქალაქის მიხედვით უძველეს ხელნაწერს და მის დაწერის თარიღს ვერაფერ შემთხვევაში XIII საუკუნის აქეთ ვერ ვიანგარიშებთ. რომ აღნიშნული ხელნაწერი პირია უფრო ძველი დედნისა, ამას უჩვენებს 119 ფურცლის აშიაზე გაკეთებული მინაწერი; „კარი სილის“ აშიაზე უწერია: „აქ კარი ითვლება, არ უნდა, და დედამან ტყუა%“, ანუ დედანში შეცდომით არის ეს კარი ცალკედ ნაჩვენებო. მაშასადამე, ის დედანი, რომლიდანაც აღნიშნული ხელნაწერია გადმოღებული, მაინც დედანი არ არის, მაშასადამე პირის პირიდან არის ჩვენი ხელნაწერი გადმოწერილი — ეს უდავოა, თორემ ნამდვილ დედანში, რომელიც ავტორის ხელით იქნებოდა დაწერილი, საეჭვოა რომ შეცდომით ყოფილიყო მთელი თავი მოყვანილი.

ამგვარია ხელნაწერი № Z— 26, რომელიც საფუძვლად დაედო წინამდებარე ძეგლის გამოქვეყნებას, მაგრამ, როგორც ზევით მოვიხსენიეთ, აღნიშნული ხელნაწერი მხოლოდ ფრაგმენტების სახით არის დაცული. ეს ცალკეული ფურცლები სულ 194 ცალია, რომლებშიაც ბევრი ისეა დაზიანებული ჟამთა ვითარებისა გამო, რომ ვერ იკითხება — ყველა ეს ფურცლები შეადგენს ძეგლის მხოლოდ:

ერთ მესამედს. ამის გამო მისი ცალკე საექიმო ძეგლად გამოცხადება და მით „უმეტეს დაბეჭდვა შეუძლებელი იყო, ვინაიდან ძეგლს აკლდა ფურცლები, თავები, კარები და მთელი განყოფილებანი ამა თუ იმ დაავადებათა.

ქ. ლენინგრადის აღმოსავლეთ მცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილებაში ძიების შედეგად ჩვენ აღმოვაჩინეთ ხელნაწერი, რომელიც წარმოადგენს № Z — 26 ხელნაწერის პირს, რომელიც გადაწერილია ვახტანგ VI დროს ანუ მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში — ამიერიდან ეს პირი „უსწორო კარაბადინისა“ „ვახტანგი-

XXVII

სეულის“ სახელწოდებით შევა ჩვენ საექიმო საისტორიო წერილობით ძეგლთა რიცხვში. ამ ვარიანტმა სავსებით აღადგინა წინამდებარე ტექსტი და სავსებით ნათელი გახადა, თუ რა ოდენობისა და მოცულობისა იყო ის და რა აკლდა ტექსტის XIII საუკუნის ხუცურ პირს. ამ ორი პირის ერთმანეთთან შედარებამ კიდევ ბევრი რამ სხვა ძვირფასი მასალა მოგვცა, რაზედაც ჩვენ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი — ჯერ კი ვნახოთ „ვახტანგისეული“ ახლად აღმოჩენილი ვარიანტი.

ხელნაწერი K.— 23, მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთ მცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილება (ყოფილი აზიური მუზეუმი). ზომით 29X19 in folio. შესრულებულია გარკვეული ნუსხა მხედრულით. ხელნაწერის ყოველი თავი და ახალი დასაწყისი, აგრეთვე საკუთარი სახელები შესრულებულია სინგურით. თვითონ ხელნაწერი შესრულებულია შავი მეღვინით. ქალაქი კარგად არის შენახული, ნიშნების მიხედვით ვენეციურია. პაგინაცია ფურცლობრივია, გაკეთებული გვერდის აშიაზე ასომთავრულ მხედრულით. ხელნაწერი ამჟამად შეიცავს 600 ფურცელს, რამდენიმე ფურცელი შიგ ტექსტში აკლია — ერთი ფურცელიც ბოლოში. როგორც ჩანს, ეს ფურცლები იმ პირს ჰკლებია, საიდანაც ხელნაწერია გადმოწერილი.

ხელნაწერი ჩასმულია მაგარ, წაბლისფერ ტყავის ყდაში და შემკულია ოქროცვრით გაკეთებულ ქართულ ორნამენტით. ხელნაწერის ბოლოში სადათ დატოვებულ ფურცელზე არა დედნის ხელით გაკეთებულია შემდეგი წარწერა: „ჩვენ საქართველოს გამგებელმან ბატონიშვილმან პატრონმან ვახტანგ დავაწერინეთ კარაბადინი ესე საკითხავად და სამყოფად დარბაზ სეფეთა ჩვენთა, ერთი ფურცელი აკლდა და მისი ვერსად ვიპოვეთ რომ დაგვეწერინა“. წარწერიდან ირკვევა რომ ვახტანგ მეფის „სეფეთა დარბაზს“, ანუ როგორც ჩვენში მას შეცდომით უწოდებენ „კომისიას“, მეფის ბრძანებით რედაქცია გაუკეთებია აღნიშნული საექიმო ძეგლისთვის. ამ რედაქციის კვალი აშკარაა ტექსტების შედარების დროს. ზოგან რჩევას შეცვლილი, ზოგან წამალია შეცვლილი ან დამატებული, ზოგან სიტყვებია გამოტოვებული და სხვა; რასაკვირველია მხედველობაში არა გვაქვს ის მეტწილად, ორთოგრაფიული სხვაობა, რომელიც, გასაგებია, უნდა ყოფილიყო XIII საუკუნისა და, XVII საუკუნის დამწერლობებს შორის. ამ სხვაობას ჩვენ აქვე ვუჩვენებთ.

ხელნაწერი № Z—26.

„ვახტანგისეული:“

ესე ეს

წუნითა წუნით
ავისა ავის

XXVIII

გავს. ჰგავს
სცვიოდეს. სცვიოდეს
თუალი. თვალი
წუერი. წვერი
ისე. აგრე
მფრინველი. ფრინველი
შემწუარი. შემწვარი
სხუად სხვა
შიგა შიგ
გაურივე გაურიე
წყლითა წყლით
ამა ამ
თავზედა. თავზედან
ისტირი სტილი
რად რა
ან ანუ
წმიდა წმინდა
ძმრითა ძმრითა
ქუიან. ჰქვიან
გავს ჰგავს
გუიან. გვიან
ამისთუის ამისთვის
მარცუალი მარცვალი
ჭამს სჭამს
კვერცხი კუერცხი
ადგილი ალაგი
კირჩხიბი კიბორჩხალა
ყვებოდეს ჰყვებოდეს
მერმე მასუკან
სხუილი სხვილი
როგორაცა რაგვარაცა
მოკიდე მოჰკიდე
აერსა ჰაერსა
გასინჯე გაშინჯე
გაწმიდოს გასწმინდოს
ქენ უყავ და სხვა.

მაშასადამე, ჩვენი ძეგლი მოღწეულია მეცამეტე საუკუნის ხუცურ ხელნაწერის 194 ფურცლით, რომლებიც გაბნეულია მთელი წიგნის მანძილზე და ჩასმულია გრძელ ფრჩხილებში, და XVII საუ-

XXIX

კუნის ახლად აღმოჩენილი ეგრეთწოდებული „ვახტანგისეულ“-მხედრული ხელნაწერით, რომლითაც ხუცური ტექსტი არის მთლიანად

აღდგენილი, რამდენიზე ფურცლის გარდა რომლებიც თითონ „ვახტანგისეულ“ ტექსტს აკლია.

ამგვარად უკვე აღდგენილი და გამოქვეყნებული ტექსტი წარმოადგენს როგორც თავის აღნაგობით ისე შიგ გატარებულ საექიმო იდეებით, აგრეთვე თარიღით, ყველაზე უძველეს დღემდე აღმოჩენილებში, ქართულ წერილობით საექიმო საისტორიო ძეგლს, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც იმ დროინდელი ქართული საექიმო აზროვნების დადგენისთვის, ისე საქართველოს ეკონომიური და მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, აგრეთვე ქართული ხალხური ენის ნორმების დადგენისთვის; უდიდესი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე უძველესი ქართული ტერმინოლოგიისთვის.

აი, ამგვარია ის დიდი ინტერესი, რომელსაც წინამდებარე ძეგლი იწვევს. წინა ორი ძეგლის სახელდობრ „წიგნი სააქიმოა“-ს და „იადიგარ დაუდი“-ს გამოქვეყნების ტრადიციის მიხედვით ჩვენ აქაც უნდა დაგვერთოთ იმ ექიმურ-ფილოსოფიურ, ანატომიურ ფიზიოლოგიურ, ჰიგიენურ და დიეტეტიკურ ცნებათა მოკლე მიმოხილვა, მაგრამ ჩვენ აქ ამ განზრახვისაგან თავს ვიკავებთ, ვინაიდან ეს საჭირო იყო მაშინ, როდესაც მკითხველი არ იყო ჩვეული ძველი საისტორიო წიგნის კითხვას. ამ ცნობათა მოკლე მიმოხილვის დართვა ეს ერთგვარი დახმარება იყო მკითხველისათვის ახალ, მისთვის უჩვეულო საქმეში.

ამჟამად ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ორ ტექსტზე აღზრდილი მკითხველი ჩვენ დაუხმარებლად შესძლებს თითონ დამოუკიდებლად გაერკვეს ყველა იმ კონცეპციებში, რომლებსაც ძეგლი შეიცავს.

სულ სხვაა საექიმო იდეები, რომლებიც მთელი ტექსტის მანძილზეა გაბნეული; მკითხველი ვერ გაეცნობა მათ ტექსტის დეტალური შესწავლის გარეშე. აქ ჩვენ გვგონია დახმარება მაინც საჭიროა ტექსტისადმი უფრო მეტი ინტერესის გაღვიძებისათვის.

მაგრამ, ვიდრე ამ იდეების მიმოხილვას შეუდგებოდეთ, ინტერეს მოკლებული არ იქნება მოვიყვანოთ სია იმ ჭურჭლეულობისა და ხელსაწყოებისა რომლებიც ჩვენ ტექსტში გვხვდება. ეს სია საგულისხმოა მით, რომ ერთგვარ ნათელს პფენს ამ მხრივ ისე დარიბ ჩვენ წარმოდგენას საშუალო საუკუნეებისა და უფრო ადრინდელ საქართველოს მატერიალურ კულტურის საგნებზე.

ეს სია ამგვარია:

- | | |
|------------------|-------------------------------|
| 1. რკინის ციცხვი | 4. ჭიქის ჭურჭელი |
| 2. ქვაბი | 5. ქურაზარა (გამომწვარი თიხა) |
| 3. თასი | 6. შარი (წმიდა საცერი) |

XXX

- | | |
|-------------------------------|------------------------------|
| 7. ავანი | 29. თიხის ქვაბი (ქვაბქოთანა) |
| 8. ჯამი | 30. შეშის ავანი (ფილი) |
| 9. ქათმის ჩინჩახვი (ციცხვივით | 31. ტაშტი |
| 10. კოჭობი | 32. გობი |
| 11. ქვის ქოთანა | 33. ჭიქის კულა |

- | | |
|--|---------------------------|
| 12. თანგირა | 34. რკინის კოვზი |
| 13. თიხის ქოთან | 35. სამართებელი |
| 14. მტკიცე საცერი (სამტკიცე) | 36. ტყვივის ავანი |
| 15. ვერცხლის ჭურჭელი | 37. ქიქის კოტომი |
| 16. სარქველი | 38. ჩქიფი (მაშასავით) |
| 17. თორნე | 39. ნემსი |
| 18. ფურნე (ქურა ჭურჭლის—
გამოსაწვავი) | 40. ვალი (საცერია) |
| 19. კეცი. | 41. საოქრო-მჭედლოს ქოთან |
| 20. ქოთან | 42. აბრეშუმის საცერი |
| 21. კოლოფი | 43. შაშარი (ლახვარივით) |
| 22. სინი | 44. ასტამი |
| 23. ქუზა (თიხის ჭურჭელი) | 45. მახვილი (ლანცეტივით) |
| 24. საცერი ფართო | 46. მარწუხი (გრძელი მაშა) |
| 25. ქაშანური | 47. შტვირი (კატეტერი) |
| 26. ცვილის კოლოფი | 48. ძაბრი |
| 27. ქვის საცეხველი | 49. კოკა. |
| 28. ქოთნის ჩავი | |

ამგვარია ძეგლში მოყვანილი ჭურჭლეულობა და ხელსაწყოები. ვნახოთ ეხლა ის საექიმო იდეები, რომლებითაც ასეა დატვირთული წინამდებარე ძეგლი — ვნახოთ მთავარი მათგანი.

კარი ა. გადამდებ სნეულებათა აღწერის დროს ჩვენ ვკითხულობთ: „მისსა საქმელსა თქვენ ნუ სჭამთ“... „ნუცა მათითა ჭურჭლითა წყალსა სუამთ, რომლითა სნეული სმიდეს“.

მაშასადამე, ამონაწერიდან ნათელია, რომ იმ დროს გარკვეული წარმოდგენა ჰქონიათ გადამდებ ავადმყოფობათა შესახებ, თუმცა ამ გადადების გზები და მიზეზები სულ ბოლო დროს იქნა მონახული.

კარი გ. „ქარი რომე მუცლით გამოვიდოდეს უხმოდ, გინა ხმიანად მუცელსა შინა ყოფასა სჯობს“.

კარი იზ. „ოთხდღემდი: ნურას მისცემ წამალსა, რომე აქიმი უკეთ შეიტყობს თუ რისგან არის სენი მისი“. ამ რჩევას გარკვეული თანამედროვე იერი აქვს.

XXXI

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ექიმის მოვალეობა მაღალმოწოდებად იყო მიჩნეული, ძველად საქართველოში ექიმს ბევრ რამეს სთხოვდნენ, უმთავრესად ჭკუას, ცოდნას, გამოცდილებას, დიდ ყურადღებასა და სიფრთხილეს.

„აქიმი მეცნიერი და ფრთხილი უნდა რომე შეიტყოს“ (კარი ბ).

„აქიმის სიბრძნე, ჭკუა, სიფრთხილე ამაზედა გამოჩნდების რომე მართალზედა იცნას“ (კარი ბ).

„აქიმსა აგრე მართებს რომე სნეულსა მსახურებდეს და სინჯავდეს ბევრფერად საქმითა“ (კარი ე).

„რომე შეიტყოს აქიმმან ავი და კარგი ნიშანი, დახედენ ჭკუითა, და კარგად გუნება მიეც“ (კარი ე).

„თუ აქიმი სუსტი იყოს და თათბირი და წამლები ვერა შეატყოს ისი სენსა კიდევე გაახელებს“ (კარი კდ).

„და აქიმი მეცნიერი უნდა და შემტყვე“ (იქვე).

„თუ ასეთი რამე დაგმართოს აქიმსა სირეგვნითა რომე მუცელ–
შიგა დარჩეს, იგი ქვად შეიქნების და მის მეტი ლონე არ არის
რომე მეშირიმემა გარედაღმა გამოართვას“.

ამონაწერებიდან ნათელია, თუ რა მკაცრ მოთხოვნილებას უყე–
ნებდნენ ექიმს რომელსაც ევალეზობდა ავადმყოფის მოვლა პატრონო–
ბა, ცოდნით, ჭკუით, გამოცდილებით.

უსწორო
კარაბადინი

.....

ქ. ა. კარი პირველი: აქიმისაგან სნეულისა მოკითხვა რა

10 გვარად უნდა.

ბ. კარი მეორე: შეტყუება და ნახვა ყოვლისა ფერისა კარულისა

გ. კარი მესამე: კარი და ნიშანი განავალისა.

დ. კარი მეოთხე: კარი და ნიშანი ცნობისათვის და შეტყობისათვის

ე. კარი მეხუთე: კარი და ნიშანი სნეული რომე ფერად ფერადსა სიზმარსა ნახვიდეს.

ვ. კარი მეექვსე: კარი და ნიშანი რა ბურანსა შევიდეს კაცი ¹.

ზ. კარი მეშვიდე: სულს რომ ვერ ისულთქმიდეს.

20 ჟ. კარი მერვე: წელიწადთა ცნობისა.

თ. კარი მეცხრე: კაცის რომე ასოები ემდეროდეს.

ი. კარი მეთათე: რასთენი სენი არ ეშველების კაცსა.

ია. კარი მეთერთმეტე: წამლების აღებისა.

იბ. კარი მეთათორმეტე: [ბრძანებითა ღვთისათა თუ ვითარ დაიზადების და ანუ შეიქნების კაცი] ².

იგ. კარი მეთათცამეტე: წამლის აღებისა.

იდ. კარი მეთათოთხმეტე: წურილის წამლებისა.

იე. კარი მეთათხუთმეტე: იარაჯების გასახსნელისა.

ივ. კარი მეთექუსმეტე: მათბუხისა ზაფრასა, სევდასა და ბალღამს უშველის.

30 იზ. კარი მეჩვიდმეტე: ერგების ყოველთა ტკივილთა და საღმობათა და წამალი გვერდით უწერია სამკურნალო ³.

ით. კარი მეთაცხრამეტე: თითით სალოკელი წამლები. გვერდით უწერია.

¹ ვარიანტს თავში ერთი ფურცელი აკლია, აქამდის აღდგენილია ტექსტის მიხედვით.

² ტექსტის სარჩევში ეს კარი გამოტოვებულია — აღდგენილია ტექსტის მიხედვით.

³ კარი მეთვრამეტე არ არის.

კ. კარი მეოცე: ყურსებისა გარჩევით. წამლები თან უწერია

კა. კარი მეოცდაერთე: სიცხის ტლევებისა დაცდილი.

კბ. კარი მეოცდაორე: მაჯუნთა გაკეთებისა, რომე კაცსა სიმრთელესა მატებს. მაჯუნებისა თარგმანთა და იარაჯთა.

კგ. კარი მეოცდასამე: შარბათებისა რომელი არგებს ვარამსა.

კდ. კარი მეოცდაოთხე: სიქანგუბინისა და ღვიძლისათვის.

კე. კარი მეოცდახუთე: ცხროთა წამალთა შეტყობისა და ლოცვისა.

10 კვ. კარი მეოცდაექუსე: დედაკაცი რომ არ დაორსულდეს და წესისა.

კზ. კარი მეოცდაშვიდე: დედაკაცი რომე ძნელად შობდეს.

კწ. კარი მეოცდარვე: წყლით ორსულობისა რომე მარ-

თალი ორსულობა ეგონოს დედაკაცსა.

კთ. კ ა რ ი ო ც დ ა ც ხ რ ა: ყმაწვილის გაზდისა. თუ დედაკაცსა უშვილობას სწამობდეს.

ლ. კ ა რ ი ო ც დ ა ა თ ი: დედათა წესისა.

[ლა]. კ ა რ ი ო ც დ ა მ ე თ ე რ თ მ ე ტ ე: წესისა უკუდგომისა.

[ლბ]. კ ა რ ი ო ც დ ა თ ო რ მ ე ტ ი: თუ დედაკაცსა რძე და-

20 აკლდებოდეს.

ლგ. კ ა რ ი ო ც დ ა ც ა მ ე ტ ი: საშობოსა შიგან თუ სიმსივნე დაემართოს.

ლდ. კ ა რ ი ო ც დ ა თ ო თ ხ მ ე ტ ი: ისთინაყი რომე ჰქვიან საშოსა.

ლე. კ ა რ ი ო ც დ ა ხ უ თ მ ე ტ ი: კაცი რომ ცოლთან ვერ დაწვებოდეს სენისაგან.

ა. სნეულსა ზედა რომ აქიმი მივიდეს მისი მოკითხვა რაგვარად უნდა, დიდხანი უნდა დაიყოვნოს ჯდომა და თუ არა. საჭმელი ითხოვოს მისი და (გაიგოს) პირშიგა გემო როგორა აქუს მისი.

აწე როგორაცა აქიმი სხეულსა ზედა მივიდეს პირველად ესე

30 ჰკითხოს, ვითა პირშიგან გემო როგორი გაქუსო. თუ ასრე თქუას ტკბილი მიცო, იცოდი რომე სისხლისაგან არის. თუ ძალიანად იყოს ხელი გაუხსენ და თვარა უნაბის შარბათი შეუწყევ, რომე სისხლი დააწყნაროს. და ანუ კოტოში მოჰკიდოს,

თუ ასრე თქუას მწარედ მაქსო, იცოდე ზაფრისაგან. არის, სუბუქად გასახსნელი მიეც რომე ზაფრა გაიღოს. საჭმელი გრილი და ნედლი შეუწყევით როგორაცა დაგვიწერია:

თუ ასრე თქუას მომჟაოდ მაქუსო, იცოდი რომე სევდისაგან არი, მას მხურვალი და რბილი საჭმელი შეუწყევით, და ასეთი გა-

4

სახსნელი მიეცით, ამათი ნიშანი და წამლები ყუელა ცალკ ცალკე დაგვიწერია დაცდილი არის — ბრძენთა და ფილასოფოსთაგან.

ესე უ ს წ ო რ ო¹ კ ა რ ა ბ ა დ ი ნ ი მრავალგვარად ჰირნახული არის და სნეულიცა მრავალი მოურჩენია, დიდთა სენთაგან დამბიმებული. ასეთი მარგებელი წამლები დაგვიწერია, რომე სევდა გაიღოს

თუ ასრე თქუას მომლაშოდ და უგემურად მაქუსო, იცოდი რომე მლაშესა ბალღამისაგან არის, და მას მსურვალი და ხმელი საჭმელი შეუწყევით. და თუ ძალი ჰქონდეს ასეთი გასახსნელი წამალი მიეცი, რომე გაიღოს ბალღამი.

10 თუ სნეულთანა აქიმი მივიდეს დიდსა ხანსა ნუ დაჯდების, ამისთვის რომე, მისი სული ეცემის, გარდახვევისაგან საშიშარი არის. ასთენიერთსა ხანსა დაჯდე რომე მისისა სნეულისა ამბავი შეიტყო თუ წამალი მიეცემის, თუ არა. რა უნდა და რა არ უნდა საჭმელი, სასმელი, ყუელა კარგად გასინჯე.

ბევრი აქიმი. ასეთი იქნების რომე, ვინც სნეულის შემნახავი არის მას ჰკითხავს, და სნეულიცა გაიკითხოს, და მან შეიგნოს სნეულისა ამბავი.

ბევრი აქიმი იქნების მაჯითა და ქარულითა შეატყოს სნეულსა და იქნების ანუ სნებისაგან და ანუ ყვანისაგან ავი სული უდიოდეს,

20 და ის სული ეცეს აქიმსა, გარდაეხვიოს მას, სიფრთხილე უნდა. ერთობ ახლოს ნუ მიუჯდები. შორს დაჯე რომე სული არ გაეცეს, აგ-

რე შეეკითხე. დიდსა ხანსა ნუ დაიყოვნი, ადრე ადგე.

თუ ავის ჟამისა ავადმყოფი იყოს, და ყვავილობა და ნაზლა იყოს მოიჭირვე რომე შიგნით წამალი არა უყორა, გარედადმე უყავ რასაცა უზემდე წამალსა, დია მისთანასა სნეულობასა შიგა.

რომელსაცა სახლშიგან ისი იწვეს შენ ნუ დასდგები და ნურცა დასწვები, და რაცა მათ ეჭამოს საჭმელი, მისსა ნაჭამსა თქუენ ნუ სჭამთ, თვარემ საშიშარი არის. ნურცა მათითა ჭურჭლითა წყალსა სვამთ, რომლითა სნეული სმირეს: ესე რაცა სენი დაგვიწერია, იმა 30 ავადმყოფისა ნაჭამსა და ნასვამსა ვინცა სვამს და სვამს მათ გარდაეხვევის.

იცოდი თუ ნაზლა სჭირდეს და ანუ თავქედი და ვარამი და ყუავილი და ავის ჟამისა ნიშანი და ქაშოვეთისა ნიშანი რომე სჭირდეს, და ბარასი, მუნი რომე სჭირდეს, ვისაცა ესე სენი სჭირდეს და მათთანა სჭამოს და სვემდეს მათ გარდაეხვევის.

როგორაცა სნეული გუნებაზედა მოვიდეს, საჭმელი ითხოვოს და ანუ ღვინო, იცოდი რომე კარგი ნიშანია, და ნუ დაუჭირავ, მი-

¹ სწორ უპოვარი — შეუდარებელი, ყველაზე უმჯობესი.

ეც ცოტა. მერმე რაგვარაცა ჭამოს ჰკითხე დააშუნია თუ არა თუ ასრე თქუას დამაშუნდა კარგადაო, სხვაცა მიეცით.

თვარა თქუას ვითა დამაშუნდაო, ნუღარ მისცემ. სნეულსა ძალად ნუ აჭმევ ნურაფერსა. სნეულისა უკეთესიობა იქნება, ისი არის რომე საჭმელი კარგა შეაწყო და რაცა სუბუქი და კარგი იყოს ისი გამოარჩიონ, ისი აჭამონ. და სნეულს დახედნე და კარგად შეიტყო თუ სუსტად იყოს ნურას ფერსა მძიმესა წამალსა ნუ ანდობთ ყურსი და ლოყითა მიეცით, სუბუქი არის და უზიანო. თუ ძალიანად იყოს. მას უფრო ძალიანად მიეცით. მაგრა ერთპირად ნუ მისცემთ. ერთსა 10 დღესა მიეცით მაგრა ათი დრამი, და თუ არა უსაქმოს, მეორესა დღესა ოცი დრამი მიეცით. და თუ არა უსაქმოს მესამესა დღესა ოცდათი დრამი მიეცით სუბუქ სუბუქისა წამლისაგან, თარანგუბინისაგან ან შირიხიშტისაგან.

ნიშანი თუ ოთხისა ნივთისაგან რომელი დამეტებული იყოს კაცსა შიგა, ამა ნიშნითა ცან, ზ ა ფ რ ა რომელ არს ყვითელი, და გემო მისი მწარე. ს ე ვ დ ა რომელ არს შავი ბალღამი, და გემო მისი მჭახე და მჟავე, ს ი ს ხ ლ ი რომელ იქნების წითელი, და გემო მისი ტკბილი. ბ ა ლ ღ ა მ ი რომელი იქნების თეთრი, და გემო მისი მლაშე.

20 აწ ასრე იცოდით: თუ პირი უმწარდებოდეს და სწყურდებოდეს, იცოდი რომე ზ ა ფ რ ი ს ა გ ა ნ არის და ზაფრა დამეტებულა, მას გასახსნელი წამალი უნდა, ასრე რომე აიღე: ხუთი მიტყალი თარანგვიბინი და ხუთი თაბრინდი და თუ უნდოდეს ერთი დანგი საყმუნია გაურვივე და თბილის წყლითა გაწურეთ და შეასვით, ზაფრას დააწყნარებს და გამოიღებს თუ სუსტად იყოს ან სნება სჭირდეს საყმუნისა ნუ გაურევთ და ისი სხვა ორი წამალი გაურვიეთ ერთმანერთსა და შეასვით. საჭმელი ყუელა გრილი და ნედლი შეუწყევით.

და თუ ნახოთ კაცისა ბაგენი წითლად, პირშიგან გემო ტკბი-
30 ლად¹ იყოს იცოდი, რომე ს ი ს ხ ლ ი ს ა გ ა ნ არის. მას თუ ძალი
ჰქონდეს ხელი გაუხსენ და უნაბისა შარბათი ასვი, მერმე უნაბიცა
კარგია რომე ჰამოს. და. საჭამადი ტკბილითა და ოსპითა შეუწყვევით
და საჭმელი [რაც] გრილი და ხმელი იყოს, ის აჭამეთ.

თუ ნახოთ სნეულსა ბაგენი მწვანედდა პირშიგან გემო მოცემით
იყოს, იცოდი რომე ს ე ვ დ ი ს ა გ ა ნ და სიხმელისა ნიშანი არის, ესე
წამალი უშველის, აილე: შავი ალილა დანაყილი, გაცრილი ორმოც-
დაათი დრამი და შაქარი ოცდაათი დრამი, ზანჯაბილი სამი დრამი,

¹ სწერია „თბილად“.

6

თეთრი საკმელი სამი დრამი, დანაყე და გაცერი და ერთმანეთშიგა
გაურივე, და თაფლითა მაჯუნად შექენ და შეინახე და რა მოგინდეს
მიეც ერთის ნიგუზის ოდენი, შეასვი და უშველის ღ~თითა. საჭმელი
მხურვალი და რბილი შეუწყვევით.

თუ ბ ა ლ დ მ ი ს ა გ ა ნ იყოს, მისი ნიშანი ესე იყოს, რომე ბაგენი
გაუთეთრდეს და პირისა გემო გაუმლაშდეს, ლეგმატად და უგემურად
იყოს. რა ეს ნიშანი ნახო, იცოდი რომე ბალღმისაგან არის და სტო-
მაქისა სიგრილისაგან იქნების. მას ბალღმისა წამალი მიეც გასახსნელი
და ზედაცა ამოაღებინე. და საჭმელი მხურვალი და ხმელი შეუწყვევით,

აი-

10 ლე: ზანჯაფილი, თურბითი და შაქარი ერთმანერთისა ოდენი დანაყე,
გაცერ, და რა მოგინდეს იხმარე და მიეც ორი დრამი თბილითა
წყლითა. საჭმელითა ამას ზემოთსა კარშია, შეუწყვევით, სევდისათვის
რომე სწერია. ცივსა წყალსა ნუ სვამს ბალღმიანი კაცი, მეტად ზა-
მთრის. ცოტა ცოტასა ღვინოსა სმიდეს და გაზარბასა და თაფლ-
წყალსა სმიდეს. მაწონსა ნუ სწამს.

თუ კაცსა ს ი ს ხ ლ ი სჭარბობდეს ტყემლისა შარბათი, შირხი-
შტი, თაბრი ინდი, ხიარი ჩამბრისა გული. თუ შირხიშტი არ იყოს
თარან გუბინი ქენით. თუ კაცი ძალიანი იყოს თვითოსაგან ათათი
დრამი, თუ არა, სუსტი იყოს შვიდშვიდი დრამი ამა ტყემლისა შარ-
20 ბათითა შეასვი. თუ ამა კაცსა რომე სისხლი სჭარბობდეს, იმას მუ-
ცელი რბილად ჰქონდეს ბროწეულის შარაბი სიქან გუბინითა გაუ-
რიე და შეასვი. ანუ ტუტისა შარაბი, ანუ რევაჯისა შარაბი და უშ-
ველოს ღ~თითა.

თუ სნეულსა ს ა ფ რ ა სჭარბობდეს აილე ყვითლის ალილას
წყალი და ია, სინჯიტი ფშატსა ჰქვიან, გავალო ესე ერთმანერთსა
შიგა მოადულე მერმე გამოწურე, ხიარი შამბრის გული, თაბრინდი,
თარანგუბინი თვითოსაგან შვიდშვიდი დრამი იმა წყალშიგან დაალ-
ბე, გამოწურე და შეასვი ანუ სილთა წყალი და ქასნის წყალი ჯუ-
ლაბითა და შირხიშტითა შეასვი. თუ ამის კაცსა მუცელი რბილი
30 ჰქონდეს ოთხი დრამი ყვითელი ალილა სიქანგუბინითა შეასვი და
შეჰკრავს და უშველის ღ~თითა.

თუ ს ე ვ დ ა სჭარბობდეს აილე შავი ალილა აფთიონი ბასვაიჯ,
ალილა ქაბული თვითოსაგან ხუთხუთი დრამი. ოცი დრამი ჩამიჩი,
ოცდათი მარცვალი სინჯიტი-ფშატსა ჰქვიან, ორის ლიტრის წყლით

მოადუღე ყუელა მანამდი ადუღე, სანამდი სამოც დრამად მიიყაროს მაშინ გაწურე, ოცდათი დრამი ჯულაბი გაურვივე და შუა გაყავ ორად, ორსა დღესა შეასვი. იმავე დღესა რომე ესე შეასვა ერთი უკია ნუშის ზეთი შეასვი.

თუ ბ ა ლ დ ა მ ი სჭარბობდეს, აიღე ყარიყონი და თურბითი თვითოსაგან ოროლი დანგი, საყანუნი, ფარფიონი, საბრამი თვითოსაგან თვითო დანგი. ნახევარი ესე დანაყე და აიღე დრანგობილი ათი დრამი დაალბე და ესე წამლები შეიგროვე და შეასვი თბილ-თბილი.

თუ ერთობ ბ ა ლ დ ა მ ი სჭარბობდეს აიღე აბი მუშვი, მიეც იმავე წესითა რომე აბებიშიგან სწერია ეს ყუელა რაც გვითქუამს სტომაქს გამოსწმენდს და ბალღამსა დაჰკარგავს შეწეენითა ღთ~ისათა.

აწე ერთპირად დავიწყოთ და დავსწერნეთ ოთხივე ნივთთა 10 შენთა ნიშანი და გუნებანი ს ი ს ხ ლ ი ს ა , ზ ა ფ რ ი ს ა , ¹ ს ე ვ დ ი ს ა და ბ ა ლ დ მ ი ს ა .

სენნი ს ი ს ხ ლ ი ს ა ნ ი ესე არიან რომელს შეიქნებიან, თვალთა ტკივილი წითლად და ზედა ცრემლის დენა და ქავილი, მღიერი და თავის ტკივილი წინას კერძოსა. თვალის გუგა მოწითანო, კილოთა და ქუთუთოთა მღიერი და ქავილი. აკორჩხვა ხორცთა რომელ არს აბორცვა, კბილთა შეძურა, ფრჩხილთა ტკივილი, გულისა დაბნელება იჩქითად ბრუსა ² დასხმა, ხუელა და სისხლის ამოტანება და ცხვირთა სისხლის დენა, ქავილი ხორცთა და გაწითლება, ნახე მაჯაში კაცსა, შეხედენ კარურასა მისსა და გაიგონე ნიშანი ესეველ-20 თა, სისხლისა არის ნიშანი ესე.

და თუ კ უ ე რ ც ხ ი ს გ უ ლ ი ს ა ნ ა ღ უ ლ ი ს ა გ ა ნ (ზაფრა) შეემთხვიოს ნიშანი მისი ესე არს, თვალთა ტკივილი, უცრემლოთ მოწითანე. სსვილი ხორცთა, ნებთა და ტერფთა ქავილი და დასქდომა, სიმხურვალე თავისა, თავქედი ძნელი, ხორცთა რაცა გამოეცეს, კოლინჯი ფიცხელი, მღიერი და ცხრო დიად ძვალთა შექსოვილი. ხორცთა სიყუითლე და თვალთა, თმათა დაშლა, ხმელი ხუელა , ტკივილი თავისა უკანასა კერძსა. ო დ ე ს ესე ვითარნი ნიშანნი ნახნეს იცოდი რომე, კვერცხის გული ნაღველი ბალღმისაგან განყოფილა.

30 და რომელი ს ე ვ დ ი ს ა გ ა ნ შეემთხვიოს ესე არის ნიშანი ფაწალისა ტკივილი და თვალთა დაბნელება, გულისა ძგერა, ბავასირი, ძნელი ხუელა, შავი წყალი, მარცხენის კერძისს თავისა და თვალის ტკივილი, ვასვასა რომელ არს სიცოფე და სხვანიცა რამე უცხონი და საკურველნი საღმობანი და ტიფნი მრავალგვარნი ეშმაკურნი, რომელთა არა ჯერაარს თქმა. თუ ლამი ცნობასა ამის კარურასა და მაჯასა თანა მიეც და მიხვდე.

¹ სწერია „ზედა ფერისა“.

² სწერია „ბურსა“.

არიან: კაცი უმიზეზოთ გახმების, შეემთხვევის ხმელი გონჯაობა და სიმსივნე ადგილ ადგილ, მუცლის ტეხა ხმელი ტკივილი საჯდომისა და იჩქითად სიკუდილი. ესე მით წაეკიდების ბალღამი აფოფინდების და ვით ნისლი ყიასა ზედათ მოექცევის, სასულთა ძარღუთა შეიპყრობს და კაცი მოკუდების. ამა სენებისა წამლები ამ ზემოსა კარშიგან დაგვიწერია ნებითა ღთისათა.

კარი პირველი. მაჯაშე ნახვა და შეტყობა. რაჟამს მაჯაშე და კარურა ნახოს აქიმმან ესე მართებს: პირველად მაჯაში და კარურა 10 ნახოს და შეიტყოს ამა ოთხთა ნივთთა ნებისაგან რომელი დამეტებულა, სადა მანამდის ¹ მართალი არა შეიტყოს მანამდი წამალს ნუ მისცემს თვარა საფათერაკო არის, რაჟამს მართალზედა დასდგეს მაშინ უყოს წამალი, რაჟამს მაჯასა და კარურასა შეატყობს და სენსა იცნობს მაშინ გაადვილდების, და რაცა გირჩევნია იმას იქ.

პირველად ნახვა ასრე უნდა მაჯაშისა რომე ოთხივე თითი ზედა დასდვა ნურცა ერთობ დააჭირებ და ნურცა სუსტადა დაიჭირავ, წესიერად დაიჭირებ ნახე და კარგად გუნება მიეც. თუ სცემდეს თითთა, შენთა ქვეშე სავსედ, მსხვილად და ძალიანად და ჩქარად, იცოდი რომე სისხლი დასჭარბებია. ჩქარად და ძალიანად ცემა სიმხურვალის ნიშანი არის. სისხო და სისავსე სიხედლის ნიშანი არის და ეგრეცა არის, სისხლი მხურვალე და ნედლი არის.

თუ სცემდეს თითთა შენთა ქვეშე წურიალად, მალემალედ და ჩქარად და ძარღვი გაზიდული იყოს იცოდი კვერცხის გული ნავლუელი დამეტებულა. მალეთ და ჩქარად ცემა სიმხურვალესა მოასწავება და სისუსტე და გაზიდულობა სინედლესა და მოასწავება და სიწლო და გაზრდილობა სიხმელესა. და ეგრეცა არის კვერცხია გული ნავლუელი მხურვალი და ხმელი არის, საჭმელისა შეტყობა ამავე ქვემო კარაულშია სწერია.

თუ სცემდეს ძარღვი ² თითთა შენთა ქვეშე წურიალად და გვიან და სუსტად და გაზიდული იყოს ძარღვი დიდი, იცოდი რომე შავი ბალღამი დამეტებულა, სისუსტე და გვიან ცემა სიგრილისა ნიშანი არს. და სიწლო და გაზიდულობა სიხმელისა ნიშანი არს. და აგრე არის შავი ნალველი გრილი და ხმელი არის და საჭმლის შეტყობა ამას ქვემო კარაულშია სწერია.

თუ სცემდეს ძარღვი თითთა შენთა ქვეშე სავსედ და მსხვი-

¹ სწერია „ნესტი“.

² სწერია. „მარადის“.

ლად, და ობილად და გუიანად იცოდი ბალღამი დასჭარბებია. სისავსე და სისხო სიგრილის ნიშანი არის. გვიან და გვიან ცემა და სისუსტე, სინედლის ნიშანი არის და ეგრეცა არის ბალღამი გრილი და ნედლი არის. და საჭამადისა შეტყობა ამას ქვემო კარაულშია სწერია.

და თუ იარებოდეს მაჯა თითთა ქვეშე არცა წურიალად, არცა მსხვილად სავსედ და შუა სწორად სცემდეს და ხანდახან თითთა ქვეშე გამაგრებოდეს იცოდი რომე სისხლი და კვერცხის გული ნალველი შეერთებულ არს და ისი რომე ზოგჯერ მკურთხედ ეცემის- 10 სინოტისა არის.

თ უ იარებოდეს მაჯა არცა დია ჩქარად, არცა დია ძალიანად არცა დია სუსტად იცოდი რომე სევდა და ზაფრა შეერთებულან.

თ უ ნახო მაჯა შუა იყოს, ჩქარად, არცა გვიან და არცა წუ-
ირლად და სწორად და ნელად სცემდეს, იცოდი რომე კვერცხის
გული ნავდელი და ბალდამი შეერთებულ არს. სიხმელე და სიმხურ-
ვალე, ზაფრისა სინედლე და სიგრილე ესე ორივე ერთმანერთსა შეერ-
თებულა და დიდისა სიმრთელისა ნიშანი არის.

თ უ სცემდეს მაჯა მარჯვენისა ხელისა ჩქარად და წურილად,
დასცხრეს და კიდევ ფეთქდეს და დაცხრეს დიდსა ხანსა ამას ქურ-
20 ციკისა ხლტომა ჰქვიან და, სიკვდილისა ნიშანი არის.

თ უ სხვილი იყოს და ესრე სახედ ფეთქდეს ვითარცა ზემო
სწერია იმას ზ ი ბ ა ნ ჰქვიან ესეცა სიკუდილისა ნიშანი არის.

თ უ ღრმად ძარღუსა ქვეშე სცემდეს, ჰფეთქდეს და ფეთქა
ამოვიდოდეს მალა და რაგვარაცა ზე ამოვიდეს დასცხრეს და
კიდევ ასრე ფეთქდეს ამას მ ა რ ტ ო ჰქვიან, სიკუდილისა ნიშანი არის.

თ უ მაჯა ვითარცა ჭია ანუ ჭინჭველი ძურებოდეს ესეცა სი-
კუდილისა ნიშანი არის. მსწრაფლ ამას ჭინჭუელისა ძურომა ჰქვიან.

თ უ ნახო ძარღვი თითთა შენთა ქვეშე, ამით ნიშნითა განახე,
რომლისა ნიშანსა უფრო მახლობელ არს და ამას მიაშზგავსე და გა-
30 მოიკითხე ყოფა, დგომა, ჯდომა, ჭამა და წოლა.

თ უ ანაზდათ ერბინოს ან შემრულიყოს, ცხენითა იყოს მაშინ
ძარღვის ცემა ფიცხლად და სავსედ იყოს სისხლისა მსგავსი იყოს.

თ უ იყოს მარცხენისაგან არის კისკასი და შეკრბული. თ უ
იყოს უძლურებისაგან, იყოს მალე. თ უ იყოს ფრიადისა ჭამისა და
სმისაგან იყოს მსგავსი სისხლისა და თელგმისა. სავსედ და გვიანად
ცემა თუ იყოს დიდისა ჭამისა და სმისაგან იყოს.

თ უ მთურალობით, მგზავსი სისხლისა და შავისა ნალულისა
იყოს. თ უ იყოს მხურვალთა საჭამადთა ქამითა შინა, გინა თუ ესე

10

ვითარი იყოს ესე სუსტია და კისკასი რამეთუ აღიმურის კუეოცხის
გულისა ნავდელი.

თ უ იყოს დიაცსა თანა მისულითა, იყოს კისკასი და ფოლხე
რამეთუ დაკლებია ძალი თუ შეიპყრა მარჯვენა ხელი მარჯვენითა-
ხელითა გაისწორენ თითნი შენნი და მიახვედრენ ნეკსა საქციელთა
და ცან რომელსა თითსა ქვეშე უფიცხე იყოს, შეიგენ ვითა სისხლია.

თ უ ნეკსა შედეგსა უფიცხე იყოს კუერცხის გულისა არის. თუ
მან ორთა უფიცხე იყოს თელგმა არის.

თ უ კაცი მთელი იყოს და წინა ნეკსა ქვეშე ოდენ სცემოდეს,
10 იყოს მალე ცან ვითა დიაცსა მიახლებულ არს. თუ წინა უკანა, ოთხ-
თავე თითთა ქვეშე შეკრებულად სცემდეს სწორად იცოდი ქალ-
წული არის.

თ უ ნეკსა ქვეშე უსხო სცემდეს და მათ ორთა თითთა ქვეშე
ულბოა, არა ქალწული არის ქმრის ცოლი იყოს და გასწორებული
იყოს წინა უკანა, ვითა ქალწულისა ცან, ვითა უძღები არის.

თ უ სიღრუვე შეიგნე თითთა ქვეშე ცან ქალი არის მუცელსა
შინა. თუ ძარღვისა გული სავსედ იყოს და იმიერ და ამიერ ცარი-
ელად იყოს წყლითა უძღები არის.

თუ დიაცსა ხელსა უნახვიდე გრძლად ნუ გაუტეობ, ვირე გუ-
20 ნება არ დასწყნარდეს. უცხოსა ხელისა მიყოფითა გონება შეეშლების
ძარღვი აშფოთდების სირცხვილითა, და აცალე დაწყნაოებამდის და
მაშინ უნახე მაჯა დედაკაცსა.

თუ დედაკაცი ორსულად იყოს დაუდეგ პირდაპირ და უხმენ
რომე შენკენ წამოვიდეს, თუ უწინა მარჯვენა ფერხი წამოდგას ვა-
ჟითა არის ორსული, თუ მარცხენა ფერხი წამოდგას ქალითა
არის ორსული.

ბ. მეტყუება და ნახვა ყოვლისა ფერისა კარულისა. აწ კა-
რულა მოგახსენოთ ასეთი უნდა ჭიქა რომე ძირი კუერცხსა ვითა
იყოს და პირი ფართო და თეთრი, და წმინდა, ბუმტსა ვითა შექ-
30 ნილი იყოს, და კარგად გარცხილი. ა ს რ ე უნდა რომე დაიჭირო
ფსელი წმინდითა ჭიქითა და დასდგა ცოტასა ხანსა.

იცოდი ყუითელი ფსელი სამფერი არის: ერთი ბზის ფერი
არის, ერთი ზაფრანის ფერი არის, ერთი თრუნჯის ფერი არის. სამივე
ფერი უქა, ბ ა გ რ ა ტ ს და გ ა ლ ი ა ნ ო ს ზ ს ზომისა სიმხურვალისა
ნიშანი არის, არცა დამეტებულ არის და არცა დაკლებული. სიმხურ-
ვალისა და სიმრავლესა და სიმრთელისა ნიშანი არის.

თუ ამა ფერისა უქვე იყოს, ავად მქოფისა ნიშანი არის ასრე
რომე ცეცხლსა რა წაუვა სიმხურვალე დამოტების, აგრევე კაცს

11

რა სიმხურვალე დააკლდების, დასენიანდების. რა წყალი ნახო სნე-
ულისა ჭიქითა, გაშინჯე თუ წითელი და სქელი იყოს იცოდი სისხ-
ლისაგან არის, სისხლი მხურვალე და ნედლი არის, მას სისხლისა
გამომვება კარგად მოხდების და საჭმელი ოსპითა და ტკბილითა
ბროწეულითა შეუწყევით და შარბათსა უნაბისა ასმევდით. რაცა
გრილი და ხმელი იყოს იმას აჭმევდით.

თუ წითელი, იყოს თხელი და წმინდა, კუერცხისა გულისა ნა-
ლულისა და ბალღამისა ნიშანია რომელ არს საფრა. მას გრილი და
ნედლი საჭმელი უნდა ქერის კორკოტითა, და ესე გასახსნელი წამა-
10 ლი მიეც აიღე: ხუთი მიტყალი თარან გუბინი, ხუთი მიტყალი თა-
ბრი ინდი დაალბეთ თბილის წყლითა და გამოწურე და შეასვი. და
თუ ძალი ჰქონდეს ერთი დანგი საყმუნია გაურვივე. თუ ანუ ძალი
აკლდეს და ანუ სნებით იყოს საყმუნისა ნუ გაურევე.

თუ თეთრი იყოს და წმინდა შავისა ნავლელისა ნიშანი(ა) რო-
მელ არს სევდა გრილი და ხმელი. მას საჭმელი მხურვალე და ნედ-
ლი უნდა სახსნილო; ჩიტო, ტრედის ხუნდი, ცოტა ცხურის ხორცი
ხარშოთ შექნილი სანანებლითა, პილპილითა, ქონდრითა და ძირათა
მარხვაშია მუკაშარი და ხვარბლის კორკოტი, იმავე სანხელებითა. და
ესე წამალი ქენ: აიღე შავი ალილა ორმოცდათი დრამი შაქარი ორ-
20 მოცდათი დრამი, ზანჯაფილი სამი დრამი, თეთრი საკმელი სამი
დრამი დანაყე გაცერ და თაფლითა მაჯუნე შექენ, რა მოგინდეს
მიეც ნიგუხის ოდენი და უშველის.

და თუ იყოს ფსელი თეთრი და სქელი თელგმისა ნიშანი არ-
ის, რომელ არს ბალღამი გრილი და ნედლი. სითეთრე წყლისა სი-
გრილისა ნიშანი არის და სისქე სინოტიისა, და ეგრევე არის ბალ-
ღამი გრილი და ნედლი. საჭმელი ყველა მხურვალე უნდა და ხმელი

და ისე შეუწყევით რომე ზემო სევდისათვის სწერია. და ბალღმისა წამალი მიეც გასახსნელი. აიღე: ზანჯაფილი, თურბუთი და შაქარი-ერთმანერთის ოდენი დანაყე გაცერ, შეინახე და რა მოგიინდეს მიეც 30 თაფლითა წყლითა. და ბალღმიანი კაცი ზამთრის ცივსა წყპლსა ერიდოს და ცოტა ცოტასა ღვინოსა სმიდეს.

თუ ნახო წყალი წითლად ანუ კუერცხის გულად და ქუშე თხლე თეთრი იყოს, სნეულისა გამთელეებისა ნიშანია.

თუ ნახო წყალი თეთრი და შუა მკედივითა იყოს, იცოდი რომე სენი გაუგრძელდების. თუ დღივ და დღივ ისი მკედივითა იკლებდეს კარგისა ნიშანია, და თუ იმატებდეს სიკუდილისა ნიშანი არის.

თუ ნახო წყალი თეთრად და შიგნით ღრუბელსავითა დავჭრი-ლი იყოს იცოდი ქარისაგან არის.

12

თუ იყოს წყალი იისფერი იცოდი მუცლის ხსნილობისაგან არის.

თუ ცეცხლის ფერი: იყოს ისი ცხელისაგან არის.

თუ ნისლის ფერი იყოს და ფერი შავად დასცემდეს ბოვასი-ლისაგან არის.

თუ კუერცხის გულად და სქლად იყოს, ღვიძლისაგან, არის.

თუ თეთრი იყოს და სქელი და თხლეცა თეთრი იყოს და მღუ-რივე ბუშტისაგან არის.

10 თუ ნახო ფსელი შავად და სქელი იყოს სისხლისაგან არის, სი-კუდილისა ნიშანია.

თუ შავად იყოს და თხლად ანუ მწვანედ, იცოდი ნალველი შე-ძრულა, სიკუდილის ნიშანი არის.

თუ ნახო წყალი შავად თხლე წითელი იყოს იცოდი კაცი გა-გონჯდების.

თუ მწვანე იყოს წყალი, თუ ვაჟი იყოს, მოკვდეს მასვე დღესა.

თუ ნახო კუერცხის გულად, იცოდი რომე დიდსა სიმხურვა-ლესა დაუწვავს.

თუ ნახო შავად და სიშავე არა იცვალოს, სიცოფე წაეკიდოს და შესცდების და ცნობა შეეშლების.

20 თუ ნახო წყალი შავი და ზედა ღრუბელი წითელი, ტვინი და-მწვარა და მოკვდების..

თუ იის ფერი იყოს ფსელი, მოწამლული არის და სისხლი და-უწომს. ესეცა იცოდი რომე სენი საჭმელთაგან წაეკიდების. მაგრა ესეცა უნდა რომე შეიტყოს, ფსელისა ფერსა ბევრი რამე შესცულის და ფერად ფერადად შეღებავს ფსელსა. კაცსა რომე სხმარტლი ეჭა-მოს მისი ფსელი შავი იქნების. თუ ხიარი შამბარი შეუსვამს მაში-ნაცა შავი იქნების. თუ საბრი უჭამია, ანუ ზაფრანი, ანუ რევანდი მაშინ ყუითელი იქნების. და რა ინა დაედვას ხელსა და ფეხსა ზედა, მაშინ წითელი იქნების.

თუ წყალი ბევრი ესვას მაშინ თეთრი ექნების ფსელი, თუ მწვანე ეჭამოს მაშინ მწვარე ექნების.

თუ სიგრილისა სენი (სჭირს) სამი არის, რომე ფსელსა დასწ-ვავს და წითლად გადააქცევს. პირველად კოლინჯი ¹ მეორე კბილის ტკივი, მესამე თვალის ტკივილი, ესე სამი სენი რომე სიგრილისაგან

¹ სწერია „ქონინჯი“:

**ფერი გავათავეთ ფსელისა ¹ აწ სული დავიწყით და დავსწე-
როთ.** რა ჟამს ფსელი ნახო და მყრალი სული უდიოდეს, ასრე რომე
ფსლის სულსა არა გვანდეს, ერთობ ნამეტნავად მყრალი იყოს, იცო-
დი რომე ფსლისა გზაშიგა გამოსულია რამე და ფსელსა თანა ბალ-
ლამი აპყუების, რა ამისთანა ნიშანი ნახო ფსელშიგან იცოდი არცა
სიმხურვალე არის, არცა სიხმე. თუ ფსელი შრატსა ჰგვანდეს და ანუ
ფუკასა და თეთრი იყოს, იცოდი რომე ფსელსა ბალლამი ჰყვების.

თუ ფსელი ხორცისა ნარეცხსა პგავს იცოდი რომე ფსელსა სი-
სხლი გარეგია და ღვიძლიცა სტკიოდეს. თუ სნეული წმინდად სი-
10 სხლსა ფსემდეს იცოდი რომე ძარღვი გახსნილა ფსლის გზასა.

თუ ფსელსა ქუეშე მრლუივე იყოს და ჰყუებოდეს ქვიშა საფს-
ლე სტკიოდეს, იცოდი რომელი თირკმელშიგან ქვა არის. თუ საფს-
ლესა ქვიშა ჰყვებოდეს და ძნელად ფსემდეს იცოდი რომე ბუმტში-
გან ქვა იქნების. თუ ფსელი ვირისა ფსელსა ჰგვანდეს იცოდი თავის
ტკივილი სჭირს. თუ ფსელი ზეთის ფერი იყოს და ანუ ქონსავითა
ფსელსა ზედა გამოჩნდეს, იცოდი შიგნით ქონი დამდნარა. თუ ფსე-
ლი თეთრი იყოს და თხელი, სენი შიგნით იქნების და სენი სიცხი-
საგან იყოს, სციოდეს და თრთოდეს და იმა დღესა ასრე იყოს ფერი,
იცოდი რომე სნეულსა ჰკუა შეეცვალოს და ფსელი იმავე ფერისა
20 იყოს, სიკუდილისა ნიშანი არის.

თუ სნეული გამრთელდეს და ფსელი ადრე არ დაწმდეს რო-
გორცა სიმრთელეშიგან ყოფილა, იცოდი რომე სენი გაგრძელდების
და მერმე კიდევე გარე შეაქცევს.

თუ ფსელი რძესა ჰგვანდეს ანუ სამყსა, იგიცა ავისა ნიშანია.
თუ სენი კაცსა შიგნით იყოს და ფსელი დოსა ჰგუანდეს და სენისა
სიმხურვალე არა გამრთელდეს, ისი სნეული ადრე მოკუდეს.

თუ ცოტა სიმხურვალე, და ფსელი დოსა ჰგვანდეს და სნეული
ბნდებოდეს, და თუ მაგა ერთსა ზედა დადგეს და არ შეიცვალოს
ფსელი, სენი შიგნითით არის და სენი გაგრძელდეს.

30 თუ ფსელსა თეთრი ქვიშა ჰყვებოდეს, იცოდი რომე ქვა ბუმტ-
შიგან არის. თუ წითელი ქვიშა და ანუ ყუითელი ჰყუებოდეს, იცოდი
ქვა თირკმელშიგან არის. თუ ფსელსა მრავალი ფერად ფერადი რამე
პყუებოდეს, აქიმი მეცნიერი და ფრთხილი უნდა რომე შეიტყოს.

რა ოდენ ნახო ფსელსა რომე თეთრი თმავითა ჰყუებოდეს, იც-
ოდი რომე ტკივილი გაუგრძელდეს. თუ ფსელსა შიგა რამე ეწუდე-
ბოდეს რასუბა, და. რა ჭიქაშიგან ჩაასხან რომე შუაგულსა თავსა

¹ სწერია „თესლისა“

მოვიდეს რომე დარჩეს, რომე ძირსა ჩაჯდეს, აქიმისა სიბრძნე ჰკუა
და სიფრთხილე ამაზედა გამოჩნდების რომე მართალზედა იცნას. და
ყუელასაგან უკეთესი ის არის რომე, თეთრი იყოს და ანუ ვარდის

წყალსა გვანდეს და ისი ჭიქასა ძირსა ჩაჯდეს და თხელი იყოს რუსუბი და ბევრსა დღესა გამოჩნდეს და ზედა ზედ, ფსელი ჭიქისა ძირსა თურინჯის ფერი იყოს და ჩნდეს და არცა თხელი იყოს და არცა სქელი, რა ესე ნახო იცოდი რომე, კარგისა ნიშანი არის და სნეული გამრთელდეს. როდესაცა მაგისთანა ნიშანი შუა გულსა ეკიდოს, კარგისა ნიშანია და იცოდი რომე ტკივილისა ნახევარი წასულა და ნახევარი დარჩომილა.

თუ ჭიქისა თავსა იყოს ეგე ნიშანი იცოდი კარგისა და სიცოცხლისა ნიშანია და ყოველსა ფერსა რუსუბასა თეთრი სჯობს.

თუ რუსუბი წითელია, კარგია, მაგრამ ტკივილსა გააგრძელებს. თუ რუსუბი ყუითელია არ არის კარგი და ყუთელსა უვარე არის მწვანე. მწვანესა და უვარეს შავი არის. და იმასთანა ავი რუსუბი რაზომცა ჭიქისა თავსა გამოჩნდეს ისი სჯობს შუვასა, და შუვა სჯობს იმას რომე ძირსა ჩაჯდეს. ძირსა რომელი ჩაჯდეს, იცოდი რომე სიკუდილი მოახლებულა და რა შუა გულსა დადგეს სიკუდილისა ნახევარსა მოახლებულა. თუ თავსა ზედა გავიდეს ნიშანი, იცოდი რომე კარგისა ნიშანია და გამართლდეს ლ~თითა.

თუ შავსა და თეთრსა შუა იყოს რუსუბი, თუ მეტი თეთრისაკენ იყოს კარგია თუ შავისაკენ იყოს მეტი, ავია და რაცა კაცი ავად გახდეს და პირველად ნახო ფსელი კარგი იყოს და რა დღენი გამოვიდენ და ფსელი უკეთესი იყოს კარგი არის. იმას რომე ავად გახდეს პირველად რომე კარგი იყოს ფსელი და რა დღენი გამოვიდენ ავი იყოს, ავი ნიშანია ესე.

თუ სნეული ცოტასა ხანსა წოლილიყოს და ფსელსა შიგა რუსუბი არა გამოჩნდეს, თუ გამოჩნდეს ცოტა, ავი არის. და რა ფსელი ნახო მაჯა თანა დაიჭირე მოწმად და თუ ჭიქასა ფერი და ნიშანი ავი იყოს, მაჯა კარგი და ძრიელი იყოს, იმედსა იმისას ნუ გარდასწყუეტ.

თუ ჭიქა ავი იყოს და მაჯა სუსტი კარგი არ არის და მოკვდების.

ნიშანი ხელთა ბანისა. რა ჟამს სნეული ცისკრისა ნახო ხელნი დაბანენ და ჭიქაშიგა ჩაასხი და მეორესა დღესა ნახე თუ რუსუბი თეთრი და ანუ ყვითლის ფერი იყოს დარჩეს სნეული: თუ თეთრად

15

იყოს წყალი და წმინდა, შიგა თმავითა იყოს მოკუდეს. თუ სისხლივითა წყალშიგა გამოჩნდეს მოკუდეს.

მერმე წყალი შავსა ძაღლსა გარდაასხი თუ გაიბერტყოს დარჩეს სნეული, თვარა მოკუდეს.

ხოლო ხელთა დაბანისა ნიშანი სნეულსა უკეთესი ის არის რომე რბილი იყოს და ცოტა ყვითელი თვარა ერთობ ყვითელი არ უნდა, როგორცა წესია არცა მეტი უნდა და არცა ნაკლები. სიყუითლე რომე მეტი იყოს და უკანა კარი ეწოდეს, ისი ზაფრისა ნიშანია, რომე ზაფრა სჭარბობდეს. და რომელი სტომაქი შეკრას და გარე ნაკლებად გავიდოდეს იმისაგან არის, რომე ტანსა სინედლე მოკლებოდეს და სიცხე მომატებოდეს მუცელშიგან.

თუ ასრე მოიაროს რომე საჭმელი კარგად ვერ მოედნოს სტო-

მაქისა უძღურობითა წაეკიდების. თუ ერთობ რბილად მოიაროს იცოდი რომე ტანსა შიგა დამპალი სენი არის.

თუ მოიაროს და მწოვედ ქარი გავიდოდეს, ისი მისგან იქნების რომე სიმბურვალე საჭმელს დნობა დაჰკლებია ტანისაგან, და იმისთვის არის.

თუ განავალი მწვანე იყოს ან შავი, ანუ მჭუარტლის ფერი, სიკუდილისა ნიშანი არის.

20 და ისეთი განავალი რომე ფერი არა ჰქონდეს იმისგან იქნების რომე ზაფრა ნაწლევისა გზაშიგა არა ჩამოსულიყოს და ნაწლევისა გზაცა შეკრული იყოს.

თუ განავალი ქონსავითა მოსდიოდეს ნიშანია რომე შიგნით ქონი დამდნარა.

თუ კაცმან ცოტა ჭამოს და განავალი დიდი იყოს იცოდი, რომე შიგნით კაცსა რამე დაჰკლებოდეს.

გ. კარი და ნიშანი განავალისა. განავალი რომელი სიმრთელისა ჩუვევებასა ზედა დაჯდებოდეს, არცა დია თხელი იყოს, არცა სქელი, თუ დიდი ექამოს თუ ცოტა ადვილად მოიაროს. ესე ნიშანი

30 წურილად ნაწლევთა სიმრთელისა, დნებისა სისწორისა ნიშანი არის.

თუ განავალი ნედლი იყოს, ანუ ხუნეშით და წყუეტიტ გამოვიდეს კაცისა ავად ყოფისა ნიშანი არის. თუ ამა წესითა ზედა ზედ გავიდოდეს ორთა სენტა ნიშანი არის, ანუ სტომაქი არა შეიწყნარებს, და გვამი საჭამადსა, ანუ ღვიძლმან და ტყირპმან ჩაუშვას ქუე ნაწლევთა შინა, თუ ესე ასრე იყოს კეთილი არის სნეულობისა მისი სათვის და მასვე ჰგავს. და განავალი კუერცხის გული იყოს და არა ყროდეს. და თუ ყროდეს იცოდი რომე კუერცხის გული ნავლელი წმინდა არის. თუ მღურიე იყოს და ნაწლევითა ჩავიდეს, სიმბურვა-

16

ლისა ნიშანი არის. განავალსა თანა თუ აყიროსა ჰყუებოდეს კარგისა ნიშანბა, უკეთუ სურნელობისა ჟამთა მოდნობისათა იყოს. განავალი რომელი რბილად დაზომად იყოს კარგისა ნიშანია. განავალი მცირედ თეთრი იყოს მგლინვარე და შიგნით სიმწვანისა ელვაოება ერიოს, ურვილი არის დიდი.

განავალი წყლისა მგზავსი იყოს იცოდი, რომე არაშეუგებია სტომაქსა სნეულისასა. ამათ ყოველთა უარესი განავალი რომელი სიკუდილისა ნიშანი არის წმინდა შავი, ან ვითარცა სისხლი, მყრადად დიდად.

10 თუ კულა განავალი შეზავებული იყოს გაუგრძელდეს გინა მოკუდეს განავალი ვითარცა წყალი მგლინვარე იყოს ან ვითარცა სისხლი გინა მწვანე ფერი. ესე თუ ყუელანი აღრეულად გამოვიდენ ანუ თვითოს თვითო, სიკუდილისა ნიშანი არის.

ქარი რომელი მუცლით, გამოვიდოდეს უხმოდ, გონა ხმიანად, ყოფასა სჯობს. თუ კულა სნეული ვერა სცნობდეს გასულასა, სნეული, დიდისა ტკივილისა ცნობისა მიღებასა, სიმწნელისა ნიშანი არის.

დ. კარი და ნიშანი ცნობისათვის და შეტყობისათვის. შეტყუებისა შეხედვით ¹ პირსა კაცისასა. რომელს შეხედო პირსა კაცისასა 20 შავად ძლიერი იყოს და ფერი უელვდეს და სხუილ გვამითა ესე კაცი

შავი და ფიცხლად სისხლისა ბუნებასა ზედა დანერგულ არს, და როდეს კაცი შავი და ფიცხლად მზრახი იყოს და ტყავი სქელი და მჭლე, ესე კაცი კუერცხის გულისა ნაველსა ზედა დანერგულია ოდეს კაცი მწყაზარი და უძლურად მძრახი იყოს, მჭლე და ქერქ სქელი ესე კაცი შავსა ნაველსა ზედა დანერგულია. ოდეს შეხედნე კაცსა, მწყაზარსა და უსუსურად მძრახი იყოს ქერქ თხელი, სხვილი ესე თელგმასა ზედა დანერგულია.

ესე ბუნებანი თავად და თავად არიან უკეთუ ორთა გუნებათაგან იყოს განზოგებული ყოფად რომელსაცა მიემგზავსებოდეს მასცა 30 ამგზავსოს. ცნობითა სიკუდილისა, ნიშანი პირსა შეხედვითა, ოდეს შეხედო სნეულსა და [არა] გვანდეს თავისა სახესა, საქმე მისი ძნელი არის.

ცხვირთა დაწლობა სნეულისი ავი არის, თვალნი უკუყრილნი, საფეთქელნი ჩადრეკილნი ყურნი ცივნი და დამჭლობილნი, ყურნი გამოქცეულნი, შუბლისა ტყავნი გარდასხირპულნი, ფიცხელი და უფერო, მწვანე და მოშავე, სიკუდილისა ნიშანია.

¹ სწერია „მეხვევით“

თუ სნეულსა ფერი ასრე გაუხდეს როგორცა ვთქუი, ჰკითხე მუცლისა გახსნა, ანუ ფიცხელი ტკივილი რა ეცა, რომელ პირი ასრე გაუხდა, უკეთუ ამათგანი რამე იყოს ერთ დღე და ერთ ღამე ველოდეთ მოქცევასა. თუ არა მოიქცეს, მაშინ სიკუდილისა ნიშანია. თვალნი გაუთეთრდეს ანუ გაუტრემლიანდეს უმანაკაცოდ, ანუ თეთრსა წითელი ძარღვი, ანუ ცისფერი ანუ შავი ერიოს, ან ხრილი ზედა მოექცეს, ანუ მომღურდეს ანუ დაუღმრდენ და ფერი ეცვალოს, ესე ყუელა სიკუდილისა ნიშანია იცოდი.

თ უ ს ნ ე უ ლ ი პირადმა იდვას ხელნი და ფეხნი გაიწოდნეს 10 ესე ცოტა კეთილი არის.

თ უ ს ნ ე უ ლ ი ხელთა კერძო მიდრკებოდეს და ფერხთაკენ ცორვიდეს, ავი არის.

თუ კულა სიმრთელესა ესრევე მწოლი იყოს, მაშინ ყუელა სიმრთელისა მისისა ნიშანია.

თ უ ს ნ ე უ ლ ს ა ფერხნი სალამურისაგან კიდე ესხნენ და არა ურვიდენ და ყელი და ხელნი წყუილნი მიდრეკილად ესხნეს, ესე ურვილისა ნიშანია სიმხურვალისა.

თ უ ს ნ ე უ ლ ი პირსა იმტკივენებდეს და ეურჩებოდეს პირი სიკუდილისა ნიშანია, თუ მრთელი არა ეგრე ყოფილ იყოს.

20 თ ქ უ ა ბ ა გ რ ა ტ როდეს ნახო სნეულსა პირისა სიმსივნე და არა სტკიოდეს რა. და მარცხენასა ხელსა მკერდსა ზედა იდებდეს მოკუდეს ოცდა სამ დღემდის, იქითგან რომე დასნეულეზულიყოს. რომე დასნეულდეს, ნიშანი ესე იცოდი, ცხვირთა ზედა ზედ იჩრჩნიდეს.

ო დ ე ს სნეულსა ორთავე მუხლთა სიმსივნე შევიდეს იცოდი მოკუდების, რვა დღემდის.

ო დ ე ს ყელითა ძარღუთა სასულესა ზედა მჯდომი გამოვიდეს, ფერი მტვერისა იყოს, იცოდი მოკუდების ოცდა თერთმეტ დღემდის.

ო დ ე ს სნეულსა ენასა ზედა მჯდომი გამოვიდეს ღილის ოდენი,

ბოტყელი და საჭამადსა მხურვალსა ინებებდეს, იცოდი მასვე დღე-30 სა. მოკუდების.

ო დ ე ს თითსა სნეულსა, რომელსაცა მჯდომ გამოუვიდეს მცირე და შავი და სტკიოდეს, იცოდი მოკუდების მეორესა დღესა. ნიშანი ესე და სნეულებისაგან წინა დიდი სიმძიმე წაეკიდოს ტანსა შიგა.

ო დ ე ს სნეულსა მარცხენისა ხელისა ანუ ფერხისა ცერსა მჯდომი გამოვიდეს, მაგარი. მგზავსი ცერცვისა, ფერი არცა თეთრი არცა შავი იყოს და შუა, იცოდი მეექუსესა დღესა მოკუდეს. ნიშანი, მუცლად ხსნილობა იყოს დიდი.

18

ო დ ე ს სნეულსა მარჯვენასა ფერხსა საშუალ მჯდომი გამოვიდეს ფერი არცა წითელი და არცა თეთრი იყოს, იცოდი მოკუდეს თორმეტსა დღესა, ნიშანი ესე საჭამადთა ინებებდეს მწოეთა.

ო დ ე ს სნეულსა ხელის ფრჩხილნი გაუშავდეს და შუბლსა სხუიპელნი წითელნი წურთილ წურთილნი სისხლიანი გამოეცნენ, იცოდი მოკუდეს მეოთხესა დღესა. ნიშანი ცხურისა სცემდეს ხშირად დაამთქნარებდეს.

ო დ ე ს სნეულსა ფერხისა ცერთა ქავილი შეექნას და ფერი ქედისა მისსა უფერულად შექნილიყოს, იცოდი მოკუდეს მეხუთესა 10 დღესა, ნიშანი ესე ხშირად ფსემდეს.

ო დ ე ს სნეულსა ქუთუთოსა ზედა მჯდომი გამოვიდეს ფერმისრული რბილი, იცოდი მოკუდეს მეორესა დღესა. ნიშანი ესე ძილი შეექნას, გაღვიძებისა ღონე არა იყოს.

ო დ ე ს სნეულსა ცხურთა სისხლი სწვეთდეს წითელი და წმინდა და ნებსა მარჯვენასას მჯდომნი გამოვიდეს წურთილნი, თეთრნი და არა სტკიოდეს, იცოდი მოკუდების მესამესა დღესა, ნიშანი არცა სასმელი უნდოდეს და არცა საჭმელი.

ო დ ე ს სნეულსა ბარკალსა მარცხენასა სიწითლე შეექნას და სიგრძე მისი სამი თითი იყოს, იცოდი მოკუდების ოცდახუთსა დღესა 20 ნიშანი ესე იყოს ხორცთა ერთობ იფხანდეს და მხალთა ინებებდეს.

ო დ ე ს სნეულსა მარცხენასა ყურსა უკანით მჯდომნი ავნი წურთილნი გამოუვიდნინ იცოდი მოკუდების მეოთხესა დღესა, მასვე ჟამსა, ოდეს გამოჩენილი იყოს.

ო დ ე ს სნეულსა მარჯვენასა ყურსა უკანით მჯდომი წითელი ცეცხლისა დამწურისა მგზავსი გამოვიდეს ცუერცვის ოდენი, იცოდი მოკუდების მეშვიდესა დღესა, ნიშანი რა დასნეულდეს ანთხეუდეს.

ო დ ე ს კ ა ც ი დასნეულდეს მარჯვენასა ყურსა ზედა მჯდომი გამოუვიდეს და არ სტკიოდეს და იყოს ფერ მისრული, იცოდი მოკუდების მეცხრესა დღესა. ნიშანი ესე ამთქნარებდეს.

30 ო დ ე ს კაცი დასნეულდეს მარცხენასა ღლიასა ქვეშე მჯდომი გამოუვიდეს, უფერული დიდი და რბილი, მოკუდების მეთოთხმეტეს დღესა. ნიშანი ესე არის ერთობ ეძინებოდეს.

ო დ ე ს სნეულსა ერთი თვალი დაუცრდეს ნიშანი ტკივილისა არის. თუ სნეულსა ეხუელდეს და სისხლსა ამოიღებდეს და ღლიასა იტკივებდეს, ნიშანი ტკივილისა არის, თუ სნეულსა ფრჩხილთა ქუ-

ემე მწვანედ იყოს ხორცამდე, ნიშანი ტკივილისა არის.

ო დ ე ს სნეულსა თვალის ძირსა მჯდომი გამოაჯდეს, მარცხენასა თვალსა ქუთუთოსა ქვეშესა ზედა, თეთრი, იცოდი მოკუდების მეთორმეტესა დღესა. ნიშანი საჭამადსა ტკბილსა ინებებდეს.

19

ო დ ე ს კაცი დასნეულდეს და კოჭსა ზედა გამოუვიდეს მრავალი მჯდომი, მოკუდეს ოცდახუთსა დღესა. ნიშანი ესე წინა დასნეულებისა მისისა, ინებებდეს საჭამადსა გრილთა.

ო დ ე ს კაცი დასნეულდეს, მჯდომი გამოაჯდეს ფიცხლად, წითელი, მოკუდეს მეოთხესა დღესა. ნიშანი პირველ დასნეულებისა მისისა იფხანდეს თვალთა. რომელი ხელისა გაღება კიდე არა უნდოდეს.

ო დ ე ს კაცი დასნეულდეს და გამოვიდეს საშუალ თავსა მისსა მჯდომნი ნიგუზისა ოდენი შავი და რბილი და არა სტკიოდეს, იცოდი მოკუდეს ოთხმოცდა ათსა დღესა. ნიშანი წინა დასნეულებისა მისისა ინებებდეს ნესუსა, და ფსელი მისი ცოტა იყოს.

ო დ ე ს კაცი დასნეულდეს და გამოუვიდეს მჯდომი ყელისა მისისა ძირსა და თვალსა მარცხენასა ქუქუთოსა ქვეშესა თეთრი, იცოდი მოკუდების მეთერთმეტესა დღესა. ნიშანი ესე ინებებდეს საჭამადსა ტკბილსა.

ე. კარი და ნიშანი სნეული რომე ფერად ფერადსა სიზმარსა ნახვიდეს, მისი ნიშანი; აქიმი რა სნეულსა ზედა მივიდეს მაჯა და კარულა ნახოს, და პირისაცა გემო, ჰკითხოს რა სიზმარი გეჩვენების, რა არიო, თ უ ე გ რ ე თ ქ ვ ა ს რაცა მეჩვენების წითელი მეჩვენების, იცოდი რომე სისხლისაგან არის, და თუ ესე თქვას ვითა მუტრინი და მამღერალნი მეჩვენებიანო ან სახლნი სინგურითა შეკაზმულნი მეჩვენებიანო ფერად ფერადნიო, იცოდი, რომე სისხლი სჭარბობს ხელი გაუხსენ და შარბათი შეასვი რომე სისხლი დააწყნაროს.

თ უ ა ს რ ე თ ქ ვ ა ს, ვითა ყვითელი ტანისამოსი მეცვაო ანუ წალკოტი ვნახეო და ხილნარიო, და ყუითელი ყუავილი და ხილი ესხაო. ომი ვნახე და ან შუღლიო, ან ომისა იარაღი და ლაშქარი დაჭრილი დაკოდილებული, ესე ყულა ზაფრისა ნიშანი არის და იცოდი რომე ზაფრა სჭარბობს. სუბუქი ზაფრისა გასახსნელი შეუწყევით რომე ზაფრა გარლოს.

30 თ უ ა ს რ ე თ ქ ვ ა ს შავი ტანისამოსი მეცვაო და ან სხვა კაცი ვნახეო, რომე შავი ტანისამოსი ეცვაო, ან მომაჩხო ტანისამოსი ვნახეო, ან ესე თქვას შუბისა აღმები ვნახეო იის ფერი და კუამლი და სიბნელე ვნახეო, ან ესე თქვას ჩემსა გარემემო შაწლი იყოვო, ან დიდი შეყრილობაო გარემემო და შუღლი იყოვო, ანუ ბურანსავითა თუალთა წინა რამე მეჩვენებისო ზარიანი და ფერად ფერადი, იცოდი რომე სევდა სჭარბობს. ასეთი რამე შეუწყევით, რომე სევდა დააწყნაროსო და გაილოსო და მისსა საგებელზედ ასეთი რამე მოაყარე, რომე კარგი სული უდიოდეს.

20

თ უ ა ს რ ე თ ქ უ ა ს მდინარე წყილი ვნახეო ან ცოტა ან დი-

დიო, ან წუიმრიანობა, ან თოვლიო, ან ყინული, ან სეტყუაო, ან ზღვი-
სა პირსა ვიყაო და ზღვაშიგა ვსცურევიდო, იცოდი რომე ბაღ-
მისაგან არის. მხურვალითა და ხმელითა წამლებითა მოიჭირვე რო-
მე ისი ბაღლამი დაჰკარგოს,

ნიშანი თუ რასოდნი ფერად შეტყობა უნდა
სნეულსა. აქიმსა აგრე მართებს რომე სხეულსა მსახურებდეს და
სინჯავდეს ბევრფერად საქმითა:

პირველად რომე პკითხო, მიზეზი სნეულობისა და, ტკი-
10 ვილისა.

მეორედ თუ სნეულობასა უკანის სხვა რასენი გაერთოს.

მესამე ძილი და შეძრვა ტანისა.

მეოთხე ფერი და სახე ტანისა.

მეხუთედ თუ რომელსა დღესა გასულა ავად.

მეექუსედ ცისა ვითარება და ქვეყნისა.

მეშვიდედ ნივთი ოთხისა ნივთისაგან.

მერვედ ისი თემი თუ რომლისა თემისაგან არის.

მეცხრედ კულა როგორი ყოფილა ავად.

მეათედ ძალი და ძლევა სნეულისა.

20 **3. კარი და ნიშანი რა ბურანისა შევიდეს კაცი.** სიკუდილისა
და სიცოცხლისა გარდამწყვეტელი ბურანშიგან არის, და იქნების
რომე პირველსავე ბურანშიგან მოჰკლავს კაცსა. და მრავალი
იქნების რომე პირველსავე ბურანშიგან დარჩეს კაცი, და მრავალი
იქნების რომე უფრო გაგრძელდეს და გამძნელდეს. აწე ამა-
შიგან აქიმი მეცნიერი უნდა რომე იყოს, სიცოცხლისა და სიკუდი-
ლისა (საქმე) ამა დღესა გარდასწყდებისო, ესე იცოდეს. მერმე უკე-
თესი ბურანი ერთი მესამესა არის, ერთი მეხუთესა, ერთი მეექუსესა,
ან მეშვიდესა, ან მეცხრესა, ან მეათთხუთმეტესა გათენდეს და ოც-
დაერთსა დღემდეს ბურანი იქნების, ჯერეთ ოცდამეცხრემდისაც იქ-
30 ნების. მასუკანის ბურანი აღარა იქნების. და რა შიატყო ბურანი
ეცაო ფიცხლად ხელი გაუხსენ და ძალის მიმცემი შარბათი შეუწვე-
ვით, რომე ძალისაგან არა დავარდეს. და ასრე იცოდით ორნი კაც-
ნი მწოედ იბრძოდეს, აგრევე ბურანი და ძალი წაეკიდებიან თუ კაც-
სა ძალი მოერიოს ოფლი გამოუა, მოხარშავს სენისა და ბურანი წა-
ხდება და კაცი დარჩების. და თუ ბურანი მოერიოს მაშინ ძალი
მოკუდების და კაციცა მოკუდების. ამის მეტი აქიმისაგან არა მო-
ეწყობის რა, რომე ასეთი შარბათი შეუწყოს ძალის მიმცემი რომე

ძალი¹ არა დავარდეს და კაცი არ მოკუდეს. ოცდათხუთმეტამდი
და ორმოცამდი ბურანია,

აწ ბურანისა და სნეულისა ნიშანი და ვწეროთ და
ვთქუათ. რა პირველად ბურანი ეცეს კაცს ნახე სნეული ადრე ად-
გებოდეს თუ გვიან, ნახე და გაშინჯე პირველად რა დაწვეს სნეული,
თუ ჩქარად იყოს და ფიცხელა ბრუნვიდეს, სიცხე და ასოს ტკივილი
ერთობ იყოს და მაჯა სრული იყოს, ჩქარად და სწორად სცემდეს
და პირისა ფერი ეცვალოს წითლად და ანუ ყვითლად, პირსა და ან
ხორცთა ზედა დამჰლდეს. თუ ესე სნეულება ნახო, იცოდი რომე
10 სნეულება ფიცხელი და მოკლე იქნების, და თუ სხეული წყნარად

იყოს და სიცხე ცოტა, და მაჯა ცოტად და წყნარად და მძიმედ უცემდეს სნეულს ჰოლოდ არა დამჭლდეს, და არცა ხორცი დააკლდეს, და არცა ძარღვისა ფეთქა დააკლდეს, და რა ეს ნიშან. ნახო, იცოდი რომე სნეულება გაგრძელდეს და გვიანად მოიხარშვის.

აწე სხუა ნიშანი დავსწეროთ სნეულისა შეტყობისა. რომე შეიტყოს აქიმმა ავი და კარგი ნიშანი დახედენ ჰკუითა და კარგად გუნება მიეც, თუ სნეულის კაცისა ფერი მრთელისა კაცისა ფერსა გვანდეს და ტანი მისი კარგა მყოფისას გვანდეს, მყრალი სული არა უდიოდეს, თუ თვალნი არა უკუსცვიოდნენ და ძალზედაცა კარგად იყოს და ძალისაგან არა დავარდნილი იყოს და მაჯა ძალიანად სცემდეს, საუბარი არა შესცლოდეს, ჰკუაზედ არ შეცულილიყოს, ესე ყუელა კარგისა ნიშანი არის. თუ ცხვირიდადმა სისხლი სდიოდეს კარგი ნიშანია.

აწე ავი ნიშანი დავსწეროთ. თუ სნეულსა პირზედა ხელი შემოსდვა ერთკე ცივი ებას და ერთკე ცხელი ავისა ნიშანი არის. თუ ენა უნაზლოდ გამავებოდეს ავისა ნიშანი არის, თუ ენა წითელი ებას სიმხურვალისა და ღუიძლისაგან და მწუედ სწყურდებოდეს ღვიძლიგა სიმხურვალე იყოს, თუ ამაზედ ფსელიცა შავი იყოს ავის ნიშანი არის. თუ სნეული ერთობ დამჭლობილიყოს და ძალისაგან დავარდნწილიყოს და დასუსტებულიყოს, ავი არის. აწ ამაშიგან თუ ქვეითაც გახსნას სრულა, ავის ნიშანი არის. თუ პირი გაუყვითლდეს ავი ნიშანი არის და ენაცა რომე გაუყვითლდეს, ავი სიშანი არის. თუ სნეულმა ესე თქუას სინათლიდადმა სიბნელეშიგა ჩამიყუანეთო ავისა ნიშანი არის. თუ ერთობ საგებელშიგან შფოთავდეს, წამოიჭრებოდეს, ავი ნიშანი არის. თუ თვალ გამოჰყერიოთ იწუვეს და კაცმან დაუჭუხნეს და მან კიდევე გამოაჰყირნეს, ავისა ნიშანი არის. თუ

¹ სწერია „ძილისაგან“.

ცხელეზა დაერთოს ამა სნებაშიგან ავისა ნიშანი არის. თუ ამა ცხელებისა წამლები ქნას და არა უკუეყაროს სიკუდილისა ნიშანია. თუ უკანა კარი გამოუვიდეს ავი ნიშანი არის, თუ ქვეშეთ სისხლმან დაუწყოს დენა ავი ნიშანი არის, ნამეტნავად გაანჩხლდეს ავი ნიშანი არის. თუ მუცელშიგან ერთობ გახსნით იყოს და ნამეტნავად წყურვილი დაერთოს ავი ნიშანი არის. თუ ხელი დაგეკუანჩხოს ავის ნიშანი არის. თუ ნამეტნავად ხუელა დაერთოს ავის ნიშანი არის იცოდით. თუ სნეულსა კაცისა ნახვა ეწყინებოდეს და პირს კედლისკენ იქმოდეს ავი ნიშანი არის. თუ ხელითა კედლიდადმა ვითამ გა-
10 მოიღებდეს და ეჭიდებოდეს, სიკუდილისა ნიშან არის იცოდით.

თუ თვალისა სიშავესა მალევედეს და თეთრსა აჩენდეს, ავის ნიშანი არის. თუ ტანისამოსსა არა შეირჩენდეს და გარდადმა ჰყრიდეს ავის ნიშანი არის. თუ შუბლსა ზედა ცივი ოფლი გამოუვიდეს, და ასრე გეგონოს უმეცრათა დარჩაო, ავი ნიშანი არის. თუ სნეული დიდხან იყოს და არა ექამოს რა და ანასდად წამოჯდეს და საჭმელი ითხოვოს, ავის ნიშანი არის იცოდეთ. თუ საუბარი დაიწყოს წაღმა უკულმა ავისა ნიავისა ნიშანი არის. თუ ყურები დაუწითლდეს და პირზედა წამოჭეხდეს და შუბლისა ტყავი გაეჭიმოს და

საფეთქელნი ჩაუდრკენ, ავის ნიშანი არის. თუ ფსელი მოშაო იყოს 20 და ძალისაგან დავარდნილიყოს და ჭკუაცა შესცლოდეს ავი ნიშანი არის. თუ ნამეტნავად გონებაზედა აჩქარებულ იყოს ავის ნიშანი არის.

თუ ანაზდად წამოჯდეს, დაგვიწერია, კაცი ძნელად მორჩების. ეგების ღ~თან დაუბადებელიც დაბადოს მისგან არა საკურველი არის. ესე ყულა ბ ა გ რ ა ტ ი ს ა გ ა ნ ნათქვამი არის და გამოცდილიც არის ¹.

მ ა ხ მ ა დ ზ ა ქ ა რ ი ა შ ვ ი ლ ს ა გარდმოუწერია ბ ა გ რ ა ტ ი ს ა გ ა ნ: თუ ამა დროსა აქიმი მოიყვანონ სნეული ნახოს პირ-ველად ესე ჰკითხოს პირშიგა გემო როგორი გაქსო თუ ასრე თქუას პირი ტკბილად ² მაქსო, იცოდი რომე სისხლისაგან არის, თუ ძალი ჰქონდეს ხელი გაუხსენ, თუ ძალი არა ჰქონდეს ასეთი შარბათი შე-30 უწყევ რომე სისხლი დააწყნაროს. თუ ასრე თქუას პირი მწარე მაქუსო იცოდი ზაფრისაგან არის და ზაფრა სჭარბობს, მას გრილი და გასახსნელი შარბათი შეუწყევ რომე გახსნას. თუ ასრე თქუას

¹ ამის შემდეგი ფრაზა თუმცა აგრძელებს ტექსტს, ჩვენ მაინც სქოლიოზი გაგვაქვს რადგანაც ტექსტთან მას კავშირი არა აქვს „ვილენჯის ქარისათვის. ავშარა ქათმის სკინტილი და ღორის კაჩარი თავს წახურე და უყრჩოლე ღვია, ოტი და ბია მოხარზე და მისის წვენით ტანი დაბანეთ დახურეთ რომე ოფლი გამოუვიდეს და ეშველების“.

² სწერია. „თბილად“.

პირი მიმჟავდებაო, იცოდი სევდისაგან არის სევდა სვარბობს, მას ასეთი შარბათი შეუწყევით რბილი და მხურვალი იყოს. თუ ასრე თქუას პირი მიმლაშდებაო და უგემურად მაქუსო, იცოდი რომე ბალღამისაგან არის და ბალღამი სჭარბობს მისი საჭმელი და სასმელი და შარბათებიცა ყოველი მხურვალი და ხმელი უნდა.

თუ სნეული ბურანშიგან იყოს მუდამ შეკურით იყოს ნიშანია. თუ ყოველთა დღეთა თვითოჯერ მოივლიდეს კარგი ნიშანი არის. თუ ორსა სამსა დღეშიგა ვერა მოივლიდეს ყოლინჯისა ნიშანი არის. თუ საჭმელი უნდოდეს სიმრთელისა ნიშანი არის. თუ ყოლ 10 ძალი ჰქონდეს იგიცა სიმრთელისა ნიშანია. თუ სიცხე სჭარბობდეს სასმელ საჭმელი და შარბათი ყულა გრილი და ნედლი შეუწყევით. თუ ზაფრა სჭარბობდეს გრილი, მომჟაო შეუწყევითა ყოველივე. თუ ბალღმინანად იყოს ან გრილად, მხურვალი და ხმელი შეუწყევით. თუ სევდისაგან იყოს ყოველი მხურვალი: და რბილი შეუწყევით.

თუ სნეულსა ფრჩხილებისა ძირსა ლურჯი იყოს ავისა ნიშანი არის. თუ ტანისამოსსა ეძებდეს ავი არის. თუ სასთაული გაუშვას და კედელს ეუბნებოდეს ავის ნიშანი არის, თუ თვალისა სითეირემა შავსა აჯობოს, და ცრემლიცა სდიოდეს, ავი არის.

ერთი ნიშანი ბურანისა ესე არის რომე ამას ზემოთ ბურანისა. 20 ნიშანი დაგვიწერია ოფლისა გამოსულისა. თუ ამა ბორჯალზედა ოფლი გამოუვიდეს და უკეთ არ იყოს ოფლი სდიოდეს და ძალი აკლდებოდეს, იცოდი ოომე სიკუდილისა ნიშანი არის.

სნებინათათვის და ყმაწვილთათვის პატრუკები. რომელთა წამლისა სმა არა შეეძლოს. აილე ბავრუკი: ერთი ნაწილი და მარილი საცომე ერთი ნაწილი დანაყენ დაცრენ მტკიცითა, აილე ხარისა ნავდელი ერთი ნაწილი და მისივე ზომი თაფლი და ესე წამალნი ყულა

ერთად შერიენ და ჩასდვა რკინასა ციცხუსა და ადულე ვირემდის შესქელდეს ასრე, ვითა ალვანაზი და უკმოილე და გარივენ ესე წამალნი ერთად და გააცივეთ და ნეკის ოდენ ოდენი შაფად შექენ და აცალო ვირემ გახმეს, და აილო ამისგან ერთი დასცხო ზეთი ან კარაქი და უკანასა კარსა შეუდვა დაწოლისა ჟამსა ესე გამოცდილია თუ ღმერთსა უნდა.

და თუ უფრო ძალიანი იყოს და გინდოდეს, ჩაურთე თანა ერთი ნაწილი შამი. და თუ ამისგან უფრო ძალიანი გინდოდეს მოუმატე თანა ერთი ნაწილი საყმუნია და ესე ერგების და გახსნის ნებით ღმერთისათა.

სხუა პატრუკი გასახსნელი. მოილე თაფლი და მოადულე და შიგან მარილი ჩაყარე და მანამდი ადულე ვირემდის გამაგრდეს და

24

და იგი პატრუკად შექენ და უკანას კარშიგან ააღებინე. სხუა პატრუკი გასახსნელი აილე შამიანდალი ერთი მუტყალი და მამუდა ერთი დანგი, ჩამიჩი ორი მუტყალი, ჟანგარა ერთი მუტყალი, წირანის გული და ატმის გული თვითოსაგან ორორი მუტყალი. თეთრი საკმელი ერთი მუტყალი. ესე ყუელა დანაყე ერთად, წმინდად და სამი მუტყალი ქალბანა წყლითა გააყენეთ და ესე წამლები შიგა გაურივეთ და პატრუკად შექენ იმავე ზემო წესითა, მიეცით დაწოლის ჟამსა, უკანასა კარსა შეიდვას და გათენებამდისინ პპქრნდეს და გახსნის.

10 **კარი და ნიშანი რომე, სნეულეზასა შინა.** კაცი რომე ბნდებოდეს და სულსა ვერა ირქმევდეს, ვერა შეღმა და ვერა გაღმა და რა¹ ესე სენი გამოჩნდეს იცოდი რომე კარგი არ არის, ესე სენი ორისა მიზეზისაგან იქნების ანუ კაცი დაცარიელებულიყოს და ძალი წასულოდეს და ანუ გონჯისა სენისაგან რომე სტომაქშიგა ჩავიდეს და მისი სიცხე გულსა ეცემოდეს და მისთვის ბნდებოდეს. რა ესე სენი გამოჩნდეს სნეულსა ფიცხლად უშველე და მაჯა უნახე. თუ მაჯა ნახო დასუსტებული იყოს მოიჭირვე ანუ პურწყალი ანუ ბროწეულისა და ქერისა წყალი პურთანა აჭამე. თუ სუსტი არა. იყოს მაჯა
20 იმა სიცხისაგან იქნების რომე სტომაქშიგა არის და მისგან გულსა ეცეს, და მიეც თხუთმეტი დრამი სიქანჯაბინი ცივითა წყლითა. თუ მუცელი შეკურით იყოს ტკბილი ბროწეულის წყალი მიეც და ჯულაბი. თუ მუცელი გახსნით იყოს და მისგან წაეკიდოს ალტოლი თუთუბა მიეც, ანუ ბიის სასმელი და ნიადაგ კარგი რამე უკმივე წინა და ვაშლი და ბიასაცა უსუნებდეს, და შეცაცოცხინე და ქერქი-გააგდონ, და წვენი შეჭამოს, და უშველის.

თუ სულსა ვერა იქცევდეს აილე თათრული ელეკანი თათართათ მოვა და აფთიმონისა მსგავსია, მისგან ოცი დრამი და ჩამიჩი ორმოცდა სამი დრამი, ცერეცო ათი დრამი ჩადევ ჭურჭელშიგა და
30 წყალი დაასხი ექუსი უკია, ადულე რომე ნახევარი დარჩეს, მერმე გაწურე და გაურიე თაფლი ოცდა თექუსმეტი დრამი და კიდევ ადულე რომე გასქელდეს. რა მოგინდეს მიეც უზმასა ათი დრამი და უშველის ღმერთისათა.

ნიშანი რომე სნეულსა ანაზ და დრამე ეცეს. რა სხეულსა ესე სენი ეცეს სნეზაშიგა ენა გაუშავდეს ანუ გაუყვითლ-

დეს და კაცისა თავზედა დედაკაცის რძე დააწველინე მერმე ესე წა-
მალი შექენ და ზედა დასდევ, აიღე: თარა და აყიროსა ნაფხევი
ქერქი და კაკბისა საჭმელი, ტუხტი, კიტრი და ია თუ ხმელი იყოს

¹ სწერია „არა“.

თუ ნედლი ერთმანერთის ოდენი დანაყე, გაცერ, ზედა ვარდის წყალი
დაასხი თუ ერთობ სქლად შეზილე და სამოსელზედ გააბრტყელე და
თავზედა დასდევ. თუ სიმართლეშიგან წაეკიდოს ესე სენი ესევე
წყალები თავზედა დაასხი შექენ: აიღე ხმელია ხუთი დრამი ნინო-
ფარისა ყუავილი ათი დრამი იყოს თუ ნედლი, თარასა თესლი
ხუთი დრამი, ქერის კორკოტი ათი დრამი და ქვაბშიგა ჩადევ, ზედა
ათი ლიტრა წყალი დაასხი და ადუღე, რომე ექუსი ლიტრა დარ-
ჩეს და მერმე თავზედა ასხმიდი ნელად დილეულ ან საღამოდ. წყალი
შეინახე, ნუ გააცუდებ და ნიადაგ გათბობილი და მაგა წესითა უზე-
10 მდი. თუ არა უშველოს თხისა რძე გაურიე და ასრე ასხემდე და
უშველის ღ~თითა.

ფ. ნიშანი წელიწადთა ცნობისა და თვეთა და დღეთა და ჟამთა.

იცოდი რომე წელიწადი კაცისა გუნებასა ზედა დადებული არის.
აწე ესე მოგახსენოთ. მარტსა, აპრილსა და მაისსა სისხლი ადუღ-
დების და ყმარწვილისა გუნება არის და როგორაცა ყმარწვილის
გუნება მხურვალი და ნედლი არის, აგრევე მაგა სამისა თვისა გუნება
მხურვალი და ნედლი არის, და სისხლი დუღს და საჭმელი ყოველი
ტკბილი მიეცით და ხელისა გახსნა უნდა თავის თავსა და საჭამადი.
ოსპისა შარბათსა სმიდეს ისეთსაცა ჭამდეს, ესეცა იცოდი ერთი
20 მარცვალი უნაბი ქროთსა ლიტრასა სისხლსა დააწყნარებს.

რაი ივნისი და ივლისი, აგუსტოსი დადგეს ყუითელი ბალღამი
ადუღდების რომელი არს ზაფრა ახალ მოწიფულობისა გუნება არის
მხურვალი და ხმელი არის და საჭმელი მჟავე, ძრმიანი და გრილი
შეუწყევით მუზაფარი და ძრმიანი და ღვინო ცოტა წყალ გა-
რეული და წამალი აიღოს ზაფრისა რომე ზაფრა დააწყნაროს.

როგორაცა სეკდენბერი და ოქტენბერი, ნოენბერი დადგე-
ბის შავი ბალღამიდ აიძურის და შუაკაცობისა გუნება ექნების სი-
ხმე და სიგრილე დაემართების კაცსა, რომე საჭმელი მხურვალი
და მწოვე ჭამოს და ღვინო კარგად სვას და წამალი აიღოს რო-
30 მე შავი ბალღამი დააკლდეს და დედაკაცისაგან იფარეზოს.

როგორაცა დეკემბერი იანვარი და თებერვალი დადგბის ბალ-
ღამი დაიძურის და ბერისა კაცისა გუნება იქნების და გრილი და
ნედლი არის, მართებს კაცსა რომე საჭმელი ყოველი მხურვალი და
ხმელი და მწოვე შეიწყოს და ღვინო ძალზედა სვას და ბალღამისა
წამალი აიღოს რომე ბალღამი დაკარგოს და ზედა ზედ არწყევ-
დეს წამლებითა და დედაკაცისაგან ფარეზი იყოს.

თუ ამას იქმს კაცი მართლად გაუფრთხილდების და საჭამადსა
შეიწყობს კაცი მართლად და პირწითლად იქნების, თუ არ გაუ-

ფრთხილდების და საჭმელს არ შეიწყობს მაშინ ავად და სენიანად იქნების.

იანვარსა დილეულად წყალსა ნუ სვამ.
თებერვალსა ნუ სჭამ ჭაკუნტელასა.
მარტსა ტკბილსა საჭამადსა ნუ სჭამ.
აპრილსა დილეულად წყალს შესვამდე.
ივლისსა დიაცსა თანა ნუ დაწვები.
აგვისტოსა მალოქს ნუ სჭამ, წყალსა შესვემდი.
სექტენბერსა სძე ჭამე.
ოკტენბერსა მწვანილსა ნუ სჭამ.
ნოემბერსა თავსა და ტანსა ნუ დაიბან.
დეკემბერსა კალნაბსა ნუ სჭამ.

10

აწ თვეთა მოგახსენოთ. იცოდით თვე ოცდაათი დღე არის.

და შვიდი დღე და ნახევარ დღე პირველისა თვისა, სისხლისა გუნება არის, შვიდ და ნახევრისაგან თხუთმეტამდის კუერცხის გულისა ნალულისა გუნება არის. თხუთმეტისაგან ვიდრე ოცდაორ და ნახევრამდის შავისა ნალულისა ბუნება არის და ოცდა ორ და ნახევრისაგან ოცდა ათამდეს თელგამისა ბუნება არის.

20 დღეთა ჟამნი თორმეტნი და ღამეთა ჟამნი თორმეტნი. პირველნი ჟამნი სამნი დღისანი, სისხლისა ბუნებანი არიან. სამითაგან ვიდრე ექუს ჟამამდე კვერცხის გულის ნალულისა ბუნება არის. ექუსის ჟამიდგან ვიდრე ცხრა ჟამამდე, შავისა ნალულისა ბუნება არის, და ცხრა ჟამთაგან ვიდრე დაღამებამდე თელგამისა ბუნება არის. ექუსის ჟამითგან ვიდრე ცხრა ჟამამდე შავისა ნალულისა ბუნება არის. და ესრევე ღამისანი პირველნი (ჟამნი) სისხლისა ბუნებანი შემდგომნი კვერცხის გულისა, მას უკანათი შავის ნალულისა და ცისკრისა თელგამისა ბუნება არის.

კარი საჭმლისა რომელსა ერთად არ უნდა ჭამა, და რომელსა.

30 **უნდა ჭამა.** ვინცა ნედლსა თევზსა და, კვერცხსა ერთგან სკამდეს, მისგან ბარსი და ფილენჯი დაიბადების.

ვ ი ნ ც ა ხელი გაიხსნას და მერმე ბევრი მლაშე ჭამოს მისგან ბაყი დაიბადების და ღამით რომე თვალშიგან ველარას ხედვიდეს (ბაბქური) ისი დაიბადების.

ვ ი ნ ც ა ხელი გაიხსნას და მერმე უზმამ ბევრი წყალი სვას, მისგან ყოლინჯი დაიბადების.

ვ ი ნ ც ა მაძლრად ჭამოს და მერმე იბანოს აბანოსა, მისგან ყოლინჯი დაიბადების.

ვ ი ნ ც ა მარცხენასა გვერდზედა ტყუნა ქნას, მისგან ნიკრისი დაიბადების

27

ვ ი ნ ც ა ღვინო და რძე ერთგან ჭამოს ნიკრისი და ბარასი დაიბადების.

ვ ი ნ ც ა რძე და კუერცხი ერთგან ჭამოს მისგან ვარამი და ქშინა შეიქნების.

ვ ი ნ ც ა აბანოშიგა დედაკაცთან დაწვეს მისგან დიყა და იარაყანი დაიბადების.

ვ ი ნ ც ა ტყუნა ქნას და მერმე ფსმა მოუვიდეს და არ მოფსას,

ფიცხლა ქვა დაიბადების.

ვ ი ნ ც ა ფსმასა იჭირვებდეს და არა მოფსმიდეს, შირიმისაგან 10 საშიში არის.

თ. კარი და ნიშანი რომე კაცსა ასოები ემღერდეს, მრთელი იყოს, თუ სნეული იყოს. (და თუ მრთელი). თუ ანასდად ზახილი და კივილი დაიწყოს თავქედისა ნიშანი არის.

თ უ სნეულსა პირისა სახენი და საფეთქელნი ემღეროდეს. ლაყვასა ნიშანი არის და ლაყვა პირის გამრუდებასა ჰქვია.

თ უ მრთელი კაცი იყოს და ბარძაყნი და თემონი უფეთქდეს ფილენჯისა ნიშანია, და ფილენჯი ამას ჰქვია რომე ტანისა ნახევარი დაუსუსტდეს.

თ უ მრთელსა კაცსა სრულად ტანი ემღეროდეს თასნუდჯისა 20 ნიშანი არის — იმას ჰქვია რომე ძარღვები და ხელები დაეკუნჩხოს.

თ უ მრთელი კაცი უმიზეზოთ ნიადაგ ნაღულიანად იყოს, სევდისა ნიშანი იყოს და მალახულია წაეკიდოს.

თ უ ცხვირთა წყალი სდიოდეს თავშიგან და ტვინშიგან, სატკივარი იყოს ჩამოვიდეს მისი წამალი სადაც სურდოსა არის იქი ნახე. ამას ჰქვია რომე თავისაგან სტომაქსა და გულშიგა და ნაზლისა ნიშანია. ნაზლა ამას ჰქვია რომე სურდო უფრო მოსავლელად დაჯდეს და წვეთ წვეთი სისხლი დავარდეს.

თ უ ერთობ იხველდეს ვარამისა ნიშანი არის“ – ვისცა გული უძგერდეს ხაფაყნისა ნიშანი არის.

30 თ უ სული უგუბდებოდეს, ნაფაზისა ნიშანი არის.

თ უ ქუთუდონი უსივდენ და წელნი სტკიოდეს სასხლისა ნიშანი არის.

თ უ მრთელი კაცი იყოს და პირი უმწარდებოდეს და საჭმელი არ მოუნდეს იცოდი რომე ყოლინჯისა ნიშანი არის, რომე ყოლინჯი ზაფრისაგან იყოს და მისგან წაეკიდების.

თ უ უკანა კარი მუდამ ჰქაოდეს შუყავისა და ბავასირისა ნიშანი არის.

თ უ ფსელი მყრალი იყოს იცოდი რომე ხურვებისა ნიშანი არის.

28

თ უ ხელისა ანუ ფეხისა თითები გასქდეს იცოდი რომე ხუნაყისა ნიშანი არის. ვისცა ბაყი თეთრი გამოუჩნდეს ბარსისა ნიშანი არის.

თ უ თვალთა წინა ბუზივითა და ანუ საცერივითა რომე უჩნდეს, შავის წყლის ნიშანი არის და მას ფიცხლად ძარღვის დაწვა უნდა და ყიფალიცა გახსნას.

ვ ი ს ა ც შიგნით მუდამ ყურნი ჰქაოდეს, სიყრუვისა ნიშანი არის.

ვ ი ს ა ც ჭიპს ქვეშეთ ბოქონი და თირკმელი სტკიოდეს, ქვისა 10 და შირიმისა ნიშანი არის.

თ უ ფერხნი და ორივე ფერხისა ცერნი სტკიოდეს, ქვისა ნიშანი არის. ვისაც ვინ ესე ნიშანი ნახოთ ფიცხლა სწამლეთ, თვარა გაუძნელდების და ძნელადა ეშველებს.

ე რ თ ი უკანა კარისა ქავილი რომე, ჭია დაესხმის იმისი ნიშანი ეს იყოს, რომე აყიროსა თესლისა ოდენი ჭია ნიფხავშიგან

ჩაუვარდების.

თ უ მრთელი (კაცი) ყოველთა დღეთა თვითოჯერ წესიერად მოივლიდეს და თხელად იყოს, სიმსრთელისა ნიშანი არის.

თ უ სნეულმან ორი დღე გამოვიდეს და გახსნით იყოს, ანუ 20 სამი, და არ მოიაროს ყოლინჯისა ნიშანი არის და ავი არის.

თ უ სნეული ყოველთა დღეთა გრილზედ იარებოდეს ავი არის. ამისთვის რომე ძალისაგან დააგდებს და ყუანისაგან ნაღველშიგან ჩავარდების.

თ უ სნეულმან ბევრი იუზნოს, სიტყვას ჩქარად იტყოდეს, სიმსურვალისა ნიშანი არის.

თ უ წყნარად და გვიანად უზნობდეს იცოდი რომე, სიგრილისაგან არის.

თ უ ნამეტნავად ჩქარად უზნობდეს და ხმა წურილად უზნობდეს, იცოდი სევდისაგან არის, მას მხურვალი და რბილი საჭმელი. 30 შეუწყევით. და თუ ძალი ჰქონდეს ასეთი წამალი შეუწყევით რომე სევდა გამოიღოს.

თ უ წყნარად, ძალიანად უზნობდეს, საუბარი არა შეეცულებოდეს, სიმრთელის ნიშანი არის.

ი. კარი და ნიშანი რასთონი სენია რომე არა ეშველების რა.

კაცსა. ჯ ა ლ ი ნ ო ზ აქიმი იტყვის რომე ათ ფერი სენია რომე კაცსა დაემართების, რომე გვარისაგან გამოჰყვების და დაემართების იმა ათსა სენსა არასათვის არ ეშველების ამისთვის რომე მათთა ჩამომომავალთა სჭირვებია და მათი გვარი არის, აწ მათსა შვილსა გა-

29

მოაჩნდების. მაგათგან ე რ თ ი ა უყამოდ და ადრე გ ა თ ე გ თ ო დ ე-
ბ ა. მ ე ო რ ე შობითაგან ს ი ყ რ უ ე. მ ე ს ა მ ე შობითაგან სიბრ-
მე. მეოთხე ბ ა რ ს ი. მ ე ხ უ თ ე ქ ა შ ო ე თ ი ს ა რომე მისსა
გუარსა სჭირვებოდეს. მ ე ე ქ უ ს ე გ ა შ მ ა გ ე ბ ა რომელ არს მალი-
ხულია. მ ე შ ვ ი დ ე ს ი კ ო ჭ ლ ე. მ ე რ ვ ე ნ ი ყ ა რ ი ს ი. მეცხრე
დ ი ყ ა. მ ე ა თ ე ვარამი. ესე იცოდით ჯ ა ლ ი ნ ო ს ამას მოგახსე-
ნებს რომე სენისა გვარი ორ ფერია, ერთი ესე რომე გვარისაგან
წაეკიდოს, მისსა გვარსა სჭირვებოდეს, მეორე ესე რომე ანასდათ
დაემართოს.

10 ა წ ე რ თ ი აქიმობისა ოსტატობა ეს არის, რომე ამ სენსა რომელი წამალი უკეთ მოუხდების და კარგად და ან რომელი მარ-
თებს რომე უყოს, და კარგად გუნება გაავლოს რომე საფათერაკოდ არ მოხდეს.

ია. კარი და ნიშანი წამლისა აღებისა. ვინცა მოგიდგეს და ესე გითხრას, ვითაა წამლისა აღება, აქიმსა ესე მართებს, ჰკითხოს რომე კულა წამალი აგიღია თუ არაო. თუ ასრე თქუას ვითა კულაცა ამიღიაო და არა მასაქმარაო, მას მძიმესა წამალსა ნუ ანდობ და მსუბუქითა წამლითა ეცადე რომე გახსნა. სტომაქი არ აეშალოს. თუ ასრე თქუას კულაცა ამიღია და დაჩუეული ვარო და კარგად 20 მისაქმიაო, მას ნურას ერიდები და კარგი ძალიანი წამალი მიეც რომე, კარგად უსაქმოს, მერმე იმას კარგად შეეტყობა. უნდა ჰკუე-
თა, რომე ამა ო თ ხ ი ს ა გ ა ნ რომელიცა სჭარბობდეს იმის წამალი მიეც რომე ის გამოიღოს, იმის წამალი დაუჭარბე და ნურას გეში-

ნიან. ოთხი ესე არის ს ი ს ხ ლ ი, ზ ა ფ რ ა, ბ ა ლ დ ა მ ი და ს ე ვ დ ა.

თუ ასრე თქუას კულა წამალი არა ამილიაო და არა დაჩვეულ-
ვარო, ამას მძიმესა წამალსა ნუ მისცემ, სუბუქი და უხიანო წამალი
მიეც რომე ეცადო, სუბუქითა წამლითა გამოილო.

თუ ასრე თქუას დავჩვეულვარ, კულავცა ამილიაო და ადვილად მო-
მეკიდებისო. კარგად შეუტყევ, ნუ აჩქარდები წყნარად მიეც და
20 ეცადე რომე ისი სენი გამოილო მისისა სტომაქისაგან.

თუ შეიტყო რომე ისი სენი სტომაქშიგან დამაგრებულიყოს და
სენი დაძველებულიყოს ერთ პირსა წამალსა ნუ მისცემს ნუ ენდობი,
საფათერაკო არის, ასრე ქენ რომე ორითა და სამითა მიცემითა
წამლითა გამოილო ისი ძველი სენი.

თუ აჩქარდე და ერთპირად ძალსა მიაპყრობ, იცოდი რომე
საფათერაკო არის, ამისთვის რომე, სენი დაძველებულა და სტომაქს
შეხორცებია. მუდართა და სიწყნართა ეცადე რომე გამოიყუანო.
დიდი სიფრთხილე უნდა ამისთვის რომე სხვას სტომაქს არ მისჭირ-

30

დეს. თუ მოიჭირვებ და ძალად მიეპყრობი, მაშინ. სხვა სენი მრავა-
ლი გამოჩნდების.

ასე იცოდით: ადამის ტომისა სენი საბაზაზოსა ჰგავს, ბაზაზი
რომე დაჯდომილიყოს ქულბაქზედა და მრავალი ყუმაში დაეწყოს
ერთმანერთზე. და მერმე მივიდეს ვინმე ვაჭარი და ასეთი ნაქსოვი
სთხოვოს რომე ყუელას ქუეშეთ იყოს. აწე ბაზაზსა ამისი სხფრთხი-
ლე მართებს რომე თუ იმ ნაქსოვს ჩქარად და ძალად გამოზიდავს,
რაც ნაქსოვი დაუწყვია ყუელა ჩამოუცვივის, და იმის სარჯელი გაუ-
ცუდდების და ახლად უნდა კიდევე დააწყოს და ააგოს, ასრე მართებს
10 ბაზაზსა, რომე მარცხენითა ხელითა ნაქსოვსა მიაჭირვოს და მარ-
ჯვენითა ხელითა. ქვეშესა ნაქსოვსა გამოზიდუნეს წყნარად რომე არ
დაიქცეს, ის ქულბაქი არ დაიშალოს და ზიანი არ დაემართოს გზასა.
ასევე თუ აქიმი აჩქარდეს და სნეულსა ჩქარად მიეპყრას აქიმი, და-
ზიანდების და კაცს მოჰკლავს.

და ესეც იცოდი სენსა გაშვება არ უნდა, ამად რომე გაგრძელ-
დების და თუ სენი გაგრძელდების შეხორცდების და ძნელად ეშვე-
ლების და ყოვლი ასო დაზიანდების.

ა წ ე მ ე ო რ ე ა რ ა კ ი მოგახსენო: ერთმან კაცმან რომე წის-
ქვილი ააშენოს მისის წყლის რუ ჭალაშიგა იყოს. ასრეცა იქნების
20 ჩამოცვივდეს ხის ფურცელი და ის წყალი დააგუბოს და წყალი
უკუ აყენოს. და მეწისქვილესა ასრე მართებს იმა საწისქვილოსა
რუსა ჰკაზმევდეს და წყალი წმინდა მოდიოდეს, მეწისქვილემან რუ
იმისთვის კაზმოს მერმე ყოველთა დღეთა მეწისქვილესა ეს მართებს
რომე მოვიდოდეს და ყოველთა დღეთა რუს დახედევდეს. თუ ნაფოტი
ან ფურცელი შეყრილიყოს გამოაცლიდეს, თუ ასრე ქნას მეწისქვი-
ლემან რომე სამსა ოთხსა დღესა არ მივიდეს და არ დახედვიდეს წის-
ქვილსა, ეგების ასეთი რამე მიილოს წყალმა, რომე ის რუ წინათ წე-
სით უზიანო არის.

იცოდით თუობითი, ყარიყონი სამი და ოთხი დრამი, ყარი-
30 ყონი ხარისძილასა ჰქვიან, ეს შეასვა, უზიანო არის მდთისითა. ხო-
ლინჯანი, საბრიყანა, აშაყი, აზინილი, უსტუხუდუს, ბაზრანგი ქვა-

ბულ, ამათგან ოთხოთხი ან სამსამი დრამი უზიანო არის, ფუფული ერთი დრამი უზიანო არის. ზაფრანა, რაზიანა, სანდაროზისი, მუმია, ქარაბა ამათგან თვითო დრამი უზიანო არის. მაიზარა, ყანტარიონი, ჯავაშირი, მუყლი, ამათგან თვითო დრამი უზიანო არის;

დრამი ოთხი დანგი არის, ნახევარ დრამი ორი დანგი არის.

საყმუნია და ფარფიონი, აფიონი, მუყლაი, მაზაროონი, ქაფური, მუშკი, ამ წამლებსაგან თუ ჰაერი გრილი დღა მრთელი იყოს და

31

კაცი ძალიანი იყოს ოროლი დანგი მიეც. თუ ქვეყანა ცხელი იყოს და კაცი ძალნაკლული იყოს მაშინ დანგ ნახევარი მიეც, თუ ცოტა კაცი იყოს ერთი დანგი, და თუ უფრო ცოტა კაცი იყოს ნახევარ დანგი, უზიანო არის იცოდით.

ესე წამლები რომე სხვა წამლები დაგვიწერია უზიანო არის ამათგან საშიში არა არის რა, ზენაარ ესე წამლები რომე სახელე-ბით გვითქუამს უკანის რომე სწერია, ამისგან თუ იხმარებდე ხან-ჟამისად სამუდმოდ ნუ მისცემთ ამაღ რომე თუ სამუდმოდ მის-ცემთ სხვასა სენსა გამოაჩენს, თუ ძალიანი იყოს ძალიანს მისცემდი

10 და თუ სუბუქი იყოს სუბუქს მისცემდი.

აწ შხამიანი წამლები დავსწერეთ რომე რიდება უნდა და მიცემა არ უნდა. ესე არის რომე აქა სწერია, თუ ამ წამლების-გან დაამეტებ და ან მარტოსა მისცემდე შხამად შეერგების. თუ ღონე არა ჰქონდეს და მისცემდე სიფრთხილით მიეც: მაზრიონი, შიბრამი, სინაიმაქი, აფიონი, ფარფიონი, ზააჯი, ჯაბალანგი, ჯავზი, მათილ, ჯავზულყი, დაფლი, ხარბაყი, ქუნდუსა, ხაზამონი, როხამი, ანჯურა, ანასალი, ბარზეული მურდასანგი, სიაეტაბ, არტყნისა, და მია, რამანა, საპონი, -საყმუნია, ფნდანა, სატკივარზედ შეიტყევე და აგრე მიე. თუ დააჭარბებ და ან მარტოს მისცემ შხამად შეერგების.

20 თუ სნეულსა საჭმელი არ მოუნდებოდეს, და სნეულსა საჭმელი მოუნდებოდეს ცოცოტა აჭამე, ნუ დაუჭირავ და ამ წამლებისაგან რომე აქ სწერია ცოტა ცოტა ამისთვის დავსწერეთ, რომე შხამიანი არის და მას სიფრთხილე უნდა ¹.

იბ. კარი და ნიშანი ბრძანებითა ღთისათა თუ ვითარ დაი-ბადების და ანუ შეიქნების კაცი.

რა ცოლქმარნი გაერთიანდებიან და შეყოს ქმრისაგან ცოლსა და წავიდეს თესლი კაცისა და მერმე დედაკაცისა და ერთმანერთსა გაერევის და მუცელშიგა სქელი სისხლი შეიქნების ღვიძლივითა. მერმე ამა სქელსა და ღვიძლსავითა სისხლშიგა მატლი დაიბადების,

30 იმისთვის ბრძანა და ვით წინასწარ მეტყველმან „ხოლო მე მატლი ვარ და არა კაცი“, ვითარ სისხლი და ძვალი მისგან იქნების და სული და ხორცი დედისაგან.

ორმოცსა დღესა უკანის ვაჟი გასულიერდების და დაიძლევის და დაიძურის და ოთხმოცსა დღესა უკანის ქალი.

აწე ესე მოგახსენოთ რომე ცოლი და ქმარი ერთმანერთსა თანა-შეიყრებიან, თუ თესლი მამისა უფროსი არის მამასა ეგვანების და

¹ ტექსტში ამ კარს მისდევს კარი „კბ“ მაგრამ ეს გადამწერის, შეცდომაა. უნდა, იყოს კარი „იბ“ სარჩევის მიხედვით.

თუ ორივესი სწორია უფრო სხვა ფერი გამოვა. და ესეცა მოგახსენოთ ისი, რომე ტყუბი დაიბადების და ანუ მეტი ყური, ან მეტი თითი გამოჰყუების, იგი თესლისა დამეტებისაგან, იქნების.

და კაცისა ყოველი ფერი სიბრძნე, სიმართლე და მადლი თავშიგან არის და ამისთვის კაცისა თესლი თავშიგან არის როგორაცა წყალი თესლი არის და თავიდაღმა ტვინისაგან ჩავა და მერმე ტვინით დაღმა ორნი თეთრნი მარლუნი ჩავლენ, გულსა ქვეშე გვარებენ და თირკმელთა შიგა მივლენ და ისი თესლი იმა მარლუმიგან ჩავა და თირკმელთა შიგან მივა და იმისთვის იტყუიან, თირკმელი 10 გულის თვალი არისო, ამისთვის რომე ერთობ ობილი არს.

და თირკმელწი ღმერთმან მოწყალემან ქონშიგა დამალა, რა თავდაღმა წყალი ჩავა თირკმელთა შიგან თირკმელის სიცხე იმა წყალსა და ქონსა აადულებს და ერთმანერთშიგან გაერევის და თესლად შეიქნების, და თირკმელსა ორი ძუძუ აბია მარღვისა და თესლი იქით გავა და მერმე იქით სარცხუფუნელშიგა მივა, მაშინდა წავა განგებითა ღთისათა.

აწ ესე მოგახსენოთ თუ ყმაწვილი მუცელსა შიგან რითა იზრდების. ასრე ბრძანებენ დიდნი ბრძენნი გ ა ლ ი ა ნ ე და დიდი მოკარტე ვითა დედაკაცსა თვესა და თვეშიგა სისხლი სდის საშოსა, 20 ისი ღვიძლისაგან ჩამოხდის, და რა დედაკაცი დაორსულდების ისი სისხლი საზრდელად მიეცემის ღთისაგან. ღვიძლით და გულით დაღმა ჩასდის და იქით გაწმდების. და მესამესა ჟამსა სამსა კერატსა ჭამს და ქათმის ყიულისა ჟამსა ორს კერატსა ჭამს და იმით იზრდების ყმაწვილი. და რაჟამს ყმაწვილმა საჭმელი აიღოს ნიშანი ეს არის რომე მუცელშიგან თამაშობას დაიწყებს.

აწე როგვარაცა ყმაწვილისა მოგახსენოთ, აგრე დედაკაცისა მოგახსენოთ. რომელსაცა დედაკაცსა სისხლი მართლად აქუს, მუცელსა შიგან ყმაწვილი უკეთა სჭამს და მსუქანი და კარგი იქნების. და რომელსაცა დედაკაცსა სისხლი აკლია ყმაწვილი ცოტასა სჭამს, 30 მისთვის მჭამელი იქნების.

თუ ორსულსა დედაკაცსა მისი წესი წაეკიდოს ყმაწვილი მჭლე სენისაგან იქნების და დიაცი კიდევ მოკუდების. ორსულისაგან სისხლისა გამოღება არ ვარგა მისთვის რომე ყმაწვილსა საჭმელი დააკლდების და მოკუდების და არის ყმაწვილი ორსა რასმე შესამოსელსა თხელსა შუა წახვეული, მას საჭმელი ჩასდის ღვიძლისაგან, გულისა, ტყი-

ბისაგან უპეშიგან. როგორაცა ხილი ხისაგან აიღებს საზრდელსა აგრევე ყმაწვილი საზრდელს უპისაგან აიღებს. ამ ნიშნითა სისხლისაგან იზრდების რომე რა დაიბადების შავსა სისხლსა მოიარს და იმა

სისხლსა დედისა სიმხურვალე დასწვავს და გაშავდების და კულავე ნახეთ განგება ღთისა და საქმენი მისნი, რა გათავდენ დღენი ორსულობისაგან დაიბადების მეშვიდესა თვესა ანუ მეცხრესა.

ჟამსა შობისასა დაიხსნების ძვლები და გაფართდების საშო და დაიბადების ყმაწვილი და სისხლი იგი რომელი გამოვა დედათა-

გან წესსა მათსა ყოველთა თვეთა იქნების ჟამსა ორსულობისასა საზრდელად, აქუს მუცელშიგან და რა დაიბადების რძეთ გარდაიქცევის და მით იზრდების ბრძანებითა ღთისითა.

ჰკითხა დიპოკრატი: ვითა საჭმელსა რომე სჭამს ყმაწვილი.

10 დედისა მუცელშიგან სით გავა: მიუგო დიპოკატი ვითა ნამეტნავად დედისა სიმხურვალე და სიცხე დააშრობს ასრე როგორაცა ქვაბშიგან წყალი ადუღო მრავალი და დაილევეს დუღილისაგან, აგრევე დედის მუცელშიგან სიცხე დააშრობს სისხლს და ესე იცოდეთ რომე ყმაწვილისა საზრდელი სისხლი არის ამა ნიშნითა, როგორც ყმაწვილი დაიბადების ძუძუს სწოვს წინათ მოივლის და ნავალი შავი იქნების, ამისთვის რომე მუცელშიგან სისხლი უჭამია და დედის სიმხურვალესა დაუწვავს და გაუშავებია.

აწე დავიწყით თუ როგორა დაბადა კაცი ღთმან. აწ მოგახ-

სენოთ თუ რასთონი ძარღვი არის კაცშიგა. იცოდით რომე კაცისა

20 სალარო მუცელი არის და ამ სალაროსა შემნახავი ორი ხელი და ორი ფერხი არის. რვა ასო უკეთესი არის ოთხი მუცელშიგან და ოთხი გარეთ. რაც გარეთ არის: თ ვ ა ლ ი, ყ უ რ ი და ც ხ უ ი რ ი და ე ნ ა არის. რაც შიგნით არის ს ტ ო მ ა ქ ი, გ უ ლ ი, ნ ა ღ ვ ე ლ ი და ღ ვ ი ძ ლ ი.

აწე ძ ვ ა ლ ი ს ა მოგახსენოთ: კაცისა ტანშიგა ორას ოთხმოცი ძვალი არის. ამისგან ორმოცდახუთი ძვალი თავისა, ხელისა, და პირის სახეშიგა არის. სამი თავისა კეფაშიგა ორი პირშიგა. ოცდათორმეტი კბილი. ოცდათურამეტი გულის პირთა და მკერდსა. ექუსი ორთავე მხართა შუა, ორი ბეჭი, ორი სათაგვე ოროლი მკლავისა

30 ორისავე ხელისა ნებსა და თითებშიგა ორმოცდა ექუსი თორმეტი ზურგის მძივი. ორსავე გვერდისა ოცდა ოთხი. ორი ბარკლისა, შუა ძვალი, ორი თემო, საჯდომისა რვა. ჩერანისა და კუნთებშიგან სამსამი, ფერხთა და ტერფთა და ჩონჩხთა შიგა ორმოცდა ექუსი

აწე იცოდით ორას და ათი ძარღვი ¹ არის. თუ ამა ასორმოცდაათისა მცემარისა ძარღუშიგან ერთი დაიდრას კაცი დასუსტდების. გაზა მცემარისა ძარღვისაგან არის და უძრავი ძარღვი უსისხლო

¹ სწერია „უძრავი“.

არის. ამისგან სამოცი ძარღვი ¹ შეკრული არის ამისთვის რომე

ტანშიგან სისხლსა გაპყოფს და გულსა პირამდი ასოშიგან მიაწევს და მორწყავს. თორმეტი ძარღვი სხვა, თავშიგან შეერთებული არის. ვითაც გაიყოფის თემოთა თავამდისინ, ორი სახე საჯდომამდის მიაწევს და იქით ხუთად გაიყოფის და ისი ხუთად გაყოფილი ყოველსა ასოებსა შიგან წყალსა მიახვედრებს და ზურგამდიცა ესე მიაწევს. და და ერთი წილი გულსა პირამდი მიაწევს. და ერთი სხვა გულშიგა შეერთებული არის. ერთი სხვა უკანა ძარღვი ზურგისა მძივამდი და საჯდომამდის მიაწევს და იქით ექუსად გაი-

10 ყოფის და კიდევ მოზრუნდების წურილსა ძარღუებსა შიგან მოაწევს და მას სახელად ბასლიკე და სალიბ ჰქვია და აბლუზირა და საინ და ნალუბადან ჰქვია, და სუკი ამაგრებს ერთობილსა ტანსა.

იცოდით რომე კაცისა ტანი ორი არის ნახევარი მარჯვენითა

და ნახევარი მარცხენითა ².

ღმერთმან დაბადა თ ვ ა ლ ი და სინათლე და ჩადვა შვიდსა ფარდაგმიგან. გარესა ფარდაგის შუა სახლი შ რ ი კ ი ჰქვიან. მეორესა ს ა რ ქ ა ჰქვიან, მესამესა ა ს თ ჰქვიან მეოთხესა ა ლ ა ლ ჰქვიან, მეხუთესა ო თ ხ რ ჰქვიან. მექუსესა ფასალ ჰ ქ უ ი ა ნ, მეშვიდესა ჩ ა ვ ლ ე ჯ ჰქვიან. ღ თ მ ა ნ თვალი შვიდ ფარდაგებშიგან ჩადვა, 20 გაამაგრა რომე მავზემან მას ვერა აწყინოსრა. თვალისა წყალი წუთ. ქნა, რომე ნიადაგ წმინდა იყოს არა აყროლდეს და სწმენდეს. გარე წამწამი მით უქნია რომე ცრემლსა სწმენდდეს, მზისა სინათლე შორს დაიჭიროს. თუ წამწამი არა იყოს მზე და ქარი ჩაუარდების. და წარბი და წამწამი მეშველად არის მისთა ძალითა ხედვიდეს. მარჯვენისა თვალისა სჯობს ძალი და სინათლე მარცხენისა. როდეს მთვარე სავსედ იყოს მაშინ მარჯვენა კაკალი დაუწყებს ტკივილსა.

ყ უ რ ი დაბადა ღ თ მ ა ნ და ქნა იგი მასაგონლად. მსგავსი არის იგი ცარიელისა ნიგოზისა. ჩავიდეს ორი ძარღვი ტვით. მათი გული ცარიელი არის, გასაგონარი იქით მოვიდეს და რაც ხმა ესმას იმა

30

¹ ეს სიტყვა განმეორებულია.

² ამის შემდეგი წინადადება თუმცა თანმიმყოლია მაგრამ ტექსტულურად სრულიად არ უდგება და გაგვაქვს სქოლიოში. ტექსტი გადაგვაქვს „ლდ“ ფურცლიდან „ლვ“ ფურცელზე. ეს ალბათ ფურცლები არეული იყო და გადამწერმა ვერ გაიგო. „ამისი ცნობას აკლებს და თვალისა სიბნელესა მოუმატებს და გული რომე ეშლებოდეს მას დააწყნარებს და ღვიძლისა სინედლესა მოჰკრევს და ბალლამსა გამოიღებს, და რასაც გრილსა სჭამს ტანსა სიგრილესა და ქარსა მოუმატებს ყვანასა დაუდებს და ამა გრილსა საჭმლისაგან ერთი კვერცხის ცილა, ერთი სხალი და ცერცვი მოხარშული, წითელი მუხუდო, ლობიო და მისჭან და რომე ბევრი ჭამონ გრილად მიაქცევს და სიგრილეს გამოაჩენს“.

35

გზით ტვინსა მივიდეს. მით შეიტყობის ძალი და ხმისა გამოგება-კაცი რომე შობითგან ყრუ იყოს, მისთუის იქნების ყრუ, რომე ძარღვისა შუა გატენილი იქნების. თუ სიდიდეშიგან დაყროუვდეს იგიცა მალსისა ქარისაგან იქნების, რომე ტვინშიგან დაიბადების, იქით ძარღუშიგან ჩავა და იგი დაუყენებს ყურსა შიგნით ყურისა გაამღიერებს. თუ ზაფრისა და ბალღმისაგან იყოს სასმენელშიგან თმა გამოესჩმის, ისითმა მალზი და მღიერი ერთად შეიყრების და ყურსა დაუყენებს. ღ თ მ ა ნ ყურის ბაყლი მწარე ქნა. ყურმან წყალი ყუითლის ნალული-საგან აიღოს, მისთუის არის ყურისა ბაყლი მწარე. ყური უკარო 10 არის რომე არა სულიერი მავნე არა შევიდეს რა, რომე იმა სიმწარემან მოკლას ჭია რომ შევიდეს, ტვინამდის არ მივიდეს და არა ააყროლოს.

აქითა ზოგთა ყურთა სმენა აჯობინეს და ზოგთა თვალთა ხედვა, თვალათ ამისთვის აქეს, თუ თვალითა არას ხედავს გაგონილისა არის დაიჯერებს. სასმენელი მით აქუს მუდამ ერთსა ბუნებასა ზედა არის მიმგზავსებული ღრუბელსა რომე. იქუხნეს და თვალნი ელვისა მსგავსია, და ყური ქუხილისა.

ღ თ მ ა ნ დაბადა სტომაქი ოთხ გუნებად. ერთი, საქამადი რომე მისთანა მიიღოს იმას სახელი ა რ ი ჩ ჰქვიან მისი გუნება რბილი და 20 გრილი წყლისა გუნება არის, შისი ნიშანი ესე არის საჭმელი ჭამოს და გაცივდეს. მ ე ო რ ე გუნება შემნახავი არის საჭმელისა, მასთან

შეინახოს და და ადუღოს, მისი ძალი ზაფრისაგან არის მხურვალე და ხმელი არის. მ ე ს ა მ ე გუნება მადნობელი არის რომე საჭმელსა დაადნობს და ღვიძლსა მას მისცემს. მ ე ო თ ხ ე კიდევე მადნობელი არის მონარჩომა დაუდნობს და წელწულისაგან ჩაიყუანს. მისი გუნება რბილი და მხურვალე არის. ესე ასრე იცოდეთ რა დასნეულდეს ნიშანი ესე არის პირი გაოუყვითლდეს და ასლოკინებდეს და საჭმელი ვერ მოიდნოს, რაჟამს შემნახავი (ძალი) დასნეულდეს ნიშანი ეს არის მუცელი გაიხსნას. წყურვილი გაუხშირდეს, სტომაქი დაუძმძმ-
30 დეს. რაჟამს მადნობელი დაუსნეულდეს ღვიძლი გაუგრილდეს საჭმელისა ძალი ვეღარა აიღოს, იგი ყოლინჯად შეიქნას. თუ სხვა მადნობელი დასნეულდეს, სისხლსა იყუანდეს და შიგან წელი გაუმდიერდეს. მოვლაშიგან მისჭიროდეს და აზიდობდეს.

ღ თმან ღვიძლი დაბადა, ტანისა ძალი ყუელა ღვიძლშიგან გაყო, და სტომაქისა ძალი ღვიძლმან მიიღოს და ყოვლისა ასოსა ძალი მისცა. ღ თმან ღვიძლი სტომაქისა ცეცხლად დაბადა რომე საჭმელი აადუღოს და მასთან მიზიდოს. რომელი საჭმელი მხურვალე და ხმელი არის იგი ღვიძლისა თანა და ნაღველისა თანა მივა, ისი რომე-

36

წმინდა სისხლი არის იგი გულსა თანა მივა, ისი რომე წმინდა, მოგრილო და რბილი არის იგი ტვინსა თანა მივიდეს. ისი რომე მხურვალე და რბილი არის იგი თირკმელთა თანა მივა. ისი რომე არაშიგან ვარგიყოს და არა ძალი პქონდეს და მეშველობა, იგი ბუშტსა თანა მივა და წყლისა მაგიერად გავიდეს.

როდეს კაცი ავად გახდეს მაღას ქარმან ღვიძლი გაუგრილოს ღვიძლისა ცეცხლი დაავსოს და სტომაქმან საჭმელი ვერა მოიდნოს, უდნობი დარჩეს, მუცელი გახსნას, ყველა ბალღმად შეიქნას ახლად იგი ძარღვად და ყოველთა ასოთა დაიფანტოს იგი ფილენჯი, ლაყუა,
20 და ყოლინჯი შეიქნას და პირსა წააგდებინებდეს.

თუ ღვიძლისა ავადყოფა სიმხურვალისა და სისხლისაგან იყოს, ისი ზაფრისა და ნაღველისაგან იყოს. თუ სატკივარი ღვიძლსა თანა დარჩეს, ნაღველი გასივდეს და სტომაქი დაუძლურდეს და დასნეულდეს

ფერი ყვითლად და მოწითანოდ დაუცემდეს და პირსა წააგდებინებდეს. თუ დატყირბი ზაფრასა თანა მივიდეს გადიდდეს და კაცი გასივდეს და დამჭლდეს და მუცელი გაუდიდდეს.

ღვიძლისაგან შვიდი ძარღვი გამოვიდეს ყოველისა ასოშიგან დაიფანტოს. შვიდივე ერთად შტოდ შეიქნას, ისი ძარღვები არცა იძურის, არცა კუნესის, მას ძარღვებს. შუა ღვიძლისაგან ძარღვები
20 არის რომე ბასლიკე გახსნას მაზედა ძარღუსა კ ა თ ო ლ ი კ ე ქვიან, ზემოსა კეფალი ქვიან და ქვემოსა ბასლიკე ქვიან. ღვიძლი სისხლისა ბუდე (არის) ღვიძლისა პატრონი მუშთარი არის. ექუსჯერ სამთა უფროსნი მასკულავი არის.

ღმერთმან ტყირბი დაბადა ყოვლისა გონჯისა, დამწვარისა სისხლისა უდნობისა. მისი გუნება გრილი და ხმელი არის, ღვიძლისაგან ერთი ძარღვი მოვა ტყირბსა თანა. ყოველი სისხლი რაც არის დამწუარი და უდნობი ტყირბს შეეყაროს, რომე გულმან სიგრილე აიღოს. რომე ღვიძლისა სისხლი გულსა არ გაუმრავლდეს და არა

შეაწყინოს. როდესაც სისხლი დაიწვას, დამწვარი სისხლი და ბალ-
30 დამი ტყირბსა შეეყაროს, ტყირბი გადიდდეს, მას სევდა ჰქვია. თუ
ქარი იმასთან შეამხანაგდეს ყუელაშიგან ის დაიფანტოს. მისგან გა-
მოესხას მუნი, თავვისა ყუავილი არის, ქავილი, ქაწაპარ, მღიერი,
ყუავილი, ქუთუბი. მღიერი რომე გასქელდეს და გამსხვილდეს და
ჩავიდეს მისი სახელი დაუფილა ჰქვია რომე გამოესხმის ფერხათ.

თუ ქარი გაუმრავლდეს სევდა, ხელი შეეკუნაჩხოს და გული
უფეთქდეს.

თუ დამწვარი სისხლი შეამხანაგოს უცნობად შეიქნას და ჰკუა
წაუვიდეს.

37

თუ ტვინშიგა ჩავიდეს ქ ა შ ო ე თ ი ს ა წაეკიდოს და ავი სიზ-
მარი ეზმანებოდეს.

თუ ქარი და სისხლი ერთგან შეიყარნენ და ღვიძლისა თანა
მივიდეს ღვიძლი და ტყირბი გაუსივდეს და სტომაქი გაუგრილდეს,
ყოველი ტანი გაუსივდეს.

თუ ზაფრა დამწვარი და სისხლი ერთგან შეიყარნენ გვერდისა
და წიბოსა ტკივილი წაეკიდოს: გვერდი დაუსუსტდეს. ღთმან ტყი-
რბი დაბადა გრილი და ხმელი. ღთმან გული დაბადა ტანისა მეფედ,
ყოვლისა ტანისა მეფედ. ყოვლისა ტანისა ძალი და შეძლება გულში-
10 გან ჩადვა მართლად, სიმბურვალე ყმაწვილი მაგა გუნებითა დააგდო,
მაგა გუნებასა ბარართხიზი ჰქვია. იგი ნათლისაგან ქნა, მიამსგავსა
კანდელსა, რომე ყოველსა ტანსა ანათობს. მისგანა ოთხი ძარღვი
გამოვა ყუელა ძარღვი ოცდათორმეტი შტო შეიქნების და ყოვლისა
ასოსა შიგან დაიფანტების. იგი ძარღუნი არიან მძურელნი, ძარღუნი
რომელი ტანსა სძრავს, ყოველი გულისაგან გამოვა. მაგა ოთხისა ძარ-
ღვისაგან ორი ქვედა ტანშიგან ჩავა და ორი ზედა ტანშიგან გავა,
რომ ტანი მართლად და ძალზედ ამყოფოს.

როდესაცა გული თამამად იყოს, რაჟამს, გული, ყოველი ძარღვი
გემრიელად იყოს და მოსვენებით, თამამად იყოს. რაჟამს გული შე-
20 ჰვირვებითა იყოს, ყოველი ძარღვი შეჰვირვებითა იყოს და სარჯელ-
შიგან იყოს. აქიმმან ¹ მაჯა დაიჭიროს და მითა შეიტყოს, კაცისა
სიმრთელე და ავად ყოფნა.

გული მეფე არის ტანისა და მისითა გრძნებითა არის, ერთი
ძარღვი ტვინსა თანა მივა, რომე გულისა სიმბურვალე მან ტვინსა
უშველოს. ერთი ძარღვი ტვინიდადღმე გულთან მივა, რომე ტვინისა
სიგრილემან გულსა უშველოს.

გულისა ძალი ღთმან დაბადა ზემოთ ნათლად.

ღთმან დაბადა თირკმელი საძირკველად ტანისა, თესლის თესლი
ყოველი მისგან გამოვა, თირკმელნი შუაზედა მისთვის ხუდებიან რომე-
30 არცა ერთობ მხურვალაია რომე ძალი მისჭჳირდეს და არცა ერთობ:
გრილი. თესლი ერთობ ჩვილნი არიან.

თუ ტყირბისა ³ სიგრილე და სიხმე თირკმელთა მოერიოს თე-
სლი გაუხმეს. რომე ქნას ფსელი, უწადინლად წაუვიდეს და კაცი
დასოვლდეს.

¹ სწერია „ქაიმამან“.

² სწერია ტანსა.

თ უ ნალულისა სიმხურვალემან და სიხმელემან აჯობოს, თირკმელთა ქონი დაადნოს და გაახმოს. თირკმელნი დასნეულდენ და მუცელშიგან ყუითლად გაიყუნოს. ის თირკმელთა ქონი დამდნარი და დედაკაცსა თანა წოლასა, სისხლი არა ჰყუებოდეს.

ყოველსა ძარღვისა თავი ტვინისა სახვევი არის და ლუედი. ტვინსა თანა არის, გრილი და რბილი არის, და რაჟამსა ტვინსა სიგრილე მისჭირდეს ტვინშიგან მაღასი ქარი შეექნას, და თუ თვალის სინათლესა მიხუდეს თვალი დაუყენოს, ამას შავი წყალი ჰქვიან.

10 თ უ ყურშიგან ჩავიდეს ყური დაუმღიერდეს და დაუყენოს. და თ უ კბილებისა ძარღუსა მიხუდეს მაღასი, პირი იტკივნოს და კბილები დააყრევინოს, და ანუ უჟამოდ გაათეთროს. და

თ უ საფეთქელისა მაჯას მიხუდეს და ფეთქდეს, ფირტივი გაუმღირედეს, მისგან ფშვინვა და ხსუნეშა წაეკიდოს. და

თ უ გულსა მიხუდეს და სუსტსა ქაშოეთისა სალოკი წაეკიდოს. და

თ უ ტყირბსა ¹ მიხუდეს და სევდა გაერიოს, თავშიგან გაერიოს და სისხლი გამოსწოვოს და კაცი შფოთად ამყოფოს. და

თ უ მიხუდეს ძარღვებშიგან ჩავიდეს. და

20 თ უ გარეთ ტყავსა მიხუდეს ქეტირი წაეკიდოს. და

30 თ უ ძარღუშიგან ჩავიდეს და სისხლშიგან გაერიოს, გონჯი წაეკიდოს. და გონჯი მღერი წაეკიდოს და გამოესხას.

თუ სტომაქსა მიხუდეს ძალი წაუვიდეს და ღამით თავი წყალშიგან ნახოს. და ტალახსა და წვიმაშიგან. მისი ენა დაუმძიმდეს. მიკრისი ხელსა და ფეხსა წაეკიდოს, იმა სატკივარისა პატრონი ჭამად დაჯდეს და ვერა ჭამოს. თვალშიგა თმა გამოუვიდეს და თვალი გაუთეთრდეს და ხამი ქარი ტანშიგან ჩავიდეს.

ახლა დასაწყისი ცნობისათვის და შეტყობისათვის, დღეთა

კაცისათა. ღმერთმან მოწყალემან ქვეყანა დაბადა და დღე და ღამე გააჩინა, თვენი და კუირახი დასხნა ანგარიშისათვის. და წელიწადი

30 დადვა ამაღ რომე, კაცთა სიყმე და სიბერე გაუჩინა.

ფილასოფოსთა და ბრძენთა აქიმთა ასრე თქვეს: შობითგან ჩვიდმეტს წლამდის ყმაწურილი და სისხლის ბუნება არის, და სისხლის მეტობა არის იმის ტანშიგან, და არას სიჩქარესა და დაწყნარებულობასა შიგან, საჭამადთა არა დია ჭამა მოსწავლებია. რასა ასწავლიდე. დაისწავლიდე ყოფა ქცევა. თუ რაგინდა რა, ხელი იყოს ყუელას ისწავლიდეს, ამაღ რომე ყმაწურილი და მხურვალი და ნე-

¹ სწერია „ტყაირბასა“.

დლი გუნება იქნების. და სისხლისა აქუს მთავრობა და სისხლი მხურვალი დანედლი არის.

მეორე რიგი ჩვიდმეტსა წელიწადსა უკანის ვიდრე ¹ ოცდახუთმეტსა წლამდე კუერცხის გულისა ნალულისა გუნებაზედა შედგების, რომელ არს ზაფრა და არს ახალ მოწიფული და სიმხურვალისა და

სიყმისა გუნებახედ არის და იქნების ამპარტავნობაშიგან, გაუგონ-
ლობაშიგან, უჯერობაშიგან და სიძვის მოყურობაშიგან და მიჯნუ-
რობაშიგან, საჭმლის მონდომებაშიგან, შემჭირველობაშიგან ესე კუეორ-
ცხის გულისა ნავლველი მხურვალი და ხმელი არის.

10 მერმე, მესამესა რიგი ოცდა თხუთმეტსა წელიწადსა უკან შავის
ნალულისა გუნებასა შევარდების ვირე ორიოცდა თორმეტს ² წლამ-
დისინ შავის ნალულის გუნებასა ზედა იქნების სიხამესა და სიგრი-
ლესა შიგან. და არის კაცი შუაკაცობაზედა იქნების მშვიდობისა
მოყუარე და სიწყნარეშიგან და ჭკუაშიგან სიბრძნესა და მეცნიერო-
ბაშიგან და თეთრისა გარევაშიგან, ესე შავისა ნალულისა გუნება
არის, ყუელა გრილი და ხმელი არის.

მეოთხე რიგი ორმოცდა თორმეტი წელიწადსა უკანის ვირე-
მდეს სიკუდილამდის ბალღამისა გუნებაზედა იქნების ჭკუის კლება-
შიგან და საჭამანდისა კლებაშიგან და უსუსურებაშიგან და შვილიე-
20 რობისა კლებაშიგან და ყურთა მძიმედ სმენაშიგან, და თეალთა ბჟუ-
ტად ხედვაშიგან. ესე ყველა ბალღმისა ბუნებისა ნიშანი არის
და ბალღამი გრილი და ნედლი არის. ამისთანას კაცსა ბალღმისა
გამოდება კარგად ერგების.

აწე სხვა მოგახსენოთ: თუ ამათ ოთხთა გუნებათა კაცი არ
გვანდეს და სიჭაბუკისა ჟამთა ბერსა გვანდეს და სიბერისა ჟამსა
კაბუკსა გვანდეს, იცოდით რომე კაცი იგი ერთსა რომელსამე ბუნე-
ბასა ზედა არის:

თუ კაცი კვერცხისა გულისა ნავლელისა ზედა იყოს, აგებუ-
ლობა მისი სიბერისა ჟამსა ბალღმისა ბუნებასა ზედა შევარდეს,
30 ადრე დაბერდების კაცი იგი. და

თუ აგებულება მისი თელგამისა გუნებაზედ იყოს და სიბერესა
ზედა შევარდეს, გვიან დაბერდების კაცი იგი.

ამას უწინ მოვირვება (რომე) რომელსაცა ბუნებასა ზედა იყოს
კაცი ვაჟობაზე და სიბერისა ჟამსა სიმხურვალისაკენ მივარდების და
ბალღამსა გაიცუდებს, შეწევნითა მღთისათა.

¹ „სწერია ვიარე“;

² „სწერია „თურამეტს“.

წამლისა აღება ასრე უნდა; დახედენ და გასინჯე თუ ს ი ს ხ ლ ი
სჭარბობდეს უწინ ხელი გაუხსენ და მერმე წამალი აალებინეთ. და
თუ ბ ა ლ ლ ა მ ი უფრო სჭარბობდეს უწინ წამალი აალებინეთ და
უკანის ხელი გაუხსენით და აბანოსაც შეიყუანეთ.

თ უ გაზაფხულით წამალს აალებინებდეთ ახალ მოწიფულსა
კაცსა უწინ ხელი გაუხსენით და მესამესა დღესა აბანოში შევიდეს,
გაჩენილი არე არის, თქვენ ბ ა გ რ ა ტ. ას ორმოცთ სენი ბალღმისა
მალრისისაგან ხდების და თუ გინა ბალღამი მოუკლო დილ დილას
და დილას საჭმელი შეუწყევით.

10 წელთა და თვეთა ამას თვითო ხასიათი დააწერა, ასრე ბრძა-
ნეთ, დიდი ბრძენი ა რ ა კ ლ ი პ ე: ვითა კაცისა ბუნება სისხლი და
ზაფრა, რომელი არის ყუითელი ბალღამი, და სევდა რომელი არის
მწუანე და შავი ბალღამი, რომე არის თეთრი და სქელი ბალღამი,
კაცისა სიცოცხლე არის თუ ესენი გასწორებით არის,, კაცი მარ-

თალი იქნების (მრთელი) და თუ ამათგანი რომელიმე დამეტდების სენი გამოჩნდების კაცსა ზედა.

დიდი ბრძენი გ ა ლ ი ა ნ ე ასრე ბრძანებს: ვითა ცხელებისაგან რომელი კაცი დასნეულდეს მართებს რომე ფრთხილად იყოს საჭმლისაგან. სიცხე დააკლდეს და დასნეულება ამსუბუქდეს. ბევრნი ავად გასულან მსუმბუქად და თავი არ შეუნახავთ საჭმელისაგან, დიდი სენი დამართებია მით, რომე არა, რის უფარეზებია. და ბევრსა კაცსა ცოტა სენი სჭირვებია და დიდის სენისაგან, დიდის ჭამისაგან დიდი სენი დამართებია.

ასე მართებს ვინც სნეულათ იყოს ასრე შეუწყოთ რომე საჭმელსა დიდს ნუ აჭმევთ თუ არ დამძიმდების ავად, მოკუდების. და დაა-

მშევთ თვარა დასუსტების. და ასე შეინახეთ სნეულს შეჭამადისა მონდომება შეეძლოს ანდაზით აჭამეთ და ასვით და დახედენით კაცისა ძალსა და სენსა და თუესა და ჟამსა, ცასა და ეტლსა, წელიწადსა სიბრძნითა და ჭკუითა შეიტყვე და გაშინჯე თუ იმა თვისა რომელი გუნება სჯობს ზეით თუ შუაგული, ცოტად მხურვალი და ცოტად გრილი.

აწე ესე მოგახსენოთ ზ ა მ თ რ ი ს ა გუნება გრილი და ნედლი არის და კაცს დაემართების სენი ყველა, მუცლისა ტკივილი, ყურისა ტკივილი. და ზამთრის გამოჩნდების იცოდი.

ზ ა ფ ხ უ ლ ი ს ა ნიშანი ვთქვათ. ზაფხული მხურვალი და ხმელი არის და კაცსა დაემართების სენი მხურვალი და ხმელი. წყურვილი და ღვიძლის ტკივილი და ტყირპისა და ცხვირისა გახმობა.

41

ა წ ე გ ა ვ ყ ო თ კაცის გუნება ოთხად: პირველად თავისადა ფილტვისა და მუცლისა და თირკმელთა. ქანთელისა, მოდემტისა. რაცა სენი დაემართოს კაცსა, თუ თავთა დაემართოს სენი ნიშანი ესე იყოს, რომე მარღვნი ¹. მძიმედა იყუნენ და უფეთქენ და თავი სტკიოდეს და ყურითა ხმა გამოსდიოდეს და დილეულად თვალთა ცრემლი სდიოდეს და ვერასფერსა სულსა ვერას შეიტყობდეს, და რა ესე ნიშანი ნახო იცოდი რომე მაღსისაგან არის რომელ არს თელგამ და სურდო. მართებსრომე კაცსა მაღასისა წამალი უყო, მუდამ ღარღაოა ქნას რომე თავისაგან მაღასი გამოწმიდოს მისი ღარღარა მდოგვი ² და ქონდარი დანაყოს სწორსწორი და ერთმანერთსა შიგან გაურთოს თავწყლითა და ცოტა ძმარი და მათა იღარღარებდეს და თავი გამოწმინდოს, უშველის მაღასას. მაგრა თავსა ნამეტნავად თბილად შენახვა უნდა.

აწე ვინცა ამისთანა ნიშანი ნახოს თავშიგან და წამალი არა ქნას და თავი არ გამოწმინდოს ჟამსახედა მას თვალშიგა მღერი დაემართოს და გამოუვიდეს, და ყურთა დაუყენებს. და თუ ყურზედა გამოუვიდეს და ტვინი გამოუბრუნდეს და ხახა უხმებოდეს და კბილის ტკივილი წაეკიდოს და თმა გასცვინდეს.

რა ფ ი ლ ტ უ შ ი გ ა ნ დაემართოს, ფილტუში არის ესესენი, 20 ნიშანი ესე იყოს რომე ენა გაუსივდეს, კორკოტივითა გამოყაროს ენასა ზედა. ძუძუ და ღვიძლი ჩადმა ზიდევდეს და პირსა დუჟი მჟავე იყოს ან მწარე, ან ბალღამი. ერთობ ზურგზედა ბეჭთა შუა სატკი-

ვარი იყოს და სტკიოდეს და ერთობ ქმინევდეს და არ დაეძინებოდეს და არ გაიღვიძოს, ან ბუნებაშიგან ხდებოდეს ყველა დავიწვებოდეს, ხელის თრთოლა და ხმელი ხუელა³ დაემართოს. ამა სენის კარსა რომე ამოიღების წამალი უყოს, რომე მამდარმან ამოიღოს სადამოს და მერმე დილას უზმომან ამოიღოს. ამ ნიშნითა: პირველად ბოლოვი აჭამე და მერმე წიწმატი, მეომე შეასვი თბილთბილი წყალი და არწყიოს და ერგოს.

30 და ვინცა არ იყოს ამისთანას სენსა და ესე არა ქნას მას წაეკიდოს გვერდის ტკივილი, შავი ზაფრა, ცხრო და საცა იცოდეს. დავიწყდეს და საჭმელით არ გაძდეს.

თუ მუცელსა⁴ შიგა დაემართოს სენი, მისი ნიშანი ესე იყოს რომე მუცელი გაუმაგრდეს და სასმლისა და საჭმლის გემო არ ეჩვე-

¹ სწერია „წარგნაი“ — შეცდომაა.

² სწერია „მოდგი“.

³ სწერია „ყველა“.

⁴ სწერია „მეცხრესა“.

42

ნებოდეს და მუხლი მძიმედ ექნების, და მძიმედ იარებოდეს. უმიზეზოთ, სიარულში ზურგი სტკიოდეს და ტანი და სიცხე ცოტა იყოს რა ესე ნიშანი ნახო იცოდე რომე სენი მუცელში არის, მართებს სიფრთხილე, წამლით მუცელი გაურბილე, და თაფლწყლითა ან ცერეცო აადულე და ან ჭაკუნტელი და ხახვი აადულოს და თაფლწყლითა შესვას. და ვინც არ უყოს, ამა სენისა წამალი არა ქნას, მას დაემართოს სენი და ნიადაგ ცხრო, ფეხისა ტკივილი, და ანასდა სისხლის ამოღება, ძარღვების ტკივილი.

და თუ თირკმელთა ქანთელთა და ბუშტუსა შიგან დაემართოს 10 სენი მისი ნიშანი ეს იყოს რომე, საქმელი ცოტაცოტა ჭამოს კაცმან, ასრე ეგონოს ვითა ბევრი მიჭამიაო და მძიმედ აბოყინოს და ძალად ყოველსა ასოს ფერი წავიდეს დააკლდეს და ძილშიგან მძიმედ იყოს. და ძნელად მოფსემდეს, და ფსელს გონჯი სული უდიოდეს, ესე შირიმის ნიშანი არის. რა ამისთანა ნიშანი ნახო, მას ასეთი წამალი უყავ რომე თირკმელი და ქანთელი გამოწმინდოს, ქვა ბუშტით გამოიღოს.

თუ ასრე არ გაუფრთხილდეს და წამალი არა ქნას მას დაემართოს სენი რომე ფსელი უწინდელთა წაუვიდოდეს და ტყირბისა და ღვიძლისა ტკივილი, თირკმელთა და ბუშტუშიგა ქვა შეიქმნას.

20 თუ ესე ნიშანი ვაჟსა სჭირდეს მისითა წესითა წამალი მიეც, რომე გამოწმინდოს. და თუ უფროსს წაეკიდოს, უფროსსა კაცსა უფროსი წამალი მიეცი ამა ხიშნითა: აილე კოწახური და თუსმიქანი, და ფურთა ერბოთა ადულე და წყლისა აწიწმატი წყლითა კარგა მოადულე და შიგან ერბო ანუ ზეთი გაურივე და შეასვი და რაც თირკმელთა და ბუშტისა და შირიმისა წამალი სწერია ყულა უყავ და უშველის ღთხთა.

და კულაადვე ბრძანებს დიდი ბრძენი გალიანე: ვითა კაცისა სიმრთელე და ყოფა ღთისა შეწევნითა კარგისა საჭამადისა შეწყობითა იქნების, რომე სენისაგან უშველოს და რა კაცი მართლად

30 იყოს და სიმხურვლე და სიგრილე ერთმანერთისაგან სწორად იყოს

და გაერთებით და საჭამადსა შეწყობითა სჭამდეს, კაცი მართლად და კარგად იქნების, და ვისაც ნამეტნავად სიმხურვალე და სიცხე მოერიოს მას მისთან მეპირის პირემან სიგრილემან უშველოს. და ვისცა ნამეტნავად სიგრილე სჭირდეს და მოერიოს მას მისმან მეპირისპირემან სიმხურვალემან უშველოს.

და თუ კაცისა სტომაქი მხურვალი და ძლიერი იყოს, მას მიეცი საჭმელი მძიმე, სქელი და გრილი, ამაღ რომე როგორაც დიდი ცეცხლი მოერიოს დიდსა და ნედლსა შემასა დასწვავს, აგრე მხურ-

43

ვალი და ძალიანი სტომაქი მოერიოს და დაადნობს მძიმესა, გრილსა საჭმელსა.

თუ იყოს კაცისა სტომაქი გრილი და სუსტი მას მიეც საჭმელი სუბუქი და ცოტა, რომე მოერიოს და მოიდნოს. თვარა როგორაც დიდსა, ნედლსა და სველსა შემას ცოტა ცეცხლი ვერ მოერევის და დაავსებს აგრევე გრილი და სუსტი სტომაქი ვერ მოერევის მძიმესა და სქელსა საჭმელსა. დაასენიანებს კაცსა.

ესე არის ნიშანი კაცის მოდნობისა: რომე საჭმელსა მოერიოს და მოიდნოს რა საჭმელი ჭამოს ფიცხლა აბოყინოს და სული კა-
10 რგი ამოვიდეს პირისაგან და ტანზე და ხორცზედა მსუბუქად იყოს, და ადრე საჭმელი მოუნდებოდეს და ემშეოდეს. და ვინცა საჭმელსა აღვილად ვერ მოიდნობდეს, მისი ნიშანი ეს არის, რომე ტანსა და ხორცზედ მძიმედ იყოს და ძნელად ადგებოდეს და სიარული ეძნელებოდეს და თავზედა მძიმედ იყოს და გვიანად აბოყინოს და რა ამოაბოყინოს და გონჯი მჟავე სული ამოვიდეს პირიდადმე და საჭმელი არა მოუნდებოდეს და პირი ხმელიებას, ესე საჭმელსა მოუნდობლობისაგან არის იცოდეთ.

აწე ესე მოგახსენოთ რომე ანუ სამარხოდამა ანუ სახსნილოთა საჭმელი რომელი გრილია და რომელი მხურვალი, ასრე იცოდით:
20 რაც საჭმელი მწოვე არის ყუელა მხურვალი არის. სამარხო და კორკოტი ხვარბლისა ზანჯაფილითა და ქონდრითა, მხურვალი არის. და მუკაშარი ზეთის ხილის ზეთით ანუ ნუშის ზეთით და ნიორითა შენელებული მხურვალი არის. თაფლი მოდუღებული და ქაფ მოხდილი. თაფლწყალი ასრე რომე კამა შიგან მოდუღებული იყოს მხურვალეა.

ს ა ხ ს ნ ი ლ ო: მსუქანი ცხურის ხარშო მუხუდოთა ანუ დარიჩინითა და ანუ ზირითა, ანუ ზანჯაფილითა შექნილი მხურვალია 33-ტად. და ქათმის ხორცი მხურვალია და მისი ხარშო იმავე წესით. ჩიტი მუხუდოთა და პილპილითა შექნილი და კაკაბი მხურვალია. და ვისაც სტომაქი გრილი და სუსტი იყოს სმისათუისა კარგი და
30 გემრიელი ლალის ფერი ღვინო და ტკბილი კარგი და მხურვალი ფერობზეცა მხურვალია. ხილი ლეღვია კარგი და ნაკიდები ყურძენი და ტკბილი ბროწყული და ხურმა და კარგი ნესვი მხურვალი არის ესე იცოდი.

და აწე გრილისა საჭმელისა დავიწყოთ: პური, ის არის მისი, შარბათითა გრილია ანუ ყინულიანის წყლითა დამბალი და ქერის კორკოტი გრილია და როცა მჟავე არის ყუელა გრილია. და ვარია ქერქის კორკოტითა თიკნის ხორცი ქერის კორკოტით შექნილა ან ძრძითა და გოჭის ხორცი მუხაფარად შექნილი გრილია, და ქასნიცა

გრილია, ბაზრაცატუნისა წყალი თუხმაქანითა გრილია. მაწონი და დო და ძმარი ყუელა გრილია და მხურვალსა სტომაქსა არგებს, და თევზი ყუელა გრილია ერთსახედ.

ა წ ე ვ ი ნ ც ა ამას უყურებდეთ და იცოდეს წესი საჭმლისათვეთა და ჟამთა თუ რომელი საჭმელი სჯობს, ამა თვესა და ჟამსა ამაზედა საჭამადი შეიწყოს და შეირგოს. კარგსა, სურნელსა უსუნეპდეს და ქვეითად იარებოდეს სუბუჟად და ხანდახან მხიარულად ცხენსა შეჯდებოდეს. და მართებს კაცსა რომე უზმა აბანოს შევიდოდეს და თაფლითა გაზრდილსა ალილსა და ზანჯაფილსა სჭამდეს, 10 ანუ კარგსა მაჯუნსა, მერმე მოსვენოს და დაიძინოს ცოტა. და დადგეს ძილისაგან თავი ტანი და ფეხები შეიმწნას ვარდის ზეთითა, ან სხვითა კარგის ზეთითა, ანუ კარგითა კარაქითა დაიზილოს ტანი. თავი ფეხები და ასოები. მერმე დაუღებეს ყოველი ასო და ტანი. დაიზილოს დაამაგოებს. ე ს ე ც ა მ ო გ ა ხ ს ე ნ ო თ მ ე ტ ი შეუელა დაასუსტებს ასოებსა და ტანს წესიერადუნდა შეუელა.

და საჭმელი რა მოუნდეს მაშინ ჭამოს და ზედ კარგი ღვინო სვას და არ მართებს კაცსა როზე ზამთრისას გრილი და ცივი საჭმელი ჭამოს და ზაფხულისას ცხელი და მხურვალე საჭმელი ჭამოს. ვინცა ამას ასრე შეიწყობს იქნების კაცი მთლად და კარგად და 20 წარმოსადეგად შესახედავად და პიოი წითლად ექნების.

ა წ ე ძ ი ლ ი ს ა მ ო გ ა ხ ს ე ნ ო თ რა პირველად დაიძინოს კაცმან მარცხენასა გვერდზედა დაიძინოს ამისთვის, რომე მარცხენამხარი გრილი და ნედლია და ზედა წოლითა გააცხელოს და გაამხურვალოს და მერმე მარჯვენასა გვერდზედა დაიძინოს, რომე მარჯვენას და მარცხენა მხარი გასწორდეს.

ა წ ე ა ს რ ე მ ა რ თ ე ბ ს კაცმან რომე საჭმელი ჭამოს პირველად რბილი და სუბუჟი ჭამოს და ან ხილი და მერმე ძძიმე და სქელი ჭამოს, ამისთვის რომე სტომაქსა შიგა გასული გზა ვიწროა.

აწე ძილისა ვთქვათ: კაცმან რომე ბევრი დაიძინოს და ნიადაგ 30 იწვეს დიდსა ფათერაკსა უზამს და ზიანსა, ასრე რომე ტანსა და ხორცს დაალპობს და დააჩოლოფოტებს და დასენიანდების და ფერსა წაუღებს. თუ კაცსა ნიადაგ ღვიძავს ისიცა ავი არის, ამად რომე კაცსა დაასუსტებს და თვალთა ვედარა ააღებს და საჭმელსა არ მოანდომებს. და თუ კაცსა სიმრთელე უნდა, ასრე უნდა, რომე როგორაცა მართალი სასწორი აგრე ძილი და ღვიძილი გაასწოროს და რასთონიერთსა ჟამსა იძინოს, იმთენი ერთი იღვიძოს. სჯობს რომე ძილსა ღვიძილი და სარჯელი ბალდამსა გასტეხს. აგრევე სმა და ჭამაცა სწორად უნდა შეიწყოს რომე მოქარვება შეიძლოს და

მუდამ ძლომასა, წესი არის შიმშილი სჯობს. და ყოვლი ფერი საჯ. ქმე წესითა ქნას არცა დაამეტოს და არცა დააკლოს. და რომელიცა კაცი ამას იქს, მერმე იმა კაცსა არაფერი სენი აღარ მოუვიდეს და ვერცა მოერიოს. ტანშიგან მართლად იყოს და პირწითლად და მისმან ტანმა ყოვლითა ფერთა მოისვენოს.

აწე რაცა ღთისა დაბადებული არის, რომლისაგან ისრდების.

ის მოგახსენოთ. ბაბილოვნელთა ბრძენთა და ფილასოფოსთა ასრე თქუეს ვითა მაღალი ბუნება ოთხი არის მხურვალნი და ხმელი გრილი და ნედლი. და ყოველი ფერი¹ დაბადებული რაცა 10 არის კაცი და ან პირუტყვი და რაცა მიწით ამოვა ხე და ანუ ბალახი და თუ ნერგი ყოველსა ესე ოთხი ბუნებანი ზრდიან რომელ ქარი, სიცხე, მიწა და წყალი. ქარი მხურვალთა და სიცხე ხმელი და მიწა გრილი და წყალი ნედლი ამათგან იზრდებიან ოთხნივე კუთხენი ქვეყანისანი.

აწე სისხლისა ვთქვათ და ბაღდამისა და ზაფრისა და შავისა ბაღდამისა იმათთა გარევითა და გასწორებითა გაიზარდოს ტანი კაცისა, ყოვლისა დაბადებულისა.

აწე ესე მოგახსენოთ ქარი მხურვალთა და ნედლითა და სისხლი მისგან იქნების და სული მისგან იძურის. და ცეცხლი მხურვალთა 20 და ხმელი არის და ზაფრა არის. მიწა გრილი და ხმელი და შავი ბაღდამი. წყალი გრილი და ნედლი და ბაღდამი მისგან არის.

კიდევ ბრძანეს დიდი გალიანი: ვითა მაშა კურნებდე მას რომელსა შერევნა და სენი (გამოსჩენია) მხურვალსა გრილითა წამლითა და გრილსა მხურვალთა, და რომელი იყოს სიხმისაგან ჰკურნო ნედლითა და ნედლსა ხმელითა ჰკურნე. მას რომელსა წყალ- 30 ლებისაგან, ანუ გაპობა ძარღვისა წამლებითა შემკურელითა რომელ დააყენოს სისხლი და გაახმოს წყურვილი და რომელი იყოს სენი და სატკივარი და ან სიმსივნე: სიგრილისა გზითა, ზელითა, ხეთისა ცხებითა (ჰკურნე) ზეთი ამისთვის ესე არის: ზეთი არზიკისა და ზეთი გუნდრუკისა და ზეთი ქუშტისა და ზეთი ცერეცოსა და ზეთი ნარდნისა. და აჰამე საჰმელთაგან მხურვალთა რომელ არს მართვი ტრედისა, წითლისა თხისა ნორცი შემწვარი. და წამალთაგან გუარიშნი ამბრისა, გუარიშნი მუშკისა და ღვინო ასვი კარგი. შეწყობით სვინტრი და სტაფილო ზანჯაფილითა, გაზდილი თაფლითა.

და კურნე სენსა მხურვალსა წამლებითა გრილითა იის ზეთითა და ვარდის ზეთითა გარეგარე შეცხებდით და შეასვი ტაბაშირი და

¹ აქ გადაძწერს არევია და წინა აბზაცის ბოლოს, იმეორებს. შემდეგ ამ წინადადებას ისევ თავიდან იწყობს.

მრავალ ძარღვა და ბაზრაცატუნი წყლითა გრილითა ყოველთა დღეთა და აჰამე ბუ გამოზდილი და ამლაჯი და შეასვი ლორფარ შაჯი და ბროწეულისა ავშარაი და ყოველსა მჟავესა ასმევდით.

აწე საჰმლისა და ვსწეროთ ტკბილისა მჟავისა, მწარისა და მწოვისა. ყოველი ტკბილი მხურვალთა არის და სწორი. და რაცა ფერი საჰმელი მწოვე არის და მწარე ყოველი მხურვალთა და ხმელი არის და მისი ჰამა სისხლსა დასწავს და თმასა დააყრევი- 10 ნებს და ტანსა დაამკლობს და ზაფრას მოუმატებს და ბაღდამს გასტებს და ცხელებას მოუმატებს და მუცელსა გაახმობს, ღვიძლსა დაასუსტებს, წყალსა მოაწყურვებს და საჰმელს მოაქარვებს. მჟავისა ხასიათი. რაცა მჟავე არის ყოველი გრილი არის და ხმელი და სუბუქი. ხილი რაცა მჟავე არის ცოტათ სინედლე აქუს.

ქლიავისა და თაბირინდისა მაგიერად და სხვა მჟავეცა ამა ხასიათი-
სა არის ყუელა. ზაფრასა და სიხმელესა და სიმხურვალესა დააწყნარ-
რებს. ხ ა ს ი ა თ ი მ ლ ა შ ი ს ა ყოველი მლაშე მხურვალი არის და
ხმელი.

ჭ კ უ ა ს ა და მეოხედი თავი არის და თავისა დგმა და ყოფა
ტვინი არის. თუ კაცისა ტვინი სრულად მთელი იყოს კაციცა მარ-
20 თებული და ქკვიანი იქნების. თუ კაცის ტვინი ნაკლული იყოს კა-
ციც ნაკლული იქნების, ამისთვის რომე, კაცის კარგად ყოფნა და
ავად ყოფნა ყოველი ტვინზედ ჰკიდია. ასრე იცოდით თუ კაცს
ტვინი სტკივის ყოველი ასო და ტანი სტკივის, თუ ტვინი მთლად
არის და სხვა ასო რომ სტკივის თავი და ტანი და ყოველი ასო
მართლა იქნების იმ ერთის ასოს მეტი რომელიცა სტკივის, მას
გარეთ მართლად იქნების.

აწ ესე იცოდით რომე ტვინი რბილი და გრილი არის. სტო-
მაქი მხურვალი და ხმელი არის. გული მხურვალე და ფილტუი
გრილი და ღვიძლი მხურვალი და ტყირპი გრილი, თირკმელი მხურ-
30 ვალე არის, ბუშტი გრილი არის, ყუითელი საფრა მხურვალე არის,
და ხმელი. და შავი ნაღველი გრილი და ხმელი არის. ეს ამისთვის
დაბადა ღშეოთმან, ერთმანეთსა ასწორებენ.

თუმცა გულის სიხმელე არ იყოს ტვინი სიგრილისაგან და-
შავდების, ის ინახავს. თუმცა ნაღველი არ იყოს სტომაქის სიმხურ-
ვალე ტანსა გაახმობს და დასწვავს, თუმცა ფილტვის სიგრილე არ
იყოს ღვიძლის სიმხურვალე გულს დასწვავს. თუმცა ტყირპი არ
იყოს, ღვიძლის სიმხურვალე გულს დასწვავს. თუმცა ბუშტი არ იყოს
თირკმელთა სიმხურვალე სრულად ტანს დასწვავს.

47

ღ~თმან მოწყალემან ტვინი და თავი მეფედ დაბადა და მუცე-
ლი სალართა, ხელი და ფერხი მოსამსახურედ და შემნახავად ტა-
ნისა. ტვინშიგან არის ცნობა და ჭკუა. ჭემმარიტება. და ყურნი გა-
საგონლად და ცხვირი იმისთვის რომე სულსა იქით იქცევს, ენა და
კბილნი და ზაგენი საუბრისათვის. სტომაქსა შიგან არის საჭამადისა
მოდნობა. სიბრძნე გულშიგან და ჭმუნვა ტყიოპშიგან, იქით მარღვი
მივა, პირშიგან ჭმუნვა, იქით შეიტყობს. ღვიძლშიგა შეგონება და
სიხარული თირკმელშიგა, ძუძუშიგა სიყუარული, წყურვილი ¹ ფირ-
ტუშიგან. ძალი მკლავშიგან. მოსვენება წელშიგან. სიცილი თვალ-
10 შიგან. უღრმთოება პირშიგან. ხმა ენაშიგა. წყრომა და გაგულისება
და გაჯავრება სულისა არის და დედაკაცისა მონდომა ნაღველში-
გან. კაცისა, ყოველი ფერი სიმრთელე და ჭემმარიტება თავშიგან
არის, ამისათვის არის კაცისა თესლი თავშიგა.

ღ~თმან დაბადა თვით ვითარცა და შიგნით ტვინი ჩაუდვა და
იგია ხელმწიფე სრულად ტანისა. ცნობა და ჭკუა. კაცის ტვინის
შიგნით ორი საქმე არის ერთი ცნობა ერთი ჭკუა, ერთი გაგონება,
ერთი სინათლე თვალთა. ტვინი შვიდსა ფარდასა შიგან არის წა-
ხვეული. და პირველად თმაშიგან. მეოთე ტყავი. მესამე ხორცი.
მეოთხე ძვალი. მეხუთე ძვალისა აფსკა აკრავს. მეექვსე ლაბა არის.
20 მეშვიდე ტვინი რომე ძეს. მას ღ~თმან ესე ფარდაგები მისთვის და
ზადა, რომე ტვინსა არაფერმან მავნემან არა აწყინოს რა. და ქარი

არა შეუვიდეს და ანუ მატლი არა შევიდეს და ანუ არა აყროლ-
დეს. მერმე ტვინისაგან ძარღვნი ჩამოვლენ ქვედა ტანშიგა ისი ძარ-
ღვნი მისცემენ სრულად ტანსა და ასოებსა მოვა[სა]. ესე ძარ-
ღვნი უსისხლონი არიან, ხმელი და შიგან ღრუ არის. იმა ძარღვთა
და იქიდაძან ორნი ძარღვნი თვალშიგან ჩამოვლენ, თვალისა სინა-
თლე დახუჭვა და გაღება მისგამ იქნების და ტვინიდაძმან სიგრი-
ლე მოვა და თვალთა აგრილებს.

ბ ა გ რ ა ტ მკურნალი იტყვის ას ორმოცი სენი თავიდაძმან
30 შეექნების მალს[ის] ქარი ჰქვიან და მისგან იქნების. ჩვენ მოკლედ
მისთვის დავსწერეთ, ერთობ გაგრძელდებოდა. ორნი ძარღვნი
ყურშიგან ჩავლენ და მათი გული ცარიელი არის, სმენა და გაგონება
იქიდაძმა იქნების. ორნი ძარღვნი კბილშიგან და მისა ძირსა თვითო
ძარღვი მივა და კბილებსა ის გაამაგრებს. ერთი ძარღვი ცხვირში-
გან ჩავა და ორად გაიყოფის. და ტვინი ავსა და კარგსა სულსა
იქით შეიტყობს და მათი გული ცარიელი არის. ერთი ძარღვი ენა-

¹ სწერია „წურილი“

შიგა ჩავა, ერთი ბაგეშიგა ჩავა და საუბარსა აქიდაძმა იტყვის და
ბაგე გემოსა იქიდაძმა შეიტყობს. ერთი ძარღვი სტომაქშიგა ჩავა,
საჭმელსა იქიდაძმა ადნობს. ერთი ძარღვი გულშიგა ჩავა რომე ყო-
ველსა საქმესა მით დაისწავლის, ერთი თირკმელში ჩავა რომე თირ-
კმელძან თესლი აიღოს. ერთი ხელებშიგან ჩავა ორად გაიყოფის,
ერთი ძარჯვენით ერთი მარცხენით, რომე ხელი რბილსა და მაგარს
მით შეიტყობდეს. ერთი ღვიძლშიგან ჩავა რომე, სტომაქისა და
საჭმლისაგან ძალი აიღოს. ერთი ფერდშიგან ჩავა და თეძოშიგან
თვითო ფერხშიგან, რომე სიარულს მით დაიწყებს.

10 ღ~თძან ტვინი გვამისა ხელმწიფედ დაბადა და ცნობა ყოველი
მისგან არის.

იგ. კარი წამლებისა მიღებისა. აწე წამლისა მიღებისა დავს-
წეროთ. თუ წამალსა ააღებინებდე კაცსა ჰკითხე თუ რა სატკივარი
სჭირდეს გასინჯე აბი ანუ მათბუხი ანუ ლოყია მისაცემელი, კარგად
ფარეზი უნდა ქნას. სამსა დღესა ფარეზი უნდა მაწონისაგან მჟავი-
საგან და დედაკაცთან მისულისაგან გაფრთხილება უნდა სამსა დღესა
წინათ და მესამესა უკანით ამა წესითა პურსა ნუ სჭამს, თვითოსა
ჯერსა ხარშოსა სჭამდეს, ასრე რომე არ გაძდეს და წუენსა ხურე-
ტდეს და ხორცსა უფრო ცოტასა სჭამდეს, მეორესა დღესა მულუ-
20 ლაბი შეასვი და მესამესა დღესა წამალი მიეც. და რა წამლისაგან
გამოვიდეს ცივის წყლითა ჯულაბი შეასვი ბაზარყატუნითა. მასუ-
კანით კარგი ხარშო აჭამეთ პურით. ამა დღესა ღვინოსა ნუ სვამს,
წყალი სვას. მეორესა დღესა ღვინო სვას და წყალი რასთონიცა
უნდოდეს სვას. და სამსა დღესა კარგად თავი შეინახოს, ამას უკა-
ნით არა გავარა რასაც იქს.

თუ წამალს მისცემდე ასრე იცოდი ვისაცა ტკივილი გულისა და
ანუ გულის პირისა სჭირდეს მას რწყევა უჯობოს წამლისა აღებასა.

ვ ი ს ა ც გულსა ქვემოთ იყოს ჭიპამდეს სატკივარი, მას გასახ-
სნელი წამალი უნდა და ვისაც ჭიპს ქვემოთ იყოს სატკივარი, მასაც

30 გასახსნელი წამალი უნდა მისცე.

თუ აქიმმა კაცსა წამალი ააღებინოდსა და საქმობა გვიან დაუწყოს საგონებელშიგან და ნაღველშიგან იქნების ისი კაციცა და აქიმიცა. აქიმსა ესე უნდა რომე ადრე ასაქმოს ამის მეტი ღონე არ არის რომე, ანისონი წყლითა მოადულე და იმა წყალშიგა ხიარი-შამბარისა გული და თარანიგუბინი ხუთი დრამი გალესე, გამოწურე და ცხელცხელი შეასვი. ორივე ფერხნი და ორივე ბარკალნი, ხათმი დანაყე და თბილითა წყლითა მოადულე, და იმით დაბანე მოოცელი და გულის პირი რბილად სახელით დაუზილე. და თუ არა

49

გახსნას, მერმე კოლინჯისათვის რომე გასახსნელი სწერია ისი ააღებინეთ. რბილი საზელი ესე არის: ბატისა ქონი და ქათმისა ქონი, ნუშისა ზეთითა ანუ შირბახტისა ზეთითა დაადნევ და იმით დაუზილე.

თუ წამალმან ერთობ ძალი უყოს მწოვედ გახსნას, ასრე რომე ერთობ შეაწუხოს კაცი მისი წამალი ანაზდად ესე ქენ, რომე ფერხები ცივითა წყლითა დაბანე და თუ არ ეშველოს ჭიპს ქვემოთ დაბანე ცივითა წყლითა. მერმე ბაზარყატუნი მოხალე ანუ სიქანგუბინითა ანუ ბიის შარაბითა გაურვივეთ და აჭამეთ. და თუ მით არა შეკრას

10 კუერცხისა ყუითელი ძრმით მოადულე რომე კარგად მოიხარშოს, პურითა ის აჭამე ძალსაც მისცემს. და კიდევ შეჰკრავს. და თუ არ შეჰკრას შესაკრავი ყურსი მიეც და თუ იმან არ უშველოს ერთი მუტყალი გილიერმანი ბიისა შარაბითა შეასვი.

თუ ისი რომე იყვანდეს ასეთი იყოს რომე ბალღამს გვანდეს სონტი მოკლე სიქანგუბინითა შეასვი, ცოტა დანაყილი ხულინჯანიცა გაურვივე და ერთსა დღესა ორჯელ წამალი არას ღონითა არ მიეცემის საფათერაკო არის იცოდით.

მ ე რ მ ე ესეცა იცოდით ნამეტნავად მუცლის გახსნა ფათერაკი არის, წელწულსა დახვეწს და გაათხელებს და დაადნობს და 20 თუ გაეხურებების წელი კაცი აღარ დარჩების და თუ არ გაეხურებების, ძალი დააკლდების და თუალსა დაუბნელებს და სიარულსა დააკლებს. ამისთვის თქვეს ინდოელთა აქიმთა ვითა კაცისა შენობა, სიმტკიცე და სიმაგრე მუცელი არის და წელწული. ესე ყუელა მუცლად ავისა კაცისათვის არის დაწერილი იცოდით.

აწე რწყევისა დავსწეროთ. თუ კაცი ხორციანი და მსუქანი იყოს მასაცა რწყევა უჯობს წამლის აღებასა და რაც უხორცო და მჭლე იყოს კაცი მასცა გასახსნელი წამალი უჯობს რწყევასა. იცოდით მსუქნის ტვინი გრილი და რბილი არის, ორნი ძარღუნი გულშიგან ჩავლენ, გულისა სიმხურვალესა ტვინშიგა მიიღებს, რომე ტვინი 30 სიგრილისაგან არა დაშავდების. ლ~თმან ტვინი მთვარისა სახედ დაბადა რა მთვარე გავსით არის ტვინიცა სავსედ არის, რა მთვარე კლებით არის ტვინიც კლებაში შევა ¹.

კაცის სტომაქსა ადრე რწყევა ერთობ კარგად გამოსწმედს. ასრე რომე თვეშიგან სამსა დღესა წინა უკან არწყიოს. პირველსა დღესა აშლის სტომაქსა, და მეორეს დღესა ბალღამსა აშლის და დასძრავს და შესამესა დღესა გამოსწმენდს და ამისაგან, დაჭარ-

ბება სტომაქსა ერთობ აწყენს და აშლის და თვალსა დააბნელებს და ფერსა გაუყვითლებს და ტანსა დაამჭლობს.

თუ ღვინისა მსმელი კაცი იყოს და რწყევა უნდოდეს ცოტა ასლისუსი და ცოტა იშნა დანაყოს და ღვინოში გაურიოს ერთსა დღესა დადგან და დილას გამოწურონ. წიწმატი და ხახვი, დიდროვანი ცერცვი ჭამოს და ზედა ცოტა ღვინო შესვას და მერმე ცოტა ხანი გამოუშვას და ზეტდა ესე წამალი შესვას თბილ თბილი, არწყიოს ძალითა ნუ არწყევს მანამდისინ ძალსა ნუ უზამს, სადამდის თავისა მაგიერად არ აიშალოს და მერმე ნაკრტენი ჩაიყოს როგორაცა აე-
10 შალოს გული ნაკრტენითა, მანამდის არწყიოს სანამდის გამოწმენდს.

ასრე უნდა რომე თვალსა რწყევა მიაჭირვებს როგორაცა ნაკრტენს ჩაიყოფს თვალზედა ბანბა დასდვას და მერმე მანდილითა მაგრად უკუიკრას რომე თვალმან გამოღმა არ გამოიზიდოს, მერმე როგორაცა რწყევა გაათაოს მანდილი შეისნას და ღარღარა ქნას ძმრითა. და ვარდის წყლითა, ამისთვის რომე რწყევაშიგან ოფლი გამოუვა თვალშიგან და ის ოფლი შხამის მაგიერი არის. ღარღარა ქნას და ვარდის წყლითა თავსა და პირს შეისვას რომე ის ოფლი გამოწმინდოს. მერმე ჯულაბი შექნას და ცოტა სიქანგუბინი გაუ-
20 რიოს და შესვას მასუკანით ამა დღესა საჭმელი ჟამოს და სუბუქად იქნების.

და ვინცა ღვინის მსმელი იყოს რწყევა მოუნდებოდეს მასცა რაც მსუქნისა კაცისა საჭმელი სწერია ის აჭამონ ასრე რომე სტომაქი აავსოს მერმე სამი დრამი ყუითელი თურბუთი და მავლი უსული დანაყონ და იმაშიგ გაურიონ და შეასვან და იმავე წესითა არწყიოს.

თუ კაცი მსუქანი და მძიმე გუნება იყოს ჯაბალჰანგითა არწყევინეთ ამა წესითა რომე ერთი მუტყალი ჯაბალჰანგი თაფლითა შეასვი დანაყილი და გაცრილი, მერმე თუ გინდოდეს ერთი მუტყალი ჯაბალყაირ და ნახევარ მუტყალი ყუითელი თურბუთი და ნახევარ
30 დრამი ინდოური მარილი დანაყე და იმა მავლიუსულშიგან გაურივე და ასვით და არწყევინეთ და ჯაბალჰანგი და რუყა ძალიანსა კაცსა უნდა.

თუ კაცი არცა ერთობ მჭლე იყოს და არცა ერთობ მსუქანი და შუა გუნება იყოს ავმანქათი და ასლისიუსი და ნესვის ტყავი მოადუღე ორითა თასითა წყლითა ასთონი ერთი ადუღე რომე მესამედი დარჩეს და ორი წილი წავიდეს და იმავე მავლიუსულშიგან გაურივეთ და ასვით. თუ ავმანქათი არ იყოს შიბითი და ასლისუსი და ნახახუა თითოსაგან ხუთი დრამი ერთს ლიტრას

წყალში მოადუღეთ ასრე რომე ორმოცდა ათი დრამი დარჩეს და მერმე გაწურე ასი და ოცდახუთი დრამი თაფლი გაურივე შიგან და ნახევარი დრამი მარილი გაურივე ინდოური. თუ ის არ იყოს აქაური მარილი ქენ და როგორაც მარილი გაურივო ასოდენი ერთი

ადღლე რომე ცოტა კიდევე დააკლდეს და მიეც რომე შესვას და ნა-
კრტენითა არწყოს.

იდ. კარი და ნიშანი წურილის წამლებისა გასახსნელისა. ესე
წურილი გასახსნელი წამლები გამოიღებს სქელსა ბალღამსა, რომე
უგუბდებოდეს.

10 ა ი ლ ე ზანჯავილი და თურბუთი და შაქარი ერთმანერთის ოდენი
დანაყე, გაცერ და რა მოუნდეს მიეც ორი დრამი თბილითა წყლითა.
სხვა წამალი რომე გამოიღებს ბალღამსა და სევდასა: აილე საყმუ-
ნია ნახევარი დრამი და აფიონი ერთი დრამი თეთრი სარციონი ¹
ნახევარ დრამი, ბასვაიჯი ორი დანგი და ნახევარი ყველა დანაყე,
გაცერ და მიეც თბილითა წყლითა რომე შესეას, თუ შეეძლოს სრუ-
ლიად მიეც, თუ არა ნახევარი.

ს ხ ვ ა წ ა მ ა ლ ი აილე: თურბუთი ერთი დრამი, ინდოური მა-
რილი ერთი დრამი და ნახევარი დანაყე და გაცერ და ცივის წყლით
შეასვი. და თუ მოსწყურდეს ცივი წყალი შეასვი, თბილი წყალი შე-
20 ჰკრავს.

ს ხ ვ ა წ ა მ ა ლ ი რომე გამოიღებს ტანისაგან ყუითელსა ბალ-
ღამსა და სიყუითლესა ტანისაგან გაწმინდოს აილე: შაქარი და სა-
ყმუნია თვითოსაგან ორორი დრამი დანაყე და გაცერ და ცივის
წყლით შეასვი. ს ხ ვ ა წ ა მ ა ლ ი აილე: ია ორი დრამი და მასტაქი.
ერთი დრამი, თურბითი ერთი დრამი და ნახევარი, საყმუნია ერთი
დანგი და ნახევარი ყველა დანაყეთ და გაურივე შაქარი, სამი
დრამი და დაასხი წყალი ერთი უკია და გაურივე და შეასვი. და
რა ჩამოეხსნას აილე ბაზარყატუნი ხუთი დრამი გარეცხე და ცივის
წყლითა შეასვი.

30 ს ხ ვ ა წ ა მ ა ლ ი რომე პქვიან აღსი ბარამი, რომე გამოიღებს
ტანისაგან დამწუარი ბალღამი და შავი ბალღამი. აილე: შიბრამი
ოთხი დრამი, აფიონი და საბრი ოროლი დრამი და კარსისა თესლი,
ჩამანი უკია, კულიავსა ჰქვიან, ანისონი თვითოსაგან დანგი და
ნახევარი, ყველა დანაყე და გაცერ და რა მოუნდეს შეასვი თბილისა
წყლითა.

ს ხ ვ ა წ ა მ ა ლ ი მ ა ზ ა რ ი ო ნ ი ს ა რომე გამოიღოს შავი ბა-
ლღამი. აილე: მაზარიონი და ძმარშიგან დაალბე ერთსა დღესა და

¹ შეცდომა, უნდა იყოს „საყმუნია“.

ერთსა ღამესა და მერმე ჩრდილსა გაახმე და აილე მისგან ერთი
დრამი აფიონი და ერთი თურბუთი თვითო დრამი, ყვითელი ალი-
ლა კურკისგან გამოღებული და ქირმენი ჩარმიუკი და იდოური
მარილი თვითოსაგან ნახევარ დრამი, ყველა დანაყე გაცერ და ერთ-
მანეთში გაურივე. და როსცა გინდოდეს მიეც ორი დრამი.

ს ხ ვ ა წ ა მ ა ლ ი ს ა ყ მ უ ნ ი ა ს ი: აილე საყმუნია ხუთი დრამი
და წყლის ჰაკუნტლისა თესლი და კამის თესლი ოთხოთხი დრამი
კულიავი ნახევარ დრამი ყუელა დანაყე გაცერ და მერმე აილე: სი-
მინდის ფქვილი ორი დრამი შეზილე წყლითა, დახურე დადევ, მერმე

10 მოვიდეს, და აილე მაგა ცომისაგას და დააგე დანაყილი წამლები,
ზედა დააყარე და შეზილე კარგათ და ერთსა დღესა გაუშვი რომე

წამლები გაერთდეს და მერმე ფიცარზედ გაპრტყელე და ოცად გაყავ და პურსავით თორნეზე მიაკარ და როდესაც გამოცხვეს მოხალე და შეინახე, და როდის გინდოდეს მიეც ერთო ჭოთი და მერმე თბილი წყალი შეასვი.

ს ხ ვ ა წ ა მ ა ლ ი რომე სქელი და შავი ბალღამი გამოიღოს აიღე: საზრი ერთი დრამი, საყმუნი ნახევარ დრამი და აფთიმონი და ღარიყონი თვითო დრამი ყუელა დანაყე, გიცერ და თბილის წყლითა შეასვი.

- 20 ს ხ ვ ა გ ა ს ა ხ ს ნ ე ლ ი ცოტა მათბუხი ხიარ შამზარისა არგებს რაცა სიმსივნეა, ყუელას უშველის მეტად ყელშიგა რომე იყოს და ნიკრისსა უშველის რომე სიმსივნისაგან იყოს. ვაჯალმფასსა უშველის ზაფრასა და ბალღამსა გამოიღებს და კაცსა რომე ყოლინჯისაგან მუცელი შეჰკროდეს მას გახსნის და უშველის რომე თურბუთითა შესვას და თუ თაზრინდი გაურიოს ზაფრასა გამოიღებს და თურბუთი ბალღამსა და სევდასა უშველის, ფილენჯსა ¹ უშველის და სტომაქისა სისუსტესა უშველის და ვაჯალმასსა უშველის გრილისაგან და ბალღმისაგან თეძო და ფერხნი სტკიოდეს ორსავე უშველის და საყმუნია ზაფრასა სტომაქისაგან ერთობ გამოიღებს ბალღამსა
- 30 ცოტასა გამოიღებს და იარყანსა უშველის.

ა ი ღ ე: ათი დრამი ხიარშამზარი დაალზე თბილის წყლითა გამოწურე და ორი დრამი თურბუთი და ერთი დანგი საყმუნია და ნახევარ მიტყალი რევანდი ეს სამივე დანაყეთ, გასცრათ და შიგან გაურიოთ თბილთბილი შეასვათ.

ს ხ ვ ა ვ ე წ ა მ ლ ი ს ა ა ღ ე ბ ა, აიღე: ორი დანგი შამიანდალი დანაყე გაცერ და აიღე ერთი მარცვალი ახისალტან გარეთ ქერქი შემოაძრევ და გააპე და შიგნით ² ქერქი რიმე აკრავს იგიცა შემო-

¹ სწერია „ფერინჯსა“.

² ეს სიტყვა განმეორებულია

- აძრევით, თვარა კაცსა მოჰკლავს და ოცდა ათი მარცვალი აბალმალუქი ამასაცა ქერქი შემოაძრევ და ორივე დანაყე „ამა შამიანდაშლიგან გაურიე და თუ მათბუხით გინდოდეს თბილისა წყლითა. გამოწურეთ და შეასვით. და თუ ლოყიადგინდოდეს თაფლითა შეზილეთ და შეასვით და არგებს და ბალღამსა მეტად გამოიღებს. და წელის ტკივილსაც უშველის და გუნებახედა რომე მძიმედ და უნდომად იყოს იმასაც უშველის და საჭმელსა მოანდომებს და ზურგის ტკივილი ბალღმისაგან რომე იყოს მასაც უშველის და ბალღამსა გამოსწმენდს და თეძოს ტკივილისათვის კარგია, რომე ტკივილი-
- 10 კოჭამდი ავიდოდეს. და თავშიგან რომე გაჯედით იყოს, იმასაც უშველის. იარაჯი ფეყრა არგებს თავის ტკივილსა, ნახევარი თავისა რომე სტკიოდეს, და ყურის ტკივილსა თვალისა თუ თვალისა სიზნელესა თუ შესვას და თუ იღარღაროს.

ღ ა ი ჭ ი რ ე: აფიონი, შამიანდალი, მუყლი აზრაცი, საყმუნია, ფილფილა თეთრი და შავი, დარიჩინი, ხაზმინი, ზარვანდი მრგვალი, ზარვანდი გრძელი, ავსანთინ, უსთუხუზ, თურბუთი. თვითოსაგან ოროლი დრამი, ამისგან ორი წონა საზრი ყუთარი დაადნოს მერმე, დააგორგალოს და ახალს კამის წვენითა პილპილის ოდენი მარცვალი:

დაქენ და ჩრდილში გაახმე, სრულსა კაცსა თვითო მიტყალი აგრევე
20 დედაკაცსა ერთი მიტყალი.

[კარი იარაჯებისა] ი ა რ ა ჯ ი ლ უ ყ მ ა ნ არგებს თავის ტკი-
ვილსა თავსა და ტანშიგან რომე სენად იყოს და კაცსა რომე ყურსა
არა ესმოდეს და თავის ნახევარსა და კბილთა ტკივილსა და სტო-
მაქისა სისუსტესა, ღვიძლისა შიგან რომე შეკურით იყოს. დაიჭირე:
აბი ბალასან, უდი ბალასონ, ყურფჰ, სუმბული, მასტაქი, ასარუნი,
ზაფრანი, სალიხა, საყმუნია, თვითოსაგან თვითო დანგი და იახსუჯ
და ორი ამისი [წონა] საბრი უსყუთარი ჩაადნევ და მერმე დანაყე
და კამის წვენით ისრევე დააგორგალე, დილეულად მიეც და შეჭა-
მოს, არგებს ნებითა, ლ~თისათა ამა სენისა უფალსა.

30 ი ა რ ა ჯ ი ჯ ა ლ ი ნ ო ზ არგებს ყურის ტკივილსა და თავის
ნახევარი რომე სტკიოდეს¹ და თვალის სიბნელესა და ტვინშიგან
სენი სჭირდეს და სტომაქისა სისუსტესა არგებს, გულის ტკივი-
ლსაცა და რომე ახველებდეს მასაც არგებს და რომე აქშივნებდეს
მასაც არგებს. და ი ჭ ი რ ე: ქასრა თეთრი და რუბისუს თვითოხა-
გან თვითო დანგი თურბუთი თეთრი, შაბი ბედავი, ფარფიონი, ქას-
ნისა თესლი შაბთარის თესლი თვითოსაგან სამსამი, იახსუჯ, ამისი

¹ ეს წინადადება განმეორებულია.

54

პირის პირი საბრი და ისრევე რაზიანასა წყლითა დააგორგალეთ
და დილეულად შეასვით.

ი ა რ ა ჯ ი ბ ა ს ი ო ნ არგებს ბოვასირსა და ავი ქარი რომე
სჭირდეს და გულსა ძგერა და ტყირპისა ცხელებასა და ზაფრასა
დასვამს. და ი ჭ ი რ ე: გუნდა და შავი ალილა და ბალილა, ამულა
თვითოსაგან ნახევარ დრამი დანაყე და მისი წონა მუტყელი წყალში-
გან ჩადევით და მერმე ისი ზემო წამლები შიგან ჩაყარეთ და სამის
დრამითა თაფლითა ის დაგორგალე და მერმე დილეულად შეასვით,
და ის დღე იფარეზოს არგებს ლ~თითა.

10 ი ა რ ა ჯ ი გ ა ლ ი ნ ო ზ ი ს ა დიდისა არგებს ფილენდჯსა და
ლაყუასა და რომე დახაშმებული იყოს და ასონი გამხმარნი ესხნენ და
შე-

ნადგამნი და ვერა შეიძვროდეს და ვის ხელნი და ფერხნი მოუფოლოხ-
დნენ და თრევით შეითრევდენ და ზე ვერა აემართებოდეს და ვის
მარჯვენა კერძი მიწებული იყოს და ანუ მარცხენა და მაჯაში არა
უკრთოდეს და ვის ფსელი გამოუვიდოდეს უნებურად, ერგების მას
ყველასა რგებითა საჩინოთა. ა ი ლ ე: შამიანდალი და ღარიყონი
და თავისა ხახვი და ვაშაკი და საყმუნია და ხარის ძირა შავი რო-
მელ არს ფარიკონი და ფარფიონი ამათაგანი წონა დრამი თექსუმეტ
თექსუმეტისა და ჯავშირი და აფთიმონი აკრიტი და მუკლი ეპუდი
20 და ქამნდრეოსი და აფრასალიონი და სალიხა ამათაგანი წონა ცხრა
ცხრა დრამისა და ზარევიანი გრძელი და მური და საქბინაჯი და
პილპილი და შავი დარიფილფილი და პილპილი თეთრი და კილა-
მუნი და ქალბანა და ყანტარიონი და ფატრა სალიონი ამათაგანი
წონა ხუთხუთისა დრამისა, საბრის კუეტრი და ზაფრანი ამათაგანი
წონა ხუთხუთისა დრამისა შეკრიფენ ესე, თაფლითა შეზილენ და ჭი-

ქისა ჭურჭელშიგან ესე წამალნი ყუელანი დანაყენ და გაცერ და პერულ მოხდილითა თაფლითა შეზილე ჭიქის ჭურჭულში ჩადევ და შესუმა მისგან სრული წონა ოთხ-ოთხის დრამისა წყლითა თბილ-თბილითა. ან აფთიმონის ნაგზობითა სარგებელისა არის ნებითა 30 ღ-თისათა.

ი ა რ ა ჯ ი რომელი ერგების თელგმიანთა და სინოტიისა უფა-ლთა და ვისი გამოჩნდეს თაგვის კბილები და საკუთრად გონჯთა როდეს გაგრძელდეს. ამის სმა ყოველსა ორსა დღესა შიგან შესმი-დეს სარგებლისა არის მისთვის. ა ი ლ ე: შამიანდალი წონა ათისა დრამისა და საყმუნია და ხარის ძირა თეთრი და ღარიყონი და ხა-ლილაგი და თურბუთი და აფთიონი ამათგანი წონა ოროლისა დრა-მისა დანაყე და გაცერ და პერულ მოხდილის თაფლითა შეზილონ, შესმა წონა სამისა დრამისა წყლითა თბილითა.

55

ი ა რ ა ჯ ე ბ ი ს ა შ ე ქ ნ ა ასრე უნდა, რომე იარაჯი შესაზე-ლნი ეგრევე შექმნე წამალნი მსგავსნი გომიზთანნი ვითა გვიხსენებია დაალბენ ღვინთა და საბრი დანაყე მარტოდ და ჩაურთე წამალთა ხმელთა, და აგრევე საყმუნია დაალბო წამალთა ყოველთა უკანის და ჩაურთო იარაჯსა შეზელილსა შემდგომად გარდაღებისა და ესე მაჯუნნი დიდროანნი და იარაჯნი შეხელილნი თაფლითა, ჩაასხენ ჭურჭელსა ჭიქისასა და ანუ ქურაზარა მაგარსა რომე არა გაიწოვოს ჭურჭელმან ზეთი და თაფლი და წახდეს წამლისა ძალი.

ი ა რ ა ჯ ნ ი შ ე ს ა მ ა რ ც უ ლ ე ბ ე ლ ნ ი გასახსნელი მუცლი-10 სანი. დანაყენ წამალნი ამათნი ყუელანი ცალკე გაცერ შარითა ანუ მჭურითა მტკიცითა ეგრევე საბრი და საყმუნია და ავანთა ოკან აქცივე და შერივნე ერთად და წყლითა შეზილენ წმინდითა და რომელთ გიხმდენ მათგან შესმად მარცვალნი თავის ტკივილისათვის დამარცვულეთ დიდროანად ერვინდისა ზომად. ეგრევე ი ა რ ა ჯ ა ფ ე ყ რ ა და სხვანი მარცვალნი დამარცვულენ წურვილად პილპილის ზო-

მად და იცხოს ხელთა, ვის მარცვალი დაექნას, გრილის ზეთით ვითა იისა ზეთი და ანუ ვარდისა და მსგავსი ამათი. თ უ რ ბ უ თ ი ეგრე-ვე შესვაროს დანაყის უკანით ნუშის ზეთითა, ანუ იისათა და თე-თრმან ქუნჯითისათა. იარაჯნი შემდგომად მარცვულად დაქნისა გა-20 ახმეთ ჩრდილშიგა და დაიმარხოთ და იარაჯი დამარცვული წლა-მდის გასძლებს, და თაფლითა შეზელილი მაჯუნის ოდენსა გასძლებს,

ივ. კარი მათბუხისა. მათბუხი ბუზურგ არგებს: ს ა ფ რ ა ს, ს ე ვ დ ა ს და ბალღამსა. ავსა და მრავალსა ს ი ს ხ ლ ს ა ტანისასა. ავსა, ტანშიგა რომე სატკივარი იყოს და ღვიძლზედა რაც გამო-ესხას და ტყირპშიგან რაცა სენი იყოს გამოსწმენდს, და სტომაქსა ძალსა მისცემს. და გულსა დასწმენდს და ავი წყალი რაც იყოს ში-გნით, გაიღებს, და კაცი რომე მწოედ ქმინევდეს უშველის და გუ-ლის ძგერას არგებს. დ ა ი ჭ ი რ ე: ალილა ყვითელი და ალილა ქა-ბული, ბალილა და ამულა ამათგანი შვიდ შვიდი დრამი, ტყავ გამ-30 ძურალი ალილა შავი, ბასვინჯა აფთიმონი და ანისონი და შასთარა ამათგანი თვითოსაგან ხუთ ხუთი დრამი, სინამაქი ამისგან რვა დრამი და ხვარასნული ჩამიჩი თხუთმეტი დრამი და ყვითელი ლე-

ღვი ათი მარცვალი და სინჯითი ოცდაათი მარცვალი და სიფსი-
ტონი ათი დრამი, ია და ვარდი და ასლისუსი ამათგანი თვითო-
საგან ხუთ ხუთი დრამი და ლისონლამალი, მრავალ მარლუას თეს-
ლსა ჰქვიან, ლაბლაბო, ამა თვითოსაგან ოთხოთი დრამი, თურბუთი,
გულნარამა თვითოსაგან სამსამი დრამი. მეექუსე წამლები სამის
ლიტრის წყლით აადუღე ასრე რომე სამოცი დრამი დარჩეს. მაშინ

56

თაფლი, თაბრინდი, ხიარშამბარი ამათგანი ათათი დრამი, ეს სამივე
თბილის წყლითა დამბალი გამოწურეთ და ეს წყალი ამა ნადუღებსა
წამლებშიგან გაურვიეთ და ღარიყონი მასტაქი და ინდოური მა-
რილი ამა თვითოსაგან ნახევარ ნახევარი მიტყალი, და საყამუნია
დანგ ნახევარი დანაყეთ გაცერით და ერთმანერთსა შიგან გაური-
ვით, და თბილის წყლით შეასვით.

წინათ სამსა დდესა ფარეზი უნდა იყოს ამა წესითა, ფარეზი,
რომე პურსა ნურცა აჭამს და საღამ საღამოს თვითოს ჯამს მსუქანსა
ხარშოსა სჭამდეს და ოროლ სამს წყალღვინოს შესვემდეს. და წყა-
10 ლი რასთონიგა უნდოდეს სვას და რაჟამცა წამალი შესვას ორნივე
მკლავნი შეუკრას როგორცა ქვეშეთ საქმობა დაუწყოს მაშინ მკლავნი
გაუხსენით. და რაჟამ წამალი დაღმა გამოვიდეს, ბაზარყატუნი
თბილის წყლითა დაალბეთ და შიგან შაქარი გაურივით და გამო-
წურეთ და შეასვით და ზირაქირსნითა ვარია შეუქენით და იგი
აჭამეთ. იმა დდესა ღვინოსა ნუ სვამს, წყალი სვას.

და ვინ იცის კაცი გუნება გრილი იყოს, მაშინ სპანძლისა თეს-
ლი შეასვას ბაზარყატუნისა ალაგსა. და მსუქნისა ცხურისა ხორცსა,
დედლისა ქათმის ხორცსა აჭმევდით.

და თუ გაზაფხული იყოს, მზის ამოსულისა ჟამსა, ასვით ესე
20 მათბუხი. და თუ ზაფხული იყოს ცისკრისაგან უწინ ასვით. და თუ
შემოდგომანი იყუნენ, მზე რომ კარგათ ამოვიდეს მაშინ ასვით. და
თუ ზამთარი იყოს ერთი ჟამი რომ გამოვიდეს მაშინ ასვით, ეს
მათბუხი. და მარიამობის თვეს არ ესმის და კვირიკობისა თვესა
ოციტგან ვიდრე მარიამობის თვეს გარდამავლამდის წამალი არ
ესმის. აგრევე ქრისტიშობის თვესა ათიდგან ვიდრე თებერვალსა
ათამდის არ ესმის. სასმელი უნდა შიასოთ, და რაჟამს აადებინო
კაცსა გვიან დაუწყოს საქმობა. წამალი ესე ქენით. აიღე: ანისული,
და წყლით მოადუღე და იმ წყალშიგან ზირი შამბრისას გული და
თარან გუბინის ხუთ ხუთი დრამი გალესე და გაწურე და ცხელცხელი
30 შეასვი და ორნივე ბარკალი, ხათმი დანაყე და თბილი თბილითა წყლი-
თა მოადუღე, იმით დაბანე. და მუცელი და გულის პირი რბილის
საზელით დაუხილე.

და თუ არა გახსნას მერმე კოლინჯისათვის გასაზსხელი შაფები
რომ სწერია ის აადებინე. რბილი საზელი ეს არის: ბატის ქონი,
ქათმის ქონი ნუშის ზეთითა და ანუ შირბახტის ზეთითა დაადნევ
და იმით დაუხილე.

თუ წამალმა ერთობ ძალი უყოს და მწოვედ გახსნას, ასე რომე
ერთობ შეაწუხოს კაცი. მისი ესე ქენით ანახდა რომე ფერხები

ცივის წყლითა დაბანე. თუ არა უშველოს რა ჭიპს ქვევით დაბანე ცივის წყლითა და მეომე ბაზარ ყატუნა მოხალე — ანუ სიქანგუბინითა ან ბიის შარბათითა გაურვივე და აჟამე. და თუ იმით არ შეკრას კვერცხის ყვითელი გული ძრმით მოადუღე რომე კარგა მოიხარშოს და პურით ის აჟამეთ, ძალს მისცემს და კიდევ შეჰკრავს. და თუ არ შეიკრას შემეფარელი ყურსი მიეც. და თუ იმან არ უშველოს ერთი მიტყალი გილერმანი ბიის შარბითა შეასვი. და თუ ის რომ იყუანდეს ასეთი იყოს, რომე ბალღამსა გვანდეს, სონიჯი მოხალე და სიქანგუბინითა შეასვი და ცოტა დანაყილი ზინლიჯანიც

10 გაურვივე ერთსა დღესა ორჯელ წამალი არას ღონით არ აეღების და არცა მიეცემის, საფათერაკო არის იცოდე.

მერმე ესეცა იცოდით რომე, ნამეტნავად მუცლის. გახსნა ფათერაკი არის წელწულსა დახვეწს და გაათხელებს და დაადნობს, თუ გაიხურიტების წელი კაცი აღარ დარჩების და თუ არ გაიხვრიტების ძალი დააკლდების და თვალსა დაუბნელებს. სიარულსა დააკლებს. ამისთვის თქვეს ი ნ დ ო ე ლ თ ა აქიმთა ვითა კაცსა შენობა, სიმტკიცე და სიმაგრე მუცელი არის და წელწული ესე ყუელა მუცლად ავის კაცისთვის არის დაწერილი იცოდეთ.

ქ ა ფ ი ა მ ა თ ბ უ ხ ი ზაფოასა გაიღებს და გაარღვევს და გასწმენდს და ცხელსა ხურვებისათვის კარგი არის და მისი წამლები: სინამაქი შვიდი დრამი ია ხუთი დრამი გინა ხმელი იყოს, გინა ნედლი, ინდაიბის თესლი და ლილიფარი თვითოსაგან სამსამი დრაზი, უნაბი, ხმელი სიფისტანი, შავი გავალო თვითოსაგან ოცოცი მარცვალი, თიმრინდი ინდოური ტყემალი არის, ათი დრამი, უკურკო, და წითელის ვარდის ფურცელი ოთხი დრამი და ის წამლები მანამდის ადუღე, სანამდის მესამედი დაოჩეს და უკუ მოდგით ცეცხლთაგან ბატა დატყლიჯე და გაწურე და მოიღე ხიარი შამბარი თხუთმეტი დრამი და იმა წამლებისა წვენშიგან ქათმის ჩინჩახუთ დატყლიჯეთ მანამდის, სადამდის წვენი გამოვიდოდეს, თარანგუბინი იმავე

30 წვენსა შიგან თხუთმეტი დრამი, ქათნითა, მოურივე, ამავე წვენსა შიგან გამოწურეთ და მერმე ვისცა უნდოდეს ისი მათბუხი, ორსა დღესა იფარეზოს, და მესამესა დღესა ასვით.

ესე მათბუხი მჯდომისათვის კარგია და ცხელება ხურვებისათვის კარგია. მისი წამლები სინამაქი ხუთი დრამი, ბანავსაჯი ხუთი დრამი, ლელოფარის ფურცელი ოთხი დრამი, უნაბი ოცი მარცვალი, ინდაიბისა თესლი სამი დრამი, ხაგაზის თესლი სამი დრამი, ისი წამლები სამის მუტყალითა წყლითა ადუღეთ მანამდისინ, სანამდის მუტყლად მოიყაროს და მერმე შირიხიშტი თხუთმეტი

58

დრამი, თარანგუბინი თხუთმეტი დრამი ამა წვენშიგან მანდილით გაწურეთ და დაატყლიჯეთ და შეასვით ფრი სასმელი.

მათბუხი მუფდი არგებს ფერად ფერადსა ქარსა მხურვალსაცა, და გრილსაცა, სახსარი რომე სტკიოდეს მასცა არგებს და ქშინვასაც უშველის და ბოყინსა დააწყებინებს. თირკმელი რომ სტკიოდეს მას უშველის და ბოვასირსა უშველის და ზაფრას დააწყნარებს, ამისი წამლები, აიღე: ყუითელი ალილა, ქაბული

ალილა ბალილა, ამულა თვითოსაგან ნახევარ უკია, გულგამოდებულ-
 10 ტკბილა, ბასვაჯი, შასთარა, ანისონი, აფთიმონი, სურინჯანი, თვი-
 თოსაგან ოთხ-ოთხი დრამი, შაყაყული, ჩამიჩი, ია, ვარდი თვითო-
 საგან შვიდ შვიდი დრამი, შავი ჩამიჩი ათი დრამი, ხმელი ლეღვი
 ათი მარცვალი, სინჯითი ოცდაათი მარცვალი, ინჯასი ოცი მარც-
 ვალი. ეს წამლები რაც გვითქვამს ერთპირად ორს ლიტრას წყალში
 დაალბოს ერთსა ღამესა და დილას და ადუღეთ ეს წამლები და ეს
 წყალი მანამდი, სანამდის ორი ლიტრა წყალი სამოცს დრამად
 მოიყრებოდეს, მასუკანითა შვიდი დრამი სირხიშტი და შვიდი დრამი
 თარანგუბინი ეს ორივე ცოტად თბილის წყლით დაალბონ და გაწუ-
 20 თეთრი, თურბუთი. ინდოური მარილი, და თუ არ იშოვებოდეს მისად
 ნაცულად აქაური მარილი ქნას თვითოსაგან ნახევარ დრამი, დანგ
 ნახევარი საყმუნია, დანგ ნახევარი მასტაქი ეს წამლები დანაყეთ და
 ამ სამოცსა დრამს წყალში გაურივეთ, ცოტად ნელთბილი ვისაც
 უნდოდეს შესვას და ორივე მკლავი შეუკარ და მერმე კიდევ გაუხსენ,
 მკლავის შეკურა ეს არის რომე გული უფრო არ აემლებს.

მ ა თ ბ უ ხ ი ა ლ ი ლ ა ჯ ა ნ არგებს მდიერს და მქავანს და
 სისხლკორძი რომე ტანზედა გამოუვიდეს არგებს. რაც ტყირპიგან
 სიმსივნე არის მას არგებს, და დამწვარი სისხლი რომე ტანზედა-
 წითელ წითელი გამოვა მას არგებს დაიჭირე: ყვითელი ალილა, ქა-
 30 ბული ალილა, სინამაქი, შასთარა თვითოსაგან ათ ათი დრამი ეს და-
 ნაყე და ორს ლიტრას წყალშიგ ჩაყარე და ერთსა ღამესა. დაალბე
 და მეორესა დღესა ადუღეთ. მანამდისი ადუღე მანამდი სამოცსა
 დრამზედა მოიყაროს, მერმე ოცი დრამი შირხიშტი და ოცი დრამი
 თარანგუბინი ის იმა ნადუღებსა სამოც დრამსა გაურივეთ და ის
 წამლები ნუშის ზეთში დაურივეთ და შეასვით.

მ ა თ ბ უ ხ ი ბ ა ნ ა ვ შ. კაცსა რომე გვერდი სტკიოდეს არგებს,
 და ხუელასაც არგებს და ყელსა რომ მოუჭიროს რამე მასაც არგებს
 და კაცსა რომე ჩაუარდეს ხმა იმასაც არგებს. დაიჭირე: ია, ხმელი

სიფისტონი თვითოსაგან თვითო დრამი და ხვარასანი ჩამიზი თხუთ-
 მეტი დრამი, ასლისუსი ხუთი დრამი. ქუნჯითისა თესლი ოცდაათი
 მარცვალი, ანისუნი, ზულფა თვითოსაგან ხუთი დრამი, ხათმი,
 ხუბაზ, ფარისიაოშან თვითოსაგან ხუთი დრამი ეს წამლები ორსა
 ლიტრა წყალშიგან ჩაყარე და ერთსა ღამესა დაალბე და მერმე
 ადუღე ვირემ სამოცს დრამზედა მოიყაროს და თხუთმეტი დრამი
 თაფლი და თხუთმეტი დრამი ხიარ შამბარი ამა ნადუღებსა წამლებ-
 შიგან გაურივე, დაწმინდონ და გაწურონ და ერთი მუტყალი
 იარაჯფეყრა, დანგ ნახევარი საყმუნია დაზელილი შიგ გაურივე და
 10 შეასვი. თუ იარაჯფეყრა არ იყოს ყარიყონი. თურბითი, ალიქირუმი,
 ხურმისა თესლი, ყაისი, ეს ყუელა კოჭობში ჩაყარე წყლითა აავსე
 და ცომითა ასე მოუგლისე პირი და მოადუღე, ასრე რომე მესამედი
 დარჩეს და იმა წამლისაგან თვითოს თასსა გამოსწურევდეთ და
 თარანგუბინითა გალესე და სამსა დღესა შეასმევდით.

მ უ ლ ლ ა ბ ი მ ა თ ბ უ ხ ი მ უ ფ დ ი ს ა: რევანდი ჩინი მუტყა-

ლი ერთი და სინამაქი ერთი პეშვი, თუხმაქანი ერთი პეშვი, ტუხ-
ტისა თესლი და მისი ყვავილი, ბაბონაჯი, ჰულაბი, სტაფილოს
თესლი, თუობუთი, ნახევარ დანაყილი ღარიყონი, ნახევარ დანაყი-
ლი ბალილა ყუითელი კურკა გამოღებული, ნახევარ დანაყილი ბა-
20 ლილა კურკა გამოღებული, ნახევარ დანაყილი თარანგუბინი, შირი-
ხიშტი, შავი გავალო, თაბრიინდი, უნაბი ეს ყუელა დაიჭირე იმავე
ესითა, კიჭობშიგან ჩაყარე წყლით აავსე, თავს ჯამი დახურე და
ცომით მოუგლისე და ადულე ვირემ მესამედად ჩაიყრებოდეს და
იმავე წესით ასვემდით.

იზ. მათუხნი რომელნი არა გასახსნელნი არიან. უწი-
ნათი ნიშანი ზოვაფასი და ტაბიხისა ერგების ყოველთა მკრდო-
ვანთა და ყოველსა ძველსა და ახალსა ტკივილსა, ფირტუვსა
და ხუელასა და ვის ხივილი იყოს ფიცხელი და რომელი სიტყვასა
ვერა აწევდეს. და ვერცა დაიძინებდეს, სიფიცხითა ტკივილისათა
30 და შეჭირვებისათა ნებითა ღვთისათა. აიღე: კამის ძირი და ნიახუ-
რის ძირი და ძირთაფლისა ძირი, გაქუურცნილი ამათგანი წონით
ოცოცი დრამისა და შარალჯააბარი წონით ათისა დრამისა და ხატ-
მისა თესლი და ბაბყუელას თესლი ამათგანი წონით რვა რვას დრა-
მისა და კამის თესლი და ანისონი ამათგანი წონა ოთხოთხი დრა-
მისა და ფუკა, ალადხირი და სალიხა ამათგანი წონა ოროლი დრა-
მისა. გომიზი არაბი და ქათირა წონა ხუთხუთის დრამისა და ია
ხმელი წონა ორი დრამისა და გომიზი ნუშის, წონა სამსამისა დრა-
მისა და ზოვაფა ახალი ხმელი წონა ათის დრამისა და შუქა და ბად-

60

ვარდი ამათგანი წონა ხუთხუთისა დრამისა, სიბისთანნი წონა ოცის
დრამისა და ზიბბი ჭაჭისაგან გამორჩეული წონა ორმოცის დრამისა,
შეჰკრიბენ წამლები და ქვისა ქოთანსა შიგან ჩაასხი და ან თან-
გირითა და ზედ ათი ლიტრა წყალი დაასხი, დაგბოთ ვირემ დარ-
ჩეს მისგან სამი ლიტრა და დასწურო და აიღებდე მისგან ყოველ-
თა დილათა ბაღდადურისა ლიტრისა ნახევარსა და ზედა სამის დრა-
მის წონასა ნუშის ზეთსა ჩაასხემდი და შესვემდით დილეულად და-
ერგების თუ ღრთსა უნდეს.

ს ხ ვ ა მ ა თ ბ უ ხ ი ერგების ტკივილსა ღვიძლისასა, ხუელასა
10 და ნაზლასა რომელი შეექნების მკერდსა შინა, თავისა სურდოსა-
გან და ესე სარგებლისა არის ყოველთა გულთა მხურვლთათუის
და ცხროთა დამწვართა, რომელი შეხედების ჭაბუკთა და ვინ კუნე-
სოდეს, ტკივილისა მარჯვენითა კერძისასა სიმხურვალისა გზითა და
ყოვლისა შეეშალოს ტანი დედათაგანსა და კუნესოდეს შეიწრებასა
მკერდისასა და გააქარვებს ხუელასა ძველსა ნებითა ღვთისათა. აიღე:
ნიახურისა თესლი და კამის თესლი და ანისონი და ძირთაფლის
ძირი. გაქუურცნილი კამის ძირი, ნიახურის ძირი და შალარჯაბრი
ამათგანი წონა ათის დრამისა და ზოვაფა ხმელი წონა ხუთის დრა-
მისა და ნესვის თესლი და ნიახურის თესლი ამათგანი წონა ხუთხუ-
20 თისა დრამისა და ლაქი ბუზური რომელი არის საღებავი ამათგანი
წონა ორის. დრამისა და ფუკა ალადხირი წოხა სამის დრამისა და
კიტრის თესლი და ხატმის თესლი, ამათგანი წონა ოთხოთხისა დრა-
მისა და სიბისთანნი და ქლიავი გაქუცვილი და ზიბბი ჭაჭისაგან

გამორჩეული ამათგანი წონა ოთხოთხის დრამისა შეკრიბენ ეს წამ-
ლები და ქვისა ქოთანში ჩაასხენ ან თანგირითა წმინდათა და ზედან
დაასხით ბაღდადურითა რვა ლიტრა წყალი დაგბო ვირემ ორი
ნაწილი წავიდეს და მესამედი დარჩეს, მერმე გაწურეთ და ჭურჭელსა
შიგან ჩაასხით და აიღე მისი წყლისაგან ყოველთა დღეთა ბაღდა-
დურისა ლიტრის ნახევარი და ჩაურთევით შიგან ნუმის ზეთსა, ფუს-
30 ტუყისასა ერთად შერეულსა ხუთის დრამისა წონასა და შესვას დილა
საღამოს ერგების, როდეს სვას შვიდსა დღეს ან თხუთმეტსა, კარ-
გია, გამოცდილი ნებითა ლ[~]თისათა.

მათხუხირომელი არიან შესაგებელნი. ჯერ არს რათა
გასწმინდეთ წამალნი მიწისა და ნაცრისა და ღერისა მათისაგან და
სხვა რაცა იყოს მას შიგან და შეაგბოლეთ ქვისა ქოთანსა შიგან,
თიხისასა და უმჯობეს არს რათა არა ეწიოს გესლი და შეუგზნა ქვე-
შე ცეცხლი და გაწვისა შემდგომად ჩაყარე ესე წამალნი შეკაზმულნი
მისთვის შესავით ნელთბილი.

61

მათხუხნი არა გასახსნელი რომელნი ერგებიან ხუე-
ლასა და ტკივილთა მკერდისათა. გასწმინდე წამალნი ვითა ნიშანი
მიგვიცემია და შეაგბე კარგად და თუ იყოს შესუმა ზაფხულის, შე-
აგბო, რაზომიც გეყოფოდეს დღისა და ღამისა, რათა არა დამყავ-
დეს და გაირყუნას. თუ იყოს შესმა მისი ზამთრის, სიცივე არის,
არ ვარგა სმა, მისთვის რომე სიცივე გარყუნის.

ით. აქა ლოყიათა, რომელნი არიან სალოკელნი თითთა, რო-
მელნი ერგებიან ყოველთა ტკივილთა, სალმოზათა, შედედებულთა
ტანისათა. და ვყოთ ესე სიტყვა გამოკრებული თუ ღოთსა უნდეს.

10 ნიშანი ლოყისა რომელ აოს ნაჟვისა, და ერგების ყოველსა ფილტუსა
და ხივილსა და რომელნი იხველდენ და ამოჰყრიდენ მყრალსა ნერ-
წყუსა, და ყოველსა ხუელასა ძველსა ¹ სარგებელისა არს თუ ღმერთს
უნდეს. აიღე: ქათირა და ნაჟვი გაქურცული და ირსია რომელი
არს ღვალო მათგანი სწორი წონა და სალსაელის თესლი და მუკლი
ჰეუდი ამათგან სწორი წონა და სელის თესლი მოკლული და თამ-
რალირონი გაწმენდილი მარცულისა, კურკისაგან და თესლისაგან,
გომიზი არაზი და ბიისა გურკისა ლაზა ამათგან წონა ოცდაათისა
დრამისა და ძირთაფლისა რუბი წონა ოცის დრამისა და ფანიდის
გოპიზი წონა ორმოცდაათისა დრამისა შეკრიბენ ესე წამალნი, და-
20 ნაყეთ, გაცერით და ყურძნისა რუბითა შესქელებულითა შეზილეთ,
ან თაფლითა პერულ მოხდილითა, ერგების ესე ლოყია ვის მკერდი
შევიწრებოდეს და დიდსა ხუელასა და ფირტუისა დიდსა ხივილსა,
რომე ვერ ერგებოდეს დათმობა, აიღოს ამისგან. დილა საღამოს,
კარგი და გამოცდილია თუ ლ[~]თსა უნდეს.

ნიშანი ლოყისა რომელი არის შამბალილი ² ერგების ხუე-
ლასა და მკერდსა და ვისაც გაუძნელდეს სულისა ღება და ვისა უნ-
დეს ხმის გაკეთება ნებითა ღთისათა. აიღე: სელის თესლი წონა
ოცის დრამისა და ნუმში ტკბილი წონა ოცი დრამისა და ქათირა
და ძირთაფლის გამოწურვილი და ნაჟვი გაქუცვილი და ბაღდი რო-
30 მელი არს ნუმში წურილი, მწარე, მოხალული და ნიშასტაგი ღამეს
დაალბე და მერმე აადულე ასრე რომე სამოცსა დრამზედა მოდგეს,

მერმე შიგ ოცი დრამი თაფლი გაურივე და გაწურე და მასუკანის სახევარ დრამი ყარიყონი და ნახევარ დრამი თურბუთი, ნახევარ დრამი ალიქირუმი ერთი დანგი ინდოური მარილი, ესე გაწურვილ-შიგა გაურივე და შეასვით და ფარეზი ისრევე ქნას როგორც ზემო მათბუხებშიგან სწერია.

¹ სწერია „ძვალსა“.

² სწერია „შამბალითისა“.

62

მათბუხი შათარა, არგებს ზაფრასა და კაცსა რომე ტან-შიგა სისხლი დამწვარიყოს და ნამეტნავი ქავილი სჭირდეს ტანშიგა და იჭირე: შათარა ხმელი და სინამაქი თხუთმეტი დრამი. ალი-ლა ქაბული უძვალო ნახევარ უკია ¹ ანისონი ხუთი დრამი ია და ხათმი ხაბაზი, ნილოფარი ამათგანი ოთხოთხი დრამი ესე ყუელა ჯუმ-ლად დანაყე და ორსა ლიტრასა წყალშიგა ჩაყარე და ერთსა ღამე-სა დაალბე, მერმე ადუღეთ ასრე რომე ცოტა დარჩეს, მასუკანით თხუთმეტი დრამი შირხიშტი შიგ გაურივეთ, და თუ ესე შირხიშტი არ იყოს, ოცდა ხუთი დრამი თაფლი გაურივეთ და დანგ ნახევარი 10 საყმუნია შიგ გაურივეთ და შეასვით.

აწე მულლაბი დავსწეროთ. ესე მულლაბი რომელ არის ძარ-ლუთა დამალბობელი და სენისა დამალბობელი და ბალდამისა და-მალბობელი ამა მათბუხისა შესმასა წინათ. მულლაბი დიდის მათბუხისა ბუზურგისა: საბრი, ყურდმანა, ქასრა, წითელი ვარდი, ნიახურის თესლი, თითოსაგან ხუთ ხუთი მუტყალი, ანი-სონი, რაზიანა, ჩაღლუზა, საქმინაჯი ფატრასალიონი, სალიხა, ბუ-ზიდანი, სურინჯანი ორივე ნახევარ დანაყილი, ფარსიონი, გული ყვავილი, ხატმი თუხმი, ხატმი და ყუავილი მისი, სეფისტანი ასა-რონი, ვარდი, ია, ჩამიჩი, თარანგუბინი, შირხიშტი ეს ყუელა ერთ-20 გან შეჰყარე იმავე წესითა კოჭობშიგ ჩაყარე წყლით აავსე და თავი მოუგლისე და ადუღე ვირემ მესამედი დარჩებოდეს და იმა წყლი-საგან თვითოსა თასსა გამოსწურევდი და თარანგუბინითა გალესეედი და სამსა დილასა შეასვი თვითო თასი.

აფთიმონისა მათბუხისა მულლაბი: მოიღე ხატმისა ყვავილი ერთი პევში, ასარონი, ბასვაიჯი, სინამაქი, თავრეზული რაზიანა, უნაბი, ჩამიჩი პევში ერთი, ინა სამისაგან თვითო დრამი, გაურიონ და შეასვან ფარეზი ასრევე ქნას რომე ამას ზემოთ დაგ-გვიწერია.

მათბუხი აფთიმონი არგებს რომე კაცსა სევდა სჭირდეს 30 და რომე კაცი შემცდარი იყოს, და არგებს კაცსა რომე არ შეეძ-ლოს და სევდიანად იყოს და მალვით ტანშიგან სატკივარი სჭირდეს და ვერა შეეტყოს რა, ამასაც არგებს. თავის ტკივილსაც არგებს, სტომაქის სატკივარსაც არგებს და ტანში რომ გონჯი რამე სისხხა არის მასაც არგებს. და იჭირე; აფთიმონი ათი დრამი ალილა ქაბული ზუთი დრამი, ჩამიჩი, თხიფი და სიფისტონი ამა ორისაგან თხუთმეტი თხუთმეტი დრამი, სინამაქი შვიდი დრამი, ასლისუსი,

¹ სწერია „ვაყია“.

ლისონლამალი, ია, ლისონი საურ, ხუფა თვითოსაგან ოთხოთხი დრამი და სუნჯითი ოცდათი მარცვალი ესე ჯუმლად ორსა ლიტრასა წყალშიგან ჩაყარეთ და ერთსა დღესა დაალბე, მერმე ადუღეთ, გარემ სამოცსა დრამზედა მოიყაროს და ცოტა თაფლი გაურივეთ რომე მოატკბოს და თამრინდი და ხიარშამზარი თვითოსაგან ათი დრამი ამა ნადუღარისა წყალშიგან გაურივეთ და გაწმინდე და გაწურე და დანგ ნახევარი საყმუნია შიგ გაურივე და ასვი და ასრე, ქენ რომე რაც ამაშიგან სადუღარი წამალი სწერია მოიღე ყუელა და ჩაყარე ქოთანშიგან და ცეცხლზედ დადგი. და მოიღე საყმუნია და

10 ცოტას მჩვარში გამოჰკარ და შიგ ჩააგდე მოადუღე და მერმე, ის საყმუნია შიგავე ჩაურივე და ყუელა ერთად გამოწურე.

მ ა თ ბ უ ხ ი ა ბ ს ი ნ თ ი ნ არგებს ბავასირსა, რომე ავი წყლული იყოს ტანხედა მასაც არგებს და ფერხსა და მუხლსა რომე ქარი იყოს მასაც არგებს, და მხრისა ძარღვებშიგან რომე ქარი იყოს მასაც არგებს და სული რომე ვიწროდ ამოზდიოდეს მასაც არგებს.

დ ა ი ჰ ი რ ე: ავსანთინ ათი დრამი ალილა ყვითელი და ალილა ქაბული თვითოსაგან ნახევარი უკია ასრე რომე ქერქი შეაძრო და გული გააგდო, ალილა შავი და სუსანი, ბასვაჯა, სურინჯან თვითოსაგან ოთხ ოთხი დრამი, აფთიმონი. ანისონი, ლაბლაბ, ვარდი და

20 ია თვითოსაგან სამსამი დრამი, შაშთარა, სინამაქი თვითოსაგან ხუთ ხუთი დრამი, ჩამიჩი, თხიფი, სეფისტონი. თვითოსაგან ათათი დრამი ყუელა ორს ლიტრა წყალშიგა ჩაყარე და ერთსა უკიასა ¹. ამ ყუელასაგან, წონა ოროლისა დრამისა დანაყენ ეს წამალნი, გაცერ და ყურძნის რუბითა შესქელებულითა შეზილე და ჰურჯელში ჩადევ. შესმა მისგან წონა ოთხოთხისა დრამისა აილოს დილა სადამოს კარგია ნებითა ღოთისათა.

ნ ი შ ა ნ ი ლ ო ყ ი ს ა რ ო მ ე ლ ი არს სელის თესლისა რომელი ხუელდენ და არას ამოყრიდენ, ხუელასა ხმელსა უშველის ნებითა ღვთისათა. აიღე: სელის თესლი მოხალული და ქათირა და გომიზი

30 არაბი და ძირთაფლის რუბი ამათგანი სწორი წონა დანაყეთ გაწერ და ძირთაფლითა შეზილენ და დილა სადამოს ახმარეთ, გამოცდილია და კარგი თუ ღმერთსა უჩდეს.

ნ ი შ ა ნ ი ლ ო ყ ი ს ა არგებს ჩვილთა რომელი იხველდეს ღამით ნებითა ღვთისათა, ა ი ღ ე: გომიზი არაბი და ძირთაფლის რუბი, ნაჟუი გაქუცული მისისა ქერქისაგან, დანაყე და ფანიდითა შეასქელებეთ, ერვანდის ზომით მერთლად ქნა და შესმა ამისგან ყრმასა თავის დედის რძით. სარგებელისა არის ნებითა ღთისათა.

¹ სწერია „დიკისა“.

თ ა რ გ მ ა ნ ი ლ ო ყ ი ა თ ა შ ე ქ ნ ი ს ა ¹ დანაყენ წამალნი, ხმელი დაალბე რომელთა ლოაბთა გამოღება ხამს ვითა ბიის კურკა და ბაბაყუელისა თესლი და შამზალილისა თესლი და სხვანი ერთითა დღითა უწინ დაცვილი და ზეთი ორივე ცეცხლთა ზედა ერთად შერივნე კარგია, რათა არა შეიყინნენ წამალნი.

კარი აბისა რომელ არს მარცულეზი (აბისა) ნიშანი მარცულისა რომელსა პქვიან აზი და ერგების ყოველსა ტკივილსა სტომაქისასა და თავისასა და გასწმენდს ტანსა ყოვლისა დაკრებულობისაგან და სენისაგან და ერგების ჭაბუკთა და ბერთა, დაშვენდების ყოველსა გუნებასა 10 მხურვალსა და გრილსა, და იმისი აღება სარგებლიანია და კარგი ყოველთა ჟამთა. როდესაცა ვის უნდოდეს დაშვენდების უფრო ზაფრიანსა ბუნებისათა კაცთა და გამოსწმენდს თვალისა სიბნელესა და მოუმატებს სინათლესა, დაშვენდების ბალღმიანთა კაცთა და ერგების იარაყანსა და ესე მოეხმარების ვის ტანისა [სიმრთელე] უნდოდეს ღ~თსა უნდა. ა ი ღ ე იარაჯ ფეყრა წონა ხუთის დრამისა, ხალილა-ბი, კვერცხის გული და მარილი ნავთისა და აფთიმონი. აკარატი და თურბუთი თეთრი, ფუკა, ადხირი და აფსინთისა გამოწურვილი, ზაფრანა და ღარიყონი და საყმუნია დანამასტაქი შემწვარი და ვარდი წითელი და ქათირა და მუყლი: ამათგანი წონა თვითო მი- 20 ტყალი შეკრიბენ ესე წამლები დანაყე გაცერ შაქრითა და ძაღლის ყურძენას წყლითა შეზილეთ და მარცულად დაქენით და ჩრდილში გაახმეთ, შესმა მისგან წონით ორის დრამისა და უმცრო და უფრო ნებითა ღ~თისათა.

ს ხ ვ ა ა ბ ი თ ვ ა ლ თ ა და თ ა ვ ი ს ა. სტომაქსა ბალღმისგან გამოსწმენდს. და ი ჭ ი რ ე: აზიბალასან, თურბუთი, ღარიყონი, მარტუჯი ამათგანი თვითო დრამი, მაჰმუდა ერთი დანგი, ესე წამლები დანაყე და გაცერ და დინარის შარაბიცა გაურით შიგა და თბილის წყლით შეზილეთ და თბილის გულის ოდენი დამარცულეთ და ჩრდილსა გაახმეთ. ჩაანთქმევინეთ.

30 ს ხ ვ ა ა ბ ი თ ვ ა ლ თ ა თ ვ ი ს კ ა რ გ ი ა. დაიჭირე: ორი დანგი საბრი, ორი დანგი შამიანდალი, ორი დანგი მაჰმუდა, ორი დანგი აფსინდის თესლი, ორი დანგი მასტაქი დანაყე, გაცერ და ნიახურის წყლით აბათ შექენ და ჩრდილში გაახმეთ და ჩაანთქმევინეთ ძალად, ასრე რომე კბილი არ დაადგას.

ნი შ ა ნ ი წ ა მ ლ ი ს ა ძ ლ ი ე რ ი ს ა რ ო მ ე ლ ა რ ს მ ა რ ც ვ ა ლ ი წყლით მაკეთა, და ვის ტკივილი მუცელთა შეჰქნოდეს.

¹ ეს წინადადება განმეორებულია.

და წყლით სახვე ებას და გაუსივდებოდეს, და გაუსივდებოდეს ფერხნი და წვივნი ყოველსა ტკივილსა თელგმისასა და შავისა ნაღული-სასა, გამაძლიერებელი არის ღვიძლისა და ტყირპისა და ერგების ტკივილსა მარღუთასა და ქართა სხვილთა თუ ღ~თსა უნდეს. ა ი ღ ე: რევანდი და მური და მუყლი და ვაშაკი და საქფინაჯი და მასტაქი და გუნდრუკი და საბრის კუტრი და თახუის ყუერი ამათგანი წონა სამ სამი დრამისა და ჯანტიანე ბერძნული და ენდრო მღებართა და ლაქი და ქუშტი მწარე ამათგანი წონა ოთხოთხისა დრამისა და კილამონი და სუმბული და ზაფრანა და პილპილა და ზირა ქირმანი 10 და ნიახურის თესლი და ანისონი ამათგანი წონა თვითოს დრამისა თურბუთი თეთრი და ღარიყონი; შამიანდალი და აფსინდისა გამოწურვილი შრომანის ძირი მთისა, ამათგანი წონა ხუთხუთისა დრამისა დანაყეთ ესე წამლები გაცერ და კამისა წყლითა შეზილეთ და

მარცულად დაქენ, გაახმე და შესმა მისი ძალსა ზედა. სარგებლისა არის ნებითა ლ̄თისათა.

ნ ი შ ა ნ ი მ ა რ ც უ ლ ი ს ა რომელი არის ათითა წამლითა.

ერგების ტკივილსა ნიკრისისასა და ტკივილსა შინადგამთასა ნებითა ლ̄თისათა. ა ი ღ ე: ზანჯაფილი და დარიფილფილი და შატრაჯი ჰინდი,

პილპილი შავი და ამლაჯი და ბალილაჯი და ხალილაგი შავი და ნან-
20 ხუა და სუდი ამათგანი წონა ოროლისა დრამისა და საბრის კუტ-
რი წონა ოცის დრამისა დანაყეთ, გაცერით და ძაღლის ყურძენას
წყლითა შეზილეთ. შესმა წონა ორის დრამისა და ნახევრისა და შე-
სვას ამა წამლისაგან მრავალჯერ ყოველთა თვეთა; და ზოგნი მკურ-
ნალნი ურთვენ შიგან ორის დრამის წონას საყმუნისასა, რათა გა-
ძლიერდეს ქნა მისი, თუ ლ̄თსა უნდეს.

ნ ი შ ა ნ ი მ ა რ ც უ ლ ი ს ა ერგების სიმყრალესა პირისა. და ვის
საუბარშიგან გამოჰყუებოდეს (შიგნით) მყრალი სული¹ გასწმინდეს
ესე სტომაქსა ნებითა ლ̄თისათა. ა ი ღ ე: საბრის კუტრი მუტყალი
და ნახევარი, ანისონი და ნიახურის თესლი და ნანხუა და ხალილა-
30 გი შავი და მარილი ჰინდი და კარამფული და სუმბული ამათგანი წო-
ნა თითოს დრამისა და მუკლი კერატის წონა, შეკრიბენ ესე წამ-
ლები დანაყე გაცერ და თურინჯისა ქერქისა წყლითა შეზილეთ და ან
პიტნისა წყლითა და მარცულად დაქენ და ჩრდილში გაახმე. შესმა
მისგან წონა ორის დრამისა და მასუკანის ვარდის წყალი შესვას
გამტკბარი. ერგების ესე წამალი დამპლობასა ნოტიასა რომელი შე-
ექნების სტომაქსა შინა. დაუამებს სულსა პირისისა ნებითა ლ̄თი-
სათა.

¹ ეს სიტყვა სამჯერ სწერია.

66

ნ ი შ ა ნ ი მ ა რ ც უ ლ ი ს ა ჩადებითა პირსა შიგან. ერგების
მოფოლხვებულებასა ღრძილთასა რომლისა[გან] გამოვიდოდეს სი-
სხლი, ნიადაგ ტკივილსა კბილთასა და საცოხნეთასა და გამოიღებს
სინოტიესა პირისაგან და დაუამებს სულსა პირისასა და ერგების კბილ-
თა შეძრულთა, ნებითა ლ̄თისათა ა ი ღ ე: კარამფულისა გურკა და
აყარყარა და გუნდა მწვანე და ბასბასა და ქაბაბა და ბროწეულის ქერ-
ქი ყოველი ამათგანი სწორი წონა დანაყე და გაცერ და ყურძნის
რუბითა შეზილეთ და მარცულად ქენით, გაახმეთ და როდესაც გინ-
დოდეს მისგან ჩაიდევით პირსა შიგან თვითო მარცვალი და ერთი
10 მეორისა შედეგად. და პირსა რა ლორწო მოექცეოდეს წანერწყვიდეს
ჟამჟამად. სარგებლისა არის რასაცა ნიშანი მიგვიცემია ნებითა
ლ̄თისათა.

ა ბ ი ა თ მ ა ხ ი ყ ო ნ არგებს ზაფრასა და სევდასა, ბალღამსა
და რომელი ძაღვით სატკივარი იყოს და სატკივარი დასძველე-
ბოდეს ტანშიგა მას არგებს. დ ა ი ჭ ი რ ე: თურბუთი თეთრი და ია-
რაჯ ფეყრა თვითოსაგან დანგ ნახევარი და ალილა ყვითელი ნახევარ
დრამი, შამიანდალი, საყმუნია თვითოსაგან დანგ ნახევარი, სუმბული,
სალიხა, ზაფრანი, აბი ბალასან, თვითოსაგან ნახევარ დრამი ეს
ყუელა ჯუმლად დანაყე და რაზიანასა წყლითა დააგორგალეთ და შე-

20 სვას. და ამისმან შესმულმან ამა დღესა იფარეხოს და ნურასა სჭამს და ერგების.

ა ბ ი ყ უ ყ ი ა არგებს თავის: ტკივილსა, ყურის ტკივილსა და თავის ნახევრისა ტკივილსა და თვალის სინათლესა მომატებს და ცხვირსა რომე სდიოდეს გამოსწმენდს, და თავშიგან რომე სიხმელე სჭირდეს არგებს. ესე წამლები ჯ ა ლ ი ნ ო ზ აქიმსა შეუწყვია დაიჭირე: საბრი უსყუთარი და მუყლი აზრაცი, ავსანთინი, მასტაქი, საყმუნია, შამიანდალი, იარაჯფეყრა, თურბუთი ამა ყუელასაგან თვითო დანგ ნახევარი და ერთი დანგი წითელი ვარდი გაურიეთ კარგად მოუხდების, ეს წამლები ჯუმლად დანაყეთ გაცერით და მერმე 30 ნიახურის წყლით დააგორგალეთ და მისცეს რომე შესჭამოს კარგია და გამოცდილი.

ა ბ ი ს უ რ ი ნ ჯ ა ნ არგებს ფერხისას ტკივილსა და ტანისა გონჯსა ქარსა და რაცა სენი ბალდმისაგან სჭირდეს მას არგებს. დაიჭირე: სურინჯანი, საბრი უსყუთარი თვითოსაგან თვითო მიტყალი, თურბითი თეთრი, მაიზარა, ბუზედან, თვითოსაგან ოროლი დანგი და ფარფონი, მარლი ინდოური საყმუნია თვითოსაგან თვითო დანგი და ნახევარი, ესე ყუელა ჩაადნოს და რაზიანას წყლითა დააგორგალოს და მისცეს რომე ჭამოს.

67

ა ბ ი ბ ა რ მ ა ქ ი არგებს რომე ავი მლიერი ესხას, სისხლკორძსა, ესე წამალი ბ ა ხ ტ ი შ უ ა ჰ ნ ა ზ ა რ ნ ი ს ა გ ა ნ შეყრილი არის ბ ა რ მ ა ქ ი მეფისა შვილისათვის შექნა ესე წამლები. იმა მეფის შვილისა სახელი ფაზილ. ამას მწოედ ქავილი სჭირვებია. და იჭირე: ყვითელი ალილა და ალილაზარ და ბალილა თვითოსაგან თვითო მიტყალი, შარნაგი ქაბულ, თურბუთი თეთრი თვითოსაგან ნახევარ დრამი, და ერთი დრამი საბრი, საყმუნია, ალიქირუმი ორისაგანვე დანგ ნახევარი ესე ჩაადნევ და წყლით მარცულად შექენ და ასვით.

10 ა ბ ი ა მ ა ლ უ რ არგებს რაცა ტყირპისა სატკივარი არის და რომე ტანშიგან დამწვარიყოს. და იჭირე: ჰაბულფეყრა ამალუჩ და ყუითელი ალილა თვითოსაგან თვითო მიტყალი ესე ყუელა დანაყოს და სიქანგუბინშიგან გაურიონ და ასვან, არგებს თუ ღთსა უნდეს.

ა ბ ი ღ ა რ ი ყ უ ნ არგებს კაცისა ტანშიგა რაცა ტკივილი იყოს და თემოშია რაცა სატკივარი იყოს და სჭირდეს. და იჭირე ღარიყონი და ლაფითის ფურცელი და რუბი სუსი თვითოსაგან ნახევარ დრამი, შამიბედავი ოთხი დანგი ესე ყუელა დანაყე და წყლით დამარცულე და მიეც რომე შეჭამოს და არგებს.

20 ა ბ ი ს ა ბ რ ი არგებს ტანის მქავანსა, და იჭირე საბრი და ალილა ყუითელი თვითოსაგან თვითო დრამი სინამაქი, შაჰთარას თე-სლი, და ქანსის თესლი თვითოსაგან ოროლი დანგი, საყმუნია, ალიქირუმი, ინდოური მარლი, თვითოსაგან თვითო დანგი ესე ჯუმლად დანაყე და კამის წვეწვით დააგორგალოს და შეაჭამოს.

ა ბ ი ყ ო ლ ი ნ ჯ ი ს ა არგებს ვისაც ყოლინჯი სჭირდეს, გულსა გასწმენდს და შეკურით რომე იყოს გახსნის. დაიჭირე: შაჰმიბადავი, სულჰინ თვითოსაგან თვითო დრამი, ალიქირუმი და ხმელი ვარდი, საყმუნია თვითოსაგან თვითო დანგი, ესე ყუელა ერთად დანაყე და კამის წყლით დამარცულე და მიეც რომე ჭამოს.

ა ბ ი ხ უ ე ლ ი ს ა. არგებს ხველასა და კაცსა რომე გვერდე-
ბიგან სენი სჭირდეს და კაცსა რომელსა ხმა წასლოდეს დ ა ი ჭ ი რ ე:
30 ქასირა თეთრი და სამყი არაბი და კიტრის თესლისა გული და ნე-
სვის თესლის გული და აყიროს თესლის გული და ხაშხაშის თესლი,
რუბისუს დაფქვილი დაწურვილი ზაფრანა თვითოსაგან სამსამი დრა-
მი და ნუშის გული ხუთი დრამი და შაქარი და ყანდი ნაბათი თვი-
თოსაგან სამსამი დრამი ესე ყუელა დანაყე¹ და გაცერ და ლისონ-
ლამაღისა წყლით თხილის ოდენოდენი დააგორგალე და ეს თვითო
თვითო პირშიგან ჩაიდვას. არა გახსნის.

¹ ეს სიტყვა განმჭორებულია,

68

ა ბ ი ჯ უ ნ დ ა არგებს რომე კაცსა შიგნით: ქარი დაერჭმოდეს
და მუცელშიგან უჭყვიროდეს და რაც სენი ყუერში იყოს და რაც
ქარი იყოს. ან ტანშიგან: ან ყუერშიგან ან მუცელშიგან ყუელას არ-
გებს და თირკმელთა სიგრილესა. დ ა ი ჭ ი რ ე: სურინჯანი¹. ბუზიდა-
ნი თვითოსაგან ნახევარ ნახევარ დანგი თურბითი ჰაბინილი, თვითო-
საგან ოროლი დრამი სიბრიჯენდ, ალიქირუმი თვითოსაგან ორო-
ლი დანგი, მერმე ფარფიონი, მამუდა თვითოსაგან დანგ ნახევარი ეს
ყუელა დანაყეთ, გაცერით და ნიახურის წვენით დამარცულეთ და
მიეცი რომე შეჭამოს.

10 ა ბ ი უ ლ მ ა თ ი ნ არგებს რომე პირის სახე გაუმრუდდეს
ლოყა, თერხი და ხელი რომე მოღებით იყოს და ანუ თრთოდეს და
ანუ ენა დაებას და მხარშიგან შეკურით იყოს და საჭმელს ვერ იდ-
ნობდეს. დ ა ი ჭ ი რ ე: მუყლი, შამი ბედავი და ჯუნდა, ჰურმალი,
აბაყზხუინ, ჯავაშირი თვითოსაგან ოროლი დანგი, იარაჯფეყირა
ნახევარ მიტყალი, პოლთის, უსტუხუდოს თვითოსაგან თვითო დან-
გი, ლაქი ორი დანგი ესე ყუელა დანაყე და გაცერ და განდანას
წვენით დააგორგალე და შეაჭამე კარგია და გამოცდილი.

ა ბ ი მ უ ყ ლ ი არგებს რაცა ტყირპშიგან ქარი იყოს, ყუელას
გამოიღებს და ბოვასირსა არგებს. ღვიძლისა სატკივარსა არგებს და
20 კაცსა რომე ბოვასირი და ქავილი სჭირდეს [უკანა] კარშიგა მას
არგებს და ისი რომე ბოვასირი გასქელეზოდეს და სისხლი სდიო-
დეს მასაც არგებს. დ ა ი ჭ ი რ ე: რაცა ალილა იყოს ყუელასაგან
თვითო მიტყალი, ბარანაგი, ქაბალი. თურბუთი თეთრი თვითოსა-
გან ოროლი დანგი შათარას თესლი და ანისონი თვითოსაგან². თვი-
თო დრამი, შაჰმიჰანთალი ნახევარ დრამი, საყმუნია ერთი დანგი
ესე ერთპირად დანაყე გაცერ და პრასის წყლით დააგორგალე და
ორის პრასის წონა შეასვი თხილის წყლითა.

ა ბ ი ზ ა ი რ უშველის რომე ჭიპსა გარემემო სტკიოდეს და
სისხლსა იყუნდეს და რაცა შიგნით სატკივარი იყოს. დ ა ი ჭ ი რ ე:
30 აფიონი ერთი დანგი და ნახევარი, კამის თესლი ოთხი დანგი და-
ნაყე და სადაფის წყლით შეზილე და აბი შექენ პილპილის ოდენი
და მიეც რომე შეჭამოს მისგან ხუთი დრამი. თუ არა ეშველოს ხუ-
თი სხვა მიეც, და უშველის ნებითა ღ~თისათა.

ა ბ ი მ ა ნ ს უ რ არგებს რაცა ასო არის მისსა ტკივილსა.
უშველის სასაშიგან რაცა სიმხურვალე შეყრილი იყოს ყუელას გა-

¹ ეს სიტყვა განმეორებულია.

² ეს სიტყვა განმეორებულია.

მოიღებს. წამლები: იარაჯფეყრა ნახევარ დრამი, ყანტარიონი ნახევარი დრამი, შასთარას თესლი ¹ ნახე არ მიტყალი, ეს წამლები დანაყე გაცერ და შასთარას წვენით შეზილე და როგორაცა აბის წესია ისრე შექენ, თვითო მიტყალი აჭამე, თუ ერთობ დიდი კაცი იყოს მიტყალ ნახევარი მიეცი.

ა ბ ი ს ო ლ ა ნ უშველის თასნუჯსა და ენა რომე მძიმედ ებას და ფილენჯსა ა ი ღ ე: სოლან ოთხი დანგი, შამიანდალი, საბრი, ნიახურის თესლი, ანძარუთი თვითოსაგან სამსამი დანგი, თურბუთი თეთრი ორი დანგი, საყმუნია ერთი დანგი ეს ყუელა, ჯუმლად და-
10 ნაყე, გაცერ და ნიახურის წყლით შეზილე და აბები შექენ და მიეც ორი მიტყალი.

კ. კარი ყურსებისა: ნიშანი კვერისა რომელსა ჰქვიან აკარსალ ქავქაბდან, არის ესე უმჯობისა. არგებს ყოველთა ტკივილთა მუცელთათა დახსნილობასა გარდამეტებულსა და გურემასა შემთხვეულსა. ერგების ტკივილთა ყურთასა. როდეს გაადგინო ამისგანი, კერატისა წონა ქაბრის წყლითა დააჩვილო და ჩაუშვა ყურსა შიგან დაუყუდებს ტკივილსა. და ერგების დედათა და რომელთა გამოუვიდოდეს სისხლი წიდოვნებისა დიადი, გადამეტებული. როდეს შესმიდენ ამისგანსა ყოველთა დღეთა კუერს მიყრტის სასმლითა, და ხველისათ-
20 ვის შესვას იის სასმლითა და ხსნილობისათვის გარდამეტებულისა, კვერი ერთი ბაზარლატუნისა ლაბითა შესვას, და ვინ სისხლსა დაჯდებოდეს ბიის წყლითა შეასვი ერთი კვერი, და ვის გველმან და ან ღრიანკალმან უცეს ტეგანისა წყლითა. და ახლად გახსნის მუცელსა როდეს სვას უკუდავის წყლითა რომელსა ჰქვიან ბაკლათთა ჰამაკან ანუ კასუმისა წყლითა. და ერგების ტკივილსა საშოთასა, თაფლწყლითა. და იმისთვის წოდებულ არს ამას და ესე სახელი რა ოდენ აჯობებს და სალმობასა არა იჯობინების თუ ღთსა უნდეს. ა ი ღ ე: მური და მთახუის ყვერი და სუმბული ტიბი და თიხა ბერძული, დაბეჭდული, და სალიხა და თივა ვაცისა ძირი, ამათგანი წონა
30 ოთხოთხისა დრამისა და ზაფრანა და ქუმტი და აფიონი ამათგანი წონა ხუთხუთისა დრამისა, ხაშხაშის თესლი წონა ექუს ექუსის დრამისა, დოკო და ანისონი და ზოფა და ლემის თესლი და კუჭუმბრა და ნიახურის თესლი ამათგანი წონა დრამი რვა რვისა. შეკრიბენ ესე წამლები ხმელნი დანაყენ და გაცერ და წამალნი რბილნი ღვინითა განადგინე და მერმე შერივენ ყოველნი და კვერად დაქენ, და წონა ყოვლისა კვერისა ნახევარ მიტყალისა იყოს და ჩრდილში გაახმე.

¹ სწერია წვენი.

შესმა მისგან კვერი ერთი ნიახურის წყლითა ან სხუითა რომლითა-მე რომელ გვიხსენებია, თუ ღთსა უნდეს არგებს.

ყ უ რ ს ი ა ლ ი ლ ა არგებს კაცი რომე ბალღმნიანად იყოს და

სტომაქსა ძალსა მისცემს და ჭიპისა ჩხვერასა არგებს, რომე ქარი ჭიპსა გრეხდეს მასაც არგებს და ბუმტის ტკივილსა და თირკმელათა ტკივილსა. და იჭირე: ალილა ქაბული და ალიქირუმი, მაჰლაბდანე თვითოსაგან ოროლი დრამი, ამაწამლებშიგან ხუთი დრამი შაქარი გაურივე და სამსა დღესა აჯამეთ.

ყურსი მუშკისა¹ არგებს სტომაქსა და კბილის ძირს
10 დაამაგრებს და ხშირად რომე პირსა (პერული) დავარდების არგებს და პირსა რომე ავი სული ამოსდიოდეს მასაც არგებს და კაცის გულსა გაანათლებს და თესლსა მოუმატებს და შფოთად რომე იყოს მასაც უშველის. და იჭირე: მუშკი ერთი დანგი და უდი ჰინდი ორი დანგი. ყარანფული და ალიქირომი, დარიჩინი და თურინჯის ქერქი და ქაბაბა და ჯავზაბოვა და ყაყულა თვითოსაგან. ნახევარ დრამი ეს ჯუმლად დანაყე და ვარდის წყლით ნახევარ დრამის წონა დააგორგალე და სადამოს თეთრის შაქრით აჭამე.

ყურსი მური არგებს დედაკაცისა წესი რომ შეკურით იყოს.
და იჭირე: მური წმინდა ერთი დრამი სადაფი და პიტნა ორივე
20 გამხმარი, ფუჰ, და მუშკი თარანგუბინი, ჰალთითი, ჯავარიში და სულან თვითოსაგან ნახევარ დრამი გამხმარი ესე ყუელა დანაყე ერთად და ჯავარიში და ჰალთითი ესე ორი ცალკე აბჰალის წყლითა ჩაადნონ და მერმე ისი ზემო სხვა წამლები შიგან ჩაყარე და ესე წამლები ყველა მუხუდოს წყლით ჩააყენოს მერმე ოცდაათისა დრამით დაწმენდილი თაფლით და ნიგვზის ზეთით შეასვით.

ყურსი ქაფური არგებს ცხელებასა და ღვიძლსა, სტომაქსა სიმსივნესა და თავის ტკივილსა და იჭირე: წითელი ვარდი და ქასნისა თესლი. ბაყლა, თუ ლიმაცა, შაქარი, თაბაშირი, ქასირა თეთრი, და რუბასოსი და სამყი არაბი თვითოსაგან თვითო მიტყალი
30 და ქაფური ნახევარ დანგი ეს ჯუმლად დანაყეთ გაცერით და ვარდის წყლითა დაზილეთ და ყურსად შექენ და სამსა დღესა ჯულაბშიგან იყოს და როდესაცა უნდოდეს სჭამდეს.

ყურსი სუმბული არგებს რაცა სტომაქშიგან ბალღამი იყოს, ცხელებასა რომე ბალღმისაგან იყოს, თბილიზარა, დღეგამოშვებით რომ აცხელებდეს მას ჰქვიან, რომე ცხრო სჭირდეს და გულის ძალი შეკურით იყოს. და იჭირე: სუმბული, ზაფრანი, თხაფ-

¹ სწერია „მუკისა“.

შირ¹, ყარანფული, სამყი არაბი თვითოსაგან თვითო დანგი ესე ჯუმლად დანაყე და ამის პირდაპირი ყარანფული. თაფლი ერთმანერთში გაურივე და გამოწურე, სამსა დღესა ამას აჭმევდით.

ყურსი ბუზურგ არგებს რომე ტანშიგან დაფანტული სატკივარი იყოს; ყუელას ჩაჰკრეფს და სევდასა გამოიღებს რომე სჭარბობდეს, და სტომაქსა ძალსა მისცემს და ბუმტსა შიგან სენი სჭირდეს და სისხა, ისთისყა რომე კაცსა გამოაჩნდეს, და იჭირე: კიტრის თესლი და ტკბილი აყირო თვითოსაგან ოროლი მიტყალი, ისრე რომე ქერქი შემბურალი იყოს, შათარას თესლი და ქასინის
10 თესლი თვითოსაგან თვითო მიტყალი და ნახევარი და ბანგის თესლი, თეთრის ხაშხაშის თესლი და ქასირა, რუბისუს თვითოსაგან თვითო

დრამი იის შარბათით შესვას და მისი საჭმელი ისპანახითა იყოს.

ყ უ რ ს ი თ ა ბ ა შ ი რ ი არგებს რომე ღვიძლშიგან სატკივარი იყოს და ბუშტშიგან ჩაილოს, მერმე ისთისყა გამოუჩნდეს, დ ა ი ჭ ი-რ ე: თაბაშირი ხუთი დრამი და წითელი ვარდი და ახალი ქინძი, გილიერმანი თვითოსაგან თვითო [დრამი] დაფითის ფურცელი ერთი დრამი ესე ყუელა ჯუმლად დანაყე და ტკბილის ბროწეულის წვენით ჩააყენეთ და სამსა დღესა აჭამეთ.

ყ უ რ ს ი ქ ა რ ვ ა არგებს დედაკაცსა რომე წესი მეტად სჭირ-
20 დეს. დ ა ი ჭ ი რ ე: გილიერმანი, ხუნისიაოშან, ქარვა, ალიქირუმი, სანდალოზი, გულნარა თვითოსაგან ოროლი დანგი ეს ყველა ჯუმლად დანაყე და ბიისა შარბათით შეასვით და თუ ბიის შარბათი არ იყოს ვაშლის შარბათითა აჭამეთ. მისი საჭმელი ისრიმითა იყოს. და თუ ისრიმი არ იყოს, სუმაციითა იყოს. თუ ამა ზემომან წამლებმან არ უშველოს ესე წამლები [უყავ] დ ა ი ჭ ი რ ე: აფთიმონი, ალილა, ამილა, ბალილა, გაზმაზუ, ხუნი სიაოშან, ლაქი, სამციარაბი, გილი-
ერმანი და გაწურვილი ფქვილი, თვითოსაგან ოროლი დანგი, სამცი
ზირა ქირმანი, ალიქირუმი, სუდა, ყურფა თვითო დანგი ეს ჯუმ-
ლად დანაყე და მერმე ხმელი ქინძი წყლითა ადუღე და ისიზემო
30 წამლები ამაშიგა გაურივეთ და აგრე ასვით.

ყ უ რ ს ი ბ ა ნ ა ვ შ ა არგებს ზაფრასა და თავის ტკივილსა და კაცსა რომ თავის ცხელება სჭირდეს. მუტბაყი, გულისა ცხელებასა: და კაცსა რომე ხელი და ფეხი უსუსტდებოდეს. დ ა ი ჭ ი რ ე: ბანავ-შა და ერთი დრამი თურბუთი თეთრი თვითოსაგან დანგ ნახევარი და შაქარი თეთრი ტაბარზათი თვითოსაგან ხუთხუთი დრამი ეს ყუელა დანაყე ჯუმლად და ყურსად შექენით და ჯულბაშიგან ამყოფეთ მერმე შეასვით.

¹ თაბაშირი.

ყ უ რ ს ი ქ ა ბ რ ი არგებს ტყირპსა რომე მისჭირვებოდეს და გამრუდებულყოს მისსავე ალაგსა დასვამს. დ ა ი ჭ ი რ ე: ქაბრის ძირისა ქერქი და ფიყადას თესლი თვითოსაგან სამსამი დრამი, ვაშაყი და ზარავანდი გრძელი და სადაფის ფურცელი ხმელი, თვითოსაგან თვითო დრამი, და ვაშაყი კარგითა ძმრითა დაადნევით, და ეს წამ-ლები დანაყეთ და იმა ვაშაყსა და ძმარშიგან გაურივეთ და მერმე ყურსად შექენით და ეს წამლები სიქანგუბინი ბუზურითა შეასვით სამსა დილასა.

ყ უ რ ს ი რ ე ვ ა ნ დ ი ს ა არგებს კაცსა რომე სიყვითლე სჭირ-
10 დეს და მწოვედ წყურვილი სჭირდეს მას არგებს, კაცსა რომე დღე-გამომშვებით აცხელებდეს და ან მესამეს დღეს მოუვიდოდეს მას არ-ჯებს. დ ა ი ჭ ი რ ე: რევანდი ჩინი ერთი დრამი, თაბაშირი, ალილა ყვითელი და თურბითი, სამისაგანვე ნახევარ დრამი, თოხმაქანი და რახიანას თესლი ყვითელი, ქასნის თესლი და ქიშუმი, ანისონი, საყ-მუნია თვითოსაგან თვითო დრამი და ნახევარი ესე ჯუმლად დანაყეთ და ჯულაბითა შეასვით.

ყ უ რ ს ი ლ ა ქ ი ს ა ¹ არგებს ყოველთა ტკივილთა ღვიძლისათა, მხურვალთა გულთა და ვის სტკიოდეს ღვიძლი დიდისა ღვინისა

სმისაგან გაფიცებოდეს, სიფიცხითა, აიღოს ამისი კვერისაგან კვერი 20 ერთი, დახსნის ნებითა ლთისათა. ა ი ლ ე: ლაქი ბუზურ წონა ექუსი დრამისა და ხარბზხაკის თესლი გაქურცნილი წონა თორმეტის დრამისა და ენდრო მღებართა წონა ორის დრამისა, შეკრიბენ ეს წამლები დანაყე გაცერ და წყლით შეხზილუ და კუერად დაქენ და ყოველი კუერი მუტყელისა წონა ქენ და შეასვით სიქანგუბინისა წყლითა ანუ ისე სასმელითა, ანუ წყლითა გრილითა, სარგებელისა არის ნებითა ლთისათა.

ყ უ რ ს ი უ ფ უ ლ დედაკაცსა რომე წესი შეეკრას მას გახსნის, აგრევე ყოლინჯსაც გახსნის. ა ი ლ ე: უფული, მური თვითოსაგან თვითო დრამი, სადაფის წყლითა ყურსი შექენით და ოდეს გინდოდეს 30 მიტყალ ნახევარი მიეცით. თუ ზაფრა სჭარბობდეს ყვითლის ალილის წყლით უნდა შეასვან, ხიარ შამბარის გული და თარანგუბინიცა მოუმატონ თუ ისი ყოლინჯი არ გახსნას ეს შაფი შექენ და ააღებინე, დ ა ი ჭ ი რ ე: ჯავაშირი, ბორა, შამიანდალი ესე სამივ დანაყე სწორსწორი და ძროხის ნაღველი გაურივეთ, შეზილეთ შაფები შექენით.

ყ უ რ ს ი ა ფ ი ო ნ ი. აიღე: ქაბული ალილა, ბალილა, ამულა, გაზმაზუ თვითოსაგან ოროლი დანგი. ზირა ქირმანი, ალიქირუმი, სუ-

¹ სწერია: „ქალისა“.

დი, ყარამფული, სუმბული თვითოსაგან თვითო დანგი, ესე ყუელა ჯუმლად დანაყე, გაცერ, მერმე ცოტა ქათირა წყალშიგან დაადნონ და მერე მითა წამლები შეზილუ და ყურსები შექენ და მიეც, ხუნი სიაოშანი, სამეცი, ლუქი, გილიეორმანიცა მოუმატე.

თ ა რ გ მ ა ნ ი ყ უ რ ს ე ბ ი ს ა. ასრე უნდა შექნა ვითაც მოგიტხრობ ჯერარს რა დაალბო წამალნი კარგად და შემდგომად შეზილისა დაეხსენ ერთსა ჟამსა და ორსა, და გაფუვდეს და გაადნევ გომიზი წონა და იყენ მათშინა გომიზი ვითა ვაშავი და გომიზი არაბი, რომელი მსგავსი მათი და დავალბნეთ უწინ ჟამითა ერთითა 10 და იცხოხ ხელთა ვინ შეურიოს და იქმოდეს ზეთთგან რომელსა შეეტყობოდეს კუერთა. კარგია ნებითა ლთისათა.

კა. კარი ტლეებისა. ზამდაჰა ჰქვიან. ტლე მხურვალი, არგებს კაცსა რომე ბალღმითა სავსე იყოს და ტანშიგან რომ მძიმეთ იყოს და ათრთოლებდეს და ცხვირსა რომ წყალი სდიოდეს ნიადაგ. დ ა ი ჭ ი რ ე: ხაზმიონი, ხარდალი, ფუფული ესე ერთმანერთის წონა დანაყე და ბზისა ფურცლისა წყლითა გაურივეთ და თავზედა დაასხემდით და ესე წამლები ქუნჯითისა ზეთითა და მისი წონა, ცხვირშიგან ჩაუწვეთონ ბევრჯვერ.

ტ ლ ე მ ა ს ვ ე ა რ გ ე ბ ს რომე სიმსივნე სიმხურვალისაგან 20 იყოს და წითელი ქარი რომე სჭირდეს და კაცი რომე ერთობ სიმხურვალეზედ იდგეს.

ფ უ ჩ ი დ ა რ ბ ა ნ დ ი. დ ა ი ჭ ი რ ე: ფუფული ჰინდი, შაფი მამისა, საბრი ესე ყუელა ერთმანერთისა სწორი დანაყე და ტირიფის წყლითა გაურივე და თუ ტირიფი არ იყოს ბუსალაბისა წყლითა გაურივეთ და სადაცა სიმსივნე იყოს იქ დასცხევით.

ტ ლ ე მისი, რომე კაცისა ხორცი რბილად სივდეს და ან სისხა სჭირდეს. და იჭირე: საბრი, მორისყუდ, აყაყია და შაფი მამისა ესე ჯუმლად დანაყე და კუერცხისა ცილაშიგან დაზილეთ და ვარდის ზეთითა და ვარდის წყლით და ძმრით, ნაცრით ყუელა ერ- 30 თად აურივეთ და ტლედ ქენით და სადაც სტკიოდეს იქ დაადევით.

ტ ლ ე მისი რომე კაცისა სიმსივნე მაგარი იყოს და იჭირე: ხანა, ნიგოზი, მური და მუყლი, ერთმანერთისა წონა და ყუელას წონა სელის, თესლი, ცალკე წყალში ჩაყარეთ რომე მისი წყალი ხელზედა იწებებოდეს და მერმე დანაყილი ლედვი შიგ ჩაურთევით და მერმე იგი ზემო წამლებიცა შიგ ჩაყარეთ და ერთსა დღესა და ღამესა შიგ ამყოფეთ რომე დალბეს და მერმე ბაზარყატუნნი ჩაყარეთ და მისი წყალი შესცხეთ, ისიც კარგია და დილეულად თბილის წყლით იბანებოდეს.

74

ტ ლ ე გ რ ი ლ ი არგებს მხურვალსა ვარამსა რომე კაცსა ხელსა სწვევდეს და იჭირე: ფუჩი დარბანდი, ფულფული ჰინდი, სანდალი

თეთრი, წითელი ვარდი, ხათმი, გილი, თვითოსაგან სამსამი დრამი ქაფური ნახევარ დანგი ეს ყუელა ჯუმლათ დანაყე და ტირიფის წყალშიგ გაურივეთ და მისი ტლე შექენით კარგია.

ტ ლ ე ხ ა ტ მ ი ს ა. სიციხე რომე იყოს გულსა და ღვიძლსა ზედა კარგად არგებს, და გული რომე სტკიოდეს, და სიმხურვალისაგან მას უშველის წამლები მისი: ხატმი ერთი პევში, ია ერთი პევში, ქერის ფქვილი ორი პევში სამივე ერთმანეთშიგან გაურივეთ და 10 ტირიფის ფურცელი დანაყეთ და ცოტა წყალი გაურივეთ და კაკბის, საკუნეტელი და ძაღლის ყურძენა დანაყე და გაურივე, სამოსელზედ შესცხე და გულზედ გარდააკარ.

თ ა რ გ მ ა ნ ი ტ ლ ე თ ა. ჯერარს რა დანაყენ და გასცრა და შეზილო წყლით თანგირათა შინა ცეცხლთა ზედა [შემოდგა] და და შემდგომად მისი გაადნო ცვილი ზეთისა თანა და ჩაურთნე, ვირე ცეცხლთა ზედა დგეს, და შემოსდვა ზედა, ნებითა ლთისათა.

კბ. კარი მაჯუნებისა და თრიაყებისა და გუარიშნებისა დიდისა. თრიაყისა ხასიათი რომელი არის ფარუყი ესე არის რომე კაცსა ან გუელმან უკბინოს და ან მორიელმან და ან ლღრიანკალმან 20 რომე სიკუდილსა კარსა მისულა იყოს, ესე აჭამე და სიკუდილისაგან იხსნის. სისხა და თავქედისათვის, კარგია ფილენჯისათვის და გრილის ხველისათვის კარგია. ის მხურვალი და ხმელი არის, გულსა და ტვინსა ღვიძლსა ძალას მისცემს და შიგნით წყლულთათვის კარგი არის. და კაცი რომე მწოვეთ გახსნით იყოს მას დააყენებს, კაცსა რომე პირიდაღმა სისხლი სდიოდეს და ან ბუასირისა ქარი იყოს მას უშველის და ღვიძლსა, ასრე შეკრული იყოს რომე ქვასა გვანდეს მას გახსნის, ძნელის ხუელისათვის კარგია, ქშენისათვის, მკერდის ტკივილისათვის კარგია გვერდის ტკივილისათვის კარგია გაბერილის სტომაქისათვის, წელი რომ ეღურღუნებოდეს, 30 მისთვის კარგია, გურემისა და კოლინჯისათვის, ფსელი რომ შეკურნით იყოს და არ გამოვიდოდეს, იმისთვის კარგია. შიგნით რომ მუცელი უსივდეს და ვისაც ყურთ არ ესმოდეს მისთვის კარგია,

თვალთა სინათლეს მოუმატებს, ჯავა მაფასილისათვის კარგია, ბალ-
ღმისა და სევდისათვის კარგია, ყოვლის სენისათვის გრილისა და
მხურვალისათვის კარგია.

დიდის თრიაყისა ხასიათი ასრია რომე შექნას, ხუთ-
წლამდის ხმარება არ უნდა, ხუთსა წელიწადსა უკანის ხასიათიცა
აქუს და ხმარებაც უნდა, მაგრამ ჯალინოზ ასრე, იტყვის

75

ვითარ როგორცა ადამის ტომი, აგეთივე თრიაყი არისო, სადამდის
ადამისტომი წლისა არ შეიქნების, არცა ადამისტომი დადგება
ძალზედა და არცა თრიაყი და ოცდაათსა წლამდის ძალს იმატებს,
მერმე სამოცს წლამდის ძალს იმატებს, მერმე სამოცს წლამდის,
ისრევე ძალი ექნების, და სამოცსა წელიწადსა უკანით ძალი მოაკ-
ლდების და ხასიათიცა წაუვა და ოთხმოცს წლამდის კიდევ იხმა-
რების. ასრე როგორაც ოთხმოცის წლისა კაცი დაბერდების ¹ აგ-
რეთვე ის დაბერდების და წახდების. ამისი ნიშანი და ყოვლისა სე-
ნისა მით შეიგნების, პირველ სტომაქისა, მისთვის რომე წყალი
10 უწინ სტომაქსა შინა შეიქნების.

თუ თირიაყისა შეტყობა გინდოდეს რომე გაუგნებელი
არის, თუ ყმარწვილსა კაცსა გასახსნელი წამალი შეაჭამე და რო-
გორცა მწოვედ გახსნის ეს თერიაყი შეაჭამე თუ შეკრას, იცოდი
რომე კარგი არის და თუ ვერ შეკრას იცოდი ბერი არის და ავი.

ერთი გამოცდა თრიაყისა ეს არის რომე ქათამსა სასი-
კუდილო წამალი შეაჭამე და მერმე ეს თირიაყი პირში ჩაუდევ, თუ
დარჩეს იცოდი რომე კარგი არის, და სასიკუდილო წამალი, ამა
ქათმისა, აფიონი არის რომე მოჰკლავს.

ამათრიაყისა შესმა ასრე უნდა, თირკმელი თუ სტკივის
20 ერთი მიტყალი ერთის უკიითა ღვინითა შეასვით. გველნაკბენსა და
მორიელის ნაკბენსა და ღრიანკალისა ნაკბენსა ერთი მიტყალი ერთითა
უკიითა ღვინითა შეასვით. იარაყანსა ერთი დრამი ერთის უკიითა
სიქანგუბინითა უნსულითა. სისხიანსა თხილის ოდენი ძრმითა ნაფა-
ზისათვის ერთი დრამი ძმრითა, სიქანგუბინითა ხველისათვის და
მკერდის ტკივილისათვის ერთი დრამი ამლაჯისა ² წყლითა ანუ ჯუ-
ლაბითა. თუ სიგრილისაგან და ან ბალღამისაგან აცხელებდეს სამისა
უკიითა ღვინითა და ან თხილის წყლითა შეასვით. და სხვათა ყოვ-
ელთა სენთათვის როგორაც ამას ქვემოთ ღთითა სწერია იმა წეს-
ითა შეასმევდეთ.

30 ვის უწინ თავი სტკიოდეს, უწოთ ამისგან ცხვირთა ქე-
რის ნახევარი ზომა შემგბარითა მარზანგუშის წყლითა და ვის სტკი-
ოდეს თავი, კბილი და ღვიძლი ერვინდის ზომა ღრძილთა და სა-
ცოხნელთა ქვეშე დაიჭიროს და მისსა წყალსა ჩანთქმიდეს. და
ხუელას ახალსა და ძველსა ქერის ზომა კამის წყლით და ზარავანდის
წყლით ხურეტითა ერთითა. და ტკივილსა სტომაქისასა, პირთასა,
ქერის ზომა ძირასა წყლითა. და ტკივილსა ფაწალისასა ქერის ზომა

¹ სწერია იხმარების.

² სწერია მამლანისა.

წყლითა გრილითა. და ეკრძალოს შვიდთა დღესა საჭამადასა და სას-
მელსა და აიღებდეს მას შვიდსა დღესა. და ტკივილსა გვერდისა
მარცხენისასა მარცულის ზომი ნიახურის წყლითა ხურეტთა ერ-
თითა. და ტკივილსა ღვიძლისასა მარცვალი ერთი თეთრის ვარდის
წყლითა და თაფლითა თეთრითა და წყლითა გრილითა. და ვისთ-
ვის გველსა ეცეს, ან ღრიანკალსა მარცვალი ერთი თეთრის ოსპის
წვენით თბილითა.

ვ ი ს ს ა უ რ ა ვ ი და შეჭირვება შეექნას, შიში ეშმაკის მაგი-
ერი, და ან ცნობის წასულა და ან ვასვასა მარცვალი ერთი უმ-
10 რავისა ¹ წყლითა შემგბარითა. და დაიძინოს მას ზედა და იცხოს
თავსა და ტანსა მისსა. და ვის თუხმა იყოს მარცვალი ტკბილისა
ბროწეულისა წყლითა. ტანის ქავილი სჭირდეს ალარდენისა ² შემ-
გბარითა წყლითა და ბაზარყატუნითა. და ვის არ ძაღედვას და დი-
ადად დაიძინებდეს მარცვალი წყლითა თბილითა. დიაცსა როდეს
ემობოს და წელნი მოეჭრებოდეს და სისხლი გაუბევრდეს შემგბარი-
თა შამბალითისა წყლითა ხურეტითა ერთითა. და ვის ეჭირებოდეს
წყლითა გრილითა და ორითა მიტყლითა ბაზარყატუნითა და ვარდის
ზეთითა და ქუნჯითისა ზეთითა ეს ყუელა ერთად შეასვას. და ვის
ბავასირი იყოს მარცვალი პრასისა წყლითა შვიდსა დღემდისინ შეა-
20 სვას. და ვის ენასა შიგა სიმძიმე იყოს მარცვალი ალატროის წყლითა.
ვის შავა იყოს მარცვალი წყლითა თბილითა, და იცხოს ზაფრანის
წყლითა შინათა და გარეთ და თელგმისა მარცვალი ძირასა წყლითა
და ხუელა სურდოსა, მარცვალი, ვარდისა წყლითა.

თ ი რ ი ა ყ ი ა რ ა ბ ა. თრიაყ ფარუხი რომე მოიგონეს ამას
წინათ ამა თრიაყსა იხმარებოდეს. არგებს გველ ნაკბენსა და ღრი-
ანკელ ნაკბენსა და მორიელ ნაკბენსა და რასაცა ბრაზიანმა ძაღლმა
და ან მგელმან უკბინოს, ან რამანცა ცოფიანმა უკბინოს, ყუელას
არგებს და მოწამლულსა და სისხიანსა უშველის და ბუასირსა უშ-
ველის და რაცა სიგრილისაგან სენი არის, ან ქარი ყუელას უშველის
30 და უფრო თავქედს უშველის. ხაფაყანი რომე სიგრილისაგან იყოს
იმას უშველის. სტომაქშიგან რომ ქარი იყოს და წელი ეღურღვნე-
ბოდეს მას უშველის, ვაჯალი მაფასილისათვის კარგია. წ ა მ ლ ე ბ ი
მ ი ს ი: ჯუნტიანე, რუმბი აბულდარა, ზარავანდი თავილი, მური ამათ-
განი სწორ სწორი დანაყენ და გაცერ და სამის წამლებისა წონა
თაფლი მოადუღე და პერული მოხადე და უკმოდგი რომე გაცივდეს
და ეს წამლები შიგ გაურივე და დაზილე რომე გასწორდეს და ორ-

¹ ძირაკის წყალი.

² სწერია „ალავერდისა“.

მოცსა დღესა ქერშიგან ჩადგი, მეომე მისგან ერთი მიტყალი თბი-
ლითა. წყლითა გააყენე და შეასვი.

თ რ ი ა ყ ი ღ ა ლ ი რომელი არის ყოვლისა სენისა წამალი
კაცსა რომე თავითგან ვიდრე ფერხამდე და ქვეშეთ ტერფამდე რაც
სენი შეექნებოდეს და ან გამოცხადებით ან ძალვით ყუელას უშვე-
ლის ხორცთა შიგან თულა ოდენ წ ა მ ლ ე ბ ი მ ი ს ი, აიღე: „აფიონი
წონა ოთხის დრამისა, სუმბული და ყაყულა, პილპილა თეთრი და

ხარის ძირა თეთრი და აყირყარა და ლემის თესლი ამათგანი წონა
ოროლისა დრამისა და ზაფრანა წონა ერთის დრამისა — დანაყენ ეს
10 წამლები და გაცერ შართა ცალცალკე და მერმე ერთად შეურივენ
და პერულ მოხდილითა თაფლითა შეზილენ, შესმა მისგან მიტყალისა
ნახევარი.

ვის თავის ტკიოდეს და არის ესე საზნეთა და ღრძილი
თათვის და მთლიანისა ტკივილისათვის ხელსა და ტკივილსა სტო-
მაქისასა, ხველა სურდოსა, ფაწალისასა და ტკივილსა გვერდთასა და
ღვიძლისასა და შემოკლებასა სულისასა და ცნობისა მისულასა სი-
სხასა და დიდსა წიდოვანებაუსა და კაცი რომე მუცელში ავით იყოს.
და ბოვასირიანსა, წყლითა ლიტრისა ზომითა, მიკრისისა, მარცვალი
ტეგანისა წყლითა, ყოვლისა ტკივილისათვის მარცვალი წყლითა ან
20 უზმომან და ან დაწოლის ჟამსა. ვის კაემანი იყოს წყლითა თბილითა
დაწოლის დროს. და ვინ დაეცემოდეს მარცვალი გაადგინე ბერძნუ-
ლისა ზეთითა და ენასა ქვეშე დაიდვას. ცხროსათვის, მარცვალი
ქინძისა წვენითა, ან თარანგუზინითა, ან ძირას წყლითა ხურეტითა
ერთითა. და ყრმათა რომელთა ქარი სცემოდეს შეჭირვებისა და სნე-
ულსა ყრმათასა მარცვალი ძირაკისა თეთრისა წყლითა შესმა, სრული
ამისგან ნახევარ მიტყალი. თუ არა პოვო ამათ წყალთაგანი მაშინ
თბილითა წყლითა და ვინ ცივით სვას. ამისი წამლისაგან დაიცხოს
თავსა იის ზეთი, შეხურიტოს გიულის წყალი სამი ხურეტა, სარგე-
ბელისა: არის ნებითა ღთისათა. და შესვაროს შეზელასა უწინ ბა-
30 ლასინისა ზეთითა და იყოს თავლი მისი ყოველთა წამალთა წონა
და რაზომიცა დამველდეს სჯობს, ესრეთ იცოდეთ.

ნიშანი მაჯუნისა რომელი არს ჯაზილა. თარ-
გმანებითა საჭურჭლისა. დაფშუნის ქუასა, რომელი იყოს ყრმათა
და მამათასა, დაჰყოფს ესე მას ადგილსა რომე რკინითა ბუმტში: გა-
უპიან და ქვა გამოართვიან, რომე ამისი საქმე საკურველი არის და
ყოველთა წამალთა უძლიერესთაგან არის, დიდროანთა და რჩეულ-
თაგან გამოღებული არის კარსა¹. მეფისა და საჭურჭლით, ნებითა
ღთისათა.

¹ სწერია „კასრა“.

ალიე: აფიონი და აფთიმონი და თახუის ყუერი, სუმბული
ტიბი და კილამონი სინი, ზანჯაბილი სინი, დარიფილფილი, ზაფრანა
ამის ყუელასაგან წონა დრამისა ოთხოთხისა და ლემის თესლი წონა
დრამისა ოთხოთხისა¹ და ავარპა წონა დრამისა ორისა და ნა-
ხევარისა და დუნალ ბალასანი ხალისი გამოცდილი წონა დრამისა
ოცდაათისა, დანაყენ ეს წამალნი ცალკე ცალკე გაცერ მტკიცისა
საცერთა და დუნალ ბალასანი თანა შერივეთ, რაზომნი წამალნი
იყუნენ, სამი ნაწილი თაფლი პერულ მოხდილი იყოს და მითა შე-
ზილონ და ვერცხლის ჭურჭელსა ჩადვას და იხმაროს შემდგომად
10 ექუსისა თვისა. შესმა სრული მამათათვისა, რომელსა ბუმტში იყოს
ქვა, წონი ორისა დანგისა ხუთის დრამის წონითა ბროწეულის
წყლითა. ყრმათა მცირეთა წონა დანგისა ერთისა ღვინით გაზავე-
ბულითა, იქმოდეს ამას ვირე დაიფშუნას ქუა და ფსელსა გამოჰყუეს

თანა. სარგებლიანი და საკურველია ნებითა ღმრთისათა.

მ ა ჯ უ ნ ი ა ფ ლ ო ნ ი ა ი რ უ მ ი. ესე მაჯუნი არის სურდოსა, უშველის თავისასა და ყოველსა სატკივარსა უშველის ნებითა ღმრთისათა. და რაც ფერი ყოლინჯი არის უშველის და პირიდადმა რომ სისხლსა ამოიღებდეს მას უშველის, და სისხლსა რომ იყუანდეს მასაც უშველის და შეპკრავს, და დედაკაცსა რომე მეტად წესი დაე-
20 მართების მასაც უშველის, ნამყენად რომ იყოს ბევრის ჭამისაგან, იყუანდეს მასაც უშველის, ბუასილისა ქარსა უშველის, ხელი რომ უთრთოდეს უშველის და სარსამსა უშველის რომელ არს თავქედი და ტყირპის ქარისა და ღვიძლი რომე სიგრილისაგან სტკიოდეს მასაც უშველის და ჭიპზედა რომ სჩხვერდეს მასაც უშველის და სი-
გრილითა რომე ფსელს უჭირევდეს მასაც უშველის, მარტვილსა რომე ყუერი გაუსივდეს და თიაქარს უშველის. წ ა მ ლ ე ბ ი მ ი ს ი: ბასრულ-
ბანჯი რომელი არს ლენცოფისა თესლი და თეთრი პილპილი თვი-
თოსაგან ოცოცი მუტყალი. აფიონი ათი მუტყალი, ზაფრანი ხუთი
მუტყალი ნიახურის თესლი, სამი მუტყალი, სუმბული ოთხი მუტყა-
30 ლი, სადაჯი ინდი, აბაბლისნი²; აყირყათ თვითოსაგან თვითო მუტყალი. ფარფიონი ერთი მუტყალი ეს წამლები ყუელა დანაყე ცალკე ცალკე გაცერ თავლი მოადუღეთ, ამ წამლებისა სამი წონა, პერული მოჰხადე, გაანელეთ და გაურივეთ ესე წამლები და დაზი-
ლე და ექუსსა თვესა ქერშიგან ჩადგით და მერმე ჭამოს მისგან დიდმან კაცმან ერთი მუტყალი და ცოტამან ნახევარ, მიტყალი და მისგან უმცროსმან ერთი დანგი და მარტვილმან ნახევარ დანგი.

¹ ეს წინადადება განმეორებულია.

² შეცდომაა „აბი ბალასანი“.

ყ ო ლ ი ნ ჯ ი ს ა თ ვ ი ს კამის თესლი მოადუღე და მითა შეასვი, და ტკირპისათვის სიქანგუბინითა და ღვიძლისათვის ანისუნითა თირ-
კმლის ტკივილისათვის და ბუშტის ტკივილისათვის კამის თესლითა და პირდადმან სისხლის ამოღებისათვის თუთუბითა შეასვით.

მ ა ჯ უ ნ ი ა ფ ი ო ნ ი ფ ა რ ს ი. სისხლსა თუ ამოყრიდეს და ან იყუანდეს რაც ფერი ყუანა იყოს უშველის და რაც ფერი რწყევა იყოს უშველის, დედაკაცსა რომე საშვილეშიგან ქარი სჭირდეს, რაც ფერი ქარი იყოს უშველის და საშვილესა ძალს მოუმატებს, შვილი არა შერჩებოდეს მუცელშიგან მას გაამაგრებს და ასოებშიგან რაც
10 ფერი სატკივარი იყოს ყუელას უშველის და ჭკუასა და ცნობას მოუმატებს, სასას ძალს მისცემს. წ ა მ ლ ე ბ ი მ ი ს ი: თეთრი პილ-
პილი, ბაზარლაბჯი თვითოსაგან ოცოცი დრამი, აფიონი, გილი ერ-
მანი თვითოსაგან ათათი დრამი ზაფრანი ხუთი დრამი ფარფიონი და აყარყარა თვითოსაგან ოროლი დრამი, თახუის ჯუერი ერთი დრამი და ზარამბადი, გაუხურეტელი მარგალიტი და მუშკი თვი-
თოსაგან ნახევარ დრამი, და სხვასა კარაბადინშიგან ნახევარ მუ-
ტყალი სწერია, მუშკი და მარგალიტი, ქაფური დანგ ნახევარი და
წამლები ყუელა ცალკე ცალკე დანაყონ და გაცრან და მოიღონ
თავლი სამი წონა მოადუღონ და პერული მოხადონ და გაურიონ
20 იმავე წესითა შეასუან რომე ზემო სწერია.

ნ ი შ ა ნ ი მ ა ჯ უ ნ ი ს ა რ ო მ ე ლ ა რ ს ღ მ თ ი¹ ერგების

ტკვილსა თირკმელთასა [თუ] ღ ~ თსა უნდეს. აიღე ზაფრანი წონა დრამისა და კილამონი წონა დრამისა ოთხისა და სალიხა და მური და თხილის ძირი ამათგანი წონა თვითოსა დრამისა დანაყე, გაცერ და თაფლითა შეზილონ, შესუმა წონა დრაზისა ნებითა ღ ~ თისათა.

მაჯუნის ტლისა უშველის ძველს ყოლინჯს და მეორესა ყოლინჯსა რომე ილაყოს ჰქვიან და გულის ტკვილსა და სტომაქისასა და ტკვილსა ღვიძლისასა რომე სიგრილისაგან იყოს, თიაქარსა რომე ბუმტსა შიგან ჩავიდეს. მისი წამალი: ჯუნტიანე 30 რუმი და სადაჯი ჰინდი თვითოსაგან რვა რვა დანგი, ზარავანდი, გოგირდი, და ზირა თვითოსაგან ოთხოთხი დანგი, ფუფული ჰინდი და ზაომბადი ჰინდი თვითოსაგან სამსამი დანგი. ეს წამლები ცალკე ცალკე დანაყე გაცერ და ამ წამლებისა სამი. წონა თაფლი მოადულე პერული მოხადე და შიგ გაურივე, თვითო სმას, ნახევარ ნახევარი მუტყალი კამის თესლი მოადულე და მით შეასვით.

¹ ეს საიდუმლო სახელს უნდა ნიშნავდეს ალბათ „ღმერთი“.

80

ნიშანი მაჯუნისა გალიანოსისა ძლაოიასა, არგებს სიგრილესა თირკმელთა ბუმტისასა და ვის ფსელი წვეთ წვეთად მოსდიოდეს მას არგებს და გახუამს ნესუტსა და ყოვლისა ღვიძლისასა და დააცხრობს სიმსივნესა ტყირპისასა და ვის სჭირდეს უფსმელობა მასაც უშველის, აიღე: პილპილი თეთრი და პილპილი შავი და ჰამამ, და ქუშტი და სუმბული ტიბი და ძირის ლერწამი, სადაჯი ძინდი და ზაფრანი და ნიახურის თესლი და ანისუნი და აყარყარა ¹. და ჰინჭრის თესლი და ტეგნის თესლი ამისი ყოვლისაგანით სწორი წონა დანაყე ეს წამალნი და პერული [მოხდილითა] თაფლითა შე- 10 ზილე და ჭურჭელსა ჩაზდევე, როდეს გინდოდეს იხმარე. შესმა მისგან, ვის თირკმელთა რაც სჭირდეს, მუტყალი ნიახურის წყლით. ვის გამოუვიდოდეს ფსელი უნებურად აფრასიზონის წყლითა ნაგბოლითა ანუ კამის წყლითა, რომელსა დეეყენებრდის ფსელი ქურქუპჭობისა თესლისა წყლითა თბილითა, სასარგებლო არის ეს წამალი ნებითა ღ ~ თისათა.

ნიშანი მაჯუნისა რომელ არს სუნბულისა. ერგების ყოველსა ტკვილსა ტყირპისათა და ქართა რომელნი შეიძრნეს მარცხენითა კერძოთა, ყოველსა სალმობასა რომელ დაეწყების ტყირპისაგან და გაძეხას ქარსა სტომაქისაგან და ვის გასივებოდეს 20 ტყირპი და ავსებოდეს მუცელი და დასწურილებოდეს ასოები და დამქლობილი იყოს ტანზე, ერგების კარგად, აიღე: ზაფრანი ხალისი წონა დრამისა ორისა და ნახევარისა, ნიახურის თესლი და ზარავანდი მგრგვალი ამათგანი წონა დრამისა ორისა და ნახევრისა, ვაშაყი წონა დრამისა სამისა და ნახევრისა, ქუშტიბარი წონა დრამისა თოთხმეტისა, აყარყარა წონა დრამისა ათისა და სალიხა წონა დრამისა ორისა და ნახევრისა, სუნბული ტიბი წონა დრამისა სამისა, შეკრიბენ ეს წამალწი დანაყენ გაცერ ვაშაყისა გარეშე, და ვაშაყი დაალბონ ძმრითა და პერული მოხდილისა თაფლსა ჩაურთე და მერმე ჩაურივენ ყოვლნი წამალნი მას თაფლსა და ჭურჭელსა ჩადევ 30 ხმარებისა ჟამამდის. შესმა წონა ორის დანგისა, და დიდსა კაცსა

მუტყალი

ნიშანი მაჯუნისა რომელი არს რევანდისა არ-
გებს ყოველსა ტკივილსა ღვიძლისასა და ტღყირპსა და სიმსივნესა
ტყირპისასა და გაყუთლებულს ფერსა და ქართა შექმნულთა სტო-
მაქსა შიგან და ცხროთა ძველთა ნებითა ლთისათა. აიღე: ვაჯი წო-
ნა რვისა დრამისა თახვის ყვერი წონა, თორმეტის დრამისა და მამა
წონა სამის დრამისა და სალიხა წონა რვის დრამისა, ანისუნი წონა

¹ სწერია „კარკარა“.

ექუსის დრამისა, ვაშაყი-წონა ათის დრამისა, დანაყენ ეს წამლები
გაცერი, პურეულ მოხდილი თავლითა შეზილენ შესმა მისგან მუტ-
ყალი წონა ღვინითა ან წყლითა თბილ თბილითა და ერგების.

ნიშანი რევანდისა მაჯუნისა სხვისა. ერგების ჩა-
მოვარდნილსა მალლითა ადგილთა რომე ტკივილი დარჩომილ იყოს
ტანსა შიგან, გრძელთა ჟამთა ეერ ეკურნოს, და ვისთან იყოს ტკივილი
ტყირპისა და დაყოფილობა ღვიძლისა და ნესუტთა, და ვისთანა იყოს
შიგან სიგრილე და ქვემოსა მუცელსა. ნებითა ლთისათა.

აიღე: რევანდისნი და სუნბული ბერძული და ზანჯაფილი სინი
10 და ვაჯი და ანჯუოდანისა ძირი ამათგანი წონა ათათისა დრამისა,
ნიახურის თესლი და კამის თესლი და ანისუნისა თესლი და ნანხუა და
კილამური წონა ხუტ ხუთისა დრამისა შეკრიბენ ესე წამალნი დანაყენ
გაცერ და პურულ მოხდილითა თავლითა შეზილენ და ჭურჭელსა
ჩაზდევე, შესმა მისგან მუტყლისა წონა, ერგების ნებითა ლთისათა.

ნიშანი წამლისა რომელი საჩინო წამალი არს.
სუნბული ს. ერგების ყოველსა ტკივილსა ტყირპისასა და
ქართა, რომელი გასრულ იყოს მისგან ტანად და ვის მუცელი გა-
სივებოდეს ესე არგებს. აიღე: ზაფრანი წონა ორის დრამისა და
ნახევრისა, და ზარავანდი მგურგვალი წონა ორის დრამისა და ნა-
20 ხევრისა, აყარყარა წონა თოთხმეტისა დრამისა და ნახევრისა,
სუნბული წონა ორისა დრამისა და ნახევრისა, გაადნო ვაშაყი, და
დანაყე, სხვანი წამალნი გაცერ და პერულ მოხდილითა თავლითა
შეზილენ, შესმა მისგან მუტყალი წყლითა თბილთბილითა, ან ღვი-
ნითა დამტკბარითა. ერგების ყუელას თუ ლთსა უნდეს.

ნიშანი მაჯუნისა ერგების ტკივილსა ღვიძლისასა და იქმს
საქმესა საკურველსა, და არს ესე საცნაური მაჯუნი ხოსრო მეფისა
თუ ლმერთსა უნდეს: აიღე: სუმბული ტიბი და სადაჯი ჰინდი, რევან-
დისნი, ჯუნტიანა, ბერძული დარუ ფილფილი, ამათგანი სწორი წონა
დანაყენ ეს წამალნი, გაცერ, შაქრითა და პერულ მოხდილის თავ-
ლითა შეზილენ და ჭურჭელსა ჩადევე და როდეს გინდოდეს იხმარე
შესუმა სრული მიტყალისა წონა კამის წყლით ან ნიახურის წყლით,
ერგების ნებითა ლთისათა.

მაჯუნი ყოლინჯისა. ესე ყოლინჯისა სატკივარსა დასვამს
ტანი რომე შეკრვით ჰქონდეს გახსნის და მუცელსაც გაუხსნის და
სტომაქსა ძალს მისცემს, და ქარი რომ ერთმანეთსა არა გვანდეს
გასტეხს. აიღე: ზირა ქირმანი, ზანჯაფილი, სულინჯანი, სადაფი
ხმელი, ბორა არამანი, ყურფა. თვითოსაგან ათი დრამი, ყარამფული

უქუსი დრამი ესე ყუელა ჯუმლად დანაყე და მერმე წმიდათ თაფლით მაჯუნი შექენ და თვითო მუტყალი შარბათი და თუ შეეძლოს ორი მუტყალი. და რაჟამს ამა წამლებისაგან მოშივდეს მსუქანი საჭმელი ჭამოს.

მ ა ჯ უ ნ ი ს ა ა ს ლ ი ო ზ. არგებს რომე ძველად თავშიგანა რეტად იყოს და დაეცემოდეს და პირსა წყალი წავარდებოდეს. და კაცს რომე პირადმა წოლაშიგან კიდევ რამე დააწვეს მას არგებს, კაცსა რომე ანაზდად ხელი აუთრთოდეს, ან პირი გაუბრუდდეს, მას უშველის და სრულად რომე თრთოდეს მასაც არგებს, მთვა-
10 რესა და მთვარეს შიგან რომე კაცს ბნედა სჭირდეს მისსა დედას მისცენ. ა ი ლ ე: ასლისუსი ათი დრამი, და აყირყარა, უსთუხუდოზ თვითოსაგან შვიდი დრამი ღარიყონი ხუთი დრამი, ყარდამონა მელიის, ზარავანდი თვითოსაგან ოროლი დრამი და ნახევარი, ესე დანაყენ და თაფლითა მაჯუნად შექენ და მისგან ერთი დრამი შარბათი შექენ და შეასვი და საჭმელი მას უკან ჭამოს წამლისგან გამოსულმან.

მ ა ჯ უ ნ ი ზ ა ნ ჯ ა ფ ი ლ ი ს ა. არგებს რომე ანაზდად კაცი. დაეცეს და პირსა წყალი მიხდიოდეს ან ხელი და ფეხი უთრთოდეს ან პირი გამრუდებოდეს, კაცი რომე გულ მოვიწყე იყოს და კაცს
20 რომე მარღვი დანასკოდეს, ასო რომე ან თითები დაკაკოდეს არგებს, და სტომაქის სისუსტეს არგებს, ძალსა მისცემს. ა ი ლ ე: ზანჯაფილი ათი დრამი, ზარანზადი, ყურფა, ყარანფული, ფუფული, დარა ფილფილი თვითოსაგან ხუთი დრამი, სუნბული, ასარონი, მასტაქი, ჯავზიზავა, თვითოსაგან ოთხი დრამი, ბამანი თეთრი და წითელი და ყვითელი, დარიჩინი თვითოსაგან ექუსი დრამი, შაჰთარა ორი მიტყალი, აყირყარა, შეითარაჯი ჰინდი, ღუვაჯი, ბასბასა-
ნარამუშკა თვითოსაგან სამი მუტყალი, შაყაყული მუტყალი ორი, ფარფიონი, უდი ჰინდი, ქაზაზე თვითოსაგან შვიდი მარცვალი, სულუთ ათი მარცვალი, ზირა ქირმანი, სადაფისა ფურცელი
30 ხმელი თურინჯისა ქერქი ხმელი, ანისუნი, სათარა, ანჯიზანა, მუშკი, თვითოსაგან შვიდი დრამი, ესე ცალკე ცალკე დანაყე ნუშის ზეთით აურივე, თვითოს დრამშიგან სამი დრამი თაფლი გაურივე წმინდა და ცოტა შაქარიცა და მაჯუნად შექენ და ყოველთა დილათა მისგან ხუთხუთი დრამსა სჭამდეს.

მ ა ჯ უ ნ ი მ უ ფ ა რ ა ი. არგებს სევდასა, მალიხულიასა, სნეზასა და უძილობასა და სტომაქსა ძალსა მისცემს, და სტომაქსა საჭმელს მოანდომებს და კაცი რომე საგონებელშიგან ჩავარდეს და კაცი რომ მიჯნური იყოს. მას არგებს. ა ი ლ ე: წითელი ვარდი და

უდი ჰინდი, ყაყულა, სუდა, ზაფრანა, სუნბული, ყარამფული, ალიქირუმი, ბადრანჯბუის თესლი, ბასბასა თვითოსაგან ოროლი მიტყალი და თურინჯის თესლი ხმელი, თულუნჯა, მუშკის თესლი, თვითოსაგან ხუთი დრამი ეს ჯუმლად დანაყე და მისი წონა ამლაჯი

დაიჭირე, ამლაჯი რომე ნახევარზედა დანაყილი იყოს და ცალკე ერთს ჯამშიგან ჩაყარე ¹ ერთსა დღესა და ღამესა შიგან იყოს და მერმე იმავე წყლითა ადულე და რაჟამს ნახევრად მოიყაროს გამოწურე და ერთი დანგი მუშკი და მუტყალი და ნახევარი დამწვარი-აბრეშუმი და ნახევარი მუტყალი მარგალიტი, ეს სამივე ერთმანერთში 10 გაურივე, მერმე ამ პირველსა წამლებშიგან გაურივეთ და ამ წამლების წონა წმინდა თაფლი გაურივე, ამისგან თუ კაცსა შეეძლოს ორი დანგი ჭამოს.

მ უ ფ ა რ ე გ რ ი ლ ი: არგებს ღვიძლისა ტკივილსა და ღვიძლის ცხელებას და წითელსა ქარსა და კაცი რომე დასიცხული იყოს და კაცსა რომე სიყვითლე სჭირდეს და მეტი სისხლი დააწყნაროს ა ი ღ ე: ტკბილის აყიროს თესლი და ქანსის თესლი და კიტრის თესლი, თუხმაქანი, წითელი ვარდი და აბრეშუმი დამწვარი და სანდალი თეთრი, მარგალიტი, ეს ყულეა ერთმანეთისა წონა ქენ და მერმე დანაყე და თარანგუბინი თბილის წყალშიგან ჩაასხით და 20 მერმე ის კარგად ხელითა შეზილეთ და მერმე გაწურეთ, მერმე ისი წამლები შიგ გაურივეთ, და ყოველთა დღეთა სამი დრამი სუას. მეომე სანგი არამანი ცეცხლშიგან გაურივეთ და წყალშიგან ჩააგდეთ და თუ ამა წამლისა შესმამდის მოსწყურდეს ისი წყალი გააციოს და სვას. და მისი საჭმელი კიტრისა თესლითა და აყიროს თესლითა და თეთრის ხაშხაშის თესლითა შეიწყოს ამა სენის უფალმან.

მ ა ჯ უ ნ ი ე ფ ს ქ უ ნ. ამა მაჯუნის ხასიათი ესე არის, რომე მისთა დღეთა შინა რაც უნდოდეს ისწავლოს და არა დაავიწყდეს. დ ა ი ჭ ი რ ე: დარაუნჯი, სათარა, სუუთ, ალილა, აქლილმალიქი, რუმი, ფილფილი, დარუ ფილფილი ზანჯაფილი ამლუჩა და ნიგუზის 30 ნებანი შემწვარი თვითოსაგან ათი დრამი, ესე ჯუმლად დანაყე და წმინდას თაფლითა მაჯუნად შექენ და დღესა შიგან სამი დრამი მიეც და როდეს მაჯუნი ჭამოს, იისა წყლითა ტანი დაიზილოს და იმავე წვენსა რაჟამ დაიძინებდეს თვითოს წვეთსა ცხვირში ჩაიწვეთებს.

მ ა ჯ უ ნ ი ნ ა ნ ხ უ ა. არგებს რომე კაცი დედაკაცთა ვერ მისულიყოს და სტომაქსა ძალსა მისცემს და თესლსა ს მოუმატებს, რომე სიგრილისგან პირსა წყალი [მისდიოდეს არგებს და მუცელშიგა რომე ჭია ესხას იმა ჭიასა მოჰკლავს, კაცისა მარღვი რომე შეკურით იყოს მას გახსნის, ქარი რომე სჭირდეს მას არგებს და ბუმტსა და

¹ აქ უადგილოთ ჩამატებულია „წყლითა სვას“.

თირკმელთა ტკივილსა უშველის უკანა კარშიგა რომა ბუასირი გახეთქილიყოს მასცა უშუელის და ბუმტშიგა რომე ქვა ედვას გამოიღებს, და კაცისა სარცხვენელი დაამაგროს. ა ი ღ ე: ნანხუა და ნიახურისა თესლი თუითოსაგან ათი დრამი: ალიქირუმი, ყურფა, ყარამფული, აყირყარა, ასარიონი, ბასბასა და უდი, ზაფრანა, სუნბული, დარ ფულფული თუითოსაგან თუითო დრამი, მუშკი ნახევარი დრამი, ესე ჯუმლად დანაყე და გაცერ და ასი დრამი შაქარი ადულლე სადამდის გასქელდეს მერმე ეს წამლები შიგა გაურივე, და ყოველთა ღამეთა ოროლი მუტყალსა სჭამდეს.

10 ნ ი შ ა ნ ი მ ა ჯ უ ნ ი ს ა რ ო მ ე ლ ს ა ც ნ ა უ რ ა რ ი ს. მ ა ჯ უ

ნი ხ ა ტ ტ ა ფ ი ს ა, რომელ არს მარცუალთა. ერგების ყოველთა
ტკივილთა ყიისათა მომარჩობელსა, რომელთა რქვიან ა ვ ნ ე კ ი
ქ ა ლ ქ ა ლ ა ბ რომელი არს ბრაზი და ლოზათენი, რომელი გამოას-
ხდებიან ყიასა და რომელსა სიმსივნეს შექნილსა ყიას შიგან და გა-
რეგან და ერგების ესე თუ იკურნოს სიმრთელესავე. შიგან, როდეს,
ჰაერი შეიშალოს და ყიასა ტკივილი შეიქნას კაცთა. მასა სახელი
დასდვა რ ო ფ ა ს მკურნალმან, გამარინე, და მხსნელი ამისი
საღმობისაგან ნებითა ლ~თისათა. ა ი ლ ე: ანისუნის თესლი, და ნია-
ხურის თესლი, ადხირის ძირი და ნანხუა, შაჰთარა ¹. და შაბიამანი
20 და უძოვარისა თესლი, და ძირთაფლას ძირი, და კილამონი და მური
არაბი და ზრევანდი გრძელი, ამისი ყუელასაგან სწორი წონა, და
კოკო, მაღმა რომელ არს ზაფრანი გაზვებული, და ჩვენ ვახსენოთ
ნიშანი მისი ყოვლად ამის წამლისა ნიშნისა მიცემისა, და ვარდი
წითელი ხმელი, ამათგანი ნაწილი ორორი ქუშტიბარი და მერცხალ-
ნი დასწვი მისი ნაცარი ამათგანი ნაწილი სამსამი და ზაფრანა ერ-
თი ნაწილი და ნიშასტაქი და სუმბული. ტიბი ამათგანი თვითო ნა-
ხევარ ნახევარი ნაწილი და გუნდა ერთი ნაწილი, დანაყენ ესე წა-
მალნი გაცერ შართა და შეზილენ თაფლითა და როდეს გიხმდეს
იხმარეთ თუ ლ~თსა უნდეს. და როდეს ხმდეს] ². ყიის ტკივილისათვის,
30 აილო ამისგან წონა დრამისა ერთისა და გაადგინო, ქერისა წყლი-
თა ან ოსპის წყლითა, ან ვარდისა წყლითა, ანუ პირსა იღარღაროს,
მისგან დასცხოს ფრთითა ყელსა გარეგანითა, უყოს ესე დღივ ოთხ-
ჯერ და შემდგომად მისა ღარღარი ქნას ტფილითა ზოფმსა და ანისუ-
ნითა და კამის თესლითა, და ძირთაფლასი ძირითა და ესე არგებს
ნებითა ლ~თისათა.

ნი შ ა ნ ი რ ა მ ა დ ლ ხ ტ ი ბ ი ს ა რომელ არს მერცხალ-
თ ა ნ ა ც ა რ ი, რომელ ამის წამლისა შერთვისა არს და შექნა მი-

¹ სწერია „შითხარა“.

² სწორე ბრჭყალებში ჩასმულია ხუცური, ძველი ტექსტი.

სი: შეიპყარ მერცხალი რაოდენი გინდეს დაკალ და ჭურჭელსა ჩა-
ასხენ და სარქველი დახურე პირი მოუგოზე კარგად და დაეხსენ ვგი-
რემ გახმეს და მერმე ჩადგი ქოთანს თორნესა შიგან რომელსა. შიგა
კირი იწოდეს, მასა ფურნესა კეცი ან ქოთნები რომე დაიწვას, რა
ქოთანსა შიგან და ან ნაცრად შეიქნას, მერმე აიღე ამისი ნაცრი-
საგან და ურთუ ამა მაჯუნსა რომელსა რქვიან მერცხლისა მაჯუნი,
ვითა ნიშანი მოგვიცემია გამოცდილი და საჩინო არს.

ნი შ ა ნ ი კ ა რ უ კ უ მ ა ი მ ი ს ა. რომელი ჩაერთვის ამა წა-
მალსა და სხვათა წამალთა ა ი ლ ე: ზაფრანი და კილამონი ამათგა-
10 ნი წონა დრამისა ოროლისა და ვარდი წითელი გამხმარი და ნი-
შასტაქი დივისა ¹. და ქუშტი მწარე ამათგანი წონა თვითო დრა-
მისა და მური არაბი წონა ოთხის დრამისა და სუმბული და სადა-
ჯი ჰინდი ამისგანი წონა ორის დრამისა და ნახევარისა, დანაყენ ეს
წამალნი, გაცერ და ძველის ღვინითა შეზილენ და კვერად დაქენ,
და კვერები ყუელა მუტყალის წონა იყოს და ჩრდილსა გაახმე და
ამას ხატატიფსა მაჯუნსა ჩაურთო და სხვათაცა თუ ღმერთსა უნდეს.

მ ა ჯ უ ნ ი ფ ა ლ ა ს უ ფ ა. ამა მაჯუნსა ქართულად ² ჰქვიან

სიცოცხლის მაჯუნი. კაცსა სიკუდილამდისინ მართლად ამყოფებს, რაცა ბალდამის სენი არის ყველას უშველის და საჭმელს მოანდო-
20 მებს და აზიმას ძალს მისცემს, [აზიმა] იმას ჰქვიან რომე საჭმელს აქარვებს, ბაყლიანსა ამოაღებინებს, სლოკინსა დააწყნარებს, ჭკუა გონებას ძალზედა მოიყუანს. თუ კაცსა შეუკავლა და ფსელი გას-
დიოდეს მას უშველის, და მამაცობასა მოუმატებს, კბილები რომ ეძროდეს, მას დაამაგრებს, წელის ტკივილსა უშველის და გაუმაგ-
რებს, სახსართა ტკივილსაც უშველის, ამისი წამლები პილპილი და დარი ფილფილი, ზანჯაფილი, დარიჩენი, ამილა, ბალილა, ჰეიტრა, ზარავანდი მგრგული, ბაბუნაჯისა ძირი, მალხი, ჯალლოზა, ინდოუ-
30 რი ნიგუზის გული, ხასიათი ხალიბ, ამათგანი თვითოსაგან თვითო უკია, ასრე ქნას რომე ჩამიჩისა გურკა გააგდონ და ხორცი დაალ-
ბონ და ეს წამლები დანაყონ და გაცრან და ამა წვენითა დაალ-
ბონ და მათი ყუელას წონა თაფლი პერულ მოხდილი გაურვიეთ, და ამისი ჭამა ორი დრამი უნდა.

ნიშანი გუარიშნისა იტრიფილისა უფროსისა. ერგების ტკი-
ვილსა თირკმელთასა და ბუმტისასა და გაუხურვებს ტანსა, დააშვე-
ნებს ფერსა და გაასწორებს შეზავებულობასა კაცისასა და შემატე-
ბასა ზურგისა წყალისა და მონდომებასა საჭამადისა, და გაწმენდს

¹ სწერია „დაკისა“.

² სწერია „მადთულად“.

სტომაქსა, გაიდებს ქარსა და გააქარვებს თოხმასა და უყამოდ თმი-
სა და წვერის თათრად არ გამოშვებასა. და უთქუამთ ძველთა მკურ-
ნალთა, ვითა რადვინ იხმაროს იტრიფილი უფროსი ზამთარსა და
იტრიფილი უმცროსი ზაფხულსა. და ამაზედა აზანოს შევიდოდეს.
სიქანგუბინსა სმიდეს რა მოსწყურდეს, რომე არა მოემატოს სხვა
გუნება გუნებასა ზედა და ურვიელ იქმნას ყოვლისა სალმობისაგან,
გაუგრძელდების მზე სიმთელესა ზედა დარჩების მშვიდობით ვირე
სიკუდილამდე ¹ წამალი ესე არს ა ი ღ ე: ჰალილა ქაბული და შავი
კეკელა მსუქანი და ამლაჯი გურკისაგან გამოწმენდილი, ბალილაჯი
10 გაწმენდილი და ქერქი ამლაჯისა და პილპილი შავი ამათგანი წონა
ოცდაათისა დრამისა, დარიფილფილი წონა დრამისა ოცდახუთისა,
ზანჯაფილი და ბოვზიდანი და ბასბასა და შეითარაჯი ჰინდი და
სვინტრის ძირი რომელ არს აწყუაული, რომელი დაიცსა გასუქებს
და წამალი არის რომელთა სენტა საფირ ჰქვიან, [ა ი ღ ე]: ალარ-
დენი მჟავისა ბროწეულისა და ქუნჯითი გაქუცვნილი ესე ყუელა
დრამისა ორმოც ორმოცისა, ბამანი ². თეთრი და ბამანი წითელი
ესე წონა დრამისა ხუთ ხუთისა, შეკრიბენ ეს წამლები, დანაყე გა-
ცერ და ფურთა ერბოთა შესვარენ ანუ ნუშისა ზეთითა და პერულ
მოხდილითა თაფლითა შეზილეთ და ჭურჭელსა მიგან ჩადევ და
20 როდესაც გინდოდეს იხმარეთ შესმა მისგან წონა დრამისა ორისა
სამსა დრამამდისინ ნელთბილითა წყლითა, სარგებელი არის ამის
ყოვლისათვის რომე გვიხსნებია, [ნებითა] ლ~თისათა.

ნიშანი იტრიფილისა უმცროსისა რომელი ერგების ქარსა ბოვასირსა, შეუღობასა მუცელსა და გაკაზმავს მუცელსა, სტომაქსა და დაშვენებს ფერსა და მოწამე არიან რომელთა გამო-

უცდია პირველთა მამათა ვითარადა სიბერესა გუნებისაგან კაცსა გარე შეაქცევს. ესე იტრიფილი სიჭაბუკისა ბუნებასა ზედა დაადგენს და ერგების დედათა და ყმათა წურილთა, რომელთაგან ფერი მისრულიყოს, შეაქცევს ფერსა ვითარცა პირველ სიმართლესა ყოფი-
30 ლა და დაშვენება ხორცთა ნებითა ღთისათა. ა ი ლ ე: ხაილაგი³.
კუერცხის გული და ბალილაჯი და ამილაჯი ამათგანი სწორი წონა დანაყე და გაცერ და ნუშისა ზეთითა შესვარე და ამათგანისა ერთის წამლისა წონი ქენ ნუშის ზეთი და პერულ მოხდილითა თაფლითა შეზილე და ჭურჭელსა შიგან ჩადევ და როდეს გინდოდეს

¹ ამას მოსდევს უადგილო ფრაზა „შავი კეკელა მსუქანი, ამლაჯი გურკისაგან“ ეს წინადადება ცოტა ქვემოდ თავის ადგილზე ზის.

² სწერია „ჯამანი“.

³ თავზე უწერია არა დედნის ხელით „ზაფრანა არის“.

იხმარე, შესმა მისგან თხილის ოდენი, წყლითა თბილითა, ერგების ღთითა.

ნ ი შ ა ნ ი ი ტ რ ი ფ ი ლ ი ს ა დ ი დ ი ს ა. რომელი ერგების ქარსა ბუასირსა და ტკვილსა კოლინჯისასა, გასახსნელი არის, შენე-
ლებული, და გასწმენდს სტომაქსა და გაიღებს ნესტუთა და ყო-
ველთა ღვიძლისათა და ერგების ტყირპისათა, ესე თუ ზაფხულსა შესვას თუ ზამთარსა პირსა, უწინ და კანის, და გაგრილებასა სტო-
მაქისა და გაღებასა ქარისა წაკიდებულისა და შეენებასა ფერსა და
გაგრილებასა თირკმელთა და ბუშტსა, და შემატებასა ზურგისა
10 წყალსა თუ ღთსა უნდეს. ა ი ლ ე: ხალილაბი შავი ქაბული გურკი-
საგან გამორჩეული და ალილა კუერცხის გული (ყვითელი) ქაბული, გურკისაგან გამორჩეული და ბალილაჯი და ამულაჯი და შეითარაჯი ჰინდი და ნიახურისა, თესლი და ქონდარი ფარსი ამა ყუელასაგან წონა დრამისა ექუს ექუსისა სუმბული ტიბი წონა დრამისა ხუთისა, ვაჯი და ამამაი წონა დრამისა ოთხოთხისა და კილამონი და შავი პილპილი, დარიფილფილი; და ნაღბაშთი თურბუთი, აფთიმონი, აკრიტი და ნავთისა მარილი, ამათგანი წონა დრამისა ექუს ექუსისა და მდოგი თეთრი და ნიშადური წონა თვითოსა. დრამისა და კეკელა წონა დრამისა ოცდაათისა, ესე ყუელა შეკრიბენ, დანაყე, გაცერ და
20 ფურთა ერბოთი შესვარე და ან ნუშის ზეთითა და პერულ მოხ-
დილის თაფლითა შეზილე და ჭურჭელსა ჩადევ. შესმა მისგანი წონა დრამისა ორისა, „ორ მიტყლამდინ თბილითა წყლითა, ერგების ნე-
ბითა ღთისათა ამ სენისა უფალთა.

ნ ი შ ა ნ ი გ უ ა რ ი შ ნ ი ს ა. ¹ არგებს ღვიძლისა ტკვილსა და ფერდსა, მუცელშიგა რომ სატკვიარი იყოს და მენჯშიგა რაც სატკვიარი იყოს და ბუასირსა არგებს და მალვითა რაც სატკვიარი იყოს მას არგებს, და ვარამი რომე სტომაქზედა იყოს, და კაცსა თესლსა მატებს. ა ი ლ ე: ალილა ქაბული, ბალილა, ამულა თვითოსაგან ათი დრამი გურკა გამოღებული, დრამჰინაი გაზრდილი და სუმბული,
30 შაჰთარა, სათრ, ფილფილი, ზანჯაფილი, ალიქირუმი და ნანხუა, თვითოსაგან შვიდი დრამი ეს ჯუმლად დანაყე და ასი დრამი წმინდა თაფლი შიგ გაურივე და დღეშიგან ოროლი მუტყალი აჭამე.

გ უ ა რ ი შ ნ ი ზ ი რ ა. არგებს რომე ტანშიგან დაბნედილი ქა-

რი იყოს და ერთი მეორესა არა გვანდეს და ჭიპსა ზედა რომ ქარი იყოს. და დაგრეხდეს, სრულა მოამშობს და სტომაქსა ძალი მისცეს და თესლი მოუმატოს. ა ი ღ ე: ზირა ქირმანი ოცდაათი დრამი ერთ-

¹ ამის შემდეგ სწერია უადგილო ფრაზა „გურშის“ ძირსა, „ნუში“ სრულიად გარკვეულად გადამწერის ხელით.

88

სა ღამესა და დღესა ძველსა ძმარშიგან ამყოფე და მერმე ამოიღე და ჩრდილში გაახმე, ოცი დრამი ფილფილა და ათი დრამი სადაფისა ფურცელი ეს ჯუმლად დანაყე და ამ წამლებშიგა თვითოს დრამშიგან სამსამი დრამი წმინდა თაფლი გაურივეთ და მერმე ერთპირად კოლოფშიგა ჩაასხით. მეომე ქერში ჩადგით და დღეშიგან სამი დრამი ასვით.

გ უ ა რ ი შ ნ ი ხუზი. არგებს რომე კაცსა ბალღამი სჭარბოდეს და სისხლსა ზედა იყვანდეს მასცა არგებს და სტომაქსა მოამშევს, რომე ავსა აბოყინებდეს მასცა არგებს, და პირთა ავი სული 10 ამოვიდოდეს მასცა არგებს, და სტომაქსა ძალსა მისცემს და თესლსა მოუმატებს და დედაკაცთანა მისულასა ძალსა მისცემს. ა ი ღ ე: სუმბული და ყურფა და აბი ბალასან და ყუსტიბარი, ყაზბუზირირა თვითოსაგან ათი დრამი, ჯავზიბოვა, ყარამფული, აქლილაღმალიქი, ნარმუშკი, შეითარი თვითოსაგან ოთხი დრამი, ზარავანდი, ფილფილი, ბასბასა, სუათ, ზანჯაფილი, ალილას ქერქი და ალილა ყუითლის ქერქი, ალილა ქაბული, ბალილა თვითოსაგან თვითო დრამი და წაიმურთ ნახევარ ლიტრა, ჯუმლად დანაყე და ხელით შეზილე და ამა წამლებშიგან ერთი დრამი, ორსა დრამსა წმინდას თაფლშიგან გაურივე და ამისი შარბათი სასმელად ხუთხუთი დრამი იყოს.

20 გ უ ა რ ი შ ნ ი უ დ ი. არგებს სტომაქისა სატკივარსა და სტომაქსა შიგან სიმსივნე იყოს და პირისაგან რომე ავი სული ამოვიდოდეს და გულსა ძალსა მისცემს და რაცა ტანსა სატკივარი იყოს ყუელა გაწმინდოს და კბილისა ძირი დაამაგროს. ა ი ღ ე: მუშკი და ქაფური ორისაგანვე დანგი და ნახევარი, უდი ჰინდი ოთხი დრამი ყაყულა, ჯავზიბოვა, თაბაშირი. ნარმუშკი, ყურფა, დარიჩინი, ჰალიბუა, სანდალი წითელი და თეთრი, სუმბული, სულუთ თვითოსაგან სამი დრამი, ჯუმლად დანაყე თეთრი შაქარი აადულე ვირემ გასქელდეს მერმე ამ წამლებისაგან ერთი დრამი სამსა დრამსა იმავე ნადულარსა შაქარსა გაურივეთ და მერმე ერთპირად რაც იყოს კოლოფშიგა ჩაასხი ორს თვემდის და მერმე ხუთი დრამი ასვით.

[ნიშანი] გუარიშნისა [. . . .] ¹ არგებს კაცსა რომე სევდა სჭირდეს და მალიხულია სჭირდეს და კაცს რომ ძილი არ ეკიდებოდეს და სტომაქს ზედა შივდებოდეს და კბილი სტკიოდეს და სტომაქი რომ სუსტად იყოს არგებს და გულსა გამოსწმენდს. ა ი ღ ე: სუმბული, ყაყულა, ზაფრანა, აყირყარა, ბანგის თესლი. ხარბაყი თეთრი და თეთრი ფილფილი ეს წამლები ცალკე ცალკე დანაყე და

¹ არა სწერია, არც ადგილია გამოტოვებული. „სუმბულისა“ უნდა იყოს.

ნუმის ზეთით დაზილე და თვითოს დრამშიგა სამი დრამი თავლი გაურივე და კოლოფშიგან ჩასახი და თვითოს დანგსა ასმევდი, არგებს.

ნიშანი გუარიშნისა ვაშლისა. რომელი ერგების სტომაქსა გარყუნილსა, რომელი საჭამადსა ვერ სჭამდეს და, ვის გული ეშლებოდეს და [ვის საჭამადი არა მოსდნობოდეს და მუდამ მჟავდებოდეს, სტომაქსა შიგა ქარი შეექნებოდეს. ესე ერგების ჭყვირილსა მუცლისასა და გაასწორებს შეზავებულობასა კაცისასა და ერგების დედათა უძლებთა რომელთა გული ეშლებოდეს და ვის საჭამადი სტომაქსა შიგა არა დაადგრეს და არა მოსდნეს, ამისგან ჭამოს. საჭამანდსა უწინა და უკანაცა, ზამთრისაცა და ზაფხულისაცა და როდესცა გინდეს, კარგია ნებითა ღთისათა. აიღე: სუმბული და ყარამფული და ჯავზიბოვა და ბასბასა სამსამი დრამი და კილამონი და სოლინჯანი წონა დრამისა ხუთხუთისა და პილპილი შავი და პილპილი თეთრი დარიფილფილი და ზარმაუმი წონი დრამისა ოროლისა და ნახევარისა და იშნა და არანავა წონი თუითო დრამისა და მუშკი, კეკელა წონა დანგისა ერთისა, შეკრიბენ ესე წამალნი დანაყე და გასცრენ და ცალკე ცალკე დასდვა და მერმე ვაშლი ტკვილით ვალვით ასი დაიჭირე და გაწმინდე გურკისაგან დანაყო და გამოსწურო წყალი და თანგირასა ჩასახი იგი ვაშლისა წყალი და ადულე ვირემ თავლისა ზომად შესქელდეს და პერულ მოხდილი თავლითა ჩაურთოთ ამა წამალთა წონი ორი და ადულეთ ვირემ შესქელდეს და მერმე წამალნი თანა ჩაურთენით ერთად შერივენით ქვითა და ჭურჭელსა ჩასდვა და როდეს გინდეს იხმარე კარგია შესუმა მისგან წონი დრამისა ორისა უმცროსი ლა უმფროსი და მასუკანის შესუან ღუინო ან თბილი წყალი ერგების თუ ღთსა უნდეს.

ნიშანი გუარიშნისა შაქრისა. რომელ ერგების ქართა შექმნილ და წაკიდებულსა სტომაქსა შინა და მოანელებს საჭამანდსა და სმასა ზედა თუ ჭამოს სარგებელისა არს და მოადნობს და დათრობად არა შეუძლებს თუ ღთსა უნდეს. აიღე: სუნბული და ყარამფული და კილამონი და ზაფრანი და კაკულა დიდროვანი და ბასბასა ამათგანი წონი დრამისა ოროლისა და პილპილა შავი და დარიფილფილი წონი დრამისა ოროლისა და ნახევრისა და ზანჯაბილი წონი დრამისა ოთხისა და სუქი მუშკისა წონი ნახევარ დრამისა ესე წამალნი დანაყე, დაცერნ და შაქარი თეთოი ხმელი, ბაღდადურითა ლიტრა ორი, თანგირათა ჩასდვა და ვარდისა წყალი ასხა ზედა და გაადნო ცეცხლითა და ეზომად ადულე რომე შესქელდეს და მერმე უკმოიღე ცეცხლთაგან და ესე წამალნი ჩაურთვნე და

90

მოურივე და სინისა ფსკერსა ზედა გააპრტყელე და დააჭრვითა გინდოდეს ლა როდეს სინის ფსკერთა ზედა გაჰფენდეთ ზეთი სცხეთ სინსა და დანასა რომლითა დასჭრიდეთ მასცა სცხე რომ არა მოეკრას და დაესხენ რომე გახმეს და ჭიქისა ჭურჭელსა ჩაკრიფენ და სინოტიოსა აკრძალეთ (და ესე ქენ ვითა ნიშანი მოგვიცემია) და ერგების ნებითა ღთისათა.

ნიშანი გუარიშნისა ამბრითა და მუშკისა. ერგების გულის შეღებასა, შეჭირვებასა და ქარსა შეკრულსა სტომაქსა

ბუნებასა მოანებებს საჭამანდსა ვის ესე გამოუცდია ყუელას უქია
10 თუ ლ~თსა უნდეს. ა ი ლ ე: სადაჯი ჰინდი და კილამონი და ზანჯა-
ბილი და ზურნაბადი ¹. და სუმბული ტიბი და ყარამფული, და ზაფ-
რანა და ჰილი რომელ არს კაკულა წურილი ამათგანი წონა დრა-
მისა ოროლისა და დრონჯი წონა დრამისა სამისა და ამბარი და
მუშვი ესე ოროლისა დანგისა წონა, შეკრიბენ ესე წამალნი, დანაყენ
და გაცერ ორასისა დრამისა შაქარი სულეიმენი თანგირასა ჩასდვა
და ვარდის წყალი რაზომ გუიხმდენ ზედა დავასხათ და გავადნოთ
და შეასქელო და მერმე ესე წამალნი ჩაურთნეთ და შერივნე და ეგ-
რეთვე სინისა ფსკერსა ზედა გაფინე ვითა პირველ ნიშანი მოგვიცე-
მია და ჭურჭელსა ჩასდვა და როდესაც გინდეს იხმარე ვითა ნიშანი
20 მოგვიცემია ნებითა ლ~თისათა.

ნ ი შ ა ნ ი მ ა ჭ უ ნ ი ს ა ს უ რ ი ნ ჯ ა ნ ი ს ა. ერგების ტკვილსა
ნიკრისისასა და ტკვილთა ფერხთასა თუ ლ~თსა უნდეს. ა ი ლ ე:
სურინჯანი რომელ არს ლობანი წონი ექსუსისა დრამისა და პილპი-
ლი შავი წონი ორისა დრამისა. ზანჯაბილი ² წონა ერთისა დრამისა
და ქაბრისა ფურცელი და წყლის ტენცოსა ფურცელი ამათშიგან
წონი სამისა დრამისა და ქამონი ქირმენი წონა დრამისა ორისა,
მეკრიბენ ესე წამალნი და დანაყენ და დაცერნ და პერულ მოხდი-
ლითი თაფლითა შეზილენ, შესუმა ორისა მუტყალისა წონა წყლითა
თბილითა, გამოცდილია ნებითა ლ~თისათა.

30 ნ ი შ ა ნ ი მ ა ჯ უ ნ ი ს ა. ერგების ტკვილსა ყრმათასა ჩვილთა
რომელნი ტიროდეს ნიადაგ და საჩინო მიზეზი არა იყოს და ერგე-
ბის ვის ხსნილობა იყოს შერჩომილი და მაშურალი იყოს კურნებათა
და სხუათა საღმობათა მრავალთა შეწევნითა ლ~თისათა. ა ი ლ ე: ზა-
ფრანი წონი ხუთის დრამისა, და აფიონი და თივა ვაცისა ამათ-
განი წონი ათისა დრამის და სუმბული ტიბი და აყარყარა ³ წონა თუ-

¹ სწერია „ზურნაბადი“.

² სწერია „მანჯაბილისნი“.

³ სწერია „აკარკარა“ აქვე აშეაზე, სწერია „ალატრო თუთუბროას“.

ითო დრამისა შეკრიბენ ესე წამალნი დანაყენ და დაცერნ შაქრითა
და თაფლითა შეზილენ და ჭურჭელსა ჩადევ და როდეს გინდეს იხმა-
რე ვითა ნიშანი მოგუიციემია ცალკე ცალკე შეასუთ ამისაგან ყრმასა
მცირესა, რომე დღე და ღამე ტიროდეს სამის მარცულის წონა თავის
დედის რძითა ასე და დაუყუდებს ტკვილსა და დაუდუმებს მტი-
რალსა მარტვილსა. და ვის ხსნილობა იყოს და შერჩომოდეს წონი-
დანგისა წყლითა — გრილთა დაუყუდებს ნებითა ლ~თისათა. და
ექინ იჭიროდეს საცოხნელთა და კბილთა ტკვილისაგან იგლი-
სოს მისგან კბილთა ზედა და დაუყუდებს ნებითა ლ~თისათა. ნ ა-
10 ც ე მ ს ა გ უ ე ლ ი ს ა ს ა და ღრინკალისა ორის დანგისა წონა ზეთითა,
და ვის შესჭირვებოდეს შავსა შეჭირვებული წონი ერთისა დანგისა
ქერის წყლითა. და ვინ იყოს ჭირებად და გამოექცეოდეს საჯდომი,
წონი ნახევარ დრამისა წყლითა გრილითა ან ალატროსა წყალითა.
და ვის თავი სტკიოდეს და შაკივი იყოს, შეზილო ამას წყლისაგან
ძმრითა და საფეთქელთა დაზდვა ლდიმედისა მზგავსად დაუყუდებს
ტკვილსა. და არს ესე წამალი მცირედ მომაგინებელი და დიდად

მარგებელი ნებიტა ღ~თისათა.

ს ტ ა ფ ი ლ ო ს ა მ ა ჯ უ ნ ი ს ა ხასიათი არგებს სტომაქისა ტკი-
ვილსა, რომე სიგრილისაგან იყოს და ბოყინსა დააწყნარებს. საჭა-
20 მადი რომე ვერ მოექარვოს მას მოაქარვებს, მუცელშიგან ქარი რომე
იყოს მას უშუელის. ბუმტუკსა რომე სიგრილე მორეოდეს მას გა-
ახურვებს. თირკმელთა რომე სიგრილე მორეოდეს მას გაამხურვა-
ლებს და მამაცობასა მოუმატებს და ნამეტნავად ძალსა მისცემს. და
ბალღამისაგან რომე პირსა წყალი სდიოდეს და მოადგებოდეს მას
უშუელის და ფსელი რომე უნდომად მისდიოდეს მას უშუელის. წ ა მ-
ლ ე ბ ი მ ი ს ი: თუ თაფლი ერთი ლიტრა იყოს ერთი ლიტრა სტა-
ფილო] დაფხიკოს და შიგ ჩაყაროს და ნახევარ ჩარექი ნიშასტაგი
გაურიონ და თუ ნიშასტაგი არ იშოებოდეს ისდონი ერთი ფურცე-
ლი გაურიონ და აადუღონ სადამდი შესქელდებოდეს შერმე მისი წამ-
30 ლები ყარანფული და დარიჩინი, ბასბასა თვითოსაგან ხუთხუთი
დრამი, ინდოურის ნიგუზის გული ერთი უკია, ჯავზი სამი მიტყალი,
ზანჯაფილი სამი მიტყალი, დარიფილფილი ორი მიტყალი, შავი
პილპილი ორი მიტყალი, სტაფილოს თესლი ათი მიტყალი, ყულა
დანაყე და გაცერ როგორაცა მაჯუნი შეიქნას უკმოდგი და გააცივე
და ეს წამლები შიგ გაურიონ და დაზილე რომე გასწორდეს, მის-
განი შექმა ყოველთა დღეთა თვითოს ნიგუზის ოდენ ოდენი შექამე
უზმოსა. მერმე თუ გინდოდეს ეს მაჯუნი გასახსნელად შექნა, აილე
სამი მიტყალი შამიანდალი და ასოცი მარცვალი აქლილმალუქი და

92

სამი მარცვალი აბუსალატი, აქლილმალუქსა გარე ქერქი შეხადე და-
აბუსალატსა გარე ქერქიცა შეამრევ და გააპე და შიგნით, ქერქივი-
თა თხელი გული უც ისიც გამოართვი, თვარა კაცს მოჰკლავს, და-
ნაყე ეს წამლები და ასოცდათი მიტყალი მაჯუნი რომ იყოს მას
გაურივე. მ ი ს ი ხ ა ს ი ა თ ი: ბალღამს გამოიღებს, თვალის ტკივილს
უშველის გუნებაზედ რომ უნდომად იყოს. და მძიმედ მას უშველის
და საჭმელსა მოანდომებს, და ზურგის ტკივილი რომე ბალღამისაგან
იყოს მას და ბალღამსა გამოსწმენდს და თემოს ტკივილისათვის კარ-
გია რომ ტკივილი კოჯამდი ჩავიდოდეს და თავში გაჭედით იყოს
10 მას უშველოს და თვალთა გამოსწმენდს და ჩხვერა რომე ქარისაგან
ან ბალღამისაგან სჭირდეს მას უშველის.

სხვა გასახსნელი წამალი ესე ხიარ შამბრისა ხასიათი, კოლინ-
ჯსა გახსნის ტყირპის ქარს გაიღებს და კაცი რომე გუნება გრილად
იყოს მას გუნება მხურვლად ამყოფებს და რბილად ამყოფებს სევ-
დასა და ბალღამს გაიღებს, წამლები მისი: აილე თურბუთი ექუსი
მიტყალი, ია სამი მიტყალი, ადჭი მარილი ძირტკბილა თვითოსაგან
თვითო მიტყალი. კამის თესლი, ანისონი, მასტაქი თვითოსაგან ორი
მიტყალი: ხიარშამბარის გული, დაალბოს თბილის წყლითა და გას-
წურო, საყმუნია ორი მიტყალი და სხვა წამლები და საყმუნია ყუე-
20 ლაი დანაყონ წმინდად და გაცრან და ხიარშამბარის წყალში გაუ-
რიონ, და თაფლი ნახევარ ლიტრა მოადუღეთ და პერული მოჰხა-
დეთ და ეს წამლები შიგ გაურივეთ და ოთხსა მიტყალსა და ნახე-
ვარსა შეაჭმევდით: უზმოსა და ერგების.

კ ა რ ი მ ა ჯ უ ნ ე ბ ი ს ა თ ა რ გ მ ა ნ თ ა და ი ა რ ა ჯ თ ა.

ჯერარს რომე დანაყეთ წამალნი მათნი, ხმელნი, ყოველნი ცალკე ცალკე და გაცერ შართა ან საცრითა მტკიცითა, შარის მსგავსითა და წამალნი რომელნი არიან გაურივენ გომიზთანი ვითა მური და სა ქბინაჯი, ჯავშირი, ვაშაყი და გუნდრუკი და აფიონი გამოწურვილი ყოველნი ვითა ლაფითის გამოწურვილი ან აფსინდისა და სხვანი 30 მსგავსნი მისნი ჯერარს რათა აიხუნენ წამალთა წინას, დანაყე მოხომე-ლილად და ჭიქისა ჭურჭელსა ანუ ქუზასა და დაასხა ზედა ღვინო ძველი ასრე რომე ზედა მოადგეს, მერმე დანაყენით წამალნი და როდეს შეზელის ჟამსა იყოს, იგი ღვინითა დამბალნი წამალნი თაფლ-შიგა ჩაასხენ რომელი ჯერ იყუნენ გასადგენელად და დასალბო-ბელად. შემდგომად პერულისა მოხდისა და ცეცხლთაგან უკმოღებისა და მოურივეთ რომე ერთად შეერივნენ, მერმე შერივენ სხვანი წა-მალნი თაფლითა და ზაფრანი და მუშკი და მზგავსი ამათი ჩაურთენ

თაფლსა, წამალთა ყოველთა ჩართვისასა უკანის, შემდგომად წყლი-თა განდგენისა.

თ ა რ გ მ ა ნ ი გ უ ა რ ი შ ნ თ ა შ ე ქ ნ ა ასრე: ჯერ არს რა-თა დანაყენთ ესე წამალნი და გაცერ საცრითა უფრო ფართოთა, მაჯუნთა საცრისაგან და იყოს თაფლი მათი ვითა წამალთა წონა, სამი ნაწილი და უფროსიცა ¹.

კგ. კარი შარბათებისა. შარაბი ბანავშა, იასა ჰქვიან. შარაბი იისა არგებს რომე ვარამი ღვიძლსა შიგა იყოს, მას გაიღებს, და აცხელებდეს და ახველებდეს და აქშივნებდეს ყველას უშველის. გუ-10 ლის პირი სტკიოდეს მასცა უშველის და ღვიძლსა სატკივრისაგან გამოიყვანს და მუცელსა შეუღობს. წ ა მ ლ ე ბ ი მ ი ს ი: აიღე ნე-დლია ნახევარ ლიტრა. ბიის გული ათი დრამი, ქითირა ოცი დრამი, ხათმის თესლი ათი დრამი, სამყი არაბი ათი დრამი ეს ყუელა წამ-ლები ნახევარზედა დანაყე და სამსა ლიტრასა წყალშიგა დაალბე და ერთსა დღე და ღამესა, და მერმე მოადუღეთ ასრე რომე ნახევრად მოიყაროს და შეწურე და წამლები შეტყელიჟოს და გაყარე. მაშინ ნახევარ ლიტრა შაქარი გაურიეთ და ადუღეთ წყნარად შესქელე-ბამდის, მისგან შესმა თხუთმეტი დრამი ქერის წყლითა.

ს ხ ვ ა ი ი ს წამალი უწამლოთ შესაქმნელი. იმავე შარბათისა 20 ხასიათი ამას შარბათსა აქუს, როგორც იმას აქუს. აიღე ერთი ლი-ტრა, ია დარჩეული მისის ღერისაგან და ჩასდვა ჭურჭელსა და და-ასხა წყალი მდუღარი რაზომმანცა დაჰფაროს და დაბუროს სარქვე-ლი და იყოს დღესა და ღამესა უძრავად და მერმე აიღო ხუთი ლი-ტრა ბაღდადურითა, თუ გინდოდეს ათი, რაზომიცა უმცრო იყოს, შაქარი ეგდენიცა უძლიერე იყოს თეთრი შაქარი ვითა ნიშანი მო-გვიცემია და ჩაზდვა თანგირათა წმიდათა და ან ქოთანსა ქვისასა და ჩაასხა იგი წყალი რომელსა შიგან იყოს ამა შაქარსა ზედა და შეუ-გზნა ქვეშე ცეცხლი და პერული მოხადეთ ვირე შესქელდებოდეს და შეიქნას ვითა გინდეს და მერმე ჭიქისა ჭურჭელითა ჩაასხით და 30 იხმარე ჟამსა ხმარებისასა და იქმოდეს ბრძენნი და პირველნი მკურ-ნალნი შაქრისა ადგილსა თაფლსა და წყლისა ადგილსა ღვინოსა თეთრსა და მზესა დასდგმიდეს, ნიშანი პირველი უსრულე არის და უმჯობესი თუ ლ~თსა უნდეს,

ვარდის შარაბისა ხასიათი. არგებს სიმხურვალესა ღვიძლისასა და სტომაქისასა და თავისა ტკივილი რომე ზაფრისა და სისხლისაგან იყოს ორსავე უშველოს და არგოს ცხროთა და დამ-

¹ აქ ზის წინადადება „ამა შარბათსა ოთხსა წელიწადსა უკანით ხასიათი არარა აქუს.

94

წვართა და სტომაქსა მოუსუარებულსა ნებითა ღთისათა. აიღე ვარდი წითელი გამორჩეული მისის გურკისაგან და თესლისაგან ოთხი ლიტრა და ახალსა ქოთანსა ჩასდვა და დაასხა ზედა მდულარე წყალი რაზომან დაფაროს, დაბუროს ზედა [სარკველი] და იყოს დღესა და ღამესა მერმე წასწურო მის ვარდისაგან და აიღო შაქარი თეთრი ხუთი ლიტრა და ან ათი და თანგირათა ჩასდვა და ზედა იგი წყალი ჩაასხი რომელი ვარდისაგან წაგეწუროს და შეუგზენით ქვეშე ცეცხლი წყნარად და მოხდილი პერულსა და შესქელდეს და ჭურჭელსა ჩაასხა და იხმაროს, საოგებლისა არს თუ ღთსა 10 უნდეს.

სხვა ვარდისა შარაბისა ხასიათი გასახსნელისა, და ერგების ვის სტომაქსა შიგან კვერცხისა გული ნაღველი შეჰყრებოდეს დავის გონიყოს რომელ არის იარაყანი ნებისა ღთისათა. აიღე ვარდი ოთხი ლიტრა და დაასხი ზედა მდულარი წყალი ვითა ნიშანი მოგვიცემია ოცი ლიტრა და იყოს დღესა და ღამესა, მერმე წასწურო იგი წყალი და აადულო და სხვასა ვარდსა ზედა დაასხას ოთხსა ლიტრასა და დაეხსენ დღესა და ღამესა და მერმე წასწურე წყალი მის ვარდისაგან და კულა გააცხელო და სხვასა ვარდსა ზედა უკუაქცივე და მერმე, წასწურო და აიღე ექუსი ლიტრა შაქარი ან ათი და და- 20 ასხი ესე წყალი ზედა და აგზო ცეცხლთა, და იყოს ცეცხლთა ზედა ვირე დაწმდეს და მერმე დასწურო და ჭურჭელსა ჩაასხა და ეს არის ვარდის წყალი სასმელი უკუმქეველი, გასახსნელი ესრე იცოდით. და ახლად იქმოდეს პირველი მკურნალნი შაქრისა ადგილსა თაფლითა და ესე გვარი იქნების ქვეყანასა გრილსა და ნოტიოსა და ერგების გვამთა ნოტიოთა თუ ღთსა უნდეს.

შარაბი [ვარდისა] იმათი ხასიათი ეს არის, ზაფრისაგან რომე არწყევდეს მას უშველოს, სტომაქსა ძალსა მისცემს, გულსა ძალსა მისცემს, ზაფრასა დააწყნარებს და სისხლსა დააწყნარებს. და თავსა დომ ბრუ ესხმოდეს მას უშველოს და გულისა სისუსტესა უშველოს. 30 აიღე ნედლი [ვარდი] მათი ფურცელი და წურილად დაჭერ და ნახევარზედა დანაყე და რასთონიცა იყოს, მათი ორი ზომა წყალი დაასხი და აადულე რომე ნახევრად მოიყაროს, მერმე გამოწურე და მისი წონა შაქარი გაურივე, ადულე და პერული მოხადე, სადამდის თხელი თაფლივითა შესქელდეს, მისგან შესმა უზმომან ცივითა წყლითა მიტყალი ერთი.

შარბათი ლელოფარი, ხასიათი მისი, რომე კაცსა თავი სიცხისაგან სტკიოდეს უშველის, ღთითა და ღვინო ნაწყენს კაცს უშველის და ხველისათვის კარგია და შიგნით რომ მჯდომი აჯდეს

მას არგებს, და რაც სტომაქსა შიგან მანკი არის ყუელასა გამოი-
ღებს, ზაფრისა ხურვებისათვისცა კარგია და ფირტვისა ტკივილსა
არგებს და წყურვილსა დააწყნარებს. ა ი ლ ე: ლელუფრისა ფურცე-
ლი და შუაშიგა ყვითელი გული არის იგი არ ვარგა, ასი მიტყალი
ოთხასითა მიტყლითა წყლითა აადულოს, სადამდის ნახევრად მოიყ-
რებოდეს და მერმე უკმოდგა და დასწურო და იმა წვენსა, წინათი
შაქარი გაურივეთ და აადუღეთ ვირემ ასრე შესქელდებოდეს ვითა
თხელი თაფლი და მერმე ან ქაშანურსა შიგა ან ცვილისა კოლოფშიგა
ჩადევ, მისი შესმა უზმამა [ცივითა წყლითა. თუ მარტოსა ლელოფარსა
10 შესმიდე შუიდი მუტყალი და ანუ სხვასა შარბათსაგ აურეგდე ორი
მუტყალი ლელოფარი ქენ, ხუთი მუტყალი სხუა შარბათი ქენ ლე-
ლოფრისა ხასიათი ესე არის რომე რაიც ტკბილი შარბათი არის
ყუელა ზაფრათ შეიქმნების და ლელოფარი ზაფრასა არ გაუშვებს და
არცა ზაფრად შეიქნების ესე ლელოფარი.

შ ა რ ბ ა თ ი ი ს რ ი მ ი ს ა ს ა ს მ ე ლ ი ს ა, ხასიათი მისი. ერგე-
ბის თხევასა დიდსა ვის არა დაადგებოდეს საჭამადი სტომაქსა ში-
გან და არცა სასუამადი, და ვის ხსნილობა იყოს დიდი, კუერცხის
გულისა ნაღულისა გზითა და გარდასწყუეტს წყურვილსა ფიცხელსა
ნებითა ღ~თისათა. ა ი ლ ე: ისრიმი და გამოწურე და დაეხსენ ვირემ
20 დაწმდეს კარგად, უნდა აილო მისგან ათი ლიტრა და ქვისა ქოთანსა
ჩაასხა ან თიხისასა და ჩაურთე თანა ეოთი ლიტრა შაქარი თეთრი
და ჩაურთე მცირედი ტაბაშირი და ყარამფულიდა ზაფრანი, შეკარ
თხელითა მჭურითა და აგბო ცეცხლითა და მოხადე პერული ჟამითი
ჟამამდე ვირემ შესქელდეს და შეიქნას ვითა ჯულაბი და ჭურჭელში
ჩაასხი და იხმარე ნებითა ღუთისათა რომელ გუიხსენბია, სარგებელი
კაცისა არის თუ ღ~თსა უნდეს:

შ ა რ ბ ა თ ი ფ შ ა ტ ი ს ა. ხასიათი მისი ერგების სიმსურვალესა
ღუიძლისასა და ცხროსა რომელი შეემთხვევის სისხისაგან და თავ-
ქედიანთა და ვის გამოაჩნდეს ტანსა ვარდი და ბუგრი, ვის შეექნას
30 პირსა სიწითლე და გაუფიცხდეს წყურვილი და ესე სასმელი დააყუ-
დებს სისხლსა შეწვევითა ღ~თისათა. ა ი ლ ე: ფშატი ხუთი ლიტრა,
და დასხა ზედა წყალი ოთხი ლიტრა და იყოს დღესა და ღამესა და
მერმე აგბო ვირემ ნახევარი დარჩეს და ან მესამედი, ჭურჭელსა ჩა-
ასხი რომე დაწმდეს და მერე აიღე შაქარი თეთრი ხუთი ლიტრა და
თანგირათა ჩადევ ან ქვისა ქოთანსა და დასხი ესე ფშატისა წყალი
დაწმენდილი და შეუგზენ ქუეშე ცეცხლი და პერული მოხადეთ ვი-
რემ შესქელდეს და შეიქნას ვითა ჯულაბი და სიქანგუბინი და ჭურ-

ჭელსა ჩაასხი და როდეს გინდოდეს იხმარე ვითა სიქანგუბინი და
ჯულაბი სარგებლისა არს შეწვევითა ღ~თისათა.

შ ა რ ბ ა თ ი ბ რ ო წ ე უ ლ ი ს ა. ხასიათი მისი, ერგების ცხრო-
თა ფიცხელთა და [თავის] ტკივილთა ფიცხელსა შემთხვეულსა კუერ-
ცხის გულისა ნავლისა და სისხლისაგან და გარდაუწყვეტს წყურ-
ვილსა და დაალობზს მუცელსა თუ ღ~თსა უნდეს: ა ი ლ ე: ბროწეუ-
ლი ტკბილი გაფცქნილი ქერქისაგან და ცმელისაგან და გამოწურე
და მისი წვენი ხუთი ლიტრა და მჟავისა ბროწეულისა წყლითა ორი,
ლიტრა და აილო შაქარი თეთრი ხუთი ლიტრა და ქვისა ქოთანსა

10 ჩასდვა ან თიხისასა ახალსა. და დაასხი ზედა ბროწეულისა წყალი რომე ნიშანი მოგვიცემია და აგბო, და პერილი მოხადო ვირემ შეიქნას ვითა ჯულაბი და უკმოილო ცეცხლთაგან ვირემ გაგრილდეს და ჭურჭელსა ჩაასხა და იხმარო ვითა სხვანი სასმელნი სარგებლისა არის ნებითა ღმრთისათა.

შ ა რ ბ ა თ ი შ რ ო შ ნ ი ს ა. ხასიათი მისი. ერგების შავისა ნაღლისა უფალსა და ვის გულის ძგერა იყოს და ვის სტომაქი შესუსტურებული იყოს და ერგების დედათა უძლებთა რომელთა ემიზნოდეს ყრმისა ვნებისაგან და ვის გულსა შეიღებდეს და დაეცემოდეს და ცნობა წაუვიდოდეს, სარგებლისა არის ნებითა ღმრთისათა.

20 ა ი ლ ე: შროშანი თეთრი თოვლივითა ასი [დრამი] და გამოარჩივე მისისა თესლისაგან და ძირისაგან და გასწმინდო მტურისაგან რომელი ზედა იყოს მჭურითა სვლისათა წმიდასა სამოსელსა ზედა გაფინო დღესა და ღამესა და მერმე აილო ქუმტიბარი დარირისა და ლერწამი, და სადაჯი ჰინდა და ყარანფული ამათგანი წონა ხუთხუთისა დრამისა, და სუმბული ტიბი და მამითა ¹ ამათგან წონი ათათისა დრამისა და ქარვია წონი რვისა დრამისა და მარილი ანდრანი წონი ხუთისა დრამისა და ბალასნისა ზეთი წონიათისა დრამასა, და კუჭუმბრა წონი ოცისა დრამისა დანაყონ წამალნი ხმელნი ხოშრად და გაადგინო კუჭუმბრა ბალასნისა ზეთითა და ჭიქისა ჭურჭელსა შიგა

30 შაფად შექნა შროშანი და დაეხსნა დღესა და ღამესა, რათა გავიდეს წამალთა გემო შროშანთა გემოშიგა და შემდგომად მისა აილო ღუინო ძუელის ძუელი და იყოს ზეგნისა და არ მუშამასი ათი ლიტრა და ჩაურთო შიგა ზაფრანი წონი სამის დრამისა და [მუშვი ხალისი წონჩ ორის დანგისა] და შერივე და ჩასხა მას ჭურჭელსა ზედა რომელსა შიგან იყოს შროშანი დ, პირისა მოჰკრა და მოგოზო თიხითა და ბზითა წურილითა და თმითა შეხელილითა, რომე ქარი არა

¹ სწერია „შამმი“

შეუვიდეს და დადგი ჩრდილსა ადგილსა საშუალსა ჰაერისასა და დასცვა ექუსსა თვესა, შემდეგ იხმარო ვითა ნიშანი მოგვიცემია. შესმა ძალსა ზედა სამისა დრამისა წონი თუ გინდეს ხუთამდენ, სარგებელი არს და გამოცდილი ნებითა ღმრთისათა.

შ ა რ ბ ა თ ი თ უ რ ი ნ ჯ ი ს ა. ხასიათი მისი, ერგების სიუსუსურესა სტომაქისა და გულისა შლასა და გულისა სიუსუსურესა, კარგია და გამოცდილი ნებითა ღმრთისათა. აიღე: თურინჯისა ფურცელი თვალვით ორასი და გასწმინდო მტვერისაგან და წმიდასა ჭურჭელსა ჩასდვა და დაასხა ზედა ღუინოი ძუელი შვიდი ლიტრა და იყოს ექვ-
10 სსა დღესა და მერმე წასწურე მის ფურცლისაგან და გაუახლო სხუა ფურცელი, და ა ი ლ ე: თაფლი ხუთი ლიტრაი და ესე ღუინო ზედა გარდაასხი, რომლითა თურინჯისა ფურცელი დაგეღბოს და აგბო ცეცხლითა წყნარად და პერული მოხადე ვირე შესქელდეს და ჩაურთე შიგა მცირედი ზაფრანი და ჭურჭელსა ჩაასხი და როდის გინდოდეს იხმარე სარგებლისა არის ნებითა ღმრთისათა.

შ ა რ ბ ა თ ი თ უ თ ი ს ა [ტუტისა], ხასიათი მისი. ერგების ტკვილსა ყიისასა და სიმსივნესა მისსა და ხუნაყსა მარჩობელსა, სარგებ-

ლისა არის ნებითა ღმრთისათა. ა ი ლ ე: ტუტა შავი მწიფე და გამოწურე მისგან ათი ლიტრა წყალი და წმინდასა ქოთანსა ჩაასხი და 20 ჩაურთე სამი ლიტრა თაფლი პერულ მოხდილი, და ჩაურთე სამისა დრამისა წონი ნიშადური და ოთხისა დრამისა წონი აყარყარა, შამი და ათისა დრამისა წონი ალატროი და ოთხის დრამისა წონი ტაბაშირი, დანაყენ ესე ყუელანი, და დაცრენ და შერივნე და აგბე ცეცხლითა წყნარად რომე შესქელდეს, [ჭურჭელსა ჩაასხი და როდეს] გინდეს იხმარე აილე მისგან ხუთხუთისა დრამის წონი და ღარღარა ჰყო მითა მრავალჯერ, ყიისა ტკივილისათუის სარგებელი არს და გამოცდილი ნებითა ღმრთისათა.

შ ა რ ბ ა თ ი ნ ი გ უ ზ ი ს ა. ხასიათი მისი ერგების ტკივილსა ყიისასა და ხუნაყსა მარჩობელსა რომელი შეიქნების ყიასა შიგან სი- 30 ნოტისა გზითა. სარგებელისა არს ნებითა ღმრთისათა.

აილე ნიგოზი ნედლი და შექურცნა ქერქი გარეგანი და დანაყო და წყალი მისი გამოწურო და აილე მისგან ხუთი ლიტრა და თაფლი პერულ მოხდილი მისივე ზომა და ჩაურთე თანა ძაღლისა განავალი რომე ნიშანი მოგვიცემია წონი ათისა დრამისა და აყარყარა და ზაფრანა და ნიშადური, ამათგანი წონი ხუთხუთისა დრამისა დანაყილი და დაცრილი და აგბო რომე შეიქნას ვითა თაფლი, ჭურჭელსა ჩაზდვა და როდეს გინდეს იხმარე. ა ი ლ ო: მისგან ხუთის

98

დრამისა წონა და თბილითა წყლითა გაადგინე და ღარღარა ქნას მითა, სარგებლისა არის ესე ნებითა ღმრთისათა.

შ ა რ ბ ა თ ი მ უ რ ტ ი ს ა [და ხასიათი მისი] რომელი ერგების უსუსურსა, სტომაქისასა და ხსნილობასა ძუელსა, ერგების სტომაქსა ყრმათასა, ესე სარგებლისა არის ნებითა ღმრთისათა..

ა ი ლ ე ნედლისა მურტისა თესლი, ან ხმელისა ათი ლიტრა და დასხი ზედა გუნდასა სასმელი ათი ლიტრა ესე იყოს, ერთსა კვირასა და მერმე გამოსწურო წყალი და ჩაურთო ორი ლიტრა შაქარი ან თაფლი პერულ მოხდილი და ცეცხლთა ზედა დადგი და 10 ჩაურთე შიგა ოცისა დრამისა წონა სუდი დანაყილი და აგბო ვირე შესქელდეს და შეიქნას ვითა ყურძნისა რუბი ¹. და ჩასდვა ჭურჭელსა შიგა და როდეს გინდოდეს იხმარე სარგებლისა არს ნებითა ღმრთისათა.

შ ა რ ბ ა თ ი ვ ა შ ლ ი ს ა ს ა დ ა გ ი ს ა. ხასიათი მისი, ერგების მხურვალთა და ვის მუცელსა შიგა, აგზებულობისა მსგავსი იყოს და თხევასა დიდსა დაამებს, სტომაქსა ერგების ჩვილთა რომელთა გარყუნოდეს, სისხა და ხსნილობა იყოს და წყურვილი, სარგებლისა არის ნებითა ღმრთისათა.

აილე ვაშლი მწიფე და ვაშლი ტკბილი, დააპე და გული გა- 20 მოულო და დანაყო ქვისა საცეხველითა, შიგან გამოწურო და დასწმიდო აილო მისი წყალი რაიზომი გინდოდეს და აგბო ქვისა ქოთანშიგან თიხითასა ახლისა, რომე შესქელდეს ვითა ყურძნისა რუბი, და ზოგნი ჩაურთამენ შაქარსა, და ჭიქისა ჭურჭელსა ჩაასხით და როდის გინდეს იხმარე სარგებლისა არს ნებითა ღმრთისათა.

შ ა რ ბ ა თ ი ი მ ა თ ი. ხასიათი მისი. ესე არის კაცი რომე ზაფრისაგან, რომე არწყევდეს მას უშველის, სტომაქსა ძალს მისცემს

და გულსა ძალს მისცემს, ზაფრას დააწყნარებს და სისხლსაც დააწყნარებს და თავსა რომე ბრუ ესხმოდეს მას უშველის და გულის სისუსტესაც უშველის. ა ი ლ ე: ნედლი ი მ ა თ ი ფურცელი და წურილად 30 დასჭერ და ნახევარზედა დანაყე და რასთონიცა იყოს ი მ ა თ ი ორი ზომა წყალი დაასხი და ადულე ასრე რომე ნახევარი დარჩეს და მერე გამოსწურე და მისი წონა შაქარი გაურივე, ადულე პერული მოხადე, სანამდისინ შესქელდეს, მისგან შესმა უხმა ცივისა წყლითა, მუტყალი ერთი.

შ ა რ ბ ა თ ი ბ ი ი ს ა და ხასიათი მისი. ერგების ფოლხუებულოზასა სტომაქისასა და ვინ დრტვინვიდეს სტომაქსა შინა სიმხურ-

¹ აშიაზე სწერია „რუბი-ფაფასავით“.

ვალესა, მამანი და ყრმანი და შეკრავს მუცელსა და დაამებს სტომაქსა, სარგებელისა არის ნებითა ღთისათა. ა ი ლ ე: ბია რაზომიცა გინდოდეს დააპე და გული გამოარჩივე დაჭერ წურილად ქვის საცხველითა დანაყე და გამოწურე და ქვისა ქოთანსა შიგან ჩაასხი, ან თიხისა ახალსა, და აგბო ვირემ შესქელდეს და შეიქნას ვითარ ყურძნისა რუბი და ჭურჭელსა ჩაასხი და როდეს გინდოდეს იხმარე სარგებელისა არის ნებითა ღთისათა და გამოცდილი.

შ ა რ ბ ა თ ი ს ხ ვ ა ბ ი ი ს ა და ხასიათი მისი, ძველითა საზავებელითა, ერგების ყოველსა ტკივილსა სტომაქისასა ძველსა რომელ 10 გათხელეებული იყოს სტომაქი და ხსნილობასა ძველსა, გარდასწყუეტს წყურვილსა, გამოცდილია და კარგი ნებითა ღთისათა, ა ი ლ ე: ბია რასთონიცა გინდოდეს დააპე და გული მისი გამოარჩივე და დანაყე გამოწურე და დაწმინდე და ქვისა ქოთანსა ჩაასხი ან თიხისასა და ჩაურთენ ესე წამალნი ყარამფული და სუმბული და ზაფრანი ამათგანი სწორი ნაწილი დანაყილი, გაცრილი დააგბო ცეცხლითა წყნარად ვირემ შესქელდეს და შეიქნას ვითა თაფლი და როდეს გინდოდეს იხმარე სერგებელისა არის ნებითა ღთისათა.

შ ა რ ბ ა თ ი მ ა შ ა ს ა შემკურელისა. ხასიათი მისი, ერგების სტომაქსა ყრმათასა და მამათასა და ერგების თხევასა ზამთრისა და 20 ზაფხულისასა და გარდასწყუეტს ხსნილობასა ფიცხელსა და ერგების შავსა ნალულისა უფალთა და ვის დაადგრებოდეს საჭამადი და არს ესე საჭმელი დიდი და საჩინო. ა ი ლ ე: ბია მჟავე და ტკბილი დააპე და გული გამოუყარე და ქვისა ქოთანსა ჩაასხენ ესე წამალნი ან თიხისასა ახალსა და ჩაურთენ შიგა ესე წამალნი აიღე: კაკულა დიდროანი და ჰილი რომელ არს კაკულა წურილი და სუმბული ტიბი, ამათგანი სწორ სწორი და ზაფრანა ნახევარ ნაწილისა და კარამფული ორი ნაწილი და მურტის თესლი ნედლი დანაყილი სამი ნაწილი და სუდი ნაწილი და ნახევარი, შეკრიბენ ესე წამალნი, დანაყენ და გაცერ, ამას წყალსა თანა ჩაურთენ და აგბო ცეცხლითა წყნარად 30 ვირემ შესქელდეს. მერმე უკმოიღე ცეცხლითა მერმე წასწურე, მუშკი ხალასი რაზომიცა გინდოდეს და ჭურჭელსა ჩაასხი და როდესაც გინდოდეს იხმარე, რაზომიცა დამველდეს ისი სჯობს და ერგების ნებითა ღთისათა.

შ ა რ ბ ა თ ი დ ი ნ ა რ ი. რომელი არს კარგი და სეფის პირის.

ხასიათი მისი რომე თორი და ან ხურვება სჭირდეს მას არგებს, სისხლისაგან რომ ღვიძლი სტკიოდეს მას არგებს და ღვიძლს დაამაგრებს და სტომაქსა რომ სისხისაგან იყოს, მას უშველის. მ ი ს ი წ ა - მ ა ლ ი: ინდაგის თესლი ათი დრამი და კოწახური გინდა ხმელი

100

გინდა ნედლი შვიდი დრამი, თეთრი სანდალი ერთი მიტყალი ლუქი ერთი მიტყალი, ატლასუსის ძირი ქერქ გაფხეკილი ოთხი დრამი, ბაზარქაშუტი სამი დრამი, ვარდი წითელი და თეთრი ფურცელი, თვარა გული არ ვარგა, სამი დრამი ამ წამლებს მწვედ ნუ დანაყ, დაგალე, და მოილე ვარდ კაჭაჭას ფურცელი და ღერი და მას ზედა ლიტრანახევარი წყალი დაასხი და ასთონი ერთად ადულე რომე ნახევარ ლიტრა წყალი წახდეს. და ის წამლები წაჭყლიტოს და გააგდოს, მერმე იმ წყლის წონა შაქარი გაურიეთ და ადულეთ ნელად ვირემ შესქელდეს, მერმე უკმოდგი და დაურივე რომე გასქელდეს და

10 გასწორდეს, მისგან შესმა უზმამან ცივითა წყლითა. თუ დიდსა კაცს შეასმიდე ოცი დრამი, პატარასა ათი დრამი და ყმაწვილს სამი დრამი, ცივითა წყლითა გააყენეთ და შეასვით. თუ კაცი შეკვრით იყოს, იმაში რევანდი დანაყოს და გაცრას და გაყენებულსა შარბათსა შიგა გაურიონ და დიდსა კაცსა სამი დანგი და ყმაწვილს ერთი დანგი თუ სნებინი იყოს და გინა კარგად მყოფი. ურევანდო სამუდამო არის და რევანდინი შეკრულობისათვის, რომე შიგნით მჯდომი ჯდეს, არა გავარა რომე ასვა, მხურვალსაცა უშველის. ამა შარბათსა ოთხსა წელიწადსა უკანით ბასიათი არა აქუს. ესე შარბათი გრილი არის.

20 თ ე თ რ ი ს ს ა ნ დ ლ ი ს შ ა რ ბ ა თ ი ს ხასიათი. გულსა ძალსა მისცემს და გულის ძგერისათვის კარგია. ღვიძლი რომე ფიცხლად იყოს მისთვის კარგია.

მ ო ი ღ ე: სამოცი დრამი სანდალი და და ქლიბოს და დაფხიკოს და დაალბოს ძრმითა და წყლითა ასრე რომე ერთი [წილი] ძმარი იყოს და ორი წილი წყალი, სანდალი ჩახუშიგა ჩაყარე და აგრე დაალბე ერთსა დღესა, ძმარი ერთი ლიტრა უნდა და წყალი ორი ლიტრა. მერმე ადულე რომე ნახევრად მოიყაროს, მერმე ისი სანდალი დატყლიყე და ამოილე, მერმე რაზომიცა წყალი იყოს ეგზომი შაქარი ადულე სადამდეს შესქელდეს, პერულსა მოჰხდიდი და

20 მერმე უკმოდგი დაურივე სადამდის გასწორდეს და მისგან შესმა უზმომან ცივითა წყლითა, დიდსა კაცსა შუიდი მუტყალი და ყმაწვილსა სამი მუტყალი.

ს ხ უ ა ი ს ა ნ დ ლ ი ს ა შ ა რ ა ბ ი. მისი ხასიათი: რაიცა სენი მხურვალი არის ყუელასათუის კარგია, დაფხიკე თეთრი სანდალი სამოცი დრამი და სამსა ლიტრასა წყალსა შიგა ჩაყარე და დაალბე ერთსა დღე ღამესა, სანდალი ჩახუსა ჩაყარე და აგრე დაალბე და მერმე ადულე ასრე რომე ორი წილი დაიდულოს და მესამედი დარჩეს, მერმე სანდალი შეჭყლიტე და ამოილე და მერმე ამა წუნისა

უკმოდგი და დაურივე უკეთ გასწორდების, მისგან შესმა დიდსა კაცსა შუიდი მუტყალი, ცოტასა ხუთი მუტყალი, ყმაწურილსა სამი-მუტყალი უზმამან ცივითა, წყლითა. ყოვლისა მხურვალისა სენისათვის კარგია.

შ ა რ ბ ა თ ი ლ ი მ ო ნ ი ს ა. მისი ხასიათი. ზაფრისათვის კარგია და წყურვილსა დააწყნარებს და სტომაქი რომე სუსტად იყოს მას უშუელის. ა ი ლ ე: ლიმონი და დაწურე, ასრე რომე ათი ლიტრა წვენი იყოს და ასთონიერთი ადულე რომე ნახევრად მოიყაროს, ქა-
10 ფი მოხადე და დაწმიდე და მერმე შაქარი შეუწონეთ და ადულეთ ასე რომე შესქელდეს, მერმე უკმოდგით და ურივეთ რომე გასწორდეს. მისგან შესმა უზმომან ცივითა წყლითა შვიდი მუტყალი და თუ მჯდომი აბია შიგნით არა მოუხდების.

შ ა რ ბ ა თ ი ა ბ ზ ი ნ დ ი ს ა.¹ ხასიათი მისი. კაცი რომე სიარულშიგა, ხორცშიგა და კუჭეჭშიგა და სტომაქშიგა იშლებოდეს მას უშველის და ტყირბსა და ღუიძლსა უშველის. ა ი ლ ე: თაფლის ღუინოი ხუთი ლიტრა და თაფლი ორი ლიტრა. თაფლი ადო-
10 ლე და ქაფი მოხადე და ისი თაფლი და ისი ღუინო ჭიქაშიგან და ქაშანურშიგა ჩაასხი. მოილე ყუსტი და მასტაქი და აბზინდა თუი-
20 თოსაგან ოთხოთხი დრამი] ადხირი და სადაჯი ჰინდი და სუნბული და წითლის ვარდის ფურცელი, საბრი და ყარიყონი თვითოსაგან ოროლი დრამი, ზაფრანი ერთი დრამი, ეს წამლები დასაყე და ქოთნისა ჩახუსა ჩაყარე და თაფლისა ღვინოშიგან ჩაჰკიდე ღრმად და პირსა ქაღალდი მოჰკარ და შვიდსა დღესა მზეს გაუდგი და ღამით ნაბადი დახურე. მისგან შესმა ათი მუტყალი უზმომან და ცოტა ნელთბილი წყალი დაასხი და აგრე შეასვი რაც კაცი ხორცშიგან დამალით იყოს მისთვის კარგია შიგნით და გარეთ, ხველისათვის კარგია.

თ ა ფ ლ ი ს ა ს ა ს მ ე ლ ი ს ა, შ ე ქ ნ ი ლ ი ს ა ს ა ზ ა ვ ე ბ ლ ი-
30 ს ა თ ა. ხასიათი მისი. ერგების ნოტიოთა და ვინ ჭრტინვიდეს სინოტიოსა სტომაქსა შიგა და იხმარებს. ესე ხოლო სიმხურვალისა სარგებელისა არის ნებითა ღ~თისათა. ა ი ლ ე: თაფლი პერულ მოხდილი ხუთი ლიტრა, თანგირათა ჩადევ და მისივე ზომი ვარდის წყალი ჩაურივენ. წყალი წმინდა, თუ ვარდის წყალი არ იყოს, და ეს საზავებელნი ჩაურთნე ზანჯაბილი და კაკულა და არნავკია და კილამონი და ზაფრანი ამათგანი წონა ორის დრამისა და ჯავზი

¹ სწერია. „აფსანთინისა“.

ბოვა და ბასბასა ამათგანი წონა თვითოს დრამისა დანაყენ და გაცერ და თხელსა მჩვარსა გამოჰკარ თანგირათა ჩააგდო და დააგბო ცეცხლითა წყნარად ვირე შესქელდეს ვითა ჯულაბი და დაეხსენ რომე გაგრილდეს და ჭურჭელსა ჩაასხი და როდეს იხმარო კარგია ნებითა ღ~თისათა.

ნ ი შ ა ნ ი ხ ა ნ დ ი კ ო ნ ი ს ა, რომელ არს თაფლუჭი. ერგების სტომაქთა გრილთა და ვის სტომაქი გაგრილებული იყოს და განოტიოებული აყოს და ვის დაუმჯავდებოდეს საჭამადი სტომაქსა შინა, დაშვნდების. ვინ იხმაროს აბანოსა შესულისასა უკანის, გაათბობს

- 10 ტანსა და გაახურვებს და იხმარებს პურისა უკანით ვითა ღვინო თუ ღოსა უნდეს. ა ი ღ ე: ღვინო, ძველი კარგი ათი ლიტრა და თაფლი წმინდა პერულ მოხდილი ხუთი ლიტრა და წყალი წმინდა ხუთი ლიტრა, კილამონი და სუმბული, ყარანფული და ზანჯაბილი და ზაფრანი, კაკულა, დარაფილფილი, წონისა ამის დრამისა და ჯავზი-ბავა და ბასბასა ამათგანი წონა თვითოს დრამისა, დანაყე ეს წამ-ლები გაცერ და ღვინოსა და წყალსა და თაფლსა თანა ჩაურთენ და ქვისა ქოთანსა ჩაასხით და ცეცხლსა ზედა დადგი, დააგზე ვირემ წავიდეს ორი ნაწილი უფრო და წასწურე და ჭიქისა ჭურჭელსა ჩასხი და თუ მზესა დადგმა სჯობს, და იხმარო პურისა უწინ და
- 20 უკანის და ვითაცა გინდეს კარგია და სარგებლისა თუ ღმერთსა უნდეს.

შ ა რ ბ ა თ ი ს ხ ა ლ ი ს ა. ხასიათი მისი. ერგების რომე ზაფრი-საგან გული ეშლებოდეს მას უშველის და სტომაქსა რომე ურევდეს მას უშველის და წყურვილსა გარდაუგდებს. ი მ ი ს შ ე ქ მ ნ ა; სხლი-სა და ვაშლის წვენი და ბროწეულის წვენი და გაგაკისა, ისრიმისა წვენი და წითლისა ლიკვისა წვენი, ყუელა სწორ სწორი ქენ. ა ი ღ ე თუთუბო და მოადულე ამა ყუელასა წვენისა ნახევრისა ოდენი გაუ-რივე ბროწეულისა წვენისა ოდენი კოწახურისა წვენი გაურივეთ და დღე ღამესა ადულეთ ნელად და ქაფი მოხადე, სადამდის შესქელ-დებოდეს მერმე უკმოდგი და აურივე რომე გასწორდეს. მისგან შეს-მა უზომიან ცივითა წყლითა, დიდსა კაცსა შვიდი მიტყალი და ცო-ტასა ხუთი მიტყალი. თიხისა ქვაბსა შიგან უნდა შექნა, სპილენძი გაამწარებს, ამა შარბათსა ოთხსა წელიწადსა უკანით ხასიათი არა აქუს.

10 [ნ ი შ ა ნ ი ყ უ რ ძ ნ ი ს რ უ ბ ი ს ა, შესაქმარისა მაჯუნთა. ყიისა ტკივილისათვის თუ ღმერთსა უნდეს, კარგია. ა ი ღ ე: ყურძნისა გამო-წურვილი ტკბილი რაზომი გინდეს და ქოთანსა ჩაასხი თიხისა ახალსა და ჩაურივეთ სუმბული და კარამფული და ზანჯაფილი და კილამონი,

ზაფრანი ამათგანი სწორი ნაწილი დანაყილი, გაცრილი.. დააგზო ვი-რემ შესქელდეს ვითა თაფლი და ჭურჭელსა ჩაასხი და იხმარე მაჯუნთა შიგ არომელი გვიხსენებია და აილო მისგან და შეურთო წამალნი რო. მელნი ერგებიან ყიასა და ღარღარა ყოს მითა და ამითა სადამდი-სიცა იღარღარებდეს და ერგების ტკივილსა ყიისასა. და იხმარების მრთელთათვის თაფლწყალისა ადგილსა. და შეისმის მისგან ღ ი ბ თ ა ცხროთათვის და თელგმისა უფალთა როდეს შეიქნას წყურვილი კარგია და სარგებელია ყოველთათვის რომელ ნიშანი მოგვიცემია ნებითა და შეწევნითა ღოსათა.

- 10 შ ა რ ბ ა თ ი პ ი ტ ნ ი ს ა. ხასიათი მისი, სტომაქსა ძალს მისცემს. გულის რევასა დააწყნარებს და რწყევას დააწყებინებს, ორსავე არგებს, გრილი არის და სნებიანსა ესმების. ა ი ღ ე: ბროწეული ტკბილი და მჟავე დამარცულე და დანაყე შემისა ავანგშიგა და გამოწურე, და-დგი ერთსა ღამესა რომე დაწმინდეს და მერმე პიტნა მოადულე ბროწე-ულისა წვენისა ნახევარიქენ და ში გაურივე, მოადულე და დადგიდა მე-რმე პიტნისა წვენისა ოდენი შაქარი გაურივე და და აადულე ნელად სადამდის შესქელდებოდეს, პერული მოხადე, უკმოდგი და აურივე

რომე გასწორდეს. მისგან შესმა უზმამან ცივის წყლითა შვიდი მიტყალი დიდსა კაცსა, პატარასა ხუთი მიტყალი, ყმაწვილსა სამი.

20 ამა შარბათსა წელიწადსა უკანრო ხასიათი არა აქუს, ამას ჯ ა ლ ი ნ ო ზ იტყვის.

შ ა რ ბ ა თ ი უ ნ ა ბ ი ს ა. ხასიათი მისი ერგების ფირუტსა ტკივილსა და ხველასა არგებს და სისხლი რომ სჭარბობდეს მას არგებს, გუერდისა ტკივილსა უშველის. ა ი ლ ე უნაბი სამოცი მიტყალი გურკა გამოღებული. ჩამიჩი გურკა გამოღებული წითელი ოცდა თხუთმეტი მიტყალი, იისა ძირი ნახევარზედ დანაყე თხუთმეტი მიტყალი, ოცი მიტყალი ხიარ შამზარი, ყულა სამსა ლიტრასა წყალშიგან მოადულე, ასრე რომე ნახევრად მოიყაროს, იმა წვენისა წონა შაქარი გოურივეთ და ადულეთ სადამდისინ გასქელდეს და მერმე უკმოდგიოთ და აურივეთ რომე გასწორდეს, მისგან შესმა უზმამან ცივის წყლითა. დიდსა კაცსა შვიდი მიტყალი, ცოტასა ხუთი მიტყალი და ყმაწვილსა სამი მიტყალი. ამა შარბათს ხუთსა წელიწადსა უკან ხასიათი არა აქუს.

შ ა რ ბ ა თ ი ს ხ ვ ა პ ი ტ ნ ი ს ა. ხასიათი მისი. სტომაქსა ძალასა მისცემს და რწყევა და ყვანა რომ იყოს ორსავე არგებს. სტომაქს გაუხურვებს საჭამანდსა მოაქარვებს და მჟავე ბოყინი რომ იყოს მასაც უშველის. ა ი ლ ე: ათის ბროწეულისა წვენი ტკბილისა და ათისა მჟავისა ბროწეულის წვენი ასრე დაწურე რომე, შიგნით აფსკა

104

არის იგიცა თან გამოჰყვეს, დაწურე, მოილე ნახევარ ლიტრის ნახევარი პიტნა და ერთი ლიტრა წყალი, ზედ დაასხი, ადულე, ასრე რომე ნახევრად მოიყაროს მას უკანით ბროწეულის წყალი გაურივეთ, ამ წვენის პირდაპირი შაქარი გაურივე და ადულე, ასრე რომე შესქელთეს, ქაფი მოხადე, მერმე უკმოდგი და აურივე რომ გასწორდეს, თუ ბროწეული არა გქონდეს მისოდენი ალარდენისა წვენი გაურივეთ. მისგან შესმა უზმამან ცივის წყლითა დიდსა კაცსა შვიდი მიტყალი, ცოტასა ხუთი მიტყალი, ყმაწვილსა სამი მიტყალი. ამ შარბათსა ოთხსა წელიწადსა უკანის ხასიათი არ აქუს.

10 ს ხ ვ ა უ ნ ა ბ ი ს ა შ ა რ ბ ა თ ი ს ა ხ ა ს ი ა თ ი. არგებს ხველასა და ტყირპისა ტკივილსა და სევდასა და სისხლსა დააწყნარებს. აილე უნაბი გულგამორთმეული ასი დრამი, ჩამიჩი გურკა გამოღებული ორმოცდათი დრამი, იის ძირი ნახევარზედ დანაყილი ოცი დრამი, ხიარ შამზარისა გული ორმოცი დრამი, ამა წამლებსა ზედა სამი ლიტრა წყალი დაასხი და ადულე ვირემ ნახევრად მოიყაროს მერმე დაჰყლიტე და გამოწურე და ამა წვენისა პირის პირი შაქარი გაურივე და ადულე ვირემ შესქელდეს და პერულ მოხდილი რაჟამს გინდოდეს მიეც და შეასვით შვიდი მიტყალი, ცოტასა ხუთი მიტყალი და ყმაწვილსა სამი მიტყალი ამა შარბათსა ოთხსა წელიწადსა უკანის ხასიათი არა აქუუს.

ს ხ ვ ა უ ნ ა ბ ი ს ა შ ა რ ბ ა თ ი ს ა ხ ა ს ი ა თ ი: არგებს ტყირპისა ტკივილსა და ტყირპზედ რომ მჯდომი აჯდეს მასვე დღესა და ხველასაც არგებს. ა ი ლ ე უნაბი გულ გამოღებული ოცდა ცამეტი მიტყალი და ჩამიჩი გურკა გამოღებული ჩვიდმეტი მიტყალი, იის ძირი ექუსი მიტყალი და ნახევარზედ დანაყილი, ცამეტი მიტყალი

ხიარი შამბარის გული გაურივეთ ეს ყუელა ერთმანერთის წონა და ლიტრა ნახევარი წყალი ზედ დაასხი და ასთონიერთი ადულე რომე ნახევარზედ მოიყაროს, მერმე დაჭყლიტე და გამოწურე და ამა გამოწურვილსა წვენშიგან ნახევარ ლიტრა შაქარი გაურივე და ადულე 30 წყნარად, სადამდი შესქელდებოდეს და პერული მოხადე, მისგან შესმა ცივის წყლითა, დიდსა კაცსა შვიდი მიტყალი, ცოტასა ხუთი, ყმაწვილსა სამი მიტყალი. ნახევარ ლიტრა შაქარი ას ოცი მიტყალია.

ს უ მ ბ უ ლ ი ს ა შ ა რ ბ ა თ ი ს ა ხ ა ს ი ა თ ი. ძარღვებსა ძალს მისცემს, სტომაქისა ტკივილსა არგებს და ღვიძლისა და ტყირპისა ტკივილს არგებს და მისსა ქარსა არგებს და ძველი ცხრო ვისცა სჭირდეს მასაც არგებს. ა ი ღ ე: სუმბული ხუთი მიტყალი და ერთი ლიტრა წყალი ზედ დაასხი და ადულე ასრე რომე ნახევარად მოიყაროს, მერმე გამოჭყლიტე და გამოწურე და წვენის წონა შაქარი გაურივე და

105

ადულე წყნარად და როსცა შესქელდეს, და ქაფი მოხადე, მერმე უკმოდგი და დაურივე რომე გასწორდეს. მისგან შესმა უზმამან ცივითა წყლითა, დიდსა კაცსა შვიდი: მიტყალი, ცოტასა ხუთი მიტყალი, ყმაწვილსა სამი მიტყალი.

მ უ შ კ ი ს შ ა რ ბ ა თ ი ს ა ხ ა ს ი ა თ ი. არგებს სტომაქისა ტკივილსა და რაცა სტკიოდეს გარდა სახსარი და ძარღვებისა ტკივებს. ა ი ღ ე: ერთი ლიტრა შაქარი და ორი ლიტრა წყალი და რაჟამცა მოსქელდეს უკმოდგი, ერთი დანგი მუშვი და ერთი დანგი 10 და ნახევარი ამბარი და ორი დანგი ზაფრანი და ერთი დანგი უდი ყუელა დანაყე წმინდათ და ამა შესქელეზულს შარბათსა შიგან გაურივე და აურიე რომე შესწორდეს და ორსა მიტყალსა ცივისა წყლითა გალესევდი და ზედა შესვემდი ამა შარბათსა.

ხ ა შ ხ ა შ ი ს შ ა რ ბ ა თ ი ს ა ხ ა ს ი ა თ ი. არგებს რომე კაცს ახველებდეს, ნაზლასა და სურდოსა უშველის თავისასა, რომე თავი-დაღმა ფირუტსა შიგან წამოვიდოდეს და გულის პირშიგან ჩამოვიდოდეს და ახველებდეს და სისხლსა ამოიღებდეს. წ ა მ ლ ე ბ ი მ ი ს ი: დაიჭირე ასი თავი ხაშხაში რომე ხეზედავე ესხას და ნახევარზედა გამხმარიყოს, ისი მოკრიფე და ნახევარზედა დანაყე, მერმე ისი 20 ორსა დღესა და ორსა ღამესა შვიდსა ლიტრასა ან წვიმისა წყალსა შიგან დაალბე ან წყაროსა წყალსა შიგან და თუ არ დალბეს ერთსა დღესა კიდევ დაალბე და ღამესა, მერმე ადულე ასრე რომე ნახევარზედა მოიყაროს, მერმე გაწურე და ორის ლიტრისა წყლისა თავზედა ოცდათი უკია თაფლი და ოცდათი უკია ბადაგი გაურივე და ადულე ასრე რომე შესქელდეს მაშინ დაიჭირე აყაყია, ზაფრანი, ლაიასთუდისა, ფამფარასა ჰქვიან და თვითოსაგან თვით დრამი ამის წვენში გაურივე, ამისგან უნდა რომე თხუთმეტი დრამი შესვას თბილითა წყლითა, ბადაგი ასრე უნდა რომე სამი ლიტრა ერთ ლიტრად მოიყაროს, ამა შარბათებსა მათი თარგმანი თან უწერია, 30 გაჩენით თავის თავისად. და გონება¹ მახვილთა და გონიერთა და ბრძენთა კაცთაგან ადვილად მისახდომი არის თუ ლ~მერთსა უნდეს.

შ ა რ ბ ა თ ი უ ს უ ლ ი. არგებს რომე შიგნით გვამშიგან რაცა სატკივარი იყოს და ძველსა სატკივარსა და ნამეტნავად რომე ქშინვიდეს მას უშველის, ზიყნაფასსა უშველის და დედაკაცი რომე ძნე-

ლად შობდეს მას გაუადვილებს და რაცა ასოსა შიგა ტკივილი იყოს ყუელას უშველის სტომაქისა ტკივილსა უშველის, ზაფრასა,

¹ სწერია „გუნება“.

106

სევდასა დააწყნარებს. წ ა მ ლ ე ბ ი მ ი ს ი: დაიჭირე ნიახურის ძირს ქერქი, კამის ძირის ქერქი. ნიახურისა და კამის თესლი, ანისონი, ზირა ქირმანი, თვითოსაგან ოთხოთხი დრამი, შაითარა სამი დრამი ულბო და ფარისიაოშანი თვითოსაგან ოთხ ოთხი მიტყალი, სინჯუტი, ქიშმიში, ჩამიჩი, ლელვი ხმელი თვითოსაგან ოცოცი დრამი ეს ერთპირად სამის ლიტრის წყლითა ადუღე სადამდის ნახევრად მოიყაროს და გამოწურე და ერთი უკია ნუშის ზეთი დაასხი ზედა მერმე შეინახე კოლოფითა და რა მოგინდეს მიეც მისგან მიტყალი ოცი.

შესმა მისგან თბილის წყლითა მასუკანით ერთი მიტყალი. ხირასა 10 ზეთი გალესე თბილის წყლითა შაქარი გაურივე და შეასვი.

შ ა რ ბ ა თ ი ბ უ ზ უ რ. არგებს რომე სენი ტანისაგან გამაგრებულიყოს, ტყირპისა ქარსა, სტომაქსა შიგან რომე ბალღამი შეყრილიყოს და აბოყინებდეს, მას უშველის, სტომაქისა ქარსა უშველის, ბოვასირსა უშველის, ღვიძლი რომე სტკიოდეს უშველის რომ ქმინევდეს და ცივებასა უშველის და მუცელი რომ ნამეტნავად ებერვოდეს მასაც უშველის. ა ი ღ ე: ზირა ქირმანი, ანისონი, კამის თესლი, ნიახურის თესლი, ნანხვასა თესლი, ქარვია, ქასნის თესლი, სპანდილის თესლი, მარიამ საკმელას ჰქვიან, აფთიმონი, ცერეცოს თესლი თვითოსაგან თვითო უკია ეს ყუელა ნახევარზედ დანაყე, ერთსა ღამესა

20 სამსა ლიტრასა წყალშიგან დაალბე დილასა ადუღე მანამდის რომე, სამოცსა მიტყალსა წყალზედა მოიყაროს როგორაცა გამოწურო ორმოცდაათი დრამი შაქარი გაურივე და ცოტა კიდევ ადუღე მერმე შეინახე და სამად გაყავ და სამსა დილას შეასვი უზმოსა.

შ ა რ ბ ა თ ი ვ ა შ ლ ი ს ა ს ა ზ ა ვ ე ბ ლ ი თ ა. ხასიათი მისი: ერგების სტომაქსა გარყვნილსა და ვის შაჭამადი არ მოსდნობოდეს და არც იამებოდეს და თხევასა შემთხვეულსა სინოტისაგან და ერგების ჩვილთა სტომაქსა და ვის ხველა იყოს ფიცხელი, სარგებლისა არს ნებითა ღთისათა ამას ყუელასათვის. ა ი ღ ე ვაშლი ტკბილი და ვაშლი მჟავე და დააპე და გული გამოარჩივე და ქვის საცეხველთა.

30 შინა დანაყო და გამოსწურო მისი წყალი და დასწმინდო და აილო მისგან რაზომი გინდოდეს და ქვის ქოთანსა ჩაასხა ან თიხისასა და ჩაურთო შიგა სუმბული და ყარამფული და კაკულა და ჰილი და კილამონი და ზაფრანა ამათგანი სწორი ნაწილი დანაყო და ჩაყარე წყალსა და დააგბე ვირემ შეიქნას ვითა ყურძნის რუბი და ჭიქის ჭურჭელსა ჩაასხა, და იხმარო ვითა ნიშანი მოგვიცემია სალმობისათვის რომელ გვიხსენებია სარგებელი არს ნებითა ღთისათა.

შ ა რ ბ ა თ ი ზ უ ფ ა. არგებს ღვიძლისა ტკივილსა რომე ზათა აიჯამ ჰქვიან, მარჯვენა გვერდი სტკიოდეს და ახველებდეს და ტანი

107

მუდამ უხურვიდეს და ხველასა და კიდევ აქმინვებდეს და შაკიკისა

ტკივილსა, შლა, და ძველსა თავის ტკივილსა, აიღე ზუფა წითელი და ჩამიჩი თვითოსაგან ათი დრამი, ასლისუსი, ხმელი ია, ხაშხაშის თესლი, თვითოსაგან ხუთი დრამი ლეღვი ხმელი ათი მარცვალი, სინჯიტი ოცი მარცვალი, ეს ყუელა ოთხსა ლიტრასა წყალშიგან დაალბე დილასა, მოადულე მანამდის რომე ერთ ლიტრასა ზედა მოიყაროს, მერმე გამოწურე და ყოველთა დღეთა მისგან ოცდათი დრამი ათისა დრამისა ნუშისა ზეთშიგან გაურივე და შეასვი ვისაც უნდოდეს ¹.

შ ა რ ბ ა თ ი ა ლ ი ლ ა. არგებს სევდასა და ზაფრასა და რაცა

10 ტანშიგა სენი იყოს სიმხურვალისა ყუელასა უშველის და ნამეტნავად რომ ტანზედა მქავანი იყოს მას უშველის, მუტყიბსა ცხელებასა უშველის და წყურილსა დააწყნარებს და სიმხურვალითა რომე კაცსა თავი სტკიოდეს მას უშველის, ნასხეულები კაცი რომე შეკრვით იყოს მას უშველის და გახსნის. ა ი ლ ე: ალილა ყვითელი ოცი დრამი, სინამაქი, აფსინთინი შასთარა, თვითოსაგან ცამეტი დრამი ეს ყველა ნახევარზედა დანაყე და მერმე ერთსა ღამესა სამსა ლიტრასა წყალშიგან დაალბე და მოადულე მანამდის, სანამდის სამოც და დრამათ მოიყრებოდეს, გაწურე მერმე და ოცი დრამი შირიხიშტი გაურივე, მერმე შეინახე კოლოფითა და ყოველთა დღეთა ათათი დრამი შეასვი.

20 შ ა რ ა ბ ი ხ ა შ ხ ა შ ი ს ა. უშველის სევდასა, მალიხულისასა, ვარამსა, ნამეტნავად ხველასა რომე სისხლსა ამოატანდეს, სუსტად რომ იყოს ძალს მოუმატებს, სნეულსა რომე უძილობა სჭირდეს ძილს მოგურის, რწყევასა დააწყნარებს, სნეული რომე ფერად ფერადსა სიზმარს ნახევდეს მას უშველის, ფერდის ტკივილსა რომ ს ი ლ ი ჰქვიან მას უშველის. ა ი ლ ე თეთრი ხაშხაში ნახევარ ლიტრა ნახევარზე დანაყილი და ორითა ლიტრითა წყლითა მოადულე სადამდი მესამედზედ მოვიდოდეს, მერმე გამოწურე და ნახევარ ლიტრა შაქარი გაურივე და ადულე სადამდის შესქელდეს და მერმე შეინახე კოლოფსა შიგან და ვისცა მოუნდეს ათი მიტყალი ცივითა

30 წყლითა უზმოსა მიეც. თუ სენი ერთობ სევდისაგან იყოს თვითოს სმაშიგან ნახევარ მიტყალი აფთიმონი დანაყე და შიგან გაურივე მა სნებასა რომე გვითქუამს ყუელასა უშველის ნებითა ღთისათა.

შ ა რ ა ბ ი ქ ა შ ქ ი ს ა რ ო მ ე ლ ი ა რ ს ქ ე რ ი ს ა გ ა ნ. ხველა რომე სიმხურვალისაგან იყოს მას უშველის და სიმხურვალისა ნაზლასა უშველის, თავის ტკივილი რომე სიმხურვალისაგან იყოს

¹ აქ შემდეგი ფრაზა ჩასმული გადამწერის ხელით „ლეღუფარი უნდა იმას ქვემოთ და იის შარბათი“.

მას უშველის, სურდოსა უშველის რომე ხველისაგან იყოს, ხუელებას ერთობ უშველის, დასიცხულსაცა უშველის, აშფოთებულსა ზაფრასა დააწყნარებს, ნამეტნავად რომე წყურვილი იყოს მას დააწყნარებს. და პირი უშრებოდეს მას უშველის, ა ი ლ ე: დანაყილი და ქერქ შემძურალი ქერი ათი უკია და ზედა ორი ლიტრა წყალი დაასხი და მანამდის ადულე რომე ის წყალი შემრეს მერმე გამოწურე და მერმე ლიტრა ნახევარი წყალი და სხვა დაასხი იმ ქერსა, ერთი უკია სეფისტონი ნახევარი უკია ასლისუსი ნახევარი უკია ხმელი ია, ორმოცი მარცვალი ფშატი ერთი მუტყალი ბაზრაცატუნი ერთი მიტყა

10 ლი ქათირა ჩაყარე იმ წყალშიგან და მანამდი ადულე სანამდის დად-
ნეს ის წამლები, მერმე გამოწურე და წმინდას ჭურჭელსა შიგან
ჩაასხი და ოცი დრამი შაქარი გაურივე და რა მოგინდეს ყოველთა
დილათა, ცივითა წყლითა გალესე და შეასვი.

შ ა რ ა ბ ი ა ნ გ უ ბ ი ნ ი ს ა თ ა ფ ლ ი ს ა ა რ ი ს და ა რ გ ე ბ ს:
შაყაყულსა¹, ფილენჯსა, რაშასა, შიხურას რომე ათრთოლებდეს
და აცივებდეს და ზამთრისა სიცივესა დია ეწყინოს. დ ა ი ჭ ი რ ე:
თაფლი ერთი ლიტრა, სამითა ლიტრითა წყლითა აადულე და ქაფი
მოხადე, ამთონი ადულე რომე ერთი ლიტრა მოიკლოს, მერმე ერთი
დრამი ზაფრანი ერთი დრამი ყარანფული, მიტყალ ნახევარი სუმბუ-

20 ლი დანაყე ნახევარზედა, მერმე შიგ გაურივე ეს დანაყილი წამლე-
ბი, კიდევ ადულე რომე შესქელდეს. თვითოსა მისგან ორ ორი უკია.

ტ ყ ე მ ლ ი ს შ ა რ ა ბ ი ს ა ხ ა ს ი ა თ ი. არგებს ზაფრასა, ნა-
მეტნავს სუმბურვალეს და ცხელებასა ღვიძლისა, ნაღველსა მეტსა,
სისხლსა დააწყნარებს. ა ი ღ ე: ტყემალი მწიფე შვიდი ლიტრა ათსა
ლიტრასა წყალსა შიგან გამოადულე ასრე რომე ტყემალი დადნეს
მერმე წყალი გამოწურე წმიდაშიგა ათი უკია შაქარი გაურივე და
ადულე რომე შესქელდეს. თვითო სმა შვიდ შვიდი მიტყალი ცივითა
წყლითა.

თ უ თ ი ს ა შ ა რ ა ბ ი ს ხ ა ს ი ა თ ი თეთრისა. უშველის ხუ-
30 ნაგსა, რომე ყელიდამან ამოიღებდეს და ხველასა და ყელის ტკვიილსა
და რაც მარღვი შეკვრით იყოს გახსნის გულსა ზემოთ. ა ი ღ ე: თუ-
თა ტკბილი ოთხი ლიტრა და კოჭობშიგან ჩაყარე და ზედ წყალი
დაასხი და აადულე რომე ნახევარად მოყაროს ნახევარ ლიტრა შაქარი
გაურივე, ადულე რომე შესქელდეს და კაცსა ვის დაეჭიროს, პირსა
ცოტა ილაღლალოს, ათი დრამით ცივითა წყლითა შესვას.

შ ა რ ა ბ ი რ ე ვ ა ჯ ი ს ა. ხასიათი მისი, არგებს დასიცხულსა
და მეტი სისხლი დააწყნაროს და მეტი ზაფრა დააწყნაროს, ცხელე-

¹ სწერია „ლაყაყულსა“.

ბა დღისა და ღამისა და ნამეტნავად წყურვილი სჭირდეს დააწყნა-
როს, ტანს გამოსწმინდს სიმბურვალისაგან. ა ი ღ ე: რევაჯისა წვენი
მოადულე რომე ნახევარი დარჩეს, ნახევარ ლიტრა შაქარი გაურივე,
ადულე რომე გასქელდეს, ერთი უკია ვარდის წყალი, ნახევარ დანგი
ქაფური გალესე და შიგ გაურივე, თვითო სმა ათათი მიტყალი
ცივითა წყლითა.

შ ა რ ა ბ ი ჯ უ ლ ა ბ ი ს ა. არგებს ცხელებასა და გული რომე
სიმბურვალისაგან უძგერდეს, ხველას უშველის, გულის პირს დაალ-
ბობს. ა ი ღ ე: თეთრი შაქარი ნახევარ ლიტრა სამით ლიტრითა

10 წყლითა მოადულე მანამდი რომე შესქელდეს და ქაფი მოხადე მერმე
სამი უკია ვარდის წყალი გაურივე და ჭურჭელშიგან ჩაასხი. თვი-
თოსაგან სმისა ათ ათი დრამი ცივითა წყლითა.

კ ა რ ი ს ი ქ ა ნ გ უ ბ ი ნ ი ს ა ს ა დ ა ს ა. ნიშანი მისი არგებს
ღვიძლისა სისუსტესა და კაცსა რომე არ ემშეოდეს, სავჯმელსა მონ-
დომებს. ა ი ღ ე: ორი ლიტრა წყალი და ერთი ლიტრა კარგი ძმარი,
თაფლი ერთი ლიტრა მოადულე და პერული მოხადე სადამდის შეს-

ქელდეს. მისგან შესმა უზმოსა ცივითა წყლითა ექუსი მიტყალი გააყენოს და თუ კაპრისა წვენი დაასხას იგი ეჯობინების.

ს ი ქ ა ნ გ უ ბ ი ნ ი უ ს უ ლ. არგებს ფერად ფერადსა ცხროსა 20 და უშველის შავი წყალი რომე თვალსა შიგან ჩამოვა, მისი ნიშანი გამოჩენილიყოს მას უშველის და იარაყანსა და ხაფაყანსა უშველოს და ქმინვებასს უშველოს და სტომაქის სენსა უშველოს.

წ ა მ ლ ე ბ ი მ ი ს ი: კამის ძირის ქერქი, ნიახურის ძირის ქერქი თვითოსაგან თვითო უკია გაახზე და დანაყე ნახევარზედა, ესე ყუელი სამს ლიტრას ძველს ძმარშიგან დაალზე ერთსა დღესა და ღამესა და მერმე ერთი ხელი კარგად ადუღე, მერმე გამოწურე და ერთითა ლიტრითა შაქრითა ადუღე და ქაფი მოხადე და ერთი უკია ვარდის წყალიც ჩაურთედა შესქელებამდის ადუღე მერმე წმინდას ჭურჭელსა ჩაასხი. თვითო ჭამა მისგან ოცდათი დრამი ნახევარ 30 დრამითა რევანდისა ყურსითა შეასვი.

ს ხ ვ ა ს ი ქ ა ნ გ უ ბ ი ნ ი ს ა ხ ა ს ი ა თ ი. ღვიძლისათვის კარგია და ტყირპისათვის კარგია და ზაფრისა და ბალღმისათვის კარგია. აიღე ნახევარ ლიტრა ძმარი და ორი ლიტრა წყალი და ერთმანეთსა შიგან გაურივე და მოიღე ნიახურისა ძირისა ქერქი და კამის ძირისა ქერქი თვითოსაგან ათ ათი მიტყალი და თესლი ორისავე ორი მიტყალი, კაპრისა ძირის ქერქი ხუთი მიტყალი ვარდკაჭაჭის ძირის ქერქი სამი მიტყალი, ეს წამლები იმა ძმარსა და წყალშიგან გაურივე და ერთსა დღესა და ღამესა დაალზე დილას აადუღე ასე რომე

110

სამი წილი დარჩეს და ერთი დაიდუღოს, მასუკანით წამლები ამოჭყლიტე და გაწურე და ერთი ლიტრა თაფლი გაურივე და ადუღე სადამდი შესქელდებოდეს და პერული მოხადე და ყოველთა დღეთა თვითოსა კოვზსა შესმიდეს უწყლოდ.

ს ხ ვ ა ს ი ქ ა ნ გ უ ბ ი ნ ი ს ა ხ ა ს ი ა თ ი. სიხმისაგან რომ სჭირდეს ტყირპის ტკივილი მას უშველის და ქარსა უშველის და სტომაქის ტკივილსა უშველის, და საჭამადს მოაქარვებს და გულზედა რომ დამჟავებულ იყოს მასაც უშველის. ა ი ღ ე: ხახვი ოცდათი თავი და ნახევარ ლიტრას ძმარშიგან გამოადუღე და მერმე გაწურე, მოიღე 10 ძირი კამისა, თესლი ანისურისა, აყირყარა და მინდურის ქონდარი, თვითოსაგან ხუთხუთი მიტყალი, პილპილი და ნიახურის თესლი და ზირა ქირმანი თვითოსაგან რვა რვა მიტყალი სტაფილოს თესლი, ცერეცოს თესლი, სუმბული, თვითოსაგან სამ-სამი მიტყალი, ტყიურა ერთი მიტყალი სადაფი ორი მიტყალი ესე ყუელა დანაყე და გაცერ და ნახევარ ლიტრა ძმარი სხვა დაასხი და სამი ლიტრა თაფლი ჩაურთე და ადუღე სადამდის ძმარი და თაფლი ნახევრად მოიყრებოდეს, პერული მოხადე და მერმე ეს დანაყილი და გაცრილი წამლები შიგ გაურივე და ადუღე სადამდის შესქელდეს, მერმე შვიდსა დღესა ქერში ჩადგი მერმე ამოიღე და თუ უზმა შესმიდეს ხუთს მი- 20 ტყალს შესმიდეს და თუ ჭმული შესმიდეს საჭმელსა მოიქარვებდეს და სტომაქსა ძალსა მისცემს, ამა სიქანგუბინსა უწყლოდ უნდა შესმა.

ს ხ ვ ა ს ი ქ ა ნ გ უ ბ ი ნ ი ს ა ხ ა ს ი ა თ ი. ღვიძლისა სისუსტესა არგებს და კაცსა რომე არა ემშერდეს საჭამადსა მოანდომებს. ა ი-

ღე : ორი ლიტრა წყალი და ერთი ლიტრა ძმარი და ერთი ლიტრა თაფლი, ადუღდე და პერული მოხადე ვირემ შესქელდეს. მისგან შესმა უზმოსა ცივითა წყლითა ექუსი მიტყალი, გაყენე და შესვას და თუ კაპრის წვენი დაასხას იგი ეჯობინების.

ს ი გ ა ნ გ უ ბ ი ნ ი ბ უ ზ უ რ. არგებს ღვიძლსა რომე ზაფრისა-
30 გან გათხელებულიყოს და ცხლად ედგას გული ¹ ნამეტნავად სტკიოდეს, ზაფრა რომ სჭარბობდეს და სისხლსა დააწყნარნობდეს, ბალღამს გაიღებს და დასჭრის და წყურვილსა დააწყნარებს, პირი რომ უშრებოდეს მას უშველის. ა ი ღ ე: ქანის ძირი ხუთი დრამი, კაპრის ძირის ქერქი სამი დრამი, კამის ძირის ქერქი ხუთი დრამი, კასნის თესლი სუთი დრამი, ნიახურის თესლი ხუთი დრამი, კაპრის თესლი ხუთი დრამი, ნიახურის თესლი ხუთი დრამი, კაპრის თესლი

¹ ეს სამი სიტყვა განმეორებულია.

ორი დრამი, ჩინური რევანდი სამი დრამი, საყმუნია დრამ ნახევარი ამბარბარი ხმელი სამი დრამი, მოიღე ორი ლიტრა წყალი და ერთი ლიტრა ძმარი გაურივე და მერმე ამა წყალშიგან დაალბე ერთსა დღესა და ღამესა, შერმე საყამუნია და რევანდი დანაყე ეს წამლები და ისი წყალი და ის ძმარი მუნამდი ადუღე სადამდი ორი წილი წავიდეს და მესამედი დარჩეს მერმე წასწურე და ის წამლები ამოიღე და მერმე ნახევარ ლიტრა შაქარი გაურივე და ადუღე სადამდის შესქელდებოდეს და ის საყამუნისა ქათნისა ჩახურაშიგან ჩაყარე და იმა დუღილსა შინა ჩააგდე და ხანდახან ხელით შესტყლეჭდი. თუ
10 ბალღამი სჭარბობდეს შაქრის ოდენი ერთი თაფლი მოურივე გუნებას გაამხურვალებს და საჭამადსა მოანდომებს, ათი დრამი ჭამოს, ფარეზი ამის მეტი არ უნდა რომე უხმამან ჭამოს, თუ საღამოს ჭამასა დასთმობს დიად სჯობს და კარგია და ეს სიქანგუბინი ოთხს ხუთს ხელს შაიყუნს.

ს ხ ვ ა ს ი ქ ა ნ გ უ ბ ი ნ ი ს ხ ა ს ი ა თ ი. შექმნილისა თაფლითა, არგებს მრთელთა და სნეულთა ნებისა ლთისათა. ა ი ღ ე: ქერქი კამის ძირისა, ნედლი ნიახურის ძირი ამათგანი თვითო ლიტრა, კამის თესლი, ანისონის თესლი და ნიახურის თესლი ამათგანი ოთხი უკია. შეკრიბენ ყუელანნი და დაასხი ზედა ათი ლიტრა ძმარი თეთრის
20 ღვინისა კარგისა და დაეხსენ ერთსა დღესა და ღამესა და მერმე ქვისა ქოთანსა ჩაასხი და ცეცხლთა ზედა დადგი და გააგბე ვირემ წავიდენ მესამედი და უფროცა და მერმე დასწურო ძმარი მათ ძირთა დათესლთაგან და დაეხსეს რომ დაწმდეს და მერმე აიღე თაფლი პერულ მოხდილი რვა ლიტრა და ეს შემგბარი ძმარი ზედა დაასხი მას და ჩაასხი ქვისა ქოთანსა წმინდასა და შეუგზენ ქვეშე ცეცხლი წყნარად და პერული მოჰხადე და დააგბე ვირემ შესქელდეს და შეიქნას ვითა გინდეს და უკმოიღე ცეცხლთაგან და ჩაუშო მცირედი ზაფრანი რომე უფრო დაუშვენდეს, და ჭიქისა ჭურჭელთა ჩასხა და როდეს გინდეს იხმარე, კარგია და გამოცდილი თუ ლთსა უნდეს:

30 ს ხ ვ ა ხ ა ს ი ა თ ი ს ი ქ ა ნ გ უ ბ ი ნ ი ს ა, შესაქმარი. ერგების მხურვალთა ნებისა ლთისათა. ა ი ღ ე: თესლები ეგრევე და ძირები დააგბო ვითა ნიშანი მოგვიცემია პირველისა ნიშანსა შიგან და თაფ-

ლისა ადგილსა შაქარი ჰყო და დაგბო ვირემ შესქელდეს რაზომ გინდეს, და ჭიქისა ჭურჭელსა ჩაასხი და სარგებელისა არის როდესაც იხმაოებ.

ნიშანი გასახსნელისა სიქან გუბინისა: ერგების შავისა ნაღულისა უფალთა და ვის გულის ძგერა სჭირდეს და ვის გულსა შეაგდებდეს ზოგჯერ და ვის გაუმრავლდენ საურავნი და შე-

112

ჭირვებანი, რომე არა იცოდეს მიზეზი, საჩინოა ღთითა. აიღე: თავის ხახვი შემწვარი ქუმნას ფქვილითა წონა ორმოცისა დრამისა და ფუკალ დახირი წონა ოც და ათისა დრამისა და აფსინდი ბერძული წონა ოცისა დრამისა და კამის ძირი და ნიახურისა ძირი ამათგანი თვითო ლიტრა და კამის თესლი და ნიახურის თესლი და ანისონი ამათგანი ოთხი უკია და არირას ლერწამი წონა ოცდაათის დრამისა, შეკრიბენ წამალნი ყუელანი და ჭურჭელსა ჩასდვა და დაასხა ზედა ცხარი ძმარი რომე ნიშანი მოგვიცემია ათი ლიტრა, დაალბე ესე წამალნი დღესა და ღამესა და მერმე ჩაასხა ქვისა ქოთანსა ან თიხისასა დააგბო ცეცხლითა, ვირემ წავიდეს მისგან მეოთხედი და დასწურო და მერმე აიღო თაფლი პერულ მოხდილი რვა ლიტრა და დაასხა ძმარი ზედა ესე დააგბო ცეცხლითა და პერულსა მოხდიდე ჟამითი ჟამად ვირემ შესქელდებოდეს რაზომცა გინდეს და უკმოილო ცეცხლთაგან და ურთო შიგა დრამის წონა ზაფრანი და ჩაასხა ჭურჭელსა და როდეს გინდეს იხმარე სალმოზათათვის ოომე ნიშანი მოგვიცემია, სარგებელისა არს ნებითა ღთისათა.

ნიშანი ჯულაბისა შესაქმარისა შაქრითა. ერგების მხურვალთა და რომელ აღზნებული იყოს ვითა ცეცხლითა და წყურვილთა ცხროთა შინა ფიცხელთა. ეს სასმელი არის მრავალთა სარგებელისა, წყურვილისათვის თუ ღთსა უნდა. აიღე: შაქარი ტაბარზადი და სულეიმანი თეთრი რაზომი გინდეს და ქვის ქოთანსა ჩაზდვა ან თანგირათა წმინდათა და ჩაასხა ზედა ვარდის წყალი რაზომცა დაფაროს და ცეცხლთა ზედა დაზდვა და შეუგზნა ქვეშე შენელებული ცეცხლი და პერული მოხადე ვირემ შესქელდეს და შეიქნას ვითა გინდეს, ზოგნი მკურნალნი ჩაურთვენ თანა ტაბაშირსა როდეს უნდეს კურნება მათა ცხროთა. ფიცხელთა და ჩაასხა ჭურჭელთა. სარგებელისა არის ღთითა.

ზაფრისათვის სიქან გუბინი. ზაფრას უშველის, ცხელებასა და გულის ტკივილსა და ხაფაყანსა უშველის, დასიცხულსა უშველის, სტომაქს ძალსა მისცემს. აიღე თეთრი შაქარი ორი ლიტრა სამსა ლიტრასა წყალშიგინ აადუღე სადამდის შესქელდებოდეს ქაფი მოზადე და მაშინ ერთი უკია ძმარი და ორი უკია ვარდის წყალი შიგ გაურთვე და ცოტა კიდევ მოადუღე გააცივე და კოლოფსა შიგან ჩაასხი და თვითო შესმა ათათი დრამი და უშველოს.

სიქან გუბინი შესაკრავი. უშველის ზაფრასა და მეოთხისა დღისა ცხროსა, უშველის გახსნით რომე იყოს, გულის ტკივილისაგან, მასცა შეკრავს და აგრევე ღვიძლის ტკივილსა, ნამყენისა ჭამისაგან რომე გახსნით იყოს მას უშველის. აიღე: ორი

ლიტრა შაქარი და სამი ლიტრა წყალი აადუღე და ქაფი მოჰხადე და სამი უკია ისრიმის წვენი ერთი უკია და ნახევარი გუნდა დანაყე და გაცერ და სამი უკია ბროწეულისა წვენი და ერთი უკია ვარდი, ერთი მიტყალი ერმანი ცოტა ადუღო რომე შესქელდეს, მერმე ჭურჭელსა შიგან ჩაასხი და ხუთხუთი მიტყალი მისგან შესმა ცივითა წყლითა.

გ ა ს ა ხ ს ნ ე ლ ი ს ი ქ ა ნ გ უ ბ ი ნ ი. უშველის კაცი რომ შეკვრით იყოს და ცხელებასა უშველის და ზაფრისაგან რომ შეკვრით იყოს გახსნის და უშველის, ავს წყალსა რომე ეწყინოს და ნალული-სა სიცხესა დააწყნარებს, დასიცხულსა უშველის და ხაფაყანსა და

10 იარაყანა უშველის, ტყირბსა უშველის. ა ი ლ ე: ერთი, ლიტრა ტყემალი სამითა ლიტრითა წყლითა მოადუღე მანამდინ რომე დაწმ-დეს და მიტყალ ნახევარი თურბითი, მიტყალ ნახევარი ღარიყონი ნახევარ მიტყალი მამუდა და ეს სამი დანაყე და ქოთანსა შიგან გამოჰკარ და ერთსა ლიტრასა შაქარსა შიგან ადუღე და ქაფი მოხადე რომე შესქელდეს და წმინდას ჭურჭელსა შიგან ჩაასხი თვითოსა მიცემასა ზედა ხუთი დრამი მიე.

ს ი ქ ა ნ გ უ ბ ი ნ ი უ ს უ ლ. ერგების ფერად ფერადსა ცხროსა და შავი წყალი რომე ჩამოსულიყოს და იარაყანსა და ხაფაყანსა და ზიყნაფაზსა უშველის. სტომაქი რომ აშლით იყოს უშველის. ა ი ლ ე:

20 კამის ძირი ნიახურის ძირი ქასნის ძირი ასლისუსი თვითოსაგან თვი-თო უკია გაახმე და დანაყე და სამსა ლიტრასა ძმარშიგან დაალბე ერთსა დღესა და ღამესა გაწურე მერმე ერთითა ლიტრითა შაქრი-თა მოადუღე და ქაფი მოხადე და ერთი უკია ვარდის წყალი შიგ გაურე ჭურჭელსა შიგან ჩაასხი. თვითო სმა ათი დრამისაგან.

ს ი ქ ა ნ გ უ ბ ი ნ ი ბ უ ზ უ რ. უშველის სევდასა, გულის ძგერა-სა შავსა წყალსა ცხროსა ფერად ფერადსა და ქარსა. ა ი ლ ე: ანი-სუნნი კამის თესლი, ზირა ქირმანი, ქარვია, ნიახურის თესლი, ქას-ნის თესლი ხაშხაში თვითოსაგან თვითო უკია, ნახევარზედ დანაყე და ძველის ძმარშიგა დაალბე დღესა და ღამესა და მერმე გამოწურე

30 და მისი წონა თეთრი შაქარი გაურივე და მოადუღე და ორი უკია ვარდის წყალი გაურივე ჭურჭელსა შიგან, ადუღე რომე გასქელდეს თვითო შესმა ათი დრამი ცივითა წყლითა. ამა შარბათსა ყუელასა, მათი თარგმანი გვერცა უწერია გაჩენითა თავის თავისად. და გონება მახვილთა და გონიერთა და ბრძენთა კაცთაგან ადვილად მისახდომი არის თუ ღმერთსა უნდეს. ¹⁾

¹⁾ აქ ტექსტი რითაც გრძელდება „ახალი დასაწყისი ცნობისათვის“ უკვე კარი „იბ“ ბოლოშია სიტყვა სიტყვით — მხოლოდ იქ აკლია ბოლო რამოდენიმე სტრიქონი რაც სისრულისათვის აქ მოგვყავს სქოლიოში. *)

კე კარი ცხროთა. მ ა ჰ მ ა დ ზ ა ქ ა რ ი ა ს შ ვ ი ლ მ ა ნ ასრე თქუა: ცხრო მრავლისაგან იქნების. პირველად ესე იცოდით არცა კარულითა და არცა მაჯიტა არა შეეტყობის, სადამდი არა გამო-ცხადდების. რა გამოცხადდეს კარულშიგაცა შეიტყობის და მაჯაში-გაც ოცნობის.

ნ ი შ ა ნ ი ც ხ რ ო ს ი. ს ი ს ხ ლ ი ს ა ცხროსა ნიშანი ესე არის

რომე რა გააცხროვნოს, არა უკუეყაროს სიცხე, არცა დღისით და არცა ღამით, ვირემდის არ გამრთელდეს, და თუ ზ ა ლ ღ მ ი ს ა გ ა ნ იყოს მისი ნიშანი ეს იყოს, ყოველთა დღეთა მოუვიდოდეს, ჟამ ჟამ 10 უშვებდეს, ჟამ ჟამ მოუვიდოდეს, კ ვ ე რ ც ხ ი ს გ უ ლ ი ს ა ნ ა ლ უ ლ ი ს ა გ ა ნ იყოს ცხრო მისი ნიშანი ეს იყოს: ერთსა დღესა მოვიდოდეს და ერთსა არა, და თუ შ ა ვ ი ს ა ნ ა ლ უ ლ ი ს ა გ ა ნ იყოს ცხრო, მისი ნიშანი ეს არის რომე ერთსა დღესა მოუვიდოდეს და ორსა გაუშვებდეს და მეოთხესა მოუვიდოდეს.

თ ქ უ ა ზ ა გ რ ა ტ: ვისცა სჭირდეს ცხრო ხუთისა დღისა გაუწყვეტლად და მერმე მეექუსესა დღესა მწოედ გამოაცხადოს, იცოდე მემვიდეს დღეს გაუშვებს, უმიზეზოდ. და თუ კაცსა ცხრო შეექნას და მასვე დღესა ოფლი მოუვიდეს დაღბეს ცხრო, იგი ნიშანი არის ადრე განმრთელებისა.

20 თ უ კაცი გააცხროვოს, და თუ მხურვლად, და ოფლი გამოდგვს ცივი იცოდვ სნეულება მისი გრძელი არის.

თ უ კაცი გააცხროვოს მწოვედ სიმხურვალითა დიდითა ოფლი ცივი გამოუვიდეს, იცოდი მოკვდეს კაცი იგი.

თ უ ცხროსა თავის ტკივილი იყოს, იცოდი რომე კვერცხის გულისა ნალულისაგან არის.

თ უ სტომაქი სტკიოდეს, იცოდი ბალღმისაგან არის.

თ უ ტყირპი სტკიოდეს, იცოდი შავის ნალულისაგან არის.

თ უ მცხროვანი კაცი ღვიძლსა იმტკივნებდეს, იცოდი სისხლისაგან არის.

ა. უძილობისაგანაც დაემართების.

ბ. ცხრო დიდისა სარჯელისაგან იქნების.

გ. ავის თვალისაგანაც დაემართების.

დ. შეშინებისაგანაც დაემართების.

ე. დიდისა საგონებლისაგან დაემართების.

ვ. სიცხისაგან დაემართების.

ზ. მთვარიანს ღამეს გარეთ წვებოდეს იმისგანაც დაემართების.

წ. ნამეტნავად სიცივისა და ცივის წყლისა და ცივის ქარისაგანაც დაემართების.

115

თ. სიმსივნისაგან და თითის ¹ ტკივილისაგანაც დაემართების.

ი. დაკოდისა და ცემისაგან დაემართების.

ია. სიმამურალისა და ჭირისაგან დაემართების.

იბ. სისხლისაგანაც დაემართების რომე გასივდეს და მსუქანსა გვანდეს.

იგ. საფრისაგანაც დაემართების.

იდ. სევდისაგანაც დაემართების, რომელ არს შავი: ნალველი.

იე. ბალღმისაგან იქნების.

ივ. უხარშავის ბალღმისაგანაც იქნების.

იზ. შიმშილისა და წყურვილისაგანაც იქნების.

იწ. დიყისაცა არის ცხრო რომელ დაემართების.

ით. დიდის ღვინისაგანაც დაემართების.

კ. მსხმოსა და ავის ქარისაგანაც დაემართების.

კა. მუტბიყისა ეწოდების სახელად.

კბ. კიდევ სხვაც არის რომე მუტბიცი.

კგ. ყვავილისაგანაც დაემართების.

კდ. ხველისა და სურდოსაგანაც დაემართების.

კე. მეთერთმეტესა დღესა რომე მოუვიდოდეს ისეთიც იქნების ცხრო.

20 აწ ე ესე მოგახსენოთ ამა ცხროთა გარეთისა სხვისა ტკივილისაგანაც შეექნებიან ცხრონი. რომელიცა ასო სტკიოდეს მისგანაც დაემართების ჰქვიან მას სახელი ცხრო ასოთა რომელიცა ასო სტკიოდეს მისი სახელი ჰქვიან მას ცხროსა. ღვიძლის ტკივილისაგანაც იქნების, ფირტვის ტკივილისაგანაც იქნების, თირკმელთატკივილისაგანაც დაემართების. ამისი კურნება ერთობ მარცხე არის. ტყირპის ტკივილისაგანაც დაემართების, მჯდომისაგანაც დაემართების და სიმსივნისაგანაც დაემართების. მღერისაგანაც დაემართების. თვალის ტკივილისაგანაც დაემართების, თავის ტკივილისაგანაც დაემართებ-

ბის. კბილის ტკივილისაგანაც დაემართების. ღვიძლის ტკივილისაგანაც დაემართების. და არს რომე ადვილად იწამლებოდეს, და არს რომე ძნელად იწამლებოდეს. და მცხროსა წამლები ეს არის: რომელსაცა ასოსა ტკივილი იყოს მისი უწამლოდ, რომელიცა ასო სტკიოდეს და ასო უწინა გავამმთელოთ, და როგორცა ასო გამრთელდეს ცხროც გაუმვას. და თუ არ გამრთელებ, და ცხროსა სწამლობ, არ ეშველების. იცოდით ამ წიგნშიგა სწერია, ეს არის ცხროს კურნება იცოდით. ბძანებითა ღთისათა..

¹ ვარიანტში შეცდომით სწერია „თვალის“.

ყოველსა კეთილსა საქმესა მარხვასა და ლოცვასა და გლახაკთ მიცემასა ყველასა უზეშთავეს არს მკურნალობა წინაშე ღთისა. რა მაცხოვარი ამაღლდებოდა აგრე უბძანა მოციქულთა: ვითა კურნებდით და გაკურნებდითო სნეულთა კაცთა. მეცა აგრე ვიქმოდით, სნეულთა და დაღონებულთათვის მოველი და წაწყმედულთა გამოხსნისათვისო.

აქა ქვემოთ ცხრონი დაიწერებიან მათი ნიშანი და მათი წამალნი.

ა. თ უ ც ხ რ ო უ ძ ი ლ ო ბ ი ს ა გ ა ნ ი ყ ო ს. მისი ნიშანი ეს 10 იყოს, გაყვითლდეს, ფერი და თვალნი უკუყრით იყუნენ და მაჯა მისი სუსტი იყოს და ფსელი ცხელი და მღურვიე და მყრალი, ესე სიუსუსურისაგან იქნება და ეს ზაფრის აშლილობისაგან იქნების.

წ ა მ ა ლ ი ე ს ა რ ი ს: აბანოში იბანოს კარგად, და რა აბანოთ გამოვიდეს ერთწამს დაიძინოს. და რა ძილისაგან ადგეს თავი და ტანი ცივითა წყლითა დაიბანოს. მასუკანით ვარდისა და იის ზეთითა ტანი დაიზილოს და კიდევცა შესვას ჯულაბითა ორისაგანვე რვა მიტყალი სამსა დღესა უზმამან.

და საჭმელად ვარია შეაქნევინოს ხარშოდ, ერთხელ ისი ჭამოს, მეორედ ძრმით შექნილი თევზი ჭამოს.

20 ბ. ც ხ რ ო ს ა რ ჯ ლ ი ს ა გ ა ნ ი ყ ო ს. მისი ნიშანი ეს არის:

ღამით ერთობილი ტანი ტკივილს დაუწყებს.

წ ა მ ა ლ ი მ ი ს ი: აბანოს ბანა ასრე რომე ცივი და თბილი წყალი ირთად იყოს გარეული ტანზედა დაისხას და ტანი თბილითა წყლითა დააზელინოს და რა გამოვიდეს ვარდის წყალი და ცოტა ძმარი იის ზეთშიგან გაურიოს და ტანი მით დაიზილოს. და ჯულაბი ერთი სასმელი სიქანგუბინსა შიგან გაურივე და ცივითა [წყლითა] შესვას.

და საჭმელი ვარიის ხორცი ხარშოდ შექნას, და თუ იმითი არ ეშველოს მეორეთ წურილი თევზი ჭამოს ხარშოთ შექნილი. თუ იმით 30 არ ეშველოს კიდევ ებანოს და ისრევ ქნას და ოფლი იდინოს კარგად და ეშველოს ღთითა.

გ. ც ხ რ ო რ ო მ ე ა ვ ი ს თ ვ ა ლ ი ს ა გ ა ნ შ ე ი ქ ნ ე ბ ი ს. ისიც ასრე უნდა წყალშიგან ებანოს და იმავე წესითა ტანი დაიზილოს და ცოტა არმლი დააწვევინოს და უსუნოს. სანდალი, პატრა ვარდი და ქაფური სამივ ერთმანერთსა გაურივე და წყლით გალესე და თავსა და გულსა ზედა შესცხე და ცოტად ბროწეულისა წვენი და შაქარი შიგ ჩააგდე და შეასვი და მერმე ნუშისა ზეთი და იის ზეთი და ძმარი გაურივე და შეასვი.

დ. ც ხ რ ო რ ო მ ე შ ე შ ი ნ ე ბ ი ს ა დ ა ნ ა ლ უ ლ ი ს ა გ ა ნ. და ემართების. წამალი მისი: აფთიმონისა მათუხი უნდა მისცე ამ წესითა რომე მოგახსენეთ, თუ სიცივისა დრო იყოს ყალიაებისა, მუფარები და საჭმელი მომსუქნო, ყალიაები და ხუზისა გულშაქარები და მოდულელებული ისპანახები თბილითა წყლითა უნდა მიცემა და აბანოს ბანება და რა აბანოთ გამოვიდეს, ჯულაბსა უნდა მიცემა ღვინითა.

ე. ც ხ რ ო რ ო მ ე ლ [ს ა გ ო ნ ე ბ ე ლ ი ს ა გ ა ნ შ ე ი ქ ნ ა ს]. წამალი მისი: აფთი[მონისა მა]თუხსა მისცემდე საჭმელი თიკანი 10 მომსუქნო და სასმელი ¹ ჯულაბი და მესამესა დღესა აბანოი და უშუელოს.

ვ. ც ხ რ ო რ ო მ ე ს ი ც ხ ი ს ა გ ა ნ წ ა ე კ ი დ ო ს. წამალი მისი ესე არის: აიღე ვარდის წყალი, ვარდის ზეთი, ცოტა ძმარი ესე გააცივე ყინულითა და თავსა ტლე შეუქენ. მას უკანის აბანოს ებანოს და რაი აბანოთ გამოვიდეს ცოტა იისა ზეთი გააცხელოს და მით ტანი დაიზილოს და ხელიცა გაიხსნას. მას უკანის სიქანგუბინშიგა პური ჩაყაროს და ჭამოს უშველის ღთითა.

ზ. ც ხ რ ო რ ო მ ე მ თ უ ა რ ი ა ნ ს ა ღ ა მ ე ს ა გ ა რ ე წ ო ლ ი თ ა წ ა ე კ ი დ ო ს. მისი ნიშანი ესე იყოს, ხუელითა და სურდოთა 20 იყოს. წამალი მისი: აბანოს ებანოს და გულის პირი თბილითა წყლითა დაიბანოს და მანდილი აბანოთა დაასოვლოს და თავზედა შემოიკრას. და რაი აბანოთ გამოვიდეს ვარდის წყალი, ნიახურის წუენი და ცოტა ძმარი ერთმანერთსა გაურივე და ორი მუტყალი ვარდისა ზეთი იმაშიგა გალესე და იმით ერთო[ბილი ტანი დაიზილოს]. ².

და საჭამადი ნუშისა ზეთითა, ანუ ქათამი შეაქნევიონ ვაშლის წუენითა და უშუელის.

წ. ც ხ რ ო ნ ა მ ე ტ ნ ა ვ ი ს ს ი ც ი ვ ი ს ა დ ა ც ი ვ ი ს ა წ ყ ლ ი ს ა გ ა ნ რ ო მ ე წ ა ე კ ი დ ო ს. მისი ნიშანი ესე არის იმა ცხროს

თბილად დახუროს და რაი გახურდეს უკუეყაროს.

30 წ ა მ ა ლ ი მ ი ს ი. აიღე: შავი ჰალილა შუიდი მარცუალო, წითელი ჩამიჩი ოცი მუტყალი, ბასბასა ხუთი მუტყალი, წყლითა ადულე რომე ნახევარზედა მოიყაროს და მერმე წითელი შაქარი გამოწურე და შეასუი ცხელცხელი და მუდმად ცხელსა წყალსა ასმევდე. მუნამდის, რომე არწყიოს და თუ არ არწყიოს თაფლწყალი ასუი თბილი და თბილითა წყლითა. ტანი დაიბანოს და უშუელის.

¹ დედანში სწერია „სახელი“ — შეცდომაა.

² აშიაზე დედნის ხელით სწერია „მეცხრამეტე სათუალავის ორივე ერთად ყავით“.

118.

თ. ც ხ რ ო რ ო მ ე ს ი მ ს ი ვ ნ ი ს ა გ ა ნ დ ა თ ი თ ი ს ტ კ ი ვ ი ლ ი ს ა გ ა ნ წ ა ე კ ი დ ე ბ ი ს. მისი ნიშანი თითი უსივდეს და თუ თეთრად იყოს, სიგრილისაგან იყოს.

წ ა მ ა ლ ი მ ი ს ი: ბაბუნაჯი, აქლილმლექი, ყაისუმი და ფუდნა წყლით ადულე კარგად რომე ძალი გამოვიდეს და კაცი შიგა ჩასუი და ერ[თობილი ტანი იმით დაიზილოს და მეორეს დღესა ა ბ ი ყ უ ყ ი ა ააღებინე შვიდი მარცუალი და ანუ აბი შაბიარი. და თუ თითისა სიმსივნე წითელი იყოს, სისხლისაგან არის, ხელი, ყიფალი გაუხსენ და კოტოში მოჰკიდე.]

ი. ც ხ რ ო რ ო მ ე დ ა კ ო დ ი ს ა დ ა ც ე მ ი ს ა გ ა ნ წ ა ე კ ი დ ე ბ ი ს: წამალი მისი უსული შარაბი შეასვი სამ დღესა ათ ათი მიტყალი. და თუ დაკოდილობისაგან სისხლი სდენიყოს ბევრი მაშინ ხელის გახსნა არ უნდა. თუ სისხლი არა სდენოდეს მას ხელი გაუხსენ, ტანშიგა შეყრილი იქნების, და მწვანვილი რომე კარგი სული უდიოდეს საგებელზედა მოიყაროს.

და მისი საჭმელი თუ იშოვნებოდეს კაკბის ხორცი, ან გნოლი და ან ხოხობი კარგად მოხარშონ, ან წვენი ახურიტონ.

ი ა. ვ ი ს ც ა ს ი მ ა შ უ რ ა ლ ი ს ა დ ა მ ი ჭ ი რ ვ ე ბ ი ს ა გ ა ნ. ც ხ რ ო დ ა ე მ ა რ თ ო ს. მისი ნიშანი ეს არის ღამით ყოველი ტანი 20 სტკიოდეს.

მ ი ს ი წ ა მ ა ლ ი: ეს არის რომე, ნელთბილსა აბანოსა შიგა ჩაჯდეს და ნელთბილი წყალი ზედა დაისხას და ტანი წყალშიგან დააზელინოს და რა გამოვიდეს იის ზეთი და ვარდის წყალი და ცოტა ძმარი გაურივეთ და ყოველსა ტანსა შეიციზე და გაცივებული ჯულაბი და სიქანგუბინი შეასვი და საჭმელი შემწვარი ვარია და ახალი თევზი მიეც. და თუ ამ ცხროსაგან ცოტა დარჩეს წამალი იმავე აბანოთი ქენ რო მოგვიხსენებია ¹.

ი ბ. ც ხ რ ო ს ი ს ხ ლ ი ს ა. მისი ნიშანი ეს იყოს რომე თვალისა ქუთუთონი გამობერვით იყუნენ და თვალნი გაუწითლდენ, სა-
30 ფეთქელნი და საფეთქელთა ძარღუნი სავსედ იყუნენ, და ტანი მისი მსუქანსა ჰგვანდეს, მძიმედ იყოს და თავი სტკიოდეს და სიცხე დიდი იყოს ტანშიგა და ტანი მისი ჰგვანდეს აბანოთ გამოსულსა და რა მაჯა ნახოთ მისი სავსედ და ძალიანად იყოს და სცემდეს, და ფსელი მისი წითელი იყოს და ცეცხლის ფერად ელვიდეს და სიცხე არ გაეყაროს და მისი სიცხე ცეცხლივით იყოს, ამისთვის რომე

სისხლი გულსა და ღვიძლსა შიგა უფრო იყოს, მისთვის რომე, რა
ადუღდების სისხლი ფილუტსა და მკერდსა გაუხურვებს ამისთვის
ქვიან ამა ცხროსა ს უ ნ ა ხ ო ზ ი. ერთი ნიშანი ესე იყოს ამა ცხროსი
რომე სიცხე არც დღისით და არც ღამით არ გაეყაროს.

წ ა მ ლ ე ბ ი მ ი ს ი ა ს ე დ ა ვ ი წ ყ ო თ: თუ იყოს ამა ცხროსა
უფალი ძალად მოწიფული იყოს კაცი და სისხლისა დენასა დაჩვეულ
იყოს და გაზაფხული იყოს ხელი გაუხსენ და სისხლი ძრიელად ვა-
დინოთ და თუ კაცისა დღენი და ჟამნი და ჩვეულება ერთმანერთსა
არა ჰგვანდეს და კაცი მოდღევენებულიყოს მაშინ კოტომითა თავსა
10 და ქედსა ზედა ვადინოთ სისხლი. ესე გასახსხელი ესრე შევექნათ.
ავიღოთ ხიარ შამბარი წონა ხუთისა დრამისა, ზანჯაფილი წონა
დრამისა ოცდაათისა, ყშტი ათი, ქლიავი ათი ესე ასრევე შევაგზოთ
რომე ოროლი ნაწილი წავიდეს და გავსწუროთ და შევასვათ და ქე-
რის წყალიცა. და თუ მუცელი დიდად ხმელი იყოს, ანუ ქერისა
წყალშიგა ბროწეულის წვენი მწარისა და სიქანგუბინი შაქრითა
შექნილი.

და საჭმელად იყოს თათმი და ოსპი გაქურცუნილი ამა ყუელა-
შიგან ურთოთ ფშატი და ქლიავი და ზიბზი უკურკო და ესე შევექ-
ნათ ნუშისა ზეთითა ანუ ქუნჯიტისა ზეთითა და გაუხსნიდენ მუ-
20 ცელსა ყოველთა დღეთა ხიარ შამბარითა და თარან გუბინითა და
ფშატითა და ქლიავითა.

თუ სისხლი მხურვალი იყოს და შიგა ნავლელი დიდი ერიოს
მას საჭამადნი მჟავენი დააცხრობენ და ნავლელსა კვერცხის გულსა,
ვასვათ ქლიავისა წვენი, ინდოურისა დანაკის კუდისა ¹.

თუ სისხლი უფრო იყოს ვასვათ ხვართქლის წვენი და თუ არა
შეულბეს ამითა შევექნათ შაფი ფანიდითა ან თაფლითა და ბავრუ-
კითა და მარილითა და საჯდომელსა მივსცეთ. და თუ წაეკიდოს
თავისა ტკივილი და ხველა ვასხათ თავსა ზედა ესე წყალი, რომელ-
სა ვიტყვი: ვარდი ხმელი და ბაბუნაჯი ხატმი და ია ხმელი და ქე-
30 რი გაქურცუნილი. შევაგზოთ ესე ყუელა და ამისი წყალი ერთხელი
თავსა ვასხათ და თუ ღამით არ დაემინებოდეს ამა წყალშიგა ჩაუ-
რიოთ ხაშხაშის ქერქი და ყურდევის თესლი. თუ არ დაუცხრეს
ამითა ტკივილი დედაკაცი დავსწველოთ თავსა ზედა რომელსა ქალი
სწოვდეს. და თუ სნეული უსუსურად იყოს თხათა რძე დავაწველოთ
და დაუცხრეს ტკივილი თავისა დავსცხოთ ესე წყალი რომე გვით-
ქუამს და ცხვირთა უსხით იისა ზეთი და ლელოფრისა ზეთი.

¹ სწერია „დანასყიდისა“.

ესე წამალი მას უშველის ვისცა ტკივილი სიმხურვალისა და
სიხმისაგან იყოს, და სინოტივე იყოს თავსა შიგან, ვაკრძალოთ წყა-
ლი და ცხვირთა საწოთბელი თვარე არას უშველის და უფრო მო-
უმატებს ტკივილსა. იცოდი სიმხურვალისა და სიხმელისა რომელი

არის და ან სინოტივისა მით შევიტყოთ ესრე უკეთ, თავისა ტკივილსა თანა სიმძიმე იყოს მაშინ სინოტივისა ორთქლისაგან არის და თუ კულა თავის ტკივილსა თანა სიმსუბუქე იყოს მაშინ სიმხურვალისა და სიხმისა ორთქლისაგან არის:

- ამისთვის არის წყლისა სხმა და ცხვირთა სხმა და რძისა და-
10 წველა. და შუბლსა დავდვათ ესე ლადიმელდი შექნილი ხატმითა და იითა ხმელითა და ქერის ფქვილითა. თუ ია ნედლი იყოს იგი სჯობს. ესე ყუელა დავნაყოთ და წყლითა შევსვაროთ გრილითა და შუბლსა შემოვსდვათ. და თუ ორთქლი დიდი იყოს, მაშინ ზეთის ცხებასა ვაკმაროთ თავისასა და დავსცხოთ ესე წამალი თავსა და ფერხთა, რომე ზემოთ გვიხსენებია, რომე ფერხთა სხმა თავდადმა სალმობასა ქვემო ჩამოიყუანს. თუ არ ჩამოვიდეს თავდადმა და ტკივილმან არ დაუშვას მაშინ მკლავისა სადრეკნი წინანი და წვივნი კოჭთა ჩაწურვით ხელთა და ფერხთანნი შეუხვიენით მჩურითა წმინდითა და ყუერნიცა შეუხვიენით, და უწინ თავსა ვასხათ ძმარი ცხარი და ვარ-
20 დის ზეთი და ისრიმისა წვენი არა ადუღებული. ესე ყუელა ერთგან შერეული იყოს, და დაუყუდებს თავის ტკივილსა ავილოთ: ბაკლა თალმაკა და აყირო ნედლი და ბაზრაცატუნი და დავნაყოთ იის ზეთითა, ან ტკბილის აყიროს ზეთითა გაურიოს და თავსა ზედა დავსდვათ და ან ძეწნისა სულნელითა ფურცელი დავნაყოთ და ბაზრაცატუნი და იის ზეთი ურიოთ და თავსა ზედა დავასხათ და შუბლსა ვსცხოთ. სანდალი და ვარდი წითელი და ან ხარბუზაკისა წყლითა შეზელილი, ანუ ვარდისათა.

- თუ უძილობა წაეკიდოს ღამით ვსცხოთ ყრდელის ფურცელი: და აყირო ერთგან შევაგბოთ და თუ დავნაყოთ ყრდელის ფურცელი
30 და ხაშხაშის ფურცელი და ქერის ფქვილი და ხატმი და მცირედი ნინოფარის ზეთი, ამისგან ზოგი თავზედა დავსდვათ და შუბლსა და პირსა. და თუ შიგნითა მსხვიპელისა სახე რამე გამოესხას იგუბოს აყიროსა წყალი, ან ხარბუზაკისა ან ბაზრაცატუნი და ბროწეულის მჟავის წყალი.

სხვა მისი წამალი ესე არის: პირველად ვირე ავად გახდებოდეს მკლავი გაუხსენ და ბევრი სისხლი ადინენ და თუ ავად იყოს. სხეული კოტოში მოჰკიდონ და სისხლი გამოუშვან და თუ სისხლისა გამოშვებაშიგან გასუსტდეს, პური, ტყემლისა და ბროწეულის წვენ-

შიგან აჭამე და სისხლისა გამოშვებაშიგან. და სასმელად უნაბისა. შარბათი მიეც და საჭმელი წესისად, და გუნება შეკურით [თუ] იყოს ხილთა წყლითა გაულბეთ მუცელი და ანუ ტკბილისა და მჟავისა ბროწეულისა წყალი ტაბაშირითა ¹ მიეც და უშველის კარგად.

- მ ა ს ა რ ჩ უ ბ ე ბ რ ძ ა ნ ე ბ ს: ვითა მისი წამალი ეს არის, რომე ქერის წყალი შეასვა და ტკბილის ბროწეულის წყალი შეასვი ნიადაგ და გუნებასა ² რბილად შეინახავს. და თუ სნეულმან სისხლი ვერ გამოუშვას გახსნითა, მას ტაბაშირის ყურსი მიეც და ეშველების ამ ნიშნითა: ა ი ღ ე: ტაბაშირი სამი დრამი, თოხმაქან ხუთი დრამი
10 აყიროს თესლი ექუსი დრამის წონა, კიტრის თესლი ოთხი დრამი, სამყი არაბი სამი დრამი, ნიშასტაგი სამი დრამი, მასტაკი ხუთი დრამი, დანაყე და გაცერ და გაურივე და ყურსები შექენ და ჩრდილ-

ში გაახმე, რომე გინდეს სამი დრამი მიეც. და საჭმელად მისსა ბროწეული და ოსპი და ალატროსა მუზაფარი მიეც, გუნება შეკურნით [თუ] იყოს, ქლიავის მუზაფარი მიეც და უშველოს.

ფოლოსო ს ბ რ ძ ა ნ ე ბ ს: მას ესე უნდა კარგი საჭმელი და სისხლი გამოუშუა კარგია და მშუელელი, და ცივი წყალი ასუი ვირემ ათროლოდეს და ფერი გამოუცვალდეს, ცხელება გაცივდეს და დაწყნარდეს. საქმე გამოცდილია, ვისცა ცხრო სჭირდეს ნუ დახნიან, 20 რომე ცივი წყალი შეასუა. და თუ ესე ცხრო რომე სუნახოსი ჰქუიან სტომაქისა მლიერისაგან წაეკიდოს და ან ღუხმლისა მლიერისაგან, მართებს რომ მან ფარეზად შეინახოს ბევრსა ცივსა წყლისაგა.

ს ა ქ ი ბ რ ძ ა ნ ე ბ ს: ამა მიზეზთა ვითა ამა ცხროსა წამალი ისი არის, რომე სისხლი გამოუშუას, ვირე დაბნდებოდეს. ესე მშუელელი არის. და წამალი, რომე ყოველი ფერი ცხრო სისხლისაგან იყოს, და თუ გუნება შეკრვით იყოს ხილთა წყლითა გაარბილოს, ლბილი უყნა შეუდვას, ქერისა წყალითა და ზანჯაბილი ტკბილისა და მჟავისა ბროწეულისა წყალი ნიადაგ მიეც და რაიცა საჭმელი მისცე თბილად და ადრე მიეც და თბილითა ზეთებითა თავი შეუძ- 30 წენ და უშუელოს.

თუ ამაცხროსა შიგან ცხურისა სისხლმან დაუწყოს დენა, ზემოდ აგუიწერია მისი წამალი, სადა ტაბასტა და ცხურითა სისხლისა დენისა წამლები სწერია.

ერთი ცხურითა დენისა წამალი ესე არის, ავილოთ: ლოფორთქინასკბუდე და დავწუათ და ლები და ქაფური თანა დავნაყოთ და ვარდის წყლითა და ძმრითა შევზილოთ და შუბლსა ვსცხოთ, სისხლსა დასწყუეტს.

¹ სწერია „ტაფაშირითა“.

² სწერია „გონებასა“.

და თუ გულისა ძგერა დაემართოს ამა ცხროს შიგან, რომე სისხლისაგან იყოს ასრე ვაკურნოთ, ავილოთ სამჭედლოსა ღომლისაგან ნაცარი და ხატმი და სანდალი და ნედლისა აყიროსა ქერქი და ქერისა ფქული, ესე ყუელა დავნაყოთ და ბალაკთალმაკა და ვარდის წყლითა შევსუაროთ ან ძმრითა დავსდვათ სტომაქსა ზედა. ავილოთ სანდალი, წითელი და თეთრი ვარდი და ხატმი და ქერისა ფქული და ბალაკთალმაკაი ესე ყუელა დავნაყოთ და ვარდისა წყლითა შევსვაროთ და დავსდვათ სტომაქსა. და თუ სახლსა რომელსა სნეული წვეს, ვაზის ფურცელი მოკრიფეთ და ძეწისა ფურ- 10 ცელი სურნელი და დიდროანებითა ჭურჭლითა წყალი დაუდგით სნეულსა წინა ვითა ტაშტებითა და გობებითა და ამისთანას მსგავსებითა სავსე იყოს. და ვარდი და აყირო მოვფინოთ სახლსა შინა და თოვლი რომე გააგრილოს სახლი, წაილოს სიმხურვალე, დაავსებს სიმხურვალესა.

როდეს სტომაქსა ესე ლდიმედი შევსდვათ ბაკალ-თალამეკა დავნაყოთ და სტომაქსა დავსდვათ ან ხავსი დავსდვათ, ან ნედლი აყირო დანაყილი, ან ბაზარყატუნის ფურცელი და ხარბუზაკი და ან კიტრი დანაყილი.

თუ ყანის მსხვიპელი გამოესხას ან სიშავე, ან სიმჭირე იყოს

20 ავიღოთ ბიისა გურკა ან ბაზარყატუნი დავალბოთ წყლითა მისი ლაბა გამოვიღოთ და იის ზეთი ჩაურთოთ მასთანა და ყანასა ზედა ვადრიყოთ სელისა მჩვრითა რომე გამოვიდეს იგი სიშავე, და გამოი-
ბანოს პირი ვარდისა წყლითა და იისა ზეთითა. თუ მოინდომოს
საჭმელი მივსცეთ დილეულად სიგრილისა ჟამსა და ვაჭამოთ აყირო
და ჭაკუნტელი და თათმი და თუ ვერ შემძლებელ იყოს ჭამასა ვას-
ვათ ქერის ხალი ან დიკისა გარცხილისა წყალი მარილითა მრავალ-
ჯერ და მერმე დაუფშუნათ პური და შევასვათ ვითა წყალი გრილი
და შაქარი ჩაურთოთ თანა.

30 თუ სნეულსა თვალნი წაუვიდოდა და დაუბნელდებოდეს და რა
გაეღვიძოს და გარდაიქცეს და გარდმოიქცეს და მუცელი გაებეროს
ასე რომე ხელიდაღმა ტიკისა ხმასავით გამოისმოდეს, და იყოს მუცე-
ლი მისი გრილი და არა დასცხრეს იმ გაბერვისაგან, ცან, ვითა იგი
სნეული არა დარჩების და უფრო ხოლო თუ ტანსა შიგა ლები გა-
მოჩნდეს მაშინ ხელსა ნუ მიჰყოფთ და ნურცა სწამლობ.

თუ ამან ცხრომან შეიპყრას გასივდების რასმე მიზეზითა, რო-
მელი სისხლისაგან გასივებულ იყოს, ჯერ არს რათა დაულობოთ
მუცელი ძაღლის ყურძენასა წყლითა და ხიარშამბარითა და თარან-
ჯუბინითა ფშატის წყლითა, და შევასვათ ქერის წყალი და ბრო-

წეული შაჰნარი და მწუხრსა ბაზარყატუნი ბროწეულისა წყლითა
შევასვათ.

კურნება ამის სიმსივნისა და ჰქვიან მ ა შ რ ა, წითელი არის
და ტანში გავალს. და ცეცხლი უწინა ვსცხოთ გასივებულსა ადგილ-
სა, რომე არს მაშრა კუივითა და სანდალი წითელი და თიხა ბერძ-
ული და ზაფრანა გავადგინოთ ქინძისა წყლითა, ძაღლის ყურძენას,
წყლითა ან ვარდის წყლითა და უკანასა ვსცხოთ მსივანსა. საბრი და
ზაფრანი ქინძის წყლითა გადგენილი ან კალნაბისა წყლითა. და ვა-
ჭამოთ ოსპი გაქურცნილი, წყლითა შემგბარი და აყირო ერთოს

10 თანა. თუ ძარღვი გაუხსნათ სალმობასა უწინა რომე შეექნებოდეს
ერგების და დააცხროს ნებითა ლ~თისათა.

ოგ. ც ხ რ ო ზ ა ფ რ ი ს ა რ ო მ ე ლ ს ა ქ ვ ი ა ნ დ ი ბ ი. მისი ნი-
შანი ესე არის ერთსა დღესა მოუვიდეს და მეორესა არა, იმას ფიცხლა
გასახსნელი წამალი მისცეს, ზაფრისა ცხელეება ადრე უკუჰყაროს ¹,
ეგების კიდეცა არწყევინოს წყურვილი ნამეტნავად იყოს, თვალისა
თეთრი გაუყვითლდეს და ნალულიანად იყოს ამის პატრონი. და რაი
ესე ცხრო ზაფრისაგან შეიქნების ამით ნიშნითა შეიტყუეთ, ესე
ზაფრა ანუ დალპების შიგნით ძარღუთა, ანუ გარეგნით. თუ გარემგ-
ნით დალპების მაშინ მოუვა ესე ცხრო ერთობ სიცივითა და ბურმგ-

20 ლი ასტყდეს. ამისგან [თუ შიგნით ძარღუთა დამჰალიყოს მაშინ მო-
ვიდეს უმიზეზოთ და ბურმგლი არა ასტყდეს ამისგან] მეტად რომე
ერთსა დღესა მოვიდეს და ერთსა დღესა არა. და არს ესე ცხრო
ნამეტნავად მხურვალი და ხმელი და მწველი, გავს ცეცხლსა, ². რო-
დეს გამოვა გარეთ ასტყეს ბურმგლსა. ესე ცხრო იქნების რომე
კუერცხის გულსა არწყევინებდეს და დაყოფს ესე ცხრო ჟამსა თორმეტ-
სა გუამს შინა კაცისასა და მოუვა ესე ცხრო შუიდეჯერ, და იქნების
ესეცა რომე თოთხმეტსა მოუვიდეს და იყოს მწოვედ მწყურვალი,

და მწოვედ ცხლად იყოს, და მწოვედ თავი სტკიოდეს, და საუბარი არ მოუნდებოდეს, და არცა მოუნდებოდეს საჭამადი, და არცა დაე-
30 ძინებოდეს და თავი სუბუქად ედგას და ზოგჯერ ხელნი და ფერხნი გაუცივდებიან ამისთვისა რომე სიცხე შიგნით მოექცევის და გაშავდების. ჟამსა ოფლი გამოვა დიდი, და ფსელი იყოს ცეცხლისა მსგავსი და მაჯაში მისი იყოს მოსულამდე ცოტა და რა მოვიდეს უკან და უკან გაძლიერდეს და სცემდეს მალედ და ესე ცხრო უფრო

¹ ამ ორ სიტყვას ვარიანტიდან ვსტოვებთ — უფრო სწორია, ტექსტში სწერია „ადვილად შეყაროს“.

² ეს სიტყვაც ვარიანტისაა — ტექსტში სწერია „ცხროსა“.

124

დაემართების ახალ მოწიფულობისა ჟამსა დღეთა ზაფხულისათა და ვინ იყოს სიმხურვალისა ბუნებათა, ანუ შეექნების ესე ცხრო ვის შეწყენით ყოფა გაუგრძელდეს და ან საჭამადისა მხურვალისაგან ესე არის მიზეზი ამის ცხროსა რომელი გვითქვამს და ესევე ცხრო კვერცხის გულისა ნაღვლისაგან იქნების. და ამა ცხროსა შიშით და კრძალვით ვჰკურნოთ, წამლითა გრილებითა და გამხსნელითა. და არამცა მხურვალი რამე გიქნია წამალი, თვარე სტომაქსა შინა სიმსივნე დაუვარდების და კაცი ანაზდად მოკუდების. მოიჭირვეთ რამე არ გაუგრძელდეს ესე ცხრო თვარემ ამას მრავალი სენი მოჰყვების.

10 წ ა მ ა ლ ი მ ი ს ი: ასე უნდა რომე მუცელი დაუღბოთ ქლიავისა წყლითა, ძრმითა, დოთა, ხიარშამბარითა. და ანუ დავნაყოთ ია ხმელი დავასხათ წყალი ზედა გამოწურვილი თარანგუბინისა. ცხროს გაშვებასა უკანის ყვითლისა ალილასა წვენი ამა წესითა, აიღე: ყვითელი ალილა გურკისაგან გამოწმენდილი დამბალი და მოდუღებული ხუთი დრამი და დიდსა კაცსა ათი დრამი, და თუ დანაყოი, გაცრილი მისცე ორი დრამი და დიდსა კაცსა სამი დრამი და რომელსა დღესა მოვიდოდეს ცხრო მას დღესა ნუ მისცემთ გასახსნელსა წამალსა. და რა შეუღბოთ მუცელი რომელსა დღესა მოვიდოდეს ცხრო, მას დღესა ვასვემდეთ ქერის წყალსა და ბროწეუ-
20 ლისა წყალსა და ქლიავის წყალსა. და როდეს ცხრომან გაუშვას მაშინ შევასვათ წამალი გასახსნელი ანუ ღამით ანუ დღისით.

და თუ არა უნდოდეს ქერისა წყლისა სმა, მაშინ შევასვათ აყიროს წყალი, იმავე ქერისა ხასიათი აქუს. და ცხროსა მოსულისა ჟამსა კაცი მშიერად უნდა იყოს და რა ცხრომან გაუშვას, მაშინ ვაჭამოთ ვარია ტყემლით შექნილი და ანუ თაბრიჰინდითა. და სამარხოდ ვაჭამოთ თათმი და აყირო, ესეცა მუცელსა შეუღბობს და დააწყნარებს სიმხურვალესა.

ცხროსა მოსულასა უწინ ვასვათ ქერის წყალი. აყიროს წყალი და ზენაარ რომელსა დღესა ცხრო მოუვიდოდეს მას დღესა ნურას
30 აჰმევთ, და სტომაქი ცარიელი დავახვედროთ საგამადისაგან.

და თუ ქშინვა დაერთოს, მაშინ დაუფშვენ ჰური ხალვითა და მოვაყაროთ შაქარი, დავასხათ ზედა წყალი ცივი და ვასვათ და ვაჭამოთ და დავასხათ ზედაცა.

იცოდი რომე გულისა ძგერა და ქშენა აგებულობისაგან შეექნების რომე სტომაქი ავსებული იყოს სიმხურვალისაგან და ორთქლისაგან. ამოვა და გულსა შემოედგმების და მისგან დაემართების, ანუ.

მეტისა ცარიელობისაგან, რომე სტომაქი დაცარიელდეს, და ანუ დიდისა სისხლისა დენისაგან და ანუ ნამეტნავად მუცლისა გახსნი-

125

საგან. ანუ დიდისა ოფლისაგან, ანუ დიდისა ტკივილისაგან, ანუ ანაზდად ტანის შეხვებულობისა ცვალებისაგან, ანუ აბანოდად მან სიცივეშიგან გამოვიდეს, ანუ სიცივეშიგან აბანოში შევიდეს.

ამის გულისა ძგერისა და ქშენის წამალი ესე არის, უწინ გა- შინჯეთ თუ რისგან არის. თუ ცარიელობისაგან იყოს ავავსოთ სტო- მაქი და დაუყენოს გულის ძგერა და ქშენა, და თუ რწყევისაგან იყოს და ანუ გახსნას, მაშინ უნდა რწყევა და გახსნა.

და თუ იყოს სტომაქსა შინა ავსებულობა ანუ შემოკრებულობა ვნახოთ. თუ სტომაქსა შინა იყოს ავსებულობა მაშინ ვკურნოთ
20 სარწყეველითა წამლითა. და თუ წელთა შინა იყოს, მაშინ გასახსნე- ლითა წამლითა ვკურნოთ რბილითა. და თუ ტანსა ყუელგან იყოს მაშინ საშუალითა წამლითა გასახსნელითა ვკურნოთ.

აწე ნიშანი მოგახსენოთ და დაგიწეროთ. თუ სტომაქი ავსე- ბული იყოს ანუ შეკრული იყოს მისი ნიშანი ესე იყოს: ანუ შემოკ- რებილ იყოს თვალთა წინა საცერივითა მიეშვიროს და მწარესა აზო- ყინებდეს და არწყევინებდეს და გული უძგერდებოდეს, და სტომაქ- სა შიგან ტკივილი გამოუჩნდებოდეს და თავის წინა კერძო სტკიო- დეს და წვენი წელთა შიგან იყოს. მისი ნიშანი ამა ნიშნითა შეიტყევე მუცელსა შიგან, და მისგან უძგერდეს გული, მუცელსა შინა სიმძიმე
20 იყოს და ქარი, გაბერვა და ჭყვირილი მუცლისა.

თუ ავსებულობა ტანსა ყოველგან იყოს, მისი ნიშანი ესე იყო რომე არ ასტკივდებოდეს ტანი ყუელგან და ელეწებოდეს წელი ©> იყოს ტკივილი სახსართა.

წ ა მ ა ლ ი მ ი ს ი: თუ გულისა ძგერა სტომაქისა ავსებულობი- სა და შემოკრებულობისაგან იყოს ასრე ვკურნოთ. უწინ შევქნათ სარწყეველი წამალი და გასვათ ქერის წყლითა და სიქანგუბინითა, თოხმაქანის წყლითა და აყიროს წყლითა ცხელითა შევასვათ და ძუი- მელი ვაჭამოთ და აყირო ტყემლითა. ანუ თოხმაქანისა წყალი ცერე- ცოს წყალთანა ცხელი შევასვათ და მცირედი მარილი ჩაურთოთ და
30 შევასვათ ცხელი და ვარწყევინოთ. და თუ იყოს მუცლისა და ტანი- სა ავსებულობისაგან ესრეთ გავწმინდოთ. ავიღოთ ხვართქლა ნედლი, დავნაყოთ და გავსწუროთ ლიტრისა მესამედი და ჩაურთოთ სამი დრამი ია დანაყილი და გაცრილი და შევასვათ. ანუ ქლიავისა წყა- ლი და ხიარშამზარი და თამრიჰინდი და თარანგუბინი. ესე ასრე ვქნათ, ვისაც უწინა ცხრო მოუვიდეს და თუ გაუგრძელდეს ესე ცხრო მას უკანის აფსინთისა წყალი. და თუ გინდეს გაწმენდა კვერ- ცხის გულისა ნაღვლისაგან ანუ წელთა და ღვიძლისა, მასუკანის რო-

126

მე ცხრო მოაკლდეს ვასუათ ყუითელი ალილა თარანგუბინის თანა და ქლიავის წყალსა თანა და ამათი მსგავსი.

თუ მოინდომოს ქვემო წელთა განწმენდა აიღე ერთი მჯიღვი ქერი დანაყილი და ქერქ გაყრევილებული და გაცრცვილი და ერთი

მჯიღვი სიფისტონი და ხუთის დრამის წონა ხატმი და სამისა დრამისა წონა ია ხმელი და ერთი მჯიღვი ფშატი. ესე ყუელა ქოთანსა ჩაყარე და ოთხი ლიტრა წყალი დაასხით, ამდონი ადულეთ რომე ერთსა ლიტრასა ზედა მოიყაროს მერმე გავსწუროთ. და აიღეთ ხუთი დრამი შაქარი გაურივეთ და ოყნითა ჩავასხათ უკანის კარსა 10 ხუთის დრამის წონა, ხუთის დრამის წონა იის ზეთი და ერთის დრამის წონა ზავრუკი და ათი დრამი შაქარი ესეც ამაში გაურივეთ და უკანით მიეცით.

თუ ამით წაეკიდების რომე ანუ დიდი, დიდი რწყევა დამართებოდეს, ანუ დიდისა ოფლისა დენითა, ანუ დიდითა გახსნილობითა ამაღ რომე იმა ცხროსა შიგა ესე რომე გვითქუამს მას უფრო დაემართების.

აწე აქიმსა ეს მართებს, რომე უწინ რწყევისა წამალი უყოს, რწყევა დააწყნაროს, წამალი რომე რწყევას დააწყნარებს ვასვათ-ფშატის წვენი მარტივისა ანუ მჟავისა ბროწეულის წვენი დავსცხოთ 20 ტანსა, და სტომაქსა ისრიმისა წვენი ანუ თურინჯისა გული ანუ ფუსტუკისა ტყავი, რომე ქერქისა გარეგნით არის და ვასვათ ალვა და მასტაქი ვაშლის წვნითა და ვასვათ თურინჯისა წყალი და ვასვათ ალარდენისა ხალი და ვაშლის ხალი. და ტლე შემოვსდვათ სტომაქსა ამით წამალთა, აიღე: მურტი ხმელი და ვაშლი და დავნაყოთ და გავცრათ. სხვა ტლე. ავილოთ: გოგირდი ¹ დაფქული ხუთის დრამის წონა, ზაფრანი ორი დანგი, უდი და ცოტა ქაფური, ვარდის წყლითა შევხილეთ და სტომაქსა შემოვსდევით და თუ იყოს გულის ძგერა დიდის ოფლისაგან, ასრე უკურნოთ აწე რომე ვიტყვით.

აწე ეს მოგახსენოთ რომელი წამალი უკურნებს ოფლსა რომელი 30 სდიოდეს ამა ცხროსა შინა. ასრე უქნათ პირველად რბილითა მანდილითა ტანი გაუწმინდოთ. მერმე ანუ მურტისა ზეთი და ანუ ვარდისა ზეთი ვსცხოთ ტანსა და ეს უკუაყენებს ოფლსა ბრძანებითა ღთისათა,

სხვა საცხებელი რომე სცხოს ტანსა და უკუაყენებს ოფლსა. აიღე ბია და ვაშლი თვითოსაგან ლიტრა ნახევარი, ვარდი ხმელი ლიტრისა მესამედი დავასხათ ზედა ხუთი ლიტრა წყალი და შევდ-

¹ სწერია „ვირდი“

გათ ცეცხლსა და ვადულოთ მანამდისინ რომე, ორსა ლიტრაზედან მოიყაროს მერმე გავსწუროთ და ვარდის ზეთი დავასხათ ზედა ნახევარ ლიტრა, წყნარად ცეცხლთან ვადულოთ, ვირემდი წყალი წავიდეს და ზეთი დარჩეს და მერმე გავსწუროთ და ჭიქის ჭურჭელთა ჩავასხათ და შევინახოთ და როდეს მოგვინდეს ტანსა ვსცხოთ ყოველგან და ოფლსა უკუაყენებს ღთითა. დავაწვ ინოთ სნეული გრილსა ადგილსა და წინა წყალი დაუდგათ გობებითა და გარეშემო ძეწნისა ფურცელი მოვჭვინოთ და ვარდის ფურცელი, ვაშლისა და სხლის ფურცელი გარე მოვაყაროთ და საგებელთაო ზედა მოვაყა- 10 როთ. და თუ უკანა დაემართოს მაშინ ერთი დრამი ტაბაშირი ვარდის წყლითა, ღვალოს თესლი ძმრითა შექნილი ისრიმის წვეწითა ¹ ანუ ბიის წვეწითა შევახვათ და ვაჭამოთ ქერის ხალი და კრკო ჩა-

ურთოთ დანაყილი და ვაჭამოთ ღვალო და ჭაკუნტალი მოხარშული და კუპოტად ცომი გამომცხვარი და ანუ მჟავის ბროწეულისა თანა მოხარშულა და ანუ ალარდენს თანა მოსარჩელი.

და თუ ნავღელი ერთობ ყვით ელი იყოს მიშინ ოყნა ამღები-ნოთ ამა წესითა: ავილოო კრავისა ენა და გამოვ წუროთ მისი წყალი და ორი კვერცხის გული ჩაურთოთ და დავასხათ ზედა ხუთის დრამის წონა ვარდის ზეთი და ჩავასხათ უკანასა კარსა ² ამა სნეულსა.

20 შემოვდვათ ესე ტლე: მოვილოთ ბიისა ყვავილი და ანუ სხლისა ყუავილი ანუ სედნელისა ყუავილი, ძეწნისა ყუავილი, ჩაურთოთ თანა ცოტა ზაფრანა და ცოტა ქაფური და სტომაქსა შემოვდვათ.

და საჭმელი ვაჭამოთ ოსპისაგან გაქურცუნილი და მოხალული-საგან, მოხარშული ივოს ალარდენითა ანუ ბროწეულისა წყლითა. მოვილოთ ფშატის ფქვილი დანაყილი, ვაშლის წვენითა შეეასვათ, მოხარშული თუთუბო ვაშლის წვენითა.

და თუ იყოს ტკივილი და ხსნილობა წელშიგან აიღე მოხალული ბაზრაცატუნი ორის დრამისა წონი და თიხა ბერძული და ალარდენი მოხალული და მურტისა მარცვალი, ამათგანი ორო-
30 ლისა დრამისა წონა და ხატმისა თესლი, ნიშასტაგი ³ და გომიზი არაბი, ამათგანი თვითოსა დრამისა წონი დანაყეთ და გაცერით და შევასვათ სნეულსა წყლითა ცივითა. ამითა ოყნა ჩა ვასხათ სნეულსა. თუ ხსნილობასა თანა სისხლი ჰყვებოდეს აიღე: ქერი დანაყილი და გაცრილი, ქერქისგან გარჩეული ერთი შჯიღვი და კრავის ენა მისივე ზომა და ქოთანსა ჩასდევით და ოთხი ლიტრა წყალი დავას-

¹ აქ სრულიად უადგილოთ არის ჩასმული „ტაბაშირია: ყური: ძმარისა“

² სწერია „კაცსა“

³ სწერია „ნიშიშტა“

ხათ და ასთონი ვადულოთ რომე ერთ დრამად მოიყაროს, გამოვს-წუროთ და ესე წამალნი თანა ჩაურთოთ. ავილოთ ქალაღი დამ-წვარი და თიხა ბერძული და მალუზენი, სპეტი და აყიყა და ვარდი დანაყილი, ამაყუელასაგან წონა თვითოს დრამისა დანაყილი და გაცრილი და ჩაურთოთ თანა კვერცხისა გული ესე ყუელა ჩავასხათ უკანასა კარსა ოყნითა.

[თუ] შვიდსა დღესა უწინა დაემართების საშიში არის და თუ შვიდსა დღესა უკანით დაემართების სიყვითლე უფრო უზიანო არის, ამისი ნიშანი ეს არის რომე იარაყნისა კარშიგან სწერია.

10 ამა ცხროსა ზედა თუ დაემართოს იმისი წამალი ესე არის რომე ესე ცხრო ნამეტნავად მხურვალი არის, და თუ ამა ცხროშია მხურვალსა რასმე ჭამა მისთვისვე გამოჩნდების ნესტუსა შუა ღვიძლსა გაუხურვებს. ნესტვი შეიკურის სავალი ნაღვლისა მით დაემართების.

მისი წამალი ეს არის უწინ ვასვათ ქონდრის წყლითა ანუ ქლიავის წყლითა, ანუ თაბლიჰინდისა წყლითა სქანჯუბინითა გარეული ანუ აყიროსა წყლითა და ვაჭამოთ საზამთროსა გული. და თუ მუცელი შეკურით იყოს ვასვათ ქაშუმისა წყლითა, დაულბოთ მუცელი ანუ ძალისა ყურძენისა წყლითა ანუ ხიარ შამბარითა. თუ წაეკი-

20 დოს რწყევა და მუცელი შეკურით იყოს ქლიავისა წყალი ვასვათ და

თამრი ჰინდისა ნახევარ დრამისს წონითა ¹ ღვიძლსა და სტომაქსა ესე ტლე შემოვსდვათ ავილოთ აყირო და დაუნაყოთ და ჩაურთოთ ქერის ფქვილი და სანდალი შევქნათ ტლედ და შემოვსდვათ ღვიძლსა ანუ ავილოთ თოხმაქანი დავნაყოთ და შევსვაროთ ძმრითა და შევასვათ. ღვიძლსა და სტომაქსა, ანუ ძაღლის ყურძენა ამავე წესითა შემოვდვათ. თუ ტლე რომე დავსწერეთ [არ იყოს] ავილოთ სანდალი თეთრი და სანდალი წითელი და ჩაურთოთ ქერის ფქვილი და ცოტა ზაფრანი და გავადნოთ ვარდისა ზეთი ცვილსა თანა და გაურიოთ ვარდისა წყალი და შემოვსდვათ ღვიძლსა და სტომაქსა.

30 [თუ] იარაყანი გამოაჩნდეს სნეულსა ამისთანა როგორცა ცხრო უკუეყაროს აგრე შევასვათ ქუშტისა წყალი ანუ ძაღლისა ყურძენას წყალი ასე რომე ურთოს საბრი და ცოტა ზაფრანა ამათგან თვითოსაგან ოროლი დანგი და შევასვათ. და მერმე ავილოთ ვარდის წყალი და მისი ზომა ძმარი გაურიოთ, სხეული მითა იოლვიდეს თვალთა ანუ თავლწყლითა.

სხვა წამალი რომელი ერგების ამას ცხროსა შინა რომელსა ფერი გაუყვითლდეს, ავილოთ აბჯარასა გამოწურვილი წონა დრა-

¹ აქ სრულიად უადგილოთ ზის „ლუქითა“

მისა და ზაფრანა წონა დრამისა სამისა და ტაბაშირი ოთხი დრამი, ვარდი წითელი ხუთის დრამისა წონი, კამისა და ნიახურის თესლი წონა ოროლის დრამისა და საღებავისა გული გაქურცუნილი სამის დრამისა წონი და ნესვისა თესლი გაქურცუნილი სამის დრამისა წონი და თოხმაქანისა თესლი სამის დრამისა წონა, დავნაყოთ ეს წამალნი გავსცრათ და ბოლოკისა ფურცლისა წყლითა შევზილოთ და კვერებათ დავქნათ და ჩრდილსა შიგან გავახმოთ და შევასვათ ნახევრისა კამის წყლითა და სიქანჯუბინითა.

და რა გაუშვას მან ცხრომან ვაჭამოთ ვარია და დურაჯი იხ-
10 რიმიტა შექნილი, მჟავისა ბროწეულის წყლითა და ნიახურის წყლითა და ნესვის თესლი თორხოლოს კვერცხის გულთა თანა და მარმიუზი ვახურიტოთ.

ამიც ცხროსა გაშვების უკანის თუ სიყვითლე დარჩეს, უწინ
ბასალიკისა მარღვი გაუხსენით მარჯვენის ხელისა და ესე მათბუხი
ვასვათ: აილე ალილა ყვითელი გურკისაგან გაწმენდილი ათის დრა-
მისა წონა და ალილა შავი თვითოსა დრამისა წონა და შაჰთარა წონა
დრამისა ოთხისა და ხიარშამბარი გაწმენდილი წონა დრამისა სამისა,
ნიახურისა და კამის ძირის ქერქი შვიდის დრამისა წონი, ანისონი
ორის დრამის წონა, ჩამიჩი გარჩეული გურკისაგან ათის დრა-
20 მისა წონა და აბჯარა სამის დრამისა წონი, დავასხათ ზედა წყალი
სამი ლიტრა და აბჯარა ლაფადისა ვადულოთ მანამდის რომე ერთსა
ლიტრასა ზედა მოიყაროს გავსწუროთ და ერთისა დრამისა წონა და
ნახევარისა იარაჯფეყრა გაურიოთ და შევასვათ თბილი, ფარეზისა
ერთსა დღესა წინათ და ერთსა უკანით. და თუ არა წავიდე სი-
ყვითლე შევასვათ სვილი ამა ნიშნითა, აილე: თხის რძე ახლად მო-
წველილი და აილე იარაჯ ფიყრა წონა დრამისა ექუსისა და ყვითე-

ლი ალილა ხუთის დრამისა წონა, ოთხი დრამი აფთიმონი და ნავ-
თისა მარილი, სამისა დრამისა წონა, შავი ალილა ოთხის დრამისა
წონა, ნიახურის თესლი და კამის თესლი და ანისონი თვითოსაგან
30 სამსამისა დრამისა წონი და ყუსტის თესლი ექუსის დრამის წონა,
ღარიყუნი ¹ და საყმუნია სამის დრამის წონა დავნაყოთ და გავსც-
რათ და ბოლოკის ფურცელის წყლით გავადგინოთ და ვქნათ და
ჩრდილში გავახხოთ და ამისგან ორის დრამის წონა შევასვათ თხა-
თა რძითა ახლად მოწველილითა. ასრე უნდა რომე ხაჭოდ შექნას,
იმის წვენს სვილი ჰქვიან იმით უნდა შესმა.

და თუ სნეული მხურვალი იყოს სტომაქსა შინა ნუ შეასვამ
ამას, მარცვალსა და ესე სიქანგუბინი შეასვი რომე აწე ვსწეროთ,

¹ სწერია „ლარყნი“

130

ავილოთ: თხის რძე ორი ლიტრა და ქოთნითა ცეცხლთა ჩავდგათ
და ორჯელ ანუ სამჯერ ავადულოთ და ოცდაოთხი მიტყალი სიქან-
გუბინი ჩაურივოთ და კიდევ ავადულოთ და უკმოვდგათ და ჭიქის
კულითა ვარდის წყალი ჩავდგათ ქოთანსა შიგა ამაღ რომე გაუგრი-
ლებს ის რძესა შედგეს და გამოვილოთ ის წყალი და სხვასა ქოთან-
სა ჩავასხათ და ორი დრამი მარილი გაურივოთ და პერული მოვხა-
დოთ და ავილოთ მისგან, ორი ლიტრა შაქარი ჩაურთოთ შიგა ვა-
სვემდეთ ზედაზედა და ერგოს თუ ღ~თსა უნდეს. სხვა სიყვითლის
წამალი იარაყნისა კარშიგა მონახე, იქ სწერია. აბანოც მარგე არის.

10 იდ. ცხრო შავის ნალულისა, რომელ არს სევდა. ესე ცხრო
ერთსა დღესა მოუვა და ორსა დღესა გაუშვებს, ამა ცხროსა სპარ-
სულად თაბი ჩარუმ ჰქვიან, ნიშანი ესე იყოს, ერთსა დღესა მოუვა
და ორსა გაუშვებს და მეოთხესა დღესა კიდევ მოუვა, ამა ცხროებსა
შიგა ამის უარესი ცხრო არ არის. თუ მარღუთა შიგა დამაგრდეს
და დაძველდეს ძნელად გამოიღების. ესე ცხრო ეგების ორსა წელი-
წადსაცა არ გაეყაროს, იქნების ერთსა წელიწადსა გაგრძელდენ.
და თუ ერთობ კარგათ უწამლონ ნახევარ წლამდის მიჰყუების.

მისი წამალი ეს არის რომე, აფთიმონისა მათბუხსა მისცემდენ
და მუდამად აბანოსა იბანებდეს, მაჭარსა სმიდეს ანუ ღვინოსა და
20 ამოიღებდეს. და ყოველთა დღეთა საღამომდის ფარეზობა უნდა და
საღამოსა მომსუქნოსა საჭმელსა უნდა ჭამა. თუ მათბუხი ვერა შესვას
სხვა გასახსნელი წამალი მიეც. ასრე რომე სევდა გამოიღოს. ყოველ-
თა დღეთა გულანგუბინსა სუემდეს მასტაქითა. თუ ზამთარი იყოს
მუდმად ყურსი ალთეთი მისცემდი და მუფარეხსა და უშველის. და
მხურვალსა მაჯუნსა მისცემდი.

თუ გაზაფხული იყოს ანუ შემოდგომა, სარატანასა ¹ მათბუხი
მიეცი ამ ნიშნითა. იცოდი კობორჩხალი ერთი დედალია და ერთი
მამალი. დედლისა ნიშანი ესე არის რომე ზურგი ნემსითა მოუჩხუ-
ლიტე, რომელსა რძე გამოუვა დედალია და რომელსა სისხლი გა-
30 მოუვა მამალი იქნების, ისი დედალი უნდა მისი ფეხები დასჭარ და
მერმე შუაში დაჭარ და მარილწყლითა გარეცხ. მერმე მარილწყლისაგან
ამოიღე და კოჭობსა შიგა ჩაყარე და ზედა ღვინო დაასხი და ანუ,
მარილწყალივე და პირი დაუგლისე და ასთონი ერთი ადუღეთ რო-

მე დადნეს, მერმე უკმოიღე და პირი მოხადე და განელე და ნახე რაიცა სიმსუქნე მოეგდოს ისი მოხადე და სხუა გასხი და ისი სიმსუქნე და ქონიანი ღუინითა შეასუი. მისითა წესითა შუიდსა დღესა

¹ სარატანისა.

შეასუი დილეულად, და ვარდისა ზეთი და ვარდისა წყალი და ძმარი ერთმანერთშიგა გაურივე და გულის პირსა შესცხებდი და ეშუელოს ღთითა.

ესე ცხრო მუდამ ერთსა ჟამსა მოუვა, და თუ იქციოს ისი ჟამი და სხუასა ჟამსა მოუვა გაშუების ნიშანია.

არს ესე ცხრო რიზი: ნიშანი ამის ცხროსა; შეექნების ესე ცხრო შავისა ნავდულისაგან, ანუ მისგან როდეს სისხლი და ყუითელი ნავდელი და ბალღამი დაიწყნენ და შავად ნავდულად-შექნენ. მისგან იქნების ესე ცხრო, რომელ ერთსა დღესა მოუვი-
10 დოდეს, ორსა გაუშუებს და მეოთხესა ისევე ¹ მოუვა. და იცოდი რა ესე ცხრო იქნებოდეს ², უწინა სცან შემლილნი ცხრონი მოუვლენ და ოთხისა დღისა ცხრო გამოუჩნდების. უწინა სიცივითა არა იყოს და ესე ცხრო მწოვედ დასტანჯავს ტანსა, სადამდის არა გახურდეს ცხრო. და დაჰყოფს ესე ცხრო ტანსა შინა ოცდა ოთხსა ჟამსა.

და თუ შექნილ იყოს ესე ცხრო ყუითლისა ნავდლისა დამწვრისაგან, მაშინ ოცდაოთხსა ჟამსა უმცრო დაყოფს ტანსა შიგან. და-
თუ იყოს ბალღმისა დამწუარისაგან მაშინ უფრო გრძლად დაყოფს. და იყოს ამა ცხროსა შიგა ფსელი თეთრი და მწოვედ ცხელი. თუ
20 იყოს მარტოდ შავისა ნავდლისაგან. იყოს ფსელი თეთრი და წმინდა. და თუ სისხლისა დამწურისაგან იყოს, ფსელი წითელი იყოს. და თუ იყოს ყუითლისა ნავდლისაგან დამწუარისა, ფსელი ყუითელი იყოს და რად გაგრძელდეს ესე ცხრო ფსელი გაწითლდეს. და რა ცხრო გაშუებას ლამობდეს ფსელი გაუყვითლდეს ³ და იყოს ძარღუისა ფეთქა-
მნელად ⁴ და სუსტად. და ესე შავისა ნავდულისა ნიშანი არს. და როგორცა გაგრძელდეს ცხრო, გასხუდეს ძარღუისა ცემა, მისი ნიშანია, რომე გაგრძელდეს ცხრო, და ტანისა, შეშლა და გახურდეს. ცხრო და გაუმაგრდეს ღუიძლი და გაუდიდდეს და ფერი გაუშავდეს ვითა ტყუივა და განავალი გაუშავდეს და ოფლი არა დია სდიოდეს.

30 და უფრო დაემართების ესე ცხრო შუა კაცობისა ჟამსა და ვინ იყოს მუდამ ცივსა ადგილსა და ვინ ზროხისა ხორცსა და თევზსა და კალნაბსა მუდამ ჭამდეს, ამათგან შეექნების ესე ცხრო და განმრთელდების. ესე ცხრო ზამთრის შეექნების და ზაფხულის გაუშუებს. ერთობ მნელი ცხრო არის, ორ წლამდის მიყვების.

¹ ვარიანტში „კიდევ“.

² ვარიანტში „შექნებოდეს“.

³ ვარიანტში „გაშავდეს“.

⁴ ვარიანტში „წურილად“.

სხუა ნიშანი ამის ცხროსა რ ი ბ ი ს ა რომელსა ჰქვიან, თაბი ჩარუმი რომე ერთსა დღესა მოუვა და ორსა გაუშუებს და მეოთხესა კიდევე მოუვა. ესე ცხრო ს ი ს ხ ლ ი ს ა, ზ ა ფ რ ი ს ა, და ს ე ვ დ ი ს ა გ ა ნ და ბ ა ლ დ მ ი ს ა გ ა ნ დამწუარისაგან იქნების.

ნიშანი მისი ცალკე ცალკე გასწავლოთ: თუ ეს ცხრო კაცს ჩვიდმეტისაგან უმცრო და სისხლისა დიდისა უფალი და გაზაფხული იყოს, და ამას მშეოთხისა დღისა ცხრო დაემართოს თაბ ჩარუმი და ფსელი წითელი იყოს და ძარლუთა ფეთქა სავსედ იყოს და ძალიანად, იცოდი რომე სისხლითა დამწუარისაგან არის.

10 თუ შეიპყრას ამან ცხრომან, თაბი ჩარუმმან და კაცი ახლად მოწიფული იყოს და შუა ზაფხული იყოს, და ფსელი ყუითელი იყოს და ძარლუთა ფეთქა წურილად და ჩქარად იყოს, იცოდი რომე ზ ა ფ რ ი ს ა გ ა ნ არის ცხრო.

და თუ იყოს კაცი მოყრილი და ცივთა ადგილთა მყოფი და შემოდგომანი იყუნენ, მაშინ იცოდით რომე, ბალდმისა დამწვარისაგან არის და ვსწამლოთ მას რადცა ჯერ იყოს ბრძანებითა ღ თისათა.

წამალი მისი რომე ს ი ს ხ ლ ი ს ა დამწუარისაგან შექნილ იყოს ესე ცხრო, ასრე ვაკურნოთ. უწინა ვასუათ ქერისა წყალი, სიქანგუბინითა კამის წყალი და ვარდის კაჭაჭისა წყალი და ანუ ნიახურისა
20 წყალი შევასუათ და ბასალიკი გაუხსნათ მარცხენისა ხელისა. ესე მაშინ ვქნათ როდეს ცხრო მობერებულ იყოს და მას უკანის ესე მათბუხი შევასუათ, რომელსა ვიტყუით:

ა ი დ ე: ყუითელი ალილა და შავი ალილა ამათგანი წონი თუითოსაგან ცხრა დრამი გურკისაგან გამოწმედილი, ნიახურის ძირისა და კამის ძირისა ქერქი წონა დრამისა ოცოცისა, მოვადულოთ ესე ყუელაი შევასუათ ერთი ლიტრა ბაღდადური. და საჭმელი შეუწყოთ თათმი და მაშა. და თუ გაგრძელდეს ცხრო საჭამადსა მოუკლოთ და ვაფარეხებინოთ.

თუ შეექნას ესე. ცხრო თ ა ბ ი ჩ ა რ უ მ ი რომელ არს რიბი
30 ზაფრისა დამწუარისაგან არს ასრე უკურნოთ: უწინა შევასუათ ქერის წყალი და სიქანგუბინითა ანუ ტკბილისა ბროწეულისა წყალი და მჟავისაგა სიქანგუბინისა თანა, და წყალი კამისა და თამრინდისა, ამა წყლისაგან თითო თასი შევასუათ. და რად ცხროსა მოსულისა ჟამი იყოს უბრძანე სნეულსა შესუას თბილი წყლითა სიქანგუბინი და არწყიოს და შეუღბოთ მუცელი იარი ფეყირათა¹ და თამრინდითა, ამისთვის რომე ცხრო არა გაგრძელდეს შევასვათ, ესე მათბუხი:

¹ ვარიანტში „ხიარშამბართა“

ა ი დ ე: ალილა ყუითელი და ალილა შავი გამორჩეული გურკისაგან წონა დრამისა შუიდ შუიდისა და თამრინდი წონი დრამისა ათისა, ხიარშამბარი წონა დრამისა შუიდისა ქლიავი და ფშტი თუითო მჯიდი, მოუხარშოთ ეს ყუელა და ვწუროთ და შევასვათ. და ჭამდეს ხილსა, ბროწეულსა ტკბილსა და ნესუსა და თუ უნდოდეს ამითა ოყნა ავადებინოთ: ა ი დ ე: ბაბუნაჯი ასაქ და ქატო და ია ხმელი და ხუირხუინ ჩოფისა თესლი ერთი მჯიდი შევკრიბნეთ ესე და ზედა წყალი დავასხათ მოვადულოთ და გაურიოთ და

ქუნჯითისა ზეთი ურთოთ ათისა დრამისა წონი და ოყნა ჩავასხათ.
10 თუ წაეკიდოს თავისა ტკივილი ვგასხმიდეთ თავსა ბაბუნაჯისა წყალსა, იისა და ქერისა წყალსა დაეთხოვეოს ¹.

თუ დაემართოს უძილობა და ვერა დაიძინებდეს, მაშინ ხაშ-
ხაშისა ქერქი და ყრდელისა თესლი მოვხარშოთ და თავსა ვასხათ ²
და ვასუათ ჯულაბი და სიქანგუბინი შაქრითა შექნილი.

და თუ წაეკიდოს რწყევა ესე წამალი უყოთ, რომე პირველად
ზემო რწყევისათვის დაგვიწერია და არა უყოთ ამა ცხროშიგან მხუ-
რვალი წამალი და არცა დიდი გასახსნელი [წამალი] მივსცეთ. უკურ-
ნოთ რწყევითა და შეუნახოთ თავით ფერხამდი ღუიძლი და ტყირპი
და თავსა უწინა სიქანგუბინითა უწამლოთ და ბოლოსა ³ ამა აკრა-
20 სითა რომელსა ვიტყუით.

ნი შ ა ნ ი ა კ რ ა ს ი ს ა, რომელ ერგების ღუიძლსა და ტყირბ-
სა და ამა ცხროსა რიბსა, რომელი შეექნების ყუითლის ნავღულისა-
გან დამწურისა. შევასუათ ესე ოცით დრამისაგან. უკანის, ავიღოთ
გამოწურვილი ღაფთისა ათის დრამისა წონა და ლისკულოფნადრო-
ნი და ლაქი თვითოსა მისგან წონი დრამისა ოთხოთხისა და რევან-
დი წონი დრამისა ოთხისა და ხიარშამბარი წონი დრამისა ხუთისა
და ნესუსის თესლი და ფარფიონისა ⁴ თესლი წონი დრამისა შუიდ-
შუიდისა და სუმბული წონი დრამისა ოთხისა, კამთსა თესლი ხუთი
დრამი, ზაფრანა ხუთისა დრამისა წონა და აბალაბანი წონი დრა-
30 მისა ოთხი დავნაყნეთ ⁵ ესე ყუელანი და შევზილნეთ ნიახურისა.
წყლითა და კუერად დავქნათ და შევასუათ სიქანგუბინითა. და ნუცა ვა-
რიასა და ნუცა დურაჯსა ნუ ვაჭმევთ. მესამესა კუირამდის. და თუ
ძალიანად იყოს სხეული რასთონცა იმარხავს, მოაკლდების ამა

⁴ სწერია „ფალფინისა“.

¹ ვარიანტში „და ერგოს“.

³ ვარიანტში „შუბლსა“.

² ვარიანტში აქ ჩამატებულია „და ცხვირსა ჩავაწვეთოთ იისა ზეთი“.

⁵ ვარიანტში „და ვნახნეთ“.

ცხროსა, და სამსა კუირასა უკანით ვაჭამოთ დურაჯი და ვარია და
ორმოცსა დღესა უკანით ვაჭამოთ სხუა ხორცი და ამა აკრასსა პი-
რველად ნუ ვასუამთ, რომე პირველად ცხრო დაიწყებს, და ამის-
თუს რომე აკრასი რაჟამს ცხრომან გაუშუას მაშინ უნდა შესუმა,
რა ჟამს ცხრო მობერებულ იყოს, მაშინ უნდა შეუასუათ. და თუ უწი-
ნა შეასუამთ ცხრო გაუგრძელდების.

და თუ იყოს ესე ცხრო ბ ა ლ დ მ ი ს ა დ ა მ წ უ ა რ ი ს ა გ ა ნ,
ასრე ვკურნოთ: ავიღოთ ნიახურისა და კამისა წყალი ნახევარ
ლიტრისა წონა, და უწინა ვაჭამოთ ათისა დრამისა წონი ვარდისა
10 მწნილი და მერმე შევასუათ ესე წამალი და მუცელი მითა გავუხსნათ:
ავიღოთ ნახევარ ლიტრა ხუართქლას წყალი, ხუთისა დრამისა წონი
ქურქუნჩობისა თესლისა გული და ათის დრამისა წონი შაქარი, ესე
შევასუათ. და ამითა ოყნა ავადებინოთ ნიშანი ოყნასი: ავიღოთ შუ-
იდი ლედუი და კუროს თავი რომელ არს ასაქ ერთი უკია, და უკია
და ნახევარი ქატო და ამისი ზომა ბაბუნაჯი და ნახევარ უკია ცერე-
ცო, ორი უკი კორდმანაჲ დანაყილი, ჩავყაროთ ესე ყუელაჲ ქო-

თანსა შიგან და დავასხათ წყალი ხუთი ლიტრა და ვადულოთ მანამდის სადამდი ერთ ლიტრად მოიყრებოდეს გავწუროთ და ავილოთ მისგან ნახევარი ლიტრა, და ოცი დრამი ქუნჯითისა ზეთი დავას-
20 ხათ და ათისა დრამისა წონა შაქარი გაურიევით და ერთისა დრამისა წონი მარილი და ერთად შეკრიბნეთ ყუელანი, თბილთბილი ოჯ-
ნა ავაღებინოთ.

და ვაჭამოთ ხუართქლა შექნილი და ერვინდი და ჩამიჩი გურკისაგან გამორჩეული და ქუნჯითისა ზეთი ანუ ერვინდისა ხალი ¹ ბერძულითა ზეთითა, თუ ესე არა იყოს ჭაკუნტლისა ფურცელი და მისი ძირი ამა წესითა ვაჭამოთ და მათი მგზავსი და ვარწყევინოთ ცხროსა მოსულისა ჟამსა.

და შევასუათ თბილი წყალი რომე შიგა ცერეცო მოდუღებული იყოს და თაფლი გაურიოთ, და რომელსა დღესა ცხრო მოუვიდო-
30 დეს მას დღესა ნურარას ჭამს ვიდე არ უკუ უშუას ცხრომან, და როგორაცა გამოვიდეს ოცი დღე ესე მათბუხი ვასუათ. ნ ი შ ა ნ ი მათ ბუხისა: ა ი ღ ე: ნიახურისა თესლი და ანისუნისა და კორდმანა თუ-
ითოსაგან ხუთი დრამი და ნახევარი, და ნანხუა წონი დრამისა ოთხისა და ველური [ქონდარი შვიდი] ² დრამი და შუქა სამისა დრამისა წონი და ლაფთი შუიდი დრამი და წყლისა პიტნა ხუთი დრამი და ჩამიჩი გურკისაგან გამოღებული ათი დრამი, ავადულოთ ეს ყუე-

¹ ვარიანტში „გული“.

² აღდგენილია ვარიანტის მიხედვით.

ლაი სამითა ლიტრითა წყლითა ვიდრემ დარჩეს ერთი ლიტრა მერმე გავწუროთ და შევასუათ მისგან ნახევარი ლიტრა და ჭამოს მარილიანი. მას უკანის თევზი ორი ლიტრა, და თუ მოსწყურდეს დასთმოს და არა სუას წყალი, ჟამამდი, ვიდრემდის არწყევდეს. რად არწყიოს მერმე თბილი წყალი შესვას და მას დღესა ნურას ჭამს. და თუ გაუძნელდეს ესე ცხრო, შევასუათ ესე წამალი, რომელსა ვიტყუით. ნ ი შ ა ნ ი ამისა წამლისა რომე ერგების ამა ცხროსა რა-
ჟამს გაგრძელდეს და დამწიფდეს ესე ცხრო მაშინ ავილოთ ნანხუა ¹ ათი დრამი და ნიახურისა თესლი შუიდი დრამი, პილპილი ორი
10 დრამი, ზანჯაბილი ოთხი დრამი, უდი ხუთი დრამი, წყლის ტენცო ორი დრამი, სალიხა ათი დრამი, ანისონი შვიდი დრამი, [სუმბული შვიდი დრამი] და შევკრიბნეთ ესე წამალნი ერთად და დავნაყნეთ გავცრნეთ, შევზილნეთ, ამათითა ორის ზომისა თაფლითა, პერულ მოხდილითა და ვასუემდეთ ამისგან ყოველთა დღეთა კამისა და ნიახურისა ძირისა წყლითა, თუითოსა დრამისა წონითა. და ვასუათ ესეცა მარცუალი რომელსა ვიტყვით. ნიშანი ამისი მარცულისა:
ა ი ღ ე: აფთიმონი ათი დრამი და ნანხუა რვა დრამი და ანისონისა თესლი, კამისა და ნიახურისა ამათგანი სამსამი დრამი და ბასვაიჯი
20 დრამი და თურბუთი ათი დრამი, ინდოური მარილი ხუთი დრამი დავნაყნეთ ესე წამალნი გავსცრნეთ და შევზილნეთ მარმაუხისა წყლითა მარცულად დავექნათ და ჩრდილსა გავახმნენ და ვასვათ ამისგან ერთი დრამი და ნახევარი სადამოსა წყლითა თბილითა ცხროსა მოსულამდის შევასუათ. და რად გაგრძელდეს ცხრო და დამწიფდეს

ესე მაჯუნნი შევასუათ და მივსცეთ რომელსა ვიტყუი ა ვ ი ლ ო თ: საბრი და სუმბული წონი დრამისა ცამეტი, ზაფრანა ხუთი დრამისა და თახუის ყუერი ცხრა დრამი, აფიონი რვა დრამი ამამა ოთხი, დრამი ანისონი ათი დრამი, მთის ნიახურისა თესლი თორმეტი დრამი, ფუკალდახიონი ცხრამეტი დრამი თეთრი პილპილი ოთხი დრა-
30 მი, და შავი პილპილი ათი დრამი და ნანხუა თორმეტი დრამი, ასა-
რონი ხუთი დრამი სასალიოზი ოთხი დრამი, აკრასალ კორდმანაჲ ხუთი დრამი დავენყნეთ ესე წამალნი და გავცრნეთ და მათითა ზო-
მითა ორითა თაფლითა პერულ მოხდილითა შევზილოთ და მაჯუნათ ²
შევექნათ ამათგან "შესუმა წყლითა თბილითა ყოველთა დღეთა. ესე
მაჯუნნი ერგების ამას ცხროსა. ნიშანი აკრასისა რომე შერთვის ამა-

¹ ვარიანტში სწერია „ნამზუა“.

² ვარიანტში სწერია „მუყნად“.

136

მაჯუნსა და ჰქვიან აკრასალ-კორდმანაჲ ა ვ ი ლ ო თ; ამრიხონი ¹
ორისა დრამისა წონი და ამრიკონი და არს ესე ორივე ბაბუნა-
ჯი, ერთი წითელი არის და ერთი თეთრი და თუითოსაგან ამათ-
განისა ორორი დრამი და ასარონი და სასალიუსი [ყასბიდარა არა-
ბი, შიღანი] და ბალასნისა ღერი ამათგანი დრამი, [ქუშტი] ჰინდი ²,
ნარდინი ³ და საფრანი და მასტაქი ამათგანი ექუს ექუსი დრამი
დავენყნეთ ესე წამალნი ყუელანი დავეცრნეთ და დავზილნოთ ღვინი-
თა და კუერად დავექნათ და ჩრდილსა გავახმოთ და შეურთოთ ამა
მაჯუნსა, როგორცა ზემო მაჯუნსა შიგა სწერია.

10 სხუა წამალი ამის ცხროსა რომელი ერგების ბრძანებითა ღ~თი-
სათა. ა ვ ი ლ ო თ: ძუალი ღორისა და მჩვარსა გამოვკრათ და კაცსა
ყელსა შვევაბათ მცხროიანსა ერგების.

სხუა, ვაცისა თხისა წუერისა თმა, რომე ჯერეთ სამოვარსა
არა გასულიყოს, და მჩუარსა გამოკარ და კაცსა სათაგუესა შეაბით
მცხროიანსა ერგოს.

და უთქვამს ვისმე კაცსა მკურნალსა, ვითა კაცმან ცხროიან-
მან მისი ტანისა სამოსი დედაკაცსა მშობიარესა ტანსა ჩააცუას და
რაჟამს შობოს დედაკაცმან, იგი ტანისამოსი მაშინვე კაცმან ტანსა
ჩაიცუას გაუშუას ცხრომან.

20 და ცხრო თ ე ლ გ მ ი ს ა ვისცა სჭირდეს ა ი ლ ე: დედა ზრდი-
ლი მას მჩვარსა გამოკარ და მაცხენასა სათაგუესა ⁴ შეაბი და ერგოს
თუ მის ნაქსოვისაგან აილო და ზეთითა გაადგინო და იმა ცხროიანსა
ტანსა სცხო ერგოს ბრძანებითა ღ~თისათა.

იე. ბალღმის ცხრო რომელსა პქვიან ანა ფელეს. მისი ნი-
შანი ეს იყოს რომე რა პირველად გაცხროვოს, ერთობ ცხლად არა
იყოს და ხელფეხი სტკილდეს და ტანზედა მუდმად ცივად იყოს და
მძიმედ და სიცივე და ხურვება და ცხრო სწორად იყოს და არა
სწყურდებოდეს და ქშინვიდეს. მაჯაში სავსედ და გვიან გვიანად
30 სცემდეს და სუსტად და თეთრსა არწყევინებდეს. მას გასახსნელი
წამალი მიეც და შეუწყვათ მხურვალი და ტკბილი ასრე რომე, შიგა
გრილი არა ერიოს რა. და თუ ძალიანად იყოს, ძალიანად მიეც წამალი
თუ სუსტად იყოს, მას სუბუქი წამალი მიეც. და საჭმელი ერთის
წლისა ცხუარი და ერთისა წლისა ქათამი შეუწყე და სამსა დღესა

¹ აშიაზე სწერია დედნის ხელით „ამრიხანი და ამრიკონი ბაბუნაჯსა ქვიან“.
² ვარიანტი სწერია „აინდი“.
³ ვარიანტი სწერია „ნარინდი“.
⁴ „სათაგუე ყიფარისა ძარღვსა ქვიან“ აშიაზე სწერია მხედრულით.

სხვად ნიშანი ბალღმისა ცხროსა, ამა ცხროსა შიგა სიცივე და სიციხე სწორად იყოს, და ესე ცხროო თხელისა ბალღმისაგან იქნების ჭიქისა მსგავსისაგან.

და ვის ესე ცხრო წაეკიდოს, შიგნით ერთობ ცხლად იყოს და. გარედ ცივად, და ფსელი მისი ცოტად ცხელი იყოს და ძარღუთა ფეთქა ფრიად იყოს და ფართოდ, და სუსტი, და გუიან გუიან. და მოუვა ესე ცხრო ხან ორსა დღესა შეიპყრობს წინა უკანა, და ზოგჯერ ოთხსა დღესა წინა უკანა, ხან უფრო და ხან უმცრო.

და ზოგჯერ დაყოფს ტანშიგა ოცდაოთხსა ჟამსა და ზოგჯერ

10 ფიცხლა უკუეყრების და გაექცევის ძალსა.

ს ხ უ ა ე ც ხ რ ო ბ ა ლ ღ მ ი ს ა ვ ე. მისი ნიშანი ესე არის, რომე ზოგჯერ შეიპყრობს მეშვიდესა დღესა და ხან ყოველსა მეექუსესა დღესა და ხან ყოველსა მეათესა დღესა და ესე ცხრო შეიქნების ბალღმისაგან დამწურისა, და სქლისაგან და ამასთანა შავი ნავლეელი ერთოს ¹ მისი კურნებაცა ამა ზედათისა ცხროსა რომე გვითქუამს, ამასაცა ისი ეკურნების რომელსა ჰქვიან ანფელოს ².

კ უ რ ე ბ ა მ ი ს ი ც ხ რ ო ს ა, რომე სხუათა აშლილთა ბალღმისა ცხროთა. ამა ცხროთა კურნებაშიგან ჩუენცა ავად დავხედით, ასრე იცოდით.

20 სტომაქი რწყევითა გამოწმინდე და მას უკანით ასეთი წამალი შეასუი რომე ფსელი გაუძლიეროთ, ესე არის რომე ფსელი გაუძლიეროთ: სიქანგუბინი, კამის თესლი ნიახურისა თესლითა, ცერეცოსა თანა, და ვარწყევინოთ ჭამასა უკანის და ბოლოკისა წყალი შევასუათ ანუ წითლისა ბოლოკისა წყალი მოდუღებული ცერეცოთა და ტენცოთა და ამათითა მსგავსითა და ვარწყევინოთ და ვასუათ საბერი დამბალი წყალშიგა დღეთა მრავალთა, ანუ შევასუათ იარაჯფეყრა ერთი მიტყალი მრავალჯერ, ზოგსა კაცსა უფრო ზოგსა უმცრო და აჭმევდეთ გვარიშნსა ქმონისასა.

და ესე ოყნა ავადებინოთ. ა ვ ი ლ ო თ: კუროს თავი რომელ

30 არს ასაქი მისგან ერთი მჯილი და ტენცო ერთი მჯილი და ყანტარონი წურილი ათი დრამი ჩავყარნოთ ქოთანსა, და დავასხათ ზედა წყალი და მოვადუღოთ კარგად მერმე გავსწუროთ და ოყნა უყოთ. და საჭმელი ვაჭამოთ ზეით რომე დავსწერეთ და სამარხოდ მუხუდოქნან ნუშის ზეთითა ანუ სხუათა ზეთითა, ძუელი ³ ღუინო ვასოთ.

¹ სწერია „ესთონსა“
² სწერია „ფელოს“
³ ვარიანტი სწერია „ძნელი“

ს ხ უ ა წ ა მ ა ლ ი შეშლილთა ცხროთა. ამისი წამალი: ა ვ ი-
ლ ო თ: გულანგუბინი ათი დრამი და გავთქვიფოთ ორითა დრამითა
წყლითა და გაურთოთ თანა სამი დრამი საბრი და მასტაქი ერთი
დრამი, შევასუათ ესე დღეთა მრავალთა, ანუ შევასუათ ორჯერ,
სამჯერ იარაჯფეყრა შემარცვლებული და ერგოს ბრძანებითა ღ~თი-
სათა.

სხუაი ცხრო ბალდმისა და შავისა ნავლისა შერევისაგან იქ-
ნების, ესეცა შეშლილი ცხრო არის, ერთხელ გამოჩნდების სევდისა
ცხროსა ნიშნითა და ერთხელ გამოჩნდების ბალდმისა ცხროსა ნიშ-
10 ნითა. და არს ესე ცხრო გრძელი, შემოდგომათა შეიპყრობს და გა-
ზაფხულ გაუმშვებს, ხან გამოჩნდების შავისა ნავლისა ნიშნითა და
ერთხელ ზაფრისა ცხროსა ნიშნითა, და ერთხელ ბალდმისა ცხროსა
ნიშნითა.

წამალი მის ცხროსა თუ მარტო ბალდამი იყოს და ზაფრისა
ნიშანი არა ერთოს რა. მას ასეთი წამალი უყოთ რომე ნახევარი
მხურვალი იყოს და. ნახევარი გრილი. და თუ მასთანა ზაფრა ერთოს
მაშინ შეუღბოთ ღუართქელისა წყლითა მუცელი და თარანგუბინითა
ანუ. ქლიავისა წყლითა და ვასუათ ქერის წყალი, სიქანგუბინითა
და ბროწეულისა წყლითა და საჭმელი მისი მაშა და თათმი ნუშის
20 ზეთითა.

თუ შავი ბალდამი უფრო მეტი იყოს ზაფრისაგან, მაშინ შეუ-
ღბოთ მუცელი ასეთითა წამლითა რომე ბალდამი გამოიღოს და თა-
რანგუბინი ერთოს და მასტაქი და ვასუათ სიქანგუბინი გულანგუ-
ბინსა თანა და ვაჭამოთ თათმი და ჭაკუნტლისა ძირი და ამათი მსგა-
ვისი და ჭაკუნტელი და თუ ესე არა ერგოს ვასვათ ნიახურისა წყა-
ლი და კამისა გულანგუბინითა და ერგოს ღ~თითა.

ივ. ცხრო რომე უხარშავისა ბალდმისაგან წაეკიდების. მისი
ნიშანი ეს იყოს ესე ცხრო დღისით მოუვა და თუ ღამით, არა მიაჩნ-
დეს რა.

30 წამალი მათი ეს იყოს: ყოველი ტანი იის ზეთითა დაზილოს და
თბილითა წყლითა ჯულაბი, სიქანგუბინი გალესო გასახსნელი ოთხი
მუტყალი, ცოტა ქერის წყალი გაურვივით და მიეც შესუას, თუ იმით
არა ეშუელოს, ნიახურისა თესლი წყლითა ადუღე ასრე რომე ნახე-
ვრად მოიყაროს, სიქანგუბინშიგა ექუსი დრამი გალესოს შეასუა,
ემუელოს ღ~თითა.

იზ. ცხრო რომე შიმშილისა და წყურვილისაგან შეიქნას. მისი
წამალი: ქერის წუნენი შექნან და მხურვალითა ჯულაბითა, შეასუას
სამსა დღესა ცხელი. და სამსა დღესა გულბა შაქარი შეასუან ჯუ-

ლაბითა, მოდუღებული, იისა წყლითა გაათბონ და შეასუან. ერგე-
ბის ხოხობისა და კაკბისა ხორცისა საჭმელსა შეუწყობდნენ. ძირა,
ლიდიძი, ქარვია, კამა და თეთრი შაქარი და სანდალი ქასნისა წყლი-
თა გალესული შიგა გაურიონ კიდეცა შეასუან და კიდეცა შეიცხონ.
მისი ნიშანი ესე იყოს. თუ ზაფხული იყოს წისქვილისა რუშიგა იზა-
ნოს და თუ ზამთარი იყოს აზანოს იზანოს.

იწ. ცხრო დიყისა. პირველთა აქიმთა ესე დიყისა ცხრო გრძლა-
და თქუეს, მაგრამ ჩუენ დაგუიმოკლებია ნიშანი დიყისა ესე იყოს

ცხრო რომე მოვიდეს, არც დია მხურვალე იყოს და არცა დია ცივი
10 ტანზედა. და ტანი უმჭლდებოდეს და თმა სცუიოდეს და ფერი ზოგ-
ჯერ გაწითლდეს და ზოგჯერ გაყვითლდეს და ხორცზედა რბილად
იყოს და ფერხები დაუწურილდეს და მკლავნიცა და პირისა სახე
გამოუ-

ცვალდეს და ყურები დაუსივდეს და ცხუირის წუერი და ყელი და-
უწულდეს და თუალნი ღრმად უკუუცვინდენ და თმისა წყეერი ორად
გაყოფილიყოს. და ტანზედა დამჭლდების და მუცელშიგა რბილად
იქნების. წამალი მისი, რომე შემკრველი წამალი მისცე. და საჭმლი-
საგან მუდმად ქერის კორკოტი ვარიითა, და ბროწეულისა შარაბი-
თა, ხუთი მიტყალი სიქანგუბინი გაურიოს და ფრინველისა ხორცი
ვაშლისა წუენითა შეიწყონ, თუ გახსნამან შეასუსტოს მუყლია მიეც
20 და ეშუელოს.

სხუა წამალი მისი: პირველ ალილისა მატბუხი მიეც მას უკანა
ბროწეულისა შარაბი მიეც ასრე, რომე შარაბებშიგა მოგვიხსენებია,
ერთობ მარგე არის, სხუა: მარტო სიქანგუბინი თურინჯისა მჟავითა
ერთობ მარგე არის.

და რაცა საჭმელი ჭამოს მუშართა ¹ რომე არს ქერისა კორ-
კოტი მოხალული ისრიმისა წუენითა და თუთუბითა და კოწახურისა
წუენითა. და თუ ხორცი ინდომოს კაკაბი, გონი და ანუ დურაჯი.

და თუ ფსელი წითელი იყოს ბროწეულისა შარაბათი მიეც და
თუთუბა ანუ კოწახურისა წუენი. და თუ სიგრილე მორეოდეს და
30 მოემატოს და ფსელისა ფერი თეთრი იყოს მესამესა და მესამესა
დღესა კარგად მიეც სანჯაფილი, და ყოველთა დილათა მასტაქითა
და ანისო გნულიანგთუბაინი ჭამოს და რად ხურვება, ცხელება დას-
წყნარდეს და რიგი იქციოს, და შემწუარი ქათმისა ხორცი მიეც
ჯულაბითა. |

ით. ცხრო რომე დიდისა ღუინისაგან დაემართების. წამალი
მისი: აიღე ბროწეულისა წუენი და შიგა სიქანგუბინი გაურივე ხუთი

¹ აქ შეცდომაა უნდა იყოს „შარაბითა“

დრამი და ასმევდი, ანუ რევასისა შარაბი ვარდისა წყლითა, ქაფუ-
რი და ძმარი გაურივე და იმითა სანდალი გალესე და გულის პირ-
სა და შუბლსა სცხე და აბანოსა იბანოს, თუარემ ხელი გაიხსნას და
ემუელოს ღ~თითა.

კ. ცხრო რომე მსხმოსა და ავისა ქარისაგან დაემართების.

წამალი მისი ეს არს: გასახსნელი წამალი აღებინე, რაცა სენი იყოს
გამოიღოს, ალილასა წუენითა, და სინამაქი თაბირინდი და ხიარ-
შამბარისა გული და თარანგუბინი, ესე წამლები გასახსნელია თუი-
თოსაგან ხუთხუთი დრამი და ალილისა წუენითა შეასუას, და ნუში-
10 სა ზეთითა ტანი დაიზილოს და ხელიცა გაიხსნას.

კა. ცხრო მუტბუყი. მისი ნიშანი ესე იყოს რომე დღივ და
დღივ დნებოდეს და მუდამად აცხროვებდეს, ესე ავი ცხრო არის,
რომე სხუვისა ცხროსაგან უვარესია და მისი სიყუითლე იარაყანსა
გავს და თუალები უკუუცვინდეს და თმაცა სცუიოდეს და პირისა
სახე გამოუცვალოდეს და წუერიცა სცუიოდეს და ხელფერხი გაუწუ-

რილდეს.

წამალი მისი ესე მუდმად ბროწეულისა შარაბსა მისცემდი ამ-
ისთუის რომე მუდამ შეკრვითა შეინახოს. თუ მუცელი გაეხსნას ავი
ნიშანია. და საჭმელი ქერის წუენი მოხალულისა ქერისაგან ოთხსა
20 მიტყალსა შიგა გაურევდე და ისე მისცემდეს. ან ისრიმი, ან ტყე-
მალი ან თუთუბა ან კოწახური და თუ ხორცი ინდომოს, მფრინუ-
ლისაგან ან ხოხობი და კაკაბი შემწუარი აჭამონ.

კბ. სხუაი მუტბიცი რომე ზაფრისაგან არის. ნიშანი მისი:
რომე გუნება ¹ შეუცვალდეს და პირის სახე გაუყუითლდეს და დიდ-
ხან ავად ნამყოფსა გვანდეს. წ ა მ ა ლ ი მ ი ს ი: აიღე ბროწეულისა
წუენი და ჯულაბსა შიგა გაურივე ქერისა წუენთა ზედა, სამივე
ერთად შეასვი მის ადგილსა თავისა თავის შეინახე. და ვარდისა
წყალი, ძმარი და ქაფური შიგა გაურივე თეთრი სანდალი და გუ-
ლის პირსა და შუბლსა შესცხე. საჭმელი მისი: ბროწეულისა წუენი,
30 ტყემლისა წუენი, დანაყილი ოსპი შიგა გაურივე და აყირო და ქინ-
ძი შიგა გაურივე და ჭაკუნტლისა ფურცელი და რაჲ საჭამადი მო-
იხარშოს დანაყილი ნუში გაურიონ.

კგ. ცხრო რომე ყუავილისაგან იქნების. მისი ნიშანი ესე არის
ერთობილი ტანი ცეცხლივითა იყოს და თვალნი გაუწითლდნენ და
თავი ასტკივდეს ტანისა ქავილი დაუწყოს და წყურვილიცა დაუწყ-
ყოს და ჭკუაცა შეეცვალოს და გულშიგაცა შიში ჩავარდნოდეს. თუ
თავი სტკიოდეს კოტომში მოკიდოს ან ხელი გაიხსნას და ლიზო შა-

¹ ვარიანტში „ჭკუა“

მაბიცა ¹ შეასუას, ქაფურის ყურსიცა შეასუას და ბროწეულისა წვე-
ნი, მანამდი რომე ყუავილი გამოვიდოდეს ხილთა წყალი შირიხიმ-
ტითა და ან თაბრი ინდითა, და ჩამიჩი უნდა ჭამოს და ოსპი მო-
ადულე და შეასვი. თუ სიცივე იყოს ხურმა აჭამონ, რომე ყუავილი
ყუელა გამოსულ იყოს. მას უკანით ძრმითა მოხარშული ოსპი მისცენ,
და სასმელ საჭმელი მოგრილო, ტირიფის ფურცელსა ზედა დააწვი-
ნონ და მუდმად კამისა წუენი, და ქინძისა თუალშიგან ჩაიშოას რა
მოიხარშოს ვაჟი იყოს თუ ქალი ცოტა ვარდისა წყალი და ქაფური
შესცხონ პირსა ზედა. ვაშლი, ბე და სანდალი გუერცა დაიყაროს და
10 უშუელოს.

კდ. ცხრო ხუელისა და სურდოსა: ისი რომე მოლურჯო, მო-
შარ და ცოტად კალის ფერად იყოს, ისი ავი და მკლველი არის
მისი ნიშანი ესე.

წამალი ესე არის, გასახსნელი მიეც წამალი ყუითლისა ალი-
ლისა წუენი, გულანგუბინი ხიარშამბრისა გული, თუითოსაგან ხუთ
ხუთი დრამი გალესე და გამოწურე და ერთი დანგი მამუდა შიგა
გაურივე და შეასუი, და რაი საქმოზა დაიწყოს და მისგან
გამოვიდეს მესამესა დღესა ხელი გაუხსნან, და რაცა ტკბილი იყოს
ყუელასაგან იფარეზოს. და გახსნისა უკან ქერისა კორკოტითა ჯუ-
20 ლაბი შესუას და ხურვება უკუეყაროს. აზანოს იზანოს და რა გამო-
ვიდეს ხელი და ფერხი კიტრისა წყლითა დაიზილოს და ტირიფისა
ფურცელი და ხატმი მუდამად საგებელთა ზედა იყაროს და ვარდი-

სა ზეთითა და ნიახურის წუენითა ერთობილი ტანი დაიზილოს. სა-
ჭმელი მაშა და ახალი აყირო და ანუ ასპანახი და კუერცხისა გული
შიგა გაურიონ, თუ ემწარებოდეს ცოტა შაქარი გაურიოს და ეშუ-
ელოს ღთითა.

**კე. ნიშანი იმა ცხროსა რომე მეთერთმეტეს დღესა მოუვი-
დოდეს.** ესე ცხრო. ყოველთა მეთერთმეტეთა დღეთა [მოუვა], მისი
მიზეზი სევდისა ნივთი[სა] სისქისაგან იქნების, რომე მისისა ნიშნი-
30 სა და ზომისაგან უფრო სქელი იყოს და მაგარი. და რაზომცა ნივ-
თი სქელი იყოს ორ გუარად მოუვა მისი დამწიფება. მაგრა ყოვლი-
სა გუარისა ცხროსაგან ამ ცხროსა ნივთი უფრო არის და უფრო
სქელია და მაგარი იქნების, ამისთვის გრძლად იზიდავს და გუიან
მოუვა მისი მომწიფება. და თუ ცხრო ძლიერი იყოს, მისი ნივთი
უფროა და უფრო მოვა და თუ გუიან მოვა, მისი ნივთი ცოტა მოვა.

¹ ვარიანტში „ლიმოს შარაბიცა“

წამალი მეთერთმეტისა დღისა ცხროსა. მისი წამალი ესე არ-
ის რომე სნეულობასა წინათ მუცელი გაურბილო ამა წესითა. აიღე
ავთიმონი ორი დრამი, ოთხდრამამდი მოადულე წყლითა და ნუშის
ზეთი ანუ ქათირა გაურივე და შეასუი ორჯელ სამჯერ. თუ ცხრო
ძლიერი იყოს და მისი თრთოლა და სიცივე ცოტა იყოს, შექნას
პილპილისა მაჯუნი და რაცა მათი შეფერებულია და აჭქამე. მერმე
აიღე ბაბუნაჯი და შეითურქი წყლით მოადულე და ისი წყალი ორ-
სა ტაშტსა შიგა ჩასახი და ერთი წინა დაუდგი სნეულსა და ერთი
უკანა და დაბურე სნეულიცა და ტაშტიცა რომე მისი სითბო ში-
10 გან აორთქლდეს და გათბეს და ოფლი გამოუვა და ყოველთა მეო-
რეთა დღეთა აბანოს მივიდოდეს, მაგრა ძლიერსა, დიდსა აბანოში-
გა ნუ შევა.

ს ა კ ა ბ რ ძ ა ნ ე ბ ს: თუ ამა ცხროსა თანა ძრწოლა არა იყოს
და ცხრო ერთობ იყოს, ბასალიკისაგან სისხლი ადინე, გაუხსენ. და
თუ ამა ცხროსა თანა ტანშიგაც ცხელეზა იყოს და მოსულისა დღე-
სა პირსა ქაფი მოუვიდოდეს მიეც ანგუატისა მაჯუნი, და თუ ეგე
ნიშნები არა იყოს რომე ვსთქუით და ესე ცხრო, ცხელისა სნეულო-
ბისა ბოლოსა შეექნას მისი თათბიოი ესე არის რომე გუნება ნიადაგ
გახსნით შეინახოს ამა წამლითა რომე სევდა გაწმინდოს, და ფრთ-
20 ხილად შეინახე თავი ყოვლისა ფერისა საჭმლისაგან რომე სევდა არა
მოემატოს.

ნიშანი ყოვლისა ფერისა სნეულისა ცხროიანისა, ცოტასა ხან-
სა იწვეს და თუ დიდსა. ოთხჯამად გაიყოფის და ოთხი ნიშანი არ-
ის. და მართებს აქიმსა რომე შეიტყოს სნეულისა პირველ ჟამი და
ულონობა: ამისთვის რომე აქიმისაგან იქნების სნეულობისა შეტყობა
სიკუდილისა და სიცოცხლისა და ადრე ადგომისა და ხანგრძლად
წოლისა. სენისა, თუ რაჟამს ადუღდების და ანუ არა ადუღდების,
რომე არის თავი სნეულობისა მიზეზისა.

პ ი რ ვ ე ლ ი კ ე რ ძ ი ესე არის, რომე გუნება აეშალოს კაცსა
30 და ჯერეთ გუნებასა ვერა მოსულიყოს და არცარასა ნიშანი გამო-
ჩენილიყოს არასთანა არა მართალი.

მეორე კერძი ესე არის, რომე კაცსა გუნება გამოუცვალ-
დეს და ცხლად შეიქნას, სამ დღემდი ვერა შეიტყოს რა აქიმმა
გერცა კარულათა და ვერცა მაჯაშითა მართლად ამისთვის რომე
ჯერეთ სრულად არა გამოცხადებულა.

მესამე კერძი ესე არის, რომე მესამესა დღესა უკანით
სნეულმან შეიტყოს, რომე მისი გუნება გამოიცვალოს და სხუაფერად
შეიქნას, მერმე დაერქუას ამას მართალი სნეულობა.

143

მეოთხე კერძი ესე არის სნეულობისა, რომე სენმა მატობა
დაიწყოს, სნეულობა გაძნელდეს და გაძლიერდეს. ამისი სიკეთე და
სიკუდილი გათავებულსა მესამესა ჟამსა იქნების, სიკუდილი და სი-
ცოცხლე.

თუ სწეულისა ძალი სუსტად იყოს, მართებს აქიმსა; რომე
ასეთი წამალი და შარბათები შეუწყოს და საჭმელი რომე ძალზედა
მოიყუანოს, იმა ძალსა ესე შეუძლია, რომე სნეულობა გაათაოს. და
თუ სნეული სასიკუდილო იყოს მართებს აქიმსა, რომე უწინავე შე-
იტყოს და ადრევე გამრთელდების, შეუტყოს სნეულსა სიცოცხლე და
10 სიკუდილი, ყუელა შეიტყუას.

თუ უკანის და უკანის სხეულობა მოემატოს და დამძიმდეს
სნეული, ავი ნიშანია, და რაჟამს ნახოს აქიმმან სნეული, რომე დღივ
და დღივ სნეულობა აკლდებოდეს და კაცი უკეთა და უკეთა იყოს¹
იცოდი, რომე გათავდა მეოთხე ჟამი და კერძი და საზიანოსაგან გა-
მოვიდა.

და მე რ მე ნიშანი სნეულისა ადუღებისა და არა ადუღებისა
ესე არის, რომე ნახოს აქიმმან კარულა ფსლისა ანუ ხელთა დაბა-
ნითა [კარულა] და მით შეიტყოს პირველადვე რომე ავად გახდეს.

მესამესა დღესა და მას უკანითა ადუღებისა შეტყობა ესე არის
20 რომე, სნეულმან ტანშიგან შეიტყოს, რომე სუბუქად ვარო და ლხე-
ნითო.

ესევე მართებს აქიმსა რომე ცხროსა მოსულასა შიგან კარუ-
ლა ნახოს და შეიტყოს ავი და კარგი, სიგრძე და სიმოკლე, აგრევე
სნეულისა სიმსუბუქე და სიძნელე, ესე ნახოს აქიმმა და შეიტყოს
ჭკუვითა. რაჟამს ცხრომან გუნება იქციოს მოსულისა ჟამსა, რომე
პირველად მოსულიყოს და უფრო ადრე მოუვიდეს, იცოდი რომე
ცხრო მესამესა ჟამსა შიგა არის.

და თუ ნახო კიდევ, რომე ცხრომა მოსულისა გუნება კიდევ
იცვალოს და უფრო გუიან მოუვიდეს, იცოდი რომე ცხრო ბოლოსა
30 და მეოთხესა კერძშიგან არის, რომე დაკლებამიგა შევა.

სხუ ა ვ ე ნ ი შ ა ნ ი ც ხ რ ო ს ა. თუ აქიმმან ნახოს ცხრო რო-
მე ცოტასა ხანსა ერთსა რიგზედა დადგეს, ასრე რომე არცა უკა-
ნის მოუვიდეს, არცა უწინა და მუდამ ერთსა რიგსა ზედა დადგეს,
და არცა მეტდეს და არცა დაკლდეს, იცოდი რომე გათავებულა.

თუ ნახო სნეულისა ტანი სუბუქად არის და მოსუენებით და
მოსუენება დაწყებულიყოს, იცოდი რომე ცხრო მეოთხესა ჟამსა მი-
იწივა. გათავდა მისი ბურანი.

¹ აქ განმეორებულია: წინადადება „დღივ და დღივ სნეულობა დააკლდეს“

და თუ ამას უკანით ასეთი რამე დაემართოს, რომე ცხრომან მატებავე დაიწყოს და გაიზიდოს, გამწელებისა ნიშანია.

ა წ ე ს ი გ რ ძ ი ს ა და სიმოკლისა მოგახსენოთ, ოთხისა ჟამისა სნეულობა მოკლე არის და ხლატი და რაი სნეულობა მოკლე იქნების, ცხელება ძლიერი იქნების და მისთუის ფიცხლა ადუღდების ნივთი და ფიცხლა ჩამოეხსნას სნეულობასა.

და ისი სნეულობა რომე ხანგრძლად იყოს, მისი ხლატი სქელი და მძიმე იქნების, ამისთუის გუიან ადუღდების და გაგრძელებების სენი. აგრევე ამისთანა სნეულობა ზაფხულთა დღეთა არა გაგრძელების და ადრე ჩამოეხსნას, ამისთვის რომე, ხლატისა სიმხურვალე ბუნებისა მეშუელი არის და ადრე ადუღდების და იმა ცხროსა ისი დაცხრობს ისი სენი. და ამა სენშიგა ოფლისა ¹ დენა დაღობისა ნიშანია. ფიცხელი და მხურვალა სენი თუ ზამთრისა დროთა წაეკიდოს გუიან უშუელოს და გაგრძელებს, ამისთვის რომე ცხელებისთვის ზამთარია და ცხელებასა ცივად შეინახავს და მაგა მიზეზითა გუიან ადუღდების და სნეულობასა ძნელად ჩამოეხსნების.

და ამისი მოწამე ის არის, რომე მეოთხისა დღისა ცხრო მელ არს სევდისაგან, თუ ზაფხულის სიცხეშიგა შეექნას კაცსა, სიციხე ადრე მოხარშავს და ადრე ჩამოეხსნების.

20 და თუ შემოდგომათა და ზამთრის დაემართების მაშინ უფრო გაუგრძელებების და აქიმძან სნეულსა საჭამადი შეუწყოს, რომე ადრე გაეყაროს ცხრო. ზომით უნდა მიცემა საჭმელსა სნეულსა.

თუ სნეულმან აქიმსა არა დაუჯეროს თავისა მოღალატე იქნების და აქიმი უბრალოა. და თუ აქიმი სუსტი იყოს და თათბირი და წამლები ვერა შეატყოს ისი სენსა [კიდევ] გაახელებს.

თუ სნეულსა ასეთი რამე უთხრან რომე ეწყინოს და გულზედა შეანაწყენოს ანუ შეაშინოს, ანუ ასეთი კაცი შეიყუანოს, ან შევიდეს სნეულსა ზედა, რომე სნეულსა ეწყინოს და ძულდეს, იმისთანა მიზეზიცა სენსა ახლად დააბრუნვებს და გარევე შეაქცევს. და ამა მიზე-

30 ზითა მრავალი კაცი მოკუდების.

სნეულსა ასეთსა ნურას უამბობ რომე ეწყინოს და ნუცა ასეთსა კაცსა უჩვენებ, რომე სძულდეს. და რაცა იამებოდეს მას უჩვენებდით. და თუ სნეულისა ძალი სუსტად იყოს, ასეთი საჭმელი შეუწყევით და წამალი, რომე ძალი მისცეს.

და აქიმი მეცნიერი უნდა იყოს, და შემტყუე, რომე დახედნეს თუ ბურანი კარგი ნახოს, თქუას ვითა დარჩებისო. და თუ ბუ-

¹ ეს სიტყვა ვარიანტისაა — უფრო სწორია, დედანში სწერია „სისხლისა“.

რანი ავი იყოს თქუას თუ მოკუდებისო. სნეული თუ საჭამადსა სქელსა და მძიმესა ჭამდეს ვერა მოიქარვებს და სნეულობა გრძელი იქნების, სუბუქი საჭმელი უნდა ჭამოს. და თუ მოდნობა შეეძლოს მძიმე და სქელი საჭმელი უკეთ ძალსა მისცემს სნეულსა, უკეთ შეიძლებს.

ასრე იცოდით, რომე სნეულობა სხუა და სხუა ფერია, ამას

კარგად შეტყობა უნდა. არის ზოგი სნეულობა ერთობ ფიცხელი იქ-
ნების, და არის რომე იმისი ბურანი მესამესა და მეოთხესა დღესა
იქნების, და სხუა არის, რომე ოცდაერთსა დღესა იყოს. და ოცდა
ერთსა დღესა კაცი ერთობ დასუსტდების და ვერა შეიძლებს და მეშუ-
10 იდესა დღესა უკანით ყოველთა დღეთა ბურანი იქნების ორმოცამდი.
და რამანცა სნეულმან ორმოცი დღე გაიაროს. აქუიან მას მოკლე
სნეულობა, მას გრძელი სნეულობა ჰქუიან.

იცოდით რომე ამისთანასა სენისა ბურანითა გამრთელება არა
იქნების. მაგრა ადუღებამდის ამა სნეულის ხლატი, დია ცოტა ცო-
ტა მოაკლდების ამა სნეულისა ტანისაგან. ადვილად გამრთელდების
ღთითა.

ნიშანი ცხროსაცა და სხუისა სნეულისაცა: სი-
კუდილისა თუ მისთანა სნეულება, რომე ხანგრძლად იყოს ადუღდეს
და ოფლი გამოუვიდეს და არ გამრთელდეს და სნეულსა ძალი მო-
20 აკლდეს სიკუდილისა ნიშანი არის.

აქიმსა ასე მართებს რომ მეცნიერი იყოს და მაჯასა და ვარუ-
ლასა შეტყობაზედა [დია სცნობდეს სენსა] ¹ თუ ფიცხელია და თუ
გუიანი. ძრვასა და სიცხესა და სიგრილესა ზედა შეატყოს აქიმმან
მეცნიერობითა. აგრევე შიგნით სტომაქსა ზედა და გუერდზედა მდი-
არნი გამოვლენ და მით ნიშანი უნდა შეატყუას და სახელი დაარ-
ქუას და თქუას ამათი ხსნა ბურანითა იქნებისო.

და სხუა მრავალი სენია, იმას ბურანი არა აქუს იმას დღეგრ-
ძელსა დავარქუამთ ღთით.

იცოდეთ რომე სნეულისა შეტყობა სიგრძე და სიმოკლე ძვრა-
30 ზედა უნდა შეატყუა, ნიშანი მისი, რაჟამ სნეული ნახო და ჩქარად
იყოს და ფიცხლა ფიცხლათ იძროდეს და ბრუნევედეს და სიცხე
მწოვედ იყოს იცოდი რომა სნეულება ფიცხელი და მოკლე იყოს.

თუ სხეული გუიან იძვროდეს და წყნარად და სიცხე ცოტა
იყოს, ტანშიგა ტკივილი არა დია იყოს იცოდი რომე სნეულება
გრძელი იყოს.

მაჯაშისა ძარღუისა შეტყობისა ნიშანი. ეს იცო-
დე მაჯაში სხუილი იყოს და ფიცხლა ფიცხლა სცემდეს და სწორად

¹ ჩამატება გარიანტისაა.

იცოდე რომე სნეულება მოკლე იქნება. თუ მაჯაშისა ძარღუი წური-
ლი იყოს და გუიან გუიან სცემდეს იცოდე რომე სნეულება გუიანი
და გრძელი არის.

პირისა და ტანისა ნიშანი: ესე არის რომე თუ სნე-
ული პირველად დამჭლდეს და ხორცი დააკლდეს და პირისა ფერი
ეცუალოს წითლად ანუ ყუითლად იცოდე რომე სნეულობა მოკლე
იქნების.

და თუ სნეულისა ტანი არა დამჭლდეს და ხორცი არ დააკლ-
დეს და ფერი არა გამოეცუალოს, იცოდე რომე სნეულება გრძელი
10 იქნების.

და თუ ისი ნიშნები რომე დაგვიწერია არცა სიფიცხესა გუან-
დეს და არცა სიმოკლესა და წყნარი იყოს, იცოდი არცა მოკლე

იყოს და არცა გრძელი.

მართებს აქიძსა რომე ეს ნიშნები მართალზედა შეიტყოს და იცნას სენი ესე რომე არა დასცდეს სნეულისა წამლებსა შიგან, და სნეული არ დაზიანდეს და არა მოკუდეს.¹

33 ხორცი ² დაგდებულისა დედათა

წესი ნახეთ და რა ნახოთ ფერზედა ხან ყუითელი იყოს და ხან წითელი. და რა წესი წავიდოდეს ჭიპძან დაუწყოს ტკივილი იცოდო

¹ აქ ტექსტი წყდება. ორი გვერდი მთლიანად დაუწერელია. გადმოწერისას ალბათ აქ ფურცელი აკლდა, აქ ტექსტს აგრძელებს დედნის ხელით დაწერილი ორი შელოცვა რაც ჩვენ სქოლიოში გაგვაქვს რადგანაც ისინი კონტექსტს არ უდგებიან და შემდეგ არიან შიგ შეტანილნი.

„ჩინურისა ჯამშიგა წყალი ჩაასხი და სამი ლუკმა პური ჩააგდე და სამჯერ ჯვარი დასწერე და ეს ლოცვა შეულოცე: სახელითა ღმრთისათა, მამისა, ძისათა და სულისა წმინდისათა, ოთხშაფათ პარასკევის ძალითა და სამთა ვარსკულავთა ბძანებითა მე ვლოცავ და წმინდა გიორგი ზღუდრისა პკურნებს. სამჯერ ჯამი თავს შემოავლე და წყალი თავსა დაასხი და პური ძაღლს მიუყარე. სამჯერ უყავ და ეშველოს ღმრთითა“.

30 „კიდევ ცხროსა შელოცვა სახელითა ღმრთისათა, მამისა, ძისათა და სულისა წმინდისათა ზედა რომელი ღმრთი ზის საყდარსა დიდებისათა და აქებენ მრავალ თვალნი ქერაბინნი ღაღადებენ და იტყუიან წმინდა არს, წმინდა არს, წმინდა არს უფალი საბოთი სავსე არიან ცანი და ქვეყანა დიდებითა მისითა. ივლტოდენ ყოველნი საღმრთოანი და უკეთურებანი სახელითა მამისა ძისა და სულისა წმინდისათა. შენ ვაებით შენ ცხროვო და თავქედო განემორენით მონასა ღმრთისასა სახელით ვინც იყოს თანა არსო ზეცისა ძალთაო კაცთ მოყვარებისა შენისა კურნება გარდმოუვლინე და იხსენ ყოვლისა უკეთურისაგან, და ნუ აუფლებ მტერსა ამასა ზედა რამეთუ ქმნილი შენი და ხელთა შენთა არის, და გადიდებს შენ მამით, ძიდ და სულით წმინდითურთ აწდა მარადისი, უკუნითი უკუნისამდის ამინ.

² აქ ტექსტს ორი გვერდი აკლია და ზრძელდება ასე;

რომე საშვილესა მეტი ხორცია. წ ა მ ა ლ ი მისი ეს არის ექუსი მუტყალი დანაყილი ქერი და ქერქ შემძურალი, ერთი დრამი ზანჯაფილი, ორივე ერთად დანაყე და ძროხის ნაღველი გაურივე მიტყალი, შექენ მგურგვალი და ზედა დასცხე და მიეცი და ხელისა ბასალიკე გაუხსენ. ზირითა შეჭამადი შეუქენ. რაცა ფერი შეჭამადი ჭამოს ყუელა ზირითა ჭამოს.

თუ ბუასირი იყოს საშოსა შიგან მისი ნიშანი ეს იყოს რაკცი დაწვებოდეს საშვილე და ბოქვენნი ეტკივნოს. წ ა მ ა ლ ი მისი: ერთი უკია ძროხის ქონი, ერთი უკია ცერეცოს თესლი, ერთი უკია ნიახურის თესლი, ეს თესლები დანაყე და ქონი დაადნე და შიგ გაურივე და ნახევარ ლიტრითა მაჭრითა მოადუდე, და მაჭარი თუ არ იყოს ღვინითა, მანამდი რომე ერთ უკიად მოიყაროს, მერმე გააცივე დთ პატრუკი ქენ, შიგა დაასველე და მიეც რომე აილოს და ამა საზელულითა მუცელი დაიხილოს: შვიდი ფერია: ერთი ფერია იასამანის ზეთი, მეორე იის ზეთი, მესამე სოსნის ზეთი, მეოთხე ნილოფრის ზეთი, მეხუთე ვარდის ზეთი, მეექუსე ხატმის ზეთი, მეშვიდე, მარზანგოშის ზეთი, ერთმანერთში გაურიოს და იზელდეს მუცელსა. და ორი უკია სხვა დაიჭირე ვარდი და ია, უსუმი და მურტი, ავსანთინი, ბაბუნაჯი, ღიანმონ, ამისგან ოროლი მუტყალი ქუნჯითისა ზეთითა 20 მოადულონ და ერთსა კვირესა მზეს ქვეშე დადგი, მასუკან გამოწურე

რომე ჭამოს. და ქარიანსა საჭმლისაგან იფარეზოს და რაც ჭამოს მხურვალე და რბილი ჭამოს.

და დედაკაცსა რომ წესი გვიანად მოუვიდეს, ეს ნიშანი მსუქნის დედაკაცისა არის.

ო თ ხ ი სენი ტანშიგა იქნების სიმხურვალისაგან, და საჭმელს ბევრს სჭამდეს, სასმელს ბევრს სვემდეს, არც ხელი გაუხსნია და არც წამალი აუღია, მისთვის სენი შექნია ტანსა შიგან. ამისთვის სტომაქსა ერთხელ სიგრილე დასჭირდების და ერთხელ სიმხურვალე. ასე უნდა რომე პირველად მაჯა ნახოს აქიმმან. თუ სიმხურვალისაგან იყოს 30 და სჭარბობდეს, მუცელი გაუხსნას ალილას შარბათითა და თუ სისხლი სჭარბობდეს კოტომი მოჰკიდოს, და თუ სიგრილე სჭარბობდეს სასმელი სადაფისა წვენი ნიგუზისა ზეთითა მიეც, საჭმელი მხურვალი ¹.

¹ ამას მოსდევს ლოცვა, რომელიც ჩვენ სხოლიოში გაგვაქვს: „მისი ლოცვა და მარიამ წყაროსა იორდანისასა აწყობდა სავარცხალსა ოქროსასა, ქსოვდა ქსელსა მოწეულისასა, და გაუტყდა სავარცხელი ოქროსა და დაუწყდა ქსელი მოწეულისა. მოვიდოდეს წმინდან მიქაელ და გაბრიელ მთავარ ანგელოზნი. გამოვიდა შავი კაცი, გამოიყვანა შავი ცხენი, შავი უნაგირი, შავი მათრახი. შეჯდ-

კვ კარი დედაკაცისა რომე არ დაორსულდებოდეს. დედაკაცისა წესისა და ძნელად შობისა, და ძუძუს ტკივილისა და რძისა და ყმაწვილისა შენახვისა და ორსულობისა შეტყობისა.

ს ო ლ ო მ ო ნ ბ რ ძ ე ნ მ ა ნ თ ქ უ ა: ათ ფერი სენი არისო, ამა ათსა სენშიგა რომელიცა სჭირდეს დედაკაცსა არ დაორსულდებოდეს, სადამდი არ ეშველოს იმ სენისაგან სოლომონს ერთი ქალი ედგა, მას ქმარი შერთო და დიდსა ხანსა ქმარსა ქვეშე იყო და არ დაორსულდა, და ქმარი დაგდებას ულამოდა. და ის ქალი სოლომონთან შევიდა და უჩივლა დაგდებას მილამისო.

10 სოლომან გამოარჩივა ორმოცი კარგი აქიმი და შეყარა სოლომან და ჰკითხა აქიმთა რა არის რომე არ დაორსულდებისო. აქამნი ერთმანერთსა შეეკითხნენ და ათნი აქიმნი შეიოჩივნეს, მათ ათი სიტყვა მოახსენეს. ასეთი სენი არის ათი სენი, რომე სანამდისი ის არ გარიდებს დედაკაცი არ დაორსულდებისო, სოლომონ უთხრა, მეც მითხარით ის ათი სენიო რომელი არისო მათ მოახსენეს:

ე რ თ ი ესე არის, რომე საშვილესა შიგან მეტი ხორცი დაიდგების სიმსუქნითა და იმისთვის არ დაორსულდებისო.

მ ე ო რ ე: ეს არის, რომე ბუასირისა ქარი.

მ ე ს ა მ ე: ნამეტნავად დედათა წესი არა სჭირდეს და შეჰ-

20 კვროდეს.

მ ე ო თ ხ ე: საშვილე მობრუნებული იყოს, იმას მუნყლიბი ჰქვიან.

მ ე ხ უ თ ე: რომე ქარი დაეზადების.

მ ე ე ქ უ ს ე: რომე საშვილესა შიგან მძრვილე ქარი დაიარების.

მ ე შ ვ ი დ ე: ბარსი რომე გამოესხმის საშვილეშიგან.

მ ე რ ვ ე: რომე დედაკაცი მოწამლული იქნების.

მ ე ე ც ხ რ ე: რომე ნამეტნავად სიმხურვალე საშომაშიგან ექნების ასრე რომე რა კაცი დაუწვების კაცი. თესლსა დასწვავს.

მ ე ა თ ე: საშვილესა, შიგან სიგრილე მოერიოს.

მისი ნიშანი რაკაცის დედაკაცთან დაწვეს სიგრილემან
30 თესლი¹ გააციოს და არ დაადგების. ნიშანი მისი თუ საშვილესა
შიგან მეტი რამე სიგრილე გააქარვოს კვირაში ერთხელ იასამნის
ზეთი შესვას ოროლი მიტყალი შაქრითა. და სალები იასამნის² ზეთში
დაასველოს და აილოს.

შავსა ცხენსა, წავიდა შავსა გზასა სადა წახვალ გველო რივო წილი გისხეს სიმბე-
ლისა სიმბეზილისა, კბილი გესლისა. დაეხსენ ასოსა ამის კაცისასა და შევედ თავსა
ვეშაპისასა, ქრისტევ ლთი კურთხევისა და სიტკბოებისა არის, ამასარვე წმინდაო
მარიამ ულხინე მოწასა შენსა, სახელი სდვას, ვინცა იყოს.“

¹ სწერია „ფსელი“

² ეს სიტყვა განმეორებულია.

149

ნიშანი თუ საშვილე გარ მობრუნდეს მუდამ თირკმელი სტკი-
ოდეს, მეორე ნიშანი ეს არის რომე წყალს უჭირევდეს, მესამე რომე
ბოქვენნი და ჭიპი სტკიოდეს. აწე ამისი წამალი ესე. არის, ა ი ლ ე;
აყიროს თესლის გული ორი მიტყალი, დანაყე და ცოტას ძროხის
ნალველაშიგან გაურივე, ცოტა მჩვარი დაამგრგვალე შიგ გაურივე და
მიეც რომე აილოს.

მ ე ხ უ თ ე რ ო მ ე, საშვილესა შიგან და წელსა შიგან ქარი
დაბადებულიყოს, ნიშანი მისი ეს არის რომე დაიძინოს და ფერად
ფერადსა სიზმარს ნახევდეს გველებსავითა და მხულიკებსავითა, ნა-
10 ხევდეს რასმე, კურასა და თამაშობასა შიგან იყოს. წ ა მ ა ლ ი მისი-
ეს არის: ოთხი უკია ქუნჯითის ზეთი ერთი უკია ნანხუა და ჯავა-
შირი, წითელი ვარდი ოროლი მიტყალი დანაყე მაშიგ გაურივე და
მიეც რომე აილოს. და ერთსა კვირასა თვითო მიტყალი. და საჭმე-
ლი ცხურის ხორცისაგან და შიგ გაურივე ზირა პილპილი და და-
რიჩინი.

დ ე დ ა კ ა ც ს ა რ ო მ ე საშვილესა შიგან სრსვილივით რამე გა-
მოსხმოდეს მღიერი, ნიშანი მისი ეს იყოს, დაორსულდეს ორსა თვესა
და მესამესა თვესა მკუდარი ყმაწვილი გამოვიდეს, ყმაწვილს კიდევ
რამე დაჰკლებოდეს, ყმაწვილის შობას უკანის, რომე დასწყნარდეს,
20 ოფლი გამოუვიდეს, ოფლსა უკანით წესი წაევიდოს. წ ა მ ა ლ ი მისი
ეს არის: ახალის თევზის ქონი და კურდღლის ქონი, მგლის ქონი,
აფთრის ქონი ოთხივ ერთად დაადნევიტ და დანაყეთ შავის ქათმის
ნალველი[თა]. ეს ყველა ერთად გაქენ რომე მალამასავით შეიქნას,
მერმე მოლურჯო მატყელი დაამგრგვალე და შიგან დაასველე და მიეც
რომე აილოს. და მუდამ გასახსნელს წამალს მისცემდი ლილის წყლითა
და თარანგუბინითა. და საჭმელი ქათმისა ხორცი ტყემლის მჟავითა.

ს ა შ ვ ი ლ ე ს ა შ ი ნ ა თ უ ბ ა რ ს ი დაიზადოს, ნიშანი მისი
ეს არის რა ქმართან დაწვეს წელთა ქვეშე მყრალი ოფლი გამოუვი-
დეს დედაკაცსა, მისი სიმყრალე ეწყინებოდეს. წ ა მ ა ლ ი მისი ესე
30 არის აილე პიტნა ხმელი ექუსი დრამი, სონიჯი, ორი დრამი, ორივე
დანაყე და ცოტათა ცივითა წყლითა გაურივე და ცოტათა მჭურითა
გაამგურგვალე დაასოვლე და მიეც რომე აილოს. ფერხთა კოტოში
მოჰკიდე. ოყნად პატრუკი ის ქნას რომე დედაკაცისა სწერია. რასაც
სჰამდეს მუდამ ზირას გაურევდეთ, ხორცი ტრედის ხუნდი აჰამე.

დ ე დ ა კ ა ც ი მ ო წ ა მ ლ უ ლ ი თ უ ი ყ ო ს მისი ნიშანი ეს არის:

მუდამ ნაღულიანი და საგონებლიანად იქნების, და პირის სახე და ფერი შეცვალეულიყოს და ხან ჟამიერად საშვილესა შიგა მოუვი-
ლოდეს. წამალი მისი ეს არის რომე ძვიელისა შალიხა აქვიან მისი

150

ჭამა თვითო მიტყალი დილეულად დაწოლის ჟამსა. და თუ ეს მა-
ჯუნი არ იშობოდეს მისად სანაცვლოდ დევალ მუშკი თაფლითა
შექნილი, და წყლისა მაგიერად ახალის ყველის წვენი ასვით.

ს ა შ ვ ი ლ ე ს ა შ ი გ ა რომე ნამეტნავად სიმხურვალისაგან იყოს.
მისი ნიშანი ეს არის მჭლედ და ფერი ნაკლულად იყოს და როდეს-
ცა წესი ნახოს ავი სული უდიოდეს და ტანი ცეცხლივით გაუ-
ცხელდეს. წ ა მ ა ლ ი მ ი ს ი: აილე აყიროს ძირი მწარისა და ლაბ-
ლაბი გაახმე და დანაყე დედაკაცისა ფსლისაგან გაურივე და მატყ-
ლითა აალებინე როგორცა სხვა გვითქუამს და საჭმელი გრილი შე-
10 უწყევით და ღვინოსა ნუ სვამს. ხორცი კაკბისა და გნოლისა ჭამოს.

დ ე დ ა კ ა ც ს ა ს ი გ რ ი ლ ე მორეოდეს მისი ნიშანი ეს არის,
რომე დედაკაცი მხიარულად იყოს და მისი წესი უფრო იყოს და
რა დაემართებოდეს ფსმასა მოუმატოს. წ ა მ ა ლ ი მ ი ს ი: თორნე
აანთე რა დაჯდეს თორნის თავი კარგად დაბუროს და თავზედ ერ-
თი ხურელი დააგდოთ და დედაკაცი ზედ დაჯდეს ასრე რომე სით-
ბო შამვილესა შიგან შევიდეს, რაზომცა შეუძლოს. წ ა მ ა ლ ი მ ი ს ი:
ბამანი, ანძარუთი; ორივ დანაყე და თაფლითა პატრუკი შექენ და
აალებინე, პატრუკის წამალი: ანდუზი ხმელი და დანაყილი ხუთი
დრამი და ხუთი დრამი მუშკი და ერთი დანგი შაქარი ყუელა და-
20 ნაყე რკინის კოვზსა ზედა დადევ და ცეცხლსა ზედა დადვას და რა
გაცხელდეს გაურიოს და მერმე პატრუკები შექენას თაფლითა, რომე
აილოს და საჭმლად ცხურის ხორცი შემწვარი მწვანილიანი და მა-
რილის საჭმლისაგან ერიდებოდეს.

დედაკაცსა რომე საშვილესა შიგან სიმსივნე სჭირდეს მისი ნი-
შანი მუდმისად უახლებდეს [წესსა] და უნდომად იყოს და ამა ბო-
როტისაგან ერთობ ტკივილი მოვიდოდეს, ასრე რომე ტკივილისაგან
ოფლი ზედა გარდაესხას წამალი მისი ბაბუნაჯი, აქლილმალაქი,
ქალამის ფურცელი სელი, ულბო სწორ სწორი დანაყე ნახევარზედა
და წყალი ჩაასხი ქუაბშიგა ჩაყარე და მოადულე, რომე ძალი გამო-
30 ვიდეს და დედაკაცი წყალში ჩასვი იმა ნადულებსა სანამდის ის
წყალი გაცივდებოდეს და მერმე გამოვიდეს ჭიპი და ბოქვენი დაზი-
ლე ამ წამლითა რომე აწე დავწერთ, აალებინე. ა ი ლ ე: ბატის ქონი,
ზროხის ფერხის ტვინი მუყლი აზრაცი, ზაფრანი, კვერცხისა ყუი-
თელი, თხის ქონი, რაცა დასანაყი იყოს დანაყე და ქონი დაადნე
და შიგ გაურიოს და ცოტა ღვინო გაურივე და პატრუკად შექენ და
ყოველთა დღეთა თვითო მიტყალი აილებდეს.

კ ზ კ არ ი ძ ნ ე ლ ა დ შ ო ბ ის ა. დედაკაცი რომე ძნელად შობდეს,
თუ აბანო იყოს იბანოს, თვარა თბილის წყალშიგან ებანოს და ტანი

151

საზელეღითა დაიზილოს. ს ა ზ ე ლ ე ლ ი მისი ეს არას: ქათმის ქონი,
ბატის ქონი და ცვილი სწორ სწორი ერთმანერთში გაურივე და ორი

თავი ხახვი შეწვას და შიგ გაურიოს ესე თბილად უნდა შეზილოს. ულბო და ხურმა მოხარშონ და შექენ და თაფლითა აჭამე, რაცა რბილი საჭმელი იყოს ხირათი აჭამე, ვარიითა. და მსუქნისა თოხლის ხორცითა ხარშო, ქერის კორკოტის წვენითა და ჯულაბი ნუშის ზეთი გაურიე და აკამე.

ძ ნ ე ლ ა დ შ ო ბ ი ს ა მიხეზი ერთი მისგან იქნების რომე დიდი ავადყოფა გარდახდეს და სუსტად იყოს და ერთი მისგან სხვა 10 რომე არა ეშობოს და დედაკაცი ცოტა იყოს, მისგან საშიშარი იყოს. ერთი მისგან იქნების რომე მწოვედ მსუქანი იყოს, ერთი მისგან იქნების, რომე ყმაწვილი დიდი იყოს და ანუ თავი გასდიდებოდეს, ერთი მისი რომე ქალი იყოს და ქალი დედასა ერთობ გარჯის შობაშია. ერთი მისგან რომე ყმაწვილი უძლურად იყოს და ან მკუდარი და მისისა გამოსულისა ღონე არ იყოს, ერთი მისგან კიდე, რომე მისგან ყმაწვილი უკულმა მოვიდეს ფერდთაკე ანუ გვერდით ანუ მუხლთაკე.

წ ა მ ა ლ ი ძ ნ ე ლ ა დ შ ო ბ ი ს ა, რასაცა მიზეზისაგან იყოს ესევე არის. აიღე: ულბოსა და მალოქისა ნადუღები და სელისა ლაბა 20 და შირბახტის ზეთი, ერთმანერთსა შიგა გაურივე და ზურგსა და საპარსავსა და ბარკალსა გარეშემო შემოსდვან და ბაბუნაჯისა ზეთითა და ცერეცოსა ზეთითა ისე დაუზილონ და ულბოსა და სელისა ნადუღებსა შიგან ჩასვი, ასე რომე ჭიპამდის ჩავიდეს უბრძანუ რომე ცოტა ისერნოს, მერმე მუხლზედან უკუჯდეს და ერთსა ფერხსა ზედან დგეს, ბევრჯელ ამა წესითა იქმოდეს და შობდეს. და დაჯდებოდეს და თავის სულთქმა შეზიდოს და გაღმა აჭირებდეს. და ცხვირთა დაცემისა წამალი იხმარე პილპილა და აპუტარატი და დანაყეთ და ისუნოს რომე ცხვირთა დასცეს და ოთხი მიტყალი კიტრის ტყავი დანაყილი და გაცრილი მიეც, მასვე წამსა გამოვა ყმაწვილი.

30 ს ხ ვ ა წ ა მ ა ლ ი: დარიჩინი და მთახვის ყვერი და ტყიურა რომელიცა ამ დედაკაცსა გუნებასა უკეთ დააშუნდეს მიეც და თბილად იყოს და ადვილად შობს.

ს ხ ვ ა ჰ ა ბ ი, რომე ამ საქმისათვის გამოცდილი არის. აიღე: დარიჩინი და უფული ათათი დრამი და სალიხა შვიდი დრამი, ყურფა და მური და მგრგუალი ზარავანდი და ყურსი ამათგანი ხუთხუთი დრამი, შავი საკმელი, აფთიმონი ოროლი დრამი, მუშკი დანგ ნახევარი ყუელა დანაყე და აბი შექენ როგორცა წესია მისი, შარბათი

152

სამი მიტყალი თექუსმეტისა მიტყალითა ღვინითა. თუ ამ აბშიგა ერთი დრამი აფიონი გაურიონ უკეთესი იქნების.

ს ხ ვ ა, აიღე: უფული ორი დრამი ჯარაოტი ნახევარდრამი, ვაშაყი ნახევარდრამი, ფუა, ერთმანერთში გაურიოს.

მ ა ჯ უ ნ ი ძ ნ ე ლ ა დ შ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს: აქიმნი ამასა ზედა გამონახულან რომე ის სწორი წამალი არ არის. დედათ ძნელად შობისათვის. მური, მთახვის ყვერი, შავი საკმელი თვითო მიტყალი, დარიჩინი ნახევარ მიტყალი, უფული ნახევარ მიტყალი, ყუელა დანაყეთ და თაფლითა შეზილეთ, შარბათი წელს მიტყალი ძველითა 10 ღვინითა მიეც.

ს ხ ვ ა, ძნელად შობისათვის: სადაფის წვენი და შამიანდლისა,

ნადულართა მატყლის ჭოთი დაასველე და ააღებინე და ეშველოს. ს ხ ვ ა; გრძელი ზარევანდი დანაყილი მატყლის ჭოთით ააღებინე.

ს ხ ვ ა შაფი, აილე: შავი ხარბაყი, ჯავაშირი ძროხის ნალველი სწორ სწორი ქენ და შაფად შექენ და ააღებინე, მკუდარიცა და ცოცხალიცა ფიცხლად გამოიყვანოს ყმაწვილი. ქვეშე რომე შეუკმიო. მისი წამალი: ქოთანში ცეცხლი ჩაყარე და ტრედისა სკინტლი ჩაურევიე შიგან და შეუკმივე და ყმაწვილს გამოიყვანს. გოგირდიცა კარგია, რომე შეუკმიოს, გველის ტყავი შეუკმიოს, რომე ყმაწვილს ასრე გამოიყვანს, რომე არ მოკლას ყმაწვილი. ძოწი მარჯვენას ბარკალზედ შეაბას. მერმე არის, ვირის ქაჩაჩი დაწვი და საპარსავზედ ტლეედ შემოსდევით. მერმე ცხენისა და ვირის ქაჩაჩი და მლაშის თევზით თვალი შეუკომლე, ყმაწვილს გამოიყვანს.

და ყველას უკეთესი წამალი ეს არის, რომე დედასა ძალი მისცეს კარგის შარბათებითა და ხორცის წვენითა და თოხლოს კვერცხის გულითა და მსუქნის ქათმის წვენითა დედაკაცსა ძალი მისცეს. და თუ ამით არ იქნას, ოსტატმან დედაკაცმან ხერხით გამოსჭრას სამართებლითა. და საჭმელი ყუელა მსუქანი და რბილი ჭამოს და ყოვლის შემკურელის წამლისაგან იფარეზოს.

30 თ ა თ ბ ი რ ი რომე ტეხა დააცხროს და შობა გაუადვილოს. და დედაკაცი თუ აბანოს შიგ ჩაჯდეს და იბანოს და მოვიდეს და აბანოსა გარეთ აბაზანგმიგან ჩაჯდეს, აბაზანი დიდსა და ღრმასა ჰქვიან და იმაშიგან უნდა ჩაჯდომა.

თუ აბანოსა შიგან შესუსტდეს, ფერდი და ბოქვენი და ბარკლის გარეშემო ცერეცოსა და ბაბუნაჯისა და ხატმისა ზეთითა უნდა დაზელა და ასოები და მარღვებიც დაუზილე და მუმრულანი ბატისა და ქათმის ქონისა და ცვილითა შექნილი შირბახტითა სარცხოსა გარეშემო შესცხოს ნელთბილი. და ყოველთა დილათა, ბიის გულისა,

153

სელისა ლაბა ჯულაბითა მიეც და საჭმელი რბილი და მსუქანი ქათმისა ისპანახითა და ანუ მაგიერთა მათის მსგავსითა აჭამეთ და ყოვლსა შემკურელსა წამლისაგან იფარეზოს, და კარგ სული რამე ან მუშკი და ან სხვა, როგორცა ზემოთ გვიწერია, იმ წესითა უკმიონ. და რა შობისა ტეხა გამოჩნდეს, როგორცა ზედა სწერია, ისე აქნევიანე.

შ ო ბ ი ს ა უ კ ა ნ ი თ რომე საშოსა შიგა ბუდე დარჩების, თუ შობასა უკანით ბუდე ყმარწვილისა შიგა დარჩეს, ცხვირსა დააცემინეთ ამა წამლითა და თუ არ გამოვიდეს ჰკვიანმა დედაკაცმა თითითა 10 მოეკიდოს და წყნარად დაძრას რომე ეცადოს მყდარი გამოვიდეს. და ძალად გამოზიდვა არ ვარგა ამაღ, რომე საშო დაშავდების და იქნების რომე შევიდეს და საშოსა პირშიგან მოგროვდეს, დაღპეს და აგრე ჩამოვიდეს, მერმე მისი სული სასასა, გულსა მიხუდეს და მისგან მრავალი სენი გამოჩნდების.

წ ა მ ა ლ ი მ ი ს ი რომე, ზემო რომე ქვეშე საკმელი სწერია, ისი უნდა უკმიონ და მერმე მუფარახი და დევალმუშკი აჭამონ და სტომაქსა ზედა და გულზედა კარგა სელი და ძმარის¹ ტლე შემოსდვათ. თუ ეს წამალი არა ერგოს, ასაღებები და შაფები და მაჯუნები რომე ძნელად შობისათვის მოგონებული არის ის უყავით და

20 ერგოს ღ~თითა.

მ უ ც ე ლ ს ა შ ი გ ა ნ რ ო მ ე ყ მ ა წ ვ ი ლ ი მ ო კ უ დ ე ს, მისი ნიშანი ეს არის რომე თუ ოთხ დღემდი არ გაეყაროს დედასა და სტეხდეს იცოდი რომე მკუდარი არის.

წ ა მ ა ლ ი მისი ძნელად შობისათვის რომე მოგონებულია ის უყავით, ძლიერი შაფები და ქვეშე შესაკმევებელი და ის ახმარეთ ქალბანა და მარმხოტი. ამა საქმესა შიგან ერთობ ძალიანი არის, თუ სამი დრამი მღებართა კალია შეჭამონ ყმაწვილი გამოაგდოს.

თ უ ვირის ქაჩაჩი და მისი მჩორე შეუკომლით მლაშისა თევზის თვალითა, ყმაწვილი გამოაგდოს. არაბი თრიაყიცა ამასშიგა გა-

30 ურიეთ:

ს ხ ვ ა ძალიანი შაფი, აიღეთ: ნიშადური დანაყილი ათი დრამი, ვაშაყი სამი დრამი, ქაშაყი გაადნევ და ნიშადური გაურიე, შაფი შექენ და მიეც, რომე ყოველთა თანა იქონოს, და ყმაწვილი გამოაგდოს.

ს ხ ვ ა, აიღე ხარის ძირა, მავიზაჯი, ზარავანდი და მარიამ საკმელა და მაზარონისა თესლი და შამიანდალი და ვაშაცი, ეს ყუ-

¹ აქ სწერია უადგილოთ „მიმცემი“

154

ელა დანაყე და ვაშაყი და ზროხის ნაღველი შიგ გაურივე მოდუღებული და შაფები შექენ და ააღებინე.

ს ხ ვ ა შემოსადები: შამიანდალი, ყუსტი, სადაფისა ფურცელი სამ სამი წონა, მური ერთი წონა და ძროხის ნაღველი გაურივე, ჭიპსა და ბოქვენსა ზედა დასდეც, მკუდარი ყმაწვილი გამოაგდოს ბძანებითა ღ~თისათა.

თ უ მშობიარესა შიგ გულის ძგერა დაემართოს, წამალი მისი-ეს არის, რომე ცერეცოსა ნადუღარსა შიგა კარგი თაფლი გაურივე და აგრე არწყევინე, რომე ავი სენი სტომაქიდამ გამოწმინდოს, და 10 თურინჯის შარბათი და შემწვარი ბია კარგია მისთვის. და საჭმელად შემწვარი თიკანი და კრავი შემწვარი კარგია და სამარხოლ მუხუდო და ოსპი. და ხილისაგან სხალი და ვაშლი და ბროწეული ტკბილი და მჟავე კარგია და მწვანვილთაგან ცოტა ქოქი, ქასნი, ორივე მშუენი არის. და კომში კარგია ღვინითა, კარგად მოხარშე დანაყე და სტომაქზედა ტლედ შემოსდეც. და ტლეები რომე ღვიძლისა უძლურობისა, სტომაქისა უძლურობისათვის მოგონებულია, ამასცა ერგების.

თ უ სტომაქშიგა ქარი ჩავიდეს და აწყენდეს ეს გვარისნი მიეც, აიღე: ძირა ქირმანი ძრმით გაზრდილი და მოხალული და 20 თეთრი საკმელი და ქონდარი თვითო წონა, თახვის ყუერი ერთი წონა, ეს ყულა დანაყე და ამათი წონა შაქარი გაურიე და ერთი მიტყალი და ნახევარი მიეც შესასმელითა.

თ უ ორსულობაშიგან წესი გამოუჩნდეს წამალი, ოსპი, ბროწეულის ქერქი გულნარი გუნდა, კრკო, წყლითა მოადუღე და ფიგ ჩაჯდეს, გულნარი და ბროწეულის ქერქი ხმელი, წითლითა ძრმითა მოადუღე და ტლედ ბოქვენზედ შემოსდევით. მარგია და თუ იმით არ ეშველოს ქარბისა ყურსი და რაცა დედათა წესისა წამალი

სწერია უყავით და ეშველოს.

30 ი ც ო დ ი თ რომე შობას უკანით სისხლი სდის დიდხანსა. თუ წესიერად სდიოდეს არა წამალი უნდა, გამოწმდების, და თუ ერთობ ბევრი ედინოს დასუსტდეს, და რაცა დედათა წესისა უკუყენებისა წამალი არის ის უყავით.

დ ე დ ა კ ა ც ს ა რ ო მ ე შ ვ ი ლ ი მ ო ს წ ყ დ ე ს, მრავლისაგან იქნების ამისთვის არ დავსწერეთ რომე, გაგრძელდებოდა.

ყ მ ა წ ვ ი ლ ი რომე მუცელშიგან მომკუდარიყოს მისი ნიშანი ეს არის, რომე ყმაწვილი მუცელსაშიგან ემძიმებოდეს, და რა ქარი ეცეს გვერდისა, ამას გვანდეს, ამ გვერდით იმ გვერდსაო ქვა მიგორდაო. სხვა ნიშანი, ჭიპი გაუცივდეს და ძუძუნი დაუცარიელდენ

და საშოსაშიგან ყვითელი მყრალი წყალი სდიოდეს და თვალთა სითეთრე გაუშავდეს, ცხვირის თავი და ბაგენი გაუთეთრდეს, და რა ეს ნიშანი ნახო, იცოდე მოწყვედისა ნიშანი არის. და ესეცა იცოდე, მშობიერობისაგან, მოწყვედისა ტკივილი უფროსი იქნების, ამისთვის რომზე, უჟამოდ დაემართების.

10 ი ც ო დ ი მოწყუედის მიზეზი ოთხისა თვესა წინათ და შვიდსა უკანით არის. ამასა შიგა უნდა გაუფრთხილდეს. ამ დროს არცა ხელის გახსნა კარგია და არც წამლის აღება, ამაღ რომე რაგინდა რა ცოტარამე საწყინარი მოხუდეს საფათერაკო არის არ დია სჭირს, არც ხელის გახსნა და არცა წამლის აღება არ მართებს. თუ ნიადაგ [მხურვალი] იყოს და სისხლი სჭარბობდეს მისითა მიზეზითა ყმაწვილი მოსწყუედებოდეს, მაშინ წყნარითა და რბილითა წამლებითა, დღე გამოშვებით წამლებსა უნდა [სვამდეს] ამისი უკეთესი გასახსნელი ხიარშამბარია. და კარგი საჭმელი რომე გუნება სიმრთელისავე მოიბრუნოს. და ყმაწვილისა მოწყუედის მიზეზი მეტის სენისაგან იქნების რომე ყმაწვილსა არ დააყენებდეს, მოსწუდების.

ნიშანი ორსულობისა ის არის, რა დედაკაცსა თვალის სითეთრე გაულურჯდეს და ან გაუყვითლდეს და პირის სახე ცოტად მოშაოდ სცემდეს და ჭორფლიცა გამოუჩნდეს პირზედა და ძუძუთა თავი გაულურჯდეს და ანუ გაუშავდეს და გაუდიდდეს თავისა ბრუ და გულისა შლა გამოუჩნდეს ეს ყუელა ორსულობისა ნიშანია.

ე რ თ ი გ ა მ ო ც დ ა სხვა არის იმ დღეს ნურასა სჭამს და სალამოს საშოსა შიგან ნიორი ააღებინე, დილასა ნახე, თუ დილასა ნიორის სული ამოსდიოდეს პირსა არ არის ორსულად და თუ არ ამოსდიოდეს, მაშინ ორსულად იყოს. ა გ რ ე ვ ე კარგ სული რამე ქვეშე შეუკმძივე და პირსა ამოედინოს სული, არ არის ორსული, თუ არ ამოედინოს მაშინ ორსულად იყოს.

30 შ ო ბ ი ს ა ნ ი შ ა ნ ი, რომე ახლოს მოწურვილ იყოს, ნიშანი ის არის რომე გუერდისავე და ჭიპისაკენ იმძიმებოდეს ზედა საშო სამნაგივითა წვეთდეს იცოდე შობისა ჟამი არის ახლოს. და რაჟამს თემონი დაუსუსტდენ და ბარკლის გარშემო სიმსივნე და ქარი გამოუჩნდეს, შობის ჟამი არის.

ორსულობისა უკუყენებისა წამალი, თუ კაცმან სარცხოსა თავი შირბახტითა დაისველოს და აგრე ცოლთან დაწვეს, არა დაორსულდების. თ უ ყათრანითა დაისველოს არ დაორსულდების. თ უ

უმარილითა სარცხოსა თავი დაიცხოს არ დაორსულდების. აგრევე ცოლთან დაწვეს თუ დედაკაცმა პიტნისა წვენი, უკიითა ბარანბოს წვენითა შესვას არ დაორსულჯების.

156

კწ კარი წყლით ორსულობისა. წყლით ორსულობა თუ დაემართოს დედაკაცსა, დიაცსა პგონია, ვითა მართალი ორსულობა არისო, მაგრა არ არის მართალი ორსულობა. ასრე ბრძანეს ბრძენთა ფილასოფოსთა ვითა, რაჟამს დაუსუსურდეს ღვიძლი სიგრილითა და ტყირბი, შეიკრვიან მათი სავალნი და ძარღუნი და მერმე სისხლი დაუშავდების, სიგრილემან და სიმყრალემან ბალღმისაგან განრყუნას და როგორაცა რძე გარდაიქცეს წყლად, ყოველმან ასომან და ძარღუმან წყალი შობოს, მაშინ გაასივებს ბუშტსა და მერმე შემოვალს მუცელსა.

10 მისი ნიშანი ეს იყოს, რომე გაუსივდეს ფერხნი, წვივნი და მუცელი როგორცა სისხლისა უფალსა. იცოდი წყლით მაკეობა ხუთი გვარი არის: სახელი მათი, ერთისა სახელი ა ს ტ ი ც ე, მეორისა სახელი ტ ი ბ ა ნ ი ც ე, მესამისა სახელი კ ა წ ა რ ს ა რ კ ე, მეოთხისა სახელი კ უ ჰ ლ ე გ ა მ ა ტ ო ს, მეხუთისა სახელი დ ე ო ფ ო ვ ნ ო ს. ესე არის სახელი წყლით მანკიერობათა.

ნიშანი ას ტ ი ც ე ს ი: თითები დაუწურილდეს, მკლავნი და იდაყუნი, ბარკალნი და მკერდი გამხმარნი იყუნენ ასრე რომე ძვლები და სახსრები ჩნდეს, და მუცელი დიდისა ორსულობისაგან უფროსი იყოს და მუცელზედა ძარღვები სიმსივნისაგან გაშავებულნი.

20 ნიშანი ტ ი ბ ა ნ ი ც ე ს ი: ეს იყოს რომე დიდად გაბერილი იყოს თავითფერხამდეს და ტკივილი ერთობ იყოს წყლისა ნოტიობისაგან.

ნიშანი დ ე ო ფ ო ვ ნ ი ს ი: ფერხნი და წვივნი გასივებულნი იყვნენ და სული უგუბდებოდეს.

ნიშანი კაწარსარკესი: ის არის რომე ნახევარამდის ავსებულიყოს წყლითა. ესე არის ნიშანი წყლით მაკეთა. უწინა შეტყობა უნდა და მერმე წამლობა.

ს ხ ვ ა ნ ი შ ა ნ ი მ ი ს ნ ი: ხელნი ან ფერხნი გაუსივდეს — ტუტა წოთბილი ასვი და ერგოს ბრძანებითა ღთისათა და რაცა სისხლსა 30 წამალი ერგების ისევე ამას ერგების.

წ ა მ ა ლ ი მ ი ს ი, აიღე: აქლემისა რძე ლიტრა ერთი და ჩაასხი ქოთანსა და ექთენივე წყალი წაურთე და ადუღე, ვირემ წყალი წავიდეს და რძე დარჩეს და თაფლი პერულ მოხდილი ოცდაათისა [დრამისა] წონა და პილპილი სამისა დრამისა წონა და დარაფილფილი ექუსისა დრამისა წონა ეს ჩაურთე და დაურივე დიდად და შეასმევდი, ვითაცა უშვებდეს ყოველსა დღეთა თვითოს ასმევდი ამით საზავებლითა. საჭამადსა მხურვალსა მისცემდი და პურსა მხურ-

157

ვალსა კვერცხსა შეგორვებულსა და შვიდ [დ]ღემდის მოსჯობდეთ თუ ღთსა უნდეს.

წყლით მანკიერობისათვის აიღე: საქფინაჯი და გო-

მიზი არაბი, საბრის კუტრი და ღარიყონი ესენი სწორი წონა და-
ნაყე და წყლით შეზილე და მარცულად შექენ და შეასვი ორისა დრა-
მისა წონი ღვინითა.

წყლითა მანკიერობისათვის აილე: ვაშაყი და საქმი-
ნაჯი და საბრი თვითო დრამისა წონი და საყმუნია ორის დრამისა
წონი, ჯინჭრის თესლი ორის დრამისა წონი ეს ყუელანი ისევე მარ-
10 ცულად შექენ, მისგან შესმა ორისა დრამისა წონი წყლითა თბილითა.

მისთვისვე აილე: ბოსტანთა შრომანისა ძირი და წური-
ლად დანაყე და თაფლითა უგბოლავითა აჭამე სამსა დღესა სამსამი
კოვზი. მისთვისვე: თხათა კურკლი თხათავე ფსელითა ანუ ყრმა-
თათა შეაგბე და მუცელსა ერთსახედ შემოსდევე და უცვალეზბდი
მრავალჯერ ვაცწელისა¹ ფსელი ასვი. მისთვისვე სათხევარი წა-
მალი: ბოლოკი მწუხრსა, ძმარსა ჩაყარე ცხარსა და დილეულსა
თაფლითა უგბოლავითა ჭამოს, რა გასთალოს თბილი წყალი სვას
და ანთხიოს.

წყლით მანკიერიისათვის: ველური ნიორი ჩაჭერ ერ-
20 ბოთა ფურთასა და კარგად შეგბოლე რომელ დაჩულდეს და ერთ
ჟამ ასვი ხუთი ჭაშაგი და მწუხრს ორი ჭაშაგი და ამარხვე. უკეთუ
უსუსურად იყოს დილეულად ასვი და მწუხრამდი ამარხე და აჭამე
სპედაგი ხორცი, ნიორი და ბოლოკი და ერგოს თუ ღმერთსა უნდეს.

სხვა ნიშანი ორსულობისა. თუ დია საგონებელსა შიგან იყოს
ორსული, და თვარა დედაკაცსა ჰკითხე, მაშინ რომე ქმარი დაგიწ-
ვების, ბარკალსა შიგან და საშვილესა გარემემო სინედლესა ნახავ
თუ არაო, თუ აგრე თქვას მჭირსო, იცოდი ორსულია. სხვა ნი-
შანი: თუ პირსა სახე შეცვალეზბულ იყოს იცოდი ორსულია, თუ
შუბლსა შიგან ნიშანი რამე გამოუჩნდეს იცოდი რომე ორსულია.

30 ნიშანი ორსულისა დედაკაცისა ქალსა შობს თუ ვაჟ-
სა, დედაკაცსა პირსა დახედენ, თუ პირის სახე წმინდა იყოს ქალ-
ლდივითა და დაწვი წითელი იყოს, იცოდი ვაჟია. აგრევე სიარულ-
სა შიგან მარჯვენა ფეხი უწინ წამოდგას¹ იცოდი ვაჟია და თუ მა-
რცხენა წამოდგას იცოდი ქალია. ნახოს მუძე მარჯვენა თუ ნათლად
იყოს, და მხიარულად და ძრვა სუბუქად, იცოდი ვაჟია.

კთ კარი ყმაწვილის გაზდისა. ყმაწვილისა გამზრდელი დედა-
კაცი გამოარჩიონ, გამზრდელი ასეთი უნდა რომე კარგისა ზნისა

¹ სწერია „ვაცწილისა“.

იყოს, ბერი არ იყოს, ტანშიგა მიზეხი არ იყოს, ანუ ბარასი ან ქა-
შვეთისა. ჭკვიანი იყოს, სიარულზედა მძიმე არ იყოს, ყოვლის ტკი-
ლისაგან უმიზეზო იყოს, რომე არას ასოსა შიგან მიზეზი არ იყოს,
არცა მსუქანი იყოს და არცა მჭლე, სწორი იყოს.

რა ეს იშოვოს და ისი ფარეზად ყოს, არც ავის საჭმელი და
არცა მწოვე არა ჭამოსრა, თვარა რძე დააკლდების. რა რძე დააკლ-
დეს შაქარი რძითა ფურისათა გალესე და შეასვი ხუთსა დღესა. თუ
რძე მოსქე და ნადგომი იყოს და ავი სული უდიოდეს, სიქანგუბინი
აჭამოს მუდმად, რომე რძე დაწმინდოს. მუდმად რძესა ნახევდი ძიძი-
10 სასა. არამც ფერად მოლურჯო იყოს. თუ მოლურჯო იყოს და სული

უდიოდეს ავი და მლაშე იყოს, ეს ყუელა ყმაწვილს აწყენს და დედასა და ძიძასა ხელი უნდა გაუხსნას, ბასალიკე და კიფალი.

თუ რძე მძიმე იყოს კორკოტს აჭმევდი ძიძასა. ცხურისა რძე შაქრითა მოატკბონ და იმასცა ასმევდენ. რძე თეთრი უნდა იყოს, წმინდა და სულად კარგი, წმინდა სული უდიოდეს.

ნიშანი იმისი თუ დედაკაცსა უშვილობასა სწამებდე. გახურეტილსა სკამსა ზედა დასვი და ქვეშე ჯამითა ცეცხლი შეუდგი და კარგ სული რამე შეუკმე და სკამი კარგად ჩაბურე რომე სული არსით გამოვიდოდეს, და თუ პირით და ცხვირით 20 მისი სული გამოვიდეს, არ არის დედაკაცი ორსულად.

და ერთი ეს არის რომე განწმენდილი ნიორი ააღებინე საშოსა საღამოსა და დილასა უსუნე და თუ მისი სული ამოუვიდეს პირითა ან ცხვირითათ არ არის დედაკაცისაგან უშვილობა, და თუ არა ამოვიდეს მაშინ დედაკაცისაგან არის უშვილობა, დასაბამი არს შიგნით, მისი წამალი ზემოთ სწერია.

ლკარი დედათა წესისა. მათი ამბავი. დედაკაცისა მართალი და პირის წყლიანი ის არის რომე, თვეშიგა ერთხელ დაემართოს და წვეთ წვეთად სდიოდეს, და სამსა დღესა უკანის აღარა სდიოდეს, ესე სიმრთელისა ნიშანი არის. თუ მისგან უფრო ადრე მოუვიდეს და ან უფრო გვიან სნეულობისა ნიშანია. დედაკაცსა თუ მეტი დაემართოს, თუ მართალსა ბორჯალსა წესი ყოლე დამეტდეს და ანუ უფრო ადრე დაემართოს და საშომანცა ტკივილი დაუწყოს, სნეულობისა ნიშანი არის. ანუ იყოს შუყაყისაგან, რომე საშოსა პირი დასქდეს და სისხლი იქით[გან] სდიოდეს, ანუ სისხლისა დამეტებისაგან, ანუ ძარღვებისა თავი დაეხსნას და მისგან იყოს.

საბინყარაშვილი იტყვის: სამსა დღესა ორი დანგი ანუ ოთხი დანგი ბაზარულა ბანჯი დანაყილი, შაქრითა მისცეს, მარგე არის. და თუხმაქანის ფურცლისა წვენი და მრავალძარღვას

159

წვენი მისცეს, მარგე არის. ანუ გულნარი და გილერმანი და ირმისა დამწვარი რქა ძრმითა გარეული და შავი ხაშხაშისა თესლითა და ვარდისა თესლითა და ღვინითა წყალგარეული მისცე მარგე არის.

სხვა გამოცდილი შაფისა, აიღე: სუქბუნდა, სურმა, გულნარი, კრკოს ბუდე ყუელა დანაყე და მურტისა წვენითა შეზილე, შაფი შექენ და ააღებინე და გრილი და შემკრველი წამლები რამე ახმარე. ეს არის: ხმელი ვარდი, ოსპი, მურტი, ძაღლის ყურმენა, მრავალძარღვა, თუთუბო ირსას. წვენი გაურივე, გულნარი და გრკოს ბუდე, გუნდა, ბროწეულისა ქერქი აყაყია, ფარფარას წუნითა ჭამა 10 წყლითა მოდუღება და შიგა ჩასხმა და ამ წამლებისაგან ტლედ შემოდება ამა საქმესა შიგა მარგე არის. და თუ ამ საქმესა შიგან შეკრვით იყოს ვარდის შარაბი და ნილოფარისა შარაბი გაუწყევით და თუ მუცელსა შიგან რბილათ იყოს, ტაბაშირისა ყურსი უნდა მისცენ.

და საჭმელი ამა საქმესა შიგან შემკრავი უნდა, ისრიმი და თუთუბო კოწახური ოსპი და ნარდანგი, ნიშასტაგი. და ხორცთაგან კაკაბი, დურაჯი და გნოლი და ჯერანისა ხორცი. და ხილთაგან მჟავე ბროწეული და ზრუსი და ფშატი მარგე არის, და უკეთესი წამალთ

ეს არის. რომე ეს შეიტყოს ვითა სისხლისაგან არის თუ ზაფრისა-
20 გან თუ სევდისაგან და თუ ბალღმისაგან. წმინდა მწვარი აიღე და
დედაკაცს საშოსა შიგან ააღებინე და დილასა ჩრდილსა გაახმე და
მერმე დახედნეს თუ ფერად ყვითელი იყოს ზ ა ფ რ ი ს ა გ ა ნ არის,
თუ წითელი იყოს ს ი ს ხ ლ ი ს ა გ ა ნ არის, თუ თეთრი იყოს ბ ა ლ ღ-
მ ი ს ა გ ა ნ არის, თუ მოშაოდ და ან ისფრად იყოს ს ე ვ დ ი ს ა გ ა ნ
არის.

პირისა ფერიცა გაშინჯე, ამაზედა მოწმად დაიჭირე ამას უკა-
ნით წამალი ის არის, რომე უწინა რომელიცა სენი მეტობდეს, მის-
გან გამოწმინდე და მერმე ეს წამლები უყავ:

ლ ა დ ე დ ა კ ა ც ი ს ა წ ე ს ი ს ა უ კ უ დ გ ო მ ი ს ა : რაჟამ დე-
30 დაკაცს წესი უკუდგეს და აღარ მოვიდეს მისი წამალი თუ მსუქანი
იყოს და სისხლისა უფალი მას პირველად საფინისა და მაბიზისა
მარღუსა უნდა გახსნა, საფანი მკლავსა შუა მარღუსა ჰქვიან და მა-
ბიზი მუხლთა უკანის კართასა შიგა, ორნი მარღუნი არიან, ამას
ჰქვიან. და წვივზედა კოტოშისა მოკიდება და ერთსა დღესა ერთსა
წვივზედა უნდა მოკიდება და მეორესა დღესა მეორესა წვივზედა უნ-
და მოკიდება და დახედენ თუ მეორედ გახსნა კიდევ უნდოდეს სა-
ფანისა და ი მამაზისა მარღვისა, კიდევ გაუხსენ. მაშუნესა და გასა-
ხსნელსა წამალსა უნდა მიცემა და მისგან შესმა და მისა ნადულარ-

160

სა შიგა ჩაჯდომა. გასახსნელი და მაშუნე წამლები ესე არის: ნიახუ-
რისა და ანისონისა თესლი, მდოგვი, სონიჯი და ნიორი, აშაყი, ზა-
რავანდი, ჯარაოტი, ეგირი, ჯავშირი, საქმინაჯი, მთახუის ყვერი,
ნიგოზი, ვაშაყი, ზირა ქირუმი, სადაფი, პილპილა, თაფლი და დარი-
ჩინი, შავი საკმელი, ანდუზი და ტყიურა ეს ყუელა გამხსნელი
არის.

და რომელიცა იშოებოდეს ანუ ერთმანერთსა შიგან გაურივე,
ანუ მარტო რომელიცა იშოებოდეს დანაყე და გაცერ. შეკრული დე-
დათა წესი გახსნას.

10 წყლისა პიტნა თაფლითა მისცე მარგე არის. და ხმელი, და-
ნაყილი პიტნა თაფლითა მისცე მარგე არის. ტყიურა ნადულარი თა-
ფლითა მისცე მარგე არის. წითლისა ლობიოსა და შავისა მუხუდო-
სა ნადულარი და ოშნანი, ამას ჰქვიან რომე მღებარნი იხმარებენ,
მღებართა ქვა, და ანდუზი ამათი ნადულარი, და აქლემისა ბალახი-
სა ნადულარი და ქონდრისა ნადულარი, ამათი ნადულარი თაფლი-
თა მიეც მერმე არის, წმინდად დანაყე დარიჩინი მიტყალი ღვინითა
დაასველე, და მერმე შეკრულსა წესსა გახსნის. მაგრა თუ ამოკნარა
მაშინ თავის ტკივილი სჭირდეს, ამ წამლებისაგან ნურას უზამ. ესე
უყავ: აიღე ცერეცო, ბაბუნაჯი, მარზანგუმი, აქლილმელიქი, ქოლმი,
20 პრასა, სადაფი, პიტნა, სონიჯი, ნიახურის თესლი, აშაყი, ყუელა
ერთპირად ან თვითო თვითო წყლით მოადუღე, და სენისა უფალი
სკამსა ზედა დასვი და ქვეშე შეუდგი და მობურე კარგად რომე ორ-
თქლი შეუვიდეს.

და თუ თავი სტკიოდეს ნურცა ამას უზამ და აშნა ნადულარ-
შიგა ჩასვით. თუ ამა წყლითა ბანზა დაასოვლოთ და თან აილოს მა-
რგე არის.

და თუ ერთი დრამი იარაჯფეყრა მისცეთ, ისიც მარგე არის. ნიგოზი და სადაფი ორივე ერთად დანაყოს და ხუთი დრამი ძრიე-ლითა ღვინით შეასვი, მარგე არის. მარტო შამიანდალი და მარტო 30 ჯავაშირი და მარტო საქმინაჯი შეუკმოლე მასვე წამსა გახსნის.

ნ ი შ ა ნ ი დედაკაცსა რომე წესი მეტად სჭირდეს, ა ი ღ ე: ხუთი დრამი თეთრი საკმელი, ერთი დრამი ზაფრანი დანაყე რბი-ლად, სამსა კუერცხისა გულსა გაურივე, და აჭამე დედაკაცსა შობა-სა შიგა. ბოქვენმა რომ დაუწყოს ტკივილი, ანუ შობა გაუძნელდეს: დაიჭირე ცოტა მწვარი დედათ წესსა შიგან [ამოავლე]დაწვი, სველ-სა მიწასა შიგან გაურივეთ და ააღებინეთ.

ძ ნ ე ლ ა დ შ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს: აიღე ქორის სკინტლი, უშნარა-შიგან გაურივე და შეაჭამე.

161

ლბ. დედაკაცსა თუ რძე დააკლდეს, მისი ნიშანი ეს არის, რისგან არის, თუ გუნება მწოვედ მხურვალი ანუ ნამეტნავად გუნე-ბა გრილი არის.

ნ ი შ ა ნ ი ეს არის: თუ სიმხურვალისაგან იყოს, ძუძუცა წითე-ლი იყოს ანუ ყუითელი და ხელი რომე დასდვა ცხელი იყოს. თუ სიმხურვალისაგან იყოს ¹, მუდმათ იისა ზეთსა ძუძუსა შემოსცხებდი და ხელთბილსა წყალსა ძუძუსა და მკერდსა ზედა ასხემდი და მუმ-რულან რომე წმინდითა ცვილითა და იის ზეთითა შექნილი იყოს, და ნედლითა ქინძისა წვენითა დაასხი ზედა, ავანსა შიგა კარგად 10 დაზილე რომე მალამოსავითა შეიქნას და ტლედ ძუძუსა ზედა შე-მოსდევ. ქინძის ფურცელი და თუხმაქანისა ფურცელი დანაყე და ტლედ შემოსდევ. მერმე არის სხვა: ძმარი და ვარდისა ზეთი ერთ-მანერთსა გაურივე და ძუძუსა ზედა ტლედ შემოსდევ.

თ უ სიგრილისაგან სტკიოდეს, მისი ნიშანი ესე არის რომე ძუ-ძუსა ფერი თეთრი იყოს და ხელი რომე დასდვა ცივი იყოს, და ტკივილი უფრო რბილად იყოს. წამალი მისი: მუმრულან შექენ ყუი-თლისა ცვილისაგან ხატმისა ზეთითა, ანუ სოსნისა ზეთითა, ანუ ყუსტისა ზეთითა მუმრულანი შექენ და შემოსდევ. ს ხ ვ ა: აიღე ხმე-ლი, დანაყილი პიტნა მერმე ღვინითა კარგად მოადუღე, მემრე იმა 20 მუმრულანსა შიგან მოურივე და კარგად ამოზილე და ძუძუთა ზედა შემოსცხევ. თუ რამე ძუძუსა შიგან შეიკრას და სენად შეიქნას და-იჭირე ჭაკუნტელი ძრმითა მოადუღე, მანამდის რომე დადნეს, მერ-მე პურის გული და დიდის ცერცვის ფურცელი გაურივე, ესე ყუ[ე]ლა ერთად გაურივე და შირბახტისა ზეთიცა გაურივე და კარგად და-ნაყე და ძუძუსა ზედა ტლედ შემოსდევ და ერგების. რომე ძუძუსა ხორცი დაინაყოს: ოსპი და უკურკო ჩამიჩი დანაყე და შემოსდევ, ერგოს. თუ ძუძუსა შიგა მხურვალი სენი გამოჩნდეს ძმარი თბილი-თა წყლითა გარეული ძროხისა ანუ ცხურისა ბუშტსა შიგან ჩაასხი და შემოსდევ. სიმსივნეხედა. ს ხ ვ ა: ძაღლის ყურძენას ფურცელი 30 დანაყე ვარდისა? ზეთი გაურივე და ძუძუსა ზედა ტლედ შემოსდევ სამსა დღესა ამას ახმარებდი. თუ მან არა უშველოს რა სხვა გრილი ტლე შეზოსდევ.

ს ხ ვ ა ტ ლ ე, ძუძუსა ტკივილისა, რომე უკანის ბოლოს ჟამ უყონ, ა ი ღ ე: საერო პური ხმელი, ქერის ფქვილი და დიდის ცე-

რცვის ფურცელი, ულბო დანაყილი, ხატმი მათგანი ხუთხუთი დრამი, ზაფრანი ორი დანგი, ესე ყუელა დანაყე და კუერცხისა ყუითლისა გულითა შეზილე და ძუძუსა ზედა ტლედ შემოსდევ.

¹ ამ სიტყვის შემდეგ უადგილოდ ზის „წადილი მისი“.

162

ს ხ ვ ა: სელი დანაყე და ძრმითა გაურივე და შემოსდევ ძუძუთა, ერთობ მარგე არის, რაჟამს ძუძუსა თავმან ტკივილი დაუწყოს ფიცხლავ ხელი გაუხსენ და სანდალი და აყაყია ტლედ შემოსდევ, რომე კიდევ არ გარდაექცეს.

ძ უ ძ უ ს ა ტ კ ი ვ ი ლ ი, თუ სხგრილისავან გამოჩნდეს, წამალი მისი, პირველად იისა ზეთი კვერცხისა გულითა შემოსდევ და მერმე ცვილი, დანაყილი ნიახური ძუძუსა ზედა [შემოსდევ]. და ამას ზეით ტლევები [რომ] სწერია, ამისთვის მარგე არის.

ს ხ ვ ა ძუძუს ტკივილი რომე გამაგრდეს და გაუსივდეს და შიგან ღ უ დ ღ უ დ ი გამოჩნდეს თიასავითა გორვიდეს, პირველადვე იისავე ზეთი შემოსდევ კვერცხისა გულითა და მერმე მუმრულანშიგან ვარდის ზეთი და ზროხის ნაღველი გაურივე და შემოსდევ. თუ ღვივისა თესლი გაურიოთ ამას, მაშინ მარგე არის. და ძმრის თხლე შემოსდვა ისიც მარგე არის და ღუდღუდსა. რომე თიასა გვანდეს, ნედლი ატმის ფურცელი და ნედლი სადაფის ფურცელი დანაყე და შემოსდევ. მარგე არის. თუ ძუძუსა შიგან დუბელა იყოს და ან შეექნას, ა ი ღ ე: სელი და ქუნჯითი, იის ძირი, შავი საკმელი, ნედლი თხის კურკლი, ტრედის სკინტლი, ბორა, საქმინაჯი ¹ სწორ სწორი, კარგად დანაყე, მერმე შირბახტითა და ზროხისა წვივის ტვინითა ² და ბონდაბითა გაურივე და შემოსდევ.

წამალი მისი რომე ძუძუთა. შიგან ავი წყლული გამოჩნდეს, რომე ხორცი მოსჭამოს. ა ი ღ ე: მწარე ღვინო ათი ლიტრა, თუთუბა გატყავებული, ნახევარ ლიტრა, ესე ყუელა მაგა ღვინოსა შიგან ჩადევ რომე კარგად დაღბეს, მერმე წყნარად ცეცხლითა აადულე და უზნის შემით გაურევდი და როგორაცა ნახევარზედა მოდგეს დაჭყლიტე. დაწურე და მერმე ეგრე ღვინით მაგავე ცეცხლზედ შედგი და ერთხელ კიდევ ადულე და მერმე ეგ შეინახე და როდესაცა მოგინდეს, სადაცა მისთანა ძუძუს ტკივილი გამოჩნდეს, წყლის პიტნა თაფლითა მიეც მარგე არის, და ხმელი დანაყილი პიტნა თაფლითა, ³⁰ მიეც, მარგე არის. წითლისა ლობიოსა და შავისა მუხუდოსა ნადულარი, და ოშნანი ამას ჰქვიან, რომე მღებართა ქვასა ჰქვიან, და ანდუზი ამათი ნადულარი და აქლემისა ბალახისა ნადულარი და ქონდრის ნადულარი, ყველას ნადულები თაფლითა მიეც მარგე არის.

წ ა მ ა ლ ი: დანაყილი დარიჩინი, მატყლი ღვინითა დაასოვლოს და მერმე დარიჩინსა შიგან ამოავლოს და ააღებინოს, შეკრულსა წესსა გახსნის, მაგრა თუ ამა მანკსა შიგან თავისა ტკივილი იყოს, ამა წამ-

¹ სწერია „სასინაჯი“

² სწერია ტუტითა.

ლებისაგან ნულარას უზამ, ესე უყავ, აილე ცერეცო, ბაბუნაჯი, მარზანგოში, აქლამალიქი, ქაღმი, პრასა, სადაფი, პიტნა, სონიჯი, ნიახურის თესლი, აშაყი ყველა ერთპირად და ანუ თვითო, თვითო, წყლითა მოადულე და სენისა უფალი სკამზედა დასვი და ქვეშე შეუდგი და კარგად მობურე რომე ორთქლი შევიდეს, და თუ თავი სტკიოდეს, ნურცა ამას უზამთ და ამა ნადულარსა შიგა ჩასვით. და თუ ამა წყლითა ბანბა დაასოვლონ და თანა აიღონ, მარგე არის. და თუ ერთი დრამი იარაჯფეყრა მისცე ისიც არგებს. ნიგოზი და სადაფი ორივე ერთად დანაყე და ხუთი დრამი ძრეელისა ღვინითა 10 შეასვი მარგე არის. და მარტო შამიანდალი, და მარტო ჯავაშირი, და მარტო საქბინაჯი შეუკმოლე, მასვე წამსა გახსნის.

ლგ. კარი დედათა თუ საშოსა შიგა სიმსივნე დაემართოს.

ხელისა შუა ძარღვი გაუხსენ და მერმე პირსა წაიგდებინოს, და საქმელსა ნუ სჭამს რასთონიცა გასძლოს უჭმელობა ისი სჯობს, თუ მუცელსა გახსნა უნდოდეს, ხიარშამბარი ქასნისა წყლითა და ნუშის ზეთითა შესვას, მუცელი გაიწმინდოს. თუ ტლე მოუნდეს, ბაზრაცატუნი და ფურცელი ხურფარასი და ნედლი აყირო გაფხეკილი და ფქვილი ქერისა და ვარდის ზეთი ეს ყუელა წყალსა შმიგან მოადულე და შიგ ჩასვი. ესე ტლედ ქენ: ბაბუნაჯი აქლილმალიქი, ულბოსა 20 თესლი, ასაქისა თესლი, აზრაზუბანდისა, ეს ყუელა მოადულონ და თბილსა წყალსა შიგა ისი ნახარში ჩაასხან და შიგან ჩასვან და აქლილმალიქ მწოვედ მოადულონ ზაფრანის ზეთითა და კვერცხის გულითა და ბაბუნაჯისა ზეთითა ტლედ ქნას და საშოსა დაიდვას. ლოაბი ¹ სელისა და ლოაბი ულბოსი ოყნად ქნას, შაფილ ქულბათი ხამიცა კარგია.

თუ სიმსივნემან პირი გამოიღოს და, ბალღამი სდიოდეს და ბუმბისაკე მივიდეს, ბაზრაცატუნი ახლისა რძითა მოადულოს, და შეხურითოს, და საზამთროსა წყალი ჯულაბითა შეასვას.

თუ იმა სიმსივნისა ბალღამმან წვენი წელისაკენ ქნას, რაც ² 30 მღიერისა წამალი სწერია იმასაცა ისი უყონ.

თუ იმისი წვენი სიმსივნისა და ბალღმისა საშოდაღმა წავიდეს. მაღამო ბასალიყონისა და ზროხისა ერბო[თი] საშოსა შინა ოყნა უყოს.

თუ ის სიმსივნე სარატანი ³ და იჰალუნი ბატისა ქონითა ტლედ შემოსდვან და ჩამდნარი ფუფულიცა ჩაურთონ. და ულბოსა

¹ სწერია ლოპო.

² აქ უადგილოთ ზის „წელია“.

³ სწერია „სართხან“.

ზეთი და ბაბუნაჯისა ზეთი ერთად გაურიონ და შიგან მატყლი. ჩაა». სოვლონ და საშოსა შეიდვას.

ერთი წამალი ესე არის, და მისგან ნურას იშვიშვის: ახლისა ქინძისა წყალი და ან. ქასნისა წყალი და გოგირდი ტყვივისა ავანშიგა დანაყილი იმა წყალსა შიგან გაურიონ და მანამდი ურიონ ვი: -რემ გაშავდებოდეს ამისგან ხან შიგან ჩააწვეთონ და ხან ოყნა უყონ და ქალის დედის რძითა და ვარდის ზეთისა უყონ. თუ სისხლისა წვეთი გამოჩნდეს რომე ლეითიზისა და გილი ერმანისა და სითეთრე

კალისა და ხურფასი ფურცლისა რძე და ფურცელი მრავალძარღვის
10 და მისი ზეთი ეს ოყნათ უყონ.

ლდ. სხვა სენი დედათა საშოსა, ისთინაყ ჰქვიან საშოსა სენ-

სა· თუ ესე სატკივარი სჭირდეს, მისი ნიშანი ეს არის რომე თავი
uerit და თვალი ემღეროდეს და გული უძგერდეს და. თავიცა
უბრუნევედეს და კბილსა იღრქინვიდეს ძილსა შიგან, და თასანუჯი
გამოოჩნდეს. ამა სენსა და ს ა რ ა ს ა შუა ნიშანი ცალკე ცალკე არ-
ის და სენი ერთმანერთსა ჰგავს. აწ ნიშანი სარასი ისი არის რომე
დაეცეს ანაზდად და ლოყასა იცოხნიდეს და ენასა ისსრევედეს, და
პირსა დუჟი მოსდიოდეს და პირის სახესა ფერი აღარა ჰქონდეს.
იმა ზემოსა ისთინაყისა ნიშანი ამა ნიშნებსა ¹ არა გავს.

20 ი ს თ ი ნ ა ყ ი რომე სჭირდეს კაცისა საუბარსა გაიგონებდეს
და ს ა რ ა რომე სჭირდეს, საუბარს ვერ გაიგონებდეს. თუ ესე სენი
დედაკაცსა საშოსა სჭირდეს, ასეთი წამალი შეუწყევით, რომე
ისი გახსნას და გავიდეს და ბარკლისა ძირსა კოტოში მოკიდე და
ია, ბაბუნაჯი და აქლილმალიქი, ლაბლაბი, მარზანგოში ესე წყლითა
მოადუღონ და შიგან ჩასვან.

თ უ ე ს ე სენქალისა და ავისა ხილთისაგან იყოს, თუ შეიტყოს
ფიცხლა სახარდულსა დაიწყოს ბარკლისა შეკრვა და კოჭთამდისა
შეიკრას და ამა ფერხთა მრავლითა ხარდლითა და თბილითა წყლი-
თა იზელდეს და ბარკალსა და წვივზედა ყათრანი შემოიდვას და
30 ყათრანი და ჯუნდა ბედასტარი და ჯავშირი და რაცა ამათ გვან-
დეს ცხვირსა ისუნებდეს ერგოს. სანთელი დაავსოს და ის დავსილი
კუამლი ისუნოს, ერგოს.

დ ე დ ა კ ა ც ი რომ მრთლა იყოს შაფი ქნას ფულფულისა და
გუნდუშისა აბულყარისა ზეთითა მოზილოს და შეიდვას და საშოსა
პირი დაიზილოს, რაცა სენი და სიგრილე და სინედლე იყოს ყუელა
გაწმიდოს. მას უკანით იარაჯ ფეყრა და შამიანდალი ერთმანერთსა

¹ სწერია „ნაშენებდა“.

შიგა გაურიოს და შეასვას და იარაჯი ლუყადიათა მუცელი გაიხს-
ნას, ისიცა კარგია. და მაჯუნნი ნუჯა ჭამოს, ისიც არგებს.

**ლე. კარი და ნიშანი, კაცი რომე ცოლთანა ვერ დაწვებოდეს
სენისაგან.** მამაცობასა და თესლისა მომატებისა წამლებისა. ამა სა-
ქმესა ორი სენი მოუშლის ანუ ზაფრა და ანუ ბალღამი, კარგი აქი-
მი უნდა რომ ესე შეიტყოს.

ნ ი შ ა ნ ი მ ი ს ი თუ სიმხურვალისაგან იყოს... ცოტა და შევა-
სვათ გაცივებული, მაშინვე გამოაჩენს თუ სიგრილისაგან იყოს, ძა-
ლიანი მაჯუნნი შესვას და იგი გამოაჩენს თუ ზაფრისაგან იყოს. და-
10 იჭირე ოცდაათი დრამი თარანგუბინი და ორსა ლიტრასა ცხური-
სა რძეშიგან დაალბე და გამოწურე და ასვი უშველოს ლ²თითა.

თ უ ბალღმისაგან იყოს მაჯუნნი შეუწყევ ამ წამლისაგან, ა ი ლ ე:
სტაფილოსა თესლი, ინდოური ნიგოზი, დარიჩინი, ყარამფული, ჯავ-
ზი, თვითოსაგან ხუთ ხუთი მიტყალი, თაფლით მაჯუნნი შექენ და
აჭამე და მამაცობას მატებს, და ძალს მისცემს.

ს ხ ვ ა ვ ე თუ კაცი ავად იყოს და დედაკაცთან თანა ვერ და-

წვებოდეს, აქიმა ასე მართებს რომე იმა კაცისა გუნება შეიგნას თუ სიგრილისაგან და თუ ბაღმისაგან იქნების, მაშინ მისი წამალი ღვი-
ნო და კარგი საჭმელი იქნების და კარგითა საჭმლითა გაამრთელონ.

20 არათ ღონითა წამლით ეს არ იქნების რომე კაცი დედაკაცთან და-
წვეს, თუ აქიმა კარგათ საჭმელთა ჭამისაგან მოუმატებს. იქნების
რომე წამალი უყოს კაცმან და უარ მოუხდეს წამალი მისი.

თუ სტომაქი გრილი იყოს, წყალი ტანშიგა შერჩომოდეს მას
ძალისა მისაცემელი წამალი უნდა რომე ის წყალი დაძრას. თუ ესე
არა სჭირდეს საჭმლითა გაამრთელონ. ამა კაცისათვის და იმა სატ-
კივარისათვის ერთობ კარგია წყალითა დამბალსა მუხუდოსა, ყუელ-
სა სჭამდეს დილასა. და თუ სტომაქი გრილად ჰქონდეს ზანჯა-
ფილითა ჭამოს კარგად არგოს. ყალია და პრასა და ხორცი, სტა-
ფილო და მუხუდო და ნედლი ბაკლა ამას შიგა მარილი და ზანჯა-

30 ფილი და კუერცხის გული და დარიჩინი, ამას ზემოთსა საჭმელსა
შიგა გაურიონ, და თუ ცოტა თაფლიც უყოთ სჯობს.

და გრილსა სტომაქსა არგებს თევზი ახალი, შემწვარი, უმითა
ხახუთა ჭამოს. თუ მისი სტომაქი გრილი იყოს, ანუ ზანჯაფილითა
და ან ფილფილითა, ამითა ჭამოს ეს თევზი რომე ერგოს. სატაცური:
მოხარშოს და მერმე ერბოთა კიდევ შეწვას და გული კვერცხისა.
ჩაახალე და დარიჩინი ჩააყაროს, ეგების და ძალსაც მოუმატებს.
ს ა ჭ მ ე ლ ი კარგი რაც იმა სენსა ერგების. დაიჭირე: ახლისა თევ-
ზისა ბუმტი შეწვი და კვერცხითა ჩაახალე. ზანჯაფილი, დარიჩინი

166

და ფილფილი ზედ დააყაროს და ჭამოს ერგების. საჭმელი სხვავე,
დაიჭირე ვარია სამი და ტრედის ხუნდი სამი ¹ ის ვარია და ტრე-
დის ხუნდი აქნას და მუხუდოთა ბაკლათა და ოსპითა და ხახვითა,
მისსა მარილსა ზანჯაფილიცა ურთოს.

ს ა ჭ მ ე ლ ი სხვა: ჯავზი ინდაური მისი გული, წურილად და-
თალონ და წმინდა პური ახალსა რძესა ჩაუყარონ და თორნესა ჩა-
დგან და ზედა ბატი ანუ ქათამი მსუქანი შეუწყონ რომე მისთა
ნაწველი იმა შეჭანადშიგან ჩავიდეს, ერთობ კარგად არგებს. ს ა ჭ-
მ ე ლ ი სხვა: ნუშისა გული ტკბილი და გული წიფლისა და თხილი-

10 სა და თესლი ხაშხაშისა და ხმელი ლეღვი ყუელას წონა ეს ყუელა
დანაყონ წურილად და ყოველს დილას სამი უკია ² რძე მოადულონ,
ჭამოს, ძალი და თესლი მოუმატოს. ტრედის ხუნდი და წურილი წი-
წილი რომე მუდმად მუხუდოთა ქამოს, ბანზისა გურკა და ლობიო
ეს აჭამონ, იმა წიწილსა თესლი მოასფარისა, ბაკლა, ეს ყუელა არ-
გებს. ჭივჭავი, ტრედის ხუნდი თუდართა და ნიორითა გატენილი
სველსა ქალაღდსა შიგან წაახვივონ და ღადარშიგან ჩაფლან და შე-
წვან, სტომაქსა ერთობ ძალს მისცემს, ე რ თ ი სხვა არის ნიადაგ
ჭავჭავსა სჭამდეს და წყლისა ადგილსა რძესა სმიდეს, თესლი მეტად
გაუმრავლდების და შემწვარი თხა, მუხუდოთა გატენილი, ისიც ის-

20 რევე არგებს, ქაბაბი ჩინი და სულინჯანი ზედა მოაყაროს. თუ მისი
სტომაქი მხურვალი და ხმელი იყოს, ახალი თევზი და მაწუნი ახლი-
თა ხახვითა და რძე ან შაქრითა, ანუ თარანგუბინითა და მსუქნისა
ბატისა და თიკნისა ხორცი აყიროთა შექნილი ან იარათა ან კიტ-
რითა და ტვინი კრავისა და თიკნისა და ტვინი ქათმისა ესე ყუელა

არგებს.

ს ა ჭ მ ე ლ ი ს ხ ვ ა ვ ე: ტვინი ჭავჭავისა და ტრედის ხუნდისა თვითოსაგან ორმოცდაათი და ჩიტისა კვერცხისა გული ოცდაათისა და ქათმისა კვერცხისა გული ათისა ხორცი თხისა ახალი ერთი ვა-
30 ყია, უკიასა ჰქვიან, ხახვის წყალი დანაყილისა სამი უკია, ოცდათი მიტყალი ზროხის ერბო და ორმოცდათი მიტყალი მარილი, ეს ტა-
ფაშიგა შექნან, ვითა გვითხრობია. ს ა ჭ მ ე ლ ი ს ხ ვ ა: ხახვი დაჭრი-
ლი ერბოთა შეწვას კვერცხი, ჭივჭავი და ტრედის ხუნდი და ნახე-
ვარ მიტყალი სულინჯანი და ცოტა სიყანყური შიგ გაურიონ და
აჭამონ ³.

¹ აქ უადგილოთ ზის „სამისა ხუნდისა ქონი“

² სწერია „ვაყია“

³ ამის მომდევნო ორი აბზაცი ტექსტუალურად. არ უდგება ამ თავს. ამიტომ ისინი მოგვყავს ფრჩხილებში.

(ცხვირის სისხლისათვის თრიაქი გალესე წყლითა და პატრუ-
ქი დაასოვლე მითა დანაყილს შაბში გაურივე და ცხვირში შეუდევე
და უშველის ღ~თითა. მისთვისვე აყალოს მიწის მუზარადი შექენი რომ
თავს ჩამოეცვას და უშველის.)

(თ უ მ ც ა კბილი ეძროდეს ერთობ კარგი და გამოცდილია, და-
იჭირე სუდასუნბული ოთხი დრამი, მარილის თვალი ოთხი დრამი,
გაზმაზუ ოთხი დრამი, ირმის რქა დამწვარი ოთხი დრამი შაბი ოთ-
ხი დრამი, უდის სუხია ოთხი დრამი, თუთუბო ოთხი დრამი, ბრო-
წეული ყვავილი და ვარდი ოთხი დრამი, მურტის ფურცელი ოთხი
დრამი წითელი ვარდის თესლი ოთხი დრამი ყუელა დანაყე ცალკე
10 ცალკე და გაცერ და ღამით კბილის ძირში დააყარეთ და არგოს
თუ ღ~თსა უნდოდეს ¹.)

სახელითა ღ~თისათა აქა დაიწყების კარაზადინი. თავით თმით-
გან, ვიდრე ფერხით ფრჩხილამდის რაც სენი არის, ყუელას ნიშანი
და წამალნი ცალკე ცალკე გვერდს უწერიან გამოჩენითა.

ა ქ ა ს ა ძ ი ე ბ ე ლ ი და ი წ ყ ე ბ ი ს.

ა. სწერია ყოვლის ფერის თავის ტკივილის, ბრუსა, თავქედი-
სა, შაკიკისა და უძილობისა, რომე ავად ყოფაშიგა და სიბერეშიგა
დაემართების, ყუელა ამა კარშიგა სწერია,

20 ბ. მანახულისა და მისი ნიშანი.

გ. სარისი და სექდასი.

დ. ფილენჯისა, ლაყვასა, რაშასა და თასანუჯისა, რომე მარ-
ღვისა დამოკლებასა ჰქვიან.

ე. თვალის ტკივილისა.

კ ა რ ი ყ ო ვ ლ ი ს ფ ე რ ი ს ყ უ რ ი ს ტ კ ი ვ ი ლ ი ს ა

ვ. ყურის ტკივილისა.

ზ. ცხვირისა და ცხვირთათ რომე ბოვასირი გამოვიდეს, სურ-
დოსა და ცხვირთად რომე სისხლი სდიოდეს, დაცემისა და უკუყე-
ნებისა.

30

წ. პირისა, ზავისა, კბილთა და ენისა და ყბისა.

¹ ამის შემდეგ უადგილო, გაუგებარი წინადადებაა „ეს ყანუნის ბულისა-
გან გარდაურე ერთად“ შემდეგ კი „თუ ქორსა აქმენდეს ვარდის კაჭაჭი დაალ-
ბე, მის წვენიში ხორცი ჩაუყარე და ისრე აჭამე და ეშველებს. ქორსა რომე ან-
დლი სჭირდეს თვალების ხუჭვას დააწყებინებს და თავს... იქნების, ბიის ჩსირი
გათალე და ბანბა დაახვიე და ვარდის წყალში ზაფრანა გაურიე, ამოხოცე სამჯერ
იმითი და სამჯერ ცარიელის ძრმითა, მატლი ესხას სასაშიგა იმავ ჩხირით ამო-
ყრევინე“. თუმცა ეს დედნის ხელით არის დაწერილი მაგრამ რადგანაც ტექსტთან
კავშირი არა აქვს, ამიტომ სქოლიოში გაგვაქვს.

168

თ. ყელისა, ხახისა და მაღაზისა, ხუნაყისა დ+ ყელიდაღმან
რომე სისხლი ამოსდიოდეს, და ხმისა ჩასულისა. სხუავე. ყელის (ჭვი-
ვილისა, გარეთ რომე სტკიოდეს.

ი. წურბლისა რომე წყლის სმასა შიგა ჩაჰყოლოდეს.

ია. ხველისა და ზიყნაფაზისა, ფირტვისა სიმსივნისა, მკერდი-
სა და სილისა, რომე ფირტვისა სწყლულსა ჰქვიან.

— —

იბ. სტომაქისა, ბოყინისა სლოკინისა და აიზასი, რომე საჭა-
მადისა დამჟავებასა ჰქვიან.

10

— —

იგ. გულისა და გულის წვისა.

— —

იდ. ღვიძლისა და ვარამისა, რომე სიმსივნესა ჰქვიან.

— —

იე. სისხასა, დიყისა და იარაყანისა.

— —

ივ. კარი ტყირპისა ტკივილისა.

20

— —

იზ. საჯისა და ყვანისა.

იწ. კოლინჯისა და ჯაშასი, რომე ფირტვი არის.

ით. თირკმელთა და ქანთელისა.

კ. ბუმტისა და შირიმისა.

კა. სარცხვენელისა, ყვერის ტკივილისა და ნაწლევნი რომე
ყვერშიგან ჩამოუვიდენ, მისი.

— —

კბ. უკანასა კარისა, ბოვასირისა და შუყაყისა და ქავილისა.

30

— —

კგ. ჭიებისა სამივე ფერისა.

— —

კდ. არყანასა და მუფასლისა და მიკრისისა.

კე. ახალი დასაწყისი თავით თმით ვირემ ფერხისა ფრჩხილე-
ბამდე რაც კაცს გარეთ სენი დაემართების.

169

- კვ. პირის ფერისა შენახვისა.
კზ. ბაყისა და ბარასისა.
კწ. მუწუკებისა გარეთ რომე ესხას.
კთ. მაგრისა სიმსივნისა.
ლ. კისრის ტკივილისა.
ლა. მხრის თავის ტკივილისა.
ლბ. ფსელი რომე უნდომად წაუვიდოდეს.
ლგ. მოტეხილისა და ამოგდებულისა.
ლდ. დამწურისა და დამდულრილისა.
30 ლე. ტანშიგა რომ ქარი დაიბადოს.
ლე. რწყევისა.
ლზ. ყვავილისა და ავის ჟამისა.
ლწ. ტანშიგა რომ სიმსივნე გამოჩნდეს.
ლთ. ღლია რომე უყროლდეს და ფეხები.
მ. ხადირესა რომე წელთა ქვეით მობანდებოდეს.
მა. დაულფილისა და დავალისა.
მბ. ქუსლისა და ხელფეხისა დახეთქისა.
მგ. ისრის პირისა და ეკლის გამოღებისა.
მდ. სიმყლისა და სიმსუქნისა.
20 მე. მოწამლულისა წამალი.
მვ. გველების კბენისა და მისი წამალი, ბორიალისა და ღრიან-
კალისა ქვემძრომთა და ბრაზიანის ძაღლისა.
მზ. ძარღუთა გახსნისა, კოტოშისა და წურბლისა.
იწ. აბანოს ბანისა.
ით. ტილი რომ თმასა და წვერში დაიბადოს.
ნ. ძილისა და ღვიძილისა.
ნა. საჭმელთა მჟავეთა და ტკბილთა.
ნბ. ტანისამოსთა.
ნგ. ახლად დასახლებებისა,
30 ნდ. ზეთებისა შექნა.
ნე. ხასიათი თევზთა და ხორცთა.
ნვ. რძის ხასიათი.
ნზ. თესლების ხასიათი.
ნწ. ბოსტნეულთ ხასიათი.
ნთ. ახლისა და ხმელისა ხილისა.
ა. ტკბილთა და შაქრიანთა.
აა. ღვინისა და წყლისა.
აბ. მარტო წამლებისა.

ა. კარი პირველი. ყოვლის ფერის თავის ტკივილისა, თავ-
ქედისა, ბრუსა, შაყიყისა, ყუელა ამა კარში სწერია.

პირველად ნაზლა და სურდო და ვსწერთ. რაცა
კაცსა თავშიგა სატკივარი დაემართების ყუელა ტანშიგა შეექნების
და იქი დაემართების. პირველად სურდო შეიქნების და მერმე ჩამო-
ვა, გულშიგა და ნაზლად გარდაიქცევის. ნაზლის ნიშანი ეს არის,
ახურვებდეს და აცხელებდეს და გულის პირი სტკიოდეს. აწ რაც
ცხვირთად გამოვა იგი სურდო არის და რაც შიგნით გულზედა
წავაიგი ნაზლა არის, და მერმე გულიდაღმა სტომამქშიგა ჩავა და
10 სტომამქსა აშლის, ასრე რომე რასაცა სჭამს ვერა მოიდნობს და სე-
ნად გარდაექცევის. და მერმე ის უდნობი ნაწლევშიგა ჩავა, და აგ-
რვეე ყოველსა ასოსა შიგა უდნობი წავა. ერთი უარესი ყუანა მის-
გან იქნების, თუ ღვიძლშიგა წავა მჯდომად შეიქნების და თუ ფირ
ტუთა და თირკმელთა შიგან წავა მაშინცა მჯდომად შეიქნების და
მას რაცა გარდარჩების, თუ ყურშიგა გამოვა, ყურის ტკივილად გარ-
დაიქცევის, და თუ თვალშიგა ჩამოვა, თვალის ტკივილი მისგან იქ-
ნების. თუ კბილშიგა ჩამოვა, კბილის ტკივილი იმისგან იქნების. თუ
ყელშიგან ჩამოვა ყელის ტკივილი და ხუნაყი მისგან იქნების.

იცოდეთ, რომე თავისა ტკივილი მრავლისაგან იქნების: ერ-
20 თი სისხლისაგან, მეორე ზაფრისაგან, მესამე სევდო-
საგან, მეოთხე ბალდმისაგან, მეხუთე სიცხისაგან რომე
სიარული მისჭირდეს სიცხეშიგა, მისგან დაემართების. მეექუსე მე-
ტისა სიცვიისაგან, მეშვიდე ცასა ქვეშე წოლისაგან. მერვე
ძლიერის ქარისაგან, მეცხრე ნამეტნავად დედაკაცთან წო-
ლისაგან, მეათე შიმშილისაგან. მეათერთმეტე ღვინისა
ბუხარისაგან, მეათორმეტესა დავარ ჰქვიან. მეათცამეტესა
ბაიზარგა ჰქვიან.

ერთი თავის ტკივილი სხვა არის, რომე შიგნით გარემდის თავი
ეწოდეს.

30 ერთი თავისა ბრუ არის, ერთი თავქედი არის, ერთი ის
არის რომე კაცი წაიქცეს და ან მალღიდაღმე ჩამოვარდეს, ან ცხენი
წაექცეს, და მაზედა ტვინი დაერყოს და თავის ტკივილი დაემარ-
თოს. ანუ ტვინი დაერყოს.

ერთი თავქედი არის, ესეცა სამ რიგია და ოთხრიგი ამისი ნი-
შანი მისსა კარშიგა მოგონებული არის. ერთი ეს არის რომე კაცსა
სიტყუა ავიწყდებოდეს და რასაცა შეინახვიდეს, იგიცა დაავიწყდე-
ზოდეს, ესეცა თავქედსა ახლო ახლავს. ერთი უძილობა არის, რომე

უძილობა სჭირდეს. ერთი შაკიკია, რომე ნახევარ თავის ტკივილსა
ჰქვიან.

თავის ტკივილი რომე სისხლისაგან იყოს: მისი
ნიშანი ეს არის, რომე თავი სტკიოდეს და თვალეზი და შუბლი,
ყურეზი გასწითლებოდეს, და პირზედა წამოჭხეებით იყოს, და ხელი
რომ დასდვა ძარღვებსა ზედა სავსედ და ჩქარად სცემდეს. რა ეს
ნიშანი ნახო იცოდი, რომე სისხლისაგან არის. ამას ფიცხლავ ხელი
გაუხსენ, ანუ საფეთქელი, ანუ შუბლი, ანუ თავსა კოტომი მოჰკიდე.
და თუ ყმაწვილი იყოს ყურნი აუცრნენ, და ზემო თავსა, სისხლისა

10 დამეტებულისა წამლებსა შიგან სწერია ის უყავი. და თავის ტკივილისათვის ფაჩი დარბანდი გალესე ძრმითა ან ქალისა დედისა რძითა, თუ ისი იარა იყოს წყლითა გალესე და შემოსდევე, ერთობ კარგი არის და გამოცდილი.

და აფიონსა და ანუ ქაფურსა უსუნებდეს. ერთობ კარგი არის. სხვა ამისი წამალი ის არის, რომე თუ შეისუნებდეს ერთობ კარგი არის. სხვა მისი წამალი ის არის, რომე შერთვით იყოს, გახსნა უნდა სუბუქითა და გრილითა შარბათითა, და მერმე ყიფალიცა გაუხსენ და ვარდისა წყალი და ვარდის ზეთითა სანდალი გალესე და ყინულითა გა[ა]ცივეთ, თავსა და შუბლსა და გულის პირსა შესცხეთ.

20 თუ ვარდის წყალი არ იყოს, ტირიფის არაყი და მისი წვენი ქენით და საჭმელი ყველა გრილი, ოსპისა საჭამადი კარგი არის, შეუწყევით.

თუ სიმხურვალისაგან იყოს ტკივილი, მისი ნიშანი ეს არის, რომე წადმა უკუღმა უბნობდეს, კუნესოდეს და თვალნი ან წითლად ან ყვითლად ვსხნენ და სინათლისა ნახვა ეწყინებოდეს. ამასაც კოტომი და ხელის გახსნა კარგად მოუხდების, ღუინოსა ნუ ასუამ და ნურცა რა მხურვალთა აჭმევთ და საჭმელი ყუშლა გრილი შეუწყევით და გრილი ტლევები შეუწყევი და შემოსდევით, ბრძანებითა ღთისათა.

30 სხუანუსხანამავე სენისა. ვისაცა ესე სენი სჭირდეს მართებს რომე ფრთხილად იყოს ტკბილისა საჭმლისაგან და მჟავისა, ძრეილისა ღუინისაგან, და საჭმელი სუბუქი ჭამოს, მარხვასა შიგა ჭამოს აყირო და ჭაკუნტალი და შალგი. და ხსნილსა შიგა ქათმისა ხორცი ჭამოს და კრავისა თიკნისა ხორცი, და მჟავე საჭამადი, რომე შაქრითა გატკობილ იყოს, პურთანა ჭამოს. და საღამოსა ჟამსა შესუას თეთრი და წმიდა წყალგარეული ღვინო და ღვინოსათანა ხილი ჭამოს ბია და ბროწეული, და მერმე უზმამან იაროს ბევრი, ანუ ცხენითა. და ზედაზედა აბანოს შევიდოდეს ერთობ

172

ცხელი არ იყოს აბანო, და ფიცხლა გამოვიდეს აბანოთა და თავზედა თბილ-თბილსა წყალსა ისხემდეს, და წელიწადსა შიგა ყიფალსა გახსწევდეს.

შემოდგომასა და გაზაფხულზედა სისხლი ძალზედა გამოუშუას, ესე უფრთხილდეს და საჭმელი ისეთსას, რომე თავისა ტკივილი ან მოუვიდეს თუ ტკივილი ერთობ მოუვიდეს ნუცა ხორცსა მისცემ, ნუცა ღუინოსა და ცეცხლისაგან და მზისაგან ფრთხილად იყოს.

თავისა ტკივილი თუ ზაფრისაგან იყოს, მისი ნიშანი ესე იყოს, რომე ნამეტნავად თავი სტკიოდეს, თავიცა და შუბლიცა ცხლად ედგას და დამჭლდეს და თუალები გაუყვითლდეს და პირი გაუმწარდეს და უშრებოდეს და მწოვედ სწყურდებოდეს და ძარღუები წურილად და ჩქარად. სცემდეს, რა ესე ნიშანი ნახო, იცოდი რომე ზაფრისაგან არის. მისი წამალი: თუ ძალი ქონდეს გასახსნელი წამალი მიეც და გრილი წამალი, და ასეთი შარბათი მიეც, რომე გული და სტომაქი მოალბოს. მისი წამალი ესე არის ტყემლისა ლავაში წყლითა დაალბო და ზედა მარლილი მოაყარე, შუბლზედა შემოსდევე. და ანუ ქინძი დანაყოს ახალი და მისით წუე-

ნითა შემოსდვას იგი. ანუ ქერისა ფქუილი, ზროხისა მაწონი, ცოტა ძმარი გაურიოს, და კუერცხისა ცილა გაურიოს და იგი შემოსდვას 20 და ერგოს.

თუ სრულად თავი სტკიოდეს, თავი მოპარსონ და აგრე შემოსდვან, და თუ შუბლი სტკიოდეს შემოსდვან ესე წამალი და ერგოს. და ვარდის წყალი და ვარდისა ზეთი და ძმარი ერთად გაურიონ და ნიადაგ უსუნებდეს და სადაცა სტკიოდეს ზედა დასდევ, და იცხებდეს. მისი საჭმელი ან ტკბილი და ანუ მჟავე ბროწეულისა წუენი ჯულაბსა შიგა გაურიონ და მას სუმიდეს: თუ მუცელსა შიგა შეკრვით იყოს ან ტყემლისა შარაბი და ანუ იისა შარაბი ასუან. და საზამთროსა წუენსა შიგა ისრიმი და შაქარი გაურიონ და ასუან. და რა დაიძინებდეს ბაზრაცატუნისა წყალი შაქრითა შესუას და რა 30 ორი დღე გამოვიდეს, ქერისა წყალი ასუან.

თუ ამან არ უშუვლოს ა ი ღ ე: ყუითელი ალილა უკურკო, ათი დრამი, სინჯიტი, და ინდოური ტყემალი, თუითოსაგან ოცდათი მარცვალი, ერთი პევში ქასინი, ესე ყუელა სამსა ლიტრასა წყალსა შიგა მოადულე ვირემ სამოც დრამად მოიყაროს, მაშინ დაწმიდე და გამოწურე და მერმე ოცი დრამი შირიხიშტი შიგა გამოწურე დამიეც რომე შესუას ორსავე, ესე მიეც ზაფრანსა, სინამაქი, შასთარათა. და სისხლისა უფალსა სინამაქსა და შასთარასა ნუ მისცემ. ნედლისა ქასინისა წუენი და ვარდისა წყალსა შიგა გალესე, გულსა

და შუბლზედა შესცხე. ფაჩრაბანდი ძმრითა გალესული შუბლზედა შესცხოს, და ვარია ტყემლითა ან ისრიმითა, ან აყიროთა აჭამეთ და ცივსა წყალშიგანცა ჩადგეს და თავზედაცა დაისხას. მწარისა კიტრისა წუენიცა შესუას თხისა რძითა. თუხმაქანი შაქრითა გალესუან და შეასუან. სხუა ტლე კარგი და მარგე: აიღე ია და ვარდი და ლელოფარი ასასი დრამი და სანდალი წითელი და თეთრი თვითო დრა-

მი, ხაშხაში ერთი დრამი და ნახევარი, თარასა თესლი ერთი დრამი, ხატმი ერთი დრამი, ზაფრანა ერთი დანგი, ესე ყუელა დანაყე და წყალშიგა გაურივე და თავსა შემოსდევე, თუ ამას შიგა მაწონი და 10 ძმარი და კუეოცხის გული და ქერისა ფქუილი მოუმატო უკეთესი იქნების.

ს ხ უ ა, თ უ ს ი მ ხ უ რ ვ ა ლ ი ს ა გ ა ნ ს ტ კ ი ო დ ე ს. აიღე აყირო და ცერეცო და აფსინდი სწორ სწორი ქენით დანაყე და გამოწურე და ამ წუენსა შიგა ცოტა ძმარი და ცოტა ვარდის წყალი გაურივე და შესცხე და ანუ მისი ჩენჩითა ადულე და თავზედა შემოსდევე.

თ ა ვ ი ს ა ტ კ ი ვ ი ლ ი თ უ ს ე ვ დ ი ს ა გ ა ნ ი ყ ო ს. მისი ნიშანი ესე არის რომე, თავისა ნახევარი სტკიოდეს მარცხენით და პირისა ფერი მოშაოდ სცემდეს და ძილი არა მოუვიდოდეს და ჭკუა 20 შეეცულებოდეს და თუალსა შიგა წუწი უხმებოდეს და ცხური შიგნით ხმელად ებას. და ესეცა იქნემის რომე პირი ცეცხლივითა შე- [ე]ქნებოდეს და თუალშიგაც რემლი უგუბდებოდედესა შუბლისა ძარლუები ადგომილ იყოს და მუცელი შეკრვით იყოს და თავი ხან სტკიოდეს და ხან არა. თუ მარხვა და [ფარეზობა]¹ მისჭირდებოდეს

ესე ნიშანი [მაშინც] გამოუჩნდებოდეს, რა ესე გამოჩნდეს მისი წა-
მალ ი მუდამად დედაკაცისა რძესა თავზე დაიწუელდეს და თბილი
წყლითა ფეხებსა დაიბანდეს. ვარდისა წყალი და გავზუბანი ჯულაბსა
შიგა გაურივე და შესუას. არაყი ტირიფისა ვარდის წყალსა მაგიერ
შესუას შაქრითა. იისა ძირი, ხატმი, ვარდი, ია საგებელსა ზედა დაი-
30 ყაროს. მათბუხი აფთიმონი ააღებინეთ, რომე სევდა გამოწმიდოს.
მაშინ საჭამადი შეუწყევით ნუშისა ზეთითა, იისა ზეთსა შესცხებდენ
მუდმად და მჟავესა საჭამადსა ნურასა, მისცემთ. საჭმელი მისი, შექ-
ნილი ჯულაბი იყოს და თორხოლო კუერცხი ხურიტოს და მსუქანი
ხარშოსა ხურეტდეს. და რაცა მსუქანი ხორცია ყუელა ხარშოდ
იყოს შექნილი, ისიცა კარგად მოუხდების.

და თუ სტომაქსა შიგა სიცივე იყოს, ვაშლისა წყალი გაურიოს
ან გულაბისა. თუ სტომაქშიგა ცოტად ცხლად იყოს ანუ ასპანახი,

¹ აქ დედანში „ფურცელია დაზიანებული.“

174

ან კიტრი, აყირო და ცოტა ქინძი ხარშოსა შიგა გაურიონ და პური
რომე მეტად გამომცხუარი იყოს ისი დანაყოს და ჯულაბსა შიგა
გაურიოს და ისი შესუას. ნუშისა გული და ცოტა ხმელი ქინძი
ისიცა კარგად მოუხდების, და თორხოლო კუერცხი ხურიტოს. და
აყიროსა თესლისა ზეთი და იისა ზეთი ყურშიგა იწთოს და ტერფსა
და საჯდომსა მითა დაიზელდეს. ქათმისა ქონი და კარაქი ახალი და
ხბოსა წვივის ტუინი, ერთად ტლედ ქნას და თავსა დაიდვას.

თუ სტომაქი გრილი იყოს, ხორცისა წუენი ხურიტოს და ზედა
ძუელი ღუინო შესუას და დარიჩინი შეჭამოს და კუერცხის გული
10 ყუითელი ჭამოს. ისი ზეთი ცერცუსა შიგა გაურივეთ და თავსა დაი-
დვას და მით ტანიცა დაიზილოს და შაქარი დაწურვილი და ნუშისა
ზეთი და ხურმისა წყლითა თავსა ცოტად თბილი დაიდვას. თუ მისი
სტომაქი გრილად იყოს, ისევე ამას წინათი წამალი ქნას, და თორ-
ხოლო კუერცხისა გული უცილოდ და იისა ზეთი და ცერცუსი ზეთი
ტლედ შექნას და თავზედა დაიდვას, და ხუარბლის ნახარშსა თაფლი
და რძე გაურიოს და შესუას.

ს ხ უ ა ვ ე ა მ ა ს ე ნ ი ს ა თ უ ი ს. რა ჟამს ესე სენი დაემართოს,
ასრე მართებს, რომე აღდგომისა სამი დღე გამოვიდეს, ზომითა და
წესითა სისხლი გამოუშვას და მერმე ათი დღე რომე გამოვიდეს წა-
20 მალი მიეც, აილოს ამა ნიშნითა ა ი ღ ე: ალილა ქაბული ყუითელი
და შავი გურკისაგან გამოღებულ თუითოსაგან შუიდი დრამი, ია
და ვარდი თუითოსაგან ოთხი დრამი, ძირტკვილა გაფხევილი ხუთი
დრამი, ღრინჭოლასა თესლი ერთი დრამი, კრავის ენა [ხარის]¹
ათი დრამი, ბარამბო ხუთი დრამი, აფთიმონი სამი დრამი, ხმელი
აფსინთი ორი დრამი დანაყილი ქინძი ერთი: დრამი, თამრიჰინდი
გურკისაგან გამოღებული ოცი დრამი, წითელი ჩამიჩი ოცი დრამი,
უნაბი ოცდათი მარცუალი და ქლიავი ოცდათი მარცუალი, პიტნა
ხუთი ძირი, ყუელა ერთად [წმინდას] ჭურჭელსა ჩადევ, ორი ლი-
ტრა წყალი დაასხი, ერთსა დღესა [დაალბე] და ადუღე რომე ნახე-
30 ვარი დარჩეს, წმიდითა სამოსლითა გაწურე და მერმე ამა გაწურ-
ვილსა წყალსა შიგა გაურივე რევანდი, მასტაქი და ლაჟუარდისა ქუა

თუთოსაგან ნახევარ დრამი და შაქარი ოცი დრამი, მიეც, ვისაც ეს სენი სჭირდეს, და გაუშვი ვირემდის წამლით გაწმნდეს, მერმე ნელთბილითა წყლითა, შაქრისა შარაბითა შექენ და შეასუი და ერთი წამი რომე გამოვიდეს ჯულაბი შექენ ცივითა წყლითა. ბაზრაყატუნი მიეც რაგვარაცა წამლით გამოვიდეს. მერმე პური ჭამოს მუხუდოთა

¹ ხარის ენა მარფერასა ქუიან, ცვილსა რრმე შეღებავენ.

ცოტად და სამი პირი თეთრი ღუინო შესუას. ესე წამალი ერთხელ შემოდგომამიგა მიეც, ერთხელ გაზაფხულ, და უზომიან ათასი ბიჯი იაროს.

მერმე აილოს სიქანჯუბინი ოცი დრამი ათითა დრამითა ცი-
ვითა წყლითა შეასუი. ოთხსა დღესა ზედაზედა, და ოთხსა დღესა
მოიცადოს და ოთხსა დღესა ისევე ქენ ესე წამალი და ნიადაგ იქ-
მოდოი ამა წესითა ზაფხულის და ზამთრის. და ღამით ტკბილსა ბრო-
წეულსა შესჭამდეს. და დღეურად ფერხი თბილი(ს)თა წყლითა დაიბა-
ნოს, თავი ტუხტითა დაიბანოს და აბანოს წავიდეს და ტანი ანა-
10 კუეთითა და ძმრითა დაიზილოს. და რა თავმა ტკივილი დაუწყოს,
ცხურისა შიგა იისა ზეთი ჩაუშუას და კეფა იისა ზეთითა შეიმწნას;
და ზოგჯერ ერბოთი და ქალისა დედისა რმეცა იცხოს. ოცი დრამი
თაბირინდი [ბია, შინდი ჭამოს] ¹ და რომე ხანი გამოვიდეს ქერისა
წყალი შესუას და სუბუქი საჭმელი ჭამოს და ღუინო ცოტა სუას,
თუ სუას თეთრი ღუინო სუას.

სხუა თავისა წამალი, ა ი ღ ე: ჭაკუნტლისა ძირი, დანაყე და
წყლითა გაწურე, მერმე ვარდისა ზეთი გაურივე და ცხურისა შიგა
ჩაუშუი.

თავისავე ტკივილისა წამალი, აიღე: გაუხურეტელი გუნდა
20 და[ა]ლზე და გული გამოართუი და წყლითა გაქენ და ცხურშიგა ჩა-
უშვი და თავი დაღმა ქნას, და რაცა სენი იყოს ამა კეფასა შიგა
მოგროვდეს და მერმე კოტოში მოიკიდოს.

სხუა თავის ტკივილისა, ა ი ღ ე: ყუავისა ტვინი გაქენ მარ-
ჯუნა მარჯუნით და მარცხენა მარცხენით კერძო ჩაუშუი, ამა წე-
სითა მამლისა ჩიტისა ტუინი.

თავისა ტკივილისა აიღე ცერეცო, წყლითა აადღულე, მერმე
წყალი თავზედა დაასხი, და ცერეცო თავსა ზედა დასდე, რომე,
თავი დამალოს და წყალი ზედა დაასხი და მერმე ზეთითა და ძმრითა
შეზილე თბილათ შეუხვივე და დაბურე. სხუა წამალი რომე მუდმად
30 სტკიოდეს, აიღე: ფურისა ერბო და ბერძული ზეთი ორი კოვზი, რე-
მული კულიავი დანაყე წმინდად და თავსა შესცხე, და რომე მაღასი
სჭირდეს ნიუკა მხალი ცხურითა იხრჩოლოს.

ს ხ უ ა თ ა ვ ი ს ა ტ კ ი ვ ი ლ ი ს ა რომე ჭკუასაცა ძალი მისცეს
და თავსა უშუელოს, აიღე: წმიდაი ფქული, მერმე სამი კუერცხი
და კუერცხისა ქერქითა სამი. წყალი დაასხი ამასთანა მისოდენი
თაფლი, მისოდენი ფქული, მერმე ადულე ერთმანერთშიგა შეზავე-

¹ ჩამატება ვარიანტისაა.

ბული, მერმე შეაჭამე და რაცა ამისგან: ერბო დარჩეს ცხუირშიგა ჩაუწთევ სადამოდინ გაუშვი და ერგოს და უშუელის. სხუა წამალი, აიღე: ფურისა ერბო თაფლითა ანუ შაქრითა შეზავებული და აჭამე, კკუასა და თავისა ტკივილსა უშუელის.

თავისა ტკივილი რომე სიგრილისაგან იყოს. მისი ნიშანი ესე არის რომე პირისა სახე თეთრად სცემდეს და თავის ძარღუი, რომე ყურსა წინა არის, რბილად სცემდეს და სუსტად და სწყუროდეს. მისი წამალი მარზანგუმი ორივე ვარდის ზეთითა მოადუღე კიდევცა სუას და კიდევცა შეიცხოს და ცეცხლისა 10 პირსა ჯდებოდეს. [თუ შაკიკიცა სტკიოდეს მისი ნიშანი ესე იყოს, თავისა ნახევარი ერთობ გაუცივდეს და ფერიცა გაუთეთრდეს ანუ გაუწითლდეს. წამალი მისი: ბაბუნაჯი აქლილმალიქი ორივე დანაყე, იისა ზეთითა შეზილე და სადაცა სტკიოდეს იქი შესცხე. და კიდევცა ებანოს თბილსა წყალსაშიგა, და იარაჯ ფეყრაცა შეასუი.

თავი რომელსა სიგრილისაგან სტკიოდეს, აიღე: ასი მარცუალი პილპილი, ასი მარცუალი მდოგი, ათი კბილი ნიორი, დანაყე და თაფლითა შეზილე და თავსა შემოსდევე.

თავი რომელსა უთრთოდეს ანუ ხელი, ყურდგლისა ტვინი შეწვი და ჭამოს სამსა დღესა და ერგოს. სხუავე: ბავრუკი დაწვი, დანაყე და ღუინითა, თავსა შემოსდევე, აბანოსაშიგა. სხუა: ოსპისა ფქული და ბროწეულისა ქერქი, ორივე დანაყე კარგად და თავსა შემოსდევე. უკეთესი ესე არის რომე თრიაყი ალათ ერთისა ქერის ოდენი წყლითა გააყენე და ცხუირთა ჩაუშვი და ერგოს.

თავი თუ სიგრილისაგან სტკიოდეს, სისხლსა ნუ გამოუშვებ და ესე აბი ხორ აიღე: საბრი ოთხი დანგი და მასტაქი და შამიანდალი და ოშინდრი დანაყილი და გაცრილი თუითოსაგან ნახევარი დრამი, საყამუნია დანაყილი ორი დანგი ყუელა ერთმანერთსა გაურივე და წყლის ჭაკუნტელისა წყლითა შეზილე და აბეზი შექენ პილპილისა ოდენი, ჩრდილსა გაახმე და კაცი ფარეზად ამყოფე და სადამოსა

30 ჟამსა მიეცი რომე შეჭამოს და ზედა თბილი წყალი შეასუი, გახსნას და ერგოს. და ესე წამლები შექენ, ცხუირსა და პირსა შიგა ჩაუშვი. აიღე: მწარე ოსპი და თახუის ყუერი და ფარფიონი თუითოსაგან თუითო დრამი და ზაფრანი ნახევარი დრამი და მუმკი ერთი დანგი ყუელა დანაყე და აბრეშუმისა სამოსლითა გაცარ და ღუინისა ცუარითა დაზილე და ოსპისა მარცუალისა ოდენი და რა მოგინდეს ესე ერთი მისგან გაქენ და ცხუირსა და ყურშიგა ჩაუშვი. თავის ტკივილი რომე სიგრილისაგან იყოს მას უშუელის. თუ ამით არ იქნას ესე წამლები ქენ აიღე: პილპილი და მდოგი და ფარფიონი

და თახუისა ყუერი თუითოსაგან ხუთი დრამი, აფიონი ორი დრამი ესე ყუელა დანაყე და წმიდად გაცერ და ძრიელითა ღუინითა გაურივე და სამოსლითა საფეთქელსა ზედა დადევე. და საჭმელი ცერცუისა წყალი ბერძულითა ზეთითა მიეც და სასმელი ძრიელი ღუინო და რა ხუთი დღე გამოვიდეს აბანოს შევიდეს.

თავისა ტკივილი რომე სიგრილისაგან იყოს: ესე გახსნისა წამლები მიეც, აიღე: თურბუთი ორი დრამი, ბასვაიჯი

წმიდად დანაყილი და გაცრილი ორი დრამი, იარაჯფეყრა ერთი დრამი, ღარიყონი ¹ ერთი დრამი, საყმუნიაცა [ერთი დრამი] გაუ-
10 რივე, ყუელა დანაყე და თაფლითა მაჯუნი შექენ და მიეც.

თ ა ვ ი ს ა ტ კ ი ვ ი ლ ი რ ო მ ე მ გ ზ ა ვ რ ს ა მ ი ს ჭ ი რ ვ ე-
ბ ო დ ე ს ს ი ც ხ ის ა და მ ზ ის ა გ ა ნ და მ ის გ ა ნ ს ტ კ ი ო დ ე ს. წ ა მ ა ლ ი მ ის ი
ესე [არის] მუდამად ტირიფისა ფურცელსა დაწვებოდეს, ნედლისა
ტირიფისა ფურცლისა წუენი, ძმარი, ვარდის წყალი, ქაფური და
თეთრი სანდალი ერთად გაურივოს და შუბლსა შემოსცხოს და ყი-
ფალიცა გაუხსნან, და შუბლიცა გაუხსნან.

თ ა ვ ი ს ტ კ ი ვ ი ლ ი რ ო მ ე ც ა ს ა ქ უ ე შ ა წ ო ლ ი ს ა გ ა ნ
ი ყ ო ს, ნიშანი მისი, რომე თავისა ტკივილსა სურდო დაერთოს,
რ ა ² ესე წაეკიდოს ფარეზი უნდა ყოვლისა მჟავისაგან. თავის ტკი-
20 ვილი ამავე ცასა. ქუეშე წოლისაგან რომე ერთობ მოუვიდეს და
ხმაცა ჩაუვიდეს ცოტად, როგორაცა დაიძინოს, ფერად ფერადი
სიზმარი ეჩუენებოდეს ძილიცა ცოტა მოუვიდეს. მისი წ ა მ ა ლ ი
ძმარი და ვარდის წყალი გაათბე, თავსა შესცხოს. ჯუხდი ბედასტა-
რიცა შიგა გაურიოს, ჯულაბი და თაფლი გაურივე და ასუი. პიტნა,
ყაისუმი, წყლითა მოადულე და ორივე ფერხი იმა წყლითა დაბანოს.
პური ჯულაბსა შიგა ჩაყაროს და ჭამოს.

თ ა ვ ი ს ტ კ ი ვ ი ლ ი რ ო მ ე ქ ა რ ი ს ა გ ა ნ ი ყ ო ს. მისი ნი-
შანი, თავი სუბუქად ქონდეს და მუდამ ქარი ყურშიგა უბუოდეს ³
ერთხელ მწოვედ მოუვიდეს და ერთხელ არა. მისი წ ა მ ა ლ ი: ყო-
30 ველ დღე თუითო დრამი იარაჯი მიეც რომე ჭამოს. მარზანგუში,
ბაბუნაჯი და ყაისომი, სამივე წყლითა მოადულე და თავი მისა ორთ-
ქლსა ზედა დაიჭიროს, რომე ორთქლი თავსაშიგა შევიდეს და საჭ-
მელი ცოტა ჭამოს, რაცა ჭამოს მხურვალე და რბილი ჭამოს.

თ ა ვ ი ს ტ კ ი ვ ი ლ ი თუ მრავალჯერ დედაკაცთანა მისულა-
ზედა დამართებოდეს, მისი ნიშანი ესე იყოს რომე, ამასთანა სიხ-

¹ სწერია „ყარყიონი“.

² სწერია „და“.

³ სწერია „ჩაუვიდეს“.

მეცა დამართებოდეს თავსა შიგა. მისი ნიშანი. ესე იყოს: თვალმან
ბნელება დაუწყოს, და პირი უგემურად შეექნას. მისი წამალი წით-
ლისა შაქრისა ფალუდაგი შექნას და იის ზეთიცა შიგა გაურიოს და
თავზედა ტლედ შემოსდებდით და შარბათიცა შეასუით და საჭმე-
ლად მსუქანი ქათმისა ხარშო შეაქნევინეთ და შიგა ზირა გაურიოს
და იის ზეთი და ნუშისა ზეთი ერთმანერთშიგა და ყურსა ზემოსა,
თავსა შემოიცხოს.

კაცსა რომე დედაკაცისა მისულაზედა თავისა ტკივილი დაე-
მართოს ისი სიმხურვალისაგან არის და რაცა ამას ზემოთ სიმხურ-
10 ვალისა წამალი სწერია. ამისივე მისთვის ქენით. და თუ ამან არა
არგოს შაქრითა და მასტაქითა შარაბი ავსანთინისა სუას სტომაქსა
გასწმედს, და ვარდსა და მურისა ზეთით შუბლსა იხელდეს. ბა-
ბუნაჯი, მურისა ფურცელი ერთად: მოადულოს და წუენი თავსა დაი-
სხას და ფურცელი შემოიდვას. თუ მაჯაშიგა გრილად იყოს, საჭ-
მელი შეუწყოს ან ნუშისა გულითა, ან თხილისა გულითა, ან წიფ-

ლითა, და ხბოსა ხორცი ერგების და მსუქანი ბატისაცა.

ერთი სხუათავის ტკივილი არის. მისი ნიშანი ესე არის, რომე შიგნით გარემდი თავი სტკიოდეს და ეწვოდეს და როგორაცა მცხარესა აგრე ათრთოლებდეს, ესე სატკივარი უფრო ვაჟსა 20 კაცსა: წაეკიდების. მისი ნიშანი ესე იყოს: ტვინისა საბურავი მდაბალი იყოს და თუალისა სინათლეცა აკლდებოდეს. წამალი მისი ესე არის ცილი კუერცხისა და ვარდისა ზეთი ყინულითა გააციოს და თავსა შემოსდვან, როგორაცა თავზედა გათბეს კიდევ გააციონ და მოადვას და თუხმაქანისა ფურცელი და წყალი და აყიროსა ფურცელი და წყალი ამა წყლებისაგან, რომელიცა იშოვებოდეს ვარდისა ზეთითა ცივცივსა თავსა მოიდებდეს.

თავისა ტკივილი რომე სიმშლისაგან წაეკიდოს, მისი ნიშანი რომე საფეთქელი ფეთქდეს და ყელისა მარლუები, თუალნი ჩასცვივნოდენ და ფერიცა შესცულოდეს. წამალი 30 მისი: ცხური ვარდის წყლითა და ძმრითა დაიბანოს და მოხალული ქერი დაფქოს და თეთრსა შაქარსა შიგა გაურიოს. სანდალი, ქაფური და ვარდისა წყალი ტლედ ქენ და შესცხე თავსა და პური ჩაყაროს ჯულაბსა შიგა ჭამოს. ან კიტრისა გული ჭამოს, ან ქაფური და ქასინი ძმრითა გაურიოს და ჭამოს პურითა და მშიერი ნუ დაჯდების.

თავის ტკივილი რომე დავრა ქუიან. მისი ნიშანი ესე არის თუ გუერდი იქციოს თავისა ტკივილი მოემატოს და უქმელსა უფრო სტკიოდეს. წამალი მისი: აბი ყუყია ააღებინო, თუ

179

ბატარა მალი ქონდეს აბი ააღებინოს, თუ ერთობ სუსტად იყოს თარანგუბინი და თამირიინდი ხიარშამბრისა გული, შირიხიშტი იის წუნენი, ესე შეასუი რომე მუცელი გახსნას. ძმარი ვარდის ზეთშიგან გაურიორნ და მუდამად თავზედა შესცხონ. პური შაქრისა ჯულაბსა შიგა გაურიონ და ჩაყარონ და აგრე ჭამოს.

თავისა ტკივილი რომე ბიზრა ქუიან. მისი ნიშანი ესე იყოს, რომე ერთობილმან თავმან დაუწყოს ტკივილი ყელამდის. ესეცა ორისა ფერისაგან არის. ერთი სიგრილისაგან და ერთი სიმხურვალისაგან. მისი ნიშანი რომე სიმხურვალისაგან იყოს, თვალი 10 გაუწითლდეს და გაუდიდდეს. იმას ესე ალილისა წვენი უნდა მისცეს. ტყემლისა შარაბითა და ვარდითა უნდა მიცემა.

თუ სიგრილისაგან იყოს ხელი რომე დასდვას ცივი იყოს და არა სწყუროდეს, ღამით უფრო მტკივნეულად იყოს, დღისით უფრო სუბუქად იყოს. მისი წამალი: აბი შაბიარი ააღებინო და იფარეზონ და სამი დრამი ნარგისი, შალასფარამი გარეშემო დაუყარე რომე ისუნოს და ხელისა მანდილი დაასოვლე თავლწყალითა და თავზედა შემოსდევ და ხელფერხსა უზელდი მუდამად, და საჭმელი-სწორი შეუწყევი.

თუ კაცი წაიქცეს ან მაღლიდაღმა ჩამოვარდეს, ან ცხენი წაექ- 20 ცეს და ამათაგან თავისა ტკივილი დაემართოს, მისი წამალი: მურტისა ზეთი ან ვარდისა ზეთი, ტლედ ქნას და შუბლსადაიდვას და ყიფალი გაიხსნას ანუ აქალის მარლუი გაიხსნას და თავსა კოტოში. მოიკიდოს და ხილი ჭამოს, [რომე მუცელი დაულბოს].

თუ ცხელება დაემართოს ბუსალაბისა წყლითა ხუთი მიტყალი ხიარშამბარი შესუას.

თუ სიმსივნე დაემართოს სანდალი წითელი, ფულფული, ლუქი და ზაფრანი და მწვანე წყლის ხავსი; ესე ყუელა მსივანსა ზედა და თავზედა შემოსდევ.

თუ ტვინი ამა სატკივრისგან დარყოდეს, ორი მუტყალი უს-
30 ტუხუდოსი დანაყოს და გაცრას და ჯულაბითა შესუას. მისი საჭმელი ან ქათმისა და ან ბატკნისა ტვინი იყოს. და მერმე ბროწე-
ულისა წყალი შესუას, რომე სტომაქსა ძალი მისცეს.

თუ მოტეხილისა რამე, ან თავისა ტკივილისა და დანაყილობითა სატკივარი სჭირდეს, მურტისა ფურცელი დანაყილი და გაცრილი მურტი ორივე სწორად ქნას და შემოსდვას.

თუ დანაყილი გასივებოდეს, ვარდისა წყლითა დაიზილოს და გაკუეთილსა ერთად მოყაროს. თუ ერთად ვერა შეჰყაროს მერმე შეკეროს, დაიჭირე: საბრი, ანზრუთი და საკმელი, სამისაგანვე ორ-

180

ორი მუტყალი, და დამლახავინი, მური წმინდა, ორისაგანვე ხუთ-
ხუთი მუტყალი, ესე ყუელაი ერთად შეყაროს და კუერცხისა ცილი-
თა გარიოს და დედაზრდილისა ქსელი შიგა გაურიოს და ზედა შე-
მოსდვას და გარემემო ამას გახეთქილსა სანდლისა და ფულფულისა
მალამა მოიცხოს.

თუ კ ა ც ს ა ბ რ უ ე ს ხ მ ო დ ე ს, ბრუსა სხმა ესე არის,
რომე ასრე ეჩვენებოდეს ვითა მთა და ბარი, ყუელა ბრუნავსო და
რაი ადგებოდეს რეტად იყოს, წაქცევისაგან ეშინოდეს და თუალთა
სინათლე არა ქონდეს და საჭამადი არა დია მოუნდებოდეს. ესე სა-
10 მისა ფერისაგან არის: ე რ თ ი სისხლისაგან, ე რ თ ი ზაფრისაგან,
ე რ თ ი სევდისაგან.

თუ ს ი ს ხ ლ ი ს ა გ ა ნ იყოს, მისი ნიშანი ესე იყოს, თვალი და
პირისა სახე ყუელა წითელი იყოს და ყურისა წინათ საფეთქელთა
ძარღუი სავსედ იყოს და ჩქარად სცემდეს, რაი ესე ნიშანი ნახო იცო-
დე სისხლისაგან არის, მისი წამალი: ყურს წინათ რომე ძარღუი
არის, თუ ისი ფეთქდეს, ისი გაუხსენ, თუ არა ფეთქდეს ნუ გაუხსნი
და თავზედა კოტოში მოკიდე და ყიფალი გაუხსენ და ფერხისა სათა-
გუეთა ძარღუებიცა გაუხსენ. და უნაბისა შარბათსა ასმევდი და მთელ-
სა უნაბსაცა აჭმევდი, რომე სისხლი დააწყნაროს და ბროწეულისა
20 შარაბიცა ასმევდი.

თუ ზ ა ფ რ ი ს ა გ ა ნ იყოს, ერთი ნიშანი ესე იყოს რომე თავი
და შუბლი ნამეტნავად ცხლად ედგას და პირი უმწარდებოდეს და
სწყურდებოდეს. რაი ესე ნიშანი ნახო, იცოდი ზაფრისაგან არის.
წამალი მისი: უწინ ხილთა წყალი ასუი, რომე მუცელი შეუღბოს.
მერმე აიღე ბროწეულისა წყალი შიგა ცოტა საყამუნია და შირიხი-
შტი გაურივეთ და შეასუით რომე გახსნას, და თუ მაზედა კიდეცა
არწყიოს სჯობს, და მას უკანით რბილი საჭამადი ჭამოს რომე მუცელი
რბილად ქონდეს და მუდამად ისრიმისა და ლიმოსა შარბათსა სუ-
ემდეს და საჭმელსა კოწახურითა და ისრიმითა, თუთუბითა და ბრო-
30 წეულითა, და ვარიასა, ხოხობსა ან თიკანსა ან დურაჯსა ჭამდეს და
ამა ალილისა მათბუხი მიეცით, აიღე: ყუითელი ალილა უგურკო თუ

დიდი კაცი იყოს ათი დრამი, და თუ ცოტა იყოს ხუთი დრამი დამ-
ბალი და მოდულეებული, და თუ დანაყდე და აგრე მისცემდე. დიდ-
სა კაცსა ხუთი დრამი, და ცოტასა [კაცსა] სამი დრამი, დანაყილი
და გაცრილი და თუ უნდეს ერთი დანგი საყამუნია გაურივეთ და
შეასუით და თავსა ესე ტლე შემოსდევი აილე: ქერისა ფქული, სან-
დალი და ტირიფისა ფურცლისა წყლითა, ცოტა ძმარი, ვარდი წი-
თელი, ხატმი, ესე ყუელა დანაყე და ძროხისა მაწონითა დაზილე და
თავსა შემოსდებდი. ცოტა ატრეფული მიეცით სიქანგუბინითა.

181

თუ ს ე ვ დ ი ს ა გ ა ნ იყოს, მისი ნიშანი ესე იყოს, რომე ფერზედა
მოშაო და ტყუივსა ფერად იყოს. და უძილობა სჭირდეს და თავი
ცხლად

არა ქონდეს არცა სწყურდებოდეს, რაი ესე ნიშანი ნახო იცოდე რომე
შავისა ბალდმისაგან არის. თუ გული ემლებოდეს მოდულეებულისა
ცერე-

ცოსა წყალი შეასუით და არწყევინეთ. მას უკანით ამა სენისათვის დი-
დი ატრეფული მიეცით ¹ და დევალმუშკითა და ანუ იარაჯ ლოდდა-
თა, და ყოვლისა მჟავისაგან ფარეზი უნდა იყოს. თუ არა უშუელოს
ესე აზი მიეც, აილე: საბრის კუტრი და შამიანდალი და მასტაქი,
და აფსინთი და თეთრი საკმელი, თუითოსაგან ნახევარ დრამი, და-
10 ნაყე და გაცარ და თუ გინდოდეს ერთი დანგი საყამუნია გაურივე
და ცივითა წყლითა აბები შექენ და ჩრდილსა გაახმე და სალამოსა
მიეც იმა წესითა, როგორაცა სწერია, აბებისა არის.

ს ხ უ ა იმავე სენისათვის, აილე მუშკი ერთისა ქერისა ოდენი,
კალიისა თესლი, მარიამ საკმელი ორისა ქერის ოდენი, ზაფრანი ერ-
თი დანგი, ესე ყუელა ერთსა ჭურჭელსა შიგა ჩაყარე და ზედა გე-
მრიელი ღუინო დაასხი, ცოტად ადუდე, მერმე სნეულმან ცხურითა
წინა დაიჭიროს, რომე, მისი სული, ცხურისა და თავსა შიგა შევი-
დეს, მერმე შესუას და უშუელოს ღ~თითა.

ს ხ უ ა, აილე: გულბა შაქარი. უდი და მასტაქი ესე ყუელა
20 ერთმანერთსა გაურივეთ და შეასუით და მოდულეებულითა ბაბუნაჯი-
სათა ფერხებსა იხელდეს და საჭმელსა მუხუდოთა, დარიჩინითა, სა-
ითარათა ჭამოს და დურადსა, კაკაბსა და ხობხისა ხორცსა საჭა-
მადად შექნილსა სჭამდეს.

თავისა ტკივილი თუ მ ა ხ მ უ რ ო ბ ი ს ა გ ა ნ იყოს, წამალი მი-
სი ესე იყოს: რომე წყლითა ბოლოკისა და ცერეცოსა თესლი მოა-
დულოს და გაწუროს და სიქანგუბინისა წყალსა გაურივე და სუას
თბილი, და პირსა წაიგდებინოს, მერმე ტკბილისა ბროწეულისა
წყალი შესუას, რომე მუცელი რბილად დაუჭიროს. და თუ ცოტა
საყამუნია გაურიოს მუცელი უწინ გახსნას და თუ ერთობ გახსნამან
30 შეაშინოს, ბაბუნაჯი მოხარშოს და ძილისა ჟამსა იმითა ფერხთა და-
იბანდეს და აზელინებდეს.

თუ მახმური სჭირდეს და სწყუროდეს შარბათი ისრიმისა და
შარაბი რევაჯისა და შარაბი მჟავისა ვაშლისა სწორსწორი ერთმა-
ნეთსა გაურიონ და შეასუან, მახმურიცა გაყაროს და წყურვილიცა
მოკლას.

¹ „ამა სენისათვის დიდი ატრეფული მიეცით“ დედანში ეს აშიაზე სწერია, ვარიანტში შიგ ტექსტშია შეტანილი.

182

მერმე უწინა წურილი თევზი ძმრითა შექნილი თარასა ფურ-
ცელითა ჭამოს. და მერმე თიკნისა ხორცი ან ისრიმითა მოხარშული,
კოწახურითა, ან სამყითა. ან ქათამი, ან დურაჯი ისრიმითა შექნი-
ლი ჭამოს.

წამალი სხუა. რომე მახმური გამოიღოს: ქასნისა თესლი და
ქალამისა თესლი და კოწახური გამოწურვილი, სამყი და ოსპი ქერქ
გამმურალი, ვარდი წითელი და თაბაშირი ეს ყუელა სწორ სწორი
დანაყოს გაცრას და სამი მუტყალი ან ისრიმითა, ან მჟავისა ბრო-
წეულის წუნითა შესუას და ვარდის წყალსა და ან ქაფურისა, ან
10 თეთრისა სანდალსა ისუნებდეს, მახმურსა ისიცა არგებს.

თუ კაცი ღუინისაგან წყენასა და მახმურსა და თავის ტკივილ-
სა მოელოდეს აფსინთინისა შარბათი უზმომან სუას ნულარას წყენა-
სა მოელის და რომე მწარე ნუში ღვინის სმასაშიგან ცოტა ცოტა
ჭამოს ღვინოს არცა ისი მოკიდებს. თუ ზროხისა ერბო ჭამოს და
მერმე ღუინო სუას აღარ მოეკიდებს. თუ იყოს ერბო, ახალი სჯობს
ძუელსა. თუ ღვინო გამოყუეს და აწყინოს შაქრისა ჭამა და ჯულა-
ბისა სმა კარგად მოუხდების.

ნ ი შ ა ნ ი თ ა ვ ქ ე დ ი ს ა, ოაჟამს კაცსა თავქედი შეექნას, მი-
სი ნიშანი ესე არის, რომე პირველად ძრწოლა მოუვა და კბილისა
20 ღრჭენა მერმე დასუსტდეს და ცეცხლივითა გაცხელდეს და თავი და
ზურგი და წელნი სტკიოდენ და ენაზედა შავი რამე გამოაჩნდეს და
რეგუნად უბნობდეს. რა ესე ნიშანი ნახო იცოდი რომე თავქედი
არის.

ერთი თავქედისა. ნიშანი ესე არის, რომე მრთელმან კაცმან
ანასდად ზახილი და კვილი დაიწყოს, ესე სენი სიმხურვალისაგან
არის. და ესე სენი სიმხურვალისაგანაც იქნების და სიგრილსაგანცა.

ესე სიმხურვალისა არის. წამალი: გასინჯე თუ შეკრვით იყოს
პატრუკი გახსნის და თუ შეკრვით არ იყოს, პირველად ძარღვი გა-
უხსენ და ქერისა წყალი შეასუი და შიგა დანაყილისა ხაშხაშსა გა-
30 ურევდი დღივ ორჯელ შეასუი, დილასა და საღამოსა. თუ გუნება
შეკრვით იყოს და ქერის წყალსა შესუემდე, ათი დრამი ჯულაბი და
ორი დრამი ნუშისა ზეთი გაურივე.

და თუ შეკრვით არ იყოს, სიქანგუბინი შეასუი ასრე რომე
ნორას გაურივე აგრე შეასუით. და რაი სამი დღე გამოვიდეს შუბლი
გაუხსენ. მერე აიღე: ნედლი ფურცელი ტირიფისა და კაკბისა, სა-
კუნეტელაი, ანუ ნედლი ანუ ხმელი ტუხტისა ფურცელი, დანაყე და
ქერის ფქუილი გაურივე და ვარდისა ზეთი ანუ ზროხისა მაწონითა,
შეხილე და თავზედა შემოსდევ და ნუ გა[ა]გდებ კიდევ და[ა]სოვლე
და

183

კიდევ შემოსდევ. თუ მან არა უშუელოს აიღე: ძმარი სამი ლიტრა,
ვარდის წყალი ათი ლიტრა, ერთმანერთშიგა გაურივე და ყოველთა
დღეთა თავსა დაბანდი, და ყოველთა დღეთა ენა გაუწმინდე ამა

წამლითა, აიღე: ბაზრაყატუნი და ბიისა გული და სამოსელსა შიგა გამოკარ და დააღბე და მით ენასა გარდუწმედდი.

სხუაივე სარსამისა ნიშანი რომე თავქედსა ქვიან, მისი ნიშანი ესე არის, რომე პირველად აწუადინებდეს, მერმე თავი დაუმიმდეს და რაცა ამას ზემოთისა თავქედისა სწერია, იგივე ამას უყავით და ეშუელოს ღ~თითა. თუ ძილი არა ეკიდებოდეს, ხაშხაშის თესლი ან 10 თარსა მოადუღონ და ასუან. თუ ესე სენი ზაფრისაგან იყოს მჟავე კიტრისა თესლი ანუ აყიროსა წყალი შეასუან, მისი საჭმელი აყიროსა საჭამადი იყოს ანუ ასპანახითა ანუ ოსპითა და ისრიმისა წუენიცა ასვან.

თუ მით ძილი არა ეკიდებოდეს ან თარას ღეროსა და ან თუხმაქანისა ფურცელისა საჭამადი აჭამე. თუ საჭმელი მოინდომოს ანუ სუმა-

ყისა, ანუ კოწახურისა წვენისა საჭამადი აჭამონ და ლიმონისა წყალიცა კარგია და მჟავე თურინჯისაცა კარგია და ინდური ხურმა ნუშისა გულისა წუენითა აჭამონ ახლითა ერბოთა და შირბახტისა ზეთითა.

20 რასაცა კაცისა თავის ტკივილი სიმხურვალისაგან იყოს, რაიცა ამას ზემოთ დაგუწერია, ესე საჭმელი და წამალი შეუწყევით. თუ უკეთ იყოს და საჭმელი მოინდომოს, წურილსა თევზსა ძრმითა აჭმევდენ და მასუკანით აწ დურაჯისა და ან ქათმის და ან ხოხბისა ხორცსა ჭამდეს.

თუ შეკრვით იყოს მჟავისა ტყემლისა საამადი აჭამონ, მერმე ძირანი დააღბონ და მისი წუენი ასუას და ოსპისა წყალიცა კარგად მოუხდების და ისრიმისა წყალიცა ასუას, და ინდოურისა ხურმისა საჭამადი ¹ აჭამონ და ნუშისა გული წმიდათ დანაყონ და მერმე ისრიმისა წუენითა გაურიონ კარგად, რომე გაიქნას, მერმე შეასუან

30 და ერგოს და თუხმაქანისა ფურცელი დანაყოს და ან მჟავისა ბროწეულისა წუენშიგა გაურიონ და ზედა პური მოიფშუნას და ჭამოს.

რომე კაცსა ჭკუა წაუვა და თავქედი შეექნების, ისიცა სიმხურვალისა ავად[მ]ყოფსა მიემგზავსების და სიმხურვალისაგან არის. და მისი სატკივარი თავსა და ტუინშიგა არის, და თუ ნამეტნავად გავარდეს და შესცდეს, რაცა ამას ზემოთ სიმხურვალისაგან თავისა ტკი-

¹ სწერია „საჯარადი“, ამ გვერდის აშიაზე სწერია: ავსანთინი კალაბალახა თარა-მდოგვია, თუხმაქანი-მსუქანა.

ვილისა წამალი სწერია ისი წამალი და საჭმელი შეუწყონ, ასეთი უნდა რომე მისცეს რომე ძილი მოკიდო და ტანშიგა სისუსტე გამოუჩნდეს და ზემო რაცა ხაშხაშისა ხასიათი სწერია, ისევე ამა სატკივრისათვის ქნას და ისივე ნუშისა ზეთი და აყიროსა თესლისა წვენი და იისა ზეთი, ისრევე როგორაცა ზემო სწერია, რაცა მანახულისა არგებს ისივე ამა სენსა შეუწყევით. და ნიადაგ ასრე უნდა, რომე მუცელშიგა რბილად იყოს და შეკრვით: არ იყოს, ერბოთა გამომცხუარსა პურსა ნურასა ჭამს.

თუ თავისა ტკივილი ს ი გ რ ი ლ ი ს ა გ ა ნ იყოს, მისი ნიშანი

- 10 ესე იყოს, რომე წყნარად სტკიოდეს და მწოვედ ძილი მოეკიდოს და როგორცა ზემო გვითქუამს, ისრევე ამას მოეკიდოს. ისი წამლები როგორცა ამას წინა სიმხურვალისას თავქედისა სწერია წამლები ამას უნდა, მერმე როგორცა დღე გამოვიდეს ჯუნდა ბედასტარი დაზილოს და ცხურისა ისუნოს და თავზედა მოიცხოს. და ფეტუი მოხალოს და მარილითა გათბოს და თავსა შემოსდვას. და დიდსა ხანსა ნუ დაიძინებს და თუ შეძლოს პირსა წაიგდებინებდეს და ნათელსა სახლსა შიგა დაჯდებოდეს, მას შაფი და ოყნა უნდა რომე მუცელი გახსნით და რბილად იყოს. მისი საჭმელი ზეთისა ხილის ზეთითა იყოს და მუხუდო დარიჩინითა და ქასნისა წუნენსაცა სუემდეს,
- 20 და ნიახურისა ფურცელი და ბაბუნაჯი და ხმელი ზუფა ესე სამივე ერთად მოხარშე რა საჭმელსა ჭამდეს ამა წყლითა ფერხთა დაიბანდეს და იზელდეს, რომე ტკივილი თავშიგა არა დარჩეს.

რაცა თავისა ტკივილი სიგრილისაგან [იყოს], მუშქი, უდი, ნაკუერცხალზედა დაყაროს და იკმიოს, და რასაცა საჭმელსა ჭამდეს, ცოტა ნიორი და ცოტა ქონდარი და სადაფსა ნიადაგ ისუნებდეს. ცხელი ნაცარი ტლედ შექნას ძმრითა და დაიდვას. ვისცა ესე სატკივარი სჭირდეს ცივისა წყლისაგან და დედაკაცისაგან ფარეზი ქნას და გულშიგა ნაღელსა ნურას ჩაუშვებს. მისი საჭმელი ცხურისა ხორცი მუხუდოსა წუნენშიგა მოხარშონ და კამა და ზეთის ხილის ზეთი შიგა გაურიონ და რასაცა საჭამადსა ჭამდეს შიგა გაურიოს, ანაგზა და ფილფილი, სათარა და ზირა, ქარვია და ხმელის ლეღვისა თაფლითა ჭამდეს, მუცელსა დაულობოს ხმელი ლეღვი თაფლ წყლითა დამზალი.

30 თუ სიგრილე ერთობ სჭირდეს ჭივჭავისა ხარშო და ტრედის ხუნდისა ჭამოს მუხუდოს შექნილი, შიგა ცერცუი გაურიოს და სადაფითა საჭამადი შექნან და ხმელი ტარხუნა და ქარვია შიგა ჩაყარონ და მსუქანსა წითელი გამოარჩიონ და ისი მქლე ზეთის ხილისა

ზეთითა შემწუარი ჭამოს, კაკბისა და ბატის ხორცი კარგად მოუხდების¹.

დაიჭირე ერთი დანგი მასტაქი და თეთრი თურბითი ქერქ გამმურალი და დათლილი ნახევარ დანგი, და ზანჯაბილი ერთი დანგი, ამათი

სწორი შაქარი, დაიჭირე [აყარყარა და] სათარა და ხარდალი და ქაბრისა ძირისა ქერქი ესე ჯუმლად დანაყე და გაცარ, და სიქანგუბინი რომე თაფლითა იყოს, ესე შიგა გაურივე და თაფლ წყლითა ჩაადნოს და ისა იღარღაროს. თუ ესე სატკივარი ხანდიხან სტომაქიდაღმა გამოვიდოდეს ნიახურისა ძირი კამისა ძირი, ქაბრისა ძირი და თესლი ნიახურისა და კამისა და ანისუნი, და ნანხუა სალიხა, უსთურუდუს, ყარიყონი, პიტნა ველური, ეს ყულა ერთად მოხარშოს და ვარდისა წყლითა ასუას და მასტაქისა ზეთითა სტომაქი და მუცელი დაიზილოს და წყალი მოადუღე და შიგა მასტაქი ჩაურივე და ისი წყალი შეასუი და გულ[ბა] შაქარი და ზირა და მასტაქი ჭამოს, ესეცა არგებს და ძილისა ჟამსა, ფერხსა აზელინებდეს და ხმელი ქინძი და მოხალული სელი, ცოტა ისიცა ჭამოს.

თუ ესე სენი თავშიგა იყოს ყულასა გამოიღებს და რაცა ამას

ზემოთ საჭმელი სწერია ისი შეიწყოს.

კ ა ც ს ა რ ო მ ე ს ი ტ ყ უ ა ი ა ვ ი წ ყ დ ე ბ ო დ ე ს. და რაცა
20 შეინახედე ისიცა დაავიწყებოდეს, ესე ან სიგრილისაგან იქნების
ან სიმბურვალისაგან ან [სიხმისაგან] რომე თავშიგან სჭირდეს, და
ან სინედლისაგან, მას ურგების რაცა თავქედისა წამალი დაგუიწე-
რია. ვაჯი რომე გაზრდილი იყოს, საკმლისა მაჯუნიცა ერგების, და
ქარიანსა ალაგსა ჯდომა არა მოუხდების.

თუ ცხრო და თავქედი არა სჭირდეს და წაღმა უკულმა სიტ-
ყუას სტყორცნიდეს ისი სიმბურვალისა და სიგრილისაგან არის, მისი
საჭმელი ბატკნისა თავფერხისა ნახარში იყოს და წურული შაქარი
შესუას. და ნუშის ზეთისა მალამა თავზედა დაიდვას, და რაცა მალა-
ხულიასა საჭმელი იქნების მასაცა ვიტყუით. ასეთი რამე წამალი მო-
30 უგვარეთ რომე ძილი მოზგვაროს. თუ ტუინშიგა ცხლად იყოს მას
ბანისა მაჯუნა უნდა. აიღე: ბანი და ზანჯაბილი და სუოთი, და
ფილფილი თუითოსაგან ოთხოთხი დრამი, ეს ჯუმლად დანაყე და
თაფლითა მაჯუნად ქენ და ორმოცსა დღესა კოლოფითა ქერში-
გა ჩადგი, მერმე მისგან საჭმელად ოროლი მუტყალი იყოს.

ნ ი შ ა ნ ი შ ა კ ი კ ი ს ა რ ო მ ე ნ ა ხ ე ვ ა რ თ ა ვ ი ს ა ტ კ ი -
ვ ი ლ ს ა ქ უ ი ა ნ. იცოდით. რომე სიმბურვალისაგანცა არის, და სი-

¹ ამ გვერდის აშიაზე სწერია: სადაფი-ლულუფარა, ქარვია—ნიახურია, სა-
თარა-დოგვია, ქაბრი-კაპრი, აყირყარა—მთის ტარხუნა. ნანხუა—სონიჯი,

გრილისაგანცა. თუ სიმბურვალისაგან იყოს მისი ნიშანი ესე იყოს
რომე, რომელიცა მხარი სტკიოდეს ისი მხარი, შუბლი და პირი და
თვალი ყუელა წითელი იყოს და რასაცა ცივცივსა დაიდებდეს ია-
მებოდეს და ყურის წინათ საფეთქელთა მარღუები საესვედ და ჩქა-
რად სცემდეს, მისი წამალი: ქაფური, სანდალი, ვარდის წყალი ძმრი-
თა გალესე და თავზედა შემოსდევ და მითავე მანდილი დაასოვლე
და ზედა შემოსდევ და დილეულად ბაზრაცატუნი ჯულაბსა შიგა
ჩაყარე და შეასუი. და საჭმელი კოწახური და თუთუბა და ან ტყე-
მლისა მჟავითა იქმევდით. ღუინისა და ხორცისაგან იფარეზოს. თუ
10 აყირო სადარა იყოს, აყირო დანაყეთ და გამოწურეთ და ჯულაბი
გაურივეთ და შეასუმით ცივითა წყლითა. და მერმე აიღე თაბირინდი,
ხიარშამბარი, თუითოსაგან შუიდი მუტყალი, ხილთა წყლითა შევეას-
მევდით.

ს ხ უ ა წ ა მ ა ლ ი ამავე სენისა საითკე სტკიოდეს, იქით ყიფა-
ლი გაუხსენ და საჭმელი ოსპი მიეც ძმრითა, ზაფრანითა, ტაბში-
რითა, წყლისა მაგიარად ხილისა წყალი შეასუი და ნიადაგ ვარდის
წყალსა უსუნოს. ზედაზედა სამსა დღესა ამა წესითა შეინახე. მერმე
ესე წამალი მიეც, აიღე: ყუითელი ალილა ოცდაერთი დრამი, თამ-
რიინდი ოცი დრამი, ხმელი ქლიავი ხუთმეტი მარცვალა უნაბი ოც-
20 დაათი მარცვალა, ხმელი ია ხუთი დრამი, წითელი ვარდი ოთხი
დრამი, ქინძი სამი დრამი, ყუელა ერთს წმიდასა ქოთანსა შიგა ჩაყარე,
ორი ლიტრა წყალი დაასხი, ერთსა დღესა და ერთსა ღამესა დაალბე
მემ-
რე ცეცხლზედა აადულე, მანამდის რომე ნახევარ ლიტრა დარჩეს და მე-
რმე გაწმიდე და აიღე იმა წყლისაგან ასი დრამი და ჭურჭელსა შიგა ჩა-

ასხი, მერმე აიღე თურბითი ერთი დრამი დანაყე, გაცარ, გაურიე წყალი თხუთმეტი დრამი და საღამოსა ძილისა ჟამსა შეასუი. ლუინისა და ხორცისაგან იფარეზოს, სამს დღესა შეასუი იმავე წესითა, მერმე სამსა დღესა უკანით კიდევე შეასუი და უშუელის ღთითა.

ს ხ უ ა წ ა მ ა ლ ი: ნახევარ თავი ზოგჯერ მარჯუნით სტკიოდეს და ზოგჯერ მარცხენით. ყიფალი გაუხსენ, მერმე ესე აიღე: ვარდი ერთი დრამი, ქინძი, ყუელა ერთად დანაყე გაცარ და ერთი დრამი შაქარი გაურიე და ძილისა ჟამსა მიეც და ცოტია ცივი წყალი შეასუი, ბევრსა დღესა შეასუი და უშუელის,

თ უ ს ი გ რ ი ლ ი ს ა გ ა ნ იყოს, მისი ნიშანი ესე იყოს, რომე ამა ზემოსა არა გვანდეს, სიწითლე არა იყოს თავსა და პირსა შიგა და ტკივილი უფროო ცოტა იყოს, და იმა სიმხურვალისა სენსა არა გვანდეს. და პირი და შუბლი თეთრი იყოს, რა ესე ნიშანი ნახო იცოდი, რომე სიგრილისაგან არის.

187

მისი წამალი აბიყუყია არის და ტლევები რაცა სიგრილისა თავისა ტკივილისათუის დაგვიწერია ისივე ამას უყავით და თერიაყი ლათი ერთისა ქერისა მარცულისა ოფები ცხუირსა ჩაუწთევ, ერთობ მარგე არის.

სხუა წამალი აიღე: საბრი დანაყილი და გაცრილი ათი დრამი შამიანდალი და მარდუმაქი, უსთუხუდოსი დანაყილი და გაცრილი თუითოსაგან სამი დრამი და ნიახურის წყლითა შმეზილე, პილპილის ოდენი შექენ და გა[ა]ხმე, ძილის წინ მიეც სამი დრამი, თბილი წყალი შეასუი და დაიძინოს. და რა ადგეს თბილითა წყლითავე შესუას, სა-
10 დილოზაზედა კიდევე შესუას და საღამო ჟამს საჭმელი მიეც, ცერცულისა წყალი, ცოტა ღვინითა სამსა დღესა იყოს, თუ არა უშველოს კიდევე უყავ.

ს ხ უ ა ი ვ ე ნ ა ხ ე ვ ა რ თ ა ვ ი ს ა ა ფ ს ი ნ თ ი ს ა წ ყ ა ლ ი დ ა ა ს ხ ი. სხვა წამალი. აიღე: იისაზეთი, კუერცხისა ცილა, შაქარი სწორი გაურიოს და სადაცა სტკიოდეს, იმა მხარესა ცხვირშიგა ჩაუწთევ. სხუა წამალი: აიღე ზაფრანა და ტაბარზადი შაქარი, დედაკაცის რძითა იმავე ცხვირსაშიგან ჩაუწთევ.

სხვა იმავე სენისა წურბელი დაიჭირე სამსა დღესა, მოიკიდე კოტოში თუითო დღეშუა გამოშვებით. და კიდევ ისივე ყიფალი გა-
20 უხსენ სათცა სტკიოდეს და მერმე კულიავის ზეთი შესცხე თითითა და უშველოს ღთითა.

სხუაი, ნიშანი ნახევარ თავის ტკივილისა [თუ] ან სიცხისაგან არის და ან ზაფრისაგან. ნახევარ თავი რომ სტკიოდეს თუ მარლუები ადგომილ იყოს და სავსე იყოს, თავისა და ყელისა, და თვალეზიგა გაწითლებული იყოს და ფერიცა იცოდი სისხლისაგან არის, პირველად ხელი გაუხსენ, ყიფალი და მერმე ესე გასახსნელი შარბათი ააღებინე, ტყემლისა შარბათი, თარანგუბინი შირიხიშტითა, თამირინდი, თუითოსაგან ხუთხუთი დრამი შეასუან.

თუ: ს ა ფ რ ი ს ა გ ა ნ იყოს, ნიშანი მისი: ნახევართავი სტკიოდეს და ცეცხლივითა ცხელი იყოს და სწყუროდეს და ნამეტნავად, პირი მწარდ ებდას. იტრიფილი, სიქანგუბინს შინა გაურიე და შეასუი. მერმე ყვითლისა ალილასა წუენი და ქაბულის ალილისა წყა-

ლი, იის ზეთი, ძმარი, ვარდის წყალი, ერთად გაურივე და თავზედა შემოსდევე. თუ ერთობ მსუქანი იყოს იარაჯფეყრითა იღარღაროს.

წამალი თავის ტკივილისათვისვე [აიღე] მური ან ოსპი და ზაფრანი [სწორ-სწორი] და ღუინითა შეზილე და კუერები შექენ და ჩრდილსა გა[ა]ხმე და რა მოგინდეს ღუინითა გაადგინე და თავსა სცხე, და უშუელოს.

188

ვის თავი სიმხურვალისაგან სტკიოდეს და თუალთა სისხლი იყოს და თუალთა სიყუითლეცა უშუელის ბძანებითა ღ~თისათა. თავი თუ ცხლად ებას აიღე: მალოქი და კამა წყლითა მოხარშე და თავი დაბანე მისითა წუენითა და ფოჩი თავსა დასდევე.

ვის კვერცხის გულის ნავლულისაგან თავი სტკიოდეს: მატიტელა წმინად დანადყე და ზედა ძმარი დაასხი, გაწურე და წვენი თავსა დაასხი და ნაწური თავსა შემოსდევე.

ვისაცა სიმხურვალისა თავისა ტკივილი სჭირდეს, აიღე: ხელთა საღებავი და ქინძისას თესლი სწორ სწორი ძმრითა გაადგინე და 10 თავსა სცხე და ერგოს. მისთვისვე ინა ძმრითა მოზილე და თავი მოპარსე, ყურსა ზეით სრულად თავსა იცხებდე ერგოს ღ~თითა. მისთვისვე მდოგვი, გუნდა, დანაყე და თავსა შემოიდევითა ფლ გარეული, მარგე არის.

შ ა ვ ი ს ა ნ ა ვ ლ ი ს ა გ ა ნ თუ სტკიოდეს თავი. აიღე: ხაშხაში, შიბრამი და მალოქი და მარილი ერდგან დანაყოს და კუერცხისა გულისა შეზილოს და თავსა დაიდვას, ერგების ღ~თითა.

ს ი გ რ ი ლ ი ს ა გ ა ნ რომელსა თავი სტკიოდეს, აიღე: ბავრუკი დასწვი და წყლითა მოგალე და ძალიანითა ღუინით შეზილე და აბანოშიგა თავსა სცხე. მისთვისვე: ოსპისა ფურცელი და ბროწეულის 20 ქერქი, ორივე დანაყე, შეზილე და თავლითა თავსა შემოსცხე. თავის ტკივილი რომ სიგრილისაგან იყოს, ჭაკუნტელი დანაყე და გამოწურე და ცხურითა უწითევე სხუაივე ვენახისა მორჩი და ფურცელი დანაყე და შუბლსა შემოსდევე მისთვისვე ალილა ცივითა წყლითა გალესე და ცხურითა უწითევე. სხვაივე წიწმატი დანაყე ცოტა და ძმარი და ერბო და თავლი ერთმანერთსაშიგა გაურივე და თავსა შემოსდევე. სხვაი, ცერეცო მოხარშე ძმრითა ერთი მჯილი და მარილი გაურივე და მითა დაბანე. მისთვისვე: ბოლოკი დანაყე ძმრითა გამოწურე და შუბლსა შესცხებდი.

კ ა რ ი უ ძ ი ლ ო ბ ი ს ა თუ კაცსა უძილობა სჭირდეს, ორჯელ 30 დაემართების, ერთხელ სიბერისა დროსა, და ერთი ავად ყოფისაგან. თუ სიბერეშიგა წაეკიდოს, რომ ძილი არა მოუვიდოდეს, საჭმელი შეუწყევით. მსუქანი ქათმისა ხარშო, და ჭივჭავისა ხარშო. წურილსა თევზსა ძმრით შექნილსა აჭმევდით და ბატკნისა ხორცსა აჭმევდით ამა საჭმელსა შიგა ცოტა დარიჩინსა და თარასა ფურცლითა. და მლაშისა და მჟავისა საჭმლისაგან იფარეზოს.

უ ძ ი ლ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს წ ა მ ა ლ ი: ხაშხაშისა შარბათი ასუით. და თუ უფრო ძილი უნდოდეს, ნახევარ დანგი აფიონი გაურივეთ და შეასუით. თუ საძილოსა წამალსა შეიქმოდეს, დაიჭირე: ნიახუ-

რისა თესლი, ორისა დრამისა წონა და ხაშხაშისა რომელ არს ყაყა-
ჩოსა, ერთისა დრამისა წონა, ლემისა თესლი ხუთისა დრამისა წონა
ესე დანაყენ და თაფლითა შეზილენ და ოდეს გინდეს ერთისა დრა-
მისა წონა შეასვი წყლითა, და თუ გაღუიძება გინდოდეს, ცხარი
ძმარი თავსა დაასხი და გაიღუიძებს.

თუ კაცსა ავად ყოფისა გან უძილობა დაერთოს მისგან
იქნების, რომე ტანშიგა სენი რომე შერჩომოდეს და ან ტვინშიგა
ბუხარი რამე შერჩომოდეს, პირველად წამალი ჭამოს, რომე ისი
სენი გაიღოს და მერმე რაცა ამა ზემოთ სიგრილისა წამალი საჭმელი
10 სწერია ის შეუწყონ და ძილისა დროსა ბარკალნი შეუკრან, და მერ-
მე ულოცონ, ეუბნონ რომე არ დაიძინოს და მოიღალოს კარგა, ლა-
პარაკი გაუხშირონ, და რა ხანი გამოვიდეს და კარგად მოეწყი-
ნოს ბარკალნი და მკლავნი გაუხსნან, მოეცალნენ რომე მოისუენოს
და დაიძინოს.

ბ. კარი და ნიშანი მანახულიასი. იცოდით რომე ესე
ავი სენია. ესე ჰკუვისაგან შესცულის კაცსა და ყოველთა ღამეთა ფე-
რად ფერადსა სიზმარსა აჩუენებს. და ბევრსა რასმე ასეთსა მოელის
რომე არა გვანდეს და მწვედ შეშინდების. ესე სამისაგან არის. ერთი
რომე სასა გამხმარიყოს, ნამეტნავად სასისა სიხმე ყოველსა სტომაქ-
20 სა შიგა შერეულ იყოს. მისი ნიშანი ესე არის, რომე თვალნი ღრმად
ჩასცუივნოდენ და პირი გაშავებულიყოს და დღე და ღამე მუდამად
იზახდეს ქათამივითა.

მისი წამალი: მუდამ ცხურსა შიგა ლელოფრისა ზეთსა
ჩაუშვებდი. მუდამად შაყიყა და საჯდომი მითა დაიზილოს და გასა-
ხსნელიცა მიეცით აფთიმონისა მათბუხითა. მისი შექნა, აიღე: შავი
ალილა ოცი დრამი კურკისაგან გამოღებული, აფთიმონი ათი დრამი
ჩამიჩი და ქიშმიში ოცოცი დრამი კურკისაგან გამოღებული, სინაი-
მაქი შვიდი დრამი, თურბითი თეთრი ოთხი დრამი, ესე ყუელა სამი-
თა ლიტრითა წყლითა მოადღულე მანამდის რომე სამოც მუტყლად
30 მოიყაროს მერმე ერთი მუტყალი ყარიყონი, ორი დანგი საყამუნია,
ნახევარ დანგი შავი ხარბაყი ესე ყუელა დანაყე და ამა მატბუხსა
შიგან გაურივე და შეასვი.

საჭმელი მომსუქნო და მოტკბო, ნუშისა ზეთითა შეურივეთ.

მუდამად იმის წინა ზაფრანი, უდი და ალიქირუმი დაწვი
ცეცხლზედა, და თავი ზედ დაიჭიროს, თევზისაგან, ყველისაგან და
ზროხის ხორცისაგან იფარეზოს, რაცა კარგი სული უდიოდეს მუდამ
ისუნებდეს და გაახსნევინოს მარღვი რომე სულაიმი ჰქვიან ნეკსა
და მის შედეგსა თითსა შუა არის მარცხენისა ხელისა. და ერთსა

თვესა უკანის ბასალიკე გაუხსნას. მუდამად აბანოს უნდა იბანოს, რო-
მე ეს წამლები შიგა მოდულებული იყოს და მოხარშულის წამლები-
საგან თავსა ზედაც შემოიძებდეს.

მეორე მანახულია, რომე სისხლისაგან იყოს და მომატე-
ბულიყოს და ყოველსა ტანსა შიგან დაფანტული იყოს, მისგან სჭირ-
დეს, მისი ნიშანი ეს იყოს, რომე კაცი, დამჭლობილიყოს და ორივე
შაყიყა სტკიოდეს, ტანი გამხმარიყოს და გაშავებულ იყოს.

წ ა მ ა ლ ი მ ი ს ი შუა მარღვი გაუხსნას და სისხლი ნახონ, თუ სისხლი შავი იყოს ორი დრამი სისხლი გამოუშვან, და თუ მოწითა-
10 ლო იყოს ასოცდა[ა]თი დრამი გამოუშვას და ამასაც აფთიმონისა აბები შეუწყევით. მისი საჭმელი ხორცი და თოხლის მსუქანი და ან ბატი-
სა. რასაც ასმევდეთ და აჭმევდეთ ყუელას: მოტკბოსა აჭმევდით, მუ-
ფარეხსაცა ასმევდეს წყლიანითა ღვინითა და წყლიანს ღვინოს ას-
მევდეს.

თუ კაცი უცოლო იყოს, ცოლი შეირთოს, თუ ქალი იყოს
ქმარი შეირთოს. მ ე ს ა მ ე მ ა ლ ი ხ უ ლ ი ა, რომე უძილოდ იყოს და
ემინოდეს, ესე ამისგან წაეკიდების, რომე ერთობ მჭამელი ყოფილი-
ყოს და ზედაზედ ნამყენი ეჭამოს და მხართა შუაშიგან მუდმად
სტკიოდეს. ესე მანახულია ხან დასწყენარდების და ხან ასრე გააშმა-
20 გოს, რომე წყალი მოხუდეს თუ ცეცხლი შიგ ჩავარდეს. მას.

შეკურა უნდა და სვეტსა ზედა ახვევა. და აფთიმონისა შესმა.
თუ პირს არ აღებდეს შეშა ჩაუგდონ, აგრე პირშიგან ჩაასხან,
და ხელს ნუ მიახლებ, შორიდაღმე შეშით ჩაასხით, რა, მან, საქ-
მობა დაუწყოს ისრე საჭმელი შეუწყევით, რომე ამას სხვისა მალა-
ხულისა გვითქუამს. მერმე რა გამოვიდეს წამლისაგან მაჯუნს ლო-
ლადია შეუწყევით, და წყლის მაგიერად მსხვილის ცერცვის წვენი
ანუ მუხუდოს წვენს ასმევდი და გაზმანას წვენი უნდა რომე შეასვა,
შაქრითა. ხან ჟამიერად აყიროს შეჭამადსაც შეუქმოდეთ. აილე ია
და ხაშხაში შიგა მოდუღებული, სხვა მას გარეთ მოტკბო აყირო,
30 და ხაშხაში, ქუა, ესე ყუელა მოხარშე, თავზე შემოსდეგ და ლელო-
ფარის ზეთა ცხვირსა შიგან ჩაუშვი, თუ ის არ იყოს ის ზეთი გა-
რეულის ღალიას ზეთითა ჩაუშვით.

ა ი ლ ე: მუშკი, ამბარი, ქაფური, ზაფრანი და ვაშლის ქერქი
და სანდალი ცეცხლშიგან ჩაყარე და მისი სული ისუნოს. მუდმად
რეანსა უსუნებდეს და ღალის ზეთი მუდმად შაყიყასა ზედა შეიც-
ხოს. თუ დედაკაცი იყოს ჭიპზედ შეიცხოს. მისი საჭმელი მაშა შეიწ-
ყოოსს, ტვავ გახდილი ასპანახი და გაზმაზუ¹ რომე არის ძროხის ენა,

¹ სწერია „გაზმანი“.

შიგ მოდუღებული იყოს და ნუშის ზეთი. მას უკანის ალვა შექნას
შაქრისა და აჭმევდენ. მუდამ ქალის დედის რძე თავზე დააწველოს.

მ ე ო თ ხ ე მ ა ლ ი ხ უ ლ ი ა¹ რომე მუდმად არ მოეკიდებოდეს,
რომე ვირემ მთვარე არ გაახლდებოდეს. როდეს მოეკიდოს აფთი-
მონისა მათბუხი შეასვი როგორც უწინ დაგვიწერია, ამას წინად.

ა ი ლ ე: აფთიმონი ათი დრამი, ბასვაიჯი, ღარიყონი თვითოსაგან
ათი დრამი, ხარბაყი და ინდოური მარილი ოროლი დრამი და ნა-
ხევარი, უსთუხუდუსი სამი დრამი და ნახევარი, იარაჯა ფეყრა შვი-
დი დრამი, ყუელა დანაყე და მუფარეხის მაჯუნში გაურივე და ორს
10 დღეს სამს მიტყალს მისცემდე. ა ი ლ ე: მუფარეხი, ყარფი, წითელი
ვარდი, ბადრაჯამბოს თესლი, ყარანფილი, მასტაქი ზაფრანი, ყარა-
ვა, ჯავზი, ყაყულა, ნარმუშკი წითელი, შიგ თეთრი ბამანი, ხარამ-
ბადი, დარუნჯი, ბარანბო, თვითოსაგან ნახევარ დრამი, მუშკი ერ-
თი მიტყალი ეს წამლები დანაყე ერთად და გაურივე. მას უკანით
დაიჭირე ათი მარცვალი ალილა ქაბული თხუთმეტი დრამი, ამილაჯი,

დანაყე სამსა ლიტრასა წყალშიგან, ასთონიერთი ადულოს რომე ასი დრამი დარჩეს ხუთი დრამი თაფლი შიგ გაურივე, მოადუღე სადამდი შესქელდეს და ყოველთა დღეთა ამისგან ჭამოს, თვითო ჭამა, თვითოს თხილის ოდენი.

- 20 **ბ. კარი და ნიშანი სარასი და საქთასი**, სარა ამას ჰქვიან, რომე არა სჭირდეს რა და ანაზდად დაეცეს და დაბნდეს და პირსა წყალი და ლოშქრი წაედინოს, და თუ ფსელიც წაუვიდეს, და ვერა შეიტყოს რა. რა ესე ნაშანი ნახო იცოდი რომე ს ა რ ა არის. ვისაც ეს სენი დაემართოს, ყოველსა ტკბილის საჭმლისაგან იფარეზოს, რძისა და მაწუნისაგანცა რაც საჭმელი შეიქნების ყუელასაგან იფარეზოს და ბევრის ჭამისაგანაც იფარეზოს. წისქვილის ნახვისაგანაც იფარეზოს. წისქვილს ნუ ნახავს თვარა მოგურის. და რაც ბრუნევიდეს ყუელას ერიდებოდეს. და მაღლით დაბლა ნუ გარდმოიხედავს, ბევრჯელ აბანოში ნუ შევა, ქარიანსა ალაგს ნუ დაჯდების და ნურცა ბევრჯელ დედაკაცთან დაწვების, ცხელს აბანოში თავს ნუ მიუშვერს, ზიანი არის, მეტი სიცივეც ავი არის, მაღლა ზახილი და ქუხილი მაზიანებელი არის, დიდი ხმა ყველა მაზიანებელი არის, მისთვის არც მზის ჭურეტა ვარგა და არც თოვლისა. ღვინის სმა ძველი და ახლისა ზიანი არის. მისთვის საჭმელი ზროხის ხორცი, თხის ხორცი, ქალამი, ოსპი და თალგამი, ბოლოკი, ხახვი, ნიორი,

¹ სწერია „მონახულია“.

- ბაკლა და რაც მწვანელი იყოს და უფრო ნიახური, ეს დაგვიწერია ვისაც ს ა რ ა სჭირდეს მისთვის ყუელა მაზიანებელი არის. რაც სველი და ნედლი ხილი იყოს ყუელასაგან იფარეზოს, ფუფულსა და დოგუსა, და დღისით დაიძინებდეს თავს ქვეშ დაიყრიდეს და ისუნებდეს. და ვის ს ა რ ა სჭირდეს ბევრს თხის ხორცის ჭამას დაერიდოს რომე სენი არ დაემართოს. ბევრი თბილი წყალი ტვინს დაუსუსტებს და ბევრი ცივი წყალი სტომაქს აწყენს. და რაც წამალი ბრუსათვის დაგვიწერია, იგივე ამას არგებს. პიტნის შარბათს ასმევდეთ და თუ ეძინოს და თუ ეღვიძოს ნიადაგ სადაფსა უსუნებდეს. და თუ 10 ნიადაგ არწყევდეს ისი სჯობს. და რუმულსა და იორდასალემსა მუდმად ყელსა შეიბემდეს, ამა სენისათვის ერთობ კარგი არის.

ნიშანი სიქთასი. სიქთა ამას ჰქვიან რომე მთელი კაცი წაიქცეს და დაეცეს. ეს. სამისაგან დაემართების. ერთი სისხლისაგან, მეორე ზაფრისაგან, მესამე სევდისაგან. ამა სენისაგან პირველი ნიშანი ეს არის, რომე ჯერათ მთელი იყოს, არა სჭირდეს რა და მილისაგან კბილთა იღრეჭნდეს, და ტანთა თრთოლა მოუვიდეს და თავი და ტანი დაუმძიმდეს და ყური შემოჟიოდეს, ესე ნიშანი რაცა ჟამსა გამოჩნდეს, იცოდე რომე საქთისაგან არის.

- ნიშანი საქთასი: ამა სნეულობასა შინა თუ პირი გაუწითლდეს 20 და მერმე ისფრად გამოუჩნდეს, იცოდი რომე სისხლისაგან არის, თუ ეს ნიშანი გამოჩნდეს ფეხის ჩონჩხი გაიხსნას და კოტოში მოიკიდოს და მოთადილი ოყნა ქნას. მარჯუენით და მარცხენით ყიფალი გაუხსნან იგიცა კარგია.

თუ პირი მოყუითლოდ დაუცემდეს და მერმე ზაფრანის ფერად

გარდაიქცეს, იცოდი რომე ზაფრისაგან არის. ხელისა შუა ძარღვი გაუხსენ და ყოველთა კოტომსა მოჰკიდებდეს და თავზედა გრილ-სა ტლესა შემოიციხებდეს.

თუ ფერზედა ¹ მოშაო იყოს და მომწვანოდ დასცემდეს, ისი სევდისაგან იყოს. თუ ს ი ს ხ ლ ი ს ა გ ა ნ იყოს იმავე წამს ხელი გა-
30 უხსნას, ყიფალი, მარჯვენისა და მარცხენისა და თავზედა კოტოში მოიკიდოს, თავზედ გრილი წამლები შემოიდვას.

თუ ზ ა ფ რ ი ს ა გ ა ნ იყოს, შუა ძარღვი გაუხსნან და კოტოში მოჰკიდონ და შუბლსა ზედა შემოსდვან. ა ი ლ ე: ხმელი ვარდი სამი მიტყალი დანაყილი ერთსა კოვზსა ვარდის ზეთშიგან გაურიონ და შუბლსა შამოსცხონ, გული და გულის პირი მითა შეუზილონ.

თუ პირის სახე მწვანედ დაუცემდეს იცოდე რომე ს ე ვ დ ი ს ა “ნიშანი არის. ესე სენი მიყრილთა და ბერთა და სევდიანთა კაცთა

¹ სწერია „ფეხზედა“.

უფრო დაემართების. თუ სევდისა ნიშანი გამოჩნდეს, მეტისა სიგრი-ლისაგან და სიხმელისაგან იქნების.

წ ა მ ა ლ ი მ ი ს ი: ქუნდუსა და ხარბაყი სწორ სწორი ჰქენ და დანაყე და გაცერ, ცხვირშიგან შეაყარე, ქუნდუსა აპუტარატი არის, და ხარბაყი ხარის ძირა არის. და თავსა ქვეშე მუშკსა, სადაფსა და შემშატსა მოიყრიდეს, მისთვის რომე სული ეცემის და ჰკუაზედ უკეთ მოიყვანს, შიშმატი ბარისა ფურცელსა ჰქვიან.

თუ პირის სახე ისრევე მისსა სახესა ზედა იყოს არარი დანა-ყეთ და ძმარი გაურივეთ და თავზე შემოსდევით, არარი ღვივისა
10 კაკორსა ჰქვიან.

თ უ ა ს ე თ ი ს ა ტ კ ი ვ ა რ ი მოუვიდეს რომე იკრიჭნეს დანი-სა მაგიერი შეშა გამოთალე და იმით პირი დაუღრინეთ და ვაშლისა შარბათი და ნუშის გულის ზეთითა გაურიეთ და პირსა შიგან ჩა-ასხით, და ხელი ან ფეხი გაუხსენ, თუ საცოცხლო არის დაიძურის, თუ არა და წასული არის, არარა მოეგვარების მას გარეთ იმას სენ-შიგა, თუ არ სხვა ნიშანი გამოაჩნდეს მკუდარი იქნების. რაჟამ ესე სენი დაემართოს თუ არა ეშველოს და მკუდარსა გვანდეს მისად შესატყობლად რაც ძარღვები არის კაცისა, ყუელაზედა დააჭრეთ თუ ცოცხალია დაიძურის, თუ არა დაიძურის იცოდე მკუდარია.

20 სხვა შეტყობა ისი კაცი პირდაღმა გარდააქცივეთ თუ ორივე ბღვენი გაიხსნეს და პირი ზუორგისაკენ ქნას, იცოდი მკუდარია.

მესამე შეტყობა ესე არის, რომე იმ წამს, რომ კაცი წაიქცეს თუ ყელშიგა ხურინა დაიწყოს მკუდარი იქნების, და თუ ყელშიგან ხურინვა არ დაიწყოს, მაშინ წამლითა ეშველების ღ~თითა.

თუ ყელშიგან ხრინევდეს, სამკდრო ნიშანი არის, და თუ არა ხრინევდეს სიცოცხლის ნიშანი არის. თუ ვერა შეიგნა რა მკუდარია, თუ ცოცხალიაო;

რკინა გაახურონ ცეცხლშიგან და თავზედან დასდვან ასე რომე თმა დასწვას, თუ სასიცოცხლო არის დაიძურის და თუ არა და
30 მკუდარი იქნების.

თუ დაიდრას მავლი უსული შეასვან და არწყევინონ, მას უკან

როგორაც ჭკუას მოვიდეს თუ სისხლისაგან არ იყოს და ზაფრისაგან იყოს, ან სევდისაგან იყოს, ქათმისა ნაკრტენითა არწყიოს. ასრე რომე ნაკრტენსა იარაჯფეყრითა დაასოვლებდე, პირსა ჩაუყოფდეს და აგრე არწყევინებდეს, ზურგსა და ძვალს სადაფისა ზეთითა, ფარფიონისა ზეთითა და ფულფულისა ზეთითა დაიზელდეს და ხშირად თავს იპარსევდეს. თეთრითა ხარდლითა და ძრმითა ტლე შექნას და თავსა შემოიდვას, და თავსა თბილად შეინახევდეს, და ერთი შარ-

194

ბათი მათრედიტოსი ¹. მიეცით და თერიაყი ² დიდი პირშიგან ჩაასხან თაფლის წყლითა. ფიცხლად ოყნა ქნან. როგორაც ჭკუათ მოვიდეს გასახსნელი შარბათი მიეცით, ამა შარბათსა ოყნისა ჰქვიან, წამლები მისი: შამიანდალი, ანტრიონი, ანჯურა სოსანი, მავაზი ყუელა სწორ სწორი ქენით მერმე სამასისა დრამისა წყლითა მოადულე, მანამდისინ ადულე სადამდის ორმოცი დრამი მოიყაროს, მერმე პატარა თაფლი და პატარა ბორა რომე ოქრომჭედელნი იხმარებენ, თუ ბორა არ იყოს ისთუენე ერთი მარილი ქენ, მერმე უკანასა კარშიგან ჩაასხი, ესე მისთვისა იქნების რომე ზედადალმე 10 წამლისა აღება არა შეეძლოს. მას უკანით ოცდაოთხსა დღესა მწვანლისა წყალსა ასმევდით. რაცა ფილენჯის წამალი გვითქვამს იმასვე ამას უზემდეთ, და მარხვაშიგა მუხუდოსა შექამადი ზეთის ხილის, ზეთითა შეუწყევით, ხსნილშიგა ჭივჭავისა ხარშო და უგურკო ჩამიჩი შეუწყევით.

თუ წამლის შესმა შეეძლოს ოყნა აღარ უნდა და ესე მავალი უსული შეასვით, რომე ფილენჯისა კარშიგან სწერია.

ს ხ ვ ა ს ე ქ დ ა ა რ ი ს, მისი ნიშანი და მისი სიცოცხლე სიკუდილი ძნელად შეეტყობის, ბოლოთ ამათ შეტყობის პატარა ხარდალი დანაყოს, ხარდალი მდოგუსა ჰქუიან, და თაფლსა შიგან გაუ 20 რიონ და თავზედ შემოსდვან. პატარა ზუფი პირშიგა ჩაუდვან, ზუფა მინდორულსა ურცსა ჰქვიან, მისი საჭმელი ვაშლის წვენი, და ზოგჯერ ბრინჯისა, ზოგჯერ ატმისა აჭამონ ამათ რომე ძალი მიეცეს.

ს ხ ვ ა ს ე ნ ი ა რ ი ს ა ს ბ უ ს ა რ ჰქვიან საქათასა ახლო ახლავს, ამისი ნიშანი ეს იყოს რომე, ამა სნეულსა არა დაეძინებოდეს.

მ ი ს ი წ ა მ ა ლ ი ბაბუნაჯი ქუნჯითისა ზეთითა მოადულოს ვარდის წყლით და ძრმით ტლედ შექენით, ყოველთა დღეთა თავზედა შემოსდებდით. რაზომცა უნდოდეს იის შარაბსა და ლილიფარსა შარბათსა, ასმევდით, და საჭმელად ქერის კორკოტი.

ე რ თ ი ს ე ნ ი სხვა არის ახლოსავე ახლავს საქათასა სახელად 30 ა ს ფ რ ი ა ყ ი ჰქვიან მისი ნიშანი ეს იყოს რომე, მუდმად ძილშიგან იყოს და რა გაელვიძებოდეს წასძრახვიდეს და წაღმა უკულმა უბნობდეს. მ ი ს ი წ ა მ ა ლ ი ეს იყოს რომე: პიტნა, ძმრითა მოადულე ასთონიერთი რომე ტლისა მაგიერად ტანზედა შემოსდვას და სიქანგუბინსა აჭმევდით და მისთა ფერხთა თბილი წყლითა დაბანდით.

ე რ თ ი ს ე ნ ი სხვა არის, სახელად შ ი ხ უ რ ი ჰქვიან იმავე საქათასა ახლოს არის მისი ნიშანი ეს არის, რომე მრთელი კაცი

¹ სწერია „მასრუდიტუსი“.

² სწერია, „თარყი“.

ანაზღად წაიქცეს და დაბნდეს და დიდსა ხანსა მკუდარივითა იდვას. რა ჩამოჯდეს ვითამცა ძილისაგან მოფხიზლებიი ასრე ადგების ისრევე ჭკუიანსა საუბარსა დაიწყებს. ვითამცა არა სჭირებიარა. ასეც იქნების რომე გაშმაგდეს და თავი მოიკლას ან კლდესა ჩავარდეს, ან ცეცხლსა ან წყალსა, ამისთვის შენახვა უნდა. წამალი მისი ვარდის ზეთი ძრმით გააცხელე, სწორსწორი ძრმითა თავსა შემოსცხოს.

მერმე როგორაცა ცნობაზედა მოვიდეს აყიროს თესლისა ზეთი, ერთი უკია თაფლი, ერთი უკია ზეთის ხილის ზეთი, ორი დრა-
10 მი დი ნახევარი რევანდი, ერთი უკია ნუშის ზეთი, ერთი დრამი ძროხის ნალველი, ეს ყუელა ამ გამოწურვილსა წყალშიგა გაურივე და. ამისგან ან ოთხმოცი და ან სამოცდაათი დრამი აიღე, ოყნა მიეც შეშისა მილითა ასრე, ამ წესითა: მილი სიგრძე თითისა ოდენი შექენ ერთკენ პირფართო იყოს მილისა რომე წამალი კარგად ჩავიდეს, ერთჯერ უფრო წურილი იყოს. სსვა ამისი წამალი რაც ფილენჯსა ერგების, იგივე მას ერგების.

კარი და ნიშანი ლაყუასი, რაშასა და ფილენჯისა. ნიშანი ლაყუასა, პირის გამრუდებასა ჰქვიან. მისი ნიშანი ესე არის რომე დუჟვა, შებერვა ეწყინების. პირველი ნიშანი ესე არის რომე პირის
20 ძვალი ასტკივდების, და პირის ტყავი მრუდათ ჰქონდეს, ემღერდეს. ესეცა იცოდით, თუ პირი მარჯვენით გაუმრუდდეს და თვალეზს დაეზიდნეს ისი სევდისაგან იქნების.

მისი წამალი: ესე რომე მუდამ ბნელსა სახლშიგან დაჯდებოდეს და ჩინური სარკე მიეც, მუდამ ხელთა ჰქონდეს და შიგ იჭურიტებოდეს, ეს მაჭურტისა ჰქვიან. თუ ზამთარი იყოს, თუ ზაფხული მუდამ თბილათ ამყოფეთ, მუდამ ღარღარა აქნევიონ. თუ ღარღარი თუთუბოთა ან ნარდანგისა ნადუღართა აქნევიონ მარგე არის, ლაყუისათვის. მერმე წეროსა ნავლელი ჭაკუნტლისა წუენითა გალესეთ და ცხურიშიგა ჩაუშუით. მერმე, უდი, მასტაქი და თეთრი
30 საკმელი და ვაშლი და ბია ცეცხლშიგა დაწვი და თავი ზედ წაიშუიროს, და ზედა დაბურეთ, რომე მისი სული ცხურიშიგა შეუვიდეს და მუცელიცა გაუხსენ: აფთიმონისა მათბუხითა და აფთიმონისა მაჯუნსა აჭმევდით. მოიღე: მაშა: ზუფა ხმელი, სათარი, პიტნა გარეული, მარზანგუში, ქონდარი არის, ესე ყუელა ძმრითა მოადულონ და პირსა და ყბასა შემოიდვას სათკეთა სტკიოდეს. სხუა, რომე მელისა და ირმისა ხორცი ასრე მოხარშონ, რომე ხილისაგან გაეყაროს, ისი ზეთის ხილისა ზესთა დაზილონ, მალამავითა შექნან და თავსა შემოსდვან მარგე არის.

196

მაჰმად ზაქარიას შვილი ასრე ეტყუის. ვისცა ესე სენი სჭირდეს საჭმელსა ცოტას მისცემდით, რომე ტანი გაუხურდეს და მისი ძარღვები გახალვათდეს. სხუა იწამალი: ბაბუნაჯი, სათარი და გარეული პიტნა კრგად მოხარშონ და მერმე თავი ზედა წაუშუიროს და ზედა დაბურეთ, რომე ორთქლი ცხურიშიგა შეუვიდეს. საჭმელი მუხუდოსა წყალი იყოს, ზეთის ხილისა ზეთითა,

ანუ მწარე წირანისა გულითა ანუ ნიგუზისა ზეთითა. და ხორცთაგან ახალისა ხორცისა, ტრედის ხუნდისა, ჭავჭავისა ხარშო კარგად ერგების. და წყლისა ალაგსა თაფლწყალსა ასუემდით და პირშიგა მუ-
10 დამ ჯავზი დაიჭიროს და ასეთი რამე საჭმელი უნდა მისცეთ, რომე რაცა სენი იყოს ისი გაიღოს. ისი თაფლი არის რომე უზმამან ჭამოს, მერმე მოიღე ესე წამლები. აიღე ბასვავიჯი, ყურფა, დარიჩინი, ზანჯაბილი, [ზარნაზადი, ანისური, ზირაქირმანი] ყუელა სწორ-სწორი ქენი და დანაყე ¹.

და სხვაი ფერი ლაყუას წამალი, ა ი ლ ე: პილპილი, აყირყარა, ფარფიონი თუითოსაგან ოროლი დანგი, ჯუნდა ბედასტარი] რომე არის თახვის ყუერი, ორი დრამი ყუელა დანაყე და ხატმისა ზეთშიგან გაურივე თაფლითა, მაჯუნად შექენ და ახმარე.

თუ ამითა არ ეშველოს ბალადურისა მაჯუნი შეუწყევით. მისი
20 თვითოსა ასოსა იყოს მას ეშველების.

და თუ ფილენჯი ანუ ნაკრავით რომე წაეკიდოს ანუ ცხენით ჩამოვარდეს, ანუ მალლითა ადგილითა ჩამოვარდეს ანუ ხმლითა, ანუ არგანისა ცემითა ანუ ისრითა: ესე წამალი ქენი, იმ ადგილიზედან დაადევ. ა ი ლ ე: ბატის ქონი ორმოცდაათი დრამი დაადნევ ცეცხლითა, გაურივე შვიდი დრამი ბერძნული ზეთი, აიღე ნინოფრისა ძირი დანაყილი, გაცრილი; ათი დრამი შალის ხილი და ბარანბო დანაყილი, გაცრილი თვითოსაგან სამი დრამი კანეფისა შეშა და მუყლი და ვაშაყი დანაყილი და გაცრილი, თვითოსაგან ათი დრამი, გაურივე ბატის ქონში და ზეთშიგან. იმა ადგილსა რომე დაკრული
30 დაბეჟილი იყოს შესცხე და უშველის.

ს ხ ვ ა წ ა მ ა ლ ი რომე თეთრსა შიგა ჩაუბერონ, ა ი ლ ე: საქმინაჯი ერთი დრამი, მური ნახევარ დრამი, მუშვი, ბორა და ზაფრანი თითოსაგან თვითო დრამი, ქაბრი. მთახვის ყუერი, წეროს ნავლელი ანუ ყორნისა თვითო დანგი ტაბარზადი შაქარი ორი დრამი და დანგი, ყუელა დანაყე კარგად რომე ფქვილივითა შეიქნას,

¹ აშიაზე სწერია: ბაბუნაჯი-საკორწყილეა, აყირყარა-მთის ტარხუნა, ჯუნდი ბედასტარი — თახვის ყვერია.

რა მოგინდეს აიღე მისგან ერთი დანგი ქალის დედის რმე გაურივე და ცხვირშიგან ჩაუშვი და უშველის.

ს ხ ვ ა ა მ ა ს ე ნ ი ს ა თ ვ ი ს. აიღე: იარაჯი ფეყრა ერთი დრამი, მარზანგუმი ¹. ერთი დრამი შამიანდალი, მუშვი, სონიჯი და წეროს ნალველი და ქაფური თვითოსაგან ერთი დანგი დანაყე და გაცერ ფქვილივითა, მერმე აიღე მაგისგან ერთი დანგი ცხვირშიგან ჩაუბერე.

მ ა გ ა ვ ე თ ვ ი ს, აიღე: ხარის ნალველი, შაქარი, ზაფრანი და მუშვი ერთმანერთისა სწორი, ყუელა დანაყე და გაცერ და გველის
10 ერბოთა გაურივე და ცხვირში ჩაუშვი.

იმავე სენისათვის ა ი ლ ე: მარზანგომისა ² თესლი და ცერეცოსა თესლი კანაფისა შეშა, ყუელა დანაყე და ღვინოშიგა გაურივე, შეასვი და უშველის.

რაგინდარა ასო მუდმად ემღერის ნიშანი მისი: ყინულიანის წყლისაგან, ქარიანის საჭმლისაგან და ბევრის ღვინისაგან ფარეზი

ქნას. რაც ასო მღერდეს, ხამისა მჭურითა შეისვას რომე ის ალაგი გაწითლდეს და ყუსტის ზეთითა და ფარფიონის ზეთითა დაიზილოს. და წყალშიგან მარილი ჩაყარე ოთხს დღეს მზეს გაუდგი მერმე ცხურისა ბუმტშიგან ჩაასხი და ზედან მისდვან. და რაც ესე, და 20 რაც ამა ზემოთ სასმელი და საჭმელი სწერია, ამას ზემო კარშიგა ისი შეუწყევით.

ე. კარი ყოვლისა ფერისა თუალისა ტკივილისა.

ნიშანი თუალისა ტკივილისა. იცოდით პირველად დიდი სიფრთხილე უნდა და დიდი ფარეზი, ყოვლისა საქმისაგან, დიდისა ჭამისაგან და დედაკაცთან წოლისაგან და ურიგოთ ჭამისაგან და გუიან ჭამისაგან, თოვლშიგა სიარულისაგან და ბევრისა სითეთრის მზერისაგან, ნიორისა, ხახვისა და წიწმატისა და ყოვლისა მწუავისაგან და ბევრისა მარილისაგან და დილისა ღუინისაგან და სარწყეველისა და ბანისაგან და აბანოსა შიგა და დედაკაცთანა 30 წოლისაგან და მტურისა და კუამლისაგან, რომე არა ჩაუვარდეს თუალშიგან.

თუ გინდოდეს, რომე თუალი ნიადაგ მრთლად იყოს, ნიადაგ ტერფსა და საჯდომსა, ჭიპსა და უკანა კარსა იისა ზეთითა იზელდეს და ორსა წუეთსა ცხურშიგან ჩაუშვებდეს და შაყიბსა დაიზელდეს. და ცისკრისასა ადგებოდეს კაცი და ნამიანსა, რბილსა, მწუანეზედა ფერხშიშუელა იარებოდეს, კარგი არის. და ცოტა ხანსა ცივსა

¹ სწერია „მარტკუში“.

² სწერია „მარტა კუმტისა“.

198

წყალსა შიგა იბანოს და თავი ჩაყოს თუალი გა[ა]ლოს რომე წყალი შეუვიდეს თუალშიგან, კარგი არის. და მუდამად კამისა წუენსა თუალშიგა ჩაიშვებდეს კარგი არის, დაუნაყელსა კამასა თუალშიგა ამოივლებდეს ისიცა კარგი არის. და ბზისა წყალი, მარვისა წყალი თუალშიგა ჩაუშვებდეს ისიც კარგი არის. თუთიაცა კარგი არის და ნუშისა გული გაფურცქნილი, ამლაჯისა ზეთშიგა გალესოს და თუალისა ქუთუთოსა და კილოსა ზედა შემოსცხონ კარგია. ორი დრამი დარაფირანგი ისრიმისა წუენითა ერთმანერთშიგა გალესონ, კარგი არის, თუალშიგა ამოივლოს. მარგე არის ცოტა 10 ქათანი ქათმისა ქონშიგა გაურიონ და დაწოლის ¹ დროს თუალშიგა ამოივლოს ოქროხა და ანუ ტყუივისა მილითა, მარგე არის.

აქითა უთქუამს: თუალისა ტკივილი უფროსიცა: სისხლისაგან იქნების. მისი ნიშანი ის არის რომე თუალშიგა მარლუები დაუსხვილდეს და კიდევა დაუწითლდეს და თუალიცა გაწითლებულიყოს. თავისა ტკივილი გამოუჩნდეს და თავქედიანივითა უზნობდეს. მისი წამალი უწინა გასახსნელი წამალი მიეც და მერმე, ხელი გაუხსენ, ყიფალი და ვარდისა ზეთი თავზედა შესცხე. და გრილი ტლუები ფერხისა ტერფთა, და გულსა, და თავზედა შემოსდეგ, როგორაცა სწერია თავისა ტკივილისათუის და ქალისა რძითა ვარდისა 20 წყალი გალესონ და თუალშიგა ამოივლონ.

იცოდით, რაცა კაცსა თუალისა ტკივილი დაემართების, ოთხისაგან იქნების სისხლისაგან, ზაფრისაგან, სევდისაგან და ბალდმისაგან. მისი ნიშანი:

თუ სისხლისაგან იყოს თუალი წითლად, მძიმედ და ცხლად ქონდეს.

თუ ზაფრისაგან იყოს ნიშანი ესე არის, რომე თუალი ქაოდეს და ეწვოდეს და სიმძიმე არა დია იყოს.

თუ სევდისაგან იყოს მისი ნიშანი, ესე არის რომე თუალი: უფრო მარცხენით სტკიოდეს. და სისხლისაგან და ზაფრისაგან უფრო 30 მოსუენებით იყოს.

თუ ბალღმისაგან იყოს თუალი უფრო მძიმედ და წუწიანად ქონდეს და წითლად არა დია იყოს.

თუ სისხლისაგან იყოს ხელი გაუხსენ ჰირველსა დღესა და მეორესა ანუ მესამესა დღესა ჭიქისა კოტოში მოვიდე, რომე სისხლი ამოიღოს და იისა ყურსი მისცენ, და საჭმელსა სუბუქად ჭამდეს, და ხორცისა, ღვინისა და ყოვლისა მხურვალისა საჭმლი-

¹ სწერია „დაწონისი“.

საგან ფარეზი იყოს. და რასაცა სჭამდეს ქინძსა გაურევდეს. და ბნელსა სახლშიგა დაჯდებოდეს და ფარდაგსა გაიბემდეს ან ყუითელსა, ან შავსა და ან ლურჯსა და მეტად ნუ დაიძინებს. და შარბათი ბროწეულისა და თესლი რისა გინდა იყოს, და იისა შარბათი მისცენ. და შაფი ბარუმი თვალშიგან გამოვივლონ. და შაფი ყუითელი და თეთრი არგებს.

რა ერთი კვირა გამოვიდეს, ულბოთა, აქლილმალიქი, ბაბუნა-ჯითა მოდულებულითა თვალი დაიბანონ და იმავე წესითა ასპანახი დაასოვლონ და თვალზედა დაიდვან, მუცელი ნიადაგ რბილად და 10 გახსნით ქნას.

სხვა წამალი, რომე თვალი მოსისხლოდეს, თვალიდაღმა ქუთუთო გაათხელოს და სისხლი გამოიღოს, და თვალი გააგრილოს, ესე აქიმძან ასე დაწერა აილე ანძარუთი სამი დრამი და ნიშასტაგი ერთი დრამი და ნახევარი, სპარსული შაქარი ორი დრამი, ესე ყუელა დანაყე და გაცერ და ერთხელ დილასა და ერთხელ საღამოსა თვალშიგან გამოავლებდე, მრავალჯერ ქენ ესე.

შაფი ბარუმი, თვალი რომ მოსისხლდეს და ცრემლი სდიოდეს და იქავლებდეს მას უშველის, აილე: დამწვარი სპილენძი სამი დრამი, ოქროს წიდა ერთი დრამი, თუ ოქროს წიდა არ იყოს კარგი 20 მურდასანგი ქენით, გაცხილი სამყიარაბი, აფიონი, ზაფრანი, სადაჯინდი თვითოსაგან თვითო დრამი ეს ყუელა შეაჯუმლე და დანაყე და გაცერ და წმინდითა წყლითა აბები შექენ და ჩრდილში გაახმევით და რა მოგინდეს გალესე წყლითა და თვალშიგან ჩაუშვი და უშველის ღთითა.

თუ თვალი ერთობ სტკიოდეს და უსივდეს შაფი ალა ამოავლე ქალის რძითა.

თეთრი შაფი, რომე სისხლისაგან თვალი სტკიოდეს უშველოს, აილე: ანძარუთი გამოზრდილი ვირის რძითა ექუსი დრამი და ნიშასტაგი დიკისა ექუსი დრამი, გომიზი არაბი, ქათირა და 30 ვერცხლის წიდა, თვითოსაგან ოთხ-ოთხი დრამი, თუ ვერცხლის წიდა არ იყოს, მურდასანგი ქენით გარცხილი, სპეტი ტყვისა ექუსი

დრამი, აფიონი ერთი დრამი, თეთრი საკმელი ერთი დრამი ეს წა-
მალნი შეკრიბენ, დანაყე, გაცერ და კვერცხისა ცილითა შეზილე და
შაფად შექენ პილპილის ოდენი, ჩრდილში გაახმე და რა მოგინდეს
მისგან ორი მარცვალი კირჩხიბისა, ბუდეშიგან გაადგინე, ქალის
რძითა თვალშიგა ჩაუშვებდი, ერგების ღთითა.

ყ უ ი თ ე ლ ი შ ა ფ ი. რომე სისხლისაგან თვალი სტკიოდეს
უშველის, აიღე: ზაფრანი ერთი მიტყალი, სუმბული და ლახოსტაკი

200

თვითოსაგან თორმეტი მიტყალი, სადაჯი ინდი ნახევარ მიტყალი და
ანზარუთი ორი მიტყალი და გომიზი არაბი ორი მიტყალი, პილპი-
ლი შავი ორი მიტყალი, შეკრიბენ ესე წამლები დანაყე და გაცერ,
წყლითა შეზილე და მარცულად შექენ და რა მოგინდეს აიღე მის-
გან ერთი მარცვალი და ქალის რძითა გალესე და თვალშიგან ჩა-
უშვი, უშველის ღთითა.

თ უ ზ ა ფ რ ი ს ა გ ა ნ სტკიოდეს. მისი წამალი ეს არის: კო-
ტომი მოჰკიდოს უკანით კეფასა ზედა და ზაფრისა გასახსნელი წამა-
ლი მიეც და წითელსა შაფსა ამოავლებდი თვალშიგან, და შავი

10 ალიცა კარგია რომე ამოავლოს.

შექნა წ ი თ ლ ი ს ა შ ა ფ ი ს ა, აიღე: დამწვარი არჯასპი სამი
დრამი, სადაჯი ინდი და ლახოსტაკი თვითოსაგან ოროლი დრამი.
მური და ზაფრანი, ნახევარ დრამი, დარიფილფილი ორი დანგი
ყულა რბილად დანაყე, გაცერ და ძველის ღვინოთა შეზილე, შაფად
შექენ და ჩრდილშიგან გაახმე და რა მოგინდეს ძველითა ძმრითა
გაწურე და თვალშიგან ამოავლე და უშველის ღთითა. ღვინისაგან
და ხორცისაგან იფარეზოს.

თუ თვალი ს ი მ ხ უ რ ვ ა ლ ი ს ა გ ა ნ სტკიოდეს, სიგრილემან
უშველოს. აიღე: უმარილი ორი დრამი, ქათირა ერთი დრამი, ორი-
20 ვე ერთად დანაყე, წმიდად გაცერ და კვერცხის ცილითა გაუ რივე
და აბები შექენ და ჩრდილშიგან გაახმე და შეინახე, რა მოგინდეს
ქალის რძით გალესე და თვალშიგა ამოავლე.

ს ხ ვ ა წ ა მ ა ლ ი თვალი რომე ქაოდეს და ეწოდეს, აიღე:
მწვანე თუთია წმინდად დანაყე და გარეცხე და გაახმე, აიღე მისგან
რაცა მოგინდეს და ისრიმისა წვენი დაასხი და მზეს გაუდგი, რომე
გახმეს. მერმე კიდევ დაასხი და კიდევ გაახმე, ესე სამჯერ უყავ და
მერმე დანაყე, გაცერ, გალესე და გაწურე. მტკიცითა სამოსლითა
და თვალშიგან ამოავლებდი.

თ უ ს ე ვ დ ი ს ა გ ა ნ ი ყ ო ს, მას სევდისა გასახსნელი წამალი
30 მიეცით, იარაჯ ფეყრა და აბიყუყიაცა მიეცით. ესე აბი ყულასა
თვალის ტკივილსა კარგად მოუხდების, წამლები მისი, მოიღე: ორი
დანგი საბრი და ორი დანგი შამიანდალი, ორი დანგი მამუდა, ორი
დანგი აზინდის თესლი, ორი დანგი მასტაქი, დანაყე და გაცერ და
ნიახურის წვენითა აბი შექენ ცერცვისა ოდენი და ჩრდილში გაახმე
და ჩანთქი, ასე რომე კბილს ნუ დაადგამ. და ფარეზი უნდა ასრე,
რომე საფარეზოსა სწერია.

თ უ ბ ა ლ ღ მ ი ს ა გ ა ნ ი ყ ო ს, მისი წამალი მიეცით, რომე
თვალი ბალღმისაგან გამოწმინდოს. და იარაჯ ფეყრი და აბიყუყია
ესე კარგად მოუხდების.

ს ხ ვ ა წ ა მ ა ლ ი, რომე თვალი ნედლად იყოს და ქუთუთო გასქელებულიყოს, აიღე გაუხურეტელი გუნდა და ქალის რძით გალესე, თვალშიგან ამოავლე და უშველის ღ~თითა.

ს ხ ვ ა წ ა მ ა ლ ი, რომე სინედლე თვალისაგან გაწმინდოს.

- აიღე: ტუტისა ფურცელი და დარინისი, პილპილი, ალილა, დამწვარი სპილენძი, სწორსწორი დანაყე და გაცერ, თვალშიგან ჩაუდევ გაწმინდოს. ი ც ო დ ი თ რომე თვალშიგან როგორცა ტკივილი გამოჩნდეს პირველზედა მათბუხი უსული ააღებინეთ, გასახსნელსა ჰქვიან, და როგორცა მათბუხით დაღმა გამოვიდეს, ესე შაფი თვალშიგა
- 10 ამოავლეთ. მერმე ასეთითა წყლითა დაბანა უნდა რომე არცა გრილი იყოს და არცა მხურვალი, სწორი იყოს. მას უკანით სელისა ლაბა, ბიის გულისა ლაბა, ცოტა ქალის რძე გაურივე, ეს კაცი პირაღმა დააწვინე და ეს წამალი თვალშიგან ჩააწურე, დააწყნარებს ტკივილსა ნებითა ღ~თისათა. მერმე ესე შაფი აბრი ამოავლე თვალშიგა, მისი წამალი: ოქროს კლიმა დანაყილი და გაცრილი, თუთია, უმარილი, ყუელა გაცრილი, სურმა, თეთრი საკმელი თვითოსაგან ოროლი დრამი, მური, ანძარუთი თვითოსაგან თვითო დრამი და ნახევარი, ახუჟაინი, საბრი, თვითოსაგან თვითო დრამი, კალია და აფიონი თვითოსაგან თვითო დრამი, კალია დაადნევე სანგიმაქისა ქვავითა,
- 20 აფიონი დაალბე ქალის რძით, ეს წამლები დანაყე, გაცერ და შიგან გაურივე აბები შექენ და ჩრდილში გაახმე და რა მოგინდეს ქალის რძით გალესე და თვალშიგან ამოავლე.

- თ უ ესე სენი ერთობ მაგარი იყოს და სქელი და ეს წამალი ვერ მოერიოს, შაფი ქუნდრე შეუწყურვ, აიღე: წითელი საკმელი ხუთი დრამი, აშაყი, ანძარუთი, თვითოსაგან ორი დრამი და ნახევარი, ბარონ, ზაფრანა თვითო დრამი, დანაყე და ვალითა გაცერ წმინდათ და ულბოსა ლაბაშიგან გაურივე და აბები შექენ და ჩრდილში გაახმე და რა მოგინდეს იხმარე. თუ ულბო არ იყოს კვერცხის ცილითა შეზილე და კიდევ კვერცხისა თეთრითა გალესე და თვალშიგან
- 30 ამოავლე.

ს ხ ვ ა ტ კ ი ვ ი ლ ი თ ვ ა ლ ი ს ა რომე ხურფა¹ ჰქვიან. მისი ნიშანი ეს არის რომე თვალშიგა ფეტვის ოდენი ან წითელი, ან ყვითელი, ან ლურჯი გამოესხას, ან რომე ეცეს რამე და მისგან წაეკიდოს, ან მიჭირვებითა, ან ტანის სიმხურვალითა, და ან ნიადაგ რწყევითა.

მ ი ს ი წ ა მ ა ლ ი ეს არის, რომე ყიფალი გაუხსნან და დედაკაცისა რძე ჩაიშვას თვალშიგან და ტრედის ხუნდს ღლიაშიგა მარ-

¹ ნახუნა.

ღვი გაუხსნას და მისი სისხლი ჩაუწვეთოს და წითელი შაფი თვალშიგან ამოავლოს და მძიმე საჭმელი, ღვინო იფარეხოს.

მ წ ვ ა ნ ი ს შ ა ფ ი ს ა წ ა მ ა ლ ი, აიღე ყალყატარი ერთი მიტყალი, ჟანგარა ნახევარ მიტყალი, ბუარემანი, ქაფი, აშაყი, ზიბყი,

ნიშადური. ეს ყუელა დანაყე წმინდად და გაცერ, სადაფის წყლითა შაფი შექენ და ჩრდილში გაახმე და ძმრით გალესე და თვალშიგან ამოავლე. ერთობ დასწვავს. ამის უფრო ძნელი შაფი არ არის და ხორცისა მჭამელი. წითელი შაფი, ზემო სწერია წითლის შაფისა აიღე: ყალყატარი დამწვარი სამი დრამი, დამწვარი სპილენძი თვითო

10 დრამი მისგან, მური და ზაფრანი ნახევარ დრამი დარიფილფილი ორი დანგი, ყუელა დანაყე, წმინდათ გაცერ და ძველის ღვინითა შაფები შექენ და გაახმე ჩრდილში და იხმარე ძმრითა.

ს ხ ვ ა ნ ი შ ა ნ ი ნ ა ხ უ ნ ა ს ი ეს არის რომე, შიგნით ქუთუ-
თოსა ზედა ზეით და ქვეით მგურგვალი გამოვა და ჩხულებას და-
უწყებს. ესე სენი თუ ძველი იყოს მწვანემან შაფმან უშველოს, და
თუ ახალი იყოს წითელსა შაფსა ამოავლებდი და უშველოს.

ს ხ ვ ა თ ვ ა ლ ი ს ტ კ ი ვ ი ლ ი არის ს ა ბ უ ლ ა ჰ ქ ვ ი ა ნ.
მისი ნიშანი ეს არის რომე წითელი ძარღვები გამოჩნდეს თვალ-
შიგა დედაჭუას ბუდესავითა, პირველად თვალის სიშავესა ზედა გა-
20 მოჩნდეს და მერმე სითეთრეზედა გამოჩნდეს. რაჟამ ეს ნიშანი ნახო
ფიცხლავ კოტოში მოჰკიდე უკანით კეფასა ზედა და ყიფალიცა გა-
უხსენ და მერმე ნახე ბიული ერთმანერთზედა დაჰკროდეს და გასივე-
ბოდეს. ყმაწვილის თვალის ტკივილისათვის რომე წამალი გვიწერია
ის უყავით, და იარაჯ ფეყრა მისცეს რომე თავი გამოსწმიდოს და
აბი ყუყია მისცენ, და ნიადაგ ღარღარა ქნას, და ცხვირსა ნიადაგ
დასცემდეს ისეთი წამალი მისცენ. და მძიმე საჭმელი იფარეზოს ბუ-
ხარისაგან წაეკიდების ხახვისა, ნიორისა, პრასისაგან, ბაკლისა და
ოსპისაგან დიდის თევზისა და ძროხის ხორცისაგან და ამათის
მგზავისაგან ყუელასაგან იფარეზოს, ღვინო და მწვანელიცა და
30 დოცა. მტვერსა და კვამლს ერიდოს. ძილშიგან თავი მალლა დადვას
და ბევრსა ნუ იმეტყველებს და თვალსა აიხვევდეს და სანთლის
ჭურეტა იფარეზოს. თუ ესე სენი ახალი იყოს მწვანე და წითელი
შაფი უშველის, და თუ ძველი იყოს ბ ა ს ა ლ ი ყ ო ნ ი ს ა შაფი უშვე-
ლის. ბასალიყონისა შაფი. აიღოს: ბასალიყონი, ზაფრანა, ლახო-
სტაკი, წითელი ზარნიხი, თეთრი ვაშაყი, შანქრაფი, ალიქირუმი,
ზარდანჩობი, ტაბარზადი შაქარი თვითო დრამი, ყუელა მტვერივით
დანაყე ხრის წვენით გაურივე და შაფები შექენ და ჩრდილში გაახმე,
მერმე როდეს მოგინდეს ახლისა ისრიმის წვენითა მაქურსა ზედა
გალესე და თვალშიგან ამოავლე.

203

ს ხ ვ ა თ ვ ა ლ ი ს ტ კ ი ვ ი ლ ი რომე ნ ა ხ უ ა ჰ ქ ვ ი ა ნ. მისი
ნიშანი ესე არის რომე თუალშიგან წურილი და თეთრი რამე გამო-
ესხას, ამისი ტკივილი უფრო ცოტა იყოს, მისი წამალი: საკმელი
დაზილონ და თბილს წყალშიგან ჩაყარონ და მერმე გაწურონ და
მისი წყალი თვალშიგა ამოივლოს და რა გინდა ნაღვლი იყოს თა-
ფლითა ისიცა ამოივლოს და წამალი თუთია ოომე ისრიმითა გა-
ზრდილი იყოს, ისიცა კარგი არის.

თუ ისი სენი ძველი იყოს და სხვილი მისი აქიმი დასტაქარი
იყოს. შაფი ყანსარია, შაფი ჟანგარ ესე, რრივე მისთვის წამალი
10 არის.

წ ა მ ა ლ ი ნ ა ხ უ ა ს ი, აიღე: სპაანი სურბა და ჟანგარა ერთი

დრამი და შაბი ნახევარ დრამი, მტვერივითა დანაყე და მილი ისრ-
მისა წვენიტა დაასოვლე და ამა წამალშიგა ამოავლე და თვალშიგა
გამოავლე სამსა დღესა. თუ ამა სამსა დღესა არ გამოწმდეს, მოკვე-
თა უნდა.

ს ხ უ ა ი ნ ი შ ა ნ ი ნ ა ხ უ ნ ა ს ი ესე იყოს: თვალსა შიგა შავში-
გან დაებადოს წითელი იყოს, თუ სითეთრეშიგა იყოს და შავად
სცემდეს, მეტი ხორცი იქნების თვალისა, დაკოდილობისაგან უფრო
გამოჩნდების. თუ მოკუეთა არა შეეძლოს სამსა დღესა ეს მწვანე
20 შაფი შეუქენ და ესე მოსჭამოს, ამისთვის შაფი ყასარიცა კარგი
არის. მწუანისა შაფისა წამალი, აიღე: ყალყა-ტარი, ესეცა ზემო
მესამესა ფურცელზედა სწერია უკლებად მისი შექნა და წამლობა.

შ ა ფ ი ყ ა ი ს ა რ ი ა ესე არის, აიღე: სადნაჯი თორმეტი დრამი,
ოქროს კლიმა, ლახოსტაგი ექუსექუსი დრამი, ჟანგარა¹ ოთხი დრა-
მი, დამწუარი არჯასპი ოთხი დრამი, აფიონი ერთი დრამი, მამისა
დრამ ნახევარი, უმარული ორი დრამი, ქაფური ნახევარ დრამი,
ყულა რბილად დანაყე და ქინძისა წვენიტ შეზილე და შაფები შექენ.

ს ხ უ ა ი თ ვ ა ლ ი ს ტ კ ი ვ ი ლ ი რომელსა ჯ ა ს უ ლ ა ხ ფ ო ლ
30 ერთმანერთსა მოეკიდებოდეს, რომე სადამდი ხელითა არა გააღოს
ვერა ახილოს.

მისი წამალი ეს არის, რომე თავსა ცხელი წყალი[თა] იორთ-
ქლებდეს და თბილითა წყლითა იბანდეს და წითელსა შაფსა ამო-
ივლებდეს, იისა და ხათმისა ტლესა თავზედა შემოიდებდეს და
ოსპისაგან, დოსაგან და ყუელისაგან და ზროხის ხორცისაგან ფარეზი
ქნას.

¹ სწერია „ჯანგარა“.

204

ს ხ ვ ა თ ვ ა ლ ი ს ტ კ ი ვ ი ლ ი არის ჯ ა რ ბ ა ჰ ე ვ ი ა ნ . მისი
ნიშანი ეს არის რომე ქუთუთო დაწითლებულიყოს დიდი ხანი გამო-
სულიყოს და ერთობ სტკიოდეს. გამოუქცივე ქუქუთო და ნახე თუ
ლეღუსა გულსა გუანდეს შიგნით, პირველად ქუქუთო გამოუქცივე
და ხმელითა შაქრითა დაფხიკე კარგად, რომე სისხლი რაცა იყოს
გამოწმდეს, მერმე ძარღვი გაუხსენ, ყიფალი, და კოტომიცა მოკიდე.

ჯ ა რ ბ ა ს ა ნ ი შ ა ნ ი ესე არის, რომე ქუქუთო შიგნით გაუწი-
თლდეს, გაუსქელდეს და ქაოდეს. და დედაკაცთანა დაწუებოდეს და
სუფუფი იისა, დანაყილი ალილა ესე ჭამოს, და წითელი შაფი ამო-
10 ივლოს და იარაჯი ფეყრა მისცეს. და რაი ქავილი მოუვიდეს, მო-
იცრას და ამა წამალსა თვალშიგა ამოივლებდეს. ა ი ლ ე : სადაჯი
ინდი, სამი დრამი, სამყი არაბი სამი დრამი და ნახევარი, ჟანგარი
სამი დრამი და ნახევარი, აფიონი დანგ ნახევარი, ზაფრანი დანგ
ნახევარი ესე ყულა დანაყე გაცერ და კამასა წუენითა აბები შექენ
და ჩრდილსა გაახმე და რა მოგინდეს აიღე ერთი აბი წყლითა გა-
ლესე და თვალშიგა ამოავლე.

ს ხ უ ა ი თ ვ ა ლ ი ს ტ კ ი ვ ი ლ ი არის შ ა ღ ი რ ა ჰ ე ვ ი ა ნ .
მისი ნიშანი ისი არის რომე თმისა ძირსა ქუქუთოზედა გამოვა (ამას
ჯ ი ნ ჯ ლ ი ბ ი ქვიან)¹ ცოტად გრძელი და მსივანი. რა ისი გამო-

20 აჩნდეს ფიცხლავ ხელი გაიხსნას და გასახსნელი წამალი აიღოს, მერმე შაფი მამისა და გილიარმანი ქინძისა წუენითა ტლედ ქნას და თვალზედა დაიდვას და მერმე ქერისა წყლითა მოიბანოს და საქფინაჯი ძმარშიგა გა[ა]დნოს, ტლე ქნას და დაიდვას.

ს ხ უ ა ი წ ა მ ა ლ ი: ბუზი დაიჭირე თავი მოსწყუიტე და ტა-ნიზედა დაჭყლიტე და ზედა თეთრი მატყლით დააკარ.

ს ხ უ ა ი თ ვ ა ლ ი ს ტ კ ი ვ ი ლ ი, ღ ა რ ბ ა ჰქვიან. მისი ნი-შანი ისი არის ცოტა ჯოჯლიბისაგან უფროსი გამოვა ქუქუთოზედა. მისი წამალი იგია რომე, გასახსნელი წამალი აიღოს და ხელი გაი-ხსნას, რომე ტანი გაწმდეს. მერმე შაფი მამისა და ზაფრანა და მუ-30 რი და საბრი და სადაფი დამწუარი და სალიხა, მუყლისა წყლითა ტლედ ქნას და ზედა დაიდვას. და რაი ისი სენი დამწიფდეს და-თავი გაუთეთრდეს, გამორწყონ და გამოწმიდონ ბალღამი. მერმე-სადაფისა ფურცელი ნაცრითა დანაყენ და ზედა დაიდვას. ფურცელი მურტისა და მური, ორივე ერთად დაზილე ტლევითა და თვალზედა დაიდვას.

ს ხ უ ა ი თ ვ ა ლ ი ს ტ კ ი ვ ი ლ ი სახელად ყ ა რ ა ქუიან. მისი ნიშანი ისია რომე თეთრზედა წითელი გამოჩნდეს და შავზედა თე-

¹ ეს სამი სიტყვა აშიაზე სწერია.

თრი. წამალი მისი ხელისა გახსნა არის, და გასახსნელი წამალი და კოტოში წვივზედა მოიკიდოს და შაფი თეთრი, აფიონითა შეკაზმუ-ლი იყოს, თვალშიგან ამოივლოს, და თუ ტკივილსა უკლოს მისი იმედი ქონდეს, რომე გამრთელდების და თეთრსა შაფსა ამო-ივლებდეს.

თ უ ისი სენი გუიანად დამწიფდეს, ულბო და აქლილმალიქ მოადულოს და მისი წყალი ჩაიშუას. რაჟამ დამწიფდის, თეთრი შაფი ანზრუთითა შექნილი ამოივლოს რომე დაწმიდოს, და რაი დაწმდეს, სადაფი დამწუარი და გარცრილი შიგა ჩაყაროს, რომე 10 გაამროს, და რა გაშრეს წითელი შაფი ამოივლოს.

ს ხ უ ა ი თ ვ ა ლ ი ს ა ტ კ ი ვ ი ლ ი რომე და მ ა ქუიან. მისი ნიშანი ისი არის რომე თვალი მუდმად სავსე იყოს ცრემლითა, ესე ორისაგან არის, ერთი ბალღმისაგან, ერთი სისხლისაგან. თუ ბ ა ლ-ღ მ ი ს ა გ ა ნ იყოს მისი ნიშანი [ეს არის], რაზომცა უჭმელად იყოს, უკეთ იყოს, თბილსა დროშიგა უკეთ იყოს. და რა ცივი ნიავი ეცეს უარე შეიქნას. და თუ ზამთარი [იყოს], თოვლსა და სიცივესა ნახე-ვდეს, უვარ იყოს.

თ უ ს ი ს ხ ლ ი ს ა გ ა ნ იყოს, მისი ნიშანი, როგორცა დასცხეს უვარ იყოს. თუ აბანოშიგა ებანოს მაშინცა უვარ იყოს. წ ა მ ა-20 ლი მ ი ს ი რომე ბ ა ლ ღ მ ი ს ა გ ა ნ იყოს: საღარღარებელი წამალი. რომე ბალღამი ამოიღოს და აბი ყუყია აღებინე და წყალი გააცხე-ლებინოს და თავი ზედა დაიჭიროს, რომე ესე წამლებიცა შიგა გა-ურივე, ბაბუნაჯი, აქლილალმალიქი, ყაისუმი.

ისი რომე ს ი ს ხ ლ ი ს ა გ ა ნ იყოს ყ ი ფ ა ლ ი გაუხსენ და კოტოში მოკიდოს და გასახსნელი შარბათებიცა აღებინოს. თუთიასა ზარური მოივლონ. დაიჭირონ თუთია ხუთი დრამი, ყუითელი ალილა, ბუსა-

თი, საბრი, თუითოსაგან თუითო დრამი, ფილფილი ერთი დანგი, ესე დანაყე და გაცარ, მილი დაასოვლე და თვალშიგა გამოავლე.

ს ხ უ ა ი თ ვ ა ლ ი ს ა ტ კ ი ვ ი ლ ი რომე ს უ ლ ყ ი ქუიან. მისი 30 ნიშანი: თვალი სტკიოდეს, გასივდეს თვალისა კილოები და ქავილი დაუწყოს.

წ ა მ ა ლ ი მ ი ს ი: გასახსნელი მიეც, მერმე ყიფალი გაუხსენ, და კოტომი მოიკიდოს. დღისით ქალისა რძესა ჩაუშუებდეს და ღამით ნავთისა კუამლსა, და შინქრაფი ბამბითა თვალზედა შემოსდვან და ნუშისა ზეთსა [თვალშიგან] ჩაიშუებდეს. და ნუშისა გული და ქალისა რძე და ვარდისა ზეთი და კუერცხისა ცილა ერთმანერთშიგა გაურივე და თვალისა კილოებზედა შესცხებდი ქუემო და ზემო, და მას გარეთ სურმა ვარდისა ზეთითა გაურივე და ზედა შემოსდევ.

206

ს ხ უ ა თ ვ ა ლ ი ს ტ კ ი ვ ი ლ ი რომე რ ა შ ა ქუიან. მისი ნიშანი ისი არის რომე თვალი სისხლითა ავსოდეს, და ასრე ეგონოს თუალსა ვერა ავადებო, ასრე ეგონოს თვალი მიწითა სავსე მახიანო.

მ ი ს ი წ ა მ ა ლ ი: პირველად ყიფალი გაუხსენ და მერმე რაცა ამას ზემოთ სისხლისა ტკივილისა წამალი სწერია ისი უყავით, და შუბლიცა გაუხსენ კოტომიცა მოკიდე. შაფი ბარუმი ამოავლებდი თვალშიგა. ღვინისა და ხორცისაგან იფარეზოს.

ს ხ უ ა ი თ ვ ა ლ ი ს ა ტ კ ი ვ ი ლ ი რომე ზ ა ფ ა რ ქუიან, მისი ნიშანი, სისხლი დაიბადების, თვალი გაწითლდების.

10 მ ი ს ი წ ა მ ა ლ ი, მოიღონ: ტრედის ხუნდი მრთელი და მხარსა ქუეშე ძარღვი გაუხსენ და მისი სისხლი თბილი, თვალშიგა ჩაუშუი და მას უშუელოს, და შაფი ბარუმი ამისთუისცა კარგია.

ს ხ უ ა ი თ ვ ა ლ ი ს ა ტ კ ი ვ ი ლ ი ღ ა რ ფ ა ქუიან. მისი ნიშანი [ეს არის, რომე] ხურელივითა გამოჩნდეს თვალისა გარემემო და ბაყლი მოსდიოდეს, მისი წამალი უწინა ხელითა გამოწურონ, რომე ბაყლი გამოვიდეს, მაშინ პატრუკი შექნან ბანბისაგან. მერმე ჟანგარისა შაფი გალესე და პატრუკი დაასოვლე და დასდევ და რაცა მანკი იყოს, ყუელა გამოიღოს. სადამდის ამ წამალსა უზემდეს დედაკაცთან წოლასა ერიდოს. თუ თვალი ქაოდეს და ეწოდეს მან რაცა 20 საჭმელი მხურვალი და მლაშე იყოს, მისგან ფარეზი ქნას. და სტომაქზედა ნიადაგ რბილად იყოს და შაფი სუმაყისა თვალშიგა ამოივლოს და რაცა ამას გავს ისიცა ყუელა კარგია.

ესე წამალი ცრემლისა დენასაცა უშუელის და თვალისა ქავილსაცა. აილე მწვანე თუთია რასთონიცა გინდოდეს დანაყე და გარცხი ამა წესითა ავანშიგა წყალი და[ა]სხი და ურივე და წასწურევი, მანამდი, სადამდი ავანშიგან ქუიშა დარჩეს. ისი ქუიშა არ ვარგა. ისი წანაწური დადგი ერთხსა ღამესა დაწმდების. მერმე წყნარად წასწურე და ძირსა ლეკი დარჩების ისი გახმე დანაყე, ახლად დაასხი ისრიმისა წყალი და გა[ა]ხმე მზესა, სამჯერ ესრე უყავ. მერმე ახლად კიდე 30 ვე დანაყე და გაცარ წმიდად და შეინახე, რა მოგინდეს, მილი, ისრიმისა ან ნედლისა კამის წუენითა დაასოვლე და თვალშიგა ამოავლე¹

ს ხ უ ა ი თ ვ ა ლ ი ს ა ტ კ ი ვ ი ლ ი, რომე ერთობ თვალსა ცრემლი სდიოდეს. თუ კილო მოკიდებოდეს ნიადაგ ღუინითა იბანდეს.

¹ აშიაზე სწერია მხედრულით „თქვენთვიმც მოვკუდები ამ წიგნის პატრონი, ვაიმე თქუნს გაყრილსა რატომ დამივიწყენ მე უბედური—ყოვლისა კაცისაგან მოსამულეებელი შევიქენ“.

დაასოვლებდეს და ნიადაგ ზედა დაიდებდეს. და შაბი ღუინითა მოადუღოს და მითა ასპანახი დაასოვლოს და დაიდვას ყუელასა სჯობს, და ასეთი წამალი მისცენ, რომე ცხურისა ჩაღსა დასცემდეს და თავსა ხშირად იპარსევდეს და თბილითა წყლითა იბანდეს ტანსა, რომე ოფლი ედინოს. და რაცა წამალი ისრიმითა შენახული იყოს თუალშიგა ამოივლებდეს.

ს ხ უ ა ი წ ა მ ა ლ ი, რომე ცრემლი სდიოდეს უშველის და ყოვლსა ფერსა თვალის ტკივილსა უშუელის. აიღე: დანაყილი და გაცრილი თუთია რასთონიცა გინდოდეს მერმე ნედლისა კამისა წუენი
10 გამოწმიდე და თუთიაზედა დაასხი და მზესა გაახმე, სამჯერ ესე ქენ, მერმე ვარდისა ზეთსაშიგან გაურივე და მერმე თეთრისა მამლისა ნავდელი და კაკბისა ნავდელი ყუელა შიგა გაურივე და გაახმე და დანაყე და შეინახე და რა მოგინდეს მილითა თვალშიგან ამოავლებდი, ყოველსა თვალისა ტკივილსა უშუელის.

თ ვ ა ლ შ ი გ ა ნ თ უ თ მ ა გ ა მ ო უ ვ ი დ ე ს. უწინა მას ტანი იარაჯ ფეყრითა და შამიანდალითა გაუწმიდე, წეროსა და ტრედისა ნავდელი თვალშიგა ჩაუშუოი და აბი ყუყია და იარაჯფეყრა იღარღაროს რომე თავი გამოწმიდოს. და ცოცოტასა იტრიფალსა ჭამდეს, და წითელსა შაფსა ამრივლებდეს და ისი თმა ჩ ქ ი ფ ი თ ა
20 გამოსწუადონ და მაზარიონის ნაცარი იმა ადგილსა დაყარონ, ერთობ მარგე არის. და ზღუისა ქაფი ბაზრაცატუნისა ლაბითა გაურიონ დ და იმა თმისა ნაბანსა ზედა დასდვან, მარგე არის.

თუ მან არა უშუელოს და კიდევე გამოუვიდეს მერმე ასრე დადაღონ რომე ისი თმა ჩქიფითა გამოგლიჯონ. მერმე ნემსი გაახურვონ და ყანისა კურწისა მილი შექნან და იმა მოგლეჯილზედა დასდვან და მერმე, გახურვებული ნემსი შიგა ჩაუყონ ასრე რომე სხუასა ადგილსა არ მიხუდეს. ისი თმისა ნაბამი დადაღონ, და რაი დადაღონ მერმე მასტაქი დაცოხნე და ზედა დასდევე. თუ არცა ამან უშუელოს ესე შაფი შექენ და თუალშიგა ამოავლე ა ი ღ ე: დამწუარი სა-
30 დაფი, აყიყი იამანური, აზუზმაქი, თუითოსაგან ნახევარ დრამი, ნიშადური ნახევარ დანგი, ქაფური ორი ქერისა წონა, ქაფური დაადნევ ქარნაბისა წყლითა და ესე წამლები შიგა გაურივე დაზილე და შაფები შექენ და ჩრდილსა გაახმე და რა მოგინდეს თვალშიგა ამოავლებდი, მაქურზედა გაღესევდით [თ ვ ა ლ ს ა რ ო მ ე ს ი ნ ა თ-
ლ ე ა კ ლ დ ე ს, ისი ოთხისაგან იქნების, ერთი სასის სიმხურვალისაგან, ერთი მტურისაგან, ერთი ზამთრის სიცივისაგან, ერთი სტომაქისა აშლილობისაგან. მ ი ს ი წ ა მ ა ლ ი, რომე სასისაგან იყოს ღარღარა ქნას, ღარღარა არის წამლებითა, და აბი შაბიერიცა ააღე-

ბინონ. ისი რომე სასისა სინედლისაგან იყოს ყოველთა ღამეთა და-

იზილოს თავი და ყელი და გულის პირისა ძარღუები, ტერფი და ჭიპს-გარემემო, იისა ზეთითა და ორი წუეთი ცხვირშიგა ჩაუშვას. აიღოს ხოხბის ნავლელი ორივე ერთად გაურიოს და მილითა თუ-ალშიგა ამოივლოს, ერთსა წამსა, უჭმელობა აწყენს და რწყევა აწყენს. ისი რომე სტომაქისაგან იყოს, მისი წამალი იარაჯ ჯალინოს მისცეს. მას უკანის ერთსა კუირასა გულან გუბინი შესუას ალიქირუმითა გარეული.

ესე რომე ზამთრისაგან და მტუერისაგან და თოვლისაგან იყოს, 10 ესე შიგან ამოავლე თუალსა წამალი მისი, აიღე: შადნაჯი ხუთი, დრამი ჟანგარა, დარაფილი, გილიარმანი, თვითოსაგან ნახევარ მუტყალი დანაყე რბილად და გაცარ, მერმე მილითა ამოავლე. სხუაი წამლები მისი ბევრგან სწერია, თვალისა სიბნელისა და ისი უყავით.

თ ვ ა ლ ი ს ა ტ კ ი ვ ი ლ ს რომე შ ა ვ ქ უ რ ქუიან ისი არის რომე, ღამით კაცი ვერას ხედვიდეს, მ ი ს ი წ ა მ ა ლ ი: აიღე უშობელისა თხისა ღუიძლი და აიღე მარილი, დარიფილფილი, სწორ-სწორი დანაყე და ზედა დააყარე და შეწუი და მისი წყალი გამოავლე, მას რომე გამოვა, ისი წყალი დაიჭირე და მილითა თვალშიგა ამოავლებდი. ყოვლისა მწუავისა საჭმელისაგან იფარეზოს და აბი შაბიერი 20 ააღებინოს როგორაცა აბებსა შიგან სწერია მითა წესითა. ამას გარეთ აიღე: თევზისა ნავლელი, ტრედისა სკინტლი და გუგულისა სისხლი ყუელა ერთმანერთშიგა გაურივე და გალესე და თვალშიგა-ამოავლე და გუგულისა სისხლი თბილი, თვალშიგა ჩაუშუი და ყიფალიცა გაუხსენ და უშველოს ღ~თითა.

ს ხ უ ა ი თ ვ ა ლ ი ს ა ტ კ ი ვ ი ლ ი არის, რომე თვალი გაუსიდეს და ერთმანერთსა მოეზმის, ესე სენი უფრო ვაჟსა კაცსა დაემართების. რა ჟამს ყმაწურილთა დაემართოს, დედა ფარეხათ შეინახე, ღუინისაგან და ყოვლისა მძიმისა საჭმელისაგან. მერმე ესე წამალი თვალშიგა ამოავლეთ, აიღე: გარცხილი თუთია ქირმანული ნახევარ 30 დრამი და საბრი ერთი დანგი, აფიონი ნახევარ დანგი, შაფი მამისა ერთი დრამი. ზაფრანა ერთი დანგი და ორი ქერისა წონა ესე ყუელა დანაყე გაცარ წურილად და ჭურჭელსშიგა შეინახე და რა გინდოდეს მილითა თვალშიგა გამოავლე, ერთხელ დილასა და ერთხელ საღამოსა. და თუ დიდსა კაცსა სტკიოდეს, ამა წესითა ხელი გაუხსნას და კოტომიგა მოკიდოს. და ყოვლისა მხურვალისა სეჭმელისაგან ფარეზი ქნას და ღუინოსა ნუ სუამს და შაფი ალი თვალშიგა ამოივლოს.

სხუა თვალის წ ა მ ა ლ ი, რომე შორს ხედვიდეს და ახლოს ვერა, ამა სენისა უფალი ფარეზად შეინახე ყოვლისა ფერისა მძიმისა საჭმლისაგან, აპოხტისა და ზროხისა ხორცისაგან და წუელისაგან და დიდისა თევზისაგან. და მერმე ესე გასახსნელი აბი მიეც, აიღე: საბრის კუტრი ათი დრამი, ალილა კურკისაგან გაწმედილი და წითელი ვარდი ხუთხუთი დრამი, ზაფრანა ნახევარ დრამი ესე ყუელა დანაყე და გაცარ, ორი დანგი საყამუნია გაურივე და წყლითა აბები შექენ ესე ორჯელ მიეც დაწოლისა დროსა ოთხი დრამი მიეც ¹, თბილითა წყლითა როგორაცა აბი სწერია მითა წესითა. მერმე ესე 10 წამალი შექენ და თუალშიგა ამოავლებდი, აიღე: ოქროსა წიდა ორი

დრამი. ზღულისა ქაფი ორი დრამი და ნახევარი ლახოსტაგი ორი დრამი წითელი და თეთრი მარილი თუითოსაგან ოთხი დანგი და ნახევარი, ნიშადური ნახევარ დრამი დარაპილპილი ნახევარ დრამი ყარანფული დანგნახევარი პილპილა ერთი დრამი, ქაფური ერთის ქერისა წონა ბორაკი და უმარული თუითოსაგან ოთხოთხი დანგი, ერთმანერთშიგა გაურივე და დანაყე და გაცერ კარგა წმინდად და ავანთა შიგა კიდევ გალესე და ჭურჭელსა შიგა შეინახე, და რა მოგინდეს მილითა თუალშიგა ამოავლებდი და უშუელის ღ~თითა.

თ უ ა ლ ს ა, რომე წყალი სდიოდეს, ესე სენი სიგრილისა და 20 სინედლისაგან არის მისი წამალი ხელისა გახსნა და წამლისა აღება არის. და გრილი და ნედლი საჭმელი იფარეზოს. იარაჯფეყრა და აბი ყუყია ამისი წამალი არის და ერთი შარბათი იარაჯფეყრასი სუას კუირისა თავსა და მათბუხი ყანტარიონი შიგა ჩაყაროს და კურაის თავსა სმიდეს. და შაფი მარარათი თვალშიგა ამოივლოს, მარგე არის.

ს ხ უ ა ი წ ა მ ა ლ ი, აიღე: ასურული ძირა, დანაყე წმინდად და თვალშიგან ამოავლე.

ს ხ უ ა წ ა მ ა ლ ი ამისივე: აფსინთი დანაყე, ნედლი, წამოწურე და თაფლი ურთე და მილითა თვალშიგან ამოივლოს.

ს ხ უ ა: ანდუზი ყელსა შეიბას და უშუელის.

30 ს ხ უ ა: თუ წამწამი სცუიოდეს, წამალი მისი აიღე: თხისა ნავლელი, თაგუისა სკინტლი, დანაყე და თაფლითა გაურივე, შემოსდევე და უშუელოს.

ს ხ უ ა წამალი ამავე სენისა, აიღე: ბროწეულისა ქერქი. და გუნდა, ექუს-ექუსი დრამი, რკინისა წიდა ექუსი დრამი, ნავლელი ექუსი დრამი, აყაყია ნახევარ დრამი, ყუელა წყალშიგა, ჩაყარე და ადუღე და ვირემ გამრთელდებოდეს ყოველთა დღეთა დაბანდი ამა წყლითა.

¹ აქ კიდევ სწერია „დაწოლისა ჟამსა“.

ი მ ა ვ ე ს ე ნ ი ს ა: ანდამატის ქუა გალესე წყლითა და ზედა დასცხე და თმა გამოუვიდეს.

ს ხ უ ა წამალი, თუალი რომე კარგად გაწმიდოს, აიღე: ვაშაყი, დედაკაცისა რმითა დაალბე, რა კარგად დალბეს, თვალშიგა ამოივლე, უშუელოს.

ს ხ უ ა წამალი, აიღე: თევზისა ნავლელი და დედაკაცისა რმე სწორ სწორი გაურივე და სცხე.

ს ხ უ ა ი წ ა მ წ ა მ ი ს ა ტ კ ი ვ ი ლ ი ს ა, აიღე: თეთრი საკმელი, ჯამშიგა ცეცხლი ჩაყარე და თეთრი საკმელი შიგა ჩაყარე და თავი 10 ზედა წაიშუბროს თავსა კარგად დაბურე რომე მისი კუამლი არსათ გამოვიდეს, ორთქლი და კუამლი მას მიხუდეს. ერთი ხურმისა გურკა დაწუი ცალკე ისიცა საკმელსა შიგა გაურივე, მას უკანით აიღე აბი ბალასანი, სუმბული, ლაჟვარდის ქვა, ხამი აბრეშუმში დამწუარი, სწორ-სწორი ქენ, დანაყე გაცარ, ქინძისა წუნენითა შაფები შექენ, ჩრდილსა გაახმე და იხმარე, რა მოგინდეს საჭმელად, მაშუნეა, აყირო შეუწყევ და ხელიცა გაუხსენ და წამალიცა ააღებინე.

ს ხ უ ა ი თვალი, რომე წამოვარდეს, ესე ორისა საქმისაგან წამო-
ვარდების, ერთი რომე რწყევისაგან მისჭირდეს და ერთი ნაკრავისა-
გან თავისა. მისი წამალი წამწამისათვის რომე წამლები სწერია ისი
20 უყავით. მემრე მუმრულანითა ყელისა ძარღვეები დაიზილოს, აიღე:
აზუზიმაქი, საბრი, აყაყია, დანაყონ და თავზედა, ყელზედა, ისი
შესცხონ და მუდამად შეხვეული ქონდეს. რა დაწვეს პირდაღმა დაი-
ძინოს. საჭმელი გრილი შეიწყოს და აბებიცა, იღარღაროს.

ს ხ უ ა ი თვალი რომე ხმელად სტკიოდეს, პირველად ხელი გა-
უხსენ და კოტოშიცა მოიკიდოს, გასახსნელიცა მიეც იარაჯ ჯალი-
ნოსისა, ანუ აბი ყუყის წითელი შაფი ამოივლოს მილითა და ქა-
ლისა რძითა.

თუ ამან არ უშუელოს, შაქრითა გუნდა გამოწმიდონ მას უკა-
ნით შაფი აბარი ამოავლონ თვალშიგა, ნუშისა გული და ამლაჯი
30 დანაყონ ცეცხლზედა ცოტად ადუღონ, და იის ზეთშიგა გაურიონ
თვალის კალოებზედა შესცხონ, რომე თვალისა კილოები დააღბონ.
შაფი აბარი ესე არის აიღე: [ოქროს] კლიმა დანაყილი და გაცრი-
ლი და გარცხილი თუთია, უმარული, ყუელა გარცხილი, თეთრი სა-
კმელი თუითოსაგან ორორი დრამი, მური, ანზარუთი, კალა და
აფიონი თუითოსაგან თუითო დრამი, კალა დაადნევე სანგიმაქისა
ყე, გაცარ და შიგა გაურივე, აბები შექენ და ჩრდილსა გაახმე რა
მოგინდეს ქალისა რძით გალესე და თვალშიგა ამოავლე.

211

თ ვ ა ლ ს ა რომე გარეთ ქუა ანუ სხუა რამე ეცეს და თვალში-
გა სისხლი იყოს, და სისხლი შიგა დამკუდარიყოს და დამაგრებუ-
ლიყოს, ეს წამალი ქენ, აიღე: ტრედის ხუნდი და მისი სისხლი ჩაუშუი,
აიღე სპანდის თესლი და ირიცუკი ¹ წყალშიგა დაალბე და ნაბდისა
ნაკუეთი იმა წყალშიგა დაასოვლე, გაათბე და ნაბადი თვალზედა
დასდევე, ზედაზედ სამსა დღესა იგი ქენ დღივ ათჯერ. მერმე აიღე
სელი და წმიდად დანაყე, აიღე თხისა ქონი გაადნევე და შიგა გა-
ურივე და სქელითა სამოსლითა ზედა დასდევე და ერგოს.

თ ვ ა ლ ი რ ო მ ე მისისა ადგილისაგან გამოსრულ იყოს, ესე
10 ორისაგან იქნების, ანუ ზედაზედა ყუანისაგან და გარჯისაგან და ანუ
ზედა ზედა რწყევისაგან რომე თვალსა მიხუდომოდეს, მისი წამალი
პირ-

ველად მუცელისა გასახსნელითა, მუცელსა გარბილება უნდა და
მუმრუ-

ღანითა ნიადაგ კისერი დაუზილე და აზუზი. და საბრი და აყაყია ერთ-
გან დანაყე და თვალზედა და კისერზედა და თვალისა საფეთქელ-
ზედა ტლედ უნდა შეცხება და მაგრად უნდა მოკრვა, ასრე რომე
აზიდვით ქონდეს, და გუერდზედა არ უნდა წოლა, პირდაღმა უნდა
წოლა და საჭმელსა გრილთაგან უნდა შეწყობა და ლაბებითა ღარ-
ღარა უნდა ქნას და ნედლი ხილი ჭამოს.

თ ვ ა ლ შ ი გ ა თ უ მ უ ნ ი შ ე ე ქ ნ ა ს, ესე წამალი ქენ, აიღე
20 ანძოუთი თეთრი, ჭურჭელშიგა ჩაყარე ზედა ვირისა რძე დაასხი ას-
რე რომე დაჰვაროს და მხესა დადგი რომე გახმეს და მერმე და-
ნაყე წურილად და აბრეშუმითა გაცერ, თულაშიგა გამოივლოს და
უზუელოს.

თ ვ ა ლ შ ი გ ა თ უ წ ი ლ ი ე ს ხ ა ს, პირველად დედაკაცის რძე თუალშიგა პატრუკითა ჩაუდევ და წილები მას ჭამას დაუწყებს, მერმე ლურჯისა მატყლისა პატრუკი შექენ და თეთრსა ნავთშიგა ცოტად ამოავლე და თუალშიგა ჩაუდევ. პურისა ჭამისა ხანსა გაუშუი ამოილე და ცეცხლშიგა ჩადევ, ნახე ხმა თუ გამოვა, სამჯერ ქენ ისი პატრუკი და ამასთანა ლურჯი პატრუკი დასდევ მჭურისა და მაგრად 30 კუერცხი შეწვი თბილ თბილი ზედა დასდევ რომე არ დაწუას, მერმე ისი მჩვარიცა დაბერტყე, თუ ხმა გამოვიდეს, სამჯერ ქენ, ერგოს.

თ ვ ა ლ შ ი გ ა თ უ რ ა მ ე ჩ ა უ ვ არ დ ე ს, დიაცისა რძე რომე ქალი სწოვდეს, თეთრი საკმელი მითა გაადგინონ და თვალშიგა ჩაუშვან, გამრთელდების. თუ ყმაწუილისა ფსელი სპილენძისა ჭურჭელშიგა შეაგბონ ასე რომე მეოთხედი წავიდეს და სამი წილი დარჩეს, თვალშიგა გამოივლოს, თვალისა თეთრსა გარდაიღებს. თვალისა რო-

1 აშიაზე სწერია „ირიცუკი გუირილასა ქუიან ¹

მე ეწუოდეს და სტკიოდეს ქინძისა წყლითა და დედაკაცისა რძითა თუალშიგა ჩაიშვებდეს, დაჟამებს.

ს ხ უ ა ი, თ ვ ა ლ შ ი გ ა რ ო მ ე ტ ი ლ ი დ ა ი ბ ა დ ო ს, მისი ნიშანი, შავი და წითელი ქუქუთოსაშიგა იქნების, ტილსა გვანდეს, მაგრამ არ არის ტილი, სენი არის, მისი წამალი: უწინა ისი ტილი გამოიყუანე და მერმე მარილწყლითა მობანე და მასუკანით რაცა ტილისა წამალი არის ის უყავი და უშუელის ღ~თითა.

თ ვ ა ლ შ ი გ ა რ ო მ ე შ ა ვ ი წ ყ ა ლ ი ჩ ა მ ო ვ ი დ ე ს, მისი ნიშანი ესე არის, რომე თვალთა წინა ფერად ფერადსა რასმე ნახ- 10 ვიდეს ნიშანსა წინწკალსავითა, ანუ შავისა ბეწუისა მაგვარსა ¹, თვალთა წინა რომე უვლიდეს ანუ აბლაბუდევითა, ანუ შავი საცერივითა თვალშიგა რომე ეჩუენებოდეს. ესე ორისა საქმისაგან წაკვიდების, ერთი სასისა [სიხმელისაგან] და ერთი სტომაქისა აშლილობისაგან. მისი ნიშანი თუ სტომაქისა აშლილობისაგან იყოს ესე ნიშანი [არის რომე], ხან გამოჩნდეს და ხან არა, და თუ სასისა სიხმელისაგან იყოს, მუდამად, გაუწყუეტლად იყოს ესე ნიშანი. რა სნეულსა გუერ- 20 ცა დაუჯდე გასინჯე თვალისა გარეშემო წურილსა მარგალიტსავითა გამოჩნდეს, ისი სტომაქისა აშლილობისაგან იყოს, მას აბი შა-ბიარი ააღებინე. თუ სასისაგან იყოს მასცა აბი შაბიარი აღებინე 2.

იცოდით რომე ესე შავი წყალი შუიდ ფერი იქნების, ამისგან ერთის მეტსა არა ეშველებს, თუ ოსტატი დასტაქარი იყოს მემილე გაუხსნას თუარა ხელსა ნუ მიყოფს და წამლებითა ეცადოს. მისი წამალი შაფი თუთია. აილე: თუთია, სურმა, კლიმა ოქროსა, ცალკე ცალკე დანაყე და წუიძისა წყლითა გარეცხე და გაახმე, აილე ამი- 30 საგან სამ სამი დრამი, მერმე აილე მარყაშისა გარცხილი ოთხი დრამი, შაფი შექენ და თვალშიგა ამოავლე მუდამად, მასუკანით წითელი ზარნიხი დანაყე რბილად, მისი წონა გილიერმანი გაურივე და მილითა თვალშიგა ამოავლებდი.

30 თ ვ ა ლ ი ს ა გ ა თ ე თ რ ე ბ ი ს ა ესე ნახუნასა მიგავს, თუ ახლად შექნილი იყოს, აილე ბაბუნაჯი და ქატო წყაშიგა მოადლდე,

რომე ორთქლი გამოვიდეს და ზედა, თავი დაიჭიროს და ზედა დაი-
ბუროს, რომე ორთქლი შიგა შევიდეს. აიღე: მყინვარი შაქარი და
ქაფდარა და ბორა ყუელა დანაყე რბილად და გაცარ და მერმე
ცოტა კამისა წუენი გამოწურე, კამისა წუენშიგა დაასოვლე და

¹ სწერია „მაგიერსა“.

² აშიაზე სწერია, „აფთალხაზარი-ჩათლაყუთა“.

თვალშიგა ამოავლე. მერცხლისა სკინტლი და მყინვარი შაქარი და-
ნაყე და მილითა თვალშიგა ამოავლე.

თუ თვალი შიგა სითეთრე შესლოდეს ოსტატა ესე წამ-
ლები მოიგონეს, მისი ნიშანი ესე, როგორცა მზე გამოვიდეს თვა-
ლი ვერ აღოს, რა აღოს, ცრემლითა აევსოს თვალი. მას ასრე უნ-
და: რომე ლურჯი მწვარი ჩამოიკიდოს და სუბუჭი გასახსნელი ააღე-
ბინოს. და რომე ორთქლისა სწერია ისევე წესი უყონ. აიღე: სურმა
ნავთის მური გაურივე და თვალშიგა ამოავლე, თუ ამან არ უშვე-
ლოს ეს შაფი შექნას, შ ა ფ ი ზ ა რ მ ი შექნას თევზისა ნავდელისა-
10 გან. აიღე კუერცხისა ქერქი დასწუი, რომე გათეთრდეს მაშინ და-
ნაყე, ეოთი დანგი ზაფრანა, ნახევარ დანგი ჟანგარა, და ყარანფული-
და შირი ამლაჯი თუითოსაგან თუითო დანგი ყუელა დანაყე და გა-
ცარ ორი ამისი წონა თევზისა ნავდელი ყუელა ერთად გაურივე,
ორი წვეთი წუიმისა წყალი გაურივე და შაფები შექენ და გაახმე
და იხმარე იმავე წესითა.

თეთრისა შესულისა წამალი აიღე: უმარული გარც-
ხილი ხუთი დრამი, ანზარუთი ერთი მუტყალი, ქათირა თეთრი, გა-
ცრილი ფქული თუითოსაგან ნახევარ მუტყალი, აფიონი ნახევარ
მუტყალი, ქალისა რძითა გააღნე და ისი წამლები შიგა გაურივე
20 და შაფები შექენ, ხურმისა კურკივითა, ჩრდილში გაახმე, რძითა გა-
ლესე და თუალშიგა ამოივლე და მუდამად გასახსნელსა წამალსა
ააღებინებდი ალილას მათბუხითა. ანუ სხუითა წამლებითა, რომე
თავი გამოწმიდოს გრილსა ტლევებსა თავსა ზედა შუბლზედა შესც-
ხებდი. თუ ამით არ ეშველოს, შაფი მამისა გამოავლონ თვალშიგა.
ძ ა ფ ი მ ა მ ი ს წ ა მ ა ლ ი, აიღე: შაფი მამისა და საბრის კუტრი,
ზაფრანა, აზუზმაქი, წითელი ვარდი, წითელი სანდალი, ფულფული
თუითოსაგან ნახევარ დრამი დანაყე ცალკე ცალკე ვალითა გაცარ,
ცოტა ქინძისა წუენი გაურივე და მითა მოზილე და შაფები შექენ
ხურმისა გურკისა მაგვარი ¹ ჩრდილსა გაახმე და ქალისა დედისა

30 რძითა გალესე და თვალშიგა ჩაუშვი.

ნუ ში ისა გული გალესე ბაზრაცატუნითა ლაბითა და თუალშიგა
გამოავლე.

სხუაი წამალი თეთრისა; აიღე: ჟანგარა და ოქროსა წიდა
გარცხილი და ღორის ნავდელი და ცხურისა ნავდელი, თუითოსა-
გან ერთი დრამი და ზღუისა ქაფი ყუელა ერთმანერთსა გაურივე და
თუალშიგა ამოავლე და უშუელის ღ~თითა.

¹ სწერია „მაგიერი“.

ს ხ ვ ა წამალი თეთრისა რომე თვალშიგა შესრულ იყოს, აიღე: იაქანგარა გარეცხილი დრამი სამი, ოქროს წიდა ორი დრამი, სამცი არაბი ორი დრამი, თეთრი ვაშაყი ორი დრამი, უმარული ორი დრამი, ესე ყუელა დანაყე, გაცერ და სადაფისა წვენითა დაზილე და შაფები შექენ და ჩრდილში გაახმე და რა მოგინდეს გალესე და თვალშიგა ამოავლებდი და უშუელის ღთითა.

ს ხ ვ ა წამალი რომე მტვერი ჩაუვარდეს თვალშიგა, გაუთეთრდეს. თვალის წამალი ესე ქენ, სხვა ამას ზემოთ ამისთანა წამალი არა სწერია. თუ ძველი იყოს, თუ ახალი თვალისა თეთრი, აიღე: წური-
10 ლისა ყმარწვილებისა ფსელი, ჭურჭელშიგან ჩაასხი, მანამდი ადულე რომე გასქელდეს, მერმე აიღე და გაახმე, ცოტა მუშვი გაურივე და წმინდათ დანაყე საოქრომჭედლოს ქოთანში. ჩაყარე და ამავე ჭურ-
ჭელსა შიგან ზაფრანის წყლითა გაურივე და ცეცხლზედა დადგი რომე დადნეს და ერთი ჭოთად უშვიქნას, მერმე აიღე და სალსა ქვა-
ზედა გალესე და თვალშიგა ამოავლე უშველის ბრძანებითა ღთისა-
თა. ბრძენთა აქიმთა ამა წამლისათვის უპოვნელი თვალი დაურქმევია

ს ხ ვ ა თვალისა წამლები, შაფები და ზარურები. ნიშანი რო-
მელსა ჰქვიან შ ა ფ ი ა ლ ა. თვალისა წვასა და ქავილსა უშველის, და
ყოველსა თვალის ტკივილსა უშველის. წამალი აიღე: შადნაჯი ინდი
20 ორი დრამი და ნახევარი და სამცი არაბი ორი დრამი და ნახევარი, ნიშასტაგი და უმარული თვითოსაგან ოთხი დანგი და ნახევარი, ანგარუთი ერთი დრამი, ოქროს წიდა ნახევარ დრამი, ზაფრანი ნა-
ხევარ დრამი, ყუელა დანაყე და აბრეშუმისა საცრითა გაცერ და წყლის ჭაკუნტლისა წყლითა შეზილე და შაფები შექენ და ჩრდილ-
ში გაახმე, რა მოგინდეს ქალის რძით გალესე და თვალშიგან ამო-
ვლე და უშველოს. თუ ამით არ უშველოს ყიფალი გაუხსენ და მათ-
ბუხი აალებინე რომე თავის ტკივილისათვის სწერია.

შ ა ფ ი მ ა რ ა რ ა თ ი ს ა, არგებს თვალის სიბზნელესა და თვალ-
სა სინათლესა უმატებს და ცრემლის დენასა უკლებს და თვალისა
30 სიბზნელე გარდაფეროს და შავისა წყლისა ჩამოსულასა უშველის, ერ-
თობ კარგი წამალი არის. აიღე თუთია დანაყილი და გაცრილი და გამზმარი ათი დრამი, მოილე მარზანგოში გამოწურე, მერმე მი-
სი წვენი ერთსა ღამესა დადგი რომე გამოწმდეს, მერმე ისი წმინდა
წვენი თუთიასა შიგა გაურივე და ერთსა ღამესა დაეხსენ, დილამ-
დინ იყოს, მერმე აიღე ზანჯაფილი და პილპილი, მამრონი ჩინი თვი-
თო დრამი ნიშადური ნახევარ დრამი, ყუელა რბილად დანაყე და
გაცერ და ყველა თუთიასა შიგან გაურივე მერმე მოილე ნედლისა
კამის წვენი და სამსა ჟამსა დადგი, რომე დაწმდეს, მერმე ისი და-

წმენდილი წვენი ამა წამლებსა შიგან გაურივე და დაზილე და შაფე-
ბი შექენ გრძელ გრძელი კამის წვენითა გალესე და თვალში ამოავ-
ლებდი. მილი ან ოქროსა, ან ვერცხლისა, ან ტყვიისა უნდა.

ნ ი შ ა ნ ი ს ა ო ლ ა ვ ი ს ა გარდასწმენდს თეთრსა შექნილსა
თვალსა შიგა ნებითა ღთისათა, აიღე: ძვალი ღორისა ნიკაპისა და
თხის ქონსა შიგა ჩადევ და ფურნესა შიგან ჩადგი ან თორნესა ზედა,
ცეცხლი ჩაუგზენ რომე დაიწვას და გათეთრდეს ვითა კირი, აიღე

მისგან ხუთისა დრამისა წონა და მისივე ზომი შაქარი ტაბარზადი დაგალნე და მერმე ჩაურთნე თანა ორისა დრამისა წონი ლდაბისა 10 კურკლი და დანგისა წონა მუშკი თუფუთი, და კულა [გა] გალო და ჭურ-

ჭელსა ჩადევ და იოლვიდეს მითა და იწთობდეს მისგანსა თვალთა შიგა, სარგებლისა არის თუ ღმერთსა უნდეს.

ნ ი შ ა ნ ი ს ა ო ლ ა ვ ი ს ა გარდასწმენდს თვალსა ბრძანებითა ღთისათა და ყუავილისაგან რომე გასთეთრებოდეს მასცა უშველის. აიღე: თუთია ინდოური და სურმა ასპაანი, კლიმა¹ ვერცხლისა ამათგან წონა ოროლი დრამი და კაცისა თხემისა ძვალი ერთისა დრამისა წონი და ნახევარისა და ზღვის პერული, და ალილა ქაბული, ნიშადური, დარიფილფილი მერცხლის სკინტლი ამათგან წონა თვითოსა დრამი[სა] შეკრიბენ ესე წამალნი დანაყე და გაცერ შარითა, 20 ჩაყარე კულავე ავანთა, დანაყო და ურიო მრავალჯერ, მერმე ჩაურთო ერთი დანგი მუშკი კარგი, და კულა დანაყო დაურიო, რომე მტვერად შეიქნას, რომე ჩაყარო ჭურჭელსა და შეინახო, ოდეს გინდოდეს იოლვიდე მილითა, ხანდახან წყლითა გაურევდე, ჩაუწვეთებდე კარგი არის და გამოცდილი, ბრძანებითა ღთისათა.

მ წ ვ ა ნ ე შ ა ფ ი. აიღე: ყალყატარი ერთი მიტყალი, ჯანგარა ნახევარ მიტყალი, ბორა არმან, ქაფი დარა, ვაშაყი, ვერცხლის წიდა, ნიშადური, ოროლი დრამი ყუელა დანაყე როგორაცა მტვერი და სადაფისა წვენითა შაფები შექენ და ჩრდილში გაახმე და როდეს გინდოდეს ძრმითა გალესე და მილითა თვალშიგა ამოივლე, ამი- 30 სი სიმწვავე ძნელი არის მაგრა ცრემლსა და სიბნელესა, სითეთრესა სრულიად გასწმენდს.

თ ე ვ ზ ი ს ა ნ ა ღ ვ ე ლ ი ს ა შ ა ფ ი: ქათმის კვერცხისა შიგნითი ტყავი ცეცხლზედა დაწვი რომე გათეთრდეს, მერმე დანაყე და აიღე ორი მიტყალი ყარანფული და აქლემის რძე თვითო დრამი და რბილათ დანაყე და ყულას წამლის ოდენი თევზის ნავლეი და ამა წამლებსა შიგა გაურივე და შაფები შექენ და წვიმისა წყლითა გალესე და თვალშიგა ამოავლე, ეს მისთვის არის, რომე თვალი გა-

¹ სწერია „ავლიკიმი“.

თეთრებული იყოს და მზეშიგან ვერა ხედვიდეს, და თუ გაიხედოს თვალი ცრემლითა ავესოს.

თ უ ვ ი ს მ ე თ ვ ა ლ თ ა ე ბ ნ ე ლ ე ბ ო დ ე ს ეს გაუნათლებს, აიღე: ალილა და გარე ტყავი დანითა შეფხიკე და მერმე გული გამოართვი, ერთი მიტყალი ჯანგარა და სურმა გარცხილი და დამწვარი აბრეშუმი თვითო მიტყალი, ყუელა დანაყე და გაცარ, მტვერივითა შექენ და მილსა წვიმისა: წყლითა დაასოვლებდი და თვალშიგა გამოავლებდი.

ს ხ ვ ა ზ ა რ უ რ ა მისი რომე თვალთა ებნელებოდეს, თვალი 10 გაუნათლოს და სინათლე მოუმატოს და ცრემლის დენა უკლოს და უკუაყენოს. აიღე: ტკბილისა ბროწეულისა წვენი და ჭიქასა შიგან ჩაასხი და აიღე მჟავისა ბროწეულისა წვენი და სხვასა ჭიქასა შიგან ჩაასხი მისოდენი და ჭიქის თავი კარგად დაამაგროს, მერმე სამსა

თვესა ყოველთა დღეთა მზესა დადგი და როგორცა თვე გათავდეს დასწურევი და თხლეს გაასხემდი რა სამი თვე გამოვიდეს, თვითოსა ბაღდადურისა ლიტრისა თავსა თვითოსა დრამსა ნიშადურსა, თვითო დრამი პილპილი [და თვითო დრამი დარიფილფილი] ყუელა წურილად დანაყე და ორივე წუენი ამა წამლებსა შიგა გაურივე და მზესა ქუეშე კიდევე დადგი, რომე გამალიანდეს, მერმე რაი მოგინ-
20 დეს თვითოსა წუეთს თუალშიგა ჩაუშუებდი.

ნიშანი რომე მარათი შაფიქუიან. არგებს შავსა წყალსა რომე თუალშიგა ჩამოსულ იყოს, თუალსა სინათლესაცა მოუმატებს, ცრემლი რომე სდიოდეს, თუალშიგა თეთრი იყოს მას-
ცა უშველის. აიღე: წეროსა ნავლელი, ქორისა ნავლელი, კურდ-
ლისა ნავლელი, აფთრისა ნავლელი, ბატისა ნავლელი, თევზისა
ნავლელი, ტრედის ხუნდისა სისხლისა, თანა ესე ნავლლები ტრე-
დის ხუნდისა სისხლითა გარეცხე, ნავლლებისა სწორი კამასა წყა-
ლი შიგა გაურივეთ, სპილენძისა ჭურჭელსა შიგა ჩაასხი, თავსა მო-
30 ჰკარ ქათანისა მჩურითა, ორმოცსა დღესა მზესა დადგი, რა ხმებო-
დეს კამისა წვენსა დაასხემდი ზედა. მერმე გამოიღე, აწონე, რამ-
თონი დარჩომილიყოს ათი დრამი იყოს თუ ხუთი, თუ ათი დრამი
იყოს ერთი დრამი ფარფიონი, ერთი დრამი შამიანდალი, ნიშადური,
სოლენი თვითოსაგან ნახევარ დრამი ესე ყუელა დანაყე. გაცარ თუ
ათი იყოს ეს ყუელა უყოს და თუ ხუთი იყოს, ამისი ნახევარი და ამისი
შაფები შექენ ხურმისა გურკისა მაგვარი ¹, ჩრდილსა გაახმე და კა-
მასა წუენითა თუალშიგა გამოავლე რაი ამა წამალსა იქმოდეს დედა-

¹ სწერია „მაგიარი“.

კაცთანა ნუ დაწუების, ნუცა კოტომსა მოიკიდებს და ნუცა ხელ-
სა გაიხსნის,

ნიშანი რაზანგო [სი] რომე სინათლე მოუმატოს და სი-
ზნელესა და ცრემლსა უშუელოს, და შავსა წყალსა უშუელოს, ესე
შაფი მარათისა მაგიარი არის, მისი წამალი: აიღე თუთია გარ-
ცხილი და დანაყილი და გამხმარი ათი დრამი, მერმე დაიჭირე მარ-
ზანგუმისა წყალი და ერთსა ღამესა დადგი რომე დაწმდეს, მერმე
თუთიაშიგა გაურივე შუა დღემდის, მერმე დაიჭირე ზანჯავილი,
ფილფილი, დარიფილფილი, მამირანი ამისგან ნახევარი დრამი, ყუ-
10 ელა დანაყე და კამისა წუენშიგა გაურივე, შაფები შექენ და კამასა
წყალშიგა გაურივე როგორაცა სხუა შაფი აგრე ამოავლე.

ყოვლისა ფერიის თვალისა ტკივილისა, პირვე-
ლად გასახსწელი წამალი ააღებინე თვალისა ტკივილისა, მერმე ხელი
გაუხსენ, ყიფალი, მერმე ესე წამალი უყავ, აიღე ვარდისა წყალი და
ქალთა რძე სამი მუტყალი, ქერქგამპურალი ქერი ორი მუტყალი და
ორი მუტყალი ბაზრაყატუნი და კომშისა გული ესე ყუელა დედათა
რძითა და ტირიფისა არაყშიგა გაურივე და ჭიქაშიგა ჩა[ა]სხი და ცე-
ცხლისა პირსა დადგი რომე გაიზარდოს, მერმე გაწურე და იმისი
ლაზა დაიჭირე და გააცივე და თუალშიგა ჩაუწთევე, ერთობ მარგე
20 არის.

თუ ვისმე თვალთა ებნელე ბოდე ს მისი წამალი ის

არის რომე, ყოველთა დღეთა უმცროსსა ატრიფალსა ჭამდეს უზმა და საჭმელი ზირაბაჯი ჭამოს, თუხმაქანისა წუენი, და ყოველთა ღამეთა კამისა წუენსას თვალშიგა ჩაუშუებდეს და ყოველთა ღამეთა იისა ზეთსა, ტერფზედა შეიცხებდი. მერმე ესე დინარისა შაფი ახმარე. წამალი მისი: აიღე ჯანგარა ერთი მუტყალი დამწუარი არჯასპი ერთი მუტყალი, ბორა, წითელი ზარნიხი, ქაფადრა თუითო დრამი, ესე წამლები დანაყე და ცალკე ცალკე გარეცხე, და აგრე აწონე მერმე ვაშაყისა და სადაფისა წუენითა დაალბე და გაადნევ რომე 30 გასწორდეს, მერმე ესე წამლები შიგა გაურივე და დაზილე და შაფები შექენ და თვალშიგა გამოავლებდი, მარგე არის ნებითა ლთისათა.

ნი შ ა ნ ი კ ა ც მ ა ნ რ ო მ ე კ ა ც ს ა თ ვ ა ლ ი და ს წ ო ს და სრულად ვერა წაუხდინოს, წამალი მისი რომე თვალისა დამწურობასა და მოჭმულობასა უშველის და სინათლესა ძალსა მისცემს. აიღე სურმა, აყაყია, ექუს ექუსი დრამი თეთრი პილპილი ორი დრამი, სუმბული სამი დრამი, აფიონი, ზაფრანი თუითო დრამი, ისრიმისა სამი დრამი, სამყი ექუსი დრამი, ყუელა დანაყე და სამყი წყლითა დაადნევ და გაადგინე და სხუა წამლები გაურივე, შეზილე და შაფები

218

შექენ და ისრიმისა წუენითა და ანუ წყლითა გალესე და მილითა თვალშიგა ამოავლე.

ამ ა ვ ე თვალისა დამწრობისათუის მარყაშისა რომე დანაყო და გალესო და თვალშიგა გამოავლო, ერთობ კარგია.

ს ხ უ ა ი წ ა მ ა ლ ი, რომე ნათელი მოუმატოს და ხედვასა უშუელოს, ცრემლსა და ქავილსა უშუელოს. აიღე მწენე თუთია და მრაზი თუთია თუითოსაგან ხუთი დრამი, სადაჯი ინდი გარცხილი ორი დრამი, დარიპილპილი ოთხი დრამი, ზანჯაფილი ნახევარ დრამი, ყუელა დანაყე და გაცარ ზედა რაზიანას წყალი დაასხი, 10 ასთონიერთი რომე ეყოს და ჭურჭელშიგა შეინახე და გაახმე და ამა ნიშნითა, შვიდჯერ გაურივე რაზიანას წყლითა და ანუ სამჯერ და რა გათავდეს ასრე დანაყე როგორაცა სურმა, ჭიქაშიგა ჩაყარე და რა მოგინდეს თვალშიგა ამოივლე. თუ თვალი ერთობ ცხელი-იყოს ანუ სისხლითა სავსე ნუ უზამ ამა წამალსა, ესე მხურვალია სადაჯი ინდი თუთიისა წესითა გარეცხეთ.

3. კარი ყოვლისაფერისა ყურისა ტკივილისა

აქიმთა თქუეს ვითა ყურსა დიდი შენახუა უნდაო, მრავლისა ფერისაგან რომე ყურშიგა არა ჩაუვარდეს რა, ან არა შეუვიდეს რა, შენახვა უნდა დიდისა ხმისაგან, ქუხილისაგან, ან ცივი ქარი 20 ჩაუვიდეს, ან ყურისა გამოკაზმაშიგა, ან ცივისა წყლისაგან, ანუ კენჭი არა ჩაუვარდეს, ეს ყუელა აწყენს.

კუირაშიგან ერთხელ წმინდითა ჩხირითა გამოკაზმა უნდა მუდმად მოლურჯოთა მატყლითა. მწარისა ნუშისა ზეთსა ყურშიგა ჩაუშუებდეს და კოტოშსა მოიკიდებდეს ბეჭთა ზედა, და ყიფალსა გაიხსნიდეს, თუ გასახსნელი მოუნდეს აბი შაბიერი ააღებინეთ.

ა ბ უ ლ მ ა თ ი ნ ი ესე არის, აიღე: იარაჯფეყრა ათი დრამი, შამიანდალი წურილი, ყანტარიონი, კიტრანას წუენი ამათგანი ხუთი დრამი, ფარფიონი ორი დრამი და ნახევარი, პილპილი, ჯარა-ოტი, საქმინაჯი, ჯავაშირი, მდოგუი, ამათგანი თუითო დრამი,

30 სამეცხვო ნიახურისა წყლითა ან ღვინითა დააღებევ და გაადგინე და სხუა წამლები დანაყე გაცერ და მითა შეზილე და აბები შექენ.

მისი შარბათი სამი ღოამი.

ყ უ რ ს ა რ ო მ ე მ ძ ი მ ე დ ე ს მ ო დ ე ს, ანუ სტკიოდეს ქარი-საგან ანუ ბალდმისაგან, ანუ დიდისა ხმისაგან, მისი წამალი მარ-ზანგუმი¹ და რიმინაი თურქი ავსანთინი, ფუდინა, სათარი ესე მო-ადულე წყლითა, რა მოდულდეს ყური ორთქლზედა დააჭირვინე და

¹ აშიაზე სწერია „მარზანამუმი“, მარზანგუმი—ქონდარია, ჯავაშარი. ავსანთინი—კალია, რამან—რიმინა—რკინის ყუმში ლაჟვარდს რომ გალესავენ“.

ზედა დაბურე და გასახსნელიცა ააღებინე და ყოყელთა ღამეთა ბა-ტარა ზუშისა ზეთი მატყლითა ყურშიგა ჩაუდევ. თუ ისი არა იყოს, ფარფიონი, ჯუნდი ბედასტარი, მისითა ზეთითა მოადულე და მა-ტყლი დაასოვლე და ყურშიგა ჩაუდევ.

თ უ ამითა არა ეშუელოს ჯუნდი ბედასტარი, შამიანდალი, ბორა სამი დრამი ზარავანდი გრძელი, ავსანთინისა წყალი ამისგან ნახევარ დრამი, ფარფიონი და ყუსტი დანგნახევარი ესე ყუელა დანაყე რბილად და ზროხისა ნავლეღშიგა გაურივე და შაფები შე-ქენ ჩრდილსა გაახმე, ნუშისა ზეთითა გალესე და ყურშიგა ჩაუშუი.

10 ნ ი შ ა ნ ი რომე ყურშიგა ქარი ჩავარდნილიყოს, მისი ნიშანი ესე არის რომე კაცი თავისა ფერზედა [იყოს], მუდმად ყურშიგა ხმა აყოს, ქარი რომე ბუბუნებდეს ანუ წყლისა ხმავითა.

მ ი ს ი წ ა მ ა ლ ი: მარზანგუმისა წყალი ბამბითა შიგა ჩააწუ-ეთე. კამისა ხე ხშელი და სხულილი გამოარჩივე და ცოტა ბამბა დაახუ-ივე წვერზედა და ზეთშიგა დაასოვლე, მერმე ანთე¹ სანთელივითა და ერთი წვერი ყურშიგა ჩაუდევ, სანთელივითა დაიწყებს წვასა და ქარსა გამოიღებს. რა ისი ხე დაიწვას, ნახე თუ გამოსული იყოს კარგია, თუ არა მეორედ კიდევ უყავ.

ყ უ რ ი რ ო მ ე ს ტ კ ი ო დ ე ს ს ი ს ხ ლ ი ს ა გ ა ნ, მისი ნიშანი, 20 ყური წითლად იყოს და ცხელი, მას გასახსნელი მიეც და ყიფალიცა გაუხსენ. ვარდისა ზეთი და ძმარი გაურივე და თავსა და ყურსა შესცხე. თუ ამითა არა ეშუელოს ესე წამალი უყავ აიღე: ყუბრთელი ალილა და ქაბული ალილა თუითოსაგან ხუთხუთი დრამი, ორით ლიტრითა წყლითა მოადულე მანამდის რომე სამოცი მუტყალი და-რჩეს, მაშინ აიღე ოცი დრამი თარანგუბინი და გაურივე ერთი დრამი საბრი, ერთი დანგი საყმუნია დანაყე და ერთმანერთსა გაუ-რივე და შეასუი.

თ უ ს ი გ რ ი ლ ი ს ა გ ვ ა ნ იყოს, მისი ნიშანი ესე არის რომე ყურსა მძიმედ ესმოდეს და ფერზედა თეთრი იყოს და ხელი რომე 30 დასდვა ცივი იყოს, მას აზი ყუყია უნდა გასახსნელი და სადაფი ზიბყისა ზეთითა მოადულე და ყურშიგა ჩაუშუი.

ს ხ უ ა ი წამალი: ხმელი ია; ხატმი ბაბუნაჯი მოადულე წყლი-თა, ცოტა რაი მოადულე გარდმოდგი და ცოტა ვარდისა ზეთი შიგა გაურივე და ყურისა შაყისა ზედა შესცხე.

ს ხ უ ა ი: შიმშატი, პიტნა ორივე ერთად აადულე და მისი წუენი თბილთბილი ყურშიგა და შაკიკშიგა ჩაუშუი. გამოიღოს რაცა

ქარი იყოს. და ბატარა შავი ბოლოკი დაჭერ წურილად და თაფლითა მოადუღე, მერმე მავლი უსულითა მოადუღე კარგა, მანამდის რომე წყალი დაშრეს და თაფლი და ბოლოკი დარჩეს, მერმე ისი მატყლზედა დასცხე და ყურშიგ ჩაუშუას. თუ ამითა არა უშუელოს, დაიჭირე ყაისუმი, მარზანგუში, ზიბყისა ზეთი, მოადუღე, მერმე ჯუნდი ბედასტარი შიგა გაურივე და მუდამ ყურშიგა ჩაუშვებდი.

კ ა ც ი რ ო მ ე დ ა ყ რ უ ვ დ ე ს და მძიმედ ესმოდეს ისი სიგრილისაგან დაემართების, და თუ ყურნი შემოსწიოდენ ისი სიმხურვა-
10 ლისაგან იქნების, თუ ერთობ არა სტკიოდეს ადვილად ეწამლების. თუ ღრმად სტკიოდეს უფრო ძალიანი წამალი უნდა. იმას ასრე უნდა, პირველად გასახსნელი წამალი ააღებინო აბი შაბიერი, მერმე მწარისა ნუშისა ზეთი და ცოტა ჯუნდი ბედასტარი, ბაბუნაჯისა ზეთი და სადაფისა ზეთი და შამიანდალი ¹. ესე ყუელაი ერთმანერთსა შიგა გაურიოს და ნელთბილსა ცოტა ცოტასა, ყურშიგან ჩაუშვებდეს. თუ ერთობ სტკიოდეს და მძიმედ არის ² და თხისა ნავლელითა ჩაადნონ და ჯუნდი ბედასტარი სადაფისა წყლითა ყურშიგა ჩაუწითონ და მორიელისა ქონი ყურში ჩაუშუან, სიყრუვესა გახსნის.

ნ ი შ ა ნ ი რ ო მ ე ყ უ რ შ ი გ ა რ ა მ ე გ ა მ ო უ ვ ი დ ე ს. მჯდო-
20 მი შიგნით არის თუ გარეთ ამა ნიშნითა შეიტყობის, თუ გარეთ გამოვიდოდეს, მისი ნიშანი ესე არის, ტკივილსა დაუწყებს და ცხლად იქნების, კაცი მძიმედ გაიგონებს და ერთობ წვასა დაუწყებს, მ ი ს ი წ ა მ ა ლ ი ეს არის; აიღე: შირხიშტი, თაბრი ჰინდი, ხიარშამბარის გული და შეასუი ესე თხუთმეტი დრამი, ნახევარ დრამი საყმუნია გაურივე. ყიფალიცა გაუხსენ. თოხმაქანისა ლოაბი ² კუერცხის თეთრსა გაურივე და ყურშიგა ჩაუშუი.

თ უ გ ა მ ა მ ა ვ ა ლ ი შ ი გ ნ ი თ ი ყ ო ს, მისი ნიშანი ესე არის, რომე ნამეტნავად სტკიოდეს და რეგუნად უბნობდეს თავქედიანივითა. ესე სენი საშიშარი არის. ამასაცა უშველის გასახსნელი შარბა-
30 თები შეასვი და ყიფალიცა გაუხსენ. ბაზრაყატუნისა ლოაბი კვერცხისა თეთრი, ერთმანერთშიგა გაურივე და ფარფიონი ორის ქერის წონა ქალის რძით გალესე და ამა წამალშიგან გაურივე და მუდამ ყურშიგან ჩაიშვებდეს.

ყ უ რ შ ი გ ა ნ რ ო მ ე წ ყ ლ უ ლ ი დ ა ა ნ უ მ ღ ი ე რ ი ი ყ ო ს, იცოდით რომე ორისაგან იქნების ერთი ახალი, ერთი ძველი, რო-

¹ შამიანდალის ბადალი — მარიამ საკმელა,

² სწერია „ფარიზ“.

³ სწერია „ლები“.

მელი ახალი იყოს მისი ნიშანი ეს არის, ბალდამი და სისხლი სდიოდეს, მისი წამალი ცოტა მურდასანგი ძრძითა გალესე და მატყლისა პატრუკი შექენ და ამაშიგა გაურივე და ყურშიგა შეუდევე. და რომელი ძველია მისი ნიშანი ეს არის, ბაყლი გამოუვიდეს მყრალი ყუ-

რისაგან. მისი. წამალი: აიღე რკინის წიდა გაახურვე სამჯერ სამსა დღესა ისი ძმრითა გალესოს და მისი ნალესი პატრუკი შექენ ბანბი-სა და მით მიეც ყურშიგა, და საჭმელი რაცა მძიმე იყოს, იფარეზოს.

ნ ი შ ა ნ ი ნ ა ს ო რ ი ს ა მველსა ყურის ტკივილსა ჰქვიან, რო-
დესაცა წყალი გამოვიდეს ყურისაგან თეთრი იყოს და მყრალი. მ ი -
10 ს ი წ ა მ ა ლ ი: აიღე ჟანგარი ერთი დრამი და ბზისა ხე, ილღუნია დანაყილი და გამხმარი ორი დრამი, თაფლშიგან გაურივე და პა-
ტროკითა მიეც.

ს ხ ვ ა ნ ი შ ა ნ ი ყ უ რ შ ი გ ა ნ რ ო მ ე მ ღ ი ე რ ი გ ა მ ო -
ე ს ხ ა ს, რაცა სქელი საჭმელი იყოს იფარეზოს და რასაცა სჭამდეს, გემრიელსა და ცოტასა სჭამდეს, და ნიადაგ ლარღარა ქნას, და ცხვირსა დასცემდეს, რომე ისი სენი ცხვირით დაღმა წამოვიდეს. და გასახსნელი წამალი აიღოს და ხელიცა გაიხსნას. ფურცელი მურტისა და წითელი ვარდი ორივე მოადუღე და ისი წყალი თაფლ-
შიგა გაურივე და იმაშიგა ისპანახი დაასოვლე და ყურშიგა გამო-
20 ავლებდი, გამოსწმენდს.

თ უ მ ღ ი ე რ ი ღ რ მ ა დ იყოს და არა ჩნდეს ისი წყალი უწთონ, თუ ახლად გამოსხმოდეს შაბიამანი ¹ რკინისა კოვზსა ში-
გან გაახმონ და მერმე დანაყონ და მისი სწორი წმინდა მური შიგა გაურიონ და ისი თაფლითა გალესილი ყურსა უწთონ, მური და საბრი თაფლითა ანუ ძმრითა გაურიონ და უწთონ, და ბასალიყო-
ნისა მალამა და ფერუმარილოსა მალამაცა ერგების, ყურსა უწთონ. თუ ისი მღიერი ერთობ სტკიოდეს საბრი, მური და ზაფრანი ვარ-
დისა ზეთითა უწთო. თუ ერთობ სტკიოდეს და ღონე არა ქონდეს, ცოტა აფიონი გაურიონ. თუ ისი მღიერი მყრალი და გონჯი იყოს,
30 ყათრანი თაფლითა ჩაუწთონ და მლაშისა თევზისა ნახარში უწთონ და პრასისა წუნენი დანაყილისა უწთონ, ერგების.

თ უ ყ უ რ ი დ ა ღ მ ა ს ი ს ხ ლ მ ა დ ა უ წ ყ ო ს დ ე ნ ა, წუ შეკრავ ერთსა კუირასა დაეხსენ, რომე სდიოდეს, ამისთუის რომე უკეთ გამოწმედების და თუ ერთობ სდიოდეს, მაშინ დაყენებისა წა-
მალი უყავ. მ ი ს ი წ ა მ ა ლ ი: მრავალმარღუას წუნენითა აყაყია გა-
ლესოს და ერგების და თუ ისი სისხლი ყურშიგა გამხმარიყოს,

¹ სწერია „შიბი“.

პრასის წუნენი ნელთბილი ძმრითა გალესონ, ჩაუწთონ, მოალბებს და გამოაყრევინებს,

ნ ი შ ა ნ ი რ ო მ ე ყ უ რ ს ა ბ ა ყ ლ ი ს დ ი ო დ ე ს. მისი წამა-
ლი, აიღე: მწარისა ნუშისა ზეთი, ცოტად გაათბე და შიგა ჩაუშუი, მერმე აბანე, ბანა ასრე უნდა, რომე ყური აბანოსა თბილზედა დაი-
ჭიროს, მანამდი ვირემ დაალბოს ¹ შიგა რაცა მანკი იყოს ერთ პი-
რად გამოვა და გამოწმედების. მერმე პატრუკი შექნას და ყურშიგა, წყლულისათუის რომე სწერია, იმითა ყურშიგა ჩაუდვას.

ყ უ რ ი ს ა ტ კ ი ვ ი ლ ი. რომე ხმელად სტკიოდეს და სხუა
10 ნიშანი არა იყოს აიღე: საბრი და ზაფრანა თუითოსაგან თუითო დანგი, მყინვარი ნახევარი, რთხი მარცუალი მუხუდო, ტყავ გამძუ-
რალი, ესე სამივე დანაყე, მერმე გალესული ქაფური, სამისა მარცუ-

ლისა ქერისა წონა, ამა წამლებშიგა გაურივე ორი დრამი იისა ზეთი ამის წონა ქალისა რძე შიგა გაურივე და მერმე წუეთ წუეთი ყურშიგა ჩაუშუი. ს ხ უ ა ი წ ა მ ა ლ ი, აიღე: ანძარუთი რბილად დანაყე ნუშისა ზეთი გაურივე, ცოტა თაფლიცა გაურივე, ყურშიგა ჩაუშუი.

ს ხ უ ა ი წ ა მ ა ლ ი, სამი წუეთი ბალასინისა ზეთი, თუ ისი არ იყოს ზეთის ხილისა ზეთი, ნახევარ დრამი, თეთრი ნავთი გაურივე ისიც ყურშიგა ჩაუწთევ. ს ხ უ ა ი, აიღე საყმუნია ძმარშიგა გალესე, 20 მწარისა ნუშისა ზეთითა ისიცა ყურში ჩაუშუი.

სხუაი, აიღე: ჯუნდი ბედასტარი, ვარდისა ზეთითა გალესე და ისიცა ყურშიგა ჩაუშუი.

ს ხ უ ა ი, დაიჭირე ნიორისა წუენი და მურტისა ფურცელშიგა გაურივე დანაყე და ჩაუშუი და უშუელის ღ~თითა.

კ ა ც ს ა რ ო მ ე ყ უ რ შ ი გ ა ხ მ ა ე ს მ ო დ ე ს რ ა მ ე, უწინა გასახსნელი წამალი მიეც, რომე ტანი გაწმიდოს და მურისა ზეთითა შუბლსა და კეფასა იზელდეს, და მუცელი ნიადაგ რბილად შეინახოს, და ნუშისა ზეთი ყურსა იწთოს, და სიცხისა და მზისა ჭურეტიცაგან და ცეცხლისა ჭურეტიცაგან და აბანოსაგან ფარეხი ქნას.

30 და მუშაობასა ერიდოს და ნუცა პირსა წაიგდებინებს და მაღლისა საუბრისაგან ფარეხი ქნას და მძიმისა საჭმლისაგანცა.

ს ხ უ ა ი, ყურისა ტკივილისა წამალი აიღე: ცოტა ბორა, ცოტა ძმარი, ცოტა თაფლი, ცოტა ზეთის ხილისა ზეთი, ანუ მწარისა ნუშისა ზეთი და ცოტა ხახუისა წყალი ესე ყუელა ერთმანერთშიგა გაურია ყურშიგა ჩაუშუი, ერთობ მარგე არის.

ს ხ უ ა ი, აიღე ზეთის ხილისა ზეთი, შავი ანუ თეთრი ხარბაცი, სოსნისა ზეთი და ავსანთინისა წვენიტა ყურშიგა ჩაუშუი.

¹ სწერია, „დაალპოს“.

ს ხ უ ა ი, აიღე მთახუისა ყუერი, კამისა ზეთი, ან ყუსტისა ზეთითა ანუ თეთრითა და ანუ წითლიტა ყათრანითა ესე ყუელა ერთმანერთშიგა გაურივე და ყურშიგა ჩაუშუი. ესე წამლები რაცა მოვიგონეთ, ყოველსა ფერსა ყურისა ტკივილსა და მძიმედ სმენასა და ქარსა, და ყური რომე უშრიალებდეს და რომე ცივისა ქარისაგან იყოს, ყუელასა უშუელის ბრძანებითა ღ~თისათა.

ს ხ უ ა ი, ყურისა წამალი, აიღე თეთრი საკმელი ერთი უკია, ხათმისა ზეთი ორი უკია, მწარისა ნუშისა ზეთი ორი უკია, ესე ყუელა ერთად ადულე და დილასა და საღამოსა ნელთბილსა ყურშიგა 10 ჩაუშვებდი, ესეცა მაგა ყურისა ტკივილისა წამალი არის.

ს ხ უ ა ი წ ა მ ა ლ ი ტ ა ბ ი ხ ი ს ა, რომე შ ე ა მ ს დ ი ბ ს ქუიან, კარგი მარგებელია. აიღე: ბაბუნაჯი¹, ცერეცო და თარას ფურცელი, თარას ფურცელი თუ არა იყოს, მისი სამუქგო აბულღარა არის, შინაური ქონდარი, მინდორული პიტნა და აყირო ესე ყუელა სწორ სწორი ქენ და წყლიტა მოადულე, გამოწურე და ცხურის ბუმტშიგა ჩაასხი და ყურისა ძირსა ბუმტითა შემოსდევე, და თუ მანდილი ამა წყლიტა დასოვლო და აგრე შემოსდვა ისიცა კარგია

ს ხ უ ა, ნიშანი ნუტლისა მარგისა, აიღე: წნორისა ფურცელი, ბაბუნაჯი, აქლილალმალიქი, ცერეცო ირსია, სადაფი, თარასა

20 ფურცელი, მინდუორული პიტნა, ქონდარი, ხმელი ზუფა, მთახუისა ყუერი, ხუარასანი, ეს ყუელაი სწორ სწორი წყლითა მოადუდე, როგორცა მართებს და პატრუქებითა ყურშიგა შეუდევე, და ესე წყალი სათბობითა გააცხელე და ყური ზედა დაადებინე და თავსა კარგად დახურე, რომე ორთქლი ყურშიგა შეუვიდე, ერთობ მარგებელი არს.

თუ ყმაწურილსა სჭირდეს, დილეულად უზმომან. დედამა ანუ მიძამან ქონდარი და მარილი დაცოხნოს და იმა დაცოხნილისა წუენი, ერთი წუეთი ყურშიგა ჩაუწთევე, უშუელის ღთითა.

სხუაი, ყურისა ტკივილისა და გამომავალისა წამლები ყუე-
30 ლაი გუერცა უწერია და სიმძიმისა წამლები ესე არის, ცოტა ცოტა უნდა რომე ძალისაგან არ დავარდეს და არა დასუსტდეს.

ყურისა ძირსათუ სიმსივნე გამოაჩნდეს, ესე ავისა ჟამისა კორძსა მიემგზავსების, ესე სიმსივნე ტკივილითა იქნების, თუ ყურს შიგნით ხურელშიგა იყოს უფრო საშიშარი არის, დიდი კაცი უკეთ გასძლებს, ყმაწურილი უფრო ვერ გასძლებს, ამისთუის რომე, ვაჟისა კაცისა გუნებაცა მხურვალაი არის და სენიცა

¹ ბაბუნაჯი—საკორწყილე.

მხურვალაი არის, და მისთუის ვერ გასძლებს, და თუ სენისა მოხარშვამდის კაცი ძალისაგან დავარდების, ვედარ გასძლებს და კაცი მოკუდების.

ამა ყურისა სიმსივნე ზოგჯერ ბურანშიგან გამოჩნდების და ზოგჯერ სიმრთელეშიგა. თუ ხმირსა ბურანშიგა გამოჩნდეს, კარგი ნიშანი არის, თუ პირველსა ბურანში გამოჩნდეს, ერთობ ავი ნიშანი არის.

ესე სენი ოთხისაგან იქნების: სისხლისაგან, ზაფრისაგან, ბალღმისაგან, სევდისაგან.

10 თუ სისხლისაგან იყოს, მისი ნიშანი ესე არის, ფერზედან წითლად იყოს და მარღვები სავესედ სცემდეს და ძალიანად და აძალებული იყოს და ტანზედა ცხლად იყოს და მძიმეთ.

თუ ზაფრისაგან იყოს, მისი ნიშანი ეს იყოს, ტანი მისი სისხლისაგან უფრო ცხლად იყოს და ტანშიგა სიმძიმე არა ჰქონდეს და მწვედ სტკიოდეს.

თუ ბალღმისაგან იყოს, ისი ადგილი რბილი იყოს და მოთეთრო იყოს ფერზედა, და ტკივილი წყნარად იყოს.

თუ სევდისაგან იყოს, ფერზედა მოშაოდ იყოს და ისი ადგილი მაგარი იყოს და სავესე და ტკივილი წყნარი იყოს¹.

20 მისი წამალი ეს არის რომე, ნურასფერსა წამალსა ასეთსა ნურას შემოსდებ, რომე ისი სიმსივნე დასძრას და დაფანტოს. თუ სიმსივნე ბურანშიგა გამოჩნდეს, ძნელი არის, მაგრა ასე უწამლონ რომე არ დაიფანტოს, რაცა ღონე იყოს ისეთი ტლეები შემროსდვან, რომე სენი იქვე მოხარშოს და გააქარვოს სიმსივნე, და თუ ბურანშიგა არ იყოს და გაუგრძელდეს, მაშინ ხელი გაუხსნან რომე ტკივილი აუმსუბუქდეს და თუ ტკივილი წყნარი იყოს, წყნარად უწამლებდი, გამორჩეულითა წამლითა, მისთვის რომე, სატკივარისა

სიმწვავისაგან ცხროდ არა გარდაეცეს.

30 თუ სიმსივნე ერთობ ტკივილითა იყოს, რბილი ტლევები შემო-
პირველად რომე სიმსივნე გამოჩნდეს და მწოედ სტკიოდეს მჩვარი
თბილითა წყლითა დაასოვლე და შემოსდევე, და თუ ერთობ სტკი-
ოდეს მარილი გააცხელოს ტაფაშიგა და შემოსდევას, თუ ტკივილი
საშუალო იყოს, იცოდი რომე თავსა გამოიღებს. ხატმი და ბაბუნა-
ჯი ულბოსა წვენითა დაზილე და შემოსდევე სიწყნარითა, დაალბობს.
თუ შეატყო რომე დაბაყლებული იყოს მას დასალბობელი
წამლები შემოსდევე რომე ჟამზედა დაალბოს. აილე სხვილი ცერცვისა

¹ ეს წინადადება მთლიანად განმეორებულია.

ფქვილი, ქალმისა წვენითა, იისა ძირისა წვენითა ყუელა ერთად
აადულე, მანამდი რომე გასქელდეს, ცოტა ვარდისა ზეთი გაურივე
და ძუელითა ბამბითა ზედა დასდევე და რა დაჟამდეს ნუ გააგრძე-
ლებ ფიცხლა შაბრითა გახსენ ფართოდ, და მერმე ესე წამლები შე-
მოსდევე, აილე: ცხურისა ძუელი ნეხუი დანაყე და ან ბატისა და ან
ქათმის ქონითა დაზილე და შემოსდევე, კიდეცა გამოსწმედს და კი-
დეცა გაამრთელებს.

ს ხ ვ ა ი ვ ე: ყუელი ¹ მარილწყლითა მოხარშე დადნეს, დაზი-
ლე და შემოსდევე, დააჟამებს, თუ ერთობ გაგრძელდეს, დამწვარი
10 სადაფი ცოტათა თაფლითა გარიონ და შემოსდევან.

თუ სიმსივნე ს ე ვ დ ი ს ა გ ა ნ იყოს, მისი წამლები, გრილი
წამლები შეუწყონ, ქაფურის მალამოს, მაგიარი, ძაღლის ყურძენას
წუენშიგა მარილი დაასოვლონ და შემოსდევან, ამისთვის, რომე სი-
მსივნე არა იმატებს და ორი თეთრი სალესავი, ქინძისა წუენითა
გალესე ერთმანერთზედა და შესცხე. და აფთიმონისა მათბუხიცა
შეასუნ რომე ტანი სევდისაგან გამოწმიდოს და არაფერი წამალი
მის უკეთესი არ არის ყურის ტკივილისა, რომე ნელთბილი ფურისა
ერბო ყურშიგა ჩაუშუა, ერთობ მარგე არის.

თუ ს ნ ე უ ლ ო ბ ა შ ი გ ა ყ უ რ ნ ი და უ დ გ ნ ე ნ, ერთობ ძნე-
20 ლი არის. ესე წამალი ქენ, აილე: ბატისა და ქათმისა ქონი და-
მდნარი და იისა ზეთი თუითოსაგან ათი დრამი, ყოველთა ღამეთა
სამსა წუეთსა ყურშიგა ჩაუშუებდეს. და დილასა თბილითა წყლითა
თავსა დაიბანდეს და უშველის ღ~თითა.

თუ ყ უ რ შ ი გ ა ჭ ი ნ ჭ ვ ე ლ ი ანუ სხუა რამე ჭია ჩასულიყოს,
ანუ მატლი დაბადებულიყოს, მისი წამალი: ტენცო დანაყე, გამო-
წურე და მისი წვენი ყურშიგა ჩაუშუი და უშუელოს, ანუ ატმისა
ფურცელი დანაყე, გამოწურე და მისი წუენი ყურშიგა ჩაუშუი. ცო-
ტა საყამუნია გალესე და ჩაუშუი ყურშიგა და მასვე წამსა მოკლავს.
სხუაი, ბოლოკის წუენი და ხახვის წვენი, ესეცა მოკლავს. ნავღელი
30 რისა გინდა იყოს, ისიცა მოკლავს. ანუ ცოტა საბრი დანაყე და
წყლითა გაადგინე და ყურშიგან ჩაუშუი, ფიცხლა მოკლავს.

თუ ყურშიგა კენჭი, ან მძივი, ანუ უცხოი სხუა რამე ჩავარ-
დნოდეს და ყური სტკიოდეს საითვეცა ისი ყური სტკიოდეს, იმა
მხარსა დააწვინე და თავი კარგად ურწივე, ეცადე რომე გამოვი-

დეს [და თუ არ გამოვიდეს] ჩქიფითა ეცადე რომე ამოილო, წური-
ლი ჩქიფი უნდა და მითა ეკალსაცა ამოილებენ. თუ ვერა ამოილო

¹ სწერია „ჟული“.

226

ჩხირისა თავსა გომიზი დასცხე და იმითა ზედა დააჭირე რომე და-
უკრას და აგრე ეცადე რომე ამოილო. თუ არცა ამითა იქნას, აბუ-
ტარატი დანაყე და ცხურითა შეუბერე, მერმე ცხურისა და პირსა
კარგად მოუჭირე და იმა ყურზედა დააწვინე და დასცემს ცხურისა
და გამოვარდების ღთითა.

თუ ყურშიგა წყალი ჩაუვიდეს, მისი წამასლი ისი არის
რომე, სხუავე წყალი ჩაუშუი და მერმე იმა იქითა ფეხზედა
ახლტეს ბევრჯელ, რომე ჩამოვიდეს წყალი. თუ არა გამოვიდეს
წყალი, ერზო და დედათ რმე ერთად ყურშიგა ჩაუშუი და სრულად

10 გამოიყუანს ნებითა ღთისათა.

თუ წყლისა შესულაშიგა ტკივილი დაიწყოს, ესე ტლე
შემოსდევე ავიღე: ხაშხაშისა ქერქი, აქლილმალექი, ბაბუნაჯი, ია,
ხატმი, სელი და ქერის ფქვილი, ყუელა გაცრილი დედათა რმითა
დაზილე და ყურისა ძირსა შემოსდევე და უშუელის ღთითა.

**ზ. კარი ცხურისა. ნიშანი ყოვლისა ფერისა ცხურის ტკივი-
ლისა და ცხურისა ბუასირისა და სურდოსა და ცხურითა რომ
სისხლი სდიოდეს და ცხურითა დაცემისა და უკუყენებისა ნიშანი და
წამალი, ყუელა ამა კარშიგა სწერია.**

ნიშანი მისი რომე ცხურშიგა არაფერი სული არ ეცემოდეს.

20 თუ დედის მუცლით გამოჰყოლოდეს არაფერთა წამლითა არა
ემუელების.

თუ ახალი იყოს, აიღე ერთი ნალი გაახურვე მწოვედ და
ძმარშიგა ჩააგდე და ცხური და პირი ზედა დაიჭიროს, რომე
ორთქლი შიგა შევიდეს, ერთსა კუირასა ყოველთა, დღეთა ამას
იქმოდეს სამჯერ, და მუდამად სონიჯსა ისუნებდეს. პილპილი და
ქუნდუსა ¹ ორივე დანაყე რეანი ზედა დააყარე რომე ყოველთა
დღეთა ისუნოს და ცხურისა დააცემინოს. აბიყუყიაცა აალებინე,
იარაჯისა ლარლარა აქნევიანე.

თუ ამან არა უშუელოს, აიღე შამიანდალი და სონიჯი, თეთ-
30 რი ხარბაყი თუითოსაგან თუითო. დრამი, დანაყე წურილად და წე-
როსა ნავლეღშიგა გაურივე და ცხურშიგა ჩაუშუი, ყოველთა დღე-
თა, სადამდის გამთელდებოდეს. თუ ესე სენი ერთობ ძნელი იყოს,
ხარბაყი შავი, ბორა, სონიჯი, და ნავლელი რაცა იყოს მითა გალე-
სოს, გარიოს და ცხურისა, შეიდვას. სათარი, სადაფი და პიტნა
იორთქლოს ძმრითა, არგებს.

¹ აშიაზე სწერია „ქუნდსა—ჰტარატსა ქუიან. ხარბაყი—ხარის ძირა. სა-
თარი—მდოგვია, ხარდალი—მდოგვია. იარაჯი ფეყარასა შესმა დიდსა კაცსა ორი
მუტყალი პატარასა ერთი მუტყალი, აგრეთვე დედაკაცსა“.

227

კაცსა რომე ცხურიდაღმა მყრალი სული ამოსდიოდეს

პირველად იარაჯ ფეყრა და აბი ყუყია მისცენ, რომე ჭამოს, და კიდეცა იღარღაროს. ესე და ასეთი წამალი ქნას ცხუირსა დასცემს და ღუინითა ცხუირსა გამოირეცხდეს და მერმე ცხუირისა შესაბერავი წამალი ქნას: ხარდალი დანაყოს და სიქანგუზინითა გარიოს და იღარღაროს, და დაასხას სუმბული, სუთი, ყარანფული და ასაქ ესე ყუელა ან ძმრითა ¹ და ან ღუინითა მოდულეებული იღარღაროს. და ცხუირი ღუინითა გამოირეცხოს. სუთი, სუმბული, ყარანფული, ფურცელი მურტისა, წითლისა ვარდისა ფურცელი, და მური აყაყია,

10 გუნდა ქაფური ესე წამლები თუ ერთ პირად ვერა იშოვოს, რომელიცა იშოვოს, დანაყილსა ცხუირშიგა იბერეცდეს. და თუ ერთპირად იშოვოს ერთად დანაყოს და ცხუირსა იბეროს და პატრუკსა დააყაროს და ცხუირშიგა შეიდეგას, და ვირისა ფსელიცა იწთოს და პიტნისა წუენიც კარგია.

თ უ ც ხ უ ი რ შ ი გ ა წყლული იყოს, ვირისა ფსელი ჩაიშუან, გამოცდილია და მარგე წამალი არის, და პიტნისა წუენიცა მარგე, არის, რომე ცხუირშიგა ჩაუშუან. და ცერეცო, რომე ღუინითა მოადულო, ცხუირშიგა ჩაუშუა ერთობ მარგე არის, ხუთსა დღესა ზედაზედა.

20 ს ხ უ ა ი, თეთრი ხარბაყი წმიდად დანაყილი და გაცრილი, [მარგალიტისა სადაფი დამწვარი და დანაყილი, წმინდად გაცრილი] ცხუირშიგა შეუბერე ერთობ მარგე არის.

თ უ ც ხ უ ი რ შ ი გ ა მღიერი ესხას, სამფერი არის, ერთი ხმელი, ერთი რომე მართ[ალ] მუწუკივითა ამოვა, ერთი ნედლი იყოს და კიდეცა აყროლდეს. მისი წამალი: უწინა ყიფალი გაუხსნან ანუ ცხუირისა ძარღუი, ანუ თავისა უკანა კოტოში მოიკიდოს. მერმე აბი ყუყია ააღებინეთ და გასახსნელი წამალიცა ააღებინე. ანუ აბი იარაჯი, ანუ აბი საბრი ჩანთქმევიინე, რომე თავი და ტანი სევდისაგან გამოწმიდოს. მერმე ხმელი წყლული მუმრულანითა დაზილონ.

30 მუმრულანი ესე არის: აიღე თეთრი ცვილი, ძროხისა ფერხისა ტუინი, ნინოფარისა, ანუ იისა, ანუ ვარდის ზეთითა მუმრულანი შექენ მალამავითა, იმითა დაზილე ცხუირი, მარგე არის.

თ უ ც ხ უ ი რ შ ი გ ა დ ა რ თ უ ლ ი შ ე ე ქ ნ ა ს, ნასორი ქუიან, აიღე: ურთხლისა ხილი და ლელუი ისრე რომე ორი წილი ლელუი

¹ ამ გვერდის აშიაზე ვარიანტში: დედწის ხელით სწერია: „იარაჯი ფეყრასა შესმა,, დიდსა კაცსა ორი მუტყალი, პატარასა ერთი მუტყალი, აგრყვე დედაკაცსა“.

იყოს და ერთი წილი ისი ხილი, დანაყე, მალამავითა შექენ, და პატრუკითა ცხუირში შეიდეც.

თ უ კ ა ც ს ა ცხუირშიგა ბუასირი გამოუვიდეს, მისი ნიშანი ესე არას რომე, ცხუირისა ნახევარი შეეკრას და ცხუირისა სტუირშიგა ხორცივითა გამოუვა, ხან გამოვა და ხან წავა, მისი წამალი, უწინა ხელი გაუხსენ, ყიფალი, სათ ისი [ხორცივითა] იყოს მერმე ჩქიფითა გამოგლიჯე. მერმე ესე წამალი უყავ. აიღე ჟანგარა ორი დრამი, ფიჭუისა გომიზი ხუთი დრამი დანაყე და გაცარ, მერმე აიღე ბერძული ზეთი და ცვილი თორმეტ თორმეტი დრამი ერთად აადულე

10 რა ცოტად გამოვიდეს ესე დანაყილი წამლები შიგა გაურივე და

დაზილუ მალამისა წესითა, რა მოგინდეს, ბამბის პატრუკი შექენ და შესცხე და ყოველთა ღამეთა შეუდევე სადამდი გამრთელდებოდეს.

ნიშანი და მისი წამალი ესე არის აილე: ჟანგარა დანაყილი წმიდად, გზისა ხე რომე გრაკი ქუიან დანაყილი ორი დრამი და ყოველთა დღეთა თაფლწყლითა გარცხიდი იმა წამლებსა მერმე თაფლითა მალამავითა შეზილუ, და ისიცა ბამბითა ცხურშიგა შეუდევე, რაგინდარა ქავილსა მოუმატებდეს და ცხური ღუინითა ანუ მაჭრითა დაიბანდეს, და იმისთანა წამალივე შესცხე ცხურშიგა რომე ხორცი: [თუ] იყოს, ამა წამალმა მოსჭამოს. დაიჭირე: სპანდი ნახევარ 20 დრამი, დანაყე რბილად ღუინოშიგა გაურივე, ისიცა ცხურშიგა შეუდევე.

თუ კ ა ც ი ს ა ცხურისა სისხლმან დაუწყოს დენა ესე უნდა შეიტყოს აქიმმან რომე, რომლითა გზითა მოდის სისხლი, ანუ რასთენ ფერი არის, ერთი ესე რომე სისხლმა წვეთა დაიწყოს და ფიცხლა დადგეს, ისი ცხროსა და სასისა ბუხრისაგან არის, იქნების რომე უწინა წყნარა სდიოდეს და მერმე გახშირდეს და გაუნიადაგდეს, ესეცა სასისა და ცხროს ბუხრისაგან არის, და იქნების რომე ერთპირად და ხშირად წამოსცეს სისხლმან.

ესე ოთხფერი არის: ე რ თ ი, რომე სისხლი დასჭარბდეს, ტა- 30 ნისა ძარღუებისაგან ერთი ძარღუი გახსნილ იყოს. მ ე ო რ ე, რომე სისხლი სასისა ძარღუებშიგა გაცხელებულიყოს, მისგან ხშირად სისხლი სდიოდეს და ერთობ თავის ტკივილიცა გამოჩნდეს, ამას ძნელად ეშუელების

ს ხ უ ა ი ნ ი შ ა ნ ი რომე სისხლი თავისა, ცხურისა და სასისა ძმარდღუებისაგან ედინოს, სისხლი, მისი ნიშანი ესე არის რომე სისხლი თხელი, წითელი და ცხელი იყოს. იქნების რომე პირველად ჩქარად სდიოდეს და მერმე იკლოს და იკლოს და დადგეს სისხლი. და იქნების რომე სისხლისა დენა კარგისა ნიშანი იყოს, და იქნების

რომე ავისა ნიშანი იყოს. კ ა რ გ ი ს ა ნიშანი ესე არის რა სისხლი დენა გათავდეს და დასწყდეს კაცი სუბუქად და ფერ წმინდად იყოს, და თუ ტანშიგა დამძიმდეს და ფერზედა გაყუითლდეს, ავისა ნიშანი არის, რომე კიდევ უწამლო, მაშინცა ავი არის.

ა წ ე ც ხ უ ი რ ი ს ა სისხლისა დენისა, სარგებელი მოგახსენოთ, ახლად სნებიანსა, რომე სიმხურვალითა იყოს და ყუავილსა და ქუთრუშსა ამათთვის კარგი არის და ბედნიარი, და სისხლსა დაყენება არ უნდა თუ არ ნამეტნავად მისჭირდეს, და თუ ამა საქმესა შიგა სნეული დამჭლდეს, და დასუსტდეს, და გაყუითლდეს და ან გაშავდეს და ავი ნიშანია. 10

წ ა მ ლ ე ბ ი: ბურანშიგა რომე სისხლმან დაუწყოს დენა არ უნდა დაყენება, ამად რომე სენსა გასწმედს, და თუ ერთობ დაუწყოს დენა და დასუსტდეს, მაშინ უნდა და[ა]ყენოს ისი, რომე სისხლისა დაჭარბებისაგან სდიოდეს არც მას უნდა დაყენება, ამად რომე სენსა გამოსწმედს. და ამაშიგა ხელისა გახსნა არის უკეთესი წამალი, მაგრა ძარღუსა წურვილად უნდა გახსნა იმა ცხურისაკვე უნდა გახსნაი ცოტა ადინოს სისხლი.

კ ა ც ს ა რომე ცხურითა სისხლი სდიოდეს მისი წამალი: ფი-

ცხლა ხელი გაუხსნას, თუ მარჯუენასა ნესუტსა სდიოდეს, მარცხენა
20 გაუხსენ, თუ მარცხენასა ნესუტსა სდიოდეს მარჯუენა გაუხსენ და
სისხლი ცოტა გამოუშუას. და ლუიძლისა ალაგსა, ან ტყირბისასა
ჭიქისა კოტოში მოიკიდოს. მერმე თუ კიდევე სდიოდეს მკლავები და
ბარკალნი თასმითა შეუკრან. თუ [კიდევე სდიოდეს] ზირა ქირმა-
ნი ცხუირსა შეუბერონ დანაყილი და გაცრილი, უკუაქენებს სისხლსა
და დასწყუეტს. თუ არცა მით დასწყედეს ყუერნი შეუკრენით, თუ
დედაკაცსა სჭირდეს ძუძუ შეუკრან, და ცივი წყალი თავსა დაისხას
და პირშიგაცა დაიჭიროს და თუ შეძლოს ცივსა წყალშიგა ჩაჯდეს.
და უნაბისა შარბათი შეასუას და თავსაცა დაისხას. დაიჭირე ერთი
30 პატრუკი კუერცხისა ცილითა და ბორათა შექნილი, ისი ცხუირსა
შეიდვას და ახლისა ქინძისა წყალსა ცოტა ქაფური ურიონ და
უწითონ ცხუირსა და ვირის ნჩორისა წუენი ჩაიწუროს.

თ უ ც ხ უ ი რ თ ა სისხლი სდიოდეს სცხე შუბლსა ქაფური
და სანდალი ვარდისა წყლითა და ცხუირსაცა უწითევ ცოტა ქაფური.

თ უ ამან არა უშუელოს ესე წამალი უყავ: მოილე ისრიმი
ხმელი ანუ ნედლი და ოსპი და ქერისა ფქული და გუნდა და მურ-
ტი და მაყულისა ფურცელი ამათგან სწორ სწორი დანაყე და გა-
ცარ და ანუ ძმრითა ანუ ვარდის წყლითა მოზილე და შუბლსა შე-

230

მოსდევ და შევასუათ მჟავისა ბროწეულისა წყლითა, ან თურინჯისა
გამოწურვილითა ან ძმარწყლითა გაზავებული.

ს ხ უ ა ი ვ ე პატრუკი მისთვისვე, დაიჭირე გუნდა და არჯასპი
დანაყე და ძმრითა შევზილოთ და პატრუკსა შევსცხოთ და ცხუირ-
შიგა შეუდვათ ანუ ჩაუწითოთ მცირედი ქაფური ხარბუზაკისა წყლი-
თა და შეუხვიოთ ხელნი და ფერხნი მჩურითა.

თ უ ესე ცხუირის სხსხლისა დენა სნებისა ოფლისა დენისა
ჟამსა დაემართოს, კარგისა ნიშანი არის და თუ ერთობ სდიოდეს
ესე წამლები უყავ რომე დაგვიწერია.

10 ნ ი შ ა ნ ი მრავლისა ცხუირთა ცემისა მიზეზი სასისა ბუხრისა-
გან არის, რომე მხურვალსა და გრილსა აერსა ცხუირიდადმა შე-
ზიდავს მისგან იქნების და მწუავისა სენისაგან, რომე სასაშიგა იყოს.

ა წ ე ცხუირთა დაცემისა მიზეზი მოგახსენოთ. პირველად:
კაცი რომე, გააცხროვოს მისთუის ავი არის, ამად რომე ძალი და-
აკლდების. მეორედ: რომე მკერდშიგა სენი შეყრილიყოს, მისთვისცა
ავი არის, ცხურთა რომე სისხლი სდიოდეს მისთუისცა ავი არის
სურდოსთვისცა ავი არის. მარგებელი არის ცხუირთა დაცემა სამისა
საქმისათვის, ერგების თავისა სიმძიმესა, კარგია რომე ბურანშიგა
დასცეს ცხუირთა, მარგე არის მშობიარისათვისცა, ამად რომე ყმა-

20 წვილისა გამოსულასა ძალს მისცემს.

წ ა მ ა ლ ი რომე ცხუირთა დაცემა უკუაყენოს: ვარდისა და
წნორისა ფურცელისა ზეთი ცხუირშიგა ჩაუშუი, უკუაყენებს. ხელ-
თბილი ერბო ორთავე ყურთა ჩაუშვი, უკუაყენებს. თბილი სახურე-
ტელიცა, უკუაყენებს. თბილი რამე თავზედა შემოსდვან ასრე რომე
სითბო თავშიგა და ტუინშიგა შეუვიდეს მარგე არის. თუალი, შუ-
ბლი, ყელი ერბოთა დაუზილონ მერმე უფრო რომე ყურისა ძირი
კარგა დაუზილონ ერბოთა ცხუირთა დაცემა უკუაყენოს, კარგისა

რამე ნახვაცა უკუაყენებს.

მტუერი და კუამლი ავი არის, ამისთვის თუ ყმაწვრილსა სჭირ-
30 დეს ცხურისა თირკმელი შეუწვან და მისი წუენი დაიჭირონ და
უწთონ ერთობ მარგე არის.

წ ა მ ა ლ ი მისი რომე ცხურითა დაცემა უნდოდეს, აიღე აბუ-
ტარატი, თეთრი ხარბაყი, პილპილი, თახუის ყუერი და მდოგვი
ცალკე ცალკე დანაყე და გაცერ ქათმისა ნაკრტენითა ცხვირშიგა
შეუდეგ და შეუბერონ, ცხვირთა დააცემინებს.

ს ხ ვ ა, აყირყარა, სადაფი მინდორული, საბრი, ესეცა იმავე
წესითა უყონ ცხვირსა დააცემინოს.

231

თ უ გუნება მხურვალი იყოს, ამა წამლებს ცხვირშიგა ნუ შე-
უბერავთ, ისუნოს და ცხვირსა დააცემინოს.

სხვა, ესე გრილი არის: აფიონი, ზარავანდი დანაყე და ნედლსა
ვარდშიგა გაურივე და ისუნოს, ცხვირთა დააცემინებს ღ~ითთა:

კარი და ნიშანი სურდოსი. იცოდით რომე სურდოსა და ნაზ-
ლასა გუარი ერთი არის, ორივე სასისა გზითა ჩავა, და აქითა და
ბრძენთა რაცა სასისა გზითა ჩამოვა ნაზლა დაურქმევია და რაცა
ცხურითათ ჩამოვა მისთვის სურდო დაურქმევია. იცოდით რომე ერთი
სურდოსა დაბადება ამით იქნების, რომე მეტი სიმხურვალე სასასა
10 ეცემის, და სიმხურვალემან სენისა გუარი დაძრას, გრილიცა და მხურ-
ვალიცა და ყელისაკე ჩამოვიდეს, და ესე ასრე იყოს: რომე მზეშიგა
ანუ აბანოსაშიგა, ანუ ცეცხლისა სიახლოვესა დიდხან დაჯდომილი
იყოს, ანუ სიცხისა ჟამშიგა ცხელსა სახლშიგა ჯდომილიყოს, ანუ
რომე მხურვალი რამე სული ესუნოს.

როგორაცა მუშვი და თახუისა ყუერი ამისთა სუნებითა სენისა
გუარი დაიძრას და ცხურისა და ყელშიგა ჩამოვიდეს, მერმე ესე,
რომე საირანობასა და აბანოშიგა საქმე რამე ექნას და გამხურვა-
ლებულიყოს, ანუ აბანოსაგან თოვლ სიცივეში გამოვიდეს, ამით მი-
ზეზითა გზები შეიკრას და გამდნარი სენი ცხურისა [და] ყელშიგა
20 ჩამოვიდეს.

და უფროსსა ხანსა ორისა მიზეზისაგან შექნების სურდო და
ნაზლა. და სურდო რომე ამა მიზეზისაგან იყოს, უფრო ძნელი იყოს.
და ბევრი ხელისა გახსნა სურდოსა დაბადებს, და თუ სასაშიგა სი-
გრილე და სინედლე ბევრე მოგროვებულიყოს, მისგან სურდო უფრო
ბევრი გამოჩნდეს, და ზამთარშიგა დღისით ძილი სურდოსა დაბა-
დებს, და ბევრისა ნესუსისა ჭაამა სურდოსა მოაბრუნებს. და ესეცა
იქნების, რომე სურდო დაბადოს. და ზაფხულის ბევრისა ერბოსა
ჭამა, ზელა და ხმარება სურდოსა დაბადებს და ცხელებასა და გრილ-
სა ნაზლასა არგებს.

30 და როდესცა ქუენა ქარი დადგეს და უკანის ზენა ქარი მო-
ბრუნდეს, ნაზლა გამრავლდეს. და როდესცა ზაფხული უქუხარი იყოს,
იმა ზამთარსა სურდო და ნაზლა ერთობ იყოს, და ქუენა ქარისა მო-
სულა სურდოსა და ნაზლასა ერთობ გა[ა]მრავლებს, ამისთვის რომე
ქუენა ქარი სასასა და[[ა]ვსებს.

ნ ი შ ა ნ ი ს უ რ დ ო ს ა: იცოდეთ რომე სურდო ორისაგან
არის სიმხურვალისა და ერთი სიგრილისა. თუ სიმხურვალისაგან

იყოს, მისით ნიშანი ესე იყოს, რომე თვალი და პირი გაუწითლდეს და რაც ცხურთათ წამოსდიოდეს ცხელი, მწუავე და თხელი და

232

ყუითელი იყოს, და ცხურისა სწუევდეს [და] შეწყენით ამყოფოს, და თუ ამა საქმესა შინა ცხელება მოუვიდეს, სურდო და თავისა ტკივილი მოემატოს, ამისთვის რომე ცხელება სასასა გაამხურვალეზს, და მხურვალი სასა სენსა შემოზხიდავს და თავისა ტკივილი სასისა ძალისაგან იქნების.

თუ სურდო სიგრილისაგან იყოს, მისი ნიშანი ესე არის რომე, თვალი და პირი მისსავე ფერზედა იყოს და თავი მძიმედ იყოს და წუინტლი რომე ცხურთათ სდიოდეს, სქელი იყოს და თეთრი ანუ მოლურჯო. და თუ ცხელება მოუვიდეს ადრე ეშუელოს. ამისთვის.
10 რომე, ცხელებისა ძალმან ნაზლა გაახშიროს და ორთავე გუარსა სურდომიგა ხმა შეკრას და სნება აეშალოს.

და თუ მკერდშიგა ჩამოვიდეს ისი ნაზლა არის, მისი ნიშანი ესე იყოს რომე ყელშიგა ხმა უსწოროდ შეექნას და და[ა]ხუელებდეს.

წ ა მ ლ ე ბ ი მ ი ს ი: პირველად ისი არის რომე, სურდომ ხურვალი და გრილი მოხარშოს, და სენისა მოხარშვისა ისი არის, რომე ფერი და გუნება იქციოს, ასრე რომე, თუ ცხელი და თხელი იყოს გასქელდეს და თუ თეთრი და სქელი იყოს გათხელდეს და მისსავე წესსა ზედა შემოდგეს. მხურვალისა სურდოსა მწიფობა და რისა კორკოტითა უნდა, ასრე რომე შიგა უნაბი და ხაშხაში და
20 სეფისტონი იყოს მოდულეზული, და ხაშხაშისა შარაბსა უნდა სმა.

და თუ სენისა გუარი ერთობ მხურვალი იყოს, ფიცხლა ხელი გაუხსენ, და თუ სიმხურვალე ერთობ არა სჭირდეს, ხელისა გახსნა მესამესა დღესა უნდა, რომე სენისა გუარი მოხარშულიყოს.

და თუ სურდო მხურვალი იყოს და თუ გრილი ორსავე სურდომიგა პირადმა წოლა არ ვარგა ამისთვის, რომე სენისა გუარი მკერდშიგა არა ჩავიდეს. პირდადმა უნდა დაწოლა, რომე სენი ცხურთათ წამოედინოს. და მხურვალისა სენისა სურდოს უფალმან პირველით დლით მესამემდე მანამინ არაფერი საჭმელი და ღუინო არა სუას. და იმა საჭმელსა რომე ზეით სწერია ქერის კორკოტი სა-
30 დამდის სურდოსა არ ეშუელოს ხორციანსა ნურას ჭამს. და საჭმელი ქერის კორკოტი და დიდისა ცერცუისა ნუშის ზეთითა და სხუა სხულის ცერცვისა და კიტრისა და შანგირისა თესლსა, ამათითა ფქუილითა, და ტყავგახდილითა მაშათა და ასპანახთა, ნუშისა ზეთითა და კარაქითა აჭმევდეთ.

პირველ სურდომიგა ცხურთათ დაცემა სიძნელე არის, თუ მოუვიდეს უკუყენება უნდა იმა წესითა, რომე ზემო დაგუიწერია. და რაგინდარა სურდო მხურვალი იყოს, თავსა თბილათ უნდა დახურვა. გრილისა აერისაგან და ზენაქარისაგან თავი თბილად უნდა შეინახოს,

233

ასრე რომე ოფლი სდიოდეს. და რაგინდარა მოსწყურდეს ცივსა და ყინულიანსა წყალსა ნუ სუამს და ნურასათვის დღისით ნუ დაიძინებს, უფრო ბანასა და ჭამას უკანით. თუ სენისა გუარი თხელი და ცოტა

იყოს, არგებს, იმისთვის რომე ოფლი დაადნობს და გამოიყვანს. და თუ სენისა გუარი ერთობ იყოს, მაშინ ზიანი იყოს, ამისთვის რომე, რაცა თხელი და ცოტა იქნების იმას მოადნობს და რაცა სქელია დარჩების, ისი გამწვანდება. და ბანა სურდოსა ბოლოსა არგებს, რომე მოხარშულიყოს.

და თუ დაგეჭიროს, რომე გასახსნელი მოუნდეს, იისა და უნა-
10 ბისა, სეფისტონისა და ხათმისა ძირი და თესლი და ხიაარიშამბრისა გული, შირიხიშტისაგან შეკაზმეთ ამა წესითა. ა ი ლ ე: ია ხუთი დრამი, უნაბი ოცდათი მარცვალნი და სეფისტონი ოცდათი მარცვალნი, ხატმისა ¹ ძირი სამი დრამი, ხატმისა თესლი სამი დრამი, ხიარშამბარი თხუთმეტი დრამი, შირიხიშტი ხუთი მუტყალი. ია, უნაბი, სეფისტონი და ხატმი კარგად მოხარშე და გამოწურე და ისი სხუა წამლები იმაშიგა და[ა]ლზე, დაზილვე და გამოწურე და შეასუი. თუ სენისა სურდოსა გუარი ყურშიგა, არა გინდოდეს რომე გამოვიდეს, უკუყენებისა წამალი ქენ, ესე ღარღარა უკუყენებს, აიღე ოსპი და ბროწეულისა წყლითა მოადუღე და მითა ღარღარა
20 აქნევიწე, და თუ უფრო ძალიანი გინდოდეს, ხაშხაშისას თესლი და ქერქი ოსპისა წუენითა მოადუღე და მითა ღარღარა ქნას, მარგე არის.

ნ ი შ ა ნ ი ხ ა შ ხ ა შ ი ს ა შ ა რ ბ ა თ ი ს ა: აიღე: ხაშხაშისა. თესლი სამოცი დრამი და ოთხსა ლიტრასა წყალშიგა და[ა]ლზე ერთსა დღე ღამესა, მერმე ამოიღე ხაშხაშისა თესლი ნახევარზედა დანაყე და იმავე წყალშიგა მოადუღე მანამდი რომე, ნახევარზედა მოიყაროს, მერმე ხელითა დატყლიჯე და გაწურე, მერმე ერთი ლიტრა შაქარი გაურივე და მოადუღე მანამდი რბილად, რომე გასქელდეს კოლოფშიგა შეინახე და რა მოგინდეს იხმარე, მარგე არის ნებითა
30 დ~თისათა.

იის შარბათი და გაზდილი ია და ია შაქრითა [შეასვი]. მერმე ესე ზუფასა ² შარაბი შეასუი, ნიშანი ზუფასა შარაბისა, მკერდსა ხუელისაგან გამოსწმენდს, აიღე: უნაბი ოცი მარცვალნი, სეფისტონი, ორმოცდაათი მარცვალნი, უკურკო ჩამიჩი ათი დრამი, ხმელი ლელუი ათი მარცვალნი, სოსნისა ძირი ნახევარზედა დანაყილი ათი დრამი. ქერისა კორკოტი ცალი პევში, თეთრისა ხაშხაშისა თესლი შუი-

¹ აშიაზე დედნის ხელით სწერია „ხატმი ტუხტია“.

² „ზუფა ურცია“ ა. დ. ხ.

დი დრამი, ხათმისა თესლი და ქათირა ხუთხუთი დრამი, კომშისა გული

ხუთი დრამი, გაზდილი ია ერთი დანგი, ეს ყუელა ორსა ლიტრა სა წყალ-

შიგა მოადუღე, რომე ერთს ლიტრასა ზედა მოიყაროს მერმე დაწურე, რა მოგინდეს ამა წყლისაგან ყოველთა დილათა ორმოცსა დრამისა გაათბობდი და შესუემდი, ასრე რომე ხუთსა დრამსა გაზრდილსა იასა გაურივედი. და სამი დრამი ნუშისა ზეთი გაურივე და შეასუი, და რა მოიხარშოს სენი მაშინ უნდა შეასო ხაშხაშისა შარაბი.

და ვისცა სურდო და ნაზლა ბევრი მორეოდეს, მისთვის აბი ყუყითა აღებინე, ერთობ მარგე არის.

10 ს ხ უ ა ა ბ ი სურდოსა, მარგე, რომე სიმრთელეშიგან აიღოს, მარგე არის, აიღე: გარცხილი საბრი, თურბუთი და რუბისუსი, სწორ-სწორი დანაყე და აბი შექენ, ძილისა ჟამსა მიეც ორი დრამი.

და მას, რომე სურდო, სიგრილისაგან იყოს მოხალული ფეტ-
უი მანდილითა კეფასა ზედა შემოაკარ, მანამდი რომე სითბო შიგ-
ნით სასასა მიხუდეს სადამდი შეძლოს იდებდეს ზედა. საჭმელსა და
ლუინოსა ნუ მიცემ და წყურვილი მოიჭირვოს, წყალსა ნუცა მაშინ
სუამს გასძლოს, და დღისით ნუ დაიძინებს, თუ ამას იქს, ერთსა
ღამესა და დღესა გამრთელდების, და აბი რომე საბრისაგან და მას-
ტაქისა შეიქნების არგებს. ამა წესითა.

20 ა ი ღ ე: საბრი ერთი დრამი, მასტაქი. ნახევარ დრამი, რუბი-
სუსი ორი დანგი, კამისას თესლი ორი დანგი, მუყლი ერთი დანგი,
ფანიდი შაქარი ორი დანგი ეს ყუელა დანაყე, გაცარ და ნიახურისა
ნადუღრითა აბები შექენ და იხმარე. და წისქუილისა ქუა გაახურვე
და ლუინოშიგა ჩააგდე და თავი ზედა წაიშვირე და დაიბურე რო-
მე ბუხარი ცხვირშიგა შევიდეს და ბაბუნაჯი ¹ აქლილმალიქი და
მარზანგუში წყლითა მოადუღონ და თავი ზედა წაიშვიროს რომე
ბუხარი ცხვირშიგა შევიდეს და მისი ფოჩი თავზედა შემოადვას. და
სონიჯი ერთსა დღე ღამესა ძმარშიგა დაალბე, მერმე მანდილშიგა
გამოკარი და მუდმად ისუნებდეს, მარგე არის. და ანისური და უდის
30 სული და ყუსტის სული და თეთრის საკმლისა სული დამწურის სო-
ნიჯის სული და ცეცხლის სიცხე ეს ყუელა მარგე არის.

და მუშკისა და თახუის ყუერისა სული მასვე წამსა უშველის.
და საჭმელად ქატოს წუენი და თაფლი ²; და მოხალული დანაყილი
სელი ცოტა პილპილი შიგა გაურვივე და სახურეტელი რომე ხუარბ-
ლისაგან შექნან, ტრედის ხუნდი და ჭავჭავი შემწუარი, ესე ყუელა
მარგე არის.

¹ „ბაბუნაჯი, საკრწყილე“ ა. დ. ხ.

² სწერია „ფათლი“.

ჭ კარი პირისა ზაგისა, კბილითა და ენისა. თუ ზაგე გაუსქედეს,
მისი წამალი ისი არის, რომე ყოველთა ღამეთა ჭიპი და უკანა კარი
იისა ნინოფრისა ზეთითა იზელდეს და მერმე კიტრი შანგიერი შუა-
შიგა გაუკეთე და ერთმანერთსა შეუსვი და რაცა მისგან წყალი გამო-
ვიდეს, აიღე ისი წყალი და შესცხე გახეთქილხედა.

ს ხ უ ა ი, დაიჭირე დანაყილი გუნდა, ნიშასტაგი და უმარული
და ქათირა, ესე ერთმანერთისა სწორი ქენ და ჯუმლად დანაყე და
მოიღე ქათმისა ქონი, ვარდისა ზეთი წმიდა ცვილი და ცოტა ერ-
ბო, ამითა ესე ყუელა მალამად ქენ და ზედა დასდებდეს და კუერ-
10 ცხისა ხეჭებსა შიგნით რომე სხუა თხელი აფსკე არის და აკრავს,
ესე იმა გახეთქილხედა დაიკრას, და ქაფურისა მალამაცა კარგი
არის, და ყოველთა ღამეთა ჯულაბსა სმიდეს ბაზრაცატუნითა.

ს ხ უ ა ი, ბატის ქონი, ხბოსა ქონი, ქათმისა ქონი, ერთად და-
ზილე და ტლედ შემოსდევე, მარგე არის.

ს ხ უ ა ი, გუნდა დანაყე და ძმრითა დაზილე და ტლედ შემოს-
დევე, მარგე არის. და საჭმელად მოხარშული ჭაკუნტელი და თორ-
ხოლო კუერცხი და ასპანახი ქერისა წყლითა შექნილი აჭამეთ.

თუ კბილისა ძირი გასქდეს, მისი წამალი: უწინა ხელი გაუხს-
ნას და მერმე კოტოში მოკიდოს კისერსა. და ოსპი და სამყი პირ-
20 შიგა დაიჭიროს და აბულასა მერცხალა ¹ დანაყილი ძრმითა მოადუ-
ღე და პირშიგა იმგუბე და გამოასხემდი და კიდევე იმგუბებდეს. აბუ-
ლასი მრცხალასა ქვიან.

თ უ ესე სენი ერთობ ძნელი იყოს, ნიშადურისა ყურსი ძრმითა
გალესე და პირშიგა დაიჭირვდი, ამისთვის რომე სისხლსა დასწმედს.
და პირსა ჯულაბისა წყლითა გამოიბანდეს. და ვარდისა ზეთსა ამა
მტკივანზედა დაიდებდეს, რომე სრულად დაწმედს და მერმე ოსპი
და წითელი ვარდი და მოცხარი ძრმითა მოადულოს. იმგუბებდეს და
მერმე დასხემდეს. და მისი საჭმელი ისრიმითა ანუ თუთუბითა, ანუ
რაცა ამას გვანდეს ისი ჭამოს. და რაცა ტკბილი საჭმელი იყოს, და
30 ან რძიანი ყუელა იფარეხოს.

თუ ღრძილნი ქაოდენ თუთუბა ძრმითა მოზილე და სამჯერ,
ოთხჯერ ზედა დასდევ და უშველის ღ~თითა,

ესე აბი ღრძილთათვის კარგი არის, რომე სტკიოდენ და
კბილის ძირი გახეთქილიყოს და სისხლი სდიოდეს, აიღე: ყარანფუ-
ლი და აყირყარა ² და გუნდა მწუანე, ბასბასა და ქაბაბა და ბრო-
წეულისა ქერქი ყუითელი, ესე ყუელა ჯუმლადა დანაყე, დაცრენ და

¹ აბულასა—მოცხარია. მერცხალა შეცდომაა.

² აყირყარა—მთის ტარხუნა ა. დ. ხ.

ყურძნისა წუენითა, ან წყლითა შეზილე და აბები შექენ თხილის
გულის ოდენი და თუითოსა პირშიგა ჩაიდებდი და რა დადნეს სხუა-
სა ჩაიდებდი. თუ ნერწყუი მოგადგეს, წანერწყუე, ერთობ მარგე
არის ღ~თითა.

თუ პირშიგა რამე აებეროს, ანუ გამოესხას ისი სტომაქისა სი-
მხურვალისა და ბუხრისაგან იქნების. ესე ოთხისაგან იქნების: ს ი ს-
ხ ლ ი ს ა გ ა ნ, ზ ა ფ რ ი ს ა გ ა ნ, ს ე ვ დ ი ს ა გ ა ნ და ბ ა ლ ღ მ ი-
ს ა გ ა ნ.

თუ ს ი ს ხ ლ ი ს ა გ ა ნ იყოს, წითელი იყოს და ცხელი და
10 პირთათ დორბლი ბევრი სდიოდეს, თუ ყმაწუილსა ძუძუ მწოვარსა
წაეკიდოს არა დია წაეკიდების, თუ წაეკიდოს ნელთბილი წყალი
პირშიგა იმგუბოს და კიდევა იღარღაროს და მერმე ყმაწუილსა
პირშიგაცა ჩასხას და ყელს უკანაცა დაუზილოს იმითა.

თუ დიდსა კაცსა სჭირდეს, თუ ს ი ს ხ ლ ი ს ა და ზ ა ფ რ ი ს ა-
გ ა ნ იყოს, ამაზედათ რომე ნიშადურისა ყურსი დაგუიწერია ისი
უყავით

ძრმითა და უწინა ხელი გაუხსნან. და წამალი ესე ქენ, აიღე: თუხ-
მაქანი და ვარდისა თესლი, ნიშასტაგი და ტაბაშირი და ხმელი ქინ-
ძი და სინაიმაქი თუითოსაგან თუითო დრამი, დანაყე, გაცერ, ძმრი-
თა შეზილე და პირშიგა ჩაუშუი და ჩაუდევ ყოველთა დღეთა ვი-
20 რემდი შეძლოს გაძლება მერმე პირი გამობანე და უშველის ღ~თი-
თა. ყოველთა დღეთა ქნას ვირემ გამრთელდეს.

თუ ზ ა ფ რ ი ს ა გ ა ნ იყოს და ცხლად ებას პირი, ამან გაგრი-
ლოს და უშუელოს ხახისა ტკივილსა, პირისა და ღრძილისა ტკი-
ვილსა უშუელოს. აიღე ნიშასტაგი ხუთი დრამი და ტაბაშირი ორი

დრამი, წითელი ვარდი სამი დრამი ზაფრანა ერთი დრამი, შაქარი, თუხმაქანი, ოსპი თუითოსაგან ოთხოთხი დრამი, ყაყულა ერთი დრამი, ქაფური ერთი დანგი, ესე წამლები ყუელა დანაყე გაცარ და პირშიგა ჩაყარე და ერგოს ღთითა.

30 თუ ბალდმისაგან იყოს თეთრი იყოს, პიტნა და სათარი¹ ერთად მოადულე და იმითა იღარღარებდეს და გულბა შაქარსა მისცემდენ კამასა თესლითა. და საჭმელი ხმელი ყუელა, შექნილი ქონდრიითა და იმისგან აჭმევდით.

თუ ესე სენი შავათ იყოს, სევდისაგან იქნების და უფრო მძიმე არის. პირველად ხელი გაუხსენ, მერმე აილე მამირანი ჩინი, სუთი რომე თოფალახსა ქვიან და ინა, ესე დანაყე და ტლედ [ქენ] და პირშიგა შემოიდვას. და რასაცა საჭმელსა სევდა ქონდეს იმას

¹ სათარი—მდოგვია.

ნუ ჭამს და მისგან იფარეზოს. ისი ის არის რომე აწე მოგახსენებ: ბაჯინჯარი, ქალმა, ოსპი, და ხორცთაგან ხმელი ხორცი და ზროხისა ხორცი და ნადირისა ხორცი, ამისგან ფარეზი ქნას. და მისი საჭმელი ქათმისა ხარშო იყოს და ტკბილი ბროწეული.

სხუაი, რომე პირი უყროდეს მისი წამალი ისი არის, რომე ტკბილისა საჭმლისაგან და ნიორისაგან ფარეზი ქნას, და თუ ტკბილი რამე ჭამოს, ჯულაბითა პირი გამოიბანოს. თუ ნიორი ჭამოს კბილის ძირი ან თაფლითა და ან შაქრითა დაიბანოს. და პირსა მუდამ ვარდისა წყლითა და ძმრითა გამოიბანდეს. კბილებსა მუსაგითა¹ გამოიკაზმიდეს და ასეთი წამალი ქენით, რომე კბილები გათეთროს და სული გამოიღოს. ისი ესე არის დაიჭირე: ზღუის ქაფი, ჩინურისა ნატეხი ანდრანაული მარილი თუითოსაგან სამი მიტყალი, დამწუარი ქერი, სუდი დამწვარი, სუმბული და გაზმაზუ და აბულასი,² რომე მოცხარსა ჰქვიან და შაბი იამანი ესე ყუელა დამწუარი და ძმქრითა დამბალი, თუითოსაგან ორორი მუტყალი, აყირყარა ხუთი მუტყალი, სანდალი, ფუფული თუითოსაგან ორი მუტყალი, ეს ყუელაი ერთად დანაყე და იმითა კბილისა ძირსა დაიზელდეს.

და ტყემალი მოხარშული და უხარშავიცა, ატამი და ნესუი, რომე უზმა ჭამდეს მარგე არის. და ქერისა ანაკუეთი ცივითა წყლითა და შაქრითა, რომე კბილისა ძირსა და პირსა იმითი იზელდეს, მარგე არის. და რაცა წამალი გახეთქილისა კბილისა ძირისათვის გუითქუამს ისივე ამას შეუწყევით.

ნიშანი ენისა [სიმსივნისა] რომე ზუფდა ქუიან ისი არის, რომე ენა გაუსივდეს და საუბარსა ვედარა დაიწყებს და ერთობ სტკიოდეს, მას ყიფალი გაუხსენ და მარილ წყლითა და ძმრითა ღარღარა აქნევიან და საჭმელად სიქანგუბინშიგა პური ჩაუყარე და იმას აჭმევდი. და ენასა ქუეშე ყოველთა დღეთა ბაზრაცატუნისა აბსა დაუდებდი. [თუ ამან არა უშუელოს ენასა ქუეშე ძარღვი გაუხსენ]³.

30 თუ ამან არა უშუელოს ბაგესა შიგა ოთხი ძარღვი არის ისი გაუხსენით მას უკანის ნიშადური დანაყოს და ცოტა მარილი და ცოტა გუნდა დანაყოს და შიგა გაურიოს, ეს ყუელა ძმარშიგა გაუ-

რიოს და მითა ღარღარა აქნევიანე.

ს ხ უ ა ი წ ა მ ა ლ ი, აიღე: ძაღლის ყურძენას წუენი ოთხი დრამი, ვარდისა ზეთი ორი დრამი, ოსპი ორი დრამი, ზაფრანი სამი დრა-

¹ მუსაგი—ზეთის ხილის ხესა ქუიან ა. დ. ხ.

² აბულასა—მოცხარი.

³ ეს ვარიანტის ჩამატებაა.

238

მი, ესე ყუელა დანაყე წურილად და კუერცხისა ყუითლითა გაურივე და ვარდისა ზეთი და ძაღლის ყურძენასა წუენი ზედა და[ა]სხი და გაურივე, და ენასა შესცხებდი.

ი ც ო დ ი თ თუ ენა ს ი მ ხ უ რ ვ ა ლ ი ს ა გ ა ნ ასტკივდეს, მისი ნიშანი ესე არის, რომე გასივდეს ან გაშავდეს, ან გაყუითლდეს, და დაუსქდეს.

თ უ ს ი გ რ ი ლ ი ს ა გ ა ნ სტკიოდეს გათეთრდეს. თუ ს ი ნ ე დ ლ ი ს ა გ ა ნ სტკიოდეს დასუსტდეს და ბევრი დუჟი მოსდიოდეს. და რომელი ს ი ს ხ ლ ი ს ა გ ა ნ სტკიოდეს [ენა] გამაგრდეს და გახმეს.

10 თუ კაცსაა ენა დაუსუსტდეს წამალი ესე ქენ, აიღე: ბელეკონისა გომიზი და ანგუჟატი რომე ქალბანა არის, თუითოსაგან ორი დრამი, ერთმანეთსა გაურივე და დღივ სამჯერ ცერცუის ოდენი ენასა ქუეშე დაჭირვინე რომე დადნებოდეს, და მდოგუითა და თაფლითა ღარღარა აქნევიანე და პირსა თბილითა წყლითა გამოიბანდეს აზანოსა, იგი სჯობს.

ს ხ უ ა ი წამალი მისი; სათარი, ხარდალი, აყირყარა, ქაბრთა ძირის ქერქი და გონდაშისა ამას დანაყდეს და ენასა იცხებდეს, და ამავე წამალსა მოადუღებდეს და იღარღაროს.

და ნიშადური თრიაყსა გაურიოს ცოტა და კბილისა ძირსა

20 დაიდვას, მარგე არეს.

და თუ ენისა სიმძიმე ს ი ხ მ ი ს ა გ ა ნ იყოს, თხის რძესა და იისა ზეთსა პირშიგა იმგუებდეს და შთაისხმიდეს და თავზედაცა დაიწუელიდეს რძესა, იგიცა კარგი არის.

ს ხ უ ა ვ ე, თასნუჯი ენისა სიმძემესა ჰქვიან, მისი წამალი: აყირყარა დანაყოს და ყოველთა ღამეთა ენაზედა დაიყრიდეს და მდოგი დანაყე და ძმარი გაურივე და მითა ღარღარა აქნევიანე, და იარაჯფეყრათა ღარღარა აქნევიანე, და გრილსა ნურასფერსა ნურასა ჰამს. თუ მით არა ეშუელოს იარაჯფეყრაცა შეასუე.

30 თ უ ფ ი ლ ე ნ ჯ ა დ გარდაიქცეს, რაცა ფილენჯისა წამალი სწერია ისი უყავით და მერმე დაიჭირე: უდი და აყირყარა, სონიჯი სწორი, დანაყე და თაფლითა მაჯუნად შექენ, და აჭამე, მარგე არის. და მჟავესა ნურას ფერსა ნურას სჰამს, საჭმელი ყუელა მომხურვალო შეუწყევით.

თ უ მთელსა კაცსა ან სნეულსა ანასდა ენა დაუსუსტდეს მისი წამალი ესე ქენ, აიღე ხმელი სონიჯი და ხმელი რეანი სამსამი დრამი, ინდაური მარილი და ბორა თვითო დრამი, ქონდარი და მთის ჩამიჩი და ქარქუეტასა ძირი და მდოგი თუითოსაგან ორი დრამი, ნიშადური ერთი დრამი, ყუელა ერთსა ჭურჭელსა შიგა ჩაყარე

და ზედა სამი ლიტრა წყალი და[ა]სხი და მერმე ადულე მანამდის რომე ნახევარ მოიყაროს, მერმე უკმოდგი და დადგი, რომე დაწმდეს და იმა წყლითა ღარღარა ქნას და უშუელოს ლ~თითა.

თ უ ენას ზედა გამოყაროს, თუ შავი იყოს სიმხურვალისაგან არის, მისე წამალი თაფლი და ვარდის ზეთი გაურივეთ და პირშიგა აღებინეთ და უშუელოს ლ~თითა.

ს ხ უ ა ი წ ა მ ა ლ ი, ენაზედა რომე ოსპივითა გამოყაროს სამისაგან იქნების, მისი წამალი, აიღე: ყუითელი ალილა და ტყავ გამმურალი ოსპი, იგი დანაყოს და ყოველთა ღამეთა პირშიგა ჩაიყაროს, და დილეულად გუნდა დანაყოს და ძმარშიგა გაურივე და პირი მითა გამოირცხას.

მ ე ო რ ე, ისი რომე ენა გაუწითლდეს და ზედაცა რამე გამოესხას მრგულაი, ისი სტომაქისა ბუხარისაგან იქნების. ისი რომე მრგულაი იყოს ენაზედა, მას ხამი აბრეშუმი მოკრან და დღე და დღე მოუჭირონ მანამდის, რომე მოვარდეს, მას უკანით ცოტა ქაფური და ცოტა ქასნი დანაყე და წყალშიგა გაურივე და მითა ღარღარა აქნევიწე, ყიფალიცა გაუხსენ და კისერზედა კოტოში მოკიდე.

ე რ თ ი ფერი სხუა არის სასისა სიხმისაგან იქნების, რომე თუითო თუითო გამოვიდეს ოსპისა ოდენი და დღივ და დღივ იმატებდეს და გადიდდეს. მისი წ ა მ ა ლ ი ცოტა ქაფური დანაყონ და იმას ზედა მოაყარონ და მუდმად ძმრითა და ვარდის წყლითა იღარღარებდეს. და თუ სიწითლე გაუთეთრდეს გახეთქა უნდა შაშრითა, და ცოტა ქაფური დანაყილი ზედა დაყაროს და უშუელოს ლ~თითა.

პ ი რ ს ა თუ თბილი წყალი მოსდიოდეს, აიღე: სპანძილი, მარიამ საკმელასა ქუიან, მდოგი და ტარხუნისა თესლი და მისი წონა ბოლოკისა და წიწმატის თესლი, ესე ყუელა დანაყე, გაცარ და აქლემისა ფსლითა და[ა]ლზე, მერმე გა[ა]ხმე კარგა, მერმე კიდევე დანაყე და აბები შექენ ოსპის ოდენი, და ამა აბისაგან თუითოსა გალესევი დი მარზანგუშისა ზეთითა ცხურშიგა ჩაუშუებდი, და ყოველთა დი-30 ლათა თავზედა თბილსა წყალსა დაისხემდი.

თ უ პირშიგა ან ღრმილშიგა მ ჭ ა მ ე ლ ი შეექნას ისი სენისა სიმწუავისაგან იქნების, უწინა ხელი გაუხსენ, ყიფალი, ანუ ენისა ძირსა ძარღუი გაუხსენ, ანუ ბაგისა შიგა ოთხი ძარღუნი არიან ისინი გაუხსნენ და თავზედა უკანით კოტოში მოკიდე და მერმე ესე წამალი უყავ, ა ი ღ ე: მწუანე გუნდა, მარილი და მურდასანგი და წყალ დაუხსმელი კირი და ტუხტისა ძირი პილპილი და კულიავი და ნიახურისა თესლი, ალილა და ბროწეულისა ყუავილი, ბორა ერმანი, ესე ყუელა სწორსწორი ქენ, დანაყე, ერთმანერთსა გაურივე

240

და თაფლითა შეზილე და კარგითა ძმრითა პირშიგა იმგუბოს მრავალჯერ, ერგების ლ~თითა.

ნიშანი კბილის ტკივილისა. კბილსა რწყევა ერთობ დაზიანებს და მაგარისა რასამე გატეხაცა დაზიანებს. რა რწყევა [უნდოდეს] კბილისა ძირი და პირი და კბილები მოიზილოს, მერმე არწყიოს და ყოველთა ღამეთა კბილებზედა ზეთებსა შეიცხებდეს, რომე ბუხარი არა მოეკიდოს. თუ კბილისა ტკივილი ¹ სიმხურვალისაგან იყოს, ვარ-

დისა ზეთსა შეიცხებდეს, ამისთვის რომე ბუხრები კბილებზედა მო-
ეკიდოს.

10 თუ კბილი სიგრილისაკე იყოს ბანისა ზეთი შეიცხოს მა-
სტაქითა, ანუ თაფლი, ან დანაყილი შაქარი. თუ დანაყო შაქარი და
თაფლში გაურბიო და შესცხო მარგე არის.

10 თუ კბილი სიმხურვალისაკან იყოს, შაქარი და თეთრი
სანდალი ერთად დანაყე და კბილსა შეიცხებდე. დანაყილი მარილი
თაფლშიგა გაურიე და ასტმითა დაწვი და კბილებზედა შეიცხე, ერ-
თობ მარგე არის.

და რაცა კბილებშიგა სენი შეექნების უფროსიც სტომაქი-
საგან იქნების, სტომაქისა ბუხარი თავშიგა გავა და თავისაგან კბი-
ლებში ჩამოვა. კბილებსა გაშინჯვა უნდა, თუ კბილის ძირისა სიმ-
20 სივნე იყოს, იცოდი რომე სენი კბილებშიგან არის, და თუ კბილსა
ფერი ქცეოდეს და გაშავებულიყოს მაშინ იცოდი რომე სენი კბი-
ლის ჯავარისაგან არის.

ნიშანი თუ კბილი სიგრილისაგან სტკიოდეს, ცივი წყალი
და ცივი ქარი ეწყინებოდეს, თბილი წყალი იამებოდეს.

თუ სიმხურვალისაკან იყოს, ცივი წყალი, ცივი ქარი
იამებოდეს, თბილი ეწყინებოდეს. ეს სენი თხელი იყოს ფიცხლავ
ემველებს, თუ სენი სქელი იყოს, მას გვიან ემველების.

წამალი: თუ კბილი სიგრილისაგან სტკიოდეს, აიღე: აყირ-
ყარა, შამიანდალი და გულნარი სამივე სწორე სწორი დანაყე ნახე-
30 ვარზედა ძმრით მოადულე და პირშიგა იგუბოს და გამოასხემდეს,
ერთობ მარგე არის და გამოცდილი.

თუ სიმხურვალისაკან იყოს ტკივილი აყირყარა დანა-
ყოს და გაცრას და ცოტა ქაფური გაურივე და საღაც სტკიოდეს
ზედ დააყაროს, და თუ მასტაქშიგა გაურიოს და ზედა დაიკრას ისი
სჯობს.

სხვავე, ძაღლისა ყურძენას წვენშიგა ცოტა ქაფური გაური-
ოს, პირშიგა იმგუბოს, ერთობ მარგე არის.

¹ აშიაზე სწერია მხედრულით „აქ ფურცლები აკლია ოთხი“.

ნიშანი კბილისა დაძურისა, ორის ფერისაგან არის, ერთი
რომე, კბილის ძირშიგა და მარღვებშიგან ბალღამი გამაგრებულ
იყოს, მეორე ისი რომე, კბილის ძირსა ხორცი ანუ ძვალი რომე
კბილზედა ასვია, ისი მოჭმული იყოს, მესამე რომე კბილსა სიხმე
მომატებოდეს და დაწურილებულიყოს, მეოთხე ნაკრაობისაგან თუ
კბილი დაემრას, დიდის საუბრისაგან და მაგარის ჭამისაგან და ენი-
საგან რომე ძვრიდეს, ამათგან ფარეზი უნდა ქნას.

წამალი დაძურისათვის. [თუ] მიზეხი ბევრის ბალღმისაგან
მოგროვებულისაგან იყოს, აიღე: შაბი ერთი დრამი, მარილი ერთი
10 დრამი, ბანისა ზეთითა ანუ მასტაქისა ზეთითა შეხილოს, შემოადვას
მარგე არის.

სხვა წამლები, აიღე: გულნარი, მჟავის ბროწეულის ქერქი,
ექუს ექუსი დრამი, წითელი ზარნიხი, შაბი, სამსამი დრამი, ვარდი
და თუთუბო რვარვა დრამი, სუმბული და უსხური თვითო დრამი

ესე ყუელა დანაყე, გაცერ და კბილისა ძირსა დააყარე.

სხვა, აიღე: თუთუბო. და მჟავე ბროწეულისა ქერქი, ალილას გურკა, ვარდი, სუქი, გულნარი, გუნდა შავი, სწორ სწორი დანაყე და კბილის ძირს დააყარე და სხვა, აიღე: ნიშადური, ნიშასტაგი, შაბი, სწორი დანაყე და კბილებისა შუა და კბილებისა ძირსა და-

20 აყაროს, მარგე არის.

თ უ ამან არ უშველოს მოსწვადონ ისრე, რომე მრთელსა კბილსა არა მიხუდეს რა.

თ უ სისხლისაგან იყოს, ამას ზემოთ მისი წამალი მოგონებული არის ისი უყონ, და ვარდის ზეთი და ბედნაჯირის ზეთი ნელთბილი ყურშიგა ჩაუშვი და ვარდის ზეთსა შესცხებდი კბილსა, რომე გაასუქოს.

თ უ ბერთა წაეკიდოს ამისთანა წამალი არ უშველის და უკეთესი ეს არის, რომე შემკრავითა წამლებითა უწამლონ.

თ უ ნაკრავისაგან იყოს, მასაც შემკრავითა წამლითა წამლონ.

30 და ის, რომე კბილისა ძირსა ხორცი, ან კბილისა ძირსა ძვალი მოჭმული იყოს, მას მჭამელისა წამალი უყონ, რომე მისისა ადგილსა მოგონებული არის.

თ უ კბილისა ძირისა ხორცი მოშლიყოს, აიღე დამწვარი შაბი და ცოტა მარილი გაურივე და ძმრითა მოხალული მაზარიონისა ძირკი გაურივე ესე ყუელა ღვინითა მოადუღე და გამოწურე და პირშიგა იმგუბებდეს ზედაზედ თვეშიგა ორჯელ, კბილის ძირსა ხორცსა დაამაგრებს, და სენსა გამოსწმენდს. და სიმრთელეზედა მაგრდებს ბძანებითა ღთისათა.

242

თ უ კბილის ტკივილისაგან პირი გაუსივდეს, აიღე იფნისა ძირი და კარგად დანაყე მარილითა და ბერძულითა ზეთითა გაურივე და პატრუკითა ყურშიგა [ჩაუდევ] და ერგოს ღთითა.

ს ხ ვ ა, იმავე სენისათვის აიღე მდოგი და სამი გუნდა, ცოტა ენდრო არსასპი, წიწმატი, ქონდარი, ბოლოკი, ყუელასაგან ცოტა ცოტა, თაფლითა გაურიონ, მერმე კარგითა ძრეელითა ძმრითა მოადუღე, ნელთბილი პირშიგა ააღებინე.

თ უ კბილისა ტკივილშიგა პირი გაუსივდეს ქარისაგან იქნების და სონიჯი ძმრითა მოადუღე და შემოსდევ, მარგე არის.

10 თ უ სიმხურვალისაგან იყოს, ძმარსა იმგუბებდეს პირშიგა და ეშველებს.

თ უ კბილი მოეჭამოს ჭიას და მხურვალი იყოს, მისი წამალი ისი არის რომე დიდი თირიაცი და თირიაცი არაბი იხმარონ, ლაშიგან შედვას და უშველის ღთითა.

ნ ი შ ა ნ ი კბილებისა თუ ჟანგი მოეკიდოს, ორისაგან არის, ერთი ბუხრისაგან, რომე კბილზედ დაეკვრის, ჟანგსა უძახიან, იმას დილას, დილას და საღამოს, რბილითა შეშითა აფხეკა უნდა. [თო]

კბილზედა გაერთებულიყოს, მაშინ ათლა უნდა მ უ ს ა გ ი თ ა გამოკმაზვიდეს და ზეთებსა შეიცხებდეს, როგორაცა ზემო დაგვიწერია და 20 სუნუნებსა ისუნებდეს და იხმარებდეს რაგვარაცა სწერია.

ნ ი შ ა ნ ი სუნუნისა რომე კბილი გამოწმინდოს და გაათეთროს. აიღე ზღვისა ქაფი, მარილი და თაფლითა დაწვი, როგორაცა წესი

არის და ამა წიგნშიგა სწერია, ანდრანული მარილი და დამწვარის მარგალიტის სადაფი, მრგვალი ზარევანდი, ლერწმის ძირისა, ნაცარი დამწვარი ქერის, ჯამისა ნატეხი, ყუელა სწორ სწორი დანაყე, გაცერ და კბილებზედა წაუსვი, კბილისა სიმრთელესა ძალი მისცეს.

ს ხ ვ ა, აილე მიჭურიტა. დამწვარი და დანაყილი და ზუმფერა ესე დანაყილი და გაცრილი, კბილზედა კარგად წაუსვი, ესე კბილსა ფიცხლად გაათეთრებს.

30 ნ ი შ ა ნ ი პირის სიმყრალისა, სტომაქის ბუხრისაგან იქნების, სტომაქისა ბუხარი თავშიგა გავა და თავდაღმა კბილებშიგა ჩამოვა. კბილზედა თითი დაადევ, თუ კბილი ცხელი იყოს და მაჯაცა ცხელი იყოს, თუხმაქანისა და ბადრუნიჯისა ფურცელი იცოხნოს და ზედაც დაიდვას და [თუ] ფურცელი აღარ იყოს მისი თესლი ნახევარზედ დანაყილი, მისი სანაცლო იქნების.

და თ უ სენი გრილი იყოს დაიჭირე თხილის გული. ნიგუზის გული ინდოურის ნიგუზის გული და მწარე ნუშის გული, სწორ-სწორი დანაყოს ნელთბილი კბილზედ შემოსდევ და ერგოს.

243

ს ხ ვ ა, მასტაქი და ყვითელი ცვილი ერთად ცოხნოს მარგე არის

თ უ ყმაწვილთა კბილთა ამოსვლა ადვილად გინდოდეს, რბილი სახელი შესცხე: ბატის ქონი, ქათმის მოხარშული, ყურდღლის, ტვინი მარგე არის.

თ უ ტკივილი გამოუჩნდეს და ტირილი შეაქნევინოს ყმაწვილსა, ძაღლის ყურძენას წვენი და ვარდის ზეთი სწორ სწორი ქენ, თითბხთა სადაც კბილი ამოლამოდეს იქ შესცხე წყნარად. არ უნდა რომე კიდეც რამე სცხო.

10 ს ხ ვ ა, წამალი რომე ბერთა კაცთა კბილები ადვილად დააყრევინოს. რაჟამ ჟამი ჟამზედა მიდგეს, რომე სიბერთა კბილები: აღარ დგებოდეს წამალი ეს არის, რომე პირველად კბილისა ძირსა. ხორცი მახვილითა აილე, მერმე ესე წამალი შემოსდევ, აილე: ტუტისა ხე და აყვირყარა რბილად დანაყე და მხისა პირსა დადევ, მერმე, ძმრითა დაზილე, რომე თავლივიტა შეიქნას. ყოველთა დღეთა სამჯერ კბილისა ძირსა ტლედ შემოსდევ ფიცხლად მოშლის. სხვა კბილები. ცომით დაუჭირე, რომე არ მიხუდეს.

რ ა ჟ ა მ ც ა კაცსა კბილებშიგა სენი დაემართოს ¹, თუ ღრძილი უსივდეს და წითელი იყოს, სიმხურვალისაგან იქნების, ფიცხლა 20 ხელი გაუხსენ და თავზედა კოტომი მოკიდე, და ვარდის ზეთი და ძმარი პირშიგა იმგუბოს, ზედაზედა, და ლუინო ივარეზოს და საჭმელი ყუელა ძმრითა ჭამოს, მოხარშულსა ოსპსა ჭამდეს. თუ ამან არ უშუელოს, აილე ქაფური, აფიონი ქარქუეტის ძირი თუითო დანგი დანაყე და ვარდის ზეთითა შეზილე და თითითა შესცხე სადაცა სტკიოდეს.

ნიშანი რომე კაცსა ყბანი დაღმა სცუიოდენ. მისი ნიშანი ესე. არის რომე, პირის ტყავი გაეჭიმოს ასრე რომე ერთი თვალი ვერა დაიჭუხოს, და სული სუსტად ამოსდიოდეს, რა ეს ნიშანი ნახო, იცოდი ყბათა დაღმა ცუივნა აზას ქუიან, წამალი ესე ქენ გამოცდილი

30 და მშუელელი. პირველად აბულმათინი მიეც, რომე ფელინჯსა სწე-

რია, მერმე ღარღარა აქნევიანე მდოგითა და სიქანჯაბინითა. და ერთი ჯავზი ბუა პირშიგა დაჭირვინე მუდამ, და ნიადაგ პირი ამა ზეთითა შეიმწენ, რომე დავსწერთ. აილე ყუსტი და თახუისა ყუერი ² თუითოსაგან ხუთი დრამი, ფარფიონი ერთი დრამი, ყუელა დანაყე და ღუინოშიგა გაურივე, და[ა]ლზე ღუინითა ერთ ჟამამდის, მერმე აილე ბერძნული ზეტი ორმოცდა[ა]თი დრამი, ამა ღუინოშიგა გაურივე

¹ პირველ ვარიანტს აკლია აქამდის,

² სწერია „კუერცი“.

მერმე ცეცხლზედა ადულე ნელად, მანამდის, ვირემ ღვინოი დაშრეს და ზეთი დარჩეს, იმა ზეთითა ყელი და პირი შეუმწენ ყოველთა დღეთა.

თ. კარი ყელის ტკვილისა. თუ კაცსა მალაზა ჩამოუვიდეს, რომე სომხურად ზანგიკი ქუიან ესე ორფერი არის, ერთი სასა გაუსივდების და მეორე იმავე სასადაღმა ხორცი ჩამოევიდების შიგნით ყელისა თავსა და იქი დაჯდების,

ამა მ ა ლ ა ზ ა ს ა მიზეზი ისი არის, რომე მსივანი ხორცი ჩამოევიდების შიგნით ცარიელი იქნების და სულისა ამოღებასა და საჭმელისა ჩანთქმასა დაძნელებს.

10 ესე სენი ოთხისაგან იქნების, ს ი ს ხ ლ ი ს ა გ ა ნ, ზ ა ფ რ ი ს ა გ ა ნ, ს ე ვ დ ი ს ა გ ა ნ და ბ ა ლ ღ მ ი ს ა გ ა ნ.

ნიშანი, თუ ს ი ს ხ ლ ი ს ა გ ა ნ იყოს; მისი ნიშანი ესე იყოს, პირისა გემო ტკბილი იყოს და ენა და პირი გაუწითლდეს და არა სწყურდებოდეს. რა ესე ნიშანი ნახო, იცოდი სისხლისაგან არის, პირველად ხელი გაუხსენ, ყიფალი, და მერმე მუცელი გაუხსენ ამა წესითა: აილე ძაღლის ყურძენასა წუენი, ანა მრავალ ძარღუასა წუენი, ანუ ნედლისა ქინძისა წყლითა, ან ქასინისა წყლითა.

ა ი ღ ე: ათი დრამი ხიარშამბარისა გული, ათი დრამი თარანგუბინი, ამა წყლითა გალესე და ათი დრამი შეასუი, თუ ვაჟი იყოს
20 ხუთი დრამი შეასუი.

ს ხ უ ა ი წამალი რომე პირველად ზაგიკი გამოჩნდეს ესე წამალი პირშიგა შეუბერონ, ასრე რომე ზანგიკსა ეცეს, აილე წითელი ვარდი, გულნარი ¹, გაზმაზუ ², თეთრი სანდალი, გაქლიბული თუთუბა, შაფი მამისა, ოსპის მუნკაშარი, ზარნაჩობი, სოსნისა ფურცელი, სწორ სწორი ქენი, დანაყე და გაცარ და გრძელითა მასრითა შეუბერე, რომე მიხუდეს.

ს ხ უ ა ი წამალი, აილე მოცხარი, კრკო, გაზმაზუ, თუთუბა, სწორსწორი წმიდად დანაყე და ვარდის წყლითა ადულე, გამოწურე და იმითა ღარღარა აქნევიანე.

30 ს ხ უ ა ი თათბირი რომე ზანგიკი ამითა აიღონ, აილე: თეთრი შაბი ოთხი დრამი, გულნარი რვა, და ქაფური და ნიშადური თუითო დრამი ყუელა დანაყე გაცარ და რკინის კოვზი დასოვლე და ესე წამალი ზედა დაყარე და შეუყავ პირშიგა და აზიდენ მითა.

თუ ზანგიკისა სიმსივნე ზ ა ფ რ ი ს ა იყოს, მისი ნიშანი ესე არის რომე პირი მწარე ებას და ენა ყუითელი და ცხელი იყოს და

¹ გულნარი—ბროწეულის ყვავილია.

მისი წამალი ესე არის რომე ტანი ყუითლისა ალილისა მათუხითა. გაუწმინდო. დაიჭირე: ყუითელი ალილა ხუთი დრამი ერთსა ღამესა და[ა]ლზე და დილასა მოადულე ასრე რომე ნახევრად მოიყაროს და გამოწურე და შეასუი. და თუ დანაყილი და გაცრილი მისცე თბილითა წყალითა, ორი დრამი ანუ სამი დრამი მიეც.

სხუაი წამალი, აიღე: თაბირინდი, შასთარა, ხიარიშამბრისა გული, ძაღლის ყურძენასა წუენი, ქერისა წუენი, ამათითა გაქენ, გამოწურე და ღარღარა აქნევინე, მარგე არის.

თუ ბაღდმისა გან იყოს, მისი ნიშანი ესე იყოს, რომე,

10 ზანგიკი გაუგრძელდეს, როგორაცა თაგუის კუდი გრძელი იყოს და მოთეთრო და რბილი, სიმწუავე და სიცხე არა ქონდეს, მაგრა მძიმე იყოს. ამისი წამალი, პირველად მუცელი გაუხსენ აბიყოყათა და ანუ აბისაბრი მასტაქითა და ყოველთა დილათა გულანგუბინითა, სიქანგუბინითა და ავქამითა ღარღარა აქნევინე.

სხუაი, მდოგი და გუნდა დანაყე და ძმრითა ტლედ შემოსდევ.

ნიშანი ჩასაბერავისა, აიღე: შაფი მამისა და წითელი ვარდი, თუთუბა, რუბისუსი, ნიშადური, ზაფრანა, ქონდარი, აყირყარა ¹. პილპილი, დარფილფილი, გაზმაზუ, ზარნაჩობი, ყუითელი ალილა, შაბი, გუნდა, აზუზმაქი ინა, ყაყულია, ყაბუზარა, წითელი ზარნიხი,

10 ყუსტი, ძაღლის მძღრენი, რომე თეთრი იყოს და სამსა დღესა დებულიყოს და ძუალი ეჭამოს და კაჭკაჭისა ხორცი დამწუარი, დანაცრებული, ესე ყუელა სწორი დანაყე და გაცარ და შეუბერე მასრითა.

თუ ზანგიკისა სიმსივნე სევდისა იყოს, იმისი ნიშანი ესე იყოს, რომე სიმსივნე მაგარი იყოს და პირი და ენა მოშაო იყოს, იქნები რომე პირისა გემო მომჟაოდ იყოს, და ესეცა იყოს, რომ ენისა სიმსივნესა გვანდეს. მისი წამალიცა რაცა ენისა სიმსივნისათვის სწერია, ისი უყავით და ზედაზედა ისი გასახსნელი წამალი უყავით, რომე სევდისათვის სწერია გასახსნელი, მერმე ესე გრილი

30 წამალი უყავ, რომე პირშიგა იმდგომოს და კიდევცა იღარღაროს: ქინძისა წუენი და ქაქიანისა წუენი პირშიგა იმდგომოს, და კიდევცა იღარღაროს, რომე სიმსიმნემან არა იმატოს და სარატანად არ გარდაექცეს.

ნიშანი ხუნაყისა. ხუნაყი ამას ქუიან, რომე ხახა სტკიოდეს და საჭმელსა ვერა ჩანთქმედეს და ყელიცა გაუსივდეს, ესე ავი სენი არის. ყელიდაღმა რომე სისხლი ამოსდიოდეს, მასაცა ხუნაყი ქვიან. თუ ხუნაყი დაემართოს და ყელი ასტკივდეს და სულსა ვერა

¹ მთის ტარხუნა.

ირქუევდეს და გაუსივდეს, ორისაგან იქნების, ერთი სისხლისაგან, ერთი ზაფრისაგან.

თუ სისხლისა გან იყოს, მისი ნიშანი ესე არის, რომე წითელი იყოს, და ხელი დასდვა შიგან იძრვოდეს, რა ესე ნიშანი

ნახო ფიცხლა ხელი გაუნსენ და სისხლი მეტად ბევრი ადინეთ.

თუ ზ ა ფ რ ი ს ა გ ა ნ ი ყ ო ს, ფერზედა ყუითელი იყოს დანა-
მეტნავად ცხელი იყოს, და მაჯა წურილად და ჩქარად სცემდეს.

თუ ცხურიშიგა ჩაუვიდეს და ცხური გაუსივდეს, ამასაცა ხე-
ლი გაუხსენ და ასეთი შარბათები და საჭმელი შეუწყევ რომე სის-
10 ხლი და[ა]წყნაროს.

თუ ზ ა ფ რ ი ს ა გ ა ნ ი ყ ო ს, წამალი მისი, აიღე: შირხიშტი და
ანუ მჟავითა და ანუ ტკბილითა ბროწეულისა წყლითა ან ქასნის
წუენითა ხიარშამბარი დადნონ, იმისგან სუას, რომე მუცელი დაულ-
ბოს და გაწმიდოს. აწე ღარღარა ქნას ამა წესითა, დაიჭირე: მური
წმინდაი ორი მუტყალი და ზაფრანი ერთი მუტყალი, ესე ორივე
ტუტისა წუენითა ჩადნონ და იგი იღარღაროს. და ხიარი შამბარი
ახლითა რძითა ჩადნონ და ბორა ტუტისა შარბათითა ჩადნოს და
იგი იღარღაროს. და ლელუი და ულბო ორივე მოადუღონ და ამა
წყლითა ხიარიშამბარი გაქნან და იღარღაროს, ზროხისა ერბოთა და
20 ღუინითა მოდუღებული ქალმის წყალი იღარღაროს. და მისი საჭმე-
ლი ქერის წყალი იყოს და ანუ ანაკუეთისა წუენითა შეჭამადი შე-
უწყონ.

ხ უ ნ ა ყ ი ს ა წ ა მ ა ლ ი: ქარბა დანაყონ და ხუნისიაოშანი,
გილიერმანი, ტინი მახუმი და სამყი ყუელა თან წონა ქნან, და ფარ-
ფარა დანაყონ და მისითა წუენითა იღარღარებდე, ასხმიდეს გაუწ-
ყუეტელად. და თუ სუსტად არა იყოს ყიფალიცა გაიხსნან, ამისთვის
რომე, სისხლისა დაჭარბებისაგან დაემართების. თუ არა უშუელოს
ტლე შეიწყოს. ტლისა წამალი ბამანი, სუხა ტაბაშირი, თუითოსაგან
ორორი მუტყალი დანაყონ ყუელა და ვარდისა წუენითა და ქინძისა
30 წუენითა შეზილონ და შემოსდვან.

თუ ხუნაყისა უფალმან პირიდალმან პერული ამოიღოს, სიმრ-
თელისა ნიშანი არის, ამისთუის, რომე ძალი და მამაცობა მისსავე
ადგილსა არის.

თუ ხუნაყისა უფალსა ფერი გაუმწუანდეს და თუალისა გარე-
შემო გაუშავდეს, მასვე წამსა მოკუდეს.

პ ი რ ვ ე ლ ა დ რომე ხუნაყი გამოჩნდეს ყიფალი გაუხსნან, და
სისხლი ასდენი ადინე, რომე შესუსტდეს, მასვე წამსა ეშუელების.

247

თუ სუსტად იყოს, მაშინ ერთ პირად ნუ ადენ, სამსა დღესა
ათათი ან სუთხუთი დრამი ადინე, ამისთუის რომე არ დასუსტდეს.
და თუ დასუსტდების, სულისა გუბება დაერთუის და სისუსტეშიგა
სულისა გუბება ავი არის. და ავისა ნიშანი და ენისა ძირსა მარლუი
ნახე, თუ სავსე და გაზიდული იყოს, ფიცხლა გაუხსენ თნევა არ
უნდა, ერთობ მარგე არის, თავზედ კოტოშისა მოკიდებაცა მარგე
არის.

თუ ყელი ასრე შეკრვით იყოს რომე, არას ჩაუშუებდეს, მუმ-
რულანი შექენ, პირშიგა იმგუბოს და ცოტა ცოტასა ჩანთქემდეს.
10 და აგრევე ქაფურისა მალამა კუერცხისა გულშიგა გაურივეთ და
ისიცა პირშიგა იქონოს და ჩანთქემდეს. თრიაყიაათი ჭამოს, ისიც
კარგი არის ნებითა ღ[~]თისათა.

თუ ყელიდალმა სისხლი ამოსდიოდეს, მას კარგად შეტყობა

უნდა თუ სით მოსდის, ნიშანი: თუ სისხლი წითელი იყოს ღუიძლი-
საგან იქნების, თუ სისხლი მოშაო იყოს ტყირბისა და ფერდისაგან
იქნების, თუ სისხლი მოთეთრო იყოს სტომაქისაგან იქნების, ამას
ფიცხლა ყიფალი გაუხსენ და ესე წამალი შეუწყვი, ა ი ღ ე: ასარო-
ნი, სოდი ¹, ტაბაშირი, ვარდი, სამყი არაბი თუითოსაგან თუითო
დრამი, ერთი დანგი აფთიმონი, ესე ყუელა ჯუმლად დანაყე და გა-
20 ცარ და ბისა შარბათითა ყურსი შექენ თუითო მუტყალი და
ჩრდილსა გახმე და ყოველთა დღეთა, თუითო მუტყალი, სამსა მუტ-
ყალსა, ბისა შარბათითა გაურივე და შეასუემდი. თუ ამა სისხლისა
ამოღებაშიგა ხმელი ხუელა დაერთოს, იცოდი რომე ფერდი დაწყულ-
ლებულა და მისი ნიშანი არის. ამას, ქერისა კორკოტი შეუქნას და
ორი ფერი სინჯიტი და ბია და ვაშლი სამივე შიგა მოადულოს
მანამდი რომე ძალი შიგა გამოვიდეს და მერმე გამოწუროს და მის-
გან ყოველთა დღეთა ათათი დრამი შეასუი.

თ უ ტ ყ ი რ პ ი ს ა გ ა ნ იყოს, თუ ძალი ქოსდეს და სუსტად
არ იყოს, ამასაცა ყიფალი გაუხსენ და თუ არა შეემლოს და სუსტად
30 იყოს ამა ზემოთ რომე ქერისა კორკოტი დავწერეთ ისი უყავით,
ასრე რომე წყლისა კირჩხიბი შიგა მოადუღეთ, კირჩხიბი დედალი
უნდა, დედლის ნიშანი ესე არის, ზურგი ნემსითა დაუჩხელიტეთ თუ
რმე გამოვიდეს დედალი არის, თუ სისხლი გამოვიდეს მამალი იქნე-
ბის, ამისი საჭმელიცა სუმაყითა და ისრიმითა შეუწყვიტეთ და ხმელი
ქინძი და ოსპიცა შიგ მოადუღეთ, მერმე ვაშლის ფურცელი და ბის
ფურცელი დანაყე და მოადუღე, მერმე მოიღე სამოსლისა ნახევი,
და მით დასოვლე და გულის პირსა დასდეგ.

¹ სოდი — თოფალახია.

მერმე მას უკანით ბია და ვაშლი დანაყეთ და ხმელი ვარდი
და სანდალი დანაყეთ და ორივე ვარდისა წყლითა გაურიე და
შუბლსა და თავზედა შესცხე და საჭმელი სუმაყითა შეუწყვიტეთ.

თ უ ახუელებდეს და ხუელითა სისხლსა ამოიღებდეს ავი
სენია, წელთა შუაშიგა კოტოში მოკიდე და მერმე ესე წამალი
შეაწყევ, აიღე: გილიერმანი, სამყი არაბი, ხუნისიაოშანი, თეთრი
საკმელი, თუითოსაგან თუითო დრამი წურილად დანაყე, მერმე ბის
შარბათი გაურივე ორორი მუტყალი, მიეც რომე ჭამდეს.

თ უ ამან არ უშველოს ზუფასა შარაბი მიეცით და საჭმელი
10 რმითა შეუწყვიტეთ.

ს ხ უ ა ი წამალი, ა ი ღ ე: რევანდისინი და აფიონი თუითო
დრამი, ბროწეულისა ყუავილი ერთი დრამი და ნახევარი, ბერძული
თიხა და სადაჯინდი ხუთ ხუთი დრამი, ქარბა სამი დრამი, ძმათა
სისხლი და თეთრი საკმელი ნახევარ ნახევარი დრამი დანაყე და
გაცარ და ქათირას წყლითა გაურივე და კუერები შექენ და ჩრდილსა
გახმე რა მოგინდეს, მიეც ცივითა წყლითა სამი დრამი, და საჭმელი
ფუმრუკი მიეც ნუშისა ზეთითა.

პ ი რ ი ს ა გ ა ნ თუ სისხლი ამოვიდეს სლოკინითა ან დუჟითა,
ფარეხად შეინახე და წამალი ესე უყავი: პირველად ღარღარა აქნე-
20 ვინე იმითა რომე ხახისა ტკივილისა სწერია.

თუ ზედასა სასასა სდიოდეს ანუ დუჟსა ყვებოდეს სისხლი იგი ავია, და საჭმელსა ნუ აჭმევ. და თუ სლოკინითა ამოვიდეს იგი სჯობს და ნუ გეშინიან და წამალი ესე ქენ: პირველად მარლუი გაუხსენ და მერმე აიღე ძმათა სისხლი და თეთრი საკმელი და ბროწეულისა ყუავილი და ხაშხაში და სამყი არაბი თუითოსაგან სამი დრამი, შავი ხაშხაში ორი დრამი დანაყე და გაცარ და რა მოგინდეს მიეც და სამი დრამი ზედა ბიისა სასმელი შეასუი ცივითა წყლითა ათი დრამი. და საჭმელი ისრიმითა და აღტორითა და მუზაფარი უხორცოდ აჭამე და უშუელოს.

30 ს ხ უ ა ი ფერი წამლებია, რომე ყოველსა ფერსა სისხლისა მოსულასა უშუელის ესე არის: აიღე შადნაჯი გარეული ერთი მუტყალი, თუხმაქანისა ფურცლისა წუენითა ანუ ბადრუნჯისა წუენითა ანუ მრავალმარლუას წუენითა. შეასუა ერთობ მარგე არის, კიტრისა წუენი ამაშიგა ერთობ მარგე არის და მარტო ისრიმისა რქა დამწუარი მარგე არის. და პიტნისა წუენი ამაშიგა ერთობ მარგე არის. ქინძისა ყუავილი სამი დრამი ცივითა წყლითა დილასა და საღამოსა ერთობ

249

მარგე არის. და ორი დრამი აბულასი ფარფარასა წუენითა და ან მრავალმარლუას წუენითა შეასუან მარგე არის ყურდგლის დურიტა ან ჯერნის დურიტა ან თიკნის დურიტა, ძუელითა ღუინითა შეასო მარგე არის ნებითა ლ~თისათა. და საჭმელად თუთუბასა საჭმელი შეუწყევ.

თუ ამა სენისა უფალსა ცხელება მოუვიდეს ორი დრამი ყანტარიონი ¹ შეასუი ცივითა წყლითა მარგე არის.

ნიშანი ხმისა ჩავარდნისა: ორისა ფერისაგან იქნების, ერთი სინედლისაგან და ერთი სიხმისაგან. თუ ს ი ნ ე დ ლ ი ს ა გ ა ნ იყოს.

10 მისი ნიშანი ესე იყოს რომე, რა ხმის ამოდება უნდოდეს, წურილად ამოიღოს, ასრე რომე როგორაცა ბატარასა ლეკუისა, ესე ბალღმისაგან იქნების.

თუ ს ი ხ მ ი ს ა გ ა ნ იყოს, ხმა, წეროსა ხმასა უგვანდეს.

წ ა მ ა ლ ი ხმისა ჩასულისა ის არის, რომე ფიცხლად უწამლო, თუ ხანი გამოვა ძნელად ეწამლების.

თუ სენი ს ი ხ მ ი ს ა იყოს, მისი წამალი ბაზრაცატუნისა ლაბა შექენით. აჭმევდით, ნელთბილი ქათმისა ხარშოი მსუქანი და კუერცხისა გული შაქრითა მარგე არის. კიტრისა და ასპანახისა ხარშო, ცხელი რძე შაქრითა, კარაქი შაქრითა, ნიშასტაგი შაქრითა. აზანოს.

20 ბანა, ხშიდად ნელთბილისა წყლისა სმა მარგე არის. და ტკბილი ბროწეული სუელსა მწუარშიგა წახუიე და ცხელსა ნაცარშიგა ჩადევ რომე შეიწუას, მერმე თავი მოხადონ და მისი გული შეშითა დატყიჟონ, მერმე ცოტა იისა ხეთი, ან წუშისა ზეთი იმა ბროწეულზედა დასხან, მერმე ჯულაბი შექნან და ამა ბროწეულისა წუენშიგა გაურიონ და გათბონ ნელად და შეაჭამონ ერთობ მარგე არის.

თუ სინედლე და ბალღამი სჭარბობდეს ქალმისა ლოყა არგებს, წამალი მისი, აიღე: ქალამისა შტო და ფურცელი და წყლითა მოხარშე, მერმე დატყილიჟე და გამოწურე, მერმე თავლი გაურივე და მანამდინ ადულე რომე შესქელდეს და მერმე აჭამე, მარგე არის.

30 ს ხ უ ა ი, აიღე: ანგუჟატი ათი დრამი, ზაფრანა ოცი დრამი,

თაფლი ოცდათი დრამი, ერთმანერთშიგა გალესე, მერმე ადულე მასამდის რომე გასქელდეს, მერმე პირშიგა დაიჭირევდეს და წოვდეს, ანგუჯატისა ლოყია ჰქუიან.

ს ხ უ ა ი, აიღე: ხმელი ლელუი და ხმელი პიტნა იყოს და, თუ ნედლი ესე სწორ სწორი წყლითა ადულონ მანამდი რომე ლელუი დადნეს და თაფლივითა შეიქნას და გამოწურე და მერმე დანაყილი

¹ ყანტარიონი—მრავალმარღვა არის.

250

სამყი გაურივე და ცოტად კიდევე ადულე და სანამდის გასქელდეს და პირშიგა ჩაიდებდეს და სწოვდეს.

თ უ სიმზურვალისაგან (იყოს) ხმისა ჩავარდნა ქერისა კორკოტისა წუენი ნუშისა ზეთითა ერთობ მარგე არის.

თ უ ბალღმისაგან და მიჭირვებისაგან იყოს, მისი წამალი, მას ქუიან ქათმისა ხარშო, ცხელი რმე თორხოლო კუერცხის გული სხუილის ცერცუის ფქუილისა სახურეტელი, ყუელა შაქრითა. ღუინო იფარეზოს და ჯულაბსა სმიდეს.

თ უ ხმა უთრთოდეს, მისი მიზეხი ფირტუისაგან არის, მან
10 რაცა ღონე იყოს ზახილისაგან, მალღისა ხმისაგან, საუბრისაგან და სიცილისა მწოვისა და გაგულისებისაგან და სარჯლისაგან ფარეზი ქნას და პირ აღმა ნუ დაწუების—პირ დაღმა დაწუეს და მისსა მკერდზედა ტყუივისა ფიცარი დააკრან, ასეთი რომე აღება ემძიმდებოდეს, და წყნარად და ტკბილად უზნობდეს და მუცელი გაუხსენ ძალიანითა ოყნითა და ლელუი და იის მაჯუნსა აფთიმონისა წუენითა ჭამდეს და ღარღარა ავქამითა და იარაჯი ფეყრათა აქნევინეთ. და აბები შექენით ამა წამლებითა, აიღე: აყირყარა და თახუის ყუერი, აბინილი, აბულღარა, ხარის ძირა, საქფინაჯი, მუყლი, ჯავაშირი, ნიახურისა თესლი, ეს ყუელა დანაყე და გაცარ და ნიახურისა წუენითა
20 აბები შექენ, როგორაცა სხუისა აბისა სწერია და იხმარე, მითა წესითა. და საჭმელი შუენიერი ყუელა ავქამითა ანუ ნარდანგითა, მლაშე თევზი მდოგითა შექენი ერთობ მარგე არის.

კ ი ს რ ი ს ა ტ კ ი ვ ი ლ ი ოთხისაგან იქნების, ერთი ს ი ს-
ხ ლ ი ს ა გ ა ნ, ერთი ბ ა ლ დ მ ი ს ა გ ა ნ, ერთი რომე თავი ავად სდებოდეს, ერთი რომე მალღიდაღმა ჩამოვარდნილიყოს [და ან ცხენსა ჩამოეგდოს] და ანუ წაქცეოდეს.

თ უ ს ი ს ხ ლ ი ს ა გ ა ნ ი ყ ო ს, მისი ნიშინი ესე იყოს, რომე ისი ადგილი წითელი იყოს და ცხელი, ესე სენი კისრისა ძუალშიგა შეექნების და ქარი არის. მას ყიფალი გაუხსენ და კოტოშიგა მოკი-
30 დე და მუცელიც გაურბილე ¹ ხიარი შამბრითა და თარანგუბინითა. და იმა მტკივანზედა ტლე შემოსდევ, აიღე: ქერის ფქვილი ძმრითა და ქინძის წუენითა და ფაჩღრაბანდითა შეზილე და შესცხე მარგე არის.

თ უ ბ ა ლ დ მ ი ს ა გ ა ნ ი ყ ო ს, ისი ადგილი თავისავე ფერზედა იყოს და მოთეთროდ დასცემდეს. პირველად გასახსნელი მიეც: აბი შაბიერი და აბი ყუყია აღებინე და ყაყულა, უფული ორივე დანაყე და ძმრითა გადგინე და სადაცა სტკიოდეს იქი დასდევ.

¹ სწერია „გაუგრილე“.

ს ხ უ ა ი ფერი, აიღე: ბაბუნაჯი და ანაკუეთი წყლითა მოადუ-
ლე და იმა წყალშიგა ჩაჯდეს და ზედა ისხემდეს.

ს ხ უ ა ი, აიღე: ფალანჯა, მუშვი, ზუფა, სისანზარი, ესეცა
ძმრითა ტლედ შემოსდევ.

თ უ ამით არ ეშუელოს, აბულმათინი მიეც იმა წესითა რომე
ფილენჯისა სწერია. და ყუსტი ზეთითა შეზილონ და მუდმად აბანოს
შევიდეს და იბანდეს და იზელდეს და რა აბანოთ გამოვიდეს ქალის
რძეშიგა იის ზეთი გაურიონ და მითა იზელდეს. და თუ მუცელშიგა
შეკრვით იყოს გასახსნელი წამლები შეუწყევით. და თუ ამა სენშიგა
10 მუცელი გაუსივდეს და სიმსივნე წითელი და ცხელი იყოს, ყიფალი
გაუხსენით და კოტოშიგა მოკიდეთ და ყურნიცა იცორნეს.

თ უ ამით არა ეშუელოს წურბელი მოიკიდოს.

თ უ ყელი გაუსივდეს და მუწუკივითა რამე გამოუვიდეს მრგუა-
ლი, თუხმა ქარის ნიშანია, ანუ ხუბისა ნიშანია.

თ უ ხ უ ბ ი იყოს გაკუეთა უნდა სამართებლითა და რაცა
მოკუეთილი ¹ იყოს და რაცა მანკია ყულა გამოვა. და თუ თუხმა
იყოს ვარდის ზეთი გააცხელონ და მით დაზილონ და გაქარდების.

თ უ ხ მ ი ს ა ნ ი შ ა ნ ი: ისი არის, რომე სიმსივნე ამოვა მუწუ-
კივითა, უბალდმო და იმას დაზელა ონდა და ხ ო ბ ი ს ა ნ იშანი ის
20 არის, რომე ბალდმითა აივსების და გამორწყვა უნდა. თუ სისხლი-
საგან იყოს, უწინა ხელი გაუხსენ ან მერმე ხილთა წყლითა და თა-
ბირინდითა და შირხიშტითა და ხიარშამზარითა მუცელი გაუხსენით,
მერმე ტლე შემოსდევით იმა ადგილსა ნედლისა ქინძისა წუნითა,
ძმრითა ქერის ფქუილითა და ქაფურითა, სანდლითა და ფაჩი დრა-
ბანდითა.

თ უ ყელის ტკივილი მაღლით ჩამოვარდნისაგან, ან ცხენისა
წამოქცევისაგან იყოს უწინა მუშია შეასუან ერთი დრამი თბილითა
წყლითა და შაქრითა და მასუკანით ცხელი ცხურისა რძე შეასონ
და მერმე, მასუკანით, ესე ტლე შემოსდევან, აიღე: ბაზრაყატუნი, ის
30 ფურცელი, ხატმისა ფურცელი, ბაზრაყატუნისა ფურცელი, ესე ყუე-
ლა დანაყე და ცოტა ქერისა ფქუილი, ცოტა ძმარი და კუერცხისა
გული, ყუითელი, ეს წამლები მაშიგა გაურივე და შემოსდევ მარგე
არის ნებითა ღ~თისათა.

ი კარი რომე წყლისა სუმაშიგა წურბელი ჩაყოლოდეს. მისი ნი-
შანი შეიტყევი: წყალი იქნების რომე წურილი წურილი ისხდეს და კაცი
პირდალმა წყალსა სუამს და ჩაყვების, ამა ნიშნითა შეიტყობის რომე

¹ ნუსხურ დედანში სწერია „მკუეთი“.

ხმაი ჩავარდების და ხახა წვას დაუწყებს და ყელიდაღმა სისხლსა
დუჟევედეს, ან წითელი სისხლი ამოვიდოდეს პირით და საჭმელს ვე-
რას ჭამდეს.

მ ა ს ე ს ე უ ნ დ ა პირაღმა დაწვინონ და პირი დაუღრინონ
და ოქრომჭედლისა წურილი და გრძელი მარწუხი რომე არის ისი
ჩაუყავით და მოკიდეთ იმა წურბელსა, რომე რაცა მოკიდონ მოუ-

ჭირონ კარგად, რომე ეტკივნოს, ნუ თუ წურბელსა და თავის მა-
გიერად მოსწყედეს და წყნარად და ხერხიანად მოსწყუიდე, ასრე
რომე არ მოკლა, თუ მოკლავ მანკი რამე დარჩების შიგა.

20 თ უ ვერცა ნახო, და ვერცა მარწუხი მოკიდო, აილე ხარდალი
დანაყილი და ძმრითა გაურივე და მითა ღარღარა აქნევინე. ცოტა
ნიშადური დანაყე, წყლითა გალესე და ყელზედა შესცზე.

თ უ არა ამოვიდეს მოილე ჯარაოტი და ძმრითა გალესე და
მითა ღარღარა აქნევინე, მერმე მოილე ხახუსა და კაპრისა წუნენი
და ცოტა მარილი გაურივე, და ცოტა ძმარიცა გაურივე და მითა-
ცა ღარღარა აქნევინე.

თ უ არცა ამით იქნას, ცოტა სონიჯი, ცოტა მდოგი დანაყე
ორივე ერთმანერთსა გაურივე წყლითა გალესე და შეასუი.

20 თ უ არცა ამით იქნას აბანოშიგა აბანე, ასრე რომე [ყელამდი
ჩაჯდეს დიდს ხანსა, მერმე] პირშიგა ცივი წყალი დაიგუბოს გამოვა.
მერმე როგორცა წურბელი გამოვიდეს და სისხლი არა დასწყედეს
და კიდევ სდიოდეს, ამა წამლებითა ღარღარა აქნევინე. მოილე ტკბი-
ლისა და მჟავისა ბროწეულისა ქერქი, გულნარი, სამყი, ოთხივე და-
ნაყე ისიცა ძმრითა. გაურივე, მითაცა ღარღარა აქნევინეთ.

თ უ ამან არ უშუელოს დაიჭირე ბაზრაცატუნის ლაბა და ხმე-
ლი ია დანაყონ და იმა ლაბაშიგა გაურიონ, ცოტა ქალის დედის
რძეცა და მითა გულის პირი დაუზილონ.

30 თ უ იმან არ უშუელოს აყიროს თესლისა ზეთი და იის ზე-
თი ერთმანერთშიგა გაურივეთ და ცხელი ჯულაბიცა შიგა გაუ-
რივეთ და შეასუით.

თ უ ამა სენშიგა მუცელი შეკრვით ქონდეს, მოილე ქასნისა
წუნენი ათი დრამი, შირიხიშტი ათი დრამი, ხიარიშამბარისა გული
ერთმანერთშიგა გაურივეთ, ქასნისა წუნენითა ღარღარა აქნევინეთ,
და საჭმელად ქერისა საჭმელი შეუწყევით.

თ უ ყელშიგა რამე ეჩაროს, ფხა ანუ ძუალი მისი წამალი ესე
არის რომე მოილე ძროხისა ხორცი და აბრეშუმის მკედითა მოაბი
შუაზედა და მაგრად შეკარ, და მერმე მიეც რომე ჩანთქას და რო-

253

გორაცა ჩანთქას წყნარად ამოზიდე და კიდევ ჩანთქმევინე და კი-
დევე ამოზიდე, მანამდის ქენ რომე ამოილოს და ანუ ჩალმა ჩაილოს ¹.

ია. კარი ზიყნაფასისა და ზუელისა. ზიყნაფახი ამას ქუიან
რომე კაცი მოსუნენებით იჯდე და ვერა სუნთქევდეს, ეძნელებოდეს
სუნთქმა, და რა მალედ წაიაროს, მაშინ უფრო ეძნელებოდეს და
ვერა სუნთქვიდეს და აქმინდეს და ახრინდეს.

ამისი მიზეხი აერის შეკრვისაგან იქნების, რა აერსა აღარა
შეზიდევდეს. თუ ზურგზედა დაწვეს სუნთქმა მოემატოს. ესე სენი
მოწიფულთა, ანუ ბერთა დაემართოს. ძნელი არის. მაგრა ბერთა
10 უფრო ძნელია, ამისთვის რომე ბერთა კაცთა სიმხურვალე სენსა ვე-
ღარა მოხარშავს და სენი ფირტვშიგა დარჩების და არა გამოვა.

და რაჟამცა სენისა უფალი ზურგზედა დაწვეს სუნთქმა მოემა-
ტოს. და ამა სენისა სიმძნელე ისი არის, რომე სენი ფირტვშიგან
ჩავარდეს.

ესე სენი ფიოტვისა თ ხ ა ლ ხ ა ლ შ ი გ ა შეიქნების, თხალხალი

იმას ქუიან რომე ფირტუშიგან ხურელ ხურელი იქნების, ესე რა ბალღმითა აივსების, აერსა ველარა შეზიდავს, სულთქმა დავიწროვდეების, ზიყნაფასი მას ქვიან.

ე ს ე სენი შემოდგომათა და ზამთრის უფრო დაემართების.

20 ამა სენისა უფალი გუერდზედა ვერა დაწვების, ან არა დაჯდეს და ან ფერხზედა არ დადგეს ვერ ისუნთქნეს.

თ უ მკერდშიგა მძიმედ იყოს, იცოდი რომე სენი ფირტუშიგან არის, და თუ მკერდი ეწვოდეს და სტკიოდეს იცოდი, რომე სენი მკერდსა და მისსა გარეშემოსა არის. და სენისა მოსულა ფიცხლა და ადვილად იყოს, მისი ნიშანი არის რომე სენი ფირტუშიგა არის.

თ უ სენისა ამოსულა ძნელად იყოს და ხუელითა იყოს, იცოდი რომე სენი ფირტუისა თხალხალშიგან იყოს, გუიან გუიან ახუელელებდეს.

და თუ მწოვედ ახუელებდეს და თავიცა სტკიოდეს, იცოდი 30 რომე სენი ფირტუისა შუაზედა არის. და თუ პირისა სახე წითლად იყოს, იცოდი რომე სენი ფირტუშიგან არის.

ა მ ა თ ი წ ა მ ა ლ ი ესე არის, რომე კარგად გასინჯე, თუ მიზეზი ნაზლისა და სურდოსაგან იყოს, ისი ხუალემ გამოწმიდე, იმა წამლითა, რომე ნაზლისა და სურდოსათვის სწერია. და ამისი წამლები ესე არის რომე სენისა გუარი განედლოს, რბილითა და სწორითა წამლებითა მოამწიფოს.

¹ აქ მიწერილია მხედრული ხელით „და წმინდაი იაკობ და წმინდაი ვლასი მოიხსენენ“.

254

ამა სენისა წამლებშიგა კარგი არის აფიონი, იამბროსი ნაში და ბაზრაცატუნი, ამად რომე სენსა მოაგროვებს და გა[ა]სქელებს. მას სწორი საჭმელი შეუწყონ, რომე მისი სტომაქი ადუღოს. და მისი საჭმელი ბერი მამალი იყოს ჩამდნარი, და მისი საჭმელი პური ერთობ მაგრად გამოძახუარი იყოს. და კამისა წყალი შიგა გაურიოს მოზელაშიგა და ჭავჭავისა ხარშოი იშოვნოს და კაკაბი და დურაჯი და კურდღელი და შუელის ხორცი და მელის ფირტუი, ეს ყუელა იმა სენისა წამალი არის, მას ჭამდეს და მელისა და გრძღაბისა ფირტუი გაახმონ, დანაყონ და შაქრითა აჭამონ და წყლისა ალაგსა 10 თაფლწყალსა ¹ სუმიდეს და ასეთი საჭმელი შეუწყოს, რომე შეკრვით არაოდეს შეიქნას.

ა წ ე მისი წამალი ვთქუათ რაცა მუცელშიგა არა შეპკრავს: მლაშე თევზი და მლაშე ქაბრი, და ბერისა მამლისა ხარშოი ზიგა ჭაკუნტლისა თესლი ერიოს და ჩაღანდრი, და ულბოი და ლელუი. ულბოი და ლელუი წყლითა მოადუღონ და თაფლწყლითა შეასუნან. ჩამიჩი და ულბო წუიმის წყლითა მოდუღებული, იმას სმიდეს, არგებს. ერთი მაჯუნჩი რომე მუცელსა გახსნის და ბალღამსა გაიღებს და ბალღმისა ხუელასაცა არგებს და სტომაქსა ძალსა მისცემს. დაიჭირე: ჩამიჩი უკურკო ბაღდადურითა ლიტრითა ერთი ლიტრა და 20 მასტაქი ცამეტი მუტყალი, თურბითი ოცი მუტყალი, ჯულაბი ხუთი ასთირი ² ეს ყუელა ერთად გარიონ, თუ ყოველთა დღეთა ჭამოს ამისგან სამი მუტყალი, და თუ გასახსნელად უნდოდეს ათი მუტყალი ჭამოს.

და ზიყნაფაზშიგან რა ხუელა მოუვიდეს თუ ძალი ქონდეს მუ-
ცელი გაუხსნას იისა შარაბითა, სინჯიტი, სეფისტონითა, მირიხიშ-
ტი, ხიარშამბრის გული თარანგუბინი ზედა მოუმატონ. საჰმელი
მუხუდოსა წუენი შესუან, სხუილით ცერცუითა, ნუშის ზეთიცა გაუ-
რიონ. მუდამად ია შაქრითა დაიჭიროს პირშიგა და საზელი შექნან
30 ქათმისა და ბატისა ქონითა და ზროხის წვივის ტვინითა, იის ზეთი-
რი მითა დაუზილე.

თ უ ძალი არა ქონდეს: ქერის წვენი, სიფისტონი, ასლისუსი ³
და სინჯიტი შიგა მოადულონ, მერმე ცხელი ჯულაბი გაურიონ და
შეასუან.

¹ ნუსხურ დედანში სწერია „თფილ წყალსა“.

² ექვსი დრამი ერთი ასთირია.

³ ასლისუსი, ძირტკბილა.

თ უ ესე ხუელა სურდოსა თანა იყოს ისი წამალი შეასუან რო-
მე, სურდოსათუის სწერია და ყოვლისა ფერისა მჟავისაგან იფა-
რეზოს. მუდმად ცხელსა ჯულაბსა შესუემბდეს. საჰმელი თალგმისა
შეჰამადი, სტაფილოი შიგ გაურიონ და სხუილისა ცერცუისა წუე-
ნიცა შიგა გაურიონ. და ხანჟამიერად თხის რძისა საჰამადსაცა შე-
აქნევიანბდეს.

თ უ ახუელდეს და ბალდამსა ამოიღებდეს დაიჭირე მწარისა
ვაშლისა წუენი და მარილი შიგა. გაურივე და მითა ღარღარა აქსე-
ვინე, რომე სტომაქისა თავი გამოწმიდოს.

10 თ უ მუდამად, გაუწყუეტელად ახუელეზდეს, დაიჭირე ჩამიჩი
და თეთრი საჰმელი წყალშიგა მოადულე და გამოწურე და ცოტა
ნუშისა ზეთი გაურივე და შეასუი ცხელი.

თ უ ახუელოს და ცოტა სისხლი ამოიღოს, დაიჭირე ბამბის
გურკაისა გული ხუთი დრამი, ძირა ერთი დრამი ოოივე დანაყე და
ნესუის თესლისაგან სახურეტელი ფუმრუკი შეაქნევიანე ესე ერთმა-
ნერთშიგა გაურივე და შეასუი.

თ უ ხმელად ეხუელდეს, ცოტა ქერი გამოწურე და ქერის
ოდენი ქაფური გაურივე და ცხუირშიგა ჩაუწითე, თუ წყურვილი
ერთობ იყოს, დაიჭირე მჟაუნას წუენი და შაქრითა გაატკბე და ვარ-
20 დისა წყალიცა გაურივე და შეასუი.

ს ხ ვ ა ი წამალი ნაფასისა ის არის: ერთობ ხუელა სჰირდეს
და ხუელასა უკანით ქშინვიდეს და გაუწყვეტლად იხუელდეს. მაგრა
შემოდგომასა და ზამთრის გაუხშირდეს. ამა სენსა კუამლი და ქა-
რიცა აწყენს, რა დაწვეს მაშინ ოფრო ეხუელდეს რა იდგეს და იჯ-
დეს მაშინ არა დია. ამა სენისა უფალმან თავი ფრთხილად შეინა-
ხოს წუელისა და მჟავისა და ცივისა წყლისაგან. მისი საჰმელი ქა-
თამი და ცხურისა ხორცი შემწუარი, ცოტაცოტა გემრიელი ღუინოი
შესუას. მერმე შექენ ესე წამალი, ა ი ლ ე: ფარისიაოშანი, ზუფა,
ძირტკბილა, რაზიანას თესლი, წყლის ჰაკუნტელას თესლი და ანი-
30 სონი და შავი ხურმა თუითოსაგან ხუთი დრამი და ჩამიჩი ოცდა[ა]თი.
დრამი და თეთრი ლელუი ათი მარცუალი, ერთსა ქოთანშიგა ჩადე-
ვი, ორი ლიტრა წყალი ჩა[ა]სხი, ერთსა დღესა და ღამესა და[ა]ლზე,

მერმე ნელად ადულე, რომე ნახევარი ლიტრა დარჩეს, მერმე აიღე ცეცხლით და გაწურე და ჭურჭელშიგა შეინახე, მერმე აიღე ნუში, ნიგოზი, ველური კულიავი, ფარისიაომანი თუითოსაგან ხუთი დრამი,

¹ ასლისუსი ძირტკბილა. რაზიანა—კამა. ფარისიაომან—კილამურა. ზუფა. ურცია.

256

პილპილი ოთხი დრამი, ძირტკბილა ათი დრამი დანაყე და გაცარ და ერთად გაურივე, თაფლითა შეზილე მაჯუნნი შექენ და ჭურჭელშიგა შეინახე და მიეც უზმასა სამი დრამი და ზემო რომე წამლები დაგუიწერია ისი წამლები ორმოცი დრამი მიეც შესუს, თბილი, ამა მაჯუნზე ¹ ესე ხუთსა დღესა. მერმე მას უკანით ესე მიეც მდოგი თაფლითა ზედა, ცერეცოსა წყალი შეასუი მერმე თითითა არწყიოს და თაფლწყალი შეასუი რომე არწყიოს [და] გაწმინდოს.

ნ ი შ ა ნ ი თუ ხუელა რამდონი ფერია, კარგა შეიტყობა უნდა ჩვენ ყუელა შევიტყუოთ ნებითა ღ თისათა.

10 ნ ი შ ა ნ ი ხუელისა კაცსა რომე ახუელებდეს და სისხლსა ამოიღებდეს. თუ სისხლი შავი იყოს და შეკრული ისი გულისაგან იქნების, თუ სისხლსა ბალღამი ერთოს იგი ფირტუისაგან იქნების.

და თუ ესე სისხლი ნამეტნავად წითელი იყოს, ისი ფირტუისა მარღუსაგან იქნების.

თუ სისხლი ზედათ თავდაღმა ჩამოვიდოდეს, ისი მისი ნიშანია, რომე თავი შაკვიკისაგან სტკიოდეს. და თუ სტომაქისაგან იყოს და სისხლსა ამოატანდეს და გული ეშლებოდეს და კიდეცა არწყევინებდეს.

20 თუ ამა სისხლისა გამოტანებაშიგა ხუელა დაიწყოს ღუიძლის ნიშანი არის და სადამდის კარგა არ ახუელოს სისხლსა ამოიღებდეს, ესე მისი ნიშანი იყოს, რომე ღუიძლშიგა ვარამი იყოს, ესე ნიშანი რომე დაგუიწერია რა გამოჩნდეს.

თუ ამა ტკვილიშიგა ენა გაუსივდეს თხისა რძის ღარღარა აქნევინეთ და ტინი მახთუმსა ისუნებდეს, და წითელსა ვარდსა დანაყდით და გაცრილსა ფქუილშიგა გაურევდით და გამოუცხოზდით და აგრე აჭმევდით.

თუ არ ეშუელროს სუბუქითა შარბათებითა არწყევინე.

30 თუ ამან არ უშუელლოს აიღე სამყი არაზი, ქათირა, გულნარი, ამათგან სწორი დანაყე და გაცარ და იმა წამლებისა წონასა შექარშიგა გაურივე და აჭამე ყოველთა დღეთა და ზოგჯერ თბილსა ჯულაბსაცა ასუემდით.

თუ ამან არა უშუელლოს ელიქირუმი ², სამყი არაზი და გულნარი თუითოსაგან თუითო, დრამი დანაყე, გაცარ და ბიისა წუენშიგა გაურივე და აჭამე.

თუ ამა სენშიგა ხმაი ჩაუვარდეს და კიდეცა ახუელებდეს, მაშინ ბანავმა ათი დრამი სიფისტონი ოცი დრამი, [ზიბიბი ჩამიჩი

¹ დედანში: „მაჯუნზეზა“. ² ელიქირუმი — მასტაქია,

ხვარასანი ოცი დრამი], სოსანი ხუთი დრამი, თეთრი ლეღვი ათი მარცვალი, სინჯიტი ოცი მარცვალი ესე ყუელა წამლები ორითა ლიტრითა წყლითა მოადუღე მანამდის რომე სამოც დრამად მოიყაროს, მასუკანით ათი დრამი ხიარშამბრის გული გაურივე, ათი დრამი შირიხიშტი, ათი დრამი თარანგუბინი, იმა სამოცსა დრამსა წყალშიგა გაურივე, დალბე და დატყლიჯე, გამოწუროს და ადუღოს, მუნამდის რომე შესქელდეს, ამა წამალსა ლოყია ბანავშა ქუიან.

თ უ ხუელისაგან ხმა ჩაუვარდეს, მას გასახსნელი შეუწყევით, შირიხიშტი, ხიარშამბარის გული, თარანგუბინი, ესე გალესე და 10 შეასუი და ყიფალიცა გაუხსენ. ყოვლისა მჟავისაგან იფარეზოს, და აბანოს მუდმად ებანოს მერმე აიღე სხუილ ცერცუისა წვენი ცხელი შეასუით თბილითა წყლითა. და საზელითა გულისპირი დაიზილოს. ჩამიჩი უკურკო ადუღონ და ნუშისა ზეთი გაურიონ და უზმასა აჭამონ. და საქმელი ფუმრუკი შეუქნან რძისა და ჯულაბიცა გაურიონ და კუერცხისა ყუითელი შაქრითა აჭამო.

თ უ ზახილისაგან ანუ სიმღერისაგან ხმა ჩავარდნილიყოს, აიღე ტკბილისა ბროწეულისა ქერქი, ყუითელი ალილა, ორივე დანაყე და ფუმრუკი შეუქენ და შიგა გაურივე და აჭამე და ქასნისა წყლითა ღარღარა აქნევიანე.

20 თ უ ხუელა ს ი მ ხ უ რ ვ ა ლ ი ს ა გ ა ნ იყოს, მისი ნიშანი ესე იყოს რომე ახუელდეს და ფერდიცა სტკიოდეს, ესე ვარამისა ნიშანი არის, რომე ფერდზედა ვარამი არის. ერთი ნიშანი ესე არის, რომე ნამეტნავად სწყურდებოდეს, მისი ფერი ერთობ წითლად იყოს და მწუავედ ქშინვიდეს. მისი ესე იყოს, საჭმელად ქერის კორკოტსა აჭმევდით და ჯულაბი ბაზრაცატუნი გაურივეთ და მას აჭმევდეთ და აყიროსა თესლისა ზეთიცა გაურიოს და ამას აჭმევდეს, და ახურეტდეს. ნუშისა ზეთითა რომე იმა ჯულაბსა და აყიროსა ზეთშიგა გაურივეთ, აგიცა ერთობ კარგი იქნების.

ი ს ი რ ო მ ე ზემო საზელი დავსწერეთ, იმითა ფერდი ყელამ- 30 დი დაიზილოს, და საჭმელსა ქერისა კორკოტსა [ჯულაბითა აჭმევდენ და წყალსა ნუ დაუჭირავთ ასმევდით.

ს ხ უ ა მისი წამალი, დილასა და საღამოსა, იისა და ლილოფარისა შარბათსა ასმევდით და ბაზრაცატუნისა ლუაბსა აჭმევდით შაქრითა. ლუაბი ეს არის: ცოტა ბაზრაცატუნი მოადუღე წყლითა ისი გასქელდების და ის არის. და ქერის კორკოტს აჭმევდით და ღვინისაგან და მხურვალისა საჭმლისაგან იფარეზოს.

ს ხ უ ა, სანდალი, ქაფური და შანგიარი გაცივებული, დანაყილი ისუნოს.

258

ს ხ უ ა, ია ნინოფარსა უსუნოს და ნინოფარისა ზეთი და იის ზეთი ერთგან გაურიონ და ქაფური შიგან გაადნევ, მუმრულანივითა და გულზედ ტლედ შემოსდევე. ია და ნინოფარი და ქოქის ფურცელი, ნედლის ნიგუზის გული დანაყე და მკერდზედა შემოსდევე.

ს ხ უ ა, აბი სულისა, აიღე: ნიშასტაგი, სამეცი, ქათირა, ტკბილის ნუშის, ტკბილის აყიროს თესლის გული, კიტრის თესლის გული სწორ სწორი, დაწმენდილი თარანგუბინი ყველას ოდენი, ეს ყუელა ერთად დანაყილი გაურივე და აბები შექენ ბაზრაცატუნისა

ლოაბითა და ანუ კომშის გულისა ლოაბითა, მუდმად თვითო აბი 10 ენას ქვეშ დაიდვას.

ამას გარეთ ერთი ხველა არის სხვა რომე ფირდშიგან სიმსივნე გამოჩნდეს და სტკიოდეს.

სხუა, დავარამავარაჰქვიან, კიდევ ვარამის ნიშანი არის, ეს სამისაგან იქნების, სიმხურვალისაგან, სიხმისაგან და ბალდმისაგან.

თუსიმწურვალისაგან იყოს, მისი ნიშანი ეს იყოს, მისი ნიშანი ეს იყოს ახველებდეს და არ ქმინევდეს. მისი მარღვები სავსე იყოს, ფერი წითლად იყოს და ნამეტნავად სწყურდებოდეს.

მისი წამალი ეს იყოს: ყიფალი გაუხსენ და ქერის კორ- 20 კოტი ჯულაბითა აჭამე, ლოაბი ბაზრაცატუნი გაურიოს, ნესვის თესლის გულის წვენიცა ამა ჯულაბშიგა გაურიოს და სასმელად ამას ასმევდეს, საჭმელად მაშა გაუქნან ნუშის ზეთითა და იმას აჭმევდენ. და ხილი თუ მოუნდეს, ტკბილი ბროწეული აჭამონ და ბაზრაცატუნისა და საზამთროს წვენშიგა გაურიონ და შაქრითა გაატკბონ და შეასვას. და საჭმელად ოსპის შეჭამადი.

ხველა რომ ბალდმისაგან იყოს, მისი ნიშანი ეს იყოს, სთქვა ქმინევდეს მაგრა ცხელება არა იყოს და არა წყურვილი და ფერზედ თეთრად იყოს. მისი წამალი, თუ შეეძლოს მიეც რომე სხვასა წამლებშიგა სწერია, კიდეცა არწყევინე. და საჭმელად ისპანახი შეუ- 30 წყევ ნუშის ზეთითა, და თბილ თბილი წყალი მუდმად იღარღაროს.

ერთი ხველა სხვა არის სევდისაგან, მისი ნიშანი ეს იყოს, რომე ხანგრძლივ იხველებდეს და ქმინვაც სჭირდეს და უძილობაცა სჭირდეს. მისი წამალი ეს იყოს, მუდმად ცხელცხელსა ჯულაბსა სვემდეს და ისი რომე წედან ზემორე საზელი დავსწერეთ, იმითა მუდამ ყელსა და მუძუსა ძირსა იზელდეს. ამა საზელელებშიგა ცოტა ქაფურიცა გაურივეთ და ნურას ფერსა მჟავეს ნურასა სვამს აბი სულიცა შეუქენ და ენასა ქვეშე დაიჭიროს.

259

ხველა თუსიმხურვალისაგან და სიხმისაგან იყო, მისგან რომე უშველოს გამოცდილია ესე მაჯოუნი ბროწეულისა უშველის, მკერდისა სიმაგრესაცა, სისხლსაცა დააწყნარებს, უზმასაც მიეცემის და პურ ნაჭამსაცა.

აიღე: ტკბილი და მწიფე ბროწეული და ქერქისაგან გამოი- 10 ლე მერმე ხელით გამოწურე, წმინდას ჭურგელშიგა, მერმე სამოსლით გაწურე და ქვაბშიგა ჩაასხი და ორი ზომა შაქარი გაურივე და ნელთბილად ადუღე, ქაფი მოხადე და რა გასქელდეს აიღე სამყთ არაბი და ქითირა თვითოსაგან ხუთი დრამი და მერმე წამალშიგა ოცი დრამი თაფლწყალი გაურივე და გაქენ რომე დადნეს, ბროწეულისა წყალი ზედა დაასხი დადევ ცეცხლზედა და ადუღე, რომე გასქელდეს, მერმე გაუშვი რომე გაცივდეს, წმიდასა ჭურჭელშიგა ჩაასხი და რა მოგინდეს მიეც ერთი დრამი და თუ შეეძლოს ამაზე ნურას აჭმევთ ეს გამოცდილია და უშველის.

სხვავა, იმავე სენის წამალი ხველა რომე ერთობ აწყენდეს. აიღე; თეთრი საკმელი, ქითირა და სამყი არაბი, რუბისუსი ყუელა სწორ სწორი დანაყე და მიეც მისგან ერთი მიტყალი, თუ ამან არ

უმველოს აიღე: ანდუზი, სონიჯი სწორ სწორი დანაყე, თაფლი გა ურივე და მიეც ეს გამოცდილი წამალია.] ხმელისა ხველისათვის
20 ანაკუეთისა წყალი შეასუი, ნუშის ზეთი ერთი დრამი და შაქარი
ოთხი დრამი, თაფლი შეასვი უზმასა ¹.

ს ხ უ ა ი წამალი მისივე, ა ი ღ ე: შანგიერისა თესლი ექუსი
დრამი და გაფხევილი და გარცხილი მატუკი შუიდი დრამი, თუხმა-
ქანი ერთი დრამი, ყუელა დანაყე და გაცერ და კუერცხისა ცილითა
შეზილე და კუერები შექენ ბრტყელი და ენასა ქუემე დაიჭიროს
ნიადაგ და უშუელის.

ს ხ უ ა ი წამალი, რომე ნახუელი ამოიღოს და თირკმლისა და
გუერდის ტკივილსა, და მკერდისა ტკივილსა და ბუმტის ტკივილსა-
და მუცლის ტკივილსა და სტომაქისა ტკივილსა და რაც ფერის სე-
30 ნია რომე სტომაქშიგა იყოს, ყუელასა უშუელის. ა ი ღ ე: პილპილი
ოცი დრამი, სამეცი არაბი თექუსმეტი დრამი და ანდუზი ². თხუთ-
მეტი დრამი, ნიახური თექუსმეტი დრამი დანაყე და გაცარ და თაფ-
ლითა გაურივე რომე გაერთდეს და მერმე მიეც ერთისა გუნდისა
ოდენი, ზედა ცოტა თბილი წყალი შეასუით და უშუელი.

¹ ამისზე სწერია „გამოცდილია“.

² ამ სიტყვას თავზე აწერია არა დედნის ხელით „კულმუხო არის“ (ვა-
რიანტში).

260

ა მ ი ს თ ვ ი ს ვ ე კარგი და გამოცდილი აიღე: მური, სადაფი,
და შავი საკმელი თაფლითა გაურივე და ცოტა პირშიგა დაიკირე.

ნ ი შ ა ნ ი ნ ე დ ლ ი ს ა და გ რ ი ლ ი ს ა ხ უ ე ლ ი ს ა, რომე
ემუელის, მისი მაჯუნი რომე მკერდი გამოწმიდოს და სქელი სენი
მოამწიფოს. ა ი ღ ე: ხმელი ზუფა ¹, ფარისიაოშანი ², იის ძირი,
მდოგუის თესლი, (კორდმანა, პილპილი, ჯინჭრის თესლი), ანისონი,
სწორსწორი დანაყე და გაცარ, თაფლი ადულე როგორაცა მარ-
თებს და მაჯუნი შექენ და ახმარე, თუითო ჭამა თუითო კოვზი
უნდა.

10 ს ხ უ ა ი ხუელისა რომე ფერდი დაწყლულეებულ იყოს, მისი ნი-
შანი ესე არის რომე გაუწყუეტლად იყოს ხუელა და ცხელეზაცა
სჭირდეს მჭლდებოდეს დღივ და დამე, ბალღამსა სისხლი ყუებოდეს.
მისი წამალი, ქერისა კორკოტი კირჩხიბითა მოდუღებული და ხაშ-
ხამისა შარაბითა შეასუას. დაიჭირე: თეთრი ხაშხაში ნახევარ მუტ-
ყალი, აყიროს თესლისა გული, კიტრისა თესლისა გული თუითოსა-
გან ნახევარ მუტყალი, გაცრილი ფქული თეთრი, რუბისუსი, თუი-
თოსაგან თუითო დრამი და ნახევარი, გილიერმანი, ნიახურისა თესლი,
ხუნი სიაოშანი, თუითოსაგან თუითო დრამი, აფთიმონი, დარიჩინი,
ორთაგან ნახევარ დრამი, ესე ყუელა დანაყე და სამსა დღესა ქლია-
20 ვისა წყალშიგა გაურივე და შეასუი, ანუ ხაშხაშისა შარაბითა.

თ უ ე ს ე ს ე ნ ი ძუელი იყოს, მისი ნიშანი, დუჟისა მაგიერად
ბალღამსა ამოიღებდეს. თუ ამა სენსა სწამლებდე ასრე უნდა რომე
წყლითა ჯამი აავსო და ისი ბაყლი. წყალშიგა ჩა[ა]გდო, თუ ძირსა
ჩავიდეს, ნურასფერს წამალსა ნუ მისცემ, სასიკუდილო არის, თუ
წყალმან ზეით მოიგდოს. სიმრთელისა ნიშანი არის. ქერისავე კორ-
კოტი მიეცით. თუ ესე სენი ხმელი იყოს, მისი ნიშანი ბალღამი

იყოს სისხლშიგა, იცოდი რომე ფირტუი დადნების, მისი წამალი ახალი რძე არის, შესუას ცხელცხელი და შაქარიცა გაურიოს, და ქერისა კორკოტიცა შეასუას. და საჭმელი ახლითა რძითა, ბრინჯი—
30 თა, ნუშის ზეთიცა გაურიონ და აჭამონ.

კარი სილისა ³. ნიშანი ესე იყოს მუდამად ახუელებდეს და მწოვედ აქმინვებდეს, სწყურდებოდეს და ხორცნი დნობაშიგან იყუნენ და ხანყამიერად სისხლსა ამოიღებდეს. და პირისა სახე წითელი იყოს და წყნარად აცხელებდეს. სალამოს, ჭამას უკანით უფრო აც-

¹ „ზუფი ურცსა ქვიან“ აშიაზე სწერია დ. ხ.

² ფარისიაომანი—სალმურა.

³ „აქა კარი ითვლება არა უნდა დედამან ტყუა“ აშიაზე სწერია მხედრულით.

ხელებდეს, რა ესე ნიშანი ნახო, იცოდი ს ი ლ ი არის, ფირტუისა ტკივილსა ქუიან. ამა სენისათვის ავი არის რომე მუცელშიგა გახსნით იყოს, თუ გახსნით იყოს ესე წამალი მიეც რომე შეკრას. სამეცი არაბი მოხალული ლისონ ლამალი, რომე არს მრავალ ძარღუაი ესე დანაყე და ტუტისა შარაბითა მიეც. თუ ამან არ უშუელოს, ხარნუქნაპხი დანაყე და იგი მიეც.

თ უ ამაშიგა ანუ ცხრო და ან ხურვება მოუვიდეს, ქერისა კორკოტი რომე სინჯიტი შიგა გარეულ იყოს მოდულებითა, იგი მიეც, აქლემისა რძითა.

10 თ უ ამაშიგან, ცხელება არა გაუშუას ლოაბი ბაზრაცატუნი შეასუით საშხაშისა შარაბითა, შაქარი, ქათირა და ია იგიცა შიგა გაურივეთ მუდამად ამასა აჭმევდით. ლოაბი ბაზრაცატონი ამას ქუიან რომე ბაზრაცატუნი ცოტათა წყლითა მოხარშოთ, მისა წუენსა ქუიან-

ს ი ლ ი ს ა წ ა მ ლ ო ბ ა ერთობ ძნელი არის. ამისთვის რომესილი უცხელებოდ არ იქნების, თუ სილსა სწამლებ. ცხელებასა აწყენს, თუ ცხელებასა სწამლებ სილსა აწყენს ასრე ქენ რომე ერთსა დღესა სილსა სწამლე და მეორესა ცხელებასა, ერთსა წყურვილსა დილასა უწამლე და სალამოსა მეორესა, გასინჯე რომელიცა უკეთ მოუხდეს ისი ქენ. ამისი წამლობა ესე არის, რომე როგორაცა პირ-

20 ველსა დღესა დაემართოს სენი, ფიცხლა უწამლე გამრთელდების და თუ გუიან უწამლებ უფრო ძნელია.

სილი ფირტუისა გასივებასა ქუიან და დაბაცლებასა. წამალი მისი, უწინა ბასილიკე გაუხსენ და ყოვლისა სარჯლისაგან მოსუენებით შეინახოს, და წყალ გარეული ძმარი შეასუან ერთსა ჟამსა ორჯელ სამჯერ, ფირტუსა გამოსწმედს. და ხანდახან სისხლსა გამოლუმვებდეს კარგი არის, და მას უკანით ყურსი ქარბა მიეცით წამლები მისი. ა ი ღ ე: ქარბა, მოწი, მარგალიტი დამწვარი კარგად, და დამწვარი ირმის რქა, გარცხილი სადნაჯი ამათგან სამსამი დრამი, წითელი ვარდი თოხმაქანი, ხმელი ქინძი, თუთუბა, მოხალული სამეცი

30 არაბი, გულნარი, ნიშასტაგი მოხარშული სამეცი არაბი ამათგან ხუთ-ხუთი დრამი, ტაბაშირი, აყაყია, ფარფარას წუენი, ამისაგან ორორი დრამი, ესე ყუელა დანაყე და გაცარ და გულნარას წუენითა შეზილე, და თუ ხუელა სჭირდეს ბაზრაცატუნისა ლაბითა შეზილე, და ორორი დრამი ყურსები შექენ და ჩრდილსა გა[ა]ხმე და მრავალ ძარღუას

წუნითა მიეც, თუითო ყურსი. საჭმელად ქერისა კორკოტი და შიგა მოადუღე თხისა ჭლიკი, მოცხარი, კომში და ბროწეული უმწიფო შეასუი და სხუა საჭმელსა ნო მისცემ, ამით შეინახე.

262

თ უ სნეული სუსტად იყოს მოთხე ფუშრუკი შექენ ქერის ფქუილისა ან სხუილისა ცერცუისა, ანუ მუხუდოსა იგი აჭამეთ და ტლე შემოსდევ, აიღე: წისქუილის მტუერი, საკმლის მტუერი, კუერცხის ცილითა შეზიღე და მკერდზედა შემოსდევ, საჭმელად თაფლითა აჭამეთ და ხორცი დურეჯი, კაკაბი და გლონი აჭამეთ.

თ უ ერთობ გახსნით იყოს, ესე სუფუბი მიეც, აიღე: სამყი არაბი გულნარი, მოცხარი ათ ათი დრამი, [თეთრი] საკმელი, ფარისიაოშანი ხუთხუთი დრამი დანაყე გაცარ და თბილითა წყლითა ან შაქრითა, თაფლითა მიეც, მაგრა შაქრითა სჯობს. ამისგან თუი-
10 თო ჭამა სამი დრამი.

ნიშანი მკერდისა ტკივილისა. [იცოდით მკერდის ტკივილი]¹ ოთხისაგან იქნების, რა კაცსა მკერდი სტკიოდეს მისი ნიშანი, დუჟი ნახე, თუ წითელი იყოს, იცოდი ს ი ს ხ ლ ი ს ა გ ა ნ არის, და თუ ყუითელი იყოს იცოდი ზ ა ფ რ ი ს ა გ ა ნ არის, და თუ თეთრი იყოს და ქაფიანი ბ ა ლ დ მ ი ს ა გ ა ნ იქნების, და თუ მოშაო და მოზნელო იყოს ს ე ვ დ ი ს ა გ ა ნ იქნების.

და შ ა ვ ა ს ა ოთხი ნიშანი არის, პირველი ესე, რომე სულსა ვეღარა იქცევდეს და ხუელა ერთობ იყოს და გუერდი დაკოდილივი-
20 მაგრისაგან იქნების და ნამეტნავი ხუელა სინედლისაგან იქნების, რომე მკერდსა შიგა შეგროვებულ იყოს, და გუერდი დაკოდილივი-
თა რომე სტკიოდეს, ისი დაკეცილისა ბუდისაგან იქნების და ერთობ სიცხისაგან იქნების, რომე ბუდესა შეიყაროს და ბუდე გა-
[ა]ცხელოს.

და ვ ი ს ც ა შავა დაემართოს, თუ თხუთმეტ დღემდი და ან ოცამდი არა მოკუდეს, აღარა ევენების რა. და ერთი სიმრთელისა ნიშანი ესე არის, რომე ერთობ დუჟი მოსდიოდეს, მკერდი გამოწმ-
დების, მეორე ნიშანი შავასა ესე არი რომე ერთობ მნელი სენი არის და ავი.

30 პირველად რომე ხუელა სჭირდეს და მკერდი ხუელისაგან გამო-
წმდეს ამას ს უ მ ფ უ ლ ი ქუიან.

ბ ა გ რ ა ტ აქიმი ასრე იტყვის: ვისცა ესე სენი დაემართოს, თუ თხუთმეტსა დღესა არა გამთელდეს ერთობ ავი არის და მნელი იმა სნეუოლისა საქმე.

თუ პირველად ბალღამსა დაუწყოს ამოდება, იცოდი რომე დარჩება, და თუ უფრო დამძიმდეს, იმისი იცოდი რომე სენი ფირ-

¹ ჩამატება მხედრული ვარიანტისაა.

ტუშიგა ჩავა. და მეორე ნიშანი ესე არის რომე დუჟი სქელი და ბალღმიანი ამოვიდეს, ისი დამჟავებული არა იყოს, ისი დამწურისა

სისხლისაგან არის. და ისი რომე გულისა ბუდე არის, ისი სისხლი ამისკე დაიზიდავს.

რაი ამისთანა სენი ეცეს კაცსა მართებს რომე ბასალიკე გაიხსნას, და რაცა შეეძლოს სისხლი გამოუშუას, იმა მხრისაკენ სათცა სენი იყოს.

თ უ ძალი არა ქონდეს, ნუ გამოუშვებს. მერმე ესე წამალი მიეც: აიღე: უნაზი და სიფისტონი თუითო თუითო ორმოცდა თუ-
10 რამეტი მარცუალი ხუარასანი ოცი დრამი, თეთრი ხაშხაში შუიდი დრამი, ესე დანაყე და ჭურჭელშიგა ჩადევ და ზედა ორი ლიტრა წყალი და[ა]სხი და ერთსა დღესა და ღამესა გაუშუი მერმე ადუღე, რომე ნახევარი დარჩეს და რა დაწმდეს ჭიქაშიგა ჩა[ა]სხი და შეასუი დილეულად ოცი დრამი. შერმე ქერისა წყალი სნეულისათვის სუბუ-
ქია და კარგი, და სენი გაწმიდოს, იმა სასმელისა წონითა ქერის წყალი შეასუი.

თ უ დუჟი ადვილად ამოიღოს, ისი წამალი შეასუი, რომე დაგუიწერია. და თუ გუნება შეკრვით იყოს, აიღე: ხიარშამბარი შუშმისაგან გამოღებული ოთხი დრამი, ამა სასმელშიგა [ჩაყარე] ათი
20 დრამი და კარგად შეზილე ხიარშამბარი, მერმე გაწურე და თხუთ-
მეტი დრამი იისა სასმელი ჩა[ა]სხი და ნელად გა[ა]თბე და საღამოდ შესუი ხიარშამბარი მერმე გაწურე თხუთმეტი დრამი შაქარი ხიარშამ-
ბარისა სანაცულო არის. თუ დიდი კაცი იყოს და ვაჟი იყოს, სამი დრამი ია ქენ და ათი დრამი შაქარი. და თუ სენი ერთობ გვერდი-
საკე იზიდევდეს, სუბუქი ოყნა შეკაზმე ამა ნიშნითა აიღე უნაზი და სიფისტონი თუითო ოცდაერთი დრამი, ქერისა კორკოტი თხუთმეტი
დრამი, ჭაკუნტლისა ძირი ოცდა[ა]თი დრამი. თუ ძირი არ იყოს, ფურცელი ქენ, ყუელა ჭურჭელშიგა ჩადევ და ზედა წყალი დასხი ნახევარ ლიტრა და ადუღე, რომე ნახევარი დარჩეს და დაწმდეს, და
30 მერმე იისა ზეთი გაურივე თხუთმეტი დრამი მარილი და ბორაკი, თუითო ორორი დრამი ყუელა ერთმანერთშიგა გაურივე და ორად გაყავ, ნახევარი ერთსა დღესა და ნახევარი მეორესა აღეზინე. და მერმე ესე წამალი შექენ და გარეთით ზედა დასდევ. ა ი ღ ე: იისა ზეთი თხუთმეტი დრამი, ქითირა სამი დრამი თეთრი ცვილი ექუსი დრამი, ვარდის წყალი ორმოცდა[ა]თი დრამი და ქინძის წყალი ორ-
მოცდა[ა]თი დრამი ქითირას გარეთ ყუელა ქუაბშიგა ჩახარშე ვირემ ცვილი დადნებოდეს მერმე ქითირა დანაყე და შიგა გაურივე რომე გაერთდეს. მერმე აიღე: სქელი სამოსელი და ვარდისა წყალი გაუ-

264

რივე და ესე წამალი ზედა გა[ა]ბრტყელე და მკერდზედა დასდევ, იმა სამოსლის ოდენი სამოსელი დასოვლე და ზედა დასდევ, რომე წამალი ნედლად შეინახოს, ღამით და დღისით ესე წამალი ოთხ-
ჯერ ქენ.

თ უ ერთობ სენი გაგრძელდეს ესე წამალი ქენ, ა ი ღ ე: ქერი-
სა ფქუილი და ტუხტის ძირი და ხმელი ია, და ქათირა, თუითოსა-
გან ათი დრამი ყუელა დანაყე და იისა ზეთითა გაურივე და იმავე წესითა ზედა დასდევ მკერდსა და საჭმელი აჭამე, აყირო და პურისა ფუმრუკი და ბაკიდას წყალი და ანუ ნუშისა და შირიხიშტისა ზეთი
10 და ქინძი ახალი იყოს თუ ხმელი და უშუელოს ღ~თითა.

იბ. კარი სტომაქისა ტკივილისა, ზოყინისა და სლოკინისა და იაზასი. სტომაქისა ტკივილი მრავლისაგან იქნების, ერთად ამისთვის რომე ავი და მრავალი საჭმელი ჭამოს. ერთად ამისთვის რომე დედაკაცთანა მრავალჯერ დაწვეს. ერთად ამისთვის მრავალი მხურვალისა საჭმელი ეჭამოს ერთად დიდისა ღუინის სმისაგან. ერთად, ნაღული-საგან სიმხურვალისა რომე სტომაქსა მიხუდეს. ერთად, ფერდისა სიგრილისაგან, რომე ფერდშიგა მრავალი სიგრილე შეყრილ იყოს და იგი სტომაქსა მიხუდების, ერთი ვარამისაგან რომე, სტომაქსა ზედა ვარამი გამოუჩნდეს. [ვარამი] სიმსივნესა ქუიან.

20 ნ ი შ ა ნ ი თუ სტომაქისა ტკივილი მრავლისა და ბევრისა საჭმლისაგან იყოს, მისი ნიშანი ესე იყოს, რომე რაცა ჭამოს არა მოქარვებდეს და მერმე სხუაცა მოინდომოს და როგორაცა ჭამოს მეორედ მასვე წამსა გახსნას სტომაქი და ტკივილი დაუწყოს, ყურყური მუცელშიგა და მას უკანით არწყევინოს რაცა ეჭამოს და ან ესვას ყუელა ამოაღებინოს.

მ ი ს ი წ ა მ ა ლ ი ესე იყოს, ბროწეულისა შარაბი შეასუით და ესე ტლე შექენ, და რომე ტლებშიგა სწერია რწყევისათუის, და სტომაქზედა გარდაკარ. რწყევისათუის ტლე, აიღე: შემწვარი კომში და ვაშლი, სანდალი, ვარდი და ნედლი მურტი, სხლისა წუენი, ქუქი, 30 ლადანა, ქაფური სწორ სწორი დანაყე და წუენებშიგა გაურივე და სკერდსაზედა ტლედ შემოსდევე. და პიტნისა შარაბიცა კარგი არის რწყევისათვის ყოველთა დღეთა ესე ყურსი აჭამონ. ამა ყურსისა წამალი: წითელი ვარდი ხმელი და გაცრილი და, დანაყილი, ორი მუტყალი ინდური უდი და მასტაქი, სუნბული და სალიხა, ფუყაიუსხურ, დარიჩინი, აფსანთინი თუითოსაგან თუითო დრამი, ყუელა დანაყე და გაცარ და ამა წამლებისა წონა ძუელი ლღუინო გაურიოს და ყურსები შექენან და აჭამონ თვითო მუტყალი. მისი [საჭმელი] ნარდანგით და ბროწეულითა საჭამადსა შეუქმო-

265

დენ, და ზირა ქირმანიცა გაურიონ და ამას აჭმევდით, ლ~თისა შეწევნითა, ესე უშუელის.

თ უ დ ღ ე და კ ა ც თ ა ნ ა წოლისაგან სტკიოდეს, მისი. ნიშანი ესე იყოს, რომე სტომაქი მუდამად სტკიოდეს და მუდამად უფერულად იყოს და მჭლედ იყოს და დღივ და დღივ მჭლდებოდეს, და მოსუენება არა ქონდეს. და ესეცა იქნების რომე სიყუითლე დაერთოს. და ერთობ ნამეტნავად უნდომად იქნების.

მ ი ს ი წ ა მ ა ლ ი: ესე მაჯუნი არის, მაჯუნი ქამუნი, სიქანგუბინითა ¹ უსულითა ან სიქანგუბინითა ბუზურლითა, შიგა გაურიონ და 10 აჭამონ, ხუთი დრამი სიქანგუბინი ხუთსა დრამსა მაჯუნშიგა გაურივე და აგრე აჭამე და საჭამადსა ყუელასა ცხურის ხორცსა აჭმევდით და ზედა სანანებელსა მოუყრიდით.

თ უ ამა სენშიგა დაერთოს ხურვება, საჭმელად ფუმრუკსა აჭმევდით და კამისა თესლი გაურივეთ ამა ფუმრუკშიგა ერთსა დღესა ამას აჭმევდენ და ერთსა დღესა რძესა აჭმევდენ შაქრითა. ხანდა-ხან ქერისა კორკოტსა აჭმევდენ ნიგუზხის ზეთითა.

მ ა ჯ უ ნ ი ქამუნისა, რომე უშველის სტომაქისა ტკივილსა, თუ ქარი ჩავარდნოდეს სტომაქშიგა გამოიღოს, და რომელსა ძუელი ცხრო

სჭირდეს და იმა ცხროსაცა უშუელის, რომე სიგრილე მორეოდეს.

20 ა ი ლ ე: ძირა ქირმანული ათი დრამი და მერმე კარგითა ძმრითა დაალბე ერთსა დღესა და ღამესა და მერმე ძმარი დაწურე და ძირა გა[ა]ხმე და მოხალე და აილე ზანჯაფილი ოცი დრამი და პილპილი ხუთი დრამი და სადაფისა ფურცელი ათი დრამი, დარიჩინი ხუთი დრამი, ყუელა დანაყე. და გაცერ ერთმანერთშიგა გაურივე და მაგა წამლებისა ზომა სამი თაფლი ქენ, აილე და წმიდასა ჭურჭელშიგა ჩასხი და ადულე და ქაფი მოხადე ვირემდის გაწმდეს და მერმე წამლები გაურივე და შეზილე კარგად და მერმე წმიდასა ჭურჭელშიგა ჩასხი და რა მოგინდეს მიეც რაცა შეიძლოს და მერმე ერთი კუნჩხი ღუინო შეასუი.

30 თ უ მხურვალი და მწვავე საჭამადი ეჭამოს და მისგან იყოს, მისი ნიშანი ესე იყოს, მუდმად თავი სტკიოდეს და თავი უბრუნევდეს და წყურვილი მწოვედ იყოს და თავი და პირი წითლად და ცხლად ედგას და სტომაქიცა სტკიოდეს. მისი წამალი პირველად პიტნისა შარაბი შეასუან, მასუკანით ყარამფული და მასტაქი სწორ სწორი ქენ და იმა პიტნისა შარაბშიგა გაურივე და იგი ფუასუას და ესე ტლე შეუწყონ და სტომაქზედა შემოსდებდენ: ხმელი ვარდი და

¹ დედანში სწერია „სიქანგუბინითა“.

ბიისა ყუავილი და თეთრი სანდალი ამათგან სწორ სწორი წყლითა ერთმანერთსა გაურივე და ტლე შექენ და სტომაქსა შემოსდევე, და მისი საჭმელი ხორცი გნოლისა, კაკბისა, დურაჯისა.

თ უ ღუინისა მსმელი იყოს ცოტასა ხანსა ღუინო, დასთმოს და ყოველთა დღეთა ღუინოსა შარაბი შეასუით. ტირიფისა ფურცელსა ყოველთა დღეთა ქუეშე მოუგებდეთ, და ტირიფისა ფურცელი დანაყეთ და მისი წუენი დაიჭირე და ქერის ფქული და ხატმი გაურიონ და სტომაქსა შემოსდვან [ხატმი] ტუხტსა ქუიან.

10 თ უ სტომაქისა ტკივილი დიდისა ღუინისაგან იყოს მისი ნიშანი ესე იყოს, რომე მუდამად გულისა ბნედა მოუვიდოდეს და ჭკუაშეცულილ იყოს, და მაჯა და სტომაქი რომე უნახო, თუ სთქუა ცეცხლი ედებოსო, ასე ცხელი იყოს და სტომაქი სტკიოდეს. ამას ესე წამალი უნდა: სადა სიქანგუბინითა, ხმელი ვარდი დანაყილი და გაცრილი, ხუთი დრამი ტაბაშირი, დრამ ნახევარი სუმაყი, სუმაყი თუთუბოსა ქუიან, ქინძისა თესლი ხმელი ორი დანგი და ნახევარი, ესე ყუელა დანაყონ და გაცარ და სიქანგუბინშიგა გაურივე და აქამე სამსამი მუტყალი, ამა სიქანგუბინსა სახელად სიქან გუბინ საფარჯალ ქუიან. მოილე: ბიისა წუენი ერთი ლიტრა და ერთითა-ლიტრითა ძუელითა ღუინითა მოადულონ და ქაფი მოხადე, ასრე 20 ადულე, რომე თხელსა თაფლსავითა შეიქნას, ამა სიქანგუბინისაგანა წამლებშიგა გაურივე და აქამე და ხელისა ბასალიკე გაუხსენი და ქასნისა წვენიცა შეასუ და ქერისა კორკოტიცა აქამეთ.

თ უ სტომაქის ტკივილი ნავლულისა სიციხისაგან იყოს, მისი ნიშანი ესე იყოს ამა სტომაქისა ტკივილისაგან ცხელებაცა დაერთოს და ხაფაყანიცა, ხაფაყანი გულისა ძგერასა ქუიან, ამას ალილას შარაბი შეუწყევით, შირიხიშტიცა გაურიონ ამა წამლებშიგა.

თუ ესე სტომაქისა ტკივილი ძუელი იყოს, თურბითისა ყურსი შეუწყევით ამა წესითა როგორცა ყურსებშიგა სწერია და მუდმად დო შეასუით, მერმე ესე წამალი შეასუით, აიღე: რკინისა წიდა ხუთი 30 დრამი დანაყე და გამორეცხე შუიდჯერ ასრე რომე კარგად გაწმდეს, მერმე გა[ა]ხმე და სამი დრამი აწონე, მერმე დაიჭირე ზირა, ულბო, ქასნი, სონიჯი, ნანხუა, ქარვა თუითოსაგან [ექუს]ექუსი დრამი, ყუელა დანაყე და წიდასაშიგა გაურივე, მერმე დაიჭირე: ნიახური პიტნა სადაფი სწორ სწორი იმა წამლებშიგა გაურივე, ცოტა პარკი შეკერე, და წამლები შიგა ჩაყარე და დოშიგა ჩადევ და ერთსა დღესა და ღამესა შიგან იყოს, მას უკანით გამოწურე დო და იხმარე.

თუ კარგად მოუხდეს დოშიგა წამლებივე ადულე დო შეასუი და წამლები გაყარე, და წყლის მაგიერად კიტრი აჭამე შაქრითა,

ესე დო სამჯერ ქენ და ასუი. თუ ამითა მოიჯობინოს კარგია.

თუ ამან არ უშუელოს ბამანი და თუდარი დანაყე ხუთი დრამი და იმა წამლებშიგა გაურივე.

თუ წყურვილი ერთობ იყოს და პირი უმწარდებოდეს და აცხელებდეს ვაშლისა და ბროწეულისა შარაბი მიეც ისრიმისა და თუ-თუბისა საჭამადი, თუ ერთობ სუსტად იყოს გნოლი და კაკაბი ამაშიგა მოხარშონ და აჭამონ, ხოხობი და ახალი თევზიცა აჭამონ ძმრითა.

თუ გული ერეოდეს და პირი უმწარდებოდეს ეგების რომე 10 რწყევაცა დაემართოს იმას ესე წამალი შეუწყევ, აიღე: ყუითელი ალილა ოცი დრამი, ხურმა, ჩამიჩი, თხუთმეტ თხუთმეტი დრამი სინჯიტი, ტყემალი თუითოსაგან ოცი მარცუალი, სინამაქი შასთარა თუითოსაგან ხუთხუთი დრამი ეს ყუელა სამსა ლიტრასა წყალშიგა მოადულე რომე ერთი წილი დარჩეს, მერმე ოცი დრამი თარანგუბინი, ათი დრამი შირიხიშტი ამა თბილსა წყალშიგა გაურივე და და[ა]ლლზე და ხელითა დაზილე და გაუშუი, რომე დაწმდეს და იმა მოდულებულსა წყალშიგა გაურივე, ასრე ქენ რომე ყუელა ასი დრამი შეიქნას და კოლოფშიგა ჩასხი და ერთსა კუირასა ცასა ქუეშე დადგი და ზედა დაბურე. ერთსა კუირასა უკანით ამავე წესითა ქენ, მერმე, 20 ასთონიერთი აყირყარა დანაყილი ამაშიგა გაურივი, მერმე ერთსა კუირასა კიდევ ცასა ქუეშე დადგი, მერმე დაწმიდე და ტლედ სტომაქზედა შემოსდევე და ზედა სამოსელი შემოახუივე.

თუ ამან არ უშუელოს, იცოდი რომე სტომაქი დაწყლოლებულა ამას ყურსი სუმბული უნდა შეუქნან. აიღე სუმბული და ყასბუზარრა, და რევანდი ჩინი და სალიხა, ფეყირა უსხური თუითოსაგან სამი (დრამი) მური, ყუსტი, ფილფილი თუითოსაგან თუითო დრამი, (მუყლი აზრაცი ერთი დრამი) და მუყლი სამი დრამი, მასტაქი ორი დრამი, აშაყი ერთი დრამი, აშაყი წყალშიგა ჩააგდე რომე დადნეს ესე წამლები შიგა გაურივე და ყურსები შექენ, თუითო ყურსი 30 თუითო დრამი, ყოველთა დღეთა მიეც რომე ჭამოს.

ესე ტლე შექენ და სტომაქზედა შემოსდევე, ტლისა წამალი, აიღე მუყლი ორი დრამი და ნახევარი, აშაყი ერთი დრამი, აბულბანი ორი დრამი და ნახევარი სუმბული ერთი დრამი, მასტაქი სამი დრამი, ცვილი ერთი დრამი, ნარდინის ხეთი ერთი უკია. ცილი,

ვაშაყი, მუყლი და მასტაქი დაადნევ ძველსა ღვინომიგა ესე სხუა წამლები შიგა გაურივე და ნარდანის ზეთიცა შიგა გაურივე და სტომაქხედა შემოსდევე. საჭმელად მუხუდოსა წუენი მიეც შაქრითა. და აბანოსაც ებანოს.

268

ს ტ ო მ ა ქ ი რ ო მ ე ს უ ს ტ ა დ ი ც ო ს და საჭმელსა არა აღნობდეს, აიღე ანისონი და წყალშიგა მოადუღე და მერმე დაწმიდე. ისი წმიდა წყალი ორითა მუტყლითა ქიშმიშითა კიდევე მოადუღეთ დაკიდევე დაწმიდე მერმე ერთი მუტყალი ზირა ქირმენი რუმული გაურივე დანაყილი იმა წმიდასა წყალშიგა და შეასუით.

თუ ამან არ უშუელოს ესე წამალი მიეც, აიღე ანდუზი, ძირა თუითოსაგან ორი დრამი, სუმბული ყარამფული თუითოსაგან თუითო მუტყალი, ალიქირუმი ¹ ერთი დრამი, წითელი ვარდი ნახევარ მუტყალი ესე ყუელა დანაყე და სამი ამათი წონა თაფლი ქენ და

10 მაჯუნე შექენ და ყოველთა დღეთა სამი მუტყალი მიეც.

ს ხ უ ა ი ნ ი შ ა ნ ი სტომაქისა ტკივილისა, აქიმთა ამბავი და საუბარი, სტომაქისა ტკივილი სადნობელისა უძლუროზა არის, რომე არს ჯაზბა, აზიმი ამას ქუიან, და დაფია თუ ესენი დასუსტდებიან სტომაქშიგა სენი გაჩნდების.

თუ ჯაზბა დასუსტდეს, მისი ნიშანი ესე არის, რომე საჭმელი-ჭამოს და სტომაქისაჯან გაიაროს, სტომაქი დაუძმიდეს, და ხანდახან მოუსუენებლად შეიქნას, გულის ძგერა და მკერდისა ტკივილი და თავისა ტკივილი გამოუჩნდების და რწყევაცა გამოჩნდეს, ამისი მიზეზი ზაფრისაგან იქნების რომე სტომაქშიგა გამაგრებულიყოს.

20 წ ა მ ა ლ ი ამისი მუდმად თბილსა წყალსა სმიდი ნუშისა ზეთითა და კარაქსა აჭმევდი, თუ არ უშუელოს არწყევინე თბილითა წყლითა და სიქანგუბინითა თუ არ უშუელოს ერთი მიტყალი იარაჯფეყრა დანაყე და თაფლშიგა გაურივე და მიეც.

მ ა ს ქ ი ს ა ძალისა უძლურობისა ნიშანი ესე არის რომე, საჭმელი არ მოუნდებოდეს. მასქისა, უძლუროზა ორფერია, ერთი ისი რომე საჭმელი ჭამოს ასრე ეგონოს ვარწყევო, აზიდებდეს და გული ეშლებოდეს, ამისი მიზეზი ანუ ბალდამი არის სტომაქშიგა, ანუ უძლუროზა სტომაქისა, მ ე ო რ ე ესე არის რომე რაცა საჭმელი-ჭამოს ფეცხლა ნაწლევშიგა ჩავიდეს. ამისი მიზეზი ესე არის რომე

30 სტომაქშიგა ბალდამი არის, რასაცა ჭამდეს რწყევითა ამოვიდეს.

თუ სტომაქისა უძლურობისა იყოს, მისი ნიშანი ისი იყოს რომე სადამდის სტომაქი საჭმელისაგან არა აივსოს მანამდი ესე ნიშანი არ გამოჩნდეს.

და თუ სენისა გუარი მხურვალი იყოს უწინა წყნარად გაგონება უნდა მერმე ვაშლისა და კომშისა წუენსა უნდა ასუემდეთ და ლიმონისა შარბათსა ახმარებდეთ და ქაშქაბსა აჭმევდე.

¹ ალიქირუმი თეთრი საკმელია, აშიაზე სწერია მხედრულით.

ასუმევედით. აიღე: ტაბაშირი და ვარდი და გულნარა, ყარაზი, ტარასესი, ქარბა ათი ისტირი დანაყე ამა წამლებშიგა ხუთსა დრამსა გაურევდი და ასუმედი. და საჭმელად ვარია შეუქენ ისრიმითა, ქერისა და ფეტუსა საჭამადი აჭამეთ, ბრინჯი და ოსპი ნახევარზე დანაყილი შეუწყევით.

და სტომაქზედა ესე ტლე შემოსდევით, აიღე: სანდალი, გულნარა ვარდი, მურტისა ფურცელი, სწორსწორი დანაყე; ვაშლისა და კომშისა წუნენითა შეზილე და სტომაქსედა ტლედ შემოსდევე. თუ

10 სიმხურვალისაგან სტკიოდეს ესე წამალი უყავ.

თუ სენისა გუარი ბ ა ლ დ ა მ ი ს ა იყოს პირველად სტომაქი გაუწმინდე ან ყუანითა, ან რწევითა ან იარაჯ ფეყრითა, მერმე ჯავზისა გუარიშნი მიეც ამა წესითა აიღე: ალილა შავი ანუ ყუითელი და ფურისა ერბოთა მოადულე, მოხალე და ათი დრამი, მერმე აიღე ხუთი დრამი წიწმატისა თესლი და სონიჯი და გარეული ქონდარი ამისგან სამსამი დრამი, ხუბა სელად და ძრმითა გაზრდილი, რკინისა წიდა არის, ათი დრამი ყუელა დანაყე და წიწმატისა თესლი დაუნაყელი ქენ და თაფლითა შეზილე ამისგან სამი დრამი, ხუთ დრამამდის, მარგე არის.

20 ნ ი შ ა ნ ი ა ზ ი მ ი ს ა, ძალისა უძლურობისა. რაჟამს საჭმელი ჭამოს გუიან მოიდნოს და სტომაქი დამძიმდეს და გუიან გაიაროს. და რა აბოყინოს იმა საჭმლისა სული ქონდეს, რომე უჭამია, და ფსელი მისი და ნავალი ყუითელი იყოს და სუსტად იყოს და ავი სენი გამოჩნდეს, როგორაცა ზემო სწერია. მას ასეთი წამალი უნდა, რომე ძალი მოემატოს.

თუ მისი მიზეზი ბევრისა ჭამისაგან იყოს მაშინ ასეთსა ადგილსა დააწვინე, არა მხურვალი იყოს და არცა გრილი. მარცხენასა გუერდზედა წოლა სტომაქსა გაახურვებს. თუ დილასა მხიარულად ადგეს აბანოსა იბანოს და საჭმელი სუბუქი და ცოტა ჭამოს. და მარჯოუე-

30 ნასა გუერდზე დაწოლა სტომაქსა საჭმლისაგან დასცლის.

თუ გუნება გრილი იყოს ცოტა ატრაფული ღუინითა გალესე და შეასუი. და მხურვალი. ტლეები შემოსდევე და საჭმელი მხურვალი და ნედლი და ადრე სადნობელი მიეც.

თუ გუნება მხურვალი იყოს, სიქანგუბინი საფარჯლისა, კომშსა ქუიან, და ბროწეულისა შარაბსა უნდა მიცემა, საჭმელი რაცა ჭამოს, თუთუბოთა და ისრიმითა და მჟავისა მროწეულისა წუნენითა უნდა ჭამოს.

270

ამა ქუემოთ წამალნი იწყებიან. ესე ცოტა ატრეფული არის, აიღე: ქაბული ალილა, კუერცხის გული და ბალილაჯი, ამათგანი სწორი წონი დანაყე და გაცერ და ნუშისა ზეთითა შეზილე და ამათგანისა წამლისა წონი ქნა ნუშის ზეთი და პერულ მოხდილითა თაფლითა შეზილე და ჭურველსა ჩადევ და რა მოგინდეს იხმარე, შესუმა მისგან თხილის ზომა, წყლითა თბილითა, ერგების ღ თითა.

ნიშანი ტლისა, აიღე: იასამანისა ¹ ნაფუშნეტი და გულნასრინისა ² ნაფუშნეტი, რომე თეთრსა ვარდსა ქუიან, ინდაური უდი,

მასტაქია, ლადანა, თურინჯის ქერქი, თეთრი საკმლისა ქერქი, ყარამ-
10 ფული, სუქი, ჯავზი, ბასბასა, ზაფრანი, ფალანჯ მუშკი, ნანხუა, ყაყულა

აქიბარი, ყასბუზხარა, სუმბული, ვარდი, სწორ სწორი, მუშკი რომე სული სდიოდეს ყუელა დანაყე და მარზანგოშისა წყლითა და მურტის ფურცლისა წუნითა და მასტაქისა ზეთითა დაალბე და შემოსდევ, ჯალინოზისა ტლე არის. სიქანგუბინსა საფარჯალისა, რომე კომშსა ქლიან, რომე ცოტა მარა შიგ გამდნარიყოს სტომაქისა არემარესა რომე ერთობ მხურვალე არ იყოს არგებს და სიქანგუბინსა ასრე უნდა, რომე ერთსა ლიტრასა სიქანგუბინსა ერთი უკია ძირა გაუ-რიო.

და ფ ი ს ა ძ ა ლ ი ს ა უ ძ ლ უ რ ო ბ ი ს ა ნიშანი ესე არის, რომე 20 მრთელისა კაცისა სტომაქშიგა (საჭმელი) თორმეტსა ანუ თექუსმეტსა ჟამსა დარჩეს, ესე უძლურობისა ნიშანი არის. და ყელით რა ქარი ამოვიდეს მჟავე ქარი ამოვიდოდეს, რა ესე ნიშანი ნახო, იცოდი რომე სნეულობისა ნიშანი არის.

ამისი წამლობა ნედლისა სასმელისა და საჭმელისაგან უნდა, რომე სინედლეცა ქონდეს და სიგრილეცა. ესე იგი არს, ხილთა წყა-ლი, სიქანგუბინი(სა) ჯულაბი, ხიარშამბარი ქასნისა წუნითა გაზ-დილი, ალილაცა კარგია და მარგე, საჭმელად მჟავე ქლიავისა შავისა, თაბარინდითა, ოსპი და ასპანახი ნუშის ზეთითა აჭმევდით,

თ უ ს ტ ო მ ა ქ ი ს ა ს ი მ ს ი ვ ე ნ ე ს ი ს ხ ლ ი ს ა გ ა ნ (იყოს და) გამორჩ- 30 დეს, მისი ნიშანი ესე იყოს რომე სადნობელსა ძალი გაუძლურდეს და ცხელი ცხელება მოეკიდოს და ენასა ბრკე მოეკიდოს.

მისი წ ა მ ა ლ ი, პირველად ხელი გაუხსენ ბასალიკე და მერმე არაფერი წამალი გასახსნელსა და სარწყეველისა არ უნდა მისცე, რწყევა საფათერაკო არის და სტომაქზედა კომშისა ფურცლის წუნენსა უნდა შეცხება და მისივე დანაყილი ფურცელი სტომაქზედა

¹ სწერია „ასმანისა“.

² გულნასრინი თეთრი ვარდი.

შემოსდევ, და ვაშლისა წუნენი და ვარდისა წყალი სანდალი შიგა გალესული იყოს იმას უნდა შეცხება და მუმრუდანი ვარდისა ზეთი-თა და ცვილითა შექნილი იყოს მჩუარზედა გაბრტყელე და სტომაქ-ზედა დასდებდი.

ს ხ უ ა ი, აიღე: კომში, ვაშლი, შეწვი დანაყე და ნედლისა აყი-როსა ნათალი შიგა გაურივეთ და თუხმაქანისა ფურცელიცა შიგ გაურივე, ყუელა ერთმანერთსა გაურივეთ და სტომაქზედა შემოსდევ და სასუმელად მჟავისა და ტკბილისა ბროწეულისა წუნენი, და კომშისა და ვაშლისა წუნენი და საჭმელთაგან აფარეზებინე. და 10 საჭმელსა ქერისა კორკოტსა და ბროწეულისა წუნენსა უნდა დაჯე-რება, თუ წყალი სწყუროდეს იისა და ნელოფარისა შარბათი ასუით წყლითა. და მეოთხესა დღესა ზედაზედა მრავალმარლუას წუნენი, ქასნისა წუნენი, ძაღლის ყურძენას წუნენი, თუითოსაგან თუითო უკია ოთხისა დრამისა ხიარშამბარისა გულითა გალესული იყოს და გამოწურვილი, ერთი დანგი ზაფრანა გაურივე და სამსა დღესა ზედაზედა შეასუი. და ესე ტლე სტომაქზედა შემოსდევ. წამალი ტლისა, აიღე: ქერისა ფქუილი, სანდალი და ნედლის აყიროსა ნათა-ლი ცოტა ზაფრანითა, ძაღლის ყურძენას წუნენითა ტლე შექენ, და სტომაქსა ზედა ტლედ შემოსდევ ¹.

20 თუ სტომაქისა სიმსივნე ზაფრისაგან იყოს, რომე სტო-
მაქისა თავსა გამოუჩნდეს, მისი ნიშანი ესე იყოს, რომე სტომაქისა
თავი უსივდეს და პირი და ენაი გაუყუთილდეს და პირი გაუმწარ-
დებოდეს და ერთობ ცხლად იყოს და შეწყენით და ერთობ სწყუ-
როდეს. ესე სიმსივნე ს ი ს ხ ლ ი ს ა სიმსივნესა ახლოს ახლავს.

წ ა მ ა ლ ი ამისი: ქაშქაბი მიეც, ასე რომე კირჩხიბი შიგა მო-
დუღებულ იყოს და კიტრის თესლისა გული, თუხმაქანისა თესლისა
წუენითა და შაქრითა ერთობ მარგე არის. და ტლე შემოსდევ აყი-
როსა ნათლისაგან, ხატმი და ქერის ფქუილი და ტალბი და შანგი-
ერისა წუენი, ყუელა ტლედ ქენ და შემოსდევ და მრავალძარლუას
30 წუენი და ფურცელი და ხატმი დანაყე და ტლედ შემოსდევ, ერთობ
მარგე არის.

თუ სტომაქისა სიმსივნე ბ ა ლ ლ მ ი ს ა გ ა ნ ტყოს, მისი ნიშანი
ესე არის, რომე საჭმელი არ უნდოდეს და პირსა დორბლი ერთობ
მისდიოდეს, ცხელება წყნარი იყოს და სიმსივნე რბილი იყოს და
წყურვილი არ იყოს. რა ამისთანა სიმსივნე გამოჩნდეს, ყოველთა
დილათა კამისა წუენი და ნიახურისა წუენი, ოროლი უკია ორითა

¹ აშიაზე სწერია: ნანხუა — სოლინჯია, მარზანგოში — ქონდარია, ქასარ ბუ-
ზური — ლერწმის ძირია, ქასნი — ვარდკაჭაჭია.

უკითა ნოღმისა ზეთითა გაურივე და მიეც შუიდ დღემდის, მას
უკანით, აქლილალმალიქი და კამისა ძირი ათათი დრამი ოთხით
ბადდადურითა ლიტრითა წკლითა მოადუღე ასე რომე ერთსა ლიტ-
რაზედა მოიყაროს, ყოველთა დღეთა ოთხი უკია მისგან ოთხი დრამი
ფარისიაომანი ¹ და სამი დრამი ნუშის ზეთი გაურივე და მიეც
მარგე არის.

ს ხ უ ა ი წ ა მ ა ლ ი, აიღე: ვაზისა ნაცარი თოფალახი უსხური,
სუმბული დანაყე და გაცარ და ნარდინისა და სუმბულის ზეთშიგა
გაურივე და სტომაქზედა შემოსდევ. ამისი საჭმელი სატაცური და
10 ჭაკუნტელისა ფურცელი ნუშისა ზეთითა და ზეთის ხილისა ზეთითა
მიეც, და წყლის მაგიარად მულასალი ² ასუით.

ნ ი შ ა ნ ი მაგრისა სიმსივნისა ესე არის, რომე არა დია გამო-
ჩნდების, არცა დია ბალღამს გამოიჩენს. თუ გამოჩნდეს ნიშანი ისი
არის რომე სტომაქი მაგრად და მძიმედ ქონდეს და ტანი დამჭლო-
ბოდეს, ავი საგონებელი და შიმშილი გამოუჩნდეს. წამალი მისი
ზედაზედა აქლემისა რძე მისცე, მარგე არის, მულასალითა.

ს ხ უ ა ი, ხიარ შამბრისა გული მულასალშიგა დაალბონ და
გამოწურონ და ბედანჯის ზეთითა მისცენ, მარგე არის.

თუ სტომაქშიგა დუბელა გამოჩნდეს, თუ ტანი დაუმჭლდეს
20 და თვალნი უკუეყარნენ და ყვანა რწყევა გამოჩნდეს, ცხელება
დაუწყნარდეს და ფსელი მოუმცირდეს და სტომაქი გაუმაგრდეს, ასრე
რომე თითი დააჭირო და არა დაეფლას შიგა, იცოდი რომე დუბელა
შექნია სტომაქსაშიგა. ამაშიგა სტომაქისა ტკივილი გამოჩნდეს და
ხელფერხი გაუცივდეს, სიკუდილისა ნიშანი არის.

წამლები ესე არის რომე, როგორცა მხურვალი სიმსივნე გა-
მოჩნდეს, უსწრაფე ხელის გახსნასა და რაცა მისა კარშიგა შარბა-
თები, წამლები სწერია ისი უყავ.

გ ა მ ო ც დ ი ლ ი ტ ლ ე, აიღე ტლაშყუყი ხმელი, დრამ ნახევარი მარვისა თესლი, ულბო, თუითო დრამი, ყუელა დანაყე და გაცარ 30 და სამითა უკითა ვირისა რმითა, ანუ თხისათა გაათბე და შემოსდეგ.

თ უ ს ტ ო მ ა ქ შ ი გ ა მჯდომი გამოუვიდეს, მისი ნიშანი ესე არის რომე პირისა ქარი და მისი სული უბედური იყოს, ანუ ენა და პირი უშრებოდეს, ანუ რწყევა ბევრი მივარდეს და რწყევაშიგა წყლულსა ტყავი ავარდეს, იმისთანა ამოყვეს.

წ ა მ ა ლ ი თუ სტომაქსაშიგა მჯდომი იყოს ან მღიერი გამოჩნდეს, პირველად მკლავი გაუხსენ და მჟავე დო, რომე შავისა ფუ-

¹ ფარისიაოშანი—კილამურა. ² აშიაზე სწერია: „მულასალი—თაფწყალი“.

რისა იყოს, ათი ასტირი ერთითა დრამითა თაბაშირითა, ერთითა დრამითა ვარდითა, და ერთითა დრამითა მჟაუნას თესლითა, ესე ყუელა დანაყე, გაცარ და დოშიგა გაურივე და მიეც, მარგე არის.

ს ხ უ ა ი, მარგე შარბათი, აიღე: შავის ფურისა რმე და თუ-თუბისა წუნენი, ისრიმის წუნენი ათ-ათი ისტირი და სამივე ერთად გაურივე და ქუაბითა გახურვებულთა ადუღეთ ესე რმე და მჟავისა ბროწეულისა წუნენითა მიეც ერთობ მარგე არის, და საჭმელად ზროხის კლიკი, ხბოს ხორცი, ძმრითა შექნილი და ვარია ისრიმითა ანუ თუთუბითა, მარგე არის.

10 ნ ი შ ა ნ ი ბ ო ყ ი ნ ი ს ა იცოდით თუ ერთობ აბოყინებდეს, სტომაქისა სისუსტისაგან იქნების. ერთი სინედლისაგან არის და ერთი სიმხურვალისაგან.

თ უ ესე ბოყინი მჟავე იყოს, ბ ა ლ დ მ ი ს ა გ ა ნ არის, მისი წამალი გუარიშნი ზირა მიეცით ანუ უდის გუარიშნი, მაჯუნნი რომე სტომაქისა სიგრილისათუის გვითქუამს ისიცა მიეცით, საჭმელი მსუქნისა ხორცისაგან შეუწყევით.

თ უ ესე ბოყინი მწარე იყოს იცოდით რომე ზ ა ფ რ ი ს ა გ ა ნ არის, მას, სიქანგუბინი საფარჯალი შეუწყევით და პური ძმრითა აჭამეთ.

20 ე რ თ ი ბ ო ყ ი ნ ი კიდევე სხუა არის, ანუ დიდისა ღუინისა სმისაგან, რომე სტომაქს ღუინო მორეოდეს და ან ბალდმისაგან, რომე სტომაქსა შიგა დაგროვებულიყოს, და ან მწოვე და მხურვალი საჭამადი რამე ეჭამოს, პილპილა, ნიორი, და წიწმატი, მისგანცა იქნების, იმას ესე წამალი უყავით სამჯერ თბილი წყალი შეასუით ზედაზედა და არწყევინეთ, მეორესა და მესამესა დღესა ამას იქმოდეს.

ე რ თ ი ბ ო ყ ი ნ ი სხუა არის, რომე ნამეტნავად სიგრილე მორეოდეს და სტომაქზედა აბოყინებდეს, მას ესე შეუწყევით, ხმელი კამა დანაყეთ და წყალშიგა ჩაუყარეთ და სამსა დღესა ისი ასუით და საჭმელისა მაგიერად ჩამიჩი აჭამეთ, და საჭმელსა გუიან გუიან 30 სჭამდეს, რამდენიცა უჭმელად არის იგი უჯობს.

თ უ ამან არ უშუელოს ესე ყურსი შეუწყევით, აიღე: ქუნდრე ¹ ორი დრამი და ნახევარი, რასინი და ფოთინაჯი, გა(3)ხმონ თუითოსაგან თუითო დრამი და ნახევარი და სადაფისა ფურცელი ერთი მუტყალი და ქონდარი ნახევარ მუტყალი, ესე ყუელა დანაყე და

⁴ აშიაზე სწერია მხედრულით: ქუნდრე – თეთრი საკმელია:

შექენ თუითო მუტყალი და ყოველთა დღეთა თუითო მუტყალი აჭამეთ; თუითოთა მუტყლითა ზირა ქირმანითა.

თ უ ამ ბოყინშიგა ცხელეზა და წყურვილი დაემართოს, იმას, ესე შეუწყევით: დილეულად თბილსა წყალსა ასუემდით და არწყევინებდით და ყოველთა დღეთა საჭმელად ქერისა კორკოტი შეუწყევით ჯულაბითა და ცოტა ნიგუზისა ზეთი გაურივონ და ბაზრაცატუნისა შარბათსა შეასმიდენ და ბროწეულისა წუნენსაცა ასმევდენ შაქრითა და ცხელითა წყლითა ღარღარა აქნევინეთ.

თ უ ამა სენშიგა ყვანა დაემართოს, და ამა ყვანაშიგა ბოყინი 10 გაუხშირდეს და ან კაცსა ხელი გაუხსნას და მას ზედა ბოყინი დართვოდეს და ან ნამეტნავისა საჭმლისაგან, რომე მრავალი ეჭამოს და იმაზედა ესე სენი დართოდეს, მისი წამალი ძნელი იქნების. მაგრა თუ წამალი უყოთ მას ყუელა გრილი და რბილი და ნედლი შეუწყევით, და იისა შარაბი შეუწყევით, და თუხმიქანისა წუნენშიგა თარანგუბინი გაურიონ და შეასუან და საჭმელიცა ყუელა გრილი და რბილი შეუწყევით და რწყევისა წამალი ასუით და არწყევინეთ.

ნ ი შ ა ნ ი ფ ა ვ ა ყ ი ს ა რომე სლოკინსა ქუიან, თბილისა და მხურვალისა საჭმლისაგან იქნების და მწოვისაგან და ზაფრისაგან რომე პირსა წავარდნოდეს და ცოტა მუცელშიგა კიდევე დარჩომი- 20 ლიყოს და სტომაქსა კბენდეს და კაცისა ძალი მას ვერა მოერეოდეს, ამაზედა ფ ა ვ ა ყ ი ც ა დაემართების.

მას ქუიან ფავაყი, რომე სწყურდებოდეს და პირი უმწარდებოდეს და სტომაქი ეწვოდეს. ცოტა ცოტასა თბილსა წყალსა ნუშისა ზეთითა შეხურეტდეს.

თ უ ხ ა ნ ი გაუგრძელდეს პირსა წაიგდებინოს, და მისი საჭმელი რაც რბილი საჭმელი იყოს, ის შეუწყევით.

იქნების რომე სიგრილისა და სინედლისაგან იყოს და ანუ სქელი ქარი იყოს სტომაქშიგა, ამან პირსა წაიგდებინოს, რომე მლაშე ეჭამოს სიქანგუბინითა და ცერეცოს წუნენითა და წითელის ლობიო- 30 სათა. ამათგან რომლითაცა წაიგდებინებს ერგების.

თ უ წყალი სწყუროდეს, მოიჭირვოს ნუ სუამს, თუ სუას ცოტა სუას ანქიდონი და ჯუნდი ბედასტარიცა ისუნოს და საკმელი მასტაქი და პიტნა მისსა საჭმელსა გაურიონ ერთმანერთისა წონა და უზმამან ჭამოს და ცხვირსა დასცემდეს და ამოისუნთქემდეს, ისიცა ერთობ კარგია, და კაცსა რომე დაენაძლეოს, ისიცა ერთობ, კარგია.

მაჯუნნი ზირასი და თრიაყი არაბა ესეცა ერგოს. ნახევარ მუტყალი ჯუნდი ბედასტარი ძრმითა მისცეს, ესეცა კარგი არის.

იქნების რომე კაცმან წამალი აიღოს და მას უკანით ხმელი სლოკინი დაერთოს, მას ახალი რძე და ქერისა წყალი შაქრითა და ნუშის ზეთითა და ტკბილი ბროწეული, ქასნითა, და ლუაბი ბაზ-

რაცატუნისა და ლუაბი ბიისა ტკბილისა და მისი გული, ესე ყუ-
ლა ნუშის ზეთითა მისცენ ერთად. და იისა ზეთი ცხურისა იცხოს
შიგნით და იმითავე კისერი და ბეჭი დაიზილე და ნიადაგ იმითავე
ზურგსაცა იზელდეს. და იის ზეთითა დაზელილი ცვილი უნდა იყოს
და ხათმითა, ესე მალამად შექნილი კისერსა შემოსდვას მარგე არის.

ნ ი შ ა ნ ი დ ა წ ა მ ა ლ ი ა ი ა ზ ა ს ი. ამას ჰქუიან რომე ნამ-
10 ყენად ერთმანერთზედა ეჭამოს და საჭმელი სტომაქშიგა დამჟავებუ-
ლიყოს და დამჰალიყოს და პირსა ამოყარდეს, რა ესე [ნიშანი] ნახოს
იმავე წამსა არწყიოს, [რომე] სტომაქი გამოწმიდოს.

თ უ სტომაქი ცხელი ქონდეს, წყალი ცოტად გაათბოს, იმითა
არწყიოს და ისი ნახევარზედა გამთბარი წყალი ბევრი სუას, რომე
სტომაქი გამოწმინდოს.

თ უ სტომაქსა წვა გამოუჩნდეს ცოტა ჯულაბი შესუას რომე
ისი წვა და ხილთი დასუას.

თ უ მწოვედ სწყურდებოდეს, ჯულაბი კიდევე შეასუას. კაცსა
რომე ესე ა ი ა ზ ა სჭირდეს ნურას ჭამს, იფარეზოს, დაიძინოს და
20 უჩუმოდ იყოს, რომე ისი ხილთი წახდეს.

თ უ მეტად მოსწყურდეს, ტაბაშირი დანაყოს, ბროწეულისა
წყლითა გარიოს და ცოტა ისრიმისა წუენითა შესუას, მჟავისა ბიის
წუენი და აგრეთვე გარეულისა ვაშლისა წუენი სუას, და ვაზისა-
ფურცელი და ანუ ჩუილი რქა ჭამოს არგებს.

თ უ ამას უკანით კიდევე არწყიოს, ამა წამლებშიგა ცოტა
აბურშატი გაურიონ და აგრე შეასუას. დაიჭირე ვაშლი მჟავე და
ძმრითა მოხარშე ან ცეცხლშიგა შეწუი, წითელი ვარდი და გულნარი
და აფსინთინი ცოტათა მასტაქითა და მურისა ზეთითა და ვარდის
ზეთითა, ესე ყუელა გარიონ და ტლედ სტომაქზედა შემოსდვან.

30 თ უ კაცისა სტომაქი გრილი და ნედლი იყოს, პირსა თაფლ-
წყლითა წაიგდებინოს, რომე სტომაქი გაწმიდოს და მერმე უდისა
ყურსი ჭამოს.

კ ა ც ი რომე სტომაქზედა სატკივარიანა იყოს, მან საჭმელი
ცოტა და სუბუქი ჭამოს, რომე ადრე მოიდნობის. საჭმელი სუბუქი
ესე არის დურაჯი ხარშოდ და ჭავჭავი, ხობოზი და დარიჩინი, ქარ-
ვა, ზირა და რაცა იმათ გვანდეს ამათ ჭამდეს ამა ხარშოსა.

თ უ სტომაქისა თრთოლა მოუვიდეს იმავე წამსა პირსა წაიგ-
დებინოს, მერმე ზროხისა დო რკინითა დამანთული ტაბაშირითა და

276

ბროწეულისა ყუავილითა შესუას, ხურთხი, თხარა თხიზი, ქარბა
ამათგან ხუთი მუტყალი ათსა ასთრისა დოშიგა გაურიონ და
ურთად ადუღონ და შესუას მისი საჭმელი ან ბრინჯითა, ან ოსპითა
ქაშქაბითა ¹ იყოს ისრიმითა შექნილი, ან რაცა ისრიმსა გვანდეს.
ქათამი, დურაჯი, ხობოზი შემწუარი და ან ბროწეულისა წუენითა
შექნილი გუარშინი. ხუზი მურტის შარბათითა ასუას ისიცა არგებს.

თ უ საჭმელი სტომაქშიგა დაუმძიმდეს და ამა ზემო წერილ-
მან საჭმელმან არა უმუელოს, შარბათი მურისა შესუას და მასტა-
ქისა ზეთითა სტომაქსა იზელდეს და ქათმისა, მურტისა და პიტნისა
10 შარბათითა ჭამდეს ერთობ მარგე არის.

ნ ი შ ა ნ ი რომე კაცისა ხახა ძნელად ჩაუშუებდეს სასმელ საჭ-

მელსა, ცვილით და ერბოთა და იისა ზეთითა შექნილი მალამა მოიღე, ყურისა და მხართა და ლავიწთა იზელდეს ზეჭამდისი. თუ სიმხურვალისაგან იყოს და ისი დაზილონ მჟავე დო ასუან ან ბროწეულისა წყალი.

თუ მისი სტომაქი სიგრილისაკე იყოს ბოლოკისა და ან ბალასინისა ზეთითა დაიზილოს და გულანგუბინი ანისულისა წყლითა ჩაადნონ და მისგან ცოტა ცოტასა ახურეტდეს.

თუ ხახასა ქუეით სიმსივნე ქონდეს ასეთი რამე მისცეს, რომე 20 პირსა შიგა მუდმად მისდიოდეს და ოსპითა შეკაზმული იყოს, თუხმაქანითა და აყიროსა წყლითა და ბაზრაცატუნისა ლუაბითა და ცოტა კამისა წყალიცა ასუას და რუბისუსი, ლელუი, ხურმა, ულბო და რაცა ამათ მსგავსი იყოს მისგან ცოტა ცოტასა აჭმევდენ, არგებს. ამას უკანით ქერისა და ოსპისა ფქუილი ნუშისა გულისა რძითა შეკაზმონ და აჭამონ, უკანის მუხუდოსა ფქუილი ძირტკბილას ძირი და ხარდალი და ძირი იისა და ნუში მწარე, ხურმა, ლელვი და თაფლი, აშაყი, ამისგან რაცა დაგუითლია შეჭამადშიგა ჩაყარონ და რაცა მოუნდეს აჭამონ.

ნიშანი მისი რომე კაცისა სტომაქსა საჭმელი არა მოუნდებოდეს, 30 ასრე უნდა რომე იარებოდეს და ან საქმესა იქმოდეს და მუხუდოსა ფურცლითა ტანსა დაიბანდეს. არგებს ქაბრი ძმრითა და თაღმითა და ხარდლითა გალესული ძმრითა შენახული და ხახვი ძმრითა შენახული და ქათამი სადაფითა და ნიორითა, ესენი თუ ჭამოს მაშინ, და თუ უსუნოს მაშინ ორჯელვე მოანდომებს. საჭმელი მისი ისრიმითა და ან ბროწეულისა წყლითა ანუ სამყითა და ზირითა შე-

¹ ტექსტში შემოკლებით სწერია „ქაშითა“.

უწყონ და შემწუარსა ქათამსა და შემწუარსა ბატკანსა და თბილის პურისა სული საჭმელსა მოანდომებს.

ნიშანი მისი რომე კაცი ქამდეს და არა ძლებოდეს, იქნების რომე სიგრილისაგან იყოს, რაცა ზემო სიგრილისა სტომაქისათუის დაგუიწერია, ესეცა სიგრილისა არის და იგივე წამალი უყავით. იქნების რომე სიმხურვალისაგან იყოს, სტომაქი მხურვალი იყოს და იმისა ¹ ძირი რომე ღია იყოს, მისგანცა იქნების, მას მუშაობა და მოჭირვება აწყენს, ცივსა წყალსა ჩაჯდებოდეს და მურისა ზეთითა ტანსა იზელდეს და შარბათი ლიმონისა და რევაჯისა სუას 10 და რაცა ამათი მსგავსი იყოს ისი არგებს. საჭმელი მისი ხბოსა ხორცი: და ზროხისა შიგანი ისრიმითა და კოწახურითა და რაცა ამათ გვანდეს იმითა შექნილი არგებს, და გიშრაფეთი და რაისა გინდა თავფეხი შემწვარი იყოს ისიცა არგებს და ხარშო ისრიმითა და ძმრითა რომე იყოს იმისი მგზავსი რაცა შეჭამადი იყოს, ისიცა არგებს და მლაშე საჭამადი იფარეზოს, ესე სენი დიდისა სევდისაგან იქნების, რომე ტყირბისაგან სტომაქშიგან მისულიყოს ისი უზმა თბილსა წყალსა სუემდეს და რბილსა და მსუქანსა საჭმელსა ჭამდეს და კუერცხის გული თოლხოლო და ბატისა და ქათმისა, რომე იწვოდეს და მას ქონი ჩასდიოდეს იმითა პურსა ჭამდეს, ესე ყუელა არ- 20 გებს, და რაცა ამას გავს ისიცა, და ალვა შაქრისა და ზეთი ნიგუ-

ზისა და ამათი მსგავსი ყუელა არგებს. აიღე: ხორცი ბატკნისა, თიკნისა მსუქანი, ცერეცოთა და მუხუდოთა შექენ და ცოტა ზირა გაურივეთ და ასრე ადუღონ რომე დადნეს. და რა მოიხარშოს ამავე წუენითა ხუნდი ტრედისა და ქათმისა ისრევე მოხარშონ და იმას ცოტა დარიჩინი და ხულინჯანი გაურიონ და უდი დანაყილი და იმა წუენსა ხურეტდეს და მთის ადგილსა ცოტა ძუელი ღუინო შიგა გაურიონ რომე სტომაქი გააცხელოს, და რაგინდარა მჟავე ჭამონ სევდისა ხილთა სტომაქი დაღმა გამოიღებს.

სხუაი ნიშანი რომე კაცისა გულსა საჭმელი უნდოდეს და სტო-
30 მაქმა არა ჩაუშვას, ამა სენსა ყოველი კაცი შეატყობს, ამა სენსა, ა რ ა ბ ნ ი ჯუალბალყარას უძახიან და ქართულად ხ ა რ ი მ შ ი ა რ ი ჰქუიან, ამისთუის რომე ხარსა დია წაეკიდების, და თუ ესე კაცსა შეექნას მისი ძალი უნდა დაიწყალობოს. და ასეთი საჭმელი ჭამოს, რომე საჭმელი მოანდომოს, და კიდევცა ისუნოს, ზემოსა კარშიგა ნახე. და ნიადაგ ნახარშითა ხახასა ჩაისოვლებდეს.

¹ ტექსტში სწერია შეცდომით „თმისა“. ამავე გვერდის აშიაზე სწერია „სუმაყი — თუთუზა“.

ვ ი ს ც ა ესე სენი სჭირდეს ანაზდად დაეცემოდეს და უჭკუოდ გახდებოდეს. მას ნუ დააძინებ, ნიადაგ მღუიძარედ ამყოფე, თმასა დასწევდი რომე ძილი არა მოეკიდოს და ყურსა მაღლად შეყოოდენ. და უდი ცხვირსა უკვიონ და ცივსა წყალსა და ვარდისა ზეთსა პირსა შესახემდენ, რომე ჰკუასა მოვიდოდეს, და ხბოსა, ხორცისა, ნახარში ახურიტონ. ნიორისა და სადაფისა, და ნიახური და პიტნა და თურინჯისა ქერქი, სუმბული და ზაფრანა, მუშკითა დაზილონ და მისსა შეჭამადშიგა ჩააგდონ. დაიჭირე: ტრედის ხუნდი და ანუ კაკაბი და მოხარშე მუხუდოთა და ცოტა ზირათა და ნიგუზისა ზე-
10 თითა, ამა წყალშიგა ჩაურივე. დაიჭირე: რუდი ნედლი და დარიჩინი, სულინჯანი, ნახევარზედა დანაყე და ესეცა იმა წამალშიგა გაურივეთ და მოადუღეთ, თუითოსაგან ასთონიერთი, რომე სული აედინოს და მჟავისა ბიისა და ვაშლისა წყალი ესეცა იმა საჭმელსაშიგა მოადუღონ და სადაფი წურილად დაჭრილი, რომე საჭამადსა სული მიეცეს, ესეცა კარგია.

თ უ კ ა ც ს ა წ ყ უ რ ვ ი ლ ი დ ა ე მ ა რ თ ო ს ¹, ან იქნების ცარიელად ტანისა და ღუიძლისა სიმხურვალისაგან და ან იქნების ხმელისა და მხურვალისა საჭამადისაგან. თუ ამისგან იყოს ავი არის: წამალი მისი შარბათი ისრიმისა და შარბათი რევაჯისა ერთობ მე-
20 ტითა ცივითა წყლითა სუას, მერმე დაიძინოს რომე წყურვილი გარდავარდეს ამა ძილშიგა, ისი შარბათები და ცივი წყალი შიგა გაუჯდების და იმა სენსა მოკლავს, და ჩინური სხალი შეჭამოს არგებს.

აბი რომე პირშიგა დაიჭიროს ისიცა არგებს, დაიჭირე თესლი ძირასი და თესლი კიტრისა და ბადარანგისა და ტკბილი აყიროსა თესლი, ესე ყუელაი დაწმიდე თუითოსაგან ხუთი მუტყალი, თუხმაქანი ათი მუტყალი, ქასირა შვიდი მუტყალი ესე ბაზრაცატუნისა ლუაბითა ჩაადნონ, [აბი შექნან], დაიჭირე საზამთროი და ტკბილი აყირო და თესლი კიტრისა და ბადრანგი ესე ყუელა სწორ სწორი, ვარდისა წყალი რომე დაგობილ იყოს იმაშიგან ჩა[ა]სხან და ისრიმი-

სა წყალი და მჟავისა თრუნჯისა ქერქი და წყალი რევაჯისა და წყალი ლიმონისა და მჟავისა ბროწეულისა, წყალი სუმცისა ამისგან გაურიონ ტაბაშირი და მისცენ, სუას.

ა ი ღ ე: ჩამიჩი უგურკო და გარცხილი და ცოტა შაქარი შიგა გაურივე და წყალშიგა დასოვლონ, რომე კარგად დალბეს და ენასა მოეკიდოს, მერმე დაწურონ.

¹ აშიაზე სწირია „წყურვილისა კარი“.

თ უ კაცმან მჟავე ითხოვოს, ამა შარბათსა მჟავე ბროწეულისა წყალი გაურიონ რაცაოდენ მას მოუნდეს, შიგა ცოტა მარილი და სუნბული გაურიონ. და თუ კაცმან ტკბილი ითხოვოს, შიგა მჟავე არა გაურიონ რა დარიჩინი და უდი და ზანჯაბილი, ცოტა ფილფილი, და ცოტა მუმია ესე ყუელა ერთად გახმონ და ცივსა ჭურჭელშიგა ჩაყარონ ესეცა კარგია.

იგ. კარი გულის ტკივილისა და ხაფაყანისა იცოდით გულის ტკივილი მრავლისგან იქნების, თუ გულის ტკივილი სიმბურვალისაგან იყოს, მისი ნიშანი ესე იყოს რომე ცივი ქარი, და ცივი წყალი 10 და ცივსა რასაცა იდებდეს, ეს ყუელა იამებოდეს და თბილი და მბურვალი ეწყინებოდეს. კარგა გაშინჯვა უნდა თუ მისი სტომაქი, სიცხისაკე იყოს, გრილსა ალაგსა ამყოფეთ, ასრე რომე თუ ბარსა ალაგსა იყოს მთას გაიყვანეთ, თუ მთასა ვერა გაიყვანოთ, გრილსა სახლშიგა დააწვინეთ და გარეშემო ყინული და თოვლი მოუყარეთ და ვარდისა წყლისა და ქაფურსა და სანდალსა უსუნებდეს, ერთობ მარგე არის და ნენოფრისა სულიცა მარგე არის, და ტირიფისა ფურცელიცა მარგე არის. და გრილსა ხილსა ჭამდეს, ეს ყუელა მარგე არის ნებითა ლ^ა თისათა.

ფურცელი ტირიფისა გარცხილი სადაცა დაიძინოს, გარე შე- 20 მოუყარეთ შარბათი სანდლისა და ყურსი ქაფურისა ასუან და მისი პერანგი სანდლისა წყლითა დაასოვლონ და აგრე ჩააცუან და წისქუილისა ქვაზედა თეთრი სანდალი ვარდისა წყლითა გალესონ და ცოტა ქაფურიცა გაულესონ და მითა ქათნისა პერანგი დაასოვლონ და ჩრდილსა გაფინონ ცოტასა ხანსა და მერმე ჩააცუან და ხანდა- 30 ხან ვარდისა წყლითა შეასოვლებდეს რომე სული ახალ ახალი უდიოდეს, ერთობ მარგე არის.

თ უ წყურვილი სჭირდეს და აწყენდეს წყალი მჟავისა ბროწეულისა და წუენი ტყემლისა, წუენი ინდოურისა ხურმისა და წყალი ისრიმისა და წყალი მჟავისა თურინჯისა ესე ერთმანერთისა სწორი 30 ქნას, რაცა ამას შაქარი მოუნდეს იმითა ადულოს სადამდის გასქედდეს და ცივითა წყლითა გარეულსა ასუემდეს. წყალი თუხმაქანისა წყალი მჟავისა კიტრისა, ესე ამა სენსა ერთობ ერგების და თუ ყურსი ქაფური ურიონ სჯობს.

თ უ ც ი ვ ე ბ ა არა სჭირდეს ძროხისა დოცა არგებს, მისი საჭმელი მულულაბითა და კარგითა ღუინითა გარეული იყოს, გააცივებდეს და პურსა იმითა სვამდეს.

თუ ესე ვეღარა იშოვოს, ცივსა წყალშიგა პურსა ჩაიყრიდეს და

ჭამდეს ლიმოსა¹ წყალი და მჟავისა ბროწეულის წუნენი, წყალსა გაურიონ და იმაშიგა პური ჩაიყაროს და ჭამოს, ისიცა ერგების. და წურთილი თევზი რომე ძმრითა მოხარშული და საჭამადი რომე ისრითა და რევაჯითა იყოს და ანუ რაცა ამას გვანდეს, მარგე არის, პირსა წაიგდებინებდეს, მარგე არის ისიცა.

გ უ ლ ი ს ა ტ კ ი ვ ი ლ ი რომე ნამეტნავად სიმხურვალისაგან იყოს და აცხელებდეს. მისი ნიშანი: და აცხელებდეს და გული უმგერდეს და აწყურვებდეს და გული შეუსუსტდებოდეს და სტკიოდეს და პირი გაუწითლდეს და მოჭუხებით ქონდეს, რა ესე ნიშანი ნახო, 10 იცოდი რომე სიმხურვალისაგან არის. მას ესე შარაბი სანდალი შეასუსი და ხელი გაუხსენ, შუა ძარღუი, და ცოტა სისხლი ადინე. ამა შარაბისა სანდლისა წამლები ესე არიან, ა ი ღ ე: გაქლიბული თეთრი სანდალი ოცდაათი დრამი, ქინძისა თესლი ხუთი დრამი, ასსა დრამსა ისრითისა წუნენშიგა და თხუთმეტსა დრამსა ძმარშიგა და ერთსა ლიტრასა წყალშიგა დაალბე ერთსა დღე ღამესა, მეორესა დღესა აადულე, მანამდი რომე ორი წილი დააკლდეს და მესამედი დარჩეს, მერმე ხელითა შეზილე, ქათნისა ნაკუეთითა დაწურე, მერმე ერთი ლიტრა შაქარი გაურივე, ნახევარ დრამი ზაფრანა ჩახუშიგა გამოკარ და შიგა ჩააგდე და ადულე და პერი მოხადე მანამდი რომე 20 გასქელდეს, ხან ჟამიერად ზაფრანა ხელითა დატყლიჟე, რომე ძალი კარგად გამოსცეს, ათი დრამი ტაბაშირი დანაყილი, ნახევარ მიტყალი ქაფური, ამა შარბათშიგა გაურივე, თუითო სმა ამა შარბათისა, ხუთი დრამი. ვაშლისა შარბათი გალესე და შეასუი.

თ უ პირისა სახე ყუითლად იყოს და მაჯა ჩქარად სცემდეს და ნავალი და შარდი ყუითლად იყოს და პირი უმწარდებოდეს და სწყურდებოდეს, ასრე რომე წყლითა არა ძღებოდეს და მალვით აცხელებდეს, იცოდი რომე სენი ზ ა ფ რ ი ს ა გ ა ნ არის.

მ ი ს ი წ ა მ ა ლ ი, ესე ყურსი ქაფურისა არის, აიღე: ქაფური, თაბაშირი, წითელი ვარდი, ლულუფარი, ქაფური ორი დრამი და 30 სხუათაგან ოთხ ოთხი დრამი თუხმაქანი, კიტრისა თესლი, შანგიარისა თესლი, რომე მრუდად გაგრძელდების, აყროსა თესლისა გული, თუითოსაგან სამსამი დრამი, ქოქისა თესლი, ქასნისა თესლი, თუითოსაგან ორი დრამი და ნახევარი, თეთრი სანდალი სამი დრამი, დამწუარი და დანაყილი კირჩხიბი ორი დრამი რუბისუსი ერთი დრამი, ზაფრანი ორი დანგი, თარანგუბინი ათი დრამი ქასირა ერთი დრამი და ნახევარი, ხმელი ქინძი დრამი და ნახევარი. იმა ათსა დრამსა თარანგუბინშიგა ცოტა წყალი ჩაასხი და ხელითა შეზილე

¹ სწერია „ლიმონას“.

და ქათნითა გაწურე, ესე წამლები ყუელა დანაყე, გაცარ და შიგა გაურივე და ყურსები შექენ, თუითოსა სმასა ხუთხუთი დრამი, ბისა გურკისა წუნენშიგა გაურივონ და თითითა ალოკონ და თუ თითითა ვერა ლოკდეს, ცოტასა დოსა შიგა გალესონ და ასოან.

შ ა რ ა ბ ი რომე წყურვილი დააყენოს, აიღე: მჟავისა ბროწეუ-

ლისა წუენი და ტყემლისა წუენი და საზამთროსა წუენი და ნარინ-
ჯისა წუენი და ისრიმისა წუენი სწორ სწორი ასთონი შაქარი გაუ-
რივე, რომე სიმჟავე გატეხოს ¹, მანამდი აღუდე, რომე გასქელდეს,
ამისგან თუითო სმა შარბათი, ხუთხუთი მუტყალი.

10 ს უ ფ უ ფ ი, რომე გულისა ტკივილი დააყენოს და სიმხურვალე
გატეხოს. აიღე: წითელი ვარდი და ტაბაშირი ორორი დრამი, ხმე-
ლი ქინძი ოთხი დრამი, ქაფური ერთი დანგი, ეს ყუელა დანაყე და
გაცარ ამისგან თუითო მუტყალი ვაშლისა შარბათშიგა გაურიონ და
ს ხ უ ა ი ს უ ფ უ ფ ი, აიღე: უხურეტელი მარგალიტი, ქარბა,
ბუსადი, ლისანლამალი, თეთრი შაბი, გილი მახთუმი, თუითოსაგან
თუითო მუტყალი, სუქი ხახევარი მუტყალი წითელი შაქარი შუიდი-
მუტყალი, ყუელა დანაყონ და გაცრან ამისგან შარბათი ორი მუტ-
ყალი ვაშლისა შარბათშიგა გაურიონ და ალოკონ.

20 ტ ლ ე გულის ტკივილისა, რომე სიმხურვალისაგან იყოს, აიღე:
ტაბაშირი, ქაფური თეთრი სანდალი გაქლიბული, წითელი ვარდი
ყუელა დანაყონ და ვარდისა წყალშიგა გაურიონ და ტლედ ქნან და
გულზედა შემოსდევან.

ტ ლ ე კ ი დ ე ვ ე ხმელი, აიღე: ერთი პევშუი ქერისა ფქუი-
ლი, ერთი პევშუი ხათმი ერთი პევშუი დანაყილი და გაცრილი
ლისანლამალას ფურცელი, კლდის ყურძენაი, და ძაღლის ყურძენაი
ბაზრაცატუნისა ლუბი, ესე სამი ერთმანერთსა გაურიონ, და ხუთისა
კუერცხისა ცილი, ფქუილები და წამლები ერთმანერთშიგა გაურიონ
და ტლე შექნან და გულზედა შემოსდევ, სიცხესა დააწყნარებს და-
30 გამოიღებს და გულის ტკივილსა უშუელის, ესე ტლე ჯ ა ნ ი ო ზ ი -
ს ა გ ა ნ მოგონებულია და გამოცდილი.

გ უ ლ ი ს ტკივილი რომე ს ი მ ხ რ ვ ა ლ ი ს ა გ ა ნ იყოს; აიღე:
ალილამი, რომე არს კაკბისა საკუნეტელი, წითელი ვარდი, თურ-
მუზი, მურტისა ფურცელი, მარვის ფურცელი, თეთრი ვარდი, ქაქუ-
ნაჯი, ძაღლის ყურძენასა წუენშიგა გაურივე და ცივად გულზედა
შემოსდევ.

¹ სწერია „გახეხოს“.

ა ი დ ე მეორე ტლე, რომე სიმხურვალისაგან გული სტკიოდეს,
აიღე: ამამა, მადასი, ყანტარიონი, თეთრი სანდალი, აყაყია, სინამა-
ქი მარყაშისა, ხუნისიაოშანი, ყაფიტი, ეს ყუელა დანაყე, გაცარ და
ახალისა ქინძისა წუენშიგა გაურივე და გულზედა შემოსდევ.

მ ე ს ა მ ე მხურვალისა გულისა ტლე, აიღე: ვარდის წყალი ათი
მუტყალი, წნორისა ფურცელისა ოფლი რომე არაყი ბედი ქუიან,
არაყი ქასინი თუითოსაგან ათათი დრამი და სამნი ერთმანერთსა
გაურივენ.

ს ხ ვ ა ი, აიღე ფუფული, მამისა, მამრონი ჩინი, ფაჩრდაბანდი
10 სწორ სწორი წურილად დანაყე და ქერისა ფქუილი ცალი პევშუი
ესე ყუელა ერთმანერთსა გაურივე და გულსა ტლედ შემოსდევ.

კ ი დ ე ვ ე სიმხურვალისა ტლე, აიღე: ასპანახისა თესლი, აირსა,
ოსპი, მწვანე მამა, კოწახური, შამური ხარნუბი, თუითოსაგან სწორ
სწორი. აზუზმაქი ხუთი დრამი, ესე ყუელა დანაყე და ათსა დრამსა

ბაზრაცატუნისა ლუაბშიგა გაურივე და ცოტა ზროხისა მაწუნიცა გაურივე და ტლედ შემოსდევ ცივად.

თ უ გ უ ლ ი უ ძ გ ე რ დ ე ს, აილე შამთარა, სუქი, ქაქუნაჯი, ყანბილი, ქაფიდარა, ლისონლამალი, სუმაყი ხუთ ხუთი დრამი, თუხმაქანი და ნარინჯი, თუითოსაგან სამ სამი დრამი, რევასი, ტა-
20 ბაშირი სამ სამი და ესე ყუელა წურილად დანაყე და ქამაფეტო-
სისა წუნშიგა გაურივე სქლად, მერმე ვარდისა წყლითა გათხელე, კოვზითა ერთი, ზროხისა დოშიგა გაურივე და გულზედა შემოსდევ, და ერთი სმა დოცა შეასუი, და თუ ზაფხული იყოს ყინულითა გაცივეთ და აგრე ასუით.

გ უ ლ ი ს ა ტ კ ი ვ ი ლ ი თ უ ს ი გ რ ი ლ ი ს ა გ ა ნ ი ყ ო ს, მისი ნიშანი ესე არის პირის სახისა ფერი მოთეთროდ და ტყუვის ფერად დასცემდეს, აწოდინებდეს და მხარშიგა და ტანშიგაცა მძიმედ იყოს და ადგომა ეძნელებოდეს და წყურვილი არა მოუვიდოდეს და ცეცხლისა და მზისა სითბო იამებოდეს და ქშინევდეს და სული უგუ-
30 ბდებოდეს, ბრუცა დაესხმოდეს, ჭკუაცა შეცულებოდეს ტკივილისაგან, ხანდისხან შესუსტდებოდეს და მუშკისა სული იამებოდეს, რა ესე ნიშანი ნახოთ იცოდით რომე გულისა ტკივილი სიგრილისაგან არის.

მ ი ს ი წ ა მ ა ლ ი: ძრიელი და ძნელი ღვინო ასუით და მისი ტანი ან ბალასნისა ზეთითა და ან თეთრითა ნავთითა შეზილეთ და მუშკი შაქრითა აჭამეთ, და სურნელსა მწვანვილსა უსუნებდეს, მერმე სოდი და ყარანფული ორივე დანაყონ და ვაშლისა შარბათშიგა გაურივეთ და მიეც რომე ჭამოს. და მერმე ესე შარბათი და ესე წამალი კიდევცა ასუით და გულზედა ტლევცა დასდვან. და საჭმელად

შემწუარსა ტრედის ხუნდსა აჭმევდით და ხანდახან ცხურის ხორცსაცა აჭმევდენ შემწვარსა და ესე დევალმუშკი შეუწყევით და აჭამეთ,

ნ ი შ ა ნ ი დ ე ვ ა ლ მ უ შ კ ი ს ა, აილე: ყუსტი, სუმბული და სოდი, დარიჩინი ¹, [მუშკი], სუქი, ესე ყუელა სწორ სწორი ქენ დანაყე და მურტისა წუნითა, შეზილეთ და გულზედა ტლედ შემოსდევ, მარგე არის, და თუ კარგითა ღვინითა შეასუა ისიცა მარგე არის.

ს ხ ვ უ ა ი ს უ ფ უ ფ ი, აილე: დარუნჯი და მრავალძარლუა
10 სამსამი დრამი, სამი დრამი ზარამბადი, დანაყე და გაცარ და მისგან შესმა ერთი მუტყალი ორითა უკითა ღვინითა.

ს ხ უ ა ი, აილე: ცოტა მუშკი და ამბარი დანაყე და ერთსა თასსა კარგსა ღვინოშიგა გაულესეთ და შეასუი და ესე ნ ო შ დ ა რ უ მაჯუნიცა აჭამეთ. წამალი ხომდარუსა ესე არის, აილე: წითელი ვარდი ექუსი დრამი, სოდი ხუთი დრამი, ყარანფული, მასტაქი, სუმბული, ასარონი, თუითოსაგან სამსამი დრამი, ყუფა, ზარნაბი, ზაფრანი, ბაზბაზი, ყაყულა, ალიჯავზი, თუითოსაგან ორორი დრამი, ყუელა დანაყე და გაცარ და ნახევარ ჩარექი, ამლაჯი გაწმედილი ორსა ლიტრასა და ნახევარსა წყალშიგა მოხარშეთ მანამდის, რომე
20 ორი წილი დააკლდეს და ერთი დარჩეს, მერმე ისი ამლაჯი ხელითა კარგად დაზილეთ და დაწურეთ, ერთი ლიტრა თაფლი იმა წყალშიგა გაურივეთ და მანამდი ადუღეთ, რომე გასქელდეს, მერმე ესე დანაყილი

წამლები შიგა გაურივე და მაჯუნად შექენ, ამისგან თუითო ჭამა
ორი დრამი, ესე მაჯუნი, სიგრილისაგან რომე გული სტკიოდეს უშუ-
ელის და გული რომე შეუსუსტდეს, ძალსა მისცემს ².

ს უ ფ უ ფ ი: რომე სიგრილისაგან იყოს გულისა ტკივილი აიღე:
პიტნა ქარბა მოხალული, ბუსადი ³, თეთრი შაბი, მოხალული სოდი
თუითოსაგან სამსამი დრამი, მგურგუალი ზრევანდი, დარუნჯი ნახე-
ვარ ნახევარ დრამი, მუშკი ერთი დანგი, სუმბული, მარგალიტი,

30 თუითო დანგი, ესე წამლები ყუელა დანაყე და გაცარ და ოცსა
დრამსა შაქარშიგა გაურივე ამისგან თუითო, სმა სამი დრამი ავსანთი-
ნის შარბათითა ა ვ ს ა ნ თ ი ნ ი ს ა შარბათი ესე არის აიღე: აფსან-
თინი ხუთი დრამი, წითელი ვარდი თხუთმეტი დრამი, სუმბული ორი
დრამი, თურბითი ორი დრამი, ყუელა ერთსა ლიტრასა წყალშიგა

¹ სწერია „დარაქინი“.

² აშიაზე სწერია: სოდი—თოფალახია.

³ სწერია „ბასდი“.

284

მოადულონ სადამდის ნახევარზედა მოიყაროს, გამოწურე და ოცი მუტ-
ყალი წითელი შაქარი გაურივე და ცოტად მოადულე, ამა სუფუფი-
საგან სამი დრამი ათსა დრამსა ავსანთინისა შარბათშიგა გაურივეთ
და აგრე ასუით.

გ უ ლ ი ს ა ტ კ ი ვ ი ლ ი რომე სიგრილისაგან იყოს მისი ტლე,
აიღე: სუმბული, სოდი, ყაყურა, სხული და წურილი, ხმელი ხათმი,
წითელი ბორა, სონიჯი, თუითოსაგან ხუთხუთი მუტყალი, ყუელა
წურილად დანაყე და ამმა შუიდი მუტყალი, ესეცა დანაყე და გაცარ,
და კარგსა ძლიერსა ღუინოსაშიგა ჩაყარე, მოადულე, თბილ თბილად
20 გულზედა ტლედ შემოსდევ. ესე ტლე ჯ ა ლ ი ნ ო ზ ი ს ა გ ა ნ მოგო-
ნებელი არის,

წ ა მ ა ლ ი გულის ტკივილისა, რომე სიგრილისაგან იყოს და
ბალდმისაგან და გასახსნელი წამალი იჭირებოდეს, ესე გასახსნელი
მიეცით, აიღე: თურბუთი, აფთიმონი, ღარიყონი, უსდუხუდოსი, თუი-
თოსაგან სწორი და ცოტცოტა, იარაჯფეყრა ორი დანგი და
ნახევარი, უდი ჰინდი დანგი და ნახევარი, ყუელა დანაყე, გაცარ
და ცოტა თბილსა წყალშიგა დაზილე და აბები შექენ ამა აბისა
თუითო წამა ორი დრამი, და თუ უფრო ძალიანი იყოს, სამი დრამი.

ს ხ უ ა ი ა ბ ი ჯ ა ლ ი ნ ო ზ ი ს ა ამავე ტკივილისა, აიღე: თურ-
20 ბუთი აფთიმონი თუითო დრამი, შამიანდალი, ღარიყონი, აჯარალი,
არმანი თუითოსაგან დანგი და ნახევარი, სამბული ერთი დანგი, შავი
ზარბაყი ნახევარ დანგი, უსტუხუდოსი ორი დანგი, მუყლი ეროი
დანგი ყუელა დანაყე და გაცარ და თბილითა წყლითა აბები შექენ
ესე ყუელა ერთი შარბათითი არის.

ტ ლ ე რომე გულისა ტკივილსა უშუელის, რომე სიგრილისაგან
იყოს, აიღე: ქალმისა ფურცელი დანაყე, ერთი ბლუჯი და გამოწურე
და აიღე ერთი მუტყალი ზაფრანი, ერთი მუტყალი სუმბული, ერთი
მუტყალი სოდი, ერთი ცალი პევშუი მუხუდოსა ფქუილი, ესე წამ-
ლები დანაყილი ამა ქალმის ფურცლისა წუენსა გაურივე და თბილ-
30 თბილი გულზედა, ტლედ შემოსდევ.

ს ხ უ ა ი ტ ლ ე ამავე გულის ტკივილისა, აიღე: ჭაკუნტლის

ფურცელი ერთი მუჭა, დანაყე და წვენი აართვი, ცალი პეშუი ხუარბლისა ფქუილი, სონიჯი, ხათმი, ბაბუნაჯი, აქლილალმალიქი, თუითო ცალი პეშუი ულბო, ყუელა დანაყე და გაცარ და ჭაკუნტლისა წუენშიგა გაურივე და გულზედა ტლედ შემოსდევ.

თ უ ამან არ უშველოს, ესე ტლე შეუწყევით, აიღე ნიახურისა თესლი, ზირა ქირმანი, ყაყულა, ხაუბაზის თესლი, ყაისუმი, სხუილ ცერცუისა ფქუილი, სელისა თესლი, თუითოსაგან ხუთ ხუთი მუტ-

285

ყალი, ესე ყუელა დაფქული და კარგსა ღუინოშიგა მოადუღე თბილ-თბილი ტლე შემოსდევ.

თ უ ესე გულისა ტკივილი ს ი მ ხ უ რ ვ ა ლ ი ს ა გ ა ნ იყოს, მისი ნიშანი ესე იყოს, რომე ამა სნეულისა ხორცნი დნებოდენ და ფერზედაცა გაყუითლდეს და ცხელებაცა დაერთოს და მაჯაზედაცა მძიმედ სცემდეს და ტკივილიცა გაუწყუეტლად სჭირდეს და უჭმელი უკეთ იყოს და რა ჭამოს ტკივილი მოემატოს.

წამალი მისი ესე იყოს, რომე მუდამად ქასნისა წუენსა ასუემ-დით შაქრითა და ქაფურისა ყურსი შეუწყევით, იმა წესითა რომე
10 ყურსებშიგა სწერია, და კიდევ ქაფურისა ყურსი ვაშლისა წუენითა გალესეთ და გულზედა შესცხეთ და თეთრი სანდალი შიგა გაური-ვეთ, სამსა დღესა ესე უყავით, და სამსა დღესა უკანით ესე ყურსი შეუწყევით ქერის წუენითა ასუემდით, და საჭმელი ცოტა ჭამოს და რაცა ჭამოს ზირაბაჯად ჭამოს.

თ უ მარღუები ერთობ სავსედ სცემდეს ხელი გაუხსნას, ამას უკანით ვირისა რძე ასუით შაქრითა და ნელთბილსა აბანოშიგა ჩაჯდეს და იბანოს და საჭმელად ქერისა კორკოტსა სჭამდეს ნუშისა ზეთითა.

თ უ ესე გულის ტკივილი ბალღღმისაგან იყოს, მისი ნიშანი ესე
20 იყოს რომე ფერზედა ერთობ თეთრად იყოს და გული ნამეტნავად სტკიოდეს და გაუწყუეტლად. თუ ამა ტკივილშიგა კოლინჯიცა დაემართოს აიღე მუშკი დანგ ნახევარი და ერთი სასმელი ჯულაბი შექენ და ესე მუშკი შიგა გაურივე და შეასუი, თუ ამა წამალმან არ უშველოს მოიღე: სუმბული, ყარანფული, სოდი, ყუსტი დარიჩინი, უფული თუითოსაგან თუითო დრამი, ტკბილისა ვაშლისა წუენშიგა გაურივე და გულზედა ტლედ შემოაკარ.

ს ხ უ ა ი გულის ტკივილისა ნიშანი, რომე გული სტკიოდეს და შესუსტდეს და კბილებსა ერთმანერთსა სცემდეს რომე ათრთოლებდეს, მისი წამალი პირველად რაი ესე ნახო, ცივი წყალი დაასხი თავზედა
30 და ორი ფერხი შეუკარ მაგრა მოუჭირე, ერთი მსუქანი ყუერული ქათამე იშოვე და ესე წამლები მუცელშიგა ჩაყარე და შეუკერე და შეწუი და მას წინა გაკვეთე რომე მისი სული ცხურისა და პირშიგა შევიდეს.

წამლებისა ნუსხა რომე თვაბილი ქუიან, აიღე: ბასვაიჯი, ყურფას დარიჩინი, ზანჯაფილი, ზარნაბადი კულიავი, აყირო, ტკბილი ვაშლის ქერქი ყუელა სწორ სწორი, და ცოტა მუშკი და ცოტა უდი, ყუელა ერთგან, გაურივე და ტაფაშიგა მოხალვე და ყუერულის ქათამსა მუ-ცელშიგა ჩაუდევ და მასთანა მოაბრუნე სადამდი შეიწუას, და რაი

შეიწუას მუცელი მასთანა გაუპე რომე მისი ბუხარი მისსა ცხუირშიგა შეუვიდეს და სრულად სასაშიგან. და თუ ხორცი ინდომოს, ამა ყუერულისავე ხორცისაგან აჭმევდით. მაგრა რომე ქათამი სწერია, ყუერული უნდა.

ს ხ უ ა ი, აიღე: უდი, ვაშლი და ცეცხლშიგა დაწუი, რომე სუ-ლი ეცეს, სანდალი, ვარდის წყალი და ქაფური ტლედ ქენ და გულ-ზედა შემოსდევ და ღლიასა და ყურის ძირსა შემოსცხე მუდმ და ვარდისა წყალი, გაცივებული ვაშლის შარბათშიგა, შაქარი, ზაფრანი ზირა ვაშლისა შარბათშიგა გაურივე და მიეც. საჭმელი მომსუქნო, 10 რაიცა ფერი იყოს, და მუდამად ზაფრანი შაქრითა, საფანიდითა გაურივე და აჭამეთ.

გ უ ლ ი ს ა რ ო მ ე ტ კ ი ვ ი ლ ი დაუწყოს ესე სხუაი ფერი სენი არის, თუ ძუელი იყოს ესე სენი, მისი ნიშანი ესე იყოს; თუ ბალღამი და ანუ ბაყლის მაგარი რამე ამოვიდეს გულისაგან იცოდი რომე ძუელი არის, მისი ნიშანი ესე არის რომე, ორივე გუერდმა ტკივილი დაუწყოს და კიდეცა ეხუელდეს.

თ უ ბალღამი და ბაყლი ერთად შეყრილიყოს, ერთსა: მხარსა, მისი ნიშანი ესე იყოს რომე, რაი ამა გუერდით, იმა გუერდზედა გარ-დაბრუნდეს გულშიგა ყურყური დაიწყოს, იცოდით რომე ბალღამი 20 ერთსა მხარსა არის.

ს ხ უ ა ი ნიშანი ესე იყოს, თითები ხელისა და ფერხისა ცეც-ხლივითა შეიქნას და ეხუელდეს და ბალღამსა ძნელად ამოიღებდეს, თუ ამოიღებდეს, ცოტასა. მისი წ ა მ ა ლ ი: ცხელსა ჯულაბსა შესუ-ემდეს და ამა საზელითა, რომე ამას წინათ ხუელისათვის დაგუიწე-რია გული და გულის პირი დაიზილოს და გაცრილისა ფქუილისაგან საჭამადი შეიიწყოს, რუბისუსისა [ყურსითა] და შაქრისა მოეც. სხუასა ნურასა მისცემ რას, ცივსა წყალსა ნუ მისცემ ზიანია მუდამ შაქრისა მყინვარსა პირშიგა ჩაიდებდეს.

თ უ ბალღმისა ამოღებისაგან შეწყინდეს, ცოტა მლაშე თევზი 30 აჭამე, ამისთვის რომე, რაიცა ბალღამი იყოს ერთად შეყაროს, მერ-მე ცოტა სამოსელი გაათბე და ზედა დასდევ რომე ერთპირად ბალ-ღამი გამოიღოს. და თუ ისი ბალღამი მომწუანო იყოს ანუ მოლურჯოი, კარგი არის. თუ სხუა ფერი იყოს ავი არის და თუ ბალღამი არ ამოვიდეს აბანოს ებანოს, სამოსელი დაასოვლოს და ცხელცხელი გუ-ლის პირსა შემოიდებდეს რომე ბალღამი ამოიღოს.

თ უ აბანოს ვერა წავიდეს, თბილსა სახლშიგა დაწვეს და კი-დევე ისი სამოსელი გულზედა შემოიხვიოს. თუ არცა ამითა ამოვიდეს

სადაცა სტკიოდეს დალი დაასუას ზედა, იმა დამწვარსა ნუ გაამრ-თელეზს ვირემ არ ეშუელოს.

თ უ ესე გულისა ტკივილი სისუსტისაგან იყოს, მისი ნიშანი ესე იყოს, რომე გული მუდამად უძგერდეს და უსუსტდებოდეს, მისი წ ა მ ა ლ ი: თეთრი სანდალი, ქაფური და ვარდისა წყალი ტლედ შე-ქენით და გულზედა გარდაკარით და ნახევარ დანგი მუშკი ვაშლისა შარაბითა შეასუით, ბადრუნჯისა წუენითა, ვენახშიგა მოვა, და ესე დე-

ვალ მუშკი გაურიონ და შეასუან, ორი მუტყალი დევალ მუშკი ორჯელ გალესონ და შეასუან და მერმე მას უკანით თბილი წყალი შეასუან.

10 თ უ გულის ტკივილი სიგრილისაგან იყოს ესე წამალიცა აჭამეთ სადაფისა ფურცელი, ნიგუზისა ზეთი და ცოტა თაფლი გაურიონ და შეაჭამონ და მუფარეხი მაჯუნითა შეაჭამონ, რომე გული გაუმხიარულოს.

ს ი ს უ ს ტ ი ს ა, გულის ტკივილისა წამალი: ღილა ტლედ გულზედა შემოსდევ და ნახევარ დანგი მუშკი და დანგ ნახევარი მასრედიტოსი ერთმანერთშიგა გაურივე და აჭამე და ზემო რომ დევალ მუშკი სწერია ბადრანბოსა წუნითა გალესე და ასუი და გულზედა ეს ტლე შემოსდევ. აიღე: თეთრი სანდალი, ქაფური, ვარდის წყლითა გალესე და გულზედა ქათნის ნაკუეთითა გადარკარ და ნახევარ დანგი

20 მუშკი ვაშლისა წუნითა შეასუით და ის რომე დევალ მუშკი დავწერეთ თუათო მუტყალი ბადრუნჯისა წუნითა შესონ ორჯელ თუითო მუტყალი მერმე, მას უკანით თბილი წყალი შეასუან.

თ უ ნამეტნავად სიგრილე მორევოდეს ესე წამალი აჭამე: დაიჭირე სადაფის ფურცელი, სტაფილოს თესლი, ნიგუზის ზეთი და ცოტა თაფლი შიგა გაურიონ და აჭამოს და მუფარახისა მაჯუნი აჭამონ, რომე გული გაუმხიარულოს, და საჭმელი ცოტა და სუბუქი და გრილი აჭამეთ.

ნიშანი ხაფაყანისა. ამას ქუიან რომე, მუდამად გოლი უძგერდეს, მისი ნიშანი ესე არის, რომე გულზედა ხელი დასდვა ასრე უძგერდეს გული, რომე ამას გვანდეს ვითა ქათამი ფეთქს შიგნითო

30 ესე ხაფაყანი ორისაგან იქნების, ერთი ს ი მ ხ უ რ ვ ა ლ ი ს ა გ ა ნ და ერთი ს ი გ რ ი ლ ი ს ა გ ა ნ.

თ უ ს ი მ ხ უ რ ვ ა ლ ი ს ა გ ა ნ იყოს, მისი ნიშანი ესე იყოს, რომე ხან ჟამიერად გულისა ძგერაშიგა ცხელეზაცა მოუვიდოდეს და ძგერა გაუწყუეტლად იყოს.

მ ი ს ი წ ა მ ა ლ ი ყურსი ქაფური შეუწყევით, იმავე წესითა რომე ყურსებშიგა სწერია და ესე ყურსი ვაშლისა წუნითა შეასუით და ერთხელ სიქანგუბინითა ბუზურგითა, ერთხელ ვაშლის წუნითა

288

თ უ ამა სენშიგა ცოტა სევდაცა დაერთოს ლოდდისა იარაჯი შეუწყევით. და თუ ხორცთა ზედა ცხლად იყოს ბასალიყისა ძარღვი გაუხსენ და მუდამად ახალი დოი ყინულითა გაციებული შეასუით.

თ უ ესე ხაფაყანი ს ი გ რ ი ლ ი ს ა გ ა ნ იყოს, მისი ნიშანი ესე იყოს რომე ფერზედა მუდამად თეთრად იყოს და ხორც შიგაცა მუდამად ცივად იყოს და გუნებაზედაცა შფოთად იყოს და გულზედა მუდამად ეშინოდეს და მუდამად ნალულიანად იყოს. ამას მათბუხი აფთიმონი შეუწყევით მას უკანით მუშკისა ყურსი შეუწყევით რომე, ყურსებშიგა სწერია და სუმბული დაალბე იმა ყურსებშიგა მოუმატონ

10 და დევალმუშკისა მაწუნითა აჭამონ.

გულისა წვა, იცოდით რომე ს ი მ ხ უ რ ვ ა ლ ი ს ა გ ა ნ და ს ი ხ მ ი ს ა გ ა ნ იქნების. თუ აქიმმან შეიტყოს, რომე ზაფრისა და სევდისაგან იყოს, ისი ზაფრა და სევდა თუ ერთმანერთსა შიგა გაერევის, ორისავე სიმხურვალე ერთმანერთსა მოემატების და ისი დაწუავს. თუ ესე შეიტყო რომე ორივე ერთად გარეულიყოს, იცოდი რომე სიმხურ-

ვალისაგან, და სიხმისაგან იქნების და ნურასფერსა მხურვალსა საჭმელსა და სასმელსა და წამალსა ნუ ანდობ. მისი წამალი, სასმელი და საჭმელი და შარბათები ყუელა გრილი შეუწყევით, სანდლის შარბის მაგიერი, ლიმოს შარბის მაგიერი, ისრიმის შარბის მაგიერი, შარბათები შეასუით, ყურსი ქაფური ტაბაშირი ყინულითა გაცივებული.

თუ ტკივილიცა დაუწყოს მაშინ გრილი ტლეები დასდევით გულზედა. წამლები ტლისა, აიღე: თეთრი სანდალი, ქაქუნაჯი თვითოი მუტყალი, აფიონი ¹ ერთი დანგი, ტაბაშირი მუტყალ ნახევარი, ვარდი დანაყილი და გაცრილი ორი მუტყალი ესე ყუელაი ათსა მუტყალსა ვარდის წყალშიგა შეზილე და გულზედა შემოსდევე ტლევითა. ესე ტკივილსაცა დააწყნარებს და სიმხურვალესაცა გამოიღებს.

თუ ამა ტლემან არ უშუელოს, აიღე: უფული ხუთი მუტყალი, ხმელი კოწახური ხუთი მუტყალი, ვარდი ხმელი ხუთი მუტყალი, 30 ქაქუნაჯი ხუთი მუტყალი, სინამაქი, წითელი სანდალი დაქლიბული თუითოსაგან ხუთი მუტყალი, ხუთი მუტყალი ხმელი ია ფარფარას წუენითა შეასოვლონ და ტლედ გულზედა შემოსდევან თუ ამან არა უშუელოს აიღე ბაზრანყატუნისა ლობი, სადაჯი ² ინდი, ნიშასტაგი, ქერის ფქუილი ყანტარიონი თუითოსაგან სამსამი მუტყალი, ბუსათოთხი მუტყალი, ესე ყუელა დანაყე და გაცერ და ათითა მუყტლითა

¹ სწერია „აფუნი“.

² სწერია „სამაჯანდი“.

ვარდის წყლითა შეზილე და შემოსდევე ქათნის ნაკუთითა და ღთისა განგებითა ეშუელების.

სხუაი წამლები მისივე ყურსი ზარაბაჯი, რომე ყურსებშიგა სწერია იმითა გალესონ და ყინულითა გააციონ და შეასუან.

თუ ამან არ უშუელოს, ყურსი გაციებული შეასუან მათივე წესითა. თუ მითა არ ეშუელოს ყურსი ქაქუნაჯი, თუ მით არ უშუელოს ყურსი უდი. თუ ამან არ უშუელოს ყურსი ტაბაშირი, ღთისა განგებითა სრულად ეშუელოს.

ამა გულის წვისა წამალშიგა ხატმსა გაურევდი, ერთობ 10 კარგი არის და კარგად მოუხდების.

სხუაი, სუფუფი გულის წვისათვის, ტაბაშირისა უშველის რომე გული ცხლად იყოს და ეწვოდეს მისი წამალი, აიღე წითელი ვარდი ხმელი და ტაბაშირი თუითოსაგან სამსამი დრამი, ხმელი ქინძი ორი დრამი, ბუსათი, ქარბა, თვითოსაგან ნახევარ დრამი, ერთი დანგი ქაფური, ეს დანაყე გაცერ და ორი დრამი სიქანჯაბინითა საფარჯალითა შეასვი.

სხუა, სუფუფი მისთვისავე დაიჭირე გილი ერმანი, ხმელი ქინძი თვითოსაგან თვითო დრამი, თაბაშირი, ქარბა, თვითო დრამი ქაფური ნახევარ დანგი, ეს ყველა დანაყე და გაცერ, ერთპირად ზრო- 20 ხისა დოთა შეასვით.

სხუა სუფუფი, მისივე სენისავე. წამლები მისი, აიღე: დარუნაჯი, ლისონამალი თვითოსაგან ექუს ექუსი დრამი, ზარნაბი სამი დრამი, ეს ყუელა დანაყე და გაცერ და ეს ყუულა ერთ შარბათად [შექენ და] გაცივებულის დოთა შეასუი.

ს ხ უ ა სუფუფი მისივე სენისათვის, სუფუფი ქარბა, მისი წამ-
ლები დაიჭირე: ქარბა და ხუნი სიაოშანი თვითოსაგან თვითო დრამი
თურუნჯი ნახევარ დრამი, ფალანჯმუშკისა თესლი ნახევარ დრამი,
დანაყე და ზროხის დოთა გალესე და შეასვით.

ს ხ უ ა სუფუფი მისთვისვე, აიღე: უნაბი გაახმე და მოადულე
30 მისი წვენი სამი მიტყალი, აბულასი, მასტაქი, კრკო, ბადრონჯაბი,
ნანხუა დარუნაჯი, ზარნაბი, თვითოსაგან ნახევარ მიტყალი, ეს ყუე-
ლა წამლები დანაყე და იმა უნაბისა წვენშიგა გალესე და ერთსა
კვირასა ასვემდე, უშველის ლ~თითა.

იდ კარი ღვიძლისა ტკივილისა

ღვიძლის ტკივილი მრავალ ფერი არის: ე რ თ ი ვარამისაგან.
მ ე ო რ ე საბამებისაგან. მ ე ს ა მ ე წყლულისაგან. მ ე ო თ ხ ე ნიკრა-
ვისაგან. მ ე ხ უ თ ე ქვავით გამაგრდების, მისგან. მ ე ე ქ ვ ს ე ღვიძლის
სიგრილისაგან, მ ე შ ვ ი დ ე სიმხურვალისაგან, რომე იარაყნად შეიქნე-

290

ბის, ეს ყუელა სტომაქისაგან წაეკიდების, იმა ოთხისაგან [ძალისა-
გან] რომე სტომაქშიგან არის. ერთსა ჯ ა ზ ი ბ ა ჰქვიან, მეორესა
მ ა ს ი ქ ა ჰქვიან, მესამესა ა ზ ი მ ა ჰქვიან, მეოთხესა დ ა ფ ი ა ჰქვიან,
ჯ ა ზ ი ბ ა ამასა ქუიან რომე საჭმელი მოანდომოს, თავისაკე
შობიდავს.

მ ა ს ი ქ ა იმას ქუიან, რომე დამაგრდეს.

ა ზ ი მ ა იმას ქუიან, რომე საჭმელსა მოაქარვებს და დაადნობს,
დ ა ფ ი ა ამას ქუიან, რომე რა მოიქარვოს საჭმელი იმას გაი-
ლებს.

10 ამა ოთხისაგან რომე სენი შეიქნების ერთი სიმხურვალისაგან
არის და ერთი სიგრილისაგან, ერთი სიხმისაგან, ერთი სინედლი-
საგან.

თ უ ჯ ა ზ ი ბ ა თავისა ძალზედა იყოს, რაიც საჭმელი ჭამოს
მოიდნოს და მრთელი არის და კარგად არის. და თუ მუცელშიგა
ყურყური დაუწყოს და კარგი ვერა მოიაროს, იცოდი სუსტად არის
ჯაზიბა, თუ ჯაზიბა ძალსა არ მისცემს, იცოდი რომე სენი დაიბა-
დების.

თუ ჯაზიბასა სიმხურვალე დასჭარბდეს, მისი ნიშანი ესე არის
რომე რაი მოიაროს, ყუითელი იყოს და თხელი, იცოდი რომე სიმ-
20 ხურვალე მორევი და პირიცა უშრებოდეს და წყურვილიცა სჭირდეს
და დუჟი პირშიგა ცოტა იყოს და დუჟი მჟავე იყოს. მარჯუნა
გუერდი სტკიოდეს და თუალსა გარეშემო სიწითლე იყოს, რაი ესე
ნიშანი ნახო, ასეთი წამალი მისცეს, [რომე ჯ ა ზ ი ბ ა ს ძალი მისცეს]
და სიმხურვალე გაიღოს.

ა წ ე მისი წამალი, დაიჭირე: ქასნის წყალი მოადულე ასის
დრამის ოდენი დადგი რომე დაწმდეს მერმე ასის დრამითა "შაქრითა
მოადულე ისი წყალი და ქაფი მოხადე და ოცი დრამი ძმარი გაუ-
რივე, ჭურჭელშიგა ჩასხი, და ყოველთა დღეთა ამისგან ოცდა[ა]თი
დრამი აიღე, ორი დანგი რევანდი დანაყე და შიგა გაურივე და

30 ასმიდი. და საჭმელი ან ხოხობი, ან კაკაბი ან გნოლისა¹ ხორცსა მის-
ცემდე ზირაბაჯად და ასეთსა ნურას მისცემ რომე მუცელი შეკრას
თუ არა სისხად გარდაეცევის.

თუ ჯ ა ზ ი ბ ა ს ა ნამეტნავად ს ი ნ ე დ ლ ე მიხდომიყოს, მისი ნიშანი: მუცელი რბილად იყოს, იყუანდეს ხშირად და კიდეცა უყურ-ყურებდეს ხშირად და მუცელიცა გაუსივდეს, თუალებიცა გათეთრდეს ტანზედა და პირზედა გათეთრდეს].

¹ ტექსტში აქ და ყველგან სწერია „გლონი“.

მ ი ს ი წ ა მ ა ლ ი: ერთსა კუირასა სიქანგუბინი უსული შეუწყე ¹ და ერთსა კუირასა ბუზურ სიქანგუბინი შეუწყევ და ცივსა წყალსა ნუ ასუამ ავად მოუხდების. წყლის მაგივრად ისივე სიქანგუბინი შეუწყევით. ზემო რომე სწერია, და ქერის კორკოტი აჭამეთ, ასრე, რომე ქერი მოხალული იყოს, თუ ვერა მოიჭირვოს ცოტა თხელი ღვინო ასუით, საჭმელსა მომხურვალოსა აჭმევდით. თუ შიმშილსა გასძლებს უჯობს ღვიძლის ტკივილსა.

თ უ ე ს ე ჯ ა ზ ი ბ ა ს ი ხ მ ის ა გ ა ნ ი ყ ო ს, მისი ნიშანი ესე არის, რომე ტანზედა დამჭლდეს და ფერი ნაცრის ფერად შეექნას და პი-
10 რისა სახე გაუშავდეს და მუცელშიცა შეკრას. რა მოივლიდეს, ცო-ტასა და კურკლსავითა და ერთობ ზიდვებითა მოივლიდეს. პირი უშრებოდეს და წყურვილი არა სჭირდეს.

მ ი ს ი წ ა მ ა ლ ი: კამა წყლითა მოადულე კარგად და მერმე გამოწურე და გულბა შაქარიცა იმა წყალშიცა მოადულე რომე გა-
ა ტ კ ბ ო ს და შეასმედით, თუითოსა სმასა ერთსა კუირასა და ბრინჯის ფუმრუქსა ახურეტდი ნუშისა ზეთითა და შაქრითა.

თ უ ზ ა ფ ზ უ ლ ი ი ყ ო ს, ტირიფისა ჩრდილსა დაადინე და ხილთა ² ჩრდილსა ქუეშე და წყლისა პირსა და ერთსა კუირასა უკანის იმავე სიქანგუბინსა მისცემდი ზემო რომე სწერია. და ისი ადგილი რომე
20 ს ტ კ ი ო დ ე ს მ უ დ ა მ ც ი ვ ს ა წ ყ ა ლ ს ა ა ს ხ ე მ დ ი, ერთსა კუირასა უკანით იმავე სიქანგუბინსა ასმევდი და ღვიძლზედა გრილსა და, ნედლსა-ტლესა შემოსდებდი.

თ უ ე ს ე ღ ვ ი ძ ლ ის ა ტ კ ი ვ ი ლ ი მ ა ს ი ქ ი ს ა უ მ ლ უ რ ო ბ ის ა გ ა ნ ი ყ ო ს მისი ნიშანი ესე იყოს, რომე საჭმელი მეტი რა ჭამოს, ყვანა დაუწყ-
ყ ო ს ხ ო რ ც ის წ ყ ლ ის მაგვარი და კიდეცა არწყევდეს და ესე იცოდით სიმხურვალისაგანცა იყოს და სიგრილისაგანცა, სიხმისაგანცა იყოს და სინედლისაგანცა, და თუითოს ნიშანი თუითო ფერი იყოს, როგორცა ნიშნებშიცა სწერია. მაგრა ამა სენისა სხუა ნიშანია, ასრე რომე რაჟამ საჭმელი მეტი ჭამოს ქარი და ყუყუნი ³ მუცელშიცა გა-
30 მოუჩნდეს და მუცელსა სიმსივნე ნახოს.

თუ სიხმისაგან იყოს ესვე ნიშანი იყოს, მაგრა იყოს რომე ტან-ზედა ფერი სხუაი გამოუჩნდეს. და ნიშანი ისი რომე სიგრილისაგან იყოს ისრევე იყოს, მაგრა იყოს რომე მუცელი გუიან გაუსივდეს და-

¹ ამგვერდის აშიაზე არა დედნის ხელით: ასი დრამი რაც მინათუნი და ორი აბაზია ოცი დრამი რაც აბაზს ოთხს ბისტსა იქს ათი დრამი თორმეტი აბაზი და ექუსი ბისტია ხუთი დრამი ოთხი ბისტია... (შემდეგ ვეღარ იკითხება).

² სწერია „დახლთა“.

³ სწერია „ყვირყური“.

ესე ნიშნებიცა ორთაგან გამოჩნდეს, მათი წამალი იგივე იყოს რომე პირველად მოვიგონეთ ჯაზიბისათვის, ისი უყავით.

მაგრა თუ იმა ორთაგან ნახო და ნიშანი ნახო სიმხურვალისა და სიხმისა ტკივილისა ადგილსა ზედა, ორფერი სანდალი ვარდის წყლითა და ქაფურითა ტლედ სცხე. და ღვიძლზედა დასდევ. და ის, რომე ღვიძლისა ტკივილისათვის პირველად მოვიგონეთ ისი უყავით, რაცა ჯაზიბისა სიმხურვალისა დავწერეთ. და სიგრილისა, სიხმისა და სინედლისა წამლები სწერია ისივე ამას უყავით.

და თუ ესე უძლურობა მკერდსა ტკივილისაგან მივარდნილიყოს, 10 მისი ნიშანი ისი იყოს რომე ფერზედა წითელი იყოს ხანდახან შავი და თეთრი და ხანდახან ყუითელი იყოს. და ნიშანი სიმხურვალისა და სიხმისა და სინედლისა ცხადად იყოს და სამფერი. რაი ნახო მას იგივე უწამლე რომე პირველად მოვიგონეთ.

და თუ ამა ნიშანთაგან ვერა ნახო, დაადასტურე¹ რომე სიმსივნე არის და ვარამი ღვიძლზედა არის.

ნიშანი მისი რომე შეუტყუას, რომე სიმსივნე ღვიძლსა შიგნით არის თუ გარეთ, მისი ნიშანი რომე ენა ხან გაუწითლდეს და ხან გაუშავდეს და მუცელზედა ცხლად იყოს და საჭმელი არ მოუნდებოდეს და კიდეცა აქშინებდეს, რა ესე ნიშანი ნახო, იცოდი რომე 20 სიმსივნე და ვარამი ღვიძლისა შიგან არის და შეტყობა უნდა თუ ესე სიმსივნე ღვიძლშიგნით არის თუ გარეთ. თუ ღვიძლშიგნით თყოს, მისი ნიშანი ესე არის, რომე მარჯუენამან გუერდმან ტკივილი დაუწყოს და ცხელება და ხუელაცა დაუწყოს და კიდეცა აქშინვებდეს. პირველად ყუითლად არწყევინებდეს, და უკანის ენაცა გაუშავდეს და კიდეცა არწყევინოს, ჟანგარის ფერად და წყურვილიცა დაერთოს, ეგების რომე თავის მაგიერად მუცელიცა გაეხსნას.

და თუ გარეთ სიმსივნე იყოს, მისი ნიშანი, ორთავე ბეჭთა შუა ტკივილი იყოს და ეხუელდეს ცოტად და ყუანა დაუწყოს ცოტად.

ისი რომე ღვიძლშიგა სიმსივნე იყოს, მისი წამალი, ქერისა 30 კორკოტის წუენი მისცენ, სიქანგუბინითა ბუზურითა, რომე შიგა ქასნი მოდუღებულ იყოს, საჭმლად ვარიას მოუდუღებდენ ქერის ჟორკოტითა და დინარი შარაბიცა შეუწყონ, ვარდის ყურსით, შეასუან რევანდიათა.

თუ გარეთ იყოს სიმსივნე, მისი წამალი სიქანგუბინი ისივე ბუზურ შეუწყევით კამის თესლითა, და ესეთი წამალი მიეც, რომე

¹ სწერია „გადასტურე“.

ავსმევიწებდეს, ხშირად შარბათები შეუქენით ბუზური ქასნისა წუენითა¹.

თუ არ ეშველოს, სიქანგუბინი შეასუით და გარედაღმა ეს ტლე შემოსდევით, წამლები მისი, აიღე: ვარდი, სანდალი, ქაფური, სანდალი და ქაფური გალესე და ვარდი დანაყე ერთმანერთშიგა გაურივე და ვაშლის წუენითა გალესე და შემოსდევ.

თუ მუცელი შეკრას, ხიარიშამბარს გული, თარანგუბინი, დინარი შარაბი ქასნის წუენითა გაურივე და შეასუი, როგორაცა

გახსნას, კოწახურისა ყურსი შეუწყევით, ან ყურსი რევანდი, ერთსა
10 კუირასა მას უკანით ქასნის წუენსა ასმევდი სადამდი გამრთელდე-
ბოდეს. და ახლისა კამისა თესლი ხიარშამბრისა გულითა თარან-
გუბინითა შეასუას, საჭმელი ფუმრუკი შეუწყევით ქერის წუენითა
და ჯულაბითა.

თ უ სტომაქი სუსტად იყოს და საჭმელი ვერ მოიძნოს და
მოუდნობელსა გაიყუანდეს, და ბევრისა ყუანისაგან ღუიძლი შესუს-
ტდეს და დაწყლულდეს.

ღ უ ი ძ ლ ი რომე დაწყლულეზულიყოს, მისი ნიშანი ესე იყოს,
რომე ყუანა დაუხშიროს და ღუიძლი ძალიანად უნდა იყოს. თუ
სტომაქმან ვერ მოიძნოს, ვერცა ღუიძლი მოიძნობს, მერმე სისხად
20 გარდაექცევის თუ ჟამზედა არ უშუელის.

ა ი დ ე: უგურკოი კოწახური, ქასნის თესლი და თუხმაქანი, ერთს
კუირასა ესე მიეც რევანდისა ყურსითა, მას უკანით ქასნის წუენი
და აგრევე კამისა ნედლისა წუენითა თარანგუბინი გარეული მიეც-
და რაიცა მუცლისა შემკრავი იყოს მისგან იფარეზოს საჭმელთაგანცა
და ხილთაგანცა. და მისი საჭმელი ქაშქაბი ჯულაბითა გარეული იყოს.

და თ უ ესე ამოსული ვარამი მაგარი იყოს, იცოდი რომე სევ-
დისა ძალისაგან არის, რომე სისხლი ღუიძლშიგა ვერ შერეულიყოს
და ვერ გაევილოს და სტომაქსა მიხუდომოდეს და სტომაქსა საჭმე-
ლისა დნობა არ შეეძლოს, და რაცა ჭამოს უმდნარი გავლოს და ბევ-
30 რის ყვანისაგან ღუიძლი გაუძღურდეს და რაი ღუიძლი გაუძღურ-
დეს ყვანა გამრავლდეს და წყურვილი მოემატოს, და წყალსა რომე
სმიდეს ღუიძლმან მისისა უძღურობისაგან, ისი წყალი ვერ მოიძნოს
და სისხა გამოაჩინოს ამისთუის რომე ღუიძლი გამაგრდეს.

¹ ამ გვერდის აშიაზე სწერია. არა დედნის ხელით: „რასაცა წამალსა მის-
ცემდე, ნიახურისა და კამისა თესლსა გაურევდი და ხშირად აფსმევინებს“.

— კოწახურისა ყურსი ამა ფურცლისა მეორესა პირზედა პოვო.

— თოხმაქანი — მსუქანა.

წამალი მისი ესე იყოს: ნიახურისა და კამის ძირი და ორისავე
თესლი და კულიავი ათ-ათი დრამი წყლითა მოადულე და გამოწურე
და მიეც რომე შესუას, ორმოცდაათის მუტყლის ოდენი, მერმე მწარე
ნუშისა ზეთი ორი დრამი შიგა გაურივე, ცოტა ქაფური დანაყე და
შირბახტშიგა გაურივე რომე მისი ძალი აილოს, მერმე თოფალახი და
სუმბული დანაყე და მაგა ზეთშიგა გაურივე და მარჯუენასა გვერდ-
ზედა შემოსდევე.

და თ უ ისი სიმაგრე არა გარბილდეს აიღე: სტაფილო და,
ბაბუნაჯი ორივე რბილად დანაყენ და ღუინოშიგა გაურივენ და იმა
10 ადგილსა შემოსდევე, და საჭმელად ზირაბაჯი ჭამოს და მუხუდოს
წუენი და ძმარი და ზეთის ხილი.

თ უ ამან არ უშველოს, ესე წამალი მიეც, ამა ნუსხითა, აიღე:
ნიახურისა და კამისა ძირი ათ-ათი დრამი და მათი თესლი ხუთ ხუთი
დრამი, ფუყაუსხური და ნანხუა ხუთი დრამი ხმელი ვარდი და სუმ-
ბული სამსამი დრამი, ყუელა ერთითა ლიტრითა წყლითა მოადულე
ასრე რომე მესამედი დარჩეს და ორი წილი წავიდეს, გამოწურე და
მერმე შეასუას.

თუ ესე იღეთი ნახო რომე გაწყალდეს, მას ჩ ა რ ხ ა ნ ა ქუიან, ნიშანი ესე იყოს რომე ამა სენისა უფალსა, ცხელება მოუვიდეს, ხან 20 ცივად და ხან თბილად, რა ესე ასრე ნახოს, ასრე ეგონოს ვითა კიდერამე მარჯუენით გუერდით დაკიდებულაო, მარჯუენა მხარი სტკიოდეს და ხუელა აწყენდეს, წამალი მისი ესე იყოს, რომე ტრედის სკინტლი რბილად დანაყო და ქერის ქატოი მისი წონა, და ლელუი წყლითა მოადუღე რომე გადნეს, მერმე ხელითა გასწურე და ეგე წამლები შეგა გაურივე და სადაცა სტკიოდეს იმაზედა შემოსდევე, ნიადაგ რომე გაადნოს, და გადნობისა ნიმშინი ესე არის რომე გარბილებულიყოს და გუერდისა სიმძიმე აღარა იყოს, დაღბეს და გაიხსნას. და მას წამლები უნდა, რომე გამოწმიდოს და რაი გინდოდეს, რომე უწამლებდე მისა მოსამსახურესა კითხე, ვითა მისი სნეულისა 30 ნავალი რას წესისა არის.

თუ ასრე თქუას ვითა ჭოთჭოთი სისხლი და ჭოთჭოთი ბაყლი ნავალშიგა არისო იცოდი რომე გახსნილა, მისი თათბირი ქენ, რომე სისხლი და ბაყლი იქიდაღმა გამოწმდეს, და უბრძანე სენისა უფალსა, რომე რა გასულად დაჯდეს, კარგა ძალიანად მაჭიროს, რომე სრულიად გამოვიდეს. და ამა ალათითა რა აცხელებდეს ადრე დაწყნარდეს, და თუ ცხელება ქონდეს ხანად გაუგრძელდეს.

თუ მუცელი შეკრას, გარბილება უნდა ხიარშამბარის წუენითა და ჯულაბითა, თუ რბილი იყოს მულასალსა უნდა მიცემა. თუ ამა

სისხლმან და ბაყლმან ლუიძლისაგან გზა ქნას, ყუანა ბუმტისაკენ დაუწყოს.

მისი წამალი: ნიახურისა და კამისა წვენი ხიარშამბარისა გულითა გაურიოს და შეასუას. თუ მუცელი რბილი იყოს მულასალი მიეც და თუ შეკრვით იყოს ხიარშამბარი მიეც ჯულაბითა. და თუ გზა თირკმელისაკე ქნას იმას შარაბებითა უნდა დაწყნარება, რომე თირკმლისა კარშიგა მოგონებულია, და ცოტა კამისა თესლი შიგა გაურივე და მიეც, რომე ფიცხლა გზა ქნას და არა აწყინოს. და თუ ვერ მოვიდოდეს და გზაი არა ქონდეს, აიღე: ნიახურისა და კამისა 10 თესლი და წყლითა მოადუღე და გამოწურე და მულასალითა გაურიე¹ და შეასუი რომე გამოწუროს.

თუ ამა სენმან გარეთ გზა ქნას, წამალი მისი ისი არის რომე სადაცა სტკირდეს, დანაყილი ბაბუნაჯი ლელუითა და ქერისა ხალითა გაურივე რომე მალამავითა შეიქნას და იმა ადგილზედა შემოსდევე. რომე ფიცხლად გამოიღოს, მერმე უწამლე რომე გაწმდეს.

მაგრამე თუ ამა სენისა უფალი მსუქანი იყოს ლუიძლისა ადგილსა ესე ტლე შემოსდევე, ამა ნუსხითა, აიღე: სუმბული და მასტაქი, თოფალახი და უსხური, ყასაბუზარირა, ზაფრანა და მური, ხმელი სადაფი, ყუელა სწორ სწორი, მური და მასტაქი მუელითა 20 ლუინითა გაადნევე და ისი სხუა წამლები დანაყილი გაურივე და გრილისა და სქელის საჭმლისაგან იფარეზოს.

და თუ ესე სენი რუტობათისა თარჯუჯიასაგან იყოს, კარგა გასინჯვა უნდა რომე რჩევა არის რუტობათისა თარჯუჯამიგა და კოლინჯშიგა. ამისთვის რომე, კოლინჯი არწყევინებს და გულისა რევასა მროუბდენს და ფსელი კარურამიგა წითელი იყოს. თარჯუ-

ჯისა გულისა რევა და რწყევა არ იყოს, ფსელი თეთრი იყოს და კოლინჯისა ტკივილმან ადგილი იცუალოს, და ამა თარჯუჯისა ტკივილი უფრო მარჯუენით იყოს.

ა მ ი ს ი წამალი: ნიახურისა და კამის ძირი და ანისონი ათ-
30 ათი დრამი ორითა ლიტრითა წყლითა მოადუღე, ასრე რომე სამოცი დრამი წმიდაი დარჩეს, მერმე ნუშისა ზეთი ჯულაბითა გაურივე და მიეც რომე შეასოს რასდონსა დღესა ზედაზედა, მერმე აქლილმალიქი დანაყე და მარჯუენით ლუიძლისა ადგილსა შემოსდეც.
თ უ არ უშუელოს ლუქისა ყურსი მიეც ამა ნუსხითა, აიღე: ლუქი და რევანდი დანგ ნახევარი, სუმბული, ნიახურისა თესლი, ნანხუა, მასტაქი, უსხური და უფხაური ნუშის გული და მური, ყუსტი

¹ სწერია „გამურე“.

და ენდროი და ყაფიტისა წუენი და ასარონი და ზარეევანდი და ჯინტიანე, ყუელა სწორი ქენ, დანაყე და გაცარ და თუითოსა მუტყალისა ყურსები შექენ და ყოველთა დღეთა მაგა უსულშიგა გაურივე, რომე ლუიძლისა სიმაგრისათუის მოგონებული არის და მიეც რომე შესუას.

წ ა მ ა ლ ი ხ ა ფ ყ ა ს ა . და ხაფყა იმას ქუიან რომე კაცსა მარჯუენით გუერდი მწოვედ სტკიოდეს და ხან დასწყნარდეს და ხან ტკივილი მოემატოს, მისი წამალი ესე არის, ცოტა მჩუარი წყლითა დასოვლოს და იმა მტკივანსა ადგილსა დაიდვას.

10 თ უ არა დაუწყნარდეს, აიღე: სონიჯი და აქლილ ალმალიქი, სოსანი ოცი დრამი, ეს ყუელა ერთს ლიტრას წყალშიგა მოადუღე, სადამდის ოცდა[ა]თი მიტყალი მოიყრებოდეს და მერმე პატარა ბაბუნაჯი ქუნჯითის ზეთშიგა მოადუღე წყნარს ცეცხლზედა და მისი წონა სოსანი ზეთითა გაურივე და ოყნად ჩაასხი მას ქათმის ქონითა. და თეთრითა ცვილითა მუდმად წელთა დაუზელდით. და მოტკბო საჭმელი შეუწყევით და წყლის მაგიერად კამისა და ნიახურის წვენს ასმევდეთ ¹.

ქ. წ ა მ ა ლ ი ღ ვ ი ძ ლ ი ს დამაგრებისა. მისი ნიშანი ეს არის, რომე ღვიძლი გამაგრებულიყოს და მაგრად იდგეს, მაგრამ მამდრო-
20 ბით უფრო მძიმედ იყოს, და მშიერი უფრო ადვილად, და მამდრობით ტკივილი მოემატოს. მისი წამალი ეს იყოს რომე, მუდმად ქასნის წვენსა სმიდეს იმა უსულითა შარაბითა რომე მოგონებული არის. ბედანჯირის ზეთი და შაქარი შიგ გარეული. და საჭმელი ცოტა ჭამოს და რასთონიც მშიერი იყოს მჯობნი არის, და როდესაც საჭმელი ჭამოს, ზირაბაჯად ჭამოს, გნოლის ² ხორციითა, ან ქათმის ხორციითა.

თ უ ამ სენშიგა ცხელება გამოუჩნდეს და რწყევა მოუვიდეს მას მულასალისა უნდა მიცემა, რომე რწყევა დააწყნაროს და გაათაოს.

ს ხ ვ ა , ღვიძლი რომე ქვავით მაგარი შეიქნას იმა სენსა ს ა ლ ბ ა
30 ჰქვიან. მისი წამალი ნიახურის ძირი, კამის ძირი, ამა ორისავე თესლი, ქარვა, თვითოსაგან ათი დრამი წყალშიგა მოადუღე, მერმე დადგი რომე დაწმდეს ამისაგან ორმოცდაათი დრამი წყალი აიღე და ნუშის ზეთი ორი დრამი შიგ გაურივე, მერმე აიღე ცოტა ქა-

¹ აქ ჩართულია უადგილოთ შემდეგი წინადადება: „სხვა სენი არის თირკმელთა ეიდანტაშ პქვიან. მისი ნიშანი ეს არის“ და შემდეგ დატოვებულია ცალიერი ადგილი ოთხი სიტყვის მანძილზე.

² ამ სიტყვის მაგიერ ტექსტი ყველგან „გლონსა“ ხმარობს.

ფური დანაყე და ქუნჯითისა ზეთშიგან გაურივე, რომე მისი ძალი მოემატოს, მერმე სოდი და სუნბული ორივე დანაყე და მარჯვენასა გვერდზედა შემოსდევე სიმსივნეზედა. და თუ ის სიმსივნე არ დასხცრეს, აილე სტაფილო, ბაბუნაჯი და ორივე დანაყე, ღვინოშიგა გაურივე, ცოტად გააცხელე და ისიცა შემოსდევე.

10 თუ ამა ყუელამა ვერ უშველოს კამისა და ნიახურის ძირი თვითოსაგან ათათი დრამი იმა ორსა ფუყა უსხური და ნანხუა ხუთხუთი დრამი, ხმელი ვარდი და სუმბული სამსამი დრამი ეს ყუელა ერთს ლიტრას წყალშიგა ადულე, მანამდი რომე სამისაგან ერთი დარჩეს, ცოტა ჯულაბი შიგ გაურივე და შეასვი.

თუ ეს ტკივილი ანუ დასცხრეს და ანუ დაღბეს [სიმსივნე] და გასქდეს, მისი ნიშანი: ცხელება მოვიდეს, ხან მოვიდეს და ხან არ მოვიდეს, ხან გააცხროვოს და ხან გააცხელოს და მარჯვენამან ხელმან ტკივილი დაუწყოს.

მისი წამალი: ტრედის ხუნდის სკინტლი დანაყე წურილად 20 და ცოტა ქერი დანაყე სწორ სწორი და ერთი მჯიღვი ლეღვი წყალშიგა მოადულე და ხელითა გაქენ კარგად, მერმე შიგ გაურივე და იმა სიმსივნეზედა შემოსდევე, და რაც მანკი იყოს სრულად დააღპოს და გამოიღოს. თუ სიმსივნე და ტკივილი დააკლდა, იცოდი რომ გამრთელდა. მერმე მსუბუქი შარბათები მიეც რომ გახსნას, მერმე დახედენ იმავე ნავალშიგა თუ სისხლი და ბაყლივით გამოჩნდეს იცოდი რომე გამოწმდა და მუცელს ნუ შეუკრავ ვირემ სულ არ გამოწმდეს.

თუ ცხელებამან დაუკლოს ფიცხლავ გამთელდეს, თუ არ უკლოს ხანი გამოვიდეს.

30 სხუაი, ღუიძლისა ტკივილე რომე ღუიძლი ქვავითა შექნილიყოს და აღმა ამართულიყოს და სიარულზედა დამძიმდეს და რაი უჭმელად იყოს, მოსუენებით იყოს და რა ჭამოს ტკივილი მოემატოს და უნდომად შეიქნას.

მისი წამალი: მუდამად ქასნისა წუენი შეასუას სამსა დღესა იმავე მავლი უსულითა, რომე ღუიძლისა ტკივილისა გუითქუამს

და ბედანჯრისა ზეთი და შაქარიცა გაურიონ, საჭმელი ცოტა ჭამოს და ზედა ესე შესუას.

თუ ამა სენშიგა ცხელება მოვიდეს და კიდევცა არწყევინოს ეს მავლი უსული შეუწყევით, მიეცით, უწამლოდ რომე სრულად არწყევინოს, და რა არწყევინოს დასწყენარდეს.

სხუაი ღუიძლისა ტკივილი რომე ხაფა ქუიან, მისი ნიშანი ესე არის რომე ნეკმან დაოწყოს ტკივილი ესე სიგრილისა განცა არის და სიმხურვალისა განცა.

თუ გინდოდეს რომე შეიტყო, ცოტა წყალი გაცხელე და ხელის მანდილი დასოვლე შიგა და შემოსდევ, თუ სითბო იამების, იცოდით რომე სიგრილისაგან არის, თუ ტკივილი მოუმატოს სიმხურვალისაგან არის.

მ ი ს ი წ ა მ ა ლ ი, აიღე: სონიჯი და აქლილმალიქი წყლით მოადუღე და ცხელცხელი ზედა შემოსდევ, და კიდეცა დაზილოს.

ს ხ უ ა ი ლუიძლის ტკივილი რომე ს ი ზ ა ქ ბ ი დ ჰქუიან. ამისი ნიშანი, ნახევარ გუერდმა დაუწყოს ტკივილი და ჩხურა, როგორაცა ნემსით სჩხურედეს, მუდამად გაუწყვეტლად სტკიოდეს, მამდარსა

10 უფრო სტკიოდეს მშიარსა უფრო არა ¹.

თ უ გინდოდეს რომე შეიტყო ლუიძლისა ტკივილი არის თუ ფერდისა მას ხელი გაუხსენ და სისხლი ტაშტშიგა დაიჭირე ერთწამ დადგი, მერმე შიგა ჩახედენ თუ ნაწერივითა, რამე იყოს ძირსა გრძლად ლუიძლისა არის.

მ ი ს ი წ ა მ ა ლ ი: კამის თესლი, ნიახურის თესლი და ანისონი ეს სამივე ერთსა ლიტრასა წყალშიგა მოადუღე, თუითოსაგან ორორი მუტყალი, მუნამდი ადუღე რომე სამისა დღისა სასმელად მოიყაროს, მერმე ათი დრამი შაქარი გაურივე, სამად გაყავ და სამსა დღესა შეასუი ცხელცხელი და საჭმელი შეუწყევ ნესუსისა თესლისა-

20 გან და კიტრის თესლისაგან და ცოტა ჯულაბიცა გაურივე და შეასუი და ეშუელოს ღ~თითა.

ს ხ უ ა ი ვ ე წამალი ამა ლუიძლის ტკივილისათვის, აიღე: რევანდი ერთი დრამი, ლუქი ორი დრამი, ტაბაშირი ორო დრამი, ეს ყუელა დანაყე და ექუსად გაყავ და ექუსსა დღესა შეასუი ამა წესითა, სიქანგუბინი გალესე ქასნისა წყლითა და ესე წამალი შიგა ჩაყარე და ექუსსა დღესა შეასმიდი, საჭმელად ქერისა კორკოტი შეუწყევით.

ს ხ უ ა ი წამალი ლუიძლისა ტკივილისა, კარგი, გამოცდილი და ადვილი მისთვის რომე ლუიძლი ნიადაგ სტკიოდეს და საჭმელსა- 30 მისწყდეს და მარჯუნისა გუერდისაკენ ჩხულეტდეს და ტკივილი გაუგრძელდეს. ესე წამალი ქენ და უშუელის, არა თუ ლუიძლსა უშუელის, არამედ სხუასა მრავალსა სენსა, უშუელის და ადვილი არის. მოიყუანე დიდი ტახი და სახლშიგა შეაგდღე სამსა დღესა, მერმე მესამესა დღესა რაცა მოჯუას ისი აიღე, ისი ნეხუი და ქათანშიგა გამოკარ და ერთსა ჭურჯელშიგა ჩადევ და ზედა წყალი დაასხი და ერთსა დღელამესა გაუშუი, დილასა ოცი დრამი შაქარი დააყა-

¹ ეს წინადადება აშიაზე სწერია დედნის წელით.

რე და გამოწურე და ნახევარ დრამი ზაფრანა გაურივე, შეასუი და უშუელოს ღ~თითა.

თ უ ანაზდა მარჯუნამა გუერდმა დაუწყოს ტკივილი იცოდი რომე ლუიძლის ტკივილი არი, წამალი მისი, რომე ნახევარ გუერდი სტკიოდეს ესე არის, აიღე: ნიახურის თესლი და კამა და ანისონი ორორი მუტყალი, ყუელა ერთსა ლიტრასა წყალშიგა მოადუღე რომე შარბათივითა შეიქნას, მერმე ათი დრამი ფანიდი შაქარი

გაურივე და მიეც რომე შესუას, სამსა დღესა ამრიგითა უყავ. და საჭმელი სახურეტელი მიეც ნესუს თესლის გულისაგან და ზირაბა-
10 ჯიცა მიეც ვაშლისა შარბათითა გარეული. სამ დღემდი ერთხელ სახურეტელი და ერთხელ ზირაბაჯი და მესამესა დღესა უკანით სახურეტელი მიეც კიტრისა და ნესუს თესლისაგან შექნილი ჯულაბითა.

წ ა მ ა ლ ი ლუიძლის ზარარისა. იცოდით რომე ლუიძლის ზარარი მას გამოუჩნდეს, რომე ცხელსა სიცხეშიგა ევლოს, და ამისი ნიშანი ესე იყოს რომე, მარჯუენით ნახევარ გუერდი სტკიოდეს და წყურვილი დაერთოს და ყოველსა დილასა პირი უშრებოდეს და უმწარდეს, მას ესე წამალი უყავით სიქანგუბინითა მუდამად. და თუ არა დაუწყნარდეს ძაღლის ყურძენასა და ქასნის წუენი და ჯულაბი
20 ნუშისა ზეთითა ყუელა ერთად მიეც რომე შესუას და ყოვლის, ტკბილის ბროწეულისა წუენსა უნდა მიცემა ცოტათა რევანდითა რომე შესუას. და ძალიანსა საჭმელსა და ალვაებსა არა უნდა მიცემა [და სახურეტელსა უნდა მიცემა].

თ უ ამითა არა დასწყნარდეს, რევანდისა ყურსსა უნდა მიცემა ამა ნუსხითა, აიღე: რევანდი ორი მუტყალი და ნახევარი, სუმბული და ლაფიტისა წუენი და ავსანთინის წუენი და კამა და ანისონთ თუითო დრამი, ყუელა დანაყე და გაცარ და ყურსები შექენ, ვარდის წყლითა, თუითო მუტყალი და ყოველთა დღეთა თუითო მისი მიეც, რომე მულასალითა შესუას ან ტკბილის ბროწეულისა წუე-
30 ნითა.

კარი ვარამისა. იცოდით ვ ა რ ა მ ი სიმსივნესა ქუიან სპარსულად. ლუიძლშიგა იქნების და ფერდშიგაცა, და ამა ორისა ტკივილი ერთმანერთსა გავს, მათშუა ნიშანი ესე არის: თუ ლუაძლშიგა ვარამი იყოს, მისი ნიშანი ესე არის, ახუელებდეს და სული უგუბდებოდეს და პირზედა ხან ფერი წაუვიდეს და ხან წამოჭებდეს, რა ესე ნიშანი ნახო იცოდით რომე ლუიძლშიგა საბამი გამოსულა.

მისი წამალი: იისა შარბათი შეუწყევ ქერის კორკოტითა სადამდი გამოწმდებოდეს და ორჯელ სამჯერ ხელი გაუხსენ, ბასალიკე.

300

თუ მუცელი შეკრვით იყოს, ზეიდაღმა წამალსა ნუ მისცემ, ესე ოყნა უყავ, წამალი მისი, დაიჭირე: სინჯიტი, სეფისტონი, თუითოსაგან ოცი მარცვალი, ქერქ გამძურალი ლელუი ოცი მარცვალი ბაბუნაჯი და ცერეცო სწორ სწორი ეს ყუელაი ნახევარზედა დანაყე და სამითა ლიტრითა წყლითა მოადუღე, მანამდი რომე ოცდაათი დრამი [დარჩეს, მერმე] ოცდაათი დრამი იისა ზეთი გაურივე, ოცდაათი დრამი შირიხიშტი გაურივე გაქენ და გამოწურეთ და ოყნად ჩასხი.

თ უ ფერდშიგან იყოს ვარამი მისი ნიშანი, ესე იყოს, რომე პირსა ფერი გაუთეთრდეს და ხუელამან ერთობ დაუხშიროს და
10 მყრალსა ბალდამსა ფერდისაგან ამოიღებდეს, რა ესე ნიშანი ნახო იცოდი [რომე] ფერდშიგა სიმსივნე არის და ფერდი დაწყლულე-ბულა.

პირველად აბი სუალი შეუწყევით და მერმე ცხელ ცხელი ჯულაბი შეასუით იისა შარბათითა და გული და გულისპირი დაუზილე ამ საზელითა რომე დაგუიწერია. ა ი ღ ე: ქათმისა ქონი, ბატის ქონი,

თეთრი ცვილი, იისა ზეთი ესე სწორ სწორი ერთმანერთსა გაურივე, და შეადუღე და მალამავითა შექენ, მერმე ამა წამლებშიგა გაურიე ნედლის აყიროს წუენი ძაღლის ყურბენას წუენი ქასნის წვენი, ვაზის ფურცლის წუენი, გაურივე და დაზილე, და პირველად რომე სენი 20 გამოჩნდეს ესე დაზილე. მერმე ორმოცსა დღესა უკანით ქერის ფქვილი, ბაბუნაჯი, აქლილმალქი ხატმი მიუმატე და ამითა უზელ-დი, მერმე ნესუსი თესლი დანაყეთ, გაცერით და მისი ფუმრუკი შეუქენით. ამას აჭმევდით ნუშის ზეთითა, ანუ სხუილის ცერცვის მუნკაშარი, ანუ ასპანახი შეუქენით ნუშის ზეთითა და მას აჭმევდით. თუ აყიროსა დროი იყოს, აყიროსა საჭამადი აჭამეთ ნუშისა ანუ შირბახტის ზეთითა, და მჟავიანსა ნურასფერსა ნუ აჭმევთ, და ნუცა დედაკაცთანა დაწვების, და მუდმად ებანებოდეს ატანოს და თბილსა წყალსა სუმიდეს და ღარღარასა იქმოდეს ცხელითა წყლითა.

ამას გარეთ ერთი ვარამი სხუა არის რომე სპარსულად 30 ბარსამ ქუიან, სამ სიმსივნესა ქუიან, და ბარ გულის პირს, ვითამცა გულის პირისა სიმსივნეო. მისი ნიშანი, იცოდით რომე ან ღუიძლისაგან, ან ფერდისაგან იქნების.

მისი ნიშანი: ამა ორისა ვარამშიგა ესე ნიშანი არის, ვარამი რომე ფერდშიგან იყოს პირველად ხუელაშიგან ბალღამსა ამოიღებს ოთხ დღემდი. და ისი რომე ღუიძლშიგა იყოს, ესე ბალღამსა მუდმად ამოიღებს ბოლომდის.

თუ ბალღამი გუიან გუიან გამოვიდეს არა გამოწმდების ორმოცამდის. თუ ადრე გამოვა, ადრე გამოწმდების, ეგების რომე ვარა-

301

მის ტკივილი გაუგრძელდეს და გულსაცა მიხუდეს და თხამლად გარდაექცეს და ნახუელსათანა ამოვიდოდეს და ესე ნიშანი ნახო ამა ნიშანშიგა თუ შუიდა დღემდის ცოტა ადგილი გაშავდეს გუერდ-ზედა ანუ კიდე რამე გამოვიდეს მუწუკივითა ავი ნიშანია და მოკუდეს.

სხუაი ამას ენისა, თუ ბალღამსა ამოიღებდეს თეთრი იყოს თუ წითელი ესე სამთელო იყოს.

თუ ბალღამი შავი იყოს ან ყუითელი მაშინცა მოკუდების. თუ ამა სენსა სწამლობდე ესე ნიშნებია რომე ნახო, კარგა გუნება მიეც.

10 თუ ესე ბალღამი წითელი იყოს სისხლისაგან იყოს.

თუ ყუითელი იყოს, ზაფრისაგან იყოს.

თუ შავი იყოს, სევდისაგან არის.

თუ თეთრი იყოს ბალღამისაგან არის.

თუ სისხლისაგან იყოს ბასალიკე გაუხსენ და ქერის კორკოტი აჭამე. სინჯიტი, სიფისტონი, ია. მოდუღებული ჯულაბიცა გაურივე შიგა და აჭმევდი. თუ ერთობ მიაჭიროს ხუელამან ია და შაქარი პირშიგა დაიჭიროს და მუდამად. ამა სახელითა ზელოს რომე ზემო დაგუიწერია.

თუ ამითა არ ეშუელოს ესე წამალი მიეც, დაიჭირე: სინჯიტი 20 ოცი მარცვალი, სიფისტონი ოცი მარცვალი, თეთრი ლეღუი ათი მარცვალი, ხმელი ია ხუთი დრამი, კამის თესლი სამი დრამი ესე ყუელა წყლითა მოადუღე და მერმე ხიარშამბრის გული ათი დრამი, შირხიშტი ოცი დრამი დაადნევე, გამოწურე და შიგა გაურივე და

შეასუი მუდამად, და ქალის დედის რძე თავზედა დააწველე. ფუმ-
რუკი შეაქნევინე ანაქვეტისა ¹ და სხუილი ცერცვიცა დანაყე და
გაურივე და ცივსა წყალსა ნუ ასუამ, წყლის მაგიერად ქერის წყალსა
ასუმდი. თუ ხილი მოუნდეს ტკბილსა ბროწეულსა აჭმევდი.

თ უ მუცელი შეკრვით იყოს და არა ახუველებდეს, მას ალი-
ლისა მათუხი შეუწყევით და შიგა თაბრიინდითა, თარანგუბინი,
30 ხიარშამბრის გული და შირიხიშტი, ესე დაადნევ და გამოწურე და
იმა მათუხშიგა გაურიოთ და შეასუი. ხორცისაგან და მჟავისაგან
იფარეზოს.

ა ლ ი ლ ა ს ა მათუხი ესე არის, აიღე: ალილა ხუთი დრამი
უგურკოი და ერთსა ღამესა დაალბე, მეორესა დღესა მოადულე
ასრე რომე მესამედი დარჩეს, მერმე თარანგუბინი, შირიხიშტი, ხიარ-
შამბრისა გული თუითოსაგან ხუთ ხუთი დრამი ამაშიგა გაურივე
და შეასუი.

¹ მხედრულ ტექსტში სწერია „ანაკუეთისა“.

302

თ უ გულზედა ხრინევდეს, მუხუდოსა წუნენი, სხუილ ცერცვისა
წვენითა ცხელცხელი შეასუი და ხრინვისათუის ესე ერთობ, კარგია.
იე. კარი სისხისა, იარაყანისა და დიყისა.

ნ ი შ ა ნ ი ს ი ს ხ ი ს ა. იცოდით რომე სისხა სამფერი არის
ერთსა ზ ი ყ ი ქუიან ვითამცა ტ ი კ ი ო, მეორესა ტ ა ზ ლ ი ქუიან,
მესამესა ლ ა მ ი ქუიან. რომე ღუიძლსა სინედლე დააკლდეს და სიმ-
ხურვალე დამეტდეს და სიმხურვალისა ბედითა ნავდელშიგა სიმხურ-
ვალე შეიყაროს, და მისისა სიმხურვალისაგან ღუიძლისა ძარღუები
შეიკრას.

10 ღ უ ი ძ ლ ი ტანისა მეფე არის, ასრე უნდა, რომე ღუიძლსა
სინედლე მიხუდეს, რომე სიმხურვალე დაანელოს მაგრა, ვითაცა
ღუიძლისა გზები შეკრული იქნების, სინედლე მისთვის ღუიძლსა ვერა
მიხუდების და ნავდულის სიმხურვალე არა მიუშუებს, რომე ღუიძლსა
სინედლე მიხუდეს. და რასაცა წყალსა სუამს, სიმხურვალისაგან რომე
ღუიძლისა [გზა] შეკრული იქნების, მისთვის წყალი ღუიძლშიგა
აღარ მიხუდების და ყუითლად წყლად გარდაიქცევის და ტყავსა
და ხორცსა შუა შეიყრების და ხორცსა ასივებს და სისხად ¹ შეიქ-
ნების, სისხა არაბულად წყლის თხოვასა ქუიან.

ზ ი ყ ი ს ა ნ ი შ ა ნ ი ესე არის რომე, ფერხები და მუცელი და
20 თუალის ქუქუთონი უსივდენ, ესეცა იქნების, რომე სრულად ტიკა-
ვითა გასივდეს და მუცელზედა რომე ხელი დაკრა, სავსესა ტიკსა რომე
ხელი დაკრა, იმისთანა ხმა გამოუვა, თუ გუერდი იქციოს წყლისა
ხმა გამოვიდეს. კაცი დამძიდეს და სული უგუზდებოდეს და საჭმე-
ლი არა მოუნდებოდეს და ძილშიგა კრთებოდეს და ერთობ უძილად
შეიქნას, და ეგების გულისა მგერაცა დაემართოს, და ეგების რომე
ტყირბიცა შეექნას, გასივდეს და ფერიცა გამოუცვალოს. ნავდლისა
და ტყირბისა სიხმე ერთად შეიყაროს და ტანი ერთობ აშალოს.
ამა სიხმისა ბედითა ღუიძლსა სინედლე აღარ მიხუდეს, წყალი ტყავსა
და ხორცსა შუა დაიფანტოს და ბევრისა წყლისა სმისაგან მუცელი
30 გაუდიდდეს, ჭიპი და ბოქუენიცა გაუსივდეს და ფერხებიცა გაუ-

სივდეს, და ყელი გაუწურილდეს და რა თითი დააჭირო ფერხისა სიმსივნესა შიგა დაეფლას ცომსავითა. და ესეცა იქნების, რომე ყლე და ყუერი გაუსივდეს და უმეცარს აქიმსა ლამი სისხა ეგონოს. რა ესე ნიშანი ნახო იცოდი, რომე ზიყისა არის ესე სისხა, ამას ფიცხლა უწამლე თუარა ერთობ ძნელი სენი არის და გამწელდების. თუ ფსელი წითელი იყოს, ავი ნიშანი არის.

¹ ვარიანტში სწერია „სისხლად“.

ამას სენისა უფალსა რომე ქასნისა და ახლისა კამისა წუენსა ასუემდე კარგი არის, ანუ აბუსალაბისა წყალი შეასუი, ისიცა კარგი არის, და ბროწეულისა წყალი სიქანგუბინითა მისცენ იგიცა კარგი არის.

თუ მუცლისა გახსნა გინდოდეს, რომე მუდამად რბილად იყოს ამა წყლებსა ცოტასა ხიარშამბარსა გაურევედი და შეასუემდი, კარგად მოუხდების. და სხუილ ცერცუისა წყალი ორმოცდა ათი დრამი შირიხიშტითა ანუ შაქრითა მისცენ, მარგე არის. ესე იცოდით, დედაკაცმა ბევრი ბროწეული ჭამა და ესე სენი გამოუჩნდა და ერთმან 10 კაცმან ბოლოკისა ფურცელი და სიქანგუბინი ჭამა ბევრი და მასაცა გამოუჩნდა და გაუკუირდა.

წამალი მისი, თუ მუცელი მისი შეკრული იყოს და შეძლოს, რევანდისა ყურსი შეასუან, აიღე: რევანდი ლაფითი, ქასნის თესლი თუითოსაგან სამი დრამი, ღარიყონი ¹ ხუთი დრამი, მაზარონი ათი დრამი, ესე ყუელა დანაყე და ერთად გაურივე და ყოველთა კუირათა ორსა დრამსა ასუემდეს და სიქანგუბინი უსული შიგა გაურიოს.

თუ ამას ვერა გაუძლოს, დაიჭირე ერთი მუტყალი მაზარიონი ძუელსა ძმარშიგა ჩადევ, ერთსა კუირასა, მერმე ძრმისაგან გამოი- 20 ლე და ასეთსა ალაგსა რომე არც გრილი იყოს და არც ცხელი გახმე, მერმე მას უკანით დაიჭირე ლაფთის წყალი ორი დრამი, კიტრისა თესლი დანაყილი მუტყალ ნახევარი და ქასნის თესლი ათი დრამი, ღარიყონი თეთრი ორი დრამი, ესე ყუელა დანაყე და ქასნის წუენითა ყურსები შექენ და ერთსა კუირასა ყოველთა დღეთა იმა ყურსსა მისცემდი სიქანგუბინითა უსულითა. და საჭმელად უშობლისა ზროხისა თავ ფერხი ძმრითა მოხარშული კარგად მოუხდების.

თუ ესე არა იყოს დაიჭირე თუხმაქანი, აყიროს თესლი, და კიტრის თესლი და შანგიერისა, თესლი თუხმაქანისა, ხაშხაშისა, თუხმაქანის თესლი წურილად დანაყე, წყლით შეზილე და წვენი 30 გამოხადე, ბატარა ქერი გაურივე და მოადულე და ფუმრუკი შეუქენ და შიგა თეთრი შაქარი გაურივე და აჭამე. რაცა ქარიანი საჭმელი იყოს ყუელასაგან იფარეზოს, თუარა ტყირბსა აწყენს და საქმესა და[ა]მძიმებს.

სატაცური, კიტრსა და ნესუსა ჭამდეს ფსელსა მოუმატებს და კარგა მოუხდების. სიქანგუბინსა ბევრსა ნუ აჭმევთ, ზიანი არის, და მჟავითა შექნილი ყუელა კარგი არის. ამა სენშიგან საჭმელი:

¹ სწერია „ვარიყონი“.

კაკაბი, ხოხობი, გნოლი და დურაჯი ხან შემწუარი და ხან მოხარ-
შული და ოსპისა საჭამადი ნუშის ზეთითა მარგე არის, კოწახური-
თა და ძმრითა და ბროწეულისა ტკბილისათა, და ჩინური სხალიცა
აჭამე, ესე ყუელა წყურვილსა დაუწყნარებს. და ხმელი ხილი, წიფ-
ლის გული, ნუშის გული, ხმელი ლეღვი ჭამოს და ზედა სიქანგუბინი
შესუას და წყურვილსა მოკლავს. კოწახურისა ყურსი ერთობ მარგე
არის იმა წესითა, რომე ყურსებშიგა სწერია.

ს ო ჯ ა ლ ს ნ ა ნ იტყუის: და კოწახურისა ყურსი რაგინდარა
მარგე იყოს ბევრს არა უნდა მიცემა, ამისთუის, რომე მუცელსა არ
10 უნდა შეკრვა.

შექნა კოწახურისა ყურსისა აიღე: კოწახური გაწმედილი
რუბისუსი, ვარდი, კიტრისა და ნესუსი თესლისა გული სამსამი
დრამი, მასტაქი, სუმბული, ყაფიტის წუენი ორორი დრამი, რევანდი,
ფუკა, ზაფრანა ორორი დრამი, ქაშუსისა და ქასინისა თესლი სამსამი
დრამი, ტაბაშირი ერთი დრამი და ნახევარი, გაწმენდილი თარან-
გუბინი ექუსი დრამი, თარანგუბინი გაადნევ და დანაყილი წამლები
შიგა დაზილე და ყურსები შექენ თუითოსა მუტყელისა (წონა), სიქან-
გუბინითა და ბროწეულისა წუენითა მიეც. ტაბაშირი და კოწახუ-
რისა წუენი მათსა ძალსა შეინახავს. და თუ მუცელი რბილი იყოს,
20 ყურსი ტაბაშირი მიეც ანუ სიქანგუბინი საფარჯალი და საფარჯა-
ლი კომშსა ქუიან.

ს ხ უ ა ი ტ ლ ე: აიღე ხმელი ზროხისა სკორე და მისი მეოთ-
ხედისა წონა ქასნის ფურცელი, და ორივენი დანაყენ და ვაჟის ფსლითა
ანუ თხის ფსლითა და ძმრითა დაზილევ და შემოსდევე.

ს ხ უ ა ი ტ ლ ე, აიღე: თხისა ძუელი სკორე და ზრონისა სკორე
ხმელი დანაყილი, ქერისა და ფეტუისა ფქუილი ამათგან თუითო
პევშუი, ეს ყუელა ძმრითა დაზილე და შემოსდევე მარგე არის.

ს ხ უ ა ი წამლები, რომე ღუიძლი სიმრთელისაკენ მოიყვანოს
და სიმხურვალისა ღუიძლის ტკივილსა სწერია, ისე ახმარე.

30 მუდამად მუცელზედა ესე ტლე შეიწყოს, ტლის შექნა, დაი-
ჭირე: სპილენძი დამწუარი და ფარფიონი, გილი ერმანი, ფქუილი
ფეტუისა, სოდი ცხურის ნეხუი ძუელი, ბორა თუითოსაგან თუითო
მუტყალი, დანაყე და ანუ თბილითა წყლითა, ანუ ღუინითა დაზილე
და ტლედ შემოსდევე.

თ უ ესე ზიყისა სისხა ღუიძლის სიგრილისაგან იყოს, მისი ნი-
შანი ამავე ღუიძლისა სიგრილისა ნიშანი იყოს და წამალიცა იქ
მონახე სადაცა ღუიძლისა სიგრილისა სწერია, ამა წამლებითა ღუი-
ძლი, სიმრთელეზედა მოიყვანე, მერმე სისხისა წამლები უყავ ამა

წესითა, რომე აქა სწერია. წამალი მისი. საჭმელსა არასფერსა არ
უნდა ჭმევა, ნუცა წყალსა ასუამ, მისი საჭმელი ესე იყოს რომე პუ-
რი გამოაცხონ კარგად ამა წესითა, რომე კამისა და ნიახურისა და
ანისონისა თესლი და ზირა ქირმანი შიგა ერიოს. ყოველთა დღეთა
ამა პურისა ორმოცდაათი დრამი შეუწყონ საჭმელად და მუხუდოსა
წუენშიგან ჩაიყრიდეს, დაალბობდეს და აგრე ჭამდეს და ნიადაგ

ბოლოვსა ჭამდეს, მარგე არის. და დიდი თრიაყი და არაბა თრიაყი და რაცა ამათ გუანდეს, დიდრონი მაჯუნები ყველა კარგი არის. და ლუქისა მაჯუნიცა ერთობ კარგი არის.

10 და თბილითა წყლითა იზანდეს და თორნეზედა ოფლსა იდენდეს მარგე არის, ესე რაცა სწერია მას უკანით ქნას, რომე წამალი აელოს გასახსნელი.

მას გასახსნელი თხუთმეტი მარცვალის მასტაქითა, წითლითა ვარდითა და ანისონითა მისცენ, ზედა ერთი თასი წყალი შეასუნან, სისხისათუის ერთობ მარგე არის.

სხუაი, სისხისათუის წამალი კარგი და მშველელი ლ~თითა, აილდე: ყუითელი ალილა და თურბუთი დანაყილი და გაცრილი ათ-ათი დრამი, ბალილა ოცი დრამი, ინდოური მარილი ოთხი დრამი, ზანჯაბილი ოთხი დრამი, პილპილი ოთხი დრამი, ესე ყუელა დანაყე

20 და გაცარ და ერთმანერთსა გაურივე და პერული მოხადე და თაფლითა შეზილე და მაჯუნად შექენ და შეინახე რა მოგინდეს ამისგან მიეც ერთი მუტყალი, თბილითა წყლითა. ამა წამლისა მიცემასა უკანით გასინჯე თუ მუცელი დაუცხრეს ეშუელების, თუ არა არ ეშუელების იცოდი კარგა.

ს ხ უ ა ი, გასახსნელი აბი საქბინაჯისა, აილდე: საბრი და აფთიმონი ხუთ ხუთი დრამი, ღარიყონი სამი დრამი, საქბინაჯი ექუსი დრამი, საყამუნია სამი დრამი, მასტაქი და ანისონი თუითო დრამი, ყუელა დანაყე და გაცარ და აბები შექენ და ჩრდილსა გაახმე, მისცე შარბათი[თ] ორი დრამი.

30 ნ ი შ ა ნ ი აბი მაზარიონისა, აილდე: მუდაბარი მაზარიონი ნახევარ დრამი, მუდაბარი მას ქუიან რომე ძმარშიგა დამბალი და გამხმარი იყოს, ლახუსტაგი ორი დანგი, ფარისიაოშანი ¹ დანგ ნახევარი, ინდოური მარილი და ტრედის სკინტლი, თუითო დანგი, დანაყე და აბები შექენ ², ამა წამალსა უკანით მსუქნისა ქათმისა ხარშოსა აჭმევდით.

¹ სწერია „ფარასონი“. ³ აქ ჩართულია უადგილოდ „ესე ერთ შარბათი არის“. ვარიანტშიაც ესევე მეორდება.

ა მ ა ს ა ზ ე მ ო თ ს ა ზ ი ყ ს ა ეს უმსუბუქე არის,

ტ ა ბ ლ ი ს ა სისხა ესე არის, როგორაცა ზიყისა სისხა აგრევე ამისი იქნების, ასრე რომე ლუიძლი გაუხურდების და წყალსა მოანდომებს და სუამს, და ლუიძლსა არა მიხუდების. არაბულად სისხა ამას იტყუის ვითა წყალი მასუიო, მაგრა ზიყისაგან ამისი წყალი ოფრო იქნების.

ა მ ი ს ი ნიშანი ესე არის რომე, მუცელი გაუსივდეს და ჭიპი გარეთ გამოექცევის, ასრე გაუმაგრდების, რომე ხელი დაკრა ტაბლასავით ხმასა ამოიღებს და იბერვოდეს, ესე ქარი იქნების, და ბო-
10 ყინი უნდოდის, ვერცა აბოყინოს, და თუვით აბოყინოს მოისუენოს.

ე ს ე ს ე ნ ი სიმხურვალისაცა იქნების და სიგრილისავგანცა.

თ უ სიმხურვალისაგან იყოს, წყალი ახლისა კამისა და ნიახურისა და ასაქისა წყალსა ასუემდი და ბაბუნაჯსა და აქლილაღმალიქსა მოხარშავდით და ამას ტლედ დასდებდით.

თ უ სიგრილისაგან იყოს, მავლი უსული მისცენ მწარისა ნუ-

შისა ზეთითა და თეთრი საკმელი, ნანახუა და ხმელი სადაფისა ფურ-
ცელი დანაყონ და გაცრან და თაფლითა გაურიონ და შიგა ზამბა დაა-
სოვლონ და საჯდომსა დაიდვას და გულან გუბინი მასტაქითა მის-
ცენ. და ფეტუსისა და ანაკუეთისა მოხალვა და შემოდება მარილითა
20 მარგე არის. ნახევარ მუტყალი აშაყი გალესონ, წყლითა თბილითა
გა[ა]დნო და შეასუა სამსა ფერსა სისხასა უშუელის. და საჭმელი სხუ-
ისა სისხისა შეუწყევით.

ლ ა მ ი ს ა ს ი ს ხ ი ს ა ნიშანი ესე არის რომე, კაცსა მით წაე-
კიდების, რომე ბოვასირი სჭირვებოდეს და ბევრი სისხლი სდენო-
დეს, და დედაკაცსა მითა, რომე წესი შეკროდეს ¹.

ა მ ა ს ე ნ ი ს ა ნ ი შ ა ნ ი ესე არის, რომე სიგრილე მოერიოს
და ლუიძლი გაგრილდეს, პირველად ფერხნი გაუსივდენ და მერმე
მუცელი და ყუერი, უკანის პირის სახე და ხელნი და სხუა ადგი-
ლიცა. სადაცა თითი დააჭირო დაეფლას, ერთსა წამსა ისრევე დარ-
30 ჩეს, მერმე მისავე ალაგსა ამოვიდეს. და ზიყასა და ტაბლისა სისხა-
შიგა პირი და ხელნი არა გაუსივდეს, ყელი გაუწურილდეს, და მარ-
ლუები [მშვილდის] საბელივით გაზიდულ იყოს, და თუაღნი უკუ-
სცვივოდნენ, ამისი და სხუისა სისხისა გუარი ერთი არ არის.

¹ გვერდის აშიაზე სწერია მხედრულით „ღმერთო შეიწყალე ფრიად ცოდ-
ვილი დანბუბი. ყოვლად წმიდა მძლავრისი სატოსი. ნუ მკითხავ ჩემ ცოდვისას
ვინცა ესე წაიკითხოთ ცოდვილსა ქანანელს [.] უბრძანებდითი.

წ ა მ ა ლ ი მისი ესე არის: თუ ფსელი წითელი იყოს და სქე-
ლი, ნიშანი სიმხურვალისა იყოს, ამას პირველად ხელი გაუხსენ, უპი-
რიანე არის და მარგე არის. და მერმე გასახსნელი წამალი უნდა და
რწყევაცა კარგია სამსა დღეშიგა ერთხელ.

თუ ამ სენშიგა ცივებ-ხურვება იყოს, მაშინ არცა ხელისა გახ-
სნა ვარგა, და არცა წამლისა აღება გასახსნელისა, სადამდინ ცივება
და ხურვება არა წავიდეს. და რწყევა და ღარღარა ერთობ მარგე არის.

ს ხ უ ა ი, წ ა მ ა ლ ი: აბი რევანდი და აბი მაზარიონი ერთობ
მარგე არის. აბი რევანდისა მ ა მ ა დ ი ს შ ვ ი ლ ი ს ა ზ ა ქ ა რ ი ა ს
10 ნუსხისა აიღე: რევანდი ჩინი, ლაფიტისა წვენი და ქასნის თესლი
სამსამი დრამი, ღარიყონი ათი დრამი, შარბათი ორი დრამი და ნა-
ხევარი, ამ შექნილსა შარბათებშიგან ყოველთა კუირათა ერთხელ
მისცემდი მარგე არის.

უ ფ რ ო ძრიელისა აბისა, აიღე: აბი მაზარიონი დანაყილი
ნახევარ დრამი, ტკბილისა ნუშისა გული ერთი დრამი, ქათირა დანგ
ნახევარი და შაქარი წამლებისა წონა, წამლები დანაყე და გაცარ
და შაქარი გაადნევ და წამლები შიგა დაზილე და აბები შექენ ესე
ყუელა ერთი შარბათი არის.

ხან იყოს, რომე ამა აბისა ჭამისაგან სტომაქში [წვა] გამოუ-
20 ჩნდეს, ნუშისა ზეთმა წვა და[ა]წყნაროს თუ გულისა რევა გამოჩნდეს
კუამში გამოწოვოს მას და[ა]წყნარებს. და თუ ამა აბსა უკანით სიმ-
ხურვალე გამოჩნდეს და რადონსა დღესა ქასნისა და ნარდანგისა და
კოწახურისა წვენი ტაბაშირითა მისცე, მარგე არის.

წ ა მ ა ლ ი სისხასა, მოიღე: მერანას ფურცელი და სამსა დღესა
მმარშიგა დაალბე და მერმე ამოიღე და ორმოცსა დღესა ჩრდილსა

გახმე, მერმე დანაყე და გაცარ, და მისგან შესმა ყოველთა დღეთა თუითო დრამი ღუინითა, კარგია და გამოცდილი.

ს ხ უ ა ი, ორი დანგი ფარფიონი დანაყოს და ყოველთა დღელთა თორხოლოთა კუერცხითა აჭამე, გრილსა სისხსასა უშუელის.

30 მერმე ტლები შემოსდვას. ტლე სისხისა, აიღე: ბორა, ზროხის ქონი ვაშაყი და თეთრი საკმელი ყუელა დანაყე და კიტრანას წუენითა ტლედ ქენ და შემოსდევ, მარგე არის.

ს ხ უ ა ი, აიღე: ვაზისა ნაცარი და მუხის ნაცარი და ხმელი თხის კორკლი და ხმელი ზროხისა სკორე, დანაყე და გაცარ და ძმრითა დაალზე და გა[ა]თზე და სიმსივნეზედა ტლედ შემოსდევ და ყოველთა დღეთა თუ ზღუისა წყალი იყოს და შიგა იბანებოდეს, თუ ზღუისა წყალი არ იყოს, შაბითა და მარილითა გამლაშებდეს და

308

განელთბილეთ და აბანებდით, და შიგ გოგირდსაცა ჩააყრიდით. რბილსა მიწაზედა სიარული და ქუიშაზედა და მზის პირსა ჯდომა მარგე არის. და საჭმელად საერო პური, ასრე რომე კამისა და ნიახურისა თესლი, ნანხუა რომე სონიჯი არის, ზირა ქირმანი, ანისონია, ყუელა დანაყილი ცომშიგა გაურიოს და გამოაცხოს და აჭამოს.

და საჭამადად მუხუდოსა შეაქნევენებდეს, შიგა დარიჩინი, პილიპილი და ზირა ქირმანი და ნიახურისა თესლი გაურივე დანაყილი, ხორცთაგან კაკაბი, გლონი, დურაჯი აჭამე და ამათი მსგავსი და ზეთთაგან ფუსტუყისა ¹ ზეთი მარგე არის.

10 თ უ ამა ლ ა მ ი ს სისხაშიჯა კაცი ერთობ დამძიმდეს, ძილშიგა კრთებოდეს, და უძილობა დაემართოს. მას არაფერი წამალი არ, უშუელის თუ ეს, არა სჭირდეს მაშინ იმედეულად იყავ.

სამსავე ფერსა სისხასა ორი დრო ერთობ ძნელი არის, ერთი წყალდიდობასა და ერთი შემოდგომის ჟამ[სა].

თ უ ამა დროსა წამლობა გინდოდეს, ამისი წამლობა საბედიო არის, ან მოკუდების.

თ უ ღონე არა იყოს, ესე სუბუქი და უზიანო წამლები შეუწყევ, აიღე: სიქანგუბინი უსული და ბუზური და ცოტა რევანდი, ცოტა შასთარას თესლი და ცოტა ქასინის თესლი გაურივე და შე-

20 ასუი, რომე იმა სენსა არ ემატოს. სასმელი და საჭმელი ასეთი რომე გუითქუამს. მუდამად მისი მაჯა შეინახე, ყოველთა კუირათა ერთხელ მუცელი გაუხსენ აბი რევანდითა, ამა წესითა, რომე ამას წინათ გუითქუამს, ანუ ერთსა კუირასა ყურსი რევანდი ასუით. და ესე წამალი მიეცი, აიღე: ლაფთისა წუენი და რევანდი თუითო მუტყალი და ლუქის ძირი და ლუქისა თესლი და შასთარას თესლი თუითო დრამი საყამუნია ნახევარ დრამი, ყუელა დანაყე და კამისა წუენითა დაზილე და აბები შექენ, ყოველთა დღეთა ერთი მუტყალი, ტკბილისა ბროწეულისა წუენითა შეასუი და ცოტად იძროდეს, მისი საჭმელი მწარის ვაშლისა წუენითა, ანუ თუთუბოსა წუენითა. წყლის

30 მაგიერად სიქანგუბინი უსული და ბუზური მიეც.
თუ ამას ყუერს ქვემოთი და ყუერი გასივებოდეს, იმას ამა წამალსა ნუ მისცემთ, ესე წამალი შეუწყევ: თუხმი ქარვია, რომე ნიახურის თესლსა ქუიან, და დუყო რომე გარეულსა სტაფილოსა ქუიან, ფატრასალიონი, ნანხუა, კამის თესლი, სუმბული, მური, თუითოსა-

¹ სწერია „ფუსტისა“ ორივეგან, ვარიანტშიაც და დედანშიაც.

ზარარი მარაულსა ქუიან დანგ ნახევარი, აშაყი ერთი დრამი, ესე ყუელა დანაყე და ვაშაყი გაურივე ღუინოშიგა და მიეც ¹.

თ უ ხილი მოუნდეს ტკბილი ბროწეული აჭამე. თუ მუცელი შეკრვით ჰქონდეს და არა ახურვებდეს, მას ალილისა მატბუხი შეუწყევ და შიგან თამრიინდი, თარანგუბინი, ხიარშამბარის გული და შირიხიშტი ესე დანაყე და გამოწურე, ამა მათბუხშიგა გაურივე და შეასუი და ხორცისა და მჟავისაგან იფარეზოს.

თ უ გულზედა ხრინვიდეს მუხუდოსა წვენი სხუილ ცერცუისა წყლითა ცხელ ცხელი შეასუით, და ხრინვისათვის ერთობ კარგია 10 და მარგე.

ნ ი შ ა ნ ი ი ა რ ა ყ ა ნ ი ს ა. იარაყანი ამასა ქუიან რომე, კაცსა თუალისა სითეთრე გაუყუითლდეს და ტანზედაცა გაყუითლდეს. ესე ოთხისაგან იქნების: ე რ თ ი ნალულის დამიტეებისაგან, რომე ნალველი აივსების და ამფოთდების და გამოვა ყოველსა ასოშიგა და თვალშიგა, ყვითლად შეიქნების კაცისა ფერი. მ ე ო რ ე ძნელისა ზაფრისა ცხროსაგან, რომე ერთსა დღესა მოუვა და ერთსა არა და კვალად მესამესა დღესა მოუვა. ესე ცხრო მსურვალე ცხრო არის და ამფოთდების. და მეშვიდესა დღესა თუ გამოჩნდეს სიყვითლე, საშიშარი არის სნეულისათვის, მესამე რომე ღვიძლსა და ტყირპ- 20 სა შუა სავალი ძარღვი არის, ისი შეიკრვის და ღვიძლის სევდასა ტყირპშიგა ველარა გაგზავნის, და ღვიძლი ასტკივდების და ტყვივისა და ან სპილენძისა ფერად შეიქნების კაცი, ესე სიგრილისაგან და სიხმისაგან იქნების. მ ე ო თ ხ ე ქვემძრომთა კბენისაგან, რომე უკნოა და გაყვითლდეს კაცი და ან წამალმან აწყინოს მაშინცა გაყვითლდების.

ესე სენი თუ სნეულობაშიგან დაემართოს, გასინჯვა უნდა, თუ შვიდამდი გაყვითლდეს იგი ავია და სიკუდილის ნიშანი არის, თუ შვიდს დღეს უკანით დაემართოს იგი ადვილია და ეშველოს ღთითა. თ უ ცხროშიგა კაცი გაყვითლდეს შვიდამდი ავი არის და 30 სიკუდილის ნიშანია და თუ შვიდსა უკანით გაყვითლდეს სიმხურვალისაგან იქნების, მისი წამალი ან უნდა გრილი წამალი შეასვა, რომე სიმხურვალე დააწყნაროს და ფსლისა გზით გამოიღოს, ანუ გასახსნელი წამალი მისცეს და მით გამოიღო.

¹ ამის შემდეგ ეს წინადადება მოსდევს: „და ტლედ სადაცა და პიტნა ხმელი შექენ და სამოსლისა ნახევითა ზედა დასდევ, რომე ტლე არ გახმეს, და ლელი ძმარშიგა დასოვლე და მიეც“ მაგრამ აშიაზე უწერია „ეს ტლე წამცდა. ტყირბისა არის“.

თ უ ცხროშიგა გაყვითლდეს მას შეასვი კამისა და ვარდისა კაჭაჭისა წყალი გამოწურვილი შაქრითა, მარგე არის. და თუ სიცხე ძნელი იყოს შეასვი ქერის წყალი შაქრითა. ანუ შეასვი ხაჭოსა წყა-

ლი მარგე არის. მერმე ნედლი აყირო დანაყე და გამოწურე და შე-
ასვი შაქრითა მარგე არის. თუხმაქანი გამოწურე, შეასვი შაქრითა
მარგე არის.

საჭმელად მხალთაგან, ხავარტი; არდის ფურცელი ნუშის ზე-
თითა, ქერის კორკოტი, ხორცთაგან თიკანი, კაკაბი და გლონი, ხო-
ხობი და დურაჯი, ამათგან რომელიცა იშოებოდეს ძმრით აჭამე და
10 ღვინოს წუ ასვამ.

თუ წაევიდოს მხურვალთა ჭამისაგან, ანუ ლღუინისაგან იყოს,
მისი ნიშანი ესე არის, რომე ღუიძლსა სიმხურვალე დასვარბდების
და ადუღდების. სისხლი ღუიძლშიგა და გაყუითლდეს კაცი, ესე ნა-
ვღლისა სიმხურვალისაგან არის, მას წამალი ყუელა ღუიძლისა სიმ-
ხურვალისა უყავ, შარბათი და ტლეც ყუელა გრილი შეუწყევ და
ღუინოსა ნუ ასუამ.

გ რ ი ლ ი შ ა რ ბ ა თ ე ბ ი ესე არის: ტკბილისა და მჟავის ბრო-
წეულისა, ქასინისა და აყიროსა წყალი და წყალი მჟავის კიტრისა
და საზამთროს წყალი, და თუხმაქანისა წყალი შაქრითა და სიქან-
20 გუბინი ძმრითა შექნილი და თესლი ქასინისა და თესლი ქაშუმისა
იმავ სიქანგუბინშიგა გაურივე და მოადუღე და სასმელად ქასნისა
თესლი ქერის წყლითა მოდუღებული იყოს სატკივარსა გამოსწმედს.

და ზეთის ხილი ძრმითა შენახული ჭამოს, მარგე არის. ახალი
ქინძი თარას ფურცელითა ჭამოს, არგებს. და საჭმელად თიკნისა
ხორცი ისრიმითა ანუ ძმრითა შექნილი ჭამოს.

თ უ ეს სენი ღუიძლისა შეკრვისაგან იყოს, ის უფრო ავი არის
და მძიმე. თუ ღუიძლისა შეკრვისაგან იყოს, მისი ნიშანი ესე არის
რომე, პირი მწარე არ ებას და სწყურდებოდეს. რა ესე ნიშანი
ნახო, იცოდი რომე, ქუეშე სავალი გზა შეკრული არის და ზედათ
30 იარების ნაველი და მისგან არის სიყუითლე.

თ უ ზედა სავალი გზა შეიკრას და იარებოდეს ქუემოსა გზასა,
მისი ნიშანი ესე იყოს რომე, მისი ფსელი იყოს ვითა წითელი თიხა
და მოშოდ სცემდეს და ნავალი ყუითელი იყოს. და თუ შეუვიდეს
ნაწლევათა აშფოთდეს და შექნენ ძნელი კოლინჯი და ესე შეკრვა
იქნების ნავალისა სისქისაგან, ჩაჯდების პირსა სავალისასა და დაე-
ჩრების, ამით იქნების ნასკულობა.

ა წ ე დაიჭირე ფსელი, დადგი და ნახე თუ ყუითელი იყოს და
სქელი იცოდი, რომე სიმხურვალე და ზაფრა დასჭარბებია, ამას ასრე

უნდა რომე, უწინა წადლებითა დააღბო, ასრე რომე, აიღო ნიახუ-
რისა თესლი და კამისა და ცერეცოსა თესლი, სამივე სწორი სწორი
ქენ და მოადუღე და გამოწურე და სამი მუტყალი მწარისა ნუშისა
ზეთი გაურივე შიგა და ყოველთა დილათა შეასუემდი და იმა სენსა
ისი დააღბობს. და საღამოსა ერთი მუტყალი ბოლოკისა თესლი და
ერთი მუტყალი ნესუის თესლისა გული და ერთი მუტყალი ანისური
და ნახევარ მუტყალი ცერეცოსა თესლი და ნახევარ მუტყალი ნია-
ხურისა თესლი ესე ყუელა სიქანგუბინშიგა ჩაყარე და შეასუი, და
მერმე არწყიოს ერთობ მარგე არის და შეკრულსა ღუიძლსა გახსნის
10 და გამოსწმედს. ერთი მუტყალი ჭაკუნტელისა ფურცელი მისცენ
სიქანგუბინითა დანაყილი, ერთობ მარგე არის, და შეკრულსა

ღუიძლსა გახსნის.

ს ხ უ ა ი, ერთი მუტყალი ღარიყონი დანაყე და გაურივე თა-
ფლი და გალესე თბილითა წყლითა და შეასუი, ერთობ მარგე არის
და გამოიღებს წითელსა ნავდელსა.

ს ხ უ ა ი გ ა ს ა ხ ს ნ ე ლ ი, აიღე: ყუითელი ალილა ათი მუტყა-
ლი და საყამუნია დანგ ნახევარი, ათი მუტყალი თარაგუბინი, ასი
მუტყალი წყალი დაასხი, დაალბე და გამოწურე, და ალილა დანა-
ყილი და გაცრილი შიგა გაურივე და საყამუნია სხუილად დანაყე
20 დანის ტარითა, და გაურივე და შეასუი, ესე მუცელსა გასწმედს და
სიყუითლეს გაიღებს და გახსნის მუცელსა.|

ს ხ უ ა ი მისი წამალი ესე გასახსნელი შეუწყოთ, აიღე: ყუითე-
ლი ალილა, სინამაქი, შასთარა, ტყემალი, სინჯიტი ¹. ეს ყუელა
დანაყე და ქასნისა წვენშიგა გაურიონ და ანუ აბუსალაბისა წვენშიგა
გაურიონ, თამირინდი, ხიარშამბარისა გული და შირხიშტი თუითო-
საგან ათი დრამი გალესე და გამოწურე და იმაშიგა გაურივეთ და
შეასუით. ორსა დღეშიგან ერთხელ ყურსი ქაფური შეასუან და ღუ-
იძლზედა გრილი ტლე შემოსდვან, მასუკანით ერთსა კუირასა ყურსი
გული შეასუან და ეშველების.

30 თ უ სიყუითლე დარჩეს ტანსა და თუალთაშიგან მისი წამალი
ესე არის აიღე: ერთი მუტყალი ბორა და ბოლოკისა წუენსა და
კარგსა ღუინოშიგა გაურივე და კაცი აბანოშიგა ჩასუი და შეასუი
და შიგა კიდეცა მოფსას, ერთობ მარგე არის, ოფლსა ადენს და
სიყვითლესა გამოიღებს და ნასკუსა გახსნის ბძანებითა ლ^ათისათა.
ყურსი რევანდისი, სიქანგუბინი ბუზური, ესეცა ერთობ მარგე არის.

¹ სინჯიტი — ფმატია. შირიხიშტი — მანანა.

312

და მისი საჭმელი ყველა ძმრითა და ძმრით შენახული ქაბრი და
ბოლოკისა ფურცელი ვარდითა შექნილი მარგე არის. და ქალმისა
ფურცელი ზეთის ხილის ზეთითა მარგე არის.

თ უ წყურვილი მოუვიდეს, წყალი ქასინისა სიქანგუბინითა
ბუზურითა მისცენ, მარგე არის, თესლი ქასინისა და წყალი თუხმა-
ქანისა და ბოლოკისა ფურცლისა, და წყალი მჟავისა თურინჯისა
სიქანგუბინითა შესუას, ერთობ მარგე არის.

თ უ ესე სენი წელჩიგან ჩავიდეს და ყოლინჯი გამოჩნდეს, მას
მაღე ოყნა უყონ და გასახსნელი წამალიცა მისცენ, რომე სენი გაი-
10 ლოს. ყველითა წყალი და აქლემის რძე შეასუან, ესეცა მარგე არის,
ანუ სუფუფი ესე მისცენ, აიღე: ყუითელი ალილა და ორი მუტყალი
აფთიმონი, ინდოური მარლილი ერთი დანგი, იარაჯი ფეყირა, ნახევარ
მუტყალი, დანაყე ცალკე ცალკე და გაურივე, წყლითა შეასუი, ესე
ყუელა სამი შარბათი არის.

ა ს რ ე უ ნ დ ა აქიმძან სნეულს ძალი შეუტყოს რომე, რაცა
არა შეეძლოს მეტი წამალი არ მისცეს.

ს ხ უ ა ი ს უ ფ უ ფ ი, დაიჭირე: ყუითელი ალილა ორი მუტყა-
ლი, აფთიმონი ერთი მუტყალი, იარაჯ ფეყრა ოთხი დანგი, და იმავე
ზემოთისა წესისა ქენ, და ესეცა სამი შარბათი არის.

20 შავის იარაყანისა ნიშანი ესე არის, რომე ღუიძლშიგა სევდა

ჩარჩეს და ტყირბმან ვერ გაზიდნეს მისკე, ნასკუისა ბედითა. ნასკუ-
ლობა ესე არის, რომე ღუიძლსა და ტყირბსა შუვა სავალი გზა არის
რომე სიმბურვალე იქიდალმა მივა ტყირბშიგა ისი გზა] შეიკურის
და მისითა გამოჩნდების შავი იარაყანი ისი ასრე არის რომე ღვი-
ძლის საჭამდასა. ამოსწოვს და მაშრაყაშიგა შეიღებს, მაშრაყა ამასა
30 ჰქვიან რომე ღვიძლშიგა მსხვილი ძარღვი არის, სისხლად შეიქს რაც
წმინდა არის და კარგი ღვიძლი დაიჭირავს რაცა თხლე დარჩების,
ტყირბსა გაუგზავნის და [თუ] ის გზა შეკრული იქნების მისითა
ბედითა ღვიძლშიგან დარჩების და ის სევდა არის და სისხლშიგა გაე-

ერთი სხვა, ამისგანვე წაეკიდოს, რომე ღვიძლი ნამეტნავად
ცხელდებოდეს და ასრე გახურდეს ღვიძლი, რომე სევდა იმაშიგა
დაიწვას, და ის დამწვარი სისხლშიგან გაერიოს და ყოველსა ასოებ-
შიგან მივიდეს.

ერთი სხვავე ამისგან წაეკიდოს, ის რომე ღვიძლშიგან
დამწვარი არის ის სევდათ შეიქნების და იმისგანცა შავი იარაყანი
გამოჩნდეს.

313

თუ ეს სატკივარი ტყირპშიგან გამოჩნდეს და ტყირპშიგან
იყოს, მისი ნიშანი ეს არის რომე ფსელი მისი შავი იყოს, ანუ ბნელი.

თუ ეს სენი ღვიძლის სიცხისაგან იყოს სიშავისაგან ყვითლად
ექცეს ფსელი და წითლადცა შეიქნას, თუ მზეს უჩვენო ყვითლად
გარდაიქცეს.

თუ ეს სატკივარი ტყირბისაგან სჭირდეს, მარცხენისა ხელისა
საღვიძლე გაიხსენ, თუ ღვიძლისაგან იყოს, მარჯვენა საღვიძლე გა-
იხსენ, და ყველისა წყალშიგან სიქანგუბინი აფთიმონით შეკაზმული
გაურივე და შეასვი.

10 და ეს სუფუფი მისცეს ყოველთა კვირეთა ყველის წვენითა.
დაიჭირე: ალილა შავი და ალილა ქაბული, თვითოსაგან ორი მიტ-
ყალი, აფთიმონი ერთი მიტყალი, იარაჯი ფეყრა ნახეყარ მიტყალი,
მარილი ინდოური ერთი დანგი, სიქანგუბინი და ნიახურის ძირი,
კამის ძირი და ძირი ამხირისა და თესლი კამისა, ანისუნი, აფთიმო-
ნი, ჯუნდა, ქაბრი, გაზმაზუ, ეს ყველა სიქანგუბინითა მოდუღებული
ყოველსა დილასა ან ბოლოკისა და ან ქაბრის წყლითა მისცე, რომე
შესვას, და აქლემისა რძე შავითა ალილითა და აფთიმონითა, ყარიყო-
ნითა და ინდოურითა მარილითა გაურიონ და აჭამონ, ერთობ მარ-
გე არის.

20 თუ ამა სატკივარშიგა ცივება ანუ ცხელება მოუვიდეს, წყალი
ქასნისა და აინალაბუსა შეასვას და საჭმელად მისთვის ქასნითა ძრმი-
თა და ნიახურითა, და ან თიკნითა ხორცითა შეუწყონ.

ქაბრი ძრმით გახრდილი და ფურცელი ბოლოკისა და წყალი
ბზის ფურცლისა, თვითოსაგან თვითო უკია და აბუსალაბისა წყალი
სამი უკია, და წყალი ქასნისა ორი უკია, და წყალი ქაბრის ფურც-
ლისა ერთი უკია, ესე წყალი ყუელა ერთად ადუღოს და მერმე და-
წუროს და ხიარი შამბარი იმითი დაადნოს, და ეს გასახსნელი წამ-
ლებიცა იყოს, და ყოვლისა სენისა წამალიცა არის.

ნიშანი დივისა ის არის, კაცსა რომე ცხელეზა მოუვიდეს არც 30 გრილი იყოს და არც ცხელი, და ტანი კაცისა დაამჭლოს და თმა ჩამოსცვინდეს და პირისახე ხან გაწითლდეს და ხან გაყვითლდეს და ასონი გარბილდენ და წვივნი გაუწურილდენ და მკლავნიცა გაუწურილდენ და პირისა სახე გამოეცვალოს და ყურები გაუდიდდეს, ცხვირისა თავი და ყელი წურილად ეჩვენოს და თვალნი ღრმად უკუეცვინდენ და თმისა თავები გაიპოს.

მ ი ს ი წ ა მ ა ლ ი: ალილის მათბუხი მიეც და მასუკანით ბროწეულისა შარბათსა უნდა მიცემა, ასე რომე შარბათსა შინა მოგონებული არის, ერთობ მარგე არის.

314

ს ხ ვ ა, მარტო სიქანგუბინი თურინჯისა მჟავისა ერთობ მარგე არის, თუ ხორცი მოუნდეს კაკაბი, გნოლი და ან დურაჯი.

თუ ფსელი წითელი იყოს ბროწეულისა, შარბათსა უნდა მიცემა და თუთუბა და ან კოწახურის წვენი.

ს ხ ვ ა ამისი წამალი ცხროსა რიგშიგა სწერია, სადაც დივი სწერია იქ ნახეთ.

ივ კარი ტყირბის ტკივილისა.

ი ც ო დ ი თ რომე, ტყირბის ტკივილი მრავლისაგან არის, ერთი **ს ი მ ხ უ რ ვ ა ლ ი ს ა გ ა ნ,** მისი ნიშანი ის არის, რომე მარცხენამან 10 გვერდმან დაუწყოს ტკივილი და ენა გაუწითლდეს და საჭმელზედა უნდომად იყოს და სწყურდებოდეს.

წ ა მ ა ლ ი მისი: ყოველთა დილათა უზმომან ბუზური სიქანგუბინი შესვას ქასნისა წყლითა და კამისა წყლითა და **ს ე ლ ი მ ა ს** მარღვიცა გაუხსენით მარჯვენისა ხელისა, ღვიძლისაგან გამოიღებს სისხლსა და მარცხენით ტყირბისაგან, **ს ე ლ ი მ ი** იმას ჰქვიან რომე მარცხენისა ხელისა ნეკსა და თითსა შუა ცოტად ზემო არის, ორი სანდალი გალესე და მარჯვენით ღვიძლზედა დასცხოს.

ა მ ა ტ ყ ი რ ბ ს შ ი გ ა რაცა სენი გამოჩნდეს, მისი საჭმელი მჟავე იყოს და თუ ტკბილი ყუელა ქაბრითა ჭამოს მარგე არის. თუ 20 ხარშო მოუნდეს ისიცა მუხუდოთა და ქაბრითა ჭამოს, და ნიახურითა და სადაფითა შექნილი, ერთობ მარგე არის.

ს ხ ვ ა ვ ე, ქასნი, ნიახური და ბოლოკი და მისი ფურცელი და ჭაკუნტლის ფურცელი, ყუელა ზეთის ხილის ზეთითა ან ნიგუზის ზეთით შექნილსა სჭამდეს, მარგე არის.

თუ ხორცი მოუნდეს კარგი და ჩვილი ჭამოს, კაკაბი, ხოხობი და დურაჯი, ხარშოთ შექნილი და ზირა ქირმანით შექნილი არგებს.

პ უ რ ი ამისთანა ჭამოს: დაიჭირე ფქვილი ლიტრა ნახევარი და სფანიდისა თესლი, მეექუსედი ერთი ჩარექისა იქნების თესლი, კარგად დანაყე და ფქულშიგა გაურივე, მოზილვე და გამოაცხევე რო- 30 მე გახმეს დილის ჟამსა ამას სჭამდეს და თუ ძრმითა სჭამდეს სჯობს.

თუ ესე ტყირბის ტკივილი **ს ი გ რ ი ლ ი ს ა გ ა ნ** იყოს, მისი ნიშანი ეს იყოს მარცხენით ფერდი და მკერდი სრულად სტკიოდეს და პირისა ფერი თეთრად იყოს და არ სწყურდებოდეს, მისი წამალი ქაბრის ყურსი შეუწყონ, რომე ყურსებშიგა სწერია. და ხმელი სადაფი და ხმელი პიტნა ერბოშიგა მოადულე და ტლედ შექენ, და ტყირბზედა შემოსდევ და ჯამსა გააცხელებდი და ტყირბზედა შემოს-

დებდე და ხმელი ლეღვი ძრმით მოადულეთ და ტყირბზედა შემოზ-
დევით და კიდევ აჭამეთ ძრმით დამბალი ლეღვი.

მ ე ს ა მ ე ტყირბის ტკივილის ნიშანი ეს იყოს, რომე ქარი ჩა-
ვარდეს ტყირბშიგა და ტყირბი გადიდდეს და კიდევ სტკიოდეს
და ტყირბის ტკივილისაგან მუცელი გადიდდეს და ტყირბი დაიძრას
მისისა ადგილისაგან და მარჯვენით წამოვიდეს, მისი წამალი ეს
იყოს, აფსინთინი ქუნჯითისა ზეთშიგა მოადულე და მუდმად ტყირბ-
ზედა გარდააკრევდით. და მარცხენა ხელი გაუხსენით იქი, სადაცა
მარჯვენით საღვიძლესა გაუხსნიან, და აფარეზებინეთ, ტკბილის საჭ-
მელისაგან და თაფლისაგან და მძიმისა და მწვავისა შეჭამადისაგან.

[თ უ ამა ტყირბისა პატრონსა სიგრილე მორეოდეს, გოგირდი,
10 ბორა და შაბი, აფითილე ხაზარი, რომე იფნის კაკალსა ჰქვიან და
ჯავაშირი, ყულა ერთპირად დანაყე და ძრმითა ჯავაშირი გაადნევ
და სხვა წამლები დანაყე და ქუნჯითისა ზეთითა გაურივეთ და
ტლედ შექენ და ტყირბზედა შემოსდევ.

ე რ თ ი ტ ყ ი რ ბ ი ს ა ტკივილი სხვა არის, მისი ნიშანი ეს
იყოს, რომე ქვავითა გამაგრდეს, ასე რომე ხელი დასდვა ტყირბზე-
და ქვასავითა იყოს ერთობ, ნამეტნავად სტკიოდეს და ცხლადცა
იყოს და წყურვილიცა სჭირდეს.

მ ი ს ი წ ა მ ა ლ ი: სოსანი იის ძირშიგან მოადულონ და ტყირბ-
ზედა დასდვან. და ნიგუზის ფურცელი და ნივრის ფურცელი ორი-
20 ვე დანაყე და ძმარშიგა მოადულე და ტლედ შექენ და ტყირბზედა
დასდევ. მერმე მოილე: სადაფისა ფურცელი ათი დრამი ხმელი, ბო-
რა, ხმელი პიტნა სამსამი დრამი, უშაყი შვიდი დრამი, ესე უშაყი
ძმარშიგან გაადნევ და ეს წამლები დანაყილი და გაცრილი შიგ გა-
ურივე და შემოსდევ.

თ უ ეს ტყირბი არ დალბეს და მაგრად იყოს, მოილე მუყლი
აზრაცი და უშაყი თვითოსაგან თვითო მიტყალი, ერთსა დღესა ცო-
ტასა ძმარშიგა დაალბე და მერმე ხელითა გაჭყლიტე, და მერმე ხმე-
ლისა სადაფისა ფურცელი ძმარშიგა მოადულეთ, ესე მუყლი და უშა-
ყი იმაშიგა გაურივე და ტყირბზედა შემოსდევით.

30 თ უ ამ წამალმა არ უშველოს და ტყირბი გამაგრდესე, ეს მათ-
ბუხი მუფიდი შეუწყევით ისე როგორაცა მათბუხებშიგა სწერია,
მერმე იმავ მათბუხებშიგა ხმელი ლეღვი, ბაზრუთი რომე ფიჭუის
თესლსა ჰქვიან გამოადულეთ, ამისთვის, რომე იმა ტკივილსა შავი
იარაყანი რთავს, და შავი იარაყანი ჰქვიან.

ე ს ე შ ა ვ ი იარაყანი ამისთვის იქნების, რომე ტყირბი
სევდის სადგური არის, დამწვარი სისხლი ტყირბშიგა შეიყრების,
ამისთვის რომე რაც დამწვარი სისხლი არის და უსარგებლო ღვიძ-
ლი ყველას ტყირბშიგან გაგზავნის და ტყირბი სისუსტისაგან ვერ

მოიდნობს, ის სენად გარდაიქცევის და ტყირბი გადიდდების და
გამაგრდების, ამისთვის, რომე ძალი არა აქუს ის ავი სისხლი მოიდ-
ნოს, მერმე ის ავი სისხლი ტყირბისა ძარღვებშიგან დაიფანტვის,

მერმე ვითაცა ტყირბსა ძალი არა აქუს ისი ყოველსა ასოშიგა დაი-
ფანტვის, მერმე შავად იარაყანად გარდაიქცევის, და კაცისა ფერი
ტყვივისა ¹ ან სპილენძის ფერად გარდაიქცევის. და ესეცა იქნების,
იცოდით, რომე შავსა იარაყანსა და ყვითელსა იარაყანსა შუა ნიშა-
ნი არის.

10 თუ გინდოდეს რომე [შეიტყო] შავი იარაყანია თუ ყვითელი
როგორცა მათბუხი მუფიდი შეასვა დახედენ ნავალსა ტაშტშიგან,
თუ შავი იყოს ნავალი და ტკივილი მარცხენით იყოს, იცოდე, რომე
შავი იარაყანი არის, და თუ ნავალი შავი არ იყოს და ტკივილი
მარჯვენით იყოს და ნავალი ყვითელი იყოს, იცოდი რომე ყვითელი
იარაყანი არის და ღვიძლისაგან იქნების.

თუ ამისი ნიშანი: თავი სტკიოდეს და ენა შავი ებას, იმას ხე-
ლი გაუხსენ, ბასალიკე ძარღვი, მერმე ეს მათბუხი შეუწყევით, აიღე:
ალილა ყვითელი უგურკო ათი მიტყალი, შავი ალილა, გრძელი იქ-
ნების ქვიბულული ალილა თვითოსაგან ათ-ათი დრამი, კამის ძირი
და ნიახურის ძირი ხმელი, ათი დრამი, შასთარა შვიდი დრამი, კა-
პარი, იის ყვავილი, ყანტარიონი, იმას ჰქვიან რომე მზის პირსა

20 გარდაერთხმის წურილი ფურცელი არის და მწვანე, ამათგანი ხუთ-
ხუთი მიტყალი, ბასვაიჯი ოთხი დრამი, ხარბაყი სამი დრამი, ჩამიჩი-
უგურკო ოცი დრამი, ტყემალი ოცი მარცვალი, სინჯიტი ოცდაათი
მარცვალი, ინდოური ხურმა ოცი მარცვალი, ამა წამლებშიგა დასა-
ნაყელი დანაყე და რაც არ დაინაყებოდეს სამს ლიტრას წყალშიგან
მოადუღე მანამდის, სადამდის სამოც მიტყლად მოიყრებოდეს, მაშინ
ორმოცდა ათი დრამი აფთიმონი ერთი მიტყალი ყარიყონი ერთი
მიტყალი თეთრი თურბითი, ერთი დრამი იარაჯფიყრა მერმე ეს ყუე-
ლა წამლები დანაყონ და გაცრან ამა მათბუხშიგან გაურიონ, მერმე
ათად გაყონ და ათსა დღესა შესმიდენ თვითოს ამ წამლებისაგან,

30 თვითოსა ამა მათბუხისაგან გაურევდენ და შესმიდენ და ეშველების
ღთითა.

თუ ამ სატკივრისა პატრონი ერთობ სუსტად იყოს ასრე რო-
მე ამ წამლის აღება არ შეეძლოს, ქასნის წყალი და კამის წყალი
ნედლისა სიქანგუბინითა უსულითა ანუ სიქანგუბინითა ბუზურითა
შეასვით.

თუ ამ სენის პატრონი ერთობ სიმხურვალისაკენ იყოს, კაპრი-
სა ყურსი შეუწყევით. ამა ყურსისა წამლები, აიღე: ქაბრის ძირი და

¹ სწერია „ტყავისა“.

ქერქი და აბი ყულყულ თვითოსაგან ათ-ათი დრამი, ისცილიც ნატა-
რიუნი შვიდი დრამი, გრძელი ზარეევანდი, სადაფისა ფურცელი და
ვაჩი, რომე ეგირსა ჰქვიან, სონიჯი თვითოსაგან სამ სამი დრამი და
უშაყი სამი დრამი, ეს უშაყი ძრმითა დაალბევით და გალესეთ და
ესე დანაყილი წამლები შიგ გაურივეთ და ყურსები შექენით, თვი-
თო ყურსი ორი დრამი და თვითოსა ყურსსა, თვითოსა დღესა გალე-
სავდით და შეასმიდით და ერთხელ სიქანგუბინი უსული ასვით.

თუ ამა სენისა პატრონი სუსტად იყოს და არ შეეძლოს და
არცა ცხელება სჭირდეს, მოიღე ოცი დრამი აქლემისა რძე, და ერთი

10 დრამი შავი ალილა და ორი დრამი აფთიმონი ნახევარ დრამი ინდოური მარლი ესე ყუელა იმა აქლემისა რძესა გაურივეთ და შეასლით, სიქანგუბინშიგა პური ჩაუგდე და აჭამე და კაპარცა აჭამე ძრმითა. და თუ ამა ტკივილშიგა ცხელება დაერთოს, ცხელი, იმას ესე ყურსი შეუწყევით, ყურსი გაზმაზუ როგორც ყურსებშიგა სწერია, ანუ ესე ყურსი შეუწყევით, აიღე: აბი ყალყანტი, გაზმაზუი, იმას ჰქუიან, რომე გუნდაშიგა სხუა გუნდა იქნების, თუითოსაგან ათათი დრამი ქასნის თესლი, ქალალას თესლი, ქალალა საღებავსა ქუიან თუითოსაგან ხუთხუთი დრამი ესე ყუელა დანაყე და ყურსად შექენ კამისა წყლითა, თუითო ყურსი სამი დრამი.

20 თუ ამა სენისა პატრონი ყმაწურული იყოს და ესე წამალი არ მიეცემოდეს და ანუ ორსული დიაცი, ანუ ასეთისა გუნებისა იყოს, რომე წამალი არ ექმეოდეს, ესე ტლე შეუქენით და ტყირპსა დასდევით: ხმელი პიტნა, ბორა სწორ სწორი, უშაყი ექუსი დრამი, უშაყი ძმარშიგა დაადნევ და გალესე და ესე წამლები შიგა გაურივე და ტლედ შექენ და ტლედ ტყირბზედა შემოსდეგ.

იზ კარი საჯისა რომე ყუანასა ქუიან.

ესე სენი მრავლისაგან იქნების უწინა თავიდაღმა წაეკიდების, რომე სურდო სჭირვებოდეს და ნაზლად შექნილიყოს და მისგან თუ
30 ყუანა დაემართებოდეს, მისი ნიშანი ესე არის, რომე დილეულად ყუანა დაუხშიროს, მერმე უკლოს, რა ეს ნიშანი ნახოს, იცოდი რომე სურდოსა და ნაზლისაგან არის.

მისი წამალი ესე არის, რომე პირდაღმა წვებოდეს. და თავსა მაღლად დასდებდეს, და რაცა ნაზლასა და სურდოსა წამალი სწერია ისი უყავით, რომე თავი გამოწმიდოს და გაუმრთელოს. და შემკრავსა წამალსა ნუ მისცემ და ყოველთა დილათა არწყევდეს] რომე რაცა ღამით სტომაქშიგა დაგუბებულა ყუელა გამოწმინდოს. და მერმე ნახლის წამალი შეუწყონ და ძმარსა ისუნებდეს, ტვინსა ძალსა მის-

318

ცემს და ნუ სჭამს სტომაქსა აწყენს, ბევრსა და ცივსა წყალსა ნუ სვამს, მეტადრე ყინულიანსა და თუ თავი გრილად პქონდეს, რაცა სიგრილის თავის ტკივილის წამალი იყოს უყავით.

ს ხ ვ ა ნიშანი ყუანის რომე ს ა ჯ ი ჰქვიან, იცოდით ორისაგან იქნების: ერთი მისგან რომე მღიერი იყოს, ტანზედა გამოვა, მისი ნიშანი ესე იყოს მარჯვენამან მკერდმან დაუწყოს ტკივილი და ცოტათ კიდეც ახველებდეს, ამას რომ შევიტყვეთ, შიგნით მჯდომი გამოსულია ანუ ღვიძლზედა ანუ ფილტუზედა, ანუ სხვასა ასოსა.

მ ი ს ი ნ ი შ ა ნ ი ერთი ეს არის, რომე რა გაიყვანოს, სისხლი

10 გაატანოს და საჭმელიცა აუკრიფოს, მისი წამალი: ხელი გაიხსნას ბასალიკე, და სისხლი ცოტა გამოუშვას, მერე ქერის კორკოტი მოადუღე და აჭამე და რაც გრილი ტლე არის ის ზედა შემოსდეგ, და იისა შარბათი, შირიხიშტი, თარანგუბინი თვითოსაგან ათათი დრამი დაადნევ და გამოწურე და შეასვი ცხელ ცხელი.

თუ ენა შავი იყოს, ანუ ყვითელი და გასივებულიყოს, ქათნისა ნაჭერთა ენა ბაზრაცატუნითა გამოსწმინდოს და გამორეცხე, თუ ენაზედა ნაზლა იყოს, წნორის ხისა დანა შექენ და ენა გამოფხიკე, მერმე თუთუბო და ბროწყელის წვენი, და რა მოიჯობინოს წური-

ლი თევზი მიეც ძრმითა.

20 ერთი ფერი სხვა არის, რომე ღვიძლისა სისუსტისაგან წაეკიდების, მისი ნიშანი ის არის რომე იყვანდეს წყალსავითა, მასუკანის სისხად გარდაიქცეს და მერმე წელთა ნახვეწივითა შეიქნას და ბევრის ყვანისაგან ნაწლევი დაწურილდეს, და რა ხაწლევთა ნახვეწი გამოვიდოდეს ასრე ეგონოს, ვითა ნაწლევის ხორცი არისო. ამა სენისა ბატონი აქიმთანა უნდა იყოს და აქიმი ჰკითხიდეს თუ ეს სენი დღივ და ღამ იკლებს თუ იმატებს. თუ იკლებდეს კარგისა ნიშანი არის, და თუ იმატებდეს სიკუდილის ნიშანი არის.

ამისთანასა პირველად უნდა რომე კაცმან შეიტყოს და მერმე უწამლოს, თუ გინდა რომე საქმე კარგად მოჰხდეს, თუ ქნას წამალი 30 ყუელა ნაწლევთა ქნას.

თუ ნაწლევთათვის ქნან ღვიძლისა ზიანი არის და ასრე უწამლე, რომე რა ნაწლევისა უწამლო ღვიძლიცა შეინახე კარგითა ტლითა და საჭლმითა და მშარბათითა.

თუ ტკივილი ნაწლევიშია იყოს, ღვიძლსა უნდა წამლობა. მისი წამლები, მისი შარბათები: ბროწეულისა შარაბი, ბიისა შარაბი, რვასისა შარბათი. გრილი ტლევებიცა შეუწყევით და გულსა და ღვიძლზედა შემოსდეც,

319

სხვა მუცლის ყვანისა რომე საჯი ჰქვიან, ნიშანი მისი, რომე საღვიძლე ხელი გაუხსნას და სისხლი რომე გამოვიდეს მისგან ღვიძლისა ზიანი დაემართოს. ეს ორისაგან იქნების: ერთი მისგან რომე კაცი მუდამ ხელის გახსნას ნაჩვევი იქნების და მერმე ხელი აღარ გაიხსნას. ცხვირსა წასქდების სისხლი მისთვის რომე, მღურვივ სისხლი ღვიძლშიგან დაიბადების, ან ზემო შეიქნების და ცხვირსა წასქდების სისხლი, და ანუ ქვემო ჩავა და ერთი ყუანა მისგან იქნების. მისი სიმწარე ნაწლევისა დააწყლულებს და მუცლისა ყვანა მისგან იქნების, და ეს საჯი მისგან იქნების და წელისა ნახვეწიცა იქნების.

10 აწე ეს იცოდით მუცელშიგა სამი რიგი ნაწლევი არის, ერთი შუა, ერთი ზემოთ და ერთი ქვემოთ. თუ ტკივილი ქვემოსა ნაწლევიშიგან იყოს, მისი ნიშანი ეს არის, მისი წელთა ნახვეწი მსხვილი იყოს.

თუ შუაშიგა იყოს, თევზის წებოვითა იყოს, თუ ზემო იყოს, წურილი ნახვეწი იყოს და პატარა მუცელი და ჭიპი სტკიოდეს.

ჯალიოზ ამას იტყვის: როგორაცა ყვანა დაუწყოს, და მოუვიდეს ყუანა თუ ადრე დაურჯელად იყვანდეს, ესე სენი ქვემო ნაწლევიშიგა არის. თუ ცოტად აზიდვებდეს და ჯდომისაგან რჯიდეს, 20 შუა ნაწლევიშიგა იყოს, და თუ მწოვედ აზიდვებდეს და მწოვედ რჯიდეს, ზემო ნაწლევიშიგა იყოს. რა ეს ნიშანი ნახო, ნუ აჩქარდები, კარგად გაშინჯე დაუწყნარდი და ნურცა მწვავესა წამალსა მისცემ, აშლის და ვედარას შეიტყობ, ასეთი მიეც, რომე შეწყობილი იყოს, ქერის მარცვალი მოხალონ და მისგან ქერის კორკოტი შეუქნან. აილე: სამყი არაბი, ქათირა, ვარდი ეს სწორ სწორი ქენ, მოხალე და დანაყე და იმა ქერის კორკოტითა აჭამეთ, ანუ ბიის შარბათითა.

თუ ამითა არ ეშველოს, ამა ქერის მაგიერი ფეტვი ქენი,

მოხალული, მისგან კორკოტი შექენ და აჭამე. სინჯიტი და ია შიგ მოადულე და მერმე ჯულაბი გაურივე და აჭამე. და ფუშრუკი შექნან 30 მოხალულის კიტრის თესლისაგან. და ბრინჯის წვენი და ხაშხაში შიგ გაურიონ და აჭამოს. და მუდმად ბაზრაცატუნსა. მოხალულსა ვამლისა შარბათითა მისცემდენ.

თ უ ეს ქვემოსა ნაწლევშიგა იყოს, ოყნა ქნან ამა წამლებითა: დაიჭირე: ბრინჯი ერთი ლიტრა სამსა ლიტრასა წყალშიგა მოხარშე ასრე, რომე ნახევრად მოიყაროს, და გამოწურე მერმე დაიჭირე: სამყი არაბი და ფარისიაოშანი, გილი მახთუმი, გილი ერმანი, თეთრი საკმელი, ხარხუმი სწორ სწორი მოხალული, ბაზრაცატუნი, ეს ყუელა შარბათშიგან გაურივე და ყოველთა დღეთა ხუთისა მიტყლისა

320

ოდენი ამ წამლებისაგან შვიდი მიტყალი წვენი გაურივე და ჩვიდმეტი მიტყალი ბრინჯისა წვენი შიგ გაურივე, და ოყნა ჩაასხი. თუ ტკივილი ერთობ იყოს, ცოტა ვარდის ზეთი შიგ გაურივე და მიეც.

თ უ ესე შუასა და ანუ ზემოსა ნაწლევშიგან იყოს, ეს წამალი ქენ, თუ წმინდასა სისხლსა იყვანდეს აიღე: სამოცი დრამი ბაზრაცატუნისა ფურცელისა წვენი, ორი დრამი გილი ერმანი, ორი დრამი გაცრილი ფქვილი, ორი დრამი ფერი, ესეცა ბრინჯის წვენითა მოადულე და ოყნა უყავ.

თ უ ამან არა არგოს რა, ეს ოყნა უყავ, აიღე ბრინჯი მოადულე 10 ღე წყლითა, გამოსწურე, კვერცხის გული და ვარდის ზეთი, გაცრილი ფქვილი, მისგან ცოტა აიღე და ბრინჯისა წვენშიგა გაურივე, ორი დრამი გილერმანი ორი დრამი აყაყია, ორი აზუზი დანაყე და ოყნა უყავ, ეს ოყნა ყოვლსა ფერსა საჯასა უშველის. ესე საჯი ყუანასა ქვიან.

ს ა ჯ ი რომე ფერად მოლურჯო იყოს და შავად დასცემდეს, ანუ მწვანედ, მას გაგრძელება არ უნდა, ფიცხლავ უნდა სწამლოს, ის რომე წითელი იყოს და ყვითელი, მას ადვილად ეშველების, მისი წამალი, აიღე: ზირნიხი, კირი, გუნდა, სუქი თეთრი მოხალული...² მისგან ხუთხუთი დრამი, დანაყე და ცასა ქვეშე დადგი და მზესა 20 გაახმე და მერმე კიდევ დანაყე, ბრინჯისა წვენშიგა გაურივე და ოყნა უყავ ორჯელ, სამჯერ.

თ უ მშრალსავე სისხლსა იყვანდეს ხშირად, აიღე: აფიონი, ქათირა, ზარნიხი, საკმელი, ქარვა თვითოსაგან სწორ სწორი, დანაყე და სამი წონა შაქარი შიგ გაურივე და მოადულე, რომე შესქელდეს, ეს მისი შარბათი ხუთ ხუთი დრამი მიეც რომე შესვას.

ყ უ ა ნ ა რომე ავის საჭმლისაგან დაემართების, ავი საჭმელი ეს არის, ანუ მწვავე საჭმელი ეჭამოს, ანუ ძვალი ეჭამოს, ანუ დამწვარი და ხმელი პური ეჭამოს.

თ უ ამა საჭმლისაგან წაეკიდოს მისი ნიშანი ეს იყოს რომე, 30 თუ მწვავისა საჭმლისაგან წაეკიდოს, პირველად ყუანა დაუწყოს თხლად, შას უკანით წელთა ნახვეწმან დაუწყოს ყვანა, მას უკანით სისხლად გადაიქცეს, ეს მსუბუქი იყოს.

თ უ დამწურისა პურისაგან წაეკიდოს მისი ნიშანი ეს არის პირველად ქაფიანსა იყვანდეს და მერმე მწვანედ გარდაექცეს, მერმე ნაცრის ფერად, ავი არის, და მისი წამალი ძნელი იყოს.

¹ აქ ჩართულია სიტყვა „უნდა“.

² აქ სამი სიტყვისთვის ცალიერი ადგილია და ამიაზე სწერია „ღრიტას, სხოტის, ამოცნობა უნდა, აკლია“.

თ უ მ ვ ა ლ ი ს ჭამისაგან დამართებოდეს, სრულად სისხლს იყვანდეს ¹.

ე რ თ ი ფ ე რ ი ყვანა ამისგან იქნების რომე კაცს პირველად კარგი საჭმელი ეჭამოს და დაჩვეულ იყოს და მერმე ველარ ემოვნოს, ანუ დიდი ღვინო ესვას, მწოვე საჭმელი ეჭამოს, უჩვევარსა კაცსა თუ მაზედა ყვანა დაემართოს, მისი ნიშანი ესე იყოს: პირველად ყვანა დაეწყოს. მოყუითალოდ, მერმე წელთა ნახვეწითა დაუწყოს ყუანა, ოსი ნახვეწი თეთრი იყოს, ანუ სისხლად გარდაექცეს, მერმე მასუკანით ყუანა კიდევ დაუწყოს ნაცრის ფერად, ესე ავისა ნიშანი არის ნუ-
10 ღარა ირჯები, მას უკანით ველარა უშველი.

თ უ ყ ვ ა ნ ა მწვავეს საჭმლისაგან იყოს მისი წამალი, აიღე: კრკო და მისი ქერქი, გულნარი, გუნდა, თვითოსაგან სწორ სწორი, თეთრი საკმელი გილერმანი, ხახნუბი, თვითოსაგან სწორ სწორად ოროლი დრამი, ესე ყუელა დანაყე, გაცარ და ბიის შარბათითა შე-
ზილე და ყურსები შექენ და ყოველთა დღეთა სამსამსა მიტყალსა აჭმევდი.

თ უ ამან არ უშველოს ეს წამალი ოყნად უყოს, აიღე: გილი მახთუმი, სამყი არაბი, თვითოსაგან სწორ სწორი, ბრინჯის წვენითა ოყნა უყონ.

20 თ უ ბ ა ლ ღ მ ი ს ა გ ა ნ იყოს, მისი ნიშანი ეს იყოს, რომე იყ-
ვანდეს ფერად ფერადსა და ზედა ქაფივითა რამე იდგეს, ხორცის ნახარში როზე ქაფს მოიგდებს, იმას გვანდეს, ეს ბალღმისა და სიგ-
რილისაგან არის. მისი წამალი, დაიჭირე: გუნდა, სონიჯი ოროლი მიტყალი მოადულე და ოყნად ჩაასხი.

ანუ თაფლითა აჭამონ აფლონია არუმი და აფლონი ფარსი, ერთობ კარგად მოუხდების. საჭმელად ღვინოშიგა პური ჩაუყარე და ისე აჭამეთ.

ს ხ ვ ა ფ ე რ ი ს ა ჯ ი, რომე სევდისაგან იყოს და ზაფრა გარეოდეს. მისი ნიშანი რომე ცხელება დაემართოს და მუდმად აც-
30 ხელებდეს და დამჭლდეს ერთობ ყვანაშიგა და სისხლი და წელთ ნახ-
ვეწის მაგიერი ჰყვებოდეს ეს ერთობ საშიშარი არის, მისი წამლობა გაგრძელდების. ისევე წამალი უყავით, რომე ამას წინათ სწერია, წამალიცა და ოყნაცა.

თ უ ტანსა და მაჯასა ზედა ნამეტნავად ცხლად იყოს და გულიცა უსუსტდებოდეს, მას სანდლის შარბათი შეუწყვიეთ.

¹ აქ ტექსტს ჩართული აქვს „დედაშიგან არ ეწერა, მისთვის. ვერა დაგ-სწერეთ“.

ს ხ ვ ა, ცოტა სანდალი და ქაფური სწორი, დანაყეთ და ვარდისა წყალშიგა გაურივით, შეზილეთ და გულზედა ტლედ შემოსდევ.

და საჭმელი თხის რძითა ბრინჯისა ფუმრუკი შეუწყევით და თხა შინ შეინახეთ და სამოვრის მაგიერად ქანისა და ტირიფისა და ვაზისა ფურცელსა აჭმევდენ იმა თხასა.

10 ი ც ო დ ე თ აქიმსა ეს მართებს რომე შეიტყოს რასაცა ს ა ჯ ი - ს ა ცხელება იყოს მას რძესა ნუ მისცემენ. ს ა ჯ ი ეს არის, რომე იყუანდეს სისხლიანად, თუ ნავალშიგა სისხლი იყოს, იცოდი რომე დაწყლულელებულია ნაწლევი, ოთხ დღემდი ნურას მისცემ წამალსა და 10 რომელსაც ცხელება არა სჭირდეს მას სამ დღემდი ნურას მისცემ წამალსა ამისთვის, რომე აქიმი უკეთ შეიტყობს თუ რისგან არის სენი მისი.

ერ თ ი ყუანა სხვა არის სახელად აყიყი ჰქვიან ¹. ეს მისგან იქნების, რომე ნაღველშიგა ნამეტნავად ზაფრა შეყრილიყოს. როგორცა ტყირბი სევდის სახლი არის და იქ შეიყრების, აგრე ნაღველი ზაფრისა სახლი არის და იქი შეიყრების. ესე ორისა ფერისაგან დაემართების, ერთი მისგან, რომე ნაღველშიგან ზაფრა გაერთოს და ერთობ დამეტდეს ნაღველზედა, იქ აღარა დაეტევის, მერმე იქიდაღმა ნაწლევიშიგა მოვა და ნაწლევისა დააწყლულეებს. ერთ- 20 ფერი ყუანა ამისგან იქნების, მისი ნიშანი ეს იყოს როგორცა რას სჭამდეს. აგეთსა უდნობსავე გაიყვანდეს და ნავალისა ფერი მწვანე იყოს და ნავალი თხელი იყოს და ორთქლი აზდიოდეს, და უკანის სისხლად გარდიქცეს.

როგორც ეს ნიშანი ნახო, იცოდი რომე, ესე სენი ზაფრისაგან არის. ამისი წამალი მუყლიასა იყოს რომე შეჰკრავს და სენისაგან გამოიყვანს.

ა წ ე ყუანა რომე ავის საჭმლისაგან, და დიდის საჭამადისა და დიდის ღვინისაგან რომე ზემო სწერია, პირველად ნიშანი ისი და ეს ბევრისა და მუჯვისა, მწვავისა საჭამადისაგან დაემართების. 30 ერ თ ი ფერი ყვანა მისგან დაემართების რომე კაცი პირველად კარგსა საჭმელსა დაჩვეულ იყოს და მერმე ის ველარ ეშოვნოს და მძიმესა და მწოვესა საჭამადსა სჭამდეს.

ამისი ნიშანი ეს არის, პირველად რომე ყუანა დაუწყოს მოყეითანოსა და მერმე წელთა ნახვეწივითა დაუწყოს ყვანა, ის ნახვეწი თეთრი იყოს და მერმე მას უკანით ყვანა კიდევ დაოწყოს და

¹ ამის გასწვრივ აშიაზე სწერია დედნის ხელით: „ამა აყიყის წამალი მეორეს გვერდზე სწერია“.

ნაცრის ფერად გარდაიქცეს, მაზედა ნულარ ირჯები, ველარას წამალს უზამ.

წ ა მ ა ლ ი ა ყ ი ყ ი ს ა ¹; აიღე: უმარილი, ზარნიხი, ვერცხლის წყალი და მისი ოყნა უყავ და ბრინჯის წვენითა ჩაასხი, მისი საჭმელი ზირაბაჯი შეუწყოს ხმელითა პურითა, თუ არ შეეძლოს, კაკბისა და გნოლისა, ხოხბის ხორცი აჭამეთ.

ს ხ ვ ა, რომე მოწამლვითა ესე სენი წაეკიდოს, მისი ნიშანი ეს იყოს რომე ზშირად იყვანდეს, სისხლი არ იყოს ყვითელი და მოწითალოდ სცემდეს სტომაქმან და მუცელმან დაუწყოს ტკივილი და 10 სრულად ტანი და სტომაქი აშლით იყოს და საჭმელი არა დია მინდომოს და მუდმად გულმან დაუწყოს შლა და ტანზედა ცხლად

იყოს და ერთობ იწყურვებდეს და მუნ დენა არა ჰქონდეს, მისი წამალი სამჯერ, ოთხჯერ არწყევინე და ღარღარა აქნევინე და გასახსნელი წამალი ააღებინე.

ა ი დ ე: ხიარშამბრის გული, შირიხიშტი და თარანგუბინი შვიდ შვიდი დრამი, ვარდის წყალი, ესე ცხელი შესვას, და თუ რამე დარჩომილიყოს გამოიღოს. მასუკიანით კიდე რამე ჭამოს და მერმე მოისვენოს. როგორაცა გაიღვიძნეს, და თუ დაშუნდეს კარგია, თვარა კიდევ არწყევინე.

20 ე რ თ ი სხვა არის რომე ნამეტნავად სევდა ტყირპშიგა მომატებულ იყოს და ტყირბი სევდისა სისუსტისაგან ვეღარა მოერიოს და გარეკოს და სევდისა სიმწვავისაგან ნაწლევი დაწყულდეს და დაუწყოს შავსა და სისხლიანსა ყუანა, მისი ნიშანი რომე საჭმელი უნდოდეს და რა საჭმელსა სჭამდეს გუნებაზედა დამსუბუქდეს და ოჭმელობასა ვეღარ მოიჭირვებდეს. მისი წ ა მ ა ლ ი, აიღე: რეანის. თესლი, [ბარამბუსა თესლი, თუხმაქანისა თესლი და ბაზრაცატუნი, ყუელა ესე სწორსწორი, სამყი არაბი ნახევარ წონა, ყუელა დანაყე უბაზრაცატუნოთ და ბაზრაცატუნი მოხალე და შიგ გაურივე და ბიისა შარბათითა შეასვი.

30 ს ხ უ ა ი რ ო მ ე რ ა ბ უ ქ უ ი ა ნ, და რაბუ ამასა ქუიან რომე, შიგნით მჯდომი გამოვა. მისი ნიშანი მუდამად მუცელმა დაუწყოს ტკივილი, რომე ცხელეზაცა მოუვიდეს, მასუკიანის დაუწყოს ყუანა ბალდდმიან სისხლიანსა. მისი წ ა მ ა ლ ი, დაიჭირე: ხარნუში, აყაყია, მურიმაქი, ხუნისიაომანი, გილიერმანი, თეთრი საკმელი, ტაბაშირი, თუითოსაგან დრამ ნახევარი, დანაყე და ბიისა შარაბი[თ] ან ვაშლის შარაბი[თა] აჭამე.

¹ ამის გასწვრივ აშიაზე სწერია დედნის ხელით: „წამალი აყიყისა“.

თ უ ამან არა უშუელოს მაჯუნი შარიარი შეუწყონ, ჭიპმაცა დაუწყოს ტკივილი და შეკრვა არ უნდა, და არ შეკრას. მას ეს ოყნა უყავ, აიღე: ზირა, ქარვია, რაზიანა და ქუნჯითისა ზეთითა მოადუღე, მერმე გაუშუი დაწმდეს, მას უკანით კიდევ ადუღე და ცოტა აფიონი და ბედანჯირისა ზეთი შიგა გაურივე და ოყნა უყავ ბრინჯისა წუენითა და ცოტა ძროხისა რძეცა გაურივე.

ს ხ უ ა ი, რომე შიგნით რამე გამოვიდეს, მისი ნიშანი ესე არის რომე გააცხელოს, შეკრას და ფსელიცა დაუჭიროს და კაცი შეაწუხოს. რა ესე ნიშანი ნახო ხელი გაუხსენ, და ასეთი რამე 10 შეუწყევ, რომე ფსელი გაუხსნას. დაიჭირე: ათი დრამი ხიარშამბრისა გული, ხუთი დრამი შირიხიშტი, [ხუთი] თარანგუბინი, გალესე და თბილითა წყლითა მიეც, რომე მუცელიცა გახსნას და ფსელიცა.

თ უ ამითა არა ეშუელოს, ქასნისა წუენი ნუშისა ზეთშიგა გაურივე და შეასუი სამსა დღესა, თუ ესე სენი მისგან დაემართებოდეს, რომე შიგნით მჯდომი გამოსულიყოს და საჭმელისა და სასმელისა გზა ყუელა შეეტაცოს, მისი წამალი, დაიჭირე: შინაური ქათამი და ასპანახითა მოხარშე და ჭაკუნტლისა ფურცელი ერთგან შემწუარი აჭამეთ და მოდუღებულსა წყალშიგან ჩაჯდეს ბევრჯელ.

თ უ ამითა არ უშუელოს ესე ოყნა შეუწყევით, აიღე სეფის-

20 ტონი ოცდა[ა]თი მარცვალი, ოცდაათი მარცვალი ლელუი, სონიჯი და ბაბუნაჯი, თუითოსაგან ხუთი დრამი და წყლითა მოადუღე ასრე რომე ნახევარზედა მოიყაროს მერმე დაწმინდე და ოცდაათი დრამი პიტნა ხმელი და სადაფისა ფურცელი, ოცდაათი დრამი ქუნჯითის ზეთითა, ხიარშამბრისა გული, ორი დრამი ბორა, ეს ყუელა დანაყე და ბრინჯისა წუენითა ოყნა ჩაასხი.

ე რ თ ი ფ ე რ ი ყუანა სხუა არის, რომე ნაწლევი დაწყლულდეს და ყუანა დაუწყოს, თუ ესე ყუანა დაერთოს, ისი სიცხისაგან იყოს, მისი ნიშანი ესე იყოს მუდამად იყუანდეს და აცხელებდეს, მუტბიყი ცხელება იყოს. მუტბიყი ამას ქუიან, რომე ხორცთა ად-
30 ნობდეს და თმასა აყრევიანდეს, ესეცა დააწყლულეებს ნაწლევთა.

ამისი ნიშანი ესე იყოს რომე იყვანდეს და მისი ყვანა ამას გვანდეს, რომე ნახარშისა ქაფსა მოხდიან ისი არისო, ამა სენშიგა შიზი არ არის.

ე რ თ ი ფ ე რ ი ყუანა სხვა იყოს რომე საპონისა ხუთქსა გვანდეს, თუ ამა სენშიგა ცხელებაცა იყოს და სრულიად მუცელი სტკიოდეს და სრულიად ასოსა შიგან მხურვლად იყოს, და სიმხურვალე მორეოდეს და სიმხურვალისაგან სუსტად იყოს და ნავალი მწვანე

კალიბი იყოს და წელთა ნახვეწი სხულისხული იყოს, ამისი ნიშანი იყოს, რომე ნამეტნავისა სიცხისაგან სჭირს.

ა წ ე ამ სენშიგა აქიმს ასრე მართებს, რომე სამ დღემდი, ოთხ დღემდი წამალსა ნურას აჭმევს ამისთუის რომე, წამლისა უჭმელობა მართალზედა დააყენებს, მერმე მასზედა დახედენ გამოჩნდების, თუ სიმხურვალისაგან არის და თუ სიგრილისაგან.

თ უ ანასდად პირველსა დღესა აქიმი მიხუდეს და წამალი შე-
ასუას ველარას შეიგებს თუ რასგან არის და მრავალი ზიანი ეცემის
მერმე თუ სიგრილისაგან იყოს ოთხსა დღესა უკანით პური ღუინო-
10 შიგა ჩაულბეთ და იგი აჭამეთ, ნუცა წყალსა ასუამ და ნუცა არას
ფერსა გრილსა ნურას აჭმევთ, თუ ესე პური და ღუინო დაშუნდეა
კარგია. და თუ არ დაშუნდეს ნულარ აჭმევთ. და რაცა მწვანე სა-
ჭმელი იყოს ყოვლისაგან აფარეზებინეთ, და თუ აჭმევთ ყოლინჯათ
გარდაექცევის. წველიანსა ნურას აჭმევთ რას, ნურცა ნიორსა ესე
იცოდე, თუ მაწონსა და ნიორსა აჭმევ სხვა სხუვასა სატკივარსაცა
გამოაჩენს და ხან ჟამიერად ძრმიანსაცა აჭმევდი და სცადე როგორ
დაშუნდეს თუ ძრმიანი დაშუნდეს აჭმევდი თუ არ დაშუნდეს ნუ
აჭმევ.

წ ა მ ა ლ ი ყ ვ ა ნ ი ს ა, რომე საჭმელსა სჭამდეს და ისევ უდ-
20 ნობსა გაილებდეს და ნაწლევიცა ეწვებოდეს და ნავალი მოყვითალო
იყოს და ანუ მომწვანო და სწურდებოდეს და ჭიპი ბოქვენამდის
ყუელა სტკიოდეს და შიგნით კიდეც ეწვებოდეს. მისი წამლობა
ყურსი ტაბაშირი შეუწყევით. წამლები, აილე: ტაბაშირი წითელი
ვარდი, სამყი არაბი, ზირიშვი, ეს სამივე სწორ სწორი, ქენ, დანაყე
და ისრიმის, შარბათითა, ანუ ბროწეულის შარბათითა, ანუ ბიის
შარბათითა შეასვი და მისი საჭმელი ნარდინი და ისრიმისა წვენი
საჭამადათ შეაქნევიანე და იგი აჭამე, ნარდინი, ხმელი ბროწეული
არის, თხის ქონითა ანუ ზროხისა თირკმელთა ქონითა აჭამე.

თუ ამ საჭმელს ვერა სჭამდეს და სუსტად იყოს, ყურდღლის 30 ხორცი აჭამე, ანუ კაკაბი, ანუ გლონი, ანუ ხოხობი, რომელიც იშობოდეს, იგი აჭამეთ, და ახალი დოცა შეასვით და ოსპისა შეჭამადი შეუწყევით და მჟავე გაწურვილი მაწონი შიგ გაურივე და იგი აჭამე. თუ მჟავე მოუნდეს, ხმელი ბროწეული აჭამე.

თუ ესე ნავალი ცოტა იყოს და ტკივილი ერთობ მწვავე იყოს და ჭიპსა გარეშემო ერთობ მწვავედ სტკიოდეს ამ ყვანასა ზ ა ი რ ჰქვიან და ესეცა ნაწლავისა წყლულისაგან დაემართების.

მ ი ს ი წ ა მ ა ლ ი: ასფიომში მოხალული, თოხმაქანი მოხალული, სამცი არაბი, სამივე სწორ სწორი დანაყე და ვარდის შარ-

326

ბათებშიგან დაალბეთ და აჭამეთ და საჭმელი ცოტა აჭამეთ და რაცა ოდენ აჭამოთ ბრინჯისა საჭამადი ნიშასტაგითა აჭამე და თხის ქონი უმარილო შიგა გაურივე. თუ ამითა არ ეშველოს, მუყლიასა შეუწყევით და ესე პატრუკი შექენით და ქუეშედადმან ააღებინეთ, მისი წამალი თეთრი საკმელი და ხუნისიაოშანი, სამცი არაბი, აფიონი, სწორ სწორი დანაყეთ და კუერცხის გულითა შეზილეთ და პატრუკად შექენით, გრძელ გრძელი ხურმისა გურკისა სისხო, მერმე ჩრდილსა გაახმეთ და ააღებინეთ, ესე პატრუკი უშუელის ზ ა ი რ ს ა სატკივარსა.

- 10 თუ გაურჯელად იყუანდეს და არა სტკიოდეს რა არცა ეწოდეს, მისი წამალი ესე იყოს, ქუნდუსა გუარიში შეუწყევით, წამლები მისი: თეთრი საკმელი, პილპილა, ნანხუა, სუმბული, მასტაქი, ანისონი, ხათმი, უდი, გულნარა, ესე ყულა სწორის სწორი, დანაყე და გაცარ და თაფლითა გუარიშნად შექენ, ყოველთა დღეთა სამსამსა დრამსა აჭმევდი, საჭმელად ჩიტი და შინაური ქათამი აჭამე ზოგჯერ მოხარშული და ზოგჯერ შემწუარი, თუ ამა სენშიგა კიდევცა სწყურდებოდეს და კიდევცა აცხელებდეს, ბროწეულისა სუფუფი შეუქენით და შეუწყევით და ყურსი გულნარი შეუწყევით, და კუერცხსა ძძრითა მოხარშულსა აჭმევდით და წურილსა თევზსა ძძრითა 20 მოხარშულსა აჭმევდით გულნარა, ბროწეულისა ყუავილსა ჰქვიან.

ამა ზემოთ წელთ ნახვეწი დავსწურეთ, რომე ხშირად წელთ ნახვეწსა იყვანდეს, ასე რომე ხშირადცა დაჯდებოდეს და ადგებოდეს და ასრე ეგონოს ვითა გამოიყვანსო და არა გაიყვანდეს და თუცა გაიყვანდეს ცოტასა და ბალღმიანსა, თხრამლიცა ერიოს შიგა. ამა სენსა ყულასა შაფმან უშველოს, შაფი პატრუკსა ქუიან რომე ზემო სწერია.

- თუ ამა სენშიგა ესე წაკვიდოს რომე მოუნდებოდეს და ვერა დაჯდებოდეს მისი წამალი ესე იყოს, ხიარშამბრისა გული ოცი დრამი, შირიხიშტი ¹. ესე ყულა ვარდისა წყალშიგა დალბე და ხელი- 30 თა გატყლიჟე და გამოწურე და დილეულად უზმოსა შეასუი, რომე ოთხიოდენ ყუითელი გაიყუანოს და სენისაგან გამოიყუანოს, ხორცსა ნუ აჭმევ ნუცა ღუინოსა ასუამ, ღუინო და ხორცი ამა წყლულსა გაახმობს, საჭამადი ბრინჯისა შეუწყე, ანუ ოსპისა, ასრე რომე სამჯერ ოსპი მოადულე წყლითა, სამივე გარდაასხე, მეოთხედ თუთუბითა შექნას და თხის ქონიცა გაურიონ და იმას აჭმევდენ.

თ უ ნამეტნავად იყვანდეს ესე ტლე შეუწყევით და მუცელზედა გარდაკარ, შემკურელი არის, აიღე: სუქი; აყაყია, გაზმაზუ, გულნარა, სანდალი ხმელი, ბროწეული, წითელი ვარდი და ბროწეულისა ქერქი მჟავისა, ესე ყუელა დანაყე ხმელი, და წნორისა ფურცელი, ვაშლისა ფურცელი, ბიისა ფურცელი ყუელა გაახმე დანაყე და იმაშიგა გაურივეთ და ძნელითა ღუინითა ტლედ შექენ და მუცელზედა გარდაკარ და ახალი ბია აჰამეთ შემწვარი და უმწვარიცა უზმოსა, და საჭმელსა უკანის ხილსა წურას აჰმმევთ და ბიისა შარაბი სამფერსა წელთა ნახვეწსა უშველის და ყუანასა ყუელასა არგებს.

10 თ უ მუცელი სტომაქისა სისუსტისაგან გახსნით იყოს, ნიშანი ეს იყოს, რომე ნავალი წყალივითა იყოს უბალდმოდ და თეთრი იყოს დოსავითა, რა ესე სჭირდეს ¹ აფსინთინითა ღუინო შეასუი უზმასა კარგია და მარგე. საჭმელი თუთუბითა მიეცი და აფსინთინითა მოდუღებულთა წყალშიგან ჩაჯდებოდეს ესეც კარგი არს, თუ ამან არა ოშუელოს ხმელი ვარდი დანაყე ხმელსავე ახალსა სამოსელშიგა გამოახვივე და კარგსა ღუინოშიგან ჩადევ სამსა დღესა მერმე დაწურე და ფურცელი გაგდე და ღუინო შეასუი უზმოსა, მარგე არის.

თ უ ვერცა ამან უშუელოს ესე ქენ, აიღე: ბორა ² და ადუღე წყლითა ვირემ სამისაგან ერთი დარჩეს, მერმე თხისა ყველი გაურივე და საღამოდ მიეც და ეშუელების.

ს ხ უ ა ი, წამალი მუცლისა, აიღე: კუერცხისა ყუითელი და ჩააგდე ერთსა ტაფაშიგა და ზედა ძმარი დაასხი და ადუღე ვირემ ძმარი დაილიოს მერმე შეაჰამე, მარგე არის. ამავე სენისათვის აიღე: თევზისა წებო დაალბე და გაადნევ და შეასვი მუცელსა შეჰკრავს და უშველის და მარგე არის ღთითა.

ს ხ ვ ა წამალი მუცლისა ტკივილისა თუ ზიდვება წაეკიდოს და წელთა ნახვეწსა ჯდებოდეს ზედაზედა და ვერასა სჰამდეს, პირველად შირბახტის ზეთი მიეც სამი პირი, საღამომდი უზმა შეინახე, თუ იმან არ უშველოს მეორესა დღესა ხუთი ალილა მრთელი წყლით
30 მოადუღეთ და შეასვით და ზიდვებასა უშველის. თუ ისი არ იყოს ხუთი გუნდა დანაყე და თბილითა წყლითა შეასვი უზმოსა და უშველის. თუ არცა ამან უშველოს საჭმელი ბრინჯი მიეც წყლითა ადუღე თაფლი გაურივე და აჰამე, ანუ თუთუბითა ადუღებული შაჰამადი ანუ შემწვარი ჩიტი, ანუ კაკაბი, ანუ იხვი და ზოგჯერ შემწვარი ქათამი, ამა საჭმელმან დაამაგროს.

¹ ეს სამი სტრიქონი ხუცურ დედანში სრულიად დაზიანებულია. აღდგენილია ვარიანტის მიხედვით

² ვარიანტში „ბია“ სწერია.

თ უ სიმხურვალე სჭირდეს, და თუ სიმხურვალე არა სჭირდეს წყალგარეული ღვინო შეასვი, ანუ ბროწეულისა შარაბი. თუ ის არ იყოს წყაროსა წყალი ადუღე და წვიმის წყალიცა კარგად შეჰკრავს სხვა წყალი არ ვარგა და ხილისაგან ეს აჰამეთ, ბროწეული, სხალი

და ზია, ზალი, სხვა ხილი ყუელა ზიანია.

პ ა ტ რ უ კ ი რომე უშველის ზიდვებასა, აიღე: მური და ზაფრანი და აფიონი, თეთრი საკმელი სწორი დანაყე და გაცერ და კვერცხისა ყვითლითა გაურივე და პატრუკი შექენ და რა მოგინდეს შეუდეგ.

10 ს ხ ვ ა პატრუკი იმავე სენისა გამოცდილი, აიღე: უმარილი და ქათირისა ძირი, თეთრი საკმელი და სამყი არაბი, ნიშასტაგი და აფიონი დამძათა სისხლი, თვითოსაგან ერთი მიტყალი, დანაყე და წყლითა გაურივე და მკედისა პატრუკი შექენ ხურმის გურკისა ოდენი და შეუდეგ. პატრუკსა წინათ საჯდომსა შიგა ცოტა თაფლი შეუდეგ. თუ გინდოდეს ეს პატრუკები დანაყე და გაურივე დედაკაცისა რძითა და ვარდის ზეთითა და ოყნა შექენ და შეუდეგ.

ს ხ ვ ა პატრუკი რომე უშველის ერთობ ზიდვებასა და ტკივილსა მუცლისასა, აიღე მური ერთი დრამი, აფიონი ორი დანგი, საკმლისა ფქვილი და აყაყა ნახევარ ნახევარი დრამი, ზაფრანი ერთი დანგი ყუელა დანაყე წურილად და წყლით გაურივე და შეზილე რომე ჩვილივითა შეიქნას დაჭერ ბაკილას ოდენი და მკედისა პატრუკები შექენ და შეკაზმე ზედა დაახვივე და ერთი წვერი შორს დაიჭირე რომე გახმეს და რა მოგინდეს შემწენ ბერძულითა ზეთითა შეუდეგ და უშველის.

იწ კარი კოლინჯისა. რა კაცსა კოლინჯი დაემართების, ნიშანი ეს არის რომე მუცელშიგან შეკრას და წელი ასტკივდენ და ბეჭთა შუა გასწვევდეს და პირი უშრებოდეს და უმწარდებოდეს და საჭმელზედა უნდომათ იყოს, და იქნების რომე გულიცა ერეოდეს, რა ეს ნიშანი ნახო იცოდი რომე ესე სენი რა დაემართოს სამ ფერი

30 არის ესე კოლინჯი. ერთი ბალდმისაგან და ქარისაგან, მეორე ზაფრისაგან, მესამე ილაუზ ჰქვიან, ის მისგან იქნების რომე წელშიგან ანუ საბამი გამოვიდეს, ანუ წურილსა ნაწლევშიგან ჭია დაეჯაროს, ესე ერთობ ავი სენი არის და ძნელი. ერთი სხვა არის რომე წელშიგა ნავალი გახმების და მისგანცა დაიბადების კოლინჯი, ეს უფრო უზიანო არის.

თ უ ზაფრისაგან იყოს მისი ნიშანი ეს არის, რომე ერთობილმან მუცელმან ტკივილი დაუწყოს და ტანზედა ერთობ ცხლად იყოს და პირი უშრებოდეს და უმწარდებოდეს და სწყურდებოდეს და შე-

329

კრვით იყოს და ხანდახან ჭკუისაგან გამოვიდოდეს, რა ეს ნიშანი ნახო, იცოდი რომე კოლინჯი ზაფრისაგან არის.

წ ა მ ა ლ ი მისი, აიღე: კამის თესლი ხუთი დრამი, ხუთი დრამი ანისონი, ორითა ლიტრითა წყლითა მოადუდე, მუნამდი რომე ორმოცდა[ა]თი დრამი დარჩეს, მერმე ოცი დრამი ხიარშამბარისა გული გაურივე, ათი დრამი შირიხიშტი, ოცი დრამი იისა შარბათი, ერთი დრამი საყმუნია შიგ გაურივე და შეასვი. თუ ეს დედაკაცი იყოს ორსული და ან ვაჟი იყოს საყამუნია არ მიეცემის უამისოდ მიეც და ვამლისა შარაბი შეუწყვე.

10 თ უ ამან არ უშველოს ამისთანა ოყნა ქენ, არღე: ალილა სამფერი სამი დრამი, გურკისაგან გამოწმენდილი და ბორა სამი დრამი, თურბითი და ღარიყონი სამსამი დრამი, სეფისტონი ოცი მარ-

ცვალი სინამაქი ხუთი დრამი ეს ყუელა მოადულე, დაიჭირე ჭაკუნ-
ტლის ფურცელი და ქატოთა მოადულე და გამოწურე, პირველად ის
უყავ ოყნადა.

თ უ ამით არ იქნას მასუკანით დაიჭირე თუხმი და შამიანდა-
ლი ხუთხუთი დრამი, საბრი სამი დრამი თურბითი და ღარიყონი სამ-
სამი დრამი და მამუდა, ნანხუა დანგ ნახევარი და აბი სალტინი სამი
20 თაგვის სკინტლი ათი დრამი, ყუელა დანაყე და ვაშაყი და ჯავშირი
ოროლი დრამი ესე ყუელაი და ზროხის ნაღველი შიგ გაურივე, შა-
ფები შექენ და გაახმე ჩრდილსა და ააღებინე მარგე არის.

თ უ ს ი გ რ ი ლ ი ს ა გ ა ნ იყოს და ბალღმისაგან ან ქარისაგან,
მისი ნიშანი ეს იყოს რომე ტკივილი ერთობი იყოს ასრე რომე კე-
დელსა და ქვათა ეჭიდებოდეს და მიწასა კბილითა ეჭიდებოდეს და
ფერზედა თეთრად იყოს და ტანზედა სიცხე არა ჰქონდეს და ფერ-
ხები გაუცივდეს.

მ ი ს ი წ ა მ ა ლ ი, ამა წამლებითა წყალი მოადულე და შიგა,
ჩაჯდეს, დაიჭირე: ყაისუმი, ბაბუნაჯი, აქლილმულუქი, ხატმისა ფურ-
30 ცელი და ძირი სადაფისა ფურცელი, ასთონიერთი ¹ რომე შიგ ჩა-
ჯდეს, ანჯირა ნახევარ პევშვი შიგ გაურივე და მოადულე და შიგ
ჩასვი წელამდი. და რა წყლიდაღმა ამოვიდეს ესე გვარიშნი მიეც,
წამალი მისი, აიღე: ელიქირუმი, ყარამფული, ზანჯაბილი, ზარნაბა-
დი, ჯავზი ბუა, ზირა ქირმანი, აყირყარა, სოდი, ნიახურისა და სტა-
ფილოსა თესლი, ფილფილი, დარაფილფილი, საქმუმუკი, უდი, თვი-
თოსაგან სწორ სწორი ყუელა დანაყე და მაჯუნნი შექენ და ყოველ-

¹ სწერია „ასთომერთი“.

330

თა დღეთა ოროლჯერ, ერთხელ დილასა და ერთხელ საღამოსა აჭა-
მე. თუ კაცი ძალიანად იყოს უფროსი მიეც, თუ უძალო იყოს უმც-
როსი მიეც. წამლებსა მსხვილად უნდა დანაყვა.

თ უ ამან გამოიყუანოს კარგია, თვარა ესე წამალი მიეც, აი-
ღე: შამიანდალი ორი დრამი და ნახევარი დანაყე და მაჯუნსა შა-
რიაშიგა გაურივე და მისცემდი ყოველთა დღეთა ორსა დრამსა და
ნახევარსა.

თ უ მუცელი შეკრვით იყოს აბულმათინი შეუწყევით და ესე
ოყნა უყავით, დაიჭირე: შამიანდალი, თუხმი, ანჯურას თესლი, ჯა-
10 ბლანგი, ქაბრი და ნებუხალა, ხატმი, ჭაკუნტლისა ფურცელი, ჯას
და ირსა ეს ყუელა მოადულე და გამოწურე, მასუკანით ერთი უკია
ზეთი ნუმსა შიგ გაურივე და ოყნა უყავ.

თ უ ამით არ იქნას ეს ოყნა უყავით, დაიჭირე: შამიანდალი
ათი დრამი, თურბითი ხუთი დრამი, ყარიყონი ხუთი დრამი, ყანტა-
რიონი ათი დრამი სინაიმაქი ათი დრამი ხარბი ¹ ხუთი დღამი, სა-
თარი ათი დრამი დაფი ათი დრამი, პიტნა ათი დრამი, არტყანისა
ათი დრამი, ესე დანაყე და შეაჯუმლე და მოადულე, რომე ნახევარ-
ზედ მოიყაროს და გამოწურე და ოყნა უყავ.

საჭმელად მუხუდოსა წუენი, სტაფილო და თაღამი, ესე შე-
20 უწყევით. ს ხ ვ ა ო ყ ნ ა, დაიჭირე ყათრანი, სამი დრამი, ჯუნდა

ბედასტარი, საქმინაჯი, ჯავაშირი, ყულა დანაყე და ჭაკუნტლისა წვენითა გამოწურე და ოყნა უყავ.

თ უ ზამთარი იყოს ფალღამუნი შეუწყევით, მისი შექნა, აიღე: ნანხუა, კორდმანაი, ფარფონი, ყულა დანაყე და წურილი საქმინაჯი, აყირყარა, სუნბული, ნარდინი, ჯუნდა ბედასტარი თვითოსაგან თვითო დრამი, ზირა ქირმანი, აბულღარი, თვითოსაგან ხუთხუთი დრამი, ეს ცომშიგან გაურივე და მაჯუნად შექენ და ყოველთა დღეთა აჭამე, საყმუნიაცა შიგ გაურივე და ყულას ოდენი თაფლი გაურივე, მაჯუნი შექენ და აჭამე ყოველთა დღეთა.

30 თ უ შ ე კ რ ვ ი თ ი ყ ო ს, დაიჭირე: შირიხიშტი, ხიარშამბარი ათი დრამი გამოწურე და ნუშისა ზეთითა გაურივე და შეასვი. საქმელი მუხუდოსა წვენი შეუწყევით და ასპანახხთა და კარაქითა და ნუშისა ზეთითა. და ესე შაფი შეუწყევი, დაიჭირე იის ყურსები, შამიანდალი, საბრი, ჭერამის გურკის გული, ალი ქირუმი, თუდარი წითელი და ყვითელი, ფალანჯამუშკი, ბორა, თაგვისა სკინტლი, ყულა სწორსწორი, თუ შეკრვით იყოს მამუდა და ყანთარიონიცა

¹ ხარბაყი.

გაურივე და შაფები შექენ, გაახმე, ზროხის ნაღველი შიგ გაურივე და ააღებინე.

თუ ესე სენი დედაკაცსა სჭირდეს ანუ ვაჟსა, დაიჭირე ოთხი ტრედის ხუნდი დაკალი და გაყულიფე და შვიდის ჯამითა წყლითა მოადულე, ასრე რომე ნახევარი დარჩეს, მერმე ერთი მამალი იშოვნე და ფერხები დასჭერ და გაყულიფე და გამოშიგნე და ესე წამლები მუცელშიგან ჩაყარე, ქონდარი, ზირა, ნანხუა, დარიჩინი, ჯავზი ბოვა, მერმე მუცელი შეუკერე და წყლითა მოხარშე სადამდის დადნეს, მერმე ის წყალი გამოიღე და მისი ნახევარი თაფლი გაურივე და
10 წყნარად კიდევ ადულე, რომე შესქელდეს და ყოველთა დღეთა სამი დრამი მიეც, რომე ჭამო.,

იწ სხვა ყოლინჯი რომე ილაუზ ჰქვიან. და ილაუზ ამასა ქვიან ბერძულად ღმერთო მიშველეო.

მ ი ს ი ნ ი შ ა ნ ი: რომე მჯდომივით გამოსულიყოს და ქარისაგანცა იყოს, სიმბურვალისაგანცა იქნების და სიგრილისაგანცა.

თ უ სიგრილისაგან იყოს, რომე ხელი დასდვა თოვლივით ცივი იყოს ყოველი ტანი და ტკივილი მუდმად იყოს. როგორცა იწვეს, რომელსაცა მხარსა იწვეს, ტკივილი ამ მხარსა იყოს და ტკივილი ჭიპს ზემო იყოს.

20 თ უ სიმბურვალისაგან იყოს, მისი ნიშანი ესე იყოს, რომე მისი ტანი ცეცხლივით იყოს, ქშინვიდეს მალლად და პირიდაღმა რაც გამოვიდეს ცეცხლივით იყოს, და პირი უშრებოდეს და უმწარდეზოდეს და სჩხვერდეს.

თ უ ესე მჯდომი იყოს სიცხისაგან, მისი ნიშანი ის იყოს, რომე ცხელება დაერთოს და ენაცა გაუშავდეს, წყურვილიცა ერთობ იყოს.

თ უ ესე მჯდომი ზემო ნაწლევშიგა იყოს, მისი ნიშანი ისი იყოს, რომე არწყიოს, თუ ამისი ნავალი და ბოყინი მყრალი იყოს, იმისგან იმედი გარდასწყვიტე.

თ უ შუა ნაწლევშიგან იყოს, მისი ნიშანი ეს არის რომე ცხე-
30 ლება განუწყვეტლად იყოს და ერთობ ცხელი იყოს და კიდეცა
არწყევდეს და მოსვენება არა ჰქონდეს.

თ უ ქვემოსა ნაწლევშიგა იყოს, სიგრილისაგან არის, მისი ნი-
შანი ეს არის, რომე შარდი არ გავიდოდეს და მუცელიცა გაბერუ-
ლი იყოს, და კიდეცა შეკრას, რა ეს ნიშანი ნახო ფიცხლავ უნდა
წამალი. თუ ხანი გაგრძელდეს და ჟანგრის ფერსა არწყევდეს, იმედი
გარდაიწყვიტე.

წ ა მ ა ლ ი მ ი ს ი, აიღე: ფეტვი გაახურვე, და თავზედა შემოს-

332

დევ და სადაცა სტკიოდეს იქიცა შემოსდევ ¹. აიღე: ბაბუნაჯი და
წყლით მოადუღე და შიგა ჩასვი, მერმე რა ახანოს გამოვიდეს, აბულ-
მათინი და აფლონია აჭამე კამის თესლითა და ღვინითა.

თ უ შეკრვამა მიაჭირვოს, ეს ოყნა უყავ, დაიჭირე: ბედანჯირი,
შამიანდალი, თურბითი, ღარიყონი, ბორა, ჯაბალანგი, საყმუნია,
ყუელა დანაყე და ზროხისა ნალუელითა შაფი შექენ და მიეც, ვირე
გახსნიდეს, ამისთანას სენს აბს ნუ მისცემ, ოყნისა და შაფის მეტსა.

ს ხ ვ ა მისი წამალი, დაიჭირე: ნიახურის თესლი და კამის
თესლი, ქარვა, მოადუღე და სამსა დღესა შეასვი შაქრითა, ცხელ-
10 ცხელი საჭმელი მუხუდოს წვენი, ანუ სტაფილოსა და თალგამი და
რაცა მხურვალი იყოს და რბილი, ისი შეუწყევით.

რ ა აშფოთებდეს კოლინჯი და მივარდეს თირკმელთა სიახლო-
ვესა, დიადსა აქიმსა თირკმელთა ტკივილი გონია. და თირკმელთა
და კოლინჯისა ტკივილი ერთმანერთსა გავს, მაგრამ ჯ ა ლ ი ნ ო ზ
ასრე ბრძანებს: ვითა თირკმელთა ტკივილი მისა ადგილსა იქნების,
უძრავად და წყნარად სტკივის, და კოლინჯისა ტკივილი შიგნით
მუცელსა და წელთა შიგა ყუელგან იარების. ერთი მისი ნიშანი ესე
არის რომე ოყნა ააღებინო, თუ თირკმლისა ტკივილი არის, მაშინ
ტკივილს მოუმატებს, ამისთვის რომე წელსა აავსებს და თირკმელთა
20 მიაწვების და ატკივებს და თუ ყოლინჯისა არის, ოყნა წელთა
დაალბობს და ტკივილსა დაამებს.

თ უ ყოლინჯი ხმელის ნავალისაგან იყოს რომე გახმების ქვე-
მოსა ნაწლევშიგა, მისი ნიშანი ესე იყოს, რომე ამა ყოლინჯისა
უფალსა ასრე ეგონოს, ვითა ნაწლევთა შიგან მძიმე რამე იარებისო,
ნაწლევთა გახვეს ტკივილიო, ამას გვანდეს.

თ უ უყოს ოყნა და გავიდეს განავალი მაშინდა მოისვენოს ნა-
ვალისა ხმელისაგან. ყოლინჯი ამა საჭელისაგან შეიქნების, ფეტვი-
საგან ბრინჯისაგან, ხმელისა პურისაგან, ანაკვეთისაგან იმითაცა
იქნების, რომე ბევრჯელ შარდათ გასულიყოს, ან ბევრი ოფლი სდე-
30 ნოდეს, ამათგან წაეკიდების კოლინჯი.

ნ ა ვ ა ლ ი ს ა კ ო ლ ი ნ ჯ ი ს ა წამალი. აიღე: წითელი შაქარი
ათი სტილი ანუ უფროსი, ანუ უმცროსი და ერბოშიგა გაურივე და
მიეც რაც უნდოდეს, და რაც შეეძლოს ერბოსა ჭამდეს და შარბათი
უმყისაცა ერთობ მარგე არის, და ღვინოცა კარგი არის.

ს ხ ვ ა, დაიჭირე: სელი, ულბო, აბუმატი, წიწმატის თესლი
არის, ეს ყველა მოადუღე და ამათი ლაზა დაიჭირე და ორი უკია

ქუნჯითისა ზეთი გაურივე და აჭამე, მარგე არის, და ყოლინჯსა დასვამს, და ისი რაცა წელთა შიგან ნავალი დარჩების, ყუელას გამოიღებს.

მისი საჭმელი ყუელა მსუქანი შაქრითა და ნუშის ზეთითა შეუწყევით და ხარშო, რომე მამლისა იყოს ასპანახისა და მუხუდლოთა, ერთობ ერბოვანი მარგე არის. ძროხისა ხორცი და ნახარშიცა მარგე არის. და მოხალულისა ფქვილისაგან პური გამოუცხოს და ღვინოშიგა ჩაუყაროს და ქუნჯითისა ზეთშიგა ამოაწოს და ჭამოს, მარგე არის.

10 და ყოველთა დილათა მოდუღებულსა ჭაკუნტლისა წვენსა ორსა უკიასა ¹ ნახევარ მუტყელითა ბორათა ჩამდნართა ლეღვითა და შაქრითა შეასვას ჭამას წინათ, და ორი სამი თოხლო კვერცხი შეხურითოს ჭამას წინათ, მარგე არის.

ამავე სენისათვის ოყნა კარგი და გამოცდილი, ნავალი რომე ნაწლევეთა შიგან გამხმარიყოს, გამოიღოს, აიღე: ლეღვი ხუთი მარცვალი, ხვარბლისა ქატო ერთი ცალი პევშვი, ხმელი ხატმისა ფურცელი ცალი პევშვი, კაკუნტლის ფურცელი ათი მარცვალი, სოსნის ძირი ნახევარზედა დანაყილი ათი დრამი, სეფისტონი ოცდაათი მარცვალი, ქერის კორკოტი ერთი ცალი პევშვი, ბაზუნაჯი ერთი

20 ცალი პევშვი, ლელუფარი და თურინჯის ფურცელი თვითო ცალი პევშვი, ექუსითა ლიტრითა ბაღდადურითა წყლით მოადუღე ასთომესათა რომე ორი წილი წავიდეს და მესამედი დარჩეს, მერმე დაწურე, და ათი სტილი ² ამა წყალისაგან და უკია ნახევარი ამას ბაზრაცატუნისა ლაზა გაურივე და ერთი უკია იისა ზეთი ანუ შირბახტი, ათი დრამი ავქამა, ორი დრამი ბორა და ნახევარ დრამი მარილი ამა წამლეგშიგან გაურივე და ნელთბილი ოყნა ჩაასხი.

ნიშანი ჯამასი რომე ყოლინჯსა ჰგავს, ახლოს ახლავს და არ არის ყოლინჯი. ესე სენი ორისაგანვე იქნების სიმხურვალისა და სიგრილისაგანცა.

30 თუ სიმხურვალისაგან იყოს, მისი ნიშანი ესე ეყოს, რომე ძალად პირიდალმა ქარი ამოუვიდოდეს მყრალი ბოყინითა და ისი ქარი რომე პირით ამოვიდეს კვამლსა გვანდეს, მას გასახსნელი მათბუხი მიეც, მერმე ხილთა წყალი მიეც შარაბითა.

თუ სიგრილისაგან იყოს პირიდალმა სული მყავე ამოვიდეს. წამალი მისი: შარაბი უსული შეუწყევით და იარაჯა ფეყირაცა

¹ სწერია „ვაყიასა“.

² სწერია „ისტირი“.

გაურივეთ შიგა ორი დრამი, რენი და ბედანჯირიცა გაურივეთ და აჭამეთ. როგორაცა გახსნას საჭმელი მხურვალი აჭამე, ქიშმიში და ჩამიჩი აჭამე.

სხვა ნიშანი მისივე თუ ესე ერთობ სქელისა ქარისაგან იყოს ანუ გრილისა საჭმლისაგან, ანუ ბევრისა ცერცვისაგან და

ოდომისაგან რომე ბევრი ჭამოს ანუ ახლისა თევზისაგან და ოსპის ჭამისაგან, ანუ ლობიოსაგან, ან დიდის ღვინისაგან, ანუ დოსა და მაწონისაგან და მჟავის ჭამისაგან.

10 თ უ ამათის ჭამისაგან იყოს, მისი ნიშანი ეს არის, რომე პირ-ველად ამას ზემოსა გვანდეს და მერმე ყოლინჯად გარდაექცეს, მისი წამალი ყველა ყოლინჯისა შეუწყევით.

ით კარი თირკმელთა ტკივილისა

იცოდით რომელ თ[ირკმელისა] ტკივილი ორისაგან იქნების სიგრილისაგანცა და სიმხურვალისაგანცა. იცოდით რომე თირკმელი ორი არის ერთი მარჯვენით და ერთი მარცხენით, მარჯვენა ღვიძლისა სიმხურვალისაგან ასტკივდების და მარცხენა ტყორბისა სიხმისა და სიგრილისაგან ასტკივდების.

20 თ უ თირკმელი მარჯვენით სტკიოდეს, მისი ნიშანი ეს არის, რომე ბუმტუკმან დაუწყოს ტკივილი, ბუმტუკი ბოქვენსა ჰქვიან, და ხან და ხან კიდევა გააცხელებდეს, და შარდი ყეთელი იყოს და ხშირად გავიდოდეს შარდსა და ტკივილია ამას გვანდეს რომე ნემსით მჩხულეტსო.

წ ა მ ა ლ ი მისი ისი არის, რომე მოსვენებით ამყოფო და ცივსა წყალშიგან ჩასვემდი და რაცა გრილი შარბათები იყოს ისი შეუწყევით, ქასნისა წვენი და ქერისა წვენი შაქრითა მას ასმევდეთ და ხილთა წყალთა ასმევდით და ბროწეულისა შარაბი მარგე არის, ლობი ბაზრაცატუნისა შაქრითა მარგე არის და კარგი, თუხმაქანისა და ქეას თესლისა წვენსა შაქრითა შეასვი მარგე არის. და 30 საჭმელად კიტრისა თესლი და შანგიარისა თესლის გულისა სახურეტელი შეუწყევით და იმას ახურეტდით და ცოტა ერბო გაურივეთ და ისრიმისა და ქერისა და ოსპისა საჭმელი შეუწყევით და ცივსა აჭმევდით.

თ უ შეკრვით იყოს და აცხელებდეს, აიღე: ქასნისა წვენი, ხიარ შამბარისა გული, თარანგუბინი, ქასნისა წვენითა გამოწურე და შეასვი მარგე არის, და ოყნაცა მარგე არის, ამისთვის ყოლინჯშიგა რომე სწერია. და იისა ზეთი და ვარდისა ზეთი, ვარდის წყლითა გაურივეთ და სადაცა სტკიოდეს ტლედ დასდევით, მარგე არის.

335

ა წ ე თუ ესე თირკმელთა ტკივილი ს ი გ რ ი ლ ი ს ა გ ა ნ იყოს, მისი ნიშანი ეს იყოს, რომე ბატარა მუცელი მარცხენით სტკიოდეს და ზურგიცა სტკიოდეს და შარდი თეთრი იყოს და კიდევა აცხელებდეს. რა ესე ნიშანი ნახო, იცოდი რომე სიგრილისაგან არის და ტყორბისაგან, და კიდევა დამჭლდეს კაცი.

მისი წამალი გვარიშნი ზირა არის, და მისი საჭმელი მუხუდოთა და ცერეცოთა შექნილი ხარშოდ ტრედის ხუნდი ანუ შემწვარი ჭავჭავი იყოს.

10 ნ ი შ ა ნ ი ზ ი რ ა ს ა გვარიშნისა შექნისა, აიღე: ზირა ძრმითა დამბალი და გამხმარი და მოხალული ასი დრამი, ზანჯაბილი ოცი დრამი, პილპილი ათი დრამი, აფთიმონი ოცდაათი დრამი, ბორა ოცი დრამი, ყველა დანაყე მსხვილად და თაფლითა შეზილე, და ახმარე.

თ უ თ ი რ კ მ ე ლ შ ი გ ა ნ ს ი მ ს ი ვ ნ ე დაემართოს და ვარმად

გარდაიქცეს მისი ნიშანი ესე იყოს რომე შეკრას მუცელი, და რომე გვერდი იქციოს ასრე ეგონოს ვითა წელზედა მძიმე რამე მკიდიაო და კიდევა გააცხელოს და გააციოს, და ხორცს ზედან ცეცხლივით იყოს და პირზედან წამოჭებდეს, რა ეს ნიშანი ნახო, იცოდი რომე თირკმელზედან აზია რამე.

- 20 მას ასეთი წამალი მიეც რომე გახსნას და გამოიღოს. წამალი მისი, აიღე: ყვითელი ალილა და დო, ქაბულური ალილა გურკისა-გან გაწმენდილი ხუთხუთი დრამი, შირხიშტი, თარანგუბინი, ხიარ შამბარის გული შვიდ შვიდი დრამი, რევანდი ერთი დრამი, ბაზრ-ყატუნი და დინარის შარაბი შვიდშვიდი დრამი, ალილა ნახევარზედა დანაყე და მოადულე, სადამდი ნახევრად მოიყრებოდეს. მერმე ეს წამლები შიგ გაურივე და დაალბე და გამოწურე და რევანდი ცალკე დანაყე, გამოკარ მჭვარშიგან და იმავე წვენშიგან დაალბე და შეასვი, რომე მუცელშიგა გამოიღოს. თუ ამ წამალს არ მიასწრობ, კაცი დაზიანდების. იისა მათხუხიკა კარგი არის. მერმე ბასალიყისა ძარღვი
- 30 გაუხსენ და ესე გრილი ტლე იმა ადგელზედა შემოსდევე. წ ა მ ა ლ ი ტლისა; აიღე: ლეღვი ათი მარცვალი და წყლითა მოადულე და ხელითა დაჭყლიტე, მერმე ხმელი ქალმისა ფურცელი და ხმელი ბაბუნაჯი და ხმელი ხატმი თვითოსაგან ათ-ათი დრამი სტაფილო დანაყე და ლელუშიგა გაურივე და შემოსდევე, როგორაცა ისი დაცხრეს, მერმე ყოველთა დღეთა ნიახურის წყალი შეასვით შაქრითა.
- თ უ ასეთი რამე დაემართოს აქიმსა სირეგუნითა, რომე მუცელშიგა დარჩეს, ისი ქვად შეიქნების და მის მეტი ღონე არ არის რომე მეშირიმემა გარედამა გამოართვას.

336

თ უ ფსელი შეკრას მისი წამალი უყავით რომე ფსლის დაჭირვისთვის სწერია, და შირიმისა წამალიცა უყავით, რომე ფსელი გამოვიდეს, თუარა კაცი მოკუდების.

რ ა ეს ნიშანი ნახო, რომე ავი იყოს, ესე ტლე შექენით და წელთა შემოსდევეთ, აიღე ხმელი ლეღვი და წყლითა მოადულე და ხელითა დაჭყლიტე მერმე ერთი პევშვი ქერის ფქვილი, ერთი პევშვი ქერის კორკოტი ისიცა შიგა გაურივე, მერმე შემოსდევეთ. თუ ამა წამალმან გახსნას მისი ნიშანი ეს იყოს, რომე ფსელშიგა თხამლივით გამოჰყვეს. [რა] ესე ნიშანი ნახო კამა და ნიახური მოადულე და

- 10 ნელთბილი ასვით, რომე გამოწმინდოს.

თ უ ამ თხამლისა დენას უკანით, ფსელი კარულაშიგა დაიჭირე, თუ ფსელი ყვითელი იყოს და სქელი, ანუ შავი, ანუ მოლურჯო, ამას არა წამალი არ შეეწყობის, სიკრდილის ნიშანი არის. თუ ესე ფსელი და ესე თხამლი მოთეთრო იყოს, ბრინჯისა წვენივითა, ამას ადრე ეშველებს.

თ უ ამ დროსა რომე თხამლმა გამოდენა დაუწყოს და მაშინ მუცელშიგა გახსნას, ამაზედა ბუშტი აიშლებს და კარულა კიდევ დაიჭირე და ნავალიცა ნახე, თუ წითელი იყოს და მოყვითალოდ დასცემდეს კარგი არის და თუ შავი იყოს და ჟანგარის ფერი და

- 20 სული მყრალი უდიოდეს ავი ნიშანი არის.

თ უ კარულა დაიჭირონ და შიგა ხორცის ნაკვეთივითა რამე ჰყვებოდეს წურილ წურილი და შიგან იარებოდეს, ესე მისი ნიშანი

არის რომე თირკმელი დაწყლულეზულა და ნამეტნავად წყურვილი სჭირდეს.

თუ კარულაშიგა, მუხუდო რომე დადერლო, მას ქერქი რომ შემოსძურების, იმისთანა გამოჩნდეს, ნიშანი იყოს, რომე ბუმტი დაწყლულეზულა.

ერთი ნიშანი სხვა არის რომე თირკმელთა ტკივილი, წყნარად ჭიპსა გარემემო სტკიოდეს და წელნიცა სტკიოდენ, იცოდე 30 რომე, თირკმელთა ტკივილი არის, და თუ ერთობ სტკიოდეს ჭიპსა ქვეშე და ფსელი წყვეტ-წყვეტად მოსდიოდეს, იცოდე რომე სატკივარი ბუმტიშიგან არის, მისი კარულა დაიჭირე და იგი ცოტასა ხანსა, თუ ძირშიგა თხლე დაჯდეს, და ის თხლე მყრალი იყოს და მოშაო, ავის ნიშანი არის. თუ თხლე მოთეთრო იყოს, ადრე ეშველოს.

თუ ძნელად მოფსმიდეს ნედლისა კამისა და ნიახურისა წვენსა ასმიდით შაქრითა წითლითა და თეთრითა. მისი საჭმელი ფუმრუკი შეუქენით, ქერის ფქვილისა თხის რძითა და ქათმის ქონითა, და

337

კიტრის თესლიცა დანაყე და შიგა გაურივე და აჭამე. თუ გამრთელდეს ფუმრუკი შეუქენ წმინდას ფქვილისა და აჭამე.

სხვა მისი წამალი: გილიერმანი, გაცრილი ფქვილი, კიტრისა თესლისა გული და ქათირა დანაყე და ცოტა შაქარი შიგა გაურივე, გალესე და შეასვი. მასუკანით ლიმოსა შარაბი და ანუ ბროწეულისა შარაბი ერთსა კვირასა ესე შეუწყევით. თუ არ არგოს, ესე მიეც, აიღე: კამა, ნიახური ია, ვარდი, ეს მოადულე და მიეც. სხვა, აიღე: მიტყალ ნახევარი ქათირა, მასტაქი, დანაყე და შიგა გაურივე და შეასვი.

10 მერმე როგორცა ეს სენი გამრთელდეს, სამსა ოთხსა დღესა ეს უყავით, წამალი და საჭმელი შეუწყევით, აიღე: ქერის ფქვილი და ქათმის ქონი და შაქარი გაურივეთ და აჭამეთ. და თუ იყოს რომე იშოებოდეს აყიროსა შეჭამადი შეუქენან ქერისა კორკოტითა და იგი აჭამონ და თუ ნესვი იშოებოდეს, ნესვიცა აჭამონ ხილად, რომე თირკმელნი გამოწმინდნეს.

მერმე თირკმლის გამთელების ნიშანი ეს არის, რომე მისი კარულა დაიჭირონ, დადგან ერთსა წამსა, მერმე ნახონ, თუ სიმღურვი არა იყოს რა და წმინდა იყოს ძირამდის, სრულად გამრთელებისა ნიშანი არის. მერმე ხორცისა საჭამადიცა აჭამეთ მასუკანით.

20 ესე წამალიცა აჭამონ; გილიერმანი გაცრილი და ფქვილი, კიტრის თესლი და ქათირა თვითოსაგან თვითო დრამი დანაყე და გაცერ და თხუთმეტითა დრამით ქათმის ქონითა მიეც, რომე შეჭამოს, ანუ ვაშლისა შარაბითა, ანუ ბროწეულისა შარაბით, ერთსა კვირასა ამა წამლითა ამყოფეთ.

ერთი ნიშანი სხვა არის, თუ მისი კარულა თეთრი იყოს, იმასცა კამის წვენი ასვით იმავე წამლებითა.

სხვა ვე, თირკმელთა ნიშანი ესე იყოს, რომე არა სტკიოდეს რა, მაგრა ასრე ეგონოს ამ ერთსა მხარსა თირკმელშიგან სასარტყელესა ქვემოთ უკანით ანუ წელშიგა აქლემისა სიმძიმითა რამე მკიდიას, 30 ფერხები და ბარკალნი სუსტად ებზენ და მისი კარულა თეთრად და

თხლად იყოს და ესე რაცაღა გამოზმოდეს თირკმელზედა ანუ ქვავითა იქნების, ანუ არ დაღპეს, ანუ არა გაიხსნას, ესე ნიშანი რა ნახო, იმას ესე წამალი მიეც, რომე სისხლისათვის გვითქვამს და ესე ოყნა ჩაასხი, წამალი მისი: ბაბუნაჯი, საკრწყილესა ჰქვიან, აქლილ-მალუქი, ბალახსა კავივით გამოესხმის, თვითოსაგან ხუთ ხუთი დრამი, ხმელი ლეღვი ათი მარცვალი, სოსანი ოცი დრამი ესე ყუელა ერთსა ლიტრასა წყალშიგან მოადულოს სადამდი ოცდაათ მიტყლად მოიყრებოდეს, მერმე ბატარა ბაბუნაჯი ქუანჯიტისა ზეთშიგან მოა-

338

დუღეთ წყნარსა ცეცხლზედა და მისი წონა სოსნისა ზეთი გაურივე და ოყნად ჩაასხი და ქათმისა ქონითა და თეთრითა ცვილითა ¹ მუდმად წელთა ² დაიზელდით და მოტკბო შაჭამადი შეუწვევით და წყლის მაგიერად კამისა და ნიახურის წვენსა ასმევდით.

ს ხ ვ ა, სენი არის თირკმელთა ე ი დ ა ნ ი ტ ა შ ქვიან, მისი ნიშანი ეს არის რომე მწვედ სწყურდებოდეს და როგორც წყალსა სმიდეს მასვე წამსა მოფსმიდეს, ისეთივე წმინდასა. ეს მისგან იქნების რომე ნამეტნავი სიცხე შეყრილიყოს თირკმელშიგან და წყალსა არ დააყენებს სიცხე.

10 მ ი ს ი წ ა მ ა ლ ი ესე იყოს რომე მუდმად ქერისა წყალსა ასმევდენ, და თუ აყირო იშოებოდეს, აყიროსა წვენსაცა გაურივედენ და შაქრითა შეასმიდეს და საჭმელად მაშასა და აყიროსა და ქერისა კორკოტისაგან შეუწყევით. და მწარისა კიტრისა წვენი შიგ გაურივეთ და შაჰნარსა ბროწეულისა და ისრიმისა წვენსაცა გაურივედენ და გააციონ და შეესმიდენ დილასა და საღამოსა.

თ უ ამან არ უშველოს ბაზრაცატუნისა ლოაბი აჭამეთ შაქრითა და ზროხისა დო ყინულითა გაცივებული შეასვით მარგე არის. თუ არც ამან უშველოს, ყურსი ტაბაშირი შეასვით, რომე ყურსებშიგან სწერია მით წესითა. და ცივსა წყალშიგანცა ჩასმიდით. უკა-

20 ნით თირკმელთა მართლად ესე ტლე შემოსდევით, აიღე: მაწონი და ქერის ფქვილი გაურივეთ და თეთრი სანდალი და ცოტა ქაფური და შემოსდევით.

კ კარი ბუმტისა, შირიმისა და თიაქარისა.

რომე ფიტყი, ქანთლის ტკივილისა, რომე იმას ქვიან ქანთელი, რომე ფსლის გზა არის, და ბუმტის ტკივილისა და შირიმისასა.

ესე სენი საჭმელთაგან დაიბადების, საჭმელი ეს არის რომე, საჭმელსა მუდმად დოსა და ძველსა და ახალსა ყველსა სჭამდეს და კორკოტსა და ხმელსა პურსა და მღურივესა წყალსა სმიდეს, და
30 სქელისა ღვინისაგან ამათგან დაიბადების შირიმი, და ვაჟსა კაცსა და ახალ მოწიფულსა ბუმტშიგან შეექნების, და დიდსა და ბერსა კაცსა თირკმელშიგან.

ნ ი შ ა ნ ი მისი ეს არის, რომე წელთა დაუწყოს ტკივილი და ფსელსა უჭირევდეს, რა ესე ნიშანი ნახო, იცოდი რომე შირიმის ნიშანი არის, ფიცხლავ სწამლე თვარა ქვად გარდაიქცევის და გაძნელდების, ამას ასეთი წამალი მიეც, რომე შარდსა უშველოს და

¹ სწერია „ცვინითა. ² სწერია „წერთა“.

სხვა ასეთი აღარა დარჩების რა რომე კაცი დაზიანდეს. და რა წა-
მალსა უზემდე რაც ავი სასმელი და საჭმელი დავსწერეთ იმისგან
აფარეზეთ.

ესე ასე იქნების, რომე ისი ავი სასმელი და საჭმელი წავა და
იმა ფსლისა გზაშიგა დადგების და იმას თირკმელთა სიმხურვალე
დასწავს და უწინ ქვიშის სახედ შეიქნების და სისხლიანი და მერმე
გასქელდების და ქვად შეიქნების ანუ მგურგვალი ანუ კუთხიანადე.

ამისი წამალი დიდრუანი მაჯუნები უშველის: მაჯუნი საკიზა-
ნაი, მაჯუნი ჯაზილაი და მაჯუნი ამბრისა, და მაჯუნი რომე ჰქვიან
10 დევალ ქერები და ესე წამალიცა უშველის, აიღე: ნესვისა და შან-
გიარისა თესლი, კიტრისა და ბოლოკისა თესლი და მწარე ნუში,
ესენი სწორ სწორნი ერთმანერთშიგან გაურივეთ და ორი დრამი
პილპილიცა გაურივე ცალკე ცალკე, დანაყე და გაცარ და მერმე
ერთმანერთშიგა გაურივე და კამას წყალი დაასხი ოცი დრამი და
შეასვი. და თუ ცალკე აილო სამი დრამი ეყოფის. ესე გზასა გახსნის,
გაჰკაზმავს ნებითა ღთისათა.

ნ ი შ ა ნ ი ქვისა ბუშტისა, რომე ქვა დაიზადების, ოთხი ფერი
არის: ე რ თ ი დიდი, მ ე ო რ ე უფრო ცოტა, მ ე ს ა მ ე რბილი იქნე-
ბის ყველივითა, მეოთხე მაგარია და ღოჯიანი. ამაშია რომელიც
20 უმცროსია იგი უარესია, ამისთვის რომე, ფსელსა გზასა შესტაცებს
და უფრო მწოვედ ტკივილს დაუწყებს.

თ უ უმცროსი იყოს, მისი ნიშანი ესე იყოს, რომე ფსელსა
ერთობ უჭირევდეს და კაცი დამჭლდეს და ფერი წაუვიდეს და სუს-
ტად იყოს. და თუ მარჯვენით გარდაბრუნდეს მარცხენით ეტკივნე-
ბოდეს, თუ მარცხენით გარდაბრუნდეს მარჯვენა ეტკივნებოდეს, ამ
სენისა უფალი ერთსა ადგილსა ვერა დადგეს და ვერცა დაჯდეს
იაქით იარებოდეს.

თ უ რბილი იყოს, მისი ნიშანი ეს არის, რომე მუდმად იქიაქათ
იარებოდეს და სტკიოდეს, ნამეტნავად თუ ფსელი უფრო შვებით
30 იყოს.

თ უ დიდი კაცი იყოს, მისი ნიშანი ესე იყოს, რომე ბუშტი
დააწყლოლოს და ტკივილი მისისა ადგილიდაღმა დაიდრას და ხან-
ჟამიერად თვითოს ასომიგან უვლიდეს.

თ უ მაგარი და ღოჯიანი იყოს, მისი ნიშანი ესე იყოს, რომე
მისის ადგილისაგან ტკივილი დაიდრას და სხვაგან სტკიოდეს, და
ტკივილი მწოვედ იყოს და ბუშტუკიცა გაუსივდეს, ბუშტუკი ბოქვენსა
ჰქვიან, ეს ავი ნიშანი არის და მისი წამალი გამოღებისაგან მეტი
არ არის. და მერმე მალამებითა გაამთელონ და ტკბილსა ღვინოშიგა

340

ქალინა დედისა რძე გაურიონ და იმასა სვემდეს, და გამოღებას
უკანით ეს ¹ მაჯუნი აჭამეთ.

წ ა მ ლ ე ბ ი მაჯუნისა, აიღე: თეთრი საკმელი ხუთი დრამი,
კრკო ოცი დრამი, ჩამიჩი გურკა გამოღებული ოცდაათი დრამი, ეს
ყუელა დანაყე და თაფლითა მაჯუნად შექენ, ამისგან ყოველთა
დღეთა ხუთ ხუთსა დრამსა მისცემდი.

მ ე რ მ ე: მაჩქათელა დაიჭირეთ და წყლით მოადუღეთ რომე

დადნეს, მერმე ის ნადულარი ერბოსა და ზეთშიგან გაურივეთ და ბოქვენზედა შემოსდევით და ტრედის ხუნდისა სკინტლი დანაყე და 10 მსხვილის ცერცვისა წყალშიგა გაურივეთ და გაუშვით რომე დაწმდეს და თბილი შეასვით ამა მაჯუნთა უკანის.

ესე სენი ორისაგან იქნების ს ი მ ხ უ რ ვ ა ლ ი ს ა გ ა ნ ა ც ა და ს ი გ რ ი ლ ი ს ა გ ა ნ ა ც ა. თუ სიმხურვალისაგან იყოს, მისი ნიშანი ესე იყოს რომე ხორცზედა და სტომაქზედა ერთობ ცხლად იყოს და კიდეცა სწყურდებოდეს. მისი წამალი თუხმაქანისა წვენი ჯულა-ბითა შეასვით და ბრინჯისა შეჭამადი კამისა წვენითა შეუწყევით, და სტომაქი ნუშისა ზეთითა დაუზილეთ.

თუ ესე სენი სიგრილისაგან იყოს, მისი ნიშანი ესე იყოს ფსმაშიგან არ ეტკივნებოდეს და არცა სწყურდებოდეს. ეგების 20 ნამეტნავად გრილი ეჭამოს და მისგან დაუწყოს ტკივილი ბოქვენმან. მისი წ ა მ ა ლ ი, მოიღე: სოდი რომე თოფალახსა ჰქვიან და მწარე ნუში, და ყუსტი, სუმბული და ფილფილი და სალიხა, თვითოსაგან ორი დრამი, ესე ყუელა დანაყე და გაცერ და სამი წონა თაფლი გაურივე მოდუღებული და პერულ მოხდილი, ამ წამლებს შიგა და ყოველთა დღეთა ამისგან ორსა დრამსა მისცემდით. და ყოველთა დღეთა აბანოშიგან ჩასვემდი. და თუ ესე საჭმელი შესძულდეს ნესვით თესლისაგან ფუშრუკი შეუქენით და იმას აჭმევდით და ტკბილი ნესვიცა კარგია ხილად.

ბ უ შ ტ უ კ შ ი გ ა ნ, რომე ბოქვენსა ჰქვიან თუ შირიმი იყოს 30 ანუ საზარდულშიგა, რომე მეტადრე ყმაწვილსა სჭირდეს, მას ნესვისა თესლისა წვენსა ასვემდით მრავლად. და თუ მუხუდოსა წვენი იშო-ებოდეს, გაურიონ, ისი სჯობს. მერმე ულბოს თესლი და ხატმი წყლითა მოადუღეთ და ამა სატკივარისა პატრონი შიგა ჩასვით, მერმე როგორცა იმა წყლისაგან გამოიყვანონ ბაბუნაჯისა ზეთით ქათმისა ქონი, ყვითელი ცვილი ერთმანერთშიგა ადულე და ზედა დასდევით ბუშტუკსა და ბოქვენზედა.

¹ აქ ჩართულია „მაგას“.

თუ ამა წამალმა არ უშველოს, ნიახურის თესლი, კამის თესლი და ქაბრა სწორ სწორი წყლითა მოადუღე და გაურივე და ცოტას ნუშის ზეთი გაურივე და შეასვით მარგე არის. ღ~თითა.

თუ ესე სატკივარი დიდსა კაცსა სჭირდეს მოიღე ათი ხელი სოსანი იის წყლით მოადუღეთ და კაცი შიგან ჩასვით თბილ თბილ-შიგან და როგორცა მაგა წყლისაგან გამოვიდეს მოიღე ბაბუნა-ჯისა ზეთი, სოსნის ზეთი და ქათმისა ქონი და ყვითელი ცვილი მოადუღეთ ასე რომე მალამად შეიქნას და ბოქვენსა და ბუშტზედა შემოსცხევ.

10 თუ ამა სენშიგა სარცხვენელისა სიმსივნე დაემართოს ასე რომე ძნელად მოფსმიდეს და კიდეც სტკიოდეს, ასრე სტკიოდეს რომე აკივლებდეს, მერმე ზემო რომე საზელი დავსწერეთ ისი შტვირითა ამოდ ამოდ სარცხვენელშიგან ჩაასხით რომე დაალობს. თუ ამ წამალ-მან არ უშველოს მაშინ გამოართვი თუ დიდი ქვა იყოს.

თუ კაცი ღვინის მსმელი იყოს და ღვინოს ვერ დასთმობდეს,

ტკბილსა ღვინოსა სვემდეს და ბატარასა რძესა გაურევდეს, და ესე მაჯუნსი შეუწყონ, აიღე: ქუნდრე ხუთი დრამი, ფალუდი ხუთი დრამი, ოცი დრამი ზიზიბი ხვარასანი ესე ყუელა დანაყე და ქაშანურსა ჭურჭელშიგა ჩადევ მაჯუნად შექნილი და მიწაშიგან ჩაფალი, ოცსა 20 დღესა მიწაშიგ იყოს, მერმე ამოიღოს და ყოველთა დღეთა ხუთსა-დრამსა შეაჭმევდეთ. და ტრედისა სკინტლი წურილად დანაყონ და-გაცრან და სხვილისა ცერცვისა წვენშიგან გაურიონ, მერმე დადგან მანამდი, სადამდი კარგა დაწმდეს და მაჯუნსა უკანით ესე შეაჭამონ ქუნდრე თეთრი საკმელი არის და ფალუდი კრკო არის და ზიზიბი ხვარასანი წითელი ჩამიჩი არის.

ა წ ე ქ ვ ა რომე ბოქვენშიგან იყოს, მისი წამალი საჭმელად ცხურის ხორცისა წვენსა აჭმევდით და მჟავესა ღვინოსა, ასმევდით, ახლისა კამისა წვენიცა ასვან ჯულაბითა და ბოლოკსაცა აჭმევდენ ძრმითა და თუ ესე საჭმელი მოსძულდეს, ჭაკუნტელი მოხარშონ 30 ცხურის ხორციტა და იგი აჭამონ და ზოგჯერ ნესვისა თესლისა საფანელი შექნან და მითა ფუმრუკი შეუქნან და იგი აჭამონ.

თუ ბევრის სატკივარისაგან ბოქვენი უსივდეს, თუ ძალიანად იყოს ბასალიკე გაუხსნან და რბილი ტლეები შემოსდვან, და ბარკალ-სა ზედა კოტოში მოიკიდოს. თუ ამა წამლებითა არა დასცხრეს, აიღე: ნესვისა თესლისა გული და კიტრისა თესლისა გული ხუთხუთი დრამი დანაყე და ყადრასალონი ორი დრამი, ნიახურისა თესლი, კამის თესლი, თვითოსაგან სამ სამი დრამი, ნუშის გული და ზრო-ხის მჩორე ხმელი, დანაყილი და გაცრილი და იასამანისა ზეთი.

342

ესე დანაყილი და გაცრილი წამლები ამა ზეთშიგა გაურივე და ყო-ველთა დღეთა სამსამი დრამი ნიახურისა წვენიტა შეასვით.

თ უ ამ წამალმან ვერ უშველოს და ესე ქვა ქვემო ბუმტშიგა იყოს და ვერა ეშველოს, მეშირიმემა გამოართვას. და თუ ეს ქვა ბუმტშიგან იყოს მისი ნიშანი ესე იყოს, მენჯთა შუა ტკივილი და-უწყოს და ხანჯამიერად სისხლსა, მოფსმიდეს და ყოველთა დღეთა სარცხვენელსა წვერსა ქვიშის მაგიერი სისხლი გამოუვიდოდეს. ესე სენი ვაჟებსა და ყმაწვილებსა და აგრევე ბერთა და მიყრილთა უფრო დაემართების.

10 მ ი ს ი წ ა მ ა ლ ი, მაჯუნსი ბზორელი ზემო რომე სწერია ისი შეუწყევით. და ესე სხვავე წამალი ქვისა იმა ჟამსა რომე ყურძენი გაშავდეს. ახალი ქათამი მოიღეთ, ისი წმინდათ გარეცხეთ და ერთი ოთხისა წლისა თხა იშოვე და და[ა]კვლევიწე და აცალე რომე ცოტა ედინოს სისხლი, მერმე სისხლი სხვა მასუკანით ნადენი დაიჭირე ასდონერთი რომე თხაშიგან სისხლი კიდევ დარჩეს და თავსა წმინდა მანდილი შემოაკარ და ღამით ცასა ქვეშე დადგი და დღისით მზესა ქვეშე დადგი სადამდი გახმებოდეს, მერმე რომე ესე ქვა ან ბუმტში-გან და ან ბოქვენშიგან შექნილიყოს ცოტა გამხმარის სისხლისაგან ამოიღე, თუ დიდი კაცი იყოს და თუ ცოტა იყოს, დიდსა კაცსა 20 დიდი მიეც და ვაჟსა და ცოტასა კაცსა უფრო ცოტა, დანაყე და გაცარ და ერთს თასასა ტკბილსა ღვინოშიგა გაურივე და შეასვი. თუ ესეთი დრო იყოს რომე სისხლი არ იშოებოდეს აჯრალი უდი დანა-ყეთ და ნიახურისა წყლიტა შეზილეთ და ყოველთა დღეთა თხილის

ოდენსა აჰმევედით.

კა თავი და კარი სარცხვენელისა თუ წყლული დაემართოს მისი ნიშანი ესე იყოს, რომე სარცხვენელისა თავმან ტკივილი დაუწყოს და წვა უფრო მაშინ რომე მოფსმიდეს, და ფსმაშიგა სისხლიცა და თხრამლიცა გამოვიდოდეს, ესე სიმხურვალისაგან არის, მისი წამალი ესე იყოს, ბაზარყატუნი ჯულაბითა შეასვან დილეულად 30 ყოველთა დღეთა ნელთბილი. და იისა ფურცელი დანაყე და იისა ზეთითა სარცხვენელზედა შესცხე და კიდევ შეასვით, ან სარცხვენელშიგან ოყნად ჩაასხით, და ნურას ღონისათვის მყავეს ნუ აჰმევეთ და საჰქმელიცა, ასრე რომე თირკმელთათვის გვითქვამს იგი შეუწყევით. და სოსნის ფურცელიცა დანაყონ და ისი ერბოშიგან გაურიონ და სარცხვენელზედა ტლედ შემოსდვან და ამა წამლისა თხელი წვენი გამოარჩიონ და სარცხვენელშიგა ოყნად ჩაასხან.

თ უ ამან არ უშველოს თეთრი შაფი შეუწყონ და ისი ქალისა დედისა რძითა გალესონ და ისიცა ოყნად ჩაასხან და ანუ ვაშლისა

343

წვენითა, და თუ ერთობ ნამეტნავად სტკიოდეს და სუსტად იყოს, თხის რძე ქერის კორკოტისა წვენითა, ბრინჯისა წვენი და ბროწეულისა წვენშიგა გაურივეთ და ისიცა ჩაასხან.

ნ ი შ ა ნ ი რომე ფსელი წვეთ-წვეთად გამოვიდოდეს იმას სპარსულად თაყდილელობავარ ჰქვიან, ესე სენი საჰმელთაგან შეექნების, მხურვალთა და მწვავისა საჰმელთაგან, ღვინისაგან და მიჭირვებისაგან და დედაკაცთან წოლისაგან.

ა მ ი ს ი ნ ი შ ა ნ ი ეს არის, რომე თუ სიმხურვალისაგან იყოს, ფსელი წვეთ-წვეთად გამოვიდოდეს და დაეწოდეს და სული მწოვედ 10 უდიოდეს და ფერი ყვითელი იყოს ფსლისა, რა ესე ნიშანი ნახო, იცოდი რომე სიმხურვალისაგან არის.

მ ი ს ი წ ა მ ა ლ ი, აიღე: დანაყილი ქერი ერთი ჯამი და თხუთმეტი ჯამი წყალი დაასხი ზედა ასთონიერთი ადულე; რომე ხუთსა ჯამზედან მოიყაროს ქაშე ქაში ეს არის რომე, აიღე ამისგან ერთი სასმელი და ზედ ვარდის ზეთი დაასხი და შეასვი ყოველთა დღეთა ქასნის წვენითა, აყიროსა წვენითა, ტაბაშირითა და შაქრითა შეასვი მარგე არის.

ბაზარყატუნისა ლაბა ვარდი და იისა ზეთითა, და შაქრით შეასვით მარგე არის. და შარბათებისაგან, ისრიმისა, რევაჯისა, 20 ხაშხაშისა შარაბი მარგე არის. და აბანოსა ბანა, რომე მისი წყალი კარგი იყოს და ოფლისა დენა ამაშიგა მარგე არის, და საჰმელი ასპანახი და ქერის კორკოტი ნუშის ზეთითა აჰამო მარგე არის. და ღვინისაგან და ხორცისაგან და მწოვეთა და მხურვალთა საჰმლისაგან აფარეუბინეთ. ხორცისაგან ვარიისა ხორცი ისრიმითა ანუ თუთუბოთა შექნილი აჰამეთ.

თ უ ს ი გ რ ი ლ ი ს ა გ ა ნ იყოს ფსელი გამრავლდეს არ ეწოდეს, და ესეცა იქნების, რომე საგებელშიგა უნდომად წაუვიდეს, ამისი მიზეზი ტანის სინედლე არის, ბევრი ხილის ჭამა და საჰმელის ნედლის ჭამა და ღვინის სინედლისაგანაც იქნების.

30 თ უ წვეთ-წვეთი ფსელი გრილი სურმისაჯი იყოს რაცა ეწოდეს და ფერი თეთრი იყოს ¹ ფსელისა, მას დიდი თრიაყი და მასრა

დიტვისი² საჯარანია და ცოტა კრკო შიგ გაურივე და მიეც მარგე არის. აიღე: კრკო და თეთრი საკმელი ათ-ათი დრამი, მაოლაბის, თესლი, თოფალახი, ყურფა ხულინჯანი, ხმელი ანდუზი, ეგირი ქარბა

¹ ეს სიტყვა განმეორებულია.

² „მათრედიტოსი“.

344

ყუელასაგან თვითო დრამი დანაყე. გაცერ და ამისგან სამი დრამი დილასა და სამი სადამოსა მოჭედილის წყლითა მარგე არის.

ნი შ ა ნ ი ფ ს ლ ი ს შ ე კ უ რ ი ს ა, მისი მიზეზი სიმსივნე არის ბუშტის თავისა, და მღიერი არის რომე ბუშტის თავსა გამოვა, ან სისხლი შეეყრების და შეკრავს, ნიშანი თუ მაჯა და სუნთქმა სუსტად იყოს, ხშირად პირისახე გაუყვითლდეს და გულის რევა გამოუჩნდეს. რა ეს ნიშანი ნახო, ამა ზემოთისა სატკივრისა ნიშანი არის. ამას ბასალიყისა მარღვი გაუხსენ, პირველად სისხლი ადინე, რბილი ტლეები შემოსდევ მარგე არის. და თუ თბილსა წყალშივა ჩასვა 10 მშვენიერითა ზეთითა დაზილე და მოისვენოს. და ესე ასრე არის რომე ზროხისა ბუშტი თბილითა წყლითა აავსოს და სადაც სტკიოდეს ზედ დასდვას. მატყლის ფარტენა იის ზეთითა დაასველე და ნელთბილი დასდევ სადაც სტკიოდეს მარგე არის. და შარბათად ძაღლის ყურძენას წვენი და ქასნისა წვენი ცოტა ხიარშამბარისა გულითა მიეც მარგე არის, და მუცელი რბილითა ოყნითა გაუხსენ, რბილი ოყნა ეს არის, აიღე: ხატმი, ულბო, სელი, ქატო, ია თითო მჯიღვი და ზედა ერთი ლიტრა წყალი დაასხი და მოადუღე ასრე, რომე მესამედად მოიყაროს, გამოწურე და ერთი კოვზი იის ზეთი დაასხი და ოყნად ჩასხი. და ამას მოიჭირვე რომე ბაზრაცატუნისა 20 ლაბი დედათა რძითა ანუ ცოტად ქაშქაბითა სარცხვენელშიგან ჩაუწვეთო ამოთ და ბუშტზედა იისა და ბაბუნაჯის ზეთს შესცხებდი. მოხარშული და დანაყილი თალგამი შემოსდევ, მარგე არის. აგრევე ვაშლი შესწვითა და დანაყო და შემოსდვა, მარგე არის. და რა ერთი კვირა გამოვიდეს და ტკივილი დაუწყნარდეს, აიღე: სელი და მსხვილი ცერცივი და ბაბუნაჯი სწორ სწორი დანაყე და ღვინითა მოადუღე და შემოსდევ მარგე არის.

თ უ წარევა დაიწყოს საფანისა მარღვი გაუხსენ მარგე არის, დასალბობი ახმარე, როგორაცა თირკმელთათვის მოგონებული არის.

თ უ ესე სენი სიგრილისაგან იყოს, მისი ნიშანი როგორაცა 30 თირკმლისა სიგრილის ნიშანი არის, ესეცა იმისთანა არის და ნავალი და ფსელი ძნელად გამოვიდეს და ბუშტშიგან სიმძიმე გამოუჩნდეს. წამალი მისი თირკმელთა სიმაგრისა და სიმსივნისა და ამისი ერთი არის და შემოსადებები რაც ამას ზემოთსა სენისა სწერია, ისი უყავით, აგრევე შიგ ჩასაშვებელი რომე სწერია, რბილი ძაბრითა სასირცხოშიგა ჩაუშვით მარგე არის.

თ უ ბ უ შ ტ შ ი გ ა მღიერი იყოს, მისი ნიშანი ის არის, რომე მუდმად ქონდეს და ტკივილი ერთობ იყოს და ფსელი წვით გამოვიდეს და მისი ფსელი რომე დაიჭირო ჭიქითა, რუსუბი ძირს სქელი

იყოს, ხან სისხლი მოფსას, ამისი წამალი: როგორცა თირკმელთა მღიერისა სწერია ისი უყავით. პირველად შარბათები უნდა ასვა ტკბილი ჯულაბი და მულასალი, ქაშქაბი თაფლითა და ძრმითა. ფსლისა კარშიგა ჩაწვეთება უნდა წამლებს და რასთონჯერაცა არ-წყევინებ სჯობს.

თ უ ქ ა რ ი ს ა გ ა ნ იყოს, მისი ნიშანი ეს იყოს რომე სიმძიმე არ იყოს და ტკივილი ხან ზემო და ხან ქვემო იარებოდეს და ხან-დახან კიდევ იყურყურებდეს, ამისი მიზეზი ქარიანის ხილებისაგან და ქარიანის საჭმლისაგან იქნების, მისგან იფარეზოს.

10 წ ა მ ა ლ ი მ ი ს ი: ბედნაჯრისა ზეთი სულასალითა უნდა ჭამოს და საპარსავზედან იასამანისა ზეთსა და თხის ყვერისა ქონსა შესცხებდეთ და სასირცხოშიგა სადაფი, მუშუკი და ბასბასისა ზეთი ჩაუწვეთე. და რაცა კოლინჯისა ქარისათვის მაჯუნი და წამალი სწერია, ამისთვისცა მარგე არის.

თ უ ფსმაშიგან ¹ სარცხვენელი ეწოდეს რაც მყავე არის, ყველასაგან ფარეზი უნდა ქნას, მწვავის საჭმლისაგანცა, მოტკბოსა და რბილის საჭმლისაგან სჭამდეს, არჯალა, უდი და აზზორელ მაჯუნი შეუწყონ რაგვარაცა მაჯუნებშიგა სწერია, ამასაცა აჭმევდენ. მოიღე: ტყაურასა თესლი, სტაფილოსა თესლი თვითოსაგან ოროლი მიტყალი

20 თაფლშიგან გაურიოს და თვითოსა რიგსა, თვითოს მიტყალსა აჭმევდი.

მერმე წამალი ნიახურის თესლი, სტაფილოს თესლი თვითოსაგან ათ-ათი დრამი, პილპილი, სულინჯანი თვითოსაგან შვიდ შვიდი დრამი, ელიქირუმი სამი დრამი, ყუელა დანაყე და ცოტას თაფლშიგა გაურივე, ყოველთა დღეთა სამსამი მიტყალი აჭამე.

თ უ ამან არ უშველოს ნესვის თესლისა და კიტრის თესლისა გული აყიროს თესლის გული და ნანის თესლი და სტაფილოს თესლი სწორ სწორი, გილიერმანი, სამცი არაბი თვითოსაგან სამსამი დრამი, აფიონი სამი დრამი, ნიახურის თესლი ორი დრამი ეს ყუელა დანაყე და გაცერ და წყლითა ყურსი შექენ, თვითო ყურსი ორი დრამი

30 და ყოველთა დღეთა თვითო ყურსი ათს დრამ იის შარბათშიგან გალესე და ერთი კოვზი ნუშის ზეთი შიგ გაურივე და შეასვი, მარგე არის.

ს ხ ვ ა ნ ი შ ა ნ ი სურხუ ბავრისა, რომე უნდომად ფსლისა და ნავალისა წასულასა ჰქვიან, ასრე რომე, არა უნდოდეს და წაუვიდეს, ეს მეტისა სიგრილისაგან იქნების და ბუშტისა ძარღვები გასუსტდე-

¹ ეს სიტყვა განმეორებულია.

ბის, მისგან იქნების და ანუ ფსლისა გამხშირებელის წამლისაგან იქნების, რომე ესვას.

წ ა მ ა ლ ი ამა სენისა ერთობ მარგე არის, აიღე: კრკო, მლაშების თესლი, თოფალახი, მური, ხოლინჯანი, ყურფა ეგირი, ხმელი ანდუზი სწორ სწორი, ყუელა დანაყე ცალკე ცალკე და გაცერ და სუფუფი ქენ, სამი დრამი დილასა და სამი საღამოსა აჭამე და ზედა ძველი ღვინო ასვი.

ს ხ ვ ა წ ა მ ა ლ ი, აიღე: კრკო ორმოცდაათი დრამი, თეთრი საკმელი ოცდაათი დრამი, ხმელი ქინძი ძრმითა დამბალი, გამხმარი

10 და მოხალული, გილი ერმანი, სამცი არაბი ათ-ათი დრამი ყუელა დანაყე და გაცერ სამი დრამი დილასა და სამი სალამოსა ღვინითა და ანუ ისრე მშრალი შეაჭამე.

ს ხ ვ ა, აიღე: ნედლის მურტის ფურცელი და შაბი, თეთრი საკმელი გულნარი და კრკო ტკბილს ღვინოშიგან მოაუდღდე, შარბათი შესასმელი, და ერთი დრამი ნუშის ზეთითა.

თ უ ერთობ სიგრილე მორეოდეს დიდი თრიაყი და მოსრადიტუის და საჯონი ძველითა ღვინითა შეასვით მარგე არის.

ს ხ ვ ა მაჯუნი ამა სენისათვის, აიღე: ტკბილი ნუშის გული, გაფცქვნილი ნახევარ ლიტრა, ყუელა დანაყე და გაურივე და სამსამი-
20 წონა თაფლი გაურივე მოდუღებული და პერულ მოხდილითა, და-ზილე და მაჯუნად შექენ და ყოველთა დღეთა ერთისა ნიგუზისა-ოდენი აჭამე, და მურტისა შარაბიცა მარგე არის.

ნ ი შ ა ნ ი ს ი ს ხ ლ ი ს ა ი ფ ს ლ ი ს ა, ანუ სისხლისა დამეტე-ბისაგან იქნების, ანუ რომე მეტად მხურვალი მაჯუნები ეჭამოს და ძარღვებისა პირი გახსნილ იყოს, მისგან იქნების.

ს ხ ვ ა ნიშანი მისი რომე ძარღვი გახსნილ იყოს სიმხურვალი-საგან მისი ნიშანი ეს იყოს, რომე შარდიცა და ნავალიცა წმინდა იყოს სისხლი ორივე, და სხვათა ასოთა ტკივილი არ იყოს. თუ სისავსე იყოს პირველად ბასლიყისა ძარღვი გაუხსენ, ანუ საფანისა ძარღვი,
30 ბასალიკესა ქვემოთ არის და საჭმელი ნეიშო და ისრიმი აჭამე ნუშის გულითა, ქაქითა და ცოტა ნედლი ქინძი გაურივეთ და სასმელად მარტო უნაბისა შარბათი და ხაშაშის შარბათი და რევაჯის შარაბი ქაქანიჯის შარაბი ეს ყუელა მარგე არის. და რა პირველად სენი გამოჩნდეს, შემკრავსა წამალსა ნუ მისცემ თვარა და დიდი სენი დაი-ბადების.

თ უ ძარღვებისა, გახსნისაგან იყოს, აიღე შაბი გულნარი და ხუნისიაოშანი თვითო დრამი, ქათირა ორი დრამი, სამცი ნახევარ

347

დრამი ყუელა დანაყე და გაცერ, მისგან შესუმა ერთი დრამი, ანუ ერთი მიტყალი კომშის წვენითა, ანუ თოხმაქანისა ფურცლითა.

თ უ ამა შემკრავსა შარბათებისაგან ცოტა გალესო, თუხმაქანისა წვენითა, სასირცხოსა შიგა ძაბრით ჩაუშვა, მარგე არის, და ფერზედა ანუ საპარსავზედან კოტოში მოიკიდოს ასრე რომე სი-სხლსა უკუაყენებს.

თ უ ფსლისა მაგიერად სისხლმან დაიწყოს დენა, იცოდი რომე თირკმელისაგან არის, მას ესე ყურსი შეუწყევით, აიღე: ქარვასი ორი მიტყალი და ნახევარი სამცი არაბი, მისივე ზომა ალთისი გულნარი
10 ერთი დრამი, ლაითეთის ნიახურის თესლი, აფიონი, თვითოსაგან ნახევარ დრამი, ყუელა დანაყე და ყურსი ქენ თვითო მიტყალი ყო-ველთა დღეთა მიტყალ ნახევარი შეასვი, და საჭამადი თუთუბისა წვენითა და ნანა ისრიმითა ნედლისა, ხილებისაგან ფარეზი აქნევი-ნეთ, მლაშისა და მწარისაგანაცა იფარეზოს.

ეს ე ტ ლ ე შეუწყევ, აიღე: გილიერმანი, საბრი, ფუთანაჯი, აზეზი დანაყე და გაცერ და ამამრითა შემოზდევ. ბასალიყეცა გა-უხსენ.

თ უ ამან არ უშველოს, ეს წამალი შეუწყევ, აიღე: ნესვისა თეს-

ლისა და კიტრისა თესლისა გული და სტაფილოსა თესლი თვითო-
20 საგან თვითო დრამი გილიერმანი, სამყი არაბი, ხუნისიაოშანი, თვი-
თოსაგან სამი დრამი და ნახევარი, აფიონი სამი დრამი, ნიახურის
თესლი ორი დრამი, ესე ყუელა დანაყე და ყურსები შექენ, ყოველთა
დღეთა ხაშხაშის შარბათითა შიგ გაურივე და შეასვი.

თ უ შარდი სისხლივით იყოს ბასალიყე ძარღვი გაუხსენ და
საჭმელი შეუწყევ, ქერის კორკოტი ყურსი ბუზურიათა მიეც რომე
ჭამოს და ვარდის ზეთითა ბარკალი დაუზილე და საზარდული.

თ უ ამან არ უშველოს აილე ხაზმიონი ქუნჯითის ზეთითა მოა-
დულე და საზარდულსა შემოსდვან.

სარცხვენელისა. თუ სარცხვენელი დაწყლულეზულ იყოს გა-
30 რეთით და ქაოდეს აილე უმარილი სამი დრამი, გოგირდი და მარი-
ლი ორი დრამი, აფიონი ნახევარ დრამი ეს დანაყე და აფიონი თაფ-
ლისა წყალშიგან გალესე და ეს წამლები შიგ გაურივე და ტლედ
შემოსდე.

ს ხ ვ ა, აილე გოგირდი დანაყე რბილად და იასამანის ზეთშიგა
გაურივე, ისიც ტლედ შემოსდე ¹.

¹ აქ უადგილოდ არის ჩასმული „ყურსი“ უნდა იყოს „ყურისა“.

348

კ ვ ე რ ც ხ ი ს ა ტკივილი სამისაგან არის, ერთი ზაფრისაგან,
ერთი ბალღმისაგან და ერთი ქარისაგან. თუ ქ ა რ ი ს ა გ ა ნ იყოს,
მისი ნიშანი, რომე ხელი დასდვა კვერცხზედა ნამეტნავად ცივი იყოს,
ეგების კიდეცა გაუსივდეს და გამაგრდეს ერთი კვერცხი და ერთი
არა.

წ ა მ ა ლ ი მისი, აილე: შამიანდლისა ძირი და ბალაზური, საფ-
ნიდი სამივე ცეცხლზედა დააყარე და ნიფხავი გაიხადოს და მისსა
ორთქლზედა გარდილაჯოს.

თ უ ზ ა ფ რ ი ს ა გ ა ნ იყოს, მისი ნიშანი: რა ხელი დაზდვა
10 ცხელი იყოს და სწყურდებოდეს და კიდევ გააცხელოს. წამალი მისი,
დანაყე საბრი რბილად და თბილსა წყალშიგან დაზილე და მჭურითა
ზედ შემოსდე.

ს ხ ვ ა, აყირყარა დანაყე და ტლედ შექენ იასამანის ზეთითა და
შემოსდე.

თ უ მაგარი იყოს, და მუცელი უყურყურებდეს, აილე: ნანხუა
დანაყე და თხის ქონი დაადნევ მჭურის პარკი შექენ შიგ ჩაყარე და-
ყური შიგ ჩაუდე.

თუ კაცსა ყური ასტკივდეს და გაუსივდეს, ისი ოთხისაგან
იქნების: ერთსა ფ ა რ ა ყ ჰქვიან, მეორესა ფ ი ტ ყ ი, მესამესა მ ა-
20 რ ა ყ, მეოთხე ქ ა რ ი ს ა გ ა ნ იქნების.

ფ ა რ ა ყ ი ს ა ნიშანი ეს არის რომე ხელი მიახლო იყურყუროს
და დამაგრდეს.

ფ ი ტ ყ ი ის იყოს, რომე კაცი პირადმა დაწვეს და ხელი მი-
იჭიროს დაიძრას და მუცლისაკენ მობრუნდეს.

თ უ მ ა რ ი ყ ი იყოს, უფრო სუსტად უყურყურებდეს და ძალი
არა ჰქონდეს, და ხელი რომ დასდვა მაგარი იყოს.

ა მ ა თ ი წ ა მ ა ლ ი თუ ფიტყი იყოს, უწინ კაცი პირადმა და-

აწვინე და ხელი დააჭირე რომე შევიდეს, მერმე ეს წამლები ზედ დაადევ და დააკარ სადაც ყურელი ¹ იყოს, მოიღე: გუნდა დანაყე 30 და შრეში და გუნდა პირდაპირ ქენი ღვინით მოადულე, ცოტათ რომე გასქელდეს და შემოსდევ და სანამდი არ დავარდეს ნუ აიღებ, რაც ქარიანი საჭმელი იყოს, ყველასაგან იფარეზოს, დედაკაცთან წოლისაგანაც იფარეზოს, მაღალთა საობრისაგანაცა და მიჭირვებისაგანაცა იფარეზოს.

ს ხ ვ ა დ ა ი ჭ ი რ ე: გოგირდი, სადაფის ფურცელი მთახვის ყვერი, სამივ დანაყე და თბილითა წყლითა დაზილე და შემოსდევ ზემოთა წესითა.

¹ ხვრელი.

თ უ ქ ა რ ი ს ა გ ა ნ იყოს, მოიღე ურთხლისა ნიგოზი ორი დრამი და ლაბლაბი, აყაყია, თვითოსაგან თვითო დრამი დანაყე და ღვინითა შემოსდევ.

თ უ ფ ა რ ი ყ ა იყოს, მას ესე წამალი დასდევ, აიღე: ფარფი-ონი, ჯუნდი ბედასტარი, მთახვის ყვერი, გუნდა, და სამივე დანაყე ღვინით დაზილე და შემოსდევ.

თ უ ა მ ა ნ არ უშველოს, დაიჭირე: ზაფრანა, თეთრი და შავი საკმელი და აყირყარა სწორ სწორი დანაყე, თბილითა წყლითა და-ზილე და შემოსდევ.

10 თ უ მუცელში შეკურით იყოს აბი აფლომონი შეუწყევ.

თ უ მ ა რ ყ ი იყოს, წამალი მისი, დაიჭირე: თუხმაქანი, აყი-როსა და კიტრის თესლი, თუხმაქანისა წვენი გამოჰხადე და ნუშის ზეთი გაურივე და ათსა დრამსა იის შარბათშიგან გაურივე ეს წამ-ლებიცა და შეასვი.

თ უ ერთობ გამაგრებულ იყოს და ამან ვერა უშველოს რა, აიღე: მსხვილისა ცერცვისაგან და მუხუდოს ფქვილი, სელი, ულბო, სონიჯი, ეს ყუელა დანაყე და ქუნჯითისა და ნუშის ზეთითა შე-მოსდევ.

კაცსა რომე ყლე და ყვერი ორივე სწორად გაუსივდეს ისი სი-20 სხლისაგან და ზაფრისაგან იქნების. თუ ოდენ მარტო ყვერი გაუსივ-დეს ისი მისგან იქნების, რომე ყვერი თესლისაგან დაცლილიყოს, და დედაკაცთან მისულა უნდოდეს და ასთონიერთი ძალი არა ჰქონდეს რომე მისულა შეიძლოს.

ე რ თ ი ამისაგან იქნების, რომე კაცსა დედაკაცი უნდოდეს და ბორჯალი დავდვას და მისულასა ლამობდეს და ვეღარ მივიდეს, ისი თესლი ყვერშიგა შერჩების და გაუსივდების, წამალი მისი ისი არის, რომე ასთონიერთი ისარჯოს, რომე ისი თესლი გამოვიდეს და მა-შინლა მოისვენებს.

თ უ მისგან არ იყოს ისი სიმსივნე ხელი გაიხსნას და ბარკალ-30 ზედა კოტოში მოიკიდოს და ანუ ზეით გავაზედან, ორთავ მენჯთა შუა. და კიდევცა არწყიოს მარგე არის.

სხვა წამალი, დაიჭირე: ახალი ქინძისა და ქერისა, ბაკლისა ფქვილი და ცოტა ზაფრანი, ცოტა ვარდის ზეთიცა გაურიოს და ამათგან ტლე შექნას და ყვერსა შემოსდვას. თუ სატკივარი მოუმა-

ტოს თარას ფურცელი და ხაშხაშისა ფურცელი ამავე ტლესა მოუ-
მატეთ. და რა ის ტკივილი დაუამდეს, აიღე: ფქვილი ბაკლისა ბაბუ-
ნაჯი და ხატმისა ყვავილი და სელისა ლუაზი ღვინითა მოდუღებული,
ესე ყუელა მაშიგან გაურივე და ყვერსა შემოსდევე ისიცა მარგე არის.

350

ს ხ ვ ა ს ე ნ ი არის რომე ყუერი გაუდიდდეს უმსივრად, ესე და
დედაკაცისა ძუძუს სიდიდე ერთი არის. წამალი მისი, აიღე: წყალი
ბაზრყალობანჯისა და წყალი ახლისა ქინძისა, ერთმანერთშიგან გაუ-
რივე და ყვერზედან შემოსცხევ სიდიდე აღარ მოემატოს, და სხვა
წამალი რაც ძუძუსათვის სწერია, ისი უყავით, ისი წამალი, ისი არის.

ს ხ ვ ა წამალი ყუერისათვის, ბოქვენნი და ყვერი, ასრე გაუსივ-
დეს რომე აღარ ეტყობოდეს და ვედარცა წყალსა დაღურიდეს ამისი
წამალი ეს არის, რომე მუდამა თბილსა წყალშიგა იზანებდეს და
თბილსა და მოცხესა ერბოს იცხებდეს და იზელდეს.

10 თ უ კ ა ც ს ა ყლესა და ყვერშიგა მღერი ესხას, წამალი მისი
საბრისა უკეთესი არა იქნების რა, თუ ახალი იყოს.

თ უ დამველდეს, აიღე თუთია, საბრი, ანძრუთი, თეთრი საკ-
მელი, შადნაჯი, გულნარი, აყაყია და გურკა მჟავისა ბროწეულისა,
ესე ყუელა დამწვარი უნდა და ტლედ ქნას ძრმითა ან წყლითა და
შემოსდვას. თუ ზარევიანდი გრძელი, მური და ზაფრანა და დამწვარი
ქალაღდი და ლახოსტაგი, ესე ამა წამლებსა მოუმატონ, ერთობ
მარგე არის, დაგრეხილი მურდასანგიცა მარგია.

თ უ კაცსა ყლესა და ყუერშიგა ქავილი სჭირდეს, ესე უწინ
მუცელი გაისხნას ალილისა მათბუხითა და მერმე ბარკლის ძირსა
20 და გავაზედა კოტოში მოიკიდოს, და მერმე ესე წამალი შეიცხოს.
მისი წამალი, აიღე: აყაყია, მამისა, თვითოსაგან ნახევარ მიტყალი,
ნიშადური ერთი დანგი, საბრი ერთი დანგი, ზაფრანა ერთი დანგი
აშნოგი ამა ყველასა წონა დანაყილი და გაცრილი ზბკისა თესლითა
ტლედ შემოსდვას და ძმარი და ვარდისა ზეთი ცოტა ერთმანერთშიგა
გაურიონ ცოტა ბორა და ცოტა მავისაჯი, თუ არ იყოს, აყირყარა
შიგ გაურივეთ და აბანოს შევიდეს და ტლე შემოიდვას. და რა აბა-
ნოთ გამოვიდეს კვერცხის ცილი და თაფლი შემოსდვას, მარგე არის.

ნ ი შ ა ნ ი მ ი ს ი რ ო მ ე წ ე ლ ე ბ ი ყ უ ე რ შ ი ჩ ა მ ო ვ ი დ ე ს
და მისსა ადგილსა აღარ მივიდეს. ესე ერთი ქარი არის რომე
30 ფიტყი ჰქვიან, მისი ნიშანი, წამალი ზემო სწერია. და ისი რომე
წელეები ჩამოვა ყ ი ლ ა თ უ ლ ჰქვიან და ერთი ის არის რომე კაკა-
ლი გაუსივდეს და ხელი რომ ამოსდვა მძიმე ექნების და ყუერისა
ტყავი ბზინვას დაიწყებს, მისი წამალი რაც სისხლისა ზიყისათვის
სწერია წამალი და ტლე, ამასაცა ის უყავით ერგების.

და ისი, რომე წელეები ყვერშიგა ჩამოვიდეს, ისი გაიხსნების
მუცლითდაღმა, ყვერშიგა იმა გზითა ჩამოვა წელეები. მისი წამალი
ის არის, რომე კაცსა რა ჟამს ის დაემართოს პირადმა დაწვეს, ზურგ-

351

ზედა, და ორივე ფერხნი მაღლად დაიჭიროს და ხელითა მიიჭიროს
და შეკრიფოს შიგნით.

თ უ გამაგრებულიყოს აბანოშიგა ჩასვით და მერმე ცერეცო მოხარშეთ და შემოსდევით რომე დალბეს და მისი სიმაგრე გამოვიდეს, ბარკალნი დაუზილეთ და ხელითა მიაჭირეთ, რომე მისსავე ალაგს მივიდეს. მერმე ისი მაგრად შეჰკარით რომე აღარ წამოვიდეს. მერმე მოიღე: მური, თეთრი საკმელი, ანძრუთი, საბრი, გუნდა, ბროწეულის ყვავილი, მურტის ფურცელი, სამცი არაბი, იამანი, შრეში, ნანხუა, წებო, ეს ყუელა დანაყეთ, დაალბეთ, სამჯერ, ოთხჯერ

10 ტლედ ზედ დასდევით სადამდის თავის მაგიერად არ დავარდეს ნუ აიღებთ, მაგრად შეუხზვიეთ ბურთითა იმ ადგილს შევიწროვდების, აღარ ჩამოვა. და ზირას გუარიშნს აჭმევდეთ, და მაჯუნათ აზულყარს მაგიერად არის, რაც ქარიანი საჭმელი არის ყველასაგან აფარეხე. და ქვეითად სიარულისაგან, მალლის საუბრისაგან, მაძღარმა დედაკაცთან წოლისაგან, მალლიდამ დაღმა ჩამოსულისაგან გაუფრთხილდი რომე არა ქნას. ფეტუსა, ლობიოსა, ბაკლასა, სხალსა ვაშლსა, ბადრანგისაგან, კიტრისა და ყურძნისაგან, ამათს ჭამისაგან იფარეხოს.

წელების ჩამოსულა ან ცემისაგან, დიდის მიჭირვებისაგან იქნება ანუ მძიმის აღებისაგან. ის ფიტყი ყვერის კაკალი რომ უსივდეს, ის

20 სენის ქარისაგან იქნება ბრძანებითა ღთისათა.

კდ კარი. უკანა კარისა, რაც დაემართოს ქავილითა თუ შუყაყი არის,

თუ უკანა კარი ქაოდეს, ორისაგან იქნების ერთი ჭიისაგან და ერთი ბუასილისაგან, წინა მძღვარი ქარი იქნების.

თუ ჭიისაგან იქნება, ორი ფერი ჭია იქნების, ერთი აყიროს თესლივით, ერთი წურილი იქნება იმისთანა, რომე ზაფხულის ხორცს დაესხმის, მსხილი ჰქვიან, უკანა კარში იქნება, ის, რომე აყიროს თესლსა გავს ის ქვემო ნაწლევეში არის.

ნიშანი თუ ჭიისაგან იყოს, ხანჟამიერად ნავალს აყიროს თესლივით ჭია გაჰყვეს ანუ უფრო წურილი. წამალი მისი, გრილი ტლევბი, 30 ესეც იქნების რომე ხან ჟამიერად ნიფხავშიგაც ჩაუვარდეს, ეს ტლევბი შესცხოს უკანას კარსა, აიღე: ორი თეთრი სასრევი ერთმანერთზედ გალესე და შესცხე მარგე არის ღთითა.

თუ უკანა კარი ქაოდეს მისი წამალი ატმის გურკის გული, წირანი დანაყე ზეთი გამოჰხადე ერთი მიტყალი მუყლი ¹ აზრაყი გაადნევ და ზედ სცხებდი.

¹ სწერია „მუყლი“.

სხვა, მისი წამალი: ერთი მიტყალი დამწვარი შაბი, ერთი მიტყალი შავი ფისი ერთად გაურივე და ზედ დასცხე ცოტა ძმარიც გაურივე და აფთიმონი მათებრიც ააღებინონ ფარეხითა, ერთი მიტყალი საბრი, ერთი მიტყალი ფუდუნის ფურცელი, ნიგოზსა ჰქვიან, ერთი მიტყალი ენდრო, და ვარდის ზეთი და ძმარი, მთის ბროწეულის წვენი, ეს ერთმანერთშიგან გაურივეთ, ერთხელ დილასა და ერთხელ საღამოსა ზედ დასდვას. ხმელის თევზის ხორცისაგან ჭამოს და ახალი თევზი კარგია, და ბასალიყე გაუხსენ.

თუ უკანა კარი გამოუვიდოდეს და სტკიოდეს მისი წამალი, 10 აიღე: ოთხი დრამი თრიმლი, ოთხი დრამი მურტის ფურცელი,

ანუ ნიგუზის ქერქი ოთხი დრამი მარლი, ათი გუნდა დანაყე ნახე-
ვარზედა და წყლით მოადუღე და დიდსა ტაშტშიგან ჩასვით და
კაცმან ნიფხავი გაიხადოს და შიგან ჩასვით წელამდი და სადამდი
გაცივდებოდეს ბევრჯველ უყავით როსცა ამოვიდეს არწყიოს, კარ-
გად მოუხდების, მერმე ეს წამლები შეუწყევით, აიღე: კვერცხის
ყუითელი გული და გაცრილი ფქვილი ცოტა ვარდის ზეთი, ცოტა
აფიონი, ღვინით გალესეთ და წამლები შიგ გაურივეთ და უკანას
კარს შემოსდევით, ძველითა ბანბითა, ამან გაუხეთქოს და ან ყუითე-
ლი და ან სხვა ფერი წყალი ადინოს ან სისხლი. და სალობი შექ-
20 ნას, ბატისა და ქათმის ქონისა, ზროხის ჭლიკის ტვინისა და ცვი-
ლისა და შემოსდვას ძველის ღვინითა და აყაყია დანაყოს და და-
აყაროს კარგი არის და გამოცდილი ნებითა ლთისათა.

ნ ი შ ა ნ ი შ უ ყ ა ყ ი ს ა ისი არის, რომე უკანასა კარსა თხრამლ-
მან ვითამე დაიწყოს დენა, ანუ საჯდომსა გარეშემო წურილი
მღიერი გამოესხას. წამალი მისი ეს არის, რომე უწინ წამლებით
მოდუღებული წყალი დავსწერეთ იმაშიგან ჩასვით და ის უყავით
რაც წამლები სწერია და მერმე ორი გუნდა დანაყეთ და შიგ გაუ-
რივე კვერცხის ცილაშიგან და შემოსდევ ბანბით.,

თ უ ამან არ უშველოს, რაც ბუასირისათვის წამალი დაგვიწე-
30 რია ისი უყავით და ბასალიყეცა გაუხსენით და ორთავე მენჯთა შუა
კოტომში მოჰკიდეთ მარგე არის.

თ უ წურილი მღიერი იყოს, საჯდომსა გარეშემო, და უკანა კარი
გამოექცეს ორისაგან იქნების, სიმხურვალისაგან და სიგრილისაგან.

თ უ ს ი მ ხ უ რ ვ ა ლ ი ს ა გ ა ნ იყოს ეწოდეს და ქაოდეს და
სწყურდებოდეს. წამალი მისი, აიღე: ოსპი ქერქ გამპურალი, და წი-
თელი ვარდი, და ბროწეულის ქერქი და ორი მარცვალი კრკო, ესე
ნახევარზედ დანაყეთ და თბილისა წყლითა გამოსწურეთ და კაცი

353

შიგ ჩასვით და მერმე ის ნაწური ზედ შემოსდევ როგორცა ამო-
ვიდეს.

თუ ს ი გ რ ი ლ ი ს ა გ ა ნ იყოს, არწყევდეს არცა ქაოდეს ¹ და
არცა სწყურდებოდეს და უმისოდ სტკიოდეს, წამალი მისი, აიღე:
მგურგვალი კრკო ორი მარცვალი მუხისა, და ქონდარი, ეს მოხალე
და ძველსა ღვინოშიგან დაალბე ერთსა დღესა და ერთსა ღამესა, და
მერმე ისი კაცი ამა ღვინოშიგან ჩასვით. რა იქიდალმან გამოვიდეს,
მერმე მწარე წირანისა გული ² დანაყეთ და ზედ დასდევით.

ს ხ ვ ა, აიღე ბროწეულის ყვავილი და მისი ქერქი და გუნდა
10 მარგალიტისა სადაფი დამწვარი და შაბიამანი და ფურცელი ლეთუ-
თუზისა და რძე მისი, ესე დანაყილი რა საჯდომი გამოუვიდეს ზედ
მოაყაროს და აყარყარაცა კარგია, რომე მოაყაროთ, ბრძანებითა
ლთისათა.

ნიშანი და წამალი ბუასირისა თუ უკანასა კარსა სისხლმა და-
ოწყოს დენა იცოდით, რომე ბუასილის ნიშანი არის, როგორცა ეს
ნიშანი ნახოთ ფიცხლავ უწამლეთ, თვარადა ბუასილად გარდაიქ-
ცევის.

მისი იცოდეთ რომე სამფერი არის და თვითოსა ბუასირისა
ნიშანი თვითო არის. ერთი არის ყ უ რ ძ ნ ი ს ა მარცვალსა ჰგავს, და

20 ერთი ლეღვივით არის, იქნების რომე თავვისათვის ჩამოეკიდოს, ხვარ-
ბლის მარცვალსა პგავს ისი უფრო სამსავე ნაკერი წურილი აბია,
და რომელიც ხვარბლის მარცვალსა ჰგავს ისი უფრო სატკივარიანი
არის. ის უფრო შიგნით ფსლის გზას შესტსაცებს და არ გამოუშვებს
ასრე, რომე გასივდების და ძნელი არის ისი, და სხვანიცა ერთობ
მაწყინარია.

წ ა მ ა ლ ი მისი პირველად ბასილიყე გაუხსენ და ორთავე მენჯ-
თა შუა კოტოში მოჰკიდე. და უკანას კარს ათიოდენ წურბელი
მოჰკიდონ ერთობ კარგი არის.

ს ხ ვ ა, წამალი: უმი ხახვი დანაყე შემოსდევ რომე სისხლი გა-
30 ხსნას და გამოწმინდოს, მერმე ნემსისა წვერითა დაჩხულიტოს. მერმე
აიღე უმარილი და მურდასანგი გარცხილი და ვარდის ზეთი გაურიე
და ზედ შემოსდევით და როგორაც ხმებოდეს ვარდის ზეთით კიდევ
გაუახლებდეს. მანამდინ დასდვან სადამდინ ის ბუასილი გათეთრდეს,
მასუკანით ცოტა ძმარი მოუმატოს და შემოსდვას რომე გათეთრდეს.
და საჭმელი რაცა ქარიანი იყოს ივარეზოს.

¹ სწერია „ქონდეს“.

² ამ სიტყვას სტრიქონზემოდან აწერია „ქერამია“.

354

და ფარფიონის ¹ მაჯუნი შეუწყევით, რომე ძირითა ამოაგდოს
და ცოტა პატრფული ² ან დიდი პატრფული აჭამეთ ერთობ მარგე
არის, და ესე ნუყლისა აბი შეუწყევით, აიღე: ქაბული ალილა ათი
დრამი, ბალილა ³, ამილა თვითოსაგან თვითო უკია, მუყლი სამი
დრამი, მუყლი ქერის წვენშიგან დაალბე და ეს სხვა წამლები შიგ
გაურივე დაზილე და აბები შექენ პილპილისა ოდენი და ყოველთა
დღეთა ოროლი დრამი აჭამე. და რაცა საჭმელი ჭამოს ყუვლაშიგან
პრასას ურევდეს და ნიგუზის ზეთსა.

თ უ სხვა ფერი იყოს, საჭმელად მუხუდოსა წვენი შეუწყევით
10 ნიგუზისა ზეთითა.

თ უ ცხლად და უსუსურად იყოს, ვარიას აჭმევდეთ კომშისა
წვენიტა.

ს ხ ვ ა, ცოტა სუმბული დანაყე და ცოტას წყლითა შეზილე და
შემოსდევ.

ს ხ ვ ა ცერეცო დანაყე და წყალშიგა შეზილე და შემოსდევ.

ს ხ ვ ა ხახვი შეწვი მერმე დანაყე და წყალი ძველითა ზროხის
ქონითა მოადულე და დაზილე და შემოსდევ.

ს ხ ვ ა, აიღე ბზისა ფოთოლი და პიტნა წყლით მოადულე და
კაცი ჩასვი.

20 ს ხ ვ ა აყაყია და ვარდის ზეთი გაურივე და რა აბანოთ გა-
მოვიდეს შემოსდევ.

ს ხ ვ ა აიღე საბრი დანაყე და იასამანის ზეთი გაურივე და
შემოსდევ.

ს ხ ვ ა აიღე აფიონი, გულნარი და შაბი, გაზმაზუ და ვარდის
ფურცელი, ყუელა დანაყე და ძველს ძმარშიგან გაურივე და ისიცა
შემოსდევ.

თ უ უკანა კარი დაწყლულეზულიყოს აიღე ზროხის ჭლიკის
ტვინი, ბატის ქონი, ქათმის ქონი, ცვილი, ერთად მალამად შექენით

და შემოსდევით.

30 ს ხ ვ ა აიღე აქლემისა ქონი, ზარნიხი და ჟანგარო დანაყე და იმა აქლემის ქონშიგან გაურივე და შემოსდევე, ცოტა ვარდის ზეთი გაურივე.

ს ხ ვ ა აიღე პრასის წვენი, ხახვის წვენი, ინა, პილპილი, და-
ნაყე და ყველა აქლემის ქონშიგ გაურივე და შემოსდევე.

¹ სწერია „ფარმიუნას“.

² ატრაფილია.

³ სწერია „მალილა“.

ს ხ ვ ა წამალი ბუასილისა, რომე უკანასა კარსა გარეთ ან ბუასირი და ან მეჭეჭი ებას, ის მოკვეთს როგორაცა დანით მოკვეთოს, გააქარვებს რომე სიგრილისა ტენისაგან შექნილი იყოს და გახეთქს სიმსივნესა, აიღებს და გარდააგდებს მეჭეჭსა ტანისაგან.

წ ა მ ლ ე ბ ი მისი, აიღე: კირი დამწვარი, რომელსა წყალი არ მოხდომოდეს წონა დრამისა ხუთისა, კილე წონი დრამისა სამისა, ჟანგარო წონა დრამისა ორისა, ნიშადური წონი დრამისა ორისა და ბავრუკი წონა დრამისა ერთისა, შეკრიბენ ესე წამლები დანაყე, გაცერ შარითა, და მოიღე ფსელი ყმაწვილისა ქალწულისა და დაას-
10 ხი ზედა ფსელი და გაუდგი მზესა და მანამდი ასხემდი ზედა ფსელსა, როგორაცა ხმებოდეს დაასხემდით, ვირემდი სქელი თაფლივით შეიქნებოდეს და სადაცა იგი მეჭეჭი და ბუასირი იყოს ზედ ასრე დასცხეთ, რომე მთელსა ადგილსა არ მიხუდეს, თვარემ დააწყლოლებს და ერგოს ნებითა ღ~თისათა.

ს ხ ვ ა წამალი ბუასირისა, ამავე საქმესა იქს, რომე ზემო დავ-
სწერეთ, ისი იქს. აიღე: არჯასპი, კილე ¹ და კირი რომე წყალი არ მიხდომოდეს წონა დრამისა ოცოცისა და ამარტა წითელი და ჯაგ-
ნარა, კვერცხის გული წონა დრამისა ათათისა დანაყე, გაცარ თან-
გირათა ჩაყარე და თანა ყრმათა ფსელი ჩაურთე ორი ლიტრა და
20 აადულე წყნარად ვირემდის ნახევრად მოიყრებოდეს და შუშაშიგა ჩაასხი და როდეს გინდეს აიღე კირი, რომე წყალი არ მიხდომოდეს და მარილი, ბავრუკი, ამათგან სწორ სწორი დანაყე და გაადგინე წყლითა ამითა რომე შუშაშიგან ჩაგესხას და მას ადგილსა ზედა დას-
დევე რომელსა მოკვეთა გინდოდეს ან გაპობა და ანუ ძირითა ამოგ-
დება. და ეკრძალე რომე მრთელსა ადგილსა არ მიხუდეს თვარემ მოსწვავს, და ესე ამოაგდებს ბუასირსა უმიზეზოდ. და იმასა რაოდეს შენი ნება აღსრულდეს, მას ადგილსა თეთრი მალამა დასდევე რომე სწერია მალამაშიგა, ერგების ნებითა ღ~თისათა.

ს ხ ვ ა წამალი ბიასირისა რომე ა ბ ი ნ უ ყ ლ ი ჰქვიათ. თუ, კაც-
30 სა ბუასირი სჭირდეს და ან ქავილი უკანის კარშიგან, მას უშველის. და რომე ბუასირი გასქედეს და სისხლი სდიოდეს მას უშველის. აიღე: რაცა ალილა იყოს ყველასაგან თვითო მიტყალი და ბრანგი ქაბული, თურბითი თეთრი ოროლი დანგი, შასთარისა თესლი, ანი-
სონი თვითოსაგან თვითო დრამი, მუყლი აზრაცი ოთხი დრამი, შამანდალი ნახევარ დრამი, საყმუნია ერთი დანგი, ეს წამლები ერთ პირად დანაყე და გაცერ და პრასის წვენითა დააგორგალონ და აბე-

ბი შექნან მისგან შექმა ორი დრამი, თუ გერჩივნოს თაბლიჰინდისა წყლითა შეასვით, გალესე არა გავარა.

შ ა გ ი, უკანა კარი რომე ჰქაოდეს მას უშველის, აიღე: მური და ქუნდური, რომე თეთრი საკმელი არის, სამცი არაბი, მური ახვაინი, ზაფრანა, ავრიონმა, ეს წამლები სწორ სწორი დანაყე ცალკე ცალკე და გაცერ და კვერცხის გული ყვითელი თან გაურივეთ და ხურმის გულის ოდენი პატრუკი შექენით და ჩრდილსა გაახმეთ და ვისაც უკანა კარი ჰქაოდეს აიღოს და უშველის ნებითა ღ~თისათა.

10 ს ხ ვ ა შ ა გ ი, რომე ბუვასირი შიგნით იყოს, გაახმოს და ჩა-მოაგდოს. აიღე: თეთრი საკმელი, გულნარი, გუნდა, სურმა, აყაყია ყულა სწორ სწორი დანაყე და კვერცხის გულითა დაზილე და შაფები შექენ გრძელ გრძელი და ააღებინებდი ყოველთა დღეთა.

ს ხ ვ ა შ ა გ ი გამოცდილი, აიღე: ტრედის სკინტი რაერთიცა გინდოდეს და ზროხის ნაღველითა შეზილე და შაფები შექენ და გაახმე და ააღებინებდი. და თუ ამა წამლებმან უკანა კარი დაუწყლოროს, ამა თეთრითა მალამითა გაუმრთელე, აიღე: უმარილო ხუთი დრამი, მურდასანგი ერთი დრამი, ორივე დანაყე წმინდათ გაცერ და მერმე აიღე თეთრი ცვილი ოთხი დრამი, ვარდის ზეთი ათი დრამი და ცვილი და ზეთი მოადუღე და ამა წამლებზედა დაასხი,

20 ავანგიგა და ავანისა თავითა კარგად დაურივეთ სადამდის გასქელდებოდეს და გაცივდებოდეს, მერმე აიღე ორის კვერცხისა ცილა და ზედ დაასხი კულავე ურივე სადამდისი გასწორდებოდეს.

ს ხ ვ ა, ქაფურის მალამა რომე უკანა კარი ეწოდეს ბოვასირისაგან მას უშველის და ბაგე რომ გახეთქილი იყოს, მასაც უშველის და ცეცხლითა დამწვარსაც უოშველის. აიღე: თეთრი მურდასანგი და უმარილო, სწორ სწორი დანაყილი და გაცრილი, მერმე აიღე ორი მიტყალი ცვილი, რვა მიტყალი ვარდის ზეთი და ერთმანერთში გაურივეთ და ერთად გაადნევ და ამა წამლებზედ, დაასხით ავანშიგა და ურივეთ სადამდისინ გასწორდეს, მერმე ორის კვერცხისა ცილა

30 დაასხი: და კულა ურივე რომე გასწორდეს, მერმე ცოტა ქაფური გაურივეთ და კულა ურივეთ რომე გასწორდეს.

ს ხ ვ ა მალამა ბუასირისა ძირისათა ამოაგდებს ბძანებითა ღ~თისათა, აიღე ხმელი ღარიკონი ორი დრამი, აფიონი სამი დრამი, ქაფური ორი დრამი, ანძარუთი ორი დრამი, აქლემის ქონი ან ორი დრამი, შირხიშტის ზეთი რვა დრამი, ცვილი ორი დრამი, ვერცხლის წყალი ინითა მოკალ, ცვილი და აქლემის ქონი და ზეთი გაადნევ და ის სხვა წამლები შიგ გაურივე და მალამად შექენ და რა

მოგინდეს პატრუკი შექენ ბანბისა და ზედ დასცხებდი უკანასა კარშიგან ააღებინე.

ს ხ ვ ა წამალი ბუვასირისა. საკმეველი ერგების ბოვასირის საჩინოსა და დააყუდებს ტკივილსა და ტეხასა მისსა, დააცხრობს სიმსივნესა და ზოგსა ძირითურთ ამოაგდებს. აიღე ბალზურის თესლი

ერთი ნაწილი და ქაბრისა ძირისა ქერქი ერთი ნაწილი და მაჰა ხმელი ერთი ნაწილი დანაყე და ყოველნი შეურიევნე და მერმე აიღე კოკა და ფასვერი მოუკეთე ხერხითა და საცეცხურთა შიგა ცეცხლი ჩადევ და ცეცხლშიგა ჩააგდო ესე წამალი დრამისა წონა და იგი 10 კოკა ამა საცეცხლურად ზედა გარდაარქვი და სნეული იმა კოკისა პირზედა დასვი, რომე ბოვასირი გარე გავიდეს და გამოექცეს და იგი საკმეველი ეცეს კარგად და მოვარდეს იგი და დაუყუდდეს ტკივილი და გამრთელდეს ნებითა ლ~თისათა.

ნ ი შ ა ნ ი, საკმეველისა სხვა ბოვასირისათვის, ამოაგდებს ძირითურთ, და გახმობისა, აიღე: გველისა ქერქი და ბალადურისა თესლი და ქაფური ¹, ძირი და ქერქი კუჭუნზარასი ² და მდოგი თეთრი, ამადგან სწორი ნაწილი შეკრიბენ და დანაყე და აიღე მისგან წონა დრამისა და ცეცხლზედა დაადევ რომელი საცეცხლურთა ზედა იყოს, იგი ფასკუარა მოკვეთილი კოკა საცეცხლურითა ზედა 20 გარდაარქვით და სნეული კოკისა პირსა დასვით და ქმნა ³ ესე მრავალჯერ დაუყუდებს ტკივილსა ნებითა ლ~თისათა.

ე რ თ ი ს ხ ვ ა არის რომე ბოვასირისა ქარი ჰქვიან და ესე ქარი მძიმე და სქელი ქარი არის და ორთავე ფერხშიგა და თირკმელთა უკანასა კარშიგან იარების ესე სენი, თირკმელსა და მისსა გარეშემოშიგან შეექნების და მას ქარი ბოვასირი ჰქვიან და იცოდეთ, რომე ისი სატკივარი მრავალი იქნების.

ამისი წამალი მაჯუნითა არის და სხვა წამლებიცა რომე ესე ქარი გატეხოს, ასრე უნდა რომე აქიმმან გასინჯოს და მისსა საჭმელზედა დაარიგოს, ყველას ესე სჯობს, რაც საჭმელი სისხლსა მო- 30 ერეოდეს და სევდად გარდაექცეოდეს მისგან აფარეზოს, ისი ესე არის, რაცა მფრინველი წყალშიგა ზის, ნიორი, ხახვი და ხარდალი და ნიადაგ სიმთურალე, ამათგან იფარეზოს. და რაცა ქარიანი ხილი იყოს, ყოვლისაგან იფარეზოს, მას ესე კარგად მოუხდების რომე მუდმად იარებოდეს და ტანსა რჯიდეს, იბანდეს, ნიადაგ ტანსა იზელ-

¹ სწერია „ქაფურისა“.

² ეს ფრაზა დაზნეულია ტექსტში: ძირი და თესლი ქაფურთანაა.

³ სწერია „ქამანა“.

დეს, ამად რომე არარადი ღარიზი გასკდეს და ქვევით გაიაროს და მისსა საჭმელშიგა პრასასა ურევდეს, ისიც კარგი არის, და ატრე-ბული მუყლისა არგებს, აბი მუყლიცა კარგი არის.

მისი საჭმელი ზირაბაჯი და ბატკანი და ქათმისა ხარშო და მუხუდოსა დაღერდილსა სჭამდეს შირბახტითა ანუ ნუშის ზეთითა ანუ წირანისა გულისა ზეთითა შექნილსა სჭამდეს და მხურვალი საჭმელი კარგი არის.

წ ა მ ა ლ ი მისი რომე ბავასირისა ქარი გატეხოს, აიღე: ქაბრისა ძირი ქერქი ათი მიტყალი და სათარი ხუთი მიტყალი, ეს ორი- 10 ვე ერთად დანაყეთ და გაცერით და ორსა მიტყალსა მსუქანსა ხარშოსა ზედან მოიყრიდეს და სჭამდეს.

ო ყ ნ ა, რომე ბოვასირისა ქარი გატეხოს, აიღე ცერეცოსა წვენი სამოცი დრამი, პრასის წვენი ოცდაათი დრამი, თაფლი და შირბახტისა ზეთი და აბთალხაზრისა ზეთი, თვითოსაგან თვითო მომ-

ცრო კვანჩხი ყველა მოადულე და ოყნად ჩაასხით მარგე არის. აბთალ-
ხაზარ მასტაქის ხეს რომ ხილი მოესხმის იმასა ჰქვიან.

ბავასირისა უფალსა რაჟამს მუხლზედა შავმავი მღიერივითა
რამე ამოუვიდეს, ოცს დღემდის არა დარჩეს.

კბ. კარი ჭიისა.

20 იცოდით ჭია მუცელშიგა რომე დაიბადების სამფერი არის,

ერთი გრძელი და წურილი არის, ერთი მოკლე და უფრო მსხვილი
არის, ერთი აყიროს თესლსა გავს.

ა წ ე აქიმი მეცნიერი უნდა, რომე შეიგნოს ვითა რომლისა
ჭამისაგან არის დაბადება იმა ჭიებისა, ისი ნანახავა ¹ არის, და ქე-
რის პური, ხმიადი და კეცეულის პურისაგან და კიტრისაგან და რძი-
საგან და მჭლისა ზროხისა ხორცისაგან და მიწის ჭამისაგან და მსუქ-
ნისა საჭმლისაგან და ოდოშისაგან და მსხვილისა ცერცვისაგან და
მუხუდოსაგან, ქერისა და ბრინჯისაგან და ლობიოსაგან და უმწი-
30 ფარის ხილისაგან და ბევრის ხახვისაგან, ამათ თუ მუდმად სჭამს,
ამათის ჭამისაგან დაიბადების ჭია.

ა წ ე ეს მოგახსენოთ თუ ამათგან მუცელსა რომელი საჭმელი
გასწმენდს, ნიორი, წიწმატი და ნიგოზი, ბრანდი ქვაბული, ქულდ-
რეუ, აბანილი, ალილა, ინდოური ნიგოზი, ნიშადური, სონიჯი, ალ-
თული, ელიქირუმი რომე მასტაქი არის, ბროწეულისა ქერქი, ესენი
გამოსწმენდს ამა ჭიისაგან მუცელსა.

¹ „ნანხუა“.

ნ ი შ ა ნ ი მისი რომე გრძელი ჭია იყოს და წურილი, სტო-
მაქშიგან იქნების, და დიდი და გრძელი მისთვის იქნების რომე რა-
საცა კაცი სჭამს, საჭმელსა ყველა იმა ჭიასა მიხუდების და ისი სჭამს
და მისთვის გაიზრდების დიდი. მისი ნ ი შ ა ნ ი ეს არის, რომე ხახა
საჭმელსა ძნელად ჩაუშვებს, ისი ჭია გველივითა იგრიხოდეს და არ-
ცა დღისით და არცა ღამით მოსვენება არა ჰქონდეს და დასაპყარ-
დეს, და რა მილისაგან გაეღვიძოს თვალისა ახილვა ეძნელებოდეს.

მ ა ს ქ ვ ე მ ო თ სხვა ჭია იქნების, და ისი წითელი და უფრო
ცოტა იქნების ამისთვის, რომე ისი დიდი კია საჭმელსა არ გაუშ-
10 ვებს და ცოტა მიხუდების, და ცოტა ჭია მისთვის იქნების.

მ ა ს ქ ვ ე მ ო თ სხვა უფრო წურილი ჭია იქნების, იმისთანა
რომე ხორცისა მატლი იქნების, მისი საჭმელი უფრო ცოტა მიხუდე-
ბის, ისი მისთვის იქნების ცოტა, და აყიროსა თესლსა რომე ჰგავს,
ის ცალკე არის, სხვა გვარი არის.

ა წ ე გრძელის ჭიის წამალი, აიღე: დარუნაჯი და აბანილი,
თვითოსაგან თვითო დრამი დანაყე და ძრმით გაურივე და მიეც
რომე ჭამოს.

ს ხ ვ ა, აიღე: ყამბილი და ხვარასანი და ტუტის ძირის ქერქი,
ბროწეულის ძირის ქერქი დანაყე, და თუდარი ორფერი წითელი
20 და ყვითელი თვითოსაგან ორი დრამი დანაყე, გაცერ და თაფლითა
ჭამოს სამს დღესა ამა ჭიისა პატრონსა ნიგოზი და რძე აჭამე, რომე
ჭია ყველა ერთსა ალაგსა შეიყაროს, მეოთხეს დღეს ეს წამლები

თაფლშიგა გაურივე, ჭამოს, გამოსწმენდს. მისგან თუ კიდევ დარჩეს, აიღე: ბრანგი ქაბული ორი დრამი, თურბითი და ალილა თვითო დრამი, ინდოური ნიგოზი ორი დრამი, ნიშადური ერთი დრამი ესეები ყუელა დანაყე ისრევე პირველსა დღესა ნიგოზი და რძე ჭამოს და მერმე ეს მიეც და სრულად გამოსწმენდს რაც ჭია არის ყუელასა.

ა ყ ი რ ო ს თ ე ს ლ ი ს ჭიის წამალი, შვიდსა დღესა ნიგოზი ძმარშიგა ჩადვას მას უკანით დანაყე ისი და ნახევარი დრამი ქელდარი 30 და ნახევარ დრამი ყამბილი, ნიორი და ვაშაყი ნახევარ დრამი მიეც თაფლითა და ილევა ესე გზას გახსნის და ერთსა ან ორსა გამოიღებს, მერმე ეს მიეც ბუდითურთ გამოიღებს, აიღე: ბრანგი ქაბული შვიდი დრამი, ხვარასანი სამი დრამი, აბანილი სამი დრამი, ფამბილი ხუთი დანგი, თურბუთი ორი მიტყალი, გუნდა, ინდოური შამიანდალი ორი დანგი, ტუტის ძირი და ბროწეულის ძირი თვითოსაგან სამსამი მიტყალი, ნიშადური და სონიჯი და ალთეთი ოროლი დრამი, ფილფილი დარიჩინი, ოროლი დრამი, რაც დასანაყელი იყოს, დანაყე და რაც ასადულებელი იყოს აადუღე და ერთად გაუ-

360

რივე და ერთი დანგი საყამუნია გაურივე და შაქრით გაატკბევ და შეასვი და უშველის და გამოიღებს ბუდითურთ ღთითა, გამოცდილი არის, თუ შეეძლოს ერთად მიეც, თვარა ორად გაუყავ.

ს ხ ვ ა, წურილის ჭიის წამალი, აიღე წყლის პიტნა დანაყე და მისი წვენი დაიჭირე, აიღე ნიახურის თესლი დანაყე და ხუთი დრამი და იმა წყალშიგა გაურივე და თუდარი ორი დრამი დანაყე და ისიც შიგ გაურივე და სამი დრამი ხვარასანი იმავ წყალშიგა, გაურივე და დაამგურგვალე აბივითა, თვითო სმა ღვინითა შეადუღე და შეასვი.

10 თ უ ამან არ გამოსწმინდოს, აიღე: თირმისი ¹ ინდოური ნიგოზი, ბრანგი ქაბული, თვითოსაგან სამი დრამი, პიტნა შინაური, ქაბრი, სარნუბი, თვითოსაგან ოროლი დრამი, დანაყე, თაფლშიგა გაურივე და მიეც უშველის.

ნ ი შ ა ნ ი შეიტყო ჭიის ², აქიმთა, თუ ორგუნებად რყოს, თუ ეს სენი ჭია არის თუ არაო, ღამით რომე პირსა თბილი წყალი მოსდიოდეს და გული ეშლებოდეს და კბილებს ერთმანერთზედ დადგმიდეს, იცოდი რომე დასტურად ჭია არის.

კდ. კარი იარყინისისა ³, მუფასილისა და მიკრისისა.

20 სამივე [ამ] კარში სწერია. და სამისავე წამალი ერთი არის, და გვარადაც ერთნი არიან, პირველად ირყინისაი დავსწეროთ.

ნიშანი. ირყინისაი ამას პქვიან, რომე თემონი სტკიოდეს, ეგების მენჯთაცა დაუწყონ ტკივილი, ჩამოვა და კოჭთამდის ის იყოს და თემოთ თავით ვიდრე ფრჩხილამდის იყოს. ტკივილი ესე ორისაგან იქნების ს ი ს ხ ლ ი ს ა გ ა ნ და ან ბ ა ლ ღ მ ი ს ა სინედლისაგან.

თ უ ს ი ს ხ ლ ი ს ა გ ა ნ იყოს, მისი ფერი წითელი იყოს და ხელი რომე დასდვა ცხელი იყოს და მარღვები სავსედ იყოს, მას გასახსნელი მიეც შასთარისა მათბუხისა და შიგა თაბრიჰინდი და ხიარ შამბარისა გული და თარანგუბინი ათ-ათი დრამი შიგა დამბალი და გამოწურვილი გაურივე და შეასვი ფარეხითა და შუა მარ-

30 ღვიცა გაუხსენ და გრილი ტლევბიცა შემოსდევ სადაცა სტკიოდეს, გრილი ტლევბი ეს არის, აიღე: ზროხისა მაწონი ქერის ფქვილი, კვერცხის ცილა, ცოტა ძმარი, სანდალი, ქაფური, ტირიფის წვენი, ერთმანერთშიგან გაურივე და შემოსდევ ზედაზედა.

თ უ ბ ა ლ დ მ ი ს ა გ ა ნ იყოს, მისი ნიშანი ეს არის რომე თეთ-

¹ სწერია „ათორ მისი“, ² სწერია „ბის“ ³ შეცდომითა სწერია „იარა-ყანისა“.

რი იყოს ფერად სადაცა სტკიოდეს და ისი ადგილი ცივი იყოს და მისი შარდი საპონისა წყალსა გვანდეს, თეთრი და ხვითქიანი იყოს.

მისი წამალი, პირველად აბი სურინჯანი მიეცი, როგორაცა საქმობა დაუწყოს შარაბი უსული შეასვით და არწყევინეთ კარგად მერმე რეყაიმან, მავლი არის და ხაზმიონი, შავი საკმელი არის, და ფარფიონი ზაბაყისა ზეთითა და ზეთ ¹ ქვემომდი დაზილონ თემო და ფერხები.

თ უ ამით არ ეშველოს შამანდალი და არტაანისა ორივე და-
ნაყოს და შაფები შექნას თბილითა წყლითა, მისგან ასთონი ააღე-
10 ბინე, რომე საჯდომი დაწყლულდეს, მაშინ გამრთელდეს, ისიცა მერმე თეთრის მალამითა გაამრთელონ და ასეთი წამალიცა ააღები-
ნე, რომე თემონი იმა სენისაგან გამოწმდეს. მათბუხებშიგან მონახეთ, და იგიცა უყავით როგორაცა დღეეაბშიგა სწერია ერთობ მარგე არის.

ს ხ ვ ა წ ა მ ა ლ ი მუფასილისა და ნიკრისისა სწერია ისი უყავით.

ნ ი შ ნ ა დ. მუფასილისა და ნიკრისისა სატკივარი ერთი არის, მაგრა მათ შუა ნიშანი ესე არის, რომე ნ ი კ რ ი ს ი ს ა ტკივილი სახსარშიგა იარების.

იცოდით მუფასილი სიმხურვალისაგანაცა არის და სიგრილი-
საგანაცა. თუ ს ი მ ხ უ რ ვ ა ლ ი ს ა გ ა ნ იყოს, ისი ადგილი რომე
20 სტკიოდეს წითელი იყოს და ცხელი ებას და ტანზედაც ცხლად იყოს და სწყურდებოდეს და რა დაჯდეს უკეთ იყოს და რა ადგეს უვარე იყოს.

ს ხ ვ ა ნიშანი, რაცა ნიკრისისათვის სწერია ისივე ამისი არის და წამალიცა ის უყავით, მისი წამალი პირველად გასახსნელი მიე-
ცით ქასნისა წვენითა, მერმე მას უკანით, ხელი გაუხსენით, აიღე: ინა და სინამაქი, დანაყე და ინაში გაურივე და ზედა შემოსდევ.

ს ხ ვ ა, აიღე: ია და ძალის ყურძენას წვენი და ქინძის წვენი და მრავალ ძარღვას თესლიცა გაახმე დანაყე და აზომიერთი მისივე
თესლი, მისი წონა ბანის თესლი, ამათ ოდენი ქერის ფქვილი ამა
30 წვენშიგა გაურივეთ და სამოსლითა მუფასილზედა შემოსდევ დღივ ორჯელ.

ს ხ ვ ა, აიღე: სანდალი და ქინძის წვენშიგა გალესე, ქაფური, გილი ერმანი, ფულფული და აფიონი, ბაზრაცატუნი, ყველა დანაყე და ძრმით შეზილე და შემოსდევ.

თ უ ამან არა უშველოს რა, უმარილო, ვარდის ზეთში გაური-
ვე და ვარდის ზეთი და ცოტა ქაფური შემოსდევ და საჭმელად რაც გრილი და მონედლო იყოს ის შეუწყევით.

¹ სწერია „ზეთი“.

თუ ბ ა ლ ღ მ ი ს ა გ ა ნ იყოს, მისი ნიშანი, რომე სადაც სტკიოდეს თავის ფერზედ იყოს და უფრო მოთეთროდ, იხი ადგილი ცივი იყოს და არა სწყურდებოდეს, რა ეს ნიშანი ნახო იცოდი, რომე მუფასილი ბალღმისაგან არის, პირველად რწყევის წამალი შეუწყევ, ყოველთა კვირათა სამჯერ აბი სურინჯანი აალებინეთ. მისი წამალი, დაიჭირე: საბრი, ხაზმუნნი აყაყია და შავი საკმელი, ხატმი დანაყე და მერმე ქუნჯითის ზეთი გაურივე და კიდევ მოადუღე ასრე რომე წყალი დაშრეს და ზეთი დარჩეს და მერმე მტკივანზე შემოსდებდი.

10 თუ არ ეშველოს აიღე მური და საბრი და ყუსტი და გოგირ-
დი და ბაზა¹ სწორ სწორი შემოსდევე და ოყნაცა უყავ, იმა ოყნითა რომე ფილენჯისათვის გვითქვამს.

თუ არ უშველოს, ქაქი, ზაფრანა დანაყე და კვერცხის გულში-
გან გაურივე და შემოსდევე. თუ ის არ იყოს, სუმბულის ზეთით დაუ-
ზილე.

ნიშანი ნიკრისისა იცოდით ნიკრისისა ტკივილი და მუფასი-
ლისა ტკივილი ერთმანერთსა გავს და მათშუა ნიშანი ეს არის, რომე,
მუფასილი ადგილს იცვლის და ნიკრისი არ დაიძურის მისგან ად-
გილსა.

120 რა ეს სენი შეექნას კაცსა გასინჯეთ თუ დამკლდეს და ძარღ-
ვები დაუმოკლდეს აღარ ეშველების, ხელს ნუ მიჰყოფს, იცოდი რო-
მე ერთი ს ი ს ხ ლ ი ს ა გ ა ნ არის, და ერთი ბ ა ლ ღ მ ი ს ა გ ა ნ არის,
და ერთი ზ ა ფ რ ი ს ა გ ა ნ არის და ერთი ს ე ვ დ ი ს ა გ ა ნ.

თუ ზ ა ფ რ ი ს ა გ ა ნ იყოს, მისი ნიშანი ეს არის: რომე შიგნით
ძალლივით ეჭიდებოდეს და რასაცა გრილს წამალს დასდებ იამებო-
დეს, და ფერხისა ძარღვები ჩქარად და წურილად სცემდეს.

თუ ს ი ს ხ ლ ი ს ა გ ა ნ იყოს, ფერხისა სიმსივნე წითელი იყოს.
და ძარღვები სავსედ და ძალიანად სცემდეს, მას გაუხსენ ფერხისა
ნეკსადა თითს შუა, ცოა ზემორე რომე ძარღვი არის და შეასვი
გასახსწელი წამალი.

30 თუ ბ ა ლ ღ მ ი ს ა გ ა ნ იყოს, მისი ნიშანი ეს იყოს რომე, ფერ-
ხნი უსივდენ უტკივარად და ბუჟად ებნეს და ტკივილი ნელად იყოს,
და ფერხისა ძარღვები სავსე და რბილად იყოს და სუსტად სცემ-
დეს.

თუ ს ე ვ დ ი ს ა გ ა ნ იყოს მისი ნიშანი სიმსივნე ფერხისა
მოშაოდ იყოს ანუ მოწითანოდ და ტკივილი დია ბალღმისაგან უფრო
ძნელი იყოს და ზაფრისაგან უფრო სუბუქი და ცივი იყოს.

¹ „ბაზაზა“.

თუ ზაფრისაგან იყოს აიღე: სანდალი დაფხეკილი, ქაფური,
უფული, ბაზრაცატუნი, ხმელი ვარდი და ქინძი. ესე სწორ სწორი
დანაყე და ქასნის წვენითა და ძრმით შეზილე, ქერის ფქვილითა შე-
მოსდევე მრავალჯერ. თუ არ ეშველოს აიღე ხიარ შამბარის გული
და თარანგუბინი და შირხიშტი შვიდ შვიდი დრამი, რევანდი ორი
დრამი ერთს სასმელსა იის შარბათშიგან გაურივე, გამოწურე და

შეასვი.

10 თ უ ვერ გახსნას ერთი დანგი საყმუნია ერთს სასმელსა ტუტი-
სა შარბათსა შიგან გაურივე და შეასვი და გახსნის ღთითა. და
ან ვარდის შარბათი ან ისრიმის შარბათი და ან ტუტის შარბათი
ასვით, და ამ ტლესა მუდამ შემოსდებდით რომე გვითქუამს, თუ
20 ტკივილი არ დასწყნარდეს. აიღე: კიტრის თესლი, შანგიერის
თესლი, თუხმაქანი და ქიუას თესლი ერთგან დანაყე და ქათნითა
გამოწურე და შეასვით მუდამ ცივითა წყლითა და იბანდეს და რო-
გორაცა წყლისაგან მოვიდეს ნელოფრისა ანუ იისა და აყიროსა ზეთი-
თა დაიზელდეს და ცივსა წყალსა ნუ სვამს, ამისთვის რომე სტომაქს
დაასუსტებს, და საჭმელად კაკაბი, გლონი, ხოხობი და დურაჯი, თუ
ისი არ იყოს თიკანი და ვარია და გასახსნელსა ნულარ მისცემ ვი-
20 რემდინ მოიმატოს რა და რა მოიმატოს ასეთი გასახსნელი მიეც
რომე გრილი იყოს, და ნედლი ტყემლის შარბათითა ცხურის
ხორცი არ ეჭმების ზიანი არის.

თ უ დ ღ ი ვ და დღივ იმატოს და სისხლი დასჭარბდეს, მას
ხელი გაუხსენ, ბასალიყე.

თ უ საფრა დასჭარბებოდეს ესე წამალი მიეც, აიღე: ყუითელი
ალილა კურკისაგან გამოწმენდილი ოცი დრამი, შავი ქლიავი და
სინჯიტი ორმოცდა ათი დრამი, სურინჯანი ორი მიტყალი ესე ყუე-
ლა ერთითა ლიტრითა წყლითა მოადუღე ასრე რომე, მეოთხედათ
მოიყაროს, აიღე: შირხიშტი თარანგუბინი, თამრინდი თვითოსაგან
30 ხუთხუთი მიტყალი შიგ გაურივე დაალბე და გამოსწურე და თუ სუს-
ტად არ იყოს ერთი დანგი საყმუნია გაურივე და შეასვი.

ს ხ ვ ა ტ ლ ე, აიღე: თაბირინდისა ¹ წვენი, ბროწეულისა წვენი,
ფაჩირაბანდი, ქაქუნაჯი ², სანდალი, ქაფური ერთად გაურივე, ტლედ
შემოსდევე. თუ არ დასწყნარდეს აიღე: აფიონი, და ძმარი გალესე და
შესცხე და ვარდის წყლითა მუდამ დაასველებდი, თუ საჭამადი ჭა-

¹ თამრიჰინდი.

² სწერია „ქაქინაჯი“.

364

მოს არწყიოს და რა ტკივილი მოუვიდეს იმ დროთ ადგილით ნუ
დაიძურის.

თ უ ამ სატკივრისა პატრონი ვაჟი კაცი იყოს, კიტრის წვენი,
შანგიერის წვენი, საზამთროს წვენი თხის რძესა შიგან გაურიოს და
შაქრითა შესვას. თუ აყიროს დრო იყოს, მისი საჭამადი შეუწყევით
ნუშის გულითა. თუ ის არ იყოს ქერის კორკოტისა საჭამადი
შეუწყევით და ქერის ფქვილის ტლე ზედ შემოსდვან და ქასნის წვე-
ნი შიგ გაურიონ და შემოსდეან.

10 ს ხ ვ ა აიღე: სანდალი, უმარილო, ქინძის წვენი და ცოტა ინა
შიგ გაურივე და შემოსდევე ისრიმის წვენი. თუ ამით არ იქნას,
აიღე: ქერის წვენი, ვარდის წყალი, ბაზრაცატუნის ლუაბი, ცოტა
ქაფური, ერთმანერთშიგან გაურივე და შემოსდევე და მუდამ ასოვ-
ლებდი და მუცელს ნუ შეუკრავ.

თ უ ერთობ ცხლად იყოს ქათანის ნაკვეთი სანდლისა და ვარ-
დის წყალშიგა დაასოვლე და ქაფურშიგა შემოსდევე. რა ტკივილმან

იკლოს გრილი ტლევები შემოსდვან, სელი დანაყონ და ულბოსა ლა-
ბაშიგან ურივეთ და შემოსდევით. მერმე აილე ბაბუნაჯი და აქლილ-
მალუქი სამივე წყალშიგან მოადულე და მტკივანზედ შემოზდევ.

20 თ უ კიდევ სტკიოდეს მათბუხი ალილა შეუწყევით, თურბითი
და სურინჯანი იმა მათბუხსა მოუმატე ერთი მიტყალი თურბითი და
ერთი დრამი სურინჯანი მოუმატე და შეასვი და იმ ადგილსა გრი-
ლი ტლევები შემოსდევ და მუდამ სელის ლაბა შემოსდევ და ბაბუნა-
ჯის ზეთითა უნდა დაიბანდეს და იზელდეს და კამის წვენი ჯულა-
ბით შესვას.

თ უ გრილისა საჭმლისაგან მორეოდეს მისი ნიშანი ეს იყოს,
რომე ხელი დასდევ, ის ადგილი ცივი იყოს, მისი წამალი: დღე გა-
მოშვებით არწყევინეთ.

თ უ ძალი ჰქონდეს აბი სურინჯანიცა აალებინე და იმა ად-
გილსა ქერის ნაკვთი შემოსდევ წყლითა მოხარშული, და რა აი-
ღონ თბილითა წყლითა მობანდენ.

30 თ უ ამით არ ეშველოს, ქალმისა ფურცელი, აქლილმალიქი,
ბაბუნაჯი, ყველა სწორსწორი დანაყოს და სელისა ლაბაშიგან გაუ-
რიოს და შემოსდვას.

თ უ ვაჟსა კაცსა სჭირდეს ესე, აილე: ბედნაჯრისა თესლი, და-
ნაყე და თაფლისა და იასამნის ზეთშიგან გაურივე და შემოსდევ
მარგე არის.

ნ ი კ რ ი ს ი რომე სისუსტისაგან იყოს და სენიცა მომატებო-
დეს და ან დედაკაცთან წოლაზედ დამართებოდეს და ან გვარად
მოსტანობდეს, მას წამალსა ნუ უზამთ არ ეშველების.

365

თ უ კაცსა ახლა დამართებოდეს ფარეზი აქნევინეთ დედაკაც-
თან წოლისაგან და სიმთურალისაგან და ნამეტნავად ჭამისაგან და
ბევრის ღვინის სმისაგან ნიკრისი ¹ დაიბადების. იქნების ნიკრისი
რომე ერთს ალაგს გახშირდეს ტკივილი და გაუსივდეს და ბევრსა
ძალშიგან ² იქნების, რომე წამალი არ მიხუდების და გაგრძელდების.

სხვა შეტყობა ნიკრისისა რომე ორ რიგი არის: ერთი გასივ-
დების და წელი და თხ[რ]ამლი დაუწყებს დენასა და ერთი გაარვდების
და წყალი არ დასდის.

10 თ უ წითელი იყოს და მოლურჯო და ყვითლად სცემდეს, ესე
იქნების რომე სისხლი და ბალღამი და სევდა ერთმანერთშიგან გა-
რეულ იყოს და მისგან იყოს და ბალღამი გარეოდეს, მისი ნიშანი
ეს არის რომე ეგების გრილმან უშველოს და ეგების მხურვალმან
უშველოს არ შეიგების.

ამა, ნიკრისისა მუდამ უნდა წამლობა, თუ არ უწამლებ გაუგ-
რძელდების და გაუძნელდების.

თ უ სისხლისაგან იყოს, მისი წამალი: უწინ მუცელი გაუხსენ,
ყვითლისა ალილისა მათბუხითა. ესე მათბუხი თამამად შექენ და
მიეც რომე თამამად და კარგად გახსნას.

20 თ უ ამა სატკივარშიგან ცხელება დაერთოს მაშინ ძალის
ყურძენას წვენითა და ქაქინაჯისა წვენითა და ქასნისა წვენითა,
ხიარშამბარისა გული ათი მიტყალი ლაბლაბითა ან იისა წვენითა
მოდულეებული და გამოწურვილი მიეც.

და თუ არც მხურვალე იყოს და არც გრილი და გუნება მშვი-
დობითა იყოს, მას გასახსნელი ბუზეიდანითა და სურინჯანისა მათ-
ბუხითა მიეც და აბისურინჯანითა. და წამლისა გასახსნელისა უკანით
ფსელისა გამხშირებელი წამალი უნდა მისცე რომე ფსლითა გამოწ-
მინდოს ისი სენი.

ესეც იქნების, რომე გასახსნელმან ვერა უშველოს და ფსლისა
გახშირებამან უშველოს. ფსლისა გამხშირებელი: კამასა, ნიახურისა
30 და ნესვის თესლი იყოს, ალილას მათბუზი: აილე ყვითელი ალილა
და ქაბული ალილა, კურკისაგან გამოწმენდილი ხუთხუთი დრამი,
ავსანთინი ორი დრამი შასთარა ათი დრამი და შვიდი დრამი თაბ-
რიინდი, ოცი მარცვალე შავი ქლიავი. და ოცი დრამი შავი ჩამიჩი
გურკისაგან გამოღებული, ორითა ლიტრითა წყლითა მოადულე მა-
ნამდი, რომე მესამედი დარჩეს მერმე გამოწურე და დანგ ნახევარი
საყმუნია გაურივე და შეასვი ფარეზათა.

¹ სწერია „ნიკის“.

² უნდა იყოს „ძუალშიგან“.

366

თ უ ზ ა ფ რ ა და ბ ა ლ ღ ა მ ი გარეული იყოს და მისგან იყოს
მას გახსნა სურინჯანისა აბათა უნდა. შექნა მისი, აილე: საბრი ერ-
თი დრამი, სურინჯანი და ყვითელი ალილა ოთხოთხი დრამი, საყ-
მუნია ერთი დრამი, წითელი ვარდი და მასტაქი თვითო დანგი, ეს
ყუელა დანაყე და გაცერ და აბები შექენ, და თუ საბრისა სანაცუ-
ლოთ იარაჯ ფეყრა უყონ, მარგე არის.

თ უ ბ ა ლ ღ მ ი ს ა გ ა ნ იყოს, მისი წამალი ეს არის: რომე
ისი სენი დაამწიფე პირველად ამ წესითა, რომე თაფლისა გულანგუ-
ბინსა მისცემდი ყოველთა დღეთა ამა წესითა, რომე კამის თესლი
10 და ზირა ქირმანი წყლით მოადულე და მას შეასმიდე, ოთხსა დღესა
ფარეზათა. და ოთხსა დღესა და ღამესა უკანით საჭმელად მუხუდო-
სა წვენსა მისცემდი.

თ უ ამა ოთხს დღეს უკანით მოხარშვისა ნიშანი გამოჩნდეს,
რომე სენი მოხარშული იყოს, რასთენჯერ გასახსნელი მისცე სჯობს
ბედანჯრისა ზეთითა და მას უკანით იარაჯფეყრა მისცე თურბუთი-
თა კარგი არის, ამა წესითა: აილე: იარაჯა ფეყრა და თურბითი
თვითო მიტყალი დანაყე და თაფლითა შეზილე და მიეც. სამსა დღე-
სა უკანით აბი სურინჯანი მიეც ანუ აბულმათინი.

თ უ ზ ა ფ ხ უ ლ ი იყოს რწყევა კარგი არის, უწინ რწყევით გა-
20 მოწმინდეთ, რწყევის წამლებითა, მერმე გასახსნელი მიეც რომე ამას
ზემოთ სწერია კვირაშიგან სამჯერ არწყევინე მარგე არის.

ს ხ ვ ა ტ ლ ე, დაიჭირე: საბრი, მთახვის ყვერი, აყიყა, შავი
საკმელი და ხატმი ეს ყველა დანაყე და წყლით მოადულე, მერმე
ქუნჯითის ზეთი დაასხი და გააცხელე და შემოსდევე.

ს ხ ვ ა, აილე: შავი საკმელი და მარტოთ წყლით მოადულე და
შემოსდევე. თუ ან არ უშველოს, აილე: მური, საბრი, ყუსტი, გოგირ-
დი და ბზის ფურცელი ყუელა სწორ სწორი წყლით გაურივე და შე-
მოსდევე მარგე არის ღ თითა და ოყნაც აქნევინეთ, მითა რომე ფი-
ლენჯისათვის სწერია. მას უკან სუმბულისა და აბულღარისა ზეთი
30 გაურივე ერთმანერთშიგან შესცხე და დაზილე.

თუ სევდისაგან იყოს, პირველად აფთიმონისა მათბუხი ააღებინე და ტლედ ეს შემოსდევე, აიღე: გილი ერმანი, ფუფული¹ აფიონი, ქერის ფქვილი, ტირიფისა ფურცლისა წვენი, ბაზარყატუნი და ქასნისა წვენი, ეს რაც დასანაყელი არის დანაყე და ყუელა ერთმანერთშიგა გაურივე და ნელთბილი შემოსდევე, მარგე არის. და მერმე ღორისა ქონითა დაუზილე, მერმე თბილითა წყლითა დაბანე.

¹ სწერია „ფეფელი“.

საჭმელი მუხუდოს წვენითა შეუწყევით, ნუშის ზეთითა და რაც მოტკბო და მომსუქნო იყოს ყუელა ეჭმების.

კე. ახალი. დასაწყისი. სახელითა ღთისათა თავით ფერხამდისინ რა გარეთ სენი დაემართოს თავისათმისაგან ვიდრე ფერხისა ფრჩხილებამდი ყუელა ამ კარში სწერია.

პირველად თმისა შენახვა და ვსწეროთ, რომე თმა მშვიდობითა შეინახოს. აიღე: წითელი ყაყაჩო ოთხი წილი და აქლილმულუქი და მისი ძირი და ლედვის ფურცელი, ამათგან თვითო 10 წილი, ლადანა სამი წილი, ფარისიაოშანი, ესე წამლები დანაყე და მასტაქისა ზეთითა შეზილე და შესცხე, თმისა ძირსა დაამაგრებს და მართლად შეინახავს.

სხვა წამალი, რომე თმა გააგრძელოს, ჭაკუნტელისა ფურცლისა და აყიროს ფურცლისა და ხატმის ფურცლისა ნადუღართა წვენითა იბანდეს ერთობ მარგე არის. და ზეთისაგან სოსნის ზეთი და იის ზეთი, მურტის ზეთი და შამანდალის ნადუღარი ერთობ მარგე არის, და დამწურის სელის შირბახტითა შეცხება ერთობ კარგი არის.

სხვა ნიშანი, რომე დუსალიბი და დულაიასი, რომე 20 თმისა, წვერისა და წარბისა ცვინვასა ჰქვიან. ამა სენსა დუსალიბი იმისთვის ჰქვიან რომე მელსა დაემართების. მისი ნიშანი, რომე თმა თანგ თანგივითა მრგვალი მრგვალი სცვივის. და დულაია¹ ამას ჰქვია, რომე გრძლად სცვივის და ტყავიცა აძურების თხლად და გველივითა. ესე გველსა დაემართების ამა სენსა ქართულად სნება გველისა და მელისა მისთვის ჰქვიან. იცოდით რომე ეს სენი ოთხისაგან იქნების სისხლისაგანაც, ზაფრისაგანაც, სევდისაგანაც და ბალღმისაგანაც. სადაც თმამან ცვივილი დაიწყოს იქი კიდევ ქაოდეს და კიდევ უყროდეს.

მისი ნიშანი, თუსისხლისაგან იყოს, ისი ადგილი 30 რომე თმა სცვიოდეს წითელი იყოს და ცხელი და კაციც გააცხელოს და თვალი და პირიც გაუწითლდეს.

თუ ზაფრისაგან იყოს, მისი ნიშანი, ის ადგილი ყვითელი იყოს და ქაოდეს და სტკვიოდეს და კაციცა გააცხელოს, რა ეს ნიშანი ნახო იცოდი რომე ზაფრისაგან არის.

თუ სევდისაგან იყოს, ის ადგილი იისფერი იყოს, ანუ მოლურჯო და კიდევ დამჭლდეს და ძილიც უკუკრთეს, რა ეს ნაშანი ნახო იცოდე რომე სევდისაგან არის.

¹ სწერია „ყილაია“.

თუ ბ ა ლ დ მ ი ს ა გ ა ნ იყოს, ისი ადგილი ხორცის ფერად იყოს და მოთეთროდ დასცემდეს, და არ სწყურდებოდეს, რა ესე ნიშანი ნახო, იცოდი რომე ბალდმისაგან არის.

მისი წამლობისა და გამთელებისა ის იყოს რომე თითი შეუსვი იმ ადგილსა ძალიანადა და თუ გაწითლდეს, იცოდი რომე გამთელდების, და თუ არ გაწითლდეს არ გამთელდების. თუ თითითა არ გაწითლდეს ხამი დაიხვიე თითზედა და წაუსვი ძალიანად მაშინ შეიტყობის.

თუ ს ი ს ხ ლ ი ს ა გ ა ნ იყოს, მისი წამალი: უწინ ხელი გაუხს 10სენ და მერმე თავის ძარღვი გაუხსენ და ამაზედ გაფრთხილდი, რომე სანამდი გამთელდებოდეს ამა ძარღვებსა გაუხსნიდი. გასახსნელსა წამალსა ნუ ეშურები, ამაღ რომე, ხელის გახსნა და სისხლის გამოშვება უფრო მარგე არის, მისი წამალი: მწარე ნუში დანაყე და შემოსდებდი. და თუ დაეჭიროს და გასახსნელი წამალი მისცენ, არა გავარა, გზასა უკეთე მისცემს და გახსნის, იარაჯფეყრა საყმუნიათა გარეული მარგე არის, რომე ორი მიტყალი იარაჯფეყრა ერთი დანგი საყმუნია გაურიოს, და შესვას, მარგე არის. და ტლედ ფარფიონი თავსა და მავიზაჯი მარგე არის.

თუ ზ ა ფ რ ი ს ა გ ა ნ იყოს, მისი წამალი, აიღე: ათი დრამი 20 შირხიშტი, ათი დრამი თარანგუბინი, თბილითა წყლითა გამოწურე და ალილასა შარბათშიგან გაურივე. თუ წამლის აღებას დაჩვეულ იყოს, ორი დანგი შამანდალი ერთი დანგი საყმუნია გაურივე და შეასვი, წამლის აღებითა წესითა და ის ალაგი მჩურითა შეუსვი, რომე გაწითლდეს, მერმე ის ხამი დაწვი და ხახვის წვენითა ზედა შემოსდე.

ს ხ ვ ა, ხახვი დანაყე ძრმით გაურივე და შემოსდე, მარგე არის და გასახსნელად ვარიას აჭმევდი ძრმითა შექნილსა.

თუ ს ე ვ დ ი ს ა გ ა ნ იყოს აფთიმონისა მათბუხი შეუწყევ ამა წესითა: აფთიმონი აიღე ოთხი დრამი და ანგიზონისა წვენშიგა 30 დაალბე ერთსა დღესა და ღამესა, მერმე მოადულე მანამდი, ვირემ სამოცდა ათად დრამად მოიყაროს, მერმე შაქრითა დაატკბე, ერთი დანგი საყმუნია გაურივე და შეასვი წამლისა წესითა, და იარაჯფეყრაც გაურივე და ტლე მარგულია კარგად შესცხო და ფარფიონიც ¹ მარგე არის, რომე შემოსცხო და საჭმელად მომსუქნო [შეუწყევით].

¹ სწერია „ფარიონიც“.

თუ ბალდმისაგან იყოს, მისი წამალი, აიღე: იარაჯ ფეყრა ორი მიტყალი შამიანდალი ორი დანგი და თურბითი ერთი დრამი გაურივე და შეასვი წამლის წესითა. აიღე: ორი წილი ბორა ერმანი, ერთი წილი ნიშადური ორივე დაწვი და დანაყე და ძრმითა გაურივე და შესცხებდი. პირველად ისი ადგილი ხამითა მჩურითა შეუსვი, რომე გაწითლდეს. საჭმელი მსუქანი შეუწყევით. ხორცისა და ღვი-

ნისაგან ივარეზოს და ყოველთა მესამეთა დღეთა თავი მოიპარსოს, და პირს ასრე იბანდეს რომე თავსა წყალი არ დაისხას, თვარა ზიანი არის.

10 თ უ არა ღონე იყოს შეითურქი და ფარისაოშანი და ქონდა-რი წყლით მოადულე და თავსა დაიდებდეს.

სხვა სენი არის რომე ყუმალ ყამალ ჰქვიან, ის არის რომე თმა-სა და წვერსა წილივითა მოეკიდების. წამალი მისი, აბიყუყია ააღე-ბინე. მერმე წამალსა ხაიზრა ჰქვიან ის წყლით მოადულე და მითა თმა და წვერი დაბანე. თუ არ ეშველოს ზირა ქირმანი და გოგირ-დი დანაყე და ქუნჯითისა ზეთით გაურივე და თმაზედ შესცხოს.

თუ ტანისაზოსსა შიგა იყოს ამა წყლითა გარეცხონ და ამა წყალსა მუდამ ტანსა იცხებდეს სადაფისა წყლითა.

სხვა სენი არის რომე ნ ი ხ ლ ა ჰქვიან, მისი ნიშანი ეს არის
20 რომე თმასა და წვერსა შიგან ქავილი შეექნას, წამალი მისი: პირვე-ლად აბი ყუყია ააღებინე და მერმე ყიფალი გაუხსენ და ყოველთა დღეთა ძრმითა ¹ და ვარდის წყლითა ღარღარას აქნევიანებდი და მუდამ წვერსა და თმასა იბანდეს ჭაკუნტლისა წვენითა, ხატმის ფურცლისა წვენითა და აქლილ მალუქის წვენითა.

ნ ი შ ა ნ ი ქ ა ბ რ ი ს ა, რომე ქატოსა ჰქვიან, რომე თავზედა ქატოვითა მოეკიდების. ისი ორისაგან არის: ე რ თ ი ა ყ ა ფ ა ჰქვიან და მისი ნიშანი ეს არის, რომე თავისა ტყავზედა იქნების თმისა ძირსა და თავი შიგნითა მართლად იქნების. მ ე ო რ ე თავისა ამხა-ნაგობითა იყოს და ქატო ბევრი იყოს. ესეცა იქნების, რომე თავი

30 დააწყლულოს, და თმისა ძირი გასივდეს.

წ ა მ ა ლ ი მ ი ს ი ის იყოს, თუ სუბუქი ქერტლი იყოს, თმისა ძირსა, რომე აყაფი ჰქვიან, ამას სუბუქად წამლითა ეშველებს, რომე როგორაცა ვარდისა და იის ზეთითა და ხატმისა და ბაზრაყატუ-ნის ლაბითა და ჭაკუნტლისა ნადულრითა და მისისა ფურცლისა წვე-ნი და ულბოსა ნადულარი, და ნესვისა თესლისა ნადულარი, მუხუ-

¹ სწერია „ძარმითა“.

დოსა ფქვილი და თურმუხისა ფქვილი, ხატმითა და ძრმითა, ერთობ მარგე არის.

თ უ უფრო ავი იყოს და მღიერი და წყლული, უწინ გასახს-ნელი წამალი უნდა მისცე და მერმე რბილი ლაბები და ზეთები შესცხეთ მომატებულთა წამლებითა, როგორაცა ბორათა და ზრო-ხისა ნადულთა და შამანდლითა და მისი წვენი და თხლე და მდო-ვი და ხახისძირა ეს ყუელა მარგე არის.

ს ხ ვ ა, წამალი მარგე, აიღე: ღვინის თხლე ერთი ლიტრა ბაღ-დადური და საპონი ერთი უკია, ბორა ოთხი დრამი, ყუელა დანაყე
10 და ერთად შეზილე და თავსა შემოსდევ თმას ქვეშე და ერთსა ჟამსა ედვას მერმე მუხუდოსა და ჭაკუნტლის ნადულარითა აბანე, და თუ იყოს, მერმე მურტისა ზეთითა შეზილე.

თ უ თმის თავი ორად გაიხიოს, ის სიხმისაგან იქნების, წამა-ლი მისი: ხატმისა თესლისა ლაბა და ტირიფის ფურცლისა წვენი მარგე არის.

ს ხ ვ ა, წამალი რომე თმა დააყენოს, აიღე: წყალ მიუმხუდარი კირი და ზირნიხი სწორი და თუ ზირნიხი უფრო ცოტა ქნა და კირი უფრო, არა გავარა, და საბრი და ცერეცო ერთის წონა წყლითა ჩადევ და ერწამ დადევი და მერმე შემოსდევ, მერმე მობანე.

20 თ უ ხორცისა დაწვისაგან გეშინოდეს, პირველად ვარდის ზეთი შესცხვე და მერმე ის წამალი. მასუკანით ცივის წყლით დაიბანოს. თუ ხორცი დასწვას, აიღე: ვარდი, ვარდის წყლითა და ძრმითა გაურივე და შესცხე უშველის.

წ ა მ ა ლ ი სხვა, რომე ეს გინდოდეს რომე თმა აღარ ამოვიდეს სადაც გინდოდეს, თმა დაგლიჯე ჩქიფითა და ბანგის წვენი, აფიონი¹. ძრმით შემოსდევ და თმა აღარ ამოვიდეს.

ს ხ ვ ა, გამხმარი მხულიკი დანაყე და ბაზრაცატუნისა ლობითა შემოსდევ და ლენცოფისა მარცვალი დანაყე და შემოსდევ, თმა აღარ ამოვა.

თ უ თ მ ი ს დ ა გ რ ძ ე ლ ე ბ ა გინდოდეს, აიღე: ულბოსა ფქვილი, ლენცოფისა თესლი, კირი, გუნდა და მურდასანგი დანაყე და შეზილე და თმისა ძირსა შემოსდევ ერთსა დღესა და ღამესა, და დაეგრუზოს თმა. თუ კიდევ გინდოდეს რომე თმა გრუზობისაგან გამართოს, აიღე: ნელთბილი შირბახტის ბორა სარსმეშიგა გაურივე და მით დაბანე და უშველის.

თ უ თმას წვერი გაუხმეს წინა გასახსნელი წამალი მიეც, მერმე ყიფალი გაუხსენ, წამალი მისი, დაიჭირე: ბროწეულის ქერქი, მურ-

¹ სწერია „აფიონი“.

დასანგი ზარდაჩობი, ზარედადი¹ გრძელი და ინა თვითოსაგან თვითო დრამი, დანაყე და ვარდის ზეთითა და ძრმითა შეზილე და შემოსდევ, მერმე კვერცხითა და თბილის წყლით დაბანდე, და სელის ლაბა და ხატმისა ლაბა და ბაზრაცატუნისა ლობითა დაბანოს თმა, წვერისა მარგე არის.

თ უ გინდოდეს რომე კაცი გვიან გათეთრდეს, წამალი მისი ის არის რომე ბალღმისაგან ტანი გამოწმინდოს გასახსნელითა და სარწყევითა წამლებითა, და სასა, იარაჯფეყრითა და ღარღარითა გამოწმინდოს. და მაშუნე მაჯუნე აჭამეთ და საჭმელს ასრე სჭამდეს, 10 რომე კარგად იდნობდეს და მოდნობის ძალი მეტი იყოს, და. ანდა-ზითა ჭაზდეს რომე კარგად იდნობდეს, ხმელი ყველა შემწვარი, და. ერბოშიგან შემწვარი ხორცი საჭმელი, მარგე არის, და მჟავეთაგან, ნედლისა და გრილისა საჭმლისაგან იფარეზოს.

თ უ კაცი გუნება გრილი იყოს, საჭმელშიგან პილპილსა, მდოგსა დარიჩინსა. და ნიახურისა თესლსა და აყიროს გაურევდეს, და ცოტას ძველს ღვინოს სვემდეს მარგე არის, და სიმთურალე ზიან არის, და ნედლისა ხილების ჭამა ზიან არის, და ხელისა გახსნა, აბანო და დედაკაცთან წოლა ზიანი არის. და ქაფურსა და ვარდის წყალსა თავსა ნუ მიახლებ. გახდილი ალილა ქაბული ყოველთა დილა- 20 თა აჭამე, მარგე არის. და ამასაც იტყუიან, თუ კაცმან ეს ალილა მუდამ იხმაროს, მისთა დღეშიგან არ გათეთრდეს. ცოტა ატრეფული მისი სანაცლო არის და რევა[ნდი] მარგე არის.

ნიშანი მარგე მაჯუნისა, აილე: შავი ალილა, ამილა, თუითა წილი, ბალაზურისა თაფლი, ნახევარ წილი, ზროხისა ერბოთა დაასოვლე და თაფლითა შეზილე, მარგე არის.

ნიშანი თმისა შეღებვისა, აილე: გუნდა მწვანე უხურეტელი, რაც გინდოდეს დასცხე ზეთი ჩაყარე ტაფათა, დაწვი, ასრე რომე ცეცხლი არ მოედვას, ასრე დაწვი რომე შიგ ზეთი არ დარჩეს მერმე გაახმე კარგად დანაყე და გაცერ და შეინახე, რა მოგინდეს აილე მისგან ათი დრამი და დრამი ხუთ ხუთი დანჯი ქენ, 30 ოთხი დრამი და ან სამი დრამი ლახოსტაკი და დრამ ნახევარი შაბი და დრამ ნახევარი მარილი და ორი დრამი ყარანფული, ეს ყუელა დანაყე და გაცერ და გაურივე ერთმანერთსა და თბილითა წელითა შეზილე, გააფუვე და მერმე გაქენ თბილითა წყლითა და შესცხევ, ორჯერ შეღებავს და თმასა გააშავებს ბრძანებითა ლთისათა-

სხვა უმცროსი საღებავი, აილე გუნდა დამწვარი და გარცხილი ვითა ზემორ დაგვიწერია, ისრე ოცდა[ა]თი დრამი და ლახოსტაკი

¹ უნდა იყოს „ზარევანდი“.

372

სამი დრამი და ნიგუზის ქერქი გამხმარი დანაყილი და გაცრილი ხუთი დრამი და მარილი ანდრანი და ნიშადური ოროლი დრამი დანაყილი და გაცრილი და ნედლის ნიგუზის ქერქისა წვენითა შეზილე ანუ მურტისა წვენითა, ანუ თუთუბოსა წვენითა, მერმე დასდგა რომე გაფუვდეს და მერმე გაქნა თბილითა წყლითა და თბილად შესცხევ, ორჯერ ზედიზედ შეღებავს ლთითა. მერმე, დილეულად აბანოს დაიბანოს და იცხე ზეთი ქინძისა ანუ ზირკისა.

სხვა ნიშანი საღებავისა რომე შეღებავს თმასა წითლად ბძანებითა ლთისათა, აილე: ხატმი კარგი, ახალი. ორი წილი და ინა 10 ახალი ერთი წილი და შეურივე ერთად და დასცრენ და თუთუბოს წვენითა შეზილენ და გააფუვე და შეღებოს ერგების¹.

კვ კარი, პირისა ფერისა ნიშანი, რომე ფერი გამოეცვალოს.

ორისაგან იქნების ერთი სიშავე, რომე ეს არის პირი გაუშავედეს, მეორე გაუყვითლდება, რომე პირი გაუყვითლდეს.

თუ პირის სახე გაუშავედეს დიდის ქარისაგან და სიცივისაგან იქნების და მზისაგან და აბანოსა უბანელობისაგან, მლაშის ხორცისა და სევდისაგან, რომე სევდიანი საჭმელი ეჭამოს.

თუ პირის სახე გაუყვითლდეს ის სნება არის და ტკივილი გამოეცადოს და დიდი ნაღველი და დედაკაცთან ბევრი მისულა და 20 ერთობ სიციხეშიგან ყოფნა, და მიწის ჭამა, ძრმისა და ნიახურის ჭამა, სენებისაგან, და სახლშიგა რომე ბევრი ზირა ქირმანი იდგეს, იმ სახლშიგან ბევრი ჯდომა გააყვითლებს, და ავის წყლის სმა.

თუ ზირა ქირმანი დანაყო, პირსა შეისვა, გააყვითლებს. წამალი მისი მსხვილისა ცერცვისა ფქვილი, ქერის ფქვილი, ქასნის ფქვილი, ხვარბლის. ფქვილი გაცხილი და მუხუდოს ფქვილი და ნიშასტაგი. სწორ სწორი ერთმანერთშიგან გაურივე და წყლით დაალბე და პირსა ამით დაიბანდი, ერთობ მარგე არის, და საჭმელად მუხუდოსა სჭამდი, თოხლო კვერცხი, ხორცის წვენი და წმინდა პური, ახალი რძე და კარგი ღვინო და ყველა პირის სახეს გააწითლებს.

30 თ უ გ ი ნ დ ო დ ე ს რომე პირის სახე მართლად შეინახო რომე ქარმან, სიცივემან და მზემან არ აწყინოს აიღე კვერცხის ცილა და თეთრის პურის გული გაურივე და პირსა შესცხე, მარგე არის. და თუ სამცი არაბი წყლით გალესო და შესცხო ისიც მარგე არის.

თ უ თვალშიგან წითელი ნიშანი გამოჩნდეს თეთრი მურდასან-გით დანაყე ქათმისა ან ბატისა ქონითა შეზილე და შემოსდევ, მარ-გე არის.

1 აქ ჩამატებული დედნის ხელით, უადგილოთ: „ვის ღებვის გამოცხადება არ ფნდოდეს“.

733

თ უ თვალისა ან ცემისაგან ან ნაკრაობისაგან ლურჯი ან მწვა-ნე ნიშანი გამოჩნდეს, წამალი მისი, ორი ახალი ნატეხარი წყლით ერთმანერთზედ გალესე, შესცხე. სხვაცა, ბოლოკის თესლი დანაყე და-შემოსდევ მარგე არის.

თ უ პირზედა ნაყვავილევი აჩნდეს ანუ ქვითრუში, ანუ სხვა წითელი რამე აჩნდეს, წამალი მისი, აიღე: სოსნის ძირი, ყუსტი და მურდასანგი და ირმის რქა დამწვარი, ბორა და ვაშაყი ყველა და-ნაყე და გოსაფრისა ყვითლისა წვენითა შეზილე და შემოსდევ და-რაც ჩნდეს ყულეა წაილოს.

10 ს ხ ვ ა წამალი გამოცდილი, აიღე ყუსტი დარიჩინი დანაყე და გოსაფრისა ყვითლისა წვენითა შეასოვლე და შემოსდევ, ნიშნები ყველა წაილოს. თუ ტანზედა ან ასოზედა ან ალურჯდეს, ან აჭრელ-დეს ნიშნებივითა ამას ზემოთ რომე წამლები სწერია ის არის.

კზ კარი ბაყისა ¹, ბარასისა და ასაფასი და შირნასი და ჯღუ-ზიმისი რომე ქაშოეთელსა ჰქვიან. სამივ ამა კარშიგან სწერია, ნი-შანი ბ ა ყ ი ს ა და ბ ა რ ა ს ი ს ა იცოდით ორი ფერი არის, ერთი თეთრია და ერთი შავი არის, ესე საჭმლის უნდომობისაგან იქნების. მადნობელისა ძალი უძლური არის და საჭმელს ვერ მოიდნობს და და ფ ი ა ძალიანი იქნების და სენსა გარეთ ტყავშიგა გამოზიდავს.

20 ნიშანი მათ შუა ეს არის, რომე თეთრი, ბ ა ლ ღ მ ი ს ა გ ა ნ არის და შავი, სევდისაგან.

აწე ბ ა ყ ი ს ა და ბ ა რ ა ს ი ს ა ² შუა ნიშანი ეს არის, რომე შავი ბაყის ტყავი სქელი იყოს როგორცა თევზის ქიცვივითა, ფოლ-ფოლი ისეთი იყოს და ქაოდეს ესე ჯაზიმისა წინამძღვარი არის რო-მე ქაშუიან [ჰქვიან] მაგრა შავი ბაყი ამა ნიშნებითა ერთობ ძნელი [გამოსაცნობი] არის. შავსა ბაყზედა შავი თმა ამოვა ან წითელი, და ბარასაზედა თეთრი თმა ამოვა.

შ ა ვ ი ს ა ბ ა ყ ი ს ა ნემსითა დაჩულებტა უნდა თუ სისხლი ამოვა გამრთელდების, და თუ სისხლი არ ამოვა ავი არის.

30 თ ე თ რ ი ს ბ ა ყ ი ს ა, ხელი შეუსვას მაგრადა თუ გაწითლდეს გამრთელდების, თუ არ გაწითლდების ავი არის. ამათშუა ნიშანი ეს არის რომე შავი ბაყი ხელშიგან მაგარი არის და შავი ბარასი ხელ-შიგან რბილი არის. და თეთრი ბაყი რასთონიცა რბილი იყოს უარე არის და შავი ბარასი რასთონიც რბილია სჯობს.

თუ ყოველთა დღეთა იმატებოდეს და ადგილი დაეჭიროს უფ-რო ადრე გამთელდების, ამისთვის, რომე წამალი უკეთ მოეკიდების

¹ სწერია „ბოყისა“.

² სწერია „ბარაზასა“.

წამალი თეთრის ბაყისა უწინ გასახსნელი. წამალი აალებინე და ზედა უმცროსა ატრეფულსა აჭმევდი. ენდრო და შატრაჯი დანაყე სწორ სწორი და ძრმითა ტლედ შემოსდებდი. სხვაცა ტლე აილე, აბუტარატი და ზირნიხი ხუთხუთი დრამი, ბოლოკის თესლი ათი დრამი დანაყე და ზედ ძმარი დაასხი და ცას ქვეშ დადგი ერთსა დღესა მერმე ტანი კარგად დაიბანე და მზესა ქვეშე შეიცხე და ერთსა ჟამსა მზის ქვეშ იჯდეს, მერმე დაიბანოს.

ს ხ ვ ა, უფრო ძალიანისა ტლისა, აილე: ბოლოკისა თესლი, პრასის თესლი, ფუა, აბუტ[ა]რატი, შეთრაჯი, შამანდალი, მაზარონი, მდო-
10 გი, საყმუნია ეს წამლები სწორ სწორი ქენ, დანაყე და ძრმით შეზილე და ტლედ შემოსდევე ეს ტლე ერთობ ძალიანი არის. თუ ერთობ არ დაგეჭიროს ნუ ახმარებ და როგორაცა იმა ბაყხედა ყვა-ვილივით ამოვიდეს მანამდი წამალს ნუ უზამ, სადამდის არ დასწყნარდეს, მერმე კიდევე უწამლე.

შ ა ვ ი ს ბ ა ყ ი ს ა. გასინჯე თუ სისხლისა დამეტების ნიშანი ნახო უწინ ხელი გაუხსენ, ბასალიყისა ძარღვი და სევდისა გასახსნელი, ამა წესითა აალებინე, აილე: აფთიმონი ოთხი დრამი, ღარიყონი ნახევარ მიტყალი ან ერთი მიტყალი, შავი ალილა უგურკო ხუთი დრამი, ბასვაჯი ორი დანგი უსტუხუდუსი ორი მიტყალი, უგურკო ჩა-
20 მიჩი ოცი დრამი, ლეღვი ხმელი ოცი მარცვალი, აჯალ არმანი და ლაჟურდი ¹ ნახევარ-ნახევარ დრამი, ერთი არ იყოს ორივე ერთმანერთისა სანაცლო არის, ხარის ძირა ნახევარ მიტყალი, ეს წამლები ყველა ნახევარზედ დანაყე და კოჭობშიგა ჩაყარე და ზედ სამი ლიტრა ბაღდადურითა წყალი დაასხი და ადულე სანამდი ერთ მოიყაროს, მერმე გამოწურე ამა წამლებისაგან ყოველთა დღეთა თვითოს კვანჩხას შეასვემდი მულჯუმლითა. და ესე მაჯუნი შეუწყევით აილე: ალილა შავი და ქაბული სწორსწორი, გურკისაგან გამოწმენდილი და აფთიმონი სწორსწორი დანაყე და უგურკოთა შავისა ჩამიჩითა ² შეზილე ყოველთა დღეთა, ერთისა ჯავზის ოდენი აჭამე მარგე არის.

30 ნიშანი ს ა ფ ა ს ი და ბ ა რ ნ ა ს ი რომ არს ს უ რ ს ა ი ლ ი. საფა თავზედა გამოვა და ბარანა პირისა სახესა და ტანზედა მღერივითა იქნების მაგრა ხორცშიგა არ ჩაჯდების, არც მოსჭამს, გარეთ ტყავზედა იქნების, გაფართდეს და გაპრტყელდეს და გამრავლდეს ტანზედა, არც სტკიოდეს და არც ქაოდეს და არც ეწოდეს, თუცა ქაოდეს ცოტად.

ს ა ფ ა ს ა ნ ი შ ა ნ ი ეს იყოს: რომე თავის ტყავზედა გამოვა რაგვარადაც წურილი, მღერი და ორი რიგი იქნების. ერთი ნიშანი

¹ სწერია „ლაჯურდი“. ² სწერია „ჩამითითა“.

იქნების რომე მისგან ნამი ამოვიდეს თხელი ანუ სქელი, როგორაც თავლი შარნა უფრო ქაოდეს და ეწოდეს საფასაგან.

ს ა ფ ა ს ა წ ა მ ა ლ ი, თუ სისხლი მეტი იყოს უწინ ყიფალი

გაუხსენ, მერმე კისერზედ ორგნით კოტოში მოჰკიდე, თუ არ ეშვე-
ლოს შუბლის ძარღვი გაუხსენ. და თუ საფა ხმელი იყოს ყურის უკან
ძარღვი არის ის გაუხსენ და მისი სისხლი თავზედ შესცხვე. მერმე
წითელი მალამა, რომე ზეთის ხილისაგან ზეთისა და ზარდანჩობისა-
გან და ძრმისაგან შექნილი იყოს, იმას დასცხებდი მარგე არის. აი-
ლე: ხვარბლის ქატო და ჭაკუნტლის ფურცელი, ეს ძრმითა და წყლით
10 მოადუღე და თავი იმით დაბანე, და ნინოფრისა ზეთი, იის ზეთი,
ნიგუზისა ცხვირშიგა ჩაუშვი.

იცოდი საფა უფრო სისხლისაგან იქნების, თუ შარნა იყოს, თუ
სისხლისაგან და ზაფრისაგან იყოს მისი ნამი თხელი იყოს და ეწო-
დეს, თუ მლაშე ბალღმისაგან იყოს, მისი ნამი სქელი იყოს, თუ
ზაფრისა-

გან იყოს, მას გასახსნელი უნდა ალილისა, აილე: ალილა ხუთი დრამი
გუ-

რკისაგან გამოწმენდილი და ხუთი დრამი აფსანთინი, ალილა და
აფსან-

თინი ერთს ლიტრას წყალშიგან დაალბე ერთსა დღესა და ღამესა, მოა-
დუღე ასთენიერთი, რომე ერთ სასმელად მოიყაროს მერმე გამოწურე
და ერთი დანგი საყმუნია გაურივე და შეასვი ფარეზითა.

20 თ უ ბ ა ლ დ მ ი ს ა გ ა ნ იყოს: აბი საბრითა, აბი ყუყიითა უნ-
და გახსნა, ნიშანი ტ ლ ი ს ა, აილე მურდასანგი, ზარნაჩობი, მწარე
ნუშის გული, სწორ სწორი ყუელა ძრმითა და ვარდის ზეთითა შე-
ზილე და შემოსდევე, თუ მარტო გოგირდი შემოსდვა ისიც მარგე
არის.

ს ხ ვ ა წამალი, აილე: ზარდანჩობი, ინა, გრძელ-გრძელი ზარე-
ვანდი, მურდასანგი და ბროწეულის ქერქი და ყუელა სწორ სწორი
დანაყე და ძრმითა შეზილე, ვარდის ზეთი გაურივე და შემოსდევე.

ზ ა ქ ა რ ი ა ს შ ვ ი ლ ი აქიმი იტყვის; რომე საფასათვის ამისი
უკეთესი წამალი არ იქნების, რომე აილე ძველი თორნის ნატეხი და
30 მარილი სწორ სწორი დანაყე წმინდად და დაზილე ძრმითა და შე-
მოსდევე.

ნ ი შ ა ნ ი ჯ უ ზ ა მ ი ს ა, რომე ქაშოეთელისა ქვიან, მისი ნიშანი
ეს იყოს რაჟამს ფერი პირისა გაუწითლდეს და მერმე გაუშავდეს
და გაუმსხვილდეს ხან ჩავარდეს და წამწამი და წარბი გასცვივდეს
და ცხუირისა არაფერი სული არ ეცემოდეს და მუდამ ცხვირსა სცე-
მდეს, და თავსა და პირს ნიაღაგ ოფლი სდიოდეს და პირი უმწარდე-
ბოდეს და უყარდეს, რა ეს ნიშანი ნახო, იცოდე რომე ჯ უ ზ ა მ ი
არის. თუ მთისა ქუეყანასა იყოს ბარსა წაიყვანეთ და თუ ბარ-

376

სა იყოს მთასა წაიყვანეთ, და ადგილისაცულა ერთობ კარგი არის.
საჭმელი ასრე შეუწყევით, რომე პურსა დანაყილსა ქერისაგან
გამოაცხობდით, და ანუ ნახევარი ქერისა და ნახევარი ხვარბლისა
წმინდისა აჭამეთ თაფლითა და რძითა და ხორცსა მსუქანსა ჭაკუნ-
ტელითა და პრასითა შექნილსა აჭმევდით კაპრისა ძირისა და კამისა
თესლისა ურევდით, და ბოლოკსა აჭმევდით, და ქალმისა ჭამაც კარგი
არის, და ახალი ლედვიცა კარგია და თეთრი ყურძენი საჭმელად, ნუ-
შის გულიც კარგია და მოასფარისა ¹ თესლიცა კარგია, რომე ალი-

სარჩულისა საღებავსა ქვიან, ჯალლოზაც² კარგია. ესე საჭამადი მო-
10 უხდების და მლაშესა თევზსა სჭამდეს და არწყევდეს. და გასახსნელსა
წამალსა აიღებდეს.

თუ ან ერწყიოს ანუ გასახსნელი წამალი აეღოს დილეულად
უზმა, დაწურვილსა ტკბილისა ნუშისა ზეთსა შესუემდეს ყოველთა
დილათა მარგე არის.

თუ ისი სენი გამრთელეზოდეს, თხელს ღუინოსაცა სუემდეს არა
გავარა. გულშიგა ნავლელს ნუ ჩაუშუებს, ნიადაგ მხიარულად იყოს
და რაცა მღიერსა აწყენდეს მისგან იფარეზოს. და მუდამ წამლები-
თა ღარღარას აქნევინებდეთ და გამოასხემდეს. და ნიადაგ ტანსა
იბანდეს, ასრე რომე შიგ ბოლოკისა და მუხუდოსა ფურცელსა
20 ურევდეს.

და ულბო მოადულოს და მისსა წყალსა საპონსა გაურევდეს და
მითა იბანდეს, ისიც კარგი არის. და გაუხსენ მარღვი კათოლიკე და
ორივე კოჭნი გაუხსენ და მერმე შუბლი გაუხსენ. და მასუკანით რა
ხანი გამოვიდეს, შეასვი გასახსნელი მათბუხი აფთიმონისა, და მას
უკანით შეასვი იარაჯი **ჯ ა ლ ი ნ ო ზ ი ს ა**.

ამას უკანით დასწვი ყურსა ზევით³ ორგნითვე და ეგრეთვე
ამას უკანით კისრის თავი და შუბლი დამართებით, და დასწვი ან-
ჯარისა ძირი, ნებათა გასაყოფნი და ორივე ფერსთა ტერფნი და სა-
ფიეთქელთა და კისრისა ჩურღმუტი.

30 **ჯ ა ლ ი ნ ო ზ** თ ქ ვ ა: ერგების ამა სენსა დიდი თრიაყი და დი-
დროანი მაჯუნები. ესე სენი ძნელი არის და ძნელად გამოვა ამის-
გან კაცი. ესე ფსელსა გარყუნის კაცისასა და შვილსა გაუავებს და
რცა იგი გამრთელდების. და ვინცა ქ[ა]შვეთელსა თანა იქნების, ანუ
მისსა ჯამშიგა სჭამს და სუამს მასაც გაყუების, და ერთობ რიდება
უნდა, იცოდით ბრძანებითა ღ~თისათა.

¹ სწერია „მოსაფარისა“.

² სწერია „ჯალაუზყა“.

³ სწერია „ზეთი“.

**კჳ კარი რომე კაცსა გარეთა მუწუკები, ანუ სხვა მღიერი
რამე გამოესხას.** ესე ყუელა იქნების. **ს უ ბ რ ი** ესე არის რომე,
ესე სენი სიცხისაგან არის, კაცსა გამოესხას მუწუკი ანუ სისხლკორ-
მა და აწყენდეს. იმას გასახსნელი წამალი მიეც ალილას მათბუხივი-
თა. თუ წელთა ზეითა იყოს ყიფალი გაუხსენ, თუ წელთა ქუემო
იყოს ბასალიყე გაუხსენ. თუ გინდოდეს რომე ფიცხლად დაჟამდეს,
ლელვი დანაყე და ცოტა ქერის ფქუილი და ბაზარყატუნისა ლოაბი
დაიჭირე და ესე ლელუი შიგ გაურივე და შემოსდევე ზედა, თუ გა-
ხეთქოს კარგია, თუ ვერ გახეთქოს ტრედის ხუნდის სკინტლი გაუ-
10 რივე, შრეში და ცოტა ვაშაყი, ვაშაყი დაადნევ, ესე წამლები იმა-
შიგა გაურივე და შემოსდევე.

თ უ ამან არ გახეთქოს მაზარიონი დანაყე და შრეში გაურივე
და შემოსდევე და გახეთქს. თუ ამისი გამრთელეზა გინდოდეს მალამა
შემოსდევე თეთრი.

თ უ არ გამოწმინდოს მითა, ჩიბიზაგ, მათრახის ტარსა რომე

შეიქმან გრაკი იმაჟ ქვიან, დანაყე და თეთრსა მალამაშიგან აამ ვე, გაამთელებს ღთითა.

თუ გულიანად გამრთელდეს ანძრუთი დანაყე, მძარშიგა გაური- ვე და შემოსდევ.

20 სხუა გამომავალი, რომე დულბული ქუიან, ან ტანზედა გამოვა და ან ღლიასა. პირველად ნიგუზის ოდენი გამოვა, მერმე დღივ და დღივ იმატებს. როგორაცა გამოჩნდეს ბასალიკე გაუხსენ. თუ ცხელი იყოს და წითელი ის ალაგი, ვარდის ზეთით დაუზილე წყნარად.

თუ ღლიაშიგა იყოს კათოლიკე ძარღვი გაუხსენ და ბაზარყა- ტუნისა ლაბა ვაშლის შარბათითა შემოსდევ, რომე დაამწიფოს და როგორაცა დამწიფდეს გაუხსენ, და თეთრი მალამა შეუწყევ, რომე გამრთელდეს.

30 სხუა ნიშანი გამამავალისა, რომე ნარიფრას ქუიან. ნა- რიფრისი მისთუის უძახიან, რომე ტანი ცეცხლივითა ენთებოდეს, ქუნთრუშივითა გამოვა და წმინდა წყალი გამოვა, და ასრე ცხელი იყოს როგორაცა ცეცხლი და ყუითელი წყალიცა სდიოდეს.

როგორაცა ეს გამოჩნდეს, ხელი გაუხსენ და თეთრი მალამა შეუწყევ და შემოსდევ, რომე გაგრილოს. თუ არ გამრთელდეს, ყი- ფალი გაუხსენ და სისხლი ცოტა გამოუშუი. და მუდამ გილიერმანი ქინძის წუნითა შეასუი ზედა, და ტყემლისა. შარბათი შეასუით. და საჭმელი ოსპი შეუწყევით წყლითა.

378

სხუა გამომავალი, რომე დულბოლხუი ქუიან, რა გამოვა ერთობ ქავილს დაუწყებს, და რა ქავილსა დაუწყებს დაწყულუღე- ბის და ყოველთა დღეთა იმატებს, ხელიც გაუხსენ და წურბელაცა მოკიდე და გრილი ტლევებიცა შეუწყევ.

10 სხუა რომე ფეტუივითა წურილ წურილად გამოესხმის, და სადაცა გამოესხმის კიდევცა აუსივდების და წყალიცა დასდიოდეს ყუითელი, მერმე რომე ხანი გამოვიდეს სული აედინოს. წამალი მისი, პირველად აფთიმონისა მათბუხი ააღებინე და სადაც გამოესხას გრი- ლი ტლე შეუწყევით. აიღე: სანდალი, ქაფური, ქასნის წუნე, ძაღლის ყურძენას წუნე, ქინძის წუნე, სანდალი და ქაფური შიგ გალესე და ცოტა ქერის ფქუილი გაურივე და ზედ შემოსდევ. ჯულაბი და თარანგუბინი შიგ გაურივე, აქალისა ¹ ძარღვი გაოხსენ.

თუ ტანზედა მღიერები გამოესხას, ისი ოთხი ფერი არის. ერთსა ამარ პქუიან, მეორესა ათაშფარი, ის სენი ცეცხლი არის, მესამესა ნამლა, მეოთხესა გავარსაი ².

20 ნიშანი ამათი; თუ ამარა იყოს, მისი ნიშანი, ამარა მღერი არის ერთობ მხურვალი და წვითა ამოვა, ერთობ ქაოდეს და ტყა- ვიცა მოსჭამოს და ბაყლიც სდიოდეს. და მღერი ხმელი და შავი გამოესხას და კიდევ ყარდეს. და მღერი მუხუდოს ოდენი იყოს, ანუ უფროსი. და ესეცა იქნების რომე მღერი არ გამოუჩნდეს მაგრა ის ადგილი ქაოდეს, ეწუოდეს. ესეც იქნების, რომე მწოვეთ ცხელე- ბა გამოოჩნდეს და კიდევ მოკუდეს.

წამალი მისი: პირველად ხელი გაუხსენ და სისხლი ბევრი ადინე, ოსპი ქერქ გამპურალი და მრავალძარღუას ფურცელი გამ-

ხმარი დანაყეთ და ქერის ფქუილშიგან გაურივეთ და წყლით შეხილეთ და ტლედ ზედ შემოსდევით. და საჭმელი ყუელა გრილი და ნედლი შეუწყევით. და რაც ერთისა დღისა ცივებასა და დივისა ცივებისა საჭმელი [არის] ის შეუწყევით.

თ უ ა თ ა შ ფ ა რ ა ს ი იყოს, ისი სენი ცეცხლსა ქუიან, მისი 30 ნიშანი ის არის რომე მღერივით გამოვა თხელი, მოთეთრო, ბუმტ ბუმტივითა და შიგ წყლით სავსე იქნების. ქაოდეს და ერთობ ნამეტნავად ეწოდეს. და მისი მიზეზი სიმხურვალე და სიმწუავე სისხლისა იყოს, უწინ ხელი გაუხსენ და მერმე ალილითა და თაბრინდითა მუცელი გაუხსენ, და ყოველთა დღეთა ქერისა და აყიროსა წუენი და საზამთროსა წუენი, და კიტრისა თესლი და თუხმაქანი და ბაზარყატუნასა წუენსა შაქრითა შეასუემდი. და იმა მღიერსა წყლისა

¹ სწერია „აქლია“.

² სწერია „გავრასი“.

გამომუება უნდა. და თუ ამა მღიერისა ტყავი ფრჩხილითა აილო სჯობს ერთობ, ამისთუის რომე წყალი აღარ დადგების შიგა. ის გამონაშუები წყალი მჩურითა მოხოცე და გარეშემო გილიერმანი გალესე და შემოსცხე, და თეთრი მალამა იმ მღიერზედ შემოსცხე მარგე არის.

თ უ ნ ა მ ა ლ ა იყოს მისი ნიშანი ისი იყოს რომე წურილი მარცვალავითა მღიერი ამოვა ხშირად ახლო ახლო, და ერთადაც შეიყრების და ადგილსაც იცულის და ამას გუანდეს რომე კიდე რამე მიკბენსო. ფერად ან წითელი იყოს ან ყუითელი.

10 მ ი ს ი წ ა მ ა ლ ი: დახედუა უნდა, თუ ზაფრა მეტი იყოს, უწინ ყუითლითა ალილითა მუცელი გაუხსენ და მერმე ხელი გაუხსენ. და თუ სისხლი სჭარბობდეს, უწინ ხელი გაუხსენ და მერმე მუცელი გაურბილე. აიღე: სანდალი გილი ერმანი, უმარილო და აფიონი, და შაფი მამისა, და ვარდის წყლითა შეხილე და ყურსები შექქენ და ჩრდილსა გაახხე და რა მოგინდეს იხმარე ძრმითა, გალესე და შესცხე, ერთობ მარგე არის.

თ უ გ ა ვ ა რ ს ა ი ¹ იყოს, მისი ნიშანი ესე იყოს, წურილი და მაგარი იყოს. მღიერი ესე სევდისა და ბალღმისა გარევისაგან, ზაფრაც გაერვის. მისი საჭმელი მუხუდო ქერის წყლითა ჭამოს, შექნი- 20 ლი, [და რაც] სევდას მოუმატებს იმისგან იფარეხოს.

ა მ ი ს ი წ ა მ ა ლ ი, რაც ნ ა მ ა ლ ა ს ა სწერია ისივე წამალი ამას ერგების, ამისთუის რომე ფერი, ნ ა მ ა ლ ა ს ფერსა გავს და აფიონისა გასახსნელი ააღებინე და აფიონი მოუმატე ანდახითა, მარგე არის ღ~თითა.

ნ ი შ ა ნ ი მ ა ნ თ უ ლ ი ა ს ი ის არის რომე, ტანისა გზანი შეიკრნენ, და საჭმელი კარგად ვერ მოიდნოს და დიდთა და ცივთა ღამეთა, ტყავისა სისქე და ქავილი გამოუჩნდეს.

მ ი ს ი წ ა მ ა ლ ი: პირველად ხელი გაუხსენ და მერმე ალილას მათბუხი მიეც და ხვარბლის ქატო ძრმითა ტლედ შემოსდეე, და 30 ჭაკუნტლისა წუენი და მსხუილის ცერცუის ფქუილი ტლედ შემოსდეე მარგე არის. თუ ქავილი გაუგრძელდეს, იმ სენისა გუარი სქელი იყოს. და ულბოსა ფქუილი თაფლშიგა გაურივე და აზანოშიგა ტლედ

შემოსდევ, მარგე არის.

ნ ი შ ა ნ ი ჯ ა რ ბ ა ს ი, რომე მ უ ნ ს ა ქუიან, სქელისა დამ-
წურისა სისხლისაგან დაიბადების, რომე ძარღუებშიგან გამოკრებუ-
ლი იყოს, ამას გუნება შიგნითით გარეთ გამოაყენებს და მუნად

¹ სწერია: „გვრიასია“.

380

შეიქნების. იცოდით მუნი ორფერი პრის, ერთი ნედლი და ერთი
ხმელი.

წ ა მ ა ლ ი მ ი ს ი: ხელი გაუხსენ, მერმე ყუითლის ალილისა
მათუხითა და ქაბულურისათა და შასთარათა, მარგე არის. მათუ-
ხისა შექნა: აიღე ალილა უგურკო ხუთი დრამი ათ დრამამდისინ,
ქუაბულური ალილა ხუთი დრამი, შასთარა ათი დრამი, ეს ყუელა
ერთსა დღესა და ღამესა წყლითა დაალბე, მერმე მოადუღე, ასრე
რომე მესამედი დარჩეს, მერმე გამოწურე ხუთი დრამი თაბრინდი შიგ
დაალბე გამოწურე და შეასუი. და შასთარას ნადუღებიცა მარგე
10 არის, რომე შესცხო, თუ მოუნდეს ერთი დრამი საყმუნიაცა გაურივე,
ფარეზითა როგორცა სწერია.

ი ც ო დ ი თ, ნედლსა მუნსა გასახმობელი წამალი უნდა, და
ხმელსა გასახმობელი არ უნდა.

წ ა მ ა ლ ი ნ ე დ ლ ი ს ა მ უ ნ ი ს ა: აიღე: ყუითელი და წითე-
ლი ზირნიხი მურდასანგი და ვერცხლისა აკლიმი ¹, თუ არ აყოს იმისი
ზომა ესევე მურდასანგი ქენ ზარდანსო და აბუტარატი, ხარზარას
ფურცელი და ნიშადური და გრძელი ზარევანდი, ამათგან სამსამი
უკია, მამკუდარი ვერცხლის წყალი ერთი უკია, ყუელა დანაყე ძრმითა
და ზეთისხილის ზეთითა შეზილე და შესცხე. აბანოშიგა ანუ მზისა
20 პირსა და როგორცა გახმეს დაიბანოს.

წ ა მ ა ლ ი ხ მ ე ლ ი ს მ უ ნ ი ს ა, აიღე: ვერცხლის წიდა ანუ
მურდასანგი, აბუტარატი და ხმელი სოსანი და გრძელი ზარევანდი
მღებართა კალისა ქუა და ვერცხლისა წყალი მოკლული, ომზანი,
თეთრის ძაღლისა ნავალი, მურდასანგი ყუითელი, გოგირდი ყუითელი
და წითელი ზირნიხი, გუნდა, ჟანგარა, უმარილო ამათგან სწორ
სწორი, დანაყე, გაცარ და ზეთის ხილის ზეთითა ანუ ნიგოზის-
ზეთითა შესცხე აბანოშიგა, ან მზის პირსა და დაეხსენ სადამდი
გახმებოდეს, მერმე დაიბანოს.

ს ხ უ ა მისი წამალი, აიღე: შამიანდალი, აბუტარატი, სანდალი,
30 ზაფრანა თვითოსაგან სამი დრამი, სპანდისა თესლი რვა დრამი,
ვერცხლის წყალი ორი დრამი დანაყე, გაცერ და ბერძულითა ზე-
თითა სცხე, იმავე ზემოსა წესითა,

ს ხ უ ა რომე ყ უ ბ ა ქუიან და ფირონიც ქუიან ამამავალი
არის წურილი, ორფერი არის თუ მწოვისა ხილტისაგან ² იყოს,
ამოსულა მისი წუითა და ჩხულეტი იყოს. თუ სევდისაგან იყოს

¹ „იყლემიაი“.

² სწერია „ხალტისაგან“.

ფირონის ამოსულა ჩხულეტით არ იყოს. წამალი მისი, რომლისაც სენისაგან იყოს, მისი გასახსნელი უნდა, მერმე წამალი ეს უყავ გამოცდილი არის, ტყემლის წებო და ქათირა შესცხე, მარგე არის, დანაყილი გუნდა ძრმით შესცხე მარგე არის.

კთ კარი მაგრისა სიმსივნისა სარატანისა რომე ქუსა ¹ ქუიან.

და ხ ა ნ ა მ ზ ი რ ი ს ა ნიშანი მაგრისა სიმსივნისა და ს ა ლ ა ს ი ². ნიშანი მაგრისა სიმსივნისა რომე არცა სალასა გუარი იყოს და არც ხანზირასი, სიმსივნე იყოს მაგარი, სევედისა და ბალღმისა გუარი იყოს, მისი წამალი გრილისა ნიკრისისა სწორი არის.

10 თ უ სარატანი იყოს რომე კუსა ქუიან მას ასრე შენახვა უნდა რომე არ დაიფანტოს, თვარა მოკლავს კაცსა. და თუ გაგრძელდეს ³, მაშინ უფრო რომე გასახსნელი წამალი ჟამზედ უყონ, და საჭმელი შეუწყონ ქერის კორკოტი, ნუშისა ზეთითა, თორხლო კვერცხი, ოსპი ასპანახი და ნიგოზი და ამათი მსგავსი.

თ უ მწოვედ ცხელი იყოს, ახალი დო 9მარგე არის, ჯერეთ არ დამჟავებულიყოს, სარატანისათვის დიდი ალვა მარგე არის. ყოველ-
თა დღეთა ოთხი დრამი აფთიმონისა ნადუღარი მიეც, მარგე არის.
და რაც მალახულისა და ჯუხამისა, რომე ქამოეთელა ჰქვიან, მისი წამალი არის, ისი ყულა ამისი წამალია, და რაც სიხმისა და სიმ-
20 ხურვალის წამალი ესე არის, რომე წისქვილისა ქვა გალესო წყლითა, ან სასრევი, ან ხვალაზნა გალესოს წყლითა და შესცხო.

ამ ნალესსა შიგა თუთია, უმარილო და საბრი, ამა ნალესავის წყალშიგა გაურივე და შესცხე, სარატანისა არა დააფანტავს და არც დააწყლოლებს. და პირველასა გამოსულასა შესცხო, კიდევ გაამრ-
თელეებს.

ს ხ ვ ა სიმსივნისა, რომე ქარისაგან იყოს, სახსარშიგა მოგრო-
ბულიყოს და გასივებოდეს, მისი წამალი: კოტოში მარგე არის,
ასრე რომე სისხლსა ნუ ადენ. მისი წამალი: აილე აქნასა კედელს
რომ ხაშურივით მოეკურის, ისი და ცოტა კირი გაურივე, ასეთი
30 რომე წყალი არ მიხდომოდეს და წყლით გაქენ და შემოსდევ.

ს ხ ვ ა, აილე: მუმურღანი, რომე ცერეცოს ზეთშიგან შექნილი იყოს და ხმელი ზუფაშიგა გაურივე და შემოსდევ, მარგე არის, თუ სტკიოდეს მაშინ ზეთის ხილის ზეთითა მატყლი დაასოვლე და შე-

¹ სწერია „კვესა“.

² აქ განმეორებულია კიდევ „და ხანზირასი“.

³ აქ ჩამატებულია „კაცი“.

მოსდევ მარგე არის. და თუ იმისი შემოსახვევიცა ვარდის ზეთით და-
სოვლო სჯობს და შემოაკრა. ყველა ნელთბილი შემოსდევ და თუ
გაცივდეს, კიდევ გაათბევ, აილე და კიდევ შემოსდევ.

ხ ა ნ ა ზ ი რ ი ს ი და ს ა ლ ა ს ი, ორივე ერთმანერთსა გავს მაგრა ხანაზირი ¹ მაგარი იყოს რომე არ იძუროდეს ², და სალა ხორცსა და ტყავს შუა იქნების ის იძურის შუა.

ნ ი შ ა ნ ი ხ ა ნ ა ზ რ ი ს ა რომე თავით ამოვა, მაგრა ხელითა რომ გაშინჯო არ იძურის ტყავშიგა და ხორცსა ზედა დამაგრებული იქნების, ხორცის ფერი იქნების. ამას თუ არა სწამლობ ადრე ავი
10 სენი არის და პირსა გამოიღებს და აღარ გამრთელდების. და იქნე-

ბის, რომე უმტკივრად იყოს, იქნების რომე სტკიოდეს. და კაცი მოწიფული იყოს უფრო ძნელია. ესე სენი მსუქანსა და ყელ მოკლეს კაცს უფრო დაემართების.

მისი წამალი, მძიმისა, მჟავისა საჭმლისაგან იფარეზოს და სალამოს ნურასა სჭამს და დილასა კარგი და მშუენე საჭმელი ჭამოს. რწყევა უნდა წამლებითა, რომე სენისა გუარი გამოწმინდოს, და ხელისა გახსნა უნდა და კოტომის მოკიდება, მარგე არის, და სასთაული მალლად დაიდვას.

30 პირველად გამგრილებელი წამალი უნდა როგორაცა ქათმისა და ბატის ქონი მალამად ქნას და შემოსდვას, რომე დააღბოს, მერმე გაკვეთა უნდა და ჟანგარისა მალამითა გამრთელეზა. ესე ერთობ მარგე არის. აიღე: სუმბული სალიხა, აბი ბალასანი, უდი, ბალასანი, ასარონი, დარიჩინი, ზაფრანი და მასტაქი თვითო დრამი, საბრი თექუსმეტი დრამი, უსტუხუდუსი და შამინდალი ხუთ ხუთი დრამი, თურბუთი შვიდი დრამი, საყმუნია ოთხი დრამი ინდოური მარილი, ყველა დანაყე და გაცერ და აბები შექენ, ჩრდილსა გაახმე, როგორაცა წესია და მისგან შესმა ორი დრამი და ნახევარი ანუ სამი დრამი.

30 ნიშანი და ხილიონისა მალამისა, აიღე: დანაყილი მურდალსანგი ერთი უკია, ზეთის ხილის ზეთი, გაშავდეს, მერმე აიღე ულბოსა ლუაბი ორი უკია და სელისა ლუაბი ორი უკია, ხათმისა ლოაბი ერთი უკია ეს ლოაბები იმა შავსა ზეთშიგან გაურივე და მოადუღე რომე გასქელდეს და ახმარე.

თუ გინდოდეს რომე დახილიონისა მალამა უფრო ძალიანი შექნა, აიღე: ფისი და სოსნის ძირი და მრგვალი ზარევენდი, თვი-

¹ სწერია „ხაზირა“.

² სწერია „იბუროდეს“.

თოსაგან სწორ სწორი დანაყე შიგ გაურივე. ესე დააღბე, და როგორაცა დაღბეს, გამოწურე, გაზილე და რაც ავი იყოს მოსწმინდე, მერმე ჟანგარისა მალამითა გაამრთელე.

ჟანგარისა მალამა, აიღე ჟანგარა ორი დრამი, ელიქირუმი¹ ხუთი დრამი, ზეთის ხილის ზეთი სამი მიტყალი და ცვილი, რაც მოუნდეს, მალამა ქენ და მით გაამრთელე.

10 ნიშანი სალასი, ის არის რომე ხანაზირსა გავს, მაგრა ხანაზირი არ იძურის და სალა იძურის, და ტყავსა და ხორცს შუა იქნების, და თუ არის მისი წამალი, დასტაქარი არის, რომე გაკვეთოს და ბუდითურთ ამოართვას. ისი ზეთი ხორცივითა იქნების, ზოგი თაფლივითა, ზოგი წყალივითა და ზოგი ისეთი იყოს, რომე ფეტიყივითა გამოსცვივა, მას ნიშნითა მას გაკერნა² ასრე უნდა, რომე მარცხენითა ხელითა ტყავსა ასწივნეს, ასრე რომე სალასა მოშორდეს, ასე გაკვეთოს, და ამას მოიჭირვე რომე სალა ბუდითურთ ამოაგდოს, და თუ გაკვეთოს, თუ ტყავი მეტად მოვიდეს მოაკვეთინოს რაც მეტი იყოს და შეაწყონ დახილიონისა მალამითა გამთელოს.

თუ გინდოდეს რომე სალა გაარბილოს ვაშაყი ძრმითა გალესე და შემოსდევ და ქალმისა ძირი ფისითა გაზილონ და შემოსდვან და კარაქითა მარგე არის, დახილიონისა მალამა ერთობ მარგე

20 არის ამაშია.

ნიშანი ხილონისა მალამისა: აიღე: ცვილი და ქაქნაჯ და ზროხის ქონი და ფისი სწორ სწორი და ზეთის ხილის ზეთი შიგ გაურივე, ცოტა შეზილე და ახმარე.

თ უ გინდოდეს რომე სალა მოამწიფო, აიღე წყალ მიუმხუდარი კირი ოთხი წონა, ღვინო ორი წონა, ბორა არმანი ორი წონა, შავი საკმელი ერთი წონა, ყუელა ნაცრის წვენშია გამოადულე და სპილენძის ვურჭელშია შეინახე, ასრე რომე არ გახმეს და შემოსდებდი.

თ უ ახლად ს ა ლ ა გამოჩნდეს, მისი წამალი, დაიჭირე: აშაყი ძრმითა გაადნევ და ზედა დააკარ, და ამა სალასა ზომა ტყვია გა-
30 აპრტყელე და ზედ დააკარ, შეუხვივე მაგრად, სამსა დღესა, მარგე არის. და თუ ვერ გაადნოს, მერმე აიღე საბრი და აზუზი და აყაყია, თევზის წებო, ეს წამლები წებოშია აურივე და შემოსდევე ქალადითა, ისევ ტყვივა კიდევ შემოაკარ სამსა დღესა, გააქარვებს ღთითა.

ესე სენი სქელისა ბალდმისაგან დაიბადების და ზემო უნდა ეწეროს. სხვა მჯდომი არის ღ უ დ ღ უ დ ი ჰქვიან, სალასა ჰყავს, მის

¹ სწერია „ელიქიბუტმი“.

² სწერია „გაკენა“.

384

ნიშანი ეს არის, რომე რა გამოვა უწინ რბილი იქნების ასრე რომე დაზილონ დაიფანტოს და მერმე კიდევ შეიყაროს, ესეცა სქელისა ბალდმისაგან იქნების, წამალი მისი სალას სწორი არის.

ერთი უკეთესი წამალი ეს არის, რომე: ყვითელი ზარნიხი დანაყილი და უგურკო ჩამიჩის ხორცითა დანაყოს და შემოსდევე სამსა დღესა ედვას და ძირითურთ ამოაგდებს.

თ უ კიდევ დარჩომილიყოს ამავე წესითა შემოსდევე და სულ ძირითურთ ამოაგდებს ნებითა ღთისათა.

ლ. კარი კისრის ტკივილისა.

10 რა კაცსა კისერი ასტკივდეს ოთხისაგან იქნების; ე რ თ ი სისხლისაგან, მ ე ო რ ე ბალდმისაგან, მ ე ს ა მ ე სასთაული რომე მაღლა სდებოდეს და თავ ჩამოვარდნით იყოს, მ ე ო თ ხ ე მისგან, რომე მაღლითა დაბლა ჩამოვარდნილიყოს.

ნ ი შ ა ნ ი მისი, თუ მაღლა სასოაულისა დებისაგან და ან სისხლისაგან იყოს, ის ადგილი რომ სტკიოდეს, წითელი იყოს და ცხელი, მისი წამალი გასახსნელი მიეც ამ წესითა, აიღე ხილთა წყალი თაბირინდი და ხიარშამბარი და შირხიშდი, ამ წამლებითა მუცელი გაუხსენ. მერმე ყიფალისა ძარღვი გაუხსენ და ტლევები შემოსდევე იმა ადგილსა ნედლი ქინძისა წვენითა და ძრმითა. ქაფური და ქერის
20 ფქვილი, სანდლისა და ფუჩი დარბანდითა ტლე ქენი და შემოსდევე.

თ უ ბალდმისაგან იყოს, მისი ნიშანი ეს არის, რომე სიმსივნე მისი თეთრი იყოს, ანუ ხორცის ფერი და ტკივილი ერთის რიგისა არი წამალი მისი: პირველად მუცელსა უნდა გარბილება, აბი შაბი-
[არი] ერთად აბი ყუყიათა და ფულფულითა და ყაყულათა, ყუელა დანაყე ძმრით გაურივე და შემოსდევე, მარგე არის.

ს ხ ვ ა: ბაზუნაჯი, ხვარბლის ქატო მოადულე, შიგ ჩაჯდეს ეს მარგე არის და მას რომე სასთაულისა მაღლობისაგან იყონ, ანუ

სასთაულისაგან იყოს, მას პირველად აბანოშიგან უნდა ჯდომა, მერმე თბილითა წყლითა და ძრმითა უნდა დაზელა და რა აბანოთა გამო-
20 ვიდეს, ქალის რძითა და იის ზეთითა უნდა დაზელა.

თ უ მუცელი შეკურით იყოს, მულასალითა უნდა გარბილება, რომე გასახსნელსა ჰქვიან და თუ გასივებული. იყოს, წითლად და მხურვალად იყოს ყიფალისა ძარღვი გაუხსენ და გრილი ტლები შემოსდევით.

ლა. კარი მზრისა, თავისა ტკივილისა და ზურგისა ტკივილისა და მოდრეკისა და ძარღვების გასივებისა.

თუ მხართა დაუწყოს ტკივილი, სამისაგან იქნების, სისხლისაგან, ზაფრისაგან და ბალღმისაგან.

385

თ უ სისხლისაგან იყოს, მისი ნიშანი: ხელი რომე დასდვა ცხელი იყოს და გაუწითლდეს, მას მსუბუქი გასახსნელი ააღებინე: შირიხიშტი, ხიარ ზამზარი, თარანგუბინი თვითოსაგან ათ-ათი დრამი და ყიფალიც გაუხსენ და გრილი ტლები შეუწყევ და მტკივანზედ დასდე.

თ უ ბალღმისაგან იყოს, მისი ნიშანი: ტკივილი თავისა ფერზედა იყოს. მას იარაჯ ფეყრათ ღარღარა აქნევინე, აბანოშიგა და გასახსნელიც ააღებინე იარაჯ ჯალინოზითა ¹ მუცელი გაიხსნას და ყუსტისა ზეთითა დაიზილოს თბილ თბილათ როგორცა ლაყუასა და
10 ფილენჯისათვის გვითქუამს, თბილითა პურითა აჭამე და დილეულად კამა და შაქარი ცეცხლშიგან ჩაყაროს და იგიცა ისუნოს, და რაც ფილენჯის წამალია ამასაც ერგების.

თ უ ესე ტკივილი ანუ ნაცემობისაგან, ანუ მძიმისა აღებისაგან იყოს ისი მტკივანი ვარდის ზეთითა დაუზილონ.

თ უ ამით არ ეშველოს კოტომიც მოჰკიდოს. ხატმი დანაყილი, ქერის ფქვილი იისა ფურცელი დანაყილი, კვერცხისა გული, ვარდის ზეთი ცოტა ძმარი, ყუელა ერთმანერთში გაურივე და მტკივანზედ შემოსდე და ცოტა მუმიაცა დანაყონ, შაქრითა გაატკბონ და ცოტა ცხურისა რძეცა გაურიონ და შეასვან.

20 თუ გაუსივდეს და ფერადაც წითელი იყოს კოტომი მოიკიდოს. თუ სიმსივნე თეთრი იყოს ფერად, მდოგი და სინჯი[ტი] ორივე დანაყე, ზიბიყის ზეთი გაურივე და ზედ შემოსდე მტკივანსაზედა.

ნ ი შ ა ნ ი რომე კაცი მოდრეკეს და ზურგი სტკიოდეს, ანუ ქარისაგან იქნების ანუ ზაფრისაგან, ანუ მალლიდამ ჩამოვარდნისაგან, ან წიხლის კურისაგან, ცხენის წაქცევისაგან, და არის რომე ქარისა და ან ბალღმისაგან და ან სიგრილისაგან იყოს.

თ უ მიზეზი გარეთ იყოს ზურგის მოდრეკისა, ცემისაგან ან ჩამოვარდნისაგან აიღე: ცვილი და შირბახტისა ზეთი ერთმანერთშიცა გაურივე და ზურგსა მით უზელდი ყოველთა დღეთა და ფართოთა
30 სამოსლითა უხვევდი, და გაემართვის ღთითა.

თ უ შიგნით იყოს, იცოდი ზაფრისა და ქარისაგან არის, მას ყუითლისა ალილას გასახსნელი ააღებინე, და ესე მაჯუნი შეუწყევ. აიღე: სუმბული, დანამასტაქი ასარონი და დარიჩინი, თვითოსაგან ხუთი დრამი, მური ათი დრამი, დარონაჯი და წყლისა ჰაკუნტლისა თესლი და ხაპანტისა თესლი, თვითოსაგან სამი დრამი, ყუელა და-

¹ სწერია „ჯალინოლითა“.

თბილითა წყლითა. თუ თხისა ანუ ვირისა რძითა მისცე ერთობ მარგე არის და გამოცდილი ღ~თითა,

ს ხ ვ ა წამალი მისივე, აილე: ანდუზი ¹ და ბოლოკი დანაყე და ორივე ბერძულითა ზეთითა შეზილე და სადაც სტკიოდეს შეზილე და შემოსდევე, უშველის ღ~თითა.

თუ ძარღვები გასივდეს და სტკიოდეს, აილე ქერის ფქვილი ორი ბლუჯი და ერთი ბლუჯი წმინდა ფქვილი და თბილითა წყლითა გაურივე და თხელითა სამოსლითა ზედა შემოსდევე.

10 თუ კაცსა ძარღვები დაუმოკლდეს ერთსა ასოშიგან, ანუ სრუ-ლად ტანშიგა ასრე იქნების, რომე ანაზდად ეცემის კაცსა და დღივ და დღივ უარ იქნების.

თუ ანაზდად ეცეს ისი წამალი ქენ, რომე ფილენჯისათვის სწე-რია, მერმე ის ადგილი ყუსტისა ზეთითა დაუზილე კარგადა.

თუ ანაზდად არ ეცეს და დღივ და დღივ ეცეს ცოტა ცოტა, მაშინ ამ წამლებისაგან ნუ იქს. ესე უყავ.

სიხმისაგან ან ბევრისა გახსნისაგან ანუ ბევრისა ამოღებისაგან, ამათგან დაემართების, რომე დღივ და დღივ იმატებდეს. წამალი მისი ადვილია, ყოველთა დღეთა თბილსა წყალშიგა ჩაჯდებოდეს. მერმე ესე წამალი ქენ, აილე იისა ზეთი და აყიროსა ზეთი, იისა ზეთი 20 ორმოცდა[ა]თი დრამი და აყიროსა ზეთი ოცდა[ა]თი დრამი გაურივე ერთმანერთსა, და რა აზანოთა გამოვიდეს იმითა შესცხე და შეზილე. და საჭმელი მიეც ახალი თევზი და თორხლო კვერცხისა ყვითელი. თიკნისა და გოჭისა ხორცი და ეშველოს.

თუ დაკოდილობისაგან ანუ სხვა მიზეზისაგან დამოკლდეს ძარ-ღვი, მისი წამალი: აილე; თელის ხის ქერქი და ტუხტის ძირის ქერქი წყლით დაალბე და ადულე მანამდი, რომე გასქელდეს, მერმე აილე ორი მისთონი ცხურის დუმა და ვირის რძე, ერთმანერთსა გაუ-რივე და ცოტა ბარანბო ² შიგ გაურივე და კიდევ ადულე რომე მო-სქელდეს და სელიც შიგ გაურივე. მერმე აილე თიკნის ტყავი და ეს 30 წამლები იმაზედ გააპრტყელე და შემოსდებდი. თუ დიდსა ხანსა გა-მოუშვებ მეტად გააგრძელებს ძარღვებსა ღ~თითა, და მარგე არის.

ს ხ ვ ა წამალი რომე ძარღვი უსივდეს და დამოკლდებოდეს, აილე მუყლი ათი დრამი, ქათმისა და ბატის ქონი და ზროხის წვი-ვის ტვინი თვითოსაგან ნახევარ ლიტრა, მუყლი დაალბე თბილისა წყლითა და ქონები გაადნევ და მუყლი და ქონი ერთად ავანშიიგან გაურივე და როდეს გინდეს სამოსლითა შემოსდევე მარგე არის.

¹ სწერია „თანდუზი“.

² სწერია „ბარბო“.

ლბ კარი რომე თესლი უნდომად წაუვიდეს.

მისი ნიშანი ის არის, რომე აიმონისა ¹ ადგილი დასუსტდების,

ამას ჰქვია; რომე თესლი შეიყრების. ესე სენი ანუ მისსა სისუსტი-
საგან იქნების, ანუ თესლი გათხელდების და მისგან იქნების.

წ ა მ ა ლ ი მ ი ს ი, აიღე: სელი და ქათირა და ნესვის თესლი
თვითოსაგან სწორი, დანაყე და ერთი კოვზი წმინდა ფქვილი [გაუ-
რივე] და თბილითა წყლითა შეზიღე.

ს ხ ვ ა წამალი: ტენცო მოადულე წუნითა და ექუსსა დღესა-
ზედიზედ შეასვი, უშველის ღ~თითა.

10 ს ხ ვ ა, იმა სენისა წამალი, აიღე: ნელოფარის ძირი დრამ ნახე-
ვარი და სადაფისა თესლი და ბროწეულისა ყვავილი თვითო დრამი,
დანაყე, გაცერ და ნელთბილითა წყლითა შეასვი.

ს ხ ვ ა მარგე სენისათვის, აიღე სადაფის თესლი ბროწეთლის
ყვავილი თვითოსაგან თვითო დრამი და ხმელი ვარდი ერთი დრამი,
ნენოფარის ძირი, ხმელი ქინძი, ნიახურის თესლი ბროწეულის მარ-
ცვალი, თვითოსაგან ოროლი დრამი, დანაყე, გაცერ და მიეც თუხ-
მაქანისა და ანუ ტყემლისა წვენითა შეასვი.

ს ხ ვ ა მუცელსა შემოსადებელი, აიღე: აყაყია, სომხური თიხა,
20 კაპრასული თიხა, რომე ბერძულსა თიხასა ჰქვია, ტარასოსა და თუ-
თუბა და ბროწეულისა ყვავილი და წყლის ჭაკუნტალა, ესე ყუელა
დანაყე, გაცერ და ბისა, ან ვაშლისა, ან თუხმაქანისა წვენითა სა-
მოსელზედ გარდააკარ, მუცელსა და წელზედა შემოსდეგ გარეშემო
და კიდევ შეასვი.

ა მ ა ვ ე სენისათვის ნედლი ქინძი და ნედლი ქასნი დანაყე და
გამოწურე და შეასვი და მარგე არის ღ~თითა.

ლგ. კარი მოტეხილისა და ამოგდებულისა.

თუ მოტეხილი იყოს ძვალი ფერხისა ანუ ხელისა, კარგად და
ხერხიანად უნდა დაწყობა, ფერხისა ასრე, უყავ, რომე ფერხისა ცერი,
ცერსა დაუპირისპირე და ერთმანერთსა მიუკარ, წაავლე ხელი და

30 დაუწყე მართვა, აგრევე ხელსა უყავ, და მერმე ეს წამალი უყავ,
აიღე: აყაყია და ქალბანა და კვერცხის გულითა გაურივე და შემო-
სდეგ სამოსლითა და ზედა მაგრა არტახი მოტეხილისაგან უფრო
გრძელი უყავ, ასრე რომე მოტეხილი დაიჭიროს, მთელზედა შეკრას.
ოთხითა თითითა უფრო გრძელი უნდა. მოტეხილისაგან. და მწვედ
არ უნდა მოკურა. ასრე უნდა, რომე სისხლი შიგ იარებოდეს, თვარა

¹ ავიომანი.

მოვარდების. უწინ ყოველთა დღეთა უნდა გახსნა და ნახვა, ამისთვის
რომე ფერი არ ექცეს, და თუ ექცეს მისი წამლებისა უნდა შეცხება ¹.

მაგრა გახსნა ერთსა დღესა უნდა და ერთსა არა, და რა შვიდი
დღე გამოვიდეს, მეხუთესა დღესა უნდა გახსნა, წყნარად რომე არ
მოშალოს, და კიდევ შემოაკრა, რომე ისრე გამრთელდეს არ გამრუდ-
დეს. გილშრაფეთი და ზროხისა, ცხურისა ჭლიკი, და ძვალსა გატე-
ხილსა დაამაგრებს. სამი დრამი ბურძეული ზეთი ძველი, ექვსი დრამი
ცვილი, [ცვილი] და ზეთი ერთად დაადნევ, ტვინი ღვინითა გაადნევ
და მოურივე ერთმანერთსა და მალამად ქენ და შემოსდეგ, მარგე

10 არის.

თ უ გატეხილსა სისხლი სდიოდეს, მას ასრე უნდა, სადაცა სი-

სხლი სდიოდეს ის ადგილი მჭურისაგანცა და ფიცრისაგანცა ცარიელი ამყოფოს რომე შიშველი ჩნდეს.

თ უ მოტეხილი გაუსივდეს, წამალი გამოცდილი, აიღე: მულასი, მაშა ათ-ათი დრამი, მური, თეთრი ხათმი, აყაყია ხუთ ხუთი დრამი გილიერმანი, ყველა დანაყე და კვერცხის გულითა შეზილე და შემოსდევი სიმსივნეს უკუაყენებს.

ს ხ ვ ა, ტირიფის ფურცელი, ურთხლისა და მურტისა ფურცელი დანაყე, კვერცხის გულითა შეზილე და შემოსდევი. და სხვა, სადა 20 ზემო მარღვის გასივების შემოსადებელი სწერია, ის უყავით.

ნ ი შ ა ნ ი ა მ ო გ დ ე ბ უ ლ ი ს ა. რა ასო ამოუვარდეს ნიშანი ის არის, რომე, რომელი ასო ღრმა და ჩუბუტო ყოფილიყოს ამალდეს, და მაღალი ალაგი დაღმავრდეს ² და დამდაბლდეს, და იმა ასოსა ვერ იხმარებდეს და ეს მისი წამალი: უწინ ხელი გაუხსენ და მერმე ჩაუჯდე ამა წესითა: რომე მიზიდენ და მოზიდენ მარჯვენითა და მარცხენითა და გარ ეცადე, რომე მისსავე ადგილს მივიდეს, მერმე მაგრად შეკურა უნდა. ხმელითა მჭურითა არ ვარგა შეკურა, ტლე უნდა შექნა გუნდისაგან და გულნარისაგან, და აყაყია, ცოტა ოშნანი, ყუსტი და მთახუის ყუერი, ეს ყველა სწორ სწორი დანაყილი და 30 გაცრილი შეზილე წყლითა და თარანგუბინითა და თამრიინდითა და ლაბლაბისა წყლითა და ხილთა წყალი შაქრითა მაშუნე არის. შეკრვა ხამითა მჭურითა უნდა მაგრა.

ლდ. კარი დამწურისა, დამდულრილისა და მაღლიდან ჩამოვარდნილისა და დაკოდილისა.

წამალი მისი, რაცა ფერი დამწვარი იყოს რა ნახო ახლა დამწვარი, მოიღე: მწვავი ბოლოკი დაჭერ და წყლითა და ან ძრმითა მოა-

¹ სწერია „შეექცეს“.

² სწერია „დაღმარდეს“.

დულე, რომე დადნეს და ზედ შესცხე, ამისთვის, რომე არ დაბუშტდეს, მერმე აიღე კირი და უმარილო სწორ სწორი, ერთმანერთში გაურივე და კვერცხის ცილით შეზილე და შემოსდევი.

ა ი დ ე: ოსპის ფქვილი და უმარილო სწორ სწორი ძმარშიგა გაურივე და გარცხილი კირი და ცოტა ქაფურითა გაურივე, იის ზეთშიგა გაურიონ და შემოსდვან დამწვარზედა.

ა ხ ლ ა დ დამწურისათვის კვერცხის ცილი ერბოთ დაზილე და შემოსდევი კარგია და მარგე. და თეთრი მალამა და ქაფურის მალამაც კარგი არის.

10 თ უ ცხელის წყლითა ან მდულრითა ერთობ დაიმდულროს, წამალი მისი, მასვე წამსა სანდალი და ვარდის წყალი და ქაფური ტლედ შემოსდევი და არ უნდა გაშვება რომე გახმეს, ასრე უნდა რომე ნიადავ მწვარი ცივის წყლით დაასოვლო და ზედ დასდებდე მისთვის, რომე უფრო არ გაბუშტდების. და ან თუთუბოსა წყლითა, და ან ნაცრის წყლითა დაასხი ზედა ან მაზოხის წვენი, რომე ერთობ მჟავე არ იყოს და თეთრი მალამაცა, მით უნდა გამთელება თეთრის მალამითა.

თ უ მ ა ლ ლ ი თ ჩ ა მ ო ვ ა რ დ ნ ი ლ ი ყ ო ს, ანუ ცხენი წამოქცეოდეს, ან ნაცემი იყოს, მისი წამალი, უწინ ხელი გაუხსენ ყიფალი

20 ანუ აქჰალი¹. მერმე მუმიაც შეასვი და ახალი ცხურის ტყავი შემოს-
დევ რომე არ აყროლდეს, ახალ ახალი, და უწინ ხორეს მარილი და-
აყარე და მერმე შემოსდევ ცხურის ტყავი მერმე შეახვიე. შაქრით
ერთი დრამი ან ახლით რძითა და ქერის კორკოტითა და წყლის
მაგიერად [შეასვი].

თ უ ნაცემობისაგან თავი გაუსივდეს და ცოტად აშლით უბნობ-
დეს, პირველად ხელი გაუხსენ, მერმე ისევ მუმია შეასვი და ეს წა-
მალი უყონ, აიღე: მური და სადაფის ფურცელი და ბროწეულისა
ქერქი მოადუღონ და გუნდა, ყუელა დანაყილი ძრმით უნდა მოდუ-
ღება და თავზედ შემოსდვან. თუ ამან არ უშველოს აიღე: უდი და
30 უხარშავი აბრეშუმი მური და გულნარი, დანაყე და ღვინო გაურივე,
მოადუღე და შემოსდევ. საჭმელად ბროწეულის შარბათი, ქათმის
ხორციით მიეც.

თ უ ეს საქმე ანუ ზურგისაგან იყოს, ან გულის პირისაგან,
ხელი გაუხსენ. აიღე: ტინი მახთუმი, რევანდი და ზარავანდი და მუდ-
მად მუხუდოსა წვენითა აჭმევდი ამასა.

რაჟამს კაცი დაიკოდოს ხლმითა, ისრითა, ანუ შუბითა ანუ
სხვითა, გასინჯე, თუ გაკვეთილი ერთი მტკაველი იყოს ანუ უფრო,

¹ სწერია „აქლისი“.

ფოლადის ნემსით უნდა შეკეროს აბრეშუმითა ფრთხილად, ეს წამალი
ზედ დააყაროს აიღე: ანძრუთი და ძმათა სისხლი და თეთრი საკმელი
და მურდასანგი ეს ყველა ოროლი დრამი, დანაყე, გაცერ, შეკერულზე
მოაყარე და ზედ ძველი ბანბა დასდევ და შეხვიე.

თ უ ცოტა იყოს გაკვეთილი, ფიცხლავ პირი შეუკარ, მაგრად
შეუხვიე და სამს დღეს ნუ შეხსნი, მერმე გახსენ და პირი გაულე
რომე გარ გამოვიდეს, და თუ რამე ბეწვი ან მტვერი იყოს შიგ
ამოწმინდე მერმე პირი დაუსწორე და ერთ დღე ღამეს კიდევ შეკარ,
მერმე კიდევ გაუხსენ და გასინჯე, თუ სწორად იყოს პირი კარგა,
10 თვარა ცერით დაუსწორე, და ნედლსა წამალსა ნურას მიახვედრებ,
და ის წამლები დააყარე რომე სწერია და ან ეს დააყარე, აიღე:
კამისა თესლი და ყვითელი მურდასანგი სწორ სწორი, დანაყე, გაცერ
და ხმელად დააყარე, მარგე არის მხთითა.

თ უ წამალი გზას არა ქონდეს, ლურჯი მჩვარი დაწვი და ძვე-
ლი ბანბა ფურის ერბოთი დაასველე, ზედ მოაყარე და შეუხვიე. სამსა
დღესა თუ ეს დაკოდილი თავს იყოს, ზარავანდი ღვინითა მოადუღე
და მერმე კიდევ გაახმე და დანაყე, თუ ღრმად იყოს პატრუქით
შეუდევ.

ს ხ ვ ა თ ე თ რ ი მ ა ლ ა მ ა, მღიერის, დამწვრისა, დამდულუ-
20 რილისა, დაკოდილის ყუელას, ყუელას უშველის, მალედ ხორცს
ამოზრდის, აიღე: უმარილო ათი დრამი, ანძრუთი სამი დრამი, მურ-
დასანგი ერთი დრამი, დანაყე, გაცერ. მოიღე თეთრი ცვილი და
ქათმის ქონი შვიდშვიდი დრამი, ბერძული და ანუ შირბახტის ზეთი,
ეს ყველა ერპირად დაადნევ, ავანშიგა ჩაასხი და წამლები ზედ დაუ-
ყარე და გაქენ, კარგად, სანაყელითა. შეინახე, და რა მოგინდეს ზედ
დასდევ, მარგე არის ღ~თითა.

თუ სხვა შავი მალამა გამმთელელები, რომე ჩაუქად გაამთე-
ლებს, აიღე: ელიქირუმი, ანმარუთი ¹, ჟანგარა, მური და შავი კევი და
შავი ფისი თვითოსაგან სამსამი დრამი, ზარავანდი მგურგვალი და
30 ზარავანდი გრძელი და სურინჯანი თვითოსაგან ნახევარ მიტყალი,
რაც დასანაყელი იყოს დანაყე, და რაც დასადნობელი იყოს და-
აღნევე, ძროხის ქონითა მოადუღე, რა მოგინდეს იხმარე, მარგე არის.
ეს მალამა გაამრთელეებს ყოვლისა ფერისა წყლულსა და ნაკბენსაცა.

თ ე თ რ ი მ ა ლ ა მ ა : რომე უშველის ყოველსა ფერსა ახალსა
წყლულსა და მღიერსა, აიღე: უმარილო, ანმრუთი, შაბი, ცვილი, თვი-
თოსაგან სამ სამი დრამი, რაც ზეთი მოუნდეს ბერძული და ძროხის

¹ სწერია. „ანზარუთი“.

ჭლიკის ტვინი ყველა ერთმანერთშიგან შეადუღე და მალამად იხმარე
რა მოგინდეს, მარგე არის ღ~თითა.

ქ ა ფ უ რ ი ს მალამისა ხასიათი ბაგე რომ გაუსქედეს, უკანა კარი
ეწოდეს მასაც არგებს, მღიერი და მჯდომი გამოვიდეს მასაც არგებს,
თუ ხლმითა ანუ ისრითა დაკოდილი იყოს მას დასდვას, ან პატრუ-
ქითა შედვას მას არგებს, აიღე: მურდასანგი ერთი მიტყალი, უმა-
რილო ერთი მიტყალი სპეტა ორი მიტყალი, ესენი დანაყე, გაცერ
და თეთრი ცვილი და ზეთი ერთად გააღნევე, უკმოდგი, რაჟამს გა-
ცივდეს ეს დანაყილი და გაცრილი წამლები შიგ გაურივე, მერმე
10 ერთისა კვერცხის ცილა გაურივე, ასრე რომე არ შეიწვას, მერმე
ცოტა ქაფური გაურივეთ, კარგად დაზილეთ რომე გასწორდეს, შეი-
ნახე და რა მოგინდეს იხმარე, მარგე არის ღ~თითა.

მ ა ლ ა მ ა ჟ ა ნ გ ა რ ი ს რომე ძველსა წყლულისა რომე არის,
ნასორი რომე დართულსა ჰქვიან, მას ცეცხლითა დაწვა უნდა, მას
გამთელეებს და მოსჭამს, ავსა, დამპალსა წყლულსა მოსჭამს და
მატლსა მოკლავს და ყურსა რომე ბაყლი სდიოდეს, პატრუქითა შე-
უდვათ მასაც გამთელეებს და უშველის. აიღე: ჟანგარა, გომიზი ფი-
ჭვის, ვაშაყი, ანზრუთი და ცვილი, ამათგან სწორსწორი, ჟანგარა
ძრმით დაალბე დანაყე სხვანი წამლები ცალკე დანაყე და ცვილი
20 ბერძულითა ზეთითა გააღნე რაზომიცა ეყოფოდეს, იგი და ესე ყველა
ავანშიგა ერთად შერივე და ურივე კარგად რომე გასწორდეს და
ჭურჭელსა შიგა ჩაასხი და რა მოგინდეს იხმარე ნებითა ღ~თისათა.

მ ა ლ ა მ ა ს ი ნ გ უ რ ი ს ა წითელი, ერგების ყოველსა მჯდომსა
გარეგნით რომ იყოს წყლულსა გარეშემო რომე წითელი სიმსივნე
იყოს მას მჯდომთა და კბილის ტკივილს, ტკივილითა რომე პირი
გასივებოდეს, მასაც უშველის ნებითა ღ~თისათა. აიღე: მურდასანგი.
ათი დრამი სინგური და სპეტი ტყვივის წონა ოცის დრამისა და
ცვილი ექუსი დრამი და იის ზეთი წონა ოცის დრამისა, ესე წამალნი
ხმელნი დანაყე ავანთა შიგან ძრმითა და ცვილითა და იის ზეთის თანა
30 გააღნო და ზედ დაასხა, აურივო რომ გასწორდეს და შეინახე და
რა მოგინდეს იხმარე, გამოცდილია და კარგი ნებითა ღ~თისათა.

ძ ვ ე ლ ი ს წყლულის მოსაჭმელი წამალი, აიღე: საბრი ჟანგარო
და მურდასანგი სწორ სწორი დანაყე გაცერ, თაფლითა შეზილე და
ახმარე რა მოგინდეს.

ბ ა ს ა ლ ი ყ ო ნ ი ს ა მ ა ლ ა მ ა მ ა უშველოს საცა ძველი და ავი დაკოდილი წყლული არის, აიღე: ძროხის ჭლიკის ტვინი, ქონი ძროხისა და ცვილი შიგ გაურივე და იის ზეთი და ვარდის ზეთი სწორ სწორი, მერმე ათი დრამი ზარდანჩო დანაყე შიგ გაურივე.

392

და ზ ი ლ ა ნ ი ს მალამა უშველის დაკოდილსა და დაჭეჭკილსა და ძველს სიმსივნესა, აიღე: მურდასანგი შვიდი დრამი, ხატმი, თუხმაქანი, კვერცხის ცილა ყველა ერთად გაურივე და მზეს ქვეშ დადგი, მერმე აიღე: ოცდა[ა]თი დრამი ზეთის ხილის ზეთი ტაფაშიგ ჩაყარე და ერთგან ადუღე, დაიჭირე მურდასანგი დანაყე, ისი წამლებშიგ გაურივე ყველა და იხმარე.

ხ უ შ კ ა რ ა დ ა ნ ი, მოსაშრობელი მალამა რომე წყლული მოაშროს რომე გინდოდეს ამისი შაქნა აიღე: ანძრუთი, ხუნშოსანი, ელიქირუმი, საბრი, ყუელა სწორ სწორი დანაყე და მოუყარე ზედა და 10 მოაშრობს.

თ უ კაცსა, თავი დაკოდილი იყოს, გაეხეთქოს, შიგა ჩაყარე და გაამთელებს. რაცა გაკვეთილი იყოს ჩაყარე შიგა, იგი გაამთელებს და გააშრობს.

მ ა ლ ა მ ა თ ა შექნას გასწავლის, ისრე უნდა, რაც ხმელნი წამალნია დაანაყინე ცალკე და გაცერ. ცვილი და ზეთი ერთმანერთში გაურივე, ფისიც თან გაურივე, მერმე ავანშიგა ჩაასხენით დამბალნი და დანაყილნი წამალნი ერთად აურივე კარგად ავანში თვით რომე გაერთდეს, და რა მოგინდეს იხმარე, კარგია ნებითა ღთისათა.

ლე კარი ქარისა ტანშიგ რომ დგებოდეს უძრავად. სამისაგან 20 იქნების, სისხლისაგან, ზაფრისაგან და ბალღმისაგან, ნიშანი თუ წითელი ზეთი იყოს ტანზედა, შიგნით მაჯა ძალიანათ სცემდეს, ჩქარად და ფსელი მოყვითანოდ იყოს და ჭერმის ფერად, და ან მოწითანოდ იყოს, ისი რომე მოყვითანო არის, ზაფრისა არის და ისი რომე მოწითანო არის, სისხლისა არის. რა ესე ნიშანი ნახო, იცოდი რომე სისხლისაგან და ზაფრისაგან არის.

წ ა მ ა ლ ი მ ი ს ი უწინ ხელი გაუხსენ და მათბუხი მუფიდი დაუზილეთ.

თ უ ბ ა ლ ღ მ ი ს ა გ ა ნ იყოს, მისი ნიშანი ესე იყოს რომე თემოთ ტკივილი დაუწყოს ფერხის თითამდი, ირყინისა¹ არის რაც 30 მისის კარში სწერია ის უყავით წამლები.

თ უ ესე აკვანთა ყმაწვილთა...[აქ აკლია]..და ერბოშიგა მოადუღე მერმე გამოსწურე, შაქარი გაურივეთ და შეასვით და ან შემოსდევით.

თ უ ამან არ უშველოს, აიღე: მარიამ საკმელა მოადუღე წყლითა, გამოწურე და შაქარი გაურივე და ყმაწვილსა და დედასა ორსავე ასვით, ყმაწვილს რძითა ჩაალოკეთ პირშიგან და დედას შაქრით ასვით, მარგე არის ღთითა.

¹ სწერია. „იარაყნისა“—შეცდომაა.

აყენოს, თუ გინდოდეს რომე დააყენო ესე წამალი ქენით აილე ანძა-
რუთი, მალაზულია, თეთრი საკმელი და ბროწეულის ყვავილი ამათ-
გან ხუთ ხუთი დრამი, დანაყე და გაცერ, ზედ დააყარე და მერმე
ძველი ბანბა ზედ დააკარ, ერგოს ლთითა.

ს ხ ვ ა გამოცდილი მისთვისვე, რომე სისხლი ვერ დაგეყენოს.
აილე: არჯასპი და შაბი და მწვანე გუნდა, ბროწეულის ქერქი, თო-
ფალახი, თვითოსაგან ხუთი დრამი, კიპერსი და თუ კიპერსი არ იყოს
გუნდა ქენით, და მალაზუა და მური, ამათგან თვითო დრამი, დანაყე,
10 გაცერ და რა მოგინდეს ზედ დააყარე და უშველის ლთითა.

ს ხ ვ ა, აილე: გაურეცხელი მატყლი და კურდღლის თმა და
ძველის ფარდაგის ნაკვეთი სწორ სწორი ქენ, დაწვი დანაყე და გა-
ცერ, და რა მოგინდეს ზედ დააყარე, ძველი ბანბა დასდევ და შეუ-
ხვიე, ერთობ მარგე არის.

ს ხ ვ ა, სისხლის დაყენებისა, სამყი არაბი დანაყე, ზედ დააყარე
და უშველის. ნიშანი შხამიანითა ისრითა კაცი დაიკოდოს, მისი ნი-
შანი ეს არის, რომე ტვინის მიმართებს ის შხამი. მისი წამალი გა-
მოდელი ეს არის რომე, სად კისერი დაილევის, ისი ძვალი მაღალი,
ორკაპი, კისერსა და ზურგის ძვალს შუა არის, მისი ნიშანი ეს არის,
20 რომე იმ ძვალისა და ზურგის ძვალს შუა რომე თითი დასდვა, შიგ
ჩაჯდების, იქით ფრჩხილის ოდენი მოკვეთე.

ერთი ნიშანი ეს არის დაკოდისა პირს გაბერვა¹ უნდა და
ის ალაგი გამოჩნდების, ისი სენი და შხამი იქით გამოვიდეს, ყვი-
თელი წყალი, თუ ამას არ უზამ ტვინშიგა გავა და კაცს მოკლავს,
თუ ტვინში არ მივა კაცს ვერ მოკლავს. რა ნახო ისი ადგილი, რომე
გაუთეთრდეს და შხამი არა ამოსდიოდეს. მერმე ესე წამალი რომე
თრთის პქვიან ამა დაკოდელზედ დააყარე, აილე: მალაზურია, რომე
ძმათა სისხლსა ჰქვიან, ანძრუთი და თეთრი საკმელი, ესე წამლები
სწორსწორი ქენი, დანაყე და გაცერ და მოკვეთილსა ალაგსა დააყარე
30 და ზედ ძველი ბანბა დასდევ სხვას ნუ გამოუცვლი ეს გაამთელებს, და
სადაც ისრის ნაკრავი იყოს ეს წამალი დასდევ, ან წყლითა ან ღვი-
ნითა ისი ადგილი დაკოდელი მობანე, მერმე აილე: კაპოეტის თევზის
ნალველი ანუ ყვავის შავის ნალველი და ნალველის წონა მისი ქონი
და ქათმის ქონი ათი დრამი და აფიონი ერთი დრამი ყველა დანაყე
ხის ავანში ანუ ქვის ავანში, და სპილენძის ავანში ნუ დანაყე მისი
ჟანგი ავი არის, მერმე გაურივე და ცოტას ქოთანში ჩადევ და ადულე,
რომე მოსქელდეს, ძველს ბანბაზედ დასდევ სამს დღეს, დაეხსენ ან

¹ სწერია. „გუბერვა“.

დღევ სამჯერ უცვალე, მისმეტს ნუ, და ყვითლის წყალს ამოიღებს
და შხამს ყველას გამოსწმენდს და იხსნის მლთითა.

თუ გინდოდეს რომე ეს წამალი მზას იყოს, ამისგან აბები-
შექნას და გაახმე და ქალადმოგა წახვიე და მზა იქნების. და რა
მოგინდეს წყლის ჰაკუნტლის წყალში მალამად შექენ და ზედ დას-
დევ, ამას სპილენძის ჭურჭლით ნუ შეინახავ, ნურც დანაყე, მისი ჟან-
გი ავი არის. რა სამი დღე გამოვიდეს და სიცხისა დრო იყოს, ამას
უკანით თეთრის მალამით ამრთელე, დღევ ორჯელ დასდებდი.

თ უ ზამთარი იყოს ან შემოდგომა შავი, მალამა დასდევ, მარგე 10 არის.

სხვა წამალი თუ არა ქონდეს რა, როგორც ისარი ეცეს ის ალაგი მოკვეთე და გააგდე და კაცისა განავალი დასდევ ახალი. თუ ბალღამი გამოსდიოდეს ისივ პირველი დასდევ, მარგე არის ნებიითა. ღ~თისათა.

ღვ. კარი რწყევისა.

რომე კაცსა სტომაქი აშლოდეს, და რწყევა დააწყებინოს, რასაც სჭამდეს არ დააყოვნებდეს, არწყევდეს. და სარწყეველი წამლებიც სწერია, რომე რაჟამს რწყევა მოუნდეს მით არწყიოს, და პატრუკე-ბიც სწერია შესაკრავიცა და გასახსნელიცა. წამალი მისი, რომე 20 სტომაქი აშლოდეს და არწყევდეს.

წ ა მ ა ლ ი მ ი ს ი, აიღე: მწვანე გუნდა და ქერის პური სწორ სწორი დაწვი, დანაყი, აჭამე, და ზედ ერთი პირი ძმარი შეასვი და უშველის ღ~თითა.

და თ უ კიდევ წამოარწყიოს, აიღე: კანაფის თესლი და წყლით გალესე და დადგი გალესილი და დანაყილი და როზე დაწმდეს, და მერმე დაწურეთ და შეასვით და უშველის ღ~თითა.

ს ხ ვ ა წამალი, ა ი ლ ე ვაშლი ხმელი იყოს და თუ ნედლი დანა-ყე და აადუღე წყლითა რომე ნახევარზე მოიყაროს და გამოწურე და შეასვი და უშველის ღ~თითა.

20 თ უ ცხროსა და ცხელებისაგან ამოიღებდეს ბალღამს, წამალი მისი ხალი თბილს ღვინოში გაურივე და შეასვი, უშველის ღ~თითა.

თ უ სენშიგა ერთობ აბოკინებდეს პიტნის წყალი გაურიე მჟავეს ბროწეულში და შეასვი უშველის ღ~თითა.

თ უ ნამეტნავს სისხისაგან აშლოდეს და ბალღამს ამოიღებდეს აიღე: ბროწეულის ღვინო და წყალი და შეასვი, უშველის ღ~თითა.

ტ ლ ე ე ბ ი ამავე სენისათვის ა ი ლ ე: სოსნის ფურცელი და ბია და ღვინით ადუღე რომე დადნეს, სტომაქსა და მკერდსა დას-დევ და უშველის ღ~თითა.

395

ს ხ ვ ა ვ ე ამა სენისათვის, აიღე: ერთი ბროწეული ტკბილი და ერთაი მჟავე, დანაყე ასრე, რომე შიგნით აფსკაც დანაყე, ზაფრანა გაურივე და შეასვი, უშველის ღ-თითა.

თ უ ასეთი სლოკინი დაემართოს ამა სენშიგა, რომე საჭმელს არ დააყენებდეს და სლოკინითა ამოიღებდეს და არ დასწყნარდეს არა-ოდეს არა, აიღე სადაფი ზეთით ადუღე და მკერდზედ შესცხე. ამავე სენისათვის პიტნა გამოწურე, თაფლი გამოწურე და ურთე, პიტნა წყლითა მოდუღებული უნდა და თაფლი იმავე ნადუღარს წყალშიგა გაწურე, გაურივე და შეასვი უშველის ღ~თითა. ამავე რიგითა ტენ-10 ცო უშველის და მარგე არის.

თ უ ს ლ ო კ ი ნ ი გ ა უ გ რ ძ ე ლ დ ე ს, აიღე: აგური დანაყი, წმინდათ გაცერ და ორი დრამი პირშიგა ჩააყარე ზედ ცივი წყალი შეასვი ¹, რომე ჩაიღოს და უშველი ღ~თითა.

ნ ი შ ა ნ ი სარწყეველისა წამლისაი, რა ეს მოუნდეს კაცსა, რომე რწყევა უნდოდეს ბალღამისა და ზაფრას გამოწმენდა უნდოდეს, აიღე: ტენცო წყლითა მოადუღე კარგად და მერმე გამოწურე და

თაფლი გაურივე, მარილიცა გაურივე და შეასვი ღთითა, არწყევინებს.

ს ხ ვ ა ბოლოკი დანაყე ნახევარზედ მარილი გაურივე და
20 ზედ თბილი წყალი ასვი და დააყოვნე ცოტა რომე გული აეშალოს და არწყევინებს ღთითა.

თ უ ერთობ ძალი უყოს და აწყინოს, ქერის პური აჭამე ძრმითა უშველის ღთითა.

ს ხ ვ ა წამალი რომე შავი ბალღამი და ზაფრა გაიღოს და ცხროს უშველოს. აიღე: ბოლოკი და ცოტა დანაყე, აიღე მისგან დრამი ოცი და ცერეცო ათი დრამი, მარილი ხუთი დრამი და ერთს ქოთანშიგა ჩადევ და სამი ლიტრა წყალი დაასხი და ადუღე, რომე ერთი ლიტრა დარჩეს, გააცივე და ცოტა თაფლი გაურივე და შეასვი სამი კვანჩხი გრძლად ღთითა, ფრთით არწყიოს და გაწმინდოს.

30 ს ხ ვ ა წამალი უზანოდ გამოიღებს, ბ ა გ რ ა ტ ი ს ა შექნილი, აიღე: ბოლოკი და გაფტკვენ, მერმე აიღე შავი ხარის ძირა დაჭერ წურილად, მერმე იმ ბოლოკზედ დაარჭევი და ქოთანში ჩადევ, ზედ თაფლი დაასხი რომე დაჰფაროს და ერთსა ღამესა დადგი, დილას ამოიღე და ხარის ძირა გაყარე და ბოლოკი აჭამე. მერმე აიღე ცერეცოს მოდუღებული წყალი, ამ თაფლში გაურივე დაასხი და აურივე და ბევრი შეასვი. და მერმე რა გაიღვიძოს კარგი საჭმელი აჭამე.

¹სწერია „შეასხი“.

ს ხ ვ ა, თაფლი და ძმარი ერთად გაურივე და შეასვი, მერმე ცერეცოს წყალი შეასვი მოდუღებულისა, და ღთითა არწყევინებს ვირემდი გაწმდებოდეს.

ს ხ ვ ა რომე ბალღმა ამოიღოს, აიღე: ისფარის თესლის გული, რომე საღებავისა თესლის გული რომე საღებავსა ჰქვიან დანაყე და ცერეცოს წყლითა გალესე და შეასვი. და დააცალე რომე ხანი გამოვიდეს, მერმე ცერეცოს წყლი შეასვი. დი ფრთით არწყევინე, ვირემდი გამოწმდებოდეს, მერმე კარგი საჭმელი აჭამე.

კ ა რ ი და ნ ი შ ა ნ ი პ ა ტ რ უ ქ ი ს ა, რომე შუკურით იყოს,
10 სნეული, გახსნის. დიდი იყოს [თუ] ყმაწვილი, ზეთითი წამლის სმა არ შეეძლოს ამით უნდა გახსნას, რომე სიმხურვალითა და სნებითა იყოს. აიღე წმინდა თაფლი შვიდი დრამი დადევ თბილად ცეცხლზედა, წყნარა დადევ, სანამდა გაწითლდებოდეს რომე კარგად არ დაიწვას, მერმე აიღე მარილი და ბორა თვითო დრამი დანაყილი და გაცრილი, შიგ აურივე ¹ და ზეთითა დაასოვლე, პატრუქები შექენ თითივითა, ოთხისა თითისა სიგრძე და მჩვარშიგა წახვიე რა მოგინდეს ერბოთა და ზეთითა შეწვენ და შეუდევ უკანს კარსა, რა ერთი წამოვიდეს სხვა შეუდევ.

თ უ უფრო ძალიანი გინდოდეს ჩაურთე ამასთან ორი დანგი
20 ანუ ერთი შამიანდალი.

თ უ უფრო ძალიანი გინდოდეს მოუმატე ერთი დანგი საყმუნია და აგრე შექენ.

თუ გინდოდეს ძველისა ქაღალდისა პატრუქი შექენ, იმავე

ოთხოვნისა თითისა სიგრძე. ესევე წამალი ამას შესცხე აგრევე შე-
უდევ კიდეც, უქეთ მონახვის, ეს გამოცდილია ნებითა ღ~თისითა.

ლზ კარი ყვავილისა და ამისა ჟამისა.

ჯ ა ლ ი ნ ო ზ ი ს ბძანებითა ყვავილისა მიზეზი იმა სისხლისაგან
იქნების რომე ყმაწვილი დედის მუცელშიგა იმას ჭამს და იმით იზ-
დების. ისი სისხლი ისი არის, რომე დედაკაცსა წესი დაემართების,
30 თანი იმით გაწმინდოს.

ნ ი შ ა ნ ი მისი ეს არის, რომე გაცხელდეს და სამსა დღესა
უკლებად მწოვედ ზურგი და წელი სტკიოდეს. და ბრძანებს კი-
დევ ვითა მისი მიზეზი სისხლისა განედლებისგან იქნების, რომე
ტანშიგან მიემატების.

ერთი ნიშანი ის ირის, რომე პირი გაუწითლდების და თვალნი
და თავი მძიმედ ჰქონდეს, რა ეს ნიშანი ნახო იცოდი რომე ყვავილი
გამოესხმის.

¹ აქ უადგილოთ არის ჩართული „ხმელითა“.

ს ხ ვ ა თ ა ბ რ ძ ე ნ თ ა უბრძანებია ვითა, როგორცა ყურძენი
დასწურო და ქვევრშიგა ჩასხა და ადულდეს და გაწმდეს და ქაფი
ზეითა მოიგდოს და თხლე ძირსა წავიდეს, ამა წესითა ყვავილი იქ-
ნების, ადულდების სისხლი და დაწმდების და ყვავილი გარეთ გა-
მოვა. ამისი ამბავი ზოგს ყმაწვილობასა გამოუვა და ზოგსა ახალ
მოწიფულობასა შიგან და ზოგსა ბერობასა შიგან.

თ უ ყმაწვილისა გუნება ძალიანი იყოს და სისხლი სქელი,
გვიან ადულდების და არ გამოუვა ყვავილი, და სიბერისა დროსა
გამოესხას.

10 თ უ ყმაწვილისა გუნება და სისხლი თხელი იყოს, ფიცხლად
ადულდების და ყმაწვილობასვე გამოესხმის. თუ ყვავილისა უკანითა
ცხრო გამოუჩნდეს მისი ნიშანი ეს იყოს, რომე ზურგი სტკიოდეს, ტა-
ნისა ტყავიცა, ცხვირი ჰქაოდეს და ძილშიგაც ეშინოდეს და ხახაში-
გა მღიერი ესხას და პირი მოტკბო ებას, და თვალთა ცრემლი სდი-
ოდეს, რაჟამს შეიტყო, რომე ყვავილი გამოესხას კაცსა ფიცხლავ
ხელი გაუხსენ ყიფალი, ბასალიკე და რაც შეძლოს სისხლი ადინე.

და თ უ პირველად ყვავილი გამოვიდეს ხელსა ნუ გაუხსნი.
ყვავილისა გამოჩენისა უკანით ქერისა წყალი მიეც უნაბითა და ოს-
პითა მოდულეებული იყოს, სიქანგუბინი მიეც დანაყილისა ხარასი და

20 კიტრისა თესლი და ცერეცოსა თესლითა შექენ და მიეც და ან თა-
ფლიანი და შაქრიანი შექენ. სისხლისა თუ დენა [დაემართოს] ქე-
რის წყალსა და სხვასა წყალსა და გრილსა საჭმელსა ნულარ მისცემ,
მერმე ეს წამალი მიეც რომე აილოს სრულად, ფიცხლად გამოჰყა-
როს. აიღე: დანაყილი ოსპი ათი დრამი და ქათირა, ხუთი დრამი
და ლაბლაბის თესლი სამი დრამი ყუელა ერთს ქოთანშიგა ჩაყარე
და წყალი დაასხი ლიტრა ნახევარი, ადულდე რომე სამის წილისაგან
ერთი დარჩეს, გაწურე წმინდად შიგ ცოტა ერბო გაურივე და შე-
ასვი.

მ ა გ რ ა ყვავილისაგან უწინ ამას მოიჭირვე შიგ თვალშიგ არ
30 გამოვიდეს წამალი მისი ეს ქენი, ალატრო რომე თუთუბო არის,

ვარდის წყლითა და ძრმითა დააღბე, ცოტა მჟავის ბროწეულის წვენი გაურივე და თვალშიგა ჩააწვეთე, მერმე ყვავილი არ გამოვიდეს.

ს ხ ვ ა წამალი, ისევე აიღე: გარცხილი თუთია, წმინდად დანაყილი, გაცრილი და ნედლის ქინძის წვენი გაურივე და ცოტად მოადუღე და თვალშიგა ამოავლე, თვალი შეინახოს, რომე თვალშიგა ყვავილი არ გამოვიდეს.

398

თ უ თვალშიგა ყვავილი გამოვიდეს, მერმე ეს წამალი ქენ, აიღე: ასპანურის სურმის ქვა და სალესავზედა გაფშუნიტე და მერმე აიღე ხმელი ქინძის თესლი და მსხვილად დანაყე, თბილითა წყლითა დააღბე და გამოწურე და ცოტა ქაფურიც გაურივე და იმ სალესავზე დასდევ და კარგად გალესე და თვალშიგა უწვეთე, იცოდე რომე უწინ ამ სენშიგა კაცსა შიში ეცემის და გული აერევის და იქით აქეთ გარევას დაიწყებს, რა ეს ნიშანი ნახო ფიცხლავ ღონე ქენ რომე ფიცხლავ გამოყაროს ყვავილი, ამა ნიშნითა, აიღე ერთი ბლუჯი ოსპი ქერქ გამძურალი, ერთი ბლუჯი ლელვი დაჭრილი, ადუღე

10 წყლითა, გამოწურე, და მერმე აიღე ლუქი დანაყილი და გაცრილი სამი დრამი შიგ გაურიოვე და შეასვი და მუცელი გაუხსენ თარან გუბინითა და უნაბითა და შავითა ქლიავითა, და შვიდსა დღესა უკანით მუცელი ასრე შეუნახე რომე არ გაუხსნა თვარემ მოკუდების და რა ესე სნეულობა გათავდეს, თვითვან გახსნის მუცელსა.

თვალისა ყიავილი რა არ გამოვიდეს და შიგნით დარჩეს, ბოლოს ის გახსნის გუნებასა და თუ გახსნას, მიეც ბია, ვაშლი და ბროწეული. თუ გამაგრდეს მიეც ტაბაშირის ყურსი მჟაუნას თესლისა თანა ამ წესითა, აიღე: ტაბაშირი და თეთრი აბალარი, ხმელი ვარდი და კოწახური, სამეც არაბი, მოხალული წაბლი, თვითო-

20 საგან სამი დრამი სომხური თიხა, ბერძული თიხა თვითოსაგან ხუთი დრამი, მჟაუნას თესლი ექუსი დრამი ეს ყველა დანაყე, გაცერ და ბიის წვენით ყურსები შექენ, ჩრდილში გაახმე და რა მოგინდეს მიეც ერთი დრამი, ანუ ერთი მიტყალი, რაც სნეულსა შეეძლოს. სხალსა ანუ მჟავესა ვაშლსა წვენითა საჭმელად, ოსპი ჭერამი და აყირო აჭამე. ყოვლისა ფერისა ხორცისაგან ფარეზი ქნას. ნურასფერს ხორცს ნუ მისცემთ სადამდი კარგად ტანი არ გაწმდეს ცხროსა და ცხელებისაგან, და რა ყვავილი გახმეს ეს ტლე შექენ, დასდევ ღალა ფქვილი და ქერის ფქვილი და ფეტვის ფქვილი, ზაფრანა და ხმელის ლერწმის ძირი მოხარშე და გამხმარი ნიშასტაგი ყველა დანა-

30 ყე, გაცერ და ვარდის წყლითა გაურივე, ტლედ შექენ, ნელთბილი სადაც მოგინდეს დასდევ.

თ უ პირშიგა ყვავილი გამოვიდეს და ცხვირისა წვერშიგა, პირშიგა ბიის გულისა ლაბა დააჭერინე ანუ ბაზრაცატუნისა და ცხვირი შიგნით ვარდის ზეთით გაწმინდე და არამც ყვავილიან ტანისათვის ზეთი მოგიხვედრებია. პირველ არა უკან, თვარა ზიანი არის.

თ უ ზამთრის ესხას ყვავილი და ერთობ სიცივე იყოს, წინათ ცეცხლი დაუგზენით მაყვალის შეშითა ან ტირიფის შეშითა ან მუხის.

ი ც ო დ ი რომე [ყვავილი] ყოველი ფერადი არის: იის ფერი არის, შავი წურილი, მაგარი, ბრტყელი და ერთმანერთის მოკიდებული ყვავილი და კალის ფერი და თეთრი. რომელი იის ფერი ან შავია, ავი არის და საფათერაკო არის.

თ უ წურილი და მაგარი იყოს, იის ფერსა ჰგავს ეს უარესი არის, სხვა მისი წამალი ზემოთ სწერია, ის უყავით. თუ ერთობ ხშირად გამოვიდეს ერთმანერთზედ მოკიდებით, გამოვიდეს პირში-გაცა და ყუელგან ერთობ სარიდალი არის.

თ უ პირსა ნაყვავილევი დააჩნდეს, ანგუჟატი, რომე ქალბანა 10 არის, ბორერმანი დანაყე და ძმრით გაქენ და პირზედა შემოსდევ და მოწინდოს.

მ ი ს ი ვ ე სენისათვის, აილე: ღორის მძღრენი დაწვი და დანაყე, ტახისა ვარდისა ზეთითა შექენ და პირზედ შესცხე და უშველის მ`ლთითა,

თ უ პირზედა შავი იყოს, ოსპის ოდენი აილე ყვითელი საკმელი, სურმა დანაყე და ერთმანერთშიგა გაურივე და პირზედ შემოსცხევ.

ნ ი შ ა ნ ი ა ვ ი ს ჟ ა მ ი ს ა, რომე ტ ყ ა ა ლ უ ნ ი ჰქვიან. ესე ჟამისა ნიშანი არის, ესე მჯდომი არის, ან გამოვა ყურის ძირს, ანუ 20მ ენისა ძირსა, ანუ ძუძუსა ძირსა, ან ღლიასა, ანუ საზარდულსა, ესე მჯდომი ნამეტნავად იქნების და საური შეიშლების და ავი ჟამი შეიქნების, ქალაქებშიგა გამოჩნდების, და მწოვედ ეწვებოდეს. ის ადგილისა ფერი წაუღოს და გულისა ძგერა გამოუჩნდეს, ბნედა გამოუჩნდეს, ნიშანი მისი რომე მჯდომი გამოვიდეს, თუ ყურის ძირსა ან ყურსა უკანით, ან ძუძუსა ან ღლიასა გამოვიდეს ავი არის და მკულელი, და ფერი თუ მოშაოდ დაეცემოდეს ავი არის. თუ წითელი იყოს და მოყვითლოდ სცემდეს ფერი, ისი უფრო წყნარი არის.

წამალი მისი, გულსა ძალი უნდა მისცე, გრილითა შარბათე-ბითა, როგორაცა თურიხჯისა და ლიმოსა შარბათი, ბროწეული, 30 ვაშლი და კომში აჭამე და კარგ სულთაგან ასუნებინე როგორაცა, სანდალი, ვარდისა წყალი და ქაფური, ნინოფარი და ამათი მსგავსი და საჭმელად ოსპი და კაკაბი, გლონი, ხოხობი, და დურაჯი და თიკანი მარგე არის. და გრილსა სახლშიგა წოლა და ყინული, და წნორისა ფურცელი, ია და ვარდი და ქაფური ყინულითა გაცივებული, გულზედა შემოსდევ მარგე არის. და რა წამალი სწერია ყველა ამისი წამალი არის, და რაც გრილი და შემკრავი ტლეებია არ უნდა შემოდება, და არცა ხელისა გახსნა უნდა თუ რა სისხლისა ჭარბობა შეატყო.

400

თ უ სისხლი სჭარბობდეს [ხელი] გაუხსენ, ამისთვის, რომე სენისა გვარი გატეხოს და დამცროს, და სადაცა ისი მჯდომი იყოს წყნარად კოტოში მოკიდე, და რომე შაშრით მოსცრა წყნარად კოტოში მოჰკიდოს და ეცადოს რომე ამოღმა ამოიღო, მერმე სალბობი წამლები დასდევ, რომე ამას ზემოთ სხვის მჯდომებშიგა სწერია და გამოურწყევ, თეთრითა მალამითა გაამრთელე მდ`თითა.

ლწ. კარი რომე ტანშიგა სიმსივნე გამოჩნდეს. ნიშანი თუ

ტანში სიმსივნე გამოჩნდეს სიმხურვალისა, ანუ სისხლი იყოს, ანუ ზაფრა. თუ სისხლი იყოს, მას ფალიამონი ჰქვიან. და სისხლისა

10 სიმსივნე ორფერია, ერთი სქელი და ერთი თხელი.

თუ სისხლის სიმსივნე სქელი იყოს და სქელისა სისხლისაგან იყოს, მისი ნიშანი ხორცშიგანაც იყოს და ტყავშიგანაცა და ფერი წითლად იყოს და ძგერდეს.

თუ თხელისა სისხლისაგან იყოს, სიმსივნე ტყავშიგაც იყოს და არა ძგერდეს. წამალი მისი: დახედვა უნდა ტანისა სიმსივნესა, თუ ფერი წითელი იყოს, უწინ ხელი გაუხსენ, და თუ სიმსივნე არ იყოს გასახსნელი წამალი მიედ ხიარ შამზარისა მათბუხითა. და ტლე მისი, აიღე: ცხურის მატყლი, ბარკლისა ან დუმისა და ზეთის ხილისა ზეთითა მოდუღებული გაურივე ნელთბილი და შემოსდევე, ტკივილი

20 დააწყნაროს.

ს ხ ვ ა წამალი, წითელი სანდალი და ზაფრანა და ნედლისა ქინძისა წვენითა გალესე და შემოსდევე, ტკივილი დააწყნაროს.

ს ხ ვ ა ქერისა ფქვილი ნედლის ქინძის წვენით შეზილე და შემოსდევე.

ს ხ ვ ა რომე ტკივილი დააწყნაროს და სიმსივნე გაადნოს, აიღე ხვარბლისა ანაკვეთი, ხატმი, ბაბუნაჯი, ყველა დანაყე და ქალმისა წვენითა მოადუღე და შემოსდევე.

თუ სიგრილისაგან იყოს და ბალღმისაგან იყოს, მისი ნიშანი ფერად თეთრად იყოს და რბილი იყოს, სახელად ავი ვ ა რ ა მ ი

30 ჰქვიან, მას ყოვლისა გრილისა საჭმლისაგან ფარეზობა უნდა, და გამახმობელი და გამადნობელი წამლები უნდა ახმარო ასრე როგორაც: პირველად ხოშრითა სამოსლითა შეზელა, მერმე ახლითა სამოსლითა უნდა შეზილო, ნაკვეთითა, უწინ წყალშიგან დაასოვლე და გაწურე და მერმე ძმარშიგა და შემოახვივე. საჭმელი სწორი უნდა აჭამონ.

თუ სიმსივნისა გვარი მაგარი იყოს, ძმარი და წყალი ერთმანერთშიგან გაურივე და სამოსელი შიგ დაასოვლე. ძმარი ერთობ ცხარი არ უნდა იყოს, უკან და უკან უფრო ცხარი უნდა იყოს ძმარი.

401

თუ ძრმის ალაგსა ბორას წყალი ქნა, ისი სჯობს. ან ლედვის ხისა ნაცარი, ანუ მუხისა ნაცარი, ანუ ვაზისა ნაცარი. ასრე უნდა, რომე ის სიმსივნე მუდამ წახვეული ქონდეს, რომე სიმსივნე სხვაგან არსად გავიდეს.

თუ ძმარმან არ უშველოს შაბი გაურივე შიგ ძმარსა და შემოსდევე, და კირისა წყალიცა ერთობ მარგე არის. და ვარდის ზეთი ძრმითა და მარილითა მარგე არის.

თუ რუ სიმსივნე ერთობ მაგარი იყოს, ისი სევდისა და ბალღმისაგან იქნების, წამალი მისი: პირველად ტანი მისი სენისა გვარისაგან 10 გამოწმინდე, სევდისა გასახსნელისაგან. მერმე რაც გრილისა ნიკრისისა წამალია, ის უყავით. და ქონებთაგან ბატის ქონი, ქათმისა, მგლისა, მელისა, ლომისა და ვეფხისა ესე ყულა კარგია და მარგე, დამადნობელი.

გ ა მ ა რ ბ ი ლ ე ბ ე ლ ი ტ ლ ე, აიღე: სელის ზეთი და თხლე და ძრმითა მოადუღე და გამდნარი დუმა გაურივე და შემოსდევე, მარგე

არის.

ს ხ ვ ა, აიღე: ხათმის ძირი დანაყილი, ბატის ქონშიგა გაურივე, გამაგრილებელი არის, და ძმარსა ძარღვიანსა ალაგსა იხმარებდე.

ნ ი შ ა ნ ი მ ი ს ი რომე კაცსა სტომაქი და ტანი გაუგრილდეს, 20 და ანუ თვითანაც გუნებით გრილი იყოს, მისი წამალი, აიღე: ზანჯაბილი ფარვარდი სამი დრამი, დილეულად უზმომან შეჭამოს. თუ ბერი კაცი იყოს ზედ ძველი ღვინო შესვას, თუ ვაჟი კაცი იყოს, თბილი წყალი შეასვი და თუ გუნებით გუნება მძიმე იყოს და საჭმელსა ვერ იდნობდეს, ორი დრამი ზანჯაბილი მიეც და ზედ ადულელებული ღვინო შეასვი. თუ მწიფული იყოს, თბილი წყალი შეასვი, თუ მასუკანით მოსწყურდეს სიქან გუბინი ასვით, ორი დრამი თბილითა წყლითა, რომე წყურვილი მოკლას და საჭმელად მუხუდო მიეც ზანჯაფილითა და დარიჩინითა. ამაზედა თუ სიგრილე მოერიოს და ყოლინჯი ეცეს, მისი წამალი: ყოველთა დღეთა, დილეულ უზმასა 30 გაზდილი ანდუზი მიეც და ზედა თბილი წყალი შეასვი რაც შეეძლოს, და საჭმელი მუხუდოსა მიეც და თალგამი აადულე და წყალი დაასხი მდოგითა ¹ და ბოლოკითა აჭამე, ასრე რომე არ გაძდეს.

ლთ კარი რომ ღლია უყარდეს და ფეხები. და შიგნით ნაწლევეთა სიმყრალისა ნიშანი. ღლიისა ოფლისა მყრალობისა და ტანისა მიზეზი ის იყოს, რომე ცოლქმარნი ერთად შეიყარნენ და არ იბანოს. და დედაკაცისა მით იქნების რომე წესი მოხუდომოდეს და

¹ სწერია „მოდგითა“.

402

არ ბანებულებიყოს და აგრევე თუ საჭმელად ულბო და ხახვი და ჯარაოტი ეჭამოს, ოფლსა და ფსელსა და ნავალსა გაამყრალებს.

წამალი მისი ღლია რომ უყარდეს, აიღე მურდასანგი, ვარდის წყალშიგა გაურივე და შესცხე ღლიაშიგა, უწინ ებანოს აბანოსა და მერმე შესცხე.

ს ხ ვ ა, აიღე ასლისუსი და მისი ფოთოლი წყალშიგა მოადულე და ისი წყალი თეთრსა მიწისა ჭურჭელშიგა ჩაასხი, მერმე ისი მოდულელებული ფურცელი შიგა გაურივე მურდასანგშიგა, ზედ შესცხე.

თ უ ამან არ უშველოს, აიღე სუმბული, სოდი, თეთრი შაბი 10 დანაყე სწორ სწორი და წყლით შესცხე.

და ტ ა ნ ი რომ აყროლდეს, მისი წამალი ნიახური იცხოს და მისი წვენი ჩანთქას, ანუ ყურსი უფული ჭამოს.

თ უ ამან არ უშველოს გული ჭამოს და ხელიც გაიხსნას, აბანოშიც ებანოს, ანაკვეთისა წყლითა ტანიც დაიზილოს.

თ უ ტ ა ნ ი ფსლისა სიმყრალისაგან აყროლდეს ესევე ქნას. სხვა, აიღე: სალიხა, უფული დანაყე და შაქრითა მიეც, რომე ჭამოს.

თ უ არც ამან უშველოს, აიღე ყარანფული, სუმბული, ხულინჯანი თვითოსაგან სამსამი მიტყალი, ბუტმისა გული, თორმეტი მიტყალი ერთად დანაყე და შაქრით ჯულაბი შექენ და მიეც ერთსა 20 კვირასა რომე ჭამოს და კვერცხისაგან იფარეზოს.

თ უ ნაწლევები უყროლდებოდეს იარაჯ ფეყრათ უნდა გამოწმენდა, და საჭმელი შვენიერი უნდა ჭამოს. ასრე უნდა ჭამა, რომე დნობისა ძალი მას ზედა მეტი იყოს, და კარგი ღვინო ნაწლევისაგან

ავს სულს წაიღებს. და უღბო ოფლსა და ფსელსა გაამყრალებს; წავლის ავსა სულსა გააქარვებს.

მ. კარი ხადირასი. ამას ქვიან წელთ ქვეით და ორივე თემონი და ფერხნი მოებანდნენ და დაუბუჟდენ და დაუბუმტდენ. ესე სენი ფილენჯისა და ლაყუასა გავს, ეს სენი ბალღმისაგან და ან სისხლისა სინედლისაგან დაემართების.

30 თ უ ს ი ს ხ ლ ი ს ა გ ა ნ ი ყ ო ს, მისი ნიშანი, რომე პირი გაუწითლდეს და ის ადგილიც გაუწითლდეს სადა სტკიოდეს, და მარღვები სავსედ იყოს.

წ ა მ ა ლ ი მისი, უწინ სუბუქითა წამლითა მუცელი გაუხსენ, მერმე ხელი გაუხსენ. და თუ წელთა ზეით იყოს ყიფალი გაუხსენ, თუ წელთა ქვეით იყოს ბასალიკე გაუხსენ.

თ უ ბ ა ლ ღ მ ი ს ა გ ა ნ ი ყ ო ს, პირის ფერი თეთრად იყოს და მარღეები სავსედ და სუსტად იყოს არა სწყურდებოდეს, დუჟიც ¹ ცოტა იყოს.

¹ სწერია „დუში“.

მ ი ს ი წ ა მ ა ლ ი: აყირყარა დანაყე და სიქანგუბინშიგა გაურივე და ღარღარა აქნევიწე. და თუ ღვინისა მსმელი იყოს, ღვინო სვას და არწყიოს. თუ ღვინისა მსმელი არ იყოს აბანოს ებანოს და მხურვალსა იარაჯსთ და გვარიშნსა სჭამდეს. ვისცა ეს სენი დაემართოს, ასოები დაუწყებს მღერასა თუ ასომან მღერა დაუწყოს, ნიშანი არის, რომე ის სენი გამოჩნდების, მისი წამალი, აბანოს ებანოს, რომე ეს წამლები შიგ მოდუღებულიცოს. აიღე: ყაისუმი, პიტნა, ბაბუნაჯი არის, ეს წამლები შიგ მოდუღებული იყოს, ამაშიგა ებანოს, რა აბანოთ გამოვიდეს, ეს წამალი ქუნჯითის ზეთშიგა

10 მოადუღეთ [და დაზილონ].

თ უ ეს წამლები ვერ იშოვოს, ზამბახისა ზეთითა დაზილოს და ღარღარა აქნევიწოს. და რაც მომხურვალო საჭმელი იყოს ის აჭამეთ. და თუ რწყევა შეეძლოს, არწყიოს. და რაც ფილენჯის და ლაყუას წამლებია, მასაც ერგების, ნებითა ლ² თისათა.

მა კარი დაულფილისა და დავალისა. და ვ ა ლ სელა არის რომე წვივისა მარღვები გაუმსხვილდეს და თითივითა ან გველებითა გამოჩნდეს. ეს სენი ამალითა და მსახურთა და ქვეითად მავალთა დაემართების. ამა სენისა მიზეზი ანუ ბალღმისაგან იქნების, ანუ სისხლის სქელისაგან რომე სევდა ¹ ბევრი იყოს, რომე ესე სენი

20 სიმხურვალისაგან და ტყირპის უძღურობისაგან დაემართოს, მისთვის რომე ადგილი იცვალოს და ამა მარღვებშიგა ჩამოვიდეს. [თუ] ეს გამაგრდეს წამალი ძნელად მოეკიდების. უკეთესი აქიმობა დასტაქარი არის, რომე გაიკვეთოს და მარღვი ამოართვას და კარგითა მალამითა გაუმრთელეთ. |

და და უ ლ ფ ი ლ ი ს ა ს ე ნ ი, რომე ფერხი გაუმსხვილდეს როსკორაც სპილოს ², ამისი მიზეზი დავალის ან მიკრისისა გუარი იქნების, ბალღმიანი, სევდიანი აქელისაგან (ქილუსი) იქნების ამისი მიზეზი. სპარსულად ფლა სპილო[ს] ქვიან და ამაღ ქვიან ამა სენსა და უ ლ ფ ი ლ დ ი.

30 ნ ი შ ა ნ ი, როგორც ეს სენი დაემართოს, უწინ ფერი წითელი იყოს და მერმე ფერი იცვალოს და მოშაოდ შეიქნას. ამ სენისა ბალღმისა გუარი თუ იყოს, მისი ნიშანი ესე, პირისა რომე ფერი მოყვითონო და რბილი იყოს. და სევდისა გუარისა ნიშანი ის [იყოს] პირისა რომე ფერი მოშაოდ იყოს და ან მოლურჯოთ დასცემდეს და იქნების, რომე გაწითლდეს, გამაგრდეს და დაუსქდეს.

¹ აქ ერთი სიტყვის ოდენი ცარიელი ადგილია დატოვებული.

² სწერია „სოლოს“.

404

წამალი ამა სენისა, თუ წითელი იყოს უწინ ეწამლებოდეს და რა ფერი იქცეოს და გამაგრდეს და წამალი ძნელად მოეკიდოს, ამისი წამალი რწყევა იყოს მძლავრითა და ძნელთა წამლითა, რომე ძნელი სენი ბალღმისა გვარი და სევდისა ადგილისაგან ამოაგდოს. თუ მოუნდეს ხელისა ბასალიყის გახსნა მარგე არის, და მოსვენებით ყოფნა, ფერხი ასრე უნდა, სასთაულზე ედვას. და ყოველთა დღეთა იარაჯ ფეყრა მიეცით გილიერმანითა და მას უკანით რომე ბევრი ერწყიოს და წამლები ეჭამოს და ტანი გამოწმენდილი იყოს, მასუკანით ეს ტლე ახმარე. აიღე: ქასნის ნაცარი, ზეთის ხილის ზეთი, 10 ავისინთინის წვენი და ახალი სკორე ზროხისა და ულბისა ფქვილი, ბოლოკის თესლი, პრასის თესლი, ეს ყუელა დანაყე და ზეთის ხილის ზეთითა შეზილე და შემოსდეგ ბევრჯველ, მარგე არის.

და და ვ ა ლ ი ს ა უკეთესი წამალი ის არის, ძარღვის მოჭრას დადაღვა სჯობს, ს ხ ვ ა სენი არის რომე წვივზედა მღიერი გამოესხმის, ამას ბუტმი ქვიან. ვითამცა და ხესა რომე კევი გამოესხას, ამა სენსა წამალი ადვილისა ¹ უნდა, როგორაცა სევდისა წყლულისა წამალი, არის. აიღე: ხატმი ვარდის წყლითა და ძრმითა დამზალი შემოსდეგ, მარგე არის და ქერის ფქვილი, ძაღლის ყურძენას წვენითა და ნედლის ქინძისა წვენითა ტლედ შექენ და შემოსდეგ, მარგე არის, 20 და სამსა დღესა უკანით დასამწიფებელი წამალი უნდა ქნას და ნელთბილი ერბო შესცხე და დაუზილე, რომე დამწიფდეს, და ხვარბლის ფქვილი თორნეულის პურიითა, ზეთის ხილის ზეთითა მოდუღებული შემოსდეგ, დამწიფდეს, დაცოხნილი ხორბალი შემოსდეგ მოამწიფებს. და ცვილი, და ფისი და ერბო რომე გაადნო ცხელცხელი შემოსდეგ დაამწიფებს, სელის თესლი საფანლით შემოსდეგ დაამწიფებს.

მზ კარი ქუსლისა და ხელთა დახეთქისა. და ხელისა ფრჩხილისა ტკივილისა. თუ ფრჩხილმან დაუწყოს [ტკივილი] და აქავდეს სისხლის ნიშანი არის. აფიონი ძრმითა დაადნევ, სადაც სტკიოდეს შემოსდეგ და ხელიც გაუხსენ.

30 თ უ ამან არ უშველოს, მუყლი და ჯავაშირი დანაყონ და წყალი გაურივე და შემოსდეგ. თუ ფრჩხილი გაუმრუდდეს და დაბამდეს, მისი წამალი თხის ქონი გააცხელონ და შემოსდვან, მუდმად ქათმისა და ბატის ქონისა მუმრულანი შექენ და შემოსდვან ზედა.

თ უ მისგან მყრალი სული უდიოდეს ფაიზმოში დანაყე და ვარდის ზეთი გაურივე და ფრჩხილზედ შემოსდეგ.

¹ აქ განმეორებულია „წამალი“.

თ უ ფრჩხილი გაუსქდეს, მათბუხი აფთიმონი შეოუწყევით, საჭმელი ყუელა მომსუქნო, ტკბილი აჭამეთ, ურთხელის გომიზი შემოსდევით [რომ] ფრჩხილი ყველა გაარბილოს.

ს ხ ვ ა აიღე: ბიის გული დანაყე, გაცერ, ერთმანერთსა გაურივე, კარგი არის.

თ უ ფრჩხილი წავარდეს რისგანმე მიზეზითა, აიღე: ინა, სელის ზეთი გაურივე და შემოსდევე, ერთობ კარგს ფრჩხილს გამოიყვანს. ასრე უნდა ვერცხლის შექნა, წინათ ხურელი უყო, თითი შიგ ჩაუდვა, რა გასრულდება კარგი ფრჩხილი გამოვა.

10 თ უ ტერფი გაუსქდეს, პირველად ალილისა მათბუხი შეუწყევით. მასუკანით ერთსა კვირესა ხილთა წყალთა ასმევდით. მუდამ ამას ხელითა იზელდეს. აიღე: იის ზეთი, ზროხის წვივის ჭლიკის ტვინი, ბატის ქონი, ტირიფის ფურცელი დანაყე და ამაშიგ გაურივე და ინავით ფეოხზედ შესცხე, მუდმად, ჭაკუნტლისა ფურცელი ამაშიგ გაურივე და ინავით ფერხზედ შესცხე, მუდმად, ჭაკუნტლის ფურცელი წყლითა მოადულე და კვერცხის ცილა გაურივე, მალამოდ შექენ, შემოსდე.

ფ ე რ ხ ი რომ დაოფლიანდეს და აუყროლდეს, მისი წამალი, აიღე: მური წყლითა მოადულე და ფერხი შიგ ჩაუყავ. და ფერხი მუ-
20 დამ თბილსა ძროხის სისხლშიგა ჩაუყავ. დუმაცა დანაყე და შიგ გაურივე წვივსა და ფერხზედ შემოსდევე.

მგ. კარი და ნიშანი ისრის პირისა, ეკლესია და ნემსისა გამოღებისა.

ისრის პირი ასეთიგა იქნების კავიანი იყოს და რა ამოღმა ამოწიონ ამოედვას და სხაშარანთის ძარღვი ანუ სხვა ძარღვი გაკვეთოს, ის არ ვარგა, უკეთესი ის არის, რომე ის ადგილი სადაც ისრის პირი სცემია გაკვეთონ და მილი ჩაოყონ ქლიბიანი და წყნარად მოზიდონ, რომე ისრის პირი არ გატეხონ, და დააჯლიონ იქით აქეთ, თუ ერთობ მაგრად იყოს დაეხსნან რომე შეძლებს და მაშინდა ამოართვან.

30 და ე ს ე ც იქნების, რომე ისრის პირი მოწამლული იყოს, მისი ნიშანი ეს არის, რომე ის ადგილი აუსივდეს და რაგვარაც მკუდრის ფერი იგეთი იყოს. ამას წამალი და შენახვა უნდა და მისი წამალი, ზემო დაკოდისა წამლების ბოლოს სწერია, ისი უყავით.

თ უ ძვალზედა დამაგრებული იყოს შალაფითა მისსა გარეშემო შეფხევა უნდა რომე მოაფართოვოს და აგრე გამოართვას.

თ უ საკლავსა ალაგსა იყოს ისარი ასრე რომე სასასა და სატვინესა გული და ფირტვი, ღვიძლი, ბუშტი და ნაწლევნი და ავი ნიშანი გამოჩენილიყოს მას ხელს ნუ მიჰყოფს აქიმი, ამისთვის რომე საფათერაკო არის და არ შერცხვენდეს. თუ ავი ნიშნები არ იყოს

406

და შეიტყო ვითა დარჩებისო, მაშინ მისთა მუყუისთა. ეუბენ, მერმე ხელი მიჰყოს, ბევრი გვინახავს რომე ერთობ საშიში არის და დაკოდის იყოს და ეწამლოს და დარჩომილიყოს. აწ ესე წამლები უყავით, წამლითა ამოართვათ. აიღე: ვაშაყი თაფლითა შეზიღე, რა შეზიღო შემოსდევე, ისრის პირი გამოიღოს.

თ უ შიგ რამე დარჩომილიყოს ისიც ამოიღოს თავვი გააპე და შემოსდევ, ამოიღოს. მწვანე მხულივი ტყისა, თავი და ბოლო მოპკვეთე, გააპე და შემოსდევ, ამოიღოს ისრის პირი.

თ უ ზარევიანდი გროძელი დანაყო და თაფლითა შეზილო და შე-
10 მოსდვა მარგე არის.

თ უ ისრის პირი გულხედ მიმაგრებული იყოს, ბაზრალბანჯი; რომე ლენცოფას თესლსა ჰქვიან დამწურითა შაბითა დანაყო და ცოტა სურმა¹ და ფაზმიოში დანაყო და გაურიო, ერთობ ზარგი არის და გამოცდილი. წამალი რომე შემოსდვა ესე ხასიათი აქუს, რომე კბილსაც ჩამოაგდებინებს. და თუ გრძელი ზარევიანდი და ლერწმის ძირი და ფაზმიოში დანაყო გასცრა და თაფლითა შეზილო, ერთობ მარგე არის და გამოცდილი, რომე რა გინდა მაგრად იყოს, ამოიღებს ისრის პირსა და ეკალსაცა ესე გაამრთელებს ბრძანებითა ღთისათა, წამალი მისი რომე შეშითა ან მათრახითა ნაცემი იყოს,
20 ან ნატკივები ან ნაღრძობი იყოს, ამის უკეთესი წამალი არ არის, რომე ფიცხლავ ცხურის ტყავი გახადო და შემოსდვა და ორს დღეს ედვას, მერმე აიღონ ტყავი და სიმსივნე დაწყნარებული იყოს. და უკეთესი არის, რომე დანაყილი მარილი ნატკივებზედ დააყარონ და მერმე ცხურის ტყავი შემოახვიონ. და თუ ახლის ჭურჭლის ნალეწი დანაყო და ნაცარი გაურიო და შემოსდვა, მარგე არის.

საჭმელად მუხუდოსა სვამდეს და მისსა მუკაშარსა და სასმელად წყლისა მაგიერად დამბლისა მუხუდოსა წვენსა სვემდეს.

თ უ ზაფხული იყოს და კაცი მოწიფული იყოს და მხურვალი და ხმელი გუნება იყოს, აყროსა და ჰაკუნტლისა ფურცელსა აჭ-
30 მევდი და სასმელად ხანჯაფილისა, რევიანდი ჩინისა ორთაგანვე ერთი დრამი ანუ ერთი მიტყალი გალესე, შაქრითა შეასვემდი და ვინც ნაცემი იყოს, ფიცხლავ ხელი გაუხსენ, ან კოტოში მოკიდოს. და თუ შეკრვით იყოს ხილთა წყლითა და ხიარშამბარითა მუცელი გაუხსნან, უშველის ღთითა,

მდ. კარი სიმჭლისა და სიმსუქნისა. მისი წამალი, რომე მსუქანი კაცი დამჭლდეს, ესე არის რომე ძრმიანს საჭმელს სჭამდეს და

¹ სწერია „ხურმა“.

მლაშესა, მწარესა, ესე დაამჭლოებს, და ნიადაგ ქერის პურსა სჭამდეს, იწყუროს და იმშოს. ხმელსა ადგილსა დაწვებოდეს და ნიადაგ საქმობდეს. და ოთხი დრამი და ნახევარი სანდაროზი სიქანგუბინითა და თბილითა წყლითა შეასვი.

თ უ მჭლე იყოს და გასასუქებლად გინდოდეს, ნიადაგ მოსვენებით და წელ მხიარულად უნდა იყოს, და კარგსა საგებელზედა წვებოდეს და კარგი ტანისამოსი ჩაიცვას. საჭმელი გიმრაფეთითა იყოს და ბრინჯი რძითა შექნილი. და შემწვარი ბატკანი და მსუქანი ქათამი, შემწვარი ბატი, მსუქანი კაკაბი, ნუშის გული, წიფლის გული და თბილი და ინდოური ნიგოზი შაქრითა და პური ჩაიყაროს.
10 და რაც ხმელი ხორცი არის ყველა იფარეზოს.

თ უ კაცსა ასო ერთი მეორისაგან უფრო მსუქანი იყოს და ერთი მჭლე ბარკალი, ან მხარი რაგინდრა იყოს. ის დაიზილოს და ერბო და ცვილი ერთად გაურიოს და ტლედ ქენ და ზედ დასდევ.

თუ კაცს ასო სუქანი ჰქონდეს და დამჭლობა უნდოდეს და იმავე მჭლისა შესწორება, მრავალჯერ პირს წაიგდებინოს და ასეთი დაიდვას რომე გამოხეთქოს და გასვას. ისი წამალი უყონ რაც დედა-კაცის ძუძუს და ყმაწვილის ყვერისა ზემო დაგვიწერია.

თუ თითები სადრეკშიგა გაუსქდეს **ჯ ა ლ ი ნ ო ზ** აქიმი ამას იტყვის: რომე ძველს მწვარზედა დაფსას და ორკეცი ის შემოიდვას იმ გახეთქილზედა მის მეტი წამალი მას არ უნდა.

მე კარი მოწამლულისა და წამალი მისი.

კაცი რომ მოიწამლოს უფროთხილდებოდეს. ეს მოწამლვა სამფერი არის.

თუ მოწამლვისაგან ემინოდეს მლაშესა, საჭმელსა და მჟავესა ნუ სჭამს, ერთობ ძნელსა ღვინოსა ნუ სვამს და ნურცა მსუყესა საჭმელსა ამისთვის რომე რაც საჭმელი გვითქვამს ძნელი ღვინო თუ ის საჭმელი ამაშიგა გაერიოს მისი გემო არც ერთშიგ არ გამოჩნდების.

თუ სხვის კაცისას საჭმელად მოვიდოდეს და იქ მოწამლვას 30 მოელოდეს შინა რამე ჭამოს, ამისთვის, რომე თუ უზმა იქნების სული აღარ ეცემის და ვედარც არას შეიტყობს, და თუ უჭამია რამე სული ეცემის და ნულარა სჭამს.

თუ უზმა იმ შხამიანს საჭმელსა სჭამს, იმავე წამს გულსეცემის და აღარა წამალი არარ მოეკიდების. თუ ნაჭამი იყოს ის შხამიანი საჭმელი აგრე მისცენ მას ეწამლების. ამისთვის რომე შხამი გულისაკენ ვერ წავა და ნაჭამი შიგ იქნების. და ესეც იენების, რომე რა საჭმელი და შხამი არეულად იყოს სტომაქშიგა საჭმელმან აჯობოს და კაცი დარჩეს.

408

თუ წასულამდის საჭმელი ჭამოს მერმე შხამი ვედარას აწყენს. წამალი მისი რომე შხამი ჭამოს და ვერ აწყინოს კაცსა; აიღე: გული ნიგუზისა წმინდა ექუსი მიტყალი, ხმელი სადაფის ფურცელი და მარილი თვითოსაგან თვითო მიტყალი და ლედვი ერთის ნიგუზის ოდენი და ისი წამლები იმითა დაზილე და შეაჭამე. და თრიაყი არაბი თუ პირველად ჭამოს, შხამი აღარ მოეკიდების.

თუ შხამისა ჭამას უკანით ჭამოს, მაშინცა მარგე არის.

თუ შეიტყო რომე შხამი ეჭამოს ნამეტნავად პირს წაიგდებინოს და მერმე ბევრი რძე შესვას, თუ რძის შესმაზედ კიდევ გული 10 ეშლებოდეს, კიდევ ამოიღოს, თრიაყი თხინ შეჭამოს და პირს წაიგდებინოს და მერმე ბევრი რძე შესვას და გამოსწმენდს. თუ ნამეტნავად მოსწყურდეს ყინულის წყალი დალიოს ვარდის ზეთითა შესვას და კიდევ პირს წაიგდებინოს. და ნუ დაიძინებს. თუ საჭმელი მოუნდეს, მრავალი ჭამოს და პირს წაიგდებინოს.

მე კარი გველის კბენისა, მორიელისა და ბრაზიანის ძაღლისა.

გველ ნაკბენის წამალი. რა გველმან უკბინოს კაცსა, თუ რბილსა ხორცზედა უკბინოს, ფიცხლავ ამოსჭრას და თავ ბოლო რომ არ გავიდეს გესლი, ტრედის ხუნდი დაკალ, დაყულიფე დასდე. თუ ის არ იყოს ჭავჭავი ქენ, თუ ის არ იყოს, ქათამი რომე ნაწყლი ნაკბენ- 20 ზედ მიუდევ ცოცხალსა. მას უკანით ჯუნდი ბევრი და სოდინ, ალთირსა ჰქვიან, ბორა, ესე დანაყე და ზროხის ნაღველშიგან გაურივე, და ცოტა ტრედის ხუნდის სკინტილი დანაყე და ისიც გაურივე. ეს

ყველა ზეთის ხილის ზეთითა გაურივე და რა მოუნდეს მიეც.

ე რ თ ა გველი სხვა არის, მისი ნიშანი რომე მსხვილი, გრძელი და [ყვი]თელი, სხვისა გველისა ყუელასაგან უფრო იარების, თუ ამან უკბინოს თრიაქი აფი შეასვი ქამანდრიოსის წვენითა, თუ ეს არ იშოებოდეს, აიღე ხმელი სადაფი, ალთისა, მური, ყუსტი, პილ-პილა, აყირყარა, ყველასაგან დანაყე, გაცერ და პერულ მოხდილითა თაფლითა შეზილე და შეინაზე და როდის მოგინდეს მიეც მიტყალ 30 ნახევარი.

ნ ი შ ა ნ ი შ ა ვ ი ს გველისა, სადაც ცხელი და დიდი უკაცური მინდორია იქ იქნების, ენა სხვის გველისაგან უფროსი გრძელი აზია, რა კაცმან ნახოს უნჯა რომე ერიდოს და წყნარად გამოეკიდოს, რა მოეწიოს ერთობ ანჩხლი არის, და თუ უკბინოს რაც ამას ზემოთ გველებს წამალი დავსწერეთ ის უყავით.

თ უ ძულიანსა ალაგსა უკბინოს. თავ ბოლო შეუკარით, რომე არ წავიდეს სიმსივნე მერმე ნიორი დანაყე, აფსინთინი და თეთრი ნავთი გაურივე, ზედ დასდევ და გესლს ამოიღებს.

409

თ უ ამან არ უშველოს თრიაყი მათრედიტოსი ¹ აჭამეთ. აიღე: დევალი, ქერქემ, ყაისუმი დანაყე და ზედ დასდევ.

გ ვ ე ლ ი რომე გაუზიანია ქვიან, თუ იმან უკბინოს ა ზ ა რ ი-ბ ა და მ ი ს თემშიგა არის, იმას ალმი ჰქვიან, ეს მიწისა ფერი იქნების, იმისი კუდი უფრო იქნების სხვისა გველისაგან და ზურგი ბრტყელი აქუს, რა კაცსა უკბინოს ეძებს და გაგულისდების, ასრე რომე კუდზედ აემართვის. მისი ნიშანი ის იყოს, ამისთანა გველი ხევნარსა ადგილსა იქნების და ხისა წვერზედა გავა, ამისთვის რომე რაც თავშიგა შხამი არის ის მოიგრილოს, მოვა კაცი და ჩრდილში 10 დაჯდების და რა შეიტყობს, გველი ჩამოვა და უკბენს, და ამისი ამომწყვეტელი ირემი არის, თუმცა ირემი არ იყოს, იმა თემსა ამოსწყვეტს, და ერთითა ენითა გაზმაზუს ² უმახიან და რა ირემი შესჭამს იქით დაღმან ორი წვეთი ირმის თვალსა ქვეშე რომე ჩახურეტილი არის იქ ჩავარდების და რა ირემი მოკლა ისი გამოიღე და მისი წამალი ის არის. ამფერისა გველისა, გველი, რომე სილიამ [ქვიან] ისრევე რაცა ზემო ნაკბენისა სწერია, ამას უნდა.

აიღე: ქალმის ფურცელი, ფუდნია და ტრედის სკინტლი, ესე გაახმე დანაყე და ნაკბენზედ შემოსდევ ღვინითა.

აიღე: ხაზმიონი, აფიონი, სამაია, შავი საკმელი, ფილფილი, 20 აღიადას, ზანჯაბილი, თვითოსაგან თვითო დრამი დანაყე გაცერ და მერმე სხვისა მაჯუნისა წესითა, მაჯუნი ქენ და თვითო მიტყალი ახმარე.

ფერად ისი გველი წითელი იქნების, წურილი და მოკლე და თვალ მომრჩხო იქნების თ ზ ი ნ უ რ ი თ ა ენითა სალიმ ჰქვიან, ქვიშიანსა და წყლიანს ადგილს იქნების.

ნიშანი მორიელისა. თუ მორიელსა ეკბინოს, მისი წამალი, რაცა ადგილსა უკბინოს, თუ თბილსა წყალსა ჩაიყოფობოდეს, შიგა ჩააყოფინე თვარა ზედ დაასხი, აიღე: ჯუნდა ბედასტარი, ფარფიონი დანაყე, ზეთის ხილის ზეთითა შეზილე და შემოსდევ.

30 ს ხ ვ ა, აიღე: ნიახურის თესლი, ავსანთინი, ზარავანდი, ჯინტი-

ანე თვითოსაგან ნახევარ მიტყალი, დანაყე ნახევარზედა და ორი თასი წყალი ზედ დაასხი, ამთონიერთი ადულე რომე ნახევრად მოიყაროს, გამოწურე, ცოტა თრიაყი, ალთისა გაურივე და შეასვი. მას გარეთ წამალი აიღე: კაპრისა ძირის ქერქი, ჯინტიანე, კორდმანა, ზარევანდი გრძელი, ყველა სწორ სწორი ქენ, დანაყე და მაჯუნი შექენ იმავე წესითა რომე გვითქვამს, და მიეცი თვითო მიტყალი.

¹ სწერია „მასრიტიოსი“.

² სწერია „გაზამუხს“.

410

ს ხ ვ ა, ანაკვეთი გააცხელე, ხელმანდილითა და შემოსდევე. ანუ თორნე გააცხელე და თორნეზედ დასვი.

ნიშანი ღრიანკელისა, რომე კაცს უკბენს, იცადოს რომე მოკლას, თუ მოკლას, ნაკბენზედ შემოსდვას, თუ ის ვერ იშოვნოს თრიაყი ალფა ერთი მიტყალი ვაშლის შარბათით გალესე და შეასვი. მისი ნიშანი ეს არის, რომე ფსლისა მაგიერად სისხლსა ფსემდეს. ბასალიყისა მარღვი გაუხსენ. თუ იმაზედ გულის ძგერა შეექენას ყურსი ქაფური შეასვით.

თუ ერთობ შფოთად იყოს კაპრის ძირის ქერქი და ასლისუსი, 10 ავისინთინი რუმი და ჩინური ჭინდრია, მისის ძირისა ქერქი, ტარას ყუყი ყუელა დანაყე წმინდად და ორი დრამი ვაშლის შარბათშიგა გაურივე და აჭამე. ან მჟავის ვაშლის შარაბა შექენ და ამით აჭამე, თუ ასრე თქვას ვითა ცეცხლივითა ვიწვებიო. წყლის მაგიერად ქერის წყალსა ასვემდი და კიტრის წვენსა ასვემდი და ნაკბენზედა კოტომიგა მოკიდოს და ქერის წყალშიგ ვარდის ზეთი გაურიოს და შეასვას. თუ სატკივარისაგან ენა გაუსივდეს, ყიფალი გაუხსენ, ხანჟამიერად ქასნისა წყალსა იღარღარებდეს სიქანგუბინითა.

ნი შ ა ნ ი: ღ ა ნ დ ა ს ა რომე ეკბინოს შავსა, ა ნ ქ ა ზ უ დ ს ა 20 გავს ცოტად გრძელია და ხელფეხი გრძელი ასხია, მისი ადგილი, ექლიანსა ადგილსა იარების, შენობისა ადგილსა არ დადგების, სადაც მივა მისსა ჭარტყლასა თან წაიტანს. თუ არა უკბინოს, რომე ზედა გარდაიაროს მაშინცა ავი არის, და რა უკბინოს მაშინვე გაუსივებს ტანი და ქავილი და ტკივილი დაუწყოს მისი წამალი თუ შეიკროდეს, შეუკრან კოტომი მოკიდეთ და ზედა თბილი წყალი დაასხან ნიორი დანაყილი და თეთრი ნავთი ერთად შეზილონ და შემოსდვან ნაკბენსა ან თრიაყი ალფისა და ან დიდი თრიაყი, ან მასრადიტუსი, ან თრიაყი ტინი მახთუმი ან დეველ მუშვი, თვითოსა. მიტყალსა აჭმევდით თბილითა წყლითა და ზენაარ ნუ დაიძინებს და თუ დაიძინებს მოკუდების. ჩ ა ღ ა თ უ რ ი თ ა ენითა ჭრასას უმა- 30 ხიან თუ ამას ნაკბენსა ამა წამალმან არ უშველოს, ესე მაჯუნი შეუწყევით. აიღე: დუყო, ზირაქირმანი, თვითოსაგან ოროლი დრამი და ნახევარი, სონიჯი ხუთი დრამი უფული ერთი დრამი და ნახევარი, მარცვალი სირჟიკის ერთი მიტყალი და სიემჭული, აბულარი, ზარევანდი, აბი ბალასნი, დარიჩინი, ჯინტიანე, თუხმი, ანდაყუყი და თოხმი ქრევსი, თვითოსაგან თვითო დრამი ეს ყველა დანაყე თაფლითა მაჯუნად შექენ და მისგან ჭამა ხუთ ხუთი დრამი და უშველის ღთითა.

ს ხ ვ ა რომე რ ა თ ო ლ ა ქვიან, ესე რათოლა იმავე ღანგასა გავს, იმისი ნაკბენიცა საშიშარია მაგრა ამას ფეხები უფრო მოკლე ასხია, რა მან უკბინოს გალურჯდების, ანუ ის ფერი შეიქნების და ტანი ერთობ გაუსივდების და ტკივილი დაუწყოს, კაცი შეწუხდეს და შესუსტდეს, თბილსა წყალშიგან უნდა ჩაჯდომა და ბანა, და იმას შეკრვა უნდა, და პატარა ცვილი დაადნოს და ზედ შემოსდვას, მერმე ააძროს და სენსა თანა გამოიღებს და კოტომიცა მოკიდოს რომე აგი სისხლი გამოიღოს და რაც ღანდასა გვითქვამს ისევე ტლეები ამას უყავით, მაჯუნებიცა და თრიაყიცა და აბანოსაც იბანოს.

10 თ უ ა ნ ქ ა ბ უ დ ი ს ა შავისა ნაკბენია მისი ტკივილი ცოტა იქნების ქავილი ერთობ და ნაკბენზედ ყვავილივითა რამე გამოუვა. წამალი მისი ის არის, თბილსა წყალშიგა უნდა ჩაჯდეს მანამდინ რომე ოფლი იდინოს, მერმე ლედვის ქერქი დაწვან და მისი ნაცარი, ცოტა კირიც გაურიონ და საპონის ქვაცა გაურიონ, და ესე აბანო-შიგა გაურიონ და ზედა შემოსდვან მარილწყალი შესცხონ ყოველთა დღეთა, სამი დრამი სონიჯი დანაყილი წყლითა მისცენ. თუ ამან არ უშველოს, აიღე: სონიჯი, სადაფი, სოდი სწორ სწორი დანაყე თაფლი გაურივე და მიეც. თუ ამან არ უშველოს პირველისა თრია-ყისაგან მიეცი.

20 თ უ ქ ა რ ბ ა ს უ ა რომე ჰქვიან იმან უკბინოს, მისი ნიშანი, კბილი შიგა გაეჩრების, პირველად ნაცარი შემოსდეგ რომე კბილი გამოიღოს, მერმე დიდი თრიაყი უნდა რომე იმა ნაკბეზედა შემოზ-დვა. თუ ისი არ იყოს კოტომში მოკიდოს და მწვეთ ამოსწიოს და მასრადიტუსი მისცენ ან ალათისა და რა, მოიჯობინოს, რაც ფერი ჭამოს ალათისა გაურიოს.

ესე ქარაბსუა რომე ფერხთა შუა, გუარსა ასრე შეაშინებს რომე სული შეეკრას, მას ესე გასახსნელი მიეც, რომე ფსელსა გახსნის, ამას ოთხი ფერხნი აბია მოკლე, თავი, მუცელი და მკერდი გველსა პგავს, მიწის ფერი არის ქვიანისა და კლდიანსა ალაგსა იქნების. თუ

30 არ ფათერაკად მიხუდების კაცის კბენა არ უნდა.

ნ ი შ ა ნ ი რომე ფ უ ტ კ ა რ მ ა უკბინოს ან ბზიკმან, ან ბუზმან, მისი წამალი, მიწა წყლითა და ძრმით დაზილონ და ზედ შემოსდვას.

თ უ ამან არ უშველოს გილიერმანი და ქაფური დანაყე, ძმარ-ში აურივე და ზედ შემოსდეგ.

თ უ ამან არ უშველოს ტალიბა დანაყოს და ზედ შემოსდეგ.

თ უ ამან არ უშველოს ცივს წყალში ჩასვით და რა წყალთა-გან გამოვიდეს ქაფური და ვარდის ზეთი ზედ შესცხე და ტილოს ნაკვეთი წყლითა დაასოვლე და გულის პირსა და შუბლსა შემოსდეგ.

თ უ ტანზედა ცეცხლივით იყოს წყალში ჩასვი და ან თოვლით და ან ყინული შიგ ჩააგდე რომე გააციოს. ს ხ ვ ა, კიტრის წვენი და ისრიმის წვენი და ცოტა ვარდის წყალი ერთმანერთშიგან გაურიე და ცოტა ქაფური დანაყე და იმაშიგა გაურივე და სიქანგუბინიცა-იმაშიგა გაურიე და მიეც რომე შესვას, სანამდისინ სიცხე დაწყნარ-დებოდეს, ამას ასმევდით. და ბადრუასა ფურცელი დანაყეთ და იმა

ნაკბენზედ შემოსდევ ძრმითა. როგორაცა ცოტად დასწყნარდეს და სიმსივნე დასცხრეს მერმე სიქანგუბინი და ბაზრაცატუნი მოუმატე. და ახალი ზროხის [რმე] გაცივებული შეასვით ყინულითა ანუ თოვ-
10 ლითა, ნურასფერს ტკბილსა საჭმელსა ნუ ანდობთ, ერთსა კვირასა ბაყილმყარა რომე თუხმაქანსა ქვიან, მისი წვენი, სიქანგუბინი და-
ენაბუსალამი მისითა წყლითა, ხმელის ქინძის თესლი დანაყილი თეთრითა შაქრითა, გაურივე და მიეცი, და ცოტა ვარდის წყალიცა გაურივე ყინულითა გაცივებული და მიეცი.

ნაკბენი ბრაზიანის ძაღლისა. ნიშანი მისი, ესეცა საშიშარი არის. რა ძაღლი გაბრაზიანდების, გამტერდების, ფერი შეეცულების და რასაც იქს ვედარას შეიტყობს, მუდმად ირბენს, და თუ დაწვე-
ბის კუდსა ფერხშიგა დაიჭერს და შორითა დამოკლებულსა გვანდეს, პირსა პერული მოსდიოდეს, ხმა ჩაუვარდების.

20 თუ ავხმად ყეფდეს და კაცს გაექცეს და ძაღლები არ ერიდე-
ბოდეს და მუდამ თავდადრეკით იარებოდეს, და ერთობ იარებოდეს და არას სჭამდეს და თვალთა რეტად ხედევდეს და ქვაც შესტყორცო, პირით დაიჭიროს, პირს წყალი მისდიოდეს, რა ეს ნიშანი ნახო, იცოდი რომე ბრაზიანი არის და იმისთანას ძაღლისაგან ერიდე-
ბოდი. თუ ვით მოჰკლევდე მოკალ თვარა გაეცალე.

რა ამან ძაღლმან უკბინოს კაცსა, ვაჟსა ადვილად ეშველების. და დედაკაცსა ძნელად. უფრო თუ შეატყო ნაკბენი ბრაზიანი არის და თუ არა ეს უნდა, რომე ცოტა პური ძაღლს მიუგდო, თუ არც უსუნოს და არც ჭამოს, იცოდი რომე ბრაზიანი არის. ნაკბენის სი-
30 სხლი დასცხნონ პურსა თუ ჭამოს არ არის ბრაზიანი. მოკალ ძაღლი და მისი ღვიძლი კაცმან ჭამოს. თუ შეიძლოს ნაკბენზედ კოტოში მოიკიდოს, მოუცრან კარგად და ზედ თაფლი შესცხონ, მერმე აიღე ჩაღანდარი დი ისი მოადულე, კარგად დადნეს, და გამოწურე, ორი თავი ხახვი და ხახვისა წონა თხილი ერთმანერთშიგა დანაყე თხილი და ხახვი, და ცოტა ერბო გაურივე და მალამავითაშექენ და ზედ შე-
მოსდევ, მუნამდის რომე ყვითელმან წყალმან დაიწყოს დენა, მერმე მოკალ და გაახმე, დანაყე, თაფლითა შეზილე და მაჯუნვიითა შექენ და მიეც, და თაფლიანი მათბუხიცა ააღებინე. თუ შეკრფეს და მათ-

413

ბუხი ვედარა შესვას, ავისა ნიშანი არის, და მათბუხი ძაღლისა ლეკუ-
სავით დააყრევინებს, ლეკვებს გვანდეს. ესე მამად ზაქარის შვილმან მოიგონა ჯალინოზის წიგნისაგან.

ს ხ ვ ა წამალი ჯ ა ლ ი ნ ო ზ ი ს ა დაიჭირე კირჩხიბი ახალს კო-
ტოშიგან ჩაყარე, წყალი დაასხი ზედა და თორნეშიგა მოხარშე და რა მოიხარშოს წვენი გამოწურე ათი დრამი, ხუთი დრამი ჭინტიანი დანაყე და გაურივე და ყოველთა დღეთა ცივითა წყლითა ოროლსა დრამსა მისცემდი, შესვას მუდმად, თავზედა ვარდის ზეთს, ვარდის წყალს შესცხებდი. და ბაზრაცატუნისა წვენი ფეხაურის თესლის წვენი
10 და ცოტა ქერის კორკოტის წვენი ცოტა შარბათი ჯულაბისა. ეს ყველა ერთმანერთშიგა გაურივე, ცოტა ვარდის ზეთი მიეც, რომე შეჭამოს. გრილსა ადგილსა დააწვინე. მუდმად ტირიფის ფურცელი საგებელ-
ზედ დაუყარე. საჭმელი რაც მალახულისა გვითქვამს, ის შეუწყევით.

ს ხ ვ ა შე ტ ყ ო ბ ა ბ რ ა ზ ი ა ნ ი ს ა: სხვათა აქიმთა უთქვამს:

ძალსა რომე ეკბინოს დანაყე ნიგოზი და იმა ნაკბენზედა შემოს-
დევ ერთსა ღამესა, მეორესა დღესა ნიგოზი ძალსა მიუგდონ, ანუ
ქათამსა და როგორაცა ჭამოს ძალმან ანუ ქათამმან თუ მოკუდეს,
იცოდით რომე ბრაზიანი არის და თუ არ მოკუდეს არა სჭირსა.

ს ხ ვ ა ნიგოზი დანაყე ორს დღეშიგა ერთხელ ისი ძალამა რო-
20 მე ბრაზიანისა ნაკბენისა გვითქუამს შემოსდევ და დევალ მუშკითა
მიეც რომე ჭამოს, იცოდი რაცა ბრაზიანი არის, იმათი კბილი ყუელა
შხამიანი არის, რაცა გვითქუამს ესე არის ბრაზიანის წამალი.

მზ კარი და ნიშანი ძარღვის გახსნისა, კოტოშისა და წურბ- ლის მოკიდებისა და ხასიათი მათი.

თუ ყიფალი გაუხსნა, ყელისა და ზემოთსა სატკივარსა უშვე-
ლის, თავისა, თვალისა, ყურისა და კბილისა, და სასისსა ტკივილსა
ყველას უშველის. და თუ ენა უსივდეს, ამისი გახსნა არ უშველის,
ენას ქვეშე ძარღვი რომე არის ისი გაუხსენ.

30 თუ პირი სტკიოდეს და ენაზედა ოსპივით ესხას, რომე ოთხი
ძარღვი არის ორი ზედასა ბაგეშიგა და ორი ქვეშეთა ბაგეშიგა ისი
გაუხსენ.

თ უ სიმხურვალისაგან სტკიოდეს პირი და შიგნით წითელი
რამე ესხას მასცა ესევე ძარღვი გაუხსენ.

და თუ ყიფალი არა ჩნდეს, კოტოში მოჰკიდე კეფაზედა და
მისსა სანაცლოსა სისხლსა ის გამოიღებს. და ყიფალის სანაცლოთ
ჯ ა ლ ი ნ ო ზ ს ა, ორთავე ბეჭთა შუა უთქვამს კოტოშის მოკიდება.

თ უ ყელი სტკიოდეს ორთავე მხართა შუა კისრის ბოლოს

414

მოჰკიდოს კოტოში. ხასიათი და გახსნა აქალისა, რომე არის კ ა თ ო-
ლ ი კ ე, მისი გახსნა ყელისა ქვემოთ და წერთა ზემოთ, სრულად
ტანისა სისხლსა ის გამოსწმენდს.

თ უ არა ჩნდეს ბეჭთა შუა კოტოში მოკიდოს, და მას სანაც-
ლოს სისხლსა ის გამოსწმენდს. და გამოიღებს.

მას ქვეითა ძარღვსა ა ბ რ უ ზ ი რ ა ჰქვიან, და მისი გახსნა სტო-
მაქისა და ნაწლევთა სისხლსა გამოსწმენდს. თუ ის არა ჩნდეს მუხლთა
ქვეშეთ ძარღვი არის და ის გაუხსენ.

მას ქვეშეთსა ძარღუსა ბ ა ს ა ლ ი ყ ი ჰქვიან, მისი გახსნა ღვიძ-
10 ლისაგანაცა გამოიღებს. სისხლსა და წელთ ქვემოთა ყველას გამოი-
ღებს სისხლსა. თუ ისი არა ჩნდეს კოჭი გაუხსენ იქით აქათ, ანუ
ცერის ძარღვი გაუხსენ ანუ ორთავე მენჯთა შუა კოტოში მოიკი-
დოს, მისისა სანაცლოთ, სისხლსა იგი გამოიღებს. და ხელისა ძარ-
ღუსა, რომე ს ე ლ ი მ ჰქვიან ნეკსა და თითთა შუა რომე ძარღვი არის
შემართებით, თუ მარჯვენის ხელისა ისი გაუხსნა, ღვიძლის სისხლსა
ის გამოიღებს, თუ ისი არა ჩნდეს ძარღვი მარჯვენისა გვერდზე და
ნეკზედ, კოტოში მოიკიდოს მისსა სანაცლოს სისხლსა ის გამოიღებს.

თ უ მარცხენისა ხელისა ს ე ლ ი მ ი გაუხსნა ტყირბის სისხლს
ის გამოიღებს. თუ ისი არა ჩნდეს მარცხენასა ხელსა იმავე ალაგსა
20 კოტოში მოიკიდოს, მის სანაცლოს სისხლსა გამოიღებს.

თუ სისხლის გამოღება ან ხელის გახსნა, ან კოტოშის მოკი-
დება ან წურბლისა გინდოდეს, უზმა სისხლს ნუ გამოიღებს ზენაარ,

თვარამ დიდი ზიანი არის და კაცი შესუსტდების და საფათერაკო არის.

ბ ა ს ი ა თ ი წ უ რ ბ ლ ი ს ა, რა წურბელსა მოიკიდებდეს, მუცელი გახსნით უნდა იყოს, და მჟავიანისაგან და მლაშისაგან ფარეზი უნდა, მაშინ არგებს, თვარა უმისოდ არას არგებს. იცოდით რაცა ფერი მუნ იყოს, და სისხლის, ზაფრის, ყველას არგებს. რა წურბელი დავარდეს ის ალაგი წყლითა და ძრმით მოიბანოს. თუ ადრე და-
30 ვარდნა უნდოდეს და არ დავარდეს, ნატეხარი დანაყე და ზედ შესცხე წყლითა, და დავარდების, ანუ კირი შემოსდევ და ან გულნარი ძაღლის ყურძენასა წყლით დასდევ. თუ ავი ალაგი იყოს და წურბელი არ მოეკიდოს, სისხლი დასცხე იმ ალაგსა და მოეკიდების, თუ ერთობ მოეკიდოს, მარილწყალი დასცხევ და ფიცხლავ დავარდების. და წურბლის მონაკიდარზედა რომე კოტოში მოიკიდოს ერთობ მარგე არის.

მჭკარი აბანოს ბანებისა. თუ უჩვევარი კაცი იყოს და კულავ არ ებანოს მის სარგებელსა და ზიანს მოგახსენებ. რა აბანოს იბანო

წყნარად შედი და გამოდი, ნუ ჩქარად შეხვალ და გამოხვალ. რა შეხვიდე პირველსა სახლსა შიგან დაჯე და მერმე შუასა სახლსა შიგან დაჯე და მერმე შიგნითა დაჯე, და აგრევე გამოსულაშია ქენი.

თუ ერთობ მსუქანი იყოს და ხორციანი პირველ ან თასითა და ან ჯამითა დაისხას გულზედა, მერმე ბეჭთა შუა და მერმე თავზედა და მერმე მაშინლა ებანოს.

თუ სუსტად იყოს და მხურვალად ამან ღარღარა ქნას, მერმე სწორსა წყალშიგან ებანოს და რაგინღარა მსუქანი იყოს იმას არ აწყენს და ბალღამსა და სიგრილესა მოხარშავს. თუ ზაფრიანი და
10 მჭლე იყოს ზაფრას მოუმატებს და კაცსა შეასუსტებს. მსუქანს ხანგრძლად უჯობს ბანა და მჭლესა აწყენს.

ბ ა ს ი ა თ ი ა ბ ა ნ ო ს ა, რომე ტანი გამოწმინდოს ყოვლის სატკივარისაგან, შიგნით და გარეთ რაცა ავი სატკივარი იყოს, მსუქანს არგებს და მჭლეს აწყენს. ძარღვებს ყველას დაალბობს და ზაფრიანსა და ნაღვინვეს აწყენს. და ბერსა და მჭლეს კაცს აწყენს.

რა აბანოში შევიდეს თავსა ღარსა ქვეშე ნუ დაიჭირავს თვარა ტვინს აწყენს, ანუ ხელი დაიდვას თავზედა და ანუ ჯამით დაისხას.

თუ წელნი სტკიოდეს ანუ ქარიანი იყოს, ამთონი ერთი ებანოს რომე ოფლად გამოვიდეს ტკივილი. თუ თავი ან ტანი გინდოდეს
20 რომე დაიბანო ხატმისა წვენითა დაიბანოს და საპონით ნუ დაიბანოს, თვარა სიხმეს მოუმატებს, ფერს გაუყვითლებს, ტანს დაამჭლობს, და თვალის სიბნელეს მოუმატებს.

ბაზრაცატუნითა თუ დაიბანოს, თმასა დაამაგრებს, ტანსა გააგრილებს და თვალის სინათლეს მოუმატებს და ქარტლსა გასწმენდს და სიხმეს დაალბობს.

ღლია რომ უყარდეს და აბანოში შევიდეს, ვირემ სული უდიოდეს. და აბანოში ცივსა და ყინულიანს წყალს ნუ სვამს თვარა ყოლინჯსა და სისხას გამოუჩენს, მამღარი წუ ებანების და ნურცა უჭმელი, ზაფრას მოუმატებს, დედაკაცთან ნუ დაწვების თვარა ბავა-
30 სირს გამოაჩენს. და ნურცა შიგა დაიძინებთ, გარეთ სახლშიგან დაი-

მინოს. რა აბანოთ გამოვიდეს სიქანგუბინი ჭამოს ჯულაბითა.

ა ბ ა ნ ო შ ი გ ა ნ, გრილ გუნება იყოს კაცი თუ მხურვალი, ცივს წყალს ნუ სვამს და ნურცა ცივს შარბათსა ამისთვის რომე ასოსა, დაასუსტებს და ნიკრის დაბადებს. და ესეცა იქნების რომე გაცხელებული ღვიძლი გააგრილოს და გააციოს და სისხლი გამოაჩინოს. თუ მოსწყურდეს ფუყა უნდა სვას ანუ ჯურაბი. და არცა მხურვალი შარბათი უნდა სვას, ამისთვის, რომე სიმხურვალე მისთვის ასთონიერთი მიხუდების, რომე სილი და დიცი დაიბადოს.

416

და სიცივეშიგან გარეთ გამოსულას სიფრთხილე უნდა და კარგა და თბილად ტანსა ჩაცმა უნდა, რომე არ გაცივდეს. დაკოდლითა და სიმსივნინათა არ მართებს რომე იბანნეს. აბანოსა სარგებელი ისი არის, რომე მოსვენებით დაიძინოს და ოფლი გაითაოს, და ზიანი ის არის რომე დიდხანს იბანოს გული გაამხურვალოს და გაასუსტოს და დაწყნარებული სენი დაძრას.

ც ი ვ ს ა წყალშიგან და ავსა, ბანა არ ვარგა, თუ ვინ ებანოს ავსა წყალშიგან ცხელსა დღესა გუნება მხურვალი, ასრე უნდა, რომე წყლისა სიცივემა არა გაათრთოლოს და არცა ფერი წაუღოს, რა
10 გამოვიდეს მაშინვე თუ ფიცხლავ გათბეს მისსავე ფერზედა იყოს, იცოდე რომე მისსავე სიმრთელეზედა არის. და თუ ფერზედა არ მოვიდეს, და არცა ადრე გაათბოს, კულა იბანოს უწინა გამოვიდეს. რა ცივსა წყალშიგა იბანდეს უწინა ასონი ქონითა დაიზილოს და მერმე წყნარად სეერანი ქნას და აგრე იბანოს და ფიცხლავ გამოვიდეს ტანი კი დაიზილოს და პიტნის მაჯუნი ჭამოს, მარგე არის ღთითა.

მთ. კარი ტილისა რომე თმასა და წვერში დაიბადოს. და დაგესხას (და) ტანზედა. მისი მიზეზი ის არის, რომე გუნების სიმხურვალე შიგნით მეტი იყოს და სენსა გამოაყენებს ტანშიგან და გარეთ ტყავშიგან ამოვა და ტილი დაიბადების. მისი წამალი, პირველად
20 გასახსნელი წამალი მიეც და მერმე ნიადაგ თბილის წყლით იბანდეს და ჭაკუნტლისა ნახარშითა დაიბანდეს და ან საროს ფურცელითა ნახარშითა და ტანისამოსი ქათანისა და ანუ აბრეშუმისა ჩაიცვას და მალე მალე გამოიცვლიდეს. და ნავლელი ძროხისა და თხისა, საბრი და ვარდი ერთად გაურივეთ და შესცხეთ.

თუ კრწყილი იწყინებოდეს აიღე: შამანდალისა ქერქი, რომე წყლითა მოადულე და სახლშიგან მოასხა, კრწყილს დახოცს და გარდებევწოს. და ძღარბისა ქონი რომე შემაზედან შესცხო და სახლშიგან აყუდოს რაც კრწყილია მას მოეხვევის და გოგირდის სულისაგან და ხარაზარასაგან გარდაიხვეწოს კრწყილი.

30 წ ა მ ა ლ ი მ ი ს ი, რაცა სისხლშიგან მძრომი და ავი იყოს, ესე აყრჩოლე, თუ მორიელის ხურელი ჩნდეს, ბოლოკი მიდვან და მისთა დღეშიგან ველარ გამოვიდეს. ფურცელი ხეშავისა დასდვა ხურელსა სადაცა იდვას ფურცელი მისი იქიდალმა დაიკარგვის. მურდასანგი, ხარბაყი და ბაზრულბანჯი და წივა, ესა ცალკე დანაყოს და მერმე ერთად გარიოს და თავუს ამოსწყვეტს. ზროხის ნალველსა წყალი გაურივე და სადაცა დაასხა იქ ჯიანჭველი დახოცოს და დაკარგოს. და თუ ანგაზატი¹ დაადო მისივე ხასიათი აქუს. ზარნიხი

რძესა ჩააყარე დანაყილი და ჯამითა სახლშიგან დადგი რაც ბუზი არის ყველა იმაში ჩავარდების. და რასაც სახლშიგა ფარშამანგი და თეთრი ფრინველი წყლისა იყოს, იმა სახლშიგა მძრომი ვერ დაჯდება.

ნ. კარი ძილისა და ხასიათი მისი. ღვიძილისა და ძილისა ძილი სიმთელისა, ძალისა მამცემი არის, დადნობა ძილშიგა უფრო თამამად იქნების, სენის გვარი ძილშიგა უფრო თამამად მოიხარშვის. და ძილშიგა ტანი გაცივდების და ზედა სახურავი უფრო ბევრი მოუნდების მღვიძარისაგან, და ძილმან ყოველი გახსნა უკუაყენოს,

10 ოფლის მეტი.

ოფლისა დენა სრული დნობა არის და რაჟამს ძილშიგან ოფლი გამოუვიდეს, ნიშანი იყოს, რომე საჭმელი ბევრი უჭამია და მღვიძარესა ვედარ მოუდუნია, და ძილშიგან ოფლის დენა მოსულა, თამამია დნობა. ბერთა კაცთათვის ძილი სწორი არის და მარგე არის. დიდი ძილი მსუქანსა და გრილგუნება კაცსა აზიანებს და ძალსა დაასუსტებს და თავსა დაუმძიმებს და სენს მოუმატებს. ძილი საჭმელს მოადნობს და გახსნასა უკუაყენებს და სენისა გვარსა მოხარშავს.

აწ უძილობისა მოგახსენოთ. უძილობამან კაცი მოუსვენებ-
20 ლად ამყოფოს და დადნობისა ძალი უკუაყენოს და სენისა გვარი მოუხარშავად ამყოფოს და მოხარშვისაგან უკუაყენოს. და გახსნასა მოუმატებს და სიხმესა მატებს. და სნეულობა სიხმისა და ზაფრისა გამოაჩინონ. და სუსტსა და ხმელ გუნებასა უფრო აზიანებს, და როდესცა სნეულმან ძილშიგან ვერა მოისვენოს საშიშარი არის.

და თუ მრთელსა კაცსა ძილი ერთობ მოუვიდეს და ან ძილშიგან ღრმად ჩავარდეს, დასტური იყოს, რომე სნეულობისა სენშიგან არის.

თუ სნეულსა მოუვიდეს ძილი, სიგრილის ნიშანი არის და დილეულისა ძილი, ასრე რომე სეერანი არ ექნას და არცა ეჭამოს,
30 აგრე დილეულად ეძინოს, ერთობ ზიანი არის, დაასუსტებს და ტანსა გააგრძელებს, მოღალღით ამყოფოს და სიხმე მოუმატოს. და ურმიგო სიზმრები ეჩვენებოდეს.

დღისით ძილი ბალღამსა და ნაზლას მოუმატებს და კაცსა გააუფერულებს და ტყირბსა გაადიდებს და დააჩოლფოტოს და აწვადინებდეს, არარათი ღარიზი გაუძლიეროს, ამისთვის რომე ძილშიგა არარათი ღარიზი შიგნით შევა და საჭმელსა ვედარა იპოვის, რომე მოიდნოს, მისთვის დასუსტდების.

და ვინცა დღისით ძილსა დაჩვეულა არ უნდა მოშორებება, ისრე უნდა იქმოდეს. და ძილი ასრე უნდა, რომე უწინ მარჯვენასა გვერდ-

ზედ დაწვეს და მერმე მარცხენაზედა, ამისთვის რომე, ასონი გასწორდეს, მარჯვენა და მარცხენა, და საჭმელს უკეთ მოიდნობს, ზურგზე და წოლა, კაცისა ასონი უკეთა მოისვენებენ, მაგრამ რაც სენი ფა-

შუშიგან ყველა ზურგშიგან ჩავა და ფილენჯად და ლაყუად გარდე-
ქცევის, და პირდაღმა წოლა სურდოსათვის მარგე არის.

**ნა. კარი საჭმელთა მუავისა და ტკბილისა, მწარისა და მწო-
ვისა.** სხვა აქ მოგახსენოთ: ხ ვ ა რ ბ ა ლ ი და წ ა ბ ლ ი და კ უ რ-
დ ღ ლ ი ს ა ხ ო რ ც ი სქელი და მძიმე არის, სიხმის ბედიოთა.

10 მოხარული ღვიძლი და მოხარული კვერცხი და
მოდულებული რძე სქელი და მძიმე არის. და აქლემის ხორცი,
და ძროხის ხორცი, ფავშვი და ნაწლევი სქელი და მძიმე,
არის.

თაღამი და ქალმა მოხარული სქელია. და ხმიადი
პური ერთობ დაზელით სქელი და მძიმე არის. რაცა ტვინი არის,
ყველა სქელი და მძიმე არის, და ჭლიკი და ენა და ბაგენი,
მძიმე და სქელი არის. და ღვინო შავისა და ტკბილი მძიმე და
სქელი არის.

აწეს მოგახსენოთ, რაც უწინ მოიდნობის ეს არის, რომე რა-
ცა კაცსა გუნებით უნდეს, ისი ჭამოს, მას უწინ მოიდნობს, ქათამსა,
20 ხოხობსა, უწინ მოიდნობს. პირუტყუთა ხორცთაგანისა უწინ მოიდნობს,
პირუტყუი რომელიცა ახალი არის, ისი უწინ მოიდნობის დიდისაგან.
და ქათმისა გარეთ თოხლისა და ბატუნისა უწინ მოიდნობის. და რა-
ცა ადვილად დაიცოხნების ის, უწინ მოიდნობის. მაგრისაგან წინა
კერძი კისერი და მკერდი და წინა ფერხები უწინ მოიდნობის. ბე-
რისა პირუტყვისა მალა უწინ მოიდნობის. მარჯვენა მკერდი წინათი
ადგილი, ნახევარს წინათი, უწინ მოიდნობის. მარცხენისაგან და,
უკანისა კერძისაგან.

მხალთაგან: აყირო, ქოქი, და ქასნი უწინ მოიდნობის ტარ-
ხუნისა და ნიახურისაგან.

30 აწე რაცა მაზიანებელია, ის მოგახსენოთ, წყლისა ფრინველი
ყველა მაზიანებელი არის. და მინდორისა ფრინველი ყუელა კარგი
არის. წერო და სავათი მძიმე არის და გვიან მოსადნობელი.
ნედლი მუხუდო და ნედლი ბაკლა მაზიანებელი არის.

აწე მხურვალთა საჭმელთა მოგახსენოთ: მუხუდოს წვენი, ზეთის
ხილის ზეთითა, ანუ ახლითა ერბოთა მაშინ, უფრო ქონდრითა ჭა-
მოს. და ხარშო ჭავჭავისა და კაკბისა ხორციოთა და ტრედის ხუნ-
დითა ხარშოთ შექნილი. და ერთისა წლისა თოხლი ცხვარი მსუ-
ქანი და ჯერნის ხორცი ზირა ქირმანითა და კულიავითა, და სარ-

დაფის ფურცლითა და პილპილითა რომე ჭამოს. ქონდრითა და
პრასითა და დარიჩინითა და შაქრითა და თაფლითა, და ნედლითა
ხილითა ჭამა ესე ყუელა მხურვალთა არის, ბძანებითა ღთისათა.

აწე რალა საჭმელი ხმელი არის იგი მოგახსენოთ: ხორცი
შემწვარი ყალი ავქანითა და ძრმითა, ნიორითა და სადაფითა და
ქონდრითა, აყირო და კულიავი, მოზაფარი, რომე ავქამისა და ჭა-
კუნტლისა ფურცლისაგან შექნილი იყოს და ზეთის ხილის ზეთითა
გაზდილი, პიტნა და ტარხუნა, და მინდურის ფრინველის ხორცი
როგორცა გლონი და კაკბი და ხოხობი და ჭივჭავი ესე ყუელა-

10 ხმელი იყოს და სინედლე არ ემატოს.

აწე ნედლთა საჭმელითა მოგახსენოთ: ნესვი საზამთრო,

კატრი, ქლიავი, ნედლი ტუტა და ისპანახი, ნედლი ბაკლა და ნედ-
ლი მუხუდის, ნედლი ნიგოზი, ნედლი უნაზი, ნედლი ნუში და ქერის
წყალი, ესე რაცა წყლითა შექნილი იყოს, ყველამან კაცის ტანსა
სინედლე მისცეს. და ხორცი რომე ტყავგახდილითა მაშითა შექნა
აყიროთა და ისპანახით და ნუშისა ზეთითა შექნან. და ახალი ყვე-
ლი, და ხორცი თიკნისა, უნდა რომე გვერდისაგან შექნან, შინაური
ხორცი უფრო ნედლი არის გარეულისაგან.

20 ა წ ე გ რ ი ლ ი ს ა ს ა ჭ მ ლ ი ს ა მოგახსენოთ: რაც მჟავე იყოს
და სქელი გრილი იყოს ახალი თეთრი ღვინო მაგარი არი, ამაღ
რომე არ დაჟამებულიყოს და ქასინი და ვაშლი და მჟავე ბროწეული
და ჩინური სხალი, საზამთრო და კიტრი ესე ყველა გრილი არის
ნებითა ღთისათა.

30 ა წ ე ესე მოგახსენოთ რომე საჭმელმა მუცელი გაარბილოს,
რასათა საჭმელსა სიტკბო ჰქონდეს, ანუ სიმწვავე, აწუ სიმლაშე, ამან
მუცელი გაარბილოს, ოსპის წყალი და ქალმის წყალი, და მამლის
ქათმისა წვენი და ჭაკუნტლის ფურცელი, რომე წყალი შიგ აღარ
იყოს და აყირო და ასპანახი ლედვი და ტუტა და ნედლი ნიგოზი
და ნედლი ქლიავი, რომე ჯულაბითა ააღებინოს, ახალი და წითელი
ღვინო და ულბოს წვენი თაფლითა, ესე ყველა მუცელსა და გუნებასა
გააგრილებს ღთითა.

ა წ ე ესე მოგახსენოთ, რომე საჭმელმან მუცელი გააგრილოს:
კომში და სხლის კვანახი, ფშატი და ნარდანგი ასლად მოხა-
ლული იყოს, კოწახური, თუთუბო და დო, უფრო მაშინ რომე დო
მოადულო. და მოდუღებული ყველი. ხმელი მოხალული ფეტვი ესე
ყუელა მუცელსა გაახმობს და შეჰკრავს. მჟავე ბროწეული მუცელსა
შეჰკრავს. და ოსპი რომე სამჯერ მოადულოს და წყალი გამოუცვა-
ლოს და მეოთხე ახალის წყლითა მოათბოს, ისა ან თუთუბოთა და

420

ან კოწახურითა აჭამო, მუცელი გაახმოს და შეკრას. მოხალული ნუ-
შიცა მუცელსა შეჰკრავს. და ქალმი როგორაც ოსპი ისრე მოადუდე
და აჭამე, ისიც შეჰკრავს მუცელსა, და ნედლი ბაკლა, ან ქასნი
ძრმით მოადულონ, მუცელსა შეჰკრავს. და ქათმის კვერცხი ძრმითა ¹,
ან თუთუბოთა მოხარშოს, მუცელს შეუკრავს ბძანებითა ღთისათა.

10 ა წ ე ქ ა რ ი ა ნ ი ს ა საჭმლისა მოგახსენოთ: მუხუდო, მრგვალი
ბაკლა, ოსპი, მაშა ქერქითურთ ქარიანი არის. თუ ამათ ტყავი შეა-
ძრო და მოხალონ ქარი აღარ ექნების. და ფუკამან და ანაქიდონმან
და ჯარაოტმან ქარი დაბადოს. რძე და მისი საჭამადი და გაუწმენ-
დელი თაფლი ქარიანი არის, მაგრამ მისი ქარი ფიცხლავ წავა. ყურ-
ძენი, ვაშლისა, და სხლისა, და ტყემლისა ყველა ქარიანი, არის, და
მაწონი და მჟავე ისრიმი ერთგან ჭამოს ქარი დაბადოს. მჟავე და
ტკბილი ბროწეული ერთად ჭამოს ისიც ქარიანია.

ა წ ე ესე მოგახსენოთ რომე რა უფრო აზიანებს სტომაქსა: ჭა-
კუნტალი, თალგამი, თუხმაქანისა ფურცელი, ასპანახი სილბოსა ბე-
დითა, ულბო და ქუნჯითი, კარაქი და ერბო სილბოს ბედითა და სიმ-
სუქნითა და რძე ამისთვის რომე გრილსა სტომაქშიგან ფიცხლავ
დამჟავდების და მხურვალსა სტომაქშიგან ზაფრად შეიქნების, ამის-
თვის მაზიანებელი არის. და სულიერთა ტვინი ავი არის. და ახალი

20 ღვინო სტომაქისთვის ავი არის და მაზიანებელი.

აწე კარგის საჭმლისა მოგახსენოთ, რომე ფიცხლავ სისხლად გარდიქცეს და ძალი მისცეს კაცსა ის არის: ქათმის ხორცი, მოხარშული თიკნის ხორცი, გამტკიცული პური ახლის ხვარბლისაგან იყოს და ახლად გამომცხვარი და ახალი წურილი თევზი, რომე მისი წყალი ქვიანი იყოს და ვარიის ქათმის თოხლო კვერცხი, და მსუქნის თხის რძე რომე შობას უკანით დიდი ხანი გამოსულიყოს და იმწამს მოწველილიყოს. და თხელი და წმინდა ღვინო გემრიელი და კარგ სული და კარგ გემო. ხბოს ხორცი და ცხურის ღვიძლი და ტკბილი ღვინო. და კარგი სისხლი ჩააყენოს ბძანებითა

30 ღთისათა.

კარგი ეს არის, რომე როგორაცა საჭმელი მოუნდეს ფიცხლავ ჭამოს და ასე აიღოს, რომე კიდეც უნდოდეს. რა პატარა ხანი გამოვა ასრე იქნების რომე ვითამც გამამძარი. ადრე მოიდნობის რომე მართლად და მსუბუქად იქნების.

¹ აქედან გადაადის ექვსი ფურცლის შემდეგ. არეულია აკინძვისას. ეს ექვსი ფურცელი ტექსტის ბოლოს ეკუთვნის და იქ გადაადის — ტექსტი ამით თავდება.

ნზ კარი ტანისამოსათა.

სამოსელი, სელისაგან რომელი იქნების სწორი არის სიგრილითა და ნოტიოთა და სიხმელითა არის საკმელთა კერძოთაგან. არგებს და ამოაშრობს ნოტიოსა და ოფლსა ტანისაგან და იხმარების წამალთა შიგა და ერგების ტანზედა რომე წყლული იყოს, და ამოაშრობს მასა წყლულსა და გამოზრდის მისსა ხორცსა.

[და ტილოსაცა გრილი არის სამოსი მზურვალი და ხმელი და ამისითა სიმზურვალთა და სიმხნითა სწორი არის, ყოველსა სამოსელსა სჯობს. და სილბოსავე აზიდავს და ტანისამოსად მზურვა-

10 ლი არის.

და ტანისამოსი რომელი იქნების აქლემისათმისაგან შუა არის. თხისურისა და მატყლისა კარგი არის. და თირკმელთათვის სამოსელი აბრეშუმისა უსწორე არის, ყოველსა სამოსელსა ვერა სჯობს, ბანბისა სჯობს, რაცა სამოსელი მქისე არის, სიხმისაკე იზიდავს. და რაცა სამოსელი რბილი არის სინედლისაკე იზიდავს. სამოსელი მატყლისა რომელი არის ჩოხა¹ მზურვალი და ხმელი სამოსელია. რომელიცა თხისა და თიკნისა თმისაგან იქნება. გრილი და ხმელი არის.

ხასიათი წამოსასხმელთა. ტყავი სიასამურისა უკეთესია ყოვლისა ტყავისაგან და მზურვალი არის, თირკმელთათვის კარგია, და გვერდისა და ღვიძლისათვის. ტყავი კრავისა და თიკნისა უმზურვალეა ყოვლის ტყავისაგან და ულბო და უკეთესი ზურგისა და თირკმელთათვის. ტყავი მელისა უფრო მზურვალია ბატკნისა ტყავისაგან. ტყავი აბესი და ფანაკისა არიან კარგნი და საზრდელნი ტყავისანი. ტყავი სინჯაბასა არის კარგი, მზურვალი და ნედლი, სუბუქი და კარგიცა არის თირკმელისათვის.

აწე ფერი დავსწეროთ, რომელი უმრთელე არის შესახედავათ. უკეთესი თვალის შესახედავათ არის ლურჯი, მწვანე და შავი ამათი ხასიათი ეს არის, რომე თვალისა გვამსა გაუძლიაორებს და თვალ-

30 სა არას ატკივნებს, სინათლესა მოუმატებს და ხედვასა გაუმატებს და თვალისა გუგასა შემოკლებითა ამყოფებს, და რაგვარაცა ღამე თვალისა სინათლესა შეჰკრებს და დღისით დაიფანჩვის სინათლე თვალისა, აგრევე ყოველი ფერი რომელი ს ი შ ა ვ ი თ კერძო სცემს, თვალსა კარგად შეინახავს და რომელი თეთრი არის შესახედავად: თვალსა აწყენს და გუგას დაჰფანჩავს. და ყოვლის ფერის მზერა თვალისათვის ავია და ყ ვ ი თ ე ლ ი ც ა ავია მაგრა თეთრსა სჯობს

¹ ამ სიტყვის მაგივრად სხვა სიტყვა წერებულა, რომლის პირველი ასო „მ“ მკრთალად მოჩანს. გადამწერს როგორც ჩანს ჯერ ძველი სიტყვა დაუწერია, შემდეგ წაუშლია და ზეიდან დაუწერია „ჩოხა“.

422

შესახედავით, და ყვითელსა წ ი თ ე ლ ი სჯობს შესახედავად და ზიანი უფრო ცოტა აქუს და სწორი არის. ამა ყოველთა [ფერთაგან] სნეულთათვის ლურჯი, მწვანე და შავი სჯობს შესახედავით ბძანებითა ღ თისათა.

ნგ. ნიშანი ახლა დასახლებულისა.

რა კაცი ახლა დასახლდებოდეს, ასრე უნდა, რომე სასახლე ასეთს ადგილს გამოარჩიოს რომე, თუ იგი ადგილისა აერი ავი იყოს, ასრე უნდა რომე სასახლე კარგსა ადგილსა მოაწყოს, მისი საზიანო უმცრო იყოს.

- 10 ასრე უნდა სასახლე ასეთს ალაგს ქნას, რომე რაგვარაცა მზე ამოვიდეს მოადგეს და კედელნი უყუნეს და ჭერნი მაღლით იყუნენ, აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით, სარკმელნი დიდროანი იყოს, რომე რაგვარაცა მზე მოვიდეს სახლს შეადგეს და აერი გააშვენიეროს. და დიდისა მთისა ძირსა თუ სახლი ჰქნა, რომე მთა აღმოსავლეთით იყოს, სხვისა ალაგისაგან სნეულობა იქი უწინ იქნება. და თუ მთა დასავლეთით იყოს არა გავარა. ქვანი და ქვიშიანი ალაგი ხორშიანი იყოს და უკაცურნი ალაგნი ხმელნი და სახორშენი და ზღვის პირისა ალაგნი ნედლნი იყუნენ და შიშველნი და მდინარენი ალაგნი კარგი და რბილნი იყოს, მთისა უფრო მრთელნი იყუნეს და
- 20 ტყიანის ალაგისა და წყლიანისა აერი ავი და საზიანო იყოს და პირუტყუთათვის ავი, საზიანო არის.

ნდ. ხასიათი და შექნა ზეთებისა.

ნიშანი ი ი ს ზ ე თ ი ს ა. აილე ია, ნედლი, დარჩეული ერთი ლიტრა და ერთი ლიტრა ზეთის ხილის ზეთი და ან ტკბილის ნუშის ზეთი და ზირასა ზეთი დაასხი ზედა და ჩაასხი ჭურჭელშიგა და დაურიე და კიდევ მზეს ქვეშ ორმოცს დღესა რომე შეიქნას.

- ხ ა ს ი ა თ ი მ ი ს ი, გრილი და ნედლი არის, სიხმესა გარდაოდებს და ასოებსა ყუელასა დაამაგრებს და მოსავლელად ადვილად გაიყვანს, ხმელსა და მხურვალსა, სადასა არგებს და ძილსა მოგურ-
- 30 რის. აყიროსა თესლითა და ტკბილისა ნუშის ზეთითა იხმარეთ. ფრჩხილთა დაუმაგრებდსა თუ დიდსა სჭამს შეასუსტებს, თუ ზეთითა სჭამს აღარ შეასუსტებს. თუ ისი არ იყოს მისი სანაცლო ზირასა ზეთი ქნას.

ზ ე თ ი ლ ე ლ ო ფ ა რ ი ს ა. როგორაცა იის ზეთსა უნდა შექნა აგრევე ამა ლელოფრისა ზეთსა, ეს უფრილვა და ხასიათი ორისავე ერთი არის, თუ ეს არ იყოს იის ზეთი ქნან.

რომე სიმხურვალით გაჭედით იყოს მას უშველის და ჭკუასა უმატებს. ცხვირსა ძალსა მისცემს, სიმხურვალესა სენსა და სიმსივნესა არგებს. მისი შესმა და შეჭმა, შიგნითსა და გარეგანსა მღიერსა და წელწულნი რომე ეწოდეს მას უშველის. ზაფრას დასვამს. ტანი რომ ქაოდეს და შეიცხოს მას უშველის და მღიერსა ¹ გაახმობს. მისი სიგრილე იისა ზეთისა სიგრილესა ჰგავს. ვარდის ზეთისა შექნა, მოილე წითელი ვარდი და დაარჩივე ფურცელი, ერთი ლიტრა, ბირკის ზეთი დაასხი, გაურიე ერთმანერთშიგან და ჭიქაშიგა ჩაასხი და პირსა მოჰკარ და ორმოცსა დღესა მზესა გაუდგი რომე შეიქნას და იხმა-
10 რე რა მოგინდეს.

დ უ ნ ა ლ ა ფ რ ა ა ყ ი რ ო ს ა ზ ე თ ი გრილი და ნედლი არის, ცხვირშიგა რომე სიხმით ანუ სიმხურვალით გაჭედით იყოს, მას უშველის, მისი ძირი ცხვირშიგან გამოივლოს და თავი დაიბანოს ძრმითა, სიმხურვალესა, სარსამს და მალახულიანსა არგებს, და სრულად ტანისა სიმხურვალესა არგებს.

აყიროს ² ზეთი ასრე უნდა [შექნა] დაიჭირე ახალი აყირო, ქერქი შეფხიკე და დანაყე მისი წვენი, დაიჭირე და მეოთხედი რძე დაასხი და ამ წვენითა მოადუღე, მანამდი, რომე წვენიწა ვიდეს და რძე დარჩეს, მერმე აყიროს თესლი გაწმინდე ქერქისაგან მწვედ
20 დანაყე და ამ თბილსა წვენშიგან ჩაყარე და მერმე შეტყლიოჯე ხელითა ³ და ზეთი გამოვა.

ზ ე თ ი ბ ა ლ ა ს ი ნ ი ს ა. მხურვალი და ხმელია და სასასა გამოსწმენდს, ბალღამი რომ სასისაგან იყოს, და დაადნობს და გამოიღებს, სტომაქსა ძალს მისცემს, სტომაქშიგან რომე სიგრილე და ბალღამი შეყრილიყოს ყველას დაადნობს. რაშასა და ფილენდსა რომე შესცხო და შეზილო, ორსავ უშველის. თემოთა ტკივილი რომე ქარისაგან იყოს, მას უშველის, და სიგრილისაგან, და დედაკაცთან სწორს ძალს მისცემს და თუ ის არ იყოს, მისი სანაცლო ყუსტის ზეთი ქენით.

30 ზ ე თ ი ჯ ა ვ ზ ი ჰ ი ნ დ ი ს ა. მისი ზეთი ზროხის ერბოსა სჯობს, მხურვალი არის თუ დამველდეს წელთა ტკივილსა არგებს, ფსმასა ძალს მისცემს, მაგრამ სტომაქსა აწყენს, მისი ზეთი ასე, უნდა, დაიჭირო, დანაყო და წყალშიგან მოადუღო და ზეთი მოჰხადო ანუ დანაყო და აგრე გამოწურო, იგი სჯობს რომე წყალშიგან მოადუღოთ და აგრე მოჰხადოთ.

¹ სწერია „მღიერსა“.

² შეცდომით სწერია „ბიის“.

³ აქ კიდევ ჩამატებულია „წაუსვი ხელითა“.

ბ ო ლ ო კ ი ს ზ ე თ ი. მხურვალი და ხმელი არის მესამეს დარაჯაშიგა ყურის ტკივილსა და ქარს არგებს. მისი ზეთი ასრე უნდა, დაიჭირე ბოლოკის წვენი სამი წილი და ტკბილი ზეთი გაურივე და

მოადუღე, სანამდი წვენი წავიდეს და ზეთი დარჩეს. ხასიათი მისი ძველისა ჯავზისა ხასიათსა გავს.

ზ ე თ ი ბ ა ბ თ ი ს ა დ ა ბ ა ბ უ ნ ა ჯ ი ს ა. ორივე მხურვალი არის, მაგრამ ბაბთისა ზეთი ბაბუნაჯის ზეთსა სჯობს, უმხურვალესი არის. ყოველს სატკივარს დააწყნარებს. კაცი რომე მოდალვით იყოს, მას არგებს, ქარს უშველის, ძილს მოგურის უფრო. ბაბთისა ზეთი 10 შეკრულს მარღვებს გახსნის, ცხროს არგებს, რომე ტანზედ შეიცხოს.

ბაბთისა ზეთისა ასრე უნდა შექნა, აიღე მისი თესლი, ჩრდილშიგან გაახმე, ერთი წილი ამისი და რვა წილი ტკბილი ზეთი ჭიქაშიგა ჩაასხი და ოცსა დღესა მზეს ქვეშ დადგი და მაშინდა იხმარე.

ზეთი ბაბუნაჯისა, მისი ხასიათი, ვინცა იცხოს ერგების ძველსა ცხროსა და შეუღობს გარიულთა, და იხმარების გველისა სიმსივნისათვის. და ამისი და ბაბთის ზეთისა ხასიათი ერთია. და სიმსივნისათვის ტლეთა შინა იხმარების, ამისი ასრე უნდა შექნა, მოიღე, ოცი წილი ტკბილი ზეთი, უღობ, ვარდი და ბაბუნაჯი ექუს ექუსი წილი და ჩრდილშიგან გაახმე და ჭიქაშიგა ჩაყარე და ზედ ეს ზეთი 20 და[ა]სხი და ორმოცსა დღესა მზეს გაუდგი.

ზ ე თ ი ნ ი გ უ ზ ი ს ა. მხურვალი და ხმელი არის. თავსა და კისრის ტკივილსა მოუმატებს, პირსა გაუმწარებს, ზაფრას არევს და ენას დაამძიმებს და სტომაქსა და თირკმელს არგებს. თუ ბალღმისაგან გახსნით იყოს, სხვას წამალსა ესე სჯობს, და შეჰკრავს სტუმაქშიგა, სწორია და კარგად მოუხდების.

ზ ე თ ი ტ კ ბ ი ლ ი ს ნ უ შ ი ს ა, კარგი, რბილი და სწორი, ხველასა უშველის. ბუმტისა და გულის ტკივილს უშველის და შეკრვით იყოს გახსნის და სტომაქს კარგად მოუხდების. და თუ ნუშის გულისა არ იყოს ანუ წაბლისა და ანუ თხილის გულისა ერთად ზეთი 30 გამოჰხადოს, და მუცელს ის უწინ შეჰკრავს რომე გახსნით იყოს.

ზ ე თ ი ზ ე თ ი ს ხ ი ლ ი ს ა. თუ მწვანისა იყოს, გრილი და ხმელი არის და სტომაქს გაფხეკს და კაცი რომ გახსნით იყოს, მას არგებს. და თუ სრულად მწიფისა იყოს, ისი სჯობს ყოველსა.

ზ ე თ ი მ წ ა რ ი ს ნ უ შ ი ს ა. უმხურვალე არის ტკბილის ნუშის ზეთსა, სიმწართა მისითა და ფიცხლად გახსნის ნასკვსა ღვიძლისა და ტყირპისასა და დაადნობს შირიმსა თირკმელთა, ბუმტშიგა, ჩამოიღებს ფსელსა და წესსა დედაკაცისასა. და ერგების სნებასა გულისასა სრულსა და საფასა რომე სცხო ზედა.

425

ზ ე თ ი ს ე ლ ი ს ა. მხურვალი და რბილი და კაცისა სტომაქსა დაალბობს და კარგად მოუხდეს და ყოლინჯისათვისაც კარგი არის.

ზ ე თ ი ქ უ ნ ჯ ი თ ი ს ა. სწორია და სტომაქსისათვის კარგია, ნოშისა და მისი ხასიათი ერთია.

ზ ე თ ი ფ უ ს ტ ა ს ი. ზროხის ერბოსა და ქუნჯითის ზეთსა სჯობს, ღვიძლსა და თირკმელსა არგებს რომე შეკურით იყოს, მას არგებს და გახსნის, და სტომაქს კარგად მოუხდების.

ზ ე თ ი მ უ რ ტ ი ს ა. რომე უშველის თავის ტკივილსა, რომე სიმხურვალისაგან იყოს და თმა რომე სცვიოდეს მას უშველის და 10 თმას გაასუქებს და ძირი გაუძრიელოს. აიღე: მურტის ფურცელი, ნედლი ხუთი ლიტრა დანაყე და ღვინო დაასხი, ასრე რომე აღარ

ჩნდეს, ერთსა დღესა და ღამესა. მერმე აიღე ბერძული ზეთი ან ბირკის ზეთი სამი ლიტრა დაასხი, მერმე ნელთბილად ადულე მანამდი, რომე ღვინო დაილეოდეს და ზეთი დარჩეს, მერმე აიღე გაწურე და ჭურჭელში ჩაასხი, ესე არს მურტის ზეთი.

ზ ე თ ი ო შ ი ნ დ რ ი ს ა. რომელი არს ავსანთინისა რომე ასოები სტკიოდეს მას უშველის და ასოებს დაამაგრებს. აიღე: ბირკისა ზეთი ან ბერძული ზეთი ოთხი ლიტრა და ოშინასდრის ყვავილი ოცი დრამი, ერთმანერთშიგა გაურივე ჭიქაშიგა ჩადევ და ორმოცსა დღე-20 სა მზეში დადგი გაწურე და შეინახე, ეს არის ოშინდრისა ზეთი:

ზ ე თ ი მ ა ს ტ ა ქ ი ს ა. სისუსტისა და გულზედა რომე ქარი მოადგებოდეს მას უშველის, მოიღე: თორმეტი მიტყალი მასტაქი და ნახევარზედა დანაყე და ჭიქისა კულასა შიგა ჩაასხი და მოიღე ორმოცი ზეთის ხილის ზეთი ზედ დაასხი და პირს მაგრად დაუპყარ, ჩადევ ქოთანშიგა და ზედ წყალი დაასხი და ადულე სადამდი მასტაქი დადნებოდეს, მერმე გაწურე და შეინახე ეს არის მასტაქის ზეთი.

ზ ე თ ი ქ უ შ ტ ი ს ა, კ ო ს ტ ი ¹ ჰ ქ ვ ი ა ნ. რომე უშველის სტომაქსა სიგრილესა, რა ეს შესვა ღვიძლსაც უშველის და თმასა გაასქელებს და მოკვეთილსა ძარღუსაც უშველის, შემწნიან მითა, აიღე: 30 ქუშტი ათი დრამი, და სალიხა ექუსი დრამი მარმუზი ათი დრამი დანაყე მსხვილად, ჭურჭელშიგა ჩაყარე და ღვინო დაასხი, ასრე რომე აღარა ჩნდეს, აიღე ბირკის ზეთი ორი ლიტრა და ნელთბილად ადულე ვირემ ღვინო დაილიოს, მერმე აიღე და ხელითა კარგად გაურივე, გაწურე და ჭურჭელშიგ ჩაასხი, ეს არის ქუშტის ზეთი.

ზ ე თ ი ს ა დ ა ჯ ი ნ დ ი ს ა. რომე თმა გააშაოს და დაგრუზოს და მძოვარსა უშველოს, აიღე ინდოურისა სადაჯინდი ოცდათი დრამი, ლადანა, საკმელი და ზაფრანი ათათი დრამი, ამამა, მარიამ საკმელი

¹ ყუსტი (ლ. კ.)

და ქუშტი რომე კუსტი ჰქვიან, თვითოსაგან ოცდათი დრამი, ყველა ერთპირად ღვინოშიგა ჩაალბე, ერთს დღესა და ღამესა მერმე აიღე ბერძული ზეთი ორი ლიტრა ზედ დაასხი და ადულე, ვირემდი ღვინო დაილიოს და ზეთი დარჩეს, მერმე გაწურე და ჭურჭელში ჩაასხი და შეინახე, ეს არის სადაჯინდისა ზეთი.

ზ ე თ ი ნ ა რ გ ი ზ ი ს ა, აიღე ნარგიზი და ბირკის ზეთი ერთმანერთისა ოდენი და ერთმანერთშიგან გაურივე და შუშაშიგან ჩაყარე და მზეშიგა დადგი და ყოველთა დღეთა დაურევდი, ორმოცსა დღესა მერმე შეინახე, ეს არის ნარგისისა ზეთი.

10 ზ ე თ ი ც ე რ ე ც ო ს ა. ერგების ქართა მსხვილთა თუ ღმერთსა უნდეს, აიღე ზეთი ტკბილი ორი კისტი და ცერეცოსა თესლი გამხმარი, ლიტრის ნახევარი ჩაურთე მას თანა და მზეში დადგი ორმოცსა დღესა და იხმარე ნებითა ღთისათა.

ნე კარი ხორცთა. ხორცი ორი გვარია, ერთი. საჭმელი და-ერთი კაცს მოჰკლავს. ისი, რომე კაცს მოჰკლავს არ დაგვიწერია, იმისთვის რომე კაცს მოჰკლავს. ხორცი რომელიც საჭმელად მაგარი მისგან მწვედ სისხლი და ქიზეზი შეიქნების, მისთანა მაგარი ხორცი სიმრთელიანმან და მრავლისა მოქმედმან კაცმან უნდა ჭამოს,

რომე ოფლად გამოვიდეს. და კაცი რომე სიმრთელეზედა არ იდგეს 20 და არცა საქმესა იქმოდეს, და არცა იარებოდეს, მას ნიადაგ ხორცი ავად მოუხდების. თუ სჭამდეს ასრე უნდა მოხარშვა რომე დადნეს.

კ რ ა ვ ი ს ა ხ ო რ ც ი. მხურვალნი და ნედლია, გუნება მხურვალნი იყოს და ხმელი მას კარგად მოუხდების, თუ სტომაქშიგა ბალღამი იყოს. გულსა აუშლის და აწყენს ცხელსა ალაგსა რომ იყოს. კრავისა ხორცი ნედლი მისთვის არის, რომე ძუძუსა სწოვს. რა წოვნასა გაუშვებს, ნედლი აღარ იქნების.

თ ი კ ნ ი ს ხ ო რ ც ი. გრილია და ნედლი კრავის ხორცისაგან და გუნება მხურვალისა კაცისათვის კარგია, კარგსა სისხლსა ჩაუ- 30 ყენებს.

და ბუწუსა ხორცი ერთისა წლისა თოხლია, კარგი საჭმელი და კარგსა სისხლსა ჩაუყენებს კაცსა, ამისთვის არცა ნედლია და არცა ხმელი, სწორია და სევდასა უშველის, სტომაქსა ძალსა მისცემს, ტანსა გაუხურვებს, მამაცობასა მოუმატებს. და გუნება გრილმან კაცმან უნდა ჭამოს და შემოდგომისა პირსა სჯობს, თუ კაცი მოწიფული და მხურვალნი იყოს, მან ჭამოს კოწახურითა ან ძრმითა ან სუმაყითა და ტყემლითა, ან ისრიმითა ერთის წლის უნდა იყოს, თეთრსა, წითელი უმხურვალეა და წითელსა შავი უმხურვალეა.

427

თ ხ ი ს ხ ო რ ც ი. გრილსა თემსა გრილისა კაცისათვის ავია, მაგრა ცხელსა თემსა მხურვალისა კაცისათვის კარგია. თიკნის ხორცისაგან უფრო გრილი, ხმელი [და] სუბუქია, და სისხლს მოუმატებს ტანშიგან მართალი ესე მოგახსენოთ თხის ხორცი კარგი არ არის, მისი ხორცი აქიმთა არას ხორცში არ უხსენებია, ერთობ ავია. კაცსა რომე თავქედი სჭირდეს, თუ ამისი ღვიძლი ჭამოს რაც სენი სჭირდეს მოუმატებს. სტომაქზედა ხმელად ამყოფებს, ტანსა დაამჭლობს. თუ ჭამოს მუხუდოთა, სტაფილოთა, თალგამთა, ხახვითა და ზედა კარგა წითელი ღვინო სვას, მერმე შაქრითა შექნილი ალვა 10 ჭამოს.

ხ ო რ ც ი ზ რ ო ხ ი ს ა. ხორცი ხარისა გრილია და ხმელი და მძიმე არის, კაცის ტანშიგა სქელი და ავი სისხლი შექნას და ოთხის დღისა ცხრო შეექნას და ტყირპი წაჰკიდოს. თუ უწნობა იყოს და უნდოდეს ძმრით ჭამოს. და ვინც დიდისა საქმისა მქნელი იყოს მას უშველის. ფურისა ხორცი მხურვალნი და ნედლი და კარგსა ძალსა მისცემს და მამაცობასა. დეკულისა სჯობს და ცხურისა ხორცსა ახლოს ახლავს. წითლისა სჯობს. და ახლისა ხბოსა ხორცი კარგია და მარგებელი და ადვილად მოიდნობს სტომაქშიგან: მაშინ უფრო მარგე იქნების რომე არბენინონ და აგრე დაკლან, თუ მასვე 20 დღესა არ დაკლან მეორესა დღესა ბევრი წყალი ასვან და აგრე დაკლან. მისი ნახევარის წინათი სჯობს ძრმითა შექნილი ან მწვანელითა.

ხ ო რ ც ი ღ ო რ ი ს ა. გრილი არის და უფრო გოჭისა ღორის ხორცი ხმელი რომე იყოს, ხმელი და გრილი არის. ღორის ქონი, დანაყილსა ხელსა და ფერხსა არგებს, და რა ჭამონ ნიგუზის ზეთითა ჭამონ ღორის ხორცი.

ა ქ ლ ე მ ი ს ხ ო რ ც ი. მხურვალთა. კაცსა სისხლსა გაუხურვებს, და კაცსა რომე სიგრილისაგან გრძლად ავადყოფნა სჭირდეს და ზურ-
30 გი და მენჯი სტკიოდეს ეს ხორცი არგებს. და მისი საჭმელი ცერ-
ცვითა და ცერეცოთა იყოს ხარდლითა და ქაბრი რომ იყოს მითა
ჭამოს. და აქლემი ყმარწვილი და მთელი უნდა იყოს.

ც ხ ე ნ ი ს ხ ო რ ც ი. ხმელია და სისხლსა გაახურვებს, სევდას
მოუმატებს. ყმაწვილსა არ ეჭმების და სხვას ყოველსა ხორცსა უმ-
ძიმე არის.

ნ ა დ ი რ ი ს ხ ო რ ც ი. ჯერნისა რაც ნადირია ყველასა სჯობს,
უფრო მაშუნე და მსუბუქი არის ცხურისა და თხისა ხორცისაგან.
ესე უფრო ხმელია რომე ან ნუშის ზეთითა ან შაქრითა ჭამოს. თუ
კაცი გრილად იყოს ან ნიგუზის ზეთითა შეწვას, ან შემწურისა ხარ-

428

შოდ შექნილი სჯობს. მისი ხორცი ძმრითა არ იჭმების, მისთვის
რომე, ისიც ხმელია და ძმარიცა, სიხმესა მატებს. თუ კაცი ყოლინ-
ჯიანია არ ეჭმების.

ბ ო რ ც ი კ უ რ დ ლ ლ ი ს ა. მხურვალთა და სქელსა სისხლსა მო-
უმატებს და გაახურვებს. მისსა საჭმელშიცა ცერეცო და დარიჩინი
ჩააყაროს, ქარსა გასტეხს, და გრილად რომე იყოს, მას არგებს ზე-
თის ხილის ზეთითა და გოზრანდითა და ნიგუზის ზეთითა. თუ შემ-
წვარი ამით იყოს, მას არგებს. თუ კაცი მხურვალთა იყოს მას აწყენს.
თუ ძრმითა და ნიორითა ყალია შექნან კარგად მოუხდების. მისი
10 სისხლი ქესტრასა შესცხონ, უშველის.

ბ ო რ ც ი ი რ მ ი ს ა, მძიმე არის და სქელი და რასაცა იმისი
სატკივარი გამოჩნდეს ავი იყოს. ზაფხულის რომ მოკლან და წყალი
შორს იახლოს, მისი ხორცი არ იჭმების. თუ კაცმან დაიჭიროს და
შეინახოს და წყალი ასვას, რაც ამას წინათ კარგი ხორცი გვითქუ-
ამს, მისთანა იქნების, წყალი კარგი არის ესეცა.

ბ ო რ ც ი შ უ ლ ი ს ა და ირმისა ერთის ხასიათისა არის.

თ ხ ა ვ ე ლ უ რ ი, რომე ნეზვი იყოს მისი ხასიათი ირმის სია-
ხლესა არის.

ბ ო რ ც ი გ რ ძ ღ ა ბ ი ს ა. რომე გააღმო დანაყო და მისცე, ქა-
20 შოეთსა უშველის, გუელისა და მელის სნებასა უშველის, რომე არის
თმისა და წვერისა დაცვივნა, ხორცი შემწვარი რაგინდარა იყოს,
ყველა მარგე არის და კაცის ტანს გაახურვებს. ვინცა სტომაქზედა
ავად იყოს და კოლინჯი სჭირდეს მისთვის ზიანაზა.

ა წ ე თ ა ვ ფ ე ხ ი ს ა, თავისა ¹, და შიგანთა ქონისა და ტვინი-
სა ვთქუათ. თიკნისა და ჯერნის თავი კარგია შემწვარი. და შემწვ-
რის თავისა ყბისა და ყურისა ძირისა უფრო მსუბუქია მისთვის, რო-
მე მუდმად იძვრის. ტვინი ყველა გრილია და ნედლი. ავია სტომა-
ქისათვის გაასქელოს სტომაქი, საჭმელი არ მოანდომოს. მისი ნავა-
30 ვი ხმელი არის და გრილი და მისსა ხორცსა უმძიმეა და გვიანად
მოიდნობის. თვალი ჭამოს უწინ მოიდნობის და ხალხად გაიარს, ცო-
ტად მხურვალთა, ზიანია თუ ვინ შეჭამოს პილპილითა, მაგრა მძიმე
არის და გვიან მოიდნობის.

ყური გრილია და ხმელი და გვიანად მოიდნობის და ძმრითა

უნდა ჭამოს.

ენა სუბუქია, ადვილად მოიძნობის. ტვინი გრილია შემწვრისა. და ლაში, თავის ტყავი და ღრავა მძიმეა სამივე და კაცსა არ ეჭმე-

¹ სწერია „ტყავისა“ — შეცდომაა,

ბის. ყოლინჯსა შეაქს. თუ კაცმან თავი ჭამოს მშობარმან, თვარა ნუ სჭამს. და მეტად ზაფხულით არ ვარგა მისთვის, რომე კაცსა ნაფაზსა შეაქს. და თუ ეჭამოს კაცსა და ისი სენი შექნოდეს ყურძნის მარცვალი უგურკოდ ჩაიწოვოს და წყალსა ნუ სვამს და ნუ ღვინოსა სვამს.

ფერხები რაც ჭამოს, მისითა ჭამითა შრეშის მსგავსი სისხლი მოემატოს, ძალი ცოტა მისცეს. გატეხილსა ძვალსა დაამაგრებს. შიგ რომ მღიარად იყოს სისხლსა გაიყვანს, მას უშველის. თუ ბევრი ჭამოს, ყოლინჯსა შეაქს. თუ ძრმითა ჭამოს ყოლინჯი აღარა შეექნების

10 მისგან.

შ ი გ ა ნ თ ა ფაშვი და წელეები გვიან მოსადნობია და კაცის სტომაქშიგან დამწარდების და ძალსა ცოტას მისცემს. მისი ჭამა ძმრითა და სადაფითა, ნიახურითა და ზირითა და ანგიზონითა იყოს. და მისი ბევრისა ჭამა ბალღამსა მოუმატებს და სტომაქით გვიან გავა. და მას ზედან მაშუნესა გვარნშინსა უნდა ჭამა, რომე მუცელი დაალბოს.

ღ ვ ი ძ ლ ი კარგია, და მისგან ხილთი დაიზადების და მოემატების ტყირპშიგა და ავი არის სხვის სატკივრისა და თივნისა სჯობს.

შ ა ტ ი ს ა და ქათმისა და რაც ფრინველია მათი ღვიძლი ყველასას 20 სჯობს და კაცსა რომე მწოვედ ღვიძლი სტკიოდეს, მისი წამალი არის.

მ გ ლ ი ს ღვიძლი კარგი არის, ტყირბი ავი არის მისგან სევდა დაიზადების. თირკმელი გვიანად მოიძნობის და მუცელშიგან მწარე არის. და უწინ ფსელი თირკმელშიგა მოვა, მერმე ბუშტშიგა აგრე გაიარს, მისთვის კარგი არ არის.

გ უ ლ ი, მაგარი ხორცი არის, და კაცი გვიან მოიძნობს, ამას კარგი საჭმელი არა ჰქვიათ, ფილტვი ცოტას ძალს მისცემს და, გვიანად მოიძნობის.

ძ ვ ა ლ ე ბ ი ს ტვინი მსუყე არის და სტომაქი მოალბოს, და პური არა ჭამოს პილპილითა და ქონდრითა, და კარგად ერგების. იმა 30 კაცსა რომე გუნება ხმელი იყოს ერგების. ყელისა ხორცი კარგად ერგების, ფიცხლად მოიძნობს.

გ ვ ე რ დ ი მსუბუქია და ფიცხლად მოიძნობს მჭლე სჯობს საჭმელად მსუქანსა, და შინაური ხორცი სჯობს გარეულსა შინაური ნედლია და გარეული ხმელი.

ქ ო ნ ი ბატისა და შინაურის ქათმისა და აქლემისა მხურვალე არის. და მამლისა ხასიათი სწორია, მისი ქონი და თხისა მუცელსა შეჰკრავს და მუცელშიგა რომე მღიერი იყოს და ეწოდეს მას არგებს და ქონი ძროხისა ნედლია.

ფრინველთა. ქათამი სწორია და ძარღვისა და მაჯისათვის კარგია, და მისი ტვინი კაცისა ტვინსა ძალს მისცემს, ჭკუას მატებს. და ვარიის წვენი სნეულისათვის კარგია, სტომაქისა სიცხესა დაანედლებს. და ყვერული ქათამი საჭმელად კარგია, ადრე მოიდნობს, სისწორესა ზედა დაიჭირავს, რომე ნიორითა შეანელოს და უკეთესი ის არის რომე არა ეყვილოს და ვინცა მუდმად სჭამდეს ყოლინჯსა გამოაჩენს, მჟავითა შექნილი ყოლინჯსა აწყენს აგრევა დოთა და მისი ხარშო მუცელსა და სტომაქსა დაალობს, შეკრულსა ყოლინჯსა გახსნის, ტვინი კეფისა მარგე არის, ქათამი რომ გააპო და ცეცხლ-
10 ზედა დასდებდეს გველნაკბენსა უშველის. მისი ტვინიც კარგია და კაცსა თესლსა მატებს, ხმას უწმენდს, ბერისა ავია.

კ ვ ე რ ც ხ ი ქათმისა ყოვლის ფერ ფრინველისასა სჯობს, ბერის ქათმისა კვერციხი და თოხლო მხურვალია და ნედლი, ადრე მოიქარვებს და სისხლსა ჩაუყენებს ტანშიგა. ცილი გრილია და სქელი, ხველას უშველის და ხმას გაუკეთებს. შემწვარი სჯობს მოხარშულსა და გრგულად შემწვარი მძიმეა.

რ ო ს ც ა ფრინველი შამბშიგა და ნედლსა ალაგსა იყოს ავია, და ხმელისა და ქვიანისა კარგია.

ხ ო რ ც ი ხ ო ხ ბ ი ს ა და დურაჯისა, კაკბისა და გლონისა მსუ-
20 ბუქია სხვათა გლონი უმსუბუქესია. დურაჯისა ხარშო ვისაც ყოლინჯი სჭირს ჭამოს და ერთობ კარგად მოუხდების.

ი ხ ვ ი ს ა და ბ ა ტ ი ს ა ბალღმიანია და სტომაქშიგან დარჩების. და ჯ ა ლ ი ნ ო ზ იტყვის: ბატის ქონი დიად მოსახმარებელი არის ასოთა ტკივილისათვის, და წყლის ფრინველთა ხორცი ძნიელად მოსადნობელია. და მხარი მათი ცოტად უმსუბუქეა. და ბატის ხორცი კაცსა ფერსა დაუშვენებს და ხმას გასწმენდს და თვალთა სინათლეს მატებს, ქარს არგებს, მხურვალია და ნედლი და მოუდნობელი.

ფ ა რ შ ა ვ ა ნ გ ი ს ა ხ ო რ ც ი სრულად ზიანი არის, ს ა ვ ა თ ი ს ხორცი სრულად მძიმე არის და მოუდნობელი. თუ ჭამოს ყელი და
30 ჭილვი ჭამოს. წ ე რ ო ს ხორცი კარგი არის, მაგრა ძარღვიანი არის და მაგარი. ასრე უნდა მოხარშვა რომე, თავსა მკედი მოაბას და მანამდი ადულოს, რომე დაიქნიოს ხორცი ჩამოცვივდეს და ძარღვი ყველა გამოვიდეს, როგორცა ბატისა სწერია ისრე მოხარშონ ძრმითა, სადაფითა და ნიახურითა.

დ ი დ ი ტ რ ე დ ი ს ა ხორცი, რომე შინათ გაზრდილი იყოს და გარეულიცა ქედანი, გურიტი და გვიძინი და რაც ამათი გვართა გვანდეს, მხურვალი და ხმელია ყველა. მაგრა წელიდალმა გვიან გავა მისთუის წუნითა უნდა ჭამა.

და რაც **ხ უ ნ დ ი ს ა** გვითქვამს, ხუნდი ტრედისა სისხლსა გაახლებს და მხურვალსა კაცსა აწყენს და მისი ხარშო მუხუდოთა და ცერეცოთა შექნილი, სტომაქსა დაალობს. ყოლინჯი რომ სჭირდეს და ზურგი რომე სტკიოდეს მას არგებს და თესლსა მომატებს ხარშოთ შექნილი, და წვენი უფროსთა, ვირე ხორცი. თუ შემწვარი იყოს ტვინსა და თვალსა აწყენს. თუ სტომაქი მხურვალი იყოს შემწვარი ან ძრმითა და ან ისრითა და ან სუმაყითა ჭამოს.

ხ ო რ ც ი ჩ ი ტ ი ს ა შინაურისა და მინდურისა და კლდისა,

სამივე სწორია, მხურვალი და ხმელი, კაცისა ტანი გაახურვოს და
10 თესლი მატოს. ბარტყი და ბარტყის ტვინი უფრო მატებს თესლსა.
კაცი რომ გრილად იყოს ხარშოდ შექნილი მას არგებს და სტომაქსა
დაალბობს. და მისი ხორციცა ხმელია და სტომაქსა დაალბობს.

ხორცი რაგინდრა იყოს ბალიწი და გამხმარი, ის მხურვალი
და ხმელი არის, მისთვის რომე ბალიწი და ხმელია. გვიან შეერგოს
თუ გაათბონ მხურვალი იყოს და რაგინდრა ხორცი დაახალიწო და
ძმარშიგა ჩადვან და მერმე გაახმონ ის უკეთ მოიდნობის მარილითა
გამხმარი იყოს თუ უმარილოდ არის, ის ყოლინჯსა აწყენ [ს]. ამა
ხორცსა ვინც ბევრსა სჭამს სისხლი, სევდა შეექნების, მღიარი დღა ფხა-
ნაც შეექნების და თ ი ა გამოუჩნდების და რაც ამისთანა არის და
20 მსგავსი ამისი, ყუელა ამისთანა იქნების.

ხორცი ნადირისა იყოს, სევდასა გამოუჩენს, და როგორცა
ზროხის ხორცი იყოს გამხმარი ან მარილითა ან უმარილო, ვისცა
სისხა ზიყისა სუირდეს მას არგებს. და ხმელი ხორცი წყალშიგა
ჩადვას დღელამესა და მერმე მოხარშე ან ერბოთა ან ნუშის გულითა,
ან ახლითა ქონითა ან ასპანახითა, ან ჭაკუნტლისა ფურცლითა შექნან
ის წყალშიგა და აგრე ჭამოს კარგია.

ხასიათი თევზთა. ყოველი ფერი ახალი თევზი ნედლი და გრი-
ლია, და ბალღამი მატოს. მაგრა მხურვალსა, ხმელსა და ზაფრანსა
კაცსა კარგად მოუხდების და გრილსა და ბალღმიანსა კაცისათვის
30 ზიანია. მართებს რომე ზამთრისა და გრილის თემის კაცი ფრთხი-
ლად იყოს. და თევზი წურილი სჯობს სხვილსა მდინარისა დიდისა
და სათავეზე გრძელი იყოს. გვიშიანი. და შემწვარი სჯობს თევზი.
თუ გინდოდეს რომე შეკრას ძმრითა ჭამე.

და ჩვენი ბრძენთა აქიმთა გან არ გვას მია და-
წერილი, მაგრა ჩემითა უმეცრებითა ვიტყვი ამას, რომე სუბუქი
და კარგი ისია რომე წითელ წითელი ნიშანი ჰქონდეს. და აუზი
რომე ლამშიგა, ლერწამსა და შამბშიგა და ავსა წყალშიგა ტბაშიგა
იყოს არ ვარგა. და ლურჯი თევზი კარგია ძრმითა სჯობს ჭამოს, რომე

432

პიტნა და კულიავი ერიოს. და თევზი საჭმელად თბილი სჯობს ცივსა.

გველთევზა ავია, ზაფრასა აწყენს, კაცი რომ გუნება გრი-
ლი იყოს მისთვის კარგია შენელებული, მხურვალია და ხმელი და
ბალღამა მოჰკლავს. მლაშე და მირილიანი თევზი რაგინდრა ძველი
იყოს სჯობს.

ზღვის თევზი უფრო მძიმეა მდინარისა წყლისაგან და გრი-
ლია. იმა დღესა რომე წველა ჭამოს, არ მართებს რომე თევზი ჭა-
მოს. და თევზისა შიგანური უფრო მძიმე არის თევზისაგან და გულსა
აურევს, თუ ღონე იყოს, არ ვარგა მისი ჭამა.

10 **წხ. ხასიათი ყოვლისა ფერისა რძისა.** ყოველი რძე შეკრებით,
გრილია და ნედლი და კაცსა შეჰკრავს. მძიმე არის და სტომაქით
ძნელად გავა, და თუ ვინ მოიდნოს კარგად ერგების ტანსა.

კარაქი მხურვალე და ნედლი, გუნებას კარგად შეინახავს და
რბილად, და ზაფრას გაიღებს. დამწვარს უშველის, ტანის ქავილსა,
სევდასა და ხველას რომე სიმხურვალისა და ხველისაგან იყოს.

ანძლათი მხურვალია კაცსა გახსნის, და გაზაფხულისა უნდა

მიცემა, ზაფხულის არ ვარგა. რძეშიგა ადამის ტომისა სჯობს.

მერმე ვირისა, აქლემისა, თხისა მაწონი მსუბუქია და ზროხისა მძიმეა. და რა ზროხამან ხბო შობოს, ორმოცამდის არ მართებს, 20 არცა რძისა, არცა მაწონისა ჭამა. და რძე თეთრი სჯობს. არცა ერთობ სქელი იყოს არცა თხელი და გემო წმინდა იყოს. და ბალღ-მიანისა კაცისათვის ყოველი ფერი რძე ზიანია. და ვისაც ქვა ედვას და გული და ფირტი სტკიოდეს ნუ სჭამს.

მაწონი სჯობს რძესა და დო სჯობს მაწონსა.

და აქლემის რძე გასწმენდს ღვიძლსა და ზაბასტასა უშველის და ცოტასა ცხელებასა უშველის და სიხმელესა.

კამეჩისა რძესა ზროხისა სჯობს.

მხურვალისა კაცისა სტომაქზედა რძე ყველად შეიქნების და კაცსა რჯას დაუწყებს და არ მოუსვენებს სტომაქსა.

30 კაცმან ესეცა უნდა შეიტყოს, რომე ყოვლისა შხამისათვის რძე კარგია და რაც წამალი ძალე იყოს და აწყენდეს, მისი წამალი რძე იყოს.

თუ კაცმან რძე ჭამოს და იმაზედ სხვა აღარა ჭამოს რა და არცა ღვინო სვას, სადამდი ისი არ დადნეს და არ გავიდეს, თუ რძე ჭამოს და ზედ საჭმელი ჭამოს ან ღვინო სვას, ისი სამივე ერთად შეიყრების და რძე იმა საჭმელსა და ღვინოსა ააყროლებს.

თუ ჭამოს კაცმან დილეულად, მოიდნობს რომე სხვა საჭმელი ჭიქასა შიგან გაურიოს, რაჟამ რძე ჭამოს მოისვენოს ნურასა იქს საქ-

433

მესა, და რაჟამს რძე ჭამოს მერმე სხვა საჭმელი რაც ფერად გარდაიქცევის და მერმე თუ ჭამოს ან შაქრითა, ან თაფლითა, ან მარილითა რომე ყველად არ გარდიქცეს და მერმე უკანის ღვინო იღარღაროს, ან სუმაყითა ან თაფლითა რომე ავი რაც იყოს პირიდადმა გამოვიდეს და მჟავე. ვისცა ღვიძლი და სტომაქი ცხლად ჰქონდეს ან ჭამოს სადაფითა და ნიახურითა, ან პიტნითა, ან თურინჯის ფურცლითა ჭამოს. კაცმან ახალი ყველი ჭამოს გვიან მოიდნობს და თუ ჩაღბა მოიდნოს გაასუქებს.

და კაცი რომ გუნება მხურვალი იყოს და ყოლინჯი სჭირდეს, 10 მისი ზიანია. თუ ამა კაცმან თაფლითა ჭამოს გვიან მოიდნობს და ყოლინჯი დააკლოს ყოველი. ხმელი მისა სატკივარსა არა წამალი არ მოეკიდების და საჭმელად მაშუნე არ არის და არ უნდა რომე ჭამოს, და თუ მოუნდეს ცოტა საჭმელს უკანის ჭამოს, თვარა არს ფერად მაშუნე არ არის და სტომაქს აწყენს, და სატკივარსა მოუმატებს და ყოლინჯსა გამოაჩენს და ქვასაცა. ერბო ზროხის რაც სიმსივნე არის, მას აადულებს და კიდევ დააღობს და გულისა სატკივარსა არგებს და თირკმელსა გაახურებს, და ყოვლისა შხამის წამალი არის და ცოტად სტომაქს აწყენს. ახალი ერბო კაცისა გულსა და სტომაქსა მოაღობს და გულისა სატკივარსა არგებს. და თუ მისგან შაფი შე- 20 კაზმონ მძიმე, ისი ყინულითა დაზილონ რომე გაცივდეს. და დედაკაცსა რომე მუცელშიგა და წელშიგა სიმსივნე სჭირდეს, შაფი დასდვას გამოიღებს.

თუ ამა ერბოთა ოყნა ქნან კარშიგ არგებს. ერბო გველცემულსა სცხო, არგებს.

ნწ კარი ყოვლისა ფერისა თესლებისა. პირველად ხვარბალი ვახსენოთ, რომე უმაღლე არის და მეფეა ყოვლისა თესლისა. და მისი გუნება მხურვალა და რბილი პირველსა დარაჯაშიგა. და მისი სიხმე და სინედლე სწორია. ამისი მოწმე და ნიშანი ისი არის, რომე, მისსა სილბოსა, დანაყო და გასცრა, მოზილო და საფუარი შექნა მისი, 30 მჯდომსა ზედა დასდვა, პირს გამოალეზინებს და სიმსივნეს დასვამს. და თუ პური გამოაცხო სხვა და სხვა ხასიათი აქვს: თხელისა საცრითა გაცრილი პური უფრო მხურვალა და ფიცხლავ გაიარს სტომაქით და გუნებას რბილად შეინახავს. და მტკიცისა საცრისა პური უფრო მსუბუქი არის და კაცის ტანს კარგსა ძალს მისცემს. და პურსა საფუარი ბევრი უნდა და შიგან და ბორა, მარილი უნდა გაურიო. კარგი იქნების. მწოვედ ხმელი ფქვილი ავია მქავანსა და მღიერსა გამოასხამს. თუ მუდამ ხვარბალსა სვამს, ჭამოს ¹. უკეთესი ის არის,

¹ აქ უადგილოდ სწერია: „შეაქს“.

434

რომე კორკოტად ქნა და ერბოთა, პილპილითა და თაფლითა ჭამონ, რძითა, მხურვალა და კარგია. ნ ი შ ა ს ტ ა გ ი ხვარბლისა რომე შექნან ხმელია და ნედლი, ძუმუს ტკივილისათვის, ხველასა და ფირტვისათვის. ძუმუს ტკივილისათვის იქნების ბალღმისა, და ქარისაგან, ტყავსა და ხორცს შუა არის ისი და ზედა დასდვა მას უშველის.

ხმადს ქარი აქუს, და რასაცა ყოლინჯი სჭირს და ბუმტშიგა ქვა უც ამას არ ეჭმების ზიანი არის. თუ კაცმან ჭამოს, მსუქნითა ჭამოს ერბოთა და ზეთითა, რომე მისი ზიანი არ გამოჩნდეს.

კ ა კ ლ ა დ გამომცხვრისა პურისა ნიადაგ ჭამა სატკივარსა გა- 10 მოაჩენს. თუ ჭამოს, მარილითა, პილპილითა და ქონდრითა ჭამოს, რომე მისი ზიანთ გააცუდოს. კეცსა შიგან გამამცხვარი სტომაქიდაღმა გვიან გავა და ტანზედ ძალი არ მიეცემის, ქარი აქუს. ისი სჯობს რომე ცოტა ბორა გაურიოს და ზედან ზირისა მაჯუნი ჭამოს და ზედ ძველი ღვინო სვას, რომე ისი ქარი გატეხოს. კ უ ტ ი პური, რომე თორნეშიგა ჩავარდეს და გამოცხვეს, ნაცრის ძალი შიგ დარჩების და გული უმი იქნების, თუ ჭამოს კაცმა იმავე ხმადისა წესითა ჭამოს.

ქ ა ტ ო ხვარბლისა მხურვალა, თუ წყალშიგა დაალბო და გამოწურო შეასვა უშველის.

20 თ უ პური გამოაცხონ ხვარბლისა, უნდა, რომე საფუერითა იყოს კარგა გაფუებული და მარილითა შეზილო, თორნეშიგა გამოაცხო. და თორნისა და საფუერისა სჯობს ხმადსა, გომიჯსა თუ ნუშის ზეთითა გაურიონ, თუ ორივე ზეთი ერთმანერთშიგა გაურიო სჯობს თუ კაცი ცივის გუნებისა იყოს და სტომაქიცა გრილი იყოს თაფლითა ჭამოს და ნუშის ზეთითა. თუ კაცი ზაფრიანი იყოს და რბილისა გუნებისა ისრიმითა ჭამოს, ანუ ბროწეულისა წყლითა, ანუ ძრმითა. და გომიჯსა ნურცა ერბოთა, ნურცა კარაქითა ნუ სჭამს, ავი და მაწყინარია, როგორაცა ფუშრუკი მძიმე არის. რაცა პური, ხმადი არის და გომიჯი სტომაქზედა მძიმე არის, და ძნელად მოი- 30 დნობს და პურისა ფუშრუკი სჯობს.

ხ ა ლ ი იფქლისა არის მხურვალა და მბერავი. ქ ე რ ი გრილი

და ხმელი არის პირველსა დარაჯაშიგა. თუ დანაყო ქერქი შეჰხადო და მოხარშო წყლითა, შეიქნების გრილი და ნედლი და მაშუნე სნეულთათვის. მისი პური უფრო სუსტია იფქლისაგან და ხორცთა არას მატებს, მხურვალსა სენსა გასწმენდს. ქერის წყალი სჯობს ხვარბლისასა.

თეთრის ქერისა კორკოტი, რომე არც რეული იყოს და არცა ახალი აიღე: თხუთმეტი წონა წყალი და ერთი ქერი და მანამდი

435

ადულე, რომე თხუთმეტის წონისაგან ერთი დარჩეს თუ კაცისა გუნება ნედლი იყოს და ბალღმიანი მას აჰამე და კარგად მოუხდების, ასრე უბრძანებია დიდსა ბრძენსა ბ ა გ რ ა ტ აქიმსა, ვითა ქერის წყალმან წყურვილი დააწყნაროს და ცხელება გაამსუბუქოს და გაწმინდოს და ფიცხლად გაიაროს, კარგია და მარგებელი. სნეულთათვის და მრთელთათვინაც, ეს ყველა ხასიათი აქვს ქერის წყალსა ¹.

ქ ე რ ი ს კ უ რ ი ვერცა ძალსა მისცემს, ვერცა გაასუქებს კაცსა.

ხ ა ლ ი ქ ე რ ი ს ა გრილი და ხმელია, და მსუქნითა უნდა ჭამოს, რძითა შექნილი სჯობს, მსუბუქია და ადრე მოიდნობს.

10 ბ რ ი ნ ჯ ი ს კ უ რ ი გვიან გავა სტომაქით, მსუქნით უნდა ჭამა, მჟავით არ ვარგა ჭამა. ბ რ ი ნ ჯ ი ჯ ა ლ ი ნ ო ზ ი ს აქიმისაგან საცილობელი შეიქნა, ზოგთა თქვეს გრილია, და ზოგთა თქვეს მხურვალთა და ხმელია, და უფრო მეცნიერთა ესე თქვეს სწორითა სიმხურვალთა და სიგრილითა და რბილი, საჭმელად კარგი და სტომაქს კარგად მოუხდების. და სხვათა მარცვალთაგან ეს უფრო ძალიანია, სტომაქით გვიან გავა, სტომაქსა გაახმობს. წყლითა და ახლითა რძითა და ნუშის გულითა უნდა შექნა და ანუ ნუშითა და შირბახტითა ზეთითა, ანუ მსუქნითა ხორცითა, კარგი იქნების და მუცელსა გაარბილებს. თუ ერთსა ღამესა რძეშიგა დაალობს და აგრე შექნას.

20 უფრო რბილია მისი წყალი სტომაქსა დაამაგრებს, მუცელსა შეჰკრავს.

ფ ე ტ ვ ი ს ა და ა ს ლ ი ს ა გუნება ერთი არის, გრილია პირველთ დარაჯაშიგა და ხმელი მესამესა დარაჯასა. გვიან დადნების-სტომაქშიგა და კაცის მუცელსა შეჰკრავს, ფსელსა მოუმატებს და გუნებასა შეკრვით შეინახავს. თუ რძითა ან ნუშის ზეთითა შექნან, ისი სჯობს და გუნებას არ შეჰკრავს. მისი პური ცოტად ერგოს, მუცელი შეჰკრას და სტომაქით გვიან გავიდეს.

მ უ ხ უ დ ო მხურვალი და რბილი პირველსა დარაჯაშიგან, ბოდლოსა შერეული, მლაშითა და ტკბილითა, გუნებასა დაალობს, კაცისა ტანი დაძრას და მამაცობასა უმატებს, და ფერი გაუკეთოს.

30 და დედაკაცა რძე და სისხლი მოუმატოს. შავის მუხუდოს წყალი ქავილსა უშველის. თუ ნუშის ზეთითა, ან ბოლოკითა, ან წყლის ჭაკუნტლის თესლითა მოხარშო და აჰამო ისი სჯობს. თუ ტანშიგა ანუ თავშიგა ქავილი იყოს მას უშველის.

თეთრსა მუხუდოსა წითელი სჯობს, მხურვალია და წითელსა შავი. და რომე დასდვა მუხუდო, ფირტუსა უკეთ ერგების სტომაქისაგან. და მუხუდო სჯობს მისსა წყალშიგა, დაალებე და მისსავე

¹ აქ უადგილოთ ჩასმულია „გრილი უნდა“.

წვენშიგა მოხარშე და წვენი შეასვი, და ცერცუსა ნუ სჭამ, და რაც ქავილი იყოს ყველას უშველის ღთითა.

ბ ა კ ლ ა ნედლი და გრილია და რბილი, და ცოტა ქარი აქუს. ხმელი და გრილი სტომაქით გვიან გავა, და თუ ქონდრიტა ჭამოს მისსა ქარსა გასტეხს და თუ დაალობოს და მერმე ან ბერძულითა ზეთითა და ან ნუმის ზეთითა მოხალო ზედ პილპილი და კულიავი მოაყარო და ჭამო, კარგია და გაუწმენდს. მისი წყალი დაიჭირო ქერის წყლისა ხასიათსა იქს. რაც მხურვალი სენია ყუელას ერგების და სიზმარსა მრავალფერსა აუშლის, და ახალი ბაკლა მოხარშოს, ქარი 10 უფრო ცოტა აქუს. და უკეთესი ახალი დაღერდილია ძრმითა შექნილი, ერბოთა ან ფეტვის ზეთითა, ან ქონდრიტა, ან ზირითა სჭამოს. და თუ ახალი და უმი სჭამოს, ძრმითა პირი გამოირეცხოს და იმისი ზიანი მან წაიღოს.

ო ს კ ი სწორია და პირი სიგრილისაკენ აქუს, მისგან სევდისა სენი ¹ გამოჩნდების, ფსელი შეკრას, რომე სხვადასხვა ფერი ² ჰქონდეს. და დედაკაცის შარდსა შეჰკრავს. და სტომაქზედა ავია და თვალსა დაუბნელებს კაცისა ძალსა დააზიანებს. და თუ ქერქ გამძურალი მოხარშო და უწუნოდ ჭამოს, მუცელს შეჰკრავს. თუ ქერქითა მოხარშო და შეასვა მუცელს დაალობოს. თუ ქერქი გაჰხადო და მო- 20 ხარშო და სხვა წყალი გამოუცვალო შეჰკრავს, მუცელსა გააძლიერებს, სტომაქსა. ქერქ შეხდილი გრილი არის და სქელი მისთვის აწყენს ფსელსა.

ლ ო ბ ი ო რომე აცამემცა ჰქვიან, მხურვალეა მესამესა დარა-ჯაშიგა და ხმელია პირველსა დარაჯაშიგა და საჭმელად ტანსა კარგად არგებს და რა მოხარშო და მისი წყალი თაფლითა შესვა ნაწლევშიგა თუ მღიერი იყოს და ან სხვა გონჯი სენი, მას უშველის და თუ უზმოსა ჭამოს თაფლითა ანუ ლეღვითა ანუ ხურმითა, სქელი ბალღამი გამოწმინდოს ტანისაგან თუ ძრმითა ჭამოს უზმომან ჭიას მოჰკლავს მუცელშიგა მაგრა თავს ატკივნებს, ოფლისა და ფსლისა 30 სულსა წაახდენს და ხელი კარგად გარეცხის.

ქ უ ნ ჯ ი თ ი, შ უ შ მ ა ც ა ამასა ჰგავს, რბილი, მეორეს დარა-ჯაშიგა მხურვალია, პირველსა დარაჯაშიგა ნედლია. ბოლოს გვიან მოიდნობს დასწურავს, დასწმენდს, სტომაქსა აწყენს და პირიდაღმა ავს სულს ამოუშვებს. ტანსა ძალს მისცემს და მოხალული სჯობს, თუ თაფლითა მისცე მისი მაწყინარობა გაუშვას და მისითა წუნითა

¹ სწერია „სისხლი“.

² სწერია „ფსელი“.

თმა წვერი დაიბანოს და აშვენებს, გაუკეთებს და დაალობოს და გაზდის და თავისა ქერტლსაცა გასწმენდს.

ს ე ლ ი ხმელია პირველსა დარაჯაშიგა, სიხმესა და სინედლეა-შუა სწორია გვიან მოიდნობს სტომაქშიგა, ზიანია. სტომაქსა და შიგანსა და ბუმტსა ძალას მისცემს, წელშიგა ხანს დაჰყოფს, მერმე ბუმტშიგა, სარცხვენელისა თავსა, ბუმტშიგა გავა და ფსმაშიგა სარცხვენელის თავი ეწოდეს. მას არგებს გრილსა რომე სჭამდეს მას აწყენს და თესლსა მატებს.

მისი ხ ა ლ ი თაფლითა ჭამოს სიგრილის ხველას უშველის. თუ 10 მისსა ზეთშიგა ცვილი გაურიო და მით ყელი და მკერდი დაიზილოს, სიგრილისა ხველას უშველის.

შ ა ნ დ ა ჯ ი ¹ კანაფისა თესლი არის, მხურვალია, მესამესა და-
რაჯასა ხმელია. ბოლოს თუ კაცმან ბევრი ჭამოს თავს ატკივნებს
და გვიან წავა სტომაქით, ავია სტომაქისათვის. და მისი ზეთი სიმ-
ხურვალისათვის ყურის ტკივილისათვის კარგა უშველის, რომ ჩაწვე-
თო. მოხალული უფრო არ აწყენს სტომაქსა და მისისა ფურცლითა
წუნითა თავი დაიბანოს, თავის ტკივილს უშველის.

ლობიო მხურვალი და ნედლი, ქარიანი და სქელსა სისხლსა
მოუმატებს, გვიან დადნების და სტომაქსა აწყენს. ფსელშიგაცა ზიანი-
20 არის. თუ კაცი სჭამს, თავსა დაუძიმებს და სიზმარსა ავსა აჩვენებს,
და მუხუდოსა ახლოს ახლავს ხასიათითა.

ლ ო ბ ი ო წითელი მხურვალია და შარდსა ფიცხლავ გაიყვანს,
იმა სხვისა ლობიოსაგან, ისი სადაფითა და ძრმით უნდა შექნა, და
ხარდლითა უნდა ჭამა. ლობიო ნედლია და ისი ქერქ გამძურალი
სეჭამადად, ერბოთა ძრმითა და სადაფითა და ხარდლითა შექნან.

ერთი სხვა არის ლობიოსა გავს, ლობიო არ არის, მას მ ა შ ი
ჰქვიან გრილი, ხმელი და მისი ბაკლის ხასიათი ერთი არის და მისი
ძალი უფრო ცოტა არის და ბაკლისაგან ქარიცა უფრო აქუს, და
თუ კაცისა სტომაქი რბილი იყოს ზირითა და ქაუთა ჭამოს. კაცი
30 თუ დასიცხული იყოს ნუშის გულითა და ახლისა ქინძითა ჭამოს. და
თუ ქერქი გააძრო, მისი ქარი უფრო ცოტა იყოს და მოხალული თუ
დადერღონ და შექნან მუცელსა შეჰკრავს.

ნწ. ხასიათი ბოსტნეულისა. ქ ა ს ნ ი ბოსტნისა იყოს თუ მინ-
დორული, ორივე გრილია და ნედლი და ბოსტნისა უფრო გრილი
და ნედლია და ნედლი მინდორულისაგან. და რაც მწარე არის იგი
გამხსნელი არის, ზაფხულის უფრო მწარე არის და ცოტა სიმხურ-

¹ შადნაჯი.

438

ვალე აქუს, არა ასთონიერთი, რომე წყენა შეეძლოს. გარეულისა ქას-
ნისა რძე თვალისა სინათლესა არგებს, სიმხურვალისაგან გულის
ძგერას უშველის, სტომაქისა და ღვიძლის ცხელებას არგებს, და
სტომაქისათვის მინდორული ქასნი უფრო მარგე არის.

ნ ი ა ხ უ რ ი რომე სპარსულად ქ რ ი ე ვ ს ი ჰქვიან ორი რიგი
არის ¹ ბოსტნისაცა არის და მინდორულიცა, ს მ უ რ ს ს ა უზახიან,
ა ს ლ ი ო ნ ს ა უზახიან, და რაცა ქვაზედა მოვა ქ ა რ ი ე ა ლ მ ა ჰქვიან
და ჯ ა რ ჯ ი რ ი და ა ლ მ ა ს ა ც ა უზახიან. უკეთესი ბოსტნისა არის,
მისი სიკეთე ეს არის, რომე გული ცარიელი იყოს, და მისი ფერი
10 მოთეთროდ დაუცემდეს. და უფრო რ უ მ უ ლ ი სჯობს, მხურვალია
პირ-

ველი დარაჯაშიგან და ხმელია მეორესა დარაჯაშიგა. ქარსა გასტებს,
სუდასა ² გახსნის, სისხლსა არგებს, სატკივარსა გამოსწმენდს, თირ-
კმელთა და ნისანსა გასწმენდს, უფრო მისი თესლი ბალდამსა იარა-
ყნისასა, ხველასა, ვაჯალამფასსა, და პირი რომე ჰქაოდეს გაუმრთე-
ლებს. თესლსა მატებს, ხელფეხი რომ დახეთქოდეს დააღბობს, არ-

გებს. მისი წვენი მოწამლულსა რწყევითა ამოაღებინებს. მაგრა ორ-სულსა დედაკაცსა არ ეჭმების, ამაღ რომე უკანასა კარსა ძალას მისცემს, ამისთვის ნათქვამი არის. ძუძუს აწოებდეს არ ეჭმების, ამაღ რომე თესლსა უმატებს და რძესა აკლებს.

20 და თუ ბევრი ჭამოს დედაკაცსა ავად მოუხდების და იტყვიან ამას, ვითა მისი ძირი ყელსა ჩამოიკიდოს, მისსა წყენასა არგებს და უშველის.

თუ კაცსა ნიახური ეჭამოს და მორიელმა უკბინოს, გაუძნელ-დების, ამას რომე გზასა გახსნის მოწამლულისა წამალსა ტანშიგა დაჰფანტავს. რასაცა დროსა მორიელი მრავლად იყოს ნიახურსა ერი-დებოდი.

მოსე იტყვის: ვითა, თუ მასი თესლი შტოსა უმსხო უფრო იყოს და მისი ძირი შტოსა უსხო იყოს სოდასა მოჰგურის. ქურთა ჭამოს უფრო წყენა არ შეუძლია. ფარვარდა სჯობს რომე ქნან, 30 ამაღ რომე რასაცა ნედლსა ფარვარდებსა მისცემ, სიგრილესა და სინედლესა მატებს.

თესლი ნიახურისა მხურვალი და ხმელია მეორესა და-რაჯაშიგა, დედაკაცისა წესსა და კაცისა თესლსა უმატებს, ღვიძლის ტკივილსა და თირკმელშიგა რაც სენი იყოს მას დააწყნარებს, სლო-კინს დააწყნარებს.

რაზიანას სპარსნი ანდანასა უზახიან; კამასა ჰქვიან, უკე-თესი ახალი არის და ბოსტნისა სჯობს. მისი თესლი მწვანე და მძიმე

¹ ეს ორი სიტყვა განმეორებულია.

² სწერია „სადასა“.

არის. უკეთესი მინდორულისა ხმელი არის და მხურვალი მესამე და-რაჯაშიგა, ხმელი არის პირველსა დარაჯაშიგა. ღვიძლის შეკრულო-ბასა გახსნის, სისხლსა კარგად მოუხდების, მისი წვენი შეასვი ქარსა გასტეხს. ქალიასა მისთა სიგრილისაგან იყოს კარგად მოუხდების, ფაშუშიგა რომე ქვა ედვას დაამსხვერიოს. ბალდმისა ცხროსა უშვე-ლის უფრო მისი თესლი. მისი წვენი თვალშიგან გამოივლონ, თვა-ლის სინათლეს მატებს, ძუძუშიგა რძეს მატებს.

თესლი კამისა უკეთესი ის არის, რომე ფერად მწვანე იყოს, მძიმე ახალი და თავრეზული.

10 ქარსა და განდანას, პრასას არის, შამური, ნიაფთაყი და მინდორისა ნაშალი მწოვე არის, ბოსტნეული მხურვალე და ხმელი არის, მესამესა დარაჯაშიგა მინდორულის უმხურვალესია და უფრო მაწყინარია, შამური ცოტად მხურვალი და ხმელი. მისი წვენი ძრმი-თა, ჭორფლსა შესცხოს უშველის. შექმა და შეცხება ბუასირსა არგებს, ფსმასა ძალსა მისცემს მისი სინედლე მოხარშვისაგან შეიქნების. ირმისაყუსა და მისსა შეკრვასა უშველის თუ კაცი მას ქვეშ შეუჯ-დეს. მისი ნახარში ხარტყმითა და ნუშის ზეთითა შექნან ქარისა, ყოლინჯისა არგებს და სტომაქსა დაუღობს, და მისი წვენი სისხლსა დააწყნარებს.

20 თესლი ქურათისა სპარსნი განდანას უძახიან, მისი უკეთესი არის რომე ახალი იყოს, მხურვალი და ხმელი არის. ორი დრამი

ქურათისა თესლი და ორი დრამი მურდისა თესლი შიგ გაურიონ დანაყო და აჭამონ, ცხვირსა და მუცელის სისხლსა უშველის და თირკმელთა ქვასა უშველის. თუ ის არ იყოს, რენისა თესლი ქნან, პრასისა ძირი და ფურცელი თუ ჭამოს და ან თუ დანაყოს და ზედა დაიდვას ბუასირისათვის [კარგი არის].

ხ ა ხ ვ ი მხურვალი და ნედლია მეოთხესა დარაჯაშიგა მძიმე არის, კაცსა თესლსა მატებს და პურსა კარგად აჭმევს და ღვინოს კარგად ასმევს. თუ დანაყო და წყალი გამოსწურო და თაფლი გაუ-
30 რიო თვალის სინათლეს მატებს და რომელიც უფრო გრძელია ისი უმწოვე არის და გულზედა დააწევის.

მოხარშული და შემწვარი კარგია ძარღუსა და მუცელს დააღ-
ბობს. მისი წვენი კარგია, ფსლისა შეკრულობასა და დედაკაცისა წესსა გახსნის, თუ დანაყო და დასდვა სრსვილსა და ჭორფლსა უშვე-
ლის. და სადაფითა და მარილითა ცოფიანის ძაღლის ნაკბენსა უშველის და მელისა და გველის სენებსა უშველის და ქარი აქუს. და მისი უმისა ბევრისა ჭამა კაცისა ჭკუისათვის ავი არის, და თავსა

440

ატკივნებს და თვალთა დაუბნელებს მოხარშული და შემწვარი ნუშის ზეთითა კარგი არის.

ნ ი ო რ ი უკეთესი ის არის რომე ახალი იყოს და მწოვე მხურ-
ვალი და ხმელი არის, მესამესა დარაჯაშიგა, მისი ხასიათი ეს არის, ტანსა გაუხურვებს დი კაცსა წამოაჭეხებს, სტომაქს უკუჰყრის ქარს, გასტებს ყოლინჯსა არგებს. სტომაქსა გაუხურვებს და ავსა წყალსა რომე ეწყინოს გარდაუდებს. გველისა, მორიელისა და რაც ცო-
ფიანისა ნაკბენი იყოს მას უშველის. მუცელშიგა რომე ჭია იყოს, მას მოჰკლავს. წყლისა სმაშიგა რომე ჭია ჩაჰყვეს მას გამოიღებს,
10 კბილისა ტკივილსა არგებს, ჭიისა შეჭმულსა, თაფლით შეზილო და დასდვა. თუ დანაყო და შეზილო ძრმითა დასდვა, ასოსა რომელი შეკრებულნი იყოს სქელი ბალდამი გამოიღებს და სიგრილისაგან უსივდეს დაადნობს. და ერგების მელის სნებასა, რომე არის თმისა დაცვივნა, შეზილო ძმარსა და მარილსა თანა დასცხო. და თუ დანაყო და შეასვა სიქანგუბინითა, ერგების ტყირჰსა და სხვილი დასდვა!

და ნიორი ვ ე ლ უ რ ი უმლიერესია შინაურისა და ცხვირშიგა რომ გაჭედით იყოს, ავად მოუხდების, თავსა ატკივნებს, თვალთა აწყენს და დაუბნელებს. თუ მისი მოღობა უნდოდეს ერბოთა და
20 მსუქანითა ხორცითა ჭამოს, თუ ეს არ იყოს მისად სანაცლოდ ასყილი ქნან.

გ ა ზ რ ა რომელი არს სტაფილო. უკეთესი ის არის რომე სრულად მწიფე იყოს და წითელი და ნაზამთრი იყოს, და მას მისი თესლი სჯობს.

მინდორულისა სტაფილოსა დ უ კ ო ჰქვიან და შიყაყულსაცა უმახიან, მხურვალი მეორეს დარაჯასა, ნედლია პირველსა დარაჯასა, ხველას დააღბობს, კაცსა თესლსა უმატებს, სტომაქს დააღბობს და სტომაქით გვიან გავა. მას კარგად მოხარშვა უნდა და მსუქნითა უნდა ჭამა, მარილითა და ხარდლითა უნდა ჭამა. მასუკანით მხურ-
30 ვალი საჭმელი უნდა ჭამოს, ცოტა სიმწოვე აქუს, თესლს მოუმატებს

და ტანსა ცოტასა მატებს, დედაკაცს ფსელს მატებს.

ქინძი გრილი და ხმელია მესამესა დარაჯაშიგა ნაზუქია, კარგი და სისხლსა დასწმენდს. და ქინძისა წყალი რძითა, რომე თვალი ეწოდეს და სტკიოდეს ჩაუშვან დაუამებს, რომე ძარღვებშია ცხლად იყოს, მას ერგების და თავსა და ტანშიგა ცხლად იყოს და მძიმედ მას გამოიღებს. და ბევრისა ჭამა ჭკუას აკლებს და პირშიგა თურქული ესხას, მას უშველის და თუ დანაყო და პურშიგა

¹ აქ ჩართულია უადგილოთ „გალიანოზ თერია ქალაქთა“.

გაურიო და ხალშიგა და დამწვარსა დაადვა, და მატლსა უშველის. და ბოვასირი პირზედა ან სხვაგან, მისი თესლი ღვინითა და თაფლითა მოადულო და შეასვა. და რაც ფერი ჭირია ყველას გამოიღებს და გასწმენდს. მაგრა შხამი აქუს, მისი წვენი რომე ბევრი შესვას მოჰკლავს. თუ აწყინოს მისი ნიშანი ეს არის, ენა ჩაუვარდეს და თავს ტარაბუა დაესხას, ამასავე ხავარტისა და მრავალძარღვას გამოწურვილი იქს. ამისი წამალი: თაფლის წყალშიგა მარილი, პილპილი, კვერცხის გული გაურივე შეასვი და მრავალჯერ პირს წააგდებინოს. მას უკანით მისი საჭმელი ხარშო იყოს, შიგ ნიგუზის ზეთი და დარი-
10 ჩინი გაურივე.

მდოგვი, თარაცა ამასა ჰქვიან და ქოქიცა, მხურვალი და ხმელი და საჭამადსა მოაქარვებს და მოანდომებს. დანაყო და დასდვა სიმსიენესა დააცხრობს. ფერად ფერადი წყალი ესვას და ეწყინოს, მას უშველის, ღვინო ესვას და სული უდიოდეს ორიოდენ მარცვალი. შეჭამოს აღარ აედიწების და კაცსა თესლსა უმატებს.

ნანა პიტნა და იზრიმნიზსაცა უზახიან, მხურვალია პირველსა დარაჯაშიგან, მეორესა დარაჯაშიგა სტომაქსა გაახურვებს და საჭმელსა ფიცხლად დაადნობს. პირსა რომ ბალღმისაგან წავარდეს და სტომაქი აშლოდეს ძრძითა მოადულო და შეასვა მას უშველის. მუ-
20 ცელშიგა ჭიას მოჰკლავს, და კაცსა კარგსა ძალსა მისცემს. მჟავისა ბროწეულისა წყლითა მოადულო ხალი გაურივე და მღიერსაცა ზედა დასდვას უშველის. და ძალის ნაკბენსა თაფლწყალშიგა გაურივე და პიტნის შტო მაწონშიგა ჩააგდონ და მაწონი სტომაქზედა დასდვან, აღარ დაიფანტოს და სტომაქსა გაახურვებს და საჭამადსა გააქარ-
ვებს და სისხლის რწყევასაცა არგებს, სლოკინსაცა, რომე საჭმელი დამჟავებულისა მას უშველის. და ნარდანგითა რომე შესვა იარაყანს უშველის. და ფსმასა ძალს მისცემს. თუ ქერის ფქვილითა ტლედ ქნა და შუბლზედა შემოსდვა გრილსა სუდასა¹ კარგად მოუხდების. თუ ენაზედა მძიმედ უბნობდეს, კარგად მოუხდების, რომე შეიცხოს.

30 თუ ძუძუსა შესცხო, რძე რომ დაეფანტოს მას უშველის. თუ დედა-
კაცმან ტინვასა წინათ შაფად ქნას, ორსულობასა გარდაუგდებს, მაგრა მრურსა აწყენს, მისი წამალი ძრძისა შესმა არის. და ზოგნი იტყვიან ქარსა შეუქსო და საფასა აწყენს, მის წამალი ნიახური არის.

პიტნა წყლისა არის მხურვალი და ხმელი, შესძრავს შავსა [ნაღველსა] და თესლი მისი მოჰკლავს აყიროსა თესლსა [მაგვარსა]

¹ სწერია „სადასა“.

ჭიასა სიმწართა მისითა. თუ შეასვა ერთი დრამი და უშველის სლოკინსა. პიტნა ველური უფრო მხურვალა და ხმელი არის და ამა ზემოსავე ხასიათი აქუს და ერგების ღრიანკალთა ნაკბენთა და ქვემძრომელთა თუ შეასვა ან ზედა დასდვა.

ტარხუნა მწვანე და ბოსტნისა უნდა იყოს. აყირყარა მთის ტარხუნისა ძირი არის, მხურვალი და ხმელი მეორესა დარაჯაშიგა, მაგრამა დედაკაცთანა წოლასა აკლებს, ამისთვის გრილსა უმახიან. სიხმესა კარგად მოუხდების, პირსა კარგსა სულსა მისცემს, პირისა ფშინვასა კარგად მოუხდების, მაგრა სტომაქიდაღმა გვიან გავა.

10 ასრე ნათქვამია. რაც რბილია და ადვილად დაიცოხნების გვიან მოიდნობის მისთვის აყირო ჰქვიან. ქასნი უწინ მოიდნობის ტარხუნისაგან. ხახასა ატკივნებს, ყელსა დააბლაგვებს და პირის სიმსივნეს არგებს. კისრის ტკივილს მოუმატებს, მისისა ნაწყენისა წამალი მარტყუბი და უნდა ნისა შტო წურილითა ნიახურითა და მარურითა ქვათა და ქასნითა და ძრმითა შეჭამოს მისსა ნაწყენსა წაიღებს და აყირყარსა ხასიათსა იქს.

წიწმატი მხურვალი და ხმელი მეორესა დარაჯაშიგა და ნედლიცა არის ფიცხლად მოიდნობის, ქარსა გამოაჩენს, კაცსა თესლსა მატებს, თავის ტკივილსა მოუმატებს და სტომაქისა ტკივილსა უშველის, და მუცელშიგა მგურგვალსა (ჭიასა) მოჰკლავს. თუ კაცმან დანაყოს და ოთხი დრამი თბილითა წყლითა შესვას მუცელსა გახსნის და რაც წელშიგა ქარია ყუელას გამოსწმენდს და ყოლინჯსა უშველის.

თუ მისი თესლი მოხალოს და მისცე მუცელს შეჰკრავს მაგრა დანაყვა არ უნდა, და თუ მისსა ფურცელსა სჭამდე ძრმითა ჭამე, რომე მისი ნაწყენობა გააქარვოს. ქასნი, თარა, თუხმაქანის ფურცელი ჭამოს, რაც წიწმატსა ეწყინოს იმან გააქარვოს. წყალი წიწმატისა ქალფასა წაიღებს. ქალფა ამასა ჰქვიან რომე გამოესხას. წყალი წიწმატისა და ნავლელი ზროხისა ტლედ ქნას და შუბლზედა ქულფასა უშველის. წიწმატისა თესლი მდოგვითა შაჭამადშიგა მოიხმარების.

ჭაკუნტელი რომელ არს სპარსულად ჩადანდრი, მხურვალა პირველსა დარაჯაშიგა, ცოტა სიწმინდე აქუს და სიმლაშე, ამისთვის სტომაქს აწყენს და ცოტა ბორაკისა ბუნება აქუს, მისი მოწამე ისი არის, რომე გუნება გაარბილოს. თუ ადრე და მისითა წყლითა თავი დაიბანოს, ქერტლსა გასწმენდს. ვინცა ბევრი ჭამოს ქარი შეექნას სტომაქშიგა, თუ მანანახითა ჭამოს ტყირპისა გზა გახსნას.

თუ წითელი ჭაკუნდელი დანაყო და მისი წვენი ცხვირშიგა ჩაასხა სინედლე რომ ტვინშიგა იყოს, გამოიღებს და გამოსწმენდს. მისი ფურცელი ასეთია რომე ორი ფერი წამალი ერთმანერთშიგა გაურივე, მისი ბუნება ბორაკსა ახლოს ახლავს. და კაცი რომე შეკრვით იყოს, გახსნის, სიცივისაგან რომე დახეთქოდეს, მითა დაიბა-

ნოს, უშველის. ისი თუ ან ძრმითა და ან ხარშოდ შექნა შეკრულს მუცელს და ძარღვებს გახსნის. გულსა და სტომაქს მოუღბობს, მისი ძირი ბალღამს მოუმატებს და ისი ძირი ქარიანი არის და მისი ფურცელიცა.

10 მარზანგუში¹ შინაურსა ქონდარსა ჰქვიან, მხურვალი და ხმელი არის მესამესა დარაჯაშიგა. კაცი რომე ქარიანი იყოს და ბალღ-
მიანი კარგად მოუხდების და გუნება მხურვალსა კაცსა არ ექმების, მამაცობას მოუმატებს და თირკმელთა გაუხურვებს და ქვიშასა გასწ-
მენდს. ღვინითა მოხარშო და შემოსდვა, უშველის ტყირჰსა. ღამით
რომე წყალი სდიოდეს მას უშველის.

თუ ხმელის თაფლითა შეჭამოს მუცელში ჭიას მოჰკლავს და
გამოიღებს. თუ ჭიისა წამალშიგა გაურიო ძალასა მისცემს, მუცლისა
სიმსივნისათვის კარგია და საჭმელსა მოანდომებს და ფსელსა მოუ-
20 მატებს და დედაკაცსაც ფსელს მოუმატებს და თვალისა სინათლესა
მატებს, თუ სიგრილისაგან იყოს. თუ თვალის ტკივილი სიმხურვა-
ლისაგან იყოს აწყენს, გულის ტკივილს არგებს თუ აჭამო და თუ
დასდვა.

შიბითი არის მხურვალი მეორესა დარაჯაშიგან და ხმელი
მესამესა დარაჯაშიგა და კარგია, საჭმელთა და წამალთა შიგან
დაადნობს და გახსნის სიმსივნესა სქელსა და ფურცელი მისი ცოტად
უმხურვალეა და თესლი მხურვალეა ფურცელსა, ქარისათვის კარგია,
რომე იყოს სტომაქშიგა, თუ დაწვას უმატოს სიმხურვალემა და სიხ-
მელემა და ერგების წყლულთა ძველთა და ნედლთა, რომე დაყარო
ზედა აგრევე სარცხვენელისა წვასა, მუცელსა და სტომაქსა დაალ-
30 ბობს და მისი სული კაცს დაამინებს. და მისი ზეთი, რომე, კაცი
მწოვედ მოღალული იყოს მუშაობისაგან, ან სიარულისაგან და მგზავ-
რობისაგან, შეიცხოს, სიმამურალეს, სიმსივნესა უშველის და ქმინვას
დააწყნარებს. დედაკაცსა ყმაწვილისა ბუდე სტკიოდეს მას უშველის,
რომე მისსა წყალშიგა ჩაჯდეს. ტყირჰისა ტკივილისათვის შეასვა
თაფლითა და ძრმითა უშველის. სტომაქისა ტკივილისათვის თუ აცო-
ხნინო, ან მისი წყალი შეასვა უშველის. ზურგისა და ფერხისა ტკი-

¹ სწერია „ბარზანგუში“.

ვილსა მისცე ძრმითა და თაფლითა უშველის. და იაცტროსა მისი
წყალი შეასვა მუცელი გაუწმინდოს და უშველოს. და ვისცა სასიკუ-
დილო წამალი შეესვას, მისი წყალი შესვას თრიაყითა უშველის.
გველისა, მორიელისა ღრიანკელისა და სხვათა გესლიანთა ნაკბენტა
უშველის. ამისი წამალი შეასვა ყოვლისფერსა მუცლის ტკივილსა
უშველის. მაგრამ გაშინჯვა უნდა თუ დიდი სენია, თუ ცოტა, ზოგთა
წყლითა უნდა მიცემა, ზოგთა თაფლითა, ზოგთა ღვინითა და ზოგთა
ძრმითა.

წყლის ჭაკუნტელი ხმელია მეორესა დარაჯაშიგა და ნა-
10 ხევარი მესამესა დარაჯაშიგა ხმელია. ფსელი მოუმატოს და ცოტა
ქარი შეაქნას. მაგრა მისი თესლი სჯობს და ხილსა და თესლსა
ძირი სჯობს.

ულბო მხურვალია და ხმელი პირველსა დარაჯაშიგა. პირისა

და ოფლისა სული მყრალი შეექნას. და კაცსა რომე ბაღდამი სჭირდეს აადუღებს და დააღბობს. ტლედ შექნას და დაიდვას. უღბო, თაფლი, ღვინო ამისგან რომელიც იშოებოდეს უღბოში გაურივე და კარგად მოადუღე და იმისი წვენი შეასვას გულსა და ხმას დასწმენდს და დააღბობს და რაც წელში გონჯი სატკივარი იყოს ისიც ყუელა დაწმინდოს და ხველასაც არგებს და სული რომ ძნელად ამოვიდოდეს მასაც არგებს და ნაფაზსა ამას უმახიან და ისი რა ჭამოს და საჭმელი ჭამოს და იაროს გული აურიოს და უღბო რომე კაცმან მოხარშოს და მისი წვენი დაიჭიროს და თვალშიგა ჩაიწვეთოს, თვალის ტკივილს უშველის. ერთისა თურფასა გამოიღებს და ტკივილსა დასვამს და თუ იმა წყლითა თავი დაიბანოს თმა დააღბოს და დაწურილოს, და ქერტლსაც უშველის.

და მისი ფურცელი სჯობს თესლსა. და თუ მისი ფურცელი ძრმითა ჭამოს სტომაქსა არგებს.

ბოლოკი სპარსულად ფიჯილი ჰქვიან, ორფერია ერთი მინდურისა და ერთი ბოსტნისა, და ფურცელი ერთმანერთსა უგავს. მინდურისა ძირის გრძელი ექნების და ღრმად წავა მას თათრანასა¹ უზახიან, უკეთესი ბოსტნისა არის, და მწვანე იყოს. მხურვალი არის პირველსა დარაჯაშიგან. ბოლოკისა გული მაგარია და გვიან მოიდნობს, მისი ნაფრცქვენი პურიტა ჭამოს საჭმელსა მოანდომებს. მისი ფურცელი დანაყო და თვალშიგა ჩაიწვეთოს თვალსა სინათლეს მატებს. თუ მისი ფურცელი დანაყო და შეასვა ღვიძლისა გზასა გახსნის. თუ სიქანგუბინითა მისცე, რომე შაქრითა იყოს შექ-

¹ აქ ჩართულია სიტყვა „იქნების“.

ნილი ცხელებასა უშველის. და თუ ერთობ არა სჭირდეს ცხელება და თაფლითა შექნილითა სიქანგუბინითა შეასვა არა უარესია.

და თესლიცა ამავე ხასიათისა არის თუ მოხარშული აქამო ხველასა გასწმენდს, რომე სიგრილისაგან იყოს, გუნებასა¹ დააღბობს თუ ფურცელი ჭამოს საჭმელს მოანდომებს და ქარსა გაიღებს, მისთვის რომე ბევრსა აბოყინებს, მაგრა ქარსა შეაქს. ტანსა წესიერად ერგების და გულ სტომაქზედა კარგი არ არის.

თუ ბოლოკსა საჭმელსა უკანით სჭამს ყველას მოადნობს და გაიღებს. თუ უზმა ჭამოს და ზედ საჭმელსა სჭამს, სტომაქსა აშლის და საჭმელსა ზედაზედ მოაქცევს, მისი ქერქი სიქანგუბინითა ჭამოს, და მისი ფურცელი შეკრვით რომ იყოს გახსნის და სისხასა არგებს და შირიმსა გამოსწმენდს, რომე მისნაშიგა ქვა იყოს მასაც გამოსწმენდს. იარაყანს უშველის. მისი წვენი ათი დრამი უნდა შეასვა ნუშის ზეთითა.

მოსიას შვილი იტყვის: თუ სელიბის ფქვილითა შეზილო და შესცხო ხეტერსა და ქაჩალსა უშველის და თმასა გამოგურის, თუ თაფლითა შესცხო, ასოზედა, რაც ნიშანი იყოს ასრე მოსჭამს როგორცა მოკვეთილი. თუ სიქანგუბინითა იღარღაროს, მისი წვენი ბაღდამისა ხველას უშველის და ბაღდამისა ხუნწსა არგებს. მისი ქერქი სიქანგუბინითა და მისი თესლი ძრმითა, რწყევისა სატკივარსა და ტყირბისა სიმსივნესა დააცხრობს და დააღბობს. მისი

წვენი მორიელისა და ღრიანკალისა ნაკბენსა დასცხო უშველის, მაგრა სტომაქსა აწყენს. და ტანსა ტილსა დაასხავს. თავსა ატკივნებს და კბილთა აწყენს.

მო ს ე ი ტყვის: თუ საჭმლისა უკანის ჭამოს, ერთობ კარგსა ძალსა მისცემს, უფრო ფურცელი მისი, თესლი ნაფსასა გასწმენდს.

თ ა ლ გ ა მ ი მხურვალთა მესამესა დარაჯაშიგა, ნედლია პირველსა დარაჯაშიგა. რბილია და ქარიანი. კაცის გუნება დამრას და თესლი მოუმატოს. და ვისცა ნიკრისი სჭირდეს და სრულად ტან-
30 შიგა სენი, დანაყო და დასდვას მას უშველოს, შექნილი თუ ჭამოს. მისგან ტანსა წყლულნი რომე გამოესხას. გულსა და სტომაქსა და-
ალბობს და სტომაქით გვიან |გავა|. თუ ძრმითა მოდუღებული იყოს, ხარდლითა, ზირათა და სადაფითა შეკაზმული იყოს, ისი საჭმელად კარგი იქნების. შექნილი და შეუქნელი ორივე თვალთათვის კარგია.

თესლი თალგმისა, ისი უკეთესია რომე ფერად მოწითალო იყოს, მისი ხასიათი: მხურვალთა და რბილი არის, მამაცობას მოუმა-

¹ სწერია „გონებასა“.

ტებს. მისი ჭამა ორი დრამი. მაგრა ტყირბსა აწყენს. ნესვისა თესლითა უნდა ჭამა, რომე არ აწყინოს. თუ ისი არ იყოს, სტაფილოსა თესლი ქნას.

ა ყ ი რ ო გრილია და ნედლი მესამესა დარაჯაშიგა, სტომაქსა კარგად მოუხდების, პირსა რომე ავი სული უდიოდეს მას არგებს და მუცელშიგა რომე სიმხურვალისაგან ავად იყოს, მას უშველის, მუ-
ცელსა და სტომაქსა მოალბობს, და ტანსა კარგად მოუხდების, მა-
გრამ სინედლისა ბალღამსა მოუმატებს, მხურვალისა კაცისათვის
კარგია. ვინცა სჭამდეს, ბერძულითა ზეთითა შეიქნას და პილპილითა
10 სჭამდეს. თუ ზაფრიანსა კაცსა მისცე ძრმითა შექნილი, ერთობ კარ-
გად მოუხდების, და სტომაქისა სიცხესა დაუწყნარებს. კაცსა რომე ყოლინჯი სჭირდეს, მისი ზიანი მან დააწყნაროს, ისრევე ხარდლითა და პილპილითა ჭამოს.

ბ ა ჯ ი ნ ჯ ა რ ი მხურვალთა მესამესა დარაჯაშიგა და ყოვლისა სენიანის კაცისათვის ავია. პირის ფერსა წაუღებს და პირსა გაუმ-
წარებს. მაშიგა ცოტა რამე სიტკბო არის და მუცელსა გახსნის და ცოტად გრილი და ხმელი არის და ხახაშიგა ქარს მოუმატებს, მისი სიცხე მუცელსა შეკვრავს და სრულად მისი ჭამა სტომაქსა ავად მოუხდების და გულიცა აურიოს. თავისა და თვალისათვის ავია მის-
20 გან სევდა, ბოვასირი და სნება წაეკიდების. თუ ძრმითა ჭამოს თავისა და თვალისა ზიანი წაიღოს, ტყირბისა და ღვიძლისა შეკრვა გახსნას და თუ მოხარშო და მოხარშული ერბოთა შეწვა, მისი ზიანი არა იყოს.

შ ი ნ ა უ რ ი ს ო ნ ი ჯ ი მხურვალთა და ხმელი მესამესა დარაჯაშიგა ოდეს გაურიო ძმარი. და გრილი, კარგი წამალია და სუბუქი. თუ მოხალო და უსუნო უშველის სურდოსა, რომე იყოს სიცვისაგან, და თუ დანაყო და შეასვა მოკვლავს აყიროსა თესლის ჭიასა და გაიღებს. ერთი ჭია სხვა არის თ ა ვ ლ ა ჰქვიან მისსა ნაკბენსაცა უშველის თუ დანაყო და ძრმით გარეთ მუცელზედა შემოსდვა მაშინ-

30 ცა მოჰკლავს, აყაროსა თესლის ჭიასა და თუ დანაყო და თაფლი-
თა შეზილო და დაადნობს თირკმელთა შინა შირიმსა, და ჩამოიღებს
სისხლსა და ფსელსა. თუ სიგრილისაგან სტკიოდეს მისი წვენი ცხვირ-
შიგა ჩაუშვი უშველის. თუ ძრმითა მოადულო და პირშიგა ჩაიყენოს,
კბილისა ტკივილსა უშველის. თუ მისი ზეთი ცხვირშიგა ჩაუშვას
ფილენჯსა უშველის.

გ ა რ ნ ა ბ ი ¹, ქ ა ლ მ ი ა მხურვალია და ხმელი და მისგან რაც

¹ სწერია „გირნაბი“.

საჭამადი ქნან გულსა და სტომაქსა დაუღობოს და როგორაცა ოს-
პისა გვითქვამს აგრე წყალი გამოუცვალებთ.

ფ ი ლ ი ნ ჯ ი მ უ შ კ ი. მხურვალი და ხმელია, გულსა ძალსა მის-
ცემს და ჩაღბა მოიდნობის. და თავშიგა რომე შეკურით იყოს გახ-
სნის და სევდასაცა გაიღებს. და თუ კაცი მხურვალი იყოს, ძრმითა
ჭამოს.

ბ ა დ რ ა ნ ბ უ ა ხმელი და მხურვალია, თუ ავად ყოფა ბაღღმი-
სა, სევდისაგან იყოს ძრმითა სჭამდეს მას ერგების, და პირისა სიმ-
ხურვალესა უშველის და თავისა სიმძიმესა გახსნის და გულსა გაამ-
10 ხიარულებს და საჭმელსა ადრე მოადნობს, და სლოკინსა უშველის.

ბ ა დ რ უ რ. მხურვალი და ხმელია. სტომაქშიგა ადრე გახდების
და პირსა გაამწარებს და ტანშიგა ავს სენსა შეიქს, და მისი, ბევ-
რისა ჭამა თვალს დააბნელებს და სტომაქსა აუშლის, მისი თესლი
სევდასა უშველის და ბერვასა გახსნის მისი წვენი ცხვირის სისხლის-
დენას უშველის.

მ ი ნ დ ო რ უ ლ თ ა მწვანვილთა ცნობისა რომე იცნას კაცმან
რომელი კარგი არის და რომელი ავი საჭმელად. უმი მჟაუნა გრილი
და ხმელი არის და ზაფრასა დასვამს, კაცსა მოამშევს და მუცელსა
შეჰკრავს.

20 რ ე ვ ა ჯ ი ამასვე გავს რომე მჟაუნა, გრილი და ხმელია და
მისი წყალი თვალშიგა გამოივლოს, თვალის სინათლესა მატებს.

ბ ი ხ უ ხ რ ი მხურვალი და ხმელი და ქარსა გასტეხს და კაცი
რომ გულზედა მსუყედ იყოს გასტეხს და მხურვალსა კაცსა აო ეჭმე-
ბის და ვინცა ჭამოს, მჟავითა ჭამოს.

ა ლ ი ო ნ ი ¹ სატაცური და ცოტა სიმწურვალე აქუს და კაცსა
გაასუქებს და ბუმტსა გაუხურვებს და ზურგისა ტკივილსა არგებს
და შეკრულს ძარღვებსა გახსნის და კაცსა თესლსა მოუმატებს.

ქ ა ნ გ ა რ ი მხურვალი და რბილი და შარდსა ბევრს გაიყვანს
და მყარლსა შარდსა დაღევს და ოფლსა, სიმხურვალესა არგებს და
30 სტომაქი დააღბოს და მუცელი. მისითა წვენითა თუ თავი დაიბანოს
თმას გაზდის.

ნთ კარი ყოვლისა ახლისა და ხმელისა ხილისა.

ხ უ რ მ ა სპარსულად რ უ თ უ ბ ა ჰქვიან მხურვალი და ხმელია
და ახლისა და ხმელისა ხასიათი ერთი არის მისგან კაცსა სქელი და
შავი სისხლი მოემატოს და კაცსა რომე ღვიძლი სქლად ჰქონდეს

მას აწყენს. და კაცსა ანუ თვალი, ანუ თავი, ანუ კისრის ტკივილი სჭირდეს მას აწყენს. თუ კაცი მხურვალე იყოს სიქანგუბინითა ჭამოს ან ისრიმითა, ან ბროწეულითა, მას უკანის ვარდის წყალი გამოივლოს პირშიგა და აღარა აწყენს, და კაცისა სტომაქი სწორი იყოს, მას გაასუქებს კარგად.

ლეღვი მხურვალე პირველსა დარაჯაშიგა, შუასა და ბოლოსა ხმელია და სინედლეცა ჰყვების. ახალი გრილია და ცოტად ქარი აქუს და ხმელისაგან ახლისა სიხმე უმცრო არის და ყოველსა ხილსა სჯობს კაცისა გუნება რბილად შეინახოს და ტანსა ძალს მისცემს, თირკ-
10 მელსა გასწმენდს და მწიფე სჯობს, თუ ბევრსა სჭამს ტილსა და-
ასხამს ღვიძლსა და ტყირბს გასწმენდს და ლეღვი ჭამოს ზედა. სი-
ქანგუბინი სვას, ერთობ მარგებელი არის და გასწმენდს ძუძუსა და
თირკმელსა და სტომაქით ფეცხლავ გაიაროს მუცელსა და სტომაქსა
დაალბობს და შარდსა ხშირად გაიყვანს, ბუშტსა დასწმენდს და
სტომაქზედა კარგი არის. ბერსა და შუათანასა კაცსა კარგად მოუ-
ხდების, სტომაქსა აშლის. თუ ჭამოს ხურმისა რიგითა არას აწყენს.

ხმელი ლეღვი წელთა ტკივილთა არგებს. და უწადინელად რომე
კაცსა თესლი წაუვიდოდეს, მას არგებს და თირკმელსა გასწმენდს,
გაასუქებს და გული დაწმინდოს თესლი მატოს და მუცელი დაალ-
20 ბოს, და ავი ხილთი¹ კაცისა თმისა ძირებიდაღმა გამოიღოს, და
რომელსა დღესა მაწონი და რძე ახალი თევზი ეჭამოს, ლეღუს ნუ-
ღარა სჭამს თვარა მრავალი ტილი დაესხმის. თუ თბილითა წყლითა
დაიბანოს და მერმე მუხუდოსა წვენითა დაისხას, ისი ტილი აღარა
გამოჩნდეს, და ყოლინჯსა არგებს და ქარსა გასტეხს.

ან გური, ყურძენია. ყოვლისა ხილისაგან უკეთ ერგება
რომე მწიფე იყოს, მაგრა გურკასა ქერქით გამოგდება უნდა, ამის-
თვის რომე მძიმეა და გვიან მოიდნობის. ოთხი დარაჯა არის: ერთი
ქერქი, მეორე ხორცი, მესამე გურკა და მეოთხე წვენი. აწე ეს
ოთხი გუნება არის, ქერქი გრილია და ხმელი, მოუდნობელი და
30 ხორცი მხურვალე და ნედლია, მწიფისა გურკა გრილი და ხმელი და
ცოტა სიმწოვე აქვს მისთვის გვიან გავა სტომაქიდაღმა და მისი
წვენი წინწანაქარი სჯობს ფერხითა დაწურვილსა. ტანსა ის უკეთ
მოუხდების. ყურძენი ბევრფერია ტკბილი, თეთრი და მჟავე, ღვი-
ნოსა ის რომე არც მჟავე იყოს და არც ტკბილი იმას შუა ყურძენი
ჰქვიან და კარგად ერგების. მჟავე ყურძენი კარგია ზაფრიანისა კა-
ცისათვის, ღვინისა გემო ყურძენი სჯობს. ტკბილი ყურძენი მუცელს

¹ სწერია „ხლითი“.

შეჰკრავს მუცელსა და სტომაქსა გაადლიერებს და ტანს კარგად
მოუხდების. კარგი ყურძენი ის არის რომე მარცვალე დიდრუანი
იყოს და მწიფე, დიდსა ხანსა შენახული. გუნება გრილი კაცისათვის

და ბალღმისათვის შავი ყურძენი სჯობს და მხურვალისა კაცისათვის შავსა თეთრი სჯობს. და ყოველი მწიფე ყურძენი მხურვალია რბილი და ხმელი და სტომაქით ადრე ადრე წავა.

კარგისა და მწიფისა ყურძნისაგან კარგი სისხლი მოემატების, კაცსა გაასუქებს და სტომაქსა დაალბობს, მაგრა ქარი აქუს და ერთსა კვირასა ნაკიდებსა ქარი აღარა აქუს და კარგი იქნების და 10 სტომაქსა და წელში სატკივარი იყოს, მისგან ფარეზი უნდა იყოს. ისი უფრო სჯობს რომე ქერქი გააგდოს და ხორცი ჭამოს. თუ პურიტა ჭამოს ქარი უფრო აქუს, ამისთვის რომე, მისი ჭაჭა პურს არ გაეყრების. და ცოტად მაშინცა ზიანია თუ ნახევარზედა მწიფე ჭამოს, ქარი მისი უფროსია. კაცი თუ გუნება მხურვალე იყოს და ჭამოს ზედა ან მჟავე ბროწეული ჭამოს, ან სიქანგუბინი თუ ყოლინჯიანმან კაცმან ჭამოს ზედა ზირათა მაჯუნი ჭამოს. თუ ყოლინჯი ერთობ სჭირდეს, ყურძნისა ჭამა არ ვარგა.

ის რ ი მ ი გრილია და ხმელი, მის წვენი საფრასა დასვამს და კაცი რომ გუნება გრილი იყოს და ყოლინჯიანი მას აწყენს.

20 ჩ ა მ ი ჩ ი ხმელი და ნედლი, ორივე არის მხურვალი და რბილია, მისი გურკა გრილი და ხმელი. ჩამიჩსა რომე სიმჟავე ჰქონდეს ცოტად შემკურელი იქნების და ორივე გუნებასა გაადრიელებს და ღვიძლსა და ტყირბსა კარგად ერგების, და ხორციანი ჩამიჩი კარგად ერგების ტანსა და ძუძუ გაწმინდოს და სტომაქი გაამაგროს. ფირტუსა უშველის, უკეთესი ის არის რომე ჩამიჩი უგურკო ჭამოს, ისი გუნებასა რბილად შეინახავს, ხორხისა და ძუძუსა ტკივილსა უშველის და გუნება მხურვალსა კაცსა უკეთ მოუხდების და ქიშმიშიცა ამავე ხასიათისა არის.

30 ჭ ე რ ე მ ი, ბ ი შ მ ი შ ი ც ა ჰქვიან და წ ი რ ა ნ ი ც ა გრილია და ნედლი მესამესა დარაჯაშიგა და სტომაქისათვის ავია და მუცელში-გა ფერად ფერადად შეიქნების და ფიცხლად წახდების და მისგან არცა სატკივარი გამოჩნდების და კარგი არა იქნების რა, თუ ბევრი ჭამოს, სატკივარი მოუმატოს. თუ კაცი ნაჭამი იყოს და აგრე ჭამოს დამჟავდების სტომაქზედა და მჟავესა სულსა ამოუშვებს და მხურვალსა კაცსა კარგად მოუხდების.

თუ ისი გაახმო და აგრე ჭამოს ზაფრაშიგა გაერევის და წყურვილსა მოჰკლავს და თუ სტომაქიდაღმა პირსა ავი სული ამოსდიოდეს არგებს. და მისისა გურკისა გული მხურვალია და ხმელი

450

და ბუასირსა არგებს ჭამოს თუ შეიცხოს ორჯელვე. და რასაცა კაცსა ქარი სჭირდეს ნუ სჭამს. მას უკანით ცივი წყალი არ უნდა სვას. ვინცა წირანი ჭამოს ყინულიანსა წყალსა ნუ სვამს ავად მოუხდების. მისი წყენა ალილის მათბუხმან წაიღოს. მუცელი და ძარღვი დაწმინდოს მისგან ნაწყენი, და მას უკანის სამსა დღესა კამის წყალი შაქრით შესვას. რა წირანი ჭამო ასრე უნდა მასტაქი იცოხნო ან ანისონი, და ორივე ერთად მისცე სჯობს.

ა ტ ა მ ი შავთალუცა ამას ჰქვიან ¹, პირველსა დარაჯაშიგა, მეოთხესა დარაჯაშიგა ნედლია, მჟავესა და სქელსა ბალღამსა შეიქს, 10 კაცსა ასრე უნდა უზმამან ჭამოს. ხმელი უფრო მძიმე არის ნედლი-, საგან. ვინცა ჭამოს ასრე უნდა წყალი შესვას ზედა ანუ კარგი ღვი-

ნო. თუ მისი ფურცელი დანაყო გასწურო და შეასვა მუცელშიგა მარგეა და გრძელი ჭია მოკლას და მრგვალი. თუ ყურშიგა ჩააწვეთო, მისი მატლი მოკლას, მხურვალსა სტომაქსა არგებს. პირსა სტომაქიდაღმა ავი სული ამოსდიოდეს, მას უშველის. მისის გურკისა ზეთი ყურისა ტკივილსა უშველის. ატამი და შავთალა კაცისა სტომაქსა დააღბობს.

ტყემალი, გრილია და რბილი და რომელიცა მჟავე არის, ისი უსქე არის და წყურვილი მოკლას ზაფრა დასვას, და რაც ტყემალი ტკბილი იყოს სტომაქი და გული დააღბოს, და ხმელი, ტყემალი პირშიგა დაიჭირო წყურვილი მოკლას. ტყემლისა ჭამასა ნედლი ხილი არ უნდა ჭამოს.

ვაშლი გრილი და ნედლი. ვაშლი მრავალფერია, ტკბილი, არის მჟავე. ესეცა იქნების არცა ტკბილი იყოს და არცა მჟავე. ესეთიცა იქნების რომე არაფერი გემო არა ჰქონდეს. რომელიცა მჟავე არის გრილი სენი შექნას და ის რომე არცა ტკბილია და არცა მჟავე. ისი სჯობს. ტკბილი ვაშლი მხურვალის არის, და ის რომე არაფერი გემო არა აქუს, იმას წესიერი გემო აქუს და სინედლე. კაცისა გუნება რომ გრილი იყოს მას ტკბილი უნდა. გუნება მხურვალსა, 30 ზაფრანსა, მჟავე ვაშლი უჯობს. ტკბილი ვაშლი გულის ძგერას არგებს და რაზომცა გვიან გავიდეს სტომაქიდაღმან სჯობს, გულსა კარგად მოუხდების და მუცელსა შეჰკრავს და ქარიცა აქუს. თუ მხურვალის კაცი იყოს, მუდმად ჭამოს არ აწყენს, თუ მსუქანმან კაცმან ჭამოს ზედ გვარაშინი და კარგი ღვინო შესვას. და ვაშლზედა ცივი წყალი არაყად სვას, ხმელი ვაშლი გვიან გავა სტომაქით და სტომაქშიგა სქელი ხილთი გამოაჩინოს. თუ თბილითა წყლითა ჭამოს მისი წყენა გააცუდოს.

¹ აქ ჩართულია „რომე მარილი“.

სხალი ხმელი და გრილი პირველსა დარაჯაშიგა და: მრავალ ფერი არის, როგორცა ვაშლი მჟავე არის და სუბუქი და ადრე; წავა სტომაქით. ერთსა ტიტიბი ჰქვიან ისი გრილია და მძიმე. ერთია ტკბილია და ის მხურვალეა და კარგი, რომელიც მჟავე არის, ის გრილი არის და ნედლი და ქარიანი. და რბილი უარესია და გვიან გავა სტომაქით. და ყოლინჯიანსა კაცსა აწყენს, მკვახე ერთობ ავია და ჩინური სხალი ერთობ კაცსა არგებს, სტომაქისა აშლასა, გულისა რევასა და რწყევასა მჟავე სხალი რომე ძრმით მოადულო და აჭამო მუცელს შეჰკრავს და ხმელი სხალი უფრო მძიმე 10 არის ახლისა სხლისაგან, და დიდროანი სჯობს, წურილისა სხლისა. წყენასა ¹ ძველი ღვინო და ზანჯაფილისა მურაბა წაიღებს.

ბალი ცოტად მხურვალისა და რბილი და ქარიანი არის, ზედა გვარაშინისა მაჯუნნი უნდა ჭამოს და კარგი ღვინო სვას.

ქლიავი გრილია, მესამესა დარაჯაშიგა, შუასა და ბოლოსა ნედლია. ტანსა კარგად მოუხდების და სტომაქსა გაანედლებს, თუ კაცი გახსნას ზაფრა გაიღოს ტანისაგან. თეთრსა და: სხვაფერსა შავი: სჯობს. თუ კაცი ზაფრისაგან ცხლად იყოს, ქლიავი ჭამოს. ზაფრას მოერევის, გახსნის და ცხელებას უშველის. თუ კაცი გუნება გრილი

იყოს და ჭამოს ზედ თაფლწყალი შესვას რომე სინედლე წაიღოს
20 სტომაქეთ და უშველის ღთითა.

ბია გრილია პირველსა დარაჯაშიგა, ხმელია ბოლოსა და სწო-
რი მესამესა დარაჯასა. სტომაქსა გაამაგრებს და ფსელსა მოუმატებს
და მუცელსა შეკვრავს, ზაფრასა უშველის რომე სტომაქშიგა იყოს.
თუ კაცი სისხლიანსა სდუჟევდეს, მას უშველის. თუ მარტო შესვას,
მუცელი შეკრას და გაცხელებულსა სტომაქსა უშველის და სტომაქი
დაღმა გვიან გავა. ვინცა შეჭამოს დაცოხნოს, წვენი ჩანთქას, დაა-
ჩენს. თუ ჭამოს ყოვლისა ხილისა ასრე სჯობს, რომე ჩენჩი გამო-
ყაროს.

ბ რ ძ ე ნ თ ა ა ქ ი მ თ ა ასრე უბრძანებია [თ]: რომე ბია, სხა-
30 ლი და ვაშლი მადღარმან კაცმან უნდა ჭამოს. თუ ბიასა ბევრსა
სჭამს თოხმასა შეაქს და ყოლინჯსა. შემწვარი უფრო არგებს, თუ
გააპო და გულის მაგიერად ან მაჭარი ან თაფლი ჩაუდვან და შეწ-
ვან და ცომი შემოახვიონ და აგრე შეკრან და აგრე ჭამოს. მუცელ-
სა შეკვრავს, რომე გახსნით იყოს და მჟავე ბია უწინ შეკვრავს, გუ-
ლასა რევასა და პირისა წავარდნასა დააწყებინებს. და კაცსა ღვი-
ნო რომ გამოჰყვეს, მასცა არგებს, და კაცისა ხორცშიგა გონჯი

¹ სწერია „წვენსა“.

452

დანასკული ძარღვი იქნების, იმისთვის ავია. მჟავე ბია უფრო მაწყი-
ნარია და საჭმელსა უკანის უნდა ჭამა, მაშინ მუცელსა და წყლულ-
თ გახსნის და დაბერტყს და უზმამან უნდა ჭამოს, მუცელსა შეკვრავს.

ბ რ ო წ ე უ ლ ი კარგი და მოსადნობელი ხილია. სამფერია, ერთი
ტკბილი, ერთი მჟავე და ერთი შანარი.. მჟავის ბროწეულის წვე-
ნი რომ შესვა უშველის გაცხელებულსა სტომაქსა და ზაფრიანსა
კაცსა. დიდი ბრძენი ბ ა გ რ ა ტ ბრძანებს: ვითა ერთი დედაკაცი
მოვიდა ჩემთანა და ზაფრა ჩასლოდა სტომაქშიგა და ნიადაგ ბნდე-
ბოდა და მერმე მჟავისა ბროწეულისა წყალი შეასვა და ქერისა ხა-
10 ლი მიეცა. ბროწეულისა წყალმან ზაფრა გაწმინდა. ქერისა ხალ-
მან სტომაქს [და] ბროწეულისა წყალმან ცოტა ძალი მისცა სტომაქსა.

მაგრა ბროწეული ჭამისაგან წამლად უკეთ მოიხმარების. მჟა-
ვისა ბროწეულისა ხასიათი თესლსა მოუმატებს, თვალშიგა გამოსავ-
ლებად კარგია. თვალი რომ გაუყვითლდეს იარაყანისაგან მას უშ-
ველის და მისი მარცვალი, ზაფრისაგან რომ გახსნით იყოს, მას შეკ-
კრავს. მჟავე ბროწეული დასწურო მისითა გურკითა და ხორციითა
შეასვა, კაცი ზაფრისაგან შეკრვით იყოს გახსნის, გაიღებს და გუ-
ნებასა გაამრიალებს, სტომაქსა და ღვიძლსა დაამაგრებს. თუ ბრო-
წეულისა ქერქი ღვინითა მოადულო და შესვა, ნაწლევშიგა რაც
20 ჭია არის ყველას გაიღებს და შანარისა და მჟავისა ბროწეულისა
წყალი, რომე ერთმანერთსა გაურიო და შეასვა ღვინისაგან რომ
ღვიძლი გახურვებული იყოს უშველის. ბროწეულისა გურკა დანაყო
და ღრძილზედა დააყარო დაამაგრებს.

თუ მღიარზედა დააყარო გაახმობს და გაამრთელებს. და ტკბილის
ბროწეულის გუნება გრილისა კაცისათვის კარგია ამისთვის რომე
ცოტად გუნებასა გაახურვებს და გუნება მხურვალსა კაცსა ამისთვის

არ მიეცემის, რომე მხურვალა და აწყენს. თუ მჟავემან ბროწეულ-
მან აწყინოს ზანჯაფილი ფარვერდა ჭამოს, რომე მისი ნაწყენი წა-
ილოს.

30 ხ ა რ ტ უ ტ ა ტკბილი ტუტისაგან უფრო დიდროანია, უნდა
წითელი და მჟავე. გრილი და ნედლი, მუცელსა შეჰკრავს და სტო-
მაქსა დაამაგრებს, გუნებასა გაუხსნის. თუ უზმამან ჭამოს სტომაქი-
დაღმა ადრე გავა, თუ მამდარმან ჭამოს გუნებასა ¹ აშლის, მაგრა
ფსელს მატებს.

სტომაქი რომე სიცხისა და სიმხურვალისაგან სტკიოდეს, მას
უშველის. ხარხანჩოსა, ყელის ტკივილსა უშველის ამა ნიშნითა, აი-

¹ სწერია „გონებასა“.

ღე: მჟავე ხართუტა გაქენ და მისი წვენი გამოწურე, აილე მისგან
ნახევარ ლიტრა წვენი და ასი დრამი ღვინო და ორმოცდა ათი
დრამი თაფლი, შიგ გაურეე ყველა ერთად აადულე, ქაფი მოხადე,
და შეასქელე, მერმე აილე მური და აყაყია ოროლი დრამი, ზაფრანი
და პილპილი თვითო დრამი, გუნდა და მაყულის თესლი თვითოსა-
გან დრამ ნახევარი, ყველა დანაყე წმინდად და გაცერ და ამა შარ-
ბათშიგა გაურეე, ჭურჭელშიგან შეინახე, რა მოგინდეს მიეც რომე
იღარღაროს.

10 უ ნ ა ბ ი სხვილი სჯობს წურილსა, მხურვალა და ნედლია. პირ-
ველსა დარაჯაშიგა და სიხმელე მეტობს, სინედლეა და მისი სი-
ხმე და სინედლე სწორია, საჭმელად კარგი და მადნობელი თუ [უნა-
ბი ჭამოს] და ლობიო და მისი წვენი შესვას, სისხლი რომე უდულ-
დეს დააწყნარებს და გაანედლებს და უხმასა სჯობს მისი ჭამა და
ხველასა და ქოშინსა უშველის. თირკმლისა და სუკთა ტკივილსა უშ-
ველის.

20 თ უ რ ი ნ ჯ ი ოთხი გუნება არის“ პირველად ქერქი, 99°
ხორცი და მესამე სიმჟავე და მეოთხედ თესლი. მხურვალე და ხმე-
ლი მესამესა დარაჯაშიგან, ძნელად მოსადნობელია. თუ სტომაქშიგა
მძიმე საჭმელი იყოს, მას მოუნდების. და მისი ხორცი გრილი და
ნედლი და სინედლე უფრო სიხმისა ძალისა. და ¹ გვიან სტომაქიდა-
ღმა [გავა] მისი სიმჟავე. გრილი და ხმელი მესამესა დარაჯაშიგა, ზა-
ფრასა უშველის, მიეც. გურკა მხურვალა და ხმელი და თესლისა სი-
მხურვალე უმცრო ქერქისაგან მესამესა დარაჯაში, მაგარია, საჭმელად
არ ვარგა. და ვისთვისაც სასიკუდილო წამალი იყო ² მიცემული მას
აჭამოს, უშველის და გუნებასა მოალბობს, და პირსა კარგსა გემოს
მისცემს, და მისა ხესაც ესერე ხასიათი აქუს. თურინჯი უზმომან უნ-
და ჭამოს და მანამდი ზედა პურსა ნუ სჭამს, ვირემ ისი სტომაქით
არ გავიდეს. პურისა და თურინჯისა ერთად ჭამა არ ვარგა. თუ
არა თობხმა შეიქნების და მისი სიმჟავე თუ დაცოხნოს ქერტლსა
ზედა დასდვა უშველის. და მისი სასმელი მახმურსა უშველის, სიცი-
ხესა, გულსა და მუცელსა შეჰკრავს.

ნ ე ს ვ ი მესამესა დარაჯაშიგა სრულიად მწიფე მუცელსა შეჰ-
კრავს და ხოშრად აფსმევინებს, მისი თესლი სჯობს. თირკმელთა და
ბუშტშიგა ქვა იყოს გაიღებს და გასწმენდს, რათა კაცმან ჭამოს

სტომაქით ფიცხლავ წავა, მაგრამ ზაფრად გარდაიქცევის, და ყოვლისა ფერისა სენისა ამშლელია. და გრძელი ნესვი სჯობს მგურგვალ-

¹ აქ ჩართულია სიტყვა „დარაჯას“. ² სწერია „იყომ“.

454

სა და მწიფე სჯობს თუ ხორციელმან კაცმან ჭამოს, ზედა სიქანგუბინი სვას. თუ გუნება გრილმან ჭამოს ზედა კარგი ღვინო სვას. ვისაცა ცხრო სჭირდეს ნუ სჭამს ავი არის და გუნება გრილსა კაცსაცა აწყენს. მისი ქერქი მძიმეა და გვიან გავა სტომაქით. მისი ქერქი შუბლზედ დაიკრას თავდაღმა რომე შავი წყალი ჩამოვა თვალშიგა, მას უშველის.

ნესვი რომელსაცა ხილშიგა გაერევის, პირსა წააგდებინებს. თუ თირკმელსა და ბუშტშიგან სენი იყოს ნესუსა პურთან ნუ სჭამს თვარა სხვასა ადგილსა სატკივარი იყოს ბუშტშიგან მოიტანს. ამის ზიანსა სიქანგუბინი გაიღებს და ანუ ისრიმის წვენი „და მასუკანით რაცა საჭმელი ჭამოს ნესუზედა ისრიმით ჭამოს.

სა ზამთრო გრილია და ნედლი, ნესვისაგან უფრო გრილია და ნედლი. და ზაფრასა გასტეხს და სტომაქისა სიმხურვალესა გაიღებს და კაცის სტომაქი მხურვალი და ხმელი იყოს, ერთობ არგებს, თუ ბევრითა მისის ჭამითა ან თავის ტკივილი და ან სხვა რამე ტკივილი გამოუჩნდეს, მჟავე ბროწეული და ან ისრიმის წვენი ჭამოს, მას გააქარვებს.

კიტრი ორფერი არის. ერთსა შანგიერი ჰქვიან გრძელი არის და მოდრეკილი და ორივე გრილი და ნედლი, მესამესა დარაჯასა უკანასა დარაჯაშიგა კიტრი უფრო გრილია შანგიერისაგან, სტომაქშიგან სქელსა, მჟავეს ბალღამს შეაქს. მართებს რომე კაცი ფრთხილად იყოს და არა ჭამოს. თუ ჭამოს წურილი კიტრი ჭამოს, და შანგიერი სჯობს კიტრსა. თუ ბევრი ჭამოს ცხელებას შეაქს და ცხელება რომე ტანშიგა დაიფანტოს, კიტრს უსუნოს, დაიფანტვის და უშველის. და მისი გული სნეულისა და მხურვალისა კაცისათვის

კარგია და გუნება გრილს კაცსა ავად მოუხდების თუ ჭამოს ზედა ნახუა იცოხნოს და ან სხვა მხურვალი საჭმელი ჭამოს, ან კარგი ღვინო სვას და ქერქი ავია.

ნუში ორფერია ტკბილია და მწარე, მხურვალი არის და ხმელი, მესამესა და უკანასა დარაჯაშიგა და ვინცა დუჟსა სისხლსა ამოატანდეს მას უშველის და ძუძუსა და ფილუტსა უშველის, ღვიძლისა და ფილტვისა გზას, გახსნის და მუცლისა ტკივილსა და კოლინჯსა და თირკმელთა ტკივილსა უშველის და რომე საჭმელად არის, საწამლებლად სჯობს.

ტკბილი ნუში საჭმელად სჯობს ვირემ საწამლობლად მხურვალია და ნედლი, პირველსა დარაჯაშიგა და ტანზედა მსუბუქია, მისი ზეთი კარგი და მსუბუქია, უკეთესი ის არის, რომე საჭმელად ნელთბილსა წყალშიგა ჩადვა და გაფცქუნა. თუ კაცი მხურვალი იყოს

ტაბაშირითა და ქაფურითა ჭამოს. თუ გუნება გრილი იყოს თავლი-
თა ჭამოს, გულსა, ფილუტსა, ღვიძლსა, ტყირპსა, თირკმელსა ყვე-
ლას დასწმენდს და წელშიგა რომე მღიერი იყოს მასცა გასწმენდს,
ბუმტისა სიცხესა დააწყნარებს, გვიან გვიან მოიდნობის, თუ მოხა-
ლული სჭამო სტომაქს დაამაგრებს.

ზეთის ხილი სპარსულად ზეთუნის ჰქვიან, ორფერია. ერ-
თი შავი და ერთი მწვანე. მწვანე უფრო გრილია შავისაგან და შავი
მხურ-

ვალთა. მარილითა შენახული კარგი იქნების, სტომაქსა ქვის საჭმელ-
სა მოანდომებს, თუ ძრმით შენახული იყოს უწინ მოანდომებს
საჭმელ-

10 სა. მისი ფურცელი ისრით მოხარშონ, ჭიისაგან რომე, ნახევარზე-
და მოჭმული იყოს ის მალამად ქნას და ზედ დაიდვას ამაგდებს
კბილსა. მისი ფურცელი რაც პირშიგა მღერი იყოს გაამრთელებს.

თხილი გრილი და მძიმე არის და შაქრითა უნდა ჭამა. თუ
სტომაქსედა მძიმედ იყოს შაქრითა უნდა ჭამა. ახალი თხილი გრი-
ლი და ნედლია.

ნიგოზი გრილი და ნედლია, ახალი და მძიმე ქარსა, ბალ-
ღამსა და კოლინჯსა მოუმატებს კაცსა და ხმელი მხურვალი და ხმე-
ლი არის, თავისა ტკივილსა მოუმატებს კისრის ტკივილსა და პირს
გაუმწარებს, ზაფრას არევს და ენას დაუმძიმებს.

20 კრკო ნიგუზისაგან უფრო ხმელი არის და მძიმე და ტანს
უკეთ ერგოს ნიგუზისაგან, მაგრამ კრკო სჯობს ნიგოზსა და კრკო
უშველის ვისცა სასიკუდილო წამალი ეჭამოს, ორივე ქერქი გაჰხა-
დოს და აგრე ჭამოს.

სინძ კუნელსა ჰქვიან. ნედლი და ხმელია. პირველსა დარაჯაში-
გა მუცელი შეკრას და სტომაქი დაამაგროს, და ტანსა ცოტა ერ-
გოს და არა მართებს კაცსა რომე ბევრი ჭამოს.

ფშატი გრილი და ხმელია პირველსა დარაჯაშიგა ტანსა ცო-
ტა ერგების, სტომაქისათვის კარგია და მუცელსა შეჰკრავს.

30 წაბლი მხურვალია პირველსა და შუასა დარაჯასა მოწამეა
მისი სიმხურვალისა. მისი სიტკბო არის და ტანსა ცოტად ერგების
და ფსელსა მატებს. თუ ბევრსა სჭამს თავსა ატკივნებს, ამისთვის,
რომე სიცხესა გაიღებს თავშიგა, მუცელს შეჰკრავს, თუ წყალში
დაალბო და ჭამო უკეთ ერგების ტანსა, მხურვალსა კაცსა შაქრით
აჭამე და გრილსა თავლითა.

ბვერკეტანი¹ თეთრის მასტაკის ხესა ჰქვიან, მხურვალია მესა-
მესა დარაჯაში და ხმელია შუასა დარაჯასა და სტომაქიდაღმა. გვიან.

¹ სიტყვა წაშლილია და წაკითხვა საეჭოა.

გავა, მაგრამ მისი ზეთი უშველის ბაღმდისა სინედლესა, ფილენჯსა
და ვისცა ყბა სტკიოდეს, ამასა ყუელასა უშველის. თუ დაუზილო
ტყირპის ტკივილს უშველის, რომე სიგრილისაგან იყოს, ფსელსა მა-
ტებს, მხურვალისა კაცისათვის ავია და გუნებასა აუშლის კაცსა.

ჩაღღუზა სწორია და ცოტა სიმხურვალისაკე არის. სტომაქ-

სა და გულსა გარცხის. რომე წყალშიგა დაასველო საცა სიმწვავე აქუს მას გაიღებს. კაცსა რომე ფილენჯი სჭირდეს, მას არგებს. კაცი რომე სტომაქსა ზედა და ღვიძლსა ზედა მძიმედ იყოს, ყველა

ჩაღმა

10 წაიღოს, თუ ტკბილითა ღვინითა მოადუღოს და ასვას, რაცა ფირტუშია [ქარია] ყუელა გაიღოს და ფსელსა რომე კაცი ვერა იჭირვდეს მასცა ერგების და კაცის თესლს მატებს.

10 დივარდისი გრილი და ხმელია
. [ღვინო] ქარსა გასტებს, სტომაქის ძარღუსა მოაფართოვებს, და რაცა ასოა ყველაშია გაიარს, და შეკურით რომ იყოს გახსნის სტომაქსა და ტანის ბუხარს დააწყნარებს, ზაფრასა და ბალღამს უშველის და ძვალეზშიგა რაც ავი ხილთი იყოს ყველას გამოიღებს, და კაცი რომე ნიადაგ სჭამდეს და არ ძღებოდეს და არცა სუქდებოდეს მას ერგოს, და ქარისაგან რაც კოლინჯი იყოს, ყველა გატეხოს და მალახულიასაცა უშველოს და გული გაამხიარულოს. და რაცა ამას ზემოთ სწერია ნიშანს ქვემოთ, თუ კაცი ღვინის ნაჩვევი იყოს და აღარა სვას, რაცა კარგი სწერია. ამთონიერთი სენი შეექნების, კაცს გაუმძლავრდების და მოჰკლავს. კაცსა რაცა ღვინისაგან ძალი ჰქონებია და სენი გაჰყრია კიდევ გაძლიარდების და კაცი აღარ დარჩების. რასაცა კაცსა ანდაზითა ღვინო ესვას და თავი შეენახოს, მისგან სიმთელე ჰქონდეს, თუ მერმე დაიწყოს ჭარბობა ღვინისა იმა ანდაზაზედა რაცა წინათ სიმთელე ყოფილიყოს ისი ყველა სენად შეექნების.

30 ბევრის ღვინის სმითა გული აევსების და ძარღვებშიგა სენს შეიქს და კაცისა არართი ღარიზი მოარჩოს. ასრე რომე ცეცხლი ენთებოდეს და კაცმან ბევრი შეშა დააყაროს ნედლი და დაავსოს, ისრევე ბევრი ღვინო სტომაქისა და გულის სინათ-

¹ ამ გვერდის ბოლო და მეორე გვერდი მთლიანად დაუწერელია, ამ გვერდზე არა დედნის ხელით მიწერილია: „წადი წიგნო პეტერბურღს თავს დაუკრამ დედოფალს, თუ მიკითხოს მოახსენე არც მე ვიცი რას იქსა. კარგათ ემსახურე როგორც მე, წყალობელი იქნებია, არც მე დამივიწყებენ. მე ცოდვილი თომა იმერელი ხელს კოცნი მამიხსენე ვინც წაიკითხოს შენდობა ბრძანოს“. ამ მინაწერის ქვევით უკვე დედნის ხელით სწერია „ამის დედანს ერთი ფურცელი აკლდა“.

ლეს დაავსებს და კაცი მოკუდების, რა ბევრი ღვინო ჩავა და-მძიმდების სტომაქი და ღვიძლი და საჭმელი შიგა დაღვების, კაცი ველარ მოიდნობს და სტომაქი და ღვიძლი წახდების, ისი ავი ხილთი კაცს კიდევ მოემატების და შიგავე შერჩების სნება და სიმმაგე დაემართების და გულმწყრალი შეიქნების, თვალშიგა მღერა დაუწყოს და ძილშიგა შეშინება შექნას. და ძილი არა ღია მოეკიდოს. დიდსა ღვინოსა სვამს ტვინშიგა შევარდების და იქიდაღმა შეიქნების ყველა.

10 და რაცა ღვინისაგან სენი იქნების, იმასცა მოგახსენებ: ერთი რომე ყელი გასივდების და მოუჭირებს, მეორე ნიკრისი, მესამე ფილენჯი რომე ხელფეხი აუთრთოლდეს და თავი და მაჯაში წახდინოს და ღვიძლსა სნება შეაქნას, მეოთხე ითისყა და თავის ტკივი-

ლი და კბილისა, და მხურვალე სიმსივნე ფერად ფერადი ცივება და ცხელება და ესეცა ერგების, რომე თვალისა წუეთისა გახეთქოს.

20 იცოდი რომე ღვინო მხურვალე და ნედლია. და სიმხურვალესაგან ცივი რამე ბუხარი გამოუჩნდეს და რაცა სიმხურვალე იქნების, რომე თმისა ძირშიგა გაიაროს და ტანშიგა, მისი სიგრილე და სისველე დარჩების. თუ სიმხურვალე კიდევ დარჩომილიყოს სტომაქშიგა იმის სიგრილესა, სინედლესა ტვინშიგა გაიღებს კაცის კეფასა.
30 გრილია და ისიც იქივე მიემატების და მისგან ბევრი სენი დაემართების, თვის თავსა ბნედასა შეაქს. [თუ] ამას ცოტა სიხმე ჰქონდეს რომე თავშიგა მისულია მაშინ მალიხოლიაცა ¹ წაეკიდების, მას ქვიან რომე კაცი ანაზდად საუშაშიგა და ბნელსა და სხვასა რასამე საოცნებელსა ჩავარდეს. თუ კაცისა გული და კეფა ცხელი იყოს ძველი და ახალი ღვინო რომე მოდულებული იყოს, ისი მხურვალე და ხმელი არის და მისი ბუხარი იმა დამალშიგა გავა და მისგან თავქედი შეექნების, ასე რომე რას უბნობდეს არ იცოდეს. თუ მხურვალე და ნედლი იყოს, ისი თავშიგა გასულა და მერმე მისგან სიმსივნე დაემართოს, ისი სისხლი იქნების და ცივება და ხურვება გამოაჩინოს, რომე კაცმა შეიტყოს.

რომე სიცოცხლე სოლისაგან იქნების და ისი სული აქიმთა [თ]ქვესცა როგორცა ქარია ასრე არის კაცისა გულშიგა, და როგორცა ღვინოსა სვამს ბევრსა, ის სისხლში გაერევის და მერმე ღვინო სისხლი წავა ღვიძლისა და ძარღვებისა კვალი სავსე [იქნების და] არღარა ჩავარა. მერმე წამოვა გულისაკენ და ისი სული გულშიგა არის და რა ღვინო მიმართებს სულსა გზა აღარა აქუს. მერმე გა-

¹ სწერია „მალახვაცა“.

458

მოვა სული და ღვინო ჩადგების და კაცი მოკუდების, და ღვინისაგან სიკუდილი ამას ჰქვიან, ასრე ღვინისაგან მკუდარი ბევრი ნახულა. სული ფირტვისაგან გამოვა და რაცა კაცი ღვინითა აივსების იმას სულისა სახლსა მოუჭირებს და ფილტვი ხუნემას დაიწყებს, კაცს ასრე ჰქონია ვითა.....¹

10 წყალი წვიმისა სხვის წყლისაგან უფრო რბილი და ნედლია. ზაფხულის წვიმისაგან შემოდგომისა და ზამთრისა უფრო რბილი და ნედლია და მარგე. ამისთვის ავია ზაფხულის წვიმა, რომე ზაფხულის მიწა მტვრიანია და ქარი ამა მტვერსა ღრუბელში გაიღებს და წვიმა მღურივე მოვა და წვიმის წყალი მისთვის კარგი არ იყოს. თუ ერთსა წამსა ჰურჭლითა დადგა იმავე წამს აყროლდების, თუ მოადულო და აგრე შეინახო არ აყროლდების.

წყალი ზღვისა და წყალი რომე მლაშე იყოს კაცს დაამქლობს. თუ კაცსა სნება მღიერისა და სიგრილისა სჭირდეს და ნიკრისისა და კაცი რომე თრთოდეს და ხელი და ფეხი დაუმრუდდეს და სისხსა სჭირდეს და რაც ფერი მღერი სჭირდეს ამა ისი ყოველსა სატკივარსა, ისი ზღვის წყალი ანუ მლაშე წყალი რაცა იყოს ჩაჯდებოდეს და იბანებდეს ისი კაცი. ვისცა ყველა ესე სენი და სატკივარი სჭირდეს მას არგებს.

20 თ ბ ი ლ ი წყალი საჭმელს სტომაქიდაღმა ზეით მოიქცევს და

წყალი ცივი რაცა მრთელი კაცი იყოს ყუელას ერგების და ძარღვებშიგა სისხლს კარგად ამყოფებს და არ წაახდენს.

თუ ის ზღვის წყალი მლაშე არ იყოს, წმინდას წყალშიგა მარილი ჩაყაროს და მზეს გაუდგან და ან მოადულონ, მისივე ხასიათი აქუს, ამა სატკივარსა ისიც არგებს.....².

წყალი რომე ერთობ თბილი იყოს ქარს გასტეხს, კოლინჯს გასტეხს, რწყევას მოუმატებს, ნაზლასა, მალახულიასა და თვალისა სიბნელესა არგებს, შარდს გახსნის, დედაკაცსა წესსა წაჰკიდებს.

30 წყალი გუბისა რომე გზა არსითა ჰქონდეს, შიგა ლერწამი და ჭაობი იყოს ავია, რაცა კაცსა ზიანს უზამს, თუ ეს ავი წყალი და კარგი მიწა გაცრან და გაურიონ და მოადულონ და დაწმინდონ, რაცა ავის წყლის სუნი იყოს ყველა გაწმინდოს.

წყალი რომე სქელი იყოს, რძითა შესვას. წყალი მწოვეთ მლაშე იყოს ძრძითა და სიქანგუბინითა შესვას. წყალსა მლაშესა და მოდულებულსა მოცხარი გაურიონ მუცელსა შეჰკრავს.

¹ ამ გვერდის ბოლო დაუწერელია და ამიაზე სწერია დედნის ხელით „ერთი თურცელი დედანს აქ აკლდა“.

² აქ ოთხი სტრიქონის ოდენი ცარიელი ალაგია დატოვებული.

წყალსა რომე არჯასპის სული უდიოდეს, და ისი სვას, იმას ღვინო გასტეხს და მერმე ასეთი საჭმელი ჭამოს რომე მუცელი [გაწმინდოს].

წყალი რომე მწარე იყოს, თუ ისი სუას ტკბილი და მსუყე საქმელი ჭამოს. და სხვა რაცა ავი წყალი ესვას, ხახვი ჭამოს, რომე მისი ზიანი წაიღოს. თუ ხახვი და ნიორი ძრძითა ჩაყენებული ჭამოს მან უკეთა გაიღოს და არის ალაგი რომე წყალი ცოტა დიოდეს, ისი ძრძითა უნდა სვან. თუხმაქანი დანაყოს და მუხუდო ძმარშიგა გაურიონ, წყვირვილი აღარ დაუგდოს.

10 წყალი რომე ან უზმამან სვას, ან აბანოდაღმან გამოსულმან, ან გამწყრალმან, მისი ზიანი იყოს, და ბუშტშიგა ქვა ედვას ხანდახან უზმა წყალსა სმიდეს, მას არგებს. თუ კაცმან საჭმელზედ ცივი წყალი სუას ისიც ზიანია თუ რაზიანის წყალი სუას, მისსა წყურვილსა მოჰკლავს.

20 **მბ. კარი მარტო წამლებისა.** რაცა აქა წამლები ეთქვა, არცა ათისაგან ერთი არ გვითქვამს, მრავალი სხვა არის, უთქმელი დარჩა, თუ ყუელა ერთპირად დაგვეწერა, ერთობ გაგრძელდებოდა, და რაცა დავსწერეთ ყუელა გამორჩეული არის, კარგი და მუდამ სახმარებელი. წინანდელნი ბრძენნი აქიმნი შეიყარნეს და ზოგი ფერი იცნეს სულითა და სახითა რომე ერთმანერთს ემოწმებოდეს და მათი სახელები ამა წიგნშიგა დაწერეს, მაგრა ესე, რომე წამლები გამოგვირჩევია და დაგვიწერია მოკლედ გამორჩეული ესე არის რაცა სამუდამოდ იხმარების, და კაცსა არა. მორჩების, თვითო ეს არის და ადვილად იშოვების. და ისი სხვა რომე არა დაგვიწერია ამისთვის, რომე ძნელი არს და არ იშოვების.

აქიმის ოსტატობა ეს არის, რომე ესე წამლები კარგად იცნას ფერითა, გემოთა და სულითა.

წამლები ქვეყანაზედა მრავალი ფერი არის ერთმანერთის მსგავსი, და ასეთიც ბევრი არის ერთმანერთშიგა გაურევენ. ერთობ ოსტატი კაცი უნდა რომე შეიგნას ზოგი ძირი, ზოგი ყუავილი, ზოგი ფურცელი, ზოგი თესლი, ზოგი ხე, ზოგი ტყავი.

ასარონი მხურვალი და ხმელია, და ღვიძლი რომე შეკრვით იყოს, გახსნის და კაცი რომე ხშირად შარდად გავიდოდეს, მას უშველის, და სიმსივნე რომე სჭირდეს მასცა უშველის.

აფიონი გრილი და ხმელი არის. ამისი ხასიათი, კაცსა მოსწამვლენ, მისი მსგავსი არის. და თვალთა სინათლეს მატებს. ამისი შესმა ერთი დანგი.

ამისონი მხურვალი და ხმელი არის. და მუცელშიგა რომე

460

ქარი სჭირდეს მას უშველის და თია რომე გამოვიდეს, მასცა უშველის. და რაცა კაცსა ტანზედა გამოუა, მასცა უშველის, ქარს უშველის, მისი შარბათი, შესმა ხუთი დრამი შვიდ დრამამდის.

აფთიმონი მხურვალი და ხმელი არის. და კაცი რომე ანაზდად წაიქცეს და გაშმაგდეს, უშველის და სტომაქსა ძალს მისცემს, ამისი შესმა ორი დრამი ოთხ დრამამდის,

ავსანთინი მხურვალი და ხმელი არის, და კაცსა რომე სტომაქზედა ბალღამი სჭირდეს, მას გახსნის, და კაცი რომე შმაგინად იყოს, მას უშველის. მისი შესმა ხუთი დრამი შვიდ დრამამდის.

აყაყია ხმელი და გრილი არის და კაცსა რომე სისხლზედ იყუანდეს, მას უშველის. და რომე უკანა კარი გამოუვიდეს კაცსა, მასცა უშველის, და წყურვილსა დააწყნარებს. მისი შესმა დრამნახევარი და უკნით დაყრა.

ანჯურა მხურვალი და ხმელია. კაცსა მამაცობასა მატებს და სტომაქსა ძალს მისცემს. თუ ბევრი სვას, სტომაქს აუშლის.

აშაყი მხურვალი და რბილი არის და კაცსა რომე ვარამი სჭირდეს მას უშველის. და მუცელშიგა ჭიას მოუკლავს. და კაცსა რომე პირის სახეზედ რამე გამოუვიდეს მას უშველის, სამფერსა სისხლს უშველის, თაფლითა რომე ზედა შემოსდვან ძრმითა. ამისი შარბათი ნახევარ მიტყალი.

აბალ მხურვალი და ხმელია და ბალღამს გასწმენდს და დედაკაცსა რომე მისი წესი არა სჭირდეს, მას გახსნის და სტომაქსა ძალს მისცემს.

აზხარ მხურვალი და ხმელია, და კაცსა რომე შიგნით სტომაქზედა გრილად იყოს, უშველის. და კაცსა რომე ძილშიგა დააწვების რამე და რჯის და ენასა შეუკრავს, უშველის და კაცი რომე წაიქცეს და პირსა დუჟი წაეკიდოს მას უშველის.

ანგიზონი მხურვალი და ხმელი არის, და კაცსა რომე ბალღამი სჭირდეს, მას უშველის. და კაცსა რომე ანასდად ფილენჯი დაემართოს და პირი გაუმრუდდეს, მას უშველის. და რასაცა საჭმელსა სჭამდეს ფიცხლავე მოაქარვებს. და ანაზდად რომე ფილენჯითა პირი გაუმრუდდეს მას უშველის. და ანაზდად რომე ხელფეხი მოუღოს მას უშველის.

ასმათი გრილი და ხმელი არის, და კაცსა რომე თვალთა სინათლე აკლდეს მოუმატებს.

ამლუჯ ბუასირი გაიღოს და სტომაქი დაწმინდოს, და ზაფ-
რა დასვას, მისი შესმა სამი დრამი. თუ ესე არა იყოს შავი ალილა
ქენით, შესმა თაფლითა.

461

ალილა ზარდი გრილი და სველი არის და ცხელებას უშ-
ველის და ღვიძლის ტკივილსა და ნაღველსა უშველის.

ალილა ქაბული ესე წამალი სიმხურვალისაკე არის და
სევდას უშველის და კაცი რომე ანასდად წაიქცეს და დუჟი მოსდი-
ოდეს უშველის და რომე ბალღამი სჭირდეს, მას გასწმედს.

ალილა ინდი მისი და ამა ზემოთის ხასიათი ერთი არის.

არყირყარა მხურვალი და ხმელი არის. და კაცს რომე ტან-
შიგა ქარი სჭირდეს გამოიღებს. და კბილსა ქვეშე დაიჭიროს ტკივილ-
სა უშველის და სტომაქს ძალს მისცემს. შესმა მისი ნახევარ დრამი.

10 ასრადი გრილი არის, და რომე კაცი სივდეს ზედ დასდვა,
უშველის.

ალქირუმი მხურვალი და ხმელი არის, რომე კაცი სივდეს
ზედა დასდვა უშველის.

აინა ბუსალაზ გრილი და რბილი არის, და რომე ღვიძლ-
ზედ სიმხურვალე სჭირდეს უშველის. საფრას გაიღებს და მუცელს
გახსნის.

არარი. რომე ხშირად პირსა წავარდებოდეს, იმის ფურცე-
ლი დანაყოს და გულზედ დაიდვას. და მისი თესლი ფსელს
შეკრულს
გახსნის და მხურვალია რის.

20 ალქულამათ. მხურვალი არის და კბილის ტკივილს უშ-
ველის.

ასფარი. მხურვალი არის, და კაცს რომე, თეთრი რომე გა-
მოესხას ტანზედ, მას უშველის.

არმელი და ამმა ორივე ხმელი და მხურვალი არის, ღვი-
ძლის საბამსა გახსნის. სასასა ბალღმისაგან გასწმენდს და სტომაქს
ძალსა მისცემს.

აბანილი მხურვალი არის, ბალღამს გამოიღებს ტანისაგან
და ისი დანაყო და ბარასა ტლედ შემოსდვან უშველის.

30 არაფ. მხურვალი და ხმელია, მოცელში ჭიას მოჰკლავს, და
ტყირბი რომე მისის ალაგისაგან დამრულ იყოს და სხვაგან მისწო-
ლოდეს მისსავე ალაგს მიიყვანს. მამაცობას უმატებს. ფსლის შეკრუ-
ლობას გახსნის.

ასაქი გრილი არის და შირიმისა შეკრულობასა უშველის.

აზუსი მაქი სწორია, თვალის სინათლეს მოუმატებს. ბაყსა
ზედა შესცხო უშველის.

აიალამ კაკბის საკვნეტელა არის, გრილი და ნედლი სიმსივ-
ნე რომე სიმხურვალისაგან იყოს, მას დააცხრობს და სიმხურვალეს
გამოიღებს.

462

ბ ა ლ ა ს ა ნ მხურვალი და ხმელი არის და თავის ტკივილს უშველის და ბალდამს უშველის, და სტომაქს გასწმენდს.

ბ ა რ ა ნ გ მხურვალი და ხმელი არის, მუცელში ჭიას მოკვლავს და კაცს რომე დილეულად გული ეშლებოდეს და წყალი მოსდიოდეს პირისა, მას უშველის.

ბ ე ლ დ ა რ მხურვალი და ხმელი არის. და კაცი რომე გულმავიწყე იყოს, მას უშველის, და წყლულსა ძლიერსა უშველის.

10 ბ ა მ ა ნ ი თეთრი და წითელი, ორივე მხურვალია და წითელი უმხურვალია. და კაცი რომე ანასდად დაზნდეს და პირს წყალი და დუჟი მისდიოდეს მას უშველის, და სტომაქს ძალას მისცემს.

ბ ა ს ა თ ი გრილი და ხმელია და თვალის სინათლეს მატებს და მოსისხლვას უშველის.

ბ ა დ უ რ დ ა მხურვალია და ტანშიგა რაცა სენი სჭირდეს გასწმენდს და თავქედს უშველის.

ბ უ ზ ი დ ა ნ მხურვალია და კაცსა ნიკრისსა და ქარს უშველის. და ძარღვისა გაშემებას უშველის, კაცსა. და რაცა ბალდამი სჭირდეს ყუელას უშველის.

20 ბ ა ს ბ ა ს ა მხურვალი და ხმელი არის სტომაქს ძალს მისცემს, თავქედს უშველის და ფსმას მოუმატებს.

ბ ა ლ ი ლ ა ამა ზემოს ხასიათი და მისი ერთი არის, ზოვასირს უშველის და კაცის ტანს გასწმენდს. ზაფრას გაიღებს.

ა ს ფ ა ი ჩ მხურვალი და რბილი არის, და კოლინჯს გახსნის და სევდას და თავქედს უშველის.

ბ ო რ ა მხურვალი და ხმელი არის, თუ იმითი კაცი არწყევდეს. რაცა ტანზედა ესხას უშველის და მუცელშიგა ჭიას მოუკლავს, მხურვალი არის და ვარამს დააღბობს, ეს წამალი დანაყილი, ხუელას უშველის.

კარი განთა

30 გ ა ზ მ ა ს გრილი და ხმელია, თუ კაცს ცხვირს ანუ ქვევით სისხლი მწვეთ სდიოდეს, არგებს და კბილი რომე ეძროდეს და ვარდებოდეს მას უშველის.

კარი დონთა

დ ა რ უ ნ ჯ ი მხურვალი არის და კაცს რომე მორიელმან უკბინოს ეს შესვას და უშველის, გული რომე ძგერდეს, მას უშველის, დედაკაცის საშოს კარგად მოუხდების.

დ ა მ ლ ხ ვ ე ნ ი გრილი არის, კაცს მუცელში შეკვრავს და კაცის ტანზედ რომე მღერი დაძველებული იყოს, მას ახლად დააწყულლებს და გამოჰყრის.

დ ე ვ ა ლ მხურვალია, და მწოვედ გონჯი მღერი რომე იყოს, კაცს იმას გასწმენდს და თუ ან კაცი სუამს, ან პირუტყვი, შხამი აქუს.

დ ა რ ი ჩ ი ნ ი მხურვალია და რბილი არის, კაცისა თესლსა მატებს და შეკრვით რომე იყოს, გახსნის და სტომაქს ძალს მისცემს.

დ ა რ ფ ი ლ ფ ი ლ ი მხურვალი და ხმელი არის, და კაცს რომე ფილენჯისაგან პირი ან თვალი გამრუდებოდეს, მას უშველის და თრთოლას უშველის ბალდამს გაიღებს.

10 და რ უ ს თ მხურვალი არის, და სტომაქს ძალს მისცემს, ტანს გასუბუქებს. და თუ ბევრი ჭამოს პირს წააგდებინებს.

კარი ენთა

ენ ა ინ ა ს ჰქვიან გრილი და რბილი არის, თავის სიციხეს ჩამოიღებს და დამწურის მეტს ხორცსა გაასწორებს.

კარი ვინთა

ვ ა ჩ ე გ ი რ ი ა, მხურვალია, რაც ტყობშია სენია ქარისა ყუელასა გამოიღებს. კაცსა რომე ენა შეეკრას, მას გახსწის და ბაღლამს გაიღებს.

ვ ა რ მ ა ამაზემოსა და ამისი ხასიათი ერთია.

20 ვ ა უ ფ ჰ ლ ა ლ ი გრილი არის და მხურვალსა ვარამს მოუგრილებს, თვალსა გამოივლოს სინათლეს მატებს.

კარი ზენთა

ზ ა ბ უ ლ ს ა ლ გრილია და მუცელს გახსნის და ცხელსა ვარამს უშველის და პირიდაღმა რომე სისხლი აღმოვიდოდეს, მას უშველის.

ზ ა რ ა რ ი მ ა რ ი ა მ უ ლ ს ა ჰქვიან, მხურვალე არის, და კაცს რომე ქესტრი სჭირდეს, დანაყოს და შესცხოს, უშველის, და კაცს რომ აჭამო შეწყინდეს ასე რომე!¹.....

30 მ მ უ მ ა მხურვალი და გრილია. და კაცი წილ ან ცხენმა ჩამოაგდოს და ან მალლით ჩამოვარდეს და დანაყილი იყოს, უშველის, და შეკურით იყოს გახსნის. მისგან შესმა ერთი დანგი ხუნაგს უშველის.

მ უ ყ ლ ი მხურვალი და რბილია, ყოლინჯსა და ბუასირს უშველის. კაცსა რომე უჩინარი სატკივარი სჭირდეს მას უშველის. ზაფრანითა და ქათირათა ერთი დრამი უნდა დანაყილი.

მ უ მ, ც ვ ი ლ ი ა სწორი და რბილია, კაცსა რომე ხველა სჭირდეს ერბო და ეს ერთად გაურივე და სტომაქსა და ფერდსა შეიცხოს, უშველის.

¹ ფურცლები აკლია. აქ არის მინაწერი („ჩვენ საქართველოს გამგებელი“...) რომელიც ჩვენ ბოლოში გადაგვაქვს.

მ ა ზ რ ი უ ნ მხურვალია და. ზაფრას გასწმენდს და ისთინაყსა და შეკრულს მუცელს გახსნის.

მ უ რ დ ა ს ა ნ გ გრილი და ხმელი არის, კაცსა რომე ღლიაში ოფლი უყარდეს, მას უშველის. და რაცა მღერი იყოს მას უშველის.

მ ა რ ა რ ა თ ჰ ე ს ყველა მხურვალი არის, და თვალისა სინათლესა მატებს, ყოლინჯს გახსნის და წვივთა ტკივილს უშველის.

მ ა ა ნ ა მხურვალი არის და რაცა დამწვარი იყოს შემოსდვა იმა მტკივანს გაამთელებს და უშველის.

10 მ უ ყ ლ ი ჰ უ დ მხურვალია და ხმა რომე შეკრული იყოს მას უშველის დ. მორიელის ნაკბენს უშველის.

მ ა რ ყ ა შ ი ს ა მხურვალი და ხმელი არის, და თვალისა სინათლესა მატებს.

მ ა ვ ი ზ ა ჩ, მხურვალია ამა წამლითა ტანი დაიბანო, რაცა ტილი და კრწყილი იყოს ყველას დაჰხოცს, და მისი ჭამა საშიშარი არის.

მორი მხურვალია, და დედაკაცისა წესსა გახსნის, და კოლინჯს გახსნის. და კაცსა რომე ხელი და ფერხი მოელოს იმას უშლის და თვალსა ამოივლოს, სინათლეს მოუმატოს.

20 მუშკი მხურვალია და სტომაქს ძალს მისცემს და კაცს თესლს მოუმატებს და ღვიძლს გასწმენდს და გააცხელებს.

კარი ნარიანთა

ნილი მხურვალი და ხმელია, და [კაცსა] რომე ვარამი სჭირდეს შეიციხოს, უშველის.

ნათხრუნ მხურვალი და ხმელია, რომე თვალში გამოივლოს უშველის თვალის სიბნელესა და სტომაქშია ჭიას მოჰკლავს, თუ კაცს ნიადაგ პირს წყალი სდიოდეს, წავარდებოდეს, მას უშველის.

ნიშადური მხურვალი და ხმელია, თვალსა თეთრი იყოს უშველის რომე გამოივლოს. კაცსა რომე ყელი გაუსივდეს, უშველის, მუცელშიგა ჭიას მოჰკლავს.

30 ნავთი თეთრი და შავი ორივე მხურვალია და წურილი და მსხუილი ჭია მოკლავს.

კარი რაიანთა

როი დამწვარი თმას გააშავებს და ხორცმეტს მოსჭამს, თვალთა ცრემლი სდიოდეს უშველის.

რუთუზა მხურვალია და ხმელი კაცს თესლსა მატებს. თუ მისი წვერი დანაყო და ცხვირშიგა ჩაიშვა თავის ფილენჯს უშველის.

რაბიბაშე მხურვალი არის. თუ კაცი ამა წამალსა სჭამს რომე დამპალი ხორცი იყოს და არ მთელდებოდეს, უშველის და

დანაყილსა ხორცსა ამრთელებს და მალამაშიგა გაერევის ეს წამალი, რევანდი მხურვალია, კაცისა ღვიძლზედა წყალი იყოს, იმას გახსნის და სტომაქს ძალსა მისცემს და ტანშიგა რომე წყალი იდგეს დაჰკარგავს.

რასინ მხურვალი და გამხსნელი არის კაცს რომე აცივებდეს იმას უშველის, თვალისა სინათლეს მატებს.

რევას გრილი და ხმელია და ზაფრას გაიღებს და წყურვილს დააცხრობს.

კარი სანიანთა

10 საქბანჯი მხურვალია, კაცსა არგებს და ვისცა ტანზედა წყლული იყოს ისი ნუ ჭამს, თუ ჭამოს ანგაზათითა, ან ქრუათა, ან ჯავზი ბუათა, ან სადაფითა, ახ ნიახურითა, ან ნიორითა, ან ზაფრანითა, ან თაფლითა ან ლეღვითა ჭამოს. ვისცა კოლინჯი სჭირდეს მას დაუმძიმებს და სტომაქისა და ბუშდისა ზიანი არის და წელისა. და კაცსა რომე ან ზურგი, ან მუხლი სტკიოდეს და ან ხველა სჭირდეს მასცა ზიანია. თუ ესე სჭამოთ რასათვისცა ზიანი გვითქვამს მერმე გილიარმანი და სამყი არაბი და ზეთი ნუშისა და ალვა შაქრის ეს ყუელა ჭამოს.

20 სუმბული მხურვალია და ხმელი და სტომაქს ძალას მისცემს. კაცი რომე შმაგად იყოს უშველის და ბალდამსა გაიღებს. ერთი დრამი ქათირითა და ღვინითა, სიცივეშია სჯობს.

სანდარუზ მხურვალი და ხმელია.

სი ს ა ლ ი ო ზ მხურვალია, და კაცი რომე ძნელად მოფსმიდეს და თავშიგ რომე რეტად იყოს მას უშველის.

ს ი ფ ი ს ტ ო ნ ი ესე წამალი სწორია და¹. რომე სტკი-
ოდეს და ხველა სჭირდეს, უშველის. ოცდა ათი მარცვალი უნაბის
წყლითა.

ს ი ყ ა ნ ყ უ რ ი მხურვალია და რასთონიერთჯერ მოუნდეს დე-
დაკაცთან დაწვების.

30 ს უ ნ ჯ უ თ სწორია და მისი ხასიათი მრთელი არის და ტან-
შიგა სისხლს დასწურავს.

ს ა ბ რ ი მხურვალია და რბილი საფრას გაიღებს, მუცელს გა-
ხსნის და სისხლის დენას დააწყენარებს, შესმა მისგან ორი დანგი ან
დრამ ნახევარი, ან ორი დრამი მასტაქითა და მუყლიაზრაციითა და,
შაქრითა და თავლითა, არცა ერთობ სიცხეში და არცა სიცი-
ვეში.

¹ აქ ერთი სიტყვისთვის ცარიელი ალაგია დატოვებული.

466

ს ა ნ დ ა ლ ი წითელი მხურვალია ცოტად, დიდი სისხლ კორძა
რომე ებას მას უშველის და დიდ სიმსივნეს უშველის.

ს ა მ დ ა ლ , ამისი ხასიათი ცოტად სიმხურვალისაკენ არის და
ხველას უშველის და ბალღამს გახსნის და სენი რომ სჭირდეს, ჩაღ-
მა ჩარეკს.

ს ა ბ ნ მხურვალი და ხმელი არის და კაცს მღერსა გამოასხამს
და მუცელს გახსნის.

ს ა და ფ ი დამწვარი გრილი და ხმელია, და კბილსა წაისვას
გაათეთრებს და ძირსა დაამაგრებს.

10 ს ა მ დ უ ლ ბ ე ლ ა თ გრილი და ხმელი არის და მღერს გასწ-
მენდს და სისხლისაგან რომე სენი სჭირდეს, უშველის.

კარი ფარიანთა

ფ ა ლ ა ნ ჯ ი მხურვალია და სტომაქს ძალს მისცემს და საჭმელს
მოამდომებს და პირს რომე წავარდებოდეს უშველის, თესლს მატებს.

ფ ა რ ფ ი უ ნ მხურვალი და ხმელია და შეკრვით რომე იყოს,
გახყნის და რომე კაცსა კოლინჯი სჭირდეს და ან ხელი და ფერხი
მოღებოდეს უშველის ორი დანგი თორხოლოთა კვერცხითა ჭამოს,
სისხას უშველის, ყოველთა დილათა.

20 ფ უ ა ლ მხურვალი და ხმელია და მუცელშიგა ჭიას მოკლავს
და შარდად ნიადაგ გაიყვანს.

ფ ი ლ ფ ი ლ მხურვალია და ქარი რომე სჭირდეს სტომაქზედა
მას გასტეხს, და კოლინჯს გახსნის, და რაცა ბოქვენსა და ყვერშიგა
სენი იყოს ყუელას გასწმედს.

ფ უ ფ ა ლ ი მხურვალია და ძნელი სატკივარი რომ სჭირდეს
უშველის.

კარი ქანიანთა

ქ ა მ ა ხ ა თ ი ზ მხურვალი არის, იარაყანს უშველის და ფსლის
შეკრვას გახსნის.

30 ქ ა მ ა დ რ ი უ ზ მხურვალია და ტყირბს რომე ტკივილი მის-
ჭირვებოდეს მისავე ალაგს გაამრთელებს და გულსაცა კარგად ამრ-

თელეებს და იარაყანს გასწმენდს. მისგან დრამ ნახევარი უნდა.

ქუნდურ საკმელია, მხურვალი და ხმელია, სტომაქს ძალს მისცემს, და კაცს რომე ავი სული გამოვიდოდეს პირით, მას უშველის და კბილის ძირს დამაგრებს და უშველის.

ქაზაზა მხურვალია და ხმელია, კაცი თავშიგა რომე სუსტად იყოს უშველის. და პირი რომე უყარდეს ამოსა სულსა ამოადენს პირიდანა.

467

ქარვია გრილი და ხმელია, კაცსა რომე სისხლზედ იყუანდეს მას უშველის. დედაკაცსა რომე მეტი წესი სჭიოდეს შეკრავს და ტაფაჩანსა უშველის.

ქიბრიტა მხურვალი და ხმელია, მღერსა და მუნს უშველის და საჭმელად ავი არის.

ქაზრიდანე გრილი არის და ტყირბს რომე ტკივილი მისჭირვებოდეს მას უშველის და იმავე ადგილს მიიყვანს. ამ წამლის ძირი და ქერქი თრიაყის ხასიათსა იქს.

10 ქასირა მხურვალი და რბილია და ხველას კარგად მოუხდების და გულსა და ფილტუს დაუღობოს.

ქუნდრუს მხურვალია და ხმელი და თუკაცი სუამს პირსა წააგდებინებს. და კაცს რომე მღერი ესხას, დაზილე, შესცხე, უშველის.

ქილდრუ მხურვალი და ხმელია და კაცს რომე თბილი წყალი სდიოდეს პირსა მას უშველის და მუცელშიგა ჭიას მოკლავს და მუცელს გახსნის.

კარი ღანიანთა

ღარი მხურვალია და მორიალის ნაკბენს უშველის და კაცი რომე ფსელზე შეკრვით იყოს გახსნის და ნასკულს ძარღს გახსნის.

20 ღარიყუნი მხურვალი, და ღვიძლზედ რომე შენასკვით იყოს უშველის და მუცელს გახსნის და თავი რომე ბრუშიანად იყოს მას უშველის. ამისი შესმა დანგ ნახევარი, ან ორი დანგი ან ერთი მუტყალი.

ღაფთი მხურვალი და გამხსნელია და ღვიძლის წყალს გახსნის და შიგნით ღვიძლშიგა თუ რამე იყოს გამოჰყრის.

კარი ყარიანთა

ყურფა მხურვალი და რბილია, კაცის თესლს მატებს, და სტომაქზედ რომე ვარამი იყოს, მას უშველის და სტომაქს ძალას მისცემს.

30 ყარაფული მხურვალი და ხმელი არის და სტომაქსა ძალას მისცემს საჭმელს მოამდომებს და თავშიგ რომე სუსტად იყოს, უშველის.

კარი შინიანთა

შიყაყული, მხურვალი, და კაცს თესლს მატებს და სტომაქს ძალს მისცემს და კაცის სარცხვენელს დაამაგრებს.

შიბრამა მხურვალია ბალღამს გასწმენდს და ზაფრას. და სმა ღვიძლს აწყენს. ეს წამალი შხამის სიახლოვეს არის.

468

შ ა თ ა რ ა მხურვალი არის ზაფრას გაიღებს და მუცელს და-
ალბობს და ტანშიგა სისხლს გასწმედს, და მღერს გასწმენდს.

შ ი რ ი ა ზ ა რ უ მხურვალია, თვალისა სიბნელეს გაანათლებს
და კაცს რომე სირბილშიგა ცრემლი სდიოდეს მას უშველის.

შ ი რ ხ ი შ ტ ი მხურვალი არის და ხმელი, სტომაქს ძალს მის-
ცემს და თუ თავქედი სჭირდეს ან ყბა გამრუდებოდეს უშველის.

კარი ხარიანთა

ხ ა რ თ ხ ა მ მხურვალია და კაცს თესლს მატებს და სტომაქს
დაასუსტებს.

- 10 ხ ა ნ ა მხურვალია და ბოქვენსა გარეშემო ძალას მისცემს და
რაცა ტანშიგა ავი ქარია ყველას გაიღებს და პირის სახეს რომე
გონჯი მღერი ესხას არგებს.

კარი ხანიანთა

ხ ა რ ბ ა ყ ი შავია კაცს დაათრობს.

ხ ა რ დ ი ლ ი მხურვალი და ხმელი არის. ბალღამს დაადნობს,
ჭიას მოჰკლავს და რომე კაცს ფილენჯისაგან რამე გაუმრუდდეს მას
უშველის.

- 20 ხ ა თ მ ი სწორე არის და ვარამსა დასვამს და ტანშიგა სისხლს
დასწმენდს. თუ დამწვარი მსივანი იყოს მას დასვამს. სამი დრამი
უნდა წყურვილს დააწყნარებს და კოლინჯს დასვამს.

კარი ჯანიანთა

ჯ უ ნ დ ი ბ ე დ ა ს ზ ა რ მხურვალი და ხმელია და ფილენჯისა-
გან რომე ხელი და თავი უთრთოდეს ან ტანი მას უშველის. პირი
რომე გაუმრუდდეს მას უშველის ამისი შარბათი ერთი დრამი მეტი
არ ვარგა.

ჯ ა ბ ა ლ ა ნ გ მხურვალი და ხმელია. კაცს მეტად ჯავრისაგან
გააცეცხლებს და კიდეც დაათრობს.

ჯ ა ვ ზ ი ბ უ ა მხურვალი და ხმელია, ბალღამს გაიღებს, ფი-
ლენჯს უშველის. კაცი რომე მძიმედ დაღეწილი იყოს იმას უშველის.

- 30 **კარი ჰაიანთა**

ჰ ბ ი ბ ლ ა ს ი ნ მხურვალი და ხმელია. კაცის შეკრვას გახსნის
და ბევრს სენს გაიტანს. და თავიდაღმა ბალღამს ჩასწმენდს და
სტომაქს ძალას მისცემს.

ჰ ბ ა ნ ი ა ლ მხურვალია, მუცელს გახსნის და ბალღამს გაიღებს.
და კაცს რომე თეთრი ფრჩხილის ყვავილივითა ტანზედა გამოესხას
ეს წამალი დანაყოს, შეიცხოს მას უშველის, და რომე პირზედა ქეს-
ტრი იყოს, შესცხოს უშველის ამისგან, შესმა დანგ ნახევარი და ან
ორი დანგი, მუცელს გახსნის.

ჰ რ ა ფ მხურვალია, მუცელში ჭიას მოჰკლავს და კაცს რომე
ტყირპი მოსწყდეს, მასვე ალაგს დაამაგრებს. და კაცს თესლს მა-
ტებს.

ჰ ს ა ქ გრილია და თუ დანაყო და ამისი წვენი სვა კაცს
თესლს უმატებს და ფსლის შეკრულობას გახსნის.

ჰ ბ ა ლ მ ა ლ უ ქ მხურვალი და ხმელია, ბალღამს გაიღებს, ფეხ-
თა ტკივილსა და ნიკრისს უშველის ¹.

ქ. ჩვენ საქართველოს გამგებელმან ბატონიშვილმან პატრონმან ვახტანგ, დავაწერინეთ კარაბადინი ესე საკითხავად და სამყოფად დარბას სეფეთა ჩვენთა. ერთი ფურცელი აკლდა და მისი ვერსად ვიპოეთ რომ დაგვეწერინა.

¹ ტექსტი აქ თავდება. ამის შემდეგ ერთი ფურცელი დაუწერელია